საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკის ინსტიტუტი

პ. ბ. გუგუშვილი

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში

მონოგრაფიები

ტომი მეოთხე

წიგნი პირველი

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი — 1965

შინაარსი

სარჩევი	V
წინასიტყვაობა	XI

სოფლის მეურნეობა

ნაწილი მეოთხე

სპეციალური და ტექნიკური კულტურები

მეთამბაქოეობა

I. საერთო ცნობები	4
II. კანონმდებლობა თამბაქოს წარმოების შესახებ	8
III. მეთამბაქოეობა მე-19 ს. პირველ ნახევარში	30
IV. გარდატეხის პერიოდი	40
V. 1882 წ. წესდების გავლენა	61

სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარება

VI. თბილისის გუბერნია	77
VII. ზაქათალის ოკრუგი	106
VIII. ელისავეტპოლის გუბერნია	119
IX. ბაქოს გუბერნია	118
X. ერევნის გუბერნია	130
XI. ქუთაისის გუბერნია	137
XII. გათუმის ოლქი	151
XIII. სოხუმის ოკრუგი	157
XIV. მეთამბაქოეობის საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები	192

1. განვითარების ტემპები	192
2. გეოგრაფიული გაადგილება	195
3. 1905 წლის რევოლუციის გავლენა	203
4. მეტროპოლიის ინდუსტრიული პოლიტიკა	212
5. თამბაქოს მოსავლიანობა	216
6. ფოთლადი თამბაქოს გატანა	218
7. ამიერკავკასიური მეთამბაქოეობა საერთო ასპექტში	225
8. პირველი მსოფლიო ომის წლები	226

მეგამგეობა

I. ზოგადი ხასიათის ცნობები 233
II. რეფორმამდელი პერიოდი 246
III. 1870—1920 წწ. 263
IV. ერევნის გუბერნია 289
V. ელისავეტპოლისა და გაჭოს გუბერნიები 313
VI. მუშაძალის ორგანიზაცია 339
VII. აგრონომიული დახმარება 354
1. საცდელ-საჩვენებელი მინდვრები 354
2. სათესლე მასალა 370
VIII. ბამბის რეალიზაცია 389
1. ნედლი ბამბის პირველადი გადამუშავების ტექნიკა 389
2. შემსყიდველი 408
3. კრედიტი 423
IX. ამიერკავკასიელ მეგამგეთა 1912 წლის ყრილობა 436
X. მეგამგეობის ეკონომიკის საერთო საკითხები 466

ნაწილი მეხუთე

მრავალწლიანი ნარგავები

მევენახეობა

I. ზოგადი ცნობები 484
II. მევენახეობის ფორმები 504
1. მაღლარი 504
2. მაღლარიდან დაბლარისაკენ გარდამავალი ფორმები 516
ა. ტალავრის (ტალავერის, ხეივნის) ფორმის მევენახეობა 516
ბ. ხარდანი ანუ ოლიხნარი 518
3. თუმბური ანუ განრთხმული მევენახეობა 520
ა. მევენახეობის თუმბური ფორმა 520
ბ. ვაზის საზამთროდ მიწაში ჩაფლვის წესი 523
4. დაბლარი 524
ა. დაბლარი ფორმის მევენახეობა 524
ბ. სასარის და საქარეს კულტურა 529

III. ვაზის ავადმყოფობათა და მავნებელთა გავრცელება 532
1. ოიდიუმი 533
2. მილდიუ 543
3. ფილოქსერა 547
ა. ფილოქსერის კომიტეტი 548
ბ. ფილოქსერის გაჩენა და გავრცელება 553
IV. ვაზის მტრებთან ბრძოლის პიროგები და მეთოდები 564
1. შეწამლვა 564
2. ამერიკული ვაზის სანერგეები 576
V. მევენახეობის გეოგრაფიული გაადგილება 590
1. დას. საქართველო . 593
შემოკლებათა განმარტება 630
ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი:
ა. ხაკუთარ სახელთა 633
ბ. გეოგრაფიული 639
გ. ხაგნობრივი 648

СОДЕРЖАНИЕ

Оглавление V
Предисловие XI

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

ЧАСТЬ ЧЕТВЕРТАЯ

СПЕЦИАЛЬНЫЕ И ТЕХНИЧЕСКИЕ КУЛЬТУРЫ

ТАБАКОВОДСТВО.

I. Общие сведения 4
II. Законодательство о производстве табака 8
III. Табаководство в I половине XIX в. 30
IV. Переломный период 40
V. Влияние устава 1882 года 61

РАЗВИТИЕ ТОРГОВОГО ТАБАКОВОДСТВА

VI. Тбилисская губерния 77
VII. Закатальский округ 106
VIII. Елисаветпольская губерния 110
IX. Бакинская губерния 118
X. Ереванская губерния 130
XI. Кутаисская губерния 137
XII. Батумская область 151
XIII. Сухумский округ 157
XIV. Общие экономические показатели табаководства 192

ХЛОПКОВОДСТВО

I. Сведения общего характера 233
II. Дореформенный период 246
III. 1870—1920 гг. 263

РАЗВИТИЕ ТОРГОВОГО ХЛОПКОВОДСТВА

IV. Ереванская губерния 289
V. Елисаветпольская и Бакинская губернии 313
VI. Организация рабочей силы 339
VII. Агрономическая помощь 354
VIII. Реализация хлопка 389
IX. Съезд закавказских хлопководов в 1912 г. 436
X. Итоговые экономические вопросы хлопководства 466

ЧАСТЬ ПЯТАЯ

МНОГОЛЕТНИЕ НАСАЖДЕНИЯ

ВИНОГРАДАРСТВО

I. Введение 484
II. Формы виноградарства 504
III. Распространение болезней и вредителей винограда 532
IV. Условия и методы борьбы с врагами винограда 564
V. Географическое размещение виноградарства 590
1. Зап. Грузия . . 593
СПИСОК СОКРАЩЕНИЙ 630

УКАЗАТЕЛИ

1. Собственных имен 633
2. Географических названий 639
3. Предметный 648

წინასიტყვაობა

ეკონომიკურ მეცნიერებას. მართალია. დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ თანამედროვე სისტემის სახით ის, არსებითად. ახალი ცივილიზაციის მონაპოვარია. მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი პროგრესის ახლანდელ ვითარებაში საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების განვითარების კანონზომიერებათა დათუნდაც მხოლოდ უახლოესი პერსპექტივების შესწავლა ისევე აუცილებელია. როგორც ყოველდღიური მოხმარების საგანთა წარმოება. გაცვლა. განაწილება.

რაც დრო მიდის, საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი და კონკრეტული მოვლენების შემსწავლელ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის ეკონომიკური მეცნიერება სულ უფრო წინაპლანზე გამოდის და თანაც მიმდინარეობს მისი შემდგომი დიფერენციაცია და ამ ახალ გამონაყოფთა. მეტ-ნაკლები ზომით. ბუნებათმეცნიერების. ტექნიკის. მათემატიკისა და სოციოლოგიის სხვადასხვა დარგებთან დაახლოება. კოორდინაცია.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის, შრომის საერთაშორისო დანაწილების. კერძოდ. ფართოდ განშტოებული გეგმიანი სახალხო მეურნეობის ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეურნეობრივი თაოსნობისა და მთელი ეკონომიკური ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლა. ირკვევა. რომ წარმოების, განაწილების, მოხმარებისა და მომსახურების ინტერესები მოითხოვენ არათუ ზოგად. არამედ დეტალურ ცოდნას არა მხოლოდ საყოველთაო ყურადღების საგნად ქცეული მოვლენებისა. არამედ წარმოების ცალკე. სპეციალური დარგებისაც. რომელთაგან ბევრი მარტოოდენ რე-

გიონალური ხასიათისა და, მაშასადამე, ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენებად იყვნენ მიჩნეულნი. თურმე მატერიალური წარმოების ასეთი პატარა სფეროები. განსაკუთრებით მას მერმე რაც ისინი მსოფლიო ვაჭრობის ორბიტში მოექცევიან. ზოგჯერ ისეთ თვისებას იძენენ, რომ სულმთლიანად არღვევენ ზოგადი ხასიათის მოვლენათა შესწავლის საფუძველზე შემუშავებულ წარმოდგენებს, კანონზომიერებას, და, რაც მთავარია, მიმართულებას უცვლიან და ხშირად ძირფესვიანად არღვევენ ათეულ და ასეულწლობით ჩამოყალიბებულ ეკონომიკური ყოფიერების არსებულ ნორმებსა და ფორმებს. რის შედეგადაც მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში საფუძველი ეცლება მთელი რაიონების მოსახლეობის ფართო მასების კეთილდღეობას. ჩვენ უკვე არ ვლაპარაკობთ იმ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაზე, რაც შედეგად მოჰყვება ხოლმე ასეთ მოვლენებს და რაც უფრო მეტი გეოგრაფიული განვრცობილობის ხასიათს ატარებს.

აღნიშნული ვითარების გამო კვლევის საგნად აღებული სახალხო მეურნეობის დარგთა სტრუქტურული განვითარება. ცხადია, არა მხოლოდ ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის და საერთოდ რუსეთის, არამედ მსოფლიო მეურნეობის ასპექტშიც უნდა ყოფილიყო გაშუქებული. პრობლემის სწორედ ასეთმა შესწავლამ შესაძლებელი გახადა რიგი ისეთი სიღრმისეული საზოგადოებრივი პროცესის გამოვლინება და მათი სოციალურ-ეკონომიკური ბუნების გახსნა. რომლებიც აქამდე არამცთუ რამდენადმე მაინც გაშუქებული, არამედ საერთოდაც შემჩნეული არ იყო მეცნიერების მიერ.

თავის კვლევა-ძიებაში ავტორი განუხრელად ხელმძღვანელობდა იმ იდეით, რომ მხოლოდ წარსულის საფუძვლიანი ცოდნა იძლევა შესაძლებლობას, რათა თანამედროვეობაში გარკვევით განვასხვაოთ გარდამავალი და გადმონაშთი სრულქმნადისა და მომავლის ჩანასახებისაგან. ჩავწვდეთ თვით თანამედროვე საზოგადოებრივ მოვლენათა არსობას, შევძლოთ მისი მასშტაბების, ტემპებისა და მიმართულებების ახსნა, მივაღწიოთ როგორც მომავლის თვალსაზრისით თანამედროვე-

ობის პროცესთა წარმართვას, ისე თანამედროვეობის შუქზე მომავლის განჭვრეტას.

ხშირად ფრიად შორეული წარსულის გახსნა იძლევა თანამედროვეობის ურთულეს მოვლენათა და მომავლის შესაძლებელ ვითარებათა შეცნობის შესაძლებლობას; თითქოსდა ისე, როგორც ისტორიის მოსაბრუნ პუნქტებში დადრეკილი საზოგადოებრივი ორგანიზმი ხშირად წარმოაჩენს საოცარ უძლურებას იმ მამოძრავებელი ძალებისა. რომლებიც აქამდე უძლიერეს ფაქტორებად მიაჩნდათ, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მეცნიერული ანალიზისათვის შეუღწეველი ჯავშანით იყო დაფარული და არაბუნებრივი იმუნიტეტის ძალით სავსებით ბუნებრივ, ე. ი. კანონზომიერ მოვლენად წარმოუდგებოდათ.

ვ. ი. ლენინი სავსებით მართებულად წერს. რომ „პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა არ შეიძლება იოლად, mir nichts dir nichts, ყოველგვარი წინასწარი ცოდნის უქონლად. ისე. რომ არ იცნობდე ისტორიის, სტატისტიკისა და სხვ. ფრიად ბევრსა და ფრიად მნიშვნელოვან საკითხს“, რომ „ეკონომიკურ საკითხებთან განუყრელად დაკავშირებულია ისტორიისა და თანამედროვე `სინამდვილის უაღრესად საჭირბოროტო საკითხები და რომ ამ უკანასკნელ საკითხებს ფესვები წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობებში აქვთ გადგმული“[1].

ისტორიული წარსულის მემკვიდრეა ყველა საზოგადოება და ყოველი ადამიანი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაღალ საფეხურზე ორგანიზებული საზოგადოება და განსწავლული ადამიანი შეგნებულად, ხოლო ჩამორჩენილი ხალხი და გაუნათლებელი ადამიანი მიზეზობრივ კავშირთა გარეშე. შეუგნებლად განიცდის მას.

საქმე ისაა, რომ, საერთოდ, სანამ უკეთესი მომავალი დადგებოდეს. საზოგადოებას. კერძოდ. მის პროგრესულ ძალებს ნანატრი ცხოვრების აშენებისთვის ზრუნვისა და ღონისძიებათა ამოსავალ საწყისად შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 4. გვ. 45, 49.

თანამედროვეობა, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია იმ გრძელ და რთულ, მრავალწახნაგოვან წარსულზე, საიდანაც იგი წარმოიქმნა. მაგრამ წარსული ცხოვრება და დღეები ადამიანის თვალთაგან ისეა დაფარული, როგორც, მაგალითად, ფესვები მცენარისა, რომლის ტკბილი ნაყოფით იგი იკვებება.

როგორც მცენარისათვის აუცილებელია მასაზრდოებელი ფესვები, ხოლო მემცენარეობის მიმდევარი ადამიანისთვის — ცოდნა იმისა, რომ ამ უჩინარი ფესვებისთვის აუცილებელია ნოყიერი ნიადაგი, რათა მცენარემ კარგი ნაყოფი მოისხას, სწორედ ასევე საზოგადოებისათვის აუცილებელია ცოდნა თავისი არა მხოლოდ პატრიოტული ისტორიული წარსულის, არამედ და არანაკლები ზომით თავის ახლო თუ შორეულ წინაპართა მეურნეობრივი თაოსნობისა, ანუ სხვა სიტყვებით. საზოგადოებრივი მატერიალური წარმოებისა. რომ მას შეეძლოს საჭირო ადგილას და შესაფერ დროს „მორწყოს“ და შეიტანოს „სასუქი“ თავისი წარმოებრივი ცხოვრების მრავალფეროვან არეალში, რათა მომავალი ნამდვილად წარიმართოს სასურველი (ნავარაუდევი) და არა უცაბედი გზით.

ჩვენი მონოგრაფიების საგანია სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების შესწავლა იმ წარმოებრივ ურთიერთობათა და მწარმოებლურ ძალთა ერთობლიობაში, შრომის საზოგადოებრივი და საერთაშორისო დანაწილების, ე. ი. წარმოებისა და გაცვლის ვითარებაში, რომელშიც მიმდინარეობდა ამ დარგთა წარმოშობა-განვითარება.

წინამდებარე მონოგრაფიების მიზანს მკითხველთა მარტოოდენ გათვითცნობიერება როდი შეადგენს. მისი დანიშნულება სცილდება ისტორიული და თეორიული ცოდნის სფეროს. ახლო თუ შორეული წარსულის მეურნეობრივი გამოცდილებისა და ყოფიერების, თაოსნობისა და ჩვევების, ღონისძიებათა და ხერხების და ყველა ამათ საფუძველზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მორალის შესწავლისა და ახსნა-განზოგადების გზით მიღებული დასკ-

ვნების მეოხებით ის, გარკვეული გაგებით, შეიძლება ითქვას, თავისებურ პრაქტიკულ დამხმარე სახელმძღვანელოსაც წარმოადგენს შესაბამის სფეროში წარმოების კულტურის ჯეროვან საფეხურზე მდგარი სპეციალისტებისათვის სოფლის მეურნეობის, კერძოდ მიწათმოქმედების განსაკუთრებით იმ დარგებში, რომელთაც დიდი წარსული და, მაშასადამე, ტრადიცია აქვთ, და რომლებიც, ბუნებრივია, არ შეიძლება არ შეიცავდნენ საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების თანამედროვე ვითარებაშიც, რამდენადმე მაინც, გამოსაყენებელ ჩვევებსა და გამოცდილებას.

*

* *

1962 წელს გამოცემული მონოგრაფიების მეხუთე ტომის წინასიტყვაობაში ჩემს მკითხველებს შემდგომი, ე. ი. 1963 წლისთვის ახალი ტომის მიწოდებას ვპირდებოდი. მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობამ და სხვა გარემოებებმა საშუალება წამართვა პირობა შემესრულებინა.

ამასთანავე, არამცთუ ამ მონოგრაფიების გამოქვეყნების ნავარაუდევი ვადები, არამედ თანმიმდევრობაც დაირღვა. 1962 წ. გამოიცა მეხუთე ტომი, ისე რომ მეოთხე კიდევ არ იყო დაბეჭდილი. იგი მხოლოდ წინამდებარე წიგნის სახით გამოდის. მაგრამ აქაც თავი იჩინა სხვა დაბრკოლებამ. წინა ტომებისგან განსხვავებით ახლა აუცილებელი შეიქნა წიგნის მოცულობის დაახლოებით განახევრება, რამაც კიდევ სხვა გაუთვალისწინებელი ცვლილება გამოიწვია.

რამდენადაც მეხუთე ტომი უკვე გამოქვეყნდა, ხოლო გადამუშავებითი და მოპოვებითი მრეწველობის განვითარებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები თანმიმდევრობით დაიჭერენ მეექვსე და მეშვიდე ტომს, ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობის შესახებ გამოკვლევები უნდა შესულიყო (და ნაწილობრივ უკვე მოთავსდა კიდევაც) მესამე და მეოთხე ტომში. მაგრამ ამ უკანასკნელი ტომის გეგმური მოცულობა, როგორც ითქვა, წინა ტომებთან შედარებით, შეიკვეცა, რის

გამოც მთელი ნავარაუდევი მასალა მასში ვერ მოთავსდა. ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიების მეოთხე ტომი ორ წიგნად იბეჭდება.

მეოთხე ტომის წინამდებარე პირველ წიგნში შევიდა მონოგრაფიები მეთამბაქოეობასა და მებამბეობაზე, აგრეთვე ნაწილი მევენახეობის შესახებ ნაშრომისა, რომლის გაგრძელება და სხვა მრავალწლიან ნარგავთა ეკონომიკის საკითხებზე გამოკვლევები ვიმედოვნებ გამოვაქვეყნო მეოთხე ტომის მეორე წიგნში, სადაც მოცემული იქნება აგრეთვე სოფლის მურნეობის და, საერთოდ, სოფლის სოციოლოგიური მიმოხილვა.

მეკითხებიან: „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს.“, სულ მონოგრაფიების რამდენ ტომს შეადგენსო.

პასუხის გაცემას არა მხოლოდ ის აძნელებს, რომ გამომცემლობა ახლ-ახალი მოსაზრებით სარგებლობს წიგნის ფიზიკური ბოცულობის განსაზღვრისას, არამედ ისიც, რომ, რაც დრო გადის, სულ უფრო გაურკვეველი ხდება, სახელდობრ, თუ რა ზომით შეეძლებ ჩანაფიქრის განხორციელებას.

ახლა მხოლოდ მაოცებს, თუ იმთავითვე რამ გამაბედვინა (ალბათ, სიჭაბუკის ენერგიულმა მოძალებამ!), რომ ხელი მოვკიდე საქართველოსა და ამიერკავკასიის, როგორც მსხვილი ეკონომიკური რაიონის XIX—XX სს. სახალხომეურნეობრივი განვითარების აღებული მასშტაბით შესწავლას, რაც, როგორც ჩემნა მკითხველებმა უკვე იციან, გულისხმობს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, ფინანსების, ფულის, კრედიტისა და სხვ. ისტორიულ ასპექტში მონოგრაფიულ გაშუქებას. და ესეც ისეთ პირობებში, როდესაც არც ერთი დასახელებული დარგის რამდენადმე დაწვრილებითი შესწავლის ცდაც კი არ ყოფილა განხორციელებული.

მაგრამ მე მომიხდა წამომეწყო მონოგრაფიული შესწავლა ქართული პოლიგრაფიისა და ქართული ჟურნალისტიკის

საკითხებისა და ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიისა. მე ვამბობ: მომიხდა წამომეწყო, რადგან ამ მიმართულებით ჩემ მიერ დაწერილი და გამოქვეყნებული ნაშრომები ახლა მეჩვენება, რომ თითქოს უკვე თანდათანობით იძირებიან გამოკვლევების მორევში ახალი ავტორებისა, რომელთაგან ზოგიერთი უდავოდ ანგარიშგასაწევია... ვინ უწყის, მეყოფა თუ არა ენერგია და დრო ამათგან უკვე დაწყებულთა აღდგენა-განახლებისა და დასრულებისათვის („ქართული ჟურნალისტიკის“ მხოლოდღა პირველი ტომია გამოცემული — 1941 წ.), რაც ახლა ჩემი სანუკვარი ოცნების საგანს შეადგენს.

მაგრამ მე ვერ შეველევი იმედსაც, რომ უკან მოვიხედო, რათა სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ თბილისის უნივერსიტეტში დაწყებულ ლექციათა შესაბამისი კურსების კითხვის პარალელურად — სახალხო მეურნეობის ზოგადი ისტორიის, ტექნიკის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, საერთოდ სოციოლოგიის პრობლემებზე — დაწერილი და გამოცემული ნაშრომების ნაწილი მაინც განახლებული სახით წარვუდგინო ჩემს მკითხველებს. „სოციოლოგიური ეტიუდების“ სახით ამ გამოკვლევათა პირველ ტომს სწორედ ახლა ვამზადებ გამოსაქვეყნებლად.

ახალგაზრდობისას არ მიყვარდა, ზოგჯერ მაბრაზებდა კიდევაც, როდესაც მოხუცებულები მისწორებდნენ და მეგონა, რომ არასოდეს არ შევსცვლიდი სიჭაბუკის დროინდელ ნაწერებს. რომელთაც ახლა, 60 წელს მიტანებული. გულმოდგინეთ ვაღრმავებ და ვამდიდრებ.

მკითხველთა შეკითხვებზე უფრო სრული პასუხის გაცემა და, ამგვარად. ჩემი მეცნიერული მუშაობის მთელი ანგარიშგების წარდგენა, ცხადია, სცილდება წინამდებარე წიგნის წინასიტყვაობის ფარგლებს.

პაატა გუგუშვილი

10.4.65
თბილისი.

„პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა არ შეიძლება იოლად, mir nichts dir nichts, ყოველგვარი წინასწარი ცოდნის უქონლად, ისე, არ იცნობდე ისტორიის, სტატისტიკისა და სხვ. ფრიად ბევრსა და ფრიად მნიშვნელოვან საკითხს“.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი (1898)

„დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა... მომასწავებელია ერის დარღვევისა... აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა. აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“.

ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (1888).

სოფლის მეურნეობა

ნაწილი პირველი

სპეციალური და ტექნიკური კულტურები

მეთამბაქოეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში

მეთამბაქოეობას და თამბაქოს მრეწველობას, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღებულ პერიოდში ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ისტორიის ასპექტებში. მეურნეობის ახალ დარგთაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, როგორც სოფლად, ისე ქალაქად კაპიტალისტური მეწარმეობის აღორძინების მხრივ, ამიერკავკასიის რაიონებში ყველაზე უფრო გავრცელებული, ყველაზე უფრო მასობრივი და ხელისუფალთაგანაც თითქმის ყველაზე უფრო ორგანიზებულ და აღრიცხულ ჩარჩოებში წარმართული, იყო სწორედ მეთამბაქოეობა. მეთამბაქოეობა რეფორმისმერმინდელი პერიოდის სწრაფად განვითარებად ბურჟუაზიული თაოსნობის როგორც მსხვილი, ისე წვრილი წარმოების. ერთ-ერთი ყველაზე უფრო მიმზიდველი და ყველაზე უფრო ადვილად ასათვისებელი დარგი შეიქნა ამიერკავკასიის ისტორიულ-ეკონომიკურ და ბუნებრივ პირობებში.

სწორედ ამის გამო და იმის მეოხებითაც, რომ მეურნეობრივი საქმიანობის ამ დარგის მოვლენათა განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები, სტატისტიკური აღრიცხვის ცნობები, სხვებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ უფრო დეტალურად განვიხილოთ მეთამბაქოეობაში როგორც კაპიტალისტურ ურთიერთობათა, ასევე ცარიზმის კოლონიური ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხები.

I. საერთო ცნობები

თამბაქოს კულტურის სამშობლოდ მიჩნეულია ამერიკა. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის აბორიგენ ინდიელთა შორის, აქ ევროპელთა გაჩენამდე, გავრცელებული იყო სხვადასხვა ჯიშის თამბაქო. თამბაქოს იყენებდნენ როგორც მოსაწევად. აგრეთვე სამკურნალო საშუალების სახით. მოსაწევად შეხვეულ (დაგრაგნილ) თამბაქოს და ჩიბუხსაც ინდიელები „ტაბაკოს“ უწოდებდნენ. აქედანვეა ევროპულ ენათაგან ყველაზე ადრე ესპანურში გაჩენილი სიტყვა tabaco. თვით მცენარეს ამერიკელ ინდიელთა ენაზე „კოხობა“ და „გივია“ ჰქვია.

თამბაქოს კულტურა ევროპაში გავრცელდა მე-16 ს. მეორე ნახევრიდან. 1560 წ. თამბაქოს თესლი თავის სამშობლოში გააგზავნა საფრანგეთის ლისაბონელმა ელჩმა ჟ. ნ ი კ ო მ. შემდეგში მისი გვარი მიღებულ იქნა მცენარის ამ ჯგუფის ბოტანიკურ სახელად—Nicotiana. ევროპაში თავდაპირველად თამბაქო ვრცელდება როგორც სამკურნალო და დეკორაციული მცენარე. მერმე დაიწყეს მისი მოწევა (გაბოლება), აგრეთვე ღეჭვა და ბურნუთის სახით ხმარება. მე-17 ს. დასაწყისიდან თამბაქოს კულტურა ვრცელდება აზიაში—ინდოეთს, ინდონეზიას, იაპონიასა და ოკეანიაში.

თამბაქოს მოწევა მე-16 საუკუნიდანვე თანდათანობით ვრცელდება „ძველ ქვეყნებში“, მიუხედავად იმისა, რომ ის აქ თითქმის ყველგან სასტიკად იდევნებოდა, განსაკუთრებით ეკლესიის მხრივ, რომელიც თამბაქოს წევას ამორალურ მოვლენად თვლიდა[1].

რუსეთში 1634 წ. კანონით თამბაქოს წევისა და ვაჭრობისათვის სიკვდილით დასჯა იქნა შემოღებული. მერმინდელი კანონიც თამბაქოს წევისათვის ცხვირის მოჭრას, გასახლებას და სხვ. სასტიკ სასჯელს აწესებდა. მხოლოდ 1697 წ. პეტრე პირველმა, რომელიც ჰოლანდიაში ყოფნის დროს ძლიერ მიეჩვია თამბაქოს წევას, გააუქმა თამბაქოს ამკრძალავი კანონები. აღ-

---

[1] A. B a b o, „Tabakbau“, 1911, Berlin

მოჩნდა, რომ ამ დროისათვის რუსეთში თამბაქოს წევა უკვე საკმაოდ ყოფილა გავრცელებული. თამბაქოს იმპორტსა და ვაჭრობაზე ბაჟის დაწესებით სახელმწიფომ ის შემოსავლის წყაროდ გაიხადა. პეტრე პირველის დროს ამასთანავე მიღებულ იქნა ზომები თამბაქოს ფაბრიკაციის გაუმჯობესებისა და თვით რუსეთში თამბაქოს კულტურის გავრცელებისათვის. თამბაქოს პირველი პლანტაციები აქ გაჩნდა ასტრახანს, ცარიცინს, სარატოვს, ვორონეჟსა და სხვ.

მე-18 ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ეკატერინე II გამეფების დროიდან, თამბაქოს სრულიად თავისუფალი ვაჭრობის მეოხებით, თამბაქოს მოხმარებაცა და კულტურაც შედარებით სწრაფად ვრცელდება.

სავაჭრო მეთამბაქოეობა რუსეთის იმპერიაში იმთავითვე განვითარდა განსაკუთრებით უკრაინის სამხრეთ რაიონებში. პირველი მსოფლიო ომის წინ მეთამბაქოეობის მთავარი რაიონები იყო პოლტავის, ტამბოვის, ხარკოვის, ჩერნიგოვის გუბერნიები. სამხრეთის ოლქები და ამიერკავკასია.

რუსეთის იმპერიაში მეთამბაქოეობის განვითარების მასშტაბისა და ტემპის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემომოყვანილი მონაცემები[2].

წლები	თამბაქოს პლანტაციების საშუალოწლიური ფართობი დესეტინობით	თამბაქოს საშუალოწლიური მოსავალი ფუთობით
1890 — 1894	49 743	3 993 746
1895 — 1899	54 502	4 377 298
1900 — 1904	58 597	4 252 643
1905 — 1909	61 618	5 636 188
1910 — 1914	66 483	6 635 569

აღებული 20 წლის განმავლობაში თამბაქოს წარმოება რუსეთის იმპერიაში გაიზარდ 1.5-ჯერზე მეტად.

---

[2] «Сборник статей и материалов по табачному делу», под ред. С. Егиза, 1913; В. Любименко, «Табак», 1922, М.

თამბაქოს საშუალოწლიური მსოფლიო მოსავალი 1909—1913 წლებში უდრიდა 72,8 მილ. ფუთს და მერყეობდა 69,8-დან 74.2 მილიონ ფუთამდე.

[illegible] მსოფლიო მოსავალი ქვეყნებს შორის ასე ნაწილდებოდა[4]

ქვეყნების დასახელება	საშუალო მოსავალი ათას ფუთობით 1909—1913 წწ.	%%-ობით
აშ შტატები	27 800	38,2
ბრიტანეთის ინდოეთი .	(12 400)	17,0
რუსეთი .	6 500	8,9
ჰოლანდიის ინდოეთი .	4 500	6,2
უნგრეთი .	4 300	5,9
იაპონია .	2 600	3,6
გერმანია . .	1 800	2,5
ფილიპინის კუნძულები .	1 700	2,3
ბრაზილია .	1 600	2,2
კუბა .	1 600	2,2
თურქეთი .	1 360	1,8
საფრანგეთი .	1 200	1,6
მექსიკა .	960	1,3
ბელგია .	630	0,8
ალჟირი .	600	0,8
იტალია .	570	0,8
საბერძნეთი .	450	0,6
რუმინეთი .	450	0,6

ამგვარად, თამბაქოს მსოფლიო წარმოებაში პირველ ადგილზე იდგა აშშ, რომელზედაც მოდიოდა თამბაქოს მთელი მოსავლის 38,2 პროცენტი, მეორე ადგილი ბრიტანეთის ინდოეთს (17%), ხოლო მესამე რუსეთს (8,9%) ეჭირა.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში (1909—1913 წწ.) მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად გაჰქონდათ საშუალოდ 25,2 მილ. ფუთი თამბაქო, რაც მსოფლიო მოსავლის დაახლოებით 34,5% შეადგენდა. დანარჩენს, ე. ი. 65,3%, თვით მწარ-

[4] V. v. Arnim, „Die Welttabakwirtschaft», 1958, Kiel.

მოებელ ქვეყნებში მოიხმარდნენ. მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი ეჭირა აშშ, რომელსაც გაჰქონდა მსოფლიო ექსპორტის 41%, მერმე მოდიოდნენ ჰოლანდიის ინდოეთი (17,8%), ბრაზილია (6,7%). რუსეთს აქ მერვე ადგილი ეჭირა (2,6%) და გაჰქონდა მთელი თავისი წარმოების მხოლოდ 10% (660 ათასი ფუთი)[4].

საიმპორტო თამბაქოს მთავარი მომხმარებლები იყვნენ გერმანია, რომელსაც მიჰქონდა მსოფლიო ბაზარზე გატანილი თამბაქოს 20%, მერმე მოდიოდნენ ინგლისი. საფრანგეთი, ჰოლანდია, აშშ, ავსტრია, უნგრეთი, იტალია. ამ შტატებმა დიდად გაადიდა თამბაქოს წარმოება თვით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და უკვე 1920 წელს მიიღო 40.9 მილ. ფუთი მოსავალი.[5].

ერთ კაცზე თამბაქოს საშუალოწლიური მოხმარება სხვადასხვა ქვეყანაში—პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში — უდრიდა (კილოგრამობით)[6].

ჰოლანდიაში	3,31	სერბიაში	1.00
ბელგიაში	2.15	საფრანგეთში	1.08
შვეიცარიაში	2,10	ბულგარეთში	0,95
ბრაზილიაში	1,99	შვეციაში	0,95
თურქეთში	1.99	ნორვეგიაში	0.85
აშ შტატებში	1,85	ინდოეთში	0,85
საბერძნეთში	1.79	იტალიაში	0,69
ავსტრო-უნგრეთში	1.73	პორტუგალიაში	0.45
დანიაში	1.70	ინგლისში	0,67
გერმანიაში	1,50	რუსეთში	0.56
ავსტრალიაში	1.27	საქართველოში (1921 წ.)	
იაპონიაში	1.11		0.20

[4] V. v. Arnim, „Die Welttabakwirtschaft". 1958; Kiel.

[5] А Бучинский, Н. Володарский, П. Асманов. «Табаководство», 1947, М.; А. Джапаридзе. «Табаководство», 1957, Тб.

[6] J. Wolf, „Ter Tabak und die Tabakfabricate", 1912, Leipzig; V. v. Arnim, „Die Welttabakwirtschaft", 1956, Kiel.

ii. კანონმდებლობა თამბაქოს წარმოების შესახებ

ფინანსთა სამინისტროს ისტორიის შესახებ საიუბილეო გამოცემა რუსეთის იმპერიაში თამბაქოს აქციზის შემოღების თაობაზე აცხადებს, რომ ჯერ კიდევ 1824 წელს, სახელმწიფოებრივი საზინის გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაფარავად შემოსავალთა წყაროების ძიებაში ე. კანკრინი იწყებს რუსეთში თამბაქოზე გადასახადის დაწესების საკითხის შესწავლას, ანალოგიურად უცხო სახელმწიფოებისა, სადაც ეს გადასახადი უკვე წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს.

მაგრამ, პირველ ხანებში იმის შიშით, რომ გადასახადის ნაადრევად დაწესებას არ გამოეწვია თამბაქოს წარმოების განვითარების შეფერხება და მისი მოხმარების გაფართოების შეჩერება—ეს საკითხი ღიად რჩებოდა. 1836 წელს ფინანსთა მინისტრმა გრაფმა ე. კანკრინმა კვლავ წამოსწია ეს საქმე და, ბოლოს, 1837 წ. 30 ოქტომბერს დამტკიცებული „თამბაქოს მზანაწარმის აქციზის წესდება“ ძალაში შევიდა1839 წ. 1 იანვრიდან.

ამ წესდების მიხედვით რუსეთში თამბაქოს მოყვანა და მისი ფოთლადი სახით ვაჭრობა კვლავ თავისუფალი დარჩა ყოველგვარი შეზღუდვისაგან. ბაჟგადახდილი უცხოური დამზადებული თამბაქო აქციზს არ ექვემდებარება. აქციზი ედება მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულისგან მიღებულ თამბაქოს მზანაწარმს. აქციზის გადახდევინება დაწესდა ბანდეროლისთვის ასაღები მისაგებელის სახით. ბანდეროლს ფაბრიკანტები ყიდულობენ ხაზინაში ნაღდი ანგარიშსწორებით. სხვადასხვა ფასისას, სათანადო ტარიფის შესაბამისად, მზანაწარმის სახეობათა და სორტების მიხედვით, ასევე წონისა და ცალკე სორტში ნაკეთობის ცალობრივი რაოდენობის კვალობაზე. ბანდეროლი ედება (ეწებება) მზანაწარმის სათავსოს (ყუთს, კოლოფს).

ტარიფის შედგენისას ნაკეთობათა დაჯგუფების საფუძვლად მიღებულ იქნა მზანაწარმის ის სახეობანი, რაც მაშინ

სავაჭრო მიმოქცევაში იყო (მოსაწევი თამბაქო, ბერნუთი, სიგარები, პაპიროსები და სხვ.), ხოლო ყოველი სახეობის ნაკეთობანი ნაწილდებოდა სორტებად. მზანაწარმის გასაყიდი ფასი, ბანდეროლის ფასის ჩართვით, აღინიშნებოდა სათავსოზე (კოლოფზე). ბანდეროლის ფასების ტარიფი იმე იყო დადგენილი, რომ იგი შეადგენდა ნაკეთობის გასაყიდი ფასის 17.75-დან 35 პროცენტამდე.

თამბაქოს ფაბრიკის თუ შინამრეწველური სახელოსნოს. აგრეთვე თამბაქოს მზანაწარმის თუ ფოთლადი სახით სავაჭრო ადგილის (მაღაზიის, ფარდულის) გახსნის უფლებისათვის საჭირო იყო საგანგებო ფასიანი პატენტის ან მოწმობის აღება. ფაბრიკანტები და შინამრეწველები ვალდებულნი იყვნენ ეწარმოებინათ დავთრები, რაშიც ჩაიწერებოდა ცნობები ფოთლადი თამბაქოს მიღებისა და მზანაწარმის ეამოშვების შესახებ[1].

1838 წლის წესდება ციმბირსა და ამიერკავკასიაზე არ გავრცელებულა. რათა არ შეეფერებინათ თამბაქოს წარმოების განვითარება, აქციზის და პატენტის სახით მისი დაბეგვრა თავდაპირველად „ფრიად ზომიერ ფარგლებში" მოხდა და თვით კონტროლიც მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობდა.

მაგრამ 1838 წლის წესდების მოქმედების პირველსავე წლებში თამბაქოსგან აქციზის შემოსავალი საგრძნობლად დაეცა და სახელმწიფოებრივმა საბჭომ 1844 წელს ფინანსთა მინისტრის ყურადღება მიიქცია, რათა უკანასკნელს, ხაზინის საჭიროებათა გადიდების შესაბამისად, დაესახა ქმედითი ღონისძიება „თამბაქოს შემოსავლის სათანადოთ გაღიდებისათვის". მალე, 1847 წელს სახელმწიფოებრივ საბჭოში განსახილველად შევიდა ახალი წესდების პროექტი, რომლის მიხედვით თამბაქოს ბანდეროლური დაბეგვრის სისტემა ძალაში რჩებოდა, ოღონდ ამ სისტემაში ტარდებოდა ცვლილებები, რასაც უნდა მოჰყოლოდა ხაზინის შემოსავლის გადიდება.

გათვალისწინებული იყო, მაგალითად, თამბაქოს ნედლეულზედაც აქციზის დადება,—არამეთამბაქოეობის რაიონებში.

---

[1] «Министерство финансов 1802—1902», ч. I. 1902, стр. 307—308.

სადაც დუქნებში ფოთლადი თამბაქო კონების ანდა დაგრეხილი სახით ცალობრივად იყიდებოდა. იზღუდებოდა აგრეთვე ასეთ რაიონებში ფოთლადი თამბაქოს უკონტროლო მიმოზიდვა და სხვ., რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა არა მხოლოდ უაქციზო თამბაქოს ვაჭრობის (მექორჩმეობის—კონტრაბანდის) შემცირება, არამედ სახაზინო შემოსავლის გადიდება და, კიდევ. რუსეთში წარმოებული და მოხმარებული თამბაქოს შესახებ ცნობათა მოპოვების გაადვილებაც.

1848 წლიდან შემოღებული თამბაქოს აქციზის წესდების მთავარი სიახლე ის იყო, რომ გაუქმდა დაბალი სორტის თამბაქოს უბანდეროლოდ ვაჭრობის შეღავათი; გადიდდა საპატენტო მოსაკრებელი თამბაქოს წარმოებისა და გაყიდვის ადგილის (ფაბრიკის. მაღაზიის) მოწმობისათვის; ვაჭრებს თამბაქოს მიმოზიდვისა და შენახვის უფლება ეძლეოდა მხოლოდ გამგზავნისგან მიღებული ხედნადების საფუძველზე; რამდენადმე შეიცვალა ბანდეროლების ტარიფი, რასაც დაემატა ზოგიერთი ნაკეთობის ახალი სორტები.

1854 წ. კანონით კვლავ შეიცვალა ბანდეროლების ტარიფი და თამბაქოს ფაბრიკაციის ზოგიერთი წესი. 1855 წ. 1 ნოემბრიდან შემოღებული ამ ახალი ტარიფით თამბაქოს ნაკეთობაზე დადებული აქციზი შეადგენდა გასაყიდი ფასის 22 1/3-დან 33 1/3 პროცენტს; აიკრძალა თამბაქოს წარმოებისათვის ახალი შინამრეწველური (ოჯახური) საწარმოების გახსნა, რაც უკვე მოასწავებდა არაფაბრიკული წარმოების აღსასრულის დასაწყისს; თამბაქოს ფაბრიკანტებს დაევალათ ყოველწლიურად მიეღოთ ხაზინისგან ბანდეროლები არა ნაკლებ 500 მან. თანხისა.

ამ ღონისძიების გარეგნული მიზანი იყო სააქციზო უწყების მუშაობის გამარტივება, ნამდვილად კი ეს ნიშნავდა წვრილი მრეწველობის შევიწროებასა და მსხვილი ფაბრიკული წარმოების მონოპოლიური მდგომარეობის განმტკიცებას და, ამასთანავე, თამბაქოს ფაბრიკების მრეწველობის მსხვილ ცენტ-

---

[2] იქვე. გვ. 308.

რებში—პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ხერსონისა და სხვ. გუბერნიებში გაადგილებას[3].

1861 წ. ძალაში შევიდა ახალი წესდება. ამიერიდან ფოთლადი თამბაქოს მიმოზიდვა შეიძლებოდა მხოლოდ გარკვეული წონის შეკრულათა (დასტების) სახით და ქალაქის ან სოფლის ადმინისტრაციის მოწმობით, ბოლო ზოგიერთ შემთხვევაში აქციზის ზედამხედველის ფორმალური ზედნადებით. აიკრძალა უცხოური ფოთლადი თამბაქოს ცალობრივი ვაჭრობა. ბოლო მისი საზღვარგარეთიდან გამოწერის ნებართვა ეძლევა მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც აქვთ საბითუმო საწყობის ანდა ფაბრიკის პატრონობის პატენტი. საკუთარი მოხმარებისთვის ოჯახური წესით თამბაქოს მზანაწარმის დამზადების უფლება ეძლევა მხოლოდ მეთამბაქოებს, მათს სახლებში—თვით პლანტაციებში. გარდა მეთამბაქოეობისა და თამბაქოს ფაბრიკანტებისა აკრძალულია ვინმემ იქონიოს თამბაქოს მზანაწარმის დასამზადებელი იარაღ-ხელსაწყოები. რაც, ცხადია, შეიძლება ჰქონდეთ, აგრეთვე, მხოლოდ თვით ამ ხელსაწყოთა მწარმოებლებსა და გამსაღებლებს. დადგინდა მკაცრი წესები ფაბრიკაში მიღებული ფოთლადი თამბაქოს აღრიცხვისა და მისი შემდგომი წარმოებრივი მოძრაობის კონტროლისათვის. აიკრძალა ფაბრიკიდან ფოთლადი თამბაქოს გაყიდვა. გადიდდა ფაბრიკანტების მიერ ყოველწლიურად აუცილებლად შესაძენი ბანდეროლების ნორმა. დადგინდა ბანდეროლებისა და მზანაწარმის გასაყიდი ფასების ახალი ტარიფი იმ მიმართულებით „რათა აქციზი უფრო თანაბარზომიერად განაწილდეს სხვადასხვა სორტის ნაკეთობაზე". ამასთანავე აქციზის ზომა განისაზღვრა ნაკეთობის გასაყიდი ფასის 27 1/4—33 1/3 პროცენტით. ფაბრიკებიდან უცხოეთში გასატანი თამბაქოს მზანაწარმი განთავისუფლდა ბანდეროლისაგან.

რეფორმების პერიოდში თვითმპყრობელობა იწყებს რიგ ღონისძიებათა სისტემის გატარებას, რომლის აზრი ისაა, რომ მთელ იმპერიაში სახელმწიფოებრივი მმართველობისა და ად-

[3] იქვე, გვ. 309.

მინისტრაციის, მათ შორის ფინანსური მეურნეობის ერთნაირი ფორმები და ნორმები იყოს გაბატონებული, რათა უზარმაზარი ქვეყნის სხვადასხვაგვარი ეთნიკური წარმომავლობის მთელი მოსახლეობა ერთიანი რუსული სულით, იდეით, მისწრაფებით, მოთხოვნილებით იყოს გაჟღენთილი.

1865 წ. 31 დეკემბერს იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება, რაც პოლონეთის სამეფოს ნამესტნიკსა და იმპერიის ფინანსთა მინისტრს ავალებდა პოლონეთში გაევრცელებინათ თამბაქოს არაპირდაპირი გადასახადით დაბეგვრის ერთიანი საიმპერიო წესები[4].

ფისკის უწყებამ ამასთანავე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 1861 წლის წესდება თამბაქოს მექორჩმეობის შესაძლებლობას იძლეოდა, რისგამოც საჭიროდ მიიჩნიეს ამ წესდების შესაბამისი მუხლების დაზუსტება, ბანდეროლებისა და პატენტების ტარიფის შეცვლა, საერთოდ თამბაქოს აქციზის ახალი წესდების შედგენა. ამ თავითვე გამოცდილების გაზიარების მიზნით დაიწერა და გამოიცა დაწვრილებითი მიმოხილვა ევროპასა და ამერიკაში მეთამბაქოეობისა და მისი დაბეგვრის განვითარების შესახებ[5]. 1817 წ. 4 ივნისს იმპერატორმა დაამტკიცა ახალი წესდების პროექტი.

1871 წ. წესდებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თამბაქოს წარმოების მთელ საქმეში. ამიერიდან ფაბრიკანტებს ცალკე საწყობები უნდა გაეჩინათ როგორც ფოთლადი თამბაქოს და დაჭრილი თამბაქოს მარაგებისათვის, ასევე დამზადებული ბანდეროლიანი ნაკეთობისთვის. წარმოებაზე გამუდმებული მეთვალყურეობის მიზნით ფაბრიკებთან დაინიშნენ კონტროლიორები, რომელთაც მეფაბრიკეები სადგომს (ბინას) უფასოდ აძლევენ. ფაბრიკის საწყობებში დაწესდა საკონტროლო დავთარწარმოება, ხოლო თამბაქოს აღრიცხვისთვის შემოღებულ იქნა უფრო ზუსტი ხერხები. კიდევ უფრო გადი-

---

[4] «Министерство финансов 1802—1902», ч. 1, 325—326.

[5] Е. Рогозин, «История табака и система налога на него в Европе и Америке», СПБ., 1871.

დდა ფაბრიკანტების მიერ წლიურად მისაღები ბანდეროლების ნორმა, ხოლო ბანდეროლების ფასები აიწია ნაკეთობის გასაყიდი ფასების 30—33 1/3 პროცენტამდე. მოსაწევი თამბაქოსა და პაპიროსების სააქციზო დაბეგვრის ტარიფში გატარდა უფრო მეტი გათანაბრება. გადიდდა საპატენტო მოსაკრებელი თამბაქოს ფაბრიკებსა და საბითუმო საწყობებზე და ეს მოსაკრებელი დაედვა აგრეთვე ზოგიერთ იარმარკეტაში თამბაქოს ხელზე ვაჭრობასაც.

თამბაქოს აქციზის 1871 წლის წესდება ევროპულ რუსეთსა და პოლონეთზე გავრცელდა 1872 წ. 1 იანვრიდან, ციმბირზე—იმავე წლის 1 ივლისიდან, ხოლო ამიერკავკასიაზე—1873 წ. 1 ივლისიდან, ადგილობრივი პირობების შესაბამისად ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებათა გათვალისწინებით[6].

თამბაქოს გადასახადის ამოღების ახალი, 1877 წ. 6 ივნისის კანონით ნავარაუდევი იყო როგორც თამბაქოს წარმოების, ასევე ხაზინის შემოსავლის ფრიად მნიშვნელოვანი გადიდება. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ზოგიერთი ნაკეთობის წარმოება შემცირდა და მასთან ერთად დაეცა მისგან მისაღები ბანდეროლის მოსაკრებელი, იმ ზომით, რომ წეკოზე გადასახადის დაწესებამაც ვერ უშველა, რათა თამბაქოს შემოსავალს ნავარაუდევ დონემდე მიეღწია. ადმინისტრაციისთვის ახლა გამოირკვა, რომ 1877 წ. 6 ივნისის კანონით თამბაქოს ნაკეთობაზე დადებული ბანდეროლის გადასახადი მეტისმეტად მაღალი იყო, რაც „თამბაქოს მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ აიტანა“[7].

ასეთმა ვითარებამ ფინანსთა სამინისტროში გამოიწვია „თამბაქოს საკითხის“ ახალი გააქტიურება. საქმის შესწავლა 1881 წ. ბოლომდე გაგრძელდა და დასრულდა ახალი, 1882 წ. კანონის მიღებით, რაზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

---

[6] «Министерство финансов 1802—1902». ч. I, стр. 526—527.

[7] იქვე. 433.

აქ მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულმა ღონისძიებებმა, რაც რუსეთში საერთოდ კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების ინტერესებით იყო ნაკარნახევი, კერძოდ თამბაქოს წარმოების სფეროში ხელი შეუწყო წვრილის ხარჯზედაც გამრავლებას მსხვილი პლანტაციებისა და ფაბრიკული მრეწველობის გაძლიერებას. თუ 1856 წელს იყო 405 ფაბრიკა 1880 წელს მათი რიცხვი 290-მდე დაეცა. ამასთანავე დიდად გაიზარდა თამბაქოს პროდუქციის მოცულობა. უმაღლესი სორტის თამბაქოს ნაკეთობის წარმოებამ 229 ათასი ფუთიდან (1856 წ.) მიაღწია 557 ათას ფუთამდე (1880 წ.). ამავე წლებში პაპიროსების წარმოებამ 239 მილ. ცალიდან 2.242 მილ. ცალს მიაღწია, ე. ი. ის თითქმის ათჯერ გაიზარდა. თამბაქოს აქციზის შემოსავალი 1856 წელს უდრიდა 2,2 მილ. მან., ხოლო 1880 წელს — 10,5 მილ. მან. ამავე წლებში თითქმის 15-ჯერ გაიზარდა საპატენტო მოსაკრებელის შემოსავალი[8].

ფინანსთა სამინისტროში საკითხის დეტალური შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თამბაქოს გადასახადის ზრდის შეფერხებას იწვევდა უმთავრესად ფოთლადი თამბაქოს მიმოზიდვის, დაცვისა და გადამუშავების დადგენილებათა ნაკლოვანებანი—1877 წ. 6 ივნისის კანონით დაწესებული აქციზის ერთგვაროვანი განაკვეთი და, დასასრულ, „თამბაქოს წარმოების შესახებ არსებული წესების დარღვევისთვის ჯარიმების გადახდევინების სისუსტე“[9].

ხსენებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და, მაშასადამე, არაპირდაპირი გადასახადის ხაზით ხაზინის შემოსავლის გადიდების მიზნით შედგენილი თამბაქოს მოსაკრებელის ახალი

---

[8] იქვე, გვ. 529.

[9] «Министерство финансов 1802—1902 гг»., ч. II, СПБ, 1902, стр. 173.

წესდების პროექტი იმპერატორმა დაამტკიცა 1882 წლის 18 მაისს; — იგი ძალაში შევიდა 1883 წ. 1 იანვრიდან.

ამ წესდებამ მნიშვნელოვნად შესცვალა თამბაქოს მრეწველობის და ვაჭრობის საქმეში არსებული ვითარება. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ 1883 წ. 1 იანვრიდან სავსებით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, აიკრძალა ფოთლადი თამბაქოს ცალობით გაყიდვა და, ამგვარად, აქციზით დაიბეგრა იმპერიაში მოყვანილი თამბაქოს მთელი მოსავალი.

ამიერიდან ფოთლადი თამბაქო შეიძლებოდა ჰქონოდა მარტოოდენ პლანტატორებს (მეთამბაქოებს);—ყველა სხვა, ვისაც აღმოაჩნდებოდა შენახული ფოთლადი თამბაქო, გამოცხადებული იყო მექორრმედ. ამასთანავე ეს წესდება აცხადებდა, რომ თამბაქოს მოყვანა თავისუფალია ყოველგვარი სახაზინო დაბეგვრისაგან და მეთამბაქოები თავის მეწარმეობაში არავითარი აღრიცხვისა და კონტროლის წესებით არ იზღუდებიანო[10].

1882 წ. წესდება და, მერმე, არსებითად მის საფუძველზე და, ცხადია, თვით სახალხო მეურნეობაში მიმდინარე მოვლენათა შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონები, ინსტრუქციები, დადგენილებანი მოქმედებდნენ თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამიტომ, ბუნებრივია, რამდენადმე ახლოს უნდა გავეცნოთ ამ წესდების შინაარსს.

1882 წ. წესდებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა კონტროლი ფოთლადი თამბაქოს მიმოზიდვაზე. დააწესა . საწყობებსა და ფაბრიკებში მისი შენახვის მოწესრიგებული აღრიცხვა, ხოლო ფოთლადი თამბაქოს გადამუშავების. მისი მზანაკეთობის ფაბრიკიდან გამოშვებისა და გაყიდვის მთელი პროცესი დაუმორჩილა აღრიცხვისა და კონტროლის რიგ ახალ წესებს.

---

[10] К. Карафа-Корбут, «Уставы об акцизных сборах», т. III, составил П. Нарден, Раздел III. Устав о табачном сборе, СПБ, 1914, ст. 727.

ზუსტად განისაზღვრა, რომ თამბაქოს სახაზინო შემოსავალს შეადგენს: 1. თამბაქოს მზანაწარმის აქციზი, რაც აიღება თამბაქოს ნაკეთობაზე დადებული ბანდეროლის სახით; 2. თამბაქოს ფაბრიკების და ფოთლადი თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის გასაყიდ დაწესებულებათა (ადგილთა) მფლობელობის პატენტის მოსაკრებელი და 3. შემოზიდულ ფოთლად და მზანაწარმ თამბაქოს ბაჟი[11].

აქციზის ამოღებისთვის დაწესდა ბანდეროლების ახალი ტარიფი და ნაკეთობათა გასაყიდი ფასები, რამაც სიგარები და პაპიროსები დაჰყო ორ სორტად, ხოლო მოსაწევი თამბაქო სამ სორტად. იმ ანგარიშით, რომ მესამე სორტის მოსაწევი თამბაქოს სახით გამოეშვათ უმაღლესი სორტის გადამუშავებისას მიღებული ნარჩენები და საერთოდ დაბალი ხარისხის თამბაქო. ამ უკანასკნელმა მომენტმა მესამე სორტის თამბაქოს გამოშვების ოდენობა დამოკიდებული გახადა პირველი სორტის გამოშვებული ნაკეთობის ოდენობისგან.

ბანდეროლების ღირებულება განისაზღვრა უმაღლესი სორტის ნაკეთობათა გასაყიდი ფასის 25-30 პროცენტით და წეკოს ფასის 16,6 პროცენტით. წეკოსთვის დატოვებულ იქნა ცალკე დაბალი ფასის ბანდეროლი, ხოლო აქციზი გაიზარდა. გადიდებულ იქნა აგრეთვე წეკოს გარდა სხვა ფოთლადი თამბაქოს საწყობის საპატენტო მოსაკრებელი. თამბაქოს ფაბრიკებზე დაწესდა პატენტის საფასურის ცალკე, დამატებითი მოსაკრებელი, რაც ფაბრიკაში მოქმედი დაზგებისა და სხვა იარაღ-გაწყობილობათა რაოდენობისა და სახეობათა მიხედვით აიღებოდა.

1882 წ. წესდებით მიღებულ იქნა კიდევ ზოგიერთი ღონისძიება, რაც მიზნად ისახავდა თამბაქოს მსხვილ მრეწველთა შემდგომ წაქეზებას. ასე, მაგალითად, მეთამბაქოეთათვის ფოთლადი თამბაქოს გასაღების გაადვილების მიზნით ნებადართულ

[11] იქვე, მუხლი 728.

იქნა შეღავათიან პირობებში ცალკე საწყობის გაბსნა, რათა აქ მოგროვილიყო პლანტაციებში მოყვანილი თამბაქო. თამბაქოს ფაბრიკების გახსნა ამიერიდან შეიძლებოდა არაქალაქურ დასახლებულ პუნქტებშიც[12].

ადგილობრივი ფოთლადი თამბაქოს საზღვარგარეთ გატანა შეეძლოთ მეთამბაქოებს, აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ჰქონდათ პირველი და მეორე კატეგორიის სავაჭრო დაწესებულებაზე დადებული მესარეწეობის მოწმობა,—საერთოდ თამბაქოს გადაზიდვაზე არსებული წესების დაცვის პირობებში[13].

ფინანსთა სამინისტროს 1882 წ. 18 ნოემბრის ინსტრუქციით (რაც 1882 წ. თამბაქოს აქციზის წესდების დამატების სახით იქნა გამოცემული). თამბაქო, რაც 31 დეკემბრამდე აო იქნებოდა გაყიდული ფაბრიკასა თუ საბითუმო საწყობში, ან საზღვარგარეთ გატანილი, თუ გადატანილი იქნება უახლოეს ქალაქში ცალკე შენობაში შესანახად, ის დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს აქციზის ადგილობრივ მეთვალყურეს. რომელიც გადატანის მოწმობის შესაბამისად სინჯავს საქონლის ცალებსა და წონას და მეთამბაქოეს აძლევს მოწმობას შენახული თამბაქოს შესახებ; ამასთანავე შენობის ერთი გასაღები ინახება აქციზის მოხელესთან. უკანასკნელი მეთვალყურეობს ამ თამბაქოს შემდგომ მოძრაობასაც სხვა მხრივ. „მეთამბაქოეს უფლება აქვს თავისუფლად შეინახოს მისი კუთვნილი თამბაქო, როგორც პლანტაციასთან არსებულ სათავსოებში, ასევე მაღაზიებსა და საწყობებში“[14].

ფინანსთა სამინისტროს მიერ 1895 წ. დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სათანადო წესების დაცვით შეფუთუ-

---

[12] «Министерство финансов 1802—1902», ч. II, стр. 173—174.

[13] «Уставы об акцизных сборах», т. III, ст. 735, стр. 21.

[14] იქვე, მუხლი 738.

ლი და შენახული ადგილობრივი თამბაქოს გირავნობით სახელმწიფო ბანკი მეთამბაქოეს აძლევდა სესხს: სადისკანტო-სასესხო კომისიის მიერ საქონლის შეფასების 60 პროცენტამდე. ეს სესხი გაიცემოდა მხოლოდ პირად-ნივთობრივი კრედიტის ფორმით, როდესაც დაგირავებული საქონლის (ნივთის) დაცვა თვით სესხის ამღებს (დამგირავებელს) ეკისრებოდა. დაგოოვება შეიძლებოდა ყველა საწყობსა და მაღაზიაში დაცული თამბაქოსი, ოღონდ ის ცალკე სათავსოში უნდა ყოფილიყო დაწყობილი. თამბაქოს გირავნობით სესხის ამღებს ბანკში უნდა წარედგინა აქციზის ადგილობრივი მოხელის მოწმობა—თამბაქოს რაოდენობისა და მისი ხარისხის შესახებ.

მეთამბაქოებსა და მეთამბაქოეთა ამხანაგობებს ნება ეძლეოდათ, პატენტისა და სამესარეწეო მოწმობის აღების გარეშე, გაეხსნათ დროებითი საბითუმო საწყობები—მათი კუთვნილი ფოთლადი თამბაქოს დროებით შესანახად და გასაყიდად. არა ნაკლებ 100 ფუთ თამბაქოსთვის ასეთი საწყობის გახსნის ნებართვას იძლეოდა აქციზის ზედამხედველობა. საწყობის არსებობის ვადა გრძელდებოდა ექვს თვემდე, მისი გახსნის შესახებ ნებართვის მიღების დროიდან (მუხ. 739).

მეთამბაქოებს შეეძლოთ ერთმანეთისგან შეეძინათ თამბაქო იმ მიზნით, რათა „გაჭირვებაში მყოფ წვრილ მეთამბაქოებს საშუალება ჰქონდეთ ჩქარა მიჰყიდონ თავიანთი ჯერ კიდევ დაუმზადებელი, ე. ი. ნედლი თამბაქო სხვა მეთამბაქოებს“[15], რომელთაც აქვთ სათანადო საწყობები და ეწევიან მათ დამუშავებას. დაუმუშავებელ ნედლეულად ითვლებოდა მხოლოდ დაკრეფილი ან ზონარზე ასხმული ფოთლები. პლანტაციაში თამბაქოს ფოთლის დამუშავება კი გულისხმობდა ფოთლების საბოლოოდ გაშრობას, ღვივილის პროცესის დამთავრებას და დასტებად დატკეცილ შეკრულათა სახით დამზადებას. ასე დამზადებული ფოთლადი თამბაქო უკვე იტანდა შორეული გადაზიდვისა და მნიშვნელოვანი დროით დაცვა-შენახვის პროცესს. საერთოდ ნედლ თამბაქოდ მიჩნეული იყო მხოლოდ ახ-

[15] იქვე, გვ. 68.

ლად ნოწეული მოსავალი.

ფაბრიკანტებსა და მესაწყობეებს უფლება ჰქონდათ გაეხსნათ დასაგროვებელი პუნქტები (свалочные пункты), რის ნებართვას იძლეოდა ადგილობრივი ოკრუგის აქციზის ზედამხედველი (მუხ. 765), რომელიც პლანტაციის ადგილმდებარეობის ოკრუგში დროებითი საბითუმო საწყობების გახსნის ნებართვას აძლევდა აგრეთვე მეთამბაქოებს (მუხ. 768).

იმ პირთაც, რომელთაც ჰქონდათ სამესარეწეო მოწმობა უფლება ეძლეოდათ მეთამბაქოეობის რაიონებში გაეხსნათ სავაჭრო დასაგროვებელი პუნქტები—ფოთლადი თამბაქოს შესყიდვის, დაცვა-შენახვისა, დამუშავებისა და გაყიდვის მიზნით (მუხ. 770—771).

1891 წელს გამოცემულმა ინსტრუქციამ მთელს იმპერიაში დაადგინა სია რაიონებისა, სადაც შეიძლებოდა თამბაქოს სავაჭრო დასაგროვებელი პუნქტების გახსნა. კერძოდ ამიერკავკასიაში ასეთ რაიონებად მიჩნეულია თბილისის გუბერნიის: თბილისის, ბორჩალოს, გორის, ახალქალაქის, ახალციხის, თელავისა და სიღნაღის მაზრები; ქუთაისის გუბერნიაში: ქუთაისის, ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრები და სოხუმის ოკრუგი; ელისავეტპოლის გუბ.: ელისავეტპოლის, არეშის, ზანგეზურის, შუშისა და ნუხის მაზრები; ბაქოს გუბ.: ლენქორანის, ჯევათისა და ყუბის მაზრები; ერევნის გუბ.: ერევნის, ეჩმიაძინისა და სურმალოს მაზრები; ბათუმის ოლქში: ბათუმისა და ართვინის ოკრუგები; ზაქათალის ოკრუგი.

სავაჭრო დასაგროვებელი პუნქტები იხსნება თამბაქოს მოსავლის აღებიდან ათი თვის ვადით (მუხ. 773); ამ პუნქტების მჭერელთ უფლება აქვთ ფოთლადი თამბაქო შეიძინონ მხოლოდ მეთამბაქოეთაგან და სახელდობრ ის თამბაქო, რაც ამ უკანასკნელთ შენახული აქვთ თავიანთ პლანტაციებსა და საცხოვრებლებში, აგრეთვე ის თამბაქო, რაც მეთამბაქოებს გაა-ქვთ გასაყიდად ბაზრებსა და იარმარკეტებზე. სავაჭრო დასაგროვებელი პუნქტების მჭერელთ უფლება არა აქვთ შეისყიდონ თამბაქო მეთამბაქოეთა მიერ გახსნილი დროებითი საწყობებიდან (მუხ. 774).

სავაჭრო დასაგროვებელ პუნქტთა მეერელთ ფოთლადი თამბაქო შეუძლიათ მიიტანონ მხოლოდ მუდმივ საბითუმო საწყობებში, თამბაქოს ფაბრიკებსა და თამბაქო-ექსტრაქტის ქარხნებში, ანდა გაიტანონ ის საზღვარგარეთ (მუხ. 775). სავაჭრო დასაგროვებელ პუნქტებში დაწესებული იყო თამბაქოს მიღებისა და გაცემის დავთარწარმოება. ფოთლადი თამბაქოს მუდმივი საბითუმო საწყობები იყო სამგვარი: 1. უცხოური და ადგილობრივი თამბაქოს (წეკოს გარდა) საწყობები; 2. მხოლოდ ადგილობრივი თამბაქოს საწყობები და 3. მხოლოდ წეკოს საწყობები. ყოველ მათგანზე დაწესებული იყო ცალკე პატენტი (მუხ. 779). ასეთ საწყობებში იკრძალებოდა თამბაქოს ნაკეთობათა შენახვა და გაყიდვა[16].

ასეთია ძირითად ხაზებში 1882 წ. წესდებისა და მეორე მის საფუძველზე და შესავსებად გამოცემული ინსტრუქციების შინაარსი.

1887 წ. კანონით ძალაში შევიდა ბანდეროლების ახალი ტარიფი, რამაც სხვადასხვა სორტის თამბაქოს ნაკეთობებზე აქციზის განაკვეთი წინანდელთან შედარებით 20—50 პროცენტით აამაღლა და ამ გზით შესამჩნევად გაადიდა ხაზინის შემოსავალი, მაგრამ ამავე დროს გამოიწვია მეკორჩმეობის გამრავლებაც და აქციზის უწყების მხრივ, თამბაქოს წარმოების აღრიცხვისა და კანტროლის წესების ახალი გართულება.

1890 და 1892 წწ. გამოცემული კანონები მიზნად ეასავდნენ როგორც თამბაქოს მსხვილი ფაბრიკანტების მდგომარეობის შემდგომ განმტკიცებას, ასევე არაპირდაპირი გადასახადების გადიდებასაც. ამიერიდან ყველას, ვისაც კი წვრილი ვაჭრობის უფლება ჰქონდა მეთამბაქოეობის რაიონში, შეეძლო გაეხსნა სავაჭრო დასაგროვებელი პუნქტი[17].

1882 წ. კანონის შემოღების დროიდან ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთის იმპერიაში თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი და ფოთლადი ეამბა-

---

[16] «Уставы об акцизных сборах», т. III, стр. 81—88.

[17] «Министерство финансов 1802—1902», II, стр. 177—178.

ქოს მოსავალი. თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი

	1882 წ.	1893 წ.
შეადგენდა:		
ფესტინობით	39 000	54 00
ფოთლადი თამბაქოს მოსავალი უდრიდა, ათას ფუთობით	2 900	5 400
აქციზის შემოსავალმა შეადგინა, ათას მანეთობით	11 600	28 600
პატენტის მოსაკრებელმა და ჯარიმებმა შეადგინეს, ათას მანეთობით	2 700	3 200

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ვხედავთ, თამბაქოს წარმოებაზე დადებული არაპირდაპირი გადასახადები ბევრად უფრო ჩქარა იზრდებოდა, ვინემ თვით თამბაქოს წარმოება; ეს, ცხადია, იყო შედეგი ფისკის ორგანოების მხრივ განსაკუთრებით აქციზის მოსაკრებელთა სისტემატური გადიდებისა, რაც თამბაქოს მომხმარებელი მოსახლეობის სულ უფრო ზრდადი ჰასებს ეკისრებოდა.

იმპერიის ფინანსთა სამინისტრო, ცხადია, სახელმწიფოს შემოსავალთა გადიდების საქმეში თავის გამომგონებლობის უნარს არ ზოგავდა ოთხმოცდაათიანი წლებიდანაც; შესაბამისად იმისა, რაც უფრო ვრცელდებოდა და ძლიერდებოდა რევოლუციური მოძრაობა, ხალხის გათვითცნობიერება, ფისკალური პოლიტიკის მესვეურნი მით უფრო გულმოდგინედ ცდილობენ გაეძლიერებინათ არაპირდაპირი გადასახადები.

1892 წ. 14 დეკემბერს იმპერატორმა დაამტკიცა უმართებულესი სენატის მოსაზრებანი თამბაქოს ნაკეთობებზე სააქციზო მოსაკრებელის გადიდების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს არაგადაკვეთილ (неокладных) მოსაკრებელთა დეპარტამენტის ინსტრუქციაში ნათქვამია: „თამბაქოს ფაბრიკების მიერ გამოშვებულ იმ ნაკეთობებზე, რომლებიც დაბეგრილი არ არიან შემცირებული ბანდეროლით, გარდა ბანდეროლისთვის დადებული სააქციზო მოსაკრებელისა, დაედვას დამატებითი აქციზი თამბაქოს 1 ფუთზე ორი მანეთის, ანუ 1

გირვანქაზე 5 კაპიკის რაოდენობით". დამატებითი აქციზი ედებოდა არა ნაკეთობის საერთო წონის, არამედ წმინდა თამბაქოს მიხედვით, რასაც შეიცავდა ეს ნაკეთობა[18].

არაგადაკვეთილ მოსაკრებელთა მთავარმა სამმართველომ 1896 წელს სააქციზო მოსაკრებელთა სამხარეო სამმართველოებს დაუგზავნა თავისი მოსაზრებანი, რომელშიც აღნიშნულია, რომ თამბაქოს მოსაკრებელთა შესახებ წესდება შეიცავს თამბაქოს მრეწველობის მართებული განვითარებისათვის ზოგიერთ შეუფერებელ დებულებას და რომ საჭიროა ამ წესდების გამარტივება აქციზის განაკვეთების თვალსაზრისით, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს მექორჩმეობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა გატარების საქმესო[19]. ამ მიზნით ჩატარდა თამბაქოს მსხვილ და წვრილ ფაბრიკანტთა და ფისკალური აპარატის რიგი თათბირი, რომელთაც რეალური შედეგები არსებითად არ მოჰყოლია.

1901 წ. კანონით თამბაქოს აქციზის წესდებაში ჯატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. რეორგანიზაცია შეეხო უმთავრესად თამბაქოს ფაბრიკების საპატენტო მოსაკრებელის ამოღების საქმეს იმ მხრივ, რომ იგი „უფრო თანაბარზომიერად განაწილდა ფაბრიკებს შორის, მათი მწარმოებლურობის შესაბამისად". გარდა ძირითადისა დაწესდა დამატებითი საპატენტო მოსაკრებელი, რაც ფაბრიკის მიერ გადამუშავებული თამბაქოს რაოდენობის შესაბამისად პროგრესულად იზრდებოდა და სხვ.

1900 წელს, აღმოსავლეთში გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, ხაზინის რესურსების გაძლიერების მიზნით, „მხოლოდ დროებითი ღონისძიების სახით", კიდევ გადიდდა უმაღლესი სორტის თამბაქოზე დადებული აქციზი და წეკოსა და მის მაგვარ თამბაქოებზე ბანდეროლის მოსაკრებელი[20]. ამ „დროებითმა ღონისძიებამ" ფინანსთა სამინისტროში შემუშა-

---

18 საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 78, ფურც. 455.

19 საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 805, ფურც. 85—86.

20 «Министерство финансов 1802—1902», II, стр. 498—499.

ვებული ინსტრუქციების ძალით ადვილად ჰპოვა შემდგომი განმტკიცება და განვითარება.

1909 წლის 1 მაისიდან ძალაში შევიდა კანონი პაპიროსის ჰილზისა და დაჭრილი საპაპიროსე ქაღალდის აქციზის მოსაკრებელით დაბეგვრის შესახებ[21]. ხოლო იმავე 1909 წლის 1 ივლისიდან კიდევ გადიდდა თამბაქოს ნაკეთობაზე დადებული აქციზი და ამასთანავე შეიცვალა თვით თამბაქოს ფაბრიკაციის შესახებ არსებული ზოგიერთი დადგენილება[22].

მთელ ამ ღონისძიებათა სისტემის მთავარი აზრი, ცხადია, იყო არაპირდაპირ გადასახადთა ხაზით ხაზინის შემოსავალთა წყაროების შემდგომი გადიდება და კერძოდ თამბაქოს აქციზის მოსაკრებელთა გადახდევინებაში კონტროლის შემდგომი გაძლიერება[23], რაც ჩვეულებრივ სულ მალე ახდენდა სათანადო გავლენას თვით მეთამბაქოეობის მიმდევარი მოსახლეობის მეურნეობასა და მთელ ყოფიერებაზე.

1910 წლის 12 ივნისს გამოცემულ ფინანსთა სამინისტროს არაგადაკვეთილ მოსაკრებელთა მთავარ სამმართველოს ვრცელი ცირკულარი (№ 1996) დეტალურ ღონისძიებებს სახავს „თამბაქოს ფოთლის მოკრეფისა, მისი გადაზიდვისა და თამბაქოს ნაკეთობათა ფაბრიკაციის მიმართ ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ[24].

ცირკულარის ტექსტი იწყება მითითებით სააქციზო მოსაკრებელთა შესახებ წესდების 31 მუხლისა, რომ აქციზის მოხელეებს ეკისრებათ მეთამბაქოეობის შესახებ ყოველგვარი მასალების შეკრება და რომ, ამისთვის ხსენებულ მოხელეებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მეთამბაქოებს ყოველგვარი საჭირო ცნობები პლანტაციების მოვლა-პატრონობის, თამბაქოს კრეფის, დაცვა-შენახვისა და გაყიდვის შესახებ; შემდეგ აღნიშნულია, რომ ფინანსთა მინისტრის 1888 წ. 30 მაისის ინსტრუქ-

---

21 საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 413, ფურც. 36.

22 იქვე, ფურც. 72.

23 საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 513, ფურც. 16—17.

24 იქვე, საქმე № 513, ფურც. 37—40.

ციის მეცხრე პარაგრაფით გარკვეულია აქციზის მოხელეთა ვალდებულებანი თამბაქოს პლანტაციების შესახებ ცნობათა მოგროვებისა და თამბაქოს ფოთლის კრეფისადმი ფაქტიური მეთვალყურეობის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ამ მოხელეებს უფლება აქვთ ხელახლა ასწონონ თამბაქო და, ამრიგად. დაადგინონ მისი მოსავლის ზუსტი რაოდენობა.

„მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ, ინსტრუქციის მე-10 პარაგრაფის თანახმად, პლანტაციების რეგისტრაცია და აქციზის მეთვალყურეთაგან მისი მონასულების დრო. როგორც პლანტაციების შესახებ ცნობათა მოსაგროვებლად, ასევე თამბაქოს ფოთლის კრეფაზე ფაქტიური კონტროლის გაწევისათვის. უმრავლეს შემთხვევაში შეხამებულია იმ დროსთან, როდესაც აქციზის მეთვალყურე მოხელეები თავისუფალი არიან სხვა საქმიანობისაგან, და არა თამბაქოს ნამდვილი კრეფისა და ასხმის (ანემსვის) პერიოდთან. ამასთანავე პლანტაციების მხოლოდ ამ დროს გაწეულ ფაქტიურ კონტროლს აქვს მნიშვნელობა. დასასრულ, სხვადასხვა სააქციზო სამმართველოში სხვადასხვანაირია... თამბაქოს, როგორც შემოწმების. ასევე ნედლი თამბაქოს გაზიდვის დოკუმენტების. იარლიყებისა და მიმოძრაობის, აგრეთვე... სავაჭრო პუნქტებში. საწყობებსა და ფაბრიკებში მისი მიმოზიდვის შესახებ მოწმობათა [illegible]აცემის წესები“.

შემდეგ აღნიშნულია აქციზის მეთვალყურე მოხელეთა საქმიანობის გაერთიანების აუცილებლობა. რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს კონტროლი „ეგრეთწოდებული მწვანე თამბაქოს. ე. ი. თურქული და უმაღლესი სორტის ამერიკული თამბაქოს“ ფოთლების კრეფისა და მიმოზიდვისადმი.[25]

ქვემოთ, ამ ფრიად გრძელი და ამდენათვე დაწვრილებითი ინსტრუქციიდან. მოგვყავს რამდენიმე ამონაწერი, რომ თანამედროვე მკითხველისათვის გასაგები გახდეს, თუ რაოდენ „წყალგაუვალი“ აღრიცხვა და კონტროლი იყო დაწესებული და ბიუროკრატიული აპარატის უხეში ჩაოვების მეოხებით. რამდენად შეკიწროებული და მძიმე იქნებოდა აქციზის უწყების მხრივ მრავალგზის გამოცხადებული თვით მეთამბაქოეთა „თავისუფალი თაოსნობის“ რეალური თავისუფლება.

---

[25] იქვე, ფურც. 38.

თამბაქოს პლანტაციების შესახებ ცნობათა ზუსტად არსებული წესის მიხედვით შეკრებებისათვის „აქციზის სამმართველო მეთამბაქოეობის რაიონებში ადრე გაზაფხულზე. თემების გამგებლობის მეშვეობით. განკარგულებას აძლევს, რათა ამ უკანასკნელთ. როგორც ეშუალოდ. ასევე ყოფილ ხელისუფალთა მეშვეობით აცნობონ ყველას, რომლებიც მისდევენ ნედლ-ბაქოეობას, განურჩევლად იმისა მიეკუთვნებიან თუ არ ეკუთვნებიან ... ...

ტანათ არალეგალური თამბაქო. თამბაქოს გაზიდვის იარლიყის ან მოწმობის აღებისას პლანტაციის ფურცელი ყველა შემთხვევაში უნდა წარედგინოს იმ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც მეთამბაქოე მიმართავს, რათა მიიღოს გაზიდვის დოკუმენტი. თესვის გამგებლობა და აქციზის ზედამხედველობა, გაზიდვის იარლიყისა თუ მოწმობის მიცემისას, ვალდებულია პლანტაციის ფურცელზე აღნიშნოს გაცემული გაზიდვის იარლიყისა თუ მოწმობის ნომერი, იმის ჩვენებით, თუ რამდენ ცალ შეფუთულ გასაზიდ თამბაქოზეა გაცემული იარლიყი და თუ იარლიყის გაცემის მომენტში თამბაქოს წონის გარკვევა შეუძლებელია, მაშინ თვით მეთამბაქოეს განცხადების მიხედვით უნდა აღინიშნოს, თუ რამდენი შეიძლება იყოს თითოეული იარლიყით გასაზიდი თამბაქოს წონა. ხოლო გაზიდვის მოწმობის გაცემისას პლანტაციის ფურცელზე, გარდა მოწმობის ნომრისა უნდა იყოს აღნიშნული ცალთა (ნაკრაულთა, ბარდანთა) რაოდენობა და ყოველი მათგანის წონა.

აქციზის მოსაკრებელთა მმართველებს ეევალებათ გუბერნიის ყველა თემი, სადაც კი არის თამბაქოს პლანტაცია, გაანაწილონ აქციზის ზედამხედველობის მოხელეთა შორის იმ ანგარიშით, რომ ამ უკანასკნელთ ყოველი წლის ივლისის თვის განმავლობაში შეეძლოთ მოინახულონ მწვანე თამბაქოს მომყვანი რაიონის ყველა თემის გამგებლობა. ამ მონახულებისას ეს მოხელეები ვალდებული არიან გასინჯონ თემის გამგებლობის მიერ გაცემული პლანტაციის ფურცლების ყველა დუბლიკატები და აქვე ვამოარკვიონ აღრიცხვის ყველა ნაკლოვანება, ბუნდოვანობა და უსრულობა. რომლებიც კი შეიმჩნევიან ხსენებული დუბლიკატების მიხედვით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზუსტ დასახელებას, იმ სოფლებისა, ხუტორებისა თუ კარმიდამოებისა, რომლებშიც იმყოფებიან განცხადებული პლანტაციები. პლანტაციების შესახებ სხვა ცნობები უნდა გაისინჯოს (შეა მოწმდეს) აქციზის მოხელეთაგან თვით პლანტაციების მონახულების დროს. შემდეგ პირმა, რომელმაც დუბლიკატები გასინჯა, უნდა მოახიოს ისინი ყუებიდან და ერთ ყუაზე გააკეთოს საერთო წარწერა, შესახებ იმისა, რომ პლანტაციის ფურცლების დუბლიკატები ამა და ამ ნომრიდან ამა და ამ ნომრამდე ჩაიბარა და ეს დუბლიკატები აღწერითურთ უნდა უშუალოდ წარადგინოს აქციზის საგუბერნიო სამმართველოში.

თემის გამგებლობას იმ ხარჯების დასაფარავად რასაც იგი ეანწევდა პლანტაციის ფურცლებისა და დუბლიკატების შევსებაზე უფლება ჰქონდა მიეღო ცალკე გასამრჯელო ყოველ ფურცელზე 5 კაპ. რაოდენობით, იმ თანხებიდან, რასაც ამ საქმისთვის სპეციალურად გამოყოფდა ხოლმე აქციზის მოსაკრებელთა სამმართველო.

საკუთრად პლანტაციებისა და თვით თამბაქოს კრეფის შესახებ ცნობათა მოგროვების მხრივ აქციზის ზედამხედველობის მთავარი საზრუნავი მოიცავდა ორ პერიოდს. 1. ფოთლადი თამბაქოს კრეფისა და გაშრობის, და 2. თამბაქოს ასხმის, შეკვრისა და დატკეცის პერიოდს. შესაბამისად იმისა,

თუ ადგილის ბუნებრივ პირობათა მიხედვით რომელ თვეზე მოდიოდ. თამბაქოს ფოთლის კრეფისა და დამუშავების ეს მთავარი სტადიები—უნდა მიევლინებინათ აქციზის ზედამხედველობის მოხელეები პლ.ნტაციების თამბაქოს საშრობთა და საწყობების მიმოხილვისთვის.

თამბაქოს ფოთლის კრეფის დასაწყისიდან მისი ასხმისა და შეფ.ეთვ.ს (შეკვრის) დასრულებამდე, ე. ი. 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე, წესის მიხედვით, ყოველი პლანტაცია, სადაც თამბაქო მოჰყავთ არა მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის. არამედ გასაყიდადაც, აქციზის ზედამხედველობის მოხელეს უნდა მოენახულებინა ორჯერ: პირველად, ფოთლის კრეფის მე.ამე პირველადი ფერმენტაციისა და გაშრობის მომენტში, ე. ი. 1 ოქტომბიდან 1 დეკემბრამდე, ხოლო მეორეჯერ, როდესაც თამბაქო უკვე შეკრეულ.ა და მზადაა გასაყიდად და ნაწილობრივ შეფუთულიცაა, ე. ი. ადგილობრივ პირობათა მიხედვით 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე—იმ ვადებში, რაც ადგენილი იქნება აქციზის მოსაკრებელთა მმართველის მიერ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში პლანტაციების უკანასკნელი მონახულების ვადა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო 1 აპრილამდე. პლანტაციების მონახულებისას, და იქ სახეზე არსებული თამბაქოს შემოწმებისას, აქციზის ზედამხედველობას მოპოვებული მონაცემები შეაქვს პლანტაციის ფურცელში და აქციზის მოსაკრებელთა საგუბერნიო სამმართველოსგან მიღებულ ბლანკებში. აქ აღირიცხებოდა თამბაქოს როგორც ახალი მოსავალი ასხმულებისა თუ შეფუთულ-დატკეცილი სახით. ასევე წინაწლის მოსავლის ნაშთიც, რაც პლანტაციის საწყობში ინახებოდა—ცალკე სორტების მიხედვით. „ამასთანავე იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არსებული თამბაქოს რაოდენობა არ შეესაბამებოდა თამბაქოს ნარგავების ფართობის შესახებ ფიქსირებულ მონაცემებს და როდესაც სახეზე არსებული თამბაქოს მცირე რაოდენობა აიხსნება არა მოუსავლიანობით, როგორც ამას შეიძლება აცხადებდეს მეთამბაქეე. არამედ სხვა მიზეზებით, რომელთა შორის შეიძლება ვიგულისხმოთ თამბაქოს სხვა პლანტატორისთვის მიყიდვაც, მაშინ აქციზის ზედამხედველობამ ასეთი განცხადება უნდა ადგილზეე შეამოწმოს.

აქციზის ზედამხედველობის მოხელეთა და თემების გამგებლობისგან მიღებული პლანტაციების ფურცლების მიხედვით დგებოდა გუბერნიაში არსებული პლანტაციების საერთო უწყისები. მეორე მხრივ, ხდებოდა პლანტაციის ფურცლების დუბლიკატების დაჯგუფება თემებისა და აქციზის ზედამხედველობის მოხელეთა უბნების მიხედვით. ამ მოხელეებს ეკისრებოდა პლანტაციებისა და მოკრეფილი ფურცლადი თამბაქოს შესახებ სხვადასხვა ცნობათა მოგროვება-დაზუსტება.

ყველა სამრეწველო (სავაჭრო) პლანტაცია აქციზის ზედამხედველობას აუცილებლად უნდა მოენახულებინა ორჯერ. სავაჭროდ მიჩნეული იყო ყველა პლანტაცია, რომლის ფართობი აღემატებოდა 50 კვ. საჟენს; „თუმცა გასაყიდად და არა საკუთარი მოხმარებისათვის თამბაქოს მოყვანა შე-

საძლებელია 50 კვ. საჟენზე ნაკლებ ფართობზედაც, მაგრამ ასეთი პლანტაციების მცირეიხარჯოვანი სავაჭრო ხასიათის გამო და აქციზის მოხელეთა სიმცირის გამო, მათი მონახულების სიძნელის მიზეზით" ასეთი პლანტაციების თანამდებობის პირთაგან ორჯერ მონახულება არ იყო სავალდებულოდ გამოცხადებული; მათ თამბაქოს ასეთი პატარა ნაკეთები უნდა მოენახულებინათ საკუთარი შეხედულებისამებრ.

ზედამხედველობის წესის ეს რეგლამენტაცია ეხებოდა ევრეთწოდებულ მწვანე თამბაქოს, ე. ი. თურქულ და უმაღლესი სორტის ამერიკული თამბაქოს პლანტაციებს, რაც შეეხება ყველა სხვა დაბალი სორტის თამბაქოს პლანტაციების მეთვალყურეობას, აქ ძალაში რჩებოდა აქამდე არსებული წესები.

„თამბაქოს პლანტაციების ამ ცირკულარით დადგენილი რეგლამენტაციის წესებსა და მეთვალყურეობას არსებითი ხასიათის სარგებლობის მოტანა, ე. ი. თამბაქოს გასაღებაში მექორწილეობის შემცირება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამასთანავე ერთად გაძლიერებული იქნება მეთვალყურეობა თამბაქოს როგორც პლანტაციებიდან იარმარკეტებსა და ბაზრებზე, ასევე ოკინიგზებით და წყლის გზებით გატანაზე, აგრეთვე საბითუმო საწყობებში თამბაქოს შენახვასა და თამბაქოს ფაბრიკებში მის გადამუშავებაზე", რისთვისაც ინსტრუქციას ერთვის ამ გზებზე თამბაქოს ყოველგვარი მოძრაობის აღრიცხვისა და კონტროლის ფრიად დაწვრილებითი წესები—„პლანტაციიდან დაწყებული, ფოთლადი თამბაქოს ფაბრიკაში მზანაწარმად გადამუშავებამდე და ამ მზანაწარმზე აქციზის ბანდეროლის დადებამდე"[26].

1910 წ. 13 ოქტომბერს აქციზის მოსაკრებელთა ამიერკავკასიის სამმართველო, თავის მხრივ, ცირკულარს უგზავნის საოკრუგო ზედამხედველებს, რომ „დროის სიმცირემ და აქციზის ამიერკავკასიის სამმართველოს უწყებაში შემავალი ტერიტორიის დიდმა სივრცემ შეუძლებელი გახადა მიმდინარე წელსვე ჯეროვანად გაგვეტარებინა ცხოვრებაში პლანტაციების რეგისტრაციის შესახებ ფინანსთა სამინისტროს უკანასკნელი (№ 1996) ცირკულარის ყველა მითითება; რომ ამიერკავკასიის სამმართველომ პლანტაციის ფურცლების ბლანკებით მხოლოდ სექტემბერში შესილო მოემარაგებინა აქციზის ზედამხედველები. ხოლო სოფლის კანცელარიებს სრულებით არ მიუღიათ ეს ბლანკები და, მაშასადამე, არც შეეძლოთ ეწარ-

[26] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 513, ფურც. 38—40.

მოებინათ თამბაქოს პლანტაციების აღრიცხვა სამინისტროს მიერ რეკომენდებული სისტემით...“ ამიტომაც 1910 წელს, თამბაქოს მოსავლის შესახებ ცნობების შეგროვება საჭიროა მოხდეს იმავე წესებით, რაც აქამდე იყო პრაქტიკაში, იმ ო

ისახავდნენ მეთამბაქოეობისა და თამბაქოს მრეწველობის სამხედრო ვითარების შესაბამისად „მოწესრიგებას“, ე. ი. არსებითად მარტოოდენ ხაზინის შემოსავლის გადიდების მიზნით არაპირდაპირ გადასახადთა სისტემატურ გადიდებას. ასეთი ინსტრუქციები მით უფრო ხდებოდა საჭირო, რომ ომიანობის დროის საერთო ეკონომიკურმა, ფინანსურმა სიძნელეებმა, კრიზისმა ხელი შეუწყო თამბაქოს ნედლეულისა და თვით მზანაწარმის ფარული (უაქციზო, უბანდეროლო) ვაჭრობის, მექორჩმეობის ფართოდ გავრცელებას[29].

პირველი მსოფლიო ომის მეორე, 1915, წლიდანვე დაიწყო სავაჭრო (სამრეწველო) მეთამბაქოეობის დაცემა. უწინარეს იკლო მოსავლიანობამ, მუშახელის ნაკლებობის გამო და ნიადაგის ცუდი დამუშავების შედეგად, ხოლო შემდეგ დაიწყო თამბაქოს პლანტაციების ფართობთა სისტემატური შემცირება და საერთოდ მოსავლის დაცემა, რაც იყო აგრეთვე შედეგი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დაცემის, მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებათა მოშლის, პურეულისა და საერთოდ სურსათ-სანოვაგის კრიზისის, რასაც კერძოდ საქართველოში მენშევიკების ხელისუფლების დროს ზედ დაერთო თამბაქოს სახელმწიფოებრივი მონოპოლიის დაწესება და სხვ.[30].

III. მეთამბაქოეობა მე-19 ს. პირველ ნახევარში

ახალ სპეციალურ-ტექნიკურ კულტურათაგან თამბაქო ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, ადრე შემოიჭრა. ჯერჯერობით დადგენილი არაა, თუ სახელდობრ როდის გაჩნდა და საიდან, რა გზით შემოვიდა აქ თამბაქოს მცენარე. თურქეთსა და ირანში, რომელთა ორბიტშიაც მოძრაობდა ამიერკავკასია შესაბამის პერიოდში, თამბაქო ჩნდება მე-16 ს. ბოლოსა და ვრცელ-

---

[29] საქ. სსრ, ცსია, ფონდი 371, საქმე № 723, ფურც. 21; იქვე, საქმე № 757, ფურც. 96.

[30] «Труды Закавказского совещания по табаководству 20—24 мая 1924 г», №4. Тифлис, 1924, стр. 40.

დება XVII-17 საუკუნის პირველი ნახევრიდან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ხანებში გაჩნდა თამბაქოს კულტურა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

მე-17 ს. ბოლოსათვის, სახელდობრ ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში და, მაშასადამე, ლიტერატურულად უკვე დამოწმებულია აქ თამბაქოს რამდენადმე მაინც გავრცელებულობის ფაქტი. ს.-ს. ორბელიანი წერს: „თამბაქო სხუათა ენაა, ქართულად გლარჯა ჰქვიანო“[31]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბას მხედველობაში აქვს თამბაქო, როგორც მცენარე, რაც მიუთითებს, რომ აქ ამ დროისათვის ცნობილი იყო არა მხოლოდ მოსაწევი ან საცხვირე თამბაქო (ბურნუთი), არამედ თვით თამბაქოს კულტურა, ე. ი. მეთამბაქოეობა, როგორც მემცენარეობის დარგი. სამწუხაროდ, იმდროინდელ ლიტერატურულ ძეგლებში ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ „გლარჯას“, როგორც თამბაქოს ქართული სახელწოდების დამოწმებულობას.

დაახლოებით ნახევარი საუკუნის მერმინდელ ძეგლში, სახელდობრ ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიაში, ქართლისა და კერძოდ ბერდუჯის რაიონის აღწერაში ნათქვამია: „...ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თ ა მ ბ ა ქ ო, სელი... და სხვ[32]. მართალია, ვახუშტის თხზულებაში სხვაგან უკვე არსად არაა მოხსენებული თამბაქო, მაგრამ უდავოა, რომ თამბაქოს ის უკვე იხილავს, როგორც მემცენარეობაში საერთოდ ცნობილ კულტურას[33].

მე-19 ს. პირველ ნახევარში საქართველოსა და ამიერკავკასიაში გაბატონებული იყო სხვადასხვაგვარი „ადგილობრივი ჯიშის“ თამბაქო. ამ ადრიდანვე აკლიმატიზებულ ჯიშთაგან

---

[31] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ლექსიკონი“ 1928, ტფ., გვ. 136.

[32] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, თბ., გვ. 34.

[33] იხ. აგრეთვე И. Б а х т а д з е, «История культуры табака в Грузии и перспективы ее востановления в старых табаководческих районах», под ред. проф. Ю. Ломоури, 1948, Тбилиси.

ცნობილი იყო „მეგრული“, „იმერული“, „ბორჩალური“ და „სალიანური“. „ადგილობრივი ჯიშის“ თამბაქო შესაბამის რაიონებში მოჰყავდათ თვით 70-იანი წლების ბოლომდე—უპირატესად საკუთარი მოხმარებისათვის, თუმცა საკმაო რაოდენობით, ფოთლებად დატკეცილი ან დაგრეხილი სახით, იყიდებოდა ის სოფლად თუ ქალაქადაც.

ა. ჰაქსტჰაუზენი 1843 წ. აღნიშნავდა, რომ სამეგრელოში, „მოჰყავთ საუკეთესო თამბაქო, მაგრამ არ იციან მისი ჯეროვანი გადამუშავებაო“[34]. ხოლო 1851 წ. ქ. კოლოდეევი წერდა, „სამეგრელოში თამბაქო იყიდება 2 მან. ვერცხლ. 1 ფუთი; ეს ფასი შეადგენს მხოლოდ ათ პროცენტს ამერიკული თამბაქოს (მზანაწარმის) ფასისა და ეს ასეა მარტოოდენ იმიტომ, რომ აქ არ შეუძლიათ იგი ჯეროვანად გადაამუშავონ“[35].

აღსანიშნავია, რომ აქ რეფორმამდელ პერიოდში, ე. ი. სამეგრელოს ავტონომიური გამგებლობის დროს, თამბაქოს ვაჭრობა იჯარა-გამოსყიდვის (откуп) წესით იყო გაცემული და დადიანის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა“. ამ გარემოებას, ცხადია, არ შეეძლო ხელი არ შეეშალა მეთამბაქოეობის განვითარებისათვის.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა თამბაქომ მალე მიიქცია მოსკოველი ფაბრიკანტების ყურადღება. 1847 წ. ბარონ მეიენდორფი მ. ვორონცოვისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ „მოსკოვში გაგზავნილმა მეგრული ჯიშის ზოგიერთმა თამბაქომ, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მოსკოველი მრეწველებისა. თავისი თვისებით ეს თამბაქო აღმოჩნდა ფრიად კეთილმოსახმარი, განსაკუთრებით სიგარებისათვის“. ატყობინებდა რა ამ ამბავს, ბარონ მეიენდორფი კავკასიის ნამესტნიკს თანვე უგზავნიდა უცხოური თამბაქოს თესლებს და წერდა, რომ რუსეთში სულ უფრო და უფრო

---

[34] A. Haxsthausen, „Transkaukaasia“, I, S. 17.

[35] ОДКН, стр. 34—35.

[36] П. Гугушвили, «Сельское хозяйство и аграрные отношения». II, стр. 428

ვრცელდება თამბაქოს წევა, რის გამოც საუკეთესო ჯიშის თამბაქოთა გავრცელება გადაიქცა ფრიად მნიშვნელოვან საქმედ და ამიტომაც „ხსენებული თესლების დარიგებას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ამიერკავკასიელ მწარმოებლებსაცა და მოსკოველ მრეწველებსაც“, რომელთაც ჯერ კიდევ გასულ 1846 წელს გამოიწერეს ამერიკიდან 120 000 ფუთი თამბაქო— 5 მილ. ოქრ. მან. მეტი ღირებულებისა[7].

აღსანიშნავია, რომ ცარიზმის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ბევრად უფრო ადრეც მიაქცია ყურადღება ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის განვითარების შესაძლებლობას და შემოიტანა აქ კიდევაც სხვადასხვა უცხოური თამბაქოს თესლი, რადგან „ადგილობრივი ჯიშები შედარებით მდარე ხარისხისა იყო“. ჯერ კიდევ 1823 წ. დაარსებულმა „სოფლის და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წაქეზების ამიერკავკასიურმა საზოგადოებამ“[8] შემოიტანა აქ პირველად ამერიკული ჯიშის თამბაქოს თესლი[9].

ამ დროიდან ცარიზმის ადმინისტრაცია მთელი ბიუროკრატიული გულმოდგინებით ცდილობს ხელი შეუწყოს ადგილობრივ მკვიდრთა შორის ამერიკული და სხვა უცხოური სორტის თამბაქოს მოვლა-პატრონობის შესახებ ცოდნის, ჩვევების დანერგვა-გავრცელებას.

ამ მიზნით, გარდა სოფლის საზოგადოებათა კრებებზე ზეპირი აგიტაციისა, მოსახლეობაში, უპირატესად, ცხადია, მემამულეთა შორის, ავრცელებენ ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილ ფურცლებს, ხოლო 1841 წელს მოეწყო მეთამბაქოეობის სპეციალისტის დუსის სტატიის თარგმნა ქართულად და წიგნაკის სახით გამოცემა. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასეთი ლიტერატურის გავრცელებას ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ამ წიგნაკის ქართული თარგმანი შესრულე-

---

[7] АСКАК, X, № 141, стр. 166; Лаврентьев, назв. соч. стр. 96.

[8] ППСЗРИ, СПБ, 1834, т. VIII ч. 1. № 6197, 264—265.

[9] Гугушвили, «Сельское хозяйство и аграрные отношения», т. I, стр. 143, 147—148.

ბულია პლატონ იოსელიანის მიერ[10]. რამდენადმე ფართო მასშტაბით ამერიკული და სხვა უცხოური ჯიშის თამბაქოს თესლის შემოტანა და გავრცელება ამიერკავკასიაში მაინც 1845 წლიდან დაიწყო.

ამ დროიდან, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ადმინისტრაციისა და 1850-იანი წლებიდან კიდევ სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების (სმკს) ინიციატივით მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოაქვთ და ამიერკავკასიის ხუთსავე გუბერნიის მაზრების უფროსთა მეშვეობით ადგილობრივ მემამულეებს ურიგებენ ვირგინიის, მერილენდის, პერგამის, მაგნეზიის, მაკედონიის, კენტუკის, ალბანეთის, ჰავანის. ეგვიპტის, კუბისა და სხვ. ჯიშის თამბაქოს თესლებს[11].

ამიერკავკასიელ მემამულეთა მიერ თამბაქოს ზემოხსენებული ჯიშების დანერგვა-გახარებისადმი ზედამხედველობის გაწევა ევალებოდა უშუალოდ მაზრის უფროსებსა და საერთოდ ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომლებიც და აგრეთვე თვით მსხვილი მემამულეები სათანადო ინფორმაციებს უდგენდნენ თბილისში უშუალოდ ნამესტნიკს. მეთამბაქოეობის მიმდევარ მემამულეებს თბილისიდან ეგზავნებოდათ ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი სათანადო ინსტრუქციები თამბაქოს მოვლა-პატრონობისა და დამზადების წესების შესახებ.

უცხოური თამბაქოს ჯიშების თესლთა შემოტანას და გავრცელებას ადმინისტრაცია სისტემატურად ეწეოდა შემდგომ ათეულ წლებშიაც[12]. საქმე ისაა, რომ კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას თვით ნამესტნიკიდან მოყოლებული ყველაზე

---

[10] იხ. „დარიგება მოყუანისათვის ამერიკულის თამბაქოსი", 1841, თფილისი.

[11] АСКАК, X, №№ 122, 127, 131, 132, 136, 137, 138, 141, 143, 147, 150, 162, 171, 172, стр. 156—162, 165, 167, 172—174; П. Гугушвили, «Сельское хозяйство... », т. I, гл. V, Табаководство, стр. 89—104.

[12] ЗКОСХ, 1856, № 1, стр. XVI-XVIII; 1859, № 1, стр. 5.

დაბალ მოხელემდე ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად ჰქონდა რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო სოფლისმეურნეობრივ ნედლეულთა გამოვლენა, მათი წარმოების განვითარება და საჭირო ზომით მიწოდების ორგანიზაცია. ამ თვალსაზრისით აქ საკმარისია აღინიშნოს, რომ კავკასიის ნამესტნიკის მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს მოღვაწეობის ოფიციალურ მიმოხილვაში (1851 წ.) ნათქვამია: „იმ საფაბრიკო მცენარეთა შორის, რომლებიც ამ მხარეში მოჰყავთ, თამბაქოს შეეძლო წარმოექმნა ერთ-ერთი უმთავრესი დარგი სოფლის მრეწველობისა, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში“[13].

ზემოხსენებული დროიდან, კერძოდ 1845 წლიდან უცხოური თამბაქოს თესლების დარიგების გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში, ბუნებრივ პირობათა შესაბამისად, მეტ-ნაკლები ზომით ინერგებოდა თამბაქოს ახალი გაუმჯობესებული ჯიშები.

მაგალითად, თავ. შერვაშიძე 1845 წ. იტყობინებოდა, რომ „თამბაქოს მცენარეთა ძლიერი და მშვენიერი ვეგეტაცია საფუძველს მაძლევს იმედი ვიქონიო, რომ ეს მცენარე აფხაზეთში წარმატებით იქნება გავრცელებული და დროთა მსვლელობაში შეადგენს ერთ-ერთ უმთავრეს დარგს მრეწველობისა, რომელიც ახლა იბადება, მით უფრო, რომ აქაური მეურნენი დიდი ხანია რაც ეწევიან თამბაქოს გაშენებასა და დამუშავებას. თავის მხრივ მე არ დავაყოვნებ მივიღო ყოველგვარი ღონისძიება, რათა ამერიკული და ალბანური თამბაქოს სორტები გავრცელდეს მთელს აფხაზეთში“[14].

ორიოდე წლის შემდეგ აფხაზეთის მთავარი თავ. შერვაშიძე უკვე თბილისში აგზავნის თავის მამულში მოყვანილი ვირგინიული, კენტუკური, მერილენდური და ალბანური თამბაქოს ნიმუშებს და ამასთანავე იტყობინება, რომ ადგილზევე დამზადდა ამ ჯიშების თესლი და თანაც „დიდის რაოდენობით და ჩემის ბრძანებით სათანადო დარიგებებთან ერთად დაურიგდათ

---

[13] ОДКН, стр. 34.
[14] АСКАК, X, № 131, стр. 161.

აფხაზეთის ყველაზე გამოცდილ და გულმოდგინე მემამულეებს“[15].

1846 წ. ერევნის მაზრის უფროსი იტყობინებოდა, რომ „ახლანდელი ნათესების გამოცდილებამ გვიჩვენა შესაძლებლობა აქ საუკეთესო ამერიკული ჯიშის თამბაქოს მცენარის გაშენებისა“[16]. იმავე წელს შირვანის მაზრიდან მოსული ინფორმაციის მიხედვით სალიანისა და სხვა რაიონებში უცხოური ჯიშების თამბაქოს თესლებისაგან მცენარე კარგად ამოვიდა, მაგრამ მისი ფოთლები გაანადგურეს თაგვებმა და მწერებმა“[17]. ახალი ჯიშის თამბაქოს მცენარეებმა კარგად გაიხარეს შაქის მაზრაშიც, სადაც მათი „სიმაღლე ორჯერ აღემატებოდა ადგილობრივი ჯიშისას, ხოლო ფოთლებიც მათ დიდი ზომისა გამოუვიდათ[18].

ჭუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1849 წელს იწერებოდა, რომ ოზურგეთის მაზრაში მემამულე მ. ერისთავის მიერ დიდის წარმატებით იქნა გაშენებული კუბური თამბაქო და. რომ „მიმდინარე წელს მისგან გაკეთდა სიგარები, რომელთაც მცოდნე პირები კარგი ხარისხისად მიიჩნევენ. გენ. ზეგე ფონლაურენბერგი, ჩემთან ყოფნის დროს წევდა ამ სიგარებს და მე მისი მეშვეობით გამოგიგზავნით ერთ ყუთს ამ სიგარებისას თბილისში, რათა დარწმუნდეთ ჩემი ნათქვამის სისწორეში“[19].

მაგრამ საერთოდ ადგილებიდან მიღებულ ინფორმაციებში მემამულეები და თვით ადმინისტრაციაც უმეტეს შემთხვევაში ჩივიან ახალი ჯიშის თამბაქოს მოვლა-პატრონობისათვის გამოცდილ მეთამბაქოეთა უყოლობას. შემოტანილმა ჯიშებმა უწინარეს იქ მოიკიდეს ფეხი, სადაც მათ ხელს უწყობდა ბუნებრივი პირობები და ადგილობრივი მოსახლეობის სათანადო წარმოებრივი გამოცდილება, ე. ი. სადაც ადრიდგანვე იყო თამბაქოს კულტურა გავრცელებული.

---

15 Там же, № 138, стр. 165.
16 Там же. №№ 132, 147, стр. 162, 168.
17 Там же. № 136, стр. 165.
18 Там же, № 137, стр. 165.
19 Там же, № 162, стр. 172.

ახალი მეთამბაქოეობის წარმატება მაინც მნიშვნელოვანი იყო. 1846—1848 წწ. თავისი მოღვაწეობის ანგარიშგებაში კავკასიის ნამესტნიკი მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი უკვე აცხადებდა: „მეთამბაქოეობა შეადგენს უკვე საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს მოსახლეობის ნაწილის შემოსავალში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა ადგილიდან გამოწერილია საკმაო რაოდენობით სხვადასხვა ჯიშის თამბაქოს თესლი—მსურველთათვის დასარიგებლად... აქამდე საუკეთესო ხარისხის ფოთლებს იძლევა ალბანური და ვირგინიული თამბაქო. ამ უკანასკნელისაგან უკვე კეთდება ფრიად კარგი სიგარები, რომლებიც არა მხოლოდ ადგილობრივად მოიხმარება, არამედ ხშირად იგზავნება სხვადასხვა ადგილებსა და მოსკოვშიც[20].

თბილისის 1850 წლის გამოფენის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ექსპონატთა შორის „ყურადღებას იქცევდა თავ. მ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს და თავ კ. ა ბ ა შ ი ძ ი ს მიერ ბურიიდან და იმერეთიდან, აგრეთვე სამეგრელოს მთავრისა და ბორჩალოდან თავ. დ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მიერ[21] გამოგზავნილი თამბაქოს ექსპონატები. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ჰავანურმა თამბაქომ, რომელიც გამოგზავნილი იყო თბილისში მცხოვრებ მუსტაფა ედიგაროვის მიერ.—ამ თამბაქოს საუკეთესოდ შეფუთვის მეთხებით“[22]. დასახელებულმა პირებმა გამოფენაზე მიიღეს საპატიო სიგელები: „ამერიკული სორტის თამბაქოთა წარმოების წაქეზებისათვის“[23].

ამიერიდან, როგორც ჩანს, მეთამბაქოეობის შემდგომი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი შეიქნა თვით თამბაქოს ნედლეულის (ფოთლების) დამზადებისა და საერთოდ მოსაწევ თამბაქოს ფაბრიკაციის საქმე. 1850 წ. თბილი-

---

20 АСКАК. X, стр. 867.

21 ბორჩალოში დ. ორბელიანის დიდი მამულები (70 000 დეს.) მერმე თამამშევის ხელში გადავიდა.

22 ОДКН, стр. 97.

23 Газ. «Кавказ», 1850. №№ 20 24, 26, 40, ТКОСХ, 1889, № 1—2, стр. 101.

სის გამოფენაზე ექსპონირებულ პროდუქტთა შორის, როგორც დავინახეთ, უპირატესი მოწონება ჰპოვა კარგად შეფუთულმა თამბაქოს ფოთოლმა.

მეთამბაქოეობის შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ 1850 წელს რუსეთიდან გამოიწერა „თავისი საქმის მცოდნე მეთამბაქოე და დამხარისხებელი ჰამბურგელი მარტინ მიხაელი, რათა ამ გზით დახმარება გაეწია ამიერკავკასიაში უკვე საკმაოდ განვითარებულ მეთამბაქოეობის შემდგომი გავრცელებისათვის, თამბაქოს უკეთესად მოვლისა და მისი ჯეროვანი დახარისხების წესების დანერგვისათვის. რათა ყოველივე ამის მეოხებით შესაძლებელი გაეხადა აქაურ თამბაქოზე ფასის აწევა და გაედიდებინა მისი გასაღება როგორც ამ მხარეში, ასევე ჩვენი ქვეყნის (რუსეთის) შიგა გუბერნიებში“[24].

ეს ის დრო იყო, როდესაც ზემოხსენებულმა მსხვილმა მემამულემ თავ. დ. ორბელიანმა კავკასიაში პირველად მოკიდა ხელი თამბაქოს პლანტაციების ფართო მასშტაბით გაშენებას. ამ მიმართულებით მას აქეზებდა როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ადმინისტრაცია, აგრეთვე სმკს, რომლებიც. როგორც ეს აღნიშნულია იმდროინდელ ქართული საზოგადოებრიობის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის დიმიტრი ყიფიანის მოხსენებაში, ამარაგებდნენ მას „საუკეთესო ხარისხის ამერიკული თამბაქოების თესლით და სწავლული მეთამბაქოეს (მიხაელის—პ. გ.) მასთან მივლინებით. თავ. ორბელიანმა, რომელიც ამჟამად ჩვენში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი სოფლის მეურნეა, მეთამბაქოეობას შესწირა სამი წლის განმავლობაში თითქმის მთელი თავისი ყურადღება და თავისი მამულის მთელი საშუალებანი. მის პლანტაციაზე თამბაქოს მოსავალიცა და მისი დახარისხებაც საუკეთესო იყო. მაგრამ პირველი ორი წლის განმავლობაში ამ პროდუქტის გა-

[24] ЗКОСХ. 1855. № 1.

საღება ხდებოდა მხოლოდ მთავრობის ენერგიული დახმარების მეოხებით. მესამე წელს კი გასაღების საქმეში თავადი წაადგა ალმაშფოთებელ სიძნელეებს. მესამე წლის მოსავალი მას გაუფუჭდა სარდაფებში და მისი მშვენიერი, გაუმჯობესებული მეთამბაქოეობაც საბოლოოდ შეიცვალა მამაპაპური მიწათმოქმედებით—პურის ყანებით"[25].

საინტერესოა მარტინ მიხაელის აზრი აქაურ მეთამბაქოეობაზე. იგი სახელდობრ წერდა: „დიდი ხანია ვეწევი რა მეთამბაქოეობას, ევროპაში მოყვანილი თამბაქოსაგან არსად და არასოდეს არ მინახავს გარეგნობისა და გემოს მიხედვით მსგავსი რამ იმ თამბაქოსი, რომელიც აღმოაჩნდათ თავ. ორბელიანს და სხვა მემამულეებს ბორჩალოში" (მარნეულის რაიონში).[26]

მეთამბაქოე მ. მიხაელი მუშაობდა აგრეთვე თავ. დადიანის მამულებში სამეგრელოში და სხვა მემამულეებთანაც[27]. მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დროს ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ხელსაყრელი პირობები მსხვილი საეაჭრო მეთამბაქოეობის განვითარებისათვის, თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ 40-იან წლებში არა ერთხელ და საკმაოდ ენერგიულად იყო გატარებული სათანადო ღონისძიებანი.

ასე, მაგალითად, ლენქორანელი მემამულე პოლკ. დ ო დ ი ნ ს კ ი 40-იანი წლების მიწურულში წარმატებით ეწეოდა ჰავანის და მერილენდის ჯიშის თამბაქოს პლანტაციების გაშენებას; მისი თამბაქო ცნობილი შეიქმნა თბილისშიც[28]. თამბაქოს გასაღების სიძნელეების გამო კახელი მემამულე ს. გურგენიძე იძულებული იყო ჯერ შეემცირებინა თამბაქოს პლანტაციის ფართობი, ხოლო შემდეგ საერთოდ მიეტოვებინა თავისი „იმთავითვე კარგად მოწყობილი მეთამბაქოეობის მეურნეობა"[29]. ათი წლის შემდეგ უმსხვილესი მემამულე დ. ორბე-

25 Ш. Гугушвили. «Сельское хозяйство...», I, 184.

26 И. Иоселиани. «Обзор деятельности КОСХ за 50 лет». стр. 76.

27 АСКАК. X. 891.

28 ОДКН. стр. 35.

29 ЗКОСХ. 1857. № 1. стр. 55.

ლიანი იძულებული შეიქმნა ხელი აეღო მეთამბაქოეობაზე, რომელშიაც მან დააბანდა „თავისი მამულის თითქმის მთელი სახსრები“.

ამრიგად, ს. გულიშამბაროვის მტკიცება, რომ თითქოს თბილისის გუბერნიაში „თამბაქოს რეალიზაცია ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო“[30] ისეთივე მონაჭორია, როგორც რიგი სხვა მისი განცხადებანი ამიერკავკასიის სახალხო-მეურნეობრივი ისტორიის შესახებ.

მაგრამ მეფის ადმინისტრაცია ასეთ პირობებშიც არ ზოგავდა თავის ძალღონეს და საშუალებებს მეთამბაქოეობის შემდგომი წახალისებისათვის. ხოლო მოსკოველი ფაბრიკანტები და ვაჭრები განუწყვეტლივ მოითხოვდნენ ეფექტური ღონისძიებების ჩატარებას მეთამბაქოეობის უფრო სწრაფი განვითარებისა და საუკეთესო პირობების შექმნას ადგილობრივად უშუალო მწარმოებლისაგან თამბაქოს რაც შეიძლება იაფად შეძენისათვის.

სწორედ ამ მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ 1850 წლიდან დაარსა დ. ხონში (ქუთაისის მაზრაში) თამბაქოს ყოველწლიური ბაზრობა, „მაგრამ მან ვერ მოიპოვა წარმატება, ნაწილობრივ იმის გამოც, რომ კავკასიური თამბაქოს გასაღების ეს პუნქტი ამ მიზნისათვის მეტად ცუდად იყო შერჩეული“[31].

IV. ბარდატეხის პერიოდი

როგორც დავინახეთ, მე-19 ს. პირველ ნახევარში, თვით 50-იანი წლების ბოლომდე ამიერკავკასიაში კიდევ არ იყო შექმნილი სათანადო პირობები სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარებისათვის. მაგრამ 60-იანი წლების თვით დასაწყისიდანვე მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა.

მე-19 ს. 60-იან წლებამდე ამიერკავკასიის ბაზრებზე გაბატონებული იყო თურქეთიდან შემოტანილი მოსაწევი თამბა-

---

[30] ОФЭТГ. стр 18.

[31] И. Иоселиани, назв. соч., стр. 77, ОДКН, стр. 35; Лаврентьев, назв. соч., стр. 96.

ქოს მზანაწარში. როგორც საჩიბუხე და საპაპიროსე „თუთუნის“, დაჭრილი თამბაქოს, ასევე მოსაწევად გაკეთებული სიგარების სახით. შემოტანილი თურქული თამბაქო. როგორც ჩანს, ადგილობრივ ნაკეთობასთან შედარებით შესამჩნევი უპირატესობით სარგებლობდა.

ასეთ ვითარებაში ადგილობრივ მეთამბაქოებსა და, მაშასადამე, თამბაქოს ფაბრიკებს ძლიერ უძნელდებოდათ კონკურენციის გაწევა იმპორტული თურქული თამბაქოს მზანაწარმისათვის. მით უმეტეს, რომ ეს თამბაქო თურქეთიდან სავსებით თავისუფლად, ე. ი. უბაჟოდ შემოჰქონდათ. ეს უკანასკნელი მომენტი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. რაც ზრდიდა ამიერკავკასიისა და საერთოდაც რუსეთის ბაზრებზე თურქული საქონლის კონკურენტუნარიანობას— ადგილობრივის წინააღმდეგ.

მაგრამ სწორედ ამ ხანებში თურქეთის მთავრობამ. თავისი ხაზინის შემოსავლის გადიდების მიზნით. მიზანშეწონილად მიიჩნია, ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მსგავსად. დაეწესებინა თამბაქოს სახელმწიფოებრივი მონოპოლია. 1860 წლიდან თურქეთში შემოღებულმა თამბაქოს სახელმწიფოებრივმა რეგალიამ ერთბაშად და ფრიად შეავიწროვა ტრაპიზონელი და სამსუნელი—თურქეთში მეთამბაქოეობის მთავარი რაიონების — წვრილი პლანტატორები, რომელთა ყველაზე პროგრესულ და თაოსნიან და თანაც თითქმის უმრავლეს ნაწილს შეადგენდნენ ქართველები (ლაზები ანუ ჭანები). სომხები და ბერძნები.

ამ დროიდან თურქეთის სამფლობელოებში აქამდე გახარქმულ ლაზ მეთამბაქოეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიისწრაფვის შავი ზღვის ამიერკავკასიის სანაპიროებისაკენ, თავისი „დიდი სამშობლოს“, საქართველოს იმ რაიონებისაკენ. სადაც მათ შეეძლოთ იჯარით აღებულ მიწებზე შედარებით სარფიანად ხელი მიეყოთ თავიანთთვის ჩვეულებრივ საქმიანობისათვის—მეთამბაქოეობისათვის.

ლაზ მეთამბაქოეთა აქეოკენ ლტოლვის ერთ-ერთი ხელშემწყობ მოვლენად შეიქნა სწორედ ამ პერიოდში შავი ზღვის

საქართველოს სანაპიროებიდან, სახელდობრ აფხაზეთიდან, და მერმე კიდევ აჭარიდანაც, ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასების ემიგრაცია თურქეთის სამფლობელოებში[1].

ამგვარად, ადგილობრივი მოსახლეობის მხრივ მნიშვნელოვანი მექანიკური ძვრების შედეგად შავი ზღვის სანაპიროებზე განთავისუფლებული მიწების დიდი ნაწილი ახალი მფლობელების, ცარიზმის სამხედრო არისტოკრატიის ხელში გადავიდა. ამ ახალი ტიპის მემამულეებს, ცხადია, სჭირდებოდათ მუშახელი, რათა თავიანთი მეურნეობა შემოსავლიანი გაეხადათ. და, აი, თურქეთის სამფლობელოებიდან საშოვარზე შემოსული მეთამბაქოე ლაზები. და მერმე კიდევ სომხები და ბერძნები იჯარით იღებენ მათს მიწებს—თამბაქოს პლანტაციების გასაშენებლად, რასაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყოველი ღონით აქეზებდა თვითმპყრობელობის როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება[2].

ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში ახალი მეთამბაქოეობის გავრცელების პიონერთა ვინაობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არასწორი, ტენდენციური, ინფორმაციის გავრცელების გამო საჭიროდ მიმაჩნია აქ ისიც დაკუმატო, რომ არა მხოლოდ სოხუმის ოკრუგსა და ბათუმის ოლქში, არამედ თვით გურიას, სამეგრელოსა და კახეთშიც 60-იანი წლებიდან სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარებისა და კერძოდ თურქული ჯიშის თამბაქოს კულტურის გავრცელების მხრივ თურქეთის სამფლობელოებიდან შემოსულ სხვადასხვა ეროვნების ხალხთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და წამყვანი როლი შეასრულეს სწორედ ლაზებმა (ჭანებმა)[3], რომლებმაც სხვებზე ადრე მოკი-

---

[1] პ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX — XX სს". ტ. I, გვ. 726 და შემდეგ; П. Гугушвили, «Сельское хозяйство...», II, 550—572.

[2] КСХ, 1897, № 183, стр. 445.

[3] КСХ, 1898, № 220, приложение, стр. 28—29; газ. «Кавказ», 1865, № 40 и 41.

დეს აქ ხელი იჯარით აღებულ მიწებზე თამბაქოს პლანტაციების გაშენებას, ანდა მოჯამაგირეების თუ დროებითდაქირავებული მუშების სახით მემამულეთა მეურნეობაში თურქული და სხვ. უცხოური თამბაქოს ჯიშთა დანერგვა-გავრცელებას.

გარდა თურქეთში თამბაქოს რეგალიის შემოღებისა, ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის წამქეზებელ მოვლენად შეიქნა აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ ხანებშივე რუსეთის იმპერიის მთავრობამ დააწესა 5 პროცენტიანი ბაჟი საზღვარგარეთიდან, ე. ი. უმთავრესად თურქეთიდან შემოტანილ თამბაქოზე. თუმცა ეს საიმპორტო საფასური არცთუ იმდენად აძვირებდა შემოსაზიდ საქონელს, რამდენადაც იმ დროს 1 ფუთი თურქული თამბაქოს ფასი 5 მანეთს არ აღემატებოდა.[4]

ცხადია, აქ მეთამბაქოეობის განვითარებისა და გავრცელების საქმეში არამცირედი მნიშვნელობა ექნებოდა იმ ფაქტსაც, რომ 60-იანი წლებიდან როგორც საერთოდ რუსეთის იმპერიაში, ისე კერძოდ ამიერკავკასიაშიც მოსახლეობის მასებში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება თამბაქოს მოხმარება.

ასეთი იყო, ძირითად ხაზებში, ვითარება. რამაც შეაპირობა [illegible]-19 ს. სამოციანი წლებიდან ამიერკავკასიაში სავაჭრო მეთამბაქოეობის წარმოქმნა და შედარებით სწრაფი განვითარება, რაც აქ, უწინარეს ყოვლისა, აისახა კერძოდ სოფლის მეურნეობის გამოფენებზედაც.

მაგალითად, 1861 წელს თბილისში სოფლის მეურნეობის გამოფენაზე ქების სიგელს ღებულობს კომერციის სოვეტნიკი ი. ანანოვი, თავის მამულში, ვარციხეში (ქუთაისის მაზრაში) მოყვანილი თამბაქოსათვის[5]. იგივე ანანოვი 1862 წ. თავისი თამბაქოსათვის საპატიო დახასიათებას ღებულობს სოფლის მეურნეობის ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე[6].

1863 წ. თბილისში კავკასიის სოფლის მეურნეობის გამოფენაზე უკვე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კახურ თამბაქოს.

---

[4] ОФЗЗК. стр. 126.

[5] П. Гугушвили, «Сельское хозяйство...», I, 201.

[6] იქვე, გვ. 209, 484; ЗКОСХ, 1862, № 3—6, стр. XIV.

ი. სერებრიაკოვი წერდა: „ეს ნიჰუში—თამბაქოს ექსპონატი—უჩვენებდა, თუ როგორ მდგომარეობაშია ჩვენში იმ ბაყოფის მოყვანა, რომლისათვის ყოველ წელს ვაძლევთ ოსმალოს დიდს და მძიმე ხარკსა, ახლოა თუ შორს ის დრო, როდესაც განთავისუფლდება ჩვენი ქვეყანა ამ ხარკისაგან, ანუ რომელს მხარეს ჩვენი ქვეყნისას უნდა დაუბრუნდეს ოსმალოსათვის მისაცემი ფული?“[7].

1863 წ. ხსენებულ გამოფენაზე ექსპონირებული იყო საბელდობრ დ. ანდრონიკაშვილის პლანტაციის თამბაქო. „ეს პირველი გამოცდა იყო კახეთში თუთუნის (თურქული თამბაქოს—პ. გ.) მოყვანისა; ამ თამბაქოს „საუკეთესო თუთუნის მოყვარულიც ვერაფერს წუნს ვერ დასდებს“. ქვემოთ ი. სერებრიაკოვი აღნიშნავს, რომ ამ დროიდან „კახეთში თუთუნის თესვამ იშოვა ბევრი მიმბაძავი და იქ იმისთანა მამულის პატრონი აღარ არის ამ დროებაში, რომ გული არ ედვას. ან არ მიეყოს ხელი ამ საქმისათვის“[8].

სულ რამდენიმე თვის შემდეგ გაზ. „გუთნის დედას“ კორესპონდენტი აღწერს „მშვენიერ თამბაქოს“, რომელიც „მოყვანილია ალაზნის პირს, სიღნაღის უეზდში, თავად ს. ანდრონიკაშვილის მამულში; კორესპონდენტი უკვე დამტკიცებულად თვლის, რომ „კახეთის მიწასაც შეუძლიან იმისთანა არომატიანი თამბაქოს მოყვანა, როგორც მოგვდის ოსმალოდან... და ახლა თითქმის ყველაფერი მომზადებულია, რომ ოსმალოდამ აღარ შემოვიდეს ჩვენში თამბაქო; მთელი წინამხარი გადაიქცეს ერთს თამბაქოს პლანტაციად და თავი დაანებონ ამ ადგილს ბურის თესვასა... „მაგრამ ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნია, რათა „მთავრობამ მოიხმაროს აღვირი, ე. ი. ძძიმე ბაჟი ოსმალოს თუთუნზე“[9].

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებისაგან ამ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების მოთხოვნა მით უფრო სშირ-

---

[7] გაზ. „გუთნის დედა“, 1864. № 2.

[8] იქვე.

[9] „გუთნის დედა“ 1864, № 24, გვ. 171.

დება, რაც უფრო რწმუნდებიან თაოსნიანი ადამიანები თამბაქოს კულტურისათვის ადგილობრივი ბუნებრივი პირობების ხელსაყრელობაში[10].

1865 წ. ცნობილი ბოტანიკოსი ნ. ზეიდლიცი ამტკიცებდა ამიერკავკასიასა და კერძოდ ალაზნის ხეობაში მეთამბაქოეობის ფართოდ გავრცელების მოსალოდნელობას. იგი, ეხებოდა რა დ. ანდრონიკაშვილის თამბაქოს პლანტაციას, წერდა:

„მისმა წარმატებამ იმდენად წააქეზა კახელების გამბედაობა, რომ შემდეგ წელს 200-ზე მეტი მემამულე და გლეხი გაჰყვა მის მაგალითს". არც დახელოვნებულ მუშებში იყო ნაკლებობა. არ იყო საჭირო მათი გამოძახება ტრაპიზონიდან, ისინი თვითონ მოდიოდნენ და თავაზობდნენ თავის შრომას მემამულეებისათვის ხელსაყრელ პირობებში. ნ. ზეიდლიცის ცნობით. 1864 წელს თამბაქოს ფოთლის მოსავალი კახეთში შეადგენდა 10 000 ფუთზე მეტს; ნაწილი ამ მოსავლისა სიღნაღელმა მემამულეებმა „დიდი პარტიებით გაგზავნეს მოსკოვში"[11].

მიუხედავად ამ წარმატებებისა, აქ ამ დროს მეთამბაქოეობის განვითარებას კიდევ მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ელობებოდა წინ. ჯერ კიდევ არ იყო შესწავლილი, თუ სახელდობრ რომელ რაიონებში იქნებოდა უფრო ხელსაყრელი თამბაქოს კულტურა, არც მეთამბაქოეობის კადრები მოიპოვებოდა საჭირო რაოდენობით და კიდევ უფრო ნაკლებად იყვნენ თამბაქოს ნედლეულის გადამუშავების სპეციალისტები.

ხელისუფლებამ ბოლოს ისმინა „მშობლიური მეთამბაქოეობის ინტერესები" და უკვე 1872 წელს, თამბაქოს აქციზის ასალი წესდების მიღებასთან ერთად, ერთბაშად ძლიერ გაადიდა ბაჟი შემოსატან თამბაქოზე. ნაცვლად 5 პროცენტიანი განაკვეთისა. რაც 1 ფუთ თამბაქოზე 25 კაპ. არ აღემატებოდა, ამიერიდან 1 ფუთი თამბაქო დაიბეგრა 2 მან. ბაჟით—მიუხე-

---

[10] В. Терещенко, «Табачная промышленность на Кавказе» (газ. «Кавказ», 1867, № 77, 78).

[11] Газ. «Кавказ», 1865, № 40, 41.

დავად თვით საქონლის ფასისა, ე. ი. ხარისხისა (სორტული შედგენილობისა).

ამგვარად, ეს ბაჟი ბევრად უფრო მძიმედ დააწვა იაფფასიანი მდარე ხარისხის თამბაქოს, რის მეოხებითაც თურქეთიდან დაბალი სორტების თუთუნის ამიერკავკასიაში შემოტანა თითქმის შეწყდა კიდევაც[12].

საბაჟო პოლიტიკამ „მოხერხებულად გაითვალისწინა" თამბაქოზე არსებული დიფერენციული მოთხოვნილება. მომხმარებელთა უდიდესი უმრავლესობა, ცხადია, დაბალი სორტისა და, მაშასადამე, იაფფასიანი თამბაქოს მყიდველი იყო. და, აი, სწორედ მომხმარებელთა ეს კლასი, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა საერთოდაც საზოგადოებრივი ექსპერიმენტების დიდი ნაწილი, ამიერიდან იძულებული შეიქნა გადასულიყო ადგილობრივ თამბაქოზე და, მაშასადამე, გაეფართოებინა მისი წარმოებისა და რეალიზაციის შესაძლებლობანი[13].

1873 წ. 6 თებერვალს იმპერატორმა დაამტკიცა თამბაქოს აქციზის 1872 წელს გამოცემული წესდების „დამატებანი"— კერძოდ ამიერკავკასიაში ამ წესდების გატარებასთან დაკავშირებით. ამ „დამატებებში" გათვალისწინებული იყო ზოგიერთი გამონაკლისი ადგილობრივ პირობათა შესაბამისად.

1872 წ. წესდების მეექვსე მუხლს გაუკეთდა შენიშვნა, რის თანახმად ამიერკავკასიაში სააქციზო მოწმობის აღებისგან თავისუფლდებიან თამბაქოს მწარმოებლები (მეთამბაქოენი), აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც ადგილობრივ თამბაქოს ნედლეულს ყიდიან ბაზრებზე (იარმარკეტებზე), საწვრილმანო დუქნებსა და ფარდულებში დატკეცილი და დაგრეხილი ფოთლების, ღეროების, თუ კონებისა და ასხმულთა სახით.

ამას გარდა (VII მუხლის შენიშვნით) ამიერკავკასიაში მეთამბაქოებს სრული თავისუფლება ჰქონდათ ნედლი თამბაქოს მიმოზიდვისა თვით თამბაქოს პლანტაციების 10 ვერსის

---

[12] «Табаководство в Тифлисской губ». («Кавказ». 1875, № 116).

[13] Е. Прудков, «О табаководстве в России и Кавказском наместничестве» («Кавказ», 1874 №№ 48, 51—54).

რადიუსზე; უფრო შორს თამბაქოს წაღებისათვის საჭირო იყო გატანის მოწმობა, რასაც სათანადო ბლანკზე იძლეოდა ან აქციზის მეთვალყურე, ანდა ადგილობრივი პოლიციის, ან სოფლის უფროსი—„ყოველ მოწმობაზე 10 კაპ. საღერბო მარკის დაწებებით. ასეთი მოწმობით გადასატანი თამბაქო აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეფუთული: ტომრებსა, კასრებსა, ყუთებსა თუ სხვა სათავსოში.

აქციზის წესდების მეთორმეტე მუხლის ძალით მოსაწევი თამბაქოს შინაურული დამზადება შეიძლებოდა მარტოოდენ მეთამბაქოეთა მიერ თავიანთ პლანტაციებში, ოჯახში—მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის და არა გასაყიდად; ამასთანავე ეს თამბაქო უნდა დაეჭრათ მხოლოდ ჩვეულებრივი ხელის (ჯიბის) დანით. ყველას, გარდა თამბაქოს ფაბრიკის მფლობელისა და ვინც არ ეწეოდა მანქანებისა და ინსტრუმენტების წარმოებას (კეთებას) ან ვაჭრობას, ეკრძალებოდა თამბაქოს საჭრელი დაზგების და სხვა შესაბამისი იარაღ-ინსტრუმენტების ქონება. თამბაქოს ფაბრიკების გარეთ საერთოდ აკრძალული იყო თამბაქოს ფოთლების დაჭრა, სიგარების, პაპიროსებისა და თამბაქოს სხვა ნაკეთობათა დამზადება ამ მიზნით დაქირავებული მუშების დახმარებით.

ამიერკავკასიაში (წესდების XV მუხლის შენიშვნით) თამბაქოს ფაბრიკების გახსნა თავისუფლად შეიძლებოდა ყველგან და ყველას ეძლეოდა ნება გაეხსნა ასეთი ფაბრიკა და საბითუმო საწყობი, აგრეთვე დაეწყო თამბაქოს ვაჭრობა—ვაჭართა გილდიაში ჩაწერისა და ვაჭრობისა და მესარეწეობის მოწმობის გარეშე, სანამ აქ შემოღებული არ იქნებოდა ვაჭრობის ახალი წესები.

თამბაქოს და სხვ. სააქციზო შემოსავალთა აკრეფისა და სხვა შესაბამის წესთა დაცვისა და ცხოვრებაში გატარებისათვის შეიქმნა აქციზის ამიერკავკასიური სამმართველო, თავისი საოკრუგო განყოფილებებით, რაც საერთოდ კავკასიის ნამესტნიკის მთავარმმართველობას ემორჩილებოდა. ბანდეროლებისა და სააქციზო მოწმობათა გაყიდვი-

დან მიღებული მთელი შემოსავლის 1.5% რჩებოდა კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებაში, აქციზის უწყებისთვის აუცილებელი სხვადასხვა დახმარებისა და წაქეზების აღმოსაჩენად[14].

იმპერიის შიგა გუბერნიებში არსებული თამბაქოს აქციზის ამიერკავკასიაში გავრცელების საკითხების მოწესრიგებასთან დაკავშირებით ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღიარა, რომ როგორც სოფლის მეურნეობისა დ მრეწველობის სხვა დარგების, ასევე, კერძოდ მეთამბაქოეობის სტატისტიკური აღრიცხვა აქ არსებითად მოუწესრიგებელია და აუცილებელია ამ საქმის ჯეროვან დონეზე დაყენება, რასაც აქამდე აბრკოლებდა კვალიფიციური კადრების უყოლობა[15].

1873 წ. 16 მაისს კავკასიის ნამესტნიკი, გენერალ-ფელდცეხმაისტერი მიხეილ რომანოვი ამიერკავკასიის გუბერნიებისა და ოკრუგების უფროსებს ცირკულარული წერილით ატყობინებს, რომ 1873 წლის 1 ივლისიდან „სრულ მოქმედებაში შედის“ თამბაქოს აქციზის აღების სისტემა და თან სახელმძღვანელოდ უგზავნის ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებულ ინსტრუქციებს[16].

თბილისში აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს დაარსებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ გამოცხადებაში სხვათა შორის ნათქვამია: თამბაქოს საბითუმო და საცალო ვაჭრობის მსურველებს ევალებათ თავიანთ საწარმოებში იქონიონ საჭირო დოკუმენტები. საბითუმო ვაჭრობად ითვლებოდა არა ნაკლებ 20 გირვანქა თამბაქოს, აგრეთვე არა ნაკლებ 1000 სიგარისა და 4000 ცალი პაპიროსის გაყიდვა. ამ საგნების ნაკლები რაოდენობით გაყიდვა მიჩნეული იყო საცალო ვაჭრობად[17].

ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის განვითარებისათვის შექმნილი ეს ხელსაყრელი პირობები კიდევ უფრო გაუმჯობესდა, როდესაც 1877 წლიდან რუსეთის ამ პროვინციაზედაც გავრ-

---

[14] საქ. სსრ ცსია, ფ. 371, ანაწ. 1, საქმე № 4, ფურც. 10.

[15] იქვე, საქმე № 7, ფ. 1—2.

[16] იქვე, საქმე № 783, ფურც. 6.

[17] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 5, ფურც. 3.

ცელდა საიმპორტო თამბაქოზე არსებული საიმპერიო ბაჟი, რაც 1 ფუთზე 14 მანეთს შეადგენდა. სულ მალე ამ გარემოებას ზედ დაერთო თურქეთთან ომი—იმავე 1877 წ. რომ დაიწყო, რა დროიდანაც, ცხადია, სავსებით შეწყდა მცირე აზიიდან თამბაქოს ამიერკავკასიასა და საერთოდ რუსეთში შემოზიდვა[18].

აღნიშნული მომენტები შეიქნენ მოსაბრუნ პუნქტად ამიერკავკასიაში სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარების ისტორიაში.

ამ დროიდან კავკასიური თამბაქო ყოველგვარი კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა. ამ მომენტიდან მონოპოლიური მდგომარეობის პირობებში ჩამდგარი კავკასიური მეთამბაქოეობა იწყებს სწრაფ განვითარებას და სულ რაღაც 10 წლის შემდეგ თამბაქოს ფოთლის მოსავალმა 300 000 ფუთამდე მიაღწია, ე. ი. მოსავალი აღმოჩნდა „იმ ნორმაზე მეტი, რაც სჭირდებოდათ გადასამუშავებლად თამბაქოს ადგილობრივ ფაბრიკანტებსო“,—აცხადებს ნახევრადოფიციალური მიმომხილველი[19].

მეთამბაქოეობის განვითარება და თამბაქოს მოსმარების გავრცელება, რა თქმა უნდა, შესაბამისად მადას უღვიძებდა თვითმპყრობელობის ფისკალურ აპარატს. 1878 წ. 18 ნოემბერს კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოდან აქციზის მოსაკრებელთა ამიერკავკასიურ სამმართველოს უფროსს ატყობინებენ, რომ თამბაქოს დაბეგვრისგან ხაზინის შემოსავლის გადიდების მიზნით ფინანსთა სამინისტროში წარმოიშვა მოსაზრება, რომ გადასახადი დაედვას ნედლ თამბაქოს. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით აქციზის ადგილობრივ უწყებებს ევალებათ, მათთვის დარიგებული პროგრამის მიხედვით შეაგროვონ ზუსტი ცნობები საერთოდ მეთამბაქოეობის განვითარებისა და კერძოდ ფურცლადი თამბაქოს ვაჭრობის შესახებ[20].

---

[18] А. Энфианджианц. «О табаководстве в Закавказье» (ТКОСХ, 1888, № 3, стр. 153—155).

[19] И. Иоселиани. Назв. соч., стр. 78; ვ. ბახტაძე, „მეთამბაქოობა“, თბ., 1930.

[20] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 30, ფურც. 1.

30 კითხვისაგან შემდგარი ხსენებული პროგრამა ითვალისწინებს საკითხის საფუძვლიან შესწავლას. გუბერნიებში უნდა შეეგროვებინათ ცნობები მაზრების მიხედვით:

1. თამბაქოს პლანტაციების რაოდენობისა და მათგან დაკავებული მიწის ფართობის სიდიდის შესახებ; მათ შორის თუ რამდენია მემამულეთა და გლეხთა მიწებზე—პატარა, საშუალო და დიდი ზომის პლანტაციების მიხედვით. შეადგენს თუ არა ამა თუ იმ ადგილას მეთამბაქოეობა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს.

2. თამბაქოს პლანტაციებში უპირატესად რა სახის მუშები (ვაჟები, ქალები, მოხუცები, მცირეწლოვანები) არიან დასაქმებულნი და, დაახლოებით, რამდენი სამუშაო დღეა საჭირო 1 დესეტინა მიწის დამუშავებისა და მოსავლის აღებისათვის როგორც მეთამბაქოეობაში, ასევე მემცენარეობის სხვა (სელი, კანაფი, კარტოფილი, ხორბალი და სხვ.) დარგებში.

3. რა ჯიშის თამბაქო (წეკო, თურქული თუ ამერიკული) მოჰყავთ გუბერნიასა და მის ცალკე მაზრებში. ერთსა და იმავე პლანტაციაზე თუ მოჰყავთ სხვადასხვა სორტის თამბაქო.

4. თამბაქო მოჰყავთ სისტემატურად ერთსა და იმავე ადგილზე, თუ მისდევენ თესლბრუნვას და სახელდობრ რა სახისას. რა შედეგებია შემჩნეული, როდესაც თამბაქო თანმიმდევრულად მოჰყავთ ერთსა და იმავე ნაკვეთზე, მაგ., თუ მცირდება თამბაქოს მოსავალი, თუ ეცემა მისი ხარისხი.

5. რანაირ მიწებს ეძლევა უპირატესობა თამბაქოს პლანტაციის გაშენებაში და ნიადაგის მხრივ ერთნაირ პირობებში რა მცენარეებს შეუძლიათ შესცვალონ თამბაქო—დაახლოებით თანაბარი წმინდა შემოსავლის მოცემით.

6. თამბაქოს სხვა საბოსტნე მცენარეებთან ერთადერთ კვალში რგავენ, თუ ცალკე.

7. რა მდგომარეობაშია მეთამბაქოეობა—ვითარდება, თუ, პირიქით, იკვეცება და რა მიზეზებით შეიძლება აიხსნას თამბაქოს წარმოების აღმავლობა თუ დაცემა.

8. რამდენი დანახარჯი სჭირდება 1 დესეტინა თამბაქოს პლანტაციას, თამბაქოს ფოთლების მოკრეფისა და გაშრობის ჩათვლით და აგრეთვე მოყვანას სოფლის მეურნეობის სხვა მცენარეებისა, რომელთაც შეუძლიათ შესცვალონ თამბაქო. რა საშუალო მოგებას იძლევა 1 დესეტინა თამბაქო და აგრეთვე სხვა მცენარით დაკავებული იმდენივე ფართობი.

9. უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში ცალ-ცალკე ჯიშების (სორტების) წონის მიხედვით რა რაოდენობის თამბაქოა აღებული 1 დესეტინიდან.

10. რა უმაღლესი, საშუალო და დაბალი ფასი დაედვა უკანასკნელ 3 წელიწადში სხვადასხვა ჯიშის თამბაქოს ცალ-ცალკე: მოკრეფისა და გახმობის შემდეგ, ღვივილის (брожение) შემდეგ. რა გავლენას ახდენს ფასებზე პლანტატორთაგან ფოთლების დასორტება და შეკვრა (შეფუთვა).

რა ფასი ედება დაშლილ-დახეულ და გაფუჭებულ ფოთლებს, აგრეთვე ჩამონახევებსა და ნამცეცებს, რაც ფოთლების ასხმულას, დასორტებისა და შეკვრისას რჩება. გლეხთა მიწებსა და ბოსტნებში მოყვანილი თამბაქოს ფასები დაბალია, მაღალი თუ თანაბარი მემამულეთა პლანტაციებში მოყვანილ თამბაქოს ფასებთან შედარებით.

11. როდის იწყება და თავდება ფოთლების კრეფა პლანტაციებში, რამდენი დრო უნდება მოკრეფილი ფოთლების გახმობას. როდის იწყება და რამდენ ხანს გრძელდება თამბაქოს ფოთლების ღვივილი. თუ ბევრს აქვს, მემამულეებსა და გლეხებს, ცალკე შენობები თამბაქოს ფოთლთა გასახმობად და ღვივილისათვის და სად ხდება ეს პროცესი იმ შემთხვევაში, როდესაც პლანტატორებს არა აქვთ ასეთი შენობები.

12. დაახლოებით რამდენ პროცენტს ჰკარგავს 1 ფუთი ნედლი ფოთოლი გახმობის და ასევე ღვივილის შემდეგ.

13. ჯიშების მიხედვით რა დროსაა საბოლოოდ მომზადებული გასაყიდად თამბაქო, როდის იყიდება ახალი მოსაელის უდიდესი ნაწილი და თუ ხშირია შემთხვევები, რომ იგი გაუყიდველი რჩება—მოცემულ ადგილას საერთოდ დადგენილი თამბაქოს გასაღების ვადის გასვლის შემდეგაც.

14. რა ჯიშის თამბაქო ბარდება მყიდველებს ღვივილის გარეშე, მხოლოდ გახმობის შემდეგ და სად გადის იგი ღვივილის პროცესს—საწყობსა თუ უკვე ფაბრიკაში. პლანტაციებსა და საწყობებში თუ ჰყავთ ცალკე ოსტატები ან ტექნიკოსები, რომლებიც მეთვალყურეობენ გახმობას, ღვივილს და საერთოდ ფურცლადი თამბაქოს დამუშავებას;—თუ ჰყავთ, მაშინ რამდენს და რა სახით ღებულობენ ისინი ხელფასს.

15. გახმობის შემდეგ თუ შეუძლია თამბაქოს გაუფუჭებლად აიტანოს ხანგრძლივი გადაზიდვა, თუ ზოგიერთი ჯიშისთვის უწინარეს აუცილებელია ღვივილის პროცესის გავლა.

16. რა სახით ბარდება თამბაქო მყიდველს და რა წესებია მისი ჩაბარებისა, ე. ი. თუ ბარდება იგი ძაფებზე აგებული, ე. ი. ასხმულების სახით; თუ ექცევა ყურადღება, რომ ასხმულები შედგენილი იყოს ერთნაირი ხარისხის, ფერისა და სიდიდის ფოთლებისგან; თუ ხდება ჩაბარებისას თამბაქოს შეფუთვა და სახელდობრ რა სახით: ზედმეტი სინესტისას აწონის დროს თუ აკლდება გარკვეული პროცენტი შეშრობისთვის, აგრეთვე ტარისა, რაშიც შეკრულია ასხმულები; თუა საჭირო, რომ ფოთლებს ღეროები მოკლედ ჰქონდეთ შეჭრილი; რა ბოროტმოქმედებებია შემჩნეული პლანტატორთა მხრივ თამბაქოს ჩაბარებისას.

17. სად საღდება თამბაქო: წარმოების ადგილებში, თუ პლანტატორებს იგი გააქვთ იარმარკეტებსა და ბაზრებზე.

18. თუ ეძლევა თამბაქოსთვის წინასწარი ბე და რა რაოდენობით.

19. ბითუმად მოვაჭრენი და შემსყიდველნი სად და როგორ ინახავენ (აწყობენ) შესყიდულ თამბაქოს; თუ ეწევიან ისინი მის დასორტებას; მის

გახმობას და ღვივილის ოპერაციას; თუ აქვთ მათ ამისთვის მუდმივი ან დროებითი შენობა.

20. მეთამბაქოეობაზე მთავრობის მეთვალყურეობის დაწესების მიზნით, ზომ არაა საჭირო დაწესდეს: ა. უმცირესი ზომა პლანტაციისა და საბელდობრ რამდენი და ბ. უმცირესი ზომა ყველა პლანტაციის ფართობისა ერთად—მოცემულ მაზრაში.

აქვე აღნიშნულია, რომ იმ დროს არსებული კანონის მიხედვით პოლონეთის გუბერნიებში თამბაქოს ყოველ პლანტაციას უნდა ეჭიროს არა ნაკლებ 140 კვ. საჟენისა და ამასთანავე იგი აუცილებლად მთლიან ნაკვეთს უნდა შეადგენდეს. საფრანგეთის მხოლოდ ზოგიერთ დეპარტამენტში იყო ნებადართული თამბაქოს მოყვანა და პლანტაციის უმცირესი ფართობი განსაზღვრული იყო 435,5 კვ. საჟ., ასევე ავსტრიაშიც, სადაც ფართობის მინიმუმი სხვადასხვანაირი იყო: გალიციაში—75 კვ. საჟენი ბოსტნებსა და 200 კვ. საჟ. მინდვრებში, უნგრეთში—300 კვ. საჟ. ბოსტნებსა და 800 კვ. საჟ. მინდვრებში, ტრანსილვანიაში შესაბამისად 200 და 400.

21. თუ შესაძლებელია დადგინდეს, რომ პლანტაციებს ჰქონდეთ მეტად თუ ნაკლებად სწორი ოთხკუთხედის ფორმა; რომ თამბაქო დაირგოს მწკრივებზე პირდაპირი ხაზით, ისე, რომ მათში შერეული არ იყოს სხვა მცენარეები; რათა მანძილი თამბაქოს ცალკე ნარგავებს შორის, ასევე ამ მცენარის მწკრივებს შორის თანაბარი იყოს; რომ მწკრივებში თანაბარი რაოდენობის თამბაქოს ძირი იყოს დარგული და, რომ, დასასრულ, თვითეულ პლანტაციაში თამბაქოს ყოველ ძირს მოსავლის აღების დროისთვის დატოვებული ჰქონდეს თანაბარი რაოდენობის ფოთლები (საფრანგეთში მიღებული იყო ერთ ძირზე საბოლოოდ შეერჩინათ 6—9 ფოთოლი—ადგილმდებარეობის მიხედვით).

22. თუა შესაძლებელი, რომ ფოთლების მოსავლის აღებამდე დადგინდეს, ამა თუ იმ ფართობიდან, მისაღები თამბაქოს რაოდენობა.

23. თუა შესაძლებელი და რა ხერხით, რომ დადგინდეს სახეზე არსებული თამბაქოს რაოდენობა მისი გახმობის დროს.

24. რა ხერხია (წესია) ყველაზე უფრო ხელსაყრელი პლანტაციის გასინჯვისათვის, თამბაქოს მოსავლის ზუსტი განსაზღვრის მიზნით.

25. რამდენს იკლებს თამბაქო გადაზიდვისას, მერმე საწყობში ერთი წლის განმავლობაში შენახვისას.

26. ვის გადააქვს თამბაქო საწყობამდე: პლანტატორს თუ მყიდველს. უკანასკნელ შემთხვევაში რას უდრის 1 ფუთის გადაზიდვის ფასი—რკინიგზის თუ ნავსადგურის უახლოეს პუნქტამდე.

27. ვისაა თამბაქოს მთავარი მყიდველი: ფაბრიკანტები, მესაწყობენი თუ გადამყიდველები და რა ზომითაა განვითარებული პლანტატორებში თამბაქოს წვრილი რეალიზაცია თვით პლანტაციების ადგილებში.

28. თამბაქოს ღეროები ხომ არ გამოიყენება მოსაწევი თამბაქოს ან ბურნუთის გასაკეთებლად.

29. გუბერნიის საზღვრებიდან სად გააქვთ თამბაქო და რა რაოდენობით.

30. ადგილობრივი მოსახლეობა ყველაზე უფრო რა ჯიშისა და რა სახელწოდების თამბაქოს მოიხმარს და საიდან ღებულობს მას[21].

მეთამბაქოეობის მდგომარეობის შესწავლის მიზნით შედგენილი ეს უაღრესად დაწვრილებითი პროგრამა მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ ფისკის ინტერესების სამსახურს, მხოლოდ სახელმწიფოს (მეტროპოლიის) სასარგებლოდ დასაბეგრი წყაროების ზუსტ აღრიცხვას და, მაშასადამე, ხაზინის შემოსავლის გადიდებას. პროგრამაში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი საკუთრად მეთამბაქოეობის გაუმჯობესებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ. მეთამბაქოეობის მიმდევარი მოსახლეობისათვის აგროტექნიკური. ან სხვა რაიმე სახის დახმარების გაწევისათვის.

ამ პროგრამის მიხედვით შესწავლილ იქნა ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის მდგომარეობა. აქციზის მოსაკრებელთა ადგილობრივი სამმართველოს უფროსის შესაბამისი (1879 წ.) ანგარიშგების მასალებიდან ჩვენ ვგებულობთ რიგ საინტერესო ცნობას.

„...1870 წლამდე აქაურ ნავსადგურებში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ თურქული თამბაქო ტრაპიზონიდან, სამსუნიდან და ბათუმიდან. მაგრამ ადგილობრივი მეთამბაქოეობის განვითარების შესაბამისად თამბაქოს შემოზიდვა თურქეთიდან შემცირდა. ხოლო უცხოეთის თამბაქოს ბაქის გადიდებასთან ერთად თამბაქოს იმპორტი თითქმის სრულებით შეწყდა. ფაბრიკანტები და მომხმარებლები თანდათანობით დარწმუნდნენ, რომ თურქული ჯიშის კავკასიურ თამბაქოს შეუძლია მთლიანად შესცვალოს საზღვარგარეთიდან შემოზიდული თამბაქო, გარდა დიუბეკის ყველაზე უფრო ნაზი ჯიშებისა. ამის შედეგად წარმოიშვა მნიშვნელოვანი ცვლილება ამ საქონლის

[21] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 30, ფურც. 2—3.

მოძრაობის მიმართულებაში. წინათ ჩვენ თამბაქოს ვღებულობდით დიდი რაოდენობით სამხრეთიდან. ხოლო ამჟამად, პირიქით, ნაწილი ჩვენი თამბაქოსი იგზავნება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ნოვოროსიისკიდან ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, თბილისში და სხვ[22].

სწორედ ამ ხანებში ზემოხსენებულ მოვლენათა ვითარებაში მეთამბაქოეობა სწრაფად ვრცელდება შავი ზღვის რუსეთის მთელ სანაპიროზე; მაგალითად, ნოვოროსიისკის ოლქში მოსახლეობა ფრიად გაიტაცა ამ პერსპექტივიანმა კულტურამ. აქციზის უწყების მოხელე აღნიშნავს, რომ აქ მეთამბაქოეობას ხელი მოჰკიდა ყველამ: სხვადასხვა დარგის სელოსანმა, ქარგალმა და მათმა შეგირდებმა, ვაჭრებმა, სახელმწიფოებრივმა სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებმა და თვით მეზღვაურებმაც კი.—ესოდენ დიდი იყო ნავარაუდევი ეფექტი მეთამბაქოეობის შემოსავლიანობისა[23]. ერთი სიტყვით, სოფლის მეურნეობის დარგთა შორის ამ დროს კომერციული თაოსნობის ადამიანთათვის მეთამბაქოეობა ყველაზე უფრო მიმზიდველი კულტურა შეიქნა.

ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მე-19 ს. 60-იანი წლების მიწურულიდან სულ უფრო ფართო მასშტაბით წინაურდებიან მეთამბაქოეობის ახალი რაიონები. ამასთანავე სხვადასხვა უცხოურ თამბაქოს ჯიშთა შორის ათეული წლების მანძილზე წარმოებულმა შერჩევამ თანდათანობით ნათელჰყო თურქული ჯიშის თამბაქოს,—განსაკუთრებით ტრაპიზონისა და სამსუნის მრავალმხრივი უპირატესობა, რასაც, ცხადია, არამცირედი ზომით ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მთელს კავკასიაში და შავი ზღვის რუსეთის მთელ სანაპიროებზედაც მეთამბაქოეო-

---

[22] ЦАУ ГССР, фонд канц. Кавказского наместника, д. № 1010, 1877, л. 41.

[23] იქვე, ფურც. 42.

ბის ოსტატებად ძალიან ხშირად გამოდიოდნენ თურქეთიდან დროებით გადმოსული და საერთოდ გადმოსახლებული პლანტატორები—ჭანები (ქართველები). ბერძნები. სომხები და სხვა, რომელთაც უკვე გამომუშავებული ჰქონდათ ნსენებული ჯიშების თამბაქოს მოვლა-პატრონობის წარმოებრივი გამოცდილება და ჩვევები[24].

აღსანიშნავია. რომ ოსმალეთის სამფლობელოებიდან თურქული ჯიშის თამბაქოს თესლისა და მეთამბაქოეთა გამოწერა ამიერკავკასიაში დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 ს. 40-იანი წლებიდან. კავკასიის ნამესტნიკი მ. ვორონცოვი 1846—1848 წწ. თავისი მოღვაწეობის უქვეშევრდომილეს ანგარიშგებაში სხვათა შორის წერდა, რომ „ზოგიერთმა აქაურმა მემამულემ თურქეთიდან გამოიწერა ოსტატები თურქული ჯიშის თამბაქოს მოსაყვანად“[25].

მ. ვორონცოვს მხედველობაში ჰყავდა უპირატესად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მემამულეები. მაგრამ ასეთი ღონისძიება იმ პერიოდში ჯერ კიდევ სპორადულ ხასიათს ატარებდა, ხოლო 60-იანი წლებიდან ტრაპიზონისა და სამსუნის საფაშოებიდან ამიერკავკასიაში ბლომად გადმოსულ მეთამბაქოე ქართველებს (ლაზებს), ბერძნებსა და სომხებს საჭირო ზომით თან მოჰქონდათ თურქული ჯიშის თამბაქოს თესლიც.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან აქციზის უწყებაც, ცხადია. ცდილობს უფრო დეტალური და ზუსტი ცნობები მოიპოვოს მეთამბაქოეობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ, რამდენადაც ამიერიდან. ეს კულტურა უკვე „დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა“ ხდება და არა მხოლოდ როგორც მოსახლეობის ფართო მასების მოთხოვნილებისა და, მაშასადამე, მოხმარების საგანი, არამედ, უმთავრესად როგორც სახელმწიფოებრივი ხაზინის შემოსავლის დიდმნიშვნელოვანი წყარო.

---

[24] იქვე, ფურც. 40 — 43.
[25] АСКАК, X, 867.

აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს მონაცემებით 1879 წელს თამბაქოს პლანტაციების რაოდენობა და ფართობი უდრიდა:[26]

	პლანტ. რაოდენობა	ფართობი დესეტინ
თბილისის გუბერნიაში	384	590
ქუთაისის . .	1530	957
სოხუმის ოკრუგში .	14	9
ელისავეტპოლის გუბერნიაში	154	61
ბაქოს	518518	126
ერევნის	227	81
ზაქათალის ოკრუგში	43	69
სულ	2 870	1 893

ამ მონაცემების მიხედვით მეთამბაქოეობა გავრცელებული იყო უფრო თბილისის გუბერნიის, სიღნაღის (415 დეს.), თელავისა (91 დეს.) და თბილისის მაზრებში (75 დეს.); ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის (463 დეს.), ოზურგეთისა (300 დეს.) და ზუგდიდის (180 დეს). მაზრებში; ელისავეტპოლის გუბერნიის ზანგეზურის (22 დეს.), ნუხის (20 დეს.) და ელისავეტპოლის (12 დეს.) მაზრებში; ბაქოს გუბერნიის ყუბისა (106 დეს.) და ლენქორანის (7 დეს.) მაზრებში; ერევნის გუბერნიის ერევნისა (70 დეს.) და ეჩმიაძინის (4 დეს.) მაზრებში. თამბაქოს პლანტაციები ხშირად მიწის ძალზე წვრილ ნაკვეთებზე ჰქონდათ გაშენებული. ასეთი ნაკვეთი ზოგან 2-3 კვ. საჟენს არ აღემატებოდა.

ამ დროისთვის ამიერკავკასიაში საერთოდ თამბაქოს კულტურის განვითარებისა, მისი რაიონობრივად გაადგილებისა და მეურნეობრივი მნიშვნელობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აქციზის სამმართველოს მოხელის მიერ ზემოხსენებული პროგრამის შესაბამისად 1879 წელს შედგენილი მიმოხილვა.

---

[26] ЦАУ ГССР, фонд канц. Кавказского наместника, д. № 1010, 1877, лл. 59—60.

ამ ასპექტში საჭიროა აქამდე გამოუქვეყნებელი ამ დოკუმენტიდან მოვიყვანოთ აქ ერთი ვრცელი ამონაწერი[27]:

„1. თამბაქოს კულტურა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მხოლოდ თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში, ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის. ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში და ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრაში.

2. პლანტაციების დამუშავებას აწარმოებენ მამაკაცები. ქალები, მოხუცები და მცირეწლოვანები—განურჩევლად. ერთ დესეტინა თამბაქოს პლანტაციის დამუშავებისა და მოსავლის აღებისთვის საჭიროა დაახლოებით 145 სამუშაო დღე. ხოლო სოფლის მეურნეობის სხვა მცენარისათვის—40 დღე.

3. თურქული თესლისაგან მოჰყავთ შემდეგი სორტების თამბაქო: სამსუნი, ტრაპიზონი. დიუბეკი—თბილისის. ახალქალაქის. სიღნაღის, თელავის, თიანეთის. ქუთაისის. შორაპნის. სენაკის, რაჭის. ლეჩხუმის. ოზურგეთის. ზუგდიდის. ელისავეტპოლის, ჯევანშირის. შუშის. ზანგეზურის. ნუხის. ყუბის. ლენქორანის, ეჩმიაძინის, შარურ-დარალაგიოზის. ნახჭევანის მაზრებში, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგში. წიკო მოჰყავთ ელისავეტპოლის, ჯევანშირის. ყაზახის. არეშის. შუშის, ზანგეზურის, შემახიას. გეოქჩაის. ყუბის. ლენქორანის მაზრებში და დაღისტნის ოლქში. გარდა ამისა. მოჰყავთ ადგილობრივი ჯიშის თამბაქო შემდეგ მაზრებში: ყაზახის (ცნობილია „ზავოდსკოის“ სახელით), ჯევათის (უსახელოა). ერევნის („კუილანდურის“ სახელწოდებით) და ეჩმიაძინისა (უსახელოა). ყველა ჩამოთვლილი თამბაქოს ჯიში კულტივირებულია. უპირატესად ცალ-ცალკე ნაკვეთებზე, ხოლო ზოგჯერ ერთად ერთდაიმავე პლანტაციაზე*.

[27] ЦАУ ГССР, Ф. канц. Кавказского наместника, д. № 1010. 1877 г. лл. 56—58.

* ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობას დიდი ხანია ეწევიან პირველყოფილი წესით, ყოველივე სისტემის გარეშე, ამასთან თამბაქო მოჰყავთ როგორც დაბლობში, ასევე მაღალ მთებზე. აქ ვრცელი პლანტაციის გვერდით გვხვდება ერთი მტკაველი მიწა, რომელზედაც ხარობს მხოლოდ რამდენიმე ძირი თამბაქო. თამბაქოს პლანტაციისათვის ხშირად შერჩეულია მთავ-

4. მეთამბაქოეობის ზოგიერთ ადგილას შემოღებულია თესლბრუნვა, ხოლო სხვაგან თამბაქო ითესება თანმიმდევრობით, წლითიწლობით, ერთსადაიმავე მიწის ნაკვეთზე. თესლბრუნვის შემთხვევებში იცავენ შემდეგ წესს: თავიდან პირველ ორ წელს ითესება თამბაქო, ხოლო შემდეგ ორი ან სამი წლის განმავლობაში იმავე ნაკვეთზე ითესება სოფლის მეურნეობის სხვა მცენარე. თამბაქოს თანმიმდევრობითი თესვის გამო ნიადაგი საგრძნობლადაა გამოფიტული და მისი ხარისხი უარესდება. ასეთი არახელსაყრელი შედეგები, თამბაქოს განუწყვეტლივი თესვის გამო, არ არის შემჩნეული იქ, სადაც ნიადაგს მუდმივად ანოყიერებენ.

5. თამბაქოს პლანტაციებს დაკავებული აქვთ უპირატესად შავნიადაგიანი მიწის ნაკვეთები, ხოლო ზოგიერთ ადგილში, შავნიადაგიანი ნაკვეთების სიმცირის გამო, თამბაქო ითესება თიხოვან ფხვიერ ნიადაგზე. ნიადაგის თანაბარ პირობებში თამბაქოს შეცვლა შეიძლება სოფლის მეურნეობის შემდეგი კულტურებით: ბამბით, ქუნჯუთით და ბრინჯით, რომელნიც იძლევიან დაახლოებით თანაბარ წმინდა შემოსავალს.

6. თამბაქოს რგავენ სხვა მცენარეთაგან ცალკე კვლებზე.

7. მეთამბაქოეობა, საერთოდ, ამიერკავკასიაში, თუმცა ვითარდება, მაგრამ ნელი ტემპებით. თამბაქოს წარმოების დაცემა ზოგიერთ ცალკეულ ადგილში აიხსნება ვარგისი მიწის და სარწყავი წყლის ნაკლებობით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში კი რაციონალური კულტურის სპეციალურად მცოდნე ადამიანების უყოლობით.

8. ერთი დესეტინა თურქული ჯიშის თამბაქოს პლანტაციის დამუშავება ჯდება 120 მანეთიდან 250 მანეთამდე, ხოლო ერთი დესეტინა წეკოს და ადგილობრივი თამბაქოსი—40 მანეთიდან 150 მანეთამდე. დამუშავება სოფლის მეურნეობის მცენარეებისა, რომელთაც თამბაქოს შენაცვლება შეუძლიათ, ჯდება 20 მანეთიდან 80 მანეთამდე. საშუალო მოგება თურქუ-

---

რობის ზედამხედველობისათვის სრულიად მიუწვდომელი ადგილები, როგორიცაა, მაგალითად, ღრმა ხევები, ქვაბურები, კლდოვანი მთების ფერდობები და სხვ.

ლი ჯიშის თამბაქოს პლანტაციის ერთი დესეტინიდან უდრის 50 მან. 400 მანეთამდე, წეკოსა და ადგილობრივი თამბაქოსი— 150 მან. 200 მანეთამდე. სოფლის მეურნეობის სხვა მცენარეთა—არ აღემატება 80 მანეთს.

9. ქუთაისისა და ელისავეტპოლის გუბერნიებიდან და აგრეთვე სოხუმის ოკრუგიდან თამბაქო გაქვთ ქ. თბილისში, საიდანაც ნაწილობრივ ფოთლადი და ნაწილობრივ დამზადებული სახით იგზავნება ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში. გარდა ამისა, მცირე რაოდენობა იგზავნება თერგის ოლქსა და შიგა რუსეთის რაიონებში. დამოუკიდებლად ამისა, თამბაქოს ფოთოლი ელისავეტპოლის გუბერნიიდან იგზავნება ქ. ბაქოში. სახელდობრ. თუ რამდენი თამბაქო იგზავნება ყოველწლიურად თითოეული გუბერნიიდან,—ამის შესახებ არა მარტოდ ზუსტი, არამედ თუნდაც დაახლოებითი ცნობების შეკრება შეუძლებელი იყო. ვინაიდან არ არსებობს არავითარი საამისო მონაცემები"[28].

1872 წლის საიმპერიო საქციზო სისტემა 1873 წლიდან გავრცელდა ამიერკავკასიაზედაც. მაერამ ხუთიოდე წლის შემდეგ რუსეთის ამიერკავკასიის საზღვრები საგრძნობლად გაფართოვდა. რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში თურქეთის ბატონობიდან განთავისუფლებულ იქნა ოდითგანვე საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ბათუმისა და ყარსის ოლქების სახით შევიდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ერთეულში.

კავკასიის ნამესტნიკმა მიხ. რომანოვმა 1879 წ. 3 სექტემბერს ბორჯომში დაამტკიცა ინსტრუქცია „ყარსისა და ბათუმის ოლქებსა და ქ. ბათუმში თამბაქოს აქციზის გავრცელებისა და მოქმედების შესახებ". ამ ინსტრუქციის თანახმად საერთოდ რუსეთის იმპერიაში მოქმედი თამბაქოს აქციზი ხსენებულ ახ-

---

28 ЦАУ ГССР. ф. канц. Кавказского наместника. д. № 1010, 1877. лл. 57—58.

ლად ‘ეემოეოთეაულ აოოვინციებში ვრცელდებოდა 1879 წ. 1 ოქტომბრიდან—ამიერკავკასიისთვის მიღებული მოდიფიკაციის შესაბამისად.

ამიერიდან ყარსისა და ბათუმის ოლქებსა და ქ. ბათუმში თამბაქოს ყოველგვარი ვაჭრობა და მრეწველობა იბეგრებოდა აქციზის წესდებით გათვალისწინებული მოსაკრებლებით.

ინსტრუქციის მეორე მუხლისთვის გაკეთებული შენიშვნა განმარტავდა, რომ ქ. ბათუმის პორტო-ფრანკოს მიხედვით გათვალისწინებული უცხოური საქონლის საბაჟო საფასურის გადაუხდელად შემოტანის წესი არ ვრცელდებოდა კერძოდ უცხოურ თამბაქოს მზანაწარმზე. საზღვარგარეთიდან შემოტანილ თამბაქოს აქციზის მოსაკრებელი დაედებოდა ქ. ბათუმის თამბაქოს ფაბრიკებში შეძენილი ბანდეროლის სახით. ანდა თვით პორტის საწყობში აქციზის სამმართველოს მოხელის მიერ გაცემული (დაწებებული) ბანდეროლის სახით[29].

სააქციზო უწყება, ცხადია, ბიუროკრატიული აპარატის ჭეელი გულმოდგინებით ცდილობდა აქციზის წესდებითა და შესაბამისი ინსტრუქციებით გათვალისწინებული თამბაქოს წარმოების ცხოვრებაში ზუსტად გატარებას, ე. ი. ხაზინის ინტერესების დაცვას, იბრძოდა თამბაქოს კონდრაბანდული გზით ვაჭრობისა და გავრცელების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ასე, მაგალითად, ამიერკავკასიაში აქციზის მოსაკრებელთა სამმართველოს უფროსი 1880 წ. აპრილს კავკასიის ნამესტნიკის მთავარმართებლობის დეპარტამენტს ატყობინებდა, რომ ამიერკავკასიელი ვაჭრების ხელში თავმოყრილია მნიშვნელოვანი რაოდენობის სპარსული (ირანული) თამბაქო, რაც მათ მიერ შეძენილია სანამ გამოიცემოდა განკარგულება დამზადებულ სპარსულ თამბაქოზე საგანგებო ბანდეროლების დადების შესახებ. ამის გამო აქციზის უწყება ახლა ნებართვას თხოულობს და, რათა „სპარსული თამბაქოს სახეზე არსებული მთელი მზანაწარმი დაიბეგროს შესაბამისი ბანდეროლით და ამ მიზნით

[29] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე 1130, ფურც. 1—2.

თამბაქოს ვაჭრებს დაეკისროთ, რომ ერთი თვის ვადაში განაცხადონ, თუ რა რაოდენობის აეთი თამბაქო მოეაოვებათ მათ. ამასთანავე იგი თხოულობდა განმარტებას,—შეიძლებოდა თუ არა დუქნებსა და ფარდულებში დაეშვათ სპარსული ნედლი თამბაქოს ვაჭრობა.

თავის მხრივ კავკასიის ნამესტნიკის მთავარმართველობის დეპარტამენტი იტყობინება, რომ სპარსული თამბაქოს მზანაწარმის დაბეგვრა სავსებით გამართლებულია ბანდეროლის შესახებ არსებული წესებით და იმ მიზნითაც, რომ ამიერიდან არ იქნას დაშვებული სპარსული თამბაქოს კონდრაბანდული ვაჭრობა; ამასთანავე უცხოური ნედლი თამბაქოს ვაჭრობა შეიძლება მსოლოდ ბითუმად საწყობების მეშვეობით, ხოლო მისი ის მარაგი, რაც წვრილად მოვაჭრე მედუქნეებს მოეპოვებათ, უკანასკნელებმა მათთვის ამა თუ იმ სახის მომგებიანი ოპერაციით უნდა მთლიანად გაყიდონ ერთი წლის განმავლობაში, რის მერმეც მათ საერთოდ ეკრძალებათ სპარსული ნედლი თამბაქოს ყიდვა-გაყიდვა. მთელი ეს მითითება უნდა შესრულებულიყო სპარსული თამბაქოს აქ არსებული მარაგების ზუსტი აღრიცხვისა და შესაბამისი ანგარიშვების წესების დაცვით[30].

V. 1882 წ. წესდების გავლენა

მე-19 ს. 70-იანი წლების მიწურულიდან, ზემოხსენებულ გარემოებათა მეოხებით. შეწყდა რა თურქეთიდან მაღალხარისხოვანი თამბაქოს შემოზიდვა, ადგილობრივმა მეურნეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს და გააფართოეს თურქული (ტრაპიზონისა და სამსუნის) ჯიშის წარმოება.

მაგრამ თურქული ჯიშის თამბაქოს ამიერკავკასიაში საბოლოოდ გაბატონებას ხელი შეუწყო 1882 წ. მიღებულმა და 1883 წლიდან ძალაში შესულმა თამბაქოს აქციზის წესდებამ..

---

[30] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 46, ფურც. 46—47.

ამიერიდან „ფოთლადი თამბაქოს გასაღება შეიძლება მხოლოდ თამბაქოს საწყობებსა და თამბაქოს ფაბრიკებზე. თამბაქოს ფოთლის (ე. ი. უბანდეროლო საქონლის) მიყიდვა ცალკეულ მომხმარებელთა და საწვრილმანო დუქნებისათვის აკრძალულია"[1].

ხუთი წლის შემდეგ ქ. ვერმიშევი, იხილავდა რა ამიერკავკასიაზე ამ კანონის გავლენას, წერდა: „თამბაქოს წესდება შეიქნა მიზეზი თამბაქოს ფარული ვაჭრობის გავრცელებისა და მან თითქმის სავსებით ჩამოაცილა წვრილი ვაჭრები თამბაქოს ვაჭრობას... ერთ-ერთი არსებითი მიზეზი მეთამბაქოეობის დაცემისა, რომელზედაც მრავალი მკვლევარი მიუთითებს არის კანონი თამბაქოს გასაღების შესახებ"[2].

ამიერკავკასიაში თურქული ჯიშების თამბაქოს შემდგომ გავრცელებას, როგორც ეტყობა, ხელი შეუწყო აგრეთვე ევროპული კრედიტორი-სახელმწიფოების დაწოლით თურქეთში 1884 წლიდან თამბაქოს კონცესიური მონოპოლიის შემოღებამ[3].

1882 წ. კანონმა, რასაკვირველია, ერთხნობით დააბრკოლა ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის განვითარება, მაგრამ არა იმიტომ, უკეთა ვსთქვათ არა იმდენად და იმის გამო, რომ ფაქტიურად გამოდევნა თამბაქოს წვრილი ვაჭრები (შემსყიდველები), არამედ სახელდობრ იმის მეოხებით, რომ ამ კანონმა, წმინდა ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარე, თამბაქოს პლანტატორები, განსაკუთრებით წვრილი მწარმოებლები, საბოლოოდ დაუმორჩილა თამბაქოს ფაბრიკანტებსა და მსხვილ საწყობთა პატრონ ვაჭრებს, ე. ი. სააქციზო მოსაკრებელთა გადამხდელებს.

სწორედ ამ გარემოების მეოხებით წარმოიშვა თამბაქოს ფოთლის რეალიზაციის ის ფორმა, რომელსაც აგვიწერს ქ.

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 52, ფურც. 110—116.

[2] Х. Вермишев, «Земледелие у гос. крестьян Закавказского края», стр. 439—440.

[3] П. Жуковский, «Земледельческая Турция», 1933, М.-Л. стр. 508—509.

ვერმიშევი: „აძეამად მსხვილი პლანტატორები თვითონ (დაქირავებული მუშების საშუალებით— პ. გ.) ამუშავებენ თავიანთ თამბაქოს და ჰყიდიან მას მზა ნაწარმის სახით ბარდნებად და დასტებად დატკეცილს; წვრილი პლანტატორების უმრავლესობა, რომელთაც ფული ესაჭიროებათ, ჰყიდიან ან შეუტეხელ... ანდა ზონარზე აცმულ თამბაქოს... ორსავე შემთხვევაში თამბაქოს ჰყიდულობენ, ჩვეულებრივად, უფრო შეძლებული პლანტატორები, რომლებიც, ახარისხებენ და აწყობენ მათ ბარდნებად და შემდეგ, თავის მხრივ, ჰყიდიან ფაბრიკანტებსა და საწყობების პატრონებზე“[4].

მაგრამ 1882 წ. კანონმა დიდი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიაში გავრცელებული თამბაქოს ჯიშობრივ შედგენილობასა და საერთოდ ამ კულტურის გაადგილებაზედაც[5].

თამბაქოს უბანდეროლოდ, ე. ი. სააქციზო მოსაკრებელის გადახდის გარეშე გაყიდვის აკრძალვამ გააძვირა და, მაშასადამე, უშუალო მწარმოებელთათვის ნაკლებად შემოსავლიანი გახადა განსაკუთრებით დაბალი ხარისხის ადგილობრივი თამბაქოს ჯიშები და, ამგვარად, მალე გამოიწვია ბაზრიდან მათი თითქმის სავსებით გამოდევნა[6].

მართალია, 1883 წელს ფინანსთა მინისტრმა ნ. ბუნგემ დაამტკიცა წესები „ზოგიერთი მდარე სორტის ადგილობრივი ჯიშის თამბაქოს მზანაწარმის დაბალი ვანაკვეთის ბანდეროლით გამოშვების შესახებ“, მაგრამ იგი უპირატესად რუსეთის ცენტრალურ, ბალტიისპირა და პოლონურ გუბერნიებს შეეხებოდა და ამიერკავკასიაზე არსებითად არც გავრცელებულა, თუმცა, ამ წესების შესახებ უმართებულესი სენატის ბრძანებულება კავკასიის ნამესტნიკის სამოქალაქო მთავარმართებლობის უფროსსაც გამოეგზავნა ცნობისათვის[7].

---

[4] იქვე, გვ. 440.

[5] «О влиянии акцизной пошлины на кавказское табаководство» («Кавказ», 1884, № 252).

[6] МИЭБГКЗК, I, 284; — II, II, 154, 192; — VII, 488; ТКОСХ, 1888, № 3, стр. 153—154.

[7] საქ. სსრ ცსია, ფ. 371, № 52, ფურც. 46.

„თამბაქოს „ადგილობრივი“ ჯიშები განსაკუთრებით მალე გაიდევნა ამიერკავკასიის' იმ რაიონებიდან, სადაც უფრო ადრე ჩამოყალიბდა სავაჭრო მეთამბაქოეობა; კერძოდ თბილისისა და უმთავრესად ქუთაისის გუბერნიაში,—სადაც „ადგილობრივი“ ჯიშის თამბაქოს ადგილი დაიჭირა ამიერიდან უფრო რენტაბელურმა მაღალხარისხოვანმა თურქულმა და ნაწილობრივ ამერიკულმა ჯიშებმა.

1887 წელს მთელს ამიერკავკასიაში აღრიცხულ თამბაქოს 2264 დესეტინა პლანტაციიდან მოდიოდა: თურქულ ჯიშებზე 84 პროცენტი, წეკოსა და სხვადასხვა ადგილობრივ ჯიშებზე—13 პროცენტი; ამერიკულ ჯიშებზე კი—3 პროცენტი. ამასთანავე თურქული და ამერიკული ჯიშები გაბატონებული იყვნენ ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებსა და ზაქათალის ოკრუგში, ხოლო წეკო და „ადგილობრივი“ ჯიშები მოჰყავდათ უმთავრესად ერევნის, ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში[8].

აღსანიშნავია აგრეთვე ის მომენტიც, რომ, როგორც ერთხმად მიუთითებდნენ დამკვირვებლები, ახალი, უცხოური, ე. ი. ამერიკული და თურქული ჯიშის თამბაქო უკეთესად ხარობდა იმ ნაკვეთებზე (ნიადაგებზე), სადაც წინათ საერთოდ, ანდა დიდი ხნის განმავლობაში არ მოჰყავდათ ადგილობრივი ჯიშის თამბაქო[9].

ახალი, უცხოური ჯიშის თამბაქო, ამგვარად, ამავე დროს შეიქნა ამ დარგში სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების ერთგვარი აღმძვრელი ფაქტორი.

რაც უფრო ვითარდებოდა მეთამბაქოეობა იმპერიაში ფისკის ორგანოები, ცხადია, მით უფრო აუმჯობესებენ სოფლისმეურნეობრივი წარმოების ამ სფეროში აღრიცხვისა და კონტროლის საქმეს.

1888 წ. მაისში სახელმწიფო საბჭოსა და მერმე იმპერატორის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, სა-

---

8 СМИЭБГКЗК. I. 368—369.

9 «Ежегодник гл. управл. землеустр. и земледелия», том пятый, 1912. СПБ. стр. 193—195.

ხელმწიფოებრივ ქონებათა მინისტრთან შეთანხმებით ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ახალი ინსტრუქცია „თამბაქოს პლანტაციებისადმი ზედამხედველობის შესახებ".

ამ ინსტრუქციის მიხედვით სააქციზო ზედამხედველობას ევალება თამბაქოს პლანტაციების შესახებ ცნობათა მოგროვება. თამბაქოს ფურცლის პლანტაციებში შესყიდვისა და მისი მიმოზიდვის მეთვალყურეობა (§ 1).

შემდეგ, გათვალისწინებულია მეთამბაქოეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების მოგროვება. რომელთა შორის, წინანდელი ანალოგიური ინსტრუქციებისგან განსხვავებით, აღსანიშნავია ყურადღების გამახვილება პლანტაციებში გაშენებული თამბაქოს ჯიშებისა და სორტებისადმი. თამბაქოს ნარგავთა ზრდისა (ეასარებისა) და მოსალოდნელი მოსავლის (მოსავლის პირის) და ნამდვილად მოკრებილის რაოდენობის აღრიცხვისადმი—ყოველი ცალკე პლანტაციის მიხედვით (§ 2).

საჭიროდაა მიჩნეული ცნობების მოპოვება პლანტატორებთან გაუყიდავად დარჩენილი თამბაქოს რაოდენობისა და სავადასხვა ჯიშისა და სორტის თამბაქოს ეასაყიდი ფასების შესახებ (§ 3). იმ ვარაუდით, რომ აქციზის სამმართველოს შეეძლოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმების სახით ყველა ზემოხსენებულ ცხობათა დროულად შედგენა.

მეთამბაქოეობის შესახებ რაც შეიძლება ზუსტი და სრული ცნობების მოპოვების მიზნით აქციზის უწყების მოხელეებს ევალებათ სისტემატურად ადგენდნენ პ ლ ა ნ ტ ა ტ ო რ თ ა ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ს ი ე ბ ს. რაშიც. გარდა თვით პლანტაციის შესახებ ცნობათა შეტანისა. უნდა აღინიშნოს პლანტაციების შემოწმების შედეგები წინანდელი აღრიცხვისა თუ დაკვირვების მონაცემებთან დაკავშირებით (§ 5).

პლანტაციების შესახებ ცნობებს აქციზის მოხელეები აგროვებენ უშუალოდ. ანდა თემის. სოფლის ანუ სხვა შესაბამის უფროსთა მეშვეობით, რომელთაც ეს მოხელეები აძლევენ სათანადო ფორმებს (ბლანკებს) და საჭირო განმარტებებს ცნობათა მოპოვების ხერხებისა და მეთოდების თაობაზე (§ 6).

ინსტრუქციის § 7 თანახმად მეთამბაქოენი ვალდებულნი არ არიან აძლიონ წერილობითი ცნობები თავიანთი პლანტაციისა და მოკრეფილი თამბაქოს ფურცლების რაოდენობის, მისი დაცვა-შენახვისა და გაყიდვის შესახებ, მაგრამ მათ ევალებათ გამოკითხვისას ყველა ამათ შესახებ გასცენ ზეპირი პასუხი. ამასთანავე § 8 აქციზის მოხელეებს ავალებს განუმარტონ მეთამბაქოებს, რომ ხსენებულ ცნობათა შეგროვება ხდება არც პლანტაციების დაბეგვრის და არც თამბაქოს გაშენების რაიმე მხრივ შეზღუდვის მიზნით;—რომ არაფრით არ იზღუდება აგრეთვე მეთამბაქოეთაგან თამბაქოს საკუთარი მოხმარება და რომ თვით მეთამბაქოებს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ პლანტაციების აღრიცხვისა და აღებული მოსავლის რაოდენობის მხრივ.

აქციზის მოხელეს უფლება ჰქონდა თავისუფლად დაეთვალიერებინა თამბაქოს პლანტაციები და საწყობები. გაეზომა პლანტაციების სიდიდე, აღერიცხა მეთამბაქოებთან სახეზე არსებული ნედლი თამბაქოს რაოდენობა და სხვ. (§ 9). მაგრამ ამისთვის ხსენებულ მოხელეს უნდა შეერჩია ისეთი დრო, როდესაც თავისი მოვალეობის შესრულებით არავითარ ზიანს არ მიაყენებდა მეთამბაქოეს. მაგალითად, მას უფლება არ ჰქონდა ღვივილის დროს მოეთხოვა თამბაქოს ფოთლების ასხმულების, შეკრულთა და სხვ. გადალაგება, გახსნა და ა. შ. ამასთანავე ეს კონტროლი უნდა მოეხდინათ პლანტატორისთვის მოსახერხებელ დროს, რომ არ მოეცდინათ იგი მუშაობისგან; აქციზის მოხელეს უფლება არ ჰქონდა ისეთი მოთხოვნები წარედგინა მეთამბაქოესთვის, რომლის დაკმაყოფილება დაკავშირებული იქნებოდა რაიმეგვარ ხარჯებთან (§ 11).

აქციზის ზედამხედველობას და ადგილობრივ პოლიციასაც ეკისრებოდა მეთამბაქოეთაგან თამბაქოს რეალიზაციის და აგრეთვე თვით მეთამბაქოეთა შორის ურთიერთისგან თამბაქოს შესყიდვისა და მიმოზიდვის ოპერაციების მეთვალყურეობა. აქციზის მოხელე მეთამბაქოესგან ღებულობდა ცნობებს გაყიდული თამბაქოს რაოდენობის, მყიდველის ვინაობისა და ადგილსამყოფელის შესახებ, იგი აგრეთვე უშუალოდაც აღ-

რიცხავდა გაყიდული და გაუყიდავად საწყობში დარჩენილის რაოდენობას (§ 12).

ფოთლადი თამბაქოს მიმოზიდვისა და რეალიზაციისადმი მეთვალყურეობის მიზნით აქციზის მოხელეებს ევალებოდა რაც შეიძლება ხშირად ევლოთ ბაზრებსა და იარმარკეტებზე, სასაწყობო პუნქტებში, რათა გაესინჯათ ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ გაცემული ფურცლადი თამბაქოს გატანის მოწმობები და იარლიყები, და თანაც, საჭიროებისამებრ. მიეცათ სოფლის, თემის ადმინისტრაციისთვის ამ დოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებანი (§ 14).

მეთამბაქოეობის შესახებ საჭირო ცნობათა მოგროვების სამუშაოების გაადვილების მიზნით ს ა ა ქ ც ი ზ ო ო კ რ უ გ ე ბ ი დ ა ი ყ ო თ ა მ ბ ა ქ ო ს უ ბ ნ ე ბ ა დ, რომლებზედაც მიმაგრებულ იქნა კონტროლიორები, რომლებიც მათ მიერ მოგროვილ ცნობებს უდგენდნენ სააქციზო ზედამხედველის ადგილობრივ თანაშემწეებს, ხოლო უკანასკნელნი—ოკრუგის სააქციზო სამმართველოებს. ოკრუგების ზედამხედველნი პირადად, ანდა ხელქვეით მოხელეთა მეშვეობით ამოწმებდნენ კონტროლიორთაგან მოგროვილ ცნობებს და მთელ მათს მოქმედებასაც (§ 15)[10].

1888 წლის 18 ივნისის თარიღით ამიერკავკასიისა და იმიერკასპიის შხარის სააქციზო მოსაკრებელთა სამმართველოს უფროსი ს. მარკოვი ცირკულარულ წერილს უგზავნის აქციზის საოკრუგო სამმართველოებს, რომ „თამბაქოს პლანტაციებისადმი ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის გამოცემასთან ერთად ფინანსთა მინისტრმა მას აცნობა, რომ „თამბაქოს პლანტაციებისადმი მეთვალყურეობის გაძლიერების უმთავრესი მიზანია ფოთლადი თამბაქოს მექორჩმეობის (ფარულად გაყიდვის) აღკვეთა, რის გამოც ხსენებული ინსტრუქციის ცხოვრებაში გატარებისას აქციზის ზედამხედველობას. მეთამბაქოეობის შესახებ სტატისტიკურ ცნობათა შეკრებისგან დამოუკიდებლად. მხედველობაში უნდა ჰქონდეს პლანტაციებიდან

[10] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 64, ფ. 93—94.

თამბაქოს გატანის, მისი მიმოზიდვისა და გაყიდვის წესების სისწორით დაცვა“ და, ამასთანავე ერთად, „თამბაქოს მზანაწარმის ვაჭრობისადმი მეთვალყურეობის გაძლიერება“[11].

ს. მარკოვი ძლიერ შეშფოთებულია, რომ „აქამდე, ეორც საერთოდ თამბაქოს საქმეს, ისე კერძოდ თამბაქოს პლანტაციების რიცხოვნობისა და ფართობის მიხედვით აღრიცხვის ყველა მოხელე, საკუთრად მეთამბაქოეობაზე ზედამხედველობის დარგის მოხელეებიც, უაღრესად ზერელედ უყურებდნენ და აღრიცხვის დარგში ვერ შეუმუშავებიათ არათუ რამდენადმე უფრო რაციონალური სერხები, არამეც მრავალ [illegible] არა აქვს ფართობთა გაზომვისთვის საჭირო ყველაზე [illegible]ტარული ცოდნაც კი. ამის შედეგი [illegible] იყო, რომ მონაცემები თამბაქოს პლანტაციების რაოდენობისა და მათ მიერ დაკავებული ფართობის შესახებ არ იმსახურებენ არავითარ ნდობას, რამდენადაც ასეთი ცნობები შესაბამის გრაფებში ნებისმიერად იწერებოდაო“[12].

აღმოჩნდა, რომ მრავალგვარი უწესივრობა ყოფილა სოფლის ხელისუფალთაგან თამბაქოს მიმოზიდვისათვის მოწმობებისა და იარლიყების გაცემის საქმეშიც. „თამბაქოს წესდების დარღვევის გამო წარმოშობილ სასამართლო საქმეთა დიდი ნაწილი ეხებოდა მამასახლისთა მიერ ფურცლადი თამბაქოს გაზიდვისათვის გაცემულ მოწმობათა უსწორად შედგენის საკითხებსა და თამბაქოს უპატენტოდ ვაჭრობის შემთხვევებს“. აღმოჩნდა, რომ სოფლის ხელისუფალნი საერთოდ უურადღებას არ აქცევდნენ, თუ სად მიჰქონდათ პლანტაციებიდან [illegible] სასაწყობო პუნქტებიდან თამბაქო, ე. ი. მიეყიდებოდა [illegible]ერებს, რომელთაც უფლება ჰქონდათ ფოთლადი თამბაქოს შეძენისა, თუ ყველას, ვინც კი მოისურვებდა ეყიდა იგი.

ყოველივე ამის გამო საოკრუგო ზედამხედველებს ევალებათ ნედლი თამბაქოს წარმოებისა და რეალიზაციის ყოველგვარი ოპერაციის ფხიზელი მეთვალყურეობა და ზუსტი აღრი-

---

[11] საქ. სსრ, ცსია, ფონდი 371, საქმე № 64, ფ. 95.

[12] [illegible].

ცსვა. რამდენადაც თამბაქოს მექორჩმეობა, რაც დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოებრივ ხაზინას, შეიძლება აღიკვეთოს მხოლოდ მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის მეოხებით.

თუ აღმოჩნდება, რომ მეთამბაქოეს არა აქვს გასამართლებელი საბუთები ფოთლადი თამბაქოს რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობის გაყიდვის შესახებ, აქციზის მოხელეებს ეკისრებათ არ დაკმაყოფილდნენ პლანტატორების "მაბლინური პასუხით, რომ დანაკლისი თამბაქოს მთელი რაოდენობა „მან თვითონ გააბოლა (მოსწია)". მაშინ როდესაც „ეს რაოდენობა საკმარისი იქნებოდა თითქმის მთელი სოფლის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მთელი წლის განმავლობაში". ასეთი მეთამბაქოეები პასუხისგებაში უნდა მიეცათ „გაზიდვის მოწმობის გარეშე თამბაქოს გაყიდვისათვის"[13].

ინსტრუქციაში მითითებულ ფორმალობათა დაცვის გარდა ს. ნარკოვი მოითხოვდა ცნობათა შეგროვებას შესახებ იმისა, თუ სახელდობრ რომელ ფაბრიკანტს ან საწყობის მეპატრონეს (გვარისა და სახელის აღნიშვნით) მიეყიდა ფოთლადი თამბაქო. იგი ამასთანავე უურადღებას ამახვილებდა ვალდებულებაზე, რომ ფინანსთა სამინისტროში თამბაქოს პლანტაციების შესახებ უწყისები წარდგენილი უნდა ყოფილიყო ყოველი წლის 1 სექტემბრისა და 1 მარტისთვის. და რომ, ამის გამო, საოკუგო ზედამხედველებს ასეთი უწყებები მისთვის უნდა წარედგინათ 1 აგვისტოსა და 1 თებერვლისათვის.

ამიერიდან ზედამხედველებს უნდა აეწერათ აგრეთვე თამბაქოს კულტურის მდგომარეობა. საწყავი და ურწყავი პლანტაციები, მოსალოდნელ და ნამდვილ მოსავალს შორის განსხვავებაზე მოქმედი მიზეზები (სეტყვა, ზედმეტი წვიმები—ჰყვიყორიანობა და სხვ.); ფურცლადი თამბაქოს რეალიზაციის შესახებ ცნობებში ნაჩვენები უნდა ყოფილიყო, თუ რა რაოდენობის თამბაქო გაიყიდა მიმდინარე წლისა და წინა წლების

---

[13] იქვე, გვ. 96.

მოსავლიდან—ცალ-ცალკე; თუ როგორ გასწორდა ყიდვა-გაყიდვის ანგარიში—ნაღდი ფულით, კრედიტით და სხვ.[14]

აქციზის მოხელე, უნდა ყოფილიყო სპეციალური აგროტექნიკური განათლების მქონე ადამიანი, მას ევალებოდა, რაც შეიძლება დაწვრილებით და საფუძვლიანად შეესწავლა მისი მეთვალყურეობის რაიონის არა მხოლოდ მეთამბაქოეობის მდგომარეობა, არამედ ბუნებრივი მწარმოებლური ძალებით, მოსახლეობის წარმოებრივი საქმიანობის ისტორიული პირობები, საერთოდ მთელი ეკონომიკა[15].

ამიერიდან აქციზის ადგილობრივი მოხელე თამბაქოს პლანტაციების შესახებ უწყისებთან ერთად სამმართველოში ადგენდა რაიონის მოკლე ეკონომიკურ მიმოხილვას.

ქვემოთ, მაგალითისათვის, მოგვყავს ერთ-ერთი ასეთი მიმოხილვის ტექსტი, შედგენილი აქციზის ზედამხედველის ევსტატი ოდიშელიძის მიერ (1891 წ. 5 ივლისის თარიღით)—ცხინვალის (სამხრ. ოსეთის) რაიონის შესახებ.

„ჩემდამი რწმუნებული რაიონი შეიცავს ქართლის დაბლობის ველს და მის მიმდებარე კავკასიონის ქედის მთაგრეხილებს, რომლებიც დასახლებულია ოსებითა და ქართველებით. ჩემი რაიონის დავლისას თამბაქოს პლანტაციები ოსეთში მე ვიხილე ასეთ მდგომარეობაში: აულებში, სადაც წყალი მოიპოვება, გაშენებულია პატარა ბაღები, რომელთაც უწოდებენ „ბოსტანს“ და რომლებიც შემოღობილია წკნელებით. ამ ბაღებში ხარობს სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, ხეხილი და მათ შორის თამბაქო, თუმცა საკმაოდ მცირე ზომით. თავისი ხარისხით, ესაა თურქული თამბაქოს დაბალი სორტის ჯიში და ითესება მხოლოდ და მხოლოდ შინაური მოხმარებისათვის. მთიელები ეწევიან მას ჩიბუხებით ანდა ღეკავენ, პირში იდებენ რა დატკეცილი ფოთლების სახით (целымиі панушамиі), ღეროებს კი წყალში ხარშავენ და მისი წვენით რეცხავენ ცხვრის მატყლს, რასაც ამნაირად სწმენდენ უსუფთაობისგან.

უკანასკნელ შემთხვევაში თამბაქოს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მთიელებისთვის, არამედ საერთოდაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ამიერკავკასიის მთიული მოსახლეობა საკმაოდ დიდი ზომით ეწევა მეცხვარეობას და ამ გზით მიღებული უფრო წმინდა და გასუფთავებული მატყლი იყიდება 1 ფუთი 2 მანეთად.

---

[14] იქვე, ფურც. 96.

[15] «Ежегодник гл. управл. землеустр. и земледелия», 1912, СПБ, стр. 194.

მთიელთა შორის, უკიდურეს შემთხვევაში, ამ უკანასკნელი მიზნით მაინც საჭიროა მეთამბაქოეობის გავრცელება, მაგრამ საუბედუროდ ესოდენ უნდობლობით ეპყრობიან ისინი სააქციზო ზედამხედველობას, ესოდენ არათავაზიანად ხვდებიან მას და ისე ეშინიათ მისი, რომ ოღონდ მასთან საქმე არა ჰქონდეთ და აქციზის მოხელის გამოჩენის მოლოდინში ძირიან-ფესვიანად სთხრიან პლანტაციებში თამბაქოს, რათა საღმე შორს გადაყარონ იგი.

არავითარი საშუალება არაა, რათა დავარწმუნოთ ეს მოსახლეობა, რომ თამბაქოს პლანტაციებზე ისინი არაფერს არ იხდიან, რომ შეუძლიათ სასურველი ზომით გააშენონ ეს პლანტაციები. თვით მთიელთა და მეზობელი სოფლების სხვა გლეხების განცხადებითაც წინათ მთებში გავრცელებული იყო თამბაქოს პლანტაციები, მაგრამ ახლა მიატოვეს მისი გაშენება. ფიქრობენ რა, რომ ის დაიბეგრება აქციზის მოსაკრებელით. მაგრამ ასეა თუ ისე, მთიელებს თამბაქოს გარეშე. ისე როგორც უარაყოთ, გაძლება არ შეუძლიათ.

— ამას იწვევს კავკასიონის ჭაღარა მწვერვალების უაღრესად მკაცრი კლიმატური პირობები და თამბაქო მაინც ითესება, თუმცა მცირე რაოდენობით. თამბაქოს მოსავალი მშვენიერია, რადგან გარდა იმისა. რომ მას რწყავენ, თამბაქოზე კეთილად მოქმედებს მთის ნესტიანი ჰავა.

რაც შეეხება ქართლის დაბლობის ველს. უდავოა. რომ მის ნიადაგსა და კლიმატს პლანტაციის კარგად დამუშავების პირობებში შეეძლებათ მაღალი კულტურის თამბაქოს მოცემა,—მით უმეტეს, რომ თამბაქო არ მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობასა და დიდ შრომას.

თამბაქოს წარმოება თითქმის ქალის საქმეა. მიწის მოხვნისა და მისი დათესვის შემდეგ მუშაობის გაგრძელება აქაც შეეძლებოდათ ქალებს. როგორც ეს პრაქტიკაშია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების თათართა მოსახლეობაში; ამ გზით ეს რაიონი, მისი ბუნებრივი სიმდიდრის პირობებში, დიდ წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე მალე ძნელია გამოჩნდეს ადამიანი, რომელსაც შეეძლება დახმარების ხელი გაუწოდოს ჩამორჩენილ გლეხობას და უბიძგოს მას კეთილი გზისკენ; საერთოდ მოსახლეობა ამ დარგს არ ეპყრობა თანაგრძნობით, რადგანაც. მისი აზრით, თამბაქოს პლანტაციები დაბეგრილია აქციზით[16].

სხვადასხვანაირია სხვადასხვა რაიონის ბუნებრივ-ისტორიული და ეკონომიკური პირობების დახასიათება—წარდგენილი აქციზის სხვადასხვა მოხელეთაგან. მაგრამ მხოლოდ შერჩეული სიტყვების სხვადასხვანაირობით განირჩევიან ისინი აქცი-

[16] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 43, ფურც. 3—6.

ზეს მოსაკრებელისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების აღწერაში. შინაარსი კი ყველა ინფორმაციისა ერთია: მეთამბაქოეობისმიმდევარმამოსახლეობამ ყველგან ერთიგად შეიძულა აქციზის მოხელენი და მათი აგენტები. საერთოდ აქციზის წესების მთელი ბიუროკრატიული აპარატი მიუხედავად იმისა, თუ როგორი დამაჯერებლობით უხსნიდნენ ისინი მათ, რომ თამბაქოს პლანტაციები თავისუფალია ყოველგვარი დაბეგვრისაგან.

ხალხს, რომელსაც აქციზის მოხელენი გაუნათლებელ ადამიანებად აცხადებენ, კარგად ესმოდა, რომ თამბაქოს მსანლარმზე დადებული აქციზის მოსაკრებელი, სახელმწიფოს მიჰქონდა არა ფაბრიკანტებისა და შემსყიდველთა ჯიბეებიდან, არამედ, საბოლოო ანგარიშით, იგი თამბაქოს ფოთლების მწარმოებელ და ნაკეთობის მომსმარებელ მოსახლეობას ეკისრებოდა.

მაინც, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რასაც ცარიზმის ხელისუფლება ჰქმნიდა თავისი ფისკალური პოლიტიკით, და ცალკეულებაში მისი გატარების ბიუროკრატიული წესებით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია მოსახლეობას არსებითად არავითარ აგროტექნიკურ დასმარებას არ უწევდა,—მეთამბაქოეობა მაინც სწრაფად ვითარდებოდა. იმიტომაც, რომ ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში. მცირემიწიანობის ვითარებაში იგი, როგორც შრომატევადი კულტურა, საშუალებას იძლეოდა შედარებით მეტი მუშახელის დასაქმებისა და თანაც, როგორც საქონლური წარმოების აღმავალი დარგი, რომელიც სულ უფრო ფართო მოხმარების საგანს აწარმოებდა, ფულადი შემოსავლის მიღების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა.

აქციზის სამმართველოს უფროსი ს. მარკოვი, ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის მდგომარეობის მიმოხილვაში. წერს: „1890 წელს შემჩნეული მეთამბაქოეობის გამოცოცხლება მით უფრო ხელსაყრელია, რომ ის ყველაზე უფრო მძლავრად გამოვლინდა მწარმოებლურობის ზრდაში სახელდობრ იმ ადგი-

ლებში, სადაც უპირატესად გავრცელებულია თამბაქოს საუკეთესო ჯიშები"[17].

თვით სავაკრო მეთამბაქოეობის განვითარება ამიერკავკასიაში თავისებური. შეიძლება ითქვას, ნატომისებური და აღგილშეცვლებითი გზით წარიმართა. ჯერ, მე-19 ს. 60-იანი წლებიდან მოყოლებული წინ მიდიოდა თბილისის გუბერნია, კერძოდ სიღნაღის მაზრა. მერმე, 70-იანი წლებიდან პირველ ადგილს იკავებს ქუთაისის გუბერნია და კერძოდ ქუთაისის მაზრა. ბოლო 80-იანი წლებიდან კი წინაურდება სოხუმის ოკრუგი. რამაც 90-იანი წლებიდან მოყოლებული პირველი და მალე ადგილი სავსებით დაბრუნებული აღუკილი დაიკავა ამიერკავკასიის მეთამბაქოეობაში.

აქციზის მოსაკრებელთა ამიერკავკასიის სამხარეო სამმართველოს მთელი ეს ტერიტორია დაყოფილი ჰქონდა ოკრუგებად და უბნებად. რათა დაზვერის წყაროების აღრიცხვა და კონტროლი. თვით აქციზის მოსაკრებელთა ამოღება და სხვ., რაც შეიძლება უკეთ ყოფილიყო ორგანიზებული.

ამიერკავკასიის აქციზის უწყების აპარატისა და საქმიანობის შესახებ ჩვენ მსჯელობა ვვეძნება სპეციალურად — ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკისადმი მიძღვნილ ნაშრომში. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ზოგად ცნობებს ამიერკავკასიის სააქციზო ოკრუგებად და უბნებად დაყოფის შესახებ. რაც საჭიროა კერძოდ მეთამბაქოეობის შესახებ ამ მონოგრაფიაში მოყვანილ და სისტემატიზებულ მასალათა და მათი ანალიზის უკეთ და სრულად გაგებისათვის.

ეს დაყოფა 70-იანი წლებიდან, ე. ი. ამიერკავკასიაში საიმპერიო აქციზის სისტემის გავრცელების დროიდან მოყოლებული. იცვლებოდა იმ ცვლილებათა შესაბამისად. რასაც თავის განვითარებაში განიცდიდნენ თვით დასაბეგრი წყაროები და კერძოდ ამიერკავკასიის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიული დანაწილება და შედგენილობა.

---

[17] С. Марков, «Отчет... за 1890 г»., стр. 10.

1873 წ. წარმოქმნილ აქციზის ამიერკავკასიის სამხარეო სამმართველომ მთელი ეს ქვეყანა დაყო ხუთ, სახელდობრ თბილისის, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ერევნისა და ბაქოსა და დაღისტნის საოკრუგო ერთეულად, რაც შეესაბამებოდა მაშინ არსებულ საგუბერნიო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დანაწილებას.

1870-იანი წლების ბოლოდან, ბათუმისა და ყარსის ოლქების წარმოქმნისა და საერთოდ ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრათა შემდეგ, ამიერკავკასია დაიყო შვიდ საააქციზო ოკრუგად.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროიდან აქციზის უწყებაში მიღებული ამიერკავკასიის ეს ტერიტორიული დანაწილება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ ემთხვეოდა საერთოდ ამ მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას და გამომდინარეობდა არა მოსახლეობის ნაციონალური და ეთნიკური ჯგუფების ბუნებრივ-ისტორიული გაადგილების ვითარებიდან, არამედ საკუთრად დასაბეგრი ობიექტების. ე. ი. არაპირდაპირ გადასახადთა წყაროების გეოგრაფიული გაადგილების პირობებიდან.

მე-19 ს. 70-იანი წლების მიწურულიდან აქციზის უწყების მიერ მიღებული ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიული დაყოფით პირველ ოკრუგში შედიოდა თბილისის გუბერნია, სიღნაღის, თელავისა და თიანეთის მაზრების გამოკლებით. საოკრუგო სამმართველო იმყოფებოდა თბილისში. ეს ოკრუგი, თავის მხრივ, იყოფოდა ექვს უბნად: I და II უბნებს შეადგენდა ქ. თბილისი; III უბანს—თბილისის მაზრა; IV—დუშეთის მაზრა; V—გორისა და VI—ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები.

მეორე ოკრუგს შეადგენდა ქუთაისის გუბერნია, სოხუმის განყოფილება და ბათუმის ოლქი. ეს საოკრუგო სამმართველო იმყოფებოდა ქ. ქუთაისს. ამ ოკრუგის I უბანში შედიოდა ქ. ქუთაისი, ქუთაისის მაზრის ნაწილი, ლეჩხუმის მაზრა და სენაკის მაზრა მდ. რიონამდე დაბა ორპირის გამოკლებით; II უბანში შედიოდა ქქ. ფოთი და ოზურგეთი, ოზურ-

გეთისა და ზუგდიდის მაზრები, სვანეთის საბოქაულო, სენაკის მაზრის ნაწილი რიონის მარცხენა მხარისა და დაბა ორპირი, ქუთაისის მაზრის ნაწილი; III უბანს შეადგენდა რაჭისა და შორაპნის მაზრები, ქუთაისის მაზრის ნაწილი; IV უბანს შეადგენდა სოხუმის განყოფილება, ხოლო V — ბათუმის ოლქი.

მ ე ს ა მ ე ო კ რ უ გ შ ი შედიოდა ბაქოს გუბერნია, შემახიასა და გეოქჩაის მაზრების გამოკლებით, და დაღისტნის ოლქი. საოკრუგო სამმართველო იმყოფებოდა ქ. ბაქოში. ამ ოკრუგის I და II უბანს შეადგენდა ქ. ბაქო. III—ბაქოსა და ყუბის მაზრები; IV—ლენქორანისა და ჯევათის მაზრები; V და VI უბნებს ქმნიდნენ დაღისტნის ოლქის სამხედრო ოკრუგები და ქალაქები დერბენდი, თემირ-ხან-შურა და პეტროვსკი.

მ ე ო თ ხ ე ო კ რ უ გ ს შეადგენდა ერევნის გუბერნია, ალექსანდროპოლის მაზრის გამოკლებით, და ელისავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრის ნაწილი. საოკრუგო სამმართველო ქ. ერევანს იმყოფებოდა. მეოთხე ოკრუგის I უბანს შეადგენდა ერევნისა და ახალბაიაზეთის მაზრები; II—ნახჭევანისა და შარურ-დარალაგიოზის მაზრები და ზანგეზურის მაზრის ნაწილი; III—ეჩმიაძინისა და სურმალოს მაზრები; IV, V და VI—შეადგენდნენ, თანმიმდევრობით: —ყულფის, ნახჭევანისა და სუსთის მარილის სარეწები.

ვ ე ხ უ თ ე ო კ რ უ გ ს შეადგენდა ელისავეტპოლის მაზრა. ნუხის მაზრის გამოკლებით. და ბაქოს გუბერნიის შემახიასა და გეოქჩაის მაზრების ჩართვით. საოკრუგო სამმართველო იმყოფებოდა ქ. ელისავეტპოლს. ამ ოკრუგის I უბანი იყო ელისავეტპოლის, ყაზახის, არეშისა და ჯევანშირის მაზრები; II—შემახიასა და გეოქჩაის მაზრები; III—შუშისა და ჯებრაილის მაზრები და ზანგეზურის მაზრის ნაწილი.

მ ე ე ქ ვ ს ე ო კ რ უ გ ს შეადგენდა ზაქათალის ოკრუგი და ელისავეტპოლის გუბერნიის ნუხისა და თბილისის გუბერნიის სიღნაღის, თელავისა და თიანეთის მაზრები. საოკრუგო სამმართველო იმყოფებოდა ქ. სიღნაღს. ოკრუგი იყოფოდა უბნებად: I—სიღნაღის მაზრა; II—თელავისა და თიანეთის მაზრები; III—ნუხის მაზრა და ზაქათალის ოკრუგი.

მეშვიდე ოკრუგს შეადგენდა ყარსის ოლქი, ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრა და ელისავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრის ნაწილი. აქციზის საოკრუგო სამმართველო იმყოფებოდა ქ. ყარსს. ოკრუგის უბნებს შეადგენდა: I—ყარსის ოლქი; II—ალექსანდროპოლის მაზრა და ყაზახის მაზრის ნაწილი და III—კაგზმანის მარილის სარეწი.

იმპერიის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1913 წ. 25 იანვარს დამტკიცებული დებულებით ამიერკავკასიის მსარის აქციზის სამმართველო უკვე რვა ოკრუგად დაიყო, რაც მერმე ძალაში დარჩა თვით 1917 წ. რევოლუციამდე.

ამ დაყოფით, პირველი და მეორე ოკრუგის ტერიტორიული შედგენილობა თითქმის არ შეცვლილა. მაგრამ მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების გამო თბილისი ახლა უკვე ოთხ უბნადაა დაყოფილი. მესამე სააქციზო ოკრუგში შევიდა ბაქოს გუბერნიის მთელი ტერიტორია. ხოლო ოცი ქ. ბაქო ნავთობის მრეწველობის გამოკლებით, ახლა ოთხ უბნად დაიყო.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მეოთხე ოკრუგის ტერიტორიამ. წინათ აქ შედიოდა ერევნის გუბერნიის დიდი ნაწილი. ახლა კი ამ ოკრუგში მოჰყვა მთელი ერევნის გუბერნია, ყარსის ოლქის უდიდესი ნაწილი და ელისავეტპოლის გუბერნიის რამდენიმე თემი. ხოლო წინანდელი ექვსის ნაცვლად ახლა ეს ოკრუგი დაიყო ხუთ უბნად. ყულფის, ნახჭევანისა და სუსთის მარილის სარეწების უბნები სავსებით გაუქმდა. რკინიგზების გაყვანისა და. მაშასადამე, ტვირთზიდვის გაიაფების შედეგად ყირიმიდან შემოტანილმა ხარისხობრივადაც უკეთესმა მარილმა ყულფის. აღზევნისა და სხვა ამიერკავკასიური მარილი ადვილად გამოდევნა ფართო მოხმარებიდან. ამიერიდან ამ ე. წ. ქვამარილს მხოლოდღა მახლობელ თემებში მოიხმარდნენ.[19]

[18] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 43, ფურც. 3—6.

[19] საქართველო და მთელი ამიერკავკასია რიგი ათეული წლების განვლის შემდეგ დიდი სამამულო ომის პერიოდში, გერმანელ ფაშისტთაგან

მეხუთე ოკრუგი მთლიანად შეადგინა ელისავეტპოლის გუბერნიამ ნუხის მაზრისა და ზანგეზურის მაზრის რამდენიმე თემის გამოკლებით. ახლა ეს ოკრუგი სუთ უბნად იყოფა.

მეექვსე ოკრუგის ტერიტორიული შედგენილობა უცვლელი დარჩა, ხოლო მეშვიდე და მერვე ოკრუგი შეაღგინეს, თანმიმდევრულად, ბაქოსა და ბათუმის ნავთობის რაიონებმა, რომლებიც აქციზის თვალსაზრისითაც. ცხადია. მრეწველობის უგნიშვნელოვანეს ობიექტებს წარმოადგენდნენ[20].

სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარება

VI. თბილისის გუბერნია

ამიერკავკასიაში სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარება უწინარეს თბილისის გუბერნიაში და კერძოდ სიღნაღის მაზრაში იწყება. როგორც ზემოთ ითქვა. აქ. კახეთში. ჯერ კიდევ პატრონობის გაუქმებამდე დაიწყო ამერიკული ჯიშის თამბაქოს მსხვილი პლანტაციების გაშენების საკმაოდ ინტენსიური ცდები.

1864 წელს თბილისის გუბერნიაში თამბაქოს მოსავალმა უკვე 10 000 ფუთს გადააჭარბა და სიღნაღის მაზრის მემამულეებმა სწორედ ამ დროს დაიწყეს თამბაქოს საკმაოდ მსხვილი პარტიების გზავნა მოსკოვის ბაზარზედაც-კი[1].

კახეთში თურქული—სამსუნისა და ტრაპიზონის—ჯიშის თამბაქოს პირველი მსხვილი პლანტაციები გაშენდა 1863 წელს თავ. შალიკაშვილისა და თავ. ანდრონიკაშვილის მამულებში ამ მემამულეებმა მალე. და მერმე სხვებმაც. თამბაქოს პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით თურ-

---

ყირიმის ოკუპაციის გამო. დროებით ელავ შეიქნა ამ მოვაწყებელი სავაჭროებში მოპოვებული მარილის მომხმარებელი.

[20] საქ. სსრ ცსია. ფონდი 370. საქმე № 1624, ფურც. 1—3.

[1] გაზ. „ბუთნის ფურცელ“, 1864. № 24: „Кавказ“, 1865, № 40 и 41.

[2] „ბუთნის ფურცელ“, 1864. № 24: КСХ. 1894. № 570. стр. 99—101 КСХ, 1898, № 17, приложение. стр. 17—21.

ქეთიდან. სახელდობრ ანატოლიიდან გამოიწერეს ლაზი (ჭანი) და ბერძენი მეთამბაქოები. კახეთში სავაჭრო მეთამბაქოეობა უპირატესად ლაგოდეხის რაიონში გავრცელდა. ამ რაიონმა მე-19 ს. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, გარკვეული დროით, პირველი ადგილი დაიჭირა ამიერკავკასიის მეთამბაქოეობაში[3].

სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის თავ. ირ. გრუზინსკის (ბაგრატიონის) ინიციატივით 1871 წელს სიღნაღის მაზრაში მასობრივად დაიწყეს უცხოური საუკეთესო ჯიშის თამბაქოების მსხვილი პლანტაციების გაშენება. ქ. სიღნაღის მახლობლად სოფ. მაშნაარში გაშენებულმა თამბაქოს პლანტაციებმა მოლოდინს გადააჭარბეს. თამბაქოს კულტურა თანდათანობით ფართოდ გავრცელდა ალაზნის მარჯვენა მხარეს და მოედვა ქიზიყისა და ბაკურციხის რაიონების თითქმის ყველა სოფელს[4].

სულ მალე სიღნაღის მაზრის ლაგოდეხის რაიონში საკუთარი მსხვილი პლანტაციები გაიჩინა თამბაქოს ცნობილმა ფაბრიკანტმა ა. ენფიანჯიანცმა. 1875 წელს მან ამ რაიონში დაიწყო თამბაქოს კულტურაზე სესხების გაცემა, რითაც ცდილობდა წაექეზებინა აქ მეთამბაქოეობა და მაშასადამე, ამ გზით, წვრილმწარმოებელთა დაკაბალების მეოხებით—გაეიაფებინა ნედლეული თავისი ფაბრიკისათვის თბილისში[5].

აქციზის უწყების მიერ თავისი არსებობის პირველსავე, 1873, წელს მოპოვებული ცნობების მიხედვით თბილისის გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების რაოდენობა, მათი ფართობი და ფოთლის მოსავალი უდრიდა[6]:

---

[3] „გუთნის დედა", 1864, № 24;—1869, № 4—7;

[4] ი. სულხანიშვილი, „დარიგება მოყვანისათვის ტრაპიზონის თამბაქოსი" („სასოფლო-სამეურნეო გაზეთი", 1870, № 5, გვ. 5—7-ე).

[5] КСХ, 1898, № 216, прилож., стр. 17;—№ 217, прилож., стр. 12.

[6] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 36, ფურც. 33.

მაზრების დასახელება	პლანტაციები			თამბაქოს ფოთლის მოსავალი ფუთობით
	რიცხ-ვი	ფართობი დესეტინობით		
1. თბილისის მაზრის 7 სოფელში	154	135	—	6 750
2. გორის მაზრის 6 სოფელში	18	43	—	2 125
3. სიღნაღის მაზრის 10 სოფელში	27	95	900	4 750
4.თელავის მაზრის 3 სოფელში	4	10	—	500
სულ .	203	283	900	1 4125

ამიერკავკასიის აქციზის სამმართველოს პირველი ოკრუგია ზონაში 1875 წელს აღრიცხული იყო[7]:

	პლანტ. ოაოდ.	ფართ. დეს.	მოსავ. ფუთობით
თბილისის მაზრის 19 სოფელში	74	32	1 755
ახალციხის მაზრის 3 სოფელში	39	7	150
დუშეთის მაზრის 1 სოფელში	3	19	730
სულ	116	58	2 635

1876 წელს ამავე ოკრუგში აღირიცხა[8]:

თბილისის მაზრის 20 სოფელში	78	41	3 200
ახალციხის მაზრის 2 სოფელში	30	8	628
დუშეთის მაზრის 1 სოფელში	2	10	790
სულ	110	59	4 618

ამ ხანებში, სახელდობრ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან, დაიწყო როგორც თბილისის გუბერნიაში, ისე

[7] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 74, ფურც. 45.
[8] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 91, ფურც. 36.

საერთოდ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მეთამბაქოეობის გეოგრაფიულ გაადგილებასა და სპეციალიზაციაში.

კერძოდ თბილისის მაზრაში მეთამბაქოეობის მდგომარეობის შესახებ 1878—1879 წწ. შედგენილი აქციზის უწყების სპეციალური მიმოხილვიდან ჩანს, რომ თამბაქოს წარმოების რამდენადმე ზუსტი აღრიცხვა ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული. აქციზის ზედამხედველის უფროსის თანაშემწე გამაზოვი 1879 წ. 12 აპრილს წერდა: „ძნელია ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ რამდენია თბილისის მაზრაში თამბაქოს პლანტაცია და რამდენი ფართობი უჭირავს მას“.

როგორც გამაზოვის მიერ შედგენილი მიმოხილვიდან ჩანს, ამ დროსაც თამბაქო უპირატესად მემამულეთა მიწებზე მოჰყავდათ. მეთამბაქოეობას ვაკე ადგილებში უმეტესწილად მისდევდნენ ირანელი მებოსტნეები და მთებში მცხოვრები ბერძნები. ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ გლეხებსა და გერმანელ კოლონისტებს თამბაქო მცირე რაოდენობით, უფრო საკუთარი მოხმარებისთვის მოჰყავდათ. თამბაქოს პლანტაციებზე მუშაობდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები და ბავშვებიც. ბერძენთა შორის კი მეტწილად ქალებს მოჰყავდათ თამბაქო და მთელი შემოსავალიც ბოლოს კუთვნილებას შეადგენდა. „კეთილმოწყობილ მეურნეობათა არ არსებობის გამო, შეუძლებელია გაირკვეს, თუ რამდენი მუშახელია საჭირო, როგორც საკუთრად თამბაქოს მოსაყვანად, ისე მეურნეობის სხვა დარგებში“[9].

ამ დროს თბილისის მაზრაში უმეტესად გავრცელებული იყო წეკო და სამსუნის ნაირსახეობანი, რომელთაც „ბორჩალოსა“ და „მადანს“ უწოდებდნენ. მცირე რაოდენობით მოჰყავდათ აგრეთვე სამსუნის, ტრაპიზონისა და თეობეკის სორტის თამბაქოები. „თამბაქოს აქამდეც მებოსტნეები აშენებენ ბაღჩებში, სადაც მისთვის გამოყოფენ ცალკე ნაკვეთს. სულ ცოტა ხნის წინათ აქა-იქ გაჩნდა არამებოსტნეთა პლანტაციები.

[9] საქ. სსრ ცსია, ფ. 371, საქმე № 30, ფურც. 17.

საერთოდ... მეთამბაქოეობა თავისი ყმაწვილობის ასაკში იმყოფება, ის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ძლიერ სწრაფად ვითარდება და, ალბათ, სულ ახლო მომავალში მეევნახეობის თანაბარ ადგილს დაიჭერს".

1 დესეტ. თამბაქოს პლანტაციის დამუშავება ამ დროს ჯდებოდა 200—250 მან. ვერცხლით; საშუალო მოსავალი კი უდრიდა 50—60 ფუთს. თამბაქოს ფოთლის გაყიდვა ნოემბერ-მარტის განმავლობაში ხდებოდა. „ყიდდნენ თუმცა დატკეცილ, მაგრამ არა დაღვივებულს. მემამულეთა მიწებზე თამბაქოს მოყვანას ეწეოდნენ მეთამბაქოე ოსტატები, როგორც მენახევრეები. თამბაქოს შემსყიდველი ,მესაწყობეები პლანტატორებს აძლევდნენ ავანსებს... საბითუმო საწყობებში მიტანილი თამბაქო გარდა ცალებად შეფუთვისა არავითარ დამუშავებას არ განიცდიდა. პლანტაციის წესიერი ფორმის დაცვა ადვილია, მით უფრო, რომ ამჟამად თამბაქოს შეძლებისამებრ სწორ მწკრივებზე რგავენ. ხოლო საერთოდ თამბაქოს აშენებენ ფრიად ვაკე, თანაბარ ადგილებში. სწორედ ასევე შეიძლება დადგინდეს, რომ თამბაქოს ნერგებს მწკრივებში ერთმანეთისგან ერთნაირად დაშორებულ მანძილებზე რგავდნენ... ერთ ბუჩქზე ფოთლების რაოდენობაც უნდა შეესაბამებოდეს თვით თამბაქოს სორტსა და ნიადაგის მეტ-ნაკლებ ნაყოფიერებას. ამჟამად სტოვებენ დაახლოებით 8—12 ფოთოლს. გამოცდილ პლანტატორებსა და მცოდნე ადამიანებს ადვილად შეუძლიათ განსაზღვრონ მოსავლის რაოდენობა ძირზე, ხოლო გახმობის მერმინდელ წონას თითქმის შეუცდომლად საზღვრავენ"[10].

1878 წელს გამაზოვის მიერ შედგენილი უწყების მიხედვით თბილისის მაზრაში იყო სულ 75 პლანტაცია. 76 დესეტინაზე. ხოლო თამბაქოს ფოთლის მოსავალმა შეადგინა 2422 ფუთი[11].

---

[10] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 30, ფურც. 17—18.

[11] იქვე.

ცალკე უნდა შევეხოთ სიღნაღის მაზრაში მეთამბაქოეობის განვითარების საკითხს.

მე-19 ს. 70-იანი წლების ბოლო და 80-იანი წლების პირველი ნახევარი ეს იყო თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში მეთამბაქოეობის აყვავების პერიოდი. ამ დროს, როგორც პ. ლომონოსოვი წერდა: „თამბაქოსთვის კახეთში დაიწყეს ჩამოსვლა ფაბრიკანტებმა ოდესიდან, როსტოვიდან, პეტერბურგიდან და სხვა ქალაქებიდან და 1886 წელს კახეთის მეთამბაქოეობამ მიაღწია უდიდეს განვითარებას: 560 დესეტინა ფართობზე აღებულ იქნა 46 ათას ფუთზე მეტი თამბაქოს ფოთლის მოსავალი, რა დონისთვისაც მას შემდეგში არასოდეს არ მიუღწევია“[12].

70-იანი წლების მიწურულიდან, რა დროიდანაც სიღნაღის მაზრაში დაიწყო მეთამბაქოეობის სწრაფი აღმავლობა. აქ თამბაქოს პლანტაციების გაშენებას ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ჩამოსული ელემენტებიც ეწეოდნენ. სიღნაღელი და თელაველი ვაჭრები ხელს კიდებდნენ იჯარით აღებულ მიწებზე თამბაქოს პლანტაციების გაშენებას. 1 დეს. მიწის საიჯარო ქირა 10—15 მან. შეადგენდა. პლანტაციის დასამუშავებლად ამ ვაჭრებს მოჰყავდათ მეთამბაქოეობის ოსტატები, რომელთაც დამხმარე მუშახელის სახით მიამაგრებდნენ ხოლმე ადგილობრივ უბრალო მიწისმუშებს. ეს უკანასკნელნი, როგორც მოჯამაგირენი, 1 მარტიდან 1 იანვრამდე, ე. ი. მუშაობის (თამბაქოს მოყვანისა და რეალიზაციის) მთელ სეზონში, მოიჯარისაგან ღებულობდნენ 70—90 მან. და საკვებს[13]. ადგილობრივი მეთამბაქოე გლეხები პლანტაციის გაშენებისათვის ჩვეულებრივ კულაკებისა და ხსენებული ვაჭრებისაგან, რომლებიც ამასთანავე შემსყიდველების როლშიაც გამოდიოდნენ, სესხულობდნენ საჭირო ფულს[14].

---

[12] П. Ломоносов «Исследование табаководства в Кахетии». (КСХ, 1898, № 216. прилож., стр. 17).

[13] Д. Пурцеладзе, «О табаководстве в Сигнахском у». (ТКОСХ, 1885, № 4, стр. 327—328).

[14] С. Дандуров, «Справка об историческом развитии... табачной промышленности» (КСХ, 1903, № 4, прилож.).

სიღნაღის მაზრაში თამბაქოს წარმოების, ასე ვსთქვათ, კულმინაციური პუნქტი აღებულ პერიოდში იყო 1885—1886 წლები.

ამიერკავკასიის აქციზის სამმართველოს მეექვსე ოკრუგის მიერ შედგენილი უწყისის მიხედვით 1885 წელს სიღნაღის მაზრის 16 სოფელში ირიცხებოდა 172 პლანტაცია, რომელთა ფართობი შეადგენდა სულ 378 დესეტინას. აქ ეწეოდნენ უმთავრესად უმაღლესი სორტის თამბაქოების წარმოებას. 1885 წელს მოკრეფილ იქნა დაახლოებით 10 000 ფუთი ტრაპიზონისა და 7 000 ფუთზე მეტი სამსუნის სორტის თამბაქოს ფოთოლი. დაბალი ხარისხის თამბაქოს (ადგილობრივი წეკოს) მოსავალმა შეადგინა სულ 16 000 ფუთი. ამგვარად. თამბაქოს საერთო მოსავალმა 33 000 ფუთს გადააჭარბა.

ამავე 1885 წელს. მაგალითად, თელავის მაზრაში ირიცხებოდა თამბაქოს 14 პლანტაცია—16 დესეტინაზე და მოკრეფილ იქნა 361 ფუთი სამსუნისა და 419 ფუთი ადგილობრივი წეკოს ფოთოლი, ხოლო თიანეთის მაზრაში 1 დესეტინაზე გაშენებულ ერთი პლანტაციის მოსავალმა შეადგინა 22 ფუთი ტრაპიზონისა და 74 ფ. წეკოს ფოთოლი[15].

საერთოდ თბილისის გუბერნიაში 1885 წელს თამბაქოს პლანტაციებისა და მოსავლის რაოდენობა შემდეგ სურათს წარმოადგენს (1886 წ. 1 მარტის ცნობით)[16] (ცხრილი იხ. 84 ე3).

სიღნაღის მაზრის შემდეგ თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობისა და მოსავლის კვალობაზე მოდიოდა ბორჩალოსა და ახალციხის მაზრა. რაც შეეხება გორისა და დუშეთის მაზრებს, უნდა ითქვას. რომ აქ მეთამბაქოეობა მრავალ სოფელში გავრცელებული იყო ფრიად მცირე პლანტაციების სახით და მარტოოდენ საკუთარი (საოჯახო) მოხმარებისათვის აწარმოებდნენ სხვადასხვ სორტის თამბაქოს. ასე რომ აქციზის უწყება არცკი ეწეოდა ამ მაზრებში მოკრეფილი თამბაქოს ფოთლის აღრიცხვას.

---

15 საქ. სსრ ცსია, ფონდი 370. საქმე № 236. ფურც. 77.

16 საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქ. № 236. ფურც. 145—150.

მაზრების დასახელება	სოფლების რაოდენობა	პლანტაციების რიცხვი	ფართობი დესეტინებით	თამბაქოს ფოთლის მოსავალი ფუთობით: უმაღლესი სორტების თურქული თესლისა: სამსუნი	ტრაპიზონი	დაბალი სორტების: წეკო	სულ მოკრეფილი ფოთლის ფუთობით
თბილისის მ.	9	33	48	757	—	17	774
ბორჩალოს მ.	24	99	72	1 710	—	—	1 710
ახალციხის მ.	12	43	21	1 206	—	196	1 402
ახალქალაქის მ.	9	17	5	100	—	—	100
გორის მ.	160	1750	17	—	—	—	—
დუშეთის მ.	25	140	4	—	—	—	—
თიანეთის მ.	1	1	1	—	22	74	96
თელავის მ.	1	14	16	361	—	419	780
ციღნაღის მ.	16	172	378	7 022	1 0000	1 6000	3 3022
სულ გუბერნიაში	257	2269	562	11 156	10 022	16 706	37 884

1886 წელს მეთამბაქოეობასა და თამბაქოს მრეწველობას კრიზისი დაუდგა. კახეთში ამ წელს თამბაქოს ფოთლის მთელი მოსავლის ორი მესამედი გაუყიდავი შერჩათ პლანტატორებს, რამაც, ცხადია, შემდგომი წლისათვის გამოიწვია თამბაქოს პლანტაციების ფართობის დიდი შემცირება.

ამასთანავე იმიერკავკასიასა (ყუბანის ოკრუგსა), უკრაინასა და შიგა რუსეთში მეთამბაქოეობის შემდგომი განვითარების მეოხებით რუსეთის ფაბრიკანტებმა თანდათანობით შეანელეს თავიანთი ყურადღება საერთოდ ამიერკავკასიური მეთამბაქოეობისადმი. ასე რომ, კახური თამბაქო მარტოოდენ ადგილობრივი ფაბრიკანტებისა და შემსყიდველთა „არჩევი" გახდა[17].

[17] П. Дзюбенко, «Табаководство в лагодехах...» («Кавказ» 1886, № 247).

შიგა რუსეთის ფაბრიკანტების მხრივ კონკურენციის აცილებაა თბილისელ და სიღნაღელ ფაბრიკანტებსა და ვაჭრებს ნედლეულზე ფასების მკვეთრი შემცირების შესაძლებლობა მისცა[18]. 1887 წელს 1 ფუთი თამბაქო 2—3 მანეთად ძლივს იყიდებოდა. მაშინ როდესაც 1881—85 წლებში ეს ფასი 12—15 მანეთამდეც კი აღწევდა.

თამბაქოს ფოთლის ასეთი გაიაფება განსაკუთრებით მძიმედ დააწვა მაღალხარისხოვან საქონელს, რომლის პლანტაციები რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხრივ საერთოდ მცირე მოსავალს იძლეოდნენ. ამის შედეგად კახეთში თანდათანობით დაეცა მეთამბაქოეობა. თამბაქოს პლანტაციების ფართობის მკაცრი შემცირება განსაკუთრებით დაეტყო ქიზიყისა და ბაკურციხის რაიონებს[19].

ასე, მაგალითად. საერთოდ კახეთში თამბაქოს პლანტაციების ფართობი და ფოთლის მოსავალი უდრიდა:

1886 წელს	560 დესეტინას	46 000 ფუთს
1889	208 „	12 000

.ბგვარად. რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში თამბაქოს პლანტაციების ფართობი შემცირდა დაახლოებით 2.5-ჯერ. ხოლო ფოთლის მოსავალი—თითქმის 4-ჯერ.

ბართალია, შემდგომს წლებში თამბაქოზე ფასმა თანდათანობით აიწია და სიღნაღისა და თელავის მაზრებში პლანტაციების რაოდენობა და ფართობიც გაიზარდა[20]. მაგრამ 1885—1886 წლების დონე აქ თვით 1900-იან წლებამდეც მიუღწეველი რჩებოდა[21].

ასანიშნავია, რომ 1887 წლიდან მოყოლებული აქ, კარგა ხნის განმავლობაში კლებულობს რა პლანტაციების საშუა-

---

18 «Упадок табаководства в Кахетий» («Новое обозрение», 1889, № 5212).

19 Н. Таратынов, «О культуре табака» (КСХ, 1896, № 114).

20 ОФЗЗК, 128.

21 С. Марков, назв. соч., стр. 10.

ლო სიდიდე. არ კლებულობს და ხანაც მატულობს კიდევაც პლანტაციების საერთო რაოდენობა[22]. ეს გარემოება, ცხადია, იმით აიხსნება, რომ კრიზისის შემდეგ საქონლურ თამბაქოზე მოთხოვნის დაცემის მეოხებით შემცირდა სავაჭრო პლანტაციების რაოდენობა და მოცულობა და ამავე დროს გამრავლდა უშუალო მწარმოებელთა გაზრდილი პირადი მოხმარებისათვის თამბაქოს პაწაწინა ნაკვეთები. ამგვარად. საერთოდ წარმოების მასშტაბის შემცირებისა და ფასების დაცემის პირობებში ადგილზე ვრცელდებოდა თამბაქოს მოხმარება[23].

მე-19 ს. 80-იანი წლების ბოლოს კახეთში იმდენად დაეკარგათ სავაჭრო მეთამბაქოეობისადმი იმედი[24], რომ თვით ა. ენფიანჯიანცმა ლაგოდეხის მახლობლად გაშენებული თავისი წინანდელი პლანტაციის (35 დეს.) ნაწილზე (12 დესეტ.) 1887 წელს უკვე ხეხილის ბაღის გაშენება დაიწყო. მისი ვარაუდით ამიერიდან „მეხილეობას მეტი მოგება უნდა მოეცა, რადგან თბილისში ზამთრობით ხილი ძვირად ფასობდა“[25]. „თუმცა, ცხადია, ა. ენფიანჯიანცს, როგორც თამბაქოს ფაბრიკანტს, არ შეეძლო ასე ადვილად სრულიად აეღო ხელი თამბაქოს პლანტაციებზე. აქ მან 1890 წელს თავის მამულში მიწის ნაკვეთი გამოუყო თამბაქოს საცდელი პლანტაციის მოსაწყობად მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესასწავლად მოვლინებულ აგრონომ ე. ჩუბკოვს[26]. ე. ჩუბკოვი მიზნად ისახავდა ადგილობრივ პირობებში „სხვადასხვა ჯიშის

---

[22] В. Шербачев, «Обзор табаководства в России», вып. I. 1889, СПБ.

[23] „თამბაქოს მოყვანის საქმე საქართველოში“ („გაზ „მეურნე“, 1898, № 16, გვ 5—6).

[24] პ. ყიფიანი, „თამბაქოს მოყვანა“ („გაზ. „მეურნე“, 1888. № 24, გვ. 4—6).

[25] КСХ, 1893, № 2, стр. 24—25.

[26] КСХ, 1894, № 49, стр. 796.

თამბაქოს გაშენებასა და მათი რენტაბელობის საკითხის შეს-
წავლას"[27].

მე-19 ს. 90-იანი წლებიდან ლაგოდეხის რაიონში მეთამ-
ბაქოეობის დაცემის შემდეგ, დ. ჩოლოყაშვილის ცნობით
(1895 წ.), „მეთამბაქოე. თავისი გიგანტური შრომისთვის
არამცთუ არ ღებულობს რაიმეს. არამედ. პირიქით, თავისი ბა-
ტონ-პატრონის (მემამულისა და შემსყიდველის—პ. გ.) ვალ-
უვალ მოვალედ ხდება. რის გამოც იგი იძულებულია თავის
თავზე აიღოს ვალდებულება მომავალი წლისათვის"[28]. ამას-
თანავე აქ ადგილობრივი გლეხები „მეთამბაქოეობას მისდევენ
ვაჭრებთან ერთად—მემამულისგან იჯარით აღებულ მიწაზე და,
აგრეთვე. სამხედრო ბეგარამოხდილი ადგილობრივი რუსი
გლეხები— თავიანთ სანადელო მიწაზე"[29].

იმის საილუსტრაციოდ. თუ რამდენად იყო დაკაბალებუ-
ლი სიღნაღის მაზრის წვრილმწარმოებელი მეთამბაქოე ფაბრი-
კანტისა და შემსყიდველის მიერ საკმარისია მოვიყვანოთ რამ-
დენიმე მაგალითი. 1894 წ. ო. სტეპანიანი წერდა, რომ ლაგო-
დეხის რაიონში 1893 წლიდან თამბაქოს შესყიდვა დაიწყო თბი-
ლისელმა ფაბრიკანტმა მ. საფარაშვილმა (საფაროვმა), რომე-
ლიც ყოველნაირად სარგებლობდა პლანტატორების მძიმე
მდგომარეობით. რათა მუქთად შეეძინა საქონელი; ხოლო იმ
შემთხვევაში. თუ პლანტატორებმა ადგილობრივად დროზე
ვერ გაასაღეს თავიანთი საქონელი ისინი გამოუვალ მდგომა-
რეობაში ვარდებიან და „იძულებულნი ხდებიან ფულის ავან-
სად მიღებისათვის თამბაქო გაგზავნონ თბილისში—საკომისიო
თამბაქოს საწყობში, სადაც საქონელი რჩება ყოველგვარი მე-
თვალყურეობის გარეშე. იგი ფუჭდება და მას ფასი ეკარგე-
ბა".[30] სავსებით ანალოგიურ მოვლენას აგვიწერს ადგილობრივი
პლანტატორი იაკობაშვილი. რომელიც გარდა ამისა, ჩივის. რომ

---

[27] КСХ, 1895, № 60, стр. 1049—1050.
[28] КСХ, 1894, № 47, стр. 795—796.
[29] იქვე.
[30] КСХ, 1897, № 205, стр. 804—806.

მიწის იჯარის ქირა ძალიან დიდია და ამასთანავე აქ გაბატონებული მიწის მოკლევადიანი იჯარის სისტემა მრავალ უხერხულობას ბადებსო[31].

მაგრამ თამბაქოს ფოთლის რეალიზაციის მხრივ მაქმე მდგომარეობაში ვარდებოდნენ ხშირად აგრეთვე მსხვილი პლანტატორებიც. ლ. მლოკოსევიჩი მოგვითხრობს. რომ ის. რათა თავი დაეღწია ფაბრიკანტების მხრივ შევიწროებისაგან, 1894 წელს „იძულებული შეიქმნა გაეგზავნა თავისი საქონელი—1500 ფუთი თამბაქო—პეტერბურგში“. იგი ყოველწლიურად ჰყიდდა 500 ფუთზე მეტ თამბაქოს და მაინც ჩივის. რომ „პლანტატორის მდგომარეობა ყველაზე უფრო არასახარბიელო და გამოუვალია. საჭიროა ვიცოდეთ. რომ ჩვენი თამბაქოს ერთ ფუთზე აქციზს მიაქვს საშუალოდ დაახლოებით 13 მანეთი, ხოლო რამდენს იღებს ფაბრიკანტი—ეს მისი საიდუმლოებაა. მაგრამ ალბათ ყველაზე უფრო დიდ ნაწილს“[32].

ამ ხანებში, სახელდობრ 1895 წელს, თბილისის გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების საერთო რაოდენობა და ფართობი უდრიდა:[33]

მაზრების დასახელება	სოფლების რაოდენობა	პლანტაციების რიცხვი	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით
თბილისის მაზრა	1	1	1,0
ბორჩალოს მაზრა	22	261	15.2
ახალციხის მაზრა	30	392	45,0
ახალქალაქის მაზრა	10	96	5,7
გორის მაზრა	4	159	2,0
სიღნაღის მაზრა	11	244	270,8
თელავის მაზრა	12	242	23,0
თიანეთის მაზრა	37	361	0,5
სულ გუბერნიაში	127	1756	363,2

[31] КСХ, 1895, № 65. стр. 1136—1137.
[32] КСХ, 1895, № 57, стр. 1004—1005.
[33] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 687, ფურც. 179—182.

თამბაქოს დამზადების ოპერაციებში. აქ ერთი და იგივე ძეთოდით სარგებლობდნენ როგორც შემსყიდველები, ასევე ფაბრიკანტებიც. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში „თბილისელი ფაბრიკანტები, აღმოჩნდნენ რა კონკურენციის გარეშე. ყოველნაირად ავიწროებდნენ აქაურ პლანტატორებს და თამბაქოს ჩალის ფასად ყიდულობდნენ: ერთ ფუთ თამბაქოს ფასმა ნაცვლად 15—18 მან. დაიწია 4—6 მანეთამდე და იმასაც იძლეოდნენ ყოველგვარი შარის მოდებით. ატყუებდნენ წონაში და ფულს იძლეოდნენ განაწილვადებით... თბილისელი ფაბრიკანტი. ჩამოდიოდა რა თამბაქოსთვის ლაგოდეხში, მიმოიკითხავდა თავის შინაკაცებში (მიკიტანთა და მედუქნეთა შორის), რომლებმაც კარგად იციან თითოეული პლანტატორის მდგომარეობა. თუ რა გასაჭირს განიცდიან პლანტატორები. ხოლო შემდეგ გასინჯავდა თამბაქოს და ბრუნდებოდა თბილისში; რამდენიმე ხნის შემდეგ იგი თავისი შინაკაცის მეშვეობით შეატყობინებდა თამბაქოს ფასს“. პლანტატორი. რომელსაც მეურნეობრივი ხარჯების დასაფარავად ფული ესაჭიროება. „ძალაუნებურად თანხმდება შეთავაზებულ ფასზე. რაც ხშირად მისთვის საზარალოა“[34].

მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო. განსაკუთრებით მძიმე იყო წვრილმწარმოებელთა მდგომარეობა. ამასთან მეთამბაქოე გლეხისთვის ადვილი არ იყო. თუნდაც მას ამის სურვილი ჰქონოდა, თავიდან მოეცილებინა თამბაქოს პლანტაცია, ვინაიდან იგი ადრე თუ გვიან თამბაქოს შემსყიდველის ვალაუვალ მოვალედ ხდებოდა. 1898 წ. პ. ლომონოსოვი წერდა: „მეთამბაქოეობა კახეთში ამჟამად არ აძლევს მოსახლეობას არავითარ სარგებლობას. ის არსებობს მხოლოდ ინერციით და იმის წყალობით, რომ მრავალ გლეხს, რომლებიც შეეჩვიენ ამ საქმეს. არა აქვს სხვა შემოსავალი. თორემ მეთამბაქოეობა შემცირდებოდა მინიმუმამდე და იქნებ სულ გადავარდებოდა კიდევაც უკეთესი დროის მოლოდინში“. მდგომარეობა მხოლოდ ლაგოდეხის რაიონში იყო ოდნავ უკეთესი. მართალია, მეთამბაქოეო-

---

[34] КСХ. 1897, 206, стр. 805.

ბა არც აქ „არ იძლევა დიდ მოგებას. მაგრამ შეუძლია წარმოების ხარჯების ანაზღაურება“[35].

მაგრამ თამბაქოს შემსყიდველთა კორპორაცია შემდეგ წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა. თბილისის გუბერნიის საერობო აგრონომი პ. კვიტკა 1913 წელს წერდა, რომ თამბაქოს მყიდველებს, რომლებიც ამავე დროს მეთამბაქოეთა კრედიტორები არიან, აქვთ „ყველა პირობა იმისთვის, რათა დააწესონ დაბალი ფასები და აიღონ მაღალი პროცენტები. ეს კიდევ არაფერი; შემოღებული აქვთ აგრეთვე წუნის დადების თავიანთი სისტემა ხარისხის გაბიაბურებისა და, მაშასადამე, ფასის დაწევის მიზნით. ამბობენ, რომ ესეც ცოტაა და შემოღებული აქვთ კიდევ სისტემა ფასის შემცირებისა საბოლოო ანგარიშსწორების დროს, რაც ძალიან ჭიანურდება და. ბოლოს, სისტემა განსაზღვრული რაოდენობის ბარდნების დამატებით, უფასოდ, მიღებისა. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, თუ ზოგიერთმა მეთამბაქოემ შეამცირა წარმოება და ისინი სერიოზულად ფიქრობენ გადავიდნენ ბამბის მოყვანაზე“[36].

სიღნაღის მაზრა მე-20 ს. დასაწყისშიაც თბილისის გუბერნიის მეთამბაქოეობის მთავარი ცენტრი იყო. აქციზის უწყების მიერ მეთამბაქოეობის მხრივ ეს მაზრა იყოფოდა გაღმამხარის ანუ ლაგოდეხის, ე. ი. პირველ და გამოღმამხარის, ე. ი. მეორე რაიონად და ასევე აღირიცხებოდა აქ მეთამბაქოეობის ეკონომიკური მაჩვენებლები.

მე-20 ს. პირველ ათეულ წელს სიღნაღის მაზრაში თამბაქოს მეურნეობათა რაოდენობის, მათი ნაკვეთებად დანაწილების, საერთო ფართობისა და მოსავლის შესახებ აქციზის უწყების შესაბამისი წლების ანგარიშგებებში მოიპოვება შემდეგი მონაცემები (ცხრილი იხ. 91 გვ.):

აქციზის მოსაკრებელთა ამიერკავკასიის სამმართველოს მეექვსე უბნის ზედამხედველის ცნობით, 1902 წელი აღინიშნა ს. ლაგოდეხის, ე. ი. გაღმამხარის ანუ პირველ რაიონში თამბა-

---

[35] КСХ, 1898, № 216, прилож. стр. 19.

[36] ДГЗА, стр. 291.

1. ლაგოდეხის (გალმამხარის) რაიონი

წლები	მეურნეობათა რაოდენობა	ნაკვეთების რიცხვი	საერთო ფართობი დესეტინობით	საერთო მოსავალი ფუთობით	ნაკვეთის საშუალო სიდიდე (დეკეტ.)
1902	110	327	274	22 570	0,80
1903	108	308	294	27 169	0,95
1904	99	418	251	21 282	0,60
1905	—	493	312	24 899	0,63
1906	88	285	145	11 226	0,51
1909	177	356	110	38 410	1,15

2. გამოღმა მხარის (ალაზნის მარჯვენა ნაპირის) რაიონი

წლები	მეურნეობათა რაოდენობა	ნაკვეთების რიცხვი	საერთო ფართობი დესეტინობით	საერთო მოსავალი ფუთობით	ნაკვეთის საშუალო სიდიდე (დესეტინ.)
1902	302	976	365	33 026	0,37
1903	345	1 153	479	49 517	0,42
1904	467	1 558	610	35 070	0,39
1905	—	1 974	891	77 900	0,49
1906	279	592	309	19 225	0,52
1909	120	216	128	910	0,59

ქოს პლანტაციების ფართობთა დიდი ზრდით, მაშინ როდესაც შედარებით მცირე ზომით გადიდდა ეს ფართობები ალაზანგამოღმა მხარეში ანუ მეორე რაიონში, ე. ი. მოხდა 1901 წლამდე მიმდინარე პროცესის საწინააღმდეგო მოვლენა[37].

ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, იყო ის გარემოება, რომ 1901 წელს თამბაქოს ფოთლის მოსავალი შედარებით დაბალი იყო, ხოლო ფასები მაღალი, რამაც, ბუნებრივია, შემდგომ 1902 წელს გამოიწვია მეთამბაქოეთა მეტი აქტივიზაცია და, მაშასადამე, თამბაქოს პლანტაციების ფართობთა შემდკო-

[37] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე 902, ფურც. 229.

სიღნაღის მაზრის ლაგოდეხის რაიონში (გალმამხარეში) თამბაქოს ნეურნეობები მოცულობის მიხედვით ნაწილდებოდნენ

ნეურნეობები მოცულობის მიხედვით	1901 წ.	1902 წ.	1903 წ.	1904 წ.	1905 წ.	1906 წ.	1909 წ.
1 დესეტინაზე ნაკლები	?	8	12	22	16	36	21
1—დან 2 დესეტინამდე	28	40	31	33	64	32	70
2—დან 4 დესეტინამდე	12	46	45	33	45	15	64
4—დან 6 დესეტინამდე	2	7	7	6	6	3	15
6—დან 8 დესეტინამდე	1	6	3	2	3	1	4
8—დან 14 დესეტინამდე	0	1	3	2	2	0	2
14—დან 20 დესეტინამდე	0	1	0	0	1	1	0
20 დესეტინაზე მეტი	0	0	2	1	0	0	1

სიღნაღის მაზრის ალაზანგამოღმა მხარის რაიონში თამბაქოს მეურნეობები მოცულობის მიხედვით ნაწილდებოდნენ

მეურნეობები მოცულობის მიხედვით	1901 წ.	1902 წ.	1903 წ.	1904 წ.	1905 წ.	1906 წ.	1909 წ.
1 დესეტინაზე ნაკლები	?	139	115	172	230	108	63
1—დან 2 დესეტინამდე	67	124	162	218	303	125	37
2—დან 4 დესეტინამდე	15	35	60	74	134	44	17
4—დან 6 დესეტინამდე	1	3	6	2	8	2	2
6—დან 8 დესეტინამდე	1	0	1	0	0	0	1
8—დან 14 დესეტინამდე	1	0	0	1	0	0	0
14—დან 20 დესეტინამდე	0	1	1	0	0	0	0

მი გადიდება, რასაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით მსხვილ მეურნეობებში.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „თბილისელმა მესაწყობეებმა 1902 წელს თავიანთი კაპიტალები მოათავსეს სწორედ ამ რაიონში, როგორც უფრო საიმედო და სარფიან ადგილას. რამდენადაც. ჯერ ერთი, გალმამხარის რაიონში თამბაქოს დასარგავად თავისუფალი მიწები. ალაზანგამოღმა მაღარის რაიონთან შედარებით (სადაც მეთამბაქოეობა მხოლოდ ზეკანის ზოლშია გავრცელებული) საკმარისზე ბევრად მეტია. და. მეორედ. გალმამხარეში მეთამბაქოეობა ნაკლებ რისკთანაა დაკავშირებული. როგორც თამბაქოს ფოთლის მოსავლის მხრივ. თამბაქოს სარწყავი პლანტაციების მეოხებით. ასევე ადგილობრივი მეთამბაქოების მეტი საიმედოობის მხრივაც. რამდენადაც ესენი ამ საქმეში გამოცდილი ადამიანები არიან. მაშასადამე. უფრო სანდონი. ვინემ ალაზანგამოღმა რაიონის მცხოვრებნი. სადაც მეთამბაქოეობას ეწევიან უპირატესად გლეხები. რომლებიც ყოველთვის როდი იჩენენ უნარიან და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას თავისი საქმისადმი“[38].—ასეთი იყო ამ ცვლილებათა შესახებ ოფიციალური მეთვალყურის აზრი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1902 წ. მონაცემებით გალმამხარში თამბაქოს პლანტაციების ნაკვეთების საშუალო ზომა 0.84 დესეტინას აღწევდა. მაშინ. როდესაც გამოღმამხარში იგი 0.37 დესეტინას არ აღემატებოდა: გალმამხარში 1 დესეტინაზე ნაკლები ფართობის მქონე მხოლოდ 8 მეურნეობა იყო. რომელთა პლანტაციების 10 ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენდა 4 დესეტინას. ხოლო გამოღმამხარში 1 დესეტინაზე ნაკლები ფართობიან მეურნეობათა რაოდენობა იყო 139. რომელთა 320 ნაკვეთზე გაშენებული პლანტაციების საერთო ფართობი 71 დეს. უდრიდა.

ახლა აქ ისიც უნდა ითქვას. რომ გალმამხარის მეთამბაქოეობა მორწყვაზე იყო დამყარებული და ხარისხობრივად. ფერის მიხედვით. „რაც პლანტაციების წესიერი და დროული

[38] იქვე. ფურც. 230.

მოოწყვისა და მოვლა-პატრონობის მეოხებით მიიღწეოდა“ მშვენიერ პროდუქტს იძლეოდა, რაც შეეხება გამოღმამხარის თამბაქოს, იგი განირჩეოდა „მხოლოდ თავისი ბუნებრივი თვისებებით და როგორც ურწყავი უფრო მძიმე იყო, ვინემ ლაგოდეხის თამბაქო“[39].

გამოღმამხარში, როგორც უპირატესად გლეხური მეთამბაქეობის რაიონში, „თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი წლიდან-წლამდე მკაცრ მერყეობას განიცდიდა“[40].

1903 წელს კახეთის მეთამბაქეობის ოფიციალური მიმომხილველის, აქციზის საოკრუგო სამმართველოს ზედამხედველის კამიშინის დაკვირვებით „სიღნაღის მაზრაში თამბაქოს საქმის ზრდა დამოკიდებულია კახეთის ხელსაყრელ ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებზე და თამბაქოს სავსებით უზრუნველყოფილ გასაღებაზე—თბილისისა და ბაქოს ბაზრებში, საერთოდ თამბაქოს დაბალ ფასებსა და წარმოებაში ზოგიერთი ადგილობრივი ფაბრიკის რწმუნებულთა მონაწილეობაზე, რაც გამოიხატება, როგორც პლანტაციების მათგან უშუალო დამუშავებაში, ასევე მეთამბაქოე გლეხებზე პლანტაციების გამართვა-დამუშავებისთვის წინასწარ ფულის, ერთ დესეტინაზე 300 მანეთის, გაცემაში. ამ ავანსით პლანტატორი გლეხი ამუშავებს თამბაქოს პლანტაციას და ინახავს თავის თავსა და საკუთარ ოჯახს; ეკონომიის სახით მას რჩება შრომის ხელფასი; იგი ვალდებულია თავისი თამბაქო ჩააბაროს იმას, ვისგანაც მიიღო ფულები. კრედიტორთან ანგარიშსწორება ხდება თამბაქოს გაყიდვის შემდეგ და მდგომარეობს იმაში, რომ უბრუნებს ავანსად მიღებულ 300 მანეთს და ნახევარს დანარჩენი ფულისა, რაც ამოიგო თამბაქოს რეალიზაციით. ასე, მაგ., ერთ დესეტინაზე 100 ფუთი თამბაქოს მოსავლის მიღებისას, როდესაც ერთი ფუთი 7 მანეთად გაიყიდება, პლანტატორს ანგარიშსწორების შემდეგ თავისთვის რჩება კიდევ 200 მან“[41].

---

[39] იქვე, ფურც. 231.

[40] იქვე, საქმე № 930, ფურც. 258.

[41] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 904, ფურც. 250.

ასეთი იყო პირობები სიღნაღის მაზრის პირველ რაიონში, ხოლო მეორე რაიონში პლანტატორი გლეხი უფრო ხშირად ავანსად ღებულობდა 150 მანეთს, „ჩვეულებრივად უნაცვალგებოდ (უპროცენტო სესხის სახით), მაგრამ პირობით, რომ კრედიტორს გადაუხდიდა მთლიანი შემოსავლის ნახევარს“[42]. ასეთი საკრედიტო ოპერაციები. რა თქმა უნდა, სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რათა წვრილი მეიჯარე გლეხი (პლანტატორი) შემსყიდველის კაბალურ დამოკიდებულებაში მოქცეულიყო[43].

1905 წელს სიღნაღის მაზრაში პლანტაციების საერთო რიცხვი უფრო ნაკლები იყო. ვინემ წინა წლებში, მაგრამ სამაგიეროდ შესამჩნევად გადიდდა სავაჭრო. ე. ი. მსხვილი პლანტაციების რაოდენობა და, მაშასადამე. მიწის საერთო ფართობი. რაც ეკავა თამბაქოს მეურნეობებს. შესაბამისად გაიზარდა თამბაქოს მთლიანი მოსავალი. უფრო მსხვილი მეურნეობები. ცხადია, გალმამხარის რაიონში ვითარდებოდა. სადაც თამბაქოს მოვლა-პატრონობა უფრო რაციონალურად იყო მოწყობილი; თვით ფოთლების მოკრეფის. ანემსვისა და დატკეცადახარისხების ოპერაციები აქ უფრო კარგად სრულდებოდა.

მაგრამ 1905 წელი სულ სხვამხრივ შეიქნა ახალი სოციალური მოელენების საწყისი კერძოდ მეთამბაქოეობაშიც. დაიწყო „პერიოდული გაფიცვები ფაბრიკებში. მიმოძრაობის ხშირი შეწყვეტა რკინიგზებზე. ბაზრების დახურვა იმ ადგილებში, სადაც ხდებოდა სომეხ-აზერბაიჯანელთა სისხლიანი შეტაკებები. შეიკვეცა თამბაქოს ნაკეთობათა წარმოება და მათი გასაღება და, მაშასადამე. მოთხოვნა თამბაქოს ფოთოლზე. რის მეოხებითაც ამ უკანასკნელის ფასები დაეცა 1 ფუთზე 4—5 მანეთამდე. ე. ი. თითქმის იმ დონემდე, რა ფასადაც 1905 წლის პირველ ნახევარში იყიდებოდა 1904 წლის მოსავლის დაბალი სორტის თამბაქო“ და სხვ[44]. 1905—1907 წწ. რევო-

---

[42] იქვე, საქმე № 903, ფურც. 259.

[43] იქვე, საქმე № 926, ფურც. 295.

[44] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 989, ფურც. 91.

ლუციის. კერძოდ მეთამბაქოეობისა და სააქციზო სისტემის საქმიანობაზე გავლენის შესახებ. ჩვენ ქვემოთ სპეციალურად გვექნება მსჯელობა.

* * *

1906 წელს თბილისის გუბერნიის მეთამბაქოეობის ცენტრში გაჩნდა თამბაქოს ფოთლის საბითუმო საწყობი. ეს საწყობი გახსნა მემამულე ჩოლოყაშვილმა, სპეციალობით აგრონომმა; იგი იყო სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი.

აქციზის საოკრუგო ზედამხედველი თავის ანგარიშგებაში აღვიწერს ამ საწყობის გახსნის მოტივსა და პირველი წლის საქმიანობას.

„თავად ჩოლოყაშვილს ამოძრავებდა იდეა შესაძლებელი დახმარება გაეწია და მშველელი ხელი გაეწვდინა გაჭირვებაში ჩავარდნილი მეთამბაქოებისათვის იმ მძიმე და კრიტიკულ მომენტში. რაშიაც უკანასკნელნი აღმოჩნდნენ 1906 წლის დასაწყისს. წინა 1905 წელს მიღებულმა თამბაქოს უხვმა მოსავალმა და გასაღების შეწყვეტამ,—რაც, ხშირი გაფიცვებისა და საერთოდ ვაჭრობის შეფერხების გამო, შედეგად მოჰყვა ფაბრიკული წარმოების შეკვეცას.—მეთამბაქოები ყოვლად ჯამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო: 1906 წლის 1 იანვრისთვის პლანტაციებში ჩაწოლილი იყო გაუყიდავი 100 ათას ფუთზე მეტი თამბაქო, ხოლო მყიდველები, მოთხოვნა და გასაღება არ იყო. თამბაქო უნდა შეენახათ სათანადოდ მოუწყობელ შენობებში; საჭირო იყო მისი მეთვალყურეობა. საჭირო იყო ფულები მინდვრის მომავალი სამუშაოებისთვის, მაგრამ თამბაქო მკვდარ კაპიტალად რჩებოდა. მეთამბაქოები რამდენჯერმე შეიკრიბნენ ქ. სიღნაღში, თავიანთი კრიტიკული მდგომარეობის შესახებ მსჯელობისთვის, რაიმე გამოსავალი ღონისძიების გამოძებნისთვის და, აი, მათ ამ გაჭირვებაში დაეხმარა თავადი ჩოლოყაშვილი. რომელმაც გადასწყვიტა თავის ჭიაურის მამულში მერძეობის ფერმისთვის აგებული შენობები დაეთმო თამბაქოს შესანახად და საბითუმო საწყობის გასამართავად, რათა შე-

საძლებელი ყოფილიყო თამბაქოს დაგირავება და ამ გზით მიღებული სესხის პლანტატორებისთვის დარიგება. ეს იდეა მაშინ მეთამბაქოებისთვის შეიქნა მშველელ ღუზად. შესაძლებელი გახდა თავის დაღწევა თამბაქოს ოჯახებში შენახვისგან, მისი მეთვალყურეობისგან. მოხერხდა მკვდარი კაპიტალის ნაწილი მაინც გამოეყენებინათ. მაშინ ამ აზრმა გაიტაცა როგორც პლანტატორები, ასევე თავადი ჩოლოყაშვილიც და იმ ზომამდე გაერთნენ ამ ხელსაყრელი გამოსავალით, რომ შემდგომზე არც კი უფიქრიათ, არ აუწონ-დაუწოხიათ ყველა გარემოება, არ გაუთვალისწინებიათ თამბაქოს შემდგომი ბედი, არ შეუმუშავებიათ მისი შენახვის, გასაღების პირობები, შეფასებულიც კი არ ყოფილა თამბაქო, რაც საწყობში დაალაგეს და სხვ... ყოველი მეთამბაქოე მხოლოდ ისწრაფვოდა თავიდან მოეცილებინა თამბაქო, ისწრაფვოდა ჩაებარებინა ის საწყობში და მიეღო სესხი. ბოლოს. განხორციელდა ეს იდეა: საწყობი გაიხსნა, სესხები აღებული და გაცემულია. ამით თავდება მეთამბაქოეთა და საწყობის ბედნიერი მომენტი, ხოლო შემდეგ იწყება სამწუხარო ისტორია: ყველა იმათ. რომელთაც პლანტატორებთან თამბაქოს შესყიდვისა და გასაღების მხრივ საქმე ჰქონდათ, რომლებიც ამ ოპერაციებით ასეულობით, ათასობით მანეთებს იგებდნენ. მიზნად დაისახეს დაეღუპათ ახლად გახსნილი საწყობი. რაც მათ გზაზე გადაეღობა და რამაც ხელიდან გამოგლიჯა მეთამბაქოები. იმათ უწინარეს ყოვლისა ყოველგვარი ზომა იხმარეს, რათა ჩოლოყაშვილის საწყობისთვის გადაეკეტათ თბილისის ბაზარი; ამბობენ, რომ მათ ჩოლოყაშვილს შესთავაზეს, რომ შეისყიდდნენ თამბაქოს იმ პირობით, თუ უკანასკნელი ხელწერილს მისცემდა. რომ საწყობი შეწყვეტდა თავის არსებობას. ასეთ გარიგებაზე თავადი არ დათანხმდა იმ იმედით, რომ მიაღწევდა ხელსაყრელ შედეგს, მაგრამ ეს მოლოდინი არ განხორციელდა. მიუხედავად მისი წინადადებისა, რუსეთის არც ერთმა ფაბრიკანტმა და მესაწყობემ არ ირისკა გამოჩენილიყო ამიერკავკასიაში, ალბათ, აქაური მოვლენებისა და საერთოდ წარმოების შემცირების გამო. ბოლოს, სექტემბრის თვეში ქ. ეკატერინოდარიდან მოვიდა

კომისიონერი, დაათვალიერა თამბაქო და ერთბაშად ფუთზე 5 მანეთი შეაძლია, ასეთი ფასი იმ დროს კიდევ იშვიათი იყო. მაგრამ შეკრებილი პლანტატორები, რამდენადაც საწყობში შესანახად ჩაბარებული თამბაქო ყოველი მათგანის საკუთრება იყო, შედეგად საწყობის იმავე მტრების მიერ მოხერხებული და შენიღბული აგიტაციისა, ამ ფასზე არ დათანხმდნენ, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა, უფრო ინტელიგენტური წრეებიდან, მოითხოვეს კახურ თამბაქოზე ჯერ არ გაგონილი ფასი 10—12—15 მანეთი ფუთზე. გარიგება არ შედგა და თამბაქო შემდგომ უიმედო მოლოდინში დარჩა საწყობში, ხოლო მუხრუჭი სულ უფრო და უფრო იჭიმებოდა: დგებოდა სესხების ნაწილობრივი შესატანების ვადები, დარჩენილი სესხის ვადის გაგრძელებისთვის სარგებლის (%%) შეტანის დრო. თავ. ჩოლოყაშვილმა თვითონ შემოიარა რუსეთში თამბაქოს ფაბრიკული წარმოების მთავარი პუნქტები, მაგრამ უშედეგოდ და მხოლოდ 1907 წ. იანვარში შესძლო მან მიესაღებინა თამბაქო კუშნარიოვის ფირმისთვის ქ. როსტოვში, ფრიად მძიმე პირობებში, რაც იგი იძულებული იყო მიეღო, რათა სულ დასაღუპავად არ ყოფილიყო განწირული თამბაქო"[45].

ასე რომ, შემსყიდველთა და ფაბრიკანტების მტკიცე კორპორაციის მეოხებით მეთამბაქოეთა თავისებურმა გაერთიანების ცდამ მარცხი განიცადა მაშინაც კი, როდესაც ამ გაერთიანებას ხელმძღვანელობდა ისეთი გავლენიანი მემამულე, როგორიც იყო ჩოლოყაშვილი. აქედან გასაგებია ისიც, თუ რამდენად მძიმე პირობებში იქნებოდნენ ჩაყენებული წვრილი მწარმოებლები, მეიჯარე პლანტატორები, რომლებიც მთლიანად დაკაბალებული ჰყავდათ თამბაქოს შემსყიდველებს.

წვრილი პლანტატორების მდგომარეობას მეტად ართულებდა თამბაქოზე ფასების ხშირი რყევადობა. მაგალითად, 1908 წელს თამბაქოს ხელსაყრელმა ფასებმა გამოიწვია 1908 და 1909 წლისთვის თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობის გადიდება. თბილისის გუბერნიაში 1909 წელს პლანტაციე-

[45] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 330—331.

ბის საერთო ფართობი გაიზარდა 68,9 პროცენტით 1908 წელთან შედარებით და 116,8 პროცენტით 1907 წელთან შედარებით. 1909 წლის ბოლოსაც მეთამბაქოეთათვის შედარებით „სასიამოვნო ფასები იყო“.

მაგრამ ოფიციალური მეთვალყურეებიც კი კარგად ამჩნევდნენ ფასების ამ ამაღლების არამტკიცე ხასიათს. „თამბაქოზე ის მოთხოვნა და ის წამოწეული ფასები, რასაც ადგილი ჰქონდა 1909 წლის ბოლოს თამბაქოს მეურნეობაზე იმოქმედებენ გარკვეული მიმართულებით, სანამ ის არ მიაღწევს საბედისწერო საზღვარს. რის მერმე მოხდება ისევ მკაცრი დაქვეითება, როგორც ეს იყო 1905 წლის შემდეგ. როდესაც თამბაქოს პლანტაციებს ეჭირათ სულ 1 393 დესეტინა ფართობი (თბილისის გუბერნიის მეექვსე ოკრუგის საზღვრებსა და ზაქათალის ოკრუგში), რის მერმეც თამბაქოს ნარგავების ფართობი 1906 წელს დაეცა 512 და 1907 წელს კიდევ—287 დესეტინამდე“[46].

აქციზის უწყების ზედამხედველი, ეხება რა ფასების ამ მკაცრ რყევადობას, წერს: „ასეთი რყევადობა პერიოდულად მეორდება და დაკავშირებულია იმასთან, რომ თამბაქოს წარმოების ადგილზე არაა არც საბითუმო საწყობები, არც დასაგროვებელი (сваточный) პუნქტები, სადაც შესაძლებელი იყოს თამბაქოს დაცვა-შენახვა მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში და, ამგვარად, მოსახერხებელი გახდეს გატანისა და ფასების რეგულაცია. ახლა კი, იმის გამო რომ არა აქვთ შესანახი ადგილი, პლანტატორები იძულებულნი არიან თამბაქო მოსავლის მოყვანის პირველ წელსავე გაასაღონ. რითაც სარგებლობენ შემსყიდველები და მინიმუმამდე ძირს სცემენ ფასებს, იქამდე რომ თამბაქოს გაშენება საზარალოც ხდება. ასეთ პერიოდებში მეთამბაქოეობა იკვეცება იმ ზომამდე, რომ ყოველწლიური წარმოება უკვე არასაკმაო ხდება ბაზრისთვის და, აი, მაშინ მყიდველები და სხვადასხვა სპეკულანტები იწყებენ თამბაქოზე ფასების მომატებას, ხშირად

[46] იქვე, საქმე № 989, ფურც. 262.

საკმაოდ მნიშვნელოვანი ზომით, და ამით ცხოვრებაში იწვევენ ახალი პლანტატორების გაჩენას, რომლებიც, ივიწყებენ რა ძველ გაკვეთილებს და, ებმებიან რა ანკესზე, ხელს კიდებენ თამბაქოს პლანტაციების გაშენებას, უფრო მეტი ზომით, ვინემ ეს საჭიროა. მერმე დგება გადამეტწარმოების პერიოდი და თამბაქოს ფასები სწრაფად ეცემა; იძულებული ხდებიან ისევ ხელი აიღონ პლანტატორის საქმეზე. 1906 წლის ანგარიშგებაში ჩემს მიერ მოთხრობილი სამწუხარო ისტორია იმხანად პლანტატორების საშველად წარმოშობილ თავ. ჩოლოყაშვილის საწყობზე კიდევ ახალია და საეჭვოა, რომ მისი კრახის შემდეგ, რაც იმავე სპეკულანტებმა გამოიწვიეს, მალე გამოჩნდეს სხვა მეწარმე, ხოლო პლანტატორები, განსაკუთრებით წვრილი მეურნეები, ამიერიდანაც დარჩებიან თამბაქოს სხვადასხვა კომისიონერთა და შემსყიდველთა კაბალაშიო"[47]—ასკვნის აქციზის საოკრუგო სამმართველოს ზედამხედველი.

სიღნაღის მაზრის მეთამბაქოეობის ხვედრიწონას საერთოდ თბილისის გუბერნიაში გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები:

სამრეწველო (სავაჭრო) პლანტაციების ფართობი დესეტინობით [48]

წლები	თბილისის გუბერნიაში	მ. შ. სიღნაღის მაზრაში	
		აბსოლ.	% %
1903	843	773	91,7
1905	1 320	1 203	91,1
1907	371	247	66,6
1909	594	538	90,6
1911	1 055	938	88,9
1913	706	616	87,3

[47] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 989, ფურც. 263.

[48] ООППАДЗ за 1909 г., стр. 156—157;—за 1913 г., стр. 182—183

1913 წ. სიღნაღის მაზრაში მეთამბაქოეობის მეურნეობათა საშუალო ფართობი უდრიდა 1,4 დესეტინას. საერთოდ 1 დესეტინაზე ნაკლები პლანტაცია ჰქონდა 257 მეურნეობას, ხოლო 1 დეს. მეტი—241 მეურნეობას. უკანასკნელი კატეგორიის მეურნეობათა შორის:

1-დან	2	დეს.-მდე	პლანტ. ჰქონდა	171 მეურნეობას
2-დან	4			47
4-დან	6			15
6-დან	8	„	„	3
8-დან	10	„	„	4 „
22-დან	24	„		1 „

აღსანიშნავია, რომ 1914 წელს ამ მაზრაში მოეწყო მეთამბაქოეობის უმსხვილესი მეურნეობა, რომელსაც 38 დეს. პლანტაცია ჰქონდა.

* * *

თბილისის გუბერნიის მაზრები აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს მიერ დაყოფილი იყო პირველ და მეექვსე ოკრუგებს შორის. პირველ ოკრუგში შედიოდნენ თბილისის, ბორჩალოს, გორის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ხოლო მეექვსე ოკრუგში—თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრები.

პირველ ოკრუგში მეთამბაქოეობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, მე-19 ს. მეორე ნახევარში შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული, მაგრამ მე-20 ს. დამდეგშიც ამ ოკრუგში შემავალ თბილისის გუბერნიის ტერიტორიიდან მეთამბაქოეობას უფრო მეტად ისევ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მისდევდნენ, უპირატესად მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში, სადაც შედარებით ადვილი იყო მორწყვის ორგანიზაცია.

1909 წ. ანგარიშგებაში აქციზის ზედამხედველი კოზლოვი წერდა. რომ ასალციხისა და ახალქალაქის მაზრებში თამბაქოს კულტურა „ფრიად დაბალ დონეზე დგას“. თამბაქოს ფოთლების გახმობას და შენახვას „დაუდევრად, საკმაო ყურადღების გარეშე ეწევიან. ამ ადგილების ნიადაგი და კლიმატიც, ეტყობა არახელსაყრელია მეთამბაქოეობისთვის. რამდენადაც აქ გაზრდილი თამბაქო იძლევა თხელ ბალახნაირ ფოთოლს, რასაც არა აქვს სპეციფიკური არომატი; მისი ბოლი მწველი და მახრჩობელაა, რის. გამოც ადგილობრივი თამბაქო ფაბრიკებში არ საღდება და მას მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებნი იყენებენ მოსაწევად და პირუტყვის ოჯახურ ექიმობაში“[49].

1913 წელს ახალციხის მაზრის მეთამბაქოეობის მიმდევარ 20 სოფელში სულ იყო 293 პლანტაცია, რომელთა საერთო ფართობი 47 დესეტინას უდრიდა, ე. ი. პლანტაციის საშუალო ფართობი 0.16 დეს. არ აღემატებოდა. შედარებით მსხვილი, მაგრამ შეფარდებით მცირე რაოდენობით იყო თამბაქოს პლანტაციები ბორჩალოს მაზრაში (27 პლანტაცია—22 დეს.).

ბორჩალოს მაზრაში მეთამბაქოეობას უპირატესად ლორისა და თრიალეთის საბოქაულოებში მისდევდნენ; პირველში მოჰყავდათ დაბალი სორტის თურქული თამბაქო „მადანი“, რაც მარტოოდენ საოჯახო მოხმარებისთვის იწარმოებოდა, მეორეში მოჰყავდათ წეკო, რასაც ცხვრის შესაწამლად ხმარობდნენ. თბილისის მაზრაში თამბაქოს პლანტაცია იშვიათი მოვლენა იყო და ერთეული ცდები თამბაქოს გაშენებისა, ჩვეულებრივ. მარცხით თავდებოდა.

საერთოდ პირველ ოკრუგში, ე. ი. ახალციხის. ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში 1904—1916 წწ. მეთამბაქოეობის მდგომარეობის შესახებ აქციზის უწყების მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა[50] (ცხრილი იხ. 103 გვ.):

---

[49] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 507, ფურც. 40.

[50] იქვე, ფურც. 41; საქმე № 736, ფურც. 30—31.

წლები	პლანტაციების რაოდენობა		ფართობი დესეტინობით		თამბაქოს მოსავალი პლანტაციებში		საშუალო მოსავალი 1 დეს.	
	მთლიანად	ე. წ. სავაჭრო პლანტაციებში	მთლიანად	ე. წ. სავაჭრო პლანტაციებში	მთლიანად	ე. წ. სავაჭრო პლანტაციებში	მთლიანად	ე. წ. სავაჭრ.
1904	1 200	718	148,8	145,5	5 650	5 469	37,9	37,6
1905	1 069	614	116,8	114,3	4 013	3 888	34,4	34,0
1906	968	648	113,2	131,4	2 536	2 453	19,0	18,7
1907	899	559	123,6	121,7	3 623	3 556	29,3	39,2
1908	719	256	49,7	46,4	1 469	1 320	29,5	28,4
1909	585	329	54,7	52,9	2 060	1 986	37,6	37,5
1911	627	562	88,7	86,5	2 403	2 313	27,0	26,7
1912	478	252	37,2	35,9	1 382	1 273	34,1	33,7
1913	510	322	70,9	69,3	2 356	2 282	33,8	33,0
1914	475	346	72,9	71,9	3 090	3 014	43,0	41,9
1915	513	419	114,0	113,0	4 336	4 284	38.4	37,9
1916	733	669	129,5	128,9	3 971	3 954	30,4	30,6

ამ ცხრილში წარმოდგენილია მთლიანი, ე. ი. როგორც სავაჭრო, ისე საკუთარი (საოჯახო) მოხმარების მეთამბაქოეობისა და კიდევ ცალკე სავაჭრო პლანტაციების დინამიკა. ამ ორი კატეგორიის მონაცემთა ურთიერთშედარებისა და, მაშასადამე, მთლიან მონაცემებში ხვედრიწონის დახასიათებისათვის საჭიროა ითქვას, რომ აღებულ 1904—1916 წლებში სავაჭრო პლანტაციები შეადგენენ პლანტაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 60—65 პროცენტს, ხოლო ფართობის საერთო რაოდენობის—97—98 პროცენტს და თამბაქოს ფოთლის საერთო მოსავლის—97—97.5 პროცენტს. აქედან უკვე ცხადია, რომ საოჯახო მოხმარების, ე. ი. 50 კვ. საჟენზე ნაკლები პლანტაციებიდან მიღებული თამბაქოს მოსავალი ფრიად უმნიშვნელო იყო.

ასე, მაგალითად, 1909 წელს მთელ ოკრუგში ამ კატეგორიის 256 პლანტაციიდან, რომელთა საერთო ფართობი 1.8

დესეტინას შეადგენდა, მიღებულ იქნა სულ 74 ფუთი, ხოლო 1915 წელს 94 პლანტაციიდან, რომელთა საერთო ფართობი 1 დესეტინასღა უდრიდა, მიღებულ იქნა სულ 52 ფუთი თამბაქოს ფოთოლი. მაშასადამე, პირველი მსოფლიო ომის პერიოდისთვის მეთამბაქოეობის ისეთ რაიონებშიც, სადაც ეს კულტურა საერთოდ მემცენარეობაში მეორეხარისხოვან, ანდა უმნიშვნელო როლს თამაშობდა, თამბაქოს წარმოება არსებითად მთლიანად სავაჭრო, საქონლური წარმოების ხასიათს ატარებდა.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ოკრუგშიც სავაჭრო მეთამბაქოეობაში გაბატონებული იყო უმაღლესი სორტის თურქული ჯიშები. 1904—1916 წლებში აქ მოყვანილი თამბაქოს ფოთლების საერთო რაოდენობაში დაბალი სორტის თამბაქოს ხვედრიწონა იშვიათად აღემატება 20% და ზოგჯერ 4—6 პროცენტამდე ეცემა[51].

მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო მოხმარებისთვის წარმოებული თამბაქოს ხვედრიწონა ფრიად მცირე იყო, აქციზის უწყება მაინც დიდ ღონისძიებას ატარებდა, რათა ეს მოსავალი არ გასცილებოდა საკუთარი მოხმარების სფეროს და აქციზგადაუხდელი სახით არ გაჭრილიყო საქონელთა სავაჭრო მიმოქცევაში.

პირველი ოკრუგის აქციზის მოხელე კოზლოვი, თავის ანგარიშგებით მოხსენებაში, ეხებოდა რა ამ საკითხს, წერდა:

„თუ დავუშვებთ, რომ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული თამბაქოს ნახევარი ნამდვილადაც ოჯახში იხარჯება, ხოლო მეორე ნახევარი გააქვთ და ფოთლისა თუ დაჭრილი სახით ფარულად საღდება, გამოდის რომ ყოველწლიურად მექორჩმეობის რაოდენობა აღწევს 800-დან 2600 ფუთამდე, რაც უკვე ფრიად დიდ ციფრს წარმოადგენს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ თავისი დაბალი ხარისხის გამო ადგილობრივი თამბაქო არ შეიძლება მიდიოდეს ფაბრიკებში, თუნდაც სხვა თამბაქოებთან მინარევების სახით. გადამუშავებისათვის და მით

[51] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 736, ფურც. 31.

უფრო არ შეიძლება დიდი ზომით საღდებოდეს ამ მხარის საზღვრებს იქით, ამიტომაც ნაკლებადაა დასაშვები, რომ ამგვარ მექორჩმეობას შეეძლოს ფისკის ინტერესებისათვის სერიოზული ზიანის მიყენება. არსებითად მეთამბაქოეობა აქ ატარებს სოფლისმეურნეობრივ ხასიათს, ემსახურება ადგილობრივ მოთხოვნილებას და მას არ შეუძლია მიიღოს ფართო სავაჭრო მნიშვნელობა. ამიტომაც, როგორც ჩანს. სოფლისმეურნეობრივი პლანტაციების რაიმე ახალი რეგლამენტაციით შეზღუდვა, საეჭვოა რომ აუცილებელი იყოს"[52].

რაც შეეხება სავაჭრო პლანტაციებს. აქციზის მოხელეს სასარგებლოდ მიაჩნდა, რათა, ადგილობრივ პირობათა შესაბამისად, სათანადო ცვლილებათა შეტანით აქ გაევრცელებინათ ის წესები. რომლებიც მეთამბაქოეობას არეგულირებდა პოლონეთის სამეფოში, რაც პლანტატორთა მხრივ თამბაქოს მოსავლის გადამალვის საწინააღმდეგო აღრიცხვისა და კონტროლის შემდგომ გაძლიერებაში გამოიხატებოდა[53].

თბილისის გუბერნიაში საერთოდ მეთამბაქოეობის განვითარების სტატისტიკა შემდეგნაირად წარმოგვიდგება[54]:

წლები	პლანტაციები		თამბაქოს ფოთლის მთლიანი მოსავალი ფუთობით
	რაოდენობა	ფართობი დესეტინობით	
1879	384	590	—
1883	1 064	279	13 938
1884	472	288	19 672
1885	2 269	562	37 884
1886	840	651	50 268
1887	1 063	397	23 518

[52] საქ. სსრ ცსია, ფონდი 371, საქმე № 507. ფურც. 41.

[53] იქვე, ფურც. 42.

[54] 1900 წლამდე მოცემულია საერთოდ პლანტაციების, ხოლო 1901 წლიდან მხოლოდ სავაჭრო (სამრეწველო) პლანტაციების რაოდენობა, ფართობი და მოსავალი.

1888	1 017	339	19 579
1889	1 975	208	12 383
1890	2 773	348	26 044
1891	3 221	499	35 000
1892	2 512	454	30 522
1893	1 902	391	28 573
1894	1 756	363	27 060
1895	1 921	323	25 157
1896	2 406	391	28 952
1897	2 731	426	37 669
1898	3 132	496	41 109
1899	3 169	514	39 497

მხოლოდ სავაჭრო პლანტაციები

1901	2 884	360	18 999
1902	3 384	736	58 539
1903	3 522	848	79 670
1904	4 232	1 012	62 242
1905	4 043	323	107 218
1906	2 022	587	33 067
1907	1 289	373	23 287
1908	1 086	370	26 037
1909	1 251	595	50 003
1910	1 851	986	65 579
1911	2 190	1 058	83 822
1912	1 439	781	49 722
1913	1 296	708	50 073
1914	1 708	1 315	107 389

VII. ზაქათალის ოკრუგი

1875 წლის ცნობით ზაქათალის ოკრუგის ორ სოფელში ირიცხებოდა 2 პლანტაცია, რომლის საერთო ფართობი უდრიდა 4,1 დესეტინას, ხოლო მოსავალმა შეადგინა 230 ფუთი[1].

1886 წელს აქ მეთამბაქოეობის მიმდევარ სოფელთა რაოდენობა უკვე დიდად გაზრდილია და უდრის 22, სადაც ირიცხება 129 პლანტაცია, საერთოდ 103,4 დესეტინა ფართობით, ხოლო მოსავალმა კი შეადგინა 17 405 ფუთი, საიდანაც 14 000 ფუთი მოდის სამხუნის სორტზე, ხოლო 3 405 ფ. წეკოზე[2].

[1] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 74, ფურც. 35.

[2] იქვე, საქმე № 236, ფურც. 147—148.

ზაქათალის ოკრუგში სავაჭრო მეთამბაქოეობა ადრიდანვე განვითარდა. ამასთანავე აქ იმთავითვე გაჩნდნენ შედარებით მსხვილი პლანტაციები. უმაღლესი ხარისხის მეთამბაქოეობა აქ გავრცელდა უმთავრესად სოფლებში ბელაქანსა და ყავახჩელში; სხვა ათიოდე სოფელში მოჰყავდათ უმთავრესად წეკო-საოჯახო მოხმარებისათვის, მცირე რაოდენობით (ცხრილი იხ. 108 გვ.).

წარმოდგენილი ცხრილი მეთამბაქოეობის განვითარების დინამიკის მსრივ, გვიჩვენებს დაახლოებით იმავე სურათს. რასაც ვაკვირდებით ამიერკავკასიის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში. მე-20 ს. დასაწყისიდანვე ზაქათალის ოკრუგში მეთამბაქოეობა სწრაფად ვითარდება. მრავლდება პლანტაციების რაოდენობა. იზრდება მათ მიერ დაკავებული ფართობის საერთო მოცულობა. რაც 1901 წელს უდრიდა 36 დესეტინას. ხოლო 1905 წელს უკვე 189 დესეტინას. ე. ი. ხუთი წლის მანძილზე იზრდება ხუთჯერზე უფრო მეტად. კიდევ უფრო ინტენსიურად მ[illegible]ულობს თამბაქოს ფოთლის საერთო მოსავალი. რაც 1 725 ფ[illegible]ოიდან (1901 წ.) აღწევს 18 741 ფუთს (1905 წელს).

[illegible]აგრამ მერმე ერთბაშად იწყება დაქვეითება. სანამ 1909 წლიდან არ დგება ახალი აღმავლობა, რომლის კულმინაციური პუნქტი. აღებულ პერიოდში, ზაქათალის ოკრუგში ითვლებოდა.

იყო 1914 წელი. როდესაც თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობმა 388 დესეტინას, ხოლო მთლიანმა მოსავალმა 35 830 ფუთს მიაღწია. ამასთანავე თვით პლანტაციების რაოდენობა შეფარდებით თანდათანობით მცირდებოდა. რაც მეურნეობათა სისტემატური გამსხვილების მაჩვენებელია. 1887 წელს პლანტაციების რაოდენობა უდრიდა 307. ხოლო მათი საერთო ფართობი 69 დეს. და მოსავალი კი 13 731 ფუთს, მაშინ როდესაც 1914 წ. პლანტაციების რაოდენობა უდრიდა 215, ხოლო საერთო ფართობი და მოსავალი. როგორც დავინახეთ, შეადგენდა, თანმიმდევრულად: 388 და 35 830.

ქვემომოყვანილ ცხრილში, სადაც მოცემულია 1903—1913 წწ. თამბაქოს მეურნეობათა მოცულობრივი სტრუქტუ-

წლები	თამბაქოს პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	მოსავალი ფუთობით
1879	43	69	—
1887	307	121	13 731
1888	125	70	5 459
1889	64	22	1 150
1890	60	27	1 982
1891	95	40	3 751
1892	151	56	4 190
1897	—	43	2 071
1898	86	78	7 507
1899	44	48	4 941
1900	79	77	6 167
1901	51	36	2 725
1902	55	50	4 266
1903	117	105	10 239
1904	131	129	12 984
1905	188	189	18 741
1906	96	63	5 847
1907	61	39	4 043
1908	83	59	5 690
1909	154	157	15 400
1910	189	231	20 524
1911	191	259	28 294
1912	80	88	5 999
1913	106	157	14 039
1914	215	388	35 830

რის დინამიკის სურათი ასევე ნათლად ჩანს ტენდენცია მეურნეობის გამსხვილებისა. მართალია, აქ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით 1 დესეტინაზე ნაკლები მოცულობის მეურნეობათა რიცხვი მე-20 ს. დასაწყისიდანვე არ კლებულობს, მაგრამ პირველი ათეული წლის მიწურულიდან ეს ტენდენცია უკვე შედარებით სწრაფი ტემპით ხასიათდება. ეს უფრო ცხადი გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ 1 დესეტინაზე ნაკლები მოცულობის მეურნეობათა ხვედრიწონა გამუდმებულად კლებულობს. საერთოდ თამბაქოს პლანტაციებით დაკავებული ფართობისა და მათი მთლიანი მოსავლის ჯამათან შეფარდებით (ცხრილი იხ. 109 გვ.).

ზაქათალის ოკრუგში თამბაქოს მეურნეობები მოცულობის მიხედვით ნაწილდებოდნენ

მეურნეობები მოცულობის მიხედვით	1903 წ.	1904 წ.	1905 წ.	1906 წ.	1909 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.
1 დესეტინაზე ნაკლები	17	14	16	31	35	63	44	27
1—დან 2 დესეტინამდე	9	10	6	6	20	14	12	23
2—დან 4 დესეტინამდე	20	7	15	3	16	24	6	10
4—დან 6 დესეტინამდე	2	7	6	2	7	11	2	8
6—დან 8 დესეტინამდე	2	0	3	0	2	4	0	4
8—დან 10 დესეტინამდე	1	1	2	1	0	0	1	1
10—დან 20 დესეტინამდე	0	1	1	1	2	3	1	1
20 დესეტინაზე მეტი	0	0	1	0	0	0	0	0

ზაქათალის ოკრუგში ძირითადად მხოლოდ მაღალხარისხოვანი აკლიმატიზებული თურქული თამბაქოს სორტები („სამსუნი“ და „ტრაპიზონი“) მოჰყავდათ. აქ. მაგალითად, 1913 წელს დაბალხარისხოვანი თამბაქოს (წეკოს. „მახორკის“) მხოლოდ 14 პლანტაცია იყო. რომელთა საერთო ფართობი 2 დესეტინას და მოსავალი კი 100 ფუთს არ აღემატებოდა.

1911 წელს რამდენიმე მსხვილმა მეთამბაქოემ თურქული მაღალხარისხოვანი თამბაქოს ახალი თესლები გამოიწერეს მცირეაზიიდან და მაკედონიიდან. ამათგან „ტრაპიზონისა“ და „სამსუნის“ გარდა, მოსავლიანობისა და თვისების მხრივ, ყურადღება მიიპყრო „დიუბეკის“, „შვარისა“ და განსაკუთრებით „თიკ-გულახის“ სორტებმა. 1911 წელს უკანასკნელი სორტის თამბაქოს აქ სულ ეჭირა 71 დესეტინა ფართობი. ხოლო„ „შვარისა“ და „დიუბეკის“ სორტებს ერთად 4 დეს... აქციზის უწყების სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ „თიკ-გულახის“ სორტი აქ მალე კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდა.

1913 წელს ზაქათალის ოკრუგში სულ იყო თამბაქოს 66 მეურნეობა, რომელთა შორის 1 დესეტინამდე ფართობისა ითვლებოდა 27.1-დან 6 დესეტინამდე—41, ხოლო 6 დესეტინის და მეტი ფართობისა კი მხოლოდ 6 მეურნეობა. აღსანიშნავია,

რომ აქ 1914 წელს გაჩნდა ამიერკავკასიაში თამბაქოს უმსხვილესი მეურნეობა—40 დესეტინამდე ფართობის პლანტაცია[3]. მეთამბაქოეობის ამ რაიონშიც დაახლოებით ანალოგიურ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, როგორც ვეზობელ ლაგოდეხის რაიონში.

VIII. ელისავეტპოლის გუბერნია

1875 წლის ცნობით ელისავეტპოლის გუბერნიაში ირიცხებოდა: საკუთრად ქალაქ ელისავეტპოლში 8 პლანტაცია, რომლის საერთო ფართობი უდრიდა 4 დესეტინას, ხოლო მოსავალმა შეადგინა 330 ფუთი. ელისავეტპოლის მაზრის 10 სოფლის 10 პლანტაცია შეადგენდა 10 დესეტინას, რომელზედაც აღებულ იქნა 790 ფუთი თამბაქოს ფოთოლი. ყაზახის მაზრის 8 სოფელში 6 დესეტინა პლანტაციაში ფოთლის მოსავალმა შეადგინა 450 ფუთი; ზანგეზურის მაზრის 7 სოფელში ითვლებოდა 42 პლანტაცია, და მათმა მთლიანმა მოსავალმა 460 ფუთი შეადგინა[1].

ელისავეტპოლის გუბერნიის შესახებ 1876 წ. ანალოგიური მონაცემები შ.მდეგ სურათს წარმოგვიდგენს

ადმინისტრაციული ერთეულები	სოფლების რაოდენობა	პლანტაციების რიცხვი	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინ.	მთლიანი მოსავალი ფუთობით
ქ.ელისავეტპოლი		5	1,3	175
ელისავეტპოლის მაზრა	8	10	4,1	608
ყაზახის მაზრა	6	9	2,0	420
ზანგეზურის მაზრა	5	30	12,0	—
ჯებრაილის მაზრა	2	2	1,5	—
სულ	21	56	20,9	

[3] ЭТЗ, I, стр. 12.
[1] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 74, ფურც. 103.

შემდგომ ორ ათეულ წელს, სახელდობრ 1885 წ. და 1895 წ., ელისავეტპოლის გუბერნიაში მეთამბაქოეობის განვითარების ტემპებს გვაცნობს ქვემოთ მოყვანილი ცხრილები:

1885 წელს[2]

ადმინისტრაციული ერთეულები	სოფლების რაოდენობა	პლანტაციების რაოდენობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინ.	მოსავალი სულ ფუთებით
ელისავეტპოლის მაზრა	31	142	2,5	2085
არეშის მაზრა	12	15	0,4	177
ჯევანშირის მაზრა	3	3	0,2	150
ზანგეზურის მაზრა	8	15	1,1	63
ყაზახის მაზრა	4	11	0,3	101
ნუხის მაზრა	54	294	64,1	8815
სულ	112	480	68,6	11391

1895 წელს[3]

ელისავეტპოლის მაზრა	19	148	3,8
არეშის მაზრა	22	42	5,2
ჯევანშირის მაზრა	10	24	17,4
ზანგეზურის მაზრა	17	155	6,4
ყაზახის მაზრა	13	109	4,2
ნუხის მაზრა	48	346	89,9
სულ	129	824	126,8

ზემოთ მოყვანილი ცხრილები ნათლად ასახავენ ელისავეტპოლის გუბერნიაში, რეფორმისმერმინდელ პერიოდში, მეთამბაქოეობის საკმაოდ ჩქარ განვითარებას. თუ პლანტაციების საერთო ფართობი 1876 წელს შეადგენდა დაახლოებით 21 დესეტინას, ამ ციფრმა 1885 წელს გადააჭარბა 68, ხოლო 1895

[2] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე 236, ფურც. 146—149.

[3] იქვე, საქმე № 687, ფურც. 180—184.

წელს მიაღწია უკვე 127 დესეტინამდე, ე. ი. ოციოდე წლის განმავლობაში პლანტაციების საერთო ფართობი, მეთამბაქოეობის განვითარების ყველაზე უფრო მკაფიო მაჩვენებელი, ექვსჯერ გაიზარდა.

შესაბამისად გამრავლდა მეთამბაქოეობის მიმდევარი სოფლების რაოდენობა, პლანტაციების საერთო რიცხოვნობა და ფოთლადი თამბაქოს მთლიანი მოსავალიც.

მეთამბაქოეობის ძირითად რაიონს ელისავეტპოლის გუბერნიაში წარმოადგენს ნუხის მაზრა. აქ, თანახმად სააქციზო ზედამხედველის ბაქრაძის მიერ 1897 წელს შეგროვილი ცნობებისა, „პირველი მეთამბაქოები იყვნენ ებრაელები, რომლებმაც დაახლოებით 200 წლის წინათ სპარსეთიდან აქ შემოიტანეს თამბაქოს თესლი“.

ამ ებრაელთა მეურნეობრივი საქმიანობის საკმაოდ დაწვრილებითი აღწერილობა ეკუთვნის მ. ბეჟანოვს: „თითქმის ერთადერთი მეთამბაქოები, როგორც ნუხის, ასევე მეზობელ მაზრებში, ებრაელები არიან—სოფ. ვართაშენის მცხოვრებნი. ვართაშენელ ებრაელებს—350 კომლს,—როგორც სპარსეთიდან გვიანდელ გადმოსახლებულებს, მიწის ნაკელი არ მიუღიათ, თუმცა გლეხებად ითვლებიან. მათ შორის შეძლებულნი ვაჭრობას მისდევენ, ხოლო უმრავლესობა—ზაფხულობით თამბაქოს პლანტაციაზე მუშაობს, ზამთარში კი საწვრილმანო ვაჭრობას ეწევა“. ბეჟანოვის დაკვირვებით, ის გარემოება, რომ ებრაელებს მიწის ნაკვეთები არ მიეცათ, გახდა ერთგვარად ხელისშემშლელი მიზეზი იქ თამბაქოს კულტურის განვითარებისათვის.

ებრაელი მეთამბაქოები პლანტაციებს აშენებდნენ იჯარით აღებულ ნაკვეთებზე: „მიწათმფლობელი ვალდებულია დაანაკელოს საპლანტაციოდ გამოყოფილი მიწა; ექვსჯერ მოხნას, გადახნას და დაფარცხოს იგი ისე, რომ ნიადაგი ფქვილივით ფხვიერი გახდეს და, ამასთან ერთად, მან საკვები უნდა მისცეს პლანტატორ ებრაელსა და მის ოჯახს—პლანტაციაზე მუშაობის დროის განმავლობაში. ჩვეულებრივად, მზა საკვების ნაცვლად, ებრაელს ეძლევა 10 ფუთი ხორბალი, 4 ფუთი ბურღუ-

ლი და ხორცის, ერბოსა და სხვათა საყიდლად ფულად 5 მანეთი: პლანტაციის ყოველ ერთ დესეტინაზე...".

ყველა დანარჩენ სამუშაოსა და საზრუნავს კისრულობს მეთამბაქოე ებრაელი, „ხოლო მიღებული მოსავალი სანახევროდ იყოფა"—მიწათმფლობელსა და მეთამბაქოე-პლანტატორს შორის[4].

ნუხის მაზრაში ამ დროს თამბაქოს მთელი მოსავლის შესყიდვას ეწეოდა მხოლოდ ორი ფაბრიკანტი: დადანოვი ალიევთან ერთად და ნავრუზოვი. სააქციზო წესდება, „რომლის მიხედვით აკრძალული იყო თამბაქოს ფოთლის მიყიდვა სხვა პირებზე, გარდა ფაბრიკანტებისა და თამბაქოს მესაწყობეებისა,—სპობს ყოველგვარ კონკურენციას და პლანტატორებს მთლიანად დამოკიდებულს ხდის ფაბრიკანტებისა და საწყობთა მეპატრონეებისაგან"[5].

და ასეთ პირობებშიც მეთამბაქოეობა აქ მე-19 ს. 90-იანი წლებიდან დაწყებული სწრაფად ვითარდება. ასე, მაგალითად, თამბაქოს პლანტაციების ფართობი შეადგენდა დესეტინობით: 1893 წ.—55, 1894 წ.—90. 1895 წ.—112, 1896 წ.—148. თამბაქოს პლანტაციის ფართობის სიდიდე აქ მერყეობდა რამდენიმე კვადრატული საჟენიდან 1.5 დესეტინამდე. ამავე დროს აქ თითქმის ყველგან მოჰყავდათ მარტოოდენ წეკო, რომელიც 1 დესეტინაზე საშუალოდ 80—100 ფუთ თამბაქოს ფოთლის მოსავალს იძლეოდა.

მე-20 ს. დამდეგს ელისავეტპოლის გუბერნიაში, კერძოდ ნუხის მაზრაში თამბაქოს მეურნეობას ფართო მასშტაბით ეწეოდნენ აზერბაიჯანელი გლეხები და ებრაელები; მე-19 ს. უკანასკნელი ათეული წლის დასასრულის მონაცემების მიხედვით „მეთამბაქოეობა ებრაელებისათვის შეადგენდა მთავარ მოსაქმეობას, ხოლო მუსლიმანებისათვის—ხელსაყრელ დამხმარე

---

[4] М. Бежанов, «Табаководство в нухинском уезде» (КСХ, 1897, № 194, стр.614—615).

[5] «Обзор Елисаветпольской губ. за 1910 г.», 1912, Тифлис, стр. 32.

დარგს მეურნეობაში. თამბაქოს პლანტაციების ფართობი თვალსაჩინოდ იზრდება უკანასკნელ წლებში"[6].

თვით ელისავეტპოლის მაზრაში სავაჭრო მეთამბაქოეობა 900-იანი წლების დასაწყისისათვის ჯერ მხოლოდ ინერგებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ სოფ. ზურნაბადში, რომელსაც ამ მხრივ შემდეგში დიდი წარმატება ჰქონდა, თამბაქოს მოყვანა პირველად დაიწყეს მხოლოდ 1896 წელს—მცირე აზიიდან აქ გადმოსახლებულმა სომეხმა გლეხებმა, რომელთაც ადგილობრივმა მიწათმფლობელებმა მათი თხოვნისამებრ გამოუყო მიწის ნაკვეთი თამბაქოს კულტურისათვის. სულ ამ კულტურით დაკავებული იყო დაახლოებით 10 დესეტინა. პირობის თანახმად შემოსავალი უნდა გაყოფილიყო სანახევროდ პლანტატორებსა და მიწის მეპატრონეთა შორის. ცდამ წარმატებით ჩაიარა. თამბაქო მეტად ხელსაყრელ ფასში გაიყიდა. ადგილობრივი გლეხები ძალიან დაინტერესდნენ ამ კულტურით და მალე თამბაქომ გლეხთა მთელი სარწყავი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა[7].

ელისავეტპოლის გუბერნია ბოლომდე დარჩა წეკოს მეთამბაქოეობის რაიონად, თუმცა ჯერ კიდევ 900-იანი წლების დასაწყისში აქ ჩატარებული იყო „ცდები თურქული თამბაქოს დანერგვისა", მართალია, მეტად უმნიშვნელო ოდენობით, ისე რომ 1909 წელსაც კი მაღალხარისხოვანი თამბაქო სულ მხოლოდ 24 ფუთის რაოდენობით იყო მოწეული. წეკოს მოყვანამ კი... „მყარი განვითარება ჰპოვა და თუმცა წვრილი წარმოების, მაგრამ სავაჭრო ხასიათს კი მაინც ატარებს"[8].

ახლა ცალკე უნდა შევჩერდეთ ელისავეტპოლის გუბერნიის მეთამბაქოეობის მთავარ რაიონზე—ნუხის მაზრაზე. ნუხური წეკოს მთავარი მომხმარებლები იყვნენ თამბაქოს თბილისური ფაბრიკები და არსებითად სწორედ ეს განსაზღვრავდა აქ წეკოს მოყვანის მასშტაბსაც.

---

[6] КСХ, 1896, № 211, прилож., стр. 16.

[7] КСХ, 1897, № 185, стр. 477.

[8] იქვე.

თამბაქოს (წეკოს) პლანტაციების დინამიკა ნუხის მაზრაში

მეეურნეობები მოცულობის მიხედვით	1902 წ.	1904 წ.	1905 წ.	1906 წ
1 დესეტინაზე ნაკლები	533	176	56	89
1-დან 2 დეესეტინამდე	27	19	4	10
2-დან 4 დეესეტინამდე	4	5	2	2
6-დან 8 დესეტინამდე	0	1	0	0

თამბაქოს პლანტაციების რიცხვი, მათ მიერ დაკავებული საერთო ფართობი, მთლიანი და საშუალო მოსავალი ნუხის მაზრაში 1901—1913 წწ.

წლები	სოფლების რაოდენობა	პლანტაციების რიცხვი	საერთო ფართობი დეესეტინობით	წეკოს მთლიანი მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი 1 დესეტინ. ფუთობით
1901	—	501	114	13 914	122
1902	58	643	165	21 152	128
1903	60	1034	302	27 485	91
1904	40	245	90	7 979	90
1905	22	68	26	3 109	119
1906	33	116	50	4 222	84
1909	38	247	90	9 810	—
1911	41	237	98	11 780	—
1912	35	189	78	12 770	—
1913	41	173	79	8 050	—

1903 წელს წეკოს მეურნეობამ აქ განიცადა გადამეტწარმოების მკაცრი კრიზისი. რის გამოც პლანტაციების საერთო ფართობი 302 დესეტინიდან (1903 წ.) დაეცა 26 დესეტინამდე (1905 წ.).

ნუხის მაზრაში არ იყო თამბაქოს არც საბითუმო საწყობი და არც შესანახი პუნქტი. იყო მხოლოდ ორი შეღავათიანი საწყობი ქ. ნუხაში, ფაბრიკებში გასაყიდად გატანამდე თამბაქო (წეკო) „ინახებოდა თვით მეთამბაქოეთა საცხოვრებელ ბინებ-

ში", ხოლო მცირეოდენი რაოდენობით მოყვანილი უმაღლესი სორტის (თურქული ჯიშის) თამბაქოს თივის ფარდულებში ინახავდნენ[9].

აქციზის საქმის მიმომხილველი 1906 წლის ანგარიშგებით მოხსენებაში წერდა, რომ „ნუხის მაზრაში მეთამბაქოეობა უმთავრესად ვართაშენელ ებრაელთა ხელშია... როგორც წინა წლებში წეკოს პლანტაციებს ებრაელები აწყობენ მიწისმფლობელებთან სამენახევრეო საწყისებზე. მიწათმფლობელი მეიჯარე ებრაელს გარდა მოხნული მიწის ნაკვეთისა აძლევდა აგრეთვე 10 მანეთს ფულად, პურს და კვირაში ერთხელ ერბოსა და ბურღულს. სხვა საზრუნავი—მიწის შემდგომი დამუშავება, პლანტაციის მოვლა-პატრონობა უკვე ეკისრება მთლიანად ებრაელს, იგი აკეთებს კვლებს, რგავს ჩითილს, რაც ცალკე ნაკვეთზე საკუთარი თესლიდან გამოჰყავს, რწყავს პლანტაციას, ასუფთავებს მიწას სარეველა ბალახებისგან... ასეთ პირობებში, რაც ფრიად მძიმეა პლანტატორისთვის, შეიძლება ვიმსჯელოთ თუ რაოდენ მაღალია ნუხის მაზრაში მიწის საიჯარო ქი-

1909 და 1913 წლებში სავაჭრო პლანტაციები ელისავეტპოლის გუბერნიის მაზრებში ირიცხებოდა[10].

მაზრები	სოფლების რაოდენობა		პლანტაციების რიცხვი		საერთო ფართობი დესეტინობით		საერთო მოსავალი ფუთობით	
	1909 წ.	1913 წ.	1909 წ.	1913 წ.	1909 წ.	1913 წ.	1909 წ.	1913 წ
ნუხის	38	41	247	173	90	79	9810	8050
არეშის	12	24	32	38	26	27	3049	2040
ყაზახის	2	3	20	14	4	—	251	28
ჯევანშირის	3	4	12	5	12	2	1115	214
ელისავეტპოლის	2	1	3	10	7	6	426	420
შუშის	—	1	—	1	—	—	—	15

[9] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 926, ფურც. 321.

[10] ООППАДЗ за 1909 г., стр. 162; —за 1913 г., стр. 187.

რა, რაც ნაწილობრივ კავშირშია მიწის ნიადაგის იმ გამოფიტვასთან, რასაც იწვევს მეთამბაქოეობა"[11].

ახლა, თუ თვალს გადავავლებთ საერთოდ ელისავეტპოლის გუბერნიაში მაზრების მიხედვით მეთამბაქოეობის გაადგილებისა და თვით თამბაქოს წარმოების ევოლუციის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკას შემდეგი სურათი წარმოგვიდგება (ცხრ. იხ. გვ. 116).

ელისავეტპოლის გუბერნიაში ითვლებოდა სავაჭრო პლანტაციები[12]

წლები	პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს საერთო მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე
1879	154	590	—	—
1887	704	172	11 409	—
1888	539	63	6 135	—
1889	661	103	10 607	—
1890	1391	165	20 724	—
1891	1130	114	9 928	—
1892	671	68	6 545	—
1896	—	183	20 193	—
1897	—	143	15 515	—
1898	—	102	14 348	—
1899	—	131	11 546	—
1900	—	130	14 132	—
1901	—	124	14 326	—
1902	—	281	22 456	—
1903	1125	329	29 075	88
1904	319	115	10 678	93
1905	174	65	5 165	79
1906	195	72	5 908	82
1907	310	118	10 103	86
1908	227	109	9 224	85
1909	314	137	14 649	107
1910	324	130	15 279	117
1911	289	138	15 002	109
1912	256	109	15 512	141
1913	241	116	10 770	93

[11] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 329.

[12] 1879—1902 წლების მონაცემებში შეტანილია ყველა პლანტაცია საერთოდ.

მე-20 ს. პირველ ორ ათეულ წლებშიც თამბაქოს პლანტაციები აქ წვრილი იყო და მეთამბაქოეობის გავრცელების ძირითად რაიონშიც კი ყველაზე მსხვილი მეურნეობების პლანტაციათა საერთო ფართობები არ აღემატებოდა 2—4 დესეტინას.

IX. ბაქოს გუბერნია

ბაქოს გუბერნიაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უცხოური ჯიშის თამბაქოს დანერგვის ცდები დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 ს. 40-იან წლებში, როდესაც კავკასიის ადმინისტრაციამ გაძლიერებით მიჰყო ხელი ადგილობრივ მემამულეთა შორის განსაკუთრებით სხვადასხვა სორტის ამერიკული თამბაქოს თესლების გავრცელებას.

შაქის მაზრის უფროსი 1847 წლის 25 იანვრის თარიღით იტყობინებოდა „ჩემთან გადმოგზავნილი ვირგინიული, მერილენდური, კენტუკური და ალბანური თამბაქოს თესლი დაურიგდათ მცხოვრებლებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც მისდევენ თამბაქოს თესვას და რომლებმაც, თანახმად მიცემული რჩევა-დარიგებისა, თესვა დროულად ჩაატარეს. აღნიშნული თამბაქო მეტად კარგად გაიზარდა და თითქმის ორჯერ უფრო მაღალია, ვინემ უბრალო თამბაქო, ფოთოლიც აგრეთვე დიდი აქვს; მაგრამ ცუდი ამინდის გამო, რამაც დიდ ხანს გასტანა, ხოლო შემდეგში სიცივის დადგომის მიზეზით, მან ჯერ კიდევ მოუმწიფებლად, ძირზევე იწყო გაფუჭება და ლპობა; მიუხედავად ყოველივე ამისა, ზოგიერთ დაბლობ ადგილში თამბაქოს მცირე ნაწილი მოწეული იყო უვნებლად, მაგრამ იმის მეოხებით რომ ადგილობრივმა მკვიდრმა მოსახლეობამ ასეთი თამბაქოს დამუშავების საქმეში თავისი გამოუცდელობის გამო ვერ შესძლო ფოთლების შეტეხვის შემდეგ მისი მოვლა და

ასხმა იმ წესით, როგორც ამას რჩევა-დარიგება მოითხოვდა, ეს თამბაქოც არ აღმოჩნდა სავსებით კარგი"[1].

შირვანის მაზრიდან მიღებული ცნობით ალბანური თამბაქოს „მოსახლეობისათვის დასარიგებლად გადმოგზავნილი თესლი დაეგზავნა ბარგუშეთის, კოშუნის, სალიანისა და ლაგიჯის უბნის უფროსებს, რომელთაგან პირველი ორი იწერება, რომ ეს თესლი დაითესა საუკეთესო და მოსავლიან მიწაზე, რომ მას ფხიზლად უვლიდნენ;—მაგრამ იგი არ აღმოცენდა; ხოლო უკანასკნელი ორი იწერება, რომ თუმცა თესლი კარგად აღმოცენდა, მაგრამ ფოთლები თაგვმა და მწერმა გაანადგურაო".

ლენქორანის მაზრის უფროსი იტყობინებოდა, რომ „ჩემთან გადმოგზავნილი ვირგინიული, მერილენდური, კენტუკური და ალბანური თამბაქოს თესლი ჩემი დავალებით დათესა თბილისელმა მოქალაქემ თომა ხანუმოვმა ლენქორანის დასავლეთით 3 ვერსის მანძილზე მდებარე იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მას მის ამხანაგებთან, თბილისელ მოქალაქეებთან, ერთად გამოუყვეს ბარონ როზენის ნებასურვილით ამ ადგილში შაქრის ლერწამის გაშენების მიზნით. ამ თამბაქოს მოსავალი კარგი იყო და აწ განსვენებული ხანუმოვის მიერ იქნა მოწეული"[2]. ყუბის მაზრიდან მიღებული ცნობით იქ თამბაქოს მცენარე და მოსავალი „დამაკმაყოფილებელზე უკეთესი აღმოჩნდა"[3].

მიუხედავად ამ ღონისძიებათა პირველი საიმედო ნაბიჯებისა, ბაქოს გუბერნიაში უცხოური ჯიშის თამბაქომ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება. თუმცა ჯერ კიდევ მე-19 ს. 40-იან წლებში იმ დასკვნამდე მივიდნენ, „რომ „ნიადაგი, მაგალითად, ყუბის მაზრაში, განსაკუთრებით მისი შუა ზოლი, სავსებით გამოსადეგია თამბაქოს ამერიკული ჯიშების გასაშენებლად"[4].

მეთამბაქოეობის მიმდევარ სოფელთა რიცხოვნობა, თამბაქოს პლანტაციების რაოდენობა, საერთო ფართობი და

---

[1] АСКАК, т. X, № 136, стр. 165.
[2] АСКАК, т. X, № 143, стр, 167.
[3] იქვე, № 146, გვ. 168.
[4] იქვე, № 170, გვ. 179.

1873 წელს[5]

ადმინისტრაციული ერთეულები	სოფლების რიცხვნობა	პლანტაციების რაოდენობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინებით	ფოთლადი თამბაქოს მოსავალი ფუთებით
ბაქოს მაზრა	4	60	0,1	103
ყუბის მაზრა	33	168	67,5	6100
შემახიას მაზრა	8	118	16,2	1289
ჯევათის მაზრა	12	60	20,5	1868
სულ	57	406	104,1	9360

1875 წელს[6]

ბაქოს მაზრა	1	43	0,1	73
ყუბის მაზრა	61	244	39,2	4846
ჩეოქჩაის მაზრა	12	111	21,2	885
ლენქორანის მაზრა	11	55	5,0	69
შემახიას მაზრა	11	134	10,8	569
ჯევათის მაზრა	5	14	11.3	644
სულ	101	601	87,6	7086

1876 წელს[7]

ლენქორანის მაზრა	13	170	6,5	
ჩეოქჩაის მაზრა	12	100	2,5	756
ჯევათის მაზრა	12	103	19,0	192
შემახიას მაზრა	15	133	3,2	2985
ყუბის მაზრა	5	260	84,1	233
				12127
სულ	57	766	115,3	6293

[5] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 36, ფურც. 6.
[6] იქვე, საქმე № 74, ფურც. 18,
[7] იქვე, საქმე № 21, ~~ფურ~~ ფურც. 10 და 28.

მთლიანი მოსავალი ბაქოს გუბერნიაში, რეფორმის მერმინდელ წლებში, აქციზის უწყების მონაცემებით უდრიდა:

ათიოდე წლის შემდეგ, სახელდობრ 1885 წელს ანალოგიური მონაცემები ბაქოს გუბერნიის შესახებ ასეთია[8]

ადმინისტრაციული ერთეულები	სოფელთა რიცხოვნობა	პლანტაციების რაოდენობა	პლანტაციების საეოთო ფართობი დეციტინობით	მთლიანი მოსავალი ფუთობით
ყუბის მაზრა	98	476	57,5	9526
ჯევათის მაზრა	10	24	4,7	958
ლენქორანის მაზრა	10	98	3,1	460
შემახიას მაზრა	8	172	5,0	1017
გეოქჩაის მაზრა	5	89	2,7	529
სულ	131	859	73,0	12490

კიდევ ათი წლის შემდეგ, 1895 წელს ბაქოს გუბერნიაში ითვლებოდა[9]

ყუბის მაზრა	53	396	44,2	
ჯევათის მაზრა	17	90	25,5	
ლენქორანის მაზრა	26	287	11,8	
შემახიას მაზრა	10	320	9,3	
გეოქჩაის მაზრა	18	125	3,4	
სულ	124	1218	94,2	

ამგვარად, რამდენადმე შესამჩნევი ძვრები მეთამბაქოეობის სწრაფი განვითარებისა 80—90-იან წლებში არ აღინიშნება. სავაჭრო მეთამბაქოეობა ბაქოს გუბერნიაში განვითარებას იწყებს მხოლოდ მე-19 ს. მიწურულიდან და ისიც წეკოს კულტურის სახით[10].

---

[8] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 236, ფურც. 196.

[9] იქვე, საქმე № 687, ფურც. 182—4.

[10] С. Тимофеев, «Табаководство в Закавказье» (КСК 1895, № 63).

სავაჭრო და საკუთარი მოხმარების მეთამბაქოეობის ბაქოს

მაზრების დასახელება		1902 წ.				1903 წ.			
		პლანტაციების რაოდენობა	მათი ფართობი დესეტინა-ში	თამბაქოს მოსავალი ფუთებით	საშუალო მოსავალი 1 დეს.-ზე	პლანტაციების რაოდენობა	მათი ფართობი დესეტინა-ში	თამბაქოს მოსავალი ფუთებით	საშუალო მოსავალი 1 დეს.-ზე
ყუბის მ.	სავაჭრო	138	12,9	1146	89	264	20,8	1316	63
	საკუთ. მოხმ.	81	0,9	222	241	33	0,4	16	41
	სულ	219	13,8	1368	99	297	21,2	1332	62
ლენქორანის მ.	სავაჭრო	112	6,7	402	60	31	1,5	47	30
	საკუთ. მოხმ.	75	1,0	62	60	60	0,6	16	30
	სულ	187	7,7	464	60	91	2,1	63	30
შემახიას მ.	სავაჭრო	176	8,0	629	79	186	8,0	464	58
	საკუთ. მოხმ.	77	0,8	58	74	75	0,8	45	59
	სულ	253	8,8	687	78	261	8,8	509	58
გეოკჩაის მ.	სავაჭრო	128	6,9	554	80	137	10,0	770	77
	საკუთ. მოხმ.	93	1,0	68	61	83	0,9	57	64
	სულ	221	7,9	622	79	220	10,9	827	76
ჯევათის მ.	სავაჭრო	42	8,5	155	183	13	3,3	236	72
	საკუთ. მოხმ.	—	—	—	—	—	—	—	—
	სულ	42	8,5	155	183	13	3,3	236	72
	ჯამი	922	46,7	3296	100	882	46,2	2967	64

აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს მესამე ოკრუგის ზედამხედველის ანგარიშგებით მოხსენებაში ნათქვამია, რომ როგორც წინა წლებში, ისე 1902 წელსაც ბაქოს გუბერნიაში მეთამბაქოეობას ეჭირა „არასახარბიელო მდგომარეობა გუბერნიის მოსახლეობის სხვა სოფლისმეურნეობრივ კულტურათა შორის. მეთამბაქოეობა აქ მრეწველობის ცენტრებიდან

ბუბერნიაში მაზრების მიხედვით 1902—1906 წწ.

1904 წ				1905 წ.				1906 წ.				5-წ-ში
პლანტაციების რაოდენობა	მათი ფართობი დესეტინა	თამბაქოს მოსავალი ფუთ-ობით	საშუალო მოსავალი 1 დ-სეტინაზე	პლანტაციების რაოდენობა	მათი ფართობი დესეტ-ინობით	თამბაქოს მოსავალი ფუ-თობით	საშუალო მოსავალი 1 დ-სეტინაზე	პლანტაციების რაოდენობა	მათი ფართობი დესეტ-ინობით	თამბაქოს მოსავალი ფუ-თობით	საშუალო მოსავალი 1 დ-სეტინაზე	თამბაქოს ფოთლის საშუ-ალო მოსავალი 1 დესეტ-ინაზე
190	10,5	1410	133	170	18,3	1883	103	141	9,3	1200	129	99,5
59	0,5	47	97	53	0,5	33	64,1	114	1,3	233	178,9	148,9
249	11,0	1457	131	223	18,8	1916	102,2	255	10,6	1433	135,1	99,5
82	3,8	114	30	51	3,1	92	29	39	2,4	79	32,9	41,7
40	0,1	14	30	120	0,6	19	29,6	23	0,2	5	24,5	45,8
122	4,2	128	30	171	3,7	111	29,34	62	2,5	84	33,6	41,6
119	4,6	977	215	116	3,7	501	134	125	3,6	541	150,2	111,9
[illegible]	0,7	103	141	72	0,6	99	155,7	71	0,7	105	150,8	114,2
1170	5,3	1082	204	188	4,3	600	139,35	199	4,3	616	150	111,8
120	5,7	598	89	86	4,6	411	97	86	3,3	288	87,4	84,4
53	0,7	43	62	105	0,9	101	106,8	132	1,3	111	85,5	79,4
173	7,1	641	87	191	5,5	542	98,43	218	4,6	399	80,8	83,8
1		50	75	6	4,5	462	103,87	24	1,6	202	126,5	135,7
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
1	0,7	50	75	6	4,5	462	103,87	24	1,6	202	126,5	135,7
723	28,6	3358	117	779	36,8	3631	98,4	758	23,6	2764	117,1	95,6

დაშორებული რაიონების უღარიბესი მოსახლეობის მხოლოდ დამხმარე საქმიანობაა და უპირატესად ადგილობრივი თესლისგან მიღებული დაბალი ხარისხის წეკო მოჰყავს მუსლიმანურ მოსახლეობას როგორც მათი საოჯახო მოხმარებისათვის მოსაწევად (გასაბოლებლად), ასევე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზე გადასაცვლელად. ფოთლადი წეკოს მაღალი

სორტები, განსაკუთრებით ყუბის, შემახიასა და გეოქჩაის მაზრებიდან ნაწილობრივ გააქვთ ქ. შემახიას ფაბრიკებისთვის...“[11]

იგივე დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ 1902 წელს, წინა წლებთან შედარებით, წეკოს მოსავალი „შედეგად ხელსაყრელი პირობებისა რამდენადმე გადიდდა“ და ამასთანავე „ეტყობა ერთგვარი გამოცოცხლება თვით პლანტაციების რაოდენობის გამრავლების მხრივ, რაც ნაწილობრივ აიხსნება ქ. შემახიაში არსებული აბდულაევის წეკოს ფაბრიკის მიერ თამბაქოს ფოთოლზე უფრო გაძლიერებული მოთხოვნით“[12]. როგორც ჩანს, პლანტაციების საშუალო სიდიდე საერთოდ ნაკლებად იცვლებოდა, ხოლო პლანტაციების რიცხვის დაწვრილერთეულება გამოწვეული იყო იმის შედეგად, რომ „თამბაქო უმთავრესად მოჰყავდათ საოჯახო მოხმარებისათვის“.

სავაჭრო და საკუთარი (საოჯახო) მოხმარების მეთამბაქოეობის გავრცელებულობის სურათს ბაქოს გუბერნიაში. მაზრების მიხედვით, წარმოგვიდგენს ზემოთ მოყვანილი ცხრილი. (იხ. გვ. 122—123).

1906 წლის ანგარიშგებით მოხსენებიდან ჩანს, რომ უმაღლესი სორტის თურქული თამბაქოს გაშენების ცდები სულ გრძელდებოდა, მაგრამ „კვლავ არადამაკმაყოფილებელი შედეგებით თავდებოდა“. არ ვითარდებოდა თვით წეკოს წარმოებაც „უმთავრესად იმის გამო, რომ ეს თამბაქო იყო დაბალი ხარისხისა და, როგორც ასეთი, გუბერნიის საზღვრების იქით არსად არ საღდებოდა“[13].

ბაქოს მთელი გუბერნიის მეთამბაქოეობის რაიონებიდან წამყვანი ადგილი ეჭირა ყუბას. აქ „მეთამბაქოეობა მართლაც წარმოადგენს ერთგვარ დამხმარე ძალას სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რამდენადაც თამბაქოს კულტურისათვის მაზრის ტოპოგრაფიული მდებარეობის, ხელსაყრელი ნიადაგობრივი პირობების და, აგრეთვე, თვით პლანტატორების (მთიელი ებრაელი-მუსლიმანების) შრომისმოყვარეობისა

[11] საქ. სსრ ცსია. ფონდი 370, საქმე № 901, ფურც. 73.

[12] იქვე, ფურც. 74.

[13] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 140.

და ანგარიშიანობის მეოხებით ყუბური წეკოს ხარისხი გუბერნიაში მოყვანილი ყველა სხვა ამ სორტის თამბაქოზე უკეთესია და ამიტომაც მას სიამოვნებით ყიდულობს შემახიელი ფაბრიკანტი"[14].

1905—1907 წწ. რევოლუციამ შესამჩნევი ზიანი მიაყენა ბაქოს გუბერნიის მეთამბაქოეობას. „ქვეყნის არეულობამ, აზერბაიჯანელ-სომეხთა ურთიერთ ჟლეტამ. სხვადასხვა კატორღელ-უაჩაღთა და ექსპროპრიატორთა თავდასხმებმა, რომელთა რაოდენობა განსაკუთრებით გამრავლდა ყუბის მაზრასა და შემდეგ ლენქორანის, ჯევათისა და ნაწილობრივ გეოქჩაის მაზრებშიც, დააფრთხეს მშვიდობიანი შრომისთვის განწყობილი სოფლის მცხოვრებნი"[15].

1905 და 1906 წელსაც გეოქჩაის მაზრის სოფელ კირკში ხუცესი ა. ტერ-მარკოზოვი მცირე ზომით ეწეოდა „სამსუნის" ჯიშის თამბაქოს გაშენების ცდებს. მაგრამ აქ მოწეული ამ უმაღლესი სორტის თამბაქოს ხარისხი „იმდენად ცუდი იყო. რომ აქციზის მოხელეებმა, რომლებიც აქ მოვიდნენ პლანტაციის სიდიდის ასაზომად, ეს თამბაქო თავდაპირველად წეკოდ მიიჩნიეს და მხოლოდ თბილისის კომერციული ბანკის საბითუმო საწყობში შეამჩნიეს, რომ ეს შეცდომა იყო". იმავე სოფელ კირკში 1906 წელს მემამულე ალ. კორგანოვმა თავისი პლანტაციიდან აიღო 32 ფუთი უმაღლესი სორტის („სამსუნის") თამბაქო, რაც მალე გაფუჭდა ჭარბი სინესტის გამო[16].

ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრიდან თამბაქო ხშირად გაჰქონდათ ირანში. მაგრამ 1903 წელს რუსეთის მიერ ირანთან დადებული ახალი საბაჟო კონვენციის შემდეგ ეს ექსპორტი სავსებით შეწყდა, რა დროიდანაც ჯევათის მაზრაში მეთამბაქოეობა მნიშვნელოვნად დაეცა. ამ დროიდან, განსაკუთრებით 1905 წლიდან. შემახიელმა მეფაბრიკემ აბდულაევმა თამბაქოს ფოთლის შესყიდვა დაიწყო რუსეთის შიგა გუბერნიებში და

[14] იქვე, ფურც. 142.
[15] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 926, ფურც. 120.
[16] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 143.

აგრეთვე ელისავეტპოლის გუბერნიის მაზრებში. ამით „მონოპოლისტმა-ფაბრიკანტმა აბდულაევმა განახორციელა თავისი დაჟინებული სურვილი, რათა დაეწია ფასები განსაკუთრებით ყუბის მაზრის წეკოზე, რომლის კარგი თვისებები საერთოდ ცნობილია“. ამ გარემოებამ და 1906 წლიდან მიწის საიჯარო ქირის გადიდებამ საგრძნობი ზიანი მიაყენა ყუბის მეთამბაქოეობას.

ბაქოს გუბერნიის მეთამბაქოეობის რაიონებში თამბაქოს საწყობები და შესანახი პუნქტები 900-იანი წლების მიწურულშიც არ იყო. მეფაბრიკე აბდულაევის კომისიონერები თამბაქოს ფოთოლს უშუალოდ პლანტატორებისგან ყიდულობდნენ ყუბის მაზრის სოფლებში: ატუჩს, კუნასკენდს, კულარს, არტუჩს, მალიას, ჰანგ-იატაგს, შემახიასა და გეოქჩაის თითო-ოროლა სოფლებში.

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (გვ. 127) გვიჩვენებს, მე-20 ს. პირველი წლებიდანვე ბაქოს გუბერნიაში თითქოს ემჩნევა ტენდენცია სავაჭრო პლანტაციების საერთო ფართობის ერთგვარი გადიდებისა, რამაც 41 დესეტინიდან (1901 წ.) მეტ-ნაკლები რყევადობით 1909 წელს 47 დესეტინამდე მიაღწია; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მე-19 ს. მიწურულის შესაბამის მაჩვენებელთა დონემდე (64—54 დესეტ.—1898—1899 წწ.) მას უკვე აღარ მიუღწევია.

საოჯახო მოხმარების თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი 1898 წელს 6 დესეტინას შეადგენდა. მაგრამ მე-20 ს. პირველ ათეულ წელს მისი სიდიდე 2,5—3,5 დესეტინას შორის მერყეობდა და, ამგვარად, თითქმის უცვლელად და სტერეოტიპულად აღიწარმოებოდა თავის საცოდავ ფორმებსა და ზომებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ სავაჭრო პლანტაციების ერთი დესეტინიდან მიღებული თამბაქოს ფოთლის საშუალო მოსავალი ხშირად 40—50 პროცენტით აღემატებოდა საკუთარი (საოჯახო) მოხმარების პლანტაციების საშუალო მოსავალს[17].

---

[17] იქვე, საქმე № 926, ფურც. 121.

სავაჭრო და საკუთარი მოხმარების პლანტაციების შეფარდება ბაქოს გუბერნიის მეთამბაქოეობის რაიონებში

წლები	სავაჭრო პლანტაციები			საკუთარი მოხმარების პლანტაციები		
	პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	საერთო მოსავალი ფუთობით	პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	საერთო მოსავალი ფუთობით
1898	757	64	6 157	717	6,0	543
1899	620	54	5 852	543	4,2	214
1900	420	28	3 682	329	3,5	428
1901	476	41	3 686	433	3,6	243
1902	596	43	4 276	326	3,7	410
1903	631	44	2 833	251	2,6	135
1904	509	26	3 151	214	2,4	208
1905	429	34	3 379	350	2,7	253
1906	415	20	2 310	343	3,5	452
1907	442	25	3 134	307	3,2	361
1908	454	34	3 501	258	2,7	230
1909	489	47	4 612	302	3,5	318

ეს უკანასკნელი მომენტი ეხება განსაკუთრებით ყუბის მაზრის მეთამბაქოეობას, სადაც, როგორც აქციზის მოხელე აღნიშნავს, „ნაწილობრივ დაიწყო სავაჭრო პლანტაციების გადასვლა უფრო შეძლებულ თანასოფლელთა ხელში, რომელთაც გაადიდეს პლანტაციების ზომა, გააუმჯობესეს საპლანტაციო მიწის დამუშავება“ და გააუმჯობესეს საერთოდ მეურნეობის პატრონობა, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა საოჯახო მოხმარების პლანტაციებიდანაც შედარებით მეტი მოსავალი მიეღოთ.

ყუბის მაზრაში, მაგალითად, 1905 წელს თამბაქოს ყველაზე დიდი პლანტაცია 2,2 დესეტინაზე—ჰქონდა ორ თანამფლობელს, შემდეგ ხუთი უფრო „დიდი“ პლანტაციის ზომა არ აღემატებოდა 1500—1000 კვ. საჟენს ცალ-ცალკე. მერმე

მოდიოდა 18 პლანტატორი, რომელთა პლანტაციები რამდენადმე აღემატებოდა 500 კვ. საჟ., ხოლო დანარჩენი 88 გლეხის პლანტაცია თითოეული 500 კვ. საჟენზე ნაკლები ყო.

ბაქოს გუბერნიის მეთამბაქოეობის რაიონებში მე-20 ს. პირველ ათეულ წელს თამბაქო მოჰყავდათ სულ 80—100 სოფელში. 1902 წელს სავაჭრო მეთამბაქოეობას ეწეოდნენ 56 სოფელში (ყუბის მაზრაში—24, გეოქჩაის მ.—11, შემახიას მ.—12, ჯევათის მ.—4 და ლენქორანის მ.—5), ხოლო დანარჩენ 41 სოფელში თამბაქო მოჰყავდათ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის. 1906 წელს სავაჭრო პლანტაციები იყო ყუბის მაზრის—14, გეოქჩაის მ.—9, შემახიას მ.—10, ლენქორანის მ.—4 და ჯევათის მ.—3 სოფელში; საოჯახო მოხმარების თამბაქოს აწარმოებდნენ ყუბის მაზრის—8, გეოქჩაის მ.—8, შემახიას მ.—8 და ლენქორანის მ.—6 სოფელში. ბაქოს მაზრაში თამბაქო საერთოდ არ მოჰყავდათ[18].

ბაქოს გუბერნიაში მხოლოდ 1908 წლიდან დაიწყო ცდები მაღალხარისხოვანი თამბაქოს შედარებით დიდი პლანტაციების გასაშენებლად. ამ კულტურის პიონერი იყო ბაქოელი თამბაქოს ფაბრიკანტი აზიმბეკოვი, „რომელმაც ხაზინისგან იჯარით აიღო 9 დესეტინა მიწა დაბა გეოქჩაის მახლობლად და 1908 წელს გააშენა იქ სამსუნის პლანტაციები“, რომელიც მან შემდეგ იჯარით გასცა. „როგორც 1908 წელს, ასევე 1909 წელს ამ პლანტაციებზე აღებულ იქნა უმაღლესი სორტის თამბაქოს ფოთოლი“[19].

ამ წარმატებამ სხვებიც წაახალისა და სოფელ კარაბახკალში, მიუჯიგავტარანსა და კალინჩაგში გაშენდა თურქული თამბაქოს, უმთავრესად „სამსუნის“ პლანტაციები. საერთოდ გუბერნიაში მე-20 ს. დასაწყისიდან სავაჭრო მეთამბაქოეობამ განვითარება ჰპოვა ძირითადად ყუბის, შემახიასა და გეოქჩაის მაზრებში.

---

[18] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 141.

[19] ООППАДЗ, 1913 г., стр. 164.

1909 და 1913 წლებში ბაქოს გუბერნიის მაზრებში სავაჭრო პლანტაციების გაადგილება შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

მაზრები	პლანტაციების რაოდენობა		საერთო ფართობი დესეტინობით		თამბაქოს საერთო მოსავალი ფუთობით	
	1909 წ.	1913 წ.	1909 წ.	1913 წ.	1909 წ.	1913 წ.
ყუბის	206	134	16	29,4	2393	3465
შემახიას	132	78	4	2,9	579	278
გეოქჩაის	82	56	23	3.0	1242	119
ჯევათის	17	—	3	—	279	—
ლენქორანის	52	—	2	—	119	—

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ორ მაზრაში. სახელდობრ, ჯევათისა და ლენქორანის მაზრაში. 1910 წლის დასაწყისიდან „მეთამბაქოეობა სავსებით შეწყდა; რადგანც მთელ მიწებს ბამბისთვის იყენებენ“[20]. ბაქოს გუბერნიაში თამბაქოს კულტურის საქმეში წამყვანი ადგილი ეჭირა ყუბის მაზრას. სადაც სავაჭრო მეთამბაქოეობა „მთიელ მაჰმადიან-ებრაელთა მოსახლეობისათვის დამხმარე სარეწავს წარმოადგენდა. ხელსაყრელი ნიადაგისა და იმის გამო. რომ თამბაქოს გულდასმით უვლიან, ყუბის წეკო ფრიად მაღალი ხარისხისაა და უფრო მეტად ფასობს ვინემ სხვა თამბაქო. უფრო მეტად ვინემ ნუხისა და შემოტანილი პოლტავური წეკოც კი“—წერდა აქციზის მოსაკრებელთა ამიერკავკასიური სამმართველოს უფროსი ლ. პერშკე, 1909 წლის თავის ანგარიშგებით მიმოხილვაში.

ბაქოსა და განჯის გუბერნიაში. როგორც ვხედავთ, მეთამბაქოეობის ფართობი თანდათან მცირდებოდა. ეს იყო შედეგი მ ე ბ ა მ ბ ე ო ბ ი ს დ ა წ ო ლ ი ს ა, რამაც ზოგიერთი მაზრებიდან, ადრე თუ გვიან. სავსებით გამოდევნა მეთამბაქოეობა. ხოლო ერევნის გუბერნიაში კი ჯერ კიდევ 1890-იან წლებში, როდესაც ის-ის იყო ისახებოდა სავაჭრო მეთამბაქოეობა. იმდენად მძლავრი შეტევა აწარმოვა მებამბეობამ. რომ იმ

[20] ООППАДЗ, 1913 г., стр. 189.

დროიდან საბოლოოდ დაუხშო აქ კარი მეთამბაქოეობის ისე-დაც დაბალხარისხოვანი (წეკოს) კულტურის განვითარებას.

ბაქოს გუბერნიაში თამბაქოს სავაკრო პლანტაციების დინამიკა 1896—1913 წწ. შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს[21]

წლები	პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს საერთო მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე
1896	509	42	3 027	—
1897	570	46	4 630	—
1898	754	73	6 699	—
1899	620	60	6 064	—
1900	420	31	4 118	—
1901	476	44	3 942	—
1902	536	47	4 686	
1903	631	46	2 968	64
1904	509	29	3 358	117
1905	429	37	3 632	98
1906	415	20	2 311	115
1907	442	25	3 134	125
1908	454	34	3 501	103
1909	489	47	4 612	99
1910	418	44	3 067	70
1911	311	21	2 094	97
1912	271	19	1 613	85
1913	268	35	3 862	110

X. ერევნის გუბერნია

მიუხედავად იმისა, რომ ერევნის გუბერნიაში თამბაქოს კულტურას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, აქ მან ფართო გავრცელება მაინც ვერ ჰპოვა. აქციზის უწყებამ, თამბაქოს განვითარების წასაქეზებლად, სპეციალური დადგენილებით შეამცირა სააქციზო მოსაკრებელი ამ გუბერნიისათვის. მაგრამ ამ ღონისძიებამაც არ მოიტანა მოსალოდნელი შედეგი.

[21] 1906 წლამდე ცნობები საერთო ფართობისა და მოსავლის შესახებ შეიცავენ აგრეთვე საკუთარი მოხმარების პლანტაციებსაც, რომლებიც შეადგენდნენ საერთო ფართობის დაახლოებით 3 პროცენტს.

1873 წ. ცნობით აქ მხოლოდ ეჩმიაძინისა და ნახჭევანის მაზრებში მოჰყავდათ თამბაქო. კერძოდ ნახჭევანის მაზრის 7 სოფელში ირიცხებოდა 82 პლანტაცია. რომლის საერთო ფართობი 12,3 დესეტინას შეადგენდა; მთლიანმა მოსავალმა კი 369 ფუთს გადააჭარბა[1].

შემდგომ 1875, 1876 და 1878 წლებში ერევნის გუბერნიაში მეთამბაქოეობის მდგომარეობის შესახებ წარმოდგენას იძლევა აქციზის უწყების ქვემოთ მოყვანილი მონაცემები.

1875 წელს[2]

ადმინისტრაციული ერთეულები	სოფელთა რაოდენობა	პლანტაციების რიცხოვნობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	მთლიანი მოსავალი ფუთობით
ერევნის მაზრა	ცნობები		არაა	
ნახჭევანის „	7	45	1,3	40
შარურ-დარალაგიოზის მაზრა	2	52	1,4	320
ეჩმიაძინის „	11	42	3,9	172
სურმალოს „	8	133	73,5	2700
ალექსანდროპოლის „	ცნობები		არაა	
სულ		272	80,1	3232

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებენ, ერევნის გუბერნიაში მეთამბაქოეობა უფრო გავრცელებული იყო სურმალოს მაზრაში; 90-იანი წლებიდან შესამჩნევად დაწინაურდა ერევნის, ხოლო ჩამორჩა ეჩმიაძინის მაზრა.

ლ. პერშკეს დასკვნით ერევნის გუბერნიის ადგილობრივი თამბაქო, როგორც ჩანს. წეკოს დამოუკიდებელ ნაირსახეობას წარმოადგენს, და „თუმცა გარეგნულად—ფოთლის ფორმითა და ფერით—თურქულ ჯიშებს გვაგონებს, მაგრამ მას არ გააჩ-

[1] საქ. სსრ ცსია. ფონდი 370, საქმე № 36, ფურც. 40.

[2] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 74, ფურც. 5.

1876 წელს[3]

	ცნობები		არაა	
ერევნის მაზრა				
ნახჭევანის მაზრა				
შარურ-დარალაგიოზის მაზრა	7	47	1,4	49
ეჩმიაძინის მაზრა	2	56	1,6	370
სურმალოს მაზრა	12	44	4,0	190
ახალბაიაზეთის მაზ.	2	136	79,0	2960
ალექსანდროპოლის მაზრა	ცნობები		არაა	
სულ	283		86,0	3569

1878 წელს[4]

ადმინისტრაციული ერთეული	პლანტაციების რაოდენობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს მთლიანი მოსავალი ფუთობით
ერევნის მაზრა	200	69,5	1050
ეჩმიაძინის მაზრა	150	4,4	1390
სურმალოს მაზრა	94	3,1	1865
შარურ-დარალაგიოზის მაზრა	43	3,2	961
ნახჭევანის მაზრა	12	3,1	1101
ზანგეზურის მაზრა	15	1,1	390
ყაზახის მაზრა	25	0,2	69
სულ	539	84,6	16277

ნია ისეთი არც სურნელება და არც გემო, რაც საერთოდ თამბაქოს მცენარეს ახასიათებს; ამიტომ თამბაქოს დაბალხარისხოვანი ნარჩენების ნარევშიც კი იგი მხოლოდ ნაკეთობის ინდიფერენტული შემადგენელი ნაწილი იქნება"[5].

[3] იქვე, საქმე № 91, ფურც. 22.

[4] იქვე, საქმე № 1128, ფურც. 21.

[5] იქვე, საქმე № 236, ფურც. 10—11 და 144—147.

შემდგომ ათეულ წლებში ერევნის გუბერნიაში ოფიციალური მონაცემების მიხედვით ითვლებოდა:

1885 წელს[6]

ადმინისტრაციული ერთეული	სოფლების რიცხვი	პლანტაციების რაოდენობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინებით	მოსავალი ფუთობით
ერევნის მაზრაში	19	152	5,2	191
ეჩმიაძინის მაზრაში	12	150	11,2	346
სურმალოს მაზრაში	8	248	36,2	838
ნახჭევანის მაზრაში	7	21	3,0	56
შარურ-დარალაგიოზის მაზრაში	2	37	8.0	144
სულ	48	608	63,6	1575

1895 წელს[7]

ერევნის მაზრაში	54	517	38,6	—
ახალ-ბაიაზეთის მაზრაში	2	60	0,3	—
სურმალოს მაზრაში	14	376	66,1	—
ეჩმიაძინის მაზრაში	3	34	1,3	—
ნახჭევანის მაზრაში	6	77	2,0	—
შარურ-დარალაგიოზის მაზრაში	57	444	4,1	—
ალექსანდროპოლის მაზრაში	1	13	1,8	—
სულ	137	1521	114,2	—

მეთამბაქოეობა „როგორც მეურნეობის დარგი გავრცელებულია უპირატესად უფრო მსხვილ მიწათმფლობელთა შორის“. თამბაქოს აქ იყენებდნენ ვითარცა გაცვლის საშუალებას როგორც ერევნის გუბერნიის ფარგლებში, ისე მეზობელ

[6] იქვე, საქმე № 687, ფურც. 179—185.

[7] ООППАДЗ, 1909, стр. 167.

თურქულ სამფლობელოებში მომთაბარე ქურთთა ტომებთან ვაჭრობაში.

მეთამბაქოეობის მხრივ ერევნის გუბერნიაში პირველი ადგილი სურმალოს მაზრას ეჭირა, სადაც ამ კულტურას მისდევდნენ უმთავრესად შემდეგ სოფლებში: სუკსს, აგარაკს და ინჯაში. შემდეგ მოდის ერევნის მაზრა. სადაც შედარებით მცირე ზომის მეთამბაქოეობა გავრცელებული იყო ათიოდე სოფელში, უმთავრესად: თამამლუს, ბაშნალუს, კოილიასარს, თოხანშალუს, კარგამზალუს. კარაკოიუნულს, ულუხანლუსა და იმანშალუში.

იმის გამო. რომ ამ ოკრუგში მეთამბაქოეობას არ ჰქონდა რამდენადმე მნიშვნელოვანი არც სავაჭრო და. მაშასადამე. არც ფისკალური ხასიათი აქციზის მოხელეთა მხრივ მეთამბაქოეობის მიმართ მეთვალყურეობა. როგორც ჩანს, რამდენადმე მაინც მოდუნებული ყოფილა. აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს მიერ მეოთხე ოკრუგის მიმოხილვისათვის მივლინებული მოხელე რატომღაც მაინც აღშფოთებულია ამ უკანასკნელი სახის უწესრიგობით და თავის ანგარიშგებაში (1909 წ.) წერს:

„აქციზის ზედამხედველი აქ უწინდებურად რჩება უმწეო მეთვალყურედ ხაზინის იმ აშკარა ძარცვისა. რასაც მექორჩმეობა ეწოდება. ის კეთილსინდისიერად შემოივლის პლანტაციებს, აზომავს მათ, აღრიცხავს თამბაქოს მოსავალსა და სხვ. მარტოოდენ სტატისტიკისათვის, რასაც. როგორც ჩანს, აზრად აქვს იყოს საილუსტრაციო მასალა იმ სამწუხარო გულგრილობისა, როგორადაც აქციზის უწყება ეკეცევა ამ საქმეს. აქციზის ზედამხედველობის დასამშვიდებლად შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ერევნულ თამბაქოს ჰყავს მომხმარებელთა ვიწრო წრე და ამის გამო ამ ოკრუგში თამბაქოს წარმოებას... არ ძალუძს მიიღოს ფართო გავრცელება“[8].

მაინც, თვითმპყრობელობის ხაზინის ერთგული მოხელე უაღრესად დაღონებულია: მიმდინარე 1909 წელს მექორჩმეულ

[8] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 989, ფურც. 188.

მოხმარებაზე მოდის 10 025 ფუთი თამბაქო და „თუ მხედველობაში მივიღებთ. რომ ერევნულ თამბაქოს მოიხმარს (ეწევა) მოსახლეობის განსაკუთრებით ღარიბი კლასი, რომელიც. ეს თამბაქო რომ არ იყოს, იძულებული იქნება დაკმაყოფილდეს ყველაზე დაბალხარისხოვანი ფაბრიკული ნაკეთობით—წეკოთი, ჩვენ შეგვიძლია აღვრიცხოთ ხაზინის დანაკარგი საანგარიშგებო წელს სულ ცოტა 36 000 მან. რაოდენობით— ერთ ფუთ წეკოზე დადებული 3 მან. და 60 კაპ. აქციზის ანგარიშით. მაგრამ ერევნის გუბერნიაში თამბაქოს მექორჩმეობას უყურებენ როგორც აუცილებელ ბოროტებას. რომელთანაც ბრძოლა უაზროა".

შემდეგ იგი აკრიტიკებს თვით თამბაქოს აქციზის მოსაკრებელის წესდების 725 მუხლს. რამდენადაც. ვითომც იგი არ იძლევა მეთამბაქოეობაზე მკაცრი კონტროლის დაწესების საშუალებას და დამნაშავეთა ჯეროვანად დასჯის უფლებას და „ბოლოს და ბოლოს თუ პლანტატორმა მოინდომა მას შეუძლია კანონიერების შესაბამისად მთელი მისი თამბაქო უაქციზო მოხმარების საგნად აქციოს. მხოლოდ ასეთი კანონის მეოხებითაა შესაძლებელი არსებობა ისეთი ერცელი რაიონებისა. როგორიცაა ერევნის გუბერნია, სადაც თამბაქოს სავსებით თავისუფლად და დაუსჯელად სპეციალურად აწარმოებენ უაქციზო მოხმარებისათვის"[9].

როგორც სურმალოს, ისე ერევნის მაზრაშიც სავაჭრო მეთამბაქოეობას უპირატესად მისდევდნენ მსხვილი მიწათმფლობელები, ხოლო საკუთარი მოხმარების პლანტაციების საერთო რაოდენობა ზოგჯერ არცკი ჩამოუვარდებოდა სავაჭრო პლანტაციების საერთო რიცხვს, მაგრამ თამბაქოს კულტურით დაკავებული მიწის ფართობის მიხედვით საკუთარი მოხმარების (50 კვ. საჟენზე ნაკლები) პლანტაციების საერთო ფართობი

[9] იქვე, ფურც. 190.

მეტად უმნიშვნელო იყო და სავაჭრო პლანტაციების (50 კვ. საჟ. მეტის) საერთო ფართობის 2—3 პროცენტს არ აღემატებოდა. როგორც ამას ნათლად გვიჩვენებს აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს მეოთხე ოკრუგში (ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქის ოლთისის ოკრუგში) 1904—1909 წწ. მეთამბაქოეობის მდგომარეობის ამსახველი ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

წლები	პლანტაციების რაოდენობა		ფართობი დესეტინობით		თამბაქოს მოსავალი ფუთობით		საშ. მოსავალი ერთ დესეტინაზე	
	სავაჭრო	საკუთარი მოხმარების	სავაჭრო	საკუთარი მოხმარების	სავაჭრო	საკუთარი მოხმარების	სავაჭრო	საკუთარი მოხმარების
1904	1089	887	188	7	9387	330	50	47
1905	1005	248	209	2	10129	100	49	50
1906	1137	630	242	4	11478	268	47	64
1907	946	725	204	5	11836	392	58	78
1908	691	708	111	5	7525	244	68	49
1909	621	647	165	5	7867	250	40	90

სურმალოსა და ერევნის მაზრების დასახელებულ სოფლებში მეთამბაქოეობა ატარებდა სავაჭრო წარმოების ხასიათს. აქ მოიპოვებოდა შედარებით დიდი პლანტაციები, რომელთაგან თვითეულის ფართობი აღემატებოდა მეოთხედ დესეტინას. 1909 წელს ასეთი პლანტაციების რიცხვი 290 აღემატებოდა და მათზე მოდიოდა სულ 135 დესეტინა ფართობი, ე. ი. მთელ ოკრუგში თამბაქოს კულტურით დაკავებულია მიწის დაახლოებით 80 პროცენტი. დანარჩენ ცხრაასიოდე წვრილ პლანტაციებს ეჭირა სულ ოცდაათიოდე დესეტინა ფართობი და ისინი გაფანტულნი იყვნენ ერევნის გუბერნიის ოთხ (ერევნის, სურმალოს, ნახჭევანისა და შარურ-დარალაგიოზის) მაზრაში.

ერევნის გუბერნიაში მეთამბაქოეობის განვითარების შესახებ საერთო წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცნობები[10]

წლები	პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	საერთო მოსავალი ფუთობით
1890	1 343	117	3 700
1891	1 503	80	2 517
1892	1 264	103	3 935
1893	1 783	129	6 244
1894	1 521	114	5 661
1895	1 582	157	8 880
1896	1 571	144	7 231
1897	2 435	195	5 745
1898	2 161	186	6 116
1899	2 021	183	6 393
1903	2 794	218	9 650
1904	1 968	190	9 635
1905	1 181	204	10 135
1906	1 696	241	11 660
1907	1 605	205	11 906
1908	1 350	115	7 699
1909	1 203	168	8 041
1910	1 260	175	9 116
1911	958	156	4 377
1912	958	99	4 382
1913	994	163	4 991

XI. ქუთაისის გუბერნია

ქუთაისის გუბერნიაში 60-იან წლებამდე კიდევ გაბატონებული იყო თამბაქოს „ადგილობრივი" ჯიშები, მაგრამ ამ დროიდან აქ სულ უფრო იკიდებს ფეხს თურქული თამბაქო და ამასთანავე ვითარდება საერთოდ სავაჭრო მეთამბაქოეობა.

60—70-იან წლებში სავაჭრო მეთამბაქოეობის მთავარი რაიონები იყო ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის

[10] 1890—1899 гг. см. ЭТЗ, стр. 5; 1903—1913 гг.. см. ООППАДЗ, 1913, стр. 192—193.

მაზრები[1]. კერძოდ ოზურგეთის მაზრაში მეთამბაქოეობის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს მ. ერისთავი, რომელმაც ჯერ კიდევ 1850 წელს მის მიერ მოყვანილი თამბაქოსთვის თბილისის გამოფენაზე ქების სიგელი მიიღო. შემდეგ აღსანიშნავია ამ მხრივ აგრეთვე კ. ერისთავის მოღვაწეობა, რომელმაც 1864 წელს ტრაპიზონიდან გამოიწერა თამბაქოს სხვადასხვა თურქული ჯიშები და აგრეთვე მეთამბაქოე ლაზები.

მაგრამ სავაჭრო მეთამბაქოეობა ოზურგეთის მაზრაში განვითარებას იწყებს მხოლოდ 70-იანი წლებიდან. 1873 წ. დ. ბაქრაძე წერდა, რომ სოფ. ხევიდან მან გაიარა სოფ. იანოულისაკენ. რომელიც „განირჩეოდა თამბაქოს უხვი პლანტაციებით"[2].

მოგვეპოვება სწორედ იმხანებში ორგანიზებული აქციზის სამმართველოს მიერ შეკრებილი ცნობები ქუთაისის გუბერნიაში 1873 წელს თამბაქოს პლანტაციების რაოდენობის, ფართობისა და მოსავალის შესახებ[3]:

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სოფლების რიცხვი	პლანტაციების რაოდენობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	მიღებული მოსავალი ფუთობით
ქუთაისის მაზრა	14	64	46,5	900
ოზურგეთის მაზრა	3	10	20,5	610
რაჭის მაზრა	13	60	0,4	15
ზუგდიდის მაზრა	15	24	62,5	4200
სულ	45	158	129,9	5725

შემდგომი 1875 და 1876 წლების ანალოგიური ხასიათის მონაცემები მეტყველებენ ქუთაისის გუბერნიაში მეთამბაქოეობის განვითარების სწრაფი ტემპების შესახებ.

[1] П. Гугушвили, «Сельское хозяйство ...», II, стр. 410, 415
[2] Д. Бакрадзе, АПГА, стр. 226.
[3] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 36, ფურც. 20.

თამბაქოს პლანტაციები 1875 წ.[4] ქუთაისის გუბერნიაში

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სოფლების რიცხვი	პლანტაციების რიცხვი	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	საერთო მოსავალი ფუთობით
ქუთაისის მაზრა	9	46	12,0	1200
ონხურგეთის მაზრა	23	48	110,0	1050
რაჭის მაზრა	14	80	0.2	12
ზუგდიდის მაზრა	36	80	78.0	1560
სულ	82	254	230.2	3822
1876 წ.[5]				
ქუთაისის მაზრა	26	1012	407.0	3232
ონხურგეთის მაზრა	29	85	340,0	2086
რაჭის მაზრა	17	124	0.3	34
ზუგდიდის მაზრა	40	84	82,0	3034
სულ	112	1305	889,3	8386

ამგვარად, როგორც წარმოდგენილი ცხრილები გვიჩვენებენ, რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში მეთამბაქოეობის მიმდევარი სოფლების რიცხვი სამჯერ გაიზარდა. პლანტაციების რაოდენობა—რვაჯერ, მათი საერთო ფართობი—თითქმის შვიდჯერ, ხოლო თამბაქოს მთლიანი მოსავალი—ორნახევარჯერ მაინც.

ახლა, შემდეგი ათი და კიდევ ათი წლის მერმინდელ მდგომარეობას თუ გავეცნობით ასეთ სურათს მივიღებთ. (იხ. ცხრილები 140 გვერდზე).

1885 წელს ქუთაისის გუბერნიაში მეთამბაქოეობის მდგომარეობის შესახებ სპეციალური ნარკვევი ეკუთვნის პ. დზიუ-

---

[4] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 74, ფურც. 24.

[5] იქვე, საქმე № 91, ფურც. 16.

მეთამბაქოეობის მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში 1885 წელს[6]

მაზრების დასახელება	სოფლების რაოდენობა	პლანტაციების რიცხვი	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს საერთო მოსავალი ფუთობით
ქუთაისის მაზრა	15	575	115,2	2497
ოზურგეთის მაზრა	36	637	330,0	10497
ზუგდიდის მაზრა	14	1045	90,0	4260
სენაკის მაზრა	1	1	1,0	35
შორაპნის მაზრა	2	2	4,0	500
სულ	68	2260	540,2	17789

1895 წელს[7]

მაზრების დასახელება	სოფლების რაოდენობა	პლანტაციების რიცხვი	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით
ქუთაისის მაზრა	11	179	20,2
რაჭის მაზრა	2	7	0,3
შორაპნის მაზრა	12	50	1,1
სენაკის მაზრა	—	—	—
ზუგდიდის მაზრა	5	367	25,6
ოზურგეთის მაზრა	34	624	370,8
სულ	64	1227	418,0

ბენკოს. მისი აღწერის მიხედვით ოზურგეთის მაზრაში ამ დროს ადგილობრივ მცხოვრებთა მიწებზე თურქები (ნამდვილად ესენი იყვნენ თურქეთის ქვეშევრდომი ქართველები, სახელდობრ ლაზები) მენახევრეობის საწყისებზე ეწეოდნენ თამბაქოს მოყვანას. ისინი თამბაქოს ფოთლების „მოკრეფასა და მზეზე ანდა

[6] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 236, ფურც. 145—150.

[7] იქვე, საქმე № 687, ფურც. 179—182.

ფარდულში გახმობას, რაც ფრთხილ მუშაობას მოითხოვს, დიდის გულმოდგინებით აწარმოებდნენ, ხოლო სხვა მეთამბაქოები სისუფთავეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ"[8].

პ. დზიუბენკო წერს, რომ „დასავლეთში, აშშ და თურქეთში გახმობიდან ჩამოხსნილ თამბაქოს ახარისხებენ, აწარმოებენ მეორე ღვივილს, აწყობენ დატკეცილ ფოთლებად და აკეთებენ ნაკრაულებს. ქუთაისის გუბერნიაში კი მხოლოდ ბერძნებმა და თურქებმა (ე. ი. მუსლიმანმა ქართველებმა) იციან მეორე ღვივილის მოწესრიგება. ხოლო დანარჩენი მცხოვრებნი ყოველგვარი დახარისხების გარეშე ტკეცენ ფოთლებად, მერმე კრავენ ცალებად და ისწრაფიან რაც შეიძლება მალე გაყიდონ. ამიტომაც მეორედ დაუღვივებელ თამბაქოზე ფასები ფრიად დაბალია და გამყიდველი მთლიანად დამოკიდებულია ფაბრიკანტებსა და მათ აგენტებზე, რომლებიც ფასებს მინიმუმამდე ძირს სწევენ"[9].

ამ გუბერნიის ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში „უკვე დიდი ხანია რაც სთესენ ადგილობრივი ჯიშის თამბაქოს თესლს" და იგი წინათ იძლეოდა „საკმაოდ კარგი ხარისხის თამბაქოს, მაგრამ დროთა ვითარებაში, ალბათ ნიადაგის გამოფიტვისა და თესლის გადაგვარების გამო, ღებულობენ უფრო ცუდი ხარისხის თამბაქოს და მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში ახლაც მოყავთ კარგი სორტის პროდუქტი. რომელთაგან თავისი სიმაგრით განთქმულია წალენჯიხის თამბაქო, რომლისგან აკეთებენ დაბალი სორტის სიგარებს"[10].

ქუთაისის გუბერნიის მაზრებში ამ დროს უკვე გაბატონებული ადგილი ეჭირა თურქული სორტის თამბაქოებს, კერძოდ სამსუნს; სენაკის მაზრაში მცირე ზომით მოჰყავდათ აგრეთვე ვირგინული (ამერიკული) თამბაქო, ხოლო ზუგდიდის მაზრაში თითქმის მხოლოდ ე. წ. „მეგრული სორტისა". 1885 წელს აქ

---

[8] П. Дзюбенко, «Табаководство в Кутаисской губ». (ТКОСХ, 1888, № 7—8, стр. 351).

[9] იქვე, გვ. 361.

[10] იქვე, გვ. 362.

მიღებული თამბაქოს მთელი მოსავალი შეადგენდა 4 260 ფუთს, საიდანაც მხოლოდ 105 ფუთი მოდიოდა სამსუნზე, დანარჩენი (4 155 ფ.) „მეგრული სორტისა“ იყო.

გუბერნიის მეთამბაქოეობის მთავარ რაიონში, ოზურგეთის მაზრაში, უკვე მარტოოდენ სამსუნის სორტი მოჰყავდათ. აქ ყველა მიწას. რომელიც ამისთვის „რამდენადმე მაინც ვარგა აქცევენ თამბაქოს პლანტაციად. ხოლო უკანასკნელ ხანებში უფრო მდიდარმა გლეხებმა სიმინდის ყანების ადგილებზედაც გააშენეს თამბაქო“. საუკეთესო თამბაქო მოჰყავდათ მდინარეების სუფსისა და გუბაზოულის ჭალების სოფლებში—ჩოხატაურს, გორა-ბერეეოულს, ხიდისთავს, ონჩიკეთსა და სურებში. კერძოდ ჩოხატაურსა და გორაში სანიმუშოდ მოვლილი თამბაქოს პლანტაციები იყო რ. და ვ. ერისთავებისა და ს. ბერიძის მიწებზე, რაც წვრილმეიჯარე გლეხებზე იყო გაცემული მენახევრეობის საფუძველზე.

როგორც ჩანს, ოზურგეთის მაზრაში 1880-იანი წლების დასაწყისიდანვე მეთამბაქოეობის განვითარებას ძლიერი ბიძგი მისცა აჭარის შემოერთებამ, საიდანაც აქ ბლომად შემოვიდნენ არა მხოლოდ მეთამბაქოეობის მიმდევარი გლეხები, არამედ საკმაო ზომით შემოტანილ იქნა აგრეთვე თურქული თამბაქოების თესლიც[11]. თურქული სორტის თამბაქოები განირჩეოდა არა მხოლოდ მაღალი ხარისხით, არამედ მოსავლიანობითაც[12].

ე. ნაკაშიძის ცნობით, 70-იან წლებში ოზურგეთის მაზრაში აწარმოებდნენ დაახლოებით 40 000 ფუთ თამბაქოს, მაგრამ მერმე, სახელდობრ 1887 წელს, „იწყება თამბაქოს კრიზისი, თამბაქოს ფასი ეცემა... გლეხები, საკვები პროდუქტების საკმაო რაოდენობით უქონლობის გამო, ისწრაფოდნენ თავიანთი თამბაქო გაეყიდათ ჩალის ფასად, მაგრამ მყიდველს ვერ პოულობდნენ. ამის შემდეგ თამბაქოს პლანტაციის ფართობმა ყოველწლიურად იწყო შემცირება, თუმცა 1891 წლიდან კვლავ შესამჩნევი ხდება თამბაქოს ნარგავი ფართობის თანდათანო-

---

[11] იქვე, გვ. 367.

[12] იქვე.

ბითი ზრდა და ამჟამად (1898 წ.) გურიაში სავაჭრო პლანტაციების ფართობს დაახლოებით 300 დესეტინა უჭირავს"[13]. ე. ი. მან 1879 წლის დონეს მიაღწია.

მე-19 ს. 80-იან წლებში დ. ნოსოვიჩის ცნობითაც მეთამბაქოეობას ოზურგეთის მაზრაში „ეწევიან უმთავრესად მემამულეები, რომლებიც ამ მიზნისათვის იწერენ სპეციალისტებს თურქეთიდან და აძლევენ მათ მიწებს თამბაქოს პლანტაციის გასაშენებლად მოსავლის სანახევროდ გაყოფის პირობებში"[14]. მაგრამ სწორედ ამ დროიდან, როცა იგი ხელსაყრელ და მომგებიან მოსაქმეობად გადაიქცა, მეთამბაქოეობამ გლეხების ყურადღებაც მიიპყრო, რის მეოხებითაც მან მალე ჰპოვა ფართო გავრცელება.

გურულ თამბაქოს ადგილზევე იძენდნენ უმთავრესად ქუთაისელი, ფოთელი და თბილისელი შემსყიდველები, რომლებიც ამ თამბაქოს, გარდა ზემოაღნიშნული ადგილებისა, ასაღებდნენ სამხრეთ რუსეთის მეფაბრიკეებზე. გასაღების მთავარ პუნქტს რკინიგზის სად. საჯევახო წარმოადგენდა.

ოზურგეთის მაზრაში თურქული ჯიშის თამბაქო სწრაფად ინერგებოდა ლაზების მეოხებით. ე. ნაკაშიძეც ადასტურებს, რომ „პირველი მეთამბაქოები გურიაში ლაზები იყვნენ, ისინი მემამულეებისაგან ღებულობდნენ საჭირო რაოდენობით მიწას. სურსათ-სანოვაგეს (სიმინდის ფქვილსა და ლობიოს) და მთელ იმ მასალას, რაც პლანტაციის დამუშავებისათვის იყო საჭირო; თვითონ კი ასრულებდნენ ყოველგვარ სამუშაოს და ამის საფუძველზე მთელ მოსავალს შუაზე იყოფდნენ. ადგილობრივმა გლეხებმა ამ ლაზი-მეთამბაქოებისაგან შეისწავლეს თურქული თამბაქოს კულტურის მოვლა-პატრონობის ხერხები და მერმე თვით დაიწყეს მისი დამუშავება იმავე პირობებში. ამიტომ ლაზების რიცხვმა ამჟამად ერთი სამად იკლო"[15].

---

[13] Е. Накашидзе, «Табаководство в Гурии» (КСХ, 1898, № 220, прил. стр. 25).

[14] МИЗБКАЗК, I, 389—390; იხ. აგრეთვე გაზ. „ივერია", 1889, № 79 და №169.

[15] КСХ, 1898, № 220, прил. стр 28.

მე-19 ს. 70-იან წლებში საერთოდ ქუთაისის გუბერნიაში მეთამბაქოეობამ შესამჩნევი აღმავლობა განიცადა, მაგრამ მერმე, იმერეთსა და სამეგრელოში სავაჭრო მეთამბაქოეობა თანდათან ეცემა[16]... უკვე 90-იანი წლების ბოლოს ამ რაიონებში მეთამბაქოეობას ეწეოდნენ თითქმის მარტოოდენ საკუთარი მოსმარებისათვის. ასე, მაგალითად, ამ დროს სამეგრელოდან გაჰქონდათ თამბაქო არა უმეტეს 1000 ფუთისა და ისიც დაბალხარისხოვანი, რომელიც ცნობილი იყო „მეგრული თამბაქოს“ სახელწოდებით.

სინამდვილეში „მეგრული თამბაქო“ წარმოიშვა შემოზიდული ამერიკული (ვირგინიული) ჯიშისაგან, მაგრამ „ადგილის კლიმატური და ნიადაგური პირობების მეოხებით, იგი შეიცვალა და განსხვავებული ხასიათი მიიღო“. „მეგრული თამბაქოდან“ ამზადებდნენ უმთავრესად დაბალხარისხოვან სიგარებს. 90-იან წლებში შედარებით მსხვილი პლანტაციები სამეგრელოში, სოფ. ზანაში, ჰქონდა მემამულე მ. დადიანს. ამ მემამულის მამამ რაიონში პირველმა გამოიწერა თურქეთიდან ლაზი მეთამბაქოები და გააშენა თამბაქოს თურქული ჯიშის. მათ შორის „დიუბეკის“ სამრეწველო პლანტაცია[17] (ცხრილი იხ. 145 გვ.).

როგორც ქვემომოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ, მე-19 ს. 70—90-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში მეთამბაქოეობა შესამჩნევი ტემპით ვითარდებოდა. მეთამბაქოეობის მიმდევარ სოფელთა რაოდენობა და პლანტაციების რიცხვი, მართალია, არათანმიმდევრულად, მაგრამ მაინც სულ უფრო იზრდებოდა; ასე რომ, მე-20 ს. დასაწყისისათვის თამბაქოს წარმოებამ და თვით მოხმარებამაც აქ ფართო გავრცელება ჰპოვა. ამ დროისათვის იშვიათი იყო გლეხის მეურნეობა, რომლის კარმიდამოს, როგორც დამახასიათებელი ატრიბუტი, თამბაქოს პლანტაციის ერთი ბეწო ნაკვეთი მაინც არ ამშვენებდა[18].

მაინც ქუთაისის გუბერნიის მეთამბაქოეობაში ოზურგეთის მაზრას წამყვანი ადგილი ეჭირა პირველ მსოფლიო ომამ-

---

[16] „თამბაქოს მრეწველობა იმერეთში“ („მეურნე“, 1889, № 29—30).

[17] КСХ, 1898, № 220, прилож., стр. 29.

[18] П. Гугушвили, «Сельское хозяйство ... », т. IV, стр. 301.

მეთამბაქოეობა ქუთაისის გუბერნიაში მე-19 ს. 70—60-იან წწ.

წლები	სოფლის რაოდენობა	პლანტაციების რაოდენობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	ფოთლის მოსავალი ფუთობით
1873	45	158	1 29,9	5 725
1875	82	254	2 30,3	3 722
1876	112	1 305	8 89,3	8 386
1885	58	2 260	5 40,2	17 789
1895	64	1 227	4 18,0	—

დეც. აქ მეთამბაქოეობის შემდგომ განვითარებას. ცხადია. ხელს უწყობდა 1901 წელს დაარსებული თამბაქოსა და ჩაის საცდელი პლანტაცია.

ოზურგეთის საცდელ პლანტაციას გამოყოფილი ჰქონდა სულ 33 დეს. მათგან 17,5 დეს. სახნავად. ე. ი. მიწათმოქმედებისათვის ვარგისი, 12 დეს. ტყე და 3.5 დეს. უხმარი მიწა იყო.

ამ პლანტაციის ძირითად ამოცანას „წარმოადგენს მოცემულ პირობებში თამბაქოს მოყვანისათვის ხელსაყრელი ხერხების გამოძებნა, ამ მცენარის ყველაზე უფრო შესაფერი ჯიშების შერჩევა და თამბაქოს კულტურისა და მისი დამუშავების შესახებ სათანადო ცოდნის გავრცელება ადგილობრივ პლანტატორთა შორის“. აქვე აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მანქანებისა და იარაღების გამოყენების ცდებს. პლანტაციასთან მოწყობილი იყო აგრეთვე ამ მანქანა-იარაღების საწყობი; იყო ამასთანავე ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

ოზურგეთის თამბაქოსა და ჩაის საცდელი პლანტაცია აწარმოებდა აგრეთვე ჩაის გაშენებას და ხელს უწყობდა სხვადასხვა ხეხილის ნარგავების. საერთოდ მეხილეობის. მებოსტნეობის (მებაღჩეობის), მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურათა პოპულარიზაციას[19].

---

[19] СССОУР, стр. 334—336.

მაგრამ ყველაზე მთავარი მიზანდასახულობა ამ პლანტაციისა, ცხადია, ის იყო, რომ ხელი შეეწყო მეთამბაქოეობის ამ რაიონში საუკეთესო ჯიშის თამბაქოს დანერგვისა და გავრცელებისათვის[20]. ამ მხრივ ოზურგეთის საცდელმა პლანტაციამ იმთავითვე მნიშვნელოვანი მუშაობა გააჩაღა საერთოდ დას. საქართველოში საუკეთესო თურქული ჯიშის თამბაქოთა გავრცელებისათვის ხელის შეწყობის სახით[21].

ქუთაისის გუბერნიაში 1902 წელს მეთამბაქოეობის მდგომარეობის ოფიციალური მიმომხილველი წერს: „მართალია მეთამბაქოეობა ქუთაისის გუბერნიაში ყოველწლიურად ვითარდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წარმატებები გამოიხატება მარტოოდენ რაოდენობრივ ზრდაში; მეწარმეობის ამ დარგის კულტურული მხარე კი განვითარების დაბალ დონეზე დგას და საეჭვოა ველოდეთ ამ მიმართულებით რაიმე გაუმჯობესებას, მანამ მთელი მეთამბაქოეობა მოქცეულია... ფულად სახსრებს მოკლებულ ადამიანების ხელში, რომლებიც მხოლოდღა ნაყოფიერ ნიადაგს, ხელსაყრელ კლიმატურ და მეტეოროლოგიურ პირობებს არიან მინდობილნი“[22].

მხოლოდ სოხუმის ოკრუგია ამ მხრივ საიმედო და სამწუხაროა, რომ თამბაქოს საჩვენებელი პლანტაცია მიწათმოქმედების სამინისტრომ ოზურგეთის მაზრაში მოაწყო და არა სოხუმის ოკრუგშიო. „ოზურგეთის მაზრა, უწინარეს ყოვლისა მცირემიწიანია, ნიადაგი იქ ნაკლებ ნაყოფიერია, ვინემ სოხუმისა და ართვინის ოკრუგებში, დასასრულ, ხშირი ცვალებადობა ჰაერისა, ნიადაგის სინესტესა და სიმშრალეში ამას იწვევს, რომ აქაური თამბაქო თხელი, უხეში, უფერული და არაარომატულია, რის გამოც ოზურგეთული თამბაქო არ განირჩევა კიდევ წვადობის (сгораемость) სიადვილით; მისი ფასი ძლიერ დაბალია და მას ყიდულობენ მხოლოდ ამიერკავკასიე-

---

[20] «Ежегодник гл. управл. землеустр. и земледелия по департаменту земледелия». Год пятый, 1912, СПБ, стр. 191—193.

[21] КСХ, 1904, № 534, стр. 345; Е. Чубков, «Опыты по культуре табака на Озургетской плантации в 1907 г»., стр. 16—17, 19.

[22] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 901, ფურც. 42.

ლი ფაბრიკანტები დაბალი სორტის ნაკეთობათა საწარმოებლად"[22].

ოზურგეთის (ქალაქიდან 1,3 კილომეტრის დაშორებით, ს. ზვანში) საჩვენებელ პლანტაციაში ეწყობოდა თამბაქოს ფოთლის გახმობა და ღვივილიც. რამდენადაც „აქაური მეტად ნესტიანი ჰაერი ფრიად უარყოფითად მოქმედებდა თამბაქოს გახმობაზე" პლანტაციის გამგემ (რომელიც ნიკიტის სოფლის მეურნეობის სკოლაში სწავლობდა) „გამოიყენა თამბაქოს ფოთლის ორმაგი გახმობის—მზისა და ცეცხლის—სისტემა. მზიან დარში თამბაქო ხმება სპეციალურად ამისთვის მოწყობილ დიდ სინათლიან ხის შენობაში; ამასთანავე დღის გარკვეულ საათებში თამბაქოს ფოთლების ჩარჩოები გარეთ, ჰაერში გამოიწევა. წვიმიან-ნესტიან დღეებსა და ღამღამობით შენობა თბება მეტალის მილებით, რომლებიც გაყვანილია ამისთვის მოწყობილი და შეხამებული ღუმელიდან. გახმობის ასეთი წესი ფრიად მოხერხებულია იქ, სადაც. როგორც. მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში ადგილი აქვს დღისა და ღამის ტემპერატურის მკაცრ და ძლიერ მერყეობას, რომ არა ვთქვათ რა ჭყვიჟორიან დღეებზე. რაც აქ ხშირად თვეობით გრძელდება"[24].

მაგრამ ეს თამბაქოს საცდელი პლანტაცია გულმოდგინედ ცდილობდა ამასთანავე ამერიკული და კიდევ სხვადასხვა უცხოური ჯიშის თამბაქოს გავრცელებისათვის. მაგალითად, მხოლოდ 1911 წელს ამ პლანტაციის სხვადასხვა ნაკვეთებზე დაუთესიათ[25]: დიუბეკის, სამსუნის. ჰავანის, სუმატრის, ბრაზილიის. ჩრდ. კაროლინის, კონკვერორის. ბერლეის, მერილენდის, სიდლიფის, ბიგ-ჰავანის, სტერლინგის, კენტუკის, ვირგინიის, კონ-

---

[23] იქვე, ფურც. 43.

[24] იქვე, ფურც. 44.

[25] Е. Чубков, «Табак на озургетской опытной плантации в 1911 г.» (Сб. статей и матер. по табачному делу (=ССТД), под ред. С. Эгиза, 1913, Петербург, стр. 269—270).

ნეკტიკუტისა და კიდევ 120 სხვადასხვა ჯიშის თამბაქო. რომელთაგან 40 ჯიშის თესლისაგან მცენარე სულაც არ ამოსულა.

ოზურგეთის პლანტაცია 1911 წელსაც „უშუალოდ ემსახურებოდა ადგილობრივი მეთამბაქოეობის ინტერესებს პლანტაციაზე მომუშავე პირთა გამოცდილებიდან გამომდინარე ცოდნათა და ხერხების პოპულარიზაციით. ადგილობრივი სოფლის მეურნენი პლანტაციის დათვალიერების დროს ღებულობდნენ ახსნა-განმარტებებს და მითითებებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, ღებულობდნენ ამასთანავე სხვადასხვა ჯიშის თამბაქოს ჩითილს თავის მეურნეობაში დასარგავად". ეწყობოდა აგრეთვე ლექციების კითხვა სოფლის მასწავლებელთა და გლეხებისათვის სოფლის მეურნეობისა და „ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური კულტურების" სხვადასხვა საკითხზე; გლეხებსა და მასწავლებლებს „საცდელი პლანტაციის ტერიტორიაზე... ეძლეოდა ახსნა-განმარტება და მათთვის ატარებდნენ საჩვენებელ სამუშაოებს, როგორც საცდელი მუშაობის დარგში, ასევე მეთამბაქოეობის ყველა სხვა საკითხზედაც"[26].

* * *

აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს მეორე ოკრუგის უფროსის 1906 წლის ანგარიშგებაში ვკითხულობთ, რომ „რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა მთელი ქუთაისის გუბერნია..., რის შედეგადაც შესამჩნევად დაეცა მეთამბაქოეობა, განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრაში, სადაც მეთამბაქოეობა რამდენადმე უფრო განვითარებულია. იგი ძლიერ დაეცა თვით არეულობიან 1905 წელთან შედარებითაც კი. საერთოდ თამბაქოს ნარგავების ფართობი 1904 წელთან შედარებით 1905 წელს დაეცა 42 პროცენტით, ხოლო 1906 წელს უკვე — 68 პროცენტითო"[27].

---

[26] Там же, стр. 284.

[27] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370. საქმე № 940, ფურც. 84.

შემდგომ წლებში, როგორც სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, ქუთაისის გუბერნიაში და კერძოდ ოზურგეთის მაზრაშიც მეთამბაქოეობა კვლავ აღმავლობის გზით წავიდა. ამასთანავე, კერძოდ 1909 წლის ოფიციალურ ანგარიშგებაშიც აღნიშნულია, რომ „ოზურგეთის მაზრა. საკუთრად ჩოხატაურის რაიონი, კვლავ ინარჩუნებდა მოწინავე ადგილს". მართლაც 1909 წელს ამ მაზრაზე მოდიოდა მთელი გუბერნიის სავაჭრო პლანტაციების საერთო ფართობის (199.7 დეს.) 85 პროცენტი (169.2 დეს.) და. ამგვარად, იგი იძლეოდა გუბერნიის მთლიანი მოსავლის (7 981 ფუთი) 88.5 პროცენტს (7.062 ფ.)[28]. უნდა აღინიშნოს. რომ ეს მდგომარეობა. როგორც ამას ქვემოთ მოყვანილი ცხრილიც მოწმობს. არსებითად არც შეცვლილა პირველ მსოფლიო ომამდელ წლებში.

1906, 1909 და 1913 წლებში ქუთაისის გუბერნიის მაზრებში თამბაქოს სავაჭრო პლანტაციები ირიცხებოდა

მაზრები	სოფლების რაოდენობა			პლანტაციების რაოდენობა			პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობ.			საერთო მოსავალი ფუთობით		
	1906	1909	1913	1906	1909	1913	1906	1909	1913	1906	1909	1913
ოზურგეთის	20	33	24	169	444	522	64	169	183	3177	7062	8086
ქუთაისის	7	12	39	116	200	413	9	12	34	350	393	1435
ხუგდიდის	5	6	9	208	298	460	10	13	21	313	311	717
შოოპანის	11	6	1	50	90	5	2	6	1	139	215	7
ლეჩხუმის	4	—	—	7	—	—	1	—	—	40	—	—

აოასავაჭრო, ე. ი. საკუთარი (საოჯახო) მოხმარების პლანტაციების საერთო ფართობი. მათ რიცხვთან შედარებით ფრიად მცირე იყო და მეთამბაქოეობის ეს სფერო უაღრესად წვრილი წარმოების სახით წარმოგვიდგება, როგორც ამას მოწმობს ქვემოთ, 151 გვერდზე, მოყვანილი ცხრილი.

ის გარემოება, რომ საკუთარი მოხმარების პლანტაციებზე მოსავლიანობა რამდენადმე უფრო მაღალი იყო, ცხადია, იმით

[28] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 989, ფურც. 99.

თამბაქოს პლანტაციების საერთო რაოდენობა დას. საქართველოში (ქუთაისის გუბ., სოხუმის ოკრ. და ბათუმის ოლქი)

წლები	პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს საერთო მოსავალი ფუთობით
1879	1 544	966	—
1887	6 309	1 369	58 839
1888	4 046	864	36 825
1889	2 891	648	35 315
1890	4 407	1 016	54 525
1891	6 190	1 507	86 100
1892	5 926	1 410	58 839

თამბაქოს სავაჭრო პლანტაციების რაოდენობა ქუთაისის გუბერნიაში

წლები	პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	საერთო მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე ფუთობით
1902	1 036	211	8 915	40
1903	1 366	267	9 305	35
1904	1 287	339	9 696	41
1905	833	162	5 368	33
1906	550	86	4 019	47
1907	723	152	5 996	40
1908	1 034	147	6 828	47
1909	1 032	200	7 981	40
1910	1 530	336	18 342	50
1911	1 476	277	12 806	46
1912	1 486	369	17 289	47
1913	1 400	238	10 245	43
1914	—	426	21 852	52
1915	—	351	16 999	49
1916	—	271	16 109	59
1918	—	86	4 852	56
1919	—	117	6 219	53
1920	—	87	6 634	66

აიხსნება, რომ თავისთვის საჭირო თამბაქოს მოსაყვანად პაწაწინა ნაჭერი გლეხის მეურნეობაში, როგორც წესი, გამოყოფილი იყო ბოსტანში (ბაღჩაში), სადაც გარდა საგულდაგულოდ

საოჯახო (საკუთარი) მოხმარების მეთამბაქოეობა ქუთაისის გუბერნიაში[29]

წლები	პლანტაციების რიცხვი	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	მთლიანი მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე ფუთობით
1902	6 988	32,5	1 849	57,0
1903	9 214	39,3	2 354	60,0
1904	7 775	32,7	1 904	58,2
1905	5 283	20,7	1 256	60,7
1906	4 254	22,2	1 359	61,2
1907	3 429	18,1	1 061	58,7
1908	4 123	23,7	1 542	65,0
1909	4 164	27,0	1 185	42,4

დამუშავებული მიწისა, ნიადაგში ჩვეულებრივ ხშირად შეჰქონდათ ისეთი სასუქი, როგორიცაა ნაკელი, რასაც მსხვილი პლანტაციები, ცხადია, მხოლოდ იშვიათად თუ ეღირსებოდნენ.

დასასრულ, საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ ქუთაისის გუბერნიაში მეთამბაქოეობას, როგორც მსხვილ წარმოებას. საერთოდაც არ მიუღწევია მაღალ დონემდე. აქ ყველაზე მსხვილი პლანტაციების ფართობი იშვიათად თუ გადააჭარბებდა 1 დესეტინას. აქციზის სამმართველოს ზედამხედველი როგორც გამონაკლისს, ისე აღნიშნავდა, რომ 1905 წელს აქ იყო 12 პლანტაცია 1-დან 2 დესეტინამდე და 2 პლანტაცია 2—3 დესეტინა ფართობით. მხოლოდ 1909 წელს გუბერნიაში, სახელდობრ ოზურგეთის მაზრაში აღნიშნულია ერთი უმსხვილესი პლანტაცია, რომლის ფართობი 4,5 დესეტინას აღწევდა.

XII. ბათუმის ოლქი

ბათუმის ოლქში მეთამბაქოეობა, როგორც ჩანს. ადრიდანვე ვითარდება. ჯერ კიდევ მე-19 ს. 70-იან წლებში, როდესაც ეს მხარე თურქეთის სამფლობელოებში შედიოდა, თამბაქოს

[29] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 82; იქვე, საქმე № 989, ფურც. 93.

კულტურა აქ საკმაოდ იყო გავრცელებული, მაგრამ უგზოობისა და საერთოდ ნატურალურ ურთიერთობათა ბატონობის პირობებში თამბაქო უპირატესად საკუთარი მოხმარებისათვის მოჰყავდათ. სავაჭრო მეთამბაქოეობა აქ სწრაფად ვითარდება მხოლოდ 1870-იანი წლების მიწურულიდან, ე. ი. აჭარის რუსეთთან შეერთებისა და, მაშასადამე, საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ. და სულ მალე მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს.

მაგრამ ასევე მალე, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, აქ მეთამბაქოეობა ისევე სწრაფად ეცემა—უწინარეს ყოვლისა აქციზის მაღალი მოსაკრებელით მისი დაბეგვრის მეოხებით. ასე. მაგალითად, ნ. გერენშტეინის ცნობით, 1880 წელს აქ ითვლებოდა 2 000 დესეტინამდე თამბაქოს პლანტაცია[1], ხოლო 14 წლის შემდეგ, სახელდობრ 1894 წელს კი—მხოლოდ 600 დესეტინაზე ცოტა მეტი.

გარდა ამისა, ამ ხნის განმავლობაში „თვით მეთამბაქოეობამ თანდათანობით იწყო გადასვლა წვრილ მეურნეთა ხელიდან უფრო მსხვილ მეურნეებთან, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ უფრო მნიშვნელოვანი დაბანდებანი გაეწიათ უკეთესი ჯიშის კულტურაზე. რამდენადაც აქციზის მოსაკრებელი უფრო მძიმე ტვირთად დაბალხარისხოვან თამბაქოს მწარმოებლებს აწვებოდა[2].

ბათუმის ოლქში მეთამბაქოეობის მთავარი რაიონი იყო მდ. ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობები, რამდენადაც ზღვის სანაპიროების ზოლი იმთავითვე დაიჭირეს უფრო ძვირფასმა კულტურებმა, როგორიცაა ჩაი, მანდარინი და სხვ. მეთამბაქოეობას აქ მისდევდნენ ადგილობრივი მკვიდრი აჭარლები და ეს კულტურა უპირატესად წვრილგლეხურ მეურნეობათა ხელში იყო. ბათუმის ოლქში გაბატონებული იყო ტრაპიზონის

---

[1] ცნობა, 2 000 დესეტ. თამბაქოს პლანტაციის შესახებ, ცხადია, რამდენადმე გაზვიადებულია.

[2] КСХ, 1894, № 49, стр. 825.

ჯიშის თამბაქო. რაც შესამჩნევად განსხვავდებოდა სოხუმის ოკრუგის ტრაპიზონისგან.

ოლქის მთავარ სავაჭრო ცენტრში ქ. ბათუმში. 1906 წელს იყო ფოთლადი თამბაქოს ერთი საბითუმო საწყობი და ერთი შეღავათიანი საწყობი, რომელიც მხოლოდ თავისი ფაბრიკის მოთხოვნილებას ემსახურებოდა. საბითუმო საწყობი ეკუთვნოდა თბილისის კომერციულ ბანკს; იგი საკომისიოდ ღებულობდა საქონელს ბათუმის მთელი ოლქის მეთამბაქოეთაგან და ამ პროდუქტის გირავნობით აძლევდა მათ სესხებს. ამ 1906 წ. გახსნილი საბითუმო საწყობის ოპერაციები შემდგომ ხანებშიც წარმატებით ვითარდებოდა. ამათ გარდა, ოლქში 90-იანი წლების მიწურულიდან. იყო 4 თამბაქოს დასაგროვებელი პუნქტი: 1 ბათუმისა და 3 ართვინის ოკრუგში. ამ პუნქტების საქმიანობა შესამჩნევად შეიკვეცა ქ. ბათუმში ხსენებული საბითუმო საწყობის გაჩენის შემდეგ.

1909 წელს ქ. ბათუმში უკვე ფოთლადი თამბაქოს სამი საბითუმო საწყობი და კიდევ ფაბრიკებთან ორი შეღავათიანი საწყობი მოქმედებდა. იყო კიდევ ორი სავაჭრო საწყობი—თბილისის კომერციული ბანკისა და ესენი თითქოს მთელი ოლქის მეთამბაქოეობას სწვდებოდნენ, მაგრამ „სინამდვილეში სუსტად ემსახურებოდნენ ოლქის მეთამბაქოეობის ინტერესებს, რამდენადაც ერთი მათგანი ფაქტიურად ეკუთვნოდა თამბაქოს ფაბრიკანტ ბინიათოღლის, ხოლო მეორე—თამბაქოს ვაჭარს ა. მდოიანცს. რომელიც უმთავრესად სოხუმის ოკრუგისა და შავიზღვის გუბერნიის თამბაქოს ოპერაციებით იყო გართული, რის გამოც ოლქის მეთამბაქოებს. რომელთაც ამ პირებთან საქმიანობა არა აქვთ, არ ძალუძთ ისარგებლონ ბანკის მხრივ მომსახურებით და ძველებურადვე შემსყიდველთა ხელში არიან მოქცეული და მხოლოდ საანგარიშგებო წელს გახსნილი მესამე საწყობი რ. გოკიელისა აწარმოებდა ადგილობრივი ტრაპიზონის შესყიდვას. რასაც ის ალექსანდრიაში აგზავნიდა. ამათ გარდა, პლანტაციების მთავარ ადგილებში მოქმედებდა რვა სავაჭრო დასაგროვებელი პუნქტი“. მათ შორის 3 დაბა არტანუჯში... „ეს პუნქტები მსახურებენ არა იმდენად მეთამბაქოეთა

დახმარებისათვის, რამდენადაც მათი ექსპლოატაციისთვისო"[3],—აცხადებს აქციზის ზედამხედველი.

1906 წელს ბათუმის ოლქში დაიწყო ე. წ. „სპარსული საყალიონო" თამბაქოს მოყვანის ცდა. ირანიდან მიღებული მისი თესლი პირველად დაითესა ართვინის ოკრუგის სოფ. სვეტში. ეს თამბაქო, აქციზის მოხელის დახასიათებით, ადვილად მოსავლელი მცენარეა. თუმცა მისი ფასები აქ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, „მაგრამ ამ თამბაქოს ნათესების გავრცელების საქმე შეზღუდული დარჩა, სანამ კანონმდებლობითი გზით არ იქნება დადგენილი მისი გადამუშავების, ცალკე ეტიკეტის, აქციზის განაკვეთის, გასაყიდი ფასისა და მისთვის ცალკე სახელწოდების „რუსული საყალიონო თამბაქოს"—«Русский кальянский табак»— მიკუთვნების პირობები. მანამდე, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ამ თამბაქოს ფოთლის გატანა დაიწყონ ირანში, ანდა, ხაზინის ინტერესების საზიანოდ, იგი ვრცელდებოდეს იქნება კონტრაბანდის სახით, აქციზით დაბეგვრის გარეშეო"—ჩივის აქციზის მოსაკრებელთა ადგილობრივი მოხელე[4].

ბათუმის ოლქიდან 900-იან წლებში თამბაქო გაჰქონდათ უმთავრესად კიევის, ჩერნიგოვის, თბილისისა და ბაქოს გუბერნიებში, დონის ოლქსა და შავი ზღვის სანაპიროების რიგ სხვა სავაჭრო-სამრეწველო პუნქტებში.

აქციზის სამმართველოს მეორე ოკრუგის ოფიციალური მიმომხილველის სიტყვებით, ბათუმის ოლქში 1906 წლის პირველ ნახევარში თითქმის სულ შეწყდა მოთხოვნა ფოთლად თამბაქოზე, რაც „გამოწვეული იყო თამბაქოს ფაბრიკული წარმოების საერთო სტაგნაციით". ამ გარემოების გამო თამბაქოს ნედლეულზე ფასები ძლიერ დაეცა და „მეთამბაქეე, რომელსაც 1905 წლის თითქოს მთელი მოსავალი გაუყიდავი ეწყო და ნაღდი საშუალებების მხრივ ხელმოკლეობას განიცდიდა, იძულებული შეიქნა თავის მიწის ნაკვეთებზე სხვა კულ-

[3] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 989, ფურც. 91—92.

[4] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 82.

ტურები დაეთესა, უმთავრესად მარცვლეული, რაც მისი უშუალო საჭიროების დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული. შედარებით კარგი ფასები თამბაქოს ფოთოლზე დადგა მხოლოდ ივლისის მეორე ნახევრიდან, როდესაც უმრავლეს შემთხვევაში უკვე გვიან იყო ხელი მიეყოთ თამბაქოს თესვაზე, რამდენადაც მრავალი თავისუფალი მიწის ნაკვეთი დათესილი იყო სხვა კულტურათა თესლით"[5].

როგორც უკვე აღინიშნა, ბათუმის ოლქის მეთამბაქოეობაში წამყვანი ადგილი ართვინის ოკრუგს ეჭირა. ჩვენ არ მოგვეპოვება ყველა წლის შესაბამისი ცნობები, თუ სახელდობრ რამდენად იყო მეთამბაქოეობა გავრცელებული—ცალ-ცალკე ბათუმის ოკრუგსა და ართვინის ოკრუგში; როგორც წესი, ბათუმის ოლქის მეთამბაქოეობას აქციზის უწყება თავის ყოველწლიურ ანგარიშგებებში გაერთიანებულად უჩვენებდა. მაინც ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი წლის მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან საკუთრად ბათუმის ოკრუგის ხვედრიწონის შესახებ.

საგაჭრო მეთამბაქოეობა ბათუმის ოლქში

წლები	პლანტაციების საერთო რაოდენობა			პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით			თამბაქოს ფოთლის საერთო მოსავალი ფუთობით		
	მთელ ოლქში	ბათუმის ოკრუგში	ართვინის ოკრუგში	მთელ ოლქში	ბათუმის ოკრუგში	ართვინის ოკრუგში	მთელ ოლქში	ბათუმის ოკრუგში	ართვინის ოკრუგში
1902[6]	3848	1067	2781	638	130	508	30908	6027	24881
1906[7]	2978	906	2072	449	96	353	22416	5684	16732
1909[8]	3033	1032	2001	373	128	245	24197	7746	16451

5 საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 81.
6 საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 901, ფურც. 44.
7 იქვე, საქმე № 840, ფურც. 80.
8 იქვე, საქმე № 989, ფურც. 92.

ამგვარად, როგორც წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს, აღნიშნულ წლებში საკუთრად ბათუმის ოკრუგზე (დაახლოებით თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე) მოდიოდა მთლიანად ბათუმის ოლქის მეთამბაქოეობის დაახლოებით 30—50 პროცენტი პლანტაციების საერთო რიცხოვნობის მიხედვით და 20—35 პროცენტი პლანტაციების საერთო ფართობისა და თამბაქოს მთლიანი მოსავლის მიხედვით. ეს მონაცემები იმის შესახებაც ნათლად მეტყველებენ, რომ ართვინის ოკრუგში მეთამბაქოეობა უფრო მსხვილ მეურნეობათა სახით იყო გავრცელებული. 1909 წლის ცნობით, ბათუმის ოლქის 160 სოფლიდან, სადაც მეთამბაქოეობას მისდევდნენ. 120 სოფელი ართვინის ოკრუგზე მოდიოდა.

საკუთარი მოხმარების მეთამბაქოეობა ბათუმის ოლქში

წლები	პლანტაციების საერთო რიცხოვნობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს მთლიანი მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი 1 დეს.
1902	265	3,0	97	—
1903	253	4,2	154	37
1904	279	3,8	170	45
1905	205	2,9	117	59
1906	144	1,7	70	41

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, 900-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის ოლქში თითქმის საესებით გაქრა საკუთარი მოხმარებისათვის გაშენებული თამბაქოს პლანტაციები და მთელი მეთამბაქოეობა მხოლოდ სავაჭრო მეწარმეობის ხასიათს ატარებს. აქციზის უწყების ოფიციალურ ანგარიშგებაში უკანასკნელად 1906 წელსაა აღნიშნული საკუთარი მოხმარების 144 პლანტაცია, რომელთა საერთო ფართობი 1,7 დესეტინას შეადგენდა. უკვე ამავე 1906 წელს სავაჭრო პლანტაციების რაოდენობა უდრიდა 2 978, ხოლო მათი საერთო ფართობი — 449 დესეტინას.

ამასთანავე, მართალია, 1906 წლის შემდეგ ბათუმის ოლქში მეთამბაქოეობა მხოლოდ სავაჭრო ხასიათს ატარებს,

მაგრამ აქაური პლანტაციები თავისი მოცულობით ფრიად ჩამორჩებოდნენ სოხუმის ოკრუგისას.

1913 წელს. მაგალითად, ბათუმის ოლქში პლანტაციის საშუალო სიდიდე უდრიდა მხოლოდ 505 კვ. საჟენს, პლანტაციების საერთო რაოდენობიდან (3477) 3 282—ერთ დესეტინაზე ნაკლები იყო; 1—2 დესეტინა ფართობის პლანტაციათა რაოდენობა უდრიდა 150. ხოლო 3 დესეტინაზე მეტი ფართობის მქონე მხოლოდღა 8 პლანტაცია იყო.

საერთოდ ბათუმის ოლქში სავაპრო მეთამბაქოეობის განვითარებას გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები

წლები	პლანტაციების საერთო ოიცხოვნობა	თამბაქოს საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს მთლიანი მოსავალი ფუთობით
1902	3 848	638	30 908
1903	4 218	629	35 966
1904	3 456	522	25 745
1905	3 770	549	26 719
1906	2 978	449	22 416
1907	2 950	425	24 364
1908	3 086	438	24 884
1909	3 033	373	24 197
1910	3 244	488	32 414
1911	3 226	551	46 179
1912	3 477	459	36 893
1913	3 477	652	53 332
1914	3 998	1014	68 512
1915	—	65	7 950
1917	—	247	11 170
1920	—	344	15 000

XIII. სოხუმის ოკრუგში

უმაღლესი სორტის მეთამბაქოეობა. როგორც სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში კაპიტალისტური თაოსნობის სარბიელი, საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში საბოლოოდ ყველაზე

უფრო განვითარდა სოხუმის ოკრუგში—აფხაზეთში; თუმცა აქ სავაჭრო მეთამბაქოეობა სხვა რაიონებთან შედარებით გვიან ჩაისახა.[1]

რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეეფერება ლ. გუკასიანცის მტკიცება. თითქოს „პირველად თამბაქოს კულტურა სოხუმის ოკრუგში ბერძნებმა შემოიტანეს, რომლებიც აქ გადმოსახლდნენ 1868 წელს“[2]. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ თავადი შერვაშიძე ჯერ კიდევ 1845 წელს, როდესაც ის წინასწარმეტყველებდა, რომ აქ მეთამბაქოეობა „მომავალში ახლად წარმოშობილი მრეწველობის ერთ მთავარ დარგს შეადგენსო“,—აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში „აქაური სოფლის მეურნენი დიდი ხნიდან აწარმოებდნენ თამბაქოს გაშენებასა და დამუშავებას“[3].

რაც შეეხება თამბაქოს თურქულ ჯიშებს, რომლებმაც შემდეგში აქ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს, უნდა ითქვას, რომ ისინი პირველად აქ შემოიტანეს 1866—1878 წლებში მეთამბაქოე „თურქებმა“, როგორც მაშინ აქ ეძახდნენ ლაზებს (ჭანებს), რომლებიც ამ დროიდან სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩამოდიოდნენ და ეწყობოდნენ აქ მემამულეთა მიწებზე, როგორც მოიჯარე — პლანტატორები[4], რაშიც მათ ხელს უწყობდა ადგილობრივი ქართველური ენების ცოდნაც. შედარებით უფრო მოგვიანებით და ისიც ლაზების მეოხებით ჩნდებიან აქ თურქეთის ბერძნები და სომხები, რომლებიც, რასაკვირველია, ასევე უწყობდნენ ხელს თამბაქოს თურქული ჯიშების გავრცელებას.

დ. კომნინო თავის მოხსენებაში,—„მეთამბაქოეობის მდგომარეობა სოხუმის ოკრუგში“,—რომელიც მან წაიკითხა მებაღეობის რუსული საზოგადოების კავკასიური განყოფილების

---

[1] И. Бахтадзе, «Сортовый состав абхазских табаков», 1930, Тифлис.

[2] Л. Гукасянц, «Табаководство в сухумском округе» (КСХ, 1898, № 210, приложение, стр. 1).

[3] АСКАК, X, № 131, стр. 161.

[4] КСХ, 1994, № 570, стр, 99-100.

სხდომაზე 1899 წლის სექტემბერში, ამბობდა, რომ სოხუმის ოკრუგში 1872 წლამდე, ე. ი. სააქციზო წესდების შემოღებამდე „თამბაქოს (ე. ი. საავჭრო მეთამბაქოეობის—პ. გ.), არავითარი წარმოება არ იყო... იმის გამო, რომ თურქეთიდან, უმთავრესად სამსუნიდან, თამბაქო უბაჟოდ შემოჰქონდათ...“; 1872 წელს დაიწყო აქ თამბაქოს წარმოება, მაგრამ მეტად შეზღუდული ოდენობით. და ასე გრძელდებოდა 1877—1878 წწ. ომამდე; 1880 წლიდან მოკიდებული მეთამბაქოეობას ხელი მიჰყვეს ყველა სოფლებმა, რასაც ხელი შეუწყო მეზობელ თურქულ სამფლობელოებიდან ლაზების, სომხებისა და ბერძნების გადმოსახლებამ[5].

სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების ინსტრუქტორი—სპეციალისტი შარერი, რომელმაც 1873 წ. შემოდგომაზე სოხუმის ოკრუგში იმოგზაურა, თავის ანგარიშგებაში წერდა, რომ „სოხუმიდან კელასურამდე გზაზე, რომელიც ზღვასა და ტყეს შუა გასდევს, ახლომდებარე მთის კალთები ალაგ-ალაგ დაფარული იყო თამბაქოს პლანტაციებით... და თამბაქოს ფოთლების სახმობებით მეთამბაქოეობა აქ მეურნეობის ერთ-ერთ ხელსაყრელ დარგად ითვლება...“[6].

ოფიციალური მონაცემებით სოხუმის სამხედრო ნაწილში (მერმინდელ სოხუმის ოკრუგში) მეთამბაქოეობის მიმდევარ სოფელთა რიცხვი. პლანტაციის რაოდენობა, მათი საერთო „ფართობი და თამბაქოს მოსავალი უდრიდა: (იხ. ცხრ. 160 გვ.).

ქვემოთ მოყვანილი მონაცემები, რომლებიც აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს მიერ მეთამბაქოეობის მდგომარეობის შესახებ ცნობათა მოპოვების პირველი ცდებიდ შედეგებს წარმოადგენენ. გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ, რომ სოხუმის ოკრუგში მეთამბაქოეობა უკვე შემდგარი იყო თავისი განვითარების მყარ გზაზე.

აქციზის უწყების მოხელის მიერ ხუთიოდე წლის შემდეგ შეკრებილი (როგორც ჩანს არასრული) ცნობების თანახმად,

---

[5] КВПС, 1900, № 38, стр. 9—10; ЗКОСХ, 1874, № 1, стр. 11.
[6] ЗКОСХ, 1874, № 1, стр. 11.

1879 წელს სოხუმის ოკრუგში ირიცხებოდა სულ 14 თამბაქოს პლანტაცია, 9 დესეტინის საერთო ფართობით... მაინც ნათ-

1873 წელს[7]

ადმინისტრაციულ ერთეულთა დასახელება	სოფელთა რაოდენობა	პლანტაციების რიცხვი	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს ფოთლის მოსავალი ფუთობით
ქ. სოხუმში	—	10	26	1261
პიცუნდის ოკრუგში	4	4	3	115
ოჩამჩირის ოკრუგში	6	45	29	1460
წებელდის სამზრუნველოში	6	10	5	180
სულ	16	69	63	3024

1875 წელს[8]

ქ. სოხუმში	—	12	43	1020
პიცუნდის ოკრუგში	6	47	30	650
ოჩამჩირის ოკრუგში	?	?	?	?
წებელდის სამზრუნველოში	7	10	4	72

1876 წელს[9]

ქ. სოხუმში	—	9	3	248
პიცუნდის ოკრუგში	1	2	2,5	58
წებელდის სამზრუნველოში	3	7	3,5	170
ოჩამჩირის ოკრუგში	15	748	4,0	210
სულ	19	766	13,0	686

[7] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 36, ფურც. 20.
[8] იქვე. საქმე № 74, ფურც. 24.
[9] იქვე, საქმე № 91, ფურც 16.

ლად ჩანს, რომ 80-იანი წლების დასაწყისიდან მეთამბაქოეობა აქ ღებულობს ფართო გაქანებას[10].

უფრო მერმინდელი ცნობის მიხედვით, სოხუმის ოკრუგის 26 სოფელში 1885 წელს ირიცხებოდა 444 თამბაქოს პლანტაცია, რომლის საერთო ფართობი უდრიდა 177 დესეტინას, ხოლო მთელი მოსავალი 10 460 ფუთს (მ. შ. სამსუნისა—10 445, ვირგინიისა—15 ფუთს)[11]. ამ დროიდან მოყოლებული თანმიმდევრობით იზრდებოდა თამბაქოს მთლიანი მოსავალი და თვით ფასებიც თამბაქოს ფოთლისა.

სოხუმის ოკრუგში ფოთლადი თამბაქოს ფასებისა და მთლიანი მოსავლის საერთო ღირებულების დინამიკას გვიხატავენ ქვემოთ მოყვანილი ცნობები[12].

წლები	1 ფუთი ფოთლადი თამბაქოს საშუალო ფასი მანეთობით	პროდუქციის მთლიანი ღირებულება
1887	6,0	107 400
1888	6,5	120 250
1889	7,0	157 500
1890	7,3	200 355
1891	7,5	232 500
1892	8,2	252 600
1893	7,6	506 920
1894	8,8	484 000
1895	9,0	851 400
1896	10,2	915 960
1897	9,5	1 082 500
1898	8,5	1 275 000

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარებას სოხუმის ოკრუგში ხელი შეუწყო პეტერბურგელმა ა. ბოგდანოვისა და კომპანიის ფაბრიკამ, რომლის აგენტები

[10] ЦАУ ГССР, фонд канц. кавказского наместника, 1877, № 1010, лл. 62—63.

[11] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 236. ფურც. 145—150.

[12] КБПС, 1900, № 38, стр. 10.

დიდი რაოდენობით (დაახლოებით მთელი მოსავლის 25—30 პროც.) ეწეოდნენ აქ თამბაქოს შესყიდვას, და გარდა ამისა, „მშობლიური მეთამბაქოეობის განვითარებისა“ და, მაშასადამე, ნედლეულის გაიაფების მიზნით, წვრილ პლანტატორებს და უმიწაწყლო მეთამბაქოებს ახალი პლანტაციების გასაშენებლად აძლევდნენ სესხს 100-დან 200 მანეთამდე, რითაც მათ უკვე თავიანთ კაბალაში აქცევდნენ.

ამრიგად, მე-19 ს. 80-იანი წლებიდან სოხუმის ოკრუგში მეთამბაქოეობა ხდება მემცენარეობის ფრიად მნიშვნელოვანი დარგი საერთოდ და ყველაზე ხელსაყრელი და მიმზიდველი მოსაქმეობა სავაჭრო მიწათმოქმედებაში.

1894 წელს აქ მეთამბაქოეობას მისდევდნენ უკვე 33 სოფელში და სულ ირიცხებოდა 1842 პლანტაცია, რომელთა საერთო ფართობი 1 003 დესეტინას აღემატებოდა[13]. 1896 წელს ლ. გუკასიანი წერდა, რომ აფხაზეთის „მეურნეობაში სიმინდის შემდეგ, თამბაქოს კულტურას მეორე ადგილი უჭირავსო“[14].

მეთამბაქოეობა უმთავრესად გავრცელებული იყო ზღვის სანაპირო ზონასა და წებელდაში, სადაც ბუნებრივი პირობები ყველაზე უფრო ოპტიმალური იყო ამ კულტურისათვის[15]. მე-19 ს. 90-იან წლებშიაც თამბაქოს პლანტაციებს აქ უმთავრესად აშენებდნენ „ორგანული და მინერალური ნივთიერებით მდიდარ და ფაფიად დიდი მოსავლის მომცემ ტყეებისაგან ახლადგაკაფულ მიწებზე. ამ მიწებზე ორი-სამი წლის შემდეგ თამბაქოს კულტურის ნაცვლად რამდენიმე წლის განმავლობაში ზედიზედ ითესება სიმინდი, რომელიც ისევე კარგ მოსავალს იძლევა, თამბაქოსათვის კი სხვა ტყეებს კაფავენ, უპირატესად შედარებით უფრო შემაღლებულ ადგილებსა და ფერდობებზე, სადაც ადგილი არა აქვს ნიადაგის ჭარბ ნესტიანობას“. 90-იან წლებშიაც აქ გაბატონებული თამბაქოს თურქული ჯიშების

---

[13] საქ. სსრ სცა., ფონდი 370, საქმე № 687, ფურც. 179—185.

[14] КСХ, 1898, 210, приложение, стр. 1.

[15] თ. სახოკია, „გლარჯა“ (თუთუნი სამურზაყანოში), გაზ. „მეურნე“, 1897, № 2, გვ. 5—7.

თესლს ყოველწლიურად იწერდნენ თურქეთიდან „იმიტომ, რომ ამ ოკრუგში ისინი ძლიერ გადაგვარებას განიცდიან“[16].

1902 წელს მეთამბაქოეობის მდგომარეობის ოფიციალური მიმომხილველი ბარანოვსკი, აღნიშნავდა რა ქუთაისის გუბერნიაში ამ კულტურის მოვლა-პატრონობის არამაღალ დონეს, თავის ანგარიშგებაში, წერდა: „...არის იმედი ვიფიქროთ, რომ უკიდურეს შემთხვევაში სოხუმის ოკრუგში მაინც მეთამბაქოეობა ახლო მომავალში მიაღწევს მეტ წარმატებას, რამდენადაც სოხუმის მიწებს დიდი რაოდენობით ყიდულობენ ინტელიგენტური კლასის ადამიანები, რომელთაც აზრად აქვთ ფართო მასშტაბით მოკიდონ ხელი მებაღეობასა და მეთამბაქოეობასო“[17].

მართლაც, მე-20 ს. პირველსავე წლებიდან ეს კულტურა აქ ისე სწრაფად განვითარდა, რომ სულ მალე მთელი ოკრუგი სავაჭრო მეთამბაქოეობის მთლიან რაიონად იქცა.

ამ ასპექტში საჭიროა აღინიშნოს, რომ სოხუმის ოკრუგში საკუთარი მოხმარების თამბაქოს მოსაყვანად დანიშნული პაწაწინა პლანტაციების აღრიცხვა 1906 წლიდან უკვე არ ხდება აქციზის უწყების მოხელეთა მიერ. ასეთი პლანტაციები ამ დროისთვის უკვე საბოლოოდ გაქრნენ, როგორც ამას ნათლად გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, ანდა ისინი „სავაჭრო მიწათმოქმედების დიდ ზღვაში“ იმდენად უმნიშვნელო ხასიათისა შეიქნენ, რომ „ყოველგვარი სიზუსტის მოყვარული აქციზის მოხელეებიც“ კი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

ხელსაყრელი ეკონომიკური და ბუნებრივი პირობების მეოხებით, სოხუმის ოკრუგში სავაჭრო მეთამბაქოეობა სულ უფრო და უფრო ფართო და მნიშვნელოვან ხასიათს ღებულობდა.

ქვემოთ მოყვანილი ცნობები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ სოხუმის ოკრუგში მეთამბაქოეობის განვითარების ტემპებსა და მასშტაბებს. როგორც ითქვა, 1906 წლიდან მოყოლებული საკუთარი მოხმარების პლანტაციების მნიშვნელობა არსებითად

---

[16] КСХ, 1898, 110.

[17] საქ. სსრ. ცსია, ფონდი 370, საქმე № 901, ფურც. 42.

საკუთარი მოხმარების პლანტაციები სოხუმის ოკრუგში[18]

წლები	პლანტაციების რიცხვი	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	მთლიანი მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე
1902	1 295	11,1	310	28,0
1903	1 292	10.4	476	45,7
1904	980	5,6	203	36,3
1905	278	4,1	124	30,3
1906	—	—	—	—

ნულამდე დაეცა და ამ დროიდან ჩვენს ცხრილში (გვ. 165) წარმოდგენილია მხოლოდ სავაჭრო პლანტაციები, რომლებიც უკვე მოიცავენ პლანტაციების საერთო ფართობის თითქმის ასპროცენტს.

თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი ოკრუგში 80-იან წლებთან შედარებით 90-იან წლებში 3—5-ჯერ გაიზარდა. ხოლო 1900-იან წლებში კიდევ 4—5-ჯერ, წინა ათეულ წელთან შედარებით. პირველი მსოფლიო ომის წინანდელი ოცი წლის განმავლობაში, სახელდობრ 1894—1914 წლებში, თამბაქოს პლანტაციების ფართობი გაიზარდა 13-ჯერ და, ამგვარად, მან 1000-დან 13 000 დესეტინას გადააჭარბა.

თითქმის ასეთივე სისწრაფით იზრდებოდა თამბაქოს ფოთლის მთლიანი მოსავალი. თუ 1894 წელს ამ პროდუქციამ 55 000 ფუთს მიაღწია, ოცი წლის შემდეგ, 1914 წელს, მან უკვე 600 000 ფუთს გადააჭარბა, ე. ი. ის დაახლოებით 11-ჯერ გაიზარდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროთა მსვლელობაში თამბაქოს პლანტაციის 1 დესეტინაზე საშუალოწლიური მოსავალი თანმიმდევრობით ეცემა. თუ 90-იან წლებში ამ მოსავლიანობას 70—80 ფუთს ანგარიშობდნენ, 900-იან წლებში ის 60—65 ფუთს არ აღემატებოდა. ეს გარემოება, ცხადია, ყამირი მიწე-

[18] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 79.

ბის ფონდის თანდათანობით გამოლევითა და, მაშასადამე. ერთი და იმავე მიწის ნაკრის სისტემატურად დიდი ხნის მანძილზე ექსპლოატაციით (გამოფიტვით) აიხსნება[19], მით უმეტეს,

მეთამბაქოეობის განვითარება სოხუმის ოკრუგში
(სავაპრო და საკუთარი მოხმარებისა ერთად)

წლები	პლანტაციების		მთლიანი მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი დესეტინაზე ფუთობით
	რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით		
1879	14	9	—	80—70 ფუთის ანგარიშობენ საერთოდ 90-იან წლებში
1887	—	466	17 900	
1888	—	397	18 500	
1889	—	394	22 500	
1890	—	538	28 500	
1891	—	683	31 000	
1892	—	741	43 000	
1893	—	1 053	66 700	
1894	—	1 002	55 000	
1895	—	1 612	94 600	
1896	—	1 582	89 800	
1897	—	2 111	115 000	
1898	—	2 631	150 000	
1901	2 905	2 478	130 636	—
1902	4 640	3 253	178 467	55
1903	4 760	3 604	255 071	71
1904	4 968	4 304	241 386	56
1905	5 063	5 301	285 936	54
1906	3 678	3 187	183 203	58
1907	4 567	4 309	240 060	55
1908	4 520	4 679	311 045	66
1909	5 386	6 578	439 285	67
1910	6 750	8 458	544 240	64
1911	6 261	7 525	444 770	59
4912	6 556	7 675	408 589	53
1913	6 335	8 037	442 830	55
1914	9 478	13 107	602 270	46
1915	—	8 825	425 400	48
1916	—	10 597	557 834	53
1918	—	1 806	97 826	54
1919	—	2 323	127 800	55
1920	—	2 000	100 000	50

[19] См. «Ежеггодник гл. управл. землеустр. и земледелия по департаменту земледелия», Год пятый, 1912, СПБ, стр. 180—191.

რომ როგორც სხვა, ისე მეთამბაქოეობის რაიონებშიც იშვიათად თუ სადმე იყო დადგენილი მოწესრიგებული თესლბრუნვისა და მიწის დასვენების რაიმე გეგმაზომიერი ინტერვალები, ხოლო მოკლევადიანი საიჯარო სისტემის ბატონობის პირობებში ნიადაგის ხელოვნური განოყიერებისათვის, ცხადია, თითქმის არცკი ზრუნავდნენ.

* * *

აქ აუცილებელია ორიოდე სიტყვა ითქვას მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ვითარების შესახებ, რაც, გასაგებია, გარკვეულ გავლენას ახდენდა მეთამბაქოეობისა და საერთოდაც სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებაზე.

მე-19 ს. 60—70-იან წლებში, აფხაზების თურქეთის სამფლობელოებში მასობრივი გასახლების შემდეგ, ცარიზმის ადმინისტრაციამ სოხუმის ოკრუგის „მთელი თავისუფალი მიწები“ გამოაცხადა უპირატესად შიგა რუსეთის გუბერნიებიდან წამოსული გლეხობის საკოლონიზაციო ფონდად. ამავე დროს აქ საკმაო ხელგაშლილობით აძლევდნენ მიწებს თურქეთიდან ლტოლვილ ბერძნებს, სომხებს და სხვ.

ამასთანავე თვითმპყრობელობამ ადგილობრივ მკვიდრთ, კერძოდ აფხაზებს აუკრძალა ქ. სოხუმის 20 კილომეტრის მახლობლად სადმე ეცხოვრათ და, ამგვარად, სამშობლოში დარჩენილებსაც თავი მთებისათვის უნდა შეეფარებინათ[20].

სოხუმის ოკრუგის რუსებით კოლონიზაციამ შედარებით მასობრივი ხასიათი მიიღო კერძოდ 80—90-იანი წლებიდან. მაგრამ კოლონიზაციის ამ პროცესს მნიშვნელოვნად აბრკოლებდა აქ გაბატონებული მალარია, რასაც თითქმის ვერ იტანდნენ და ძნელად ეგუებოდნენ როგორც სხვა, ისე რუსი კოლონისტები, რომლებიც ამიტომ თვითმპყრობელობისათვის სასურველი რაოდენობით აქ არ სახლდებოდნენ. ამავე დროს მეთამბა-

---

[20] თ ე დ ო. ს ა ხ ო კ ი ა, „მოგზაურობანი“, 1950, გვ. 298.

ქოეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. რის შექმნასაც ცდილობდა რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაცია, მოითხოვდა, სხვათა შორის, დიდძალ და იაფ მუშახელს.

სწორედ ამიტომ როგორც მემამულეებმა, ასევე რუსმა კოლონისტებმაც იწყეს თავიანთი მიწების იჯარით გაცემა მეთამბაქოე უმიწაწყლო გლეხებზე, რომლებიც აქ პირველ ხანებში მოდიოდნენ სამეგრელოდან. მაგრამ 70-იანი და განსაკუთრებით შემდგომი ათეული წლებიდან, როდესაც მეთამბაქოეობამ ფართო საქონლური წარმოების ხასიათი მიიღო და რა დროიდანაც თურქული ჯიშის თამბაქოთა უპირატესობა მთელს კავკასიაში საყოველთაოდ აღიარებული შეიქნა,—ადგილობრივმა მემამულეებმა იწყეს თურქეთიდან გადმოყვანა მეთამბაქოე ქართველების (ლაზებისა და აჭარლების), აგრეთვე სომხების და ბერძნებისა. ამას ხელს უწყობდა იმ ხანებში რუსეთ-თურქეთს შორის არსებული საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია.

მეორე მხრივ, სოხუმის ოკრუგში სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარებამ კიდევ უფრო გააძლიერა ღარიბი და უმიწო გლეხების აქეთკენ ლტოლვა დას. საქართველოს მეზობელი რაიონებიდან. მაგრამ ამ უკანასკნელთა მისწრაფებას, ე. ი. შინაგან კოლონიზაციას, სულ უფრო და უფრო აბრკოლებდა თვითმპყრობელობა, რომელიც მეთამბაქოეობისათვის აუცილებელი მუშახელის მობილიზაციის მიზნით არჩევდა გზახსნილი მიეცა თურქეთის სამფლობელოებიდან აქეთკენ დ რ ო ე ბ ი თ ს ა მ უ შ ა ო ზ ე (საშოვარზე) მომავალი მეთამბაქოებისათვის.

ამ ასპექტში საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1899 წელს გუმისტას რაიონში მემამულე გრაფინია ტოლსტოის იჯარით აღებულ მიწაზე მცხოვრებ ქართველ გლეხთა ასმა კომლმა, პახუ და პავლე ბერიების მეთაურობით, ხელისუფლებას სთხოვეს, რათა მათთვის მიეცათ სოხუმის ოკრუგში სადმე თავისუფალ სახაზინო მიწებზე დასახლების უფლება[21], რადგან ხსენე-

[21] ЦГИАЛ, фонд МЗГИ, департ. госуд. земельн. имуществ, отд. 5, 1899, д., 248, лл. 1—2.

ბული მემამულე უკვე არჩევდა მისი მიწები იჯარითვე მიეცა თურქეთიდან შემოსულ უფრო ნაკლები მოთხოვნილების და, მაშასადამე, მეტი საიჯარო ქირის გადახდის შემძლებელ მეთამბაქოე სომხებისა და ბერძნებისათვის. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მეზობელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრებიდან გადმოსულ ზემოხსენებულ გლეხებს უარი უთხრა სოხუმის ოკრუგში თავისუფალი მიწების მიცემაზე, იმ მოტივით, რომ ეს მიწები უკვე საბოლოოდ განკუთვნილია რუსი კოლონისტებისათვის[22].

თურქეთიდან შემოსულ მეთამბაქოეთაგან ლაზები აქ მართლაც დროებით მოდიოდნენ და მუშაობის სეზონის გასვლის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე წლის მერმე მაინც ისევე უკან ბრუნდებოდნენ. მათს აქ დარჩენას თითქმის არაფერი არ უწყობდა ხელს, ხოლო აბრკოლებდა რელიგიური მომენტი და მიწის იჯარის ფასების სწრაფი მატების სიძნელეები. ამავე დროს თურქეთიდან დროებით მომავალი სომეხი გლეხობა ყოველმხრივ ცდილობდა სამუდამოდ აქ დარჩენას, რამდენადაც, ცნობილი მიზეზების გამო, თურქეთში ისინი დიდად შევიწროებულნი და დევნილნი იყვნენ.

მართალია, ცარიზმი ოფიციალურად არამცთუ არ აქეზებდა და ზოგჯერ პირდაპირ აბრკოლებდა კიდევაც ამ სომეხთა სოხუმის ოკრუგში საბოლოოდ დასახლებას, მაგრამ სამაგიეროდ ამიერკავკასიის კომერციულ ცხოვრებაში არსებითად გაბატონებული სომეხი ბურჟუაზია და სახელმწიფო აპარატში მოკალათებული მისი ინტელიგენცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა ხელი შეეწყო თურქეთიდან დროებით გადმოსულ სომეხი გლეხობის საბოლოოდ აქ დაბინავებისათვის.

შრომისმოყვარე და შედარებით დაბალი მოთხოვნილების მქონე სომეხი გლეხობის*, როგორც საერთოდ საჭირო მუშახე-

[22] იქვე. გვ. 3—4.

* როგორც ცნობილია, საერთოდ თურქეთის სამფლობელოებში მცხოვრები გლეხობის კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა რუსეთის, კერძოდ ამიერკავკასიელი გლეხობის შეაბამის დონეს და, ამგვარად, თურქეთიდან აქ ჩამოსულ გლეხებს შეეძლოთ მეტი საიჯარო ქირა გადაეხადათ.

ლის აქ დარჩენისათვის მეტ-ნაკლები ზომით ზრუნავდნენ აგრეთვე ადგილობრივი მემამულეები და თვით დიდძალი მიწით მომარაგებული რუსი კოლონისტებიც. რამდენადაც ლაზები აქ მხოლოდ სეზონობით ჩამოდიოდნენ. ხოლო ადგილობრივ ქართველთა (მეგრელთა. გურულთა. იმერელთა) აქ დასახლებას ცარიზმის ადმინისტრაცია აშკარად კრძალავდა; ამასთანავე როგორც მოჯამაგირეთა და საერთოდ დროებითდაქირავებული მუშახელის სახით მეზობელი რაიონებიდან შემოსულ ელემენტებს შედარებით მაღალი მოთხოვნილების გამო არ შეეძლოთ აქ კონკურენცია გაეწიათ თურქეთის სამფლობელოებიდან შემოსული სომეხი და ბერძენი გლეხებისათვის.

ასეთ პირობებში 1904 წელს მეფის ადმინისტრაციამ ყველა უცხოეთის ქვეშევრდომს უბრძანა „შვიდი დღის განმავლობაში დასტოვოს შავი ზღვის სანაპირო". 1905 წლის 2 მარტს ეს საკითხი გაირჩა სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების სხდომაზე ადგილობრივმა მემამულეებმა (ენ. მ. თავ. შერვაშიძემ და სხვ.) და თამბაქოს მეფაბრიკეებმა (რაფ. გოკიელმა, ა. ენფიანჯიანცმა და სხვ.) ითხოვეს ერთგვარი შეღავათის მიცემა და წამქეზებელ ღონისძიებათა ჩატარება თურქეთის სამფლობელოებიდან გადმოსახლებული სომხების, ბერძნებისა და ლაზების მიმართ, რათა უკანასკნელთ შესაძლებლობა ჰქონოდათ სოხუმის ოკრუგში თავისუფლად აეღოთ იჯარით მიწები და აქ გაეშენებინათ მაღალხარისხოვანი თურქული სორტის თამბაქოს პლანტაციები.

უმსხვილესმა მემამულემ თავ. შერვაშიძემ ამ სხდომაზე განაცხადა: „გადმოსახლებული მეთამბაქოების შრომითა და მათ მიერ ჩვენს მიწებზე უხვად დაღვრილი ოფლით აყვავდა ჩვენი მხარე. მეთამბაქოეობა მშვენივრად აყვავდა. როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო შემოსავლიანი და შავი ზღვის სანაპიროსათვის შესაფერი დარგი სოფლის მეურნეობისა"[23].

ამ მისწრაფებათა წინააღმდეგ გამოსული ცნობილი იურისტი გრ. რცხილაძე ამტკიცებდა: შეღავათის გავრცელება

[23] КСХ, 1905, № 572, стр. 138; газ. «Кавказ», 1095, № 68.

(უცხოურ — პ. გ.) მეთამბაქოებზე გამოიწვევს თურქეთიდან გადმოსახლებულთა დიდ მოზღვავებას შავი ზღვის სანაპიროზე, რითაც შეილახება ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები. ჩვენმა საზოგადოებამ (კსმს) შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცათ ქუთაისის გუბერნიიდან გლეხებისათვის აქ გადმოსახლებაზე, მაგრამ იგი არ იქნა დაკმაყოფილებული, ვითომდა თავისუფალი მიწების ნაკლებობის გამო... ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს არა მარტო მიწათმფლობელთა, ხაზინისა და გადმოსახლებულების ინტერესებს, არამედ ნება-სურვილს თვით ამ მხარის მთელი მკვიდრი მოსახლეობისა, რომელიც, მაგალითად. ქუთაისის გუბერნიაში მეტად იტანჯება მცირემიწიანობისაგან"[24].

მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არა მარტო მემამულეთა ინტერესები, არამედ რუს კოლონისტთა ინტერესები ხელს უწყობდა სომეხ და ბერძენ მეთამბაქოეთა საბოლოოდ აქ დამკვიდრებას.

ა. ნატროევი წერდა: „რუსი კოლონისტები სოხუმის ოლქში ვერ შეეჩვიენ ადგილობრივ და კლიმატურ პირობებს", რის გამოც ისინი, მაგალითად, „თავიანთ მიწებს პურის თესვისათვის მათი უვარგისობის გამო, იჯარით აძლევენ სომხებს თამბაქოს გასაშენებლად, დესეტინას 30—50 მანეთად, თვითონ კი მათთან მუშაობენ, როგორც მუშები, დღეში 50—70 კაპიკად სქესის განურჩევლად, და ამით გააქვთ თავი".

სწორედ ასეთი პირობებით შეიძლება აიხსნას, პირველი შეხედვით ის გაუგებარი მოვლენა, რომ 1904 წელს, როცა ადმინისტრაციამ განიზრახა თურქეთის სამფლობელოებიდან მოსული მეთამბაქოების ამ ოკრუგიდან უკანვე გასახლება „რუსების სოფელთა მცხოვრებლებმა თხოვნა მიართვეს ოკრუგის უფროსს, რომელსაც სთხოვდნენ (თურქეთიდან ჩამოსულ) პლანტატორებთან ერთად თვითონ მათივე გასახლებასაც, რადგანაც მათ უიმათოდ ცხოვრება არ შეუძლიათ"[25]. ამას

[24] КСХ, 1905, № 572, стр. 138.
[25] КСХ, 1905, № 572, стр. 143.

აცხადებდნენ ისინი, რომლებიც მეფის თვითმპყრობელობის მიერ მოწოდებული იყვნენ დაენერგათ ამ „ველურ ქვეყანაში", კულტურა და ცივილიზაცია.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ბურჟუაზიული პრესის ტაქტიკა იცვლება. გაზ. «Кавказ» კამათს იწყებს სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების ორგანოს რედაქტორ ა. ქალანთართან: „კავკასიური პრესა ყოველთვის აღნიშნავდა. რომ ადგილობრივი მკვიდრნი გაჭირვებაში არიან უმიწაწყლობით და იბრძოდა იმისათვის, რომ თუ აქ მოიპოვება თავისუფალი მიწები, ეს მიწები უნდა გადაეცეს ადგილობრივ მოსახლეობას. და ამის შემდეგ ბ-ნ ქალანთარს და სოფლის მეურნეობის კავკასიურ საზოგადოებას შესაძლებლად და საჭიროდ მიაჩნიათ აღძრან საკითხი კავკასიის მიწების თუნდაც შავი ზღვის სანაპიროზე, თურქეთიდან გამოქცეულ ლტოლვილებისა და გადმოსახლებულთათვის საბოლოოდ გამოყოფის შესახებ".

ასე წერდა ახლა კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის ოფიციალური გაზეთი. რომელიც უკვე მოითხოვდა, რომ სოფლის ოკრუგის თავისუფალი მიწები მიეცათ დასავლეთ საქართველოს უმიწაწყლო გლეხებისათვის.

სწრაფად იცვლის ორიენტაციას თვითონ ა. ქალანთარიც, გაზ. «Кавказское сельское хозяйство»-ს რედაქტორი. ახლა იგი აცხადებს: „თუ გაზეთი «Кавказ» თანაუგრძნობს შავი ზღვის სანაპიროს თავისუფალი მიწების მეგრელებისა, გურულებისა და იმერლებისათვის გამოყოფას, მაშინ ის „საზოგადოების" (ე. ი. სმკს—პ. გ.) მხრივ ყოველმხრივ მხარდაჭერას ჰპოებსო"[26].

გასაგებია. ასეთი მობრუნება. როგორც ოფიციალური კავკასიური ორგანოს გაზ. «Кавказ»-ის. ისე სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების ორგანოს «Кавказское сельское хозяйство»-ს რედაქტორი ა. ქალანთარის მხრივ შთაგო-

[26] КСХ, 1905, № 573, стр. 148; ვრცლად იხ. გაზ. „ივერია", 1905, № 40.

ნებული იყო 1905 წლის რევოლუციის მრისხანე მოვლენებით, რამაც განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი სწორედ დასავლეთ საქართველოს გლეხობაში. აქ აგრარული მოძრაობის აზვირთებამ ცარიზმისა და ბურჟუაზიის ერთგულ დარაჯებსაც კი დაანახვა, თუ რაოდენ მძიმე იყო დას. საქართველოს და საერთოდ ადგილობრივი უმიწაწყლო გლეხობის მდგომარეობა, რომ ნაცვლად თურქეთის სამფლობელოებიდან და შიგარუსეთის გუბერნიებიდან კოლონიზატორული ელემენტების მოზიდვისა, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ადგილობრივ გაღატაკებულ წვრილმწარმოებელთა და უმიწაწყლო გლეხთა მიწათმოწყობა. მათ ახლა უკვე შეამჩნიეს, რომ სოხუმის ოკრუგში მეთამბაქოეობის განვითარებას არამცთუ არავითარი ზიანი არ მოუვა, პირიქით კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები გაეხსნება, თუ აქაური „თავისუფალი“ მიწები ადგილობრივ, ე. ი. მეზობელი რაიონების უმიწო გლეხობასვე გადაუნაწილდება.

ოღონდ ის იყო, რომ მიწის საიჯარო ქირა და. მაშასადამე, გასაყიდი ფასი დღითიდღე იზრდებოდა. ამიერკავკასიის აქციზის სამმართველოს მეორე ოკრუგის ზედამხედველი. თავისი მუშაობის 1909 წლის ანგარიშგებაში, აღნიშნავს რა აქ მეთამბაქოეობის სწრაფ აღმავლობას და მიწის მტაცებლურ ექსპლოატაციას, თანვე დასძენს, რომ 1 დესეტინა მიწის წლიური საიჯარო ქირა ძლიერ იზრდება და ახლა მერყეობს 20-დან 50 მანეთამდე, „იმის კვალობაზე თუ როგორია მიწა და რამდენი შრომაა საჭირო მისი წინასწარი დამუშავებისათვის (ბუჩქნართა გაჩეხვა, ხეების ფესვების ამოძირკვა და სხვ.)“ და აგრეთვე შესაბამისად იმისა თუ როგორია მოთხოვნა თამბაქოს საპლანტაციე მიწაზეო[27].

* * *

ახლა აქ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ როგორ აისახა აფხაზეთის მეთამბაქოეობაში 1905 წ. აგრარულ-რევოლუციური მოძრაობა.

---

[27] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 989, ფურც. 90.

აქციზის ამიერკავკასიური სამმართველოს მეორე ოკრუ-
გის ზედამხედველი თავისი საქმიანობის 1906 წლის ანგარიშ-
გებაში წერდა, რომ მე-20 ს. პირველი წლებიდან „სოხუმის
ოკრუგში 1905 წლამდე თამბაქოს წარმოების წლითი-წლობით
თანდათანობითი განვითარების სურათი 1906 წელს შეიცვალა:
წინა წელთან შედარებით საანგარიშგებო წელს თამბაქოს
პლანტაციების რიცხვი 21 პროცენტით შემცირდა, თამბაქოს
მიერ დაკავებული მიწის ფართობი შემცირდა 40 პროცენტით,
ხოლო თამბაქოს ფოთლის მთლიანი მოსავალი, მიუხედავად 1
დესეტინაზე დიდი მოსავლიანობისა, დაეცა 36 პროცენტამდე.
ადგილობრივ თამბაქოზე ყოველწლიურად ზრდადი მოთხოვნის
პირობებში ასეთი არანორმალური მოვლენა, მით უფრო მაშინ,
როდესაც აქ ადგილი არ ჰქონია სახალხო არეულობას, აიხსნე-
ბა უმთავრესად საყოველთაო შეჩერებით თამბაქოს ფაბრიკე-
ბის მოქმედებისა, რამაც მეთამბაქოეობის ადგილებში გამოიწ-
ვია თამბაქოს მოთხოვნაზე მიწოდების გადამეტება და მეთამ-
ბაქოესათვის ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, თამბაქოს თეს-
ვის მომენტში, თამბაქოს ფოთოლზე ფასების დაცემა. თუ 1905
წელს სავაჭრო პლანტაციის საშუალო ფართობმა სოხუმის ოკ-
რუგში 1.1 დესეტინას მიაღწია, 1906 წელს ეს საშუალო
ძლივს ავიდა 0,87 დესეტინამდე. მსხვილ მეურნეობათა რიცხ-
ვი, რაც გამუდმებულად იზრდებოდა, საანგარიშგებო წელს
მნიშვნელოვნად შემცირდა...“[28].

ამასთანავე სოხუმის თამბაქოზე ფასები 1906 წლის პირ-
ველ ნახევარში არაჩვეულებრივად დაეცა: I, II, და III სორ-
ტის სამსუნზე—6—13 მანეთამდე, IV სორტისაზე—0,8—1,5
მანეთამდე, ხოლო ტრაპიზონზე—3—7 მანეთამდე. I ფუთზე.
იმავე წლის მეორე ნახევარში, როდესაც დათესვის დრო უკვე
გასული იყო, ფასებმა კვლავ ამაღლება დაიწყეს და თანდათა-
ნობით ამ ადგილებისათვის ნორმალურ დონეს მიაღწიეს: სამ-
სუნზე უმაღლესი სორტისა—14—16 მან.; საშუალო სორტი-
სა—9—12 მან. და დაბალი სორტისა—5—7 მან.; ტრაპიზონის

[28] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 80.

ფასებიც დადგინდა შესაბამისად: I სორტზე—12 მან., II ს.—8—9; III ს.—4—5 მან.

ეხება რა საერთოდ რევოლუციური მოძრაობის შედეგებს, მეთამბაქოეობის მდგომარეობის მიმომხილველი წერს: „1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ თავისი გავლენა მოახდინა ქუთაისის გუბერნიის მეთამბაქოეობაზე 1906 წელსაც—კიდევ უფრო დასცა აქ პლანტაციების რიცხოვნობა, მათი ფართობისა და თამბაქოს მოსავლის საერთო მოცულობა. 1905 წელს სოხუმის ოკრუგში თამბაქოს არაჩვეულებრივი მოსავალი, რამაც რაოდენობრივად გადააჭარბა ყველა წინანდელი წლებისას, აიხსნება უწინარეს ყოვლისა ხელსაყრელი კლიმატური პირობებით და განსაკუთრებით იმ გარემოებით, რომ აქ მეთამბაქოეობა იმყოფება უმთავრესად მოსული ელემენტების — ბერძნებისა და სომხების—ხელში, რომლებიც სახალხო მოძრაობისგან განზე იდგნენ. 1906 წელს რევოლუციური მოძრაობისადმი მოსახლეობის ურთიერთობისაგან დამოკიდებულად, ანალოგიურ კლიმატურ პირობებში მეთამბაქოეობას არ მოუცია ისეთი ბრწყინვალე შედეგები, როგორიც, თითქოს უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი საანგარიშგებო წელს,—ერთბაშად ერთიმესამედით დაეცა რა, როგორც პლანტაციების რიცხვი, ისე მათი ფართობი და თამბაქოს მოსავალიც. თამბაქოს ფაბრიკულ წარმოებაში ყველგან მომხდარი შეფერხება, რაც გამოიწვია ამ ფაბრიკების მუშათა გაფიცვებმა, რომელიც გაგრძელდა საანგარიშგებო წლის პირველ ნახევარშიც და რამაც შეამცირა თამბაქოს ფაბრიკების მწარმოებლურობა, მეტი თუ ნაკლები დროით შეაფერხა ზღვითა და რკინიგზით მიმოზიდვა და ამით გააძნელა თამბაქოს გატანა იმპერიისა და ამიერკავკასიის საწყობებსა და ფაბრიკებში და გამოიწვია 1905 წლის თამბაქოს მოსავლის მისი წარმოების ადგილზევე ჩაწოლა, მერმე ფოთლად თამბაქოზე ფასების დაცემა და, ბოლოს, მეთამბაქოები აიძულა თავი შეეკავებინათ და არ ცდილიყვნენ თამბაქოს ნათესების გაძლიერებულ გადიდებას. ამ უკანასკნელმა გარემოებამ, იმ დროს როდესაც თამბაქოს ფაბრიკების მუშაობა ნორმალურ კალაპოტში დგებოდა, გამოიწვია 1906 წლის მოსავლის თამბა-

ქოზე ფასების აწევა, რასაც, უეჭველია შედეგად მოჰყვება თამბაქოს პლანტაციების გადიდება ყველგანო“,—ასკვნიდა აქციზის ზედამხედველი[29].

* * *

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე გვიან იყო. როდესაც მოთხოვნა შესამჩნევად გაიზარდა და, ამგვარად, საყოველთაოდ ნათელი გახდა ფოთლად თამბაქოზე ფასების აწევის ფაქტი, ახალი თესლის ჩაყრა და, ამგვარად, პლანტაციების გამრავლება თუ გაფართოება აღარ შეიძლებოდა. ივლისის პაპანაქება დღეები იდგა. სეზონი უკვე გასული იყო.

1900-იანი წლებიდან სოხუმის ოკრუგში კიდევ ახალ ადმავლობას განიცდის მეთამბაქოეობა[30]. სოფლისმეურნეობრივი წარმოების სფეროში ის ხდება ბურჟუაზიული თაოსნობის ადამიანთა ყველაზე უფრო მიმზიდველი დარგი კაპიტალის დაბანდებისა. 1906 წ. ნ. ფონ-დერვიზი წერდა: „სოხუმის ოკრუგში... ამჟამად მეთამბაქოეობა ყველაზე უფრო სარფიან და ყველაზე უფრო მიზანშეწონილ... კულტურას წარმოადგენსო“[31].

თამბაქოს კულტურის განვითარებისათვის ხელისშეწყობის მიზნით ზოგიერთი ცდები, 1895 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობდა მიწათმოქმედების დეპარტამენტის სოხუმის საცდელ სადგურში, მაგრამ ეს ღონისძიება იმდენად სპორადულ ხასიათს ატარებდა, რომ რაიმე არსებითი დახმარების გაწევა მეთამბაქოეობისათვის მას არ შეეძლო. ადგილობრივი პროგრესული ძალების მხრივ ასეთი დახმარების მოთხოვნის შემთხვევებში ხელისუფლება მიუთითებდა... სოჭის საცდელი სადგურისაკენ, რომელიც იქაურ მოსახლეობასაც კი მოწყვეტილი იყო.

[29] იქვე, საქმე № 940, ფურც. 78.

[30] И. Бахтадзе. «Сортовый состав абхазских табаков», 1930. Тифлис, стр. 14—17.

[31] Н. Фон-Дервиз, «Сухумский округ», 1906, Тифлис, стр. 49—50.

მაინც 900-იანი წლებიდან სოხუმის საცდელმა სადგურმა ზოგიერთი ექსპერიმენტი ჩაატარა, მაგალითად, „1940 წელს საცდელ მინდორზე მიმდინარეობდა თამბაქოს უკვე 20 ჯიშის გამოცდა, ამასთან გამოვლენილ იქნა დაავადებისაკენ ნაკლები მიდრეკილების მქონე ჯიშები, ხდებოდა პარაზიტებთან ბრძოლის ხერხების შესწავლა და გამოცდა იმისა თუ რა გავლენას ახდენს მოსავალზე ჩითილების გადარგვა (ფესვების შეკვეცით), ნათესის სიხშირე და ა. შ“[32]. ბოლოს, 1911 წელს, აქ გაიხსნა მეთამბაქოეობის განყოფილება, რომელსაც ჰყავდა მოსამსახურეთა ცალკე შტატი და ჰქონდა, თუმცა მცირე, მაგრამ მაინც თავისი გარკვეული ბიუჯეტი—სააქციზო უწყება. თავის მხრივ, თითქმის არაფერს არ ხარჯავდა მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ სააქციზო სამმართველოს ანგარიშგებების, ე. ი. ოფიციალური წყაროს მიხედვით ამიერკავკასიაში თამბაქოს მრეწველობიდან სააქციზო მოსაკრებელის. სახით იმპერიის ხაზინამ მიიღო (ათას მანეთობით), მაგალითად, 1888 წ.—725, 1893 წ.— 1 338, 1898 წ.—1 872, 1905 წ.— 2 063, 1909 წ.—2 765, 1910 წ.—2 649, 1911 წ.—3 648, 1912 წ.—3 998. 1913 წელს—4 276 ათასი მან.[33].

* * *

მართალია, როგორც საერთოდ ამიერკავკასიის, ისე კერძოდ სოხუმის ოკრუგის მეთამბაქოეობაში წარმოების საერთო მოცულობის მხრივ გაბატონებული იყო წვრილგლეხური პლანტაციები, მაგრამ მე-20 ს. დამდეგისათვის აქ უკვე ფრიად შესამჩნევია მსხვილ მეურნეობათა წარმოქმნა-განვითარების ტენდენცია.

ამ საკითხში სავსებით გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა თვით აქციზის უწყებასაც, რომლის ამიერკავკასიური სამმართ-

---

[32] ДГЗАЗ, стр. 107.
[33] ООППАДЗ за 1913 г., стр. 249.

ველოს მეორე ოკრუგის ზედამხედველი თავისი საქმიანობის 1909 წლის ანგარიშგებაში წერდა:

„სოხუმის ოკრუგის მეურნეობაში მეთამბაქოეობას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ოკრუგის 143 სოფლიდან 95 ეწევა ამ სარეწავს. ოკრუგის ყველა პლანტაცია სავაჭროა. საკუთარი მოხმარების პლანტაციები ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში არ გაშენებულა. საანგარიშგებო წელს თამბაქოს მოსავალმა მიაღწია აქამდე უნახავ რაოდენობას—439 285 ფუთს, რაც მთელი ზღვისპირეთის მოსავლის თითქმის 93 პროცენტს შეადგენს. მეთამბაქოეობის განვითარებას აქ დიდად შეუწყვეს ხელი თურქეთის ქვეშევრდომებმა ბერძნებმა და სომხებმა. დღემდეც კი მეთამბაქოეობას აქ მნიშვნელოვანი ზომით ეწევიან... თურქეთიდან მოსული ელემენტები. რომლებიც იჯარით აღებულ მიწებზე ამ საქმეს აკეთებენ მტაცებლური წესით, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის ყოველგვარი ზრუნვის გარეშე“[34].

ასეთ შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე გზით ვითარდებოდა მეთამბაქოეობაში მსხვილი მეურნეობის ტიპი. რასაც, ცხადია, ადრე თუ გვიან არ შეიძლებოდა შედეგად არ მოჰყოლოდა გარკვეული სპეციალიზაცია წარმოებაში. 1909 წელს მეთამბაქოეობის მდგომარეობის ოფიციალური მიმომხილველი უკვე აღნიშნავს, რომ „გაჩნდნენ პირები, რომლებიც ხელს კიდებენ მხოლოდ და მხოლოდ საჩითილეების ორგანიზაციას და მერმე ჩითილს ყიდიან მეთამბაქოებზე: 1.5—3.0 მანეთად და მეტადაც ასეულს“[35]. ამგვარად. მეჩითილეების გამოყოფა აღინიშნა, როგორც საეაჭრო მეთამბაქოეობის განვითარების შედარებით მაღალი ეტაპის შესაბამისი მოვლენა, რაც იმავე დროს მოასწავებდა სპეციალიზაციის საფეხურს მეცენარეობაში, მიწათმოქმედებაში.

საეაჭრო მეთამბაქოეობის განვითარების დამახასიათებელ

---

[34] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 989, ფურც. 90.

[35] იქვე, ფურც. 91.

ამ მოვლენების საილუსტრაციოდ საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ქვემომოყვანილი ცხრილი (იხ. ცხრილი, გვ. 179).

წარმოდგენილი ცხრილი აშკარად გვიჩვენებს პლანტაციების საერთო რაოდენობაში წვრილი—1 დესეტინაზე ნაკლები მოცულობის პლანტაციათა (მეურნეობათა) ხვედრიწონის შემცირების და, მაშასადამე, წ ა რ მ ო ე ბ ი ს გ ა მ ს ხ ვ ი ლ ე ბ ი ს შეუჩერებელ ტენდენციას. 1905 წელს წვრილი პლანტაციები შეადგენდნენ პლანტაციების საერთო რიცხვის 53%, ხოლო 1913 წელს მხოლოდ 39 პროცენტს.

ამავე დროს 1—2 დესეტინა ფართობის შემცველი პლანტაციების რაოდენობა 1905 წელს შეადგენდა საერთო რიცხვის 25%, ხოლო 1913 წელს უკვე—39%. ამასთანავე, თუ 1 დესეტინაზე ნაკლები პლანტაციების რაოდენობა 1905 წელთან შედარებით 1913 წელს 2 პროცენტით დაეცა, სამაგიეროდ ამავე პერიოდში 1—2 დესეტინა ფართობის შემცველი პლანტაციების რიცხვი 110 პროცენტით გაიზარდა.

ასევე მნიშვნელოვანი ზომით გაიზარდა 5 დესეტინაზე უფრო მსხვილი პლანტაციების (მეურნეობათა) რაოდენობა და წარმოიქმნენ კიდევ „მეთამბაქოეობის გიგანტური მეურნეობანი", რომელთა ფართობი 10 დესეტინას აღემატებოდა. ასეთ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათა რაოდენობამ 1909 წელს 21 მიაღწია. ამგვარად, სოციალური დიფერენციაცია პლანტატორთა შორის ამ დროისათვის უკვე შორს იყო წასული.

მსხვილ კაპიტალისტური მეურნეობების გვერდით დგანან წვრილი მეფაბრიკე-შემსყიდველთაგან დაკაბალებული პლანტატორები, რომლებიც, როგორც საერთოდ სოფლის წვრილი მწარმოებლები, მთელი ოჯახის შრომაუნარიან წევრთა შემადგენლობით მუშაობენ მთელი სინათლიანი დღის განმავლობაში, ხოლო მოსავლის აკრეფის, თამბაქოს ფოთლების შეტეხვის პერიოდში ღამითაც ეწევიან მძიმე შრომას და, მიუხედავად ამისა, გადაქცეული არიან ვალაუვალ მოვალეებად, ცხოვრობენ მძიმე პირობებში, განიცდიან სასტიკ ექსპლოატაციას.

წვრილი პლანტაციების ხვედრიწონის დაცემა იქნებ უფრო რელიეფურად შეიძლებოდა წარმოგვედგინა, რომ მისი მო-

სოხუმის ოკრუგში თამბაქოს სავაჭრო პლანტაციები მოცულობის მიხედვით ნაწილდებოდნენ

მეურნეობები (პლანტაციები) მოცულობის მიხედვით	1902	1904	1905	1906	1907	1908	1909	1910	1911	1912	1913	1914
1 დესეტინაზე ნაკლები	?	2176	2548	2366	2848	2456	2795	3121	2952	3054	2487	3429
1-დან 2 დესეტინამდე	?	1261	1182	971	1176	1425	1552	2328	2518	2352	2468	2876
2-დან 5-დესეტინამდე	360	621	918	318	485	563	874	1147	831	1070	1230	2590
5-დან 10-დესეტინამდე	15	48	131	21	54	72	144	137	57	78	148	281
10-დან 20-დესეტინამდე	1	1	5	1	3	4	21	15	3	2	7	10
20 დესეტინაზე მეტი	—	1	1	1	1	—	—	2	—	—	—	2
პლანტაციების საეთოო რაოდენობა	?	4108	4785	3678	4567	4520	5386	6750	6361	6558	6335	9188

სავლის (პროდუქციის) საერთოდ მეთამბაქოეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობასთან შედარების შესაძლებლობა გვქონდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისათვის საჭირო მონაცემები არ მოგვეპოვება.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია საშუალო ფენა პლანტატორებისა, რომელთა მეურნეობა ზოგიერთ პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს, მაგრამ რომლებიც საბოლოოდ მაინც განწირულნი არიან.

სწავლულმა-მეთამბაქოემ პ. ჩიკოვმა 1912 წელს, სპეციალური დაკვირვების შედეგად, მოგვცა საკმაოდ დეტალური აღწერილობა სოხუმის ოკრუგში მეთამბაქოეობის მეურნეობისა. იგი პლანტატორებს, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, ყოფს სამ კატეგორიად:

1. პლანტატორები, რომლებიც იჯარით იღებენ იმდენ მიწას, რომლის დამუშავება მათ შეუძლიათ თავისი პირადი და საკუთარი ოჯახის წევრების შრომით;

2. პლანტატორები, რომლებიც რამდენადმე დიდ ნაკვეთებს იღებენ იჯარით და მათ ამუშავებენ არა მარტო თავისი შრომით, არამედ დაქირავებული მუშების დახმარებითაც;

3. პლანტატორები, რომლებიც მიწას მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული შრომით ამუშავებენ.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ საერთოდ თამბაქოს კულტურის დამუშავების ხერხების მხრივ ამ პლანტატორთა შორის არავითარ შესამჩნევ განსხვავებას არ ჰქონდა ადგილი[36].

3. ჩიკოვს „პლანტატორის ტიპურ მეურნეობად" საშუალო, ე. ი. მეორე კატეგორიის მეურნეობა მიაჩნია. მის მიერ აღწერილ ასეთ მეურნეობას, რომელიც მცირე აზიიდან ჩამოსულ ბერძენ პლანტატორს. ეკუთვნოდა, იჯარით აღებული ჰქონდა 4,75 დესეტინა მიწა 6 წლის ვადით, 1 დესეტინაზე 25 მან. საიჯარო ქირით წელიწადში. მოცემული მეურნეობა ამ ნაკვეთზე უკვე 11 წელიწადი არსებობდა. აქ მოჰყავდათ თამბაქოს თურქული ჯიშები, უმთავრესად ᲮᲐᲛᲡᲣᲜᲘ, აგრეთვე ტრაპიზონი; თამბაქოს გარდა ყოველწლიურად ითესებოდა 1 დესეტინა სიმინდი, 0,5 დესეტინა გაშვებული იყო საძოვრად. მეურნეობას ჰქონდა აგრეთვე პატარა ბოსტანი, სადაც მოჰყავდათ ლობიო, ნიორი და სხვა მწვანილეული.

პლანტატორს ჰქონდა: ოროთახიანი საცხოვრებელი სახლი, თამბაქოს ასასხმელი ოთახი, თამბაქოს დასანამი (სარდაფი), ფარდული სიმინდისათვის, ფარდული ძროხისათვის. თამბაქოს ფოთლის სახმობი ფარდული, 9 დიდი კალათა თამბაქოს მოსაკრეფად, 5 ფოცხი გადაბარვის შემდეგ მიწის გასაფხვიერებლად. 5 თოხი თამბაქოს გათოხნისა და მიწის შემოყრისათვის, 15 ნემსი თამბაქოს ასასხმელად; ᲰᲧᲐᲕᲓᲐ 1 ძროხა. 4 ავი ძაღლი. ოჯახის სამი წევრი სისტემატურად მონაწილეობდა მუშაობაში.

---

[36] П. Чиков, «Табачное хозяйство плантатора в Сухумском округе» (ССМТД, 347).

ყველაზე უფრო შრომატევადი სამუშაო მეთამბაქოეობაში არის მოსავლის აღებისა და ფოთლის ძაფზე აცმის (ანემსვის) პროცესი. მოცემულ პლანტაციაში თვითონ პლანტატორი მოსავლის აღებასა და ფოთლის აცმაში არ მონაწილეობს, იგი ამ სამუშაოს მხოლოდ თვალყურს ადევნებს. ამ საქმეს აკეთებენ რუსები. რომლებიც აწარმოებენ ფოთლების შეტეხვას და ძაფზე ასხმას (აცმას), როგორც სანარდო სამუშაოს—ძაფის სიგრძის მიხედვით: 8 არშინიან ძაფზე იღებენ 6—8 კაპ., ამასთან ტრაპიზონი ყოველთვის 1 კაპ. უფრო იაფია. თამბაქოს ფოთლებს აცმევენ შეტეხისთანავე დაუყოვნებლივ. ამასთანავე ჩვეულებრივ ღამით ფოთლებს შეტეხავენ იმდენი რაოდენობით, რამდენისაც ანემსვა შეუძლიათ დღისით". ძაფზე აცმულ თამბაქოს ამაგრებენ ჩარჩოებზე და გააქვთ გასამზეურებლად; სამსუნის მიმართ კი მიღებულია წინასწარ მისი ერთი ღამით დატოვება, რათა ნამით დაიცვაროს... თამბაქოს სახმობი ფარდული პლანტატორს ნავარაუდევი აქვს 4 დესეტინაზე, როდესაც თამბაქო ხმება პლანტატორი ქირაობს მუშებს დამხარისხებლის მეთაურობით და იწყება ფოთლების დასტებად შეკვრა. თამბაქოს დასტებად კრავენ 4 ხარისხად ფერისა (ღიამოწითალო. მუქიწითელი, ყვითელი და შერეული) და ფოთლის სიდიდის მიხედვით. დასტებად შეკრული თამბაქო მიაქვთ სახმობ ფარდულში, სადაც დასტებს აწყობენ გროვად. დაახლოებით 1 არშინის სიმაღლით და ზემოდან უდებენ ფიცრებს. ასეთ მდგომარეობაში თამბაქოს ფოთლები იმყოფება დაახლოებით ერთი თვე, ხოლო შემდეგ იწყებენ მის ბარდნებად დაწყობას. ზოგჯერ პლანტატორი ძაფზე ასხმულ თამბაქოსაც ყიდის[37].

მსხვილ პლანტაციებზე და თვით საშუალო მოცულობის მეურნეობებშიაც, მეთამბაქოეობის, როგორც ფრიად შრომატევადი კულტურის დარგში, საჭირო იყო დიდძალი მუშახელი. აქ სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა საშოვარზე გასული ღარიბი გლეხობა;—სამუშაო დღე ფრიად გრძელი იყო, ხოლო

[37] Там же, стр. 340—350.

მოსავლის აღების პერიოდში, როგორც აღინიშნა, მუშაობა ღამითაც მიმდინარეობდა.

ვ. ლენინი 1898 წ. წერდა: „სამიწათმოქმედო სამუშაოზე გასვლის ერთ-ერთ სახედ ითვლება თამბაქოს პლანტაციებზე გასვლა (მეტადრე სამხრეთ განაპირა გუბერნიებში, სადაც ამ ბოლო დროს თამბაქოს კულტურა განსაკუთრებით სწრაფად ფართოვდება). ლიტერატურაში უკვე აღნიშნული იყო, რომ თამბაქოს პლანტაციებში მუშების მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა“[38].

განსაკუთრებით მძიმე იყო სოხუმის ოკრუგის თამბაქოს პლანტაციების მუშათა მდგომარეობა, რამდენადაც მცირემიწიანობისა და, მაშასადამე, საშოვარზე გამსვლელი „სოფლის ღარიბი მოსახლეობის“ სიმრავლით რუსეთის იმპერიის თითქმის არც ერთი რაიონი არ შეედრებოდა ქუთაისის გუბერნიას, რომელიც აწვდიდა უმთავრესად ამ მუშახელს სოხუმის ოკრუგის მეთამბაქოეობას. ხელფასი აქ ძლიერ დაბალი იყო, და მხოლოდ „შიმშილის მოსაკლავი“ პურის (ჭადის) საყიდლად თუ კმარიდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საშოვარზე გასულთა დიდი რაოდენობა მოაწყდებოდა ამ პლანტაციებს. ამ მხრივ კონკრეტულ მონაცემებს ჩვენ გავეცნობით ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა მდგომარეობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში[39].

როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ისე კერძოდ სოხუმის ოკრუგშიც მეთამბაქოეობის განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო ცარიზმის კანონმდებლობა, რაც მეთამბაქოეობის მიმდევარ სოფლის მუშას (მეიჯარეს) თამბაქოს ფაბრიკანტის ან შემსყიდველის კაბალურ დამოკიდებულებაში აყენებდა. სწორედ ამ გარემოების მეოხებით იყო, რომ თამბაქოს კულტურას დიდი ხნის განმავლობაში მისდევდნენ, როგორც დამატებით საქმიანობას, რამაც, თავის მხრივ, ხელი

---

[38] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 344.

[39] იხ. აგრეთვე პ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება“, მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 775—811.

შეუწყო მეთამბაქოეობის უპირატესად წვრილი და პაწაწინა პლანტაციების სახით გავრცელებას.

წვრილმწარმოებელი მეთამბაქოე გლეხი, როგორც წესი, ყოველთვის განიცდიდა ხელმოკლეობას ნაღდ ფულში. რაც ესოდენ საჭირო იყო ამ „თავისთავადაც ინტენსიურ“ კულტურისათვის. ამავე დროს სოხუმის ოკრუგში თურქეთის სამფლობელოებიდან მოსულ მეთამბაქოებს თან მხოლოდღა „შიშველი ხელები“ მოჰქონდათ; მათ, ცხადია, არ გააჩნდათ თამბაქოს პლანტაციის გამართვისათვის საჭირო სახსრები.

აი, როგორ აღწერდა, ამ მხრივ, 1898 წელს პ. გუკასიანი წვრილ პლანტატორთა მდგომარეობას: „... თამბაქოს ფაბრიკანტთა აგენტებმა და ფულის ადვილად შოვნის სხვა მოყვარულებმა ისარგებლეს გადმოსახლებულთა კრიტიკული მდგომარეობით და მათ ასესხეს ფული საკმაოდ მძიმე პირობებში. ოკრუგში 30—40 პროც. ითვლება ზომიერად... პლანტატორებისადმი ფულის სესხების ფაქტით თამბაქოს ფაბრიკანტების აგენტებმა გლეხები მთლიანად დააკაბალეს და დაიწყეს მათზე ყოველგვარი კომერციული ექსპერიმენტების კეთება. საქმე ასე იწყება: როცა თამბაქო აღებულია და გამზადებულია გასაყიდად, აგენტი მოდის, აფასებს თამბაქოს და წინადადებას იძლევა თამბაქო გარკვეულ ფასში მიუტანონ საწყობში. საწყობში იწყება თამბაქოს დაყინებითი წუნდება, რის მეოხებითაც აუცილებელი ხდება დათქმული ფასის დაწევა. რა დარჩენია გლეხს, თუ არა ის, რომ დაუთმოს თავის კეთილისმყოფელს, რომლის ხელშიც იმყოფება მისი ბედ-იღბალი ახლაც და მომავალშიც! ამ ოპერაციის შემდეგ იწყება თამბაქოს აწონვა უცნაურ ათწილად სასწორზე, რომლისაც გლეხებს არაფერი გაეგებათ, ამასთან ხშირად აწონვის შედეგებს განცვიფრებაში მოჰყავთ თამბაქოს მიმწოდებელნი... ქალაქის სასწორზე თამბაქოს აწონვა რატომღაც არასდროს არ ხდება, თუმცა ქალაქი ყოველთვის ღებულობს გაყიდული თამბაქოს სასასწორე ფულს“[40].

[40] КСХ, 1898, № 210, приложение, стр. 3—4; 1897, № 183, стр. 446.

მეორე შემთხვევაში წვრილმწარმოებლები თავიანთ თამბაქოს რეალიზაციისათვის აბარებენ ქალაქელ მესაწყობეებს. მაგრამ „როგორც კი თამბაქო გასაყიდად საწყობში მოთავსდება, მის პატრონად მესაწყობე ხდება. სახელმწიფო ბანკის განყოფილება უკანასკნელს კრედიტს უხსნის საწყობში მოთავსებული თამბაქოს ანგარიშში, თუმცა თამბაქო მას არ ეკუთვნის. მესაწყობე, ღებულობს რა სხვისი საქონლის ანგარიშზე სესხს 5 პროცენტის კვალობაზე, თავის მხრივ მას მეთამბაქოებს აძლევს 10—12 პროცენტის კვალობაზე. საწყობის მეპატრონე. როდესაც თამბაქოს გასასყიდად ღებულობს, მეთამბაქოეს არ აძლევს არავითარ ქვითარს ან ხელწერილს, დამადასტურებელს იმისა, რომ მან თავისი თამბაქო მოათავსა საწყობში“[41].

ამრიგად, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში წვრილი მეთამბაქოე გამოუვალ მდგომარეობაშია, მით უმეტეს, რომ „თამბაქოს შემსყიდველები ოკრუგს წინასწარ იყოფენ ერთმანეთში გარკვეულ ნაწილებად და, შემდეგ თვითეული მათგანი თავის რაიონში თვითნებურად მოქმედებს“; ამრიგად „აცილებულია ყოველგვარი კონკურენცია თამბაქოს შემსყიდველთა შორის და ყველა ისინი თამბაქოს ყიდულობენ მეტად იაფად, სარგებლობენ რა პლანტატორების მდგომარეობით, რომლებსაც არ შეუძლიათ უცადონ მათთვის უფრო ხელსაყრელ მყიდველებს, ვინაიდან მეტად უჭირთ ფული“[42].

წვრილმოიჯარე პლანტატორთა მძიმე მდგომარეობას გვიხატავს 1898 წელს გუმისტას რაიონის ასზე მეტი მეთამბაქოე გლეხის კოლექტიური თხოვნა, რითაც მათ მიმართეს ხელისუფლებას, რათა უკანასკნელს გაეძლიერებინა მეთვალყურეობა თამბაქოს ფაბრიკანტთა მტაცებლობისაგან პლანტატორი გლეხების დაცვა-მფარველობის მიზნით. გლეხები ჩივიან, რომ

---

[41] И. Иоселиани, назв. соч., стр. 80.
[42] КСХ, 1898, №, 210, приложение, стр. 3—4.

ისინი. „მიუსედავად იმისა, რომ თამბაქო დიდი რაოდენობით მოჰყავთ საბოლოოდ ვერ ახერხებენ ამოიკონ მათი დანახარჯები კი".

ისინი მძიმე მატერიალური პირობების გამო იძულებული არიან ფაბრიკანტებისაგან აიღონ ავანსები, რა სახითაც უკანასკნელნი ჰყიდულობენ ჯერ კიდევ მოუკრებავ ფოთლებს და სწორედ ამის მეოხებით აკაბალებენ მათ. ხოლო შემდეგ „თამბაქოს ბაბარების დროს მიმართავენ სხვადასხვა ხრიკებს, რათა საქონელი ძლიერ დაბალ ფასებში შეისყიდონ". როდესაც პლანტატორები წინააღმდეგობის გაწევას ბედავენ, მაშინ შემსყიდველ-ფაბრიკანტები სასამართლოთი იმუქრებიან: „მოითხოვენ უკან დაბრუნებას ავანსისა. რაც უკვე დახარჯულია თამბაქოს თესლსა და პლანტაციის დამუშავებაზე".

კიდევ მეტი, შემსყიდველები აიძულებენ პლანტატორებს, რათა ამათ თამბაქო ქ. სოხუმში მათს საწყობებში მიიტანონ, ხოლო შემდეგ მიმართავენ მათთვის ჩვეულებრივ მაქინაციებს. თამბაქოს უკანვე წაღება წვრილმწარმოებლებს არ შეუძლია; მათ. ცხადია, არც საწყობები გააჩნიათ. ფოთოლი ამასობაში თანდათან შრება და ფუჭდება... „მეთამბაქოენი იძულებულნი ხდებიან დაემორჩილონ შემსყიდველთა დრაკონულ პირობებს"[43].

ა. როგორ აგვიწერს თამბაქოს წვრილმწარმოებელთა მდგომარეობას თვით აქციზის უწყების აგენტი 1909 წლის ანგარიშგებაში: „მეთამბაქოეები უმეტესწილად შესდგებიან არაუზრუნველყოფილი ელემენტებისაგან, რომელთაც აუცილებლობით სჭირდებათ დიდი და გრძელვადიანი კრედიტი, რათა გადაიხადონ მიწის იჯარის ქირა, მათ სჭირდებათ ფულები მიწის დამუშავებისთვის. პლანტაციის გათოხნის, თამბაქოს ფოთლის შეტეხვის, მისი გახმობის, ფოთლების დატკეცა-შეკვრის, შეფუთვის და სხვ. სამუშაოთა შესრულებისათვის. ყოველივე ამის მეოხებით აქ გამომუშავდა ფულის მხრივ ხელმოკ-

---

[43] Газ. «Новое обозрение». 1898, № 4970; С. Тимофеев, «Табаководство в Закавказье» (Сб. «Закавказье», Тифлис. 1925.).

ლე პლანტატორრებისთვის მომავალი წლის ანგარიშში სესხის მიცემის სისტემა, თამბაქოს ფოთლის ძირებზე (მოუკრეფლად) გაყიდვის სისტემა. ამ სესხებს იძლევიან თამბაქოს შემსყიდველი მესაწყობეები, რომლებიც, ამრიგად, სავსებით აკაბალებენ პლანტატორრებს. სოხუმის ოკრუგის თამბაქო თავისი ღირსებებით ახლა ცნობილია მთელ რუსეთში. თითქმის არ მოიპოვება არც ერთი დიდი ფაბრიკა, რომელიც არ აყენებდეს მოთხოვნას ამ თამბაქოზე. აქაურმა თამბაქომ სახელი გაითქვა უცხოეთშიც, სადაც უკანასკნელ წლებში სულ უფრო დიდი რაოდენობით გააქვთ იგი. მოთხოვნა სოხუმის თამბაქოზე დიდია, ძლიერ ზრდადი და ყოველწლიურად იგი იზიდავს ახალ-ახალ სოლიდურ მყიდველებს. თუ საანგარიშგებო წელს სოხუმის ოკრუგში 30 სავაჭრო საწყობი იყო (29 ქ. სოხუმსა და 1 გუდაუთაში), მიმდინარე (1910) წელს მათი რიცხვია 44 (41 ქ. სოხუმში, 2 გუდაუთასა და 1 ოჩამჩირეში). ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ოკრუგში მეთამბაქოეობა ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება, მაინც ამჟამად საქმის მდგომარეობის არსებულ ვითარებაში მას ფრიად მცირე სარგებლობა მოაქვს ამ მხარისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის, და უმთავრესად წარმოადგენს თამბაქოს სხვადასხვა ჯურის შემსყიდველთა გამდიდრების საშუალებას"[44].

მეურნეობის კულტურის ამაღლებასა და მეთამბაქოეობის აგროტექნიკური ხერხების გაუმჯობესებაზე, რასაკვირველია, ფიქრიც კი არ შეეძლოთ ასეთ წვრილ და ქონებრივად ესოდენ უმწეო მდგომარეობაში მყოფ პლანტატორებს; არსებულ ვითარებაში მათი მეურნეობრივი საქმიანობის შედეგებიც სულ უფრო ნაკლებად ხელსაყრელი იყო.

ოფიციალური მიმომხილველის სიტყვით, თამბაქოს „საუკეთესო თურქული ჯიშები მალე უხეშდება, კარგავს სურნელებას და მთლიან გადაგვარებას განიცდის... მეთამბაქოე ნაკლებად ზრუნავს ნიადაგის გაპოხიერებაზე, ტრადიციულ ვადებში აწარმოებს პლანტაციის მორწყვას, იჩქარის თამბაქოს მოსავ-

[44] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 989, ფურც. 91.

ლის აღებას, ერთმანეთში ურევს პირველად შეტეხილ ფოთლებს შემდგომში შენატეხთან, არ ახარისხებს თამბაქოს, ხშირად არცკი გამოაცალკევებს ერთი ხარისხისას მეორისაგან. მეურნეობა თვით მოსავლის აღების პერიოდში განიცდის რა თამბაქოს ხარისხის მხრივ დანაკარგს, პროდუქტის შემდგომი დამუშავების მხრივაც მეტად არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი, რასაც შეუძლია მოყვეს მხოლოდ ახალი დანაკარგები. თამბაქოს გახმობა მისი მარტოოდენ გამზეურებით ხდება, რაც მეტად დაუდევრად სწარმოებს კარგად მოწყობილი სათავსოების უქონლობის გამო... გახმობის პერიოდში თამბაქო მთლიანად ამინდის მდგომარეობაზეა დამოკიდებული: თამბაქო ხან შეხმება, ხან ნესტიანდება, რის გამოც იგი თხელდება, კარგავს ფერს, გემოს და სურნელებას... პლანტაციებზე თამბაქოს აღების რაოდენობა და ხარისხი (მზა საბაზრო პროდუქტის სახით) დამოკიდებულია უამრავ არახელსაყრელ პირობებზე, რომელთა დაძლევა წვრილ მეთამბაქოე მოიჯარადრეს არ ძალუძს, ამიტომაცაა რომ თამბაქოს ფასი საგრძნობლად მერყეობს"[45].

მართალია, ლ. პერშკე აგვიწერს 1890-იანი წლების ვითარებას, მაგრამ ამ მხრივ წვრილ პლანტატორთა მდგომარეობა თუ არ გაუარესებულა, ყოველ შემთხვევაში არაფრით გაუმჯობესებულა შემდგომ ორ ათეულ წლებშიც. ამასთანავე, რამდენადაც მეთამბაქოეობაში წვრილ მოიჯარე პლანტატორთა მეურნეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ცხადია, რომ მათი მდგომარეობა, გარკვეული ზომით. განსაზღვრავდა საერთო მეურნეობის ამ დარგის განვითარების გზებს.

დამკვირვებელთა უმრავლესობა თვით თამბაქოს რეალიზაციის საქმესთან დაკავშირებულ სიძნელეებსა და მოუწესრიგებლობასაც წვრილ მწარმოებელთა დაქსაქსულობითა და მატერიალური ხელმოკლეობით ხსნის; ასეთს ვითარებაში რამდენადმე შეძლებულ და მოხერხებულ შემსყიდველს ადვილად შეეძლო მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვება და, მაშასა-

[45] Л. Першке, «Отчет... за 1895 г.», стр. 44—45.

დამე, ფასების კარნახიც. მაგალითად, 90-იანი წლების პირველ ნახევარში სოხუმის ოკრუგში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა თამბაქოს მრეწველობის პეტერბურგელ ფირმას „ბოგდანოვი და კომპ". მხოლოდ 1895 წელს აქ თავისი საწყობები გახსნეს კიდევ ისეთმა მსხვილმა ფირმებმა, როგორიც იყვნენ „ასმოლოვი" (დონის როსტოვი) და „შაპშალ" (პეტერბურგი) და კიდევაც „თამბაქოს მსხვილ შემსყიდველთა შორის გაჩაღებულმა კონკურენციამ ხელი შეუწყო თამბაქოზე ფასების აწევას".

1903 წ. თ. სახოკია წერდა: „სოხუმში ვინ იცის, რამდენმა ბოიკიდა ქონი თუთუნის ვაჭრობით, რამდენმა შეიძინა ქონება, ბვირფასი მამულები"[46]. თუ შემსყიდველები მდიდრდებოდნენ, სამაგიეროდ წვრილ პლანტატორთა მდგომარეობა 1900-იან წლებშიაც სულ უფრო უარესდებოდა. 1910 წელს გაზ. „ზაკავკაზიეს" კორესპონდენტი იწერებოდა, რომ თამბაქოზე მოთხოვნილების სულ უფრო ზრდის მიუხედავად მეთამბაქოეთა ყოფა-ცხოვრება შეუჩერებლივ უარესდება: „შემოსავლის უდიდესი ნაწილი ხელში უვარდებათ კომისიონერებს, გადამყიდველებს და სხვადასხვაგვარ სპეკულანტებს", რომლებიც, როგორც უწინ, ისე ახლაც „აკაბალებენ მწარმოებლებს. ამრიგად, უკანასკნელთა მთელი შრომის მთელი პროდუქტი მათ მიერ წინასწარ შეისყიდება, თვითნებურად დადგენილ მინიმალურ ფასებში"[47].

ახლა გავეცნოთ საერთოდ წვრილ მოიჯარე პლანტატორ მეთამბაქოეთა მდგომარეობას.

როგორც აღინიშნა, ადგილობრივი, თუ ჩამოსული უმიწაწყლო მეთამბაქოე გლეხობა პლანტაციის გასაშენებლად მიწას იჯარით იღებდა მემამულისაგან. საიჯარო გადასახდელი გაიანგარიშებოდა როგორც ნატურით, ისე, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, ფულით. ნატურალური იჯარის პირობებში,

---

[46] თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა, „მოგზაურობანი". 1950, თბ, გვ. 299.
[47] Газ. «Закавказье». 1910, № 12; 1897, № 183, стр. 446.

იმთავითვე დაწესებული ტრადიციის მიხედვით მემამულე ღებულობდა მოსავლის ნახევარს[48].

მაგრამ მოიჯარეს, რომელმაც მიწა მიიღო. უნდა ჰქონოდა კიდევ გარკვეული ფულადი კაპიტალი მიწის დასამუშავებლად და ყველა იმ ხარჯებისათვის (სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებნი, საკუთარი ოჯახის შენახვა და სხვ.), რაც აუცილებელი იყო მის მეურნეობაში,—სანამ იგი მიღებულ მოსავალს გაჰყიდდა. ამ ფულს იგი ჩვეულებრივად სესხულობდა ან თამბაქოს მეფაბრიკისა და ან შემსყიდველისაგან, რომელთაც თავნისა და სარგებლის გადახდას ჰპირდებოდა პლანტაციიდან მიღებული თამბაქოს მოსავლის მიჰყიდვით. ხშირად ხელშეკრულება იმდენად კაბალური იყო, რომ მოიჯარე ვალდებულებას კისრულობდა, რათა თამბაქოს მოსავალი მაინცდამაინც მევალისათვის მიეყიდა საბაზრო ფასების მიხედვით. ხოლო ამ საბაზრო ფასებს. გასაგებია. თვით შემსყიდველი და მეფაბრიკე კარნახობდნენ.

მოიჯარეს მოსავლის რეალიზაციის შემდეგ. განსაკუთრებით მაშინ, თუ საშუალო მოსავალი მოდიოდა. მეტად მცირე „შემოსავალი" რჩებოდა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. იგი ძლივს ახერხებდა ხელფასის მიღებას. მაგრამ ხშირი იყო შემთხვევა. როდესაც მოიჯარე ვერცკი ახერხებდა დაფარვას ვალებისა. რომელიც სარგებლის ზედშეკეცით გადადიოდა მომავალი წლისათვის. გასაგებია. რომ ასეთ მოიჯარეს, რომელიც სინამდვილეში კაბალური მოიჯარე იყო. არ შესწევდა არავითარი ღონისძიება და არც სტიმული მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. იგი ადგილობრივი ფაბრიკანტებისა და შემსყიდველთა ყმურ დამოკიდებულებაში ვარდებოდა. საიდანაც თავის დაღწევა არ შეეძლო.

მაგრამ თამბაქოს ადგილობრივი შემსყიდველი. რომელსაც მხოლოდ სპეკულანტური მიზნები ამოძრავებდა. სახელს უფეჰებდა ამ თამბაქოს უცხოეთისა და კერძოდ რუსეთის ფაბრიკანტებს შორისაც.—რამდენადაც ვაჭარი-შემსყიდველი არსე-

---

[48] ЗКОСХ. 1874, № 1, стр. 11.

ბიოად არ იყო დაინტერესებული მიწოდებული ნედლი მასალის ხარისხით.

90-იანი წლებიდან გაღატაკებულ მოიჯარეთა უდიდესი ნაწილი დაქირავებულ მუშებად იქცევიან. თამბაქოს პლანტაციები, როგორც სავაჭრო მიწათმოქმედების შემოსავლიანი დარგი, ძირითადად გადადის ყოფილ ვაჭარ-შემსყიდველთა და აგრეთვე მეფაბრიკეებისა და მემამულეთა ხელში. მემამულე ახლა ხშირად უშუალოდ თვითონ, თავის „რისკზე" ეწევა მეურნეობას, თუმცა ამავე დროს მნიშვნელოვანი ზომით აძლევს მიწას სანახევროდ დაქირავებულ მუშის მდგომარეობამდე დაყვანილ მოიჯარეს.

ამგვარად, სოხუმის ოკრუგში მეთამბაქოეობის პერსპექტივები, სავაჭრო მიწათმოქმედების სწრაფი განვითარების პირობებშიაც, საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით ფრიად დამაფიქრებელი იყო.

აი, რას წერდა, მაგალითად, სოხუმის ოკრუგის საერობო აგრონომი ბ. კისელიოვი 1913 წელს: „სოხუმის მეთამბაქოეობა, რომელიც რამდენიმე მილიონის ღირებულებას ქმნის, სამწუხაროდ, ამდიდრებს მოსულ უცხოელებს (თურქებსა და სომხებს), რომლებიც ოკრუგის მეთამბაქოეობის მიმდევართა საერთო რაოდენობის დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენენ. თუ ამას კიდევ იმ გარემოებას მიუმატებთ, რომ პლანტატორების დაახლოებით 60 პროცენტს თამბაქო იჯარით აღებულ მიწებზე მოჰყავს, გასაგები გახდება ხუთმილიონიანი შემოსავლის თუ რაოდენ უმნიშვნელო ნაწილი ხვდება ძირითად მოსახლეობას, რომელიც ზის თავის მიწაზე და ეწევა თავის მეურნეობას".

„იჯარით აღებულ მიწებზე თამბაქოს გაშენება ერთგვარად. განსაზღვრავს თვით მეთამბაქოეობის ფიზიონომიასაც, რომელიც ამის მეოხებით იძენს მტაცებლური ექსპლოატაციის დამახასიათებელ ყველა ნიშანს. თამბაქოს კულტურის განუ-

წყვეტელი თესვით გამოწვეულ ნიადაგის გამოფიტვას პლანტატორი ნაკლებად აქცევს ყურადღებას, კიდევ კარგია, რომ არის შესაძლებლობა, მიაგდებ რა გამოფიტულ ნაკვეთს, იჯარით აიღო სხვა, რომელზედაც პირველად იმართება თამბაქოს პლანტაცია. მაგრამ, ჯერ კიდევ ხელუხლებელი მიწების მარაგის შემცირებასთან დაკავშირებით, თამბაქოს პლანტაციების გაპოხიერების საკითხი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ღებულობს მეთამბაქოეთა თვალში. უკვე ახლაც ცნობილია თევზის სასუქით თამბაქოსათვის ნიადაგის გაპოხიერების ცდები. ამ საკითხით დაინტერესდნენ თამბაქოს მსხვილი ფირმებიც, რომელთაგან ერთმა საცდელ სადგურს თამბაქოს პლანტაციის გასაპოხიერებლად ცდების ჩატარებისათვის შესთავაზა ერთდროული სუბსიდია 2 000 მან. რაოდენობით. თვით სადგური კი მოკლებული იყო საშუალებას ემუშავნა მეთამბაქოეობის საკითხებზე,—ამ მიზნისათვის სახსრებისა და ძალების უქონლობის გამო"[49].

ასეთს ვითარებაშიც სოხუმის ოკრუგი მე-19 საუკუნის ბოლოდან შეიქნა მეთამბაქოეობის ძირითად რაიონად ამიერკავკასიაში. 1914 წელს, როდესაც აქ თამბაქოს მოსავალმა ყველა წინაწლებისას გადააჭარბა, ამიერკავკასიაში თამბაქოს პლანტაციებით დაფარული ფართობიდან მოდიოდა[50]:

სოხუმის ოკრუგზე—79% ანუ 13 107 დესეტინა, ბათუმის ოლქზე—6%, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიაზე—10%; ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიაზე—4% ანუ 587 დესეტინა, ერევნის გუბერნიაზე.—1% (169 დეს.).

1895—1914 წლებში, ე. ი. პირველი მსოფლიო ომის წინა ოცი წლის მანძილზე სოხუმის ოკრუგში თამბაქოს საშუალოწლიური მოსავალი 6,5-ჯერ გაიზარდა.

---

[49] ДГЗАЗ, стр. 106—107.
[50] НХЗ, стр. 158; ЭТЗ, I, стр. 20.

XIV. მეთამბაქოეობის საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები

1. განვითარების ტემპები

თუ როგორ განვითარდებობა ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობა, ამის ზოგად სურათს იძლევა ქვემომოყვანილი ცხრილი:[1]

წლები	პლანტაციების რაოდენობა	საერთო სივრცე დესეტინობით	მთლიანი მოსავალი ფუთობით
1885	12 453	1 785	125 342
1887	13 637	2 264	126 722
1888	11 817	1 577	83 247
1889	10 542	1 243	75 403
1890	17 718	1 819	116 923
1891	18 799	2 376	148 408
1892	17 177	2 196	133 336
1893	16 768	2 449	153 181
1894	26 502	2 633	140 867
1895	27 622	3 124	189 086
1896	25 742	3 197	194 936
1897	28 755	3 802	212 016
1898	30 282	4 332	200 840
1899	23 048	4 196	243 493
1900	29 961	4 925	281 976
1901	21 520	3 813	205 602
1902	24 546	5 372	321 028
1903	28 738	6 103	434 742
1904	25 433	6 583	378 017
1905	21 731	7 862	464 432
1906	16 586	4 739	270 432
1907	15 866	5 732	324 703
1908	16 358	5 979	396 850
1909	17 530	8 288	565 983
1910	19 757	10 903	710 449
1911	19 188	10 019	640 693
1912	17 000	9 628	542 526
1913	17 444	10 140	590 209
1914	22 244	16 643	860 239

[1] ცნობები ამოღებულია ამიერკავკასიის საარქიოო სამმართველოს უფროსის შესაბამისი წლების ანგარიშგებათაგან.

როგორც ვხედავთ, მეთამბაქოეობა ამიერკავკასიაში საერთოდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. თუ მე-19 ს. 60-იან წლებში თამბაქოს საშუალო წლიური მოსავალი დაახლოებით 20 300 ფუთს უდრიდა, მან შეადგინა 1870-იან წლებში—41 200 ფუთი, 80-იან წლებში—103 100 ფ. 1891—1895 წლებში—147 000 ფ[3]., 1896—1900 წლებში—226 000 ფ., 1901—1905 წწ.—403 000 ფ., 1906—1910 წ.—454 000 ფ., ხოლო 1911—1915 წწ.—626 000 ფუთი.

ამგვარად, ამიერკავკასიაში თამბაქოს მთლიანი მოსავლის მატება წინაათეულ წელთან შედარებით, დაახლოებით, შეადგენდა: 70-იან წლებში—100 პროცენტს, 80-იან წლებში—150 პროცენტს, 1891—1895 წლებში—43 პროცენტს; ხოლო წინა ხუთწლედთან შედარებით: 1896—1900 წწ.—53.7%, 1901—1905 წწ.—90,2%, 1906—1910 წწ.—5.5% და 1911—1915 წწ.—37,9%. საერთოდ კი, მთელი აღებული პერიოდის (55 წლის) მანძილზე, თამბაქოს საშუალოწლიური მთლიანი მოსავალი ამიერკავკასიაში გაიზარდა დაახლოებით 30-ჯერ.

ზემომოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია როგორც საკარო, ისე „მეურნეობრივი" (ე. ი. საოჯახო ანუ საკუთარი მოხმარებისათვის დანიშნული) პლანტაციები. საკუთარი მოხმარების პლანტაციად სააქციზო უწყება თვლიდა თამბაქოს ისეთ წვრილ ბეურნეობას, რომლის ფართობი 50 კვ. საჟენს არ აღემატებოდა. ასეთი წვრილი მეთამბაქოეობა ამიერკავკასიაში ფრიად გავრცელებული იყო. გლეხის საკარმიდამო ნაკვეთზე, ხშირად ბაღსა და ბოსტანში, ანდა ყანაში პაწაწინა, ზოგჯერ 5—10 კვ. საჟ. ფართობზე ხარობდა თამბაქო საკუთარი მოხმარებისათვის.

თამბაქოს საერთო წარმოებაში საკუთარი მოხმარებისათვის განკუთვნილის ხვედრიწონა სულ უფრო და უფრო უმნიშვნელო ხდებოდა, რასაც ნათლად დავინახავთ თუ ზემომოყვანილ ცხრილს შევადარებთ ქვემომოყვანილთან. სადაც წარმო-

---

[3] Л. Першке, «Отчет о ходе акцизного дела в закавказском крае...» за 1895 г.», 1896, СПБ.

დგენილია მხოლოდ სავაჭრო, ე. ი. 50 კვ. საჟენზე მეტი ფართობის მქონე თამბაქოს პლანტაციების რაოდენობა, მათი საერთო ფართობი და მოსავალი.

სავაჭრო პლანტაციები ამიერკავკასიაში 1895—1914 წწ.

წლები	პლანტაციების რაოდენობა	საერთო ფართობი დესეტინობით	მთლიანი მოსავალი ფუთობით	საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე ფუთობით
1805	9 280	3 039	18 4145	—
1898	10 855	4 212	25 4059	60
1900	12 201	4 838	27 7121	55
1903	14 384	6 030	43 0490	71
1904	13 509	6 526	37 4841	57
1905	14 124	7 825	46 2214	59
1906	10 575	4 705	26 8137	57
1907	10 899	5 702	32 2757	57
1908	10 606	5 943	39 4591	66
1909	11 940	8 250	56 3897	70
1910	14 601	10 871	70 8144	65
1911	14 108	9 980	63 9711	64
1912	13 808	9 597	54 0398	56
1913	13 471	10 114	58 8551	58
1914	17 894	16 871	85 8223	—

ორივე ზემომოყვანილი ცხრილის შესაბამისი წლების მონაცემთა ურთიერთშედარებიდან ნათლად ჩანს, რომ წვრილი, 50 კვ. საჟ. ნაკლები, პლანტაციების როლი საერთოდ მეთამბაქოეობის პროდუქციაში, რაც 80-იანი წლებიდან სულ უფრო მეტი ზომით იქცევა საქონლურ პროდუქციად, დღითიდღე ეცემა.

ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველოს უფროსი ლ. პერშკე თავისი საქმიანობის 1895 წლის ანგარიშგებაში წერდა, რომ: „ასეთი პატარა პლანტაციები ძალიან ბევრია, ხოლო მათგან მიღებული თამბაქოს რაოდენობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ თითქმის არავითარ როლს არ თამაშობს თამბაქოს რეგისტრირებულ საერთო მოსავალში“[3].

[3] Л. Першке, назв. книга, стр. 84.

მაგალითისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ 1895 წელს ამიერკავკასიაში თამბაქოს პლანტაციების საერთო რაოდენობა უდრიდა 27 622, რაც შეადგენდა სულ 3 124 დესეტინას და აქედან სავაჭრო (სამრეწველო) პლანტაციების რაოდენობა უდრიდა მხოლოდ 9 280 და შეადგენდა კი 3 039 დესეტინას; ამასთანავე აღებულ წელს თამბაქოს მთლიანმა მოსავალმა შეადგინა 189 086 ფუთი, საიდანაც სავაჭრო პლანტაციებზე მოდიოდა 134 145 ფუთი, ე. ი. დაახლოებით 97 პროცენტი.

საკუთარი მოხმარების პლანტაციებიდან მიღებული მოსავლის ხვედრიწონა (3%) კიდევ უფრო ნაკლები იყო მთლიანი მოსავლის ჯამში შემდგომი წლებისა; ხოლო სავაჭრო მეთამბაქოეობის ძირითად რაიონში, სახელდობრ სოხუმის რაიონში, საკუთარი მოხმარების პლანტაციები მალე საბოლოოდ გაქრენ.

1913 წელს მთელ ამიერკავკასიაში აღრიცხულია 17 444 პლანტაცია, რომლის საერთო ფართობი უდრიდა 10 140 დესეტინას. მოსავალი კი—590 909 ფუთს, აქედან სავაჭრო პლანტაციების რიცხვი უდრიდა 13 471, ფართობი—10 114 დესეტინას. მოსავალი—588 551 ფუთს; ხოლო საკუთარი მოხმარების პლანტაციების რიცხვი—3 983, ფართობი—26,2 დესეტინას, მოსავალი—1 658 ფუთს. როგორც ვხედავთ, პლანტაციების საერთო ფართობსა და მოსავალში საკუთარი მოხმარებისათვის წარმოების ხვედრიწონა მეტად მცირეა; ანალოგიურია მდგომარეობა როგორც მერმინდელ 1914 წელს, ასევე რიგი წინა წლების მანძილზე, ასე რომ, ამ პერიოდში მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ე ო ბ ა ა რ ს ე ბ ი თ ა დ მ თ ლ ი ა ნ ა დ ს ა ვ ა ჭ რ ო ხ ა ს ი ა თ ს ა ტ ა რ ე ბ ს.

2. გეოგრაფიული გაადგილება

მე-19 ს. რეფორმისმერმინდელ პერიოდში ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის გაადგილების თანდათანობითი ჩამოყალიბების სურათს წარმოგვიდგენს ქვემომოყვანილი 1875, 1876, 1887 და 1891 წწ. შესაბამისი მონაცემები (იხ. ცხრილები გვ. 196—197).

1901—1915 და 1906—1910 წლების მონაცემთა მიხედვით, საერთოდ ამიერკავკასიის გუბერნიებში მეთამბაქოეობის გეოგრაფიული გაადგილებისა და ამასთანავე სხვადასხვა რაიონში თამბაქოს კულტურის სხვადასხვა ჯიშის გავრცელებულობის და მათი მთლიანი მოსავლის სურათს წარმოგვიდგენს ქვემომოყვანილი ორი კრებსითი ცხრილი (იხ. გვ. 198 და 200—201).

მეთამბაქოეობა ამიერკავკასიაში 1875 წელს

ადმინისტრაც. ერთეულები	პლანტაციების რიცხოვნობა	პლანტაციების საერთო ფართობი	თამბაქოს მოსავალი ფუთობით
თბილისის გუბერნია	271	127	5 960
ქუთაისის გუბერნია	323	313	5 504
ბაქოს გუბერნია	501	88	7 085
ერევნის გუბერნია	272	80	3 232
ელისავეტპოლის გუბერნია	96	161	2 051
ზაქათალის ოკრუგი	2	5	230
სულ	1 465	774	2 4742

1876 წელს

ადმინისტრაც. ერთეულები	პლანტაციების რიცხოვნობა	პლანტაციების ფართობი დესეტინობით	თამბაქოს მოსავალი ფუთობით
თბილისის გუბ.	110	59	4 617
ქუთაისის გუბ.	2 071	902	9 050
ბაქოს გუბ.	533	109	15 867
ერევნის გუბ.	283	85	3 569
ელისავეტპოლის გუბ.	692	26	2 128
ზაქათალის ოკრუგი			
სულ	3 689	1 181	35 231

1887 წელს

ადმინისტრაციული ერთეულები	პლანტაციების რიცხოვნობა	პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	თამბაქოს მოსავალი ფუთობით
თბილისის გუბერნია.	1 063	397	23 518
ქუთაისის გუბერნია (+სოხუმის ოკრუგი)	6 309	1 369	58 839
ბაქოს გუბერნია (+დაღისტნის ოლქი)	4 160	111	14 244
ელისავეტპოლის გუბ.	704	172	11 409
ერევნის გუბერნია (+ყარსის ოლქი)	1 093	94	4 979
ზაქათალის ოკრუგი	307	121	13 731
სულ	13 636	2 264	126720

1891 წელს

თბილისის გუბერნია	3 221	499	35 000
ქუთაისის გუბ. (+სოხუმის ოკრუგი)	9 020	1 507	86 100
ბაქოს გუბერნია (+დაღისტნის ოლქი)	7 033	129	10 911
ელისავეტპოლის გუბ.	1 130	114	9 928
ერევნის გუბ. (+ყარსის ოლქი)	1 130	87	2 718
ზაქათალის ოკრუგი	95	40	3 751
სულ	21 629	2 367	14 8408

მეთამბაქოეობის გეოგრაფიული გაადგილება გუბერნიების მიხედვით 1901—1915 წწ.

გუბერნიის დასახელება	წლები	პლანტაციების რაოდენობა	ფართობი.	საშუალო სიდიდე	მოსავალი ფუთობით
			დესეტინობით		
ბაქოსი	1901—1905	861	41	0,049	3 716
	1906—1910	778	37	0,047	3 671
	1909—1913	735	37	0,050	3 375
	1910—1915	3222	35	0,056	3 155
თბილისის	1901—1905	3812	877	0,231	65 399
	1906—1910	1500	582	0,388	39 583
	1909—1913	1605	825	0,516	59 438
	1911—1915	1756	1 041	0,590	80 003
ქუთაისის[4]	1901—1905	16919	4 578	0,273	255 746
	1907—1910	492	249	0.051	11 070
	1909—1913	4707	311	0,067	14 657
	1911—1915	4789	354	0,075	17 334
ბათუმის ოლქი	1907—1910	3073	431	0,140	26 398
	1909—1913	3304	505	0,152	38 606
	1911—1915	2923	548	0,320	42 576
სოხუმის ოკრუგი	1907—1910	5306	6 021	1,135	348 407
	1909—1913	6251	7 654	1,222	455 943
	1911—1913	7584	9 033	1,195	464 858
ერევნის	1901—1905	2013	198	0,098	9 536
	1906—1910	1423	180	0,126	9 724
	1909—1913	1075	152	5,142	6 222
	1911—1916	1016	149	0,143	4 643
ელისავეტპოლის	1901—1905	761	163	0,214	16 413
	1906—1910	370	114	0,308	11 101
	1909—1913	372	127	0,341	14 314
	1911—1915	340	133	0,391	13 286
ზაქათალის ოკრუგი	1901—1905	190	102	0,936	9 791
	1906—1910	117	109	0,932	10 302
	1909—1913	144	178	1,235	16 851
	1911—1915	163	242	1,483	22 774

[4] 1901—1905 წწ. ქუთაისის გუბერნიაში შედის სოხუმის ოკრუგი და ბათუმის ოლქი.

ამიერკავკასიის მეთამბაქოეობის ძირითად რაიონში. სოხუმის ოკრუგში, პირველი მსოფლიო ომის წინა 1913 წელს 143 სოფლიდან მეთამბაქოეობას მისდევდნენ 102 სოფელში და ამასთანავე აქ ყველა პლანტაცია სავაჭრო ხასიათისა იყო; მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის 8 800 დასახელებული ადგილიდან (ქალაქთა გამოკლებით) მეთამბაქოეობას მისდევდნენ 928 სოფელში, რომელთაგანაც სავაჭრო პლანტაციები იყო მხოლოდ 613 სოფელში, ხოლო დანარჩენ სოფლებში თამბაქო საკუთარი მოხმარებისათვის მოჰყავდათ. ამას გარდა, აფხაზეთის თამბაქოს ხარისხის მიხედვითაც პირველი ადგილი ეჭირა; იგი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ როგორც შიგა რუსეთის გუბერნიებში, სადაც არ იყო თითქმის არც ერთი თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც ამა თუ იმ ზომით არ ეწეოდა ამ თამბაქოს გადამუშავებას, ისე დასავლეთ ევროპაშიც. ასე. მაგ., სოხუმიდან გატანილ იქნა აფხაზური თამბაქო (იხ. ცხრ. გვ. 202).

მაგრამ სოხუმს გარდა აფხაზური თამბაქო გაჰქონდათ აგრეთვე გუდაუთიდან და ოჩამჩირიდან. თუ აფხაზეთში მეთამბაქოეობა იყო უმთავრესად მოსული ელემენტების ხელში და საიჯარო საფუძველზე, სამაგიეროდ აჭარაში მეთამბაქოეობა თითქმის მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთა ხელშია. 1913 წ. ბათუმის ოლქში აღრიცხული იყო 3 477 სამრეწველო პლანტაცია, რომლის ფართობი უდრიდა 625 დესეტინას, მოსავალი— 53 332 ფუთს. ბათუმის ოლქში უკვე 900-იანი წლებიდან აშკარად ემჩნევა ზღვის სანაპირო ზოლებში თამბაქოს მხრივ ადგილის დათმობა აქ უფრო რენტაბელური კულტურისათვის, როგორიცაა ჩაი და ციტრუსები. თამბაქოს პლანტაციები ამ ოლქში სიდიდის მხრივაც ჩამორჩებიან სოხუმის ოკრუგისას. ბათუმის ოლქიდან 1913 წ. გატანილ იქნა შიგა რუსეთში 18 396 ფუთი, საზღვარგარეთ—20 186 ფ., ხოლო ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებში—4 929, ე. ი. სულ—43 507 ფუთი თამბაქო.

მეთამბაქოეობა ამიერ
თამბაქოს სხვადასხვა ჯიშის გეოგრაფიული გაადგილება ამიერკავკასიის
თამბაქოს მთლ

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	მეთამბაქოეობის ძიდეველი სოფლების და ქალაქების რიცხვი	პლანტაციების რაოდენობა (დესეტინებით)	პლანტაციების ფართობი	თამბაქოს მოსავალ			
				სულ	უმაღლესი		
					საპაპიროსე ჯიშები		
					სამსუნი	ტრაპიზონი	სამსუნისა და ტრაპიზონის ნარევი
1. ბაქოს გუბერნია	69	778	37,2	3615	565	—	—
2. ბათუმის ოლქი	205	2853	434,0	25875	1067	24791	—
3. ელისავეტპოლის გუბერნია	72	315	114,0	11102	73	20	—
4. ზაქათალის ოკრუგი	13	111	109,3	10500	—	—	9 822
5 ქუთაისის გუბერნია	357	4280	203,7	9919	3820	—	—
6. სოხუმის ოკრუგი	87	4980	5472,0	343680	253244	90436	—
7. თბილისის გუბერნია	120	1442	557,3	39564	1844	12894	24 527
8. ერევნის გუბერნია	150	1423	181,1	8082	—	—	1 648
სულ:	1073	16182	7108,6	452337	260613	128141	3 5997

დანარჩენ დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნიაში) სავაჭრო მეთამბაქოეობა ამ პერიოდში შედარებით უმნიშვნელოდ იყო განვითარებული. თუმცა აქაც მასობრივად მისდევდნენ გლეხები თამბაქოს მოყვანას „საკუთარი მოთხოვნილებისათვის“. სავაჭრო პლანტაციების ფართობი კი აქ 1913 წ.

ავკასიაში 1906—1910 წწ.

მთავარი ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით და მათი ხვედრიწონა იან მოსავალში[3]

ჯიშები (თურქული თესლის)			ფუთობით								
			დაბალი ჯიშები								
საუსტრალიის ტრაპეზონის ჯიშები გადაგვარებული	ბალტის დიუბეკი	სულ	რუსული წესი („მახორკა")	ჯიშები, რომლებიც საექსპორტო წესდებით წესს („ბახჩისარაი") არ ეკუთვნებიან	კავკასიური წესი	წესი და სურმალინი	სანარეული	ეადანი	ეირგინიისა და სხვათა გადაგვარებული ჯიშები	სულ	საშუალოდ ერთ დესეტინაზე
—	—	565	—	546	2504	—	—	—	—	3 050	97
—	—	25 858	—	—	—	—	4	13	—	17	59
—	2	95	3919	—	5925	—	—	—	1163	11 007	98
—	—	9 822	678	—	—	—	—	—	—	678	96
5184	—	9 304	—	—	140	—	—	—	475	615	48
—	—	343680	—	—	—	—	—	—	—	—	62
—	—	39 265	—	—	135	—	—	121	43	299	68
—	—	1 648	—	—	1 843	4173	—	—	418	6434	44
5484	2	430237	4597	546	10 547	4173	4	134	2 099	22 100	71

უდრიდა 238,1 დესეტინას (1912 წ.—396.1 დეს.). 1913 წელს ქუთაისის გუბერნიიდან გატანილ იქნა სულ 15 770 ფუთი თამბაქო.

საერთოდ დასავლეთ საქართველოდან (სოხუმიდან და ბათუმიდან) თამბაქო გაჰქონდათ ყველაზე დიდი ზომით ეგვიპ-

[3] СЕТД, прило., стр. 34—35.

ტეში (ალექსანდრიაში), აგრეთვე დას. ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. საექსპორტო თამბაქოთა შორის ყველაზე განთქმული იყო „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ სორტები.

აფხაზეთიდან გატანილ იქნა თამბაქო ფუთობით

წლები	უცხოეთში	რუსეთში	ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილას	სულ
1909	10 739	293 388	26 407	330 484
1910	30 648	382 096	23 189	435 933
1911	34 772	395 274	25 419	455 465
1912	38 938	350 562	6 803	396 303
1913	55 121	413 623	14 108	482 852

აღმ. საქართველოში მე-20 ს. პირველ ორ ათეულ წლებშიც სავაჭრო მეთამბაქოეობას მისდევდნენ უპირატესად სიღნაღისა და ახალციხის მაზრაში.

1909—1913 წწ. სიღნაღის მაზრიდან (ე. ი. ლაგოდეხის მეთამბაქოეობის რაიონიდან) გატანილ იქნა თამბაქო ფუთობით

წლები	უცხოეთში	რუსეთში	ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში	სულ
1909	8 622	9 670	4 454	22 746
1910	647	9 224	18 769	28 640
1911	4 224	13 466	14 084	31 774
1912	2 462	10 387	18 769	31 618
1913	5 329	15 220	29 312	49 861

მე-20 ს. პირველ ორ ათეულ წლებში აღმ. ამიერკავკასიაში, კერძოდ ელისავეტპოლის გუბერნიაში სავაჭრო მეთამბაქოეობა უმთავრესად განვითარებული იყო ნუხისა და არეშის მაზრებში; ბაქოს გუბერნიაში—ყუბის, შემახიასა და გეოქჩაის მაზრებში; ხოლო ერევნის გუბერნიაში—ერევნის, ნახჭევანისა და სურმალოს მაზრებში.

3. 1905 წლის რევოლუციის გავლენა

ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, კერძოდ სავაჭრო მიწათმოქმედებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 1905 წლის რევოლუციამ. ამ მოვლენაზე აქ მოკლედ, მაგრამ ცალკე ვჩერდები მხოლოდ იმიტომ, რომ მეთამბაქოეობა და მევენახეობა არსებითად წარმოადგენდნენ სოფლისმეურნეობრივ წარმოებასა და, მაშასადამე, საერთოდ სოფლის ცხოვრებაში ისეთ დარგებს, სადაც მოსახლეობის მეურნეობრივი საქმიანობისადმი ხორციელდებოდა სპეციალური (აქციზის) ეკონომიკური (ფისკალური) უწყების სისტემატური დაკვირვება, რომელსაც მიზნად ჰქონდა აესახა არა მხოლოდ საკუთრად წარმოებრივ პროცესებში მიმდინარე მოვლენები, არამედ, აგრეთვე, რამდენადმე მნიშვნელოვანი ძვრებიც მოსახლეობის პოლიტიკურ და მორალურ ყოფიერებაში.

აქციზის უწყების აგენტები ხშირად დიდის გულმოდგინებით აგვიწერენ მეთამბაქოეობისა და მევენახეობის მიმდევარი მოსახლეობის ცხოვრებაში მომხდარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ისინი განსაკუთრებით ვრცლად წერდნენ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში სოფლის მცხოვრებთა პოლიტიკურ განწყობილებასა და მოქმედებათა შესახებ.

აი, როგორ აგვიწერს ხსენებულ მოვლენებს, მაგალითად, აქციზის კავკასიური სამმართველოს მეორე ოკრუგის ზედამხედველი თავის საქმიანობის 1906 წლის ანგარიშგებაში:

„გურიაში (ოზურგეთის მაზრაში) აგრარულ ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოშობილი სახალხო მოძრაობა თანდათანობით მოედვა დასავლეთ ამიერკავკასიას, უმთავრესად მცირემიწიანი გლეხური მოსახლეობის ქუთაისის გუბერნიას და 1905 წელს გადმოიღვარა აშკარად პოლიტიკური ელფერის რევოლუციურ მოძრაობაში, ხოლო 1906 წელს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად მიწყნარდა, არ ჰპოვა რა ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორიც იყო ღირსსახსოვარ 1905 წელს. ხელისუფლებას ეს დაუჯდა და ახლაც უზის დიდ დაძაბულობად, რაც დღევანდელ დღემდე ვლინდება სამხედრო და საალყო მდგო-

მარეობაში. ამჟამადაც მთელი ქუთაისის გუბერნია, ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი სამხედრო მდგომარეობაშია. საალ-ყო მდგომარეობაში, რაც უკვე მოხსნილია ქ. ბათუმში, დღემ-დე ცხოვრობდა ქ. ქუთაისი.

დაბნეული ადმინისტრაციის ხელისუფლება, რომელიც 1905 წელს თითქმის სრულ უმოქმედობაში იყო, ამჟამად ად-გილზეა. მთავრობის სასამართლო ორგანოები აწყობილად მოქმედებენ. აქციზის ზედამხედველობა, რომელიც 1905 წელს ყოველგვარი დახმარების გარეშე დარჩა, იძულებული იყო ნელ-ნელა უკან დაეხია და ქალაქებში აფარებდა თავს. ასეთ პირობებში აქციზის ზედამხედველობის მუშაობა, უმეტესწი-ლად ერთპიროვნული ხასიათისა, ყოველგვარ ადმინისტრაცი-ული ხელისუფლებისგან დაშორებული, მძიმე და არაუშიშარი, მნიშვნელოვნად იკვეცებოდა და დროდადრო ნულამდე დადი-ოდა. მაგრამ 1906 წელს, როდესაც შესამჩნევი სიმშვიდე ჩამო-დვა, აქციზის ზედამხედველობამ თანდათანობით იწყო ადგი-ლებზე უკან დაბრუნება. განსაკუთრებით მძიმე იყო აქციზის ზედამხედველის მდგომარეობა ოზურგეთის მაზრაში, სადაც მხოლოდ საანგარიშგებო (1906) წლის ბოლოს შეუდგა ლეგა-ლურად არყის ხდას მოსახლეობა, რომელსაც 1905 წელს არ განუცხადებია არც ერთი არყის სახდელი ქვაბის მოქმედების შესახებ*. თუ აქციზის ზედამხედველობა ახლაც არ ჩქარობს ოქმით გააფორმოს აქციზის წესდების ესა თუ ის დარღვევა, ყოველ შემთხვევაში ცდილობს დარწმუნების გზით მიაღწიოს საჭირო შედეგებს. ვაჭარი იძენს პატენტს, მექარხნე იწყებს ხე-ლი მიყოს ლეგალურ გამოხდას სპირტისა (არაყისა). მაინც არ შეიძლება არ ითქვას, რომ მოსახლეობა, რომელმაც განიცადა 1905 წელი, არცთუ ისე დამშვიდებულია, როგორადაც ის წი-ნათ წარმოედგინათ. თუკი მან ზურგი შეაქცია იმ რევოლუცი-ურ აფეთქებებს, რაც ორივე მხარისთვის ესოდენ დიდი მსხვერპლი დაჯდა, იგი მაინც რაღაც ახალს მოელის თავისი

* როგორც ცნობილია, აქციზის უწყება ე. წ. გლეხურ არყისსახდელ ქვაბს ქარხანად („ზავოდად") აღრიცხავდა ხოლმე.

წარმომადგენლებისგან, იგი ცხოვრობს (სულდგმულობს) სასელმწიფოებრივი სათათბიროს იდეით, რომლის ამა თუ იმ მიმართულებით წარმოებული მოღვაწეობისგან დამოკიდებულია უმთავრესად მოსახლეობის მშვიდობიან ცხოვრებისკენ მობრუნების საქმე"[7].

აქციზის პირველი ოკრუგის ზედამხედველი თაკის 1905 წ. მუშაობის ანგარიშგებაში წერს: „იმის მეოხებით, რომ ბაქოს გუბერნიის თამბაქოს პლანტაციები დაშორებულია გუბერნიის პოლიტიკური მოღვაწეობის ცენტრს, ქ. ბაქოს, და აგრეთვე იმის გამო, რომ ქ. შემახიაში, სადაც იმყოფება აბდულაევის წეკოს ფაბრიკა, რომელიც ყიდულობს ადგილობრივ ფოთლად წეკოს, ადგილი არ ჰქონდა სხვადასხვა ერებისა და პარტიების წარმომაღგენელ ხალხთა მასების მტრულ მოქმედებებს,— ფოთლადი თამბაქოს გადაზიდვები დაბრკოლებათა გარეშე მიმდინარეობდა. რაც შეეხება საანგარიშგებო წელს გუბერნიის სხვა სოფლისმეურნეობრივ სარეწავებს, როგორიც არიან: მეპამბეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა, ძირტკბილას მოპოვება, მეფუტკრეობა და სხვ., ამათ წინაწლებთან შედარებით წინმსვლელობა არ ეტყობოდა; პირიქით, ამ მხარეზე ცხოვრების საერთოდ არანორმალური მიმდინარეობის შედეგად, უნდა აღინიშნოს უარყოფითი მოვლენები:—სტაგნაცია ვაჭრობაში, კრედიტის მოშლა, მუშახელისა და პირველი მოთხოვნილების ყველა საგნის გაძვირება, რამაც, ერთად აღებულმა, მნიშვნელოვნად გააუარესა სოფლისმეურნეობრივი წარმოების ამ დარგთა პროდუქტების ისედაც არასახარბიელო მიმოქცევა"[8].

აქციზის სამმართველოს მეექვსე ოკრუგის (ცენტრი ქ. სიღნაღი) ზედამხედველის 1905 წლის მოღვაწეობის ანგარიშგებაში საგანგებოდ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი რევოლუციური მოძრაობის აღწერას. მოვიყვანოთ ზოგიერთი ამონაწერი:

---

[7] საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 940, ფურც. 77—78.

[8] საქ. სსრ. ცსია, ფონდი, 370, საქმე № 926, ფურც. 280—281.

„...შეუძლებელია რამდენიმე სიტყვა არ ითქვას იმ წითელი ძაფის შესახებ, რომელიც წინამდებარე ანგარიშგების ყველა ნაწილში გადის: სახელდობრ იმ სახალხო მღელვარებებზე, რომლებმაც დაარღვიეს საზოგადოებრივი ცხოვრება, თავის კალაპოტიდან ამოაგდეს ვაჭრობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ერთხნობით შეარყიეს ხელისუფლების ზოგიერთი დაწესებულება და რომელთაგან შევჩერდებით, რასაკვირველია, მხოლოდ იმ მოვლენებზე, რომელნიც კავშირში არიან აქციზის საქმესთან და მისი ზედამხედველობის მოღვაწეობასთან, ისე რომ არ განვიხილავთ არც მოსახლეობის მიერ წარდგენილ სხვადასხვა პროგრამებს...

უწესრიგობის პირველი ნიშნები გამოვლინდა ჯერ კიდევ მარტისა და აპრილის თვეებში სიღნაღის მაზრის ჩაილურის რაიონში, როდესაც მეზობელი თბილისის მაზრის რაიონიდან, საიდანაც დაიწყო მღელვარების გავრცელება, საგარეჯოელთა ბრბომ ბეჭდები ახსნა ყველა არყის (სპირტის) სახდელ ქვაბს სოფლებში ჩაილურსა და კაკაბეთში და როდესაც 30 მარტს თელავის მაზრის სოფ. წინანდალში რამდენიმე ათასი კაცისგან შემდგარმა ბრბომ შეაჩერა აქციზის ზედამხედველი, რომელიც არ გაუშვა გზაზე სოფ. აკურისკენ, სადაც ის მიდიოდა, რათა დაეკეტა ქარხანა და დამუქრებით აიძულა იგი უკანვე ქ. თელავში დაბრუნებულიყო; სწორედ მაშინ დაიწყო სახაზინო ტყის ჭრა და დატაცება. მაისის თვეში ყველა არყის სახდელი ქვაბი დაბეჭდილი იყო და, როგორც ჩანს, დაიწყო ხალხის დამშვიდება, თუმცა ქიზიყელებს, სახელდობრ სოფლების ჯუღაანისა და ბოდბისხევის მცხოვრებლებს ივლისშიაც კი არ სურდათ მხარი დაეჭირათ აქციზის ზედამხედველისათვის, რათა მას გაეზომა პლანტაციები, რის გამოც მეთამბაქოეთა სახელობითი სიების შედგენა ქ. სიღნაღის მაზრის უფროსის მეშვეობით დაევალა მამასახლისებს, ხოლო შემდეგ რეგისტრაციის ამგვარმა ხერხმა სხვადასხვა მრავალგვარი გაუგებრობა გამოიწვია.

სექტემბრის თვეში არყისხდა (винокурение) დაიწყო სავსებით ნორმალურ პირობებში, ქარხნები თავის დროზე იკე-

ტებოდა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ხდებოდა სპირტის აღრიცხვა და გამოშვება (გაცემა) თვით ოქტომბრის თვეშიც კი,—როდესაც თითქმის ყველგან დაიწყო გაფიცვები და აქ ვრცელდებოდა ყოველგვარი საგანგაშო ხმები; და ასე გრძელდებოდა თითქმის ოქტომბრის თვის ბოლომდე. მაგრამ ამ მომენტიდან ხალხის განწყობილება სულ უფრო და უფრო საგანგაშო და საშიში ხდებოდა.

სოფლებში გაჩნდნენ ყოველგვარ აგიტატორთა მასები, რომლებიც ქადაგებდნენ ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევას, რათა ხალხს უარი ეთქვა გამოსაღებთა გადახდაზე, მოეთხოვა სარეკრუტო ბეგარის (ჯარში გაყვანის) და არაპირდაპირ გადასახადთა. მათ შორის აქციზის გაუქმება და არ მიეცათ აქციზის მოხელეებისთვის თავიანთი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა. ხოლო როდესაც ეს უკანასკნელნი რომელსამე სოფელში გამოჩნდებოდნენ, მაშინ ყველგან გაისმოდა შეძახილები: „ძირს“[9]; პირველ ნოემბერს სოფ. ჯულაანში უკვე გადაჭრით არ დაუშვეს სპირტის აღრიცხვაზე კონტროლიორი შუტოვი. ხოლო 3 ნოემბერს სოფ. ტიბაანში გლეხთა ბრბომ ძალით და მუქარით გარეკა აქციზის უბნის ზედამხედველის თანაშემწე, რომელსაც თან ახლდნენ კონტროლიორი და მეთვალყურეები. მოსახლეობის მხრივ ასეთი მტრული დამოკიდებულებისა და იმის გამო. რომ სასურველი არ იყო მოხელეთა რაიმე მხრივ სახიფათო მდგომარეობაში ჩაყენება და არც რაიმე არასასიამოვნო ინცინდენტის გამოწვევა.—მაჩხაანის, კარდანახის და ჩაილურის (უკანამხარის) რაიონებში ნოემბრის დასაწყისიდანვე მოიხსნა აქციზის ზედამხედველობა“.

სიღნაღის მაზრის ველისციხის რაიონში ჯერ სიწყნარე იყო, მაგრამ „11 ნოემბრიდან აქაც დაიწყეს აქციზის ზედამხედველთა გარეკვა და კონტროლიორ პავლენკოს წინადადება მისცეს სავსებით გასცლოდა ს. გურჯაანს, სადაც ის მივლინებული იყო. და მხოლოდ სოფლები ველისციხე, მუკუზანი, ახაშენი და ჩუმლაყი დარჩნენ ერთგულნი აქციზის ზედამხედვე-

[9] ეს სიტყვა აქციზის სამმართველოს ანგარიშგებაში ქართულადაა მოყვანილი.

ლობისადმი და თავიანთი წესივრობა ბოლომდეც შეინარჩუ-ნეს, ისე რომ არყის (სპირტის) ხდას ჩვეულებრივი წესით აწარ-მოებდნენ, თუმცა იქაც ჩნდებოდნენ აგიტატორები თავიანთი ქადაგებით, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს: მექარხნეთა არ-სებითმა მატერიალურმა ინტერესმა გადაფარა (დასძლია) აგი-ტატორთა მიერ შეპირებული პრობლემატიკური სიკეთე. ხო-ლო ამ სოფლებში არყისხდამ, 400 000 გრადუსს რომ აჭარბებ-და, შექმნა ისეთი კედელი, რომელიც ახალი იდეებიs მქადა-გებლებმა ვერასგზით ვერ შესძლეს რომ გაენგრიათ"[10].

მოსახლეობის მხრივ ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად სიღნაღის მაზრაში არყისხდა „ნოემბრისა და დეკემბრის თვე-ებში მაინც მიმდინარეობდა აქციზის ზედამხედველობის ერთ-გვარი მონაწილეობით. ეს ზედამხედველობა ახლა, მას მერმე რაც ის სოფლებიდან გარეკეს, ახალ საწყისებზე აგებდა თავის მუშაობას. ის ახლა უკონტროლო ნდობას უცხადებდა არყის-მხდელებს, რომლებიც ამა თუ იმ მოსაზრებით, არჩევდნენ თა-ვი აერიდებინათ აგიტატორებისთვის და ეწარმოებინათ ლეგა-ლური გამოხდა სპირტისა. ასეთ მექარხნეებს ქ. სიღნაღში ეძ-ლეოდათ განაცხადები მათს წიგნებში ჩაწერით და უფლება თვითონვე, ორი მოწმის დასწრებით, ეწარმოებინათ ქარხნის გახსნა და დაკეტვა. ამგვარად, გამოხდილი სპირტის აღრიცხვა სიღნაღში ხდებოდა მექარხნის სიტყვიერი განცხადების მიხედ-ვით: თუ რა რაოდენობისა და სიმაგრის სპირტი გამოხადა მან, წარდგენილი ნიმუშის შესაბამისად. აქ ეძლეოდათ გადაზიდ-ვის მოწმობაც. გასაგებია, რომ მექარხნეთა უმრავლესობა არ-ჩევდა სპირტისხდა ეწარმოებინათ ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე, მით უმეტეს, რომ აგიტატორები სერიოზულად ემუქ-რებოდნენ იმათ, რომლებიც აიღებდნენ ამ დოკუმენტებს აქ-ციზის მოხელეთაგან. დოკუმენტების ამორჩევის ამ შეღავათი-ანი უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ კარდანახისა და ნაწი-

---

[10] იქვე, ფურც. 294.

ლობრივ ველისციხის რაიონის მექარხნეები, ქიზიყელებს არაკი უფიქრიათ ესარგებლათ ამ შეღავათებით“...

საბოლოო ანგარიშით, აქციზის მოსაკრებელთა ზედამხედველის აზრით, აღნიშნულ კომპრომისს დადებითი გავლენა ჰქონდა. 1. მან შესაძლებლობა მისცა ზოგიერთ მექარხნეს გამოსულიყო კრიტიკული მდგომარეობიდან, რაშიც მათ აყენებდნენ რევოლუციის აგიტატორები, რომლებიც გამოდიოდნენ ნებადართული (ლეგალური) გზით სპირტის გამოხდის წინააღმდეგ. სხვარიგად ამ მექარხნეებმა არ იცოდნენ რა ექნათ შესყიდული ჭაჭისა და სათანადო ნებართვის გარეშე გამოხდილი სპირტისათვის; 2. „მექარხნეებისთვის ნდობის გამოცხადებამ მოსახლეობის თვალში აამაღლა აქციზის ზედამხედველობის პრესტიჟი, რამდენადაც აქციზის უწყება ითვალისწინებდა მექარხნეთა მდგომარეობას და არ იყენებდა მათ მიმართ რეპრესიულ ზომებს“ და 3. ხსენებული კომპრომისის მეოხებით, მართალია ძლიერ მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შედიოდა ხაზინაში აქციზის მოსაკრებელი.

თელავის მაზრაში ანტიაქციზურ მოძრაობას მაინც და მაინც მწვავე ხასიათი არ მიუღია. მართალია, აქციზის მოხელეთა გამოჩენას აქაც ხშირად ხვდებოდნენ შეძახილებით: „ძირს“, „არ გვინდა აქციზი“, „მოგვაშორეთ აქციზის ჩინოვნიკები“, მაგრამ ეს მოხელეები მაინც „ერთგულად ასრულებდნენ თვით სამსახურებრივ მოვალეობას“. და ბოლოს და ბოლოს „მოქმედების ეს სიმტკიცე, ტაქტიკურობა და კორექტობა სიტყვიერ გამოსვლებში“ თავისას აკეთებდა და ხალხმა, რომელმაც „თითქოსდა შეიგნო თავისი ქმედობის უსამართლობა იმ პირთა წინაშე, რომლებიც მას არსებითად არავითარ ზარალსა და ზიანს არ აყენებდა, ბოლოს თავი მიანება აქციზის ზედამხედველებს და, მერმე, ეს ხალხი ინდიფერენტულად ეკცეოდა მათს სამ-

სახურებრივ მიმოსვლას, მაგრამ ეს შედარებითი თავისუფლება ძვირი დაუჯდა ხაზინას“.

თიანეთის მაზრამ ყოველმხრივი სოლიდარობა გამოუცხადა ქიზიყს: უკანასკნელის მსგავსად თავის საზღვრებში არ შეუშვა აქციზის ზედამხედველები და ასევე უაქციზოდ ეწეოდა სპირტის (არაყის) გამოხდას.

აქციზის უწყების წარმომადგენლის სიტყვებით „პოსახლეობის მხრივ აგიტატორებისა და მათი პროპაგანდისადმი ასეთი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ მათ მიერ ნაქადაგები იდეებისადმი ყურადღება მოსახლეობის მატერიალური დაინტერესებულობისა და სარფიანობისადმი უკუპროპორციულ მიმართებაში იმყოფებოდა“[11].

ზაქათალის ოკრუგსა და ნუხის მაზრაში „რევოლუციურ მოძრაობას რამდენადმე მასობრივი უწესრიგობის ხასიათი არ მიუღია“; აქ არც სომეხ-აზერბაიჯანელთა სისხლიან შეტაკებებს ჰქონდა ადგილი, თუმცა „პროპაგანდა, როგორც ყველგან, აქაც მიმდინარეობდა. ეწყობოდა მიტინგები, რომლებზედაც ურჩევდნენ გაეწიათ წინააღმდეგობა ხელისუფლებისათვის, არ გადაეხადათ გადასახადები და სხვ. მაგრამ აგიტატორთა მოღვაწეობას აქ შესაფერისი ნიადაგი არ დახვდა“.

საქმე ისაა, რომ აქ „მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ მუსლიმანები, რომლებიც საერთოდ ყრუდ ეხმაურებიან ყოველგვარ გარეგან ზემოქმედებას და რომელთაც კიდევ ცოცხლად ახსოვთ ადმინისტრაციისა და ჯარების მხრივ რეპრესიული ზომები ოლქის დამშვიდების დროს რომ იყო გატარებული“ და ეს მოსახლეობა „არ აყვა ახალი სიოს ქროლას“.

„მოსახლეობის მეორე ნაწილი, მსგავსად სომხებით დასახლებული სხვა ადგილებისა, არ ღებულობდა რა აქტიურ მონა-

---

[11] იქვე. გვ. 295—296.

წილეობას სახალხო მოძრაობაში, არჩევდა დარჩენილიყო პრ-ზიციაგაუმეღავნებელ მდგომარეობაში: სავაჭრო დოკუმენტე-ბის არჩევისგან თავს იკავებდა და სპირტსახდელ მასალას მ.-ლავდა. მაგრამ სამაგიეროდ ამ მოძრაობამ. როგორც ყველგან, აქაც გამოიწვია ადმინისტრაციული ხელისუფლების პარალი-ზაცია და არაჩვეულებრივი განვითარება ქურდობის, თავდას-ხმების და ძარცვისა. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად. ზაქათა-ლის ოკრუგის კახის რაიონში არ დარჩა თითქმის არც ერთი სახლი (ოჯახი). საიდანაც გატაცებული არ ყოფილიყო რაიმე მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვი და ცალკე პირთა ზა-რალს ანგარიშობდნენ 50 მანეთიდან რამდენიმე ათას მანე-თამდე. იყო სოფლის საზოგადოების კუთვნილი მსხვილრქიანი პირუტყვის მთელი ჯოგების გარეკვის შემთხვევები. ყაჩაღთა თავხედობა იქამდე მიდიოდა, რომ ისინი გარეკავდნენ ხოლმე ათასი თავისგან შემდგარ ცხვრების ფარას მწყემსებთან ერ-თად, ხოლო უკანასკნელთ მხოლოდ მაშინ გამოუშვებდნენ. როდესაც ფარას მეზობელი მაზრის საზღვრებზე გადარეკავ-დნენ".

ადმინისტრაციის ცნობით, „აქ მუშაობდა ორმოცდაათამდე ყაჩაღი, რომელთაც შედგენილი ჰქონდათ რამდენიმე დამოუ-კიდებელი ცალ-ცალკე ბანდა, ხოლო ზოგიერთ ადგილას, რო-მელიმე სახელგანთქმული ყაჩაღის სახელით მოქმედებდნენ პა-ტარა ქურდებიც. დამფრთხალი მოსახლეობის თვალში სახელი ბევრ რამეს ნიშნავს. საკმარისი იყო წარმოეთქვათ სახელი გა-მოჩენილი იუსუფისა, რომელიც ახლა უკვე მოკლულია, რომ საყოველთაო პანიკა გამოეწვიათ. ამის მეოხებით ზაქათალის ოკრუგისა და ნუხის მაზრის დასავლეთი ნაწილის მოსახლეობა მთლიანად ტერორიზებული იყო. ახლა თუ ამას იმასაც მივუ-მატებთ, რომ სომხური და მუსლიმანური სოფლები შეიარაღე-ბულ მშვიდობას იცავდნენ, მაშინ გასაგები გახდება თუ რა-ტომ იყო მრავალი გზა გაუვალი და მიმოსვლა შემოგარენის სოფლებსა და სავაჭრო ცენტრებს შორის ფრიად გაძნელებუ-

ლი შეიქნა. რასაც, თავის მხრივ, ცხადია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აი, როგორ და რა ფორმით აისახა განმანთავისუფლებელი მოძრაობა ამ სომხურ-მუსლიმანურ კუთხეშიო"—ასკვნიდა აქციზის საოკრუგო სამმართველოს უფროსი კ. კოლესნიკოვი[12].

როგორც ზემოთ დავინახეთ, რევოლუციურმა მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო და ღრმა განვითარება ჰპოვა ქუთაისის გუბერნიაში. სადაც მედგარი ბრძოლები გააჩაღა მოსახლეობამ, კერძოდ აქციზის უწყებისა და მის მოხელეთა მოქმედების, საერთოდ თვითმპყრობელობის ყაჩაღური ფისკალური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მაგრამ 1905—1907 წწ. რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის მთელ მდგომარეობაზე, რაც წინამდებარე მონოგრაფიაში ჩვენ ავსახეთ კერძოდ მეთამბაქოეობისა და მისი გავრცელების რაიონთა ცხოვრების მაგალითზე.

4. მეტროპოლიის ინდუსტრიული პოლიტიკა

თვითმპყრობელობის ფისკალური და საერთოდ კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა, ცხადია, მიზნად არ ისახავდა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის დარგთა. სოფლისმეურნეობრივი თუ ძრეწველური წარმოების რაციონალური სპეციალიზაციისა და გაადგილების გატარებას. რაც იმდროინდელ წარმოებრივ ურთიერთობათა პირობებში სტიქიური განვითარების გზით მიიმართებოდა.

მიწათმოქმედების პროდუქტთა ინდუსტრიული გადამუშავება ეწყობოდა არა იმ რაიონებში. სადაც ეს პროდუქტები იწარმოებოდა და სადაც, მაშასადამე, შესაძლებელი იყო წარმოების საშუალებათა მეტი ეკონომიზაცია. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობდა მეტროპოლიის არა მხოლოდ პრაქტიკული კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა. არამედ ამ პოლიტიკის

12 საქ. სსრ ცსია, ფონდი 370, საქმე № 926. ფურც. 302—303.

განივთებული ისტორიაც, ე. ი. წინაპერიოდებში გატარებული პოლიტიკაც, რაც საერთოდ მატერიალური და სულიერი წარმოების ადრე განხორციელებული ვითარებით იყო პირობადებული და მერმე გამოდიოდა როგორც ცოცხალი, თავისთავად მოქმედი ძალა.

ამიერკავკასიაში თამბაქოს მრეწველობის განვითარების საკითხებს ჩვენ სპეციალურად ვიკვლევთ საერთოდ ქვეყნის მრეწველობის განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებში.

თამბაქოს ფაბრიკაციას აქ ვეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია საკუთრად მეთამბაქოეობის განვითარებისათვის არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობათა გათვალისწინებისათვის.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, გუბერნიების მიხედვით, თამბაქოს ფაბრიკების გაადგილებასა და მათი მწარმოებლურობის დინამიკას პირველი მსოფლიო ომისწინა ხუთწლედში (1909—1913 წწ.) (იხ. ცხრილი, გვ. 214).

წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ პირველი მსოფლიო ომის წინა ხუთწლედში ამიერკავკასიური თამბაქოს ფაბრიკები ეწეოდნენ თითქმის მხოლოდ ადგილობრივი თამბაქოს ნედლეულის გადამუშავებას. შემოტანილი უცხოური სორტის ნედლეულის მონაწილეობა უმნიშვნელო როლს თამაშობდა. უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა, ამ მხრივ, ანალოგიური იყო ადრინდელ პერიოდშიც.

თამბაქოს ფაბრიკების რაოდენობისა და მათი მწარმოებლურობის მხრივ ამიერკავკასიაში პირველი ადგილი ეჭირა თბილისის გუბერნიას, საკუთრად ქ. თბილისს, სადაც წარმოებდა მთელ ამიერკავკასიაში გადამუშავებული თამბაქოს ნედლეულის დაახლოებით 50 პროცენტის ფაბრიკაცია. მეორე ადგილი ეჭირა ბაქოს გუბერნიას. მაგრამ თუ თბილისის გუბერნიის ფაბრიკები მთლიანად უმაღლესი სორტის თამბაქოს ნედლეულის გადამუშავებას ეწეოდნენ, ბაქოს გუბერნიაში მნიშვნელოვანი ზომით ხდებოდა აგრეთვე წეკოს გადამუშავება, რა

თამბაქოს ფაბრიკების რაოდენობა, გაადგილება და მწარმოებლურობა ამიერკავკასიაში 1909—1913 წწ[18].

ადმინისტრაც. ერთ. დასახელება	წლები	ფაბრიკების რაოდენობა: საერთო ფაბრიკები	ფაბრიკების რაოდენობა: წვრილ ფაბრიკები	ფაბრიკების რაოდენობა: სულ	ფაბრიკებში მიღებული ფოთლადი თამბაქოს საერთო წონა: ეესხური	ფაბრიკებში მიღებული ფოთლადი თამბაქოს საერთო წონა: ადგილობრივი (წვრილ გაღდა)	ფაბრიკებში მიღებული ფოთლადი თამბაქოს საერთო წონა: წვრილ	საბანდეროლო ნაკეთობათა გამოშვება ფუთობით: საერთო	საბანდეროლო ნაკეთობათა გამოშვება ფუთობით: წვრილი
ელისავეტპოლის გუბ.	1909	—	4	4	—	—	14 982	—	11 879
	1910	—	5	5	—	—	15 955	—	12 013
	1911	—	5	5	—	—	15 728	—	12 875
	1912	—	6	6	—	—	16 272	—	12 546
	1913	—	4	4	—	—	10 821	—	7 715
ქუთაისის გუბ	1909	1	—	1	8	2 048	—	1 565	—
	1910	1	—	1	—	2 158	—	1 617	—
	1911	1	—	1	—	1 117	—	836	—
	1912	1	—	1	—	1 388	—	1 044	—
	1913	1	—	1	10	1 594	—	1 242	—
ბაქოს გუბ.	1909	3	1	4	—	29 043	2 544	25 626	2 181
	1910	3	1	4	—	23 844	2 574	21 121	2 349
	1911	3	1	4	—	21 339	2 520	12 116	2 126
	1912	2	2	4	—	23 147	3 615	20 753	3 075
	1913	2	2	4	—	27 502	5 399	24 090	4 566
თბილისის გუბ.	1909	5	—	5	74	45 366	—	39 000	—
	1910	6	—	6	187	45 170	—	39 739	—
	1911	7	—	7	81	49 613	—	43 379	—
	1912	6	—	6	173	53 605	—	47 697	—
	1913	6	—	6	6	65 971	—	59 286	—
ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი	1909	2	—	2	—	18 710	—	16 192	—
	1910	2	—	2	—	23 361	—	20 927	—
	1911	2	—	2	—	28 410	—	25 672	—
	1912	2	—	2	—	30 724	—	26 870	—
	1913	2	—	2	—	32 683	—	25 132	—

[18] «Сборник статистико-экономических сведении по сельскому хозяйству России и иностранных государств», 1915, стр. 233.

მხრივაც პირველი ადგილი ეჭირა ელისავეტპოლის გუბერნიას, სადაც მხოლოდღა წეკოს გადამუშავებაზე სპეციალიზებული ფაბრიკები მუშაობდნენ. დას. საქართველოში მოქმედი თამბაქოს ფაბრიკები უმაღლესი სორტის მოსაწევ თამბაქოს აწარმოებდნენ.

სავაჭრო მეთამბაქოეობის რაიონებში პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში მოკალათებული იყვნენ რუსეთისა და უცხოეთის თამბაქოს მრეწველობის კომერციული აგენტები. მაგალითად, სოხუმის ოკრუგში ამ შემსყიდველებს ჰქონდათ თავიანთი საწყობები, სადაც მეტ-ნაკლები დროით ინახავდნენ თამბაქოს. ხოლო მერმე, კომერციული სიტუაციის შესაბამისად, აგზავნიდნენ მას დანიშნულებისამებრ. აქ მოქმედებდა 60-ამდე საწყობი, შესაფერი აგენტურით. საწყობები ჰქონდათ უცხოურ ფერმებსაც[14].

მაგრამ არც რუსული და არც უცხოური შემსყიდველი ფირმები თითქმის არ ცდილობდნენ დაესახათ და გაეტარებინათ ღონისძიებანი თამბაქოს ნედლეულის გარკვეული სტანდარტის გამომუშავება-დადგენისათვის[15]. ზოგიერთ შეეხვევაში კი პირიქითაც იყო. ზოგიერთი შემსყიდველი თითქოს არ ჩევდა საქმე ჰქონოდა დაუხარისხებელ და წესიერად შეუფუთავ საქონელთან, რათა მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა თამბაქოს მწარმოებლისათვის მოედვა ხრიკები და ევაჭრა ფასის დაწევისათვის. მართალია, შემსყიდველთაგან ასეთი ცდების შედეგად პლანტატორები იძულებულნი იყვნენ ეფიქრათ თავიანთი საქონლის დახარისხებისა და შეფუთვის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ამ ცდებს არსებითი წარმატება არ მოჰყოლია და მთელი აღებული პერიოდის განმავლობაში ფოთლადი თამბაქოს ვაჭრობა ათასგვარი მაქინაციებისა და მტაცებლური „კომერციული ხრიკების“ სარბიელს წარმოადგენდა. სწორედ

[14] ООППАДЗ за 1911 г., стр.173—175.

[15] В. Кнеснер, «Английский рынок листового табака» (ССМТД, стр. 48—60); его же, «Союзы табаководов и общества табачных складов в Германий» (Там же, стр. 76—100).

ისევე როგორც თვით მეთამბაქოეობაც უშუალომწარმოებელთა და თვით მიწის ნიადაგის მტაცებლური ექსპლოატაციის პროცესში ყითარდებოდა.

ამიერკავკასიის მეთამბაქოეობის ცენტრებში, როგორიც იყვნენ სოხუმის ოკრუგი, ლაგოდეხის რაიონი, ზაქათალის ოკრუგი თამბაქოს ფაბრიკაცია სავსებით არ იყო განვითარებული. მართალია, ქ. სოხუმში პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში გაიხსნა თამბაქოს რამდენიმე წვრილი ფაბრიკა, მაგრამ ყველა ისინი უდღეურნი აღმოჩნდნენ. ასე რომ, ნედლეულის წარმოების ამ ადგილზე თამბაქოს მრეწველობა საბჭოთამდელ პერიოდში ჩანასახურ მდგომარეობას არ გასცილებია.

საერთოდ ამიერკავკასიური თამბაქოს გადამუშავება ადგილზე წარმოებდა უმთავრესად თბილისისა და ბაქოს ფაბრიკებში, რომელთა მზა ნაწარმის რეალიზაციაც ძირითადად ამიერკავკასიაშივე ხდებოდა. ადგილობრივი ფოთლადი თამბაქოს უდიდესი ნაწილი გასაზიდ ნედლეულს წარმოადგენდა.

5. თამბაქოს მოსავლიანობა

მოგვეპოვება მონაცემები ამიერკავკასიაში თამბაქოს კულტურის მოსავლიანობის შესახებ (იხ. ცხრილი, გვ. 217).

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, მოსავლიანობის მხრივ ამიერკავკასიაში პირველი ადგილი ეპირა ზაქათალის ოკრუგს, სადაც სათამბაქოე მიწები განირჩეოდნენ მაღალნაყოფიერებით. შემდეგ მოდიოდა სიღნაღის მაზრა, საკუთრად ლაგოდეხის რაიონი. ამ მხრივ ყველაზე უკანასკნელ ადგილზე გამოდიოდა მეთამბაქოეობის მთავარი რაიონი—სოხუმის ოკრუგი, რომელიც ამასთანავე ყველაზე მაღალხარისხოვან საქონლურ პროდუქციას იძლეოდა, მაშინ როდესაც ზაქათალის მეთამბაქოეობა დაბალხარისხოვან პროდუქციას აწვდიდა ბაზარს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოხუმის ოკრუგის და საერთოდაც ყველაზე ძვირფასი ამიერკავკასიური თამბაქო

თამბაქოს ფოთლის საშუალო მოსავალი
1 დესეტინაზე (ფუთობით)[16]

წლები	მთლიანად ამიერკავკასიაში	სოხუმის ოკრუგში	სენაკის ოკრუგში	ზაქათალის ოკრუგში	ბათუმის ოლქში
1885	70,2	—	—	—	—
1887	56,0	—	—	—	—
1888	52,8	—	—	—	—
1889	60,7	—	—	—	—
1890	64,8	—	—	—	—
1891	62,4	—	—	—	—
1892	60,7	—	—	—	—
1893	62,5	—	—	—	—
1894	53,5	—	—	—	—
1895	60,5	—	—	—	—
1896	61.0	—	—	—	—
1897	55,8	—	—	—	—
1898	60,2	—	—	—	—
1899	57,2	—	—	—	—
1900	56,8	—	—	—	—
1903	71,0	—	—	—	57,0
1904	57,0	56.0	65,0	100.0	49,0
1905	59,0	54,0	83,0	100,0	49.0
1906	57,0	57.5	67,0	93,0	50,0
1907	57,0	55,0	79,0	104.0	57,0
1908	66,0	66,0	77.0	97,0	57,0
1909	68,0	67,0	88,0	93,0	65,0
1910	65.0	64,0	71,0	89,0	66,0
1911	64,0	59,0	81,0	109.0	84,0
1912	56,0	53,0	65,0	70,0	80,0
1913	58,0	55,0	72,0	90,0	82,0
1914	65,0[17]	46,0	81,0	—	68,0
1915	78.0	48,0	82,4	—	—
1916	60.0	53,0	83	—	45.0
1918	68,0	53,5	80,0	—	—
1919	57,0	55,0	72.0	—	—
1920	58,0	50,0	58,8	—	—

[16] ამიერკავკასიის საოქტიბო სამმართველოს ყოველწლიური ანკარიშგებანი; «Труды Закавказского совещания по табаководству» 20—24 мая 1924 г.». 1924, Тифлис, стр. 24—27; ЭТЗ, I, 551; «Материалы табачной промышленности в Грузии», 1922, Тифлис, стр. 8.

[17] 1914—1920 წწ. საშუალო მოსავალი წარმოდგენილია მხოლოდ საქართველოს პლანტაციებისა.

„სამსუნი“ განირჩეოდა ყველაზე დაბალმოსავლიანობით; „ტრაპიზონი“, რაც ხარისხისა და საბაზრო ფასის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა „სამსუნს“, საშუალოდ დესეტინაზე იძლეოდა 65 ფუთ მოსავალს, მაშინ როდესაც „სამსუნის“ მოსავლიანობა იშვიათად თუ გასცილებია 50 ფუთს.

ამიერკავკასიური მეთამბაქოეობის მთავარი ცენტრის, სოხუმის ოკრუგის ეკონომიკური ცხოვრებისათვის ამ კულტურას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სოხუმის ოკრუგის ტერიტორია 1914 წ. შეადგენდა 774 000 დესეტინას. აქედან სამიწათმოქმედო კულტურის თვალსაზრისით ათვისებული იყო მხოლოდ 10% (დაახლოებით 78 200 დეს.), საიდანაც სიმინდს ეჭირა 59 300 დეს. ყველა დანარჩენ მარცვლეულს—1 231, კარტოფილს—126, ვენახს—3 098, ხეხილის ბაღებს—400, მემცენარეობის სხვადასხვა კულტურას—315, სათიბს—690 დესეტინა, ხოლო კერძოდ თამბაქოს პლანტაციებით დაკავებული იყო 13 170 დესეტინა ფართობი.

პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში აფხაზეთიდან ყოველწლიურად გატანილი თამბაქოს ღირებულება უდრიდა დაახლოებით 4—5 მილ. მან., რაც აქედან გაზიდული საერთოდ ყოველგვარი საქონლის ღირებულების 50% შეადგენდა.

6. ფოთლადი თამბაქოს გატანა

საერთოდ თამბაქოს მოსავლისა და მისი მოძრაობის რეგისტრაციის მოუწესრიგებლობის გამო მეთამბაქოეობის სტატისტიკას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებდა. თამბაქოს მოსავლის რაოდენობისა და წლის დასაწყისსა და დასასრულს მისი ნაშთის აღრიცხვა ხდებოდა მეთამბაქოეთა ჩვენების მიხედვით და კანონით არ შეიძლებოდა ფაქტიური მდგომარეობის შემოწმება. ასეთი შემოწმება მოუხერხებელი იყო იმის გამოც, რომ წესიერი ანგარიშწარმოების მქონე მსხვილი მეურნეობები ცოტა იყო. თვით მეთამბაქოეთაგან გაცემული ცნობების შეკრება ეკისრებოდა სოფლის მამასახლისებს, რო-

მელთაც საამისოდ საჭირო სპეციალური აპარატი, ცხადია, არ გააჩნდათ.

თამბაქოს მოსავლის ზუსტი აღრიცხვა გაძნელებული იყო აგრეთვე სააქციზო მოსაკრებელის სისტემატური გადიდების პირობებში გავრცელებული უბანდეროლო დაჭრილი თამბაქოს გასაღების მეოხებით. როგორც თვით მეთამბაქოეობის რაიონებში, ისე ისეთ ქალაქებშიაც, როგორიც იყვნენ სოხუმი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი და სხვ., სააქციზო უწყების მოხელეთა ცნობით ეწეოდნენ თამბაქოს ფოთლების ფარულ დაჭრასა და რეალიზაციას. მის რაიონის ფარგლებიდანაც გატანას. იშვიათი არ იყო თვით თამბაქოს ფოთლების ფარული გაზიდვაც მეზობელ რაიონებში[18].

ამიერკავკასიიდან როგორც რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეს, ისე საზღვარგარეთ გაჰქონდათ მაღალხარისხოვანი თამბაქო. აქედან საერთოდ გატანილი იყო თამბაქო ფუთობით:

1902 წელს	166 360
1903	207 804
1904	229 852
1905	237 853
1906	331 364
1907	287 571
1908	301 733
1909	339 130
1910	458 036
1911	482 138
1912	446 653
1913	529 491

ყოველწლიურად იზრდებოდა კერძოდ საექსპორტო ოპერაციები. გატანილ იქნა: 1909 წ.—29 279 ფ., 1910 წ.—58 919 ფ., 1911 წ.—56 277 ფ.. 1912 წ.—70 895 ფ., ხოლო

[18] ООПАДЗ за 1909 г., стр. 170—171.

1913 წ. საზღვარგარეთ გაიზიდა უკვე 80 636 ფუთი თამბაქოს ფოთოლი, რაც მოდიოდა უმთავრესად ეგვიპტეზე—54 341 ფუთი, აგრეთვე გერმანიაზე—19 714 ფ., ავსტრიაზე—1 775 ფ., ირანზე—2 173 ფ., აღმ. აფრიკაზე—1 163 ფ., აშშ—711 ფ., ინგლისზე—612 ფ., შვეციაზე—147 ფ.. ქართული თამბაქო მნიშვნელოვანი ზომით გაჰქონდათ აგრეთვე თურქეთში, საბერძნეთში, ბელგიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, ფინეთსა და სხვ. ქვეყნებში.

ეგვიპტეში ქართულ (აფსაზურ) თამბაქოს იყენებდნენ მაღალხარისხოვანი ეგვიპტური პაპიროსების წარმოებაში. აქ წინათ ამ მიზნით შემოჰქონდათ საუკეთესო ბერძნული და თურქული თამბაქო. მაგრამ 900-იანი წლების მეორე ნახევრიდან კარგად შერჩეულმა და დახარისხებულმა აფსაზურმა თამბაქომ წარმატებიანი კონკურენცია გაუწია ზემოხსენებულთ.

მალე სოხუმში გაჩნდნენ ალექსანდრიული და ქაირულ თამბაქოს მსხვილი ფირმების აგენტები. 1910 წ. სოხუმში ეგვიპტური ფირმების წარმომადგენლებს უკვე თამბაქოს 3 საწყობი ჰქონდათ.

ამიერკავკასიიდან იმპერიის სხვადასხვა რაიონში გადატანილი თამბაქო მოდიოდა (ფუთობით):

	1909 წ.	1913 წ.
პეტერბურგის გუბერნიაზე	150 228	219 355
ტავრიდის	55 181	47 202
ყუბანის ოლქზე	26 126	16 996
დონის „	25 908	17 659
გროდნოს გუბერნიაზე	7 492	12 916
ლიფლიანდიის	6 930	10 043
ხერსონის „	6 008	24 156
შავი ზღვის	5 317	52 648
კიევის	4 304	6 822
ხარკოვის	3 712	9 839
მოსკოვის	3 189	14 701

	1909 წ.	1913 წ.
პოლტავის გუბერნიაზე	3 089	7 644
ვოლინის	2 269	1 875
კურსკის	1 073	1 562
ვარშავის	1 041	2 720
თერგის ოლქზე	985	1 100
ვილნოს გუბერნიაზე	814	—
დაღისტნის ოლქზე	712	1 691
პოდოლსკის გუბერნიაზე	581	133
კოკანდზე (ფერგანის ოლქი)	2 822	—
თურქესტანის მხარეზე	2 050	—
მოგილიოვის გუბერნიაზე	—	730
სარატოვის	—	2 422

კერძოდ პეტერბურგის გუბერნიაში, რომელიც ქართული ფოთლადი თამბაქოს უმთავრესი მომხმარებელი იყო, გაიგზავნა:

1902 წელს	63 728	ფუთი
1903 „	69 620	„
1904 „	105 116	„
1905	103 018	„
1906	130 280	„
1907 „	131 353	„
1908 „	120 534	„
1909	150 228	„
1910	152 272	„
1911	130 625	„
1912 „	135 416	„
1913 „	219 355	„

იმპერიის მეთამბაქოეობის სხვა რაიონებიდან ამიერკავკასიაში თამბაქოს შემოზიდვა მე-20 ს. დასაწყისიდან თანდათანობით მკირდებოდა და უდრიდა:

1903	წელს	88 870 ფუთს
1904		102 406
1905		39 613
1906	„	100 590
1907		85 590
1908	„	79 856
1909		61 262
1910	„	74 885
1911	„	54 060
1912	„	79 500
1913		75 288

ამიერკავკასიაში თამბაქო შემოდიოდა უმთავრესად შავი ზღვის გუბერნიიდან (1913 წ.—62 871 ფ.), ყუბანის ოლქიდან (10 525 ფ.), ტავრიდის გუბერნიიდან (118 ფ.), პოლტავის გუბერნიიდან (წეკო—1 645 ფ.), იმიერკასპიის მხარიდან (96 ფ.), ბესარაბიის გუბერნიიდან (23 ფ.). საზღვარგარეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა 1909 წელს 139 ფ., ხოლო 1913 წ.—10 ფუთი უცხოური თამბაქო[19].

* * *

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 70—80-იანი და განსაკუთრებით სავაჭრო მეთამბაქოეობის აღმავლობის პერიოდი, ე. ი. 90-იანი წლები ამიერკავკასიაში ხასიათდება მნიშვნელოვანი ცვლილებებით მეთამბაქოეობის კულტურაში; სულ უფრო იზრდება მაღალხარისხოვანი, სახელდობრ სხვადასხვა თურქული სორტის თამბაქოს წარმოება და მცირდება დაბალხარისხოვანი თამბაქოს, კერძოდ წეკოს („მახორკის“) პლანტაციების რიცხვი და საერთო ფართობი.

ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან დაწყებული საქონლური მეთამბაქოეობის განვითარების პროცესში „ადგილობრივი“ ჯიშების შევიწროებასა და მერმე თანდათანობით გამოდევნას—

[19] ООППАДЗ за 1913 г., стр. 197.

უცხოური მაღალხარისხოვანი ჯიშების „ტერიტორიულ ექსპანსიას“—ხელს უწყობდა ს ა ე ქ ს პ ო რ ტ ო ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი; როგორც რუსეთში, ასევე უცხოეთში გასატანი თამბაქოს შემსყიდველები, საერთოდ ექსპორტერები მხოლოდ საუკეთესო ხარისხის თამბაქოს ყიდულობდნენ და სულ მალე, სადაც კი ბუნებრივი პირობები შესაძლებლობას იძლეოდა, პლანტატორები გადავიდნენ სხვადასხვა თურქული სორტის თამბაქოს წარმოებაზე.

1900-იანი წლებიდან თამბაქოს პლანტაციები და, მაშასადამე, წარმოება უკვე იზრდებოდა თითქმის მხოლოდ მაღალხარისხოვანი თამბაქოს გაფართოების მიმართულებით. ქვემომოყვანილი მონაცემები ამის ნათელ სურათს წარმოგვიდგენენ

უ მ ა ღ ლ ე ს ი და დ ა ბ ა ლ ი ჯ ი შ ი ს თ ა მ ბ ა ქ ო ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ურ თ ი ე რ თ შ ე დ ა რ ე ბ ა ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი 1905—1914 წლებში მიღებული მოსავლის მიხედვით (ფუთობით)[20].

წლები	უმაღლესი ხარისხის	დაბალი და საშუალო ხარისხის
1905	443 673	20 759
1906	248 571	21 861
1907	297 005	27 698
1908	374 649	22 201
1909	546 054	19 929
1910	682 766	27 583
1911	616 544	24 149
1912	518 163	24 363
1913	568 809	21 400
1914	837 828	22 411

როგორც ვხედავთ. აღებული ათი წლის მანძილზე უმაღლესი ხარისხის თამბაქოს საშუალოწლიური მოსავალი (513 406 ფუთი) შეადგენდა 95,5 პროცენტს საერთოდ თამბა-

[20] ЭТЗ, I, 6—7.

ქოს მთლიანი მოსავლისა, რაშიც დაბალი ხარისხის თამბაქოს საშუალოწლიური მოსავალი (23 246 ფუთი) შეადგენდა მხოლოდ 4,5 პროცენტს.

მაღალსარისხოვანი მეთამბაქოეობა კონცენტრირებული იყო უმთავრესად აფხაზეთში და ნაწილობრივ სიღნაღისა და ოზურგეთის მაზრებში, აგრეთვე ზაქათალის ოკრუგში, ხოლო მთელი დანარჩენი ამიერკავკასია იძლეოდა თამბაქოს მთლიანი მოსავლის მხოლოდ 4,5 პროცენტს—წეკოსა და სხვ. დაბალხარისხოვანი თამბაქოს სახით.

სავაჭრო მეთამბაქოეობის რაიონებში პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში მოკალათებულნი იყვნენ რუსეთისა და უცხოეთის თამბაქოს მრეწველობის კომერციული აგენტები. მაგალითად, სოხუმის ოკრუგში ამ შემსყიდველებს ჰქონდათ თავიანთი საწყობები, სადაც მეტ-ნაკლები დროით ინახავდნენ თამბაქოს, ხოლო მერმე, კომერციული სიტუაციის შესაბამისად, აგზავნიდნენ მას დანიშნულებისამებრ. აქ მოქმედებდა 60-მდე საწყობი, შესაფერი აგენტურით[21].

მაგრამ არც რუსული და არც უცხოური შემსყიდველი ფირმები თითქმის არ ცდილობდნენ დაესახათ და გაეტარებინათ ღონისძიებანი თამბაქოს ნედლეულის გაჭკვეული სტანდარტის გამომუშავება-დადგენისათვის[22]. ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიქითაც იყო. ზოგიერთი შემსყიდველი თითქოს არჩევდა საქმე ჰქონოდა დაუხარისხებელ და წესიერად შეუფუთავ საქონელთან, რათა მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა თამბაქოს მწარმოებლისათვის მოედვა ხრიკები და ევაჭრა ფასის დაწევისათვის. მართალია, შემსყიდველთაგან ასეთი ცდების შედეგად პლანტატორები იძულებულნი იყვნენ ეფიქრათ თავიანთი საქონლის დახარისხებისა და შეფუთვის გაუმჯობესები-

---

[21] ООППАДЗ за 1911 г., стр. 173—175.

[22] В. Кисснер, «Английский рынок листового табака», (СССМТД стр. 48—60); его же, «Союзы табаководов и общества табачных складов в Германий» (Там же, стр. 76—100).

სათვის, მაგრამ ამ ცდებს არსებითი გაუმჯობესება არ მოჰყოლია და მთელი აღებული პერიოდის განმავლობაში თამბაქოს ფოთლის ვაჭრობა ათასგვარი მაქინაციებისა და მტაცებლური „კომერციული ხრიკების“ სარბიელს წარმოადგენდა, სწორედ ისევე როგორც თვით მეთამბაქოეობაც უშუალომწარმოებელთა და აგრეთვე მიწის ნიადაგის მტაცებლური ექსპლოატაციის პროცესში ვითარდებოდა.

7. ამიერკავკასიური მეთამბაქოეობა საერთო ასპექტში

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიას მეთამბაქოეობის მხრივ საპატიო ადგილი ეჭირა საერთოდ რუსეთის იმპერიაში. ქვემომოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ რუსეთში. შესაბამისი რაიონების მიხედვით, თამბაქოს საშუალოწლიური მოსავლის რაოდენობას (ათას ფუთობით) 1890—1910 წლების ხუთწლედებში[23] (ცხრილი იხ. 226 გვ.).

წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ თამბაქოს მოყვანაში ამიერკავკასიას რუსეთის იმპერიაში მეოთხე ადგილი ეჭირა. მაგრამ იქნებ კიდევ უფრო საინტერესო იყოს ის გარემოება, რომ თვით ტემპი მეთამბაქოეობის განვითარებისა იმპერიის ყველა რაიონში ერთნაირი როდი იყო. მაგ., უკრაინაში, რომელიც პირველ ადგილზე იდგა, თამბაქოს საშუალოწლიური მოსავალი 1987 ათას ფუთიდან 1890—1894 წწ. გადიდდა 2 370 ათას ფუთამდე 1906—1910 წლებში, ე. ი. გაიზარდა სულ—20 პროცენტით. შესაბამისი ზრდა სამხრეთის რაიონის, რომელსაც მეორე ადგილი ეჭირა, ძლივს აღემატება 30 პროცენტს; ხოლო შუა-შავნიადაგიან რაიონში, რომელსაც მესამე ადგილი ეჭირა, ცოტათი აღემატება 20 პროცენტს; მაშინ როდესაც ამიერკავკასიაში ეს ზრდა უდრის 200 პროცენტს! ამასთანავე ამიერკავკასიის შემდეგ ხვედრიწონის მხრივ მომდევნო აღმოსავლეთის, სამხ.-დასავლეთის, დას. და აღმ. ციმბირის რაიონებში არამც-

[23] В. Н. Любименко, «Табак», Петроград, 1922., стр. 99.

თუ არ მატულობს. არამედ შეუჩერებლად ეცემა კიდევაც თამბაქოს საშუალოწლიური მთლიანი მოსავალი. ამგვარად, მეთამბაქოეობის განვითარების ტემპის მხრივ, აღებულ პერიოდში, ამიერკავკასიას პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიაში.

თამბაქოს საშუალოწლიური მოსავალი ათას ფუთობით

მეთამბაქოეობის რაიონები	1890— 1894 წწ.	1895—1899 წწ.	1900—1904 წწ.	1905–1910 წწ.
უკრაინა (მალოროსია)	1 987	2 118	2 567	2370
სამხრეთის რაიონი	1 024	1 196	1 114	1341
შუა-შავნიადაგიანი რაიონი	889	819	951	1076
ამიერკავკასია	138	221	326	453
აღმოსავლეთის რაიონი	196	188	144	133
სამხრეთ-დასავლეთის რაიონი	74	70	73	55
დას. ციმბირი	42	39	31	41
აღმ. ციმბირი	38	36	32	29
ჩრდ.-დასავლეთის რაიონი	16	13	6	2
შუა-სამრეწველო რაიონი	2	3	1	0,5
ამურის მხარე	—	5	8	13
თურქესტანი	—	4	4	4

8. პირველი მსოფლიო ომის წლები

1915 წლიდან, პირველი მსოფლიო ომის პირობებში, როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ასევე კერძოდ სოხუმის ოკრუგში, მეთამბაქოეობა თანდათანობით ეცემა. ამიერკავკასიის მეთამბაქოეთა თათბირის მასალების მიხედვით: „აფხაზეთში მეთამბაქოეობის დაცემის უშუალო მიზეზები უპირველეს ყოვლისა იყო: 1. თურქეთის ქვეშევრდომ გამოცდილ მეთამბაქოე ლაზების და ბერძნების სოხუმის ოკრუგიდან სამშობლოში წასვლა; 2. საგარეო და შინაგან ბაზრებთან მიმოსვლის შეწყვეტა (თამბაქოზე მოთხოვნის დაცემა) და 3. გარდა ამისა, რუსე-

თისაგან აფხაზეთის მოწყვეტა, რამაც გამოიწვია ფასების ძლიერი აწევა ფქვილსა და კარტოფილზე, რაც ომამდე შემოჰქონდათ უუბანიდან და რის უქონლობამ ამჟამად აიძულა ადგილობრივი გლეხები აქამდე თამბაქოს პლანტაციებით დაკავებულ მიწებზე დაეწყოთ პურეულისა და კარტოფილის წარმოება.

მეთამბაქოეობა აფხაზეთში განსაკუთრებით დაზარალდა მენშევიკების მიერ მეტად უხეიროდ გატარებულ თამბაქოს მონოპოლიის შედეგად; მთელი მოკრეფილი თამბაქო გამოაცხადეს სახელმწიფოებრივ საკუთრებად, საწყობები, რომლებშიაც ინახებოდა თამბაქო დაუყოვნებლივ დაბეჭდეს...

ფასები, რომლის მიხედვითაც თამბაქოს ღებულობდნენ სახელმწიფოებრივ ფონდში (ქართული ბონებით 1 ფუთზე 600—1000 მან.). იმდენად არ შეესაბამებოდა წარმოების დანახარჯებს, რაც იმჟამად 1 ფუთზე ქართული ბონებით 3 000 მანეთს აღწევდა, რომ ამ მდგომარეობაში მეთამბაქოე-პლანტატორებისათვის თამბაქოს მოყვანა არახელსაყრელი და გამანადგურებელი შეიქნა"[24].

მაგრამ, როგორც სხვა აუთენტურ წყაროდან ჩანს, მეთამბაქოეობა პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის პერიოდში ყოველთვის არ ყოფილა დაცემულ მდგომარეობაში, როგორც ამას გვიხატავს ზემოხსენებული თათბირის მასალები.

მთავრობის ორგანოს მიერ 1917 წ. შედგენილ ოფიციალურ მიმოხილვაში—„სასურსათო საქმის მდგომარეობა სოხუმის ოკრუგში"—ვკითხულობთ: „მეთამბაქოეობამ, რომელიც ომამდელ გლეხურ მეურნეობაში წარმოადგენდა დამხმარე დარგს, ომის პერიოდში. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, წლითიწლობით თანდათანობით განდევნა პურეულის კულტურა.

შესაძლებელია, რომ ეს აიხსნება თამბაქოზე მეტად მაღალი ფასებით. რაც უხვად ანაზღაურებს ფულის ნიშნებით მე-

---

[24] «Труды Закавказского совещения по табаководству», 1924, стр. 12.

მამულის შრომას, მაგრამ ამ საყოველთაო და ფინანსური რღვევის პერიოდში ეს მომენტი წარმოადგენს საშიშ ნიშანს სამერმისოდ. აღნიშნულმა ცნობამ აიძულა ოკრუგის სასურსათო კომიტეტი ჩაეტარებინა რიგი ღონისძიებანი, რათა თუნდაც დროებით ხელოვნურად შეემცირებინა თამბაქოს ნათესის ფართობი და გაედიდებინა სიმინდის სათესი ფართობი: სასურსათო კომიტეტის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი დადებითი აღმოჩნდა მხოლოდ სიმინდის ფართობის გადიდების მხრივ. შემდეგში თამბაქოზე მაღალი ფასებისა (100—150 მან. ფუთი) და სიმინდზე შედარებით დაბალი ფასების გამო, განსაკუთრებით ჩრდილოეთ-კავკასიაში (2 მ. 50 კ.—3 მან. ფუთი) და მუშახელის ნაკლებობის გამო, გასაგებია, თავი იჩინა კონკურენციამ თამბაქოს და სიმინდის პლანტაციებს შორის—მუშახელის მიზიდვის მხრივ.

თამბაქოს პლანტაციას, მისთვის რაიმე ზარალის გარეშე, საშუალება აქვს ყოველდღიურად აძლიოს მუშას გასამრჯელო და საჭმელი 10—12 მან. ფარგლებში. სიმინდის პლანტაციას ამისი საშუალება არ მოეპოვება და თუ მაინც არის ასეთი შემთხვევები, მაშინ შრომის მაღალი ანაზღაურებისა, ტექნიკის უქონლობისა და მუშაობის წარმოების პირველყოფილ პირობებში, ერთი ფუთი სიმინდის თვითღირებულება განისაზღვრება 20—25 მანეთით. ვინაიდან არც ერთ მეურნეს არ შეუძლია იმედი იქონიოს, რომ სიმინდი ბაზარზე ამ ფასად გასაღდება, გასაგებია, თუ რატომ რჩება სიმინდის ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილი გაუთოხნელი და საერთოდ დაუმუშავებელი...“

სოხუმის საოკრუგო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. შერვაშიძე მერმე წერდა: „მეთამბაქოეობა, ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ანადგურებს რა სასურსათო პროდუქტების მთელ წარმოებას, სარგებლობს უცნაური, ამჟამად სრულიად აუხსნელი გარემოებით და ბანკის მხრივ მფარველობის პირობებში მას ფართოდ გახსნილი აქვს კრედიტი თამბაქოს გირავნობით. ბანკებიდან კრედიტი ეძლევა უმთავრესად თამბაქოს მსხვილ შემსყიდველებს („ექსპორტს“); ეს შემსყიდველნი, ბანკიდან მიღებული კრედიტიდან, თავიანთ მხრივ

ავანსს აძლევენ თამბაქოს წვრილ პლანტატორებს. რომელთაც ამით საშუალება ეძლევათ შესთავაზონ მუშებს შრომის მაღალი ანაზღაურება, ამ გზით მიიზიდონ თითქმის მთელი სოფლისმეურნეობრივი მუშები და ჩამოაცილონ ისინი სასურსათო პროდუქტების მწარმოებელ მეურნეობებს"[25].

მეთამბაქოეობა, როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობა, კატასტროფულად დაეცა მენშევიკების ბატონობის პერიოდში. 1920 წელს ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი უდრიდა მხოლოდ 87 დესეტინას, ნაცვლად 369 დესეტინისა 1913 წ. და 426 დესეტინისა 1914 წელს. აფხაზეთში (ყოფ. სოხუმის ოკრუგში) თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი 1920 წ. არ აღემატებოდა 2 000 დესეტინას, ნაცვლად 8 037 დეს. 1913 და 13 107 დეს. 1914 წელს; თამბაქოს ფოთლის მთლიანი მოსავალი კი უდრიდა: 1920 წ.—100 000. ხოლო 1913 წ.—442 830 და 1914 წ.—602 270 ფუთს, ე. ი. 1920 წელს მიღებული მთლიანი მოსავალი 1914 წლის დონის მხოლოდღა ერთ მეექვსედს (16%) შეადგენდა.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისთვის ამიერკავკასიური მეთამბაქოეობა თითქმის მთლიანად მოშლილი იყო. გლეხურ მეურნეობათა დიდი ნაწილი წინათ თამბაქოს პლანტაციებით დაკავებულ მიწებზე სიმინდის მოყვანისა და სხვ. ნაკლებშემოსავლიან სასურსათო კულტურებზე იყო გადასული.

მეთამბაქოეობის აღდგენას საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და მეთამბაქოე გლეხთა შრომისმოყვარეობის, მათთვის სახელმწიფოს მხრივ სათანადო დახმარების პირობებში, მაგალითად, აფხაზეთში სულ მალე კვლავ მწვანედ გაიშალა თამბაქოს პლანტაციების ვრცე-

[25] «Труды общекавказского краевого продовольственного комитета», 1917, Тифлис, стр. 100.

ლი ფართობები (პლანტაციების საერთო ფართობი უდრიდა 1921 წ.—300 დესეტინას, 1922 წ.—2 500, 1924 წ.—4 500, 1926 წ.—10700 დეს.). მალახარისხოვანი მეთამბაქოეობის აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე ამ დროისთვის უკვე გადაჯიშებული (გადაგვარებული) სამსუნისა და ტრაპიზონის თესლების განახლებამ და სხვ[26].

---

[26] И. Певцов, «Необходимость обновления табачных семян» ЭВЗ, 1928, № 7, стр. 31—33).

ნაწილი მეორე

მეგობამგეობა

მებამბეობა ამიერკავკასიაში

I. ზოგადი ხასიათის ცნობები

ბამბა საერთოდ უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. ის მემცენაოეობის მნიშვნელოვან კულტურას წარმოადგენდა ჯერ კიდევ ძველ ინდოეთს, ჩინეთს. ირანს, შუა აზიის ქვეყნებსა და სამხ. ამერიკაშიც. მდინარეების ამუ-დარიისა და სირ-დარიის ჭალებში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ბამბის თესლები და ბამბაქსოვილის ნაშთებიც. ახ. წ. ა. მე-5—6 საუკუნეებში ქალაქები მერვი. ბუხარა, სამარყანდი, ხორეზმი და სხვ. ცნობილნი იყვნენ თავიანთი ბამბაქსოვილის ნაკეთობითაც. მე-9—11 საუკუნეებში არაბებმა ბამბის კულტურა შეიტანეს ევროპაში—იტალიის ქალაქებსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ბამბის ბოჭკო ფართოდ იხმარებოდა ოჯახურ წარმოებასა და შინამრეწველობაში. როგორც სხვადასხვა დანიშნულების ნართის (ძაფის) ასევე ტექსტილის წარმოებისთვის. მაგრამ ინდუსტრიული გადატრიალების დროიდან, რაც უწინარეს ყოვლისა აისახა საფეიქრო მრეწველობაში. წარმოიშვა დიდი. მანამდე გაუგონარი მასშტაბის, მოთხოვნილება ტექსტილური წარმოების ნედლეულზე. მატყლი, ბამბა, სელი, აბრეშუმი უკვე ვერ აკმაყოფილებდა სწრაფად განვითარებად კაპიტალისტურ ტექსტილურ მრეწველობას. რასაც სულ უფრო მეტი გაფართოების საჭიროებას კარნახობდა მსოფლიო ვაჭრობისა და ბაზრების. საერთოდ საქონლური წარმოების აღმავლობა[1].

საფეიქრო მრეწველობაში მანქანური წარმოების შექმნის დროიდან ბამბის ბოჭკოზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდებოდა. მაგრამ მიზეზი, რაც თვით ბამბის წარმოების გაფართოების (მებამბეობის ფართოდ გავრცელების) შესაძლებლო-

---

[1] «Статистико-экономические показатели хлопчатобумажной промышленности капиталистических стран», 1961, М.; „Cotton and alleid textile industries", 1961, Manchester; „Statistics en cotton and related data 1920—1956" 1957, Washington.

ბასთან შედარებით ტექსტილური მრეწველობის მხრივ ამ ნედლეულზე მოთხოვნილებას ზღუდავდა, ეს იყო თესლისგან ბამბის გაწმენდის სიძნელე,რაც არქაული „მანქანის“—ხელის ხის ჩიხრიხის—მწარმოებლურობაზე იყო დამოკიდებული.

ინდუსტრიულმა რევოლუციამ, რაც სართავი მანქანის გამოგონებით და საერთოდ საფეიქრო მრეწველობის მანქანურ წარმოებაზე გადასვლით დაიწყო, ესოდენ ფართო განვითარებას და დიდ მნიშვნელობას შედარებით მალე მიაღწია სწორედ ბამბის საწმენდი მანქანის გამოგონების მეოხებით.

მე-18 საუკუნის ბოლომდე ევროპის საფეიქრო მრეწველობა უმთავრესად ინდოეთისა და ეგვიპტის ბამბით მარაგდებოდა. ამ სორტების ბამბებისაგან თესლის გამოყოფა ადვილად ხდებოდა არქაული, ზოგიერთი ვარაუდით ინდური წარმომავლობის. მანქანით—ჩიხრიხით, რაც ამ დროისთვის ფართოდ იყო გავრცელებული მთელს აზიასა, აფრიკასა და ევროპაში. სწორედ ამ ხანებში ამერიკაში დაიწყო აზიური (შავთესლიანი) ბამბის აკლიმატიზაციის ცდები. მალე შემოტანილი ბამბის სორტები ამერიკაში გადაიქცნენ ადგილობრივი (ამერიკული, მწვანეთესლიანი) ბამბის საშიშ კონკურენტებად. საქმე ისაა, რომ ამერიკული ბამბის თესლისგან გაწმენდა ჩიხრიხით ფრიად მოუხერხებელი და ძნელი, უაღრესად შრომატევადი სამუშაო იყო. ამის გამო ამერიკული ბამბის წარმოება ფრიად დაეცა. სამხრეთის მიწათმოქმედება დიდი საფრთხის წინაშე ჩავარდა. თავი იჩინა უმუშევრობამ.

სწორედ ასეთ ვითარებაში ამერიკას მოევლინა ახალგაზრდა ე. უიტნის მანქანა (1792 წ.). ამ გამოგონებას პირდაპირ გრანდიოზული შედეგები მოჰყვა, პირველ რიგში განსაკუთრებით სამხრეთის შტატებისათვის, რომელიც ე. უიტნის მანქანამ, რაც ნამდვილ გადატრიალებას მოასწავებდა ბამბის ბოჭკოს თესლისგან გაწმენდის ტექნიკაში, ერთბაშად გადააქცია ტექსტილური მრეწველობის დიდმნიშვნელოვანი ნედლეულის ძირითად რაიონად მსოფლიოში[2].

[2] პ. გუგუშვილი, „ტექნიკის მარქსისტული ისტორია“, ნაკვეთი 3—5, 1933, ტფ. გვ. 65—70.

ამერიკული სორტის უხვმოსავლიანი ბამბა ახლა, Cotton-gin-ის წარმოებაში დანერგვის მეოხებით, თელისგანაც ადვილად გასაწმენდი შეიქნა და, ამგვარად, გადაიქცა ბამბაქსოვილის მრეწველობის პირველხარისხოვან ნედლეულად. 1791 წელს, უიტნის გამოგონებამდე ერთი წლით ადრე, მთელ მსოფლიოში იწარმოებოდა დაახლოებით 223 მილიონი კილოგრამი ბამბა, და აქედან ამერიკაზე მოდიოდა ფრიად უმნიშვნელო ნაწილი—მხოლოდ 0,9 მილიონი კილოგრამი. ამ დროიდან კი ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, სახელდობრ 1845 წელს, ამერიკაზე უკვე მოდიოდა ბამბის მსოფლიო წარმოების დაახლოებით 85 პროცენტი.

ამერიკა იწყებს ბამბის მსოფლიო ბაზრის დაპყრობას. ამერიკიდან ბამბის ექსპორტი გამოიხატებოდა (კილოგრამობით):

1791 წელს, უიტნის მანქანის	გამოგონებამდე 1 წლით ადრე 86 000
1793 წელს	222 000
1794 წელს	760 000
1795 წელს	2 730 000
1800 წელს	8 200 000

ამერიკაში დაიწყო ბამბის პლანტაციების დიდი სისწრაფით გაფართოება. საჭირო შეიქნა აუარებელი მუშახელი, რამაც გამოიწვია გადავარდნამდე მისული მონობის ახალი აღორძინება და მონური შრომის სასტიკი ექსპლოატაცია, რამდენადაც ახლა აქ მონის შრომით გაჩაღდა მსოფლიო ბაზარზე მისაწოდებელი საქონლის უაღრესად ფართო მასშტაბით წარმოება.

ეხებოდა რა ამ საკითხს, კ. მარქსი წერდა: „პირდაპირი მონობა ბურჟუაზიული მრეწველობის დასაყრდენია, ისე როგორც მანქანები, კრედიტი და სხვ. უმონებოდ არ იქნებოდა ბამბა, უბამბოდ არ იქნებოდა თანამედროვე მრეწველობა“[3].

---

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, „ფილოსოფიის სიღატაკე“, გვ. 174.

მაგრამ უიტნის მანქანის მეოხებით არა მხოლოდ ამერიკულმა ნედლეულმა მოიპოვა გაბატონებული ადგილი ბამბაქსოვილის მსოფლიო წარმოებაში, არამედ თვით ჩრდილოეთ

ბამბის ნათესების ფართობი და მოსავალი აშშ 1866—1920 წწ.

წლები	ფართობი აკრობით	საშუალო მოსავალი 1 აკრზე ინგლისურ გირვანქობით[5]	ბოლოს საერთო მოსავალი კიპობით (=500 ინგლ. გირვანქას)
1866	7 599 000	129,0	1 750 000
1871	7 558 000	148,2	2 553 000
1876	11 677 000	167,8	4 438 000
1881	16 711 000	149,8	5 456 000
1886	18 455 000	169,5	6 446 000
1891	19 059 000	179,4	9 018 000
1896	23 273 000	184,9	8 533 000
1901	26 774 000	170,0	9 510 000
1902	27 175 000	187,3	10 631 000
1903	27 052 000	174,3	9 851 000
1904	31 215 000	205,9	13 438 000
1905	27 010 000	186,6	10 575 000
1906	32 049 000	202,5	13 274 000
1907	29 660 000	179,1	11 107 000
1908	32 444 000	194,9	13 242 000
1909	30 938 000	154,3	10 005 000
1910	32 403 000	170,7	11 609 000
1911	36 045 000	207,7	15 693 000
1912	34 283 000	190,9	13 703 000
1913	37 089 000	182,0	14 156 000
1914	36 832 000	209,2	16 135 000
1915	31 412 000	170,3	11 192 000
1916	34 985 000	156,6	11 450 000
1917	33 841 000	159,7	11 302 000
1618	36 008 000	159,6	12 041 000
1919	33 566 000	161,5	11 421 000
1920	35 878 000	178,4	13 440 000

[4] „Statistics on cotton and related data; 1920—1956", Washington, 1957; „Cotton year book", London, 1959.

[5] ერთი ინგლისური გირვანქა უდრის 453,59 გრამს

ამერიკაში დაიწყო ბამბის ტექსტილური მრეწველობის სწრაფი განვითარება.

ზემონათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სტატისტიკური მონაცემები ბამბის მსოფლიო წარმოებისა და მოხმარების შესახებ (იხ. გვ. 236).

ბამბის ბოჭკოს საერთო მოსავალი აშშ*.

წლები	მოსავალი ათას ფუთობით	მოსავლიანობა ფუთობით ერთ დესეტინაზე	
		ბოჭკოსი	ნედლი ბამბისა
1914	221 500	15,5	47
1915	153 800	12,6	38
1916	157 200	11,7	35
1917	155 200	11,9	36
1918	165 000	11,9	36
1919	157 100	12,0	36
1920	185 000	13,2	40

ამგვარად, აშშ დიდის სისწრაფით იზრდებოდა ბამბის ნათესების საერთო ფართობი და მოსავალი. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თუ სხვა ქვეყნებში ბამბის მოსავლიანობა თითქმის ყველგან ეცემოდა, აშშ იგი არსებითად მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მატულობდა. რაც იყო შედეგი პროგრესული აგროტექნიკური ღონისძიებებისა, რა მხრივაც მებამბეობის მიმდევარ ქვეყნებს შორის ამერიკა ყველაზე უფრო დაწინაურდა აღებულ პერიოდში.

მაგრამ აშშ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდის სისწრაფით წინაურდება ბამბის არა მხოლოდ როგორც მწარმოებელი,

* „Cotton year book", 1959, L.

არამედ, აგრეთვე, როგორც მომხმარებელი. ხოლო ბამბა უკვე კარგა ხანია რაც გადაქცეული იყო მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ნედლეულად.

ფ. ენგელსი 1881 წელს წერდა: „ჩვენს დროში ბამბა და რკინა წარმოადგენენ ნედლეულის დიდმნიშვნელოვან სახეებს. ერი, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს ბამბეულისა და

ბამბის ნათესების ფართობი და ბოჭკოს საერთო მოსავალი ეგვიპტეში 1900—1920 წწ.[7]

წლები	ფართობი ათას დესეტინობით	მოსავალი ათას ფუთობით	მოსავლიანობა 1 დესეტინაზე ფუთობით	
			ბოჭკო	ნედლი ბამბა
1900	4 720	14 950	31,6	98
1901	4 810	17 550	36,5	113
1902	4 900	16 070	32,8	105
1903	5 130	17 900	35,0	108
1904	5 520	17 370	31,4	97
1905	6 020	16 280	27,2	87
1906	5 780	19 100	33,0	102
1907	6 170	19 880	32,2	100
1908	6 310	18 560	29,4	91
1909	5 980	13 760	23,2	72
1910	6 320	20 800	33.0	102
1911	6 570	20 400	31.0	96
1912	6 600	20 750	31,2	97
1913	6 600	21 150	31,9	99
1914	6 750	17 848	26,5	83
1915	4 560	13 218	28,8	91
1916	6 370	14 055	22,1	70
1917	6 450	17 346	26,8	84
1918	5 050	13 257	25,3	80
1919	6 050	15 323	25,3	80
1920	7 030	16 582	24,0	76

[7] „Statistics on cotton...“, 1957; P. Calan, „Le coton et l, industrie cotonniere“, 1961, Paris.

რკინეულის საქონელთა წარმოებაში. პირველ ადგილზე დგას საერთოდ ინდუსტრიულ ერთა რიგებში"[8].

ბამბის მსოფლიო წარმოება და მოხმარება ათას კიპობით[9]

წლები	მსოფლიო წარმოება	მსოფლიო მოხმარება	მოხმარებაზე მოსავლის გარდამეტი (+), ანდა დეფიციტი (—)
1908-9	20 604	20 289	+ 315
1909-10	16 988	19 164	—2 171
1910-11	18 856	19 888	—1 032
1911-12	22 247	21 534	+ 713
1912-13	21 550	22 533	— 983
1913-14	22 612	22 199	+ 413
1914-15	24 861	20 670	+4 191
1915-16	18 461	21 978	—3 517
1616-17	18 924	21 108	—2 184
1917-18	18 141	18 515	— 374
1918-19	18 765	16 705	—2 060
1919-20	20 219	19 300	+ 919
1920-21	19 675	16 914	+2 761
1921-22	14 741	20 047	—5 306

როგორც ვხედავთ. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნეში ბამბის მსოფლიო წარმოება თვით პირველი მსოფლიო ომის პერიოდშიც კი მაღალ დონეზე იდგა, არცთუ ისე იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც მოხმარება მნიშვნელოვნად სჭარბობდა წარმოებას.

თითქმის მთელი მე-19 ს. განმავლობაში მსოფლიოში ბამბის მთავარ მომხმარებელ ქვეყნებს შორის პირველი და არსებითად გაბატონებული ადგილი ეჭირა ინგლისს. მაგრამ მე-20 ს. დასაწყისიდან ბამბის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანა, აშშ, გადაიქცა ამასთანავე ბამბის უდიდეს მომხმარებელ ქვეყნად.

პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში მხოლოდ აშშ მოიხმარდა ბამბის მსოფლიო მოხმარების დაახლოებით 25 პრო-

[8] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. XV, стр. 588.

[9] კიპი (ბარდანა) შეიცავს 500 ინგლ. გირვანქას.

ცენტს. მაშინ როდესაც ინგლისზე მოდიოდა 20 პროცენტზე ნაკლები, ინდოეთზე დაახლოებით 10 პროცენტი. რიგით მომ-

ცალკე ქვეყნების მიხედვით ბამბის მსოფლიო მოხმაოება ათას კიპობით 1906/7—1912/13 წლებში[10]

ქვეყნები	1906/7	1906/8	1908/9	1909/10	1910/11	1911/12	1912/13
დიდი ბრიტანეთი	4 069	3 842	3 513	3 389[1]	3 842	4 274	4 274
გერმანია	1 688	2 106	1 765	1 689	1 732	1 797	1 700
რუსეთი	1 517	1 964	1 837	2 182	2 210	2 306	2 508
საფრანგეთი	951	950	974	948	971	1 022	1 010
ავსტრია	706	740	803	820	785	864	837
იტალია	893	1 027	941	808	984	1 027	790
ესპანეთი	341	343	327	276	332	375	358
ბელგია	196	212	210	198	237	234	257
აშშ	4 987	4 575	5 085	4 707	4 696	5 368	5 786
ინდოეთი	2 115	2 195	2 246	2 038	2 200	2 254	2 177
იაპონია	1 168	1 024	1 059	1 334	1 528	1 451	1 589
დანარჩენი. ქვეყნები	567	1 196	1 698	1 398	1 519	1 721	1 644
სულ	19 198	20 174	20 458	19 787	21 136	22 693	22 930

დევნო ადგილები ეკავათ რუსეთს, გერმანიას, იაპონიას და ა. შ.

მაგრამ ბამბის მსოფლიო მოხმარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ იყო შესაბამის ქვეყნებს შორის დანაწილებული მოქმედ თითისტართა (ტიბქირთა) საერთო რაოდენობა.

თითისტართა მსოფლიო რაოდენობა ბამბეულის ფაბრიკებში ცალკე ქვეყნების მიხედვით (ათას ცალობით) (ცხრ. იხ. გვ. 241).

ბამბეულის ფაბრიკებში თითისტართა რაოდენობა მე-20 ს. აღებულ პერიოდშიც დიდი სისწრაფით იზრდებოდა. პირველი ადგილი. ცხადია. ეპირა ინგლისს. რომლის უძლიერესი კონკუ-

[10] „Cotton and alled textile industries", Manchester, 1961.

რენტი შეიქნა აშშ. შემდეგ მოდიოდა გერმანია. პირველ მსოფლიო ომამდე მსოფლიოში მეხუთე ადგილს ინარჩუნებდა რუ-

თითისტართა მსოფლიო რაოდენობა ბამბეულის ფაბრიკებში ცალკე ქვეყნების მიხედვით (ათას ცალობით)[11]

ქვეყნები	1901 წ.	1907 წ.	1914 წ.	1920 წ.
დიდი ბრიტანეთი	46 400	50 700	56 000	58 692
აშშ	20 800	26 350	31 500	35 872
გერმანია	8 140	9 300	11 400	9 400
რუსეთი	7 900	8 100	9 100	450
საფრანგეთი	5 700	6 800	7 400	9 400
ინდოეთი	5 000	5 300	6 600	6 690
ავსტრია	3 500	3 600	4 950	3 584
იტალია	2 000	3 500	4 600	4 515
ესპანეთი	1 800	1 900	2 200	1 800
შვეიცარია	1 300	1 400	1 400	1 536
იაპონია	1 250	1 500	2 425	3 690
ბელგია	920	1 140	1 500	1 572
კანადა	600	800	875	1 163
ბრაზილია	400	800	1 200	1 600
მექსიკა	300	680	000	720
პოლონეთი	—	—	—	1 400
დანარჩენი ქვეყნები	1 385	2 450	3 230	5 864
სულ	107 395	124 320	144 980	147 951

სეთი. რომელმაც ბამბის ნათესების საერთო ფართობის მხრივ მე-20 ს. პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში უკვე მესამე ადგილი დაიჭირა, რასაც ნათლად გვიჩვენებს ქვემომოყვანილი ცხრილი (იხ. 242 გვ.).

ზემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ვრცელი კომენტარების გარეშეც ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება იყო მე-19 ს. მეორე ნახევარსა და მე-20 ს. პირველ ორ ათეულ წლებში ბამბის მსოფლიო მწარმოებელ და მომხმარებელ ქვეყნებს შორის და თუ რა ადგილი ეჭირა ამ მხრივ მათ შორის გაჩაღებულ კონკურენციაში რუ-

[11] «Статистико-экономические показатели хлопчатобумажной промышленности капиталистических стран», М., 1961.

სეთს. რომელიც როგორც ამიერკავკასიური ბამბის მთავარი მომხმარებელი. განსაზღვრავდა აქ მებამბეობის განვითარების გზებსა და ტემპებს.

ბამბის ნათესების ფართობის დინამიკა ბამბის მწარმოებელ ქვეყნებში[12]

წლები	ბამბის ნათესების ფართობი ათას დესეტინობით			
	აშშ	ეგვიპტე	ოსტ-ინდოეთი	რუსეთი
1914	13 650	675	9 099	738
1915	11 630	456	6 573	756
1916	12 950	637	8 055	774
1917	12 535	645	9 320	478
1918	13 350	523	7 770	135
1919	12 433	605	8 650	105
1920	13 289	703	7 890	89

მაგრამ რუსეთის ტექსტილური მრეწველობა იყო არა მხოლოდ ამიერკავკასიური ბამბის მომხმარებელი. რუსეთის ბამბეულის ფაბრიკებისათვის ნედლეულის მთავარი მიმწოდებლები იყვნენ რუსეთისავე შუააზიის გუბერნიები, აგრეთვე ირანი, აშშ, ინდოეთი და მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რუსეთის ტექსტილური მრეწველობის მესვეურები სულ უფრო ინტენსიურად იბრძოდნენ მშობლიური წარმოების ბამბით მოემარაგებინათ თავიანთი ფაბრიკები, ისინი მაინც დიდი ზომით მოიხმარდნენ უცხოურ ნედლეულს.

ამ ასპექტში საინტერესოა აღინიშნოს, რომ მე-20 ს. პირველ ათეულ წლებში რუსეთი იყო ირანიდან გატანილი ბამბის თითქმის მთელი მასის იმპორტერი, რასაც ნათლად გვიჩვენებს ქვემომოყვანილი ცხრილი (გვ. 243).

---

[12] J. Street, „The new revolution in the cotton economy" 1957; „Statistics on cotton and related data 1920—1956", Washington, 1957.

ბამბის გატანა ირანიდან (ათას ფუთობით)[13]

წლები	გატანა საერთოდ	მათ შორის გატანა რუსეთში	
		აბსოლუტური ციფრ.	პროცენტობით
1905-6	1 087	1 034	94,9
1906-7	1 213	1 154	95,1
1907-8	1 190	1 110	93,1
1908-9	1 114	1 030	92,4
1909-10	1 739	1 603	94,3
1910-11	1 485	1 424	95,8
1911-12	1 467	1 405	95,7
1912-13	1 800	1 744	97,0
1913-14	1 646	1 565	95,0
1914-15	1 417	1 411	99,4
1915-16	1 448	1 397	96,4
1916-17	1 137	1 101	96,8
1917-18	593	542	91,0
1918-19	128	11	10,3
1919-20	152	60	39,5

როგორც ვხედავთ, პირველი მსოფლიო ომის პირველ-მეორე წელს, როდესაც რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში ბამბის ნათესები, მოსავლიანობა და, მაშასადამე, საერთო მოსავალი ძლიერ დაეცა, და როდესაც ბამბამ სამხედრო მნიშვნელობაც მიიღო, რუსეთი შეიქნა ირანიდან გატანილი ბამბის მთელი მასის, სახელდობრ 99 პროცენტის. მომხმარებელი.

მაგრამ თუ რა დიდი რაოდენობით მოიხმარდა რუსეთის ბამბეულის მრეწველობა საერთოდ იმპორტულ ნედლეულს და კერძოდ ამერიკულ, ეგვიპტურ და ინდურ ბამბას, რაც ევროპული საზღვრებიდან შემოდიოდა, ჩანს ქვემომოყვანილი სტატისტიკური ცხრილიდან (იხ. გვ. 244).

ამგვარად, თუ მე-19 ს. პირველი მეოთხედის ბოლოს რუსეთში ბამბის ყოველწლიურმა იმპორტმა ას ათას ფუთს მიაღ-

[13] «Статистико-экономические показатели хлопчатобумажной промышленности СССР», 1958.

ბამბის ბოჭკოს შემოზიდვა რუსეთში (ათას ფუთობით)[1]

წლები	ევროპ. სახლ-ვრებიდან	აზიის სახლ-ვრებიდან	სულ
1816	5	31	36
1821	37	22	59
1826	49	56	105
1831	86	19	105
1836	208	51	259
1841	281	33	314
1846	702	27	729
1851	1 320	71	1 391
1856	2 025	196	2 221
1861	2 491	152	2 643
1866	2 372	580	2 952
1871	4 002	163	4 165
1876	4 539	169	4 708
1881	8 217	313	8 530
1886	7 248	309	7 557
1891	7 132	501	7 633
1896	8 480	777	9 257
1900	9 287	1 002	10 289
1901	9 416	959	10 375
1902	9 887	975	10 862
1903	12 837	1 218	14 055
1904	10 908	1 113	12 021
1905	9 347	1 126	10 473
1906	8 813	1 207	10 020
1907	9 734	1 133	10 867
1908	13 408	1 152	14 560
1909	9 626	1 596	11 222
1910	10 317	1 739	12 056
1911	10 626	1 753	12 379
1912	8 986	1 994	10 980
1913	9 961	2 061	12 022
1914	8 579	2 006	10 585
1915	6 458	2 025	8 483
1916	დაა-	ხლოებით	5 000

[1] В. Юферов, «Справочная книжика по хлопководству в СССР», 1925, М.

წია და, იზრდებოდა რა დიდი სისწრაფით 1861 წელს, საგლეხო რეფორმის წელს, უკვე 2 643 ათასი ფუთი შეადგინა, მე-20 საუკუნის პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში მან უკვე 10—14 მილიონ ფუთს გადააჭარბა.

ეს იყო აღებულ პერიოდში რუსეთის ბამბეულის მრეწველობის ჰეშმარიტად უძლიერესი ტემპით განვითარების შედეგი. მაგრამ ასეთი აღმავლობა განიცადა არა მხოლოდ ბამბეულისა და არა მხოლოდ ტექსტილურმა მრეწველობამ მთლიანად. აგრამედ საერთოდ რუსეთის კაპიტალისტურმა მრეწველობამ. რომელმაც განვითარების ტემპის მსრივ რიგ დარგში გაუსწრო კიდევაც აშშ შესაბამის მაჩვენებლებს.

ინდუსტრიული განვითარების ფართო გზაზე შემდგარი რუსეთი მოითხოვდა აუარებელ ნედლეულს, კერძოდ ბამბასაც, რისი უცხოეთიდან შემოზიდვა დაკავშირებული იყო დიდი რაოდენობის ვალუტის ხარჯებთან. ამიტომაც გასაგებია, რომ რუსეთის ბამბეულის მრეწველობისა და საერთოდ იმპერიის ეკონომიკური ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვდა ბუნებრივი პირობების მხრივ ხელსაყრელ განაპირა ქვეყნებში მებამბეობის, ნედლეულის საკუთარი ბაზის, რაც შეიძლება სწრაფ განვითარებას.

II. რეფორმამდელი პერიოდი

ბამბის კულტურა ამიერკავკასიაში უხსოვარი დროიდანვეა ცნობილი. აკად. ი. ჯავახიშვილი სათანადო წყაროების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „ჯერ კიდევ ძველი ისტორიის წინახანაში ჩვენს მიწაწყალზე, როგორც სელის, ისე მატყლისა და ბამბისაგან დამზადებული ქსოვილებით“ იმოსებოდნენ[1].

ლიტერატურული წყაროებით დამოწმებულია, რომ ამიერკავკასიაში ბამბის კულტურა ცნობილი იყო ჯერ კიდევ მე-5 ს. მაინც, რომ კერძოდ მე-12—13 სს. საქართველოდან „სელის ქსოვილებს გარდა მატყლის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები მრავალი გაქონდათ მეზობელ ქვეყნებში“[2].

ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (დაწერილია 1740-იან წლებში) ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავს, ქვეყნის ამა თუ იმ რაიონში, მებამბეობის გავრცელებულობის მომენტს. მაგალითად, კახეთის, კერძოდ გაღმა-მხარის აღწერისას, აცხადებს; „...აგრეთვე ბანბასა და ბრინჯსა სთესენ, გარნა იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესენ ბრინჯ-ბამბას“;[3] ჭანეთის აღწერისას ნათქვამია, რომ ბრინჯი და ბამბა აქ დიდ მოსავალს იძლევაო[4]; ხოლო სურამის რაიონის მიმოხილვაში ვკითხულობთ, რომ „...ადგილნი ესენი არიან მოსავლიანნი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისაო“[5]. ასევე

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, 1962, ტ. III—IV, გვ. 160.

[2] იქვე, გვ. 161.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, თბ., გვ. 103.

[4] იქვე, გვ. 142.

[5] იქვე, გვ. 81.

ლეჩხუმის[6], სალომინაოს შესახებ ნათქვამია „ბრინჯს არა სთესენ და ბანბასაო“[7].

ამიერკავკასიაში თვით XIX ს. გავრცელებული ბამბის ჯიში „ყარაკოზა“ („ყარა-კუზა“) ამ კულტურის ძლიერ ადრიდგანვე ცნობილი სახეობაა. ამასთანავე ბამბის ბოჭკოსაგან თესლის გასაცლელი ხელსაწყო ჩიხრიხი, რაც თვით XX ს. პირველ ათეულ წლებში კიდევ იხმარებოდა ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში, სავსებით ისეთივე კონსტრუქციისა იყო, როგორც უკვე ანტიკურ ინდოეთში ცნობილი უძველესი კონსტრუქციის ჯინი.

სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების სტატისტიკურმა ბიურომ ამიერკავკასიაში მებამბეობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესწავლისთვის საჭირო მონაცემთა მოპოვების მიზნით 1912 წელს თავის კორესპონდენტებს ადგილებზე შესავსებად დაუგზავნა გამოკითხვის ფურცლები (ანკეტები).

42 მუხლისაგან შემდგარი ამ ანკეტის პირველ პუნქტში დასმულია კითხვა: „დაახლოებით როდის დაიწყეს თქვენს რაიონში ბამბის თესვა“.

ცხადია, ანკეტაში ასეთი კითხვის მიცემა იმას გულისხმობდა. რომ ბამბის თესვა ამიერკავკასიის სოფლებში უნდა დაწყებულიყო არა უწინარეს ორი-სამი თაობის მიერ განვლილი დროისა, არა უადრეს მე-19 ს. შუახანებისა, როგორც ამას ფიქრობდნენ ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაციის მესვეურები, რომელთაც 1912 წელს გზა მისცეს გამოკითხვის ანკეტური მეთოდით ხსენებულ მასალათა მოპოვების ინიციატივას.

ნამდვილად ამ დროს რუსულ ენაზე უკვე არსებობდა საკმაო ლიტერატურა, რომელიც ძველ სომხურ (მ. ხორენაცის, ლ. პარფეცისა და სხვ.), ქართულ და სხვ. საისტორიო მწერლობის მიხედვით მოწმობდა, რომ მებამბეობა ამიერკავკასიის რიგ რაიონში მაინც ცნობილი იყო მე-19 ს. ბევრად ადრე. ჯერ

---

[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 149.

[7] იქვე, გვ. 163.

კიდევ ამ მხარის რუსეთთან შეერთებამდე, თვით ადრინდელ შუა საუკუნეებშიც.

მაინც. საინტერესოა ანკეტის ხსენებულ კითხვაზე ადგილობრივი კორესპონდენტების მიერ გაცემული პასუხები, რაც ზოგჯერ დაახლოებით სწორად მიუთითებს ამა თუ იმ რაიონში (სოფელში) ბამბის კულტურის თუ არა გაჩენის, ყოველ შემთხვევაში სავაჭრო მებამბეობის გავრცელების დროს.

სურმალოს მაზრის ს. იგდირელი კორესპონდენტი ანკეტის კითხვაზე უპასუხებს, რომ ამ რაიონში ბამბის კულტურა ცნობილია „ძველი დროიდანვე". ამავე მაზრის ს. დაშბურუნელი კორესპონდენტი რ. აზიზიანცი იტყობინება, რომ „აქ 80 და მეტი წლის მოხუცებსაც არ ახსოვთ, თუ სახელდობრ როდის დაიწყეს ბამბის თესვა. მართალია, წინათ ბამბას ძლიერ ცოტას თესდნენ, პატარა პლანტაციების სახით. მაგრამ მერმე სულ უფრო და უფრო გაფართოვდნენ ეს პლანტაციები. განსაკუთრებით უკანასკნელ ათეულ წელს. ასე, მაგალითად, ს. დაშბურუნში ათი წლის წინათ ბამბა ითესებოდა დაახლოებით 70 — 100 დესეტინაზე, ხოლო ახლა, ამ წელს, დათესილია 600 დესეტინაზე". ერევნის მაზრის ს. ოგურბეკლუში მცხოვრები კორესპონდენტი, ტერ-ვარდანიანცი, აცხადებს, რომ აქ ბამბის კულტურა ცნობილია „ძველი დროიდანვე; ახსოვთ, რომ 1862 წელს 1 ფუთ ბამბის ფასმა 21 მანეთს მიაღწია". ეჩმიაძინის მაზრის ს. კიზილ-თამურელი კორესპონდენტის სიტყვებით, „როგორც მოხუცებულები მოგვითხრობენ ამ რაიონში ბამბა ითესება ჯერ კიდევ 1815 წლიდან". ამავე მაზრიდან სხვები კიდევ იტყობინებიან, რომ აქ ბამბას „ყოველთვის თესდნენ", „ძლიერ ადრიდანვე, ასე რომ წელიწადი, თუ როდის დაიწყო ბამბის თესვა არავის არ ახსოვს". შარურ-დარალაგიოზის მაზრიდან ს. ულია-ნორაშენელი კორესპონდენტი უპასუხებს: „...სოფლის დაარსების დროიდანვე, სახელდობრ 1827 წლიდან"; ს. სარუხანლუელი კორესპონდენტი: „უხსოვარი დროიდან". ანალოგიური პასუხებია, მაგალითად, ზანგეზურის მაზრის სოფ. მიგრიდან და ა. შ.

ზუგდიდის მაზრის ს. წალენჯიხელი კორესპონდენტი უპასუხებს: „თუ როდის დაიწყეს ბამბის თესვა არ ახსოვთ: ამბობენ—ყოველთვის თესავდნენო“. იმავე მაზრის ს. ღიდინეძიდან იტყობინებიან: „ჩვენს რაიონში ბამბას (საოჯახო მოთხოვნილებისთვის) სთესენ ძველი დროიდანვე; დაახლოებით თუ როდის დაიწყეს ჩვენი საზოგადოების არც ერთ მოხუცს არ შეუძლია თქვას, რამდენადაც მათ ვერ მოუგონებიათ დრო, როდესაც არ თესავდნენ ბამბას“. ანალოგიური პასუხია გაცემული ხობის, ხეთას, ჩხოროწყუს, დარჩელის და სხვ. სოფლის საზოგადოებათა კორესპონდენტების მიერ. სენაკის მაზრის თარგამეულს, თეკლათს, სუჯუნას, აბაშას, სირიაჩქონსა და სხვ. სოფლებში შევსებულ ანკეტებში ვკითხულობთ, რომ აქ ბამბის თესვის დაწყების დრო „არავის არ ახსოვს“. რომ ეს კულტურა ცნობილია „უხსოვარი დროიდან“.

შორაპნის მაზრის სოფლებში არგვეთას, თერჯოლას, ჩხარსა და სხვ. უპასუხებენ: „ძლიერ ძველი დროიდან“. ამავე მაზრის სოფ. ბოსლეველი კორესპონდენტი: „30—40 წლის წინათ ჩვენში საკუთარი საოჯახო საჭიროებისათვის ცალკე ნაკვეთებზე სთესდნენ ბამბას და მაშინ ყოველ ოჯახში შეიძლებოდა გვენახა ჩიხრიხიც, რითაც შემოდგომისა და ზამთრის გრძელ ღამეებში ქალები მხიარულად აცლიდენ ბამბას თესლს (მარცვალს). მაგრამ ახლა, ახალ თაობას წარმოდგენაც კი არა აქვს ჩიხრიხზე, ე. ი. დიდი ხანია რაც მიწის ზღაპრული სივიწროვის გამო (თვითეულ კომლზე საშუალოდ მოდის 0.5 დეს. სახმარად ეარგისი მიწა) შესწყვიტეს ბამბის თესვა“[3].

მაგრამ აღსანიშნავია, რომ არამცთუ 1912 წელს ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის დროს, არამედ გასული საუკუნის 80-იან წლებშიც, სახაზინო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების შესასწავლად ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში—ერევნის გუბერნიის სურმალოსა და ნახჭევანის მაზრებში; ქუ-

---

[3] П. Петрович, «Хлопководство в Закавказье», 1912, I, стр. 5—8.

თაისის გუბერნიის ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, ლეჩხუმის, შორაპნის მაზრებში; ელისავეტპოლის გუბერნიის არეშის მაზრაში; ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრაში; თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში—გაგზავნილ სპეციალისტებს უცხადებდნენ, რომ აქ მებამბეობას მისდევენ. უხსოვარი დროიდან, რომ ყველაზე უხუცესებმაც კი არ იციან, თუ როდის დაიწყეს საკუთარი საოჯახო საჭიროებისთვის ბამბის თესვა და არც ის, თუ საიდან შემოვიდა ეს კულტურა და ბამბის საწმენდი ჩიხრიხი, რასაც თვით გლეხები, სოფლელი დურგლები აკეთებდნენ[9].

აქ მხოლოდ ის მინდა დავსძინო. რომ პირველი მსოფლიო ომისა და მის წინა წლებში სენაკის მაზრის (ამჟამად ლანჩხუთის რაიონის) გულეიკარის თემის სოფლებში (კოდორი, კეთილარი, გულეიკარი, ქორეისუბანი, ტოლები), ისევე როგორც დას. საქართველოს რიგ რაიონში თითქმის ყოველ კომლს ჰქონდა მცირეოდენ ნაკვეთზე, საოჯახო მოხმარებისთვის (ძაფის, საბნის, ქვეშსაგების, მუთაქისა და სხვ. საჭიროებისათვის) ბამბის ნათესი. ბამბას ხელის ხის ჩიხრიხით აცლიდნენ თესლს. ასეთი საჭიროებისთვის ბამბის თესვისა, კრეფისა და ჩიხრიხით მის გაწმენდაზე, პატარაობისას ამ სტრიქონების ავტორსაც უმუშავია.

მე-18 ს. ბოლომდე და თვით მე-19 ს. შუამდე მებამბეობას, მეტნაკლები ზომით, ამიერკავკასიის მრავალ რაიონში ეწეოდნენ. „ამიერკავკასიაში ბამბა მოყავთ ძველი დროიდანვე და აქ ბამბის კულტურის გავრცელების არეალი ფრიად ფართოა; ყველა გუბერნიაში გვხვდება სოფლები, რაიონები, სადაც მოსახლეობა სხვა მეურნეობრივ მცენარეებთან ერთად თესავს ბამბას“. მერმე, მე-19 ს. შუახანებიდან „მებამბეობა შერჩა ერევნისა და ნაწილობრივ ქუთაისის გუბერნიაში“[10].

---

[9] МИЭБГКЗК, II, I, стр. 351, 355; — II, II, стр. 282—284;— VII стр. 167, 480.

[10] ОДКОСХ, стр. 68.

ამიერკავკასიის სოფლებში მე-19 ს. დამდეგს, ისე რო-გორც მანამდეც, მებამბეობას ეწეოდნენ უმთავრესად საოჯახო მრეწველობის მოთხოვნილების შესაბამისად. ცხადია, ბამბის ბოჭკოს მნიშვნელოვანი ნაწილის გადამუშავება ხდებოდა ქა-ლაქებში არსებულ შინამრეწველურ და საერთოდ წვრილ სარ-თავ და საფეიქრო სარეწავებში.

იმ ხანებში თბილისს, განჯას, შუშას, შემახიას, ერევანს, ქუთაისს, გორს, ახალციხესა და სხვ. ქალაქებში მუშაობდა ათე-ულობით ბამბსართავი და ბამბაქსოვილის საფეიქრო სარეწავე-ბი, ზოგჯერ საკმაოდ მსხვილი საწარმოების სახით, რომლებიც ადგილობრივი, ხშირად თვით ქალაქის გარეუბნებსა და შემო-გარენში მოყვანილი ბამბის გადამუშავებას ეწეოდნენ.

ასეთ ვითარებაში. მე-19 ს. 20—30-იან წლებში უკვე ნათ-ლად აისახა ამიერკავკასიის ცხოვრებაში ამ მხრივ რიგი მნიშ-ვნელოვანი მოვლენა. ცენტრალურ ამიერკავკასიაში, ე. ი. ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოში თვით მე-19 ს. დასაწყისი-დანვე. ხოლო 20-იანი წლებიდან კი ამიერკავკასიის ბარის თითქმის ყველა რაიონში წინანდელთან შედარებით გაძლიერე-ბული რაოდენობით შემოდის და სულ უფრო ზრდადი ზომით ვრცელდება როგორც ირანული, ისე რუსული და განსაკუთრე-ბით დას. ევროპული წარმოების ტექსტილური საქონელი, სულ უფრო მეტად კი ბამბა-ქსოვილი, რაც მოსახლეობას იზიდავდა, როგორც უკეთესი ნაკეთობით, ხარისხით, ასევე სიიაფითაც ამ მოვლენათა გაშლა-განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხე-ლი 1821 წლიდან ამიერკავკასიაში დაწყებულმა შეღავათიანმა ტრანზიტმა და ვაჭრობამ[11].

უცხოური, ფაბრიკული ტექსტილური ნაწარმოების და-წოლამ ნელ-ნელა გამოიწვია ადგილობრივი, უმთავრესად საო-ჯახო მრეწველობისა და შინამრეწველობის ფორმით არსებუ-ლი ბამბა-ქსოვილის ფეიქრობის შევიწროვება, რასაც, ცხადია,

---

[11] ვრცლად იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „საქართველოსა და ამიერკავკა-სიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს“., მონოგრაფიები, ტ. I. .გვ. 135—257.

არ შეეძლო შედეგად არ მოეტანა ბამბის ნათესების შემცირება. ზოგიერთ რაიონში კი, სადაც მებამბეობას განსაკუთრებით ხელს არ უწყობდა ბუნებრივი პირობები, თანდათანობით სავსებით მიატოვეს ბამბის თესვა, რამდენადაც შემოტანილი სხვადასხვა ტექსტილური ნაწარმოების, ფართლეულისა და ძაფის ყიდვა უფრო სარფიანი ხდებოდა.

ამ პროცესის მეორე მხარე მიწათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობის ცხოვრებაში ის იყო, რომ უპირატესად მარცვლეულის თავთავიანმა კულტურებმა დაიკავეს აქამდე ბამბის ნათესებით დაფარული მიწები, ხოლო ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ნუხისა და არეშის მაზრებში—თუთისხის პლანტაციებმა, ზოგან კიდევ, მაგალითად, კახეთში ვენახმა, ხოლო იმერეთ-გურია-სამეგრელოში—სიმინდმა და ა. შ.

თუ რამდენად შეიკვეცა მებამბეობის არეალი იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ მე-19 ს. 20-იან წლებში მხოლოდ ერევნის სახანოში (როდესაც იგი ირანის პროვინცია იყო) ყოველწლიურად მოჰყავდათ დაახლოებით 90—100 ათასი ფუთი ბამბა, ხოლო 50-იან წლებში, ე. ი. სამი ათეული წლის შემდეგ, მთელს ამიერკავკასიაში ბამბის ბოჭკოს მოსავალი უკვე 36—40 ათას ფუთს არ აღემატებოდა და ამ რაოდენობიდან ერევნის გუბერნიაზე მოდიოდა დაახლოებით 30 ათასი ფუთი[12].

მაგრამ მე-19 ს. 20—30-იანი წლები ერთგვარი მოსაბრუნი პუნქტი იყო ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში და კერძოდ კი მებამბეობაში იმ მხრივაც, რომ სწორედ ამ დროიდან, ახალი აღმავლობის გზაზე შემდგარი რუსეთის საფეიქრო მრეწველობისთვის მშობლიური ნედლეულის ძიების ინტერესებმა ცარიზმის როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება აიძულა, რათა ამიერკავკასიაში, „რუსეთის ინდოეთში“, ხელი შეეწყო მებამბეობის გავრცელება-განვითარებისათვის.

---

[12] Н. Таратынов, «Очерки хлопководства в Закавказье», 1889, Тифлис; И. Хатисов, «О развитии культуры и торговли хлопком в Закавказском крае» (ЗКОСХ, 1963, № 1); И. Сегаль, «Сборник свед. о Елисаветпольской губ.», 1902, Тифлис, ч. I.

ამ მიზნით 20-იანი წლებიდან დაწყებული საქართველოსა და ამიერკავკასიაში შემოაქვთ იმ დროისათვის საუკეთესოდ მიჩნეული ბამბის სხვადასხვაგვარი სორტის თესლები. მაგალითად, ამერიკული[13], ეგვიპტური[14] გაიტური[15] და სხვ. ბამბის თესლებით ამარაგებენ ადგილობრივ მემამულეებს. აქეთკენ აგზავნიან აგრეთვე მეცნიერ ბოტანიკოსებს. ბამბისა და, ცხადია, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა გავრცელებისა და შემოტანა-დანერგვის მიზნით იწყებენ ადგილობრივი ბუნებრივი პირობების (კლიმატის, ნიადაგის, ფლორის, ფაუნის) შესწავლას[16].

მე-19 ს. 30-იან წლებში იმპერიის ფინანსთა სამინისტრო ამიერკავკასიაში გასავრცელებლად აგზავნის საუკეთესო ჯიშის ბამბის თესლებს. მაგალითად, სხვადასხვა სორტის ეგვიპტურსა და ამერიკულს. ეს თესლები ურიგდებათ ნახჭევანის, ერევნის, ტალიშის, შაქის, ყარაბაღის და შირვანის მაზრის მცხოვრებთ. ამჯერად, ახალმა თესლებმა შედარებით კარგად გაიხარეს მხოლოდ შირვანისა და ყარაბაღის მაზრებში[17].

შემდეგ, მაგალითად, 1845—1848 წწ. ანალოგიურ ექსპერიმენტებს ატარებს რუსეთის სახელმწიფოებრივ ქონებათა სამინისტრო. სწორედ ამავე წლებში, თავის მხრივ, კავკასიის ნამესტნიკი მ. ვორონცოვიც იწყებს სხვადასხვა „კომერციულ მცენარეთა“ და მათ შორის ბამბის თესლების გამოწერას ამერიკიდან, სიცილიიდან, მალტიდან, ეგვიპტიდან[18]. ბამბის თესლები მუქთად ურიგდება მიწათმოქმედების მიმდევარ და ვან-

---

13 АСКАК, VII, № 133, стр. 175; № 144, стр. 191; — VIII, № 120, стр. 202; — IX, № 59, стр. 53.

14 И. Штукенберг, «Статистические труды Описание Закавказского края», 1859, СПБ, стр. 38.

15 АСКАК, VII, № .138, стр. 180.

16 АСКАК, VII, № 138, стр. 180.

17 АСКАК, IX, № 557, стр. 659:

18 П. Гугушвили, «Сельское хозяйство и аграрные отношения», I, 106—107, 147, 162.

საკუთრებით ბამბის კულტურით დაინტერესებულ მოსახლეობას[19].

როგორც ჩანს, უცხოური ბამბის თესლებისგან პირველსავე წლებში მიღებულ იქნა დამაკმაყოფილებელი მოსავალი,— კერძოდ, ლენქორანის, შემახიას, ნუხის, განჯის, შუშის, ბაქოსა და ერევნის მაზრებში[20]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ მიმართულებით მოსახლეობის უფრო წაქეზების მიზნით, პირველ ხანებში. სახელმწიფოებრივმა ხაზინამ თვითონვე დაიწყო ამ ბამბის მოსავლის შესყიდვაც[21].

მე-19 ს. ორმოციან წლებში, როგორც კავკასიის ნამესტნიკის მ. ვორონცოვის მოღვაწეობის ანგარიშგებიდან ჩანს, ამიერკავკასიაში ბამბის მოსავლის უდიდესი ნაწილი ადგილზევე მოიხმარებოდა, ხოლო ნაწილი გაქონდათ ირანში.

ამასთანავე მ. ვორონცოვი 1849—1850 წწ. თავისი საქმიანობის მიმოხილვით ანგარიშგებაში აღნიშნავდა, რომ მის მიერ ამერიკიდან, ეგვიპტიდან და მალტიდან გამოწერილი ბამბის თესლები დაურიგდა ადგილობრივ მცხოვრებთ და ამ სხვადასხვა სორტის ბამბის აქ „მოყვანის ცდები ფრიად დამაკმაყოფილებელი იყო იმერეთში, სადაც უკვე იკრიფება 500 ფუთამდე ბამბის ბოჭკო და მოსკოვიდან გამოგზავნილ ნიმუშებთან შედარებით, ის ღირსებით არ ჩამოუვარდება ამ უკანასკნელს. ამ ცდის წარმატების საფუძველზე სასარგებლოდ იქნა მიჩნეული, რათა ამ სორტების ბამბის წარმოება გავრცელდეს უპირატესად მდ. რიონის ჭალებშიო“. ხსენებული უცხოური ბამბის თესლები გაიგზავნა აგრეთვე ელისავეტპოლს. ლენქორანს. შუშას. ერევანსა და შემახიაში[22].

ანალოგიურ ცდებს გრძელბოჭკოვანი ბამბის სორტების ამიერკავკასიაში დანერგვა-გავრცელებისა მე-19 ს. 50-იანი წლების დასაწყისიდანვე თანმიმდევრულად აწარმოებდა აგ-

---

19 АСКАК. X. № 125. стр. 159, 835, 867.
20 ОДНК. стр. 36—37.
21 Газ. «Кавказ», 1848, № 19.
22 АСКАК. X, 888.

რეთვე სწორედ ამ ხანებში შექმნილი სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოებაც (სმკს)[23].

მაღალი სორტის ბამბების გავრცელების მხრივ, როგორც ჩანს, ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია დიდ იმედებს ამყარებდა იმერეთზე. ფიქრობდნენ, რომ რიონის ჭალების ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები ამიერკავკასიაში ყველაზე უფრო ხელსაყრელია ეგვიპტური და ამერიკული სორტის ბამბების მოყვანისათვის. 1850 წელს სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა თბილისის გამოფენაზე მიწათმფლობელ ნიკ. ჩიჯავაძეს ვერცხლის მედალი მიენიჭა იმერეთში, თავის მამულში „ეგვიპტური სორტის ბამბის სანიმუშოდ გაშენებისათვის"[24].

ქუთაისის გუბერნიის ოფიციალურ სტატისტიკურ მიმოხილვაში, რომელიც 1858 წ. პეტერბურგს გამოქვეყნდა, ვკითხულობთ: „მებამბეობა ამჟამად სწრაფად ვითარდება. წინანდელ ბამბას ცუდი თვისებები ჰქონდა, რის გამოც კავკასიის ნამეუტნიკის განკარგულებით. 1845 წელს. გუბერნიაში გამოგზავნეს ეგვიპტური და მალტური გრძელბოჭკოიანი ბამბის თესლი. ამ ბამბის მოყვანას განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა იმერეთში. ასე რომ გუბერნიის ამ ნაწილში ამჟამად კარგი საწყისი დაედვა მეურნეობის ამ დარგის განვითარებას, მებამბეობა განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს ს. საჩინოში, მემამულე თავად ჩიჯავაძის მეურნეობაში. სადაც ყოველწლიურად მოჰყავთ 600 ფუთამდე ბამბა, ხოლო კარგ მოსავლიან წლებში (1852) 1000 ფუთამდე. თავ. ჩიჯავაძემ თავისი ბამბის კარგი ხარისხისთვის 1851 წლის ლონდონის გამოფენაზე მიიღო ქების სიგელი. ჩიჯავაძის წარმატებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმერეთში მებამბეობის გავრცელებაზე. მცოდნე ადამიანების ჩვენებით იმერეთში ყოველწლიურად მოყავთ 5000 ფუ-

---

23 П. Гугушвили, «Сельское хозяйство и аграрные отношения», т. I, 174.

24 Газ. «Кавказ», 1850, №№ 20, 24, 26, 40; ТКОСХ, 1889, № 1—2, стр. 101.

თამდე ბამბა. დაბა ხონში (ბაზრობაზე) ყოველწლიურად იყიდება ათას ფუთამდე ბამბა"[25].

მაგრამ ეს პირველი წარმატებები, რასაც ესოდენ დიდ რეკლამას უკეთებდნენ, არ გამოდგა პერსპექტიული. ის რაც 40-იანი წლების მიწურულსა და 50-იანი წლების დამდეგს ფრიად მომგებიან წამოწყებად მიაჩნდათ, უკვე 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან აშკარა მარცხს განიცდის და, სულ მალე, როგორც ამერიკული, ისე ეგვიპტური ბამბა აქ „შეიქნა იშვიათ სანახაობად, რაც ცდებისმოყვარე მეპატრონე—მეურნეთა ბაღჩა ბოსტნების ძვირფას დამამშვენებელ მცენარედ გადაიქცა"[26].

ერთ-ერთ მიზეზად, რამაც ხელი შეუშალა ამიერკავკასიაში უცხოური საუკეთესო სორტის ბამბების გავრცელებას იმ გარემოებას ასახელებდნენ, რომ ადგილობრივი არქაული ჩიხრიხი ხეირიანად ვერ აცლიდა გრძელბოჭკოიან ეგვიპტური ბამბისგან თესლს, რის გამოც ბოჭკო ზიანდებოდა[27].

* * *

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარებაში მებამბეობა მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცა მე-19 ს. 60-იანი წლების დამდეგიდან. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩრდ. ამერიკაში დაიწყო აბოლიციონისტური მოძრაობა, სამოქალაქო ომი. ამ ომის დაწყებიდანვე ევროპის ბაზრებზე ამერიკული ნედლეულის გატანა ჯერ ძლიერ შემცირდა, ხოლო შემდეგ სავსებით შესწყდა კიდევაც.

ამ მოვლენებს, ცხადია, არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოეხდინა ბამბის მწარმოებელ სხვა ქვეყნების ცხოვრებაზე. ამიერკავკასიის ბაზრებზე ჯერ კიდევ 1859 წელსაც იგრძნობოდა ბამბის ფასების შესამჩნევი ამაღლება, მაგრამ ბამბის ნათესების ფართობის გადიდებაზე ამას მაშინ თითქმის არავი-

---

25 Лаврентьев, «Стат. описание Кутаисской губ.», 1858, СПБ. стр. 96.

26 ЗКОСХ, 1863, № 1, стр. 10—11.

27 ЗКОСХ, 1863, № 1, стр. 9.

თარი გავლენა არ მოუხდენია. 1859—1860 წლებში თბილისს, ელისავეტპოლს, ბაქოსა და ერევანში 1 ფუთი ბამბა 3—5 მანეთად იყიდებოდა, მაშინ როდესაც ლივერპულში, ბამბის უდიდეს მსოფლიო ბაზარზე, 1 ფუთი ბამბის ფასი უკვე 18—20 მანეთამდე აღწევდა.

სწორედ ამ ხანებიდან რუსეთის ტექსტილური მრეწველობის მესვეურები და, მაშასადამე, სმკს იძულებული შეიქნენ მეტი ყურადღება მიექციათ ამიერკავკასიისათვის. როგორც ბამბის მწარმოებელი ქვეყნისთვის. ახლა გააძლიერეს ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებისთვის გრძელ ბოჭკოვანი ბამბის თესლის გამოწერა. ამ თესლს უნაწილებენ ელისავეტპოლის, ბაქოს, თბილისის, ერევნის, ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციას, რათა ამ უკანასკნელთ, თავის მხრივ, იგი დაურიგონ ბამბის კულტურით დაინტერესებულ მოსახლეობას[28].

1859—1862 წლებში სმკს ერევნის გუბერნიაში მებამბეობის მიმდევარი მოსახლეობისათვის Cotton-gin-ის გამოყენების გასაცნობად მიავლინა თავისი აგრონომი ი. სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი), რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ამ გუბერნიაში ჯინის დანერგვა-გავრცელების საქმეს[29].

ევროპის ბაზრებზე ბამბის ფასი, როგორც იტყვიან, ყოველდღიურად მატულობდა. დას. ევროპის საფეიქრო მრეწველობის აგენტები ნედლეულის ძიებაში ეწვიენ ამიერკავკასიასაც. ცხადია, აქ კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთის ტექსტილური მრეწველობის წარმომადგენელთა მუშაობა. მაინც ჯერ კიდევ არც ადგილობრივი და არც უცხოელი ვაჭრები ვერ ბედავენ ამიერკავკასიური ნედლეული გაიტანონ დას. ევროპის საფეიქრო მრეწველობისთვის მისაწოდებლად.

ამიერკავკასიური ბამბის პირველი პარტია კონსტანტინოპოლში გაიგზავნა მხოლოდ 1862 წელს, სადაც იგი ფრიად დიდი მოგებით გაიყიდა. სწორედ ამ დროიდან ამიერკავკასია იწყებს თავისი ბამბის ექსპორტს დას. ევროპაში.

---

28 П. Гугушвили, «Сельское хозяйство...», I, 187—188.
29 ЗКОСХ, 1862, № 1—2, стр. 22—23.

ამ მიმართულებით პირველსავე წარმატებულ ოპერაციებს შედეგად მოჰყვა აქ ბამბაზე ფასების ზღაპრული სისწრაფით ზრდა. 1862 წლის სულ რამდენსამე თვეში 1 ფუთი ბამბის ფასმა 3—5 მანეთიდან 12 მანეთამდე მიაღწია, ხოლო წლის ბოლოს თბილისში 1 ფუთი ბამბა „უკვე ოქროდ გადაიქცა"—იგი 18—20 მანეთად იყიდებოდა.

ერევნის გუბერნიის რაიონებში ადგილობრივი შემსყიდველები წვრილმწარმოებელი გლეხებისგან ყიდულობდნენ ბამბას. ეს შემსყიდველები ბამბას ყრიდნენ ბარდნებში, შალის 5—6 ფუთიან ტომრებში. ამ ტომრებით ბამბა თავს იყრიდა ქ. ერევანში, სადაც საქონელი უკვე მსხვილი შემსყიდველების ხელში გადადიოდა. უკანასკნელთა საწყობებში, ყოველგვარი დახარისხების გარეშე, ეს პროდუქტი ხრახნის წნეხის (პრესის) შემწეობით იტკეცებოდა და შეიფუთებოდა. შემდეგ ეს ბამბა, ჩვეულებრივ, კიდევ რამდენსამე შუამავლის ხელში გაივლიდა სანამ კონსტანტინოპოლამდე მიაღწევდა. აქედან ამიერკავკასიური ბამბა მიდიოდა ავსტრიაში, ანდა მარსელის გზით—საფრანგეთის რომელსამე ფაბრიკაში[30].

იმ დროს ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში საექსპორტო ბამბის შეფუთვა ტექნიკურად დაბალ დონეზე სრულდებოდა, ხოლო დასორტვა სრულებითაც არ ხდებოდა. შეფუთვა-შენახულობის ეს მოუწესრიგებლობა, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა ბამბის, როგორც სართავი მასალის ხარისხზე, იგი ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა მყიდველზე და ა. შ. მაინც, სანამ ევროპულ ბაზრებზე ამერიკული ბამბა არ ჩანდა, ამიერკავკასიური პროდუქტი მაღალ ფასებში იყიდებოდა.

ერთმა ავსტრიელმა ფაბრიკანტმა (Theinburg) 1870 წელს ქ. ვენაში სპეციალური ბროშურაც კი გამოაქვეყნა ამიერკავკასიური ბამბის შესახებ, სადაც იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ერევნისა და ქუთაისის გუბერნიების ბამბას[31].

---

30 РТКЭЖД. стр. 661—663.

31 A. V. Theinburg, „Die Baumvollcultur in Transkaukasien", 1870, Vien.

დაახლოებით ამ ხანებში ერთმა ინგლისურმა (მანჩესტერულმა) კომპანიამ — Cotton suppe association — ერევნის გუბერნიაში შეიტანა და გაავრცელა უკეთესი სორტების ბამბის თესლი. ამ ბამბის ბოჭკოც კარგი ღირსებისა იყო და თესლისგანაც იგი უფრო ადვილად იწმინდებოდა.

მე-19 ს. 60-იანი წლებიდანვე მებამბეობის აღორძინება იწყება ქუთაისის გუბერნიაშიც, სადაც 50-იანი წლების მიწურულს ბამბის საშუალოწლიური მოსავალი 3 000 ფუთს არ აღემატებოდა, ხოლო 1863 წელს მოკრეფილ იქნა 10 000 ფუთზე მეტი ბამბა, რომლის 1 ფუთი ახლა იყიდებოდა არა 4—5 მანეთად, როგორც მანამდე, არამედ 20 მან. და ზოგჯერ მეტადაც[32]. 1862 წელს ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე ქუთაისის მაზრიდან, სახელდობრ ვარციხიდან (ანანოვის მეურნეობიდან) გაგზავნილ ბამბას პრემია—მედალი—მიენიჭა[33].

დიდად აიწია ბამბის ფასები რუსეთის ტექსტილური მრეწველობის ცენტრებში. თუ 1861 წ. ბუხარული ბამბა ნიჟეგოროდისა და მოსკოვის ბაზრებზე ფუთი 4—5 მანეთად ფასობდა, 1864 წელს იგი უკვე 22—23 მანეთად იყიდებოდა. თვით ამიერკავკასიაში, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 1861 წელს ბამბის ფასი 3—4 მან. არ აღემატებოდა, ხოლო 1862 წ. ბოლოს ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში, ე. ი. წარმოების ადგილას, ერთი ფუთი ბამბა 18—19 მან. იყიდებოდა. რეგისტრირებულია შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მოსკოვური ფირმა აქ 1 ფუთ ბამბას 20—22 მანეთად ყიდულობდა.

„იმ ზღაპრული ფასების გავლენით ამიერკავკასიის მოსახლეობა გაიტაცა მებამბეობამ და მან იწყო ბამბის ნათესების გაფართოება. ეს გატაცება იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთ ადგილას, სადაც ეს კულტურა მანამდე სულ უმნიშვნელო ზომით იყო შენარჩუნებული, ბამბას სთესავდნენ მისთვის ყოველგვარ ვარგის მიწაზე, ასე რომ მებამბეობა ვრცელდებოდა

32 Ρ. Ε ρ ι ς τ ο ν, «Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношений», 1876, Тифлис, стр. 26.

33 Π. Γ υ γ υ ш в и л и, «Сельское хозяйство...», I, 209.

ყამირი მიწებისა და თვით მარცვლეული კულტურების ხარჯზე[34]. ბამბის სათესად დაიწყეს ტყეების, თვით ბაღებისა და ვენახების აკაფვა, ხოლო ერევნის გუბერნიის ზოგიერთ ადგილას მოსახლეობა ბამბას სთესავდა... „სახლების მიწურ სახურავებზეღაც კი“ [5].

ბამბის მსოფლიო ბაზარზე ხსენებულ მოვლენათა შედეგად შექმნილმა სიტუაციამ ხელი შეუწყო, რათა 60-იანი წლებიდან მებამბეობა ამიერკავკასიაში გადაქცეულიყო ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან და, მაშასადამე, მიმზიდველ დარგად სოფლის მეურნეობაში. ასეთ პირობებში, მიუხედავად ცუდი სამიმოსვლო გზებისა, ურკინიგზობის, მუშახელის სიძვირისა და სხვ. დაბრკოლებებისა ბამბის კულტურით დაკავებული ფართობის სიდიდე და თვით ბამბის ბოჭკოს მოსავლის საერთო რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა.

გაზ. „დროების“ კორესპონდენტი ს. ყანჩელი 1872 წ. წერდა, რომ, მაგალითად, სოფ. იგდირში (ერევნის გუბერნიის სურმალოს რაიონში) „...ბაღი-ბაღჩები გახშირებულია და სოფლელები ჭირნახულს უვლიან. მეტაღრე ბევრსა სთესენ ბამბას, რომელიც მიაქვთ შავი ზღვით სტამბოლს და იქიდან სამაგიეროთ მოაქვთ სავაჭრო ფარჩა—არზრუმზე და ბაიაზეთზედ... ხმელეთით პირდაპირ იგდირში, რადგანაც აქ დამოუნა არის და ვაჭრობას მისდევენ აქაური სიმხნობა“[36].

თუ როგორი სისწრაფით ვრცელდებოდა მებამბეობა და იზრდებოდა ბამბის საერთო მოსავალი, მაგალითად, ერევნის გუბერნიაში, ამიერკავკასიური მებამბეობის მთავარ რაიონში, ვიჩვენებს ქვემომოყვანილი ცნობა.

---

34 Л. Рума, «Очерки и исследования», вып. I. Из жизни и колонизации муганской степи, 1913, СПБ, стр. 56—57.

35 П. Петрович, «Хлоповодство Закавказье», 1912, ч. I, стр. 40—42.

36 გაზ. „დროება“, 1872, № 20. იგდირთან ახლოა „ყულფი, საიდანაც ჩვენ ქართველებს მოაქვთ ხოლმე მარილი“ (იქვე).

ბამბის მთლიანი მოსავალი (ფუთობით) ერევნის გუბერნიაში

1861 წელს	—	30 000
1862	—	60 000
1863	—	150 000
1864	—	300 000

იმერეთში ბამბის საერთო მოსავალს 1861 წ. სამ ათას ფუთამდე ანგარიშიბდნენ, ხოლო 1870 წელს აქ აღებულ იქნა დაახლოებით 50 000 ფუთი ბამბა.

მაგრამ გარედან მიღებული ბიძგის მეოხებით სწრაფად აღორძინებული მებამბეობა ასევე სწრაფად ეცემა მას მერმე, რაც ჩრდილოეთ ამერიკაში დამთავრდა სამოქალაქო ომი და ამერიკამ კვლავ ძველებური ტემპითა და ბევრად უფრო ფართო მასშტაბით განაახლა ბამბის ექსპორტი ევროპაში.

ბამბის მთლიანი მოსავალი ერევნის გუბერნიაში უდრიდა ფუთობით:[37]

1870 წელს	—	273 000
1876	—	132 000
1877	—	149 000
1880	—	81 084
1881	—	42 829

ხუთიოდე წლის განმავლობაში გაგრძელებული ხელსაყრელი, თანაც ფრიად ხელსაყრელი პერიოდი არასაკმარისი აღმოჩნდა, რათა ამიერკავკასიაში მებამბეობის მეურნეობა იმდენად აღორძინებულიყო, ისეთ მაღალ დონემდე ასულიყო, რომ მსოფლიო ბაზრებზე ხელახლა გამოსულ ამერიკულ ბამბას რამდენადმე მაინც გამკლავებოდა, თუნდაც მხოლოდ რუსეთის შინაგან ბაზრებში.

ამერიკაში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, როგორც კი ევროპის ბაზრებს მოაწყდა მაღალხარისხოვანი, უკე-

---

37 С. Гулишамбаров, «Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии», Тифлис. 1888, стр. 80.

თესად დამუშავებული ამერიკული ბამბის ბოჭკო, თვით რუსეთის ფაბრიკანტებმაც ერთბაშად მიივიწყეს „მშობლიური“ ნედლეული. ამიერკავკასიურ ბამბაზე ფასები ძლიერ დაეცა და, ცხადია, შესაბამისად შემცირდა აქ ბამბის პლანტაციების ფართობიც.

ასე რომ 70-იანი წლების მიწურულისათვის ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში მებამბეობა უკვე „ყოვლად უპერსპექტივო დარგი შეიქნა“, თუმცა აქაური ბამბა, მართალია, შედარებით მცირე ზომით, მაგრამ მაინც რეგულარულად იგზავნებოდა მოსკოვში—საქართველოს სამხედრო გზით, ასტრახანით, ვოლგით[38].

---

38 И. Хатисов, «Хлопководство в Закавказье» (СМИЭБГКЗК, IV. II. стр. 308).

III. 1870 — 1920 წწ.

რუსეთის ბამბეულის მრეწველობა მე-19 ს. პირველსავე ნახევარში დიდი რაოდენობით მოიხმარდა იმპორტულ ნედლეულს. ბამბა შემოჰქონდათ ირანიდან, ქივიდან, ბუხარიდან, ეგვიპტიდან. მერმე ამერიკიდან. მე-19 ს. 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანის დამდეგს იმპორტულმა ამერიკულმა ბამბამ უკვე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რუსეთის მრეწველობაში.

მრეწველობის ყოველი დარგის მესვეურები, ცხადია, იბრძვიან შესაბამის ნედლეულთა გაიაფებისათვის. ამავე დროს ბამბის ბოჭკოს ფასები, ბამბეულის მრეწველობის განვითარების კვალობაზე, მსოფლიო ბაზრებზე მე-19 ს. 90-იანი წლებიდან მოყოლებული სულ მატულობს. როგორც ეს ნათლად ჩანს ქვემომოყვანილი ცხრილიდან (იხ. 264 გვ.).

წარმოდგენილი ცნობა გვიჩვენებს, რომ კერძოდ მოსკოვის ბაზარზე დიდი სისწრაფით იზრდება თვით მშობლიური ნედლეულის, სახელდობრ ფერგანული ბამბის ფასები, რაც 1892—1893 წწ. სეზონში უდრიდა (ფუთობით) 9.1 მან., ხოლო ათი წლის შემდეგ—11,9 მან. და კიდევ ათი წლის შემდეგ, სახელდობრ 1912—1913 წწ. კი უკვე—13,1 მანეთს. ბამბის ფასები განსაკუთრებით გაიზარდა პირველი მსოფლიო ომის წლებში, და არა მარტო რუსეთის, არამედ საერთოდ მსოფლიო ბაზრებზე—მისი დიდი სამხედრო მნიშვნელობის მეოხებით.

ამავე დროს, როგორც ცნობილია, რეფორმის მერმინდელ პერიოდში რუსეთის ბურჟუაზიული თაოსნობა სულ უფრო მეტად იბრძვის დამოუკიდებელი განვითარების გზებისათვის. 90-იანი წლების დასაწყისიდან დიდ გასაქანს პოულობს იდეა,

რომ რუსეთის მრეწველობა უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს მშობლიური ნედლეულის ბაზაზე, რომ მიღწეულ იქნეს რაც შეიძლება მეტი სიიაფე ამ ნედლეულისა და, მაშასადამე, უფრო მაღალი მოგება და დაგროვება ახალი კაპიტალდაბანდებებისა-

ეგვიპტური, ინდური, ამერიკული და რუსული ბამბის ფასები
(1 ფუთი გაწმენდილი ბამბის ფასი მანეთობით—ოქროს კურსზე)

სეზონები (წლები)	ეგვიპტური ბამბა	ინდური ბამბა	ამერიკული ბამბა	რუსული (ფერგანული) ბამბა
1891-92	7,21	5,43	5,87	9,51
1892-93	7,29	6,09	6,56	9.08
1893-94	7,03	5,43	5,97	9,85
1894-95	7,56	4,36	4,90	8,64
1895-96	8,63	5,51	6,24	9,16
1996-97	7,56	5,43	6,01	10,07
1897-98	6,32	4,76	4,94	9,97
1898-99	7,12	4,40	4,67	8,79
1899-00	9,70	6,23	6,93	9,27
1900-01	9,78	6,22	7,35	12,26
1901-02	8,90	5,97	6,81	11,81
1902-03	12,02	6,37	7,78	11,85
1903-04	12,19	7,92	9,88	13,81
1904-05	10,59	6,58	6,99	13,27
1905-06	13,17	7,12	8,47	12,18
1906-07	14,77	6,93	9,09	13,40
1907-08	12,55	7,16	8,79	14,68
1908-09	12,02	7,03	7,83	13,64
1909 10	18,68	8,99	11,19	14,23
1910-11	15,31	10,01	11,16	16,78
1911-12	13,61	8,00	8,67	14,35
1912-13	13,98	8,76	9,61	13,10
1913-14	13,44	5,36	10,34	16,10
1914-15	10,42	8,95	7,41	16,10
1915-16	14,80	8,22	10,66	18,75
1916-17	30,62	14,09	17,51	36,00

თვის, რომ მრეწველობა, კაპიტალიზმი ვითარდებოდეს არა მარტო სიფართოვით, არამედ სიღრმითაც, რომ რუსეთი დაე-

წიოს მრეწველობის მხრივ ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.[1]

ცარიზმის ხელისუფლება. რა თქმა უნდა, ცდილობს სათანადო ღონისძიებათა სისტემა დასახოს და გაატაროს ამ მიმართულებით, რაც კერძოდ მშობლიური მებამბეობის განვითარებისთვის ხელის შეწყობის მარივ იმაში გამოიხატა. რომ ევროპული საზღვრებიდან რუსეთში შემოტანილ ბამბაზე 1878 წლიდან დაწესებულ იქნა ბაჟი—1 ფუთზე 40 კაპ. რაოდენობით. შემდგომ წლებში ბაჟის ეს მოსაკრებელი სულ უფრო იზრდებოდა და უდრიდა: 1881—1887 წწ.—44 კაპ.. 1887 წლიდან—1,4 მან.—საზღვაო გზით შემოტანილზე და 1,25 სახმელეთო გზით შემოტანილზე; 1891 წლიდან. შესაბამისად. 1.4 და 1.65 მან.; ხოლო 1894 წლიდან—2.10 მან.; 1897 წლიდან—3.15 მან. და 1900 წლიდან—4.15 მან.. შემოტანის გზის განურჩევლად[2].

თავის მხრივ იმპორტულ ნედლეულზე ბაჟის დადება და მერმე მისი თანდათანობით გადიდება და, ამგვარად. შემოტანილი ნედლეულის გაძვირება. ცხადია. ხელს უწყობდა იმპერიის განაპირა ქვეყნებში. სახელდობრ შუააზიასა და ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარებას. რუსეთის ცენტრალური გუბერნიების ბამბაქსოვილის მრეწველობის მესვეურთ ამიერიდან უკვე არ შეეძლოთ არ ეზრუნათ საკუთარი ნედლეულის ბაზის ინტერესებისათვის.

აღსანიშნავია სხვა მომენტიც. სანამ რუსეთის ბამბაქსოვილის მრეწველობა უცხოეთიდან. ე. ი. იმპერიის ევროპის საზღვრებიდან შემოტანილ ნედლეულს მოიხმარდა ტრანსპორტის სიიაფე. რაც ამ საზღვრებთან სიახლოვით იყო პირობადებული, მნიშვნელოვან უპირატესობას უქმნიდა პოლონეთის (ლოძის, ვარშავის) ტექსტილურ მრეწველობას. რაც. თავის მხრივ. დიდ კონკურენციას უწევდა რუსეთის ცენტრალური გუბერნიების საფეიქრო ნაწარმს, თვით რუსეთის შინაგან ბაზრებზე. მაგრამ

---

[1] Д. Менделеев, «Мысли о развитии сельскохозяйственной промышленности», чтения второе, 1899 СПБ.

[2] ЭТЗ, I, стр. 14; КСХ, 1895, № 93; «Ежегодник Гл. управления землеустройства и земледелия», год III, 1910, стр. XXII.

აალა, თუ შუააზიისა და ამიერკავკასიის ბამბა შეიქმნებოდა მთავარი ნედლეული. მაშინ სწორედ იგივე ფაქტორი, სახელდობრ ნედლეულის სიახლოვე და, მაშასადამე, ტრანსპორტის ხარჯების სიმცირე შესამჩნევ უპირატესობას უქმნიდა ცენტრალური რუსეთის ბამბაქსოვილის მრეწველობას. საქმე ისაა, რომ 1 ფუთი ბამბის გადაზიდვა კასპიის ზღვიდან მოსკოვამდე ჯდებოდა 46 კაპ., ხოლო ლოძამდე—68 კაპ.[3].

ამგვარად, ევროპის საზღვრებიდან შემოსატან ბამბაზე მაღალი ბაჟის დაწესება და, მეორე მხრივ, მშობლიური ნედლეულის მოხმარებაზე გადასვლის პერსპექტივა დიდ სარფიანობას უხატავდა სწორედ რუსეთის ცენტრალური გუბერნიების ტექსტილურ მრეწველობას. როძელსაც ამიერიდან ზრუნვა არ უნდა დაეკლო შუააზიისა და ამიერკავკასიის შესაბამის რაიონებში მებამბეობის განვითარებისათვის.

თუ რამდენად დიდი მასშტაბისა და, მაშასადამე, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ძალისა იყო ეს მოვლენები, ამის შესახებ სავსებით გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 267)[4].

ცხრილი გვიჩვენებს, რომ 1890 წელს, ე. ი. ინდუსტრიული აღმავლობის დასაწყისში, რუსეთის ბამბეულის მრეწველობის მიერ გადამუშავებული მთელი ბამბის თითქმის 72 პროცენტი უცხოური წარმოშობის, ე. იმპორტულ პროდუქტს წარმოადგენდა და ამ მხრივ მხოლოდ 1907 წელს პირველად გადააჭარბა მშობლიური ნედლეულის ხვედრმა წონამ (52%) უცხოურისას.

---

[3] Шульце-Геверниц, «Очерки общественного хозяйства и экономической политики России», 1901, стр. 100—101.

[4] «Материалы для статистики хлопчатобумажного производства в России», 1901. СПБ; «Статистика бумагопрядильного и ткацкого производства за 1900—1910 гг.». 1911, СПБ; П. Хромов, «Экономическое развитие России в XIX—XX вв». ,1950, стр. 460—461; В. Юферов. назв. соч., стр. 467; «Статистико-экономические показатели хлопчатобумажной промышленности СССР», 1958, М.

რუსეთის ტექსტილური მრეწველობის ფაბრიკებში გადამუშავებული უცხოური და რუსული ბამბის რაოდენობა (ათას ფუთობით)

წლები	უცხოური	რუსული		სულ
		აბსოლ.	პროცენტობით	
1890	5 981	1 986	23,8	8 328
1891	6 225	2 675	28,9	9 257
1892	6 977	2 659	26,6	9 991
1893	7 397	3 616	31,7	11 397
1894	8 396	3 219	27,7	11 616
1895	8 378	3 518	28,6	12 294
1896	8 832	4 450	32,5	13 689
1897	8 815	4 471	32,6	13 704
1898	9 691	4 120	28,9	14 243
1899	10 954	5 173	32,1	16 127
1900	9 895	6 111	38,2	16 006
1901	9 384	6 739	41,8	16 123
1902	10 470	6 957	39,9	17 427
1903	12 302	5 698	31,7	18 000
1904	11 584	6 657	36,5	18 241
1905	9 852	6 830	40,9	16 682
1906	9 441	8 639	47,8	18 080
1907	9 362	10 132	52,0	19 494
1908	12 959	8 191	38,7	21 150
1909	10 509	10 765	50,6	21 274
1910	10 846	11 240	50,9	22 086
1911	13 009	10 910	45,6	23 919
1912	11 899	14 442	56,9	25 341
1913	12 011	13 861	53,5	25 872
1914	10 575	15 809	59,9	26 384
1915	8 469	17 867	67,8	26 336
1916	6 330	15 078	70,4	21 408
1917	3 285	14 653	81,6	17 938
1918	—	2 400	100,0	2 400
1919	—	1 265	100,0	1 265
1920	—	950	100,0	950

ეს იყო დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება რუსეთის ტექსტილური მრეწველობისა. შეიძლება ითქვას, რუსეთის კაპიტალიზმისა საერთოდ. მაგრამ მთლიანად მშობლიური ნედლეულის ბაზაზე დაფუძნების და, მაშასადამე, ამ ნედლეულის გაიაფების მისწრაფებით გატაცებული ბურჟუაზიული მეწარმეო-

ბის აზრი, ცხადია, სრულიადაც არ იყო მზანაწარმის გაიაფეება. პირიქით. იგი მიილტვოდა მოგების რაც შეიძლება გადიდებისაკენ და ამისათვის ყოველმხრივ იყენებდა თავის განმტკიცებულ, არსებითად მონოპოლიურ მდგომარეობას.

იმავე წლების მანძილზე, თუ როგორ იზრდება ბამბეულის მრეწველობის ძირითადი სახეობის ნაწარმთა, სახელდობრ ნართისა და მიტკალის ფასები, გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 269).

მაგრამ სწრაფად იზრდებოდა არა მხოლოდ ფასები ბამბეულის მრეწველობის პროდუქციისა, სწრაფად იზრდება აგრეთვე თვით მოხმარებაც ამ საქონლისა, რაც ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცნობაში (იხ. გვ. 269).

ამგვარად, ერთი მხრივ, ფასების ზრდა პროდუქციის ერთეულზე, მეორე მხრივ, მოხმარების ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე; რაც რაღაც ხუთიოდე წლის მანძილზე თითქმის ორჯერ გადიდდა, — ორმხრივი მოვლენაა, ორივე ერთი მიმართულებით წარმართული დინებაა, რაც ბამბეულის მრეწველობის კაპიტალის უზარმაზარ ქისას ერთვის და სულ ადიდებს.

ასეთს ვითარებაში რუსეთის ტექსტილური მრეწველობის ინტერესების დამცველ ძალებს. ცხადია, არ შეეძლოთ არ ეზრუნათ მშობლიური ნედლეულის წარმოების გაფართოებისათვის. ეს ხომ საკუთარი ჯიბის გასქელებისთვის ზრუნვა იყო.

ამ მიმართულებით დასახულ ღონისძიებათა ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა ცნობილი მოროზოვის ფირმის რწმუნებულის ვ. შჩერბაკოვის მიერ 1879 წელს კავკასიის ნამესტნიკის მთავარმმართველობაში შეტანილი განცხადება. სადაც აღნიშნულია, რომ მოროზოვისა და კომპ. ნიკოლსკის მანუფაქტურა, ტექსტილური მრეწველობის ერთ-ერთი უმსხვილესი გაერთიანება რუსეთში, მოწადინებულია შეძლებისამებრ ხელი შეუწყოს ბამბაქსოვილის წარმოების განვითარებას. სწორედ ამ მიზნით ამ კომპანიამ (ამხანაგობამ) 1870 წლის ოქტომბერს ერევნის გუბერნიაში დაიწყო ბამბის შესყიდვა, „მაგრამ წააწყდა ადგილობრივ შემსყიდველთა წინააღმდეგობას, რომელთაც, სურთ რა აქედან განდევნონ „ამხანაგობა“, ისე ასწი-

ნართისა (ფუთობით) და მიტკლის (არშინობით) ფასები რუსეთში

წლები	ნართი (მანეთობით)		1 არშინი მიტკალი (კაპიკობით)
	ორხოული № 38 (ძისა-ქსელი)	ლარული № 43 (ქსელი)	
1890	16,48	16,77	5,62
1894	16.00	16.15	4.87
1899	17.58	16,89	5,20
1900	16.68	17,00	7,00
1901	16,31	16,75	7,10
1902	15,72	16,19	7,10
1903	18,09	18.24	8,10
1904	20,38	21.98	8,60
1905	17,83	18.52	7,80
1906	20,91	21,41	9.20
1907	24,52	24.04	10,10
1908	22,05	22,62	9,80
1909	20,20	20.72	8,80
1910	23,03	23,53	10,00
1911	26,25	27.00	11,87
1913	22,75	22,50	9,50
1914	24,25	24.75	9.75
1915	35,00	35.25	14,12
1916	43.50	43,00	21,00
1917	83,00	86.75	45,50
11918	311.00	325.90	45,50

ბამბაკესოვილ ნაწარმთა მოხმარება ბოლაილეობის ეოთ სულზე რუსეთში[5]

წლები	საერთო რაოდენობა გირვანქობით		წლები	საერთო რაოდენობა გიოვანქობით
1900	3.5		1907	3.8
1901	3,6		1908	3.9
1902			1909	4,0
1903	3,8		1910	6,5
1904			1911	6,8
1905	3.4		1912	7,0
1906	3.7			

[5] В. Юферов, назв. соч., стр. 468.

ეს ადგილზე ფასი, რომ ერევნული ბამბა მოსკოვში მიტანით დაჯდა 11 მან. 25 კაპ., მაშინ როდესაც ამერიკული ბამბა მოსკოვში იყიდებოდა 10 მან. და 25 კაპ.[6].

როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, მოროზოვისა და ამხანაგობის ფირმას ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით ერევნის გუბერნიის მოსახლეობაში დასარიგებლად გაუგზავნია ამერიკული და ეგვიპტური საუკეთესო ბამბის 900 ფუთი თესლი, ხოლო ინგლისსა და ამერიკაში შეკვეთა მიუცია „ყველაზე გაუმჯობესებული Cotton-gin-ებისა, რათა ეს მანქანები, ღირებულების მიხედვით, დაერიგებინა ბამბის მწარმოებლებისთვის, აუცილებლობისას ფასის გადახდის განაწილვადების პირობითაც—ოღონდ ისაა, რომ საჭირო იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის მხრივ იმდენი მფარველობისა და დახმარების გამოჩენა, რომ მოსახლეობისთვის ეჩვენებინათ, რომ ამხანაგობამ ამ საქმეს ხელი მოკიდა არა მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის, რა მხრივაც სარფის მიღებას ახლო მომავალში არ შეიძლება მოველოდეთ, არამედ ამ მხარის კეთილდღეობისა და მისი კულტურის ამაღლებისათვის“[7].

1881 წლის 7 ივლისს ერევნის გუბერნატორი კავკასიის ნამესტნიკის მთავარმმართველობის სახელმწიფოებრივ ქონებათა სამმართველოს ატყობინებს, რომ 1880 წელს ნიკოლსკის მანუფაქტურის რწმუნებულმა შჩერბაკოვმა მართლაც დაუგზავნა მაზრის უფროსებს მოსახლეობისათვის დასარიგებლად ცხრაასი ფუთი ეგვიპტური და ამერიკული ბამბის თესლი;—„ამ რაოდენობიდან დასათესად დარიგდა: ერევნის მაზრაში—12,5 ფუთი, შარურ-დარალაგიოზის მ.—126 ფ., სურმალოს მაზრაში—5 ფ., ეჩმიაძინის მ.—56 ფ. და 7. გირ. და ნახჭევანის მ.—51 ფუთი“[8].

შემდეგ, ხსენებული მაზრების უფროსთაგან მიღებული ცნობით, უმრავლეს შემთხვევაში დათესვა დროულად ვერ მო-

---

[6] საქ. სსრ ცსია, ფონდი 241, საქმე № 1644, ფურც. 10.

[7] იქვე, ფურც. 10, მეორე გვერდი.

[8] იქვე, ფურც. 12.

ეწყო, ხოლო სადაც დათესეს იქ მცენარემ სრული განვითარება და ბამბის ხოკერმა მთლიანად დამწიფება ვერ მოასწრო, რის გამოც „მცხოვრებთ ხელსაყრელად არ მიაჩნიათ მომავალში დასთესონ ეს თესლები“[9].

მაინც, ერევნის გუბერნატორს მიაჩნია. რომ ნიკოლსკის მანუფაქტურის ამ წამოწყების წარმატებისათვის „მიზანშეწონილი იქნება, რომ მანუფაქტურამ აქეთ გამოგზავნოს თავისი აგენტები, რომლებიც თვით ჩაატარებენ ერევნის გუბერნიაში თესვის ცდებს და კარგადაც მოუვლიან ამ ნათესებს. მაშინ, თუ ნათესები კარგ მოსავალს მოიტანენ, მოსახლეობა დაინახავს რა წარმატებას. მოიწადინებს ხელი მოკიდოს ამ საქმეს. ხოლო ბ-ნ შჩერბაკოვის ღონისძიება, რაც. მხოლოდღა იმაში მდგომარეობდა, რომ მოსახლეობას თესლი დაურიგა პოლიციის სამმართველოების მეშვეობით,—საეჭვოა რომ იყოს მიზანშეწონილი“, როგორც ამას დასახელებული მაგალითი მეტყველებსო[10].

მე-19 ს. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიური ბამბის საკითხით დიდად დაინტერესდნენ აგრეთვე ა. კორზინკინის იაროსლავის მანუფაქტურის. ვ. ალექსეევის (მოსკოვი), პოზნანსკის (ლოძი), ჩითახოვის (თბილისი) და ბამბეულის სხვა საფეიქრო ფირმები. რომლებიც მოროზოვის ფირმის ანალოგიურ ღონისძიებებს ატარებდნენ ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, მაგალითად. რომ 1887 წელს პოზნანსკის ფირმამ ერევნის გუბერნიაში იწყო ამერიკული ბამბის თესლის დარიგება, ეს ფირმა ზოგჯერ ბამბის ნათესებზე იძლეოდა მცირეოდენ ავანსებსაც კი; ხოლო მებამბეობის ცენტრებში. აგდაშს, გეოქჩაის. ქიურდამირს. ლიაქსა და სხვ. მან დადგა ბამბის საწმენდი ჯინები და დასატკეცი პრესები. ქუთაისის გუბერნიაში ბამბის ნათესების გაფართოების მიზნით ანალოგიურ წამქეზებელ ღონისძიებებს ატარებდნენ აგრეთვე მოროზოვის,

---

[9] იქვე. ფურც. 12, მეორე გვერდი.

[10] იქვე. ფურც. 13.

კორზინკინისა და კომპ. და სხვა ფირმები. ამავე ხანებში დაიწყო ბამბის პლანტაციების სწრაფი გაფართოება თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრასა და ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების შესაბამის რაიონებში.

80-იანი წლებიდან რუსეთის ფაბრიკანტების მშობლიური ნედლეულისადმი, კერძოდ მებამბეობისადმი ყურადღების გაძლიერებას იწვევდა კიდევ სხვა გარემოებაც, როგორც ამას თავის დროზე აღნიშნავდა ი. სეგალი: „უცხოეთის ბაზრებზე ჩვენი ფულის კურსის გამუდმებული რყევის შედეგად ყოველი გარიგებისას უნდა ეთამაშათ მანეთის გარშემო; ეს გარემოება არა მხოლოდ უაღრესად უარყოფითად მოქმედებდა ჩვენი ფაბრიკული წარმოების ფინანსურ-ეკონომიკურ მხარეზე, არამედ ამასთანავე დაკავშირებული იყო დიდ რისკთან, რამაც აღძრა რუსი ფაბრიკანტები, რათა რაც შეიძლება მეტი ბამბა შეესყიდათ რუსეთის განაპირა ქვეყნებში"[11], და, მაშასადამე, ყოველმხრივ ხელი შეეწყოთ აქ მებამბეობის განვითარებისთვის[12].

მე-19 ს. 80-იანი წლების ბოლოს ამიერკავკასიაში სავაჭრო მიწათმოქმედების სახით მებამბეობა განვითარებული იყო უპირატესად ყუბის[13], არეშის[14], ბორჩალოს[15], სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის მაზრებსა და განსაკუთრებით კი ერევნის გუბერნიის არაქსისპირა ველებში[17].

მებამბეობა აქ იმ დროს თითქმის მთლიანად გლეხური მეურნეობის დარგს წარმოადგენდა. „არსად არ არის არავითარი ბამბის პლანტატორები, როგორც ამერიკაშია, არ-არის მემამულეებიც კი, რომლებიც მიწათმოქმედების სხვა პროდუქტებთან

---

[11] И. Сегаль, «Сборн. свед. о Елисаветпольской губ»., I, стр. 112—113.

[12] Газ. «Тифлисский листок», 1912, № 30.

[13] МИЭБГКЗК, II, I, 351.

[14] Там же, VII, 167; «Обзор Елисаветпольской губ. за 1910 г»., стр. 41—45.

[15] МИЭБГКЗК, VII, 480.

[16] Там же, II, II, 282.

[17] И. Хатисов, «Хлопководство в Закавказье» (СМИЭБГКЗК, IV, II, 279).

ერთად აწარმოებდნენ ბამბასაც. გლეხი, ჩვეულებრივ, ყოველწლიურად, ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად, თავისი მცირეოდენი ნადელიდან გარკვეულ ნაკვეთს გამოყოფს ბამბის სათესად. ამიტომაც ცალკეული პლანტაციის სიდიდე არ აღემატება რამდენსამე დესეტინას. შეძლებული გლეხები მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში სთვლიან ხელსაყრელად დამატებით იჯარით აიღონ მემამულის თავისუფალი მიწები ბამბის სათესად[18].

ქვემოთ ი. ხატისოვი, როგორც გამონაკლისს, ასახელებს მოროზოვის ფირმას, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ეწევა ბამბის დიდი პარტიობით შესყიდვას, 1888 წელს აქ, თბილისის მაზრაში, ყარაიას ველზე გაიჩინა „არადიდი საკუთარი პლანტაცია 104 დესეტინაზე"[19].

ამ დროისთვის ამიერკავკასიაში კვლავაც დიდი სივრცეები ეჭირა „ადგილობრივი ჯიშის" ყარა-ყოზას, რაც გავრცელებული იყო განსაკუთრებით ერევნის გუბერნიაში. ამერიკული სორტებიდან ყველაზე უფრო სწრაფად ვრცელდებოდა ნიუორლეანის სახეობა, რომელიც 50-იანი წლების მიწურულიდან ნელ-ნელა იკაფავდა გზას და 80-იანი წლების ბოლოს ერევნის გუბერნიაში, სადაც იგი იძლეოდა მეტ მოსავალსა და უკეთესი ხარისხის პროდუქტს[20], არსებითად უკვე გაბატონებული შეიქნა; 1887 წელს მთელი ბამბის მოსავლის ორი მესამედი უკვე ამ სორტზე მოდიოდა. ქუთაისის გუბერნიაში ამ დროს უკვე ყველგან თესავდნენ ეგვიპტურ ბამბას, რომელიც აქ ფართოდ გავრცელდა უკვე მე-19 ს. პირველსავე ნახევარში[21].

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიაში მებამბეობის აღმავლობის ზოგიერთ მთავარ მომენტს შემდეგნაირად აგვიწერს ლ. რუმა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი.

---

[18] იქვე, გვ. 280.

[19] იქვე, გვ. 281.

[20] Н. Таратынов, «О культуре хлопчатника» (ТКОСХ, 1891. № 7—8, стр. 292).

[21] СМЭБГКЗК, IV, II, 283.

ოთხმოციანი წლების ბოლოდან რუსი მანუფაქტურისტები, საიმპორტო ბამბაზე ბაჟის დაწესების შემდეგ ამ ბაჟის სისტემატური გადიდების გამო, იძულებული შეიქნენ „ყურადღება მიექციათ მშობლიური მებამბეობისათვის". აქ ინიციატორად გამოვიდა მოროზოვის ფირმა, რომელმაც მიიწვია აგრონომები სობოლევსკი და ბროდსკი და მათ დაავალა ჯერ ადგილებზე შეესწავლათ რუსული მებამბეობის მდგომარეობა, ხოლო შემდეგ ამავე მიზნით ისინი ჩრდილოეთ ამერიკაში მიავლინა. მანუფაქტურისტებმა იწყეს მოსახლეობის მომარაგება ამერიკული სორტის ბამბის თესლით. ამასთანავე სულ მალე აღმოჩნდა, რომ ამიერკავკასიის კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში ბევრად უფრო ხელსაყრელია King-ს სორტი, რომელიც შემდეგში მართლაც ყველაზე უფრო გავრცელდა და პოპულარული გახდა ამიერკავკასიაში და რომელმაც აქედან გამოდევნა არა მხოლოდ ირანული ყარა-კოზა, არამედ თავისი ამერიკული თანამოძმეებიც. კერძო ინიციატივის პარალელურად გაძლიერდა ადმინისტრაციის საქმიანობაც მებამბეობის განვითარების სფეროში. სწორედ ამ დროს იყო. რომ მოიწვიეს აგრონომი ნ. პ. ტარატინოვი ამიერკავკასიაში მებამბეობის საქმის გამგებლად. მასვე დაევალა ეწარმოებია ჯერ ქ. ერევანს, სერდარის ბაღში, ხოლო მერმე ყარაიას ბამბის კულტურის დანერგვა-გავრცელების ცდები[22].

მე-19 ს. 80-იანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებით შემოტანილ ბამბაზე ბაჟის ახალი მომატების შემდეგ, მას მერმე რაც ბამბა საყოველთაო ყურადღების საგანი შეიქნა და მისი ნათესებიც სწრაფად ვრცელდებოდა (განსაკუთრებით ერევნის გუბერნიაში), ბამბისადმი დამოკიდებულება ზოგიერთი ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი წრეების მხრივ მკვეთრად შეიცვალა.

დაიწყო მებამბეობის დევნა, ავრცელებდნენ ხმებს, რომ თითქოს ის არის მიზეზი გუბერნიაში პურის გაძვირებისა და თვით შიმშილიანობისა, რადგანაც ვაკე ადგილების ვითომდა მთელმა მოსახლეობამ ხელი მიჰყო ბამბის თესვას და თითქოს

---

22 Л. Рума, «Очерки и исследования», т. I, 59—60.

შემცირდა მარცვლეულის ნათესები და ხელი აიღეს სხვა კულტურებზედაც.

1889 წელს, ამ მხრივ დაწყებულმა ყრუ მითქმა-მოთქმამ, მხარდაჭერა ჰპოვა ერევნის გუბერნატორის თავად შალიკაშვილის სახით, რომელმაც პურის ნაკლებობისა და შიმშილიანობის მიზეზად აშკარად დაასახელა მებამბეობის მეტისმეტი განვითარება და გავრცელება. ამ კულტურის შესახებ ასეთი შეხედულების გამო აუცილებელი შეიქნა თვით სახელმწიფოს საშუალებით წარმოებული ბამბის საცდელი თესვის შეწყვეტაც კი. შემდგომში მებამბეობისადმი მტრული დამოკიდებულება უფრო და უფრო ფეხს იდგამდა და ვითარდებოდა ადმინისტრაციულ წრეებში და მან თავის აპოგეას 1894 წელს მიაღწია, როდესაც ერევნის ახალმა გუბერნატორმა ფრეზემ კავკასიის მთავარმმართველობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გუბერნიაში შიმშილიანობის თავიდან აცილების მიზნით, „კანონმდებლობითი წესით ყოფილიყო შეზღუდული ბამბის ნათესების გავრცელება“.

მებამბეობის ასეთმა დევნამ[23], რამაც საკმაოდ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მოსახლეობის მასებში და რასაც მხარს უჭერდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის მაღალ წრეებში, ცხადია, რუსეთის ტექსტილური მრეწველობის მესვეურთა ყურადღება მიიქცია.

რუსეთის ბამბეულის მრეწველობის ინტერესთა სადარაჯოზე მდგარმა ნ. ტარატინოვმა მოხსენებითი ბარათი მიართვა 1894 წ. ამიერკავკასიაში ჩამოსულ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა მინისტრს ა. ერმოლოვს.

ნ. ტარატინოვი უწინარეს ყოვლისა მინისტრს მიმართავდა თხოვნით, რათა უკანასკნელი გამოსულიყო როგორც მებამბეობის ქომაგი; იგი ამტკიცებდა მებამბეობის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების უსაფუძვლობას. ნ. ტარატინოვი წერდა: ერევნის გუბერნიაში ბამბის მოსავლის 1886 წლიდან 1893

[23] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 293, ფურც. 70.

წლამდე 157 ათას ფუთიდან 500 ათას ფუთამდე გადიდებასთან ერთად შეიმჩნეოდა პურეულთა ნათესების გაფართოებაც. 1880 წელს აღებულ იქნა 251 ათასი ჩეტვერტი პურეული, ხოლო 1892 წელს კი ამ მოსავალმა 517 ათას ჩეტვერტს მიაღწიაო. მართალია. ნ. ტარატინოვის სტატისტიკა თვითნებურად შერჩეულ ციფრებს ემყარებოდა. მან პურეულის წარმოებაში ერთმანეთს შეუდარა ნაკლებ მოსავლიანი და უხვმოსავლიანი წლები. თანაც შესადარისობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც არ დაიცვა; მაგრამ, როგორც ჩანს, მას საკმაოდ კარგად ესმოდა სტატისტიკის პოლიტიკური ენის მნიშვნელობა ძლიერი მხარის ხელში და სწორედ ამიტომაც ადვილად გაიმარჯვა. „მებამბეობა აღდგენილ იქნა თავის უფლებებშიო“, აცხადებდა, ოციოდე წლის შემდეგ, ლ. რუმა, ნ. ტარატინოვის საქმეთა ერა უკრიტიკო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ერთგული გამგრძელებელი.

მაგრამ საკითხის არსობა უფრო მრავალწახნაგოვანი და რთული იყო, ვინემ ეს ცარიზმის ადმინისტრაციის ადგილობრივ მოხელეებს ჰქონდათ წარმოდგენილი. მოვლენათა განვითარება საერთოდ სოფლისმეურნეობრივი წარმოების დარგთა და კულტურათა შესაბამის შეთანაწყობისა და გაადგილებისაკენ მიემართებოდა. მაგრამ არსებულ ვითარებაში იგი, ცხადია, სტიქიური პროცესის სახით მიმდინარეობდა და თავის გამოვლინებას საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ზედაპირზე ურთიერთს დაჯახებული სხვადასხვა სოციალური კლასის ინტერესების დამცველთა შორის არსებული წინააღმდეგობის სახით წარმოგვიდგენდა.

ამიერკავკასიაში მებამბეობის შემდგომი განვითარება სულ უფრო მეტ გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგზე და საერთოდაც მთელი სოფლის მატერიალურ და კულტურულ დონეზე, სოციალურ ყოფიერებაზე.

სმკს სპეციალისტი ს. პონიატოვსკი 1894 წელს წერდა. რომ არეშის მაზრის „გლეხობის მთელი საუკეთესო იმედები დამყარებულია სახელდობრ მებამბეობაზე, რომელსაც აქ დიდი მომავალი აქვს, თუ კი ამერიკა შესწყვეტს ასე მედგრად

იმუშაოს პირდაპირ თავის საზარალოდ და არ მოამარაგებს მსოფლიო ბაზარს ისე ფრიად დაბალ ფასებში, რაც მან ახლა დაადგინა"[24].

ამგვარად, აქ შემჩნეულია ის მომენტი, რომ ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარება უკვე მარტოოდენ რუსეთის ბამბეულის მრეწველთა ხუშტურზე როდი იყო დამოკიდებული, რომ ამიერკავკასიის სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებაზე და, მაშასადამე, სპეციალიზაციასა და გაადგილებაზე უკვე დიდ გავლენას ახდენდა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა საერთოდ და მსოფლიო ბაზარი კერძოდ.

უფრო დასაბუთებული და მოფიქრებულია ნ. ტარატინოვის ის მოხსენება, რაც მან იმავე 1894 წელს წარუდგინა სმკს: „ბამბის ბუჩქის როლი სხვა სოფლისმეურნეობრივ მცენარეთა შორის". მომხსენებელი ასკვნიდა: „ბამბის ბუჩქი თავისი შემოსავლიანობით მნიშვნელოვნად აღემატება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ყველაზე გავრცელებულ სამეურნეო მცენარეებს: ხორბალს, ქერს, იონჯას, ქუნჯუთს, ბრინჯს და სხვ. გარდა მაღალი შემოსავლიანობისა ბამბის ბუჩქს კიდევ ის უპირატესობა აქვს მათს წინაშე, რომ მის კულტურას არ სჭირდება ისე უხვად სარწყავი წყალი, როგორც სხვა დასახელებული მცენარეების მოყვანას, ხოლო წყლის ხარჯვის ეკონომია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც მოურწყველად არავითარი კულტურა არ იხეირებს, უმნიშვნელო რამ როდია".

აქედან გამომდინარე ნ. ტარატინოვი რეკომენდაციას იძლეოდა: რადგან ბრინჯს ბევრი სარწყავი წყალი სჭირდება, „მისი ნათესების ფართობის მოწესრიგების, თვით შემცირებისა და ბამბის კულტურის გაფართოების შედეგად, მოსახლეობა არამცთუ არაფერს არ დაკარგავს, პირიქით ფრიად მოიგებს მეურნეობრივი თვალსაზრისით, რაც შეეხება დასავლეთ ამიერკავკასიას, ე. ი. ქუთაისის გუბერნიას, აქ მისი ცალმხრივობა, რაც იმაში იხატება, რომ იგი მხოლოდ სიმინდის ერთ კულტურაზეა (მონოკულტურაზეა) გადასული და ფილოქსერის გავრ-

[24] КСХ, 1894, № 109, стр. 820.

ცელებასთან დაკავშირებით საშიშროება იქმნება, როგორღაც ისე არ მოხდეს, რომ აქ ახლო მომავალში, წარმოიშვას სოფლის მეურნეობის კრიზისი, თუ კი არ ვიზრუნეთ გავრცელებაზე ბამბის კულტურისა, რისი მოვლა-პატრონობა მოსახლეობისთვის კარგადაა ცნობილი"[25].

სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ, მოისმინა რა ნ. ტარატინოვის მოხსენება, თუმცა ბამბის კულტურის უპირატესობანი საფუძვლიანად მიიჩნია, მაგრამ მაინც აღნიშნა, რომ „პურეულთა ფართობის შემცირებას, მოუსავლიანობის დროს, არსებული სამიმოსვლო გზების ვითარებაში, შეუძლია გამოიწვიოს ფრიად მძიმე შედეგები, რამდენადაც სხვა ადგილებიდან მარცვლეულის მოტანა შეიძლება გაძნელდეს"[26].

ამასთანავე სმკს სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, რომ „ამიერკავკასიაში არის უზარმაზარი ფართობი ნაყოფიერი მიწებისა—მუღანისა და მილის ველები—რითაც სარგებლობა ახლა მოსახლეობას არ შეუძლია, მათი ურწყულობისა გამო, ხოლო თუ მთავრობა ხელს მოკიდებს მათი გაწყლიერების საქმეს, რაც არა ერთხელ იყო განზრახული, მაშინ აქ ბამბის წარმოება შეიძლებოდა რამდენიმე მილიონ ფუთამდე გაზრდილიყო და მილიონობით მანეთები, რაც საზღვარგარეთული ბამბის შეძენაზე იხარჯება, ჩვენსავე სახელმწიფოში დარჩებოდა და სახალხო კეთილდღეობის განვითარებას მოხმარდებოდა"[27].

სმკს ბამბის კულტურის პერსპექტივის უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით საჭიროდ მიიჩნია მოწყობილიყო საცდელი სადგურები—ერთი თბილისისა და მეორე ქუთაისის გუბერნიაში[28]. მებამბეობის საცდელი სადგურებისა და პლანტაციების შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება მსჯელობა და ამიტომ აქ არ შევჩერდებით.

---

25 ОДКОСХ. I, стр. 73—74.
26 იქვე, გვ. 74.
27 იქვე, გვ. 75.
28 იქვე.

ადგილობრივ ოფიციალურ სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ რუსეთის ბამბაქსოვილის მრეწველობასა და, მაშასადამე, თვით ხელისუფლებას ნორმალურ ვითარებაში არ შეეძლო არ ეზრუნათ ამიერკავკასიის მებამბეობის შემდგომი განვითარებისათვის, რადგან, როგორც ი. სეგალი წერდა: „რუსეთის განაპირა ოლქებიდან ამიერკავკასია ყველაზე უფრო ახლობელი ქვეყანაა, რომელსაც თავისი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებით შეუძლია აწარმოოს ბამბა, რომლის მიზიდვა რუსეთის საფაბრიკო ცენტრებში მნიშვნელოვნად უფრო იაფი ჯდება, ვინემ შუააზიის ოლქებიდან. აი რატომაა, რომ, მიუხედავად ბამბის დიდი რაოდენობისა, რაც ამ შორეულ ქვეყნებში მოჰყავთ, რუსეთის ფაბრიკანტები ყოველთვის ეცდებიან, არამცთუ დაიცვან, არამედ განავითარონ კიდევაც მებამბეობა ამიერკავკასიაში, სადაც კი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებით ეს შესაძლებელია. რუსეთის ბამბაქსოვილის ფაბრიკები ყოველწლიურად ეწევიან (1899—1902 წწ.) 12 000 000 ფუთამდე ბამბის გადამუშავებას და მე-19 ს. 80-იანი წლების ბოლომდე ბამბის მთელი ამ რაოდენობის ცხრამეათედი საზღვარგარეთიდან შემოქონდათ“[29].

ამავე დროს თურქესტანსა (შუააზიასა) და ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარების შესაბამისად სულ უფრო მცირდება უცხოური ბამბის შემოზიდვა რუსეთში. ასე. მაგალითად, 80-იანი წლების მდგომარეობასთან შედარებით 90-იან წლებში საზღვარგარეთული ბამბის შემოტანა შემცირდა 30 პროცენტით, ხოლო 1901 წლისთვის—50 პროცენტით.

ამგვარად, არსებული სიტუაცია, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ისეთი იყო, რომ ადმინისტრაციას არ შეეძლო ამიერკავკასიაში სისტემატურად არ წაექეზებინა მებამბეობა, რაც შესაბამის რაიონებში მაღალ შემოსავლიან დარგს წარმოადგენდა და, მაშასადამე, იზიდავდა მოსახლეობასაც.

---

[29] И. Сегаль, «Сб. свед. о Елисаветп. губ.», т. I, стр. 127—128; РТКЭЖД, стр. 653—668; И. Иоселиани, назв. соч., стр. 72.

90-იანი წლების მიწურულიდან, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში, მაგალითად, არეშის მაზრაში ძლიერი გაქანება ჰპოვა მებამბეობამ. სმკს კორესპონდენტი ქ. ტირაცუნიანი წერს (1897): „არეშის მაზრაში მებამბეობა ყოველწლიურად მატულობს... გამუდმებულად ჩნდება გლეხობაში მრავალი ახალი მსურველი ხელი მოკიდოს ბამბის კულტურას... ყველგან სადაც კი შეიძლება სთესენ ბამბას, ეწევიან ბამბის მოყვანის ცდებს. ხალხი გაიტაცა სხვების მაგალითმა და იმ სარფიანობამ, რასაც მებამბეობა იძლევა. მრავალი გლეხი საკუთარი მიწის უკმარობის გამო ყიდულობს ან იჯარით იღებს მიწას. თუ მხედველობაში მივიღებთ მებამბეობით მოსახლეობის დაინტერესებულობას, მნიშვნელოვან სარფიანობას, რასაც ის იძლევა და ბამბის პლანტაციების შედარებით გაფართოებას... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში არეშის მაზრა გადაიქცევა მებამბეობის ერთ-ერთ უმდიდრეს რაიონად“[30].

ამ ხანებში მებამბეობის აღმავლობა საერთო მოვლენა იყო ამიერკავკასიის თითქმის ყველა რაიონში. ს. ტიმოფეევი, მაგალითად, აღნიშნავდა (1900) ბამბის პლანტაციების ფართობის ახალი გადიდების ფაქტს ქუთაისის გუბერნიაშიც-კი[31]. მაგრამ დას. ამიერკავკასიაში მებამბეობის გავრცელებას გზას უღობავდა არა მხოლოდ მცირემიწიანობა, არამედ, ადგილობრივ პირობებში, სხვა უფრო შემოსავლიანი და უფრო ტრადიციული დარგები მემცენარეობისა.

1897 წელს კავკასიური მებამბეობის მდგომარეობის მიმოხილვაში ნ. ტარატინოვი აღნიშნავს, რომ ქუთაისის გუბერნიაში „უკანასკნელ წლებში მებამბეობა არამცთუ არ გაფართოვებულა, არამედ ნამდვილად კიდევ უფრო დაეცა. ფრიად ნესტიანი გუბერნია ისედაც უმნიშვნელო რაოდენობით იძლევა ბამბის მოსავალს, ხოლო უკანასკნელი უაღრესად წვიმიანი (ჭყვიჟორი) და შედარებით ცივი სამი წლის განმავლობაში ბამბის მოსავალი კიდევ უფრო შემცირდა და მისი ხარისხიც ძლიერ ცუ-

---

30 КСХ, 1897. № 161, стр. 98—99.
31 ОФК в 1900 г., 1902, II, стр. 16.

დი გამოვიდა, ე. ი. მოუმწიფებელი, ყვითელი, ნესტიანი. ყველაზე მსხვილმა ფირმამ ი. პოზნანსკისა. რომელიც ეწეოდა აქ ბამბის შესყიდვას, 1895 წლიდან სავსებით შესწყვიტა ოპერაციები, ხოლო ბამბის წვრილმა შემსყიდველმა ებრაელებმა მკვეთრად დასწიეს ბამბის ფასები და კიდევ უფრო გააძლიერეს ადგილობრივ მებამბეთა ექსპლოატაცია"[32].

ბამბის სათესლე მასალაზე მოთხოვნა ქუთაისის გუბერნიიდან, შეიძლება ითქვას, ფრიად უმნიშვნელო იყო... ადმინისტრაციაც ამ მხრივ დიდ უყურადღებობას იჩენდა და 1897 წ. იმ ისედაც უმნიშვნელო მოთხოვნის მხოლოდღა უმნიშვნელო ნაწილი იქნა დაკმაყოფილებული... განაწილდა სულ 40 ფუთი სათესლე მასალა[33].

რაც შეეხება ელისავეტპოლის, ბაქოს, თბილისისა და თვით ერევნის გუბერნიას აქ მე-20 ს. დამდეგიდანვე დაიწყო მებამბეობის ახალი აღმავლობა, რაც განსაკუთრებით გააქტიურდა მე-20 ს. პირველი ათეულის მიწურულიდან.

საქმე ისაა, რომ 1910 წლიდან მებამბეობის პრობლემა განსაკუთრებით ფართო და მწვავე მსჯელობის საკითხი ხდება, სახელდობრ იმის გამო, რომ უკვე დაიწყო ლაპარაკი აშშ შტატებთან სავაჭრო ხელშეკრულების გაწყვეტის შესაძლებლობის თაობაზე. როგორც ვიცით, რუსეთის ბამბეულის მრეწველობა მოიხმარდა დიდძალ ამერიკულ ნედლეულს და ამ ნედლეულის იმპორტის არამცთუ შეწყვეტის, არამედ უბრალო შეფერხების შემთხვევას დიდი ზიანის პოტენციალი შეეძლო.

უკვე პრესა, პუბლიცისტიკა ალაპარაკდა მოსალოდნელი „ბამბის შიმშილობის" შესახებ. მსხვილი საფეიქრო ფირმები იწყებენ თადარიგის დაჭერას, ნედლეულის მარაგების დაგროვებისთვის ზრუნვას, რასაც, ბუნებრივია, არ შეეძლო არ გამოეწვია ბაზრებზე ბამბის ფასების შედარებით სწრაფი აწევა და, მაშასადამე, ბამბის ნათესების გაფართოებაც.

---

[32] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 239, ფურც. 75—76.

[33] იქვე, ფურც. 76.

სულ ერთბაშად ამ მოძრაობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ თვით ნ. ტარატინოვი, რომელიც აქამდე სულ მხოლოდღა იმის ცდაში იყო, რათა რაც შეიძლება წაექეზებინა მებამბეობის განვითარება, ახლა, 1911 წლის 30 მარტს, სმკს საერთო კრებაზე აცხადებდა:

„მრავალი სოფლის მეურნე იმდენად მოიხიბლა ბამბის მაღალი ფასებით, რომ მათ უკანასკნელ ხანებში თითქმის სავსებით მიატოვეს სოფლის მეურნეობის სხვა დარგები და მიაწყდნენ ბამბის თესვას, და ისეთი მასშტაბით, რომ პლანტაციების დასამუშავებლად არ კმარა მუშახელი, ხოლო მორწყვისას იგრძნობა წყლის ნაკლებობა“.

ქვემოთ მას მოჰყავს ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ ყარაიაში 1910 წელს ბამბის ნათესების საერთო ფართობი შეადგენდა 923 დესეტინას, ხოლო 1911 წელს ამ ციფრმა უკვე ერთბაშად 2 500 დესეტინას მიაღწია.

„ბამბის ციებცხელება მოედვა ბაქოს, ერევნის, ელისავეტპოლისა და ნაწილობრივ თბილისის გუბერნიას. ამ აჟიოტაჟის მეოხებით ხელფასი და მიწის იჯარის ქირა ორჯერ და ზოგან სამჯერაც კი გაიზარდაო“[34]. ამასთანავე ნ. ტარატინოვი ვარაუდობდა, არსებითად მებამბეობით ასეთი გატაცების მოწინააღმდეგეთა ბანაკს ამშვიდებდა, რომ ეს გატაცება ახლა მალე დაცხრებაო.

სინამდვილეში მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდა. მებამბეობით გატაცება უფრო ფართოვდებოდა და „ბამბის ციებცხელება მოედვა და ედება არა მხოლოდ მსხვილ და საშუალო მიწათმფლობელებს, არამედ, და ეტყობა უფრო მეტი ზომით, წვრილ მიწათმფლობელებს—გლეხობას“. ასე, მაგალითად, 1912 წელს ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრაში, სმკს კორესპონდენტის სიტყვით, „შეიმჩნევა გრანდიოზული ტენდენცია გადავიდნენ მებამბეობაზე, რასაც აქ უჭირავს მთელი სახმარი მიწების ფართობის ორმესამედზე მეტი. უნდა ვიფიქროთ, რომ მებამბეობა საბოლოოდ გამოდევნის პურის წარმოებას. აქ

[34] КХ, 1912, № 5, стр. 9.

მებამბეობის გავლენით შეიმჩნევა მეცხოველეობის შემცირება რამდენადაც მცირდება საბალახოდ სახმარი მიწები“.

სმკს კორესპონდენტი გეოქჩაის მაზრიდან, ვეტექიმი ი. ცინცაძე იტყობინება (1911), რომ „უკანასკნელ ორ წელიწადში მცირდება საძოვართა ფართობი, რადგან მოსახლეობა გატაცებულია ბამბის თესვით“. ს. ბაშინჯალიანი იწერება (1911), რომ „მიმდინარე წელს ყუბის მაზრაში მიმდინარეობს ბამბის გაძლიერებული თესვა. ასე, მაგალითად, ნიუშქიურის დაბლობში ზოგიერთ მეპატრონეთა მიერ დათესილია 1 000 დეს. მეტი ფართობი“.

ელისავეტპოლის გუბერნიაში, განსაკუთრებით ელისავეტპოლის მაზრაში „მებამბეობამ თითქოსდა სავსებით უკან გადასწია სოფლის მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგი და მოსახლეობამ. როგორც გაზ. „Тифлисские Ведомости-ს“ კორესპონდენტი წერდა, ბამბის თესვა დაიწყო არა მხოლოდ მინდვრებსა და საერთოდ მიწის თავისუფალ ნაკვეთებზე, არამედ ბაღებსა და ბოსტნებშიც კი. მრავალმა გლეხმა თითქმის მთელი თავიანთი მიწის ნაკვეთები ბამბით დათესა. ამავე მიზნით ევრი მიწები აიღეს იჯარით კაპიტალისტებმა, რომელთაგან ზოგიერთმა სასწრაფოდ დაიწყო აგრეთვე ბამბასაწმენდი ქარხნის მშენებლობა“. შედეგად ყოველივე ამისა მთელ გუბერნიაში. ხოლო პირველ რიგში კი ელისავეტპოლის მაზრაში „ძლიერ შემცირდა ქერისა და ხორბლის ნათესები, აიწია საიჯარო ქირა და წარმოიშვა მუშახელის ნაკლებობა“.

მაგალითად, 1911 წელს ქ. განჯაში (ელისავეტპოლში) „გაძნელდა მზარეულთა, ლაქიების. ფარეშთა, მრეცხავების, ქვისმთლელთა, მხერხავთა და სხვ. შოვნა. მთელი მუშახალხი, მაღალი ხელფასით მოხიბლული, ფართო ტალღებად მიაწყდა ბამბის პლანტაციებს, რაც გადაშლილი იყო მთელს მაზრაში, მთიანი ზოლის გამოკლებით“[35]. ამგვარად, „საეჭვო არაა, რომ საქმე გვაქვს ბამბის აჟიოტაციასთანო“,—ამთავრებდა კორესპონდენტი.

---

[35] КХ. 1912. № 5, стр. 10.

ყოველსავე ამას, როგორც აღვნიშნეთ, ხელი შეუწყო აშშ-სა და რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების გაწყვეტის შესაძლებლობამ. საქმე ისაა, რომ რუსეთს ამერიკიდან ამ ხანებში ყოველწლიურად შემოჰქონდა 140.000.000 მანეთის ბამბა. სწორედ ამიტომ, როგორც ოფიციალურ, ისე ვაჭრობა-მრეწველობის მესვეურთა წრეებში „დღის ლოზუნგად“ გადაიქცა საკითხი „უნდა გვქონდეს საკუთარი ბამბა, უნდა გვქონდეს რადაც არ უნდა დაჯდეს“.

ამ ლოზუნგით ამოძრავებულმა ხელისუფლებამ 1911 წელს ხარჯთა ნუსხით გათვალისწინებულზე დამატებით გასცა ნახევარ მილიონამდე მანეთი თურქესტანსა და ამიერკავკასიაში სარწყავი არხებისათვის. პეტერბურგიდან თბილისში კავკასიის ნამესტნიკს ეკითხებიან, თუ რა რაოდენობის ფულადი თანხაა საჭირო ამიერკავკასიაში მებამბეობის ფართოდ გავრცელებისთვის, მუღანის ველზე მებამბეობის საცდელი პლანტაციის მოსაწყობად და სხვ. მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს ეკისრება დასახოს ყველა საჭირო ღონისძიება მებამბეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამიერკავკასიისკენ იგზავნიან ბამბის დიდძალ თესლს და ა. შ.[36]

ამგვარმა, მებამბეობით გატაცების, ასე ვსთქვათ, საყოველთაო ხასიათის მოძრაობამ დიდად დააფიქრა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მეჭირნახულენი; ესენი უკვე იწყებენ ქადაგს ზომიერებისათვის, თორემ, მებამბეობა, მართალია, ძლიერ მომგებიანი დარგია, მაგრამ კაპრიზიანიცაა. შეიძლება უამინდობამ, მავნებლებმა და სხვ. გააფუჭოს, შეიძლება მსოფლიო ბაზარმა სულ სხვა პირი უჩვენოს. ბამბის ფასი დაეცეს და საქმე ისე წარიმართოს, რომ „შეიძლება უბამბოდ და უპუროდ“, ანდა—„ბამბიანად და უპუროდ დავრჩეთო“[37].

მაგრამ ისე დიდი იყო გაქანება, რომ მებამბეობის განვითარება ვერ შეაჩერა 1911 წელს ფასების ძლიერმა დაცემამაც

---

[36] КХ, 1912, № 6, стр. 5.

[37] П. Петрович (Авдеев).«К вопросу о хлопковом ажиотаже в Закавказье», КХ, 1912, № 5, стр. 9—11.

კი. 1910 წელს 1 ფუთი ბამბა იყიდებოდა 12—15 მანეთად, ხოლო 1911 წელს ეს ფასები დაეცა 9,5—11.0 მანეთამდე. სმკს სპეციალისტის დასკვნით, „ბამბის ფასების ყველგან ესოდენ ფრიად ძლიერი დაცემა 1911 წელს გამოიწვია ბამბის უზარმაზარმა მოსავალმა ამერიკაში“. სადაც ნათესების ფართობიც ძლიერ გაიზარდა[38]. მებამბეობის შემოსავლიანობის დაცემის ვითარებაში, 1911 წელს მრავალი მსხვილი პლანტატორი აცხადებდა და სოფლის მეურნეობის ოფიციალური სპეციალისტებიც იმ აზრისა იყვნენ, რომ 1912 და შემდგომ წლებში ბევრი აიღებდა ხელს მებამბეობაზე. მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა.

მართალია, ზოგიერთ რაიონში 1912 წელს შესამჩნევად შემცირდა ბამბის პლანტაციების საერთო ფართობი, ზოგიერთმა პლანტატორმა სულაც მიანება თავი ბამბის თესვას.

მაგალითად, ელისავეტპოლელი კორესპონდენტი იწერებოდა: „გასულ წელს ბევრმა დათესა ბამბა, ფიქრობდა რა, რომ ბამბის „შადრევნები“ ერთ წელიწადში ყველას კრეზებად გახდიდა. მაგრამ ვაგლახ! —ბუნების თამაშმა და ბამბის ბირჟამ სხვარიგად წარმართეს საქმე... და მომავალი კრეზები თითქმის ყველანი გაკოტრდნენ , ხოლო ამ (1912) წელს მხოლოდ ნამდვილი მიწათმოქმედი ხალხი ეწევა მებამბეობას“[39].

მაგრამ, როგორც ითქვა, ეს იყო, ასე ვსთქვათ, ეპიზოდური და ამასთანავე ლოკალური მოვლენა, რასაც მებამბეობის საერთო განვითარების ტემპზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია, რაც თუნდაც მხოლოდ იქიდან ჩანს, რომ 1913 წელს ბამბის პლანტაციებს უფრო მეტი ფართობი ეჭირა, ვიდრე 1911 წელს.

ნ. ტარატინოვი 1912 წ. ადასტურებდა, რომ „ბამბამანიობა არამცთუ არ შენელდა, არამედ კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა და რაც ყველაზე ცუდი და საშიშია—ეს ისაა, რომ ეს გატაცება უკვე არ ისაზღვრება მხოლოდ ამიერკავკასიით, არამედ

---

[38] КХ, 1912, № 8, стр. 2—3.
[39] КХ, 1912. № 11, стр. 13.

გადავიდა იმიერკავკასიაზე, რუსეთის სამხრეთზე და ჩრდილოეთზედაც კი—სარატოვის გუბერნიამდე და, სათქმელადაც საშინელია, შორეულ ციმბირზე, სადაც ქ. კამინსკის მახლობლად 1911 წელს ასევე მოაწყვეს „ბამბის საცდელი თესვა“[40].

მთელი საზოგადოებრიობა ალაპარაკდა მებამბეობაზე, იმართება მსჯელობები, თათბირები, კრებები, პოლემიკა პერიოდულ პრესასა და ერთდროულ გამოცემებში—ბროშურებში, წიგნებში, სოფლის მეურნეობის საზოგადოებებში, თვით სახელმწიფოებრივ სათათბიროშიც შეიქმნა სპეციალური ბამბის კომისია.

მაგრამ მებამბეობით გატაცებამ მეტად მაღალ დაძაბულობას, შეიძლება ითქვას, თავის კულმინაციურ პუნქტს მიაღწია, როდესაც გავრცელდა ცნობა რუსეთ-ამერიკას შორის სავაჭრო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ[41]

დიდად გამოცოცხლდნენ მებამბეობის ძველი რაიონებიც, უწინარეს ყოვლისა ერევნის გუბერნია. ოფიციალური აგროკულტურული მიმოხილვის (1912) ავტორი წერს: „ერევნის გუბერნიაში ბამბის ბუჩქის კულტურამ ესოდენ დიდი ფართობი დაიჭირა, რომ მისი შემდგომი გაფართოება უკვე დაბრკოლებას აწყდება უმთავრესად იმ მხრივ, რომ ამისათვის საკმარისი არაა სარწყავი წყლის მარაგი, რაც გუბერნიას გააჩნია. ამის გამო ამ ძვირფასი და ხელსაყრელი კულტურის განვითარება უნდა წარიმართოს მისი ინტენსიფიკაციის მიმართულებითო“[42].

ამგვარად, ახალი, რაც ბამბის აჟიოტაჟმა მე-20 ს. მეორე ათეულის დასაწყისში წარმოშვა, ეს იყო ადმინისტრაციის, სახელდობრ გუბერნიის საერობო აგრონომების მხრივ, სოფლის მეურნეობისა და კერძოდ მებამბეობის ინტენსიფიკაციისადმი ყურადღების გამახვილება, რამდენადაც ბამბის კულ-

---

[40] Н. Таратынов, «Современное положение хлопководства в Закавказском крае» (КХ, 1912, № 8, стр. 4—5).

[41] იქვე, გვ. 5.

[42] ДГЗАЗ, стр. 327

ტურის სიფართოვით განვითარებას, განსაკუთრებით ძველ რაიონებში, დაბრკოლებები გადაეღობა: ზოგან სარწყავი წყლის ნაკლებობისა, ზოგან კიდევ საერთოდ მიწების სიმცირისა და სხვ. სახით.

მაგრამ მებამბეობა. მეტნაკლები ზომით, ამ წლებშიაც მთელს ამიერკავკასიაში ვითარდებოდა. ერევნის გუბერნიაში ზოგან მარცვლეულის ადგილასაც ბამბის თესვაზე გადავიდნენ. ამ დროის „ბამბის ციებ-ცხელებამ“ ვერ გაიტაცა მხოლოდ დასავლეთ საქართველო, ქუთაისის გუბერნია, სოხუმის ოკრუგი და ბათუმის ოლქი.

პ. პეტროვიჩი 1912 წ. წერდა: „ბამბის კულტურამ ჩვენი მხარის მემინდვრეობაში დაიკავა ფრიად სერიოზული ადგილი და ახლა რაიონთა უმრავლესობის მეურნეობრივ ცხოვრებაში ფრიად დიდ და საპასუხისმგებლო როლს თამაშობს. ზოგ ადგილას ბამბა გადაიქცა იმ ღერძად, რომლის გარშემოც ტრიალებს, როგორც მიწათმომქმედი, ასევე ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმული მთელი ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრება. „ბამბა“ გადაიქცა იმ მაგიურ სიტყვად, რომელმაც აიტაცა სახელმწიფოებრივი მოხელე („ჩინოვნიკი“), ბეგი, მომთაბარე, მუშა, რიგითი გლეხი. კაპიტალისტური მეიჯარე, სავაჭრო კაპიტალის პატრონი და უბრალო რანტიე... ბამბამ გამოიწვია პერტურბაცია წვრილ მიწათმფლობელთა და მემამულე-ბეგებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაში, ბამბამ აღნიშნა აგრეთვე საიჯარო ურთიერთობათა ევოლუცია, წარმოშობა მეიჯარეთა ისეთი კლასისა, რომელიც ჩაება გლეხობასთან კონკურენციაში. დიდად შეუწყო ხელი მომთაბარე მეცხოველეობის მეურნეობის გადავარდნას და ამ მოსახლეობის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას“.

ბამბამ ააფორიაქა სოფელი, რომელიც „აქამდე პატრიარქალური ყოფიერებით ცხოვრობდა, პროდუქტებს აწარმოებდა საკუთარი საჭიროებისათვის და არა ბაზრისა და ფულისთვის“;—ფული „თანამედროვე საზოგადოების ეს ნერვი აქ განსაკუთრებით დიდ როლს არ თამაშობდა. მაგრამ ბამბის გაჩენის შემდეგ განვითარდა შემსყიდველი, თავისი ოპერაციები

გააფართოვა ტრადიციულმა ბობოლა-მევახშემ, გააცხოველა ვაჭრობა მედუქნემ, გაჩნდნენ ბამბასაწმენდი ქარხნები, სოფლის მეურნეობის საწყობები, საკრედიტო და სასესხო-შემნახველი ამხანაგობანი"[48].

—ასეთი, ჩვენი აზრით, სინამდვილის საკმაოდ სწორად ამსახველი, დახასიათება მისცა ამიერკავკასიური მებამბეობის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა სპეციალისტმა ვითარებას, რაც შეიქმნა პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში, ვითარებას, რაც წინ უსწრებდა თბილისში 1912 წ. ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩატარებულ კავკასიელ მებამბეთა და მებამბეობის მოღვაწეთა ყრილობას, რის შესახებაც ქვემოთ სპეციალურად გვექნება მსჯელობა.

ამიერკავკასიური მებამბეობის ამ ზოგადი ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, განვლილი პერიოდის შესაბამის ეკონომიკურ მოვლენათა სიღრმისეული პროცესების გაშუქების მიზნით, საჭიროა უფრო დეტალურად გავეცნოთ სავაჭრო მიწათმოქმედების ამ დარგის განვითარებას მისი გაადგილების ძირითად, სახელდობრ, სომხეთსა და აზერბაიჯანის რაიონებში.

---

43 П. Петрович. «Хлопководство в Закавказье» (КХ, 1912, № 21, стр. 5—8).

IV ერევნის გუბერნია

ამიერკავკასიურ მებამბეობაში მთელ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველი ათეული წლის ბოლომდე წამყვანი ადგილი ეჭირა ერევნის გუბერნიას, რის გამოც აუცილებელია მოკლედ მაინც გავეცნოთ ბამბის კულტურის განვითარების ძირითად მომენტებს სომხეთში.

როგორც ზემოთ ითქვა, მებამბეობა აქ ძველი დროიდანვე იყო გავრცელებული. ხოლო რუსეთთან შეერთების წინახანებში, ე. ი. მე-19 ს. 20-იან წლებში. როდესაც ერევნის სახანოს ირანის ქვეშევრდომი სერდარი განაგებდა. მებამბეობა საერთოდ მემცენარეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა და ყოველწლიური საშუალო მოსავლის საერთო რაოდენობა 2—3 ათას ხალვარს[1], ე. ი. 60—80 ათას ფუთს შეადგენდა[2].

მე-19 ს. 40-იანი წლების შუაში შედგენილი ოფიციალური ცნობით სომხეთში, სადაც მებამბეობა „ირანის მთავრობის დროს წარმოადგენდა მიწათმოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს დარგს,—ახლა იგი მნიშვნელოვნად შემცირებულია". ირანის გამგებლობის დროს სოფლის მოსახლეობა სერდარს გამოსაღებს უხდიდა ბამბის სახითაც. რაც მათ აიძულებდა ყოველწლიურად ეწარმოებინათ იგი. „ახლა კი მისი საჭიროება არა აქვთ და ნელ-ნელა გადავიდნენ მიწათმოქმედების სხვა, გასაღების მხრივ უფრო სარფიან დარგებზე"[3]. მებამბეობის დაქვე-

---

[1] ერთი ხალვარი უდრის 287 ფუთსა და 4 გირვანქას.

[2] ОРВЗ, IV, стр. 280; И. Шопен, «Исторический памятник состояния Армянской области в эпоху ее присоединения к Российской империи», 1852, СПБ. стр. 736—745.

[3] АСКАК, X, № 35, стр. 155.

ითების მიზეზად დასახელებულია აგრეთვე ბამბის კულტურის მოსავლიანობის დაცემა, ვაჭრობის, გაცვლის განვითარება და, მაშასადამე, ოჯახური ფეიქრობის შევიწროება და სხვ.

ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია ხშირად ღებულობდა ცენტრიდან მითითებებს, რათა ამიერკავკასიაში, კერძოდ ერევნის გუბერნიაში, ხელი შეეწყოთ მებამბეობის განვითარებისათვის. ამ მიზნით ერევანში აგზავნიდნენ ეგვიპტური, ამერიკული, სიცილიური და სხვ. უცხოური სორტის ბამბის თესლებს.

პირველ ხანებში ამ ცდებს, როგორც ჩანს, დადებითი შედეგები არ მოჰყოლია. გენ. ნეიდგარდტი იტყობინება, რომ ერევნისა და ნახჭევნის მაზრებში ეგვიპტური და ამერიკული ბამბის თესვის ცდები მარცხით დასრულდა და „მცხოვრებთ არამცთუ არავითარი ნაყოფი არ მიუღიათ, არამედ თვით თესლიც დაჰკარგესო"[4].

მაგრამ ნელ-ნელა ვითარება შეიცვალა და უცხოური სორტის ბამბის თესლიც სულ უფრო მეტი ზომით ვრცელდებოდა ერევნის გუბერნიის ისეთ სოფლებში, როგორიც იყვნენ მიგრი, ლეგვაზი, ნიუვადი, ასტაზური, ალდარა და სხვ. ასე რომ, თუ მე-19 ს. 30-იანი წლების შუაში მთელ სომხეთში ბამბის მოსავალი 15 ათას ფუთს არ აღემატებოდა, 50-იანი წლების ბოლოსთვის მან უკვე 30 ათას ფუთს მიაღწია.

როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ისე კერძოდ ერევნის გუბერნიაში მებამბეობის განვითარებას ძლიერი ბიძგი მისცა „ბამბის მსოფლიო შიმშილმა", რაც განსაკუთრებით 1859—1865 წლებში განიცადა მსოფლიო ტექსტილურმა მრეწველობამ, როდესაც, ამერიკის ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის ომის ვითარებაში ევროპას თითქმის სავსებით მოაკლდა ამერიკული ნედლეული.

ასეთ პირობებში, თუ 60-იანი წლების დასაწყისამდე ერევნის გუბერნიაში მოყვანილი ბამბა არსებითად მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების საგანს წარმოადგენდა, მდგომარეო-

---

[4] АСКАК, IX, № 557, стр. 59.

ბა ერთბაშად შეიცვალა, როდესაც 1862 წელს აქაური ბამბა საკმაოდ დიდი რაოდენობით (6 ათასი ფუთი) გაიგზავნა სტამბოლსა და მარსელში[5]; და ეს გზა მით უფრო ფართედ გაიკაფა, რომ ერევნული ბამბა თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით არაფრუ არ ჩამოუვარდებოდა, არამედ სჯობნიდა კიდევაც ინდოეთიდან ევროპაში შეზიდულ ბამბას. ინდური ბამბა ევროპის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობას ინარჩუნებდა უმთავრესად იმის მეოხებით, რომ ის დიდი რაოდენობით და შედარებით იაფად იყიდებოდა.

ბამბის საექსპორტო ოპერაციების გაფართოებამ, ცხადია, გამოიწვია ფასების სწრაფი ზრდა. თუ 1862 წ. გაზაფხულზე 1 ფუთი ბამბა ერევნის გუბერნიაში 5—6 მანეთად იყიდებოდა. იმავე წლის ივნისს ფასი უკვე 12 მანეთამდე ავარდა... ხოლო შემდგომ 1863—1864 წლებში მან 20 მანეთამდეც მიაღწია[6]. 1864 წელს მოსკოვის ბაზარზე 1 ფუთი ამიერკავკასიური ბამბა 22—23 მანეთად იყიდებოდა.

ფასების ესოდენ სწრაფმა ზრდამ, ბუნებრივია, გამოიწვია ბამბის ნათესების დიდი გაფართოება. თუ 50-იანი წლების მიწურულს ერევნის გუბერნიაში ბამბის საშუალოწლიური მოსავალი 30 ათას ფუთს არ აღემატებოდა 1862 წელს მან შეადგინა 60 ათასი, 1863 წელს—150 ათასი, ხოლო 1870 წელს—უკვე 277 ათასი ფუთი გაწმენდილი ბამბა[7].

ამგვარად, ათიოდე წლის განმავლობაში ბამბის წარმოება აქ თითქმის ათჯერ გაიზარდა, ხოლო ბამბის ნათესებით დაკავებულმა ფართობმა 1870 წელს ერევნის მაზრაში 8 012 დესეტინას, ეჩმიაძინის მაზრაში—7 845, ნახჭევანის მაზრაში—7 216 და, ამგვარად, ერევნის გუბერნიაში მთლიანად—23 073 დესეტინას მიაღწია[8].

---

[5] ЗКОСХ, 1865, № 1, стр. 7.
[6] КК на 1879 г., стр. 487.
[7] КК на 1876 г., стр. 289.
[8] «Сборник сведений о Кавказе», II, стр. 177.

1867 წელს ერევნის .გუბერნატორის მიერ ორდუბათის მაზრის ს. მიგრში მებამბეობის მდგომარეობის გასაცნობად მივლინებულ იქნა აგრონომი ნ. სპასსკი.

ს. მიგრის მცხოვრები სიმონ ტერ-ზახაროვი აცხადებდა, რომ თავისი მეცადინეობით ხელი შეუწყო ამ სოფლის მცხოვრებთა შორის მებამბეობისა და სხვა სასარგებლო მცენარეთა კულტურის დანერგვა-გავრცელებას და ამ დამსახურებისათვის იგი ყურადღებასა და წაქეზებას ითხოვდა.

აგრონომ ნ. სპასსკის ანგარიშგებით მოხსენებაში ნათქვამია, რომ ს. ტერ-ზახაროვის მეურნეობა არაფრით არ განსხვავდება ს. მიგრის სხვა მცხოვრებთა მეურნეობისგან, გარდა იმისა, რომ მას, ეტყობა, აქვს „სახმარი მიწის შედარებით მეტი ფართობი". „მიგრელთა მეურნეობა კი. უმთავრესად ბამბის წარმოებაში გამოიხატება. მეაბრეშუმეობა და მეღვინეობა, რაც ერთ დროს მათი მეურნეობის პირველხარისხოვან დარგებს შეადგენდა და მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა. უკანასკნელ წლებში. აბრეშუმის ავადმყოფობის გავრცელების შემდეგ, ჩამორჩნენ...". რაც შეეხება მებამბეობას: ეს კულტურა აქ „თვით ბუნების მიერაა ნაკარნახევი".

„ერთი სიტყვით, მიგრელთა მეურნეობაში მებამბეობის შემოტანა არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნის ტერ-ზახაროვს", რომლის მთელი დამსახურება, თვით მისივე სიტყვებით, ისღა ყოფილა, რომ 15—18 წლის წინათ, როდესაც აქ მაზრის ადმინისტრაცია ეგვიპტური ბამბის თესლს არიგებდა, ტერ-ზახაროვი, როგორც სოფლის მამასახლისი, ცდილობდა გაევრცელებია ის თანასოფლელთა შორის, „მაგრამ არავინ ამ სოფლის მცხოვრებთაგან ეს თესლი არ აიღო დასათესად, იმის შიშით, რომ შემდეგში ადმინისტრაცია მათგან წაიღებდა ამ ბამბის მოსავლის ნახევარს. თვითონ ტერ-ზახაროვმა კი ყურადღება არ მიაქცია ასეთ კომენტარებს, დასთესა ახალი თესლი და საუკეთესო ხარისხის ბამბის მანამდე გაუგონარი მოსავალი მიიღო".

მხოლოდ ამის შემდეგ ს. მიგრის სხვა მცხოვრებთაც, „დაინახეს რა, რომ ტერ-ზახაროვს გამოსაღები არავინ არ გადაახ-

დევინა, მიბაძეს მის მაგალითს და დაიწყეს ეგვიპტური ბამბის, ხოლო შემდეგ კიდევ ამერიკული სორტის ბამბის თესვა... ამგვარად, თანდათანობით, ტერ-ზახაროვის მიბაძვით და მისი მცდელობით ამ უცხოური სორტის ბამბამ ჰპოვა თავისი გავრცელება როგორც ს. მიგრის, ისე სხვა მეზობელი სოფლების მცხოვრებთა შორის". 1867 წელს თვით ტერ-ზახაროვის ბამბის ნათესი შეადგენდა 6 დესეტინამდე ფართობს[9].

ნ. სპასსკი იქვე აღნიშნავს, რომ აქ ეგვიპტური და ამერიკული სორტის ბამბები „ამჟამად უკვე გადაგვარებულ მდგომარეობაშია და როგორც ბოჭკოს ხარისხის, ისე მოსავლიანობითაც უახლოვდება ადგილობრივი სორტისას". მაინც ამ გადაგვარებული სორტების ბამბის ბოჭკო უკეთესია ადგილობრივ, მიგრულ. ბამბასთან შედარებით. გადაგვარებული ბამბის ფასიც დაბალია, იმყოფება რა საერთოდ ლივერპულისა და მოსკოვის ფასებთან დამოკიდებულებაში. მაგრამ მაინც 1 ფუთი 3—4 მანეთით მეტი ფასობს მიგრულ ბამბასთან შედარებით, რასაც მხოლოდ ადგილობრივი მომხმარებლები ყიდულობენ". 1866 წელს გადაგვარებული ამერიკული ბამბა აქ 10 მან. იყიდებოდა.

როგორც ტერ-ზახაროვის, ისე მის თანასოფლელთა ამ მხრივ ჩამორჩენილობის ნიშნად ნ. სპასსკი ასახელებს ბამბის გაფანტვით თესვას. „აქაც ყველანი, როგორც მთელ გუბერნიაში ბამბის გასაწმენდად ხმარობენ ჩიხრიხს, ხოლო ბამბის დასატკეცად არავითარ პრესს არ იყენებენო"[10]. მაინც მას საჭიროდ მიუჩნევია ს. ტერ-ზახაროვის, როგორც მხცოვანი და მუყაითი, თემში პატივცემული ადამიანის, წაქეზება—სმკს მიერ რაიმე ჯილდოს მიცემის სახით[11].

ანალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ ყურადღებას აქცევდა ადმინისტრაცია მებამბეობის გავრცელების საქმეს ჯერ კიდევ 60-იან წლებში.

[9] საქ. სსრ, ცსია, ფონდი 241, საქმე № 291. ფურც. 7—8.

[10] იქვე, ფურც. 10.

[11] იქვე, ფურც 11.

1870-იანი წლებიდან მე-20 ს. დასაწყისამდე მოყოლებული ერევნის გუბერნიაში მებამბეობის განვითარების შესახებ ზოგად წარმოდგენას იძლევა ქვემომოყვანილი მონაცემები[12].

წლები	ბამბის ნათესი ფართობი დესეტინობით	აღებული მოსავალი ფუთობით
1876	—	133 000
1877	—	149 000
1881	—	43 000
1882	—	74 000
1883	—	73 000
1884	—	99 000
1885	—	148 000
1886	—	158 000
1887	—	327 000
1888	—	338 000
1889	—	509 000
1890	26 000	506 000
1891	28 000	464 000
1892	29 000	420 000
1893	32 000	553 000
1894	32 000	397 000
1895	19 000	364 000
1896	15 000	200 000
1897	15 000	386 000
1898	22 000	383 000
1899	21 000	406 000
1900	15 000	385000

მას მერმე რაც განვლო „ბამბის მსოფლიო შიმშილმა", რამაც ესოდენ ძლიერი მუჯლუგუნი წაკრა ერევნის გუბერნიაში მებამბეობის განვითარებას, და ამერიკულმა ბამბამ კვლავ მოიპოვა ევროპის ბაზრებზე გაბატონებული მდგომარეობა, ცხადია, ამიერკავკასიაში დაეცა ბამბის ფასები, რასაც არ შეეძლო არ შეემცირებინა ბამბის ნათესების ფართობი.

მართალია, მას მერმეც რაც შეწყდა დას. ევროპის ბაზრებზე აქაური ბამბის ექსპორტი, ეს ბამბა მცირე, პარტიების

[12] «Памятная книжка Эриванской губ. на 1902 г».

სახით იგზავნებოდა მოსკოვში, რუსეთის ფაბრიკებისათვის, მაგრამ ამას იმ დროს კიდევ არ შეეძლო არსებითი ხასიათის გავლენა მოეხდინა აქ ბამბის წარმოების წინანდელი დონის რამდენადმე მაინც შენარჩუნების თვალსაზრისით. მიწათმოქმედი მოსახლეობა მემცენარეობის უფრო სარფიან კულტურებზე გადადიოდა. ერთხნობით, 70-იან წლებში, ასეთი შეიქნა მარცვლეული, რამაც დიდი ზომით დაიკავა კიდეევაც ბამბის ნათესების ადგილი.

მაგრამ მე-19 ს. 80-იანი წლებიდან მდგომარეობა კვლავ შეიცვალა მებამბეობის სასარგებლოდ. თუმცა ახლა სულ სხვა გარემოებათა წყალობით. რუსეთის ბამბაქსოვილის მრეწველობამ ამ ხანებში განიცადა ახალი დიდი აღმავლობა. აქ საბოლოოდ გაბატონდა ფაბრიკული (მანქანური) წარმოება. რამაც შედეგად წარმოების გაფართოებისა, დიდი მოთხოვნილება წარმოშვა ბამბაზე.

ეს გარემოება კერძოდ ერევნის გუბერნიის მებამბეობის რაიონებში აისახა ბამბაქსოვილის ტექსტილური მრეწველობის მესვეურთა მიერ აქ ბამბის კულტურის ამაღლებისა და ნათესების გაფართოებისათვის გარკვეულ ღონისძიებათა გატარებით, რის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

80-იანი წლების შუაში სახელმწიფოებრივ გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერთა—ა. ხან-აგოვის[13], მ. პარვიცკის[14], ნ. ნიკიფოროვის[15], ფ. მარკოვის[16]—მიერ მოპოვებული ცნობებით სურმალოს. ნახჭევანის. ეჩმიაძინის, შარურ-დარალაგიოზის. ერევნის მაზრებში მებამბეობა მიწათმოქმედების შემოსავლიანი დარგი იყო. მართალია. ზოგიერთ რაიონში უფრო მეტ შემოსავალს იძლეოდა ბრინჯი, მაგრამ იგი უფრო მეტად შრომატევადი კულტურა იყო. და, რაც მთავარია, ბევრად მეტ სარწყავ წყალს მოითხოვდა.

---

13 МИЭБГКЗК. III. I. стр. 312—314.
14 МИЭБГКЗК. I, стр. 689.
15 МИЭБГКЗК, I, стр. 618.
16 МИЭБГКЗК. III. I. стр. 97—98.

დასახელებულ ავტორთა ცნობებით 1 დესეტინა ბამბის პლანტაციის წმინდა შემოსავალი შეადგენდა (მანეთობით):

	ყარა-კოზას სორტისა	ამერიკული სორტისა
სურმალოსა და ეჩმიაძინის მაზრებში . .	48,7	82,1
შარურ-დარალაგიოზის მაზრაში	33,6	70,1
ნახჭევანის მაზრაში	—	67,1.

ამგვარად, ამერიკული სორტის ბამბის უპირატესობა ყოველმხრივ აშკარა იყო, მაგრამ თუ ყველა მებამბეს არ შეეძლო ხელი აეღო ყარა-კოზას სორტის ბამბის მოყვანაზე, უმთავრესად იმიტომ, რომ წვრილმწარმოებელთა ძირითად მასებს უძნელდებოდა მწვანე თესლის შეძენა და სხვა საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარება.

მიწის საიჯარო ქირის, სარწყავი არხების პატრონობისა და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით ზემომოყვანილი ცნობები მებამბეობის წმინდა შემოსავლის სიდიდის შესახებ 20—30 პროცენტით უნდა შემცირდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მებამბეობის წმინდა შემოსავალი 3—4-ჯერ აღემატება გუბერნიის დასახელებულ მაზრებში მარცვლეულის წმინდა შემოსავალს, რაც მემცენარეობის დარგთა შორის მებამბეობის უპირატესობათა შესახებ მეტყველებს.

მრავალი მონაცემები ადასტურებენ კიდევაც მებამბეობის არეალის შედარებით სწრაფ გაფართოებას და არა მხოლოდ მანამდე თავისუფალი საბალახო მიწების, არამედ სხვა კულტურით დაკავებული ნაკვეთების ხარჯზედაც. ამასთანავე მებამბეობის გავრცელებამ, მსგავსად მევენახეობისა, ხელი შეუწყო სათემო (სახაზინო) მიწების შემოღობვისა და, მაშასადამე, მიჩემების (მისაკუთრების) უკვე მიმდინარე პროცესის გაძლიერებას.

80-იანი წლების მიწურულს ს. ეგიაზაროვი წერდა: „გლეხობამ ხელი მიჰყო სოფლისპირა, ადვილად სარწყავი სანადე-

ლო სახმარი მიწების სასწრაფოდ შემოლობვას; ყველა ცდილობდა უზრუნველეყო თავისი თავი ბამბის დასათესად ვარგისი მიწით. მინდვრების დიდი ნაწილი, შორეული მიწებიც კი, დაიკავა ბამბის პლანტაციებმა"[17].

ამგვარად, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება ხელს უწყობდა მიწის კაპიტალისტური საკუთრების განვითარებას. შემოლობილი მიწა უკვე ყიდვა-გაყიდვის საგანი ხდებოდა[18].

მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობდა მიწის იჯარის ფორმებსა და ნორმებში. რომელთა შორის ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ნატურალური იჯარა თანდათანობით ადგილს უთმობს ფულად იჯარას[19].

80-იან წლებში ერევნის ვუბერნიაში მებამბეობის აღმავლობის ძირითად მომენტებს ასე აღწერს ნ. ტარატინოვი—ამიერკავკასიური მებამბეობის ნამდვილი პინდარი: „აქ მებამბეობა წარმოადგენს უდავოდ ყველაზე ხელსაყრელ და უფრო მეტად გავრცელებულ დარგს მეურნეობისა... წარმოების გაძლიერება და ერევნული ბამბის ხარისხის გაუმჯობესება გამოიწვია ერევანში 1887 წლიდან ბამბის შემსყიდველი ისეთი სოლიდური და მსხვილი ფირმების გაჩენამ, როგორიც არიან „იაროსლავის დიდი მანუფაქტურის ამხანაგობა", მერმე ვ. ალექსეევის მოსკოვური ფირმა, შემდეგ კიდევ პოზნანსკის ფირმა (ლოძიდან). ახლაც ბამბის შესყიდვის მიზნით ერევანში ყოველწლიურად ჩამოდიან ახალ-ახალი ფირმები. ასე. მაგალითად. 1899 წელს ლოძიდან აქ მოვიდა კრუში ენდერ. ყველა ამ ფირმის წარმომადგენელთა ერევანში მოსვლით ბაშბაზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა, ფასები რამდენადმე აიწია და, ამის მეოხებით. ბამბის წარმოება კიდევ უფრო გაფართოვდა. მაგრამ, გარდა წარმოების გადიდებისა და ბამბის ფასების აწე-

---

[17] СМИЕБГКЗК. I, стр. 40.

[18] ვრცლად იხ. ჩვენი „თემური მიწათმფლობელობის ოლქევა", მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 476—518.

[19] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს", მონოგრაფიები. ტ. I:. გვ. 670—726.

ვისა, ერევნული მებამბეობა მნიშვნელოვანი ზომით ამავე მსხვილ ფირმებს უნდა უმადლოდეს თავის ბამბის ხარისხისთვისაც, შედეგად, ჯერ ერთი, საქონლის მკაცრი დასორტებისა და ფასდებისა და. მერმე, თავისი მრავალი ჯინისა, რომლებიც გაადგილებულია ერევნის გუბერნიის დაბლობი ნაწილის ხუთსავე მაზრაში და რომელთა წყალობით ამ ფირმებმა გააიაფეს აგრეთვე ბამბის გაწმენდა და, მაშასადამე, გაადიდეს მისი შემოსავლიანობა, და, ბოლოს, მესამე, იმისთვისაც, რომ უკეთესი ჯინებით გაწმენდის შედეგად კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესდა ბამბის ხარისხი. ამგვარად, ამჟამად მებამბეობა ერევნის გუბერნიაში იმდენად განმტკიცდა და გაფართოვდა და იმდენად შემოსავლიანი გახდა, ისე ძლიერ განაგრძობს განვითარებას, რომ იგივე „ბამბის ციებ-ცხელება“ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში გავრცელდა გუბერნიის საზღვრებს იქით, განსაკუთრებით ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში, უპირატესად თბილისი-ბაქოს რკინიგზის გასწვრივ, სადგურ ლიაქიდან ბაქოსკენ. ჯერ კიდევ 1887 წელს. აქ, უზარმაზარ სივრცეებზე იწარმოებოდა სულ რამდენიმე ასეული ფუთი ბამბა, მხოლოდდამხოლოდ საოჯახო საჭიროებისათვის და არ იცოდნენ ისიც რით გაეწმინდათ, ხოლო გასულ 1889 წელს აქ უკვე დაახლოებით 30 000 ფუთი ბამბა მოიყვანეს და აქაც გაჩნდნენ იგივე ფირმები ლოძიდან. მოსკოვიდან...“[20].

* * *

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ისე კერძოდ ერევნის გუბერნიაში მებამბეობამ ახალი აღმავლობა განიცადა[21]. ეს იყო ამ ხანებში რუსეთის ბამბეულის მრეწველობის სწრაფი განვითარების უშუალო შედეგი. 1910 წელს რუსეთის ტექსტილურმა მრეწველობამ

---

[20] Н. Таратынов, «Несколько слов о настоящем положении хлопководства в Закавказье» (ТКОСХ, 1890, № 3—5, стр. 175—176); Его же, «Хлопководство в Закавказском креа», 1892, Тифлис; РТКЭЖД. стр. 658—664.

[21] ЭТЭ, I, стр. 87—89.

გადაამუშავა 22 მილიონი ფუთი ბამბის ბოჭკო, ე. ი. თითქმის სამჯერ მეტი. ვინემ 1890 წელს (8,3 მილ. ფ.). მიუხედავად თვით რუსეთში ნედლეულის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისა, პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში, რუსეთის ბამბეულის მრეწველობა დაახლოებით სანახევროდ იმპორტულ ნედლეულს მოიხმარდა.

ერევნის გუბერნიაში 90-იან წლებშიც მებამბეობის აღმავლობა, ცხადია, არ იყო საყოველთაო და აბსოლუტური მოვლენა. ზოგიერთ რაიონში რომ აღმავლობას აღწევდა, სხვაგან მისი წარმოება ეცემოდა. მაგალითად, ზანგეზურის მაზრ. ს. მეგრიდან სმკს კორესპონდენტი 1897 წ. იწერებოდა: „ჩვენში მებამბეობა ეცემა და ნელნელა ადგილს უთმობს მევენახეობას. ამერიკული ბამბა ჩვენში სასტიკად ზიანდება „შირას“ და „აპატის“ დაავადებათაგან. ავადმყოფობას უკეთ იტანს ყარა-კოზა. ბამბას მალე შესცვლიდა ვენახი. რომ ამ უკანასკნელისგან შემოსავლის მიღება მისი გაშენებიდან 4 და 5 წლის შემდეგ არ იწყებოდეს. ჩვენ მიწები ცოტა გვაქვს და ბამბას ბინდვრებიდან შემოსავლიანობა სულ უფრო და უფრო მცირდება“[22].

ქვემომოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 300) გვიჩვენებს, რომ აღებული 14 წლის მანძილზე ერევნის გუბერნიაში როგორც ბამბის ნათესი ფართობი, ასევე საერთო მოსავალი თანმიმდევრულად იზრდება. რაც შეეხება მოსავლიანობას, ამ მხრივ მდგომარეობა შესამჩნევად განსხვავებულია. ს. ტიმოფეევი იმ აზრისა იყო, რომ „მოსავლიანობა საგრძნობლად მერყეობს, მაგრამ საბოლოოდ ერთ დონეზე დგასო“. მაგრამ თუ ასეთი მსჯელობის საფუძველს რამდენადმე მაინც იძლევა 1910—1914 წლების მონაცემები, სამაგიეროდ, როდესაც უფრო დიდ პერიოდს ავიღებდით, მაგალითად, 1900 წლიდან მოყოლებული (1900 წ. მოსავლიანობა 25,1 ფუთს უდრიდა) 1914 წლამდე, მაშინ უკვე აშკარა გახდება, რომ მოსავლიანობა შესამჩნევად

---

22 КСХ, 1897, № 182, стр. 428.

ეცემოდა, ხოლო საერთო მოსავლის ზრდა ძირითადად ბამბის ნათესების ფართობის გადიდებით მიიღწევოდა.

ბამბის ნათესი ფართობი (დესეტინობით) და მოსავალი (ფუთობით) ერევნის გუბერნიაში 1901—1914 წწ.

წლები	ნათესი ფართობი ათას დესეტინობით	გაწმენდილი ბამბის	
		მოსავალი ათას ფუთობით	მოსავლიანობა 1 დესეტინაზე ფუთობით
1901	15,8	320	20,3
1902	18.8	405	21,7
1903	20.0	426	21,3
1904	22,5	414	18.4
1905	23,7	411	17,3
1906	24,4	387	15,5
1907	24,1	370	15,3
1908	18,0	381	21,1
1909	19,5	344	17,6
1910	22,6	362	16,0
1911	26,0	476	18,3
1912	23,1	468	20,3
1913	22,7	358	15,8
1914	24,3	496	20,4

აქ იქნება ერთხელ კიდევ საჭირო იყოს იმის აღნიშვნა, რომ, როგორც საერთოდ სტატისტიკა, კერძოდ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სტატისტიკა, და, მაშასადამე, მებამბეობის სტატისტიკაც ამიერკავკასიაში დაბალ დონეზე იდგა.

საილუსტრაციოდ ამისა საკმარისია აღინიშნოს, რომ ბამბის საერთო ნათესი ფართობი (ათას დესეტინობით) და გაწმენდილი ბამბის საერთო მოსავალი (ათას ფუთობით) ერევნის გუბერნიაში უდრიდა: (იხ. გვ. 301).

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. მაინც უნდა ითქვას, რომ ს. ტიმოფეევის გაანგარიშებები ემყარება უმთავრესად ამიერკავკასიის რკინიგზებით ბამბის გადაზიდვის ცნობებს, გუბერნატორის მონაცემები—ადგილობრივი (სოფლის) ადმინისტრაციის ინფორმაციებს, ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტისა—თავის „აუთენტურ“ წყაროებს და კიდევ

განსხვავებული ცნობები ჰქონდა სოფლის მეურნეობას კავკასიური საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროს. მაგრამ რაც მთავარია, ეს ისაა, რომ ეს „განსხვავებანი“ გამოიხა-

ბამბის ფართობი და მოსავალი ერევნის გუბერნიაში

წლები	ერევნის გუბერნატორის მიმოხილვების ცნობით		ს. ტიმოფეევის გამოანგარიშებით		ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ცნობით	
	ნათესი ფართობით	საერთო მოსავალი	ნათესი ფართობით	საერთო მოსავალი	ნათესი ფართობით	საერთო მოსავალი
1910	22,6	362	35,5	600	23,1	441
1911	26.0	476	40.4	670	26,3	432
1912	23.1	465	36,2	601	23,1	333
1913	22,7	358	38.3	613	—	—
1914	24,3	496	44,0	710	—	—

ტება არა 0.1 და არა 1 და თუნდაც 5—6 პროცენტში, არამედ სამწუხაროდ, ფრიად დიდია.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამიერკავკასიაში ამერიკული ბამბა 80-იანი წლებიდან მაინც სულ უფრო და უფრო ავიწროებდა ადგილობრივი სორტისას („ყარა-კოზას“). ეს ბრძოლა არსებითად უკვე დამთავრდა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის.

საილუსტრაციო სტატისტიკური მონაცემები ერევნის გუბერნატორის ყოველწლიური მიმოხილვების მიხედვით ასეთ სურათს წარმოგვიდგენს (იხ. გვ. 302):

თუ მე-19 ს. ბოლოს „ყარა-კოზა“ კიდევ ბამბის მთელი მოსავლის ნახევარზე ბევრად მეტს იძლეოდა, 1901 წელს მისი ხვედრიწონა უკვე 49.9 პროცენტამდე დაეცა. ეს იყო, ასე ვთქვათ, გარდატეხის პუნქტი, რის მერმე ამერიკულმა მცენარემ დიდის სისწრაფით შეავიწროვა „ყარა-კოზა“, რომელიც სულ მალე თითქმის სავსებით გამოდევნა კიდევაც. „ყარა-კოზა“ პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში უფრო მეტად თავს აფარებდა კიდევ ერევნის მაზრაში, სადაც. 1913 წელს,

იძლეოდა მთელი მოსავლის 13 პროცენტს. რაც შეეხება, მაგალითად, ეჩმიაძინისა და შარურ-დარალაგიოზის მაზრებს აქ იგი არსებითად უკვე სულ ამოვარდა და, ამგვარად. აბსოლუ-

წლები	გაწმენდილი ბამბის მთელი მოსავალი ათას ფუთობით			
	სულ	„ყარა-კოზა“	ამერიკული	
			აბსოლ. ციფრ.	პროცენტ.
1900	382	214	168	43,9
1901	320	155	165	50,1
1902	405	158	207	50,1
1902	427	110	316	74,1
1904	414	86	328	79,2
1905	411	81	330	80,3
1906	387	61	326	84,3
1907	370	62	318	86,0
1908	381	49	332	87,1
1909	344	39	305	88,7
1910	362	36	326	90,0
1911	476	40	436	92,0
1912	468	42	426	90,0
1913	358	17	341	95,2
1914	496	23	473	95,3

ტური ბატონობა მოიპოვა ამერიკული სორტის ბამბამ, რომელზედაც 1913 წელს მოდიოდა მთელი მოსავლის 99,1 პროცენტი; ამავე ბამბაზე მოდიოდა სურმალოს მაზრაში ბამბის მთელი მოსავლის 96,2 და ნახჭევანისაში— 96,6 პროცენტი.

ამერიკული სორტის ბამბის დიდი კონკურენტუნარიანობის მიზეზი, ცხადია, იყო მისი შედარებით მაღალი ფასები, რაც „ყარა-კოზას“ ფასებს აღემატებოდა; 1900 წელს—11 პროცენტით; 1903 წელს—19 პროცენტით, ხოლო 1910 წელს—25 პროცენტით.

ფასებში არსებულ ასეთ დიდ განსხვავებას არ შეეძლო შესაბამისი გავლენა არ მოეხდინა ბამბის ნათესების სორტობრივ სტრუქტურაზე, რაც იმით აისახა, რომ „ყარა-კოზას“ ნათესების საერთო ფართობი დიდი სისწრაფით მცირდებოდა.

მე-20 ს. ომამდელ პერიოდში ერევნის გუბერნიაში მებამბეობის მაზრობრივი გაადგილების შესახებ წარმოდგენას იძ-

ლევა გუბერნიის ყოველწლიური „მიმოხილვების“ მიხედვით ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის რ. არუთინოვის მიერ შედგენილი ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

ბამბის ნათესების საერთო ფართობი (ათას დესეტინობით) და მოსავალი (ათას ფუთობით) ერევნის გუბერნიის მაზრებში 1900—1914 წწ.[23]

წლები	ერევნის მაზრა		ეჩმიაძინის მაზრა		სურმალოს მაზრა		შარურ-დარალაგიოზის მაზრა		ნახჭევანის მაზრა	
	ფართი	მოსავალი	ფართი	მოსავალი	ფართი	მოსავალი	ფართი	მოსავალი	ფართი	მოსავალი
1900	4,0	70,8	3,1	38,7	6,0	235,6	1,6	28,9	0,5	8,0
1901	2,8	58,6	3,2	16,0	6,0	179,1	2,9	47,0	0,9	19,0
1902	3,2	72.6	3,2	18,0	6,6	199,2	4,8	95,2	1,0	20,0
1903	3,1	68,6	3,3	37,9	6,8	166,7	4,5	102,6	2,3	50,0
1904	2,2	59,9	3,5	40,0	7,1	147,3	6,7	121,4	2,3	45,0
1905	4,3	81,1	3.8	40,3	7,2	138,4	6,1	110,9	2,3	40.3
1906	4,3	90,0	5,0	52,9	7,0	103,3	6,2	105,0	1,9	35,5
1907	5,1	96,7	4,0	62,6	7,1	102,5	6,0	70,7	1,9	37,0
1908	4,9	128,4	3,9	55,3	5,0	107,3	2,3	55,2	1,9	34,8
1909	5,1	131,8	3,1	34,4	7,0	99,4	2,4	47,4	1,9	31,0
1910	5,6	136,7	3,3	42,6	7,0	98,4	4,3	51,4	2,4	37,5
1911	7,3	140,4	4,1	55,8	7,1	173,1	4,4	66,4	3,0	40,0
1912	6,1	95,0	4,2	65,5	6,4	226,4	5,0	59,2	1,4	21 6
1913	5,4	90,9	2,9	39,4	7,4	104,8	5,3	95,4	1,7	27,9
1914	6,7	167,5	3,9	71,0	7,4	133,7	4,8	68,9	1,5	55,3

როგორც ვხედავთ, 1900—1914 წლებში ბამბის ნათესების საერთო ფართობი მეტ-ნაკლები ინტენსივობით იზრდებოდა გუბერნიის ყველა რაიონში, მაგრამ ყველაზე მეტად იგი გაიზარდა კერძოდ იმ მაზრებში, მაგალითად, ნახჭევანისა და შარურ-დარალაგიოზის მაზრებში. სადაც ადრე შედარებით ნაკლებად იყო მებამბეობა გავრცელებული.

მაგრამ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ ნათესი ფართობის ზრდის კვალობაზე არ იზრდებოდა ბამბის საერთო

[23] Р. А. Арутюнов, «Развитие хлопководства в Армении после ее присоединения к России» (бывшая Эреванская губерния), Тб., 1954, стр. 122.

მოსავალი. ბამბის საერთო მოსავლის ზრდის ტემპი აშკარად ჩამორჩებოდა ნათესების საერთო ფართობის ზრდის ტემპს რაც, ცხადია, ნიადაგების გამოფიტვისა და, მაშასადამე, მოსავლიანობის დაცემის შედეგი იყო.

ეს პროცესი განსაკუთრებული რელიეფობით ჩანს, კერძოდ სურმალოს მაზრის მაგალითზე, სადაც აღებულ 1900—1914 წლებში საერთო ფართობის (6 ათასი დესეტინიდან 7,4 ათას დესეტინამდე) გადიდების პირობებში შეიმჩნევა საერთო მოსავლის (235.6 ათასი ფუთიდან 133.7—ათას ფუთამდე) სისტემატური დაქვეითება.

განვითარების ტემპი შედარებით „ნორმალური" იყო ერევნის მაზრაში, სადაც აღებულ პერიოდში ბამბის ნათესების საერთო ფართობი 4 ათასი დესეტინიდან 6,7 ათას დესეტინამდე გადიდდა, ხოლო საერთო მოსავალი 70.8 ათასი ფ. 167,5 ათას ფუთამდე (ე. ი. 136,6 პროცენტით) გაიზარდა და, ამ მხრივ, ამ მაზრამ პირველი ადგილი დაიჭირა გუბერნიაში, მნიშვნელოვნად გაუსწრო რა სურმალოს მაზრას, რომელზედაც მე-19 საუკუნის მიწურულს (1900 წ.) მოდიოდა მთელი გუბერნიის ბამბის ნათესების საერთო ფართობის (15 ათასი დეს.) 40 პროცენტი. მართალია, ფართობის მიხედვით სურმალოს მაზრას 1914 წელსაც პირველი ადგილი ეჭირა (7,4 ათასი დეს.), მაგრამ საერთო ფართობიდან (24,3 ათასი დეს.) ახლა მის წილზე მოდიოდა უკვე მხოლოდ 30 პროცენტზე ცოტა მეტი.

ერევნის მაზრაში მებამბეობის განვითარების, საკუთრად მისი მოსავლიანობის დონის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა „არაზდაიანის" მამული... 1874 წელს არაზდაიანის ველი იჯარით აიღო გენერალმა კახანოვმა. იმ პირობით. რომ მას ამ სახაზინო მიწებზე (8 ათასი დეს.) უნდა გაეყვანა სარწყავი არხები. გენერლის ხელში მეურნეობამ არსებითად ვერ გაიხარა. მხოლოდ მას მერმე, რაც ეს მამული გრაფ შერემეტიევის მეთაურობით შექმნილ აქციონერული საზოგადოების ხელში გადავიდა, აქ „ფართო კომერციულ საწყისებზე გაიშალა ბრინჯისა და ბამბის თესვა".

„არაზდაიანის“ მიწები მრავალწლიანი (12 წ.) იჯარით ეძლეოდა გლეხებს, პირობით, რათა ყოველ კომლს არა ნაკლებ 1 დესეტინისა ყოველწლიურად დაეთესა ბამბა. „სხვა კულტურათა თესვა შეხამებული უნდა ყოფილიყო მამულში დადგენილ თესლბრუნვასთან“[24].

„საზოგადოება“ ხნავდა სათეს მინდვრებს, იძლეოდა სათესლე მასალას, კრედიტუნარიან მოიჯარეებს მინდვრის დამუშავებისა და მოსავლის აღების ხარჯებისთვის აძლევდა უპროცენტო სესხს. ორჯერ მოხვნისა და დაფარცხვისთვის, თუ ამას თვით მოიჯარე გააკეთებდა, ყოველ დესეტინაზე „საზოგადოებისგან“ ის ღებულობდა 18 მანეთს. მაგრამ, თუ მოიჯარე მისთვის გადაცემული მოხნული მიწის ნაკვეთს არ დათესავდა და არ დაამუშავებდა, მაშინ ის „საზოგადოებას“ უხდიდა ყოველ დესეტინაზე 18 მანეთს. ამასთანავე უკანასკნელს შეეძლო ასეთი არააკურატობისთვის მოიჯარე სულ გაესახლებინა მამულის ტერიტორიიდან[25].

ამგვარად, კაბალურ მოიჯარეთა კლასის ექსპლოატაციაზე დაფუძნებული „არაზდაიანის“ მამული მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს მებამბეობაში. 1913 წელს „საზოგადოებამ“ გამოიწერა ტრაქტორები, დაიწყო ბამბასაწმენდი ქარხნისა და ელექტროსადგურის შენება და სხვ. მაგრამ მოუსწრო... მსოფლიო ომმა.

„არაზდაიანის“ მამულის მოიჯარე გლეხს ევალებოდა ბამბის მთელი მოსავალი ჩაებარებინა „საზოგადოებისთვის“, რომელსაც იჯარის პირობით ეკუთვნოდა მოსავლის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევრის ღირებულება მოიჯარისთვის მას უნდა გადაეხადა მაზანდის (სეზონის საბაზრო) ფასის მიხედვით. ამ ფასს „საზოგადოების“ სასარგებლოდ აკლდებოდა მოსავლის შენახვისა და რეალიზაციის ხარჯების დასაფარავად 3%. „საზოგადოება“ აწესრიგებდა აგროტექნიკურ ღონისძიებებს, მაგალითად, იმით, რომ ადგენდა მოსავლის აღების დროს და სხვ.[26]

[24] В. Рштуни, «Аграрная политика царизма и крестьянское движение в Армении в начале XX, в.», 1951, Ереван, стр. 310—325.

[25] იქვე, გვ. 311—312.

[26] იქვე, გვ. 316—317.

მებამბეობა უპირატესად წვრილგლეხურ მეურნეობათა სახით იყო გავრცელებული.

1914 წელს ერევნის გუბერნიაში ბამბის მთელი ნათესი ფართობიდან —24,3 ათას დესეტინიდან—მოდიოდა:

მეურნეობათა ჯგუფები	მთელი ნათესი ფართობი ათას დესეტინობით		ნათესების საშუალო სიდიდე დესეტინობით
	აბსოლუტ.	% %	
I. 0,5დესეტ. ნაკლები ნათესების მქონე მეურნეობებზე	19,0	78,3	0,40
II. 0,5-დან 1,0 დესეტინამდე ნათესის მქონე მეურნეობებზე	3,6	14.8	0,64
III. 1,0 დესეტინაზე მეტი ნათესის მქონე მეურნეობებზე	1,7	6,9	1,30
სულ	24,3	100,0	0,45

ამგვარად, მთელი ნათესი ფართობის 78 პროცენტზე მეტი მოდიოდა 0,5 დესეტინაზე ნაკლები ფართობის მქონე წვრილ მეურნეობებზე, რომელთა ბამბის პლანტაციების საშუალო სიდიდე არ აღემატებოდა 0,4 დესეტინას. ასეთ მეურნეობათა საერთო რაოდენობა 27 ათასს აღემატებოდა, მაშინ, როდესაც 0,5 დესეტინიდან 1,0 დესეტინამდე ნათესების მქონე მეურნეობათა რაოდენობა შეადგენდა 3200, ხოლო 1,0 დესეტინაზე მეტის მქონეთა რაოდენობა უდრიდა 725, და მათ ხელში იყო სულ 1,7 ათასი დესეტინა პლანტაცია, ანუ ბამბის ნათესების საერთო ფართობის მხოლოდღა 6,9 პროცენტი.

წვრილი მწარმოებელი, ცხადია, მოკლებული იყო მეურნეობის გაფართოებისა და კულტურის ამაღლების ყოველგვარ შესაძლებლობას. უბრალო მაგალითი: ბამბის მწკრივზე თესვა შედარებით მარტივი, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო და არა მხოლოდ თესლის ეკონომიის თვალ-

საზრისით. მაგრამ, როგორც აკიმ შან-გირეი, ადგილობრივი მიწათმფლობელი, აცხადებდა (1912 წ.), „იმისთვის, რათა შემოიღოს მწკრივის კულტურა, გლეხმა უნდა შეიძინოს კულტივატორი, სათესი მანქანა და ცხენი. ცხენის შენახვას სჭირდება გლეხთა უმრავლესობისთვის აუტანელი კოლოსალური ხარჯები... გლეხებს კარგად ესმით გაუმჯობესებული მეთოდების სარგებლიანობა, მაგრამ მისი საქმეში გამოყენების მატერიალური შესაძლებლობა არ გააჩნიათ. იგივე ითქმის მიწათმოქმედების იარაღ-მანქანებისა და სხვა გაუმჯობესებათა გავრცელების მდგომარეობის შესახებ“[27]. და მით უფრო, რომ წვრილი მწარმოებელი მუდამჟამ უფულობას განიცდის და ძალიან ხშირად დავალიანებულიც არის მევახშისა თუ შემსყიდველისადმი. რის გამოც უკვე აღებული მოსავალიც კი მას არსებითად არ შეუძლია თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს, გაყიდოს, დააგირავოს[28].

მე-20 ს. დამდეგამდე სომხეთი (ერევნის გუბერნია) წამყვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიის მებამბეობაში. ამ დროიდან, ამ მხრივ, მოხდა გარდატეხა. დაწინაურდა აზერბაიჯანი, განსაკუთრებით ელისავეტპოლის გუბერნია. 1901 წელს ამიერკავკასიაში ბამბის მთელი მოსავლის თითქმის 68 პროცენტი მოდიოდა ერევნის გუბერნიაზე, ხოლო 1913 წელს მისი წილი დაეცა 24 პროცენტამდე.

საქმე ისაა, რომ ერევნის გუბერნიას გარდა არაზდაიანის ველისა არ გააჩნდა მებამბეობისათვის ვარგისი მიწის თავისუფალი ფონდების ისე დიდი მასივები, როგორც ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებს. ერევნის გუბერნიის ზოგიერთ რაიონში მებამბეობა ხშირად ვრცელდებოდა სხვა კულტურების (ხორბლის, ბრინჯისა და სხვ.) ხარჯზე. რა მხრივაც, ბამბის შეტევითი შესაძლებლობა მაინც განსაზღვრული იყო. ამასთანავე, მე-19 ს. 90-იანი წლებიდან აქ ფართე განვითარება ჰპოვა

---

27 «Труды съезда хлопководов...» (ТСХ), т. I, стр. 69—70.
28 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. III, გვ. 206.

მევენახეობამ, რასაც არ შეეძლო რამდენადმე მაინც არ შეეზღუდა მებამბეობის ექსპანსიის არეალი.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების მეორე წელსვე, ცხადია. დიდად შემცირდა ბამბის ნათესები და მოსავალი, გაიზარდა ფასები.

მებამბეობის დარგში მიწათმოქმედების დეპარტამენტის ინსტრუქტორის ს. გოლოვაცკის 1915 წლის ანგარიშგებით მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ „ერევნის გუბერნიის უდიდესი ნაწილი, მისი ოროგრაფიის მეოხებით, გამოუსადეგარია მებამბეობისათვის, რაც გავრცელებულია მის მხოლოდ დაბლობ ნაწილებში“.

აქ მებამბეობის განვითარების მთავარი შემფერხებელი მიზეზებია: „მუშახელის მკვეთრი შემცირება, რაც გამოწვეულია მრავალი კატეგორიის მამაკაცთა სამხედრო სამსახურში გაწვევით, ასევე დანარჩენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჯარების ზურგში სამუშაოზე წასვლით, რაც მატერიალური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელია, ვინემ მინდვრის სამუშაოები“; — ამასთანავე ის გარემოებაც, რომ „ბამბისა და ნაწილობრივ ბრინჯის კულტურების ადგილას გადავიდნენ მარცვლეულის თესვაზე, როგორც ნაკლებ შრომატევად კულტურებზე და იმიტომაც, რომ მკვეთრად გაიზარდა პურის ფასები“[29].

„არანაკლები როლი ითამაშა აგრეთვე მუშაპირუტყვის შემცირებამ, რაც რეკვიზირებულია სამხედრო საჭიროებისთვის. ამის შედეგად მიწის დამუშავების, მოხვნის, დაფარცხვის ფასები არაჩვეულებრივად გაიზარდა“.

„...მოვლენა რამაც უარყოფითად იმოქმედა სოფლის მეურნეობაზე—ესაა თითქმის აბსოლუტური უქონლობა შესაწამლი პრეპარატებისა, რომელთა ნაკლებობისგან განსაკუთრებით დაზარალდა ვენახები და ბამბის პლანტაციები“[30]. სხვადასხვა მავნებლებმა და მერმე ავადმყოფობამ („ჩორ“) ზოგიერთ რაიონში თითქმის მთლიანად მოსპო ბამბის მთელი მო-

---

[29] საქ. სსრ, ცსია, ფონდი 243, საქმე № 255, ფურც. 148.

[30] იქვე, ფურც. 149—150.

სავალი. ს. გოლოვაცკი ასახელებს აგრეთვე „გაუმჯობესებული სახვნელი იარაღების უქონლობას, ჩამორჩენილობასა და სიბნელეს მოსახლეობისა, რომელიც მტკიცედ მიყვება კულტურის დაძველებულ და ტრადიციულ ხერხებს, წყლის საკითხის მოუწესრიგებლობასა და წყლის სწორად სარგებლობაზე მეთვალყურეობის უკმარობას და, ბოლოს, იაფი კრედიტის არასაკმარისობას, რასაც გრძნობს წვრილ მებამბეთა დიდი ნაწილი, რომელსაც უიმისობა უაღრესად უჭირს“[31].

ცხადია, მებამბეობაზე მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებდა აგრეთვე, ბამბეულის ფაბრიკანტებისა და სამხედრო ინტერესებისათვის მთავრობის მიერ 1916 წლიდან დაწესებული „ბამბის შესყიდვის მომწესრიგებელი“, ე. ი. დაბალი ფასები[32].

1916 წ. 10 ნოემბერს მოწვეულ იქნა „საგანგებო თათბირი ერევნის გუბერნიაში ბამბის ნათესების შემცირების საკითხის შესახებ“. თათბირს ესწრებოდა: გუბერნატორი ა. სტრელბიცკი, ვიცეგუბერნატორი ა. ფანჩულიძევი, საგუბერნიო აგრონომი ე. ვოლპერი, სერდარის ბაღის გამგე პ. ყანდურალოვი, მებამბეობის დარგში მთავრობის ინსტრუქტორი ლ. მურადოვი, შერემეტიევის და კომპ. მამულის „არაზდაიანის“ დირექტორი ა. ბაბკინი, ამავე მამულის მთავარი მებაღე კ. კვესი და სხვ.

გუბერნატორმა განაცხადა, რომ ეს თათბირი მოწვეულია „ერევნის გუბერნიაში ბამბის ნათესების საგანგაშო მდგომარეობის გამო. საქმე ისაა, რომ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ამ კულტურის ნათესების ფართობის მკვეთრი შემცირება. ამასთანავე თუ არ გამოინახა საშუალება ამ მოვლენის შენელებისა, რაც არანაკლები სიძლიერით შეიმჩნევა მეზობელ ელისავეტპოლის გუბერნიაში და, აგრეთვე, ბაქოს გუბერნიის მუღანის ველზე, მაშინ მას შეუძლია მიიღოს იმდენად საშიში ხასიათი, რომ ამ მხარეში ბამბის მეურნეობა სულ დაეცემა, მიუ-

[31] იქვე, ფურც. 148.
[32] საქ. სსრ, ცსია, ფონდი 243, საქმე № 857, ფურც. 22.

ხედავად იმ დიდი ღონისძიებებისა და ფულადი ხარჯებისა, რაც ხელისუფლებამ და მოსახლეობამ გააკეთეს მის შესაქმნელად"[33].

შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ „ამ სამწუხარო მოვლენის შედეგები ატარებენ არა მხოლოდ ადგილობრივ ხასიათს. მებამბეობის განვითარება, ბამბის წარმოების იმ ზომით გადიდება, რომ ჩვენი ბამბეულის ტექსტილური მრეწველობა განთავისუფლებულიყო უცხოეთის ბაზრებისადმი დამოკიდებულებისგან, ომამდეც ითვლებოდა ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სერიოზულ პრობლემად. ახლა კი ამ საკითხმა, შეუცდომლად შეიძლება ითქვას, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიიღო, ერთი მხრივ, საკუთრად სამხედრო მრეწველობის მოთხოვნილებათა გამო, ხოლო, მეორე მხრივ, ფულადი ბალანსის არა ჩვენდა სასარგებლოდ დარღვევის გამო. შედეგად იმისა, რომ აუცილებელია ჩვენი მრეწველობის საჭიროებისათვის საზღვარგარეთული ნედლეულის შემოზიდვა".

ამგვარად, იმიტომ რომ ეს საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, რასაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ უკვე მიაქცია თავისი ყურადღება, აუცილებელია, რათა ამ თათბირმა გაარკვიოს აღნიშნული მოვლენის საერთო და ადგილობრივი მიზეზები და მიუთითოს მისი განვითარების შენელების შესაძლებელი საშუალებებიო,—ასკვნიდა ა. სტრელბიცკი[34].

თათბირზე მოხსენებით გამოსული ე. ვოლპერი, აღნიშნავდა რა ომის პერიოდში მებამბეობის დაცემის ისეთ მიზეზებს, როგორიც იყო მუშახელისა და გამწევი პირუტყვის დიდი ნაკლებობა, დაავადებასთან საბრძოლველი შესაწამლავი საშუალებების უქონლობა და სხვ., უმთავრეს მომენტად ასახელებდა: 1. ხორბლის სიძვირესა და 2. ბამბის მტკიცე ფასის დონეს.

---

[33] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 857, ფურც. 5.

[34] იქვე, ფურც. 6.

1. საქმე ისაა, რომ მე-20 ს. დამდეგიდან ერევნის გუბერნია, რომელმაც დიდი ფართობი დაუთმო ბამბას და სხვა ძვირფას კულტურებს (მევენახეობას, მებაღეობას) სულ უფრო მეტი ზომით მოიხმარდა უმთავრესად იმიერკავკასიიდან შემოზიდულ პურს. ხოლო 1916 წელს, როდესაც ერევნის გუბერნიის მკვიდრ მოსახლეობას მიემატა ლტოლვილები, აგრეთვე სამხედრო გარნიზონი და ამასთანავე გაძნელდა პურის შემოტანა, ცხადია, „პურეული პროდუქტების ნაკლებობა აიძულებს მოსახლეობას, რომ სთესოს მხოლოდ ხორბალი. რათა იგი უზრუნველყოფილი იყოს პურით; ამიტომ გასაგებია, რომ ხორბალი იკავებს წინათ ბამბის სათესად გამოყოფილ მიწებს".

2. დიდ სიძნელეებს იწვევდა მთავრობის მიერ, სამხედრო ვითარების საბაბით, ბამბაზე დაწესებული მტკიცე ფასები, რაც „საესებით არ შეესაბამება სხვა პროდუქტებზე არსებულ ფასებს". მაშინ როდესაც ომის დაწყების დროიდან ხორბლის ფასი თითქმის შვიდჯერ გაიზარდა, ბამბაზე დაწესებული მტკიცე ფასი მხოლოდ $1^3/_4$-ჯერ აღემატებოდა ომამდელს. ასეთ ვითარებაში მოსახლეობა მით უფრო მეტი ინტენსივობით გადადიოდა ხორბლისა და სხვა პურეულის თესვაზე. რომ იგი იძლეოდა არა მხოლოდ ბევრად მეტ შემოსავალს, არამედ არ მოითხოვდა მორწყვასაც. რაც. სარწყავი სისტემის მოშლის ვითარებაში, დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა პურეულის სასარგებლოდ; ამასთანავე არც ვეგეტაციისა და არც მოსავლის აღების პერიოდში არ მოითხოვდა იმდენ მუშახელს, რამდენსაც ბამბა. ყოველივე ამის გამო მოსალოდნელია. რომ 1917 წელს კიდევ უფრო შემცირდეს ბამბის ნათესების ფართობიო,—ასკვნიდა ე. ვოლპერი, რომელიც ამასთანავე მიუთითებდა, რომ „ბამბას აქვს არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა" და რომ „ჩვენი ვალუტის მდგომარეობის პირობებში ამერიკიდან ბამბის შემოტანა ბევრად უფრო ძვირი დაგვიჯდება, ვინემ იმიერკავკასიიდან ერევნის გუბერნიაში ხორბლის შემოტანა".

თათბირის მონაწილენი „საკითხის ყოველმხრივ განხილვის შედეგად" იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ბამბაზე დაწესე-

ბული დაბალი მტკიცე ფასები ხორბლის სიძვირის დროს, ხელს უწყობენ იმას, რომ გლეხები ბამბის ნაცვლად სთესენ ხორბალს, რაც აუცილებელია მათთვის და ამასთანავე უფრო შემოსავლიანიცაა".

თათბირის აზრით „ასეთი მდგომარეობა ემუქრება ერევნის გუბერნიის სოფლის მეურნეობას, რადგან ხდება მკვეთრი გადასვლა თესლბრუნვის ერთი სისტემიდან, რაშიაც მონაწილეობს ბამბა, მეორე სისტემაზე, რომელშიც გამორიცხულია ბამბა. ეს მოვლენა ცუდ გავლენას მოახდენს გლეხურ მეურნეობაზე, რომელსაც ომის შეწყვეტის შემდეგ მოუხდება კვლავ გადავიდეს ბამბის კულტურაზე, რამდენადაც შემოზიდული ხორბალი უფრო იაფი იქნება. ამასთანავე, თუ მთავრობას ომამდე აუცილებლად მიაჩნდა მშობლიური მებამბეობის განვითარება და ამ გზით აშ შტატებზე ჩვენი დამოკიდებულების შენელება, ცხადია, მით უფრო აუცილებელია ეს ახლა, იმ ეკონომიკურ პირობებში, რაც შეიქმნა ომისგან, ჩვენი ხაზინის დავალიანებულობისა და სავაჭრო ბალანსის ჩვენთვის არასახარბიელო ვითარებაში".

ბამბის ნათესების შემცირების თავიდან აცილების მიზნით თათბირი საჭიროდ თვლიდა გუბერნიაში ხორბლის შემოტანის გადიდებას, „ბამბის მტკიცე ფასების აწევას" და სხვ[35].

---

[35]. საქ. სსრ ცსია, ფ. 243, საქმე № 857, ფურც. 7.

V. ᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔᲢᲐᲞᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲥᲝᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲔᲑᲘ

აზერბაიჯანის შესაბამის რაიონებში ბამბის კულტურა უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. მე-18 ს. როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ისე აქაც ადგილობრივი ბამბა საფეიქრო შინამრეწველობის მნიშვნელოვან ნედლეულს წარმოადგენდა. მე-19 ს. დამდეგს ბაქოს ყოფილ სახანოს აღწერაში ნათქვამია, რომ ადგილობრივ მკვიდრთა შორის ფართოდაა გავრცელებული ხელსაქმეობა და იშვიათია სახლი, სადაც არ იყოს საქსოვი დაზგა. ნარმას ქსოვენ როგორც ქალაქში, ისე სოფლადაც[1].

ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „ბაქოში მოჰყავთ 3 000 ფუთამდე ბამბა, რასაც ამ პროვინციაში იყენებენ ნართის საწარმოებლად; ხოლო შემდეგ ამ სახით მის ნაწილს აგზავნიან ასტრახანის ნავსადგურში"[2].

მე-19 ს. 30-იანი წლებიდან აზერბაიჯანის პროვინციებში იწყება ამერიკული და ეგვიპტური ბამბის გავრცელების ცდები, რაც პირველ ხანებში მარცხს განიცდის. 1842 წ. ტალიშისა და შაქის რაიონებში, როგორც ფიქრობენ, დიდი წვიმების გამო უცხოურმა თესლებმა ვერ გაიხარეს. ამავე დროს ყარაბაღსა და განსაკუთრებით შირვანში მცენარემაც გაიხარა და ჯარგი ნაყოფიც გამოიღო[3].

ეს ცდები გრძელდებოდა 40-იანი წლების მანძილზე. ადგილობრივი ადმინისტრაციისგან მიღებული ცნობებით ჯევან-

---

[1] АСКАК, IV, № 95, стр. 82

[2] იქვე.

[3] იქვე № 557.

შიოის რაიონში სიცილიური ბამბის თესლი დაითესა. მაგრამ ამ პროვინციაში ქოლერის გავრცელებისა და კალიის გაჩენის გამო მისთვის საჭირო ყურადღება არ მიუქცევიათ და მცენარე არ ამოსულა. ნუხის მაზრაში ბამბამ ჯერ კარგად გაიხარა, მაგრამ მერმე ის წვიმებმა გააფუჭა. შემახიას რაიონში ამერიკულმა ბამბამ მშვენივრად გაიხარა და ადგილობრივი სორტის ბევრად უკეთესი ნაყოფიც მოიტანა[4].

უცხოური ბამბა მალე „მოიშინაურეს“ ლენქორანის მაზრაში. 1846 წ. დათესილ მინდორზე ორ არშინზე მეტი სიმაღლის ბუჩქები გაიზარდა, რომელთაც მოზრდილი ხოკერები გაიკეთეს. „სიცილიურმა ბამბამ უფრო ნაკლები ნაყოფი მოიტანა, ვინემ ნიუ-იორკულმა, თუმცა სიგრძითა და ხოკერების რაოდენობით პირველი უკეთესი იყო“[5].

უკვე ჩატარებული ცდების შედეგად 40-იანი წლების ბოლოსთვის კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის მოწინავე მოხელეები დარწმუნებულნი იყვნენ აზერბაიჯანსა და საერთოდ ამიერკავკასიაში ამერიკული და ეგვიპტური სორტის ბამბის ვავრცელების მიზანშეწონილობაში. ცდებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით 50-იანი წლების დასაწყისიდან. ერთგვარი მოსაბრუნი პუნქტი შეიქნა 1850 წელს თბილისში გამართული კავკასიის სოფლის მეურნეობის გამოფენა, რამაც ნათლად დაანახა ადგილობრივი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების რიგი ხელსაყრელი პირობა—მებამბეობის გავრცელებისათვის.

კავკასიის ნამესტნიკის მ. ვორონცოვის ბრძანებით 1851 წ. გრძელბოჭკოიანი უცხოური ბამბის თესლები გაიგზავნა ელისავეტპოლს (1 ფუთი), ლენქორანს (0,5 ფუთი), შემახიას (0,5 ფუთი); ამასთანავე, ამ ბამბის მოყვანის წაქეზების მიზნით, გამოცხადდა, რომ მთავრობა შეისყიდდა პირველი წლის მთელ მოსავალს—შუშას, ლენქორანსა და ბაქოში, ფუთს 5—6 მანეთად, იმ შემთხვევაში, თუ ეს ბამბა „ღირსებით არ იქნება უფ-

---

[4] АСКАК. X. № 154.
[5] ОДНК. стр. 36—37.

რო მდარე ხარისხისა. ვინემ ქუთაისის გუბერნიაში მოყვანილი"[6].

ამგვარმა ღონისძიებებმა, ამასთანავე მოსახლეობაში უცხოური ბამბის დათესვისა და მოვლა-პატრონობის შესახებ ადგილობრივ ენებზე სტამბურად დაბეჭდილი რჩევა-დარიგების გავრცელებამ და სხვ., როგორც ჩანს, ნელ-ნელა გარკვეული შედეგი გამოიღო. 1851 წელს გაზ. „კავკაზი" იტყობინებოდა, რომ „მდ. მტკვრის მთელ ჭალებში დიდი წარმატებით მოყავთ გრძელბოჭკოიანი ბამბა", რაც ერთ დესეტინაზე 65 მანეთ წმინდა შემოსავალს იძლევაო (1 დეს. დამუშავების ხარჯები უდრის 60 მან., მოსავალი—25 ფუთს. 1 ფუთი იყიდება 5 მან.. რაც სულ 125 მან. შეადგენსო)[7].—ეს ინფორმაციაც, ცხადია, გრძელბოჭკოიანი ბამბის გავრცელებისთვის ხელის შეწყობის ღონისძიების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა.

როგორც აზერბაიჯანში. ისე საერთოდ აღმ. ამიერკავკასიაში ეგვიპტური სორტის ბამბის გავრცელებას ხელს არ უწყობდა ბუნებრივი პირობები. 1862 წ. ცნობით. ბაქოს გუბერნიაში ... ბამბის თესვაზე თანდათანობით ხელი აიღეს. „ის მხოლოდ წ... ხიას მაზრის ზოგიერთ სოფელში შერჩა ზოგიერთ მეურნეს. რომლებიც მას თავიანთ ბოსტნებში სთესენ ყოველგვარი მეურნეობრივი მიზნის გარეშე"[8].

რაც შეეხება ამერიკული სორტის ბამბას. ის აზერბაიჯანში. მართალია, რიგი მარცხის გავლით. მაგრამ მაინც, ასე თუ ისე. ვრცელდებოდა. ბაქოს გუბერნიაში ამერიკული ბამბის გავრცელებას ხელს უწყობდა. „კასპიის სავაჭრო კომპანიაც". რომლის ინიციატივით კოზიცკის მამულში (ლენქორანის რაიონში) ამ ცდებს სამი წლის განმავლობაში აწარმოებდა სპეციალისტი. რომელსაც ბამბის კულტურა შესწავლილი ჰქონდა ამერიკაში. მაგრამ აქ ამერიკული ბამბის აკლიმატიზაციის ცდებმა ამჯერად სასურველი შედეგი ვერ გამოიღო[9].

---

[6] ОДНК, стр. 37.

[7] «Кавказ», 1851, № 76.

[8] «Кавказ», 1862. № 67.,

[9] იქვე.

1864 წელს სმკს სპეციალისტი აზერბაიჯანში მებამბეობის ნელი ტემპით განვითარებას ხსნიდა იმ გარემოებით, რომ აქ მარცვლეული კულტურები უფრო შემოსავლიანია, ვინემ მემინდვრეობის სხვა დარგები და, გარდა ამისა, იმ მიზეზით, რომ უკვე „ფართოდ გავრცელდა იაფი და უკეთესი უცხოური და რუსული ბამბაქსოვილი ნაწარმი“, ხოლო ბამბის მოსაყვანად ვარგისი სახმარი მიწებიც არასაკმარისიაო[10].

მაგრამ მას მერმე, რაც სამოქალაქო ომის ვითარებაში ამერიკამ შესწყვიტა ევროპის მრეწველობისთვის ბამბის მიწოდება, დაიწყო „ბამბის შიმშილი“ და, მაშასადამე, დიდად აიწია ბამბის ფასები. მებამბეობა აზერბაიჯანში, ცხადია, უფრო მომგებიანი შეიქნა, ვინემ მემცენარეობის რიგი სხვა დარგი.

კერძოდ ენდროს მოყვანაზე უფრო ხელსაყრელი შეიქნა ბამბის თესვა... მაშინ მოსახლეობამ „ისეთივე ენერგიითა და გატაცებით მიყო ხელი ბამბის მოვლა-პატრონობას, როგორც აქამდე ეწეოდა ენდროს მოყვანას“[11].

ეს გატაცება მით უფრო ძლიერი იყო, რაც უფრო მატულობდა ბამბის ფასები. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს აღმავლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე დაიწყო აზერბაიჯანული მებამბეობისადმი „დიდი უყურადღებობის პერიოდი“, რაც თითქმის ორი ათეული წელიწადი გრძელდებოდა.

ახალი აღმავლობა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. ეს იყო, როგორც რუსეთის ტექსტილური მრეწველობის მხრივ მშობლიურ ნედლეულზე დიდი მოთხოვნილების წამოყენების, ასევე საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის ხანა, რაც ყველაზე უფრო რელიეფურად, ცხადია, აისახა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის თბილისიდან ბაქომდე გაგრძელებასა და საერთოდ მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებათა გაუმჯობესების და ვაჭრობის გაცხოველების მოვლენებში, რასაც არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხდინა აგრეთ-

[10] ЗКОСХ, 1864, № 5, стр. 142.

[11] იქვე.

ვე სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციასა და შესაბამის დარგთა საქონლური წარმოების მიმართულებით განვითარებაზე.

ელისავეტპოლის გუბერნიაში სავაჭრო მებამბეობის განვითარება, როგორც ჩანს, დაიწყო 1887 წლიდან, როდესაც ცნობილი მანუფაქტურისტის პოზნანსკის ფირმამ (ქ. ლოძი) არეშის მაზრაში დაიწყო ამერიკული ბამბის თესლის დარიგება. აქამდე ამ მაზრაშიც მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის სთესდნენ მცირე ზომით ბამბას—ეზოებსა, ბაღებსა და ბოსტნებში. მებამბეობა კიდევ მიჩნეული იყო ქალის საქმედ. ბამბის წმენდას ეწეოდნენ ჩიხრიხით („ჯარხაჩ")—ზაქათალისა და სამუხის ოკრუგებიდან საშოვარზე ჩამოსული ლეკები. ამ ინსტრუმენტით დღიურად ისინი ასწრებდნენ 8—9 გირ. ბამბის გაწმენდას. საკვებს მათ აძლევდა მასპინძელი, რომელიც 1 ფუთ გაწმენდილი ბამბისგან ხელფასის სახით იხდიდა 8—9 გირ. ბოჭკოს[12], ნატურით.

გლეხების წაქეზების მიზნით არეშისა და გეოქჩაის მაზრებში, პოზნანსკის ფირმამ, გარდა იმისა, რომ თესლს არიგებდა უფასოდ. სხვადასხვა პუნქტში გახსნა ბამბის შემსყიდველი კანტორები. ამ კანტორებში, თითოეულში მუშაობდა ოთხი კოტონ-ჯინი და ერთი ხელის წნეხი, აგრეთვე გამოცდილი დამსორტებელი, რომელსაც ევალებოდა გლეხებისთვის ესწავლებინა ბამბის დასორტვა და თანვე პირველი სორტის ბამბისთვის 1 მანეთით მეტი ფასი ეძლია, ვინემ მეორე სორტისაზე.

მებამბეობის გავრცელების საქმის უკეთესად ორგანიზაციის მიზნით ხსენებულმა ფირმამ აქ მოიწვია შემდეგში ცნობილი აგრონომი და მებამბეობის დიდი სპეციალისტი ნ. ტარატინოვი.

პოზნანსკის ფირმას, რომელმაც, ი. სეგალის სიტყვით, „საწყისი მისცა ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების რაიონებში მებამბეობის განვითარებას"[13], ამ მიმართულებით მიჰ-

---

[12] И. Сегаль, «Сборник свед. о Елисаветпольской губ.», I, 1902, стр. 117.

[13] იქვე. გვ. 118.

ყვნენ კორზინკინისა და კომპ. წარმომადგენლები, რომელთაც აგრეთვე გახსნეს ბამბის შემსყიდველი კანტორები. ამ ორ ფირმას შორის კონკურენციამ გამოიწვია ბამბაზე ფასების ამაღლება. კორზინკინის ფირმამაც დაიწყო გლეხებისთვის თესლის უფასოდ დარიგება.

1890 წელს არეშისა და შუშის მაზრის სოფლებში უკვე 9 000 ფუთზე მეტი გაწმენდილი ბამბა იქნა მოყვანილი. ფასებიც ნელ-ნელა მატულობდა. ყოველივე ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ბამბის წარმოება სამჯერ უფრო მომგებიანი იყო, ვინემ ხორბლისა და ოთხჯერ უფრო, ვინემ ქერის წარმოება. ასე რომ, მოსახლეობამ, რომელიც წინათ „ბამბას მხოლოდ ბოსტნებსა და ბაღებში სთესავდა, 1890 წლიდან მოყოლებული იწყო მისთვის დაეთმო ადგილი მემინდვრეობის მეურნეობაშიც, რის შედეგადაც ბამბის წარმოებამ ნელა-ნელა შეავიწროვა პურეულისა და განსაკუთრებით ბრინჯის ნათესები“[14]

ეს ტენდენცია მით უფრო მედგარი იყო, რომ „ბამბის კულტურას მინდვრის დამუშავებისთვის არ სჭირდება ბევრი მუშაობა და ამასთანავე ბრინჯთან შედარებით სჭირდება ბევრად ნაკლები მორწყვა—რაც ფრიად მნიშვნელოვანია—რამდენადაც ჭაობის მცენარეს ბრინჯს სჭირდება 5—6 თვის განმავლობაში მინდვრის მთლიანი გაწყლიანება. რაც უფრო იზრდებოდა გლეხთა მიდრეკილება ბამბისადმი. მით უფრო ყოველწლიურად იზრდებოდა ბამბის პლანტაციის ფართობი. ასე., 1890 წელს ელისავეტპოლის გუბერნიაში ითვლებოდა 1870 დეს., ხოლო 1900 წელს უკვე—10 000 დესეტინამდე ბამბის პლანტაცია“[15].

ნ. ტარატინოვი, რომელმაც 1891 წ. სპეციალური მიმოხილვა შეადგინა კავკასიაში მებამბეობის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს. რომ სწორედ ამ. 1891, წლიდან დაიწყო ბამბის თესვა ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების შემახიასა და შუშის მაზრებშიც, ამიერკავკასიის რკინიგზის გაყოლებით

---

[14] И. Сегаль. «Сб. свед. о Елисаветпольской губ.». I. стр. 119.
[15] იქვე, გვ. 120.

მტკვრის ჭალებში და ძისგან საკმაოდ დაშორებულ სოფლებში—აჯიბედს, ლემბერანს და სხვ. ამას გარდა, იმ რაიონებშიც სადაც აქამდე ბამბას მცირე ზომით სთესავდნენ ამ წელს ფრიად გაფართოვდა მისი პლანტაციები[16].

მებამბეობის სწრაფი გაფართოების მაჩვენებლად ნ. ტარატინოვი თვლის იმ გარემოებას, რომ: 1. ამ რაიონებში შესამჩნევად გამრავლდა ამერიკული ჯინები. აქამდე არსებულ თერთმეტს მხოლოდ 1891 წელს მიემატა ექვსი ჯინი (3—პოზნანსკის, 1—კორზინკინისა და 2 ადგილობრივი ვაჭრების—მირზა მელქუმოვისა და გუკას ზაგარჩიანცის შიერ); და რომ 2. „მრავალი გლეხი უკვე იწყებს აკაფოს თუთის პლანტაციები, მათ ადგილას ბამბის გაშენების მიზნით"[17]. მაგრამ ამ „ბევრად უფრო მომგებიანი საქმის" უფრო ფართოდ განვითარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ გლეხებს უძნელდებათ მტკვრიდან სარწყავი წყლის გაყვანა. ამგვარად, ნ. ტარატინოვი აქ იმავე მოვლენებს ამჩნევს, რაც იმ ხანად მიმდინარეობდა შუა აზიაში, სადაც მებამბეობის გავრცელების პარალელურად ეცემოდა მეაბრეშუმეობა[18].

ხუთიოდე წლის შემდეგ, სახელდობრ 1897 წ. იმავე სპეციალისტის მიმოხილვაში ვკითხულობთ, რომ მებამბეობა დიდი სისწრაფით ვითარდება ელისავეტპოლის გუბერნიის არა მხოლოდ არეშის, არამედ აგრეთვე ჯევანშირის, შუშის, ელისავეტპოლის, გეოქჩაის, შემახიას მაზრებში, სადაც უკანასკნელ ხანებამდე ფართოდ გავრცელებული იყო მხოლოდ მარცვლეულის (ხორბლის, ქერის, ბრინჯის) მეურნეობა. 1896 წელს მიღებულ იქნა 70 ათას ფუთზე მეტი გაწმენდილი ბამბა, ხოლო 1897 წელს ბამბის „ნათესების ფართობი, თითქმის გაორკეცდა და დაეჭვებაც არ შეიძლება, რომ ახლო მომავალში აქ ბამბის წარმოება, ყოველ შემთხვევაში, ერევნის გუბერნიის დონემდე მაინც მიაღწევს, რადგან უზარმაზარი ფართობები, რაც აქამდე

16 საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 113, ფურც. 27—28.

17 იქვე, ფურც. 31.

18 Газ. «Русские Ведомости». 1891, № 157.

დაკავებულია ისეთი მარცვლეულით, რაც ამჟამად თითქმის არავითარ შემოსავალს არ იძლევა, ბამბის, როგორც ბევრად უფრო შემოსავლიანი მცენარის პირველსავე საცდელი ნათესების შემდეგ. დაკავებული იქნება ამ უკანასკნელით. ასეთი კადასვლა მით უფრო ენერგიულად უნდა მოხდეს, რომ მებამბეობა აქ ბევრად უფრო სარფიანია როგორც მწარმოებლებისთვის. ასევე ბოჭკოს შემსყიდველთათვის, რადგან უფრო ხანგრძლივი ვეგეტაციური პერიოდის მეოხებით... ბამბის მოსავალი აქ გაცილებით უფრო ნაკლებად განიცდის რყევადობას, ვინემ ერევანში; ამავე დროს აქაური ბამბის ხარისხიც ბევრად უკეთესია, ხოლო ფაბრიკებში მისი მიზიდვა მნიშვნელოვნად უფრო იაფი ჯდება; ამას გარდა ბამბის ფასები აქ დაბალია, რადგან მის შემსყიდველთა შორის კონკურენცია დღემდე ბევრად ნაკლებია", ვინემ ერევნის გუბერნიაში[19].

ამგვარად, თავდაპირველად მებამბეობა ელისავეტპოლის გუბერნიის მხოლოდ რკინიგზის ხაზზე მდებარე არეშის მაზრაში ვითარდებოდა. ამ მაზრას, ამ მხრივ, ცხადია, დიდი უპირატესობა ჰქონდა[20]. მაგრამ მებამბეობა იმდენად სარფიანი შეიქნა, რომ ის მალე სულ უფრო შორდება რკინიგზის ხაზს და ვრცელდება ჯევანშირის მაზრაში, სადაც სავაჭრო მებამბეობა იწყება მხოლოდ 1890 წლიდან. ათიოდე წლის შემდეგ ჯევანშირისა და შუშის მაზრაში უკვე წარმოიქმნა ცალკე ყარაბაღის მებამბეობის რაიონი. მალე სავაჭრო მებამბეობა შეიჭრა ზანგეზურის მაზრაში. ამ მხრივ, ცხადია, ძლიერი იყო მეზობელი ერევნის გუბერნიის მებამბეობის გავლენა.

საერთოდ ელისავეტპოლის გუბერნიაში მებამბეობის გავრცელებულობის შესახებ საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს მე-19 ს. მიწურულისა და მე-20 ს. დამდეგის მონაცემები, მოპოვებული ი. სეგალის მიერ (ცხრ. იხ. გვ. 321).

---

19 საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 239. ფურც. 74.

20 «Обзор Елисаветпольской губ. за 1910 г»., 1912, Тифлис, стр. 43.

მაზრები	სოფელთა საერთო რიცხვი	კომლთა რაოდენობა		ბამბის პლანტაციების რიცხვი
		საერთოდ	მებამბეობის მიმდევართა	
1. არეშის	75	5 725	4 089	4 089
2. ჯევანშირის	84	4 222	1 525	1 403
3. შუშის	16	1 197	542	542
4. ზანგეზურის	18	1 203	497	731
5. ელისავეტპოლის	2	220	9	18
6. ყაზახის	1	310	1	1
სულ	196	12 877	6 663	6 774

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ელისავეტპოლის გუბერნიაში მებამბეობის წამყვანი რაიონი იყო არეშის მაზრა, რომელზედაც მოდის ბამბის პლანტაციების საერთო რაოდენობის (6 774) სამოც პროცენტზე მეტი (4 089), შემდეგი ადგილი ეჭირა ჯევანშირის მაზრას, რომელზედაც მოდის პლანტაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 21 პროცენტი; შუშის მაზრაზე მოდის 8, ხოლო ზანგეზურისაზე—კიდევ თითქმის 11 პროცენტი. ელისავეტპოლისა და ყაზახის მაზრებში სავაჭრო მებამბეობა უმნიშვნელო როლს თამაშობდა.

არეშის მაზრაში ბამბის კულტურის მოვლა-პატრონობაც შედარებით უკეთესი იყო. რაც შეეხება ჯევანშირისა და შუშის მაზრებს, ისინი ამ მხრივ შესამჩნევად ჩამორჩებოდნენ, რისი მიზეზიც იყო მომთაბარეობა ამ რაიონების მოსახლეობისა, რომელიც ზაფხულობით იალაღებში მიედინებოდა და, ამრიგად, ადგილზე მუშახელის ნაკლებობის გამო ბამბის პლანტაციების წესიერი და დროული დამუშავება (გათოხნა, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა და სხვ.) არ წარმოებდა. აქ ბამბის მოსავლიანობაც ნაკლები იყო და დესეტინაზე 15—16 ფუთს არ აღემატებოდა (არეშის მაზრაში კი 19—25 ფუთს უდრიდა),

მუშაძალის ნაკლებობისა გამო არაიშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც შუშისა და ჯევანშირის მაზრებში ბამბის მოსავლის თითქმის ნახევარი აუღებელი რჩებოდა. განსაკუთრებით სუსხიანი შემოდგომის ვითარებაში.

მე-19 ს. უკანასკნელ მეოთხედში მებამბეობის გავრცელების ტემპისა და მასშტაბების მხრივ ბაქოს გუბერნია საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა ელისავეტპოლისას, სადაც სავაჭრო მებამბეობის სწრაფი განვითარება დაიწყო 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან მოყოლებული მე-20 საუკუნემდე ელისავეტპოლის გუბერნიაში ბამბის წარმოების დინამიკას წარმოგვიდგენს ქვემომოყვანილი ციფრები:

წლები	ბამბის მოსავალი ფუთობით
1884	5 370
1885	5 286
1886	5 000
1887	12 550
1888	15 840
1889	17 470
1890	31 830
1891	25 601
1892	14 149
1893	48 526
1894	59 246
1895	55 211
1896	85 586
1897	152 776
1898	180 029
1899	113 527
1900	104 633

ამგვარად, 1886—1900 წლებში, ე. ი. 15 წლის განმავლობაში ბამბის წარმოება გაიზარდა 21-ჯერ. ამასთანავე უნდა

აღინიშნოს, რომ 1899—1900 წლებში საერთოდ მოსავლიანობა, კლიმატური პირობების გამო, თითქმის მთელ ამიერკავკასიაში ჩვეულებრივზე დაბალი იყო. შედარებისთვის უხვმოსავლიანი 1898 წელი რომ ავიღოთ მაზინ გამოვა, რომ 15 წლის განმავლობაში (1884 წლიდან დაწყებული) ელისავეტპოლის გუბერნიაში ბამბის წარმოება თითქმის 40-ჯერ გაზრდილა.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ადმინისტრაცია და ბურჟუაზიული თაოსნობა ჩიოდა, რომ აქ მებამბეობა, მაგალითად, თურქესტანთან შედარებით, ნელა ვითარდებაო.

ელისავეტპოლის გუბერნიაში მებამბეობის განვითარებისთვის ხელისშეწყობის საკითხი თავისი მსჯელობის საგნად გაიხადა 1901 წელს ამ გუბერნიის მაზრის უფროსების თათბირმა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არეშის, ჯევანშირისა და შუშის მაზრებში ბამბის წარმოების სწრაფ განვითარებას აბრკოლებდა, როგორც ბრინჯის კულტურისადმი მოსახლეობის მიდრეკილება, ასევე მიწათსარგებლობისა და მორწყვის საქმის ჩამორჩენილი ფორმები, ბამბის გაფანტვით თესვის ჩვეულება, თვით ხარისხოვანი თესლით მოსახლეობის მომარაგების მოუწესრიგებლობა;—ბამბის მოსავლიანობის და, მაშასადამე, მებამბეობის შემოსავლიანობის დაცემა. რასაც უფრო ართულებდა ის გარემოება. რომ წვრილი მწარმოებლები, „ნორმალური კრედიტის არარსებობის ვითარებაში", დაკაბალებული ჰყავდათ შემსყიდველებს[21].

ასეთ პირობებში ადმინისტრაცია დახმარებას სთხოვდა რუსეთის ბამბის მრეწველობის ცნობილ ფირმებს, რომელთა შიერ, მაგალითად, ფერგანში მოწყობილი სანიმუშო სასწავლო მეურნეობების გავლენით იმდენად დიდი წარმატებები იქნა მიღწეული, რომ „თურქმენები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მომთაბარე მეჯოგეობასა და ძარცვა-გლეჯას ეწეოდნენ, ერთბაშად და ფართო მასშტაბით გადავიდნენ ბამბის მწკრივზე თესვის რაციონალურ კულტურაზე" და სხვ.

---

[21] В. Мочалов, «Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в.», 1958, стр. 408.

ელისავეტპოლის გუბერნიაში, სადაც ასეთი დიდი კერძო ინიციატივა თუ არსაიდან გამოჩნდებოდა, მაშინ მაზრის უფროსები. შველას ითხოვდნენ მიწათმოქმედების სამინისტროსაგან, რათა ამ უკანასკნელს მოეწყო აქ მებამბეობის სანიმუშო, მეურნეობა და სხვ.,—მოსახლეობაში მემცენარეობის ამ დარგის კულტურის ამაღლებისათვის. ისინი სახავდნენ კიდევ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელთაც, ცხადია, განხორციელების შემთხვევაშიც სასურველი შედეგების მოტანა არ შეეძლოთ, მთელი ამ „პრაქტიკული დახმარების“ ბიუროკრატიული ხასიათისა და წვრილმწარმოებელთა მასების ბეჩავი მდგომარეობის ვითარებაში.

მაგრამ ელისავეტპოლის გუბერნიაში მებამბეობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბევრად უფრო მეტი სისწრაფით ვითარდებოდა პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში.

აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამიერკავკასიაში მებამბეობის მდგომარეობის 1908 წლის ანგარიშგებითი მასალებიდან ჩანს, რომ ელისავეტპოლის მაზრაში მებამბეობის მიმდევარი ყველაზე დიდი ცენტრები იყვნენ ქიურაქჩაის სარწყავი მაჰალის ოკრუგის სოფლები: საფიქიურდი, საროვი, ქიშიჰასანლი, კალიაკი, აზარ-ახმედი. ამ ოკრუგში ითვლიდნენ 1500 დესეტინა ბამბის პლანტაციას. ფართოდ იყო აგრეთვე მებამბეობა გავრცელებული კაშკარის, შამქორის, ჯირისა და ძეგამის სარწყავ (საირიგაციო) ოკრუგებში[22].

1908 წელს აღებული ბამბის მოსავალი მაზრების მიხედვით უდრიდა:

არეშის	48 000 ფუთს.
ელისავეტპოლის ყაზახის	60 000 „ „
ჯევანშირის	40 000 „

[22] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 537, ფურც. 154.

შუშის	17 000	„
ზანგეზურის	5 000	„ „
სულ	170 000	ფუთს

* * *

როგორც ბაქოს გუბერნატორის ანგარიშგებიდან ჩანს, შე-19 ს. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოსკოვური ფირმები აქ იწყებენ მოსახლეობაში ეგვიპტური ბამბის თესლის დარიგებას და არეზის ჭალებში მათ თვითონაც გაიჩინეს ბამბის პლანტაციები[23]. 1869 წელს ბაქოს გუბერნიაში ბამბის მოსავალმა უკვე 50 ათას ფუთს მიაღწია. ამ დროს აქ მოროზოვის ფირმას ჰქონდა 40 დეს. ბამბის პლანტაცია. მაგრამ შემდეგში 70-იანი და 80-იანი წლების პირველ ნახევარში. 60-იან წლებთან შედარებით, როგორც აკად. ა. სუმბათ-ზადე წერს, „აზერბაიჯანის მებამბეობაში პროგრესი არ ეტყობა. პირიქით, მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ამ ისედაც არასაკმაოდ განვითარებული დარგის აშკარა დაცემა“[24].

ბაქოს გუბერნიის 1884 წლის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ აქ „ბამბას აწარმოებენ უმნიშვნელო რაოდენობით. ლენქორანის მაზრაში დაითესა 150 ფუთი თესლი და აღებულ იქნა 1 800 ფუთი ბოჭკო. გეოქჩაის მაზრაში დაითესა 86 ფუთი თესლი და აღებული იყო 242 ფუთი ბოჭკო“[25]. ათი წლის შემდეგ, სახელდობრ 1894 წელს. ბაქოს გუბერნიაში ბამბის მთელმა მოსავალმა შეადგინა 6 000 ფუთი.

აღსანიშნავია. რომ აზერბაიჯანში 90-იანი წლებიდან ბამბის საქმემ მიიქცია არა მხოლოდ ბეგების. არამედ, აგრეთვე მრეწველი კაპიტალისტების ყურადღებაც. ნავთობის მრეწველების ტაგიევისა და ცატუროვის მამულში—„ევლახ-მულქი“—ბამბის ნათესებს ეჭირა 1896 წელს დაახლოებით 45 დეს., ხოლო 1897 წელს უკვე—250 დესეტინა ფართობი.

---

[23] А. Сумбат-Заде, «Сельское хозяйство Азербайджана в XIX веке», 1958. Баку, стр. 208.

[24] იქვე, გვ. 209.

[25] «Кавказский календарь на 1886 г»., Тифлис. 1885, стр. 193.

ბაქოს გუბერნიაში მებამბეობის გავრცელების მხრივ მე-19 ს. 90-იანი წლებიდან დიდ ყურადღებას იქცევს მუღანის ველი, რომლის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები ფრიად ოპტიმალური ჩანდა, ოღონდ საჭირო იყო ირიგაციის საქმის გადაჭრა, რაც დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა.

ამასთანავე, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ირიგაციის საკითხს ცარიზმის ხელისუფლება იმთავითვე უკავშირებდა ამ მხარის კოლონიზაციის პრობლემას[25]. სწორედ მუღანის ველის ირიგაცია და ამ რაიონში მებამბეობის განვითარების მოვლენები უაღრესად საინტერესო საკითხია ცარიზმის კოლონიური სოფლისმეურნეობრივი და აგრარული პოლიტიკის თვალსაზრისითაც, რაზედაც სხვა ადგილას გვექნება სპეციალურად მსჯელობა. აქ, ცხადია, მხოლოდ მუღანის ველში მებამბეობის გავრცელების მომენტებზე შევჩერდებით.

მუღანის ველზე პირველი საჩვენებელი ბამბის პლანტაცია სოფ. ნოვო-ნიკოლაევსკში მოეწყო მხოლოდ 1900 წელს სწორედ ამ დროიდან დაიწყო აქ მებამბეობის სწრაფი გავრცელება. ჩრდ. მუღანში მოსახლეობამ ბამბის თესვა დაიწყო კიდევ უფრო გვიან, 1904—1905 წლებში, ასევე გვიან დაიწყო მებამბეობის გავრცელება შირვანის ველზედაც.

განსაკუთრებით სწრაფად მოედვა მებამბეობა ჯევათის მაზრის სოფლებს. ასე, მაგალითად, ს. ნიკოლაევკაში 1905 წ. იყო ბამბის 80 დეს. პლანტაცია, ხოლო 1912 წელს—უკვე 300 დეს. ანალოგიურია ეს ტემპები სს. ალექსეევკაში, ოტრადნოეში, პეტროპავლოვკასა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მუღანისა და შირვანის ველზე მებამბეობა უწინარეს და უფრო სწრაფად სარწყავი მიწებით და აგროტექნიკური დახმარებით უფრო უზრუნველყოფილ რუსულ სოფლებში ვითარდებოდა. მაგრამ სულ მალე აზერბაიჯანელი მოსახლეობაც ჩაება ამ ფერხულში და სს. იახშიკენ-

[25] პ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს“., მონოგრაფიები, ტ. III, გვ. 127—204.

დი, ბეშტანი, პირათმან-გენჯალი, კარაკაშლი და სულეიმან-კენდი დიდი სისწრაფით აფართოებენ ბამბის პლანტაციებს.

მებამბეობის გავრცელების ტემპის დასახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრაში 1906 წელს ითვლებოდა 2 000 დეს. ბამბის პლანტაცია, რომლის საერთო ფართობმა 1910 წელს უკვე 10 000 დესეტინას მიაღწია.

მუღანის ველის რუს კოლონისტთა სოფლებში გადასახლება-დასახლების სამმართველოს (Переселенческое управление) ცნობით ბამბის პლანტაციის საერთო ფართობი უდრიდა:

1904	წელს	8	დესეტინას	1909	წელს	829	დესეტინას
1905	„	32	„	1910	„	3291	„
1906	„	105	„	1911	„	5282	„
1907	„	325	„	1912	„	7600	„
1908	„	800	„				

ამგვარად, რაღაც 9 წლის განმავლობაში ბამბის პლანტაციის საერთო ფართობი აქ გაიზარდა 875-ჯერ და ასეთი, მართლაც, რომ ფანტასტიკური ტემპი აიხსნება არა მხოლოდ საკუთრად კოლონიზაციით ამ მხარისა, რაც სწორედ ამ წლებში, სარწყავი სისტემის გაყვანის ხანებში, დიდი სისწრაფით მიმდინარეობდა, არამედ მნიშვნელოვანი ზომით კოლონისტთა მიერ ბამბის ნათესი მინდვრების სისტემატური გაფართოებით. სწორედ ამ წლებში აქ, რუს კოლონისტთა სოფლებში, წარმოიშვნენ მებამბეობის საკმაოდ მსხვილი მეურნეობები.

1912 წელს ჩატარებულ ამ სოფელთა კომლობრივი აღწერების მასალათაგან ჩანს, რომ ბამბის ნათესების სიდიდის მიხედვით ეს კომლები (მეურნეობები) ნაწილდებიან:

მეურნეობები:	მეურნეობათა რაოდენობა	მათი % შეფარდება აღწერილ მეურნეობათა მიმართ
რომელთაც არ ჰქონდათ ბამბის ნათესები	110	6,1
რომელთაც ჰქონდათ-0,5 დესეტინ. ნაკლები	9	0,5
„ „ 0,5—1—დესეტ.	92	5,0
„ „ 1-დან—2 „	603	32,9
„ „ 2-დან—3 „	500	27,3
„ „ 3-დან—5 „	419	22,9
„ „ 5-დან—10 „	93	5,1
„ „ 10 დესეტ. მეტი	4	0,2

ამგვარად, 1912 წელს რუს კოლონისტთა სოფლებში კომლთა (მეურნეობათა) საერთო რაოდენობის 28,2 პროცენტს ჰქონდა სამ დესეტინაზე მეტი ბამბის პლანტაცია, ხოლო სამ დესეტინაზე ნაკლები—65,7 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ მებამბეობის მიმდევარ კომლთა 55.5 პროცენტს ჰქონდა თითეოულს ორ დესეტინაზე მეტი ბამბის პლანტაცია. ამგვარად, თუ მხედველობაში მივიღებთ მებამბეობის შემოსავლიანობის დონეს, შეიძლება ითქვას, რომ ეს სოფლები სანახევროდ კულაკური კომლებისაგან შედგებოდა[27].

როგორც ერთხმად აღნიშნავენ დამკვირვებლები, მუღანისა და შირვანის ველზე აბორიგენი და კოლონიზატორული მოსახლეობაც ბამბას გამუდმებით სთესდა ერთსა და იმავე ნაკვეთზე. ამ „მოსახლეობას მტკიცედ სწამს, რომ ნიადაგის ნაყოფიერების მხრივ ყოველგვარი ზიანის გარეშე შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში ბამბა ითესებოდეს ერთსა და იმავე ნაკვეთზე“, ყოველგვარი თესლბრუნვის გარეშე.

ლ. რუმა სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მეურნეობის ასეთი სისტემა ატარებს ბუნებრივი სიმდიდრისა და ძალების მტაცებლური ექსპლოატაციის ყველა ნიშანს“, და ამას აკეთებენ იმ „იმედით, რომ მარაგი გამოულეველია და მისწრაფებით, რათა, რაც შეიძლება მალე გამოიყენონ ბამბის ბაზრის ხელსა-

---

27 Л. Рума, «Очерки и исследования», I. стр. 65—66.

ყრელი კონიუნქტურა და გამოგლიჯონ ბუნებას რაცკი შეიძლება“[28].

მიწის ნიადაგისადმი რუს ახალმოშენეთა დამოკიდებულების შესახებ მებამბეობის ინსტრუქტორი ვ. ბელიცკი წერს, რომ ისინი „საერთოდ არ იცავენ თესლბრუნვას და ბამბას სთესენ ყველგან, სადაც მოიპოვება სარწყავი მიწა“. ასე რომ. ბამბა ერთსა და იმავე ნაკვეთზე ითესება 10 წელიწადზე მეტხანს, სანამ ნიადაგი „არ გამოიფიტება და არ დაიფარება ბიცობებით“.

მებამბეობით გატაცებული ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად არ კმაყოფილდებოდა ამ კულტურისათვის უკვე გამოყოფილი ნაკვეთებით და ყოველწლიურად აფართოებდა ბამბის ნათესებს აქამდე „ქერის, ხორბლის, შვრიის ნათესებითა და ბოსტნით დაკავებული მინდვრების ხარჯზე“. ასეთ შემთხვევაში „მიწის ამ ნაკვეთებზე მერმე კვლავ ითესებოდა ხორბალი, ქერი ანდა რომელიმე სხვა მცენარე. ამასთანავე ბამბის ორჯერ დათესვის მერმე მიწის ასეთ ნაკვეთებს ერთი წლით ასვენებენ“.

აბორიგენი მოსახლეობა, რომელსაც „არ შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ მსგავსად ახალმოსახლისა, მასაც მისცემენ სხვა ნადელს, თუ ის გამოფიტავს თავის მიწას, უფრო ფრთხილად ეპყრობა მას და დიდ მზრუნველობას იჩენს მისი მწარმოებლური ძალების დაცვისათვის. აზერბაიჯანელები თავიანთ მიწაზე „ზედიზედ სამჯერზე მეტად არ სთესენ ბამბას“[29].

მებამბეობით მოსახლეობის გატაცების მიზეზი როგორც სხვაგან, ისე ბაქოს გუბერნიაშიც, ცხადია, მისი დიდი შემოსავლიანობა იყო. ლ. რუმას მონაცემებით 1910 — 1912 წწ. ერთი დესეტინა ბამბის პლანტაციის მთლიანი შემოსავალი უდრიდა მანეთობით:

---

28 Л. Рума, назв. соч., стр. 81—82.
29 იქვე, გვ. 82.

	ბოჭკოსაგან	თესლისაგან	სულ
გეოქჩაის მაზრაში	112, 37	16, 75	129, 12
ჯევათის	202 57	19, 25	221 82
ლენქორანის	164 00	18, 80	182 80

აქედან ერთ დესეტინაზე საშუალო დანახარჯების, სახელდობრ 77.5 მანეთის გამოკლებით (როდესაც პლანტატორი ყიდის გაწმენდილ ბამბას) წმინდა შემოსავალი უდრიდა: გეოქჩაის მაზრაში—51,62 მან., ჯევათის მაზრაში—144,32 და ლენქორანის მაზრაში—104,30 მან.

ასეთ პირობებში, ცხადია, მებამბეობა უაღრესად პერსპექტივიანი კულტურა იყო, და, როგორც პ. პეტროვიჩი წერს „სახნავი და საერთოდ სახმარი მიწები აქ დატაცებაზეა და მათ იღებენ სახელდობრ სპეციალურად ბამბის კულტურისათვის. ამის შედეგად კი სწრაფად მატულობს საიჯარო ქირა და მიწის ფასები. ზოგ ადგილებში მოსახლეობისთვის პურის ნაკლებობაა და პირუტყვისთვის საკვების უკმარობა; საბალახო მიწების ინტენსიური გადახვნის შედეგად ეცემა მეჯოგეობა და მომთაბარე მეურნეობა“[30].

ჯევათის მაზრის ზოგიერთ სოფელში 1902—1912 წლების განმავლობაში მიწის საიჯარო ქირა სამჯერ, ხუთჯერ და ათჯერაც გაიზარდა. მაგალითად, 1 დეს. ბამბის სათესი მიწის საიჯარო ქირა უდრიდა (მანეთობით):

	1902 წ.	1907 წ.	1912 წ.
სოფ. პეტროპავლოვკაში	15	20	60
ალექსანდროვკაში	5	15	55
„ ნიკოლაევკაში	—	15	60

კორესპონდენტთაგან დასახელებულია შემთხვევები, როდესაც 1900-იანი წლების დამდეგს, სანამ მორწყვასა და ბამბის თესვას დაიწყებდნენ. 1 დეს. მიწის საიჯარო ქირა განისა-

[30] П. Петрович, «Хлопководство в Закавказье», стр. 43.

ზღვრებოდა კაპიკობით, ხუთიოდე წლის შემდეგ კი მანეთობით და კიდევ ხუთიოდე წლის შემდეგ (1912 წ.) უკვე თუმნობით.

მაგრამ აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ, ასე სწრაფად იზრდებოდა რა საიჯარო მიწის ქირა, მისსავე პარალელურად მიმდინარეობდა ნატურალური მეურნეობის უკანასკნელი სიმაგრეების აფეთქება. საიჯარო ქირა სულ უფრო ფულად ხასიათს ღებულობდა და პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში უკვე სცენაზე გამოდის ნამდვილად კაპიტალისტი მეიჯარე, რომელიც როგორც ფერმერი იწყებს ბამბის მსხვილი პლანტაციის პატრონობას.

ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრაში პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში ბამბამ თითქმის სავსებით გამოდევნა მიწათმოქმედების სხვა კულტურები და დაიკავა სახნავი მიწის უდიდესი ნაწილი. სმკს ადგილობრივი კორესპონდენტების ცნობით მუღანის ველზე ისე ინტენსიური იყო მებამბეობის დაწოლა, რომ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ბამბის პლანტაციებმა „დაიკავეს ყველა სახმარი მიწის ფართობის ორმესამედზე მეტი და, უნდა ვიფიქროთ, რომ მებამბეობა გამოდევნის მარცვლეულის მემინდვრეობას... სოფ. ალექსანდროვკის თითქმის ყველა მინდვრები ბამბითაა დათესილი“[31].

ამ პროცესების შესწავლამ პ. პეტროვიჩი იმ დასკვნამდე მიიყვანა. რომ მისი სიტყვებით: ახლა (1912) „მუღანში ახალმოსახლეთა ნაწილის მეურნეობა უკვე უახლოვდება ევროპელი ფერმერის მეურნეობას“[32].

მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც კი შესაძლებლობა იქმნებოდა კოლონიზატორულ ელემენტებს არ ჩამორჩებოდნენ აბორიგები. პ. პეტროვიჩი, რომელიც სრულებითაც არ იყო უკანასკნელთა მიმართ სიმპატიურად განწყობილი, 1912 წ. წერდა: ბაქოს გუბერნიის ადგილობრივ წვრილ მიწათმოქმედთა

31 «Сельскохозяйственный обзор по Закавказью за 1911 г»., стр. 41.

32 П. Петрович, назв. соч., стр. 45.

კლასი „ცხადია, უფრო ნაკლებშეძლებულია, უფრო სუსტად ანდა სრულებითაც არაა შეიარაღებული სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული იარაღ-შანქანებით, მაგრამ მაგრად ჩასჭიდებია თავის მიწის ნაკვეთს და ნელ-ნელა ისიც ერთვის მიწათმოქმედების საერთო პროგრესს. ბამბამ და ცხოვრების საერთო გართულებამ გამოაფხიზლა ინერტული მიწისმუშა თათარი და, ნებსით თუ უნებლიეთ, ის უკვე ინტერესდება არა მხოლოდ იმით, თუ რა კეთდება მის სოფელში, არამედ იმითაც, თუ რა ხდება მისი სოფლის საზღვრებს იქითაც. იქ სადაც კარნახობენ ფასებს, საიდანაც მოდის სიახლენი“[33].

ისეთი ოფიციალური სპეციალისტები, როგორიც იყვნენ, მაგალითად. ნ. ტარატინოვი, პ. პეტროვიჩი, ნაწილობრივ ს. ტიმოფეევი და სხვ. აზერბაიჯანული სოფლის ეკონომიკური ცხოვრების აღორძინების მთავარ ბერკეტად სთვლიდნენ მებამბეობას და მის წამქეზებელ რუსეთის ტექსტილური მრეწველობის კეთილისმყოფელ გავლენას. მეორე მხრივ. ისეთები, როგორიც იყვნენ ი. სეგალი, ლ. რუმა და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ აღორძინების მთავარ საწყისს წარმოადგენდა კოლონიზაცია და უკანასკნელის ინტერესებისათვის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებანი, განსაკუთრებით კი ირიგაცია და კოლონიური აგრარული პოლიტიკა.

ცხადია, ორივე ეს თვალსაზრისი მარტოოდენ დიდმპყრობელური პოლიტიკის მარტივი გამოვლინება იყო, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო პრობლემის მეცნიერულ ახსნასთან, რაზედაც თავის ადგილას გვექნება მსჯელობა.

ლ. რუმა წერდა (1913), რომ ამიერკავკასიაში ნაკლებშემოსავლიანი პურეულის კულტურებიდან დიდშემოსავლიან სპეციალურ და ტექნიკურ კულტურებზე, მაგალითად, მებამბეობაზე გადასვლა წარმოადგენდა „კოლონიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთ უახლოეს ეკონომიკურ ამოცანას“ და რომ სწორედ ამ მხრივ თაოსნობის გამოჩენას ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა აკისრებდა ამ მხარეში გადმოსახლებულ „რუს მიწათმოქმედ მოსახლეობას“.

[33] პ. პ ე ტ რ ო ვ ი ჩ ი, დასახ. თხზ., გვ. 46.

ამ ასპექტში აბორიგენი და ახლადჩამოსახლებული მოსახლეობის როლისა და მნიშვნელობის გარკვევისთვის, მას მოჰყავს ოფიციალური მონაცემები, რომლებიც უჩვენებენ, „სხვადასხვა ჯგუფისა და ტიპის მოსახლეობის“ სარგებლობაში მყოფი სათესი ფართობის სიდიდეს (დესეტინობით):

	ერთ კომლზე სათესი ფართობი	მათ შორის სარწყავი სახნავის პროცენტი
ახლადჩამოსახლებულთა სარგებლობაში იყო	5,3	100,0
ბინადარ (მიწათმოქმედ) აზერბაიჯანელთა სარგებლობაში იყო . .	2,2	52,8
მომთაბარე აზერბაიჯანელთა სარგებლობაში იყო	1,4	40,3

ამ მონაცემების საფუძველზე ლ. რუმა მსჯელობს: „...ჩვენ ვხედავთ, რომ რუს ახალმოსახლეებს ერთ მეურნეობაზე (კომლზე) ნათესის ფართობი მნიშვნელოვნად მეტი აქვთ, ვინემ აზერბაიჯანელებს, მაგრამ სარწყავი მიწის ფართობიც პირველთ... ბევრად მეტი აქვთ, ვინემ უკანასკნელთ. აზერბაიჯანელთა ყველა სახნავი მიწაც რომ ირწყვოდეს, როგორც ახალმოსახლეთა მიწები, მაშინ საფიქრებელია. რომ ამათი ნათესების ფართობიც შესაბამისად გაიზრდებოდა... და თითქმის გაუთანასწორდებოდა რუს ახალმოსახლეთა ნათესების ფართობს. ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის გარემოება, რომ მობინადრე აზერბაიჯანელთა შორისაც ჯერ კიდევ არის მომთაბარე-მეჯოგეთა გარკვეული კონტინგენტი, რომელიც არ ჩქარობს ნათესების გაფართოებას. ყოველივე ეს საფუძველს არ იძლევა ვიფიქროთ, რომ მიწათმოქმედებისადმი მიდრეკილება თითქოს რუსს უფრო ახასიათებდეს, ვინემ აბორიგენს. უკანასკნელი, რამდენადაც პირობები შესაძლებლობას აძლევს გააფართოვოს ნათესები, ამას რუსზე უარესად არ აკეთებს, რაც საეჭვოა იძლეოდეს უფლებას ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ რუსი ახალმოსახლენი უფრო მწარმოებლურად იყენებდნენ მათთვის მიცემულ მიწებს. თუ რომ მათ მოსვლას დაემთხვა აბორიგენთა ნათესების ზრდა, ეს არა იმის გამო, რომ

რუსები არიან მიწების უფრო მწარმოებლურად სარგებლობის მატარებელნი, არამედ უბრალოდ იმის ძალით ხდება, რომ აბორიგენებს მათი მოსვლით შეუმცირდათ მიწის სივრცეები, რაც ურტყამს ძველებურ მეურნეობრივ ფორმებს, იწვევს რა მეჯოგეობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლას"[34].

ქვემოთ ლ. რუმას მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ „მუღანის ველის ახალმოსახლეთა სათესი ფართობის 38 პროცენტი უჭირავს ისეთ შემოსავლიან კულტურას, როგორიცაა ბამბა, მაშინ როდესაც ჯევათის აბორიგენებთან ეს პროცენტი უდრის მხოლოდ 13.2 ბინადარ და 10,3—მომთაბარე მოსახლეობაში. მაგრამ აბორიგენთა შორის მებამბეობის განვითარებისთვის მთავრობას ხომ არაფერი არ გაუკეთებია. არც საცდელი მინდვრები მოუწყვია, არც სარწყავი ქსელი გაუფართოვებია ხაზინის ხარჯზე... აქ მთელი სოფლისმეურნეობრივი პროგრესი მინდობილი იყო თვით აბორიგენი მოსახლეობის პირად ინიციატივაზე, რომელსაც ასე აბუჩად იგდებენ, როგორც პროგრესისადმი უუნაროს და რომელიც, მიუხედავად ამისა... ოდნავი შესაძლებლობის პირობებში ბამბის ნათესებს კიდევ უფრო დიდი ზომით ანვითარებდა, ვინემ რუსი ჩამოსახლებულები. თუ მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ მებამბეობაში აბორიგენი მოსახლეობის ერთგვარ ჩამორჩენილობაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო დამონებულ მდგომარეობაშია... საადგილმამულო ურთიერთობათა მხრივ მოუწყობლობის, მემამულეებისადმი დამოკიდებულების და სხვ. ისტორიულად შექმნილ არახელსაყრელ პირობებში"[35].

ანალოგიურად ახასიათებენ აზერბაიჯანის მებამბეობის რაიონებში მოსახლეობის ძირითადი მასების ინიციატივასა და მთავრობის ღონისძიებებს საერთოდ თვითმპყრობელობის განათლებული მოხელეები. ამ მხრივ ლ. რუმა ზოგჯერ მაინც თითქოს უფრო ობიექტურობას იჩენს.

---

34 Л. Рума, назв. соч., стр. 222—223.

35 იქვე.

მას მერე, რაც მებამბეობა საყოველთაოდ აღიარებული შემოსავლიანი და პერსპექტიული დარგი შეიქნა ამ მოძრაობაში ჩაერთვნენ მემამულე-მიწათმფლობელებიც. რომელთა მეურნეობაზე, რა თქმა უნდა, არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხიდინა სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებას.

როგორც ჩანს, ელისავეტპოლის გუბერნიაში. საერთოდ აზერბაიჯანში, ახალი სიო ისე მკვეთრად შეიჭრა. რომ მან ადგილობრივ საადგილმამულო და სამიწათმოქმედო ურთიერთობებში მთელი გადატრიალება გამოიწვია. მემამულე აქამდე არსებითად არც კი ერეოდა მიწათმოქმედებაში. მან თავისი მიწების მიჯნებიც კი არ იცოდა ხეირიანად. ვრცელ ველებზე ეგერაგერ ესახლნენ და მუშაობდნენ მიწათმოქმედი და ნახევრად მომთაბარე რაიატები, მიმოძრაობდა მეჯოგეთა ჯგუფები. მემამულე ბეგი თავის მამულს განაგებდა მოურავების მეშვეობით. ხოლო თვითონ სახელმწიფოებრივ სამსახურში შედიოდა. ანდა სულ უსაქმურად, სოფლად თუ ქალაქად. განცხრომით ცხოვრობდა.

მაგრამ სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებას შედეგად მოჰყვა საიჯარო ქირის და მიწის ფასის სწრაფი გადიდება. არსებითად შეიცვალა მუშახელის ორგანიზაციის საქმე. ამიერიდან სულ სხვა სახე მიიღო კრედიტმა და საერთოდ მთელმა სოფლისმეურნეობრივმა წარმოებამ.

პ. პეტროვიჩი აგვიწერს: „ნელ-ნელა მემამულე ბეგი ინტერესდება არა მხოლოდ გლეხით. რომელიც აქამდე მას სჭირდებოდა როგორც შემოსავლის ობიექტი. არამედ მიწითაც, რომელზედაც ცხოვრობს და მუშაობს ეს გლეხი. რომელსაც მოყავს პური თავისთვის. მემამულისა და სახელმწიფოსთვისაც. ერთმანეთის მიდევნებით მსხვილი მიწათმფლობელები ჯერ ადიდებენ მოსავლის ნაწილს. რასაც ნახევრად თავისუფალი მეიჯარისგან ღებულობდნენ. მერმე შეუმჩნეველად უფრო არსებითად ერევიან თავიანთი რაიატების მეურნეობაში და. ბოლოს, იწყებენ ცდებს თავიანთთვის მოხნან სახმარი მიწები, ზოგჯერ საკუთარი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარითაც

კი, რაც წინათ ბეგს არასოდეს არ მოეპოვებოდა. იხვნება აქამდე ხელუხლებელი, მიგდებული მიწები, საბალახო ადგილები შესამჩნევად იკვეცება და ველების (მომთაბარული) თავისუფლება წარსულს ბარდება. საიჯარო ურთიერთობებშიც ბევრი რამ ახალი ჩნდება, მით უფრო რომ ძველი ტიპის ადგილობრივი გლეხის გვერდით ჩნდება—ან ადგილობრივ თაოსნიანი სოფლის მეურნეთაგან, ანდა გარედან მოსულ პირთა სახით — მოიჯარე, რომელიც კონკურენციას უწევს პირველს, ხოლო ბეგს მიწის იჯარით აღების უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს".

ამგვარად, მე-20 ს. პირველი ათეულის მანძილზე ელისავეტპოლის გუბერნიაში წვრილმწარმოებელთა ნაკვეთების გვერდით უკვე ჩნდება და ვითარდება მსხვილი მემამულური და საიჯარო (არსებითად ფერმერული) ბამბის პლანტაციები. პ. პეტროვიჩი წერს: გარდა იმისა, რომ მიწის საიჯარო ქირა ძლიერ გაიზარდა, რომ „აღმ. ამიერკავკასიაში წარმოიშვა მსხვილი მემამულე-სოფლის მეურნე და სცენაზე გამოვიდა კაპიტალისტური მოიჯარე (შრომითი, სასურსათო მოიჯარისგან განსხვავებით),—მუღანში ვითარდება ტიპიური დასავლეთ-ევროპული და თვით ამერიკული ყაიდის ფერმერი"[36].

ასეთია საერთო ფონი, რომლის უკან გაშლილია მოიჯარე კაპიტალისტის, სოფლის მეურნე მემამულეს, მემამულე-მიწათმფლობელის და წვრილმწარმოებელ გლეხს შორის ურთიერთობათა ჭრელი სურათი და დაბეჯითებითი დაკვირვებისა და შესწავლის გარეშე ძნელია გაერკვეს ადამიანი, თუ სად თავდება სასურსათო იჯარა, მეურნეობა მოიჯარისა, რომელიც დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე, თვითონ და თავისი ოჯახის წევრთა შრომით ეწევა ცხოვრების მძიმე ჭაპანს, და სად იწყება კაპიტალისტური იჯარა, რომელიც დამყარებულია დაქირავებული შრომისა და გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გამოყენებაზე[37].

---

36 П. Петрович, назв. соч., стр. 47—48.

37 ამიერკავკასიაში ამ დროს არსებულ საიჯარო ურთიერთობათა შესახებ იხ. ჩვენი „მიწის იჯარა" (მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 670—754).

რა თქმა უნდა, მოსახლეობის ძირითადი მასების, წვრილმწარმოებელთა შევიწროებული, კაბალური მდგომარეობა, საიჯარო ქირისა და მიწის ფასების სწრაფი ზრდა, მიწათმფლობელობის საერთო აბურდულობა, ბატონყმობის მძიმე გადმონაშთები და სხვ. აბრკოლებდა აბორიგენთა შორის მებამბეობის სწრაფ განვითარებას და მიუხედავად ამისა ამ მოსახლეობის დიდი შრომისმოყვარეობა, თაოსნობა და მეწარმოების უნარი საბოლოოდ ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ იგი გამოსულიყო კეთილმოწყობილი, კულტურული მეურნეობის ფართო გზაზე, რაც გადაჩიხული იყო ნახევრადფეოდალური და ნახევრადბურჟუაზიული ურთიერთობებითა და დიდმპყრობელობის მძიმე კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის რეჟიმით.

ბამბის ნათესების საერთო ფართობის (დესეტინობით) დინამიკა ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში 1909—1917 წწ.

წლები	ელისავეტპოლის გუბერნია	ბაქოს გუბერნია
1909	14 200	5 600
1910	26 600	12 200
1911	53 300	23 600
1912	46 650	21 450
1913	50 800	30 900
1914	53 000	40 000
1915	36 000	24 000
1916	34 000	27 000
1917	20 000	13 000

როგორც ვხედავთ, ორსავე გუბერნიაში დიდი სისწრაფით იზრდებოდა ბამბის ნათესების საერთო ფართობი, რამაც საბჭოურამდელი პერიოდისთვის უმაღლეს წერტილს მიაღწია

1914 წელს, როდესაც ელისავეტპოლის გუბერნიაში დაითესა თითქმის 4-ჯერ მეტი, ხოლო ბაქოს გუბერნიაში—7-ჯერ მეტი, ვიდრე 1909 წელს.

შესაბამისად იზრდებოდა ბამბის ბოქკოს საერთო მოსავალი. როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 1914 წელს აღებულ იქნა ბამბის მოსავალი ელისავეტპოლის გუბერნიაში 3-ჯერ მეტი, ხოლო ბაქოს გუბერნიაში 7,5-ჯერ მეტი, ვინემ 1909 წელს.

ბამბის ბოქკოს საერთო მოსავალი (ფუთობით) ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიაში 1909—1916 წწ. [38]

წლები	ელისავეტპოლის გუბერნია	ბაქოს გუბერნია
1909	215 600	73 500
1910	530 000	182 000
1911	746 000	309 000
1912	676 300	289 500
1913	661 100	417 000
1914	745 000	560 000
1915	539 000	565 000
1916	430 000	439 000
1917	300 000	202 500

[38] И. Аваншвили, «Площадь, сбор и урожайность хлопчатника в Закавказье 1909—1928 гг.», 1928, Тифлис; С. Тимофеев, «Статистика хлопкового дела в Закавказском крае...» за 1909—1914 гг.; П. Петрович, «Хлопководство в Закавказье», 1912, Тифлис.

VI. მუშაძალის ორგანიზაცია

ბამბის კრეფა, ცხადია, ხელის სამუშაო იყო და ვეგეტაციის პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად რამდენსამე წრეს შეიცავდა.

1 დესეტინა ბამბის მოსაკრეფად საჭირო იყო დაახლოებით 50 მუშა. დღიური მუშა ხელფასს ფულით ან ნატურით ღებულობდა. ბამბის მოსავლის აღების პერიოდში სამუშაოზე გამსვლელ მთიელებს ხელფასი უფრო ხშირად ნატურის სახით ეძლეოდა და ჩვეულებრივ შეიცავდა მოკრეფილი ბამბის მეთორმეტედ ნაწილს. მთიელებს ეს ბამბა, უპირატესად თესლისგან გაწმენდილი სახით, თან მიჰქონდათ და იყენებდნენ როგორც ნედლეულს საოჯახო ხელსაქმობასა და შინამრეწველობაში.

ხშირი იყო შემთხვევა როგორც მუშახელის ნაკლებობის, ისე სხვა მიზეზის გამო, როდესაც ბამბის კრეფა გვიან შემოდგომამდე ჭიანურდებოდა და ზოგჯერ ზამთარიც უსწრებდა და აუღებელი მოსავალი იღუპებოდა.

ახლა გავეცნოთ ამ მხრით ზოგიერთ კონკრეტულ მასალას. აქ უწინარეს უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 ს. რეფორმამდელ პერიოდში ბამბის კრეფა ამიერკავკასიაში სოფლისმეურნეობრივი წარმოების უმარტივეს სამუშაოდ, ე. ი. ისეთ სამუშაოდ ითვლებოდა, რისთვისაც არ იყო საჭირო სპეციალური დახელოვნება, გამოცდილება.

აი, როგორ ახასიათებდა მე-19 ს. 60-იანი წლების მიწურულს ადგილობრივი მუშახელის მდგომარეობასა და მებამბეობის განვითარებაში მის შესაძლებელ როლს ოფიციალური სპეციალისტი, რომელიც სწორედ ამ საკითხის შესასწავლად იყო აქ მოწვეული:

„კავკასიის მკვიდრნი ყველა ხალხთაგან იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენენ თავიანთი ტანისამოსისა და საარსებო

საშუალებათა სიმარტივით, ყოველგვარი მდიდრულობის გარეშე ცხოვრებითა და უბრალო საკვების მცირე რაოდენობის მოხმარებით, რის გამოც მათ არსებობისთვის სჭირდებათ უფრო ნაკლები ფულადი საშუალება, ვინემ სხვა ხალხებს, რომელთაც ეს თვისებები არ გააჩნიათ. მცირე მოხმარებას ახასიათებს არასაკმაო განვითარება და სუსტი შრომაუნარიანობა, ერთგვარი აპატიაც კი; მაგრამ ბამბის დამუშავებისთვის ამ უარყოფით მხარეს არა აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მიწათმოქმედების ეს დარგი. ყველაზე ნაკლებად მოითხოვს მძიმე და ხანგრძლივ შრომას. ქალთა მოსახლეობას, რომელიც სავსებით უსაქმურად იმყოფება. შესაძლებლობა ეძლევა საქმეში გამოიყენოს თავისი სუსტი ძალებიც. თანხა, რასაც მუშაკი მოითხოვს, ახლანდელ პირობებშიც კი, არის დიდი, რის გამოც, შეიძლება ითქვას, რომ კავკასია, მუშაძალის ღირებულების მხრივ ბამბის წარმოების საშუალებას იძლევა"[1].

ასეთია ამ ვაისპეციალისტის დასკვნა. მაგრამ ასეთი „სპეციალისტები" იშვიათი როდი იყო ცარიზმის ადგილობრივი თუ ცენტრალური ადმინისტრაციის წრეებში.

მაგრამ შემდგომში, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების შესაბამისად, ეს შეხედულება თანდათანობით იცვლება და მით უფრო მეტად, რაც უფრო ფართოდ ვრცელდება მებამბეობის არეალი, რაც უფრო მწვავდება ბამბის პლანტაციებისთვის, ე. ი. საქონლის წარმოებისთვის, განსაკუთრებით მოსავლის აღების სეზონებში, საჭირო მუშახელის ორგანიზაციის საქმე, რაც უფრო დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ცხოვრებაში ბამბის ფასები, მაშასადამე. მის მოყვანაში შრომის მწარმოებლურობისა და თვითღირებულების საკითხები.

საქმე ისაა. რომ მოსავლის აღების პერიოდში. როგორც წესი. მებამბეობის მიმდევარ მეურნეობას. წვრილი წარმოების ვითარებაშიც კი. ძნელად თუ შეუძლია ფონს გავიდეს დაქირავებული მუშაძალის გარეშე.

---

[1] П. Фон-Тейнбург. «Хлопчатобумажное производство за Кавказом», 1870, Тифлис, стр. 6.

სპეციალისტების დაკვირვებით, მოსავლის აღების პერიოდში მებამბეობა მოითხოვს მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოცდილ მუშახელს, ისეთს, რომელსაც შეუძლია სწრაფად და შეუცდომლად გაარჩიოს მწიფე ხოკერი ჯერ კიდევ მწვანისგან. ბამბის კრეფა ჩვეულებრივ სამგზობა და მეტჯერაც ტარდება[2]. ამასთანავე აღებულ პერიოდში ეს სამუშაო მთლიანად ხელით უნდა შესრულებულიყო. ბამბის საკრეფი მანქანები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

ოფიციალური სპეციალისტების უმრავლესობის შეხედულებით, ამიერკავკასიაში მებამბეობის უფრო ფართოდ გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოება იყო მუშაძალის ნაკლებობა და, მაშასადამე, სიძვირე.

1904 წ. ნ. ტარატინოვი წერდა: „ამიერკავკასიაში მუშახელის ძლიერი ნაკლებობა იმისგან წარმოსდგება. რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია მომთაბარე მოსახლეობა. რომელიც უკვე გაზაფხულიდანვე მიდის და მთელი ზაფხული. შემოდგომამდე. მთაშია და. ამგვარად, ამიერკავკასიის ვაკე ველების დიდ ნაწილს სავსებით უკაცრიელ უდაბნოებად ხდის. გარდა ამისა. მუშახელის ეს ნაკლებობა მით უფრო მწვავდება და ძლიერდება. რომ ამიერკავკასიაში აქამდე კიდევ ფრიად ცოტაა. ანუ, უკეთა ვსთქვათ. თითქმის სრულიადაც არ იხმარება სოფლის მეურნეობის მანქანები და იარაღები. როგორიცაა სათიბი. სამკალი. სალეწი. სანიავებელი, სათესი და სხვ.“[3]

თითქმის ათიოდე წლით ადრე. სახელდობრ 1896 წ. ბოლოს, იგივე ნ. ტარატინოვი მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა მინისტრის რწმუნებულისადმი მოხსენებით ბარათში—„კავკასიური მებამბეობის შესახებ“—წერდა: „ამიერკავკასიაში მებამბეობის სხვა დაბრკოლებათა შორის. აუცილებელია მივუთითოთ ისევ მუშახელის ნაკლებობაზე და

---

[2] «Материалы для изучения хлопководства», 1912. СПБ, стр. 119—120.

[3] Н. Таратынов. «Главнейшие нужды хлопководства в Закавказском крае» (КСХ. 1904. № 559. стр. 753).

ბამბის ბუჩქის კულტურის შედარებით საკმაოდ მაღალ ღირებულებაზე, რაც იქიდან წარმოსდგება, რომ ამიერკავკასიელი მებამბეები დაჟინებით იცავენ თესვისა და მიწის დამუშავების თავიანთ ძველ ხერხებს, ე. ი. გაფანტვით თესვასა და ნიადაგის მთლიანად ხელით გათოხვნასა და სარეველა ბალახისაგან გაწმენდას, რასაც ბევრად უფრო მეტი მუშახელი და სხვა ხარჯები სჭირდება. ვინემ მწკრივზე თესვასა და მერმე ცხენის კულტივატორით მიწის დამუშავებას. რაც ყოველმხრივ უფრო ხელსაყრელი სამუშაოცაა და ეკონომიურია ხარჯების მხრივ. მაგრამ აქ ჩვენ ისეთ სიძნელეებს ვაწყდებით. რომელთა დაძლევა. მიუხედავად დიდი სურვილებისა, ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში ბამბის თესვაში. რადგან, რომ არაფერი ვსთქვათ ღარიბ და უმეცარ გლეხებზე. ჩვენს მიწათმფლობელებსაც არაფრით არ უნდათ დასარჯონ რაღაც 25—30 მანეთი, რათა შეიძინონ ცხენის სათოხნები (კულტივატორები) და ამიტომაც არ უნდათ გადასვლა მწკრივულ თესვაზე, იმ მოტივით, რომ მუშებს არ შეუძლიათ გამოიყენონ მსგავსი იარაღები"[4].

მუშახელის ნაკლებობის ლიკვიდაციის მიზნით, გარდა იმისა, რომ იზიდავდნენ დროებით, დღიურ სამუშაოზე გამსვლელ, საშოვარზე გასულ ირანელ გლეხებსა და კავკასიელ მთიელებს. განსაკუთრებით ლეკებს, უკვე 90-იან წლებშივე, სათანადო წრეების მხრივ გაძლიერდა ცდები მებამბეობის და საერთოდ სავაჭრო მიწათმოქმედების (მეთამბაქოეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის) რაიონებში სამუდამო საცხოვრებლად გადმოესახლებინათ გლეხები სხვა რაიონებიდან, სადაც მუშახელის სიჭარბე იგრძნობოდა.

თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოკრუგის მებამბეობის ინსტრუქტორი 1905 წ. ანგარიშგებაში. აქ მებამბეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ, სხვათაშორის. აღნიშნავდა, რომ ბორჩალოს მაზრას ყველა შანსი აქვს გახდეს მებამბეობის ცენტრი. ამ მაზრის მებამბეობის მიმდევარი მთავა-

---

[4] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 216, ფურც. 58—59.

რი სოფლებია ბაიდარი და ლაჩბადინი. ამასთანავე მაზრის სხვა სოფლებშიც სახეზეა საკმაო რაოდენობის თავისუფალი მიწები, რაც შეიძლება გადაიქცეს ბამბის ნათესებად და ამას გარდა აქ არიან „მსხვილი მიწათმფლობელები მანთაშევი და არამიანცი, რომელთაც განზრახული აქვთ ერევნის გუბერნიიდან გადმოიყვანონ და თავიანთ ვრცელ მიწებზე დაასახლონ რამდენიმე ასეული გლეხი, იმ განზრახვით, რომ მათ დაავალონ ბამბის კულტურის მოვლა-პატრონობა თავიანთ მამულებში"[5].

ამგვარად, მიწათმფლობელი კაპიტალისტის მიერ მუშახელის მოზიდვის ხსენებულ მეთოდს მხარს უჭერდა ადგილობრივი ადმინისტრაცია. ამ მეთოდის რეალიზაციის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

მუშაძალის ნაკლებობა სოფლის მეურნეობაში საერთოდ და კერძოდ მებამბეობაში განსაკუთრებით საგრძნობი ხდებოდა, ცხადია, მოსავლის აღების პერიოდში[6]. მაგრამ ეს მოვლენა ამიერკავკასიის მებამბეობის ყველა რაიონში ერთნაირ ხასიათს როდი ატარებდა. რაიონის საერთო წარმოებრივი მიმართულების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგთა ურთიერთშეთანაწყობის არსებული პირობების შესაბამისად ზოგ ადგილას, მოსავლის აღების დროს, არცთუ ისე იგრძნობოდა მუშაძალის ნაკლებობა, ზოგან კი იგი მართლაც მწვავე ხასიათს ატარებდა[7].

1912 წ. ანკეტური მონაცემების მიხედვით პ. პეტროვიჩის მიერ შედგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ ბამბის პლანტაციების დამუშავება ამიერკავკასიის რაიონებში უპირატესად ადგილობრივი მუშახელის მეშვეობით ხდებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გარედან მოსული მუშახელიც. განსაკუთრებით მოსავლის აღების სეზონში[8].

---

[5] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 537, ფურც. 96.

[6] РТКЭЖД, стр. 604—605.

[7] КСХ, 1904, № 513, стр. 16.

[8] П. Петрович, «Хлопководство в Закавказье», ч. II, стр. 14.

მაგალითად, ერევნის გუბერნიის მაზრებში შევსებული ანკეტების მიხედვით 44 პუნქტში ეს სამუშაოები სრულდებოდა მთლიანად ადგილობრივი მუშახელით. ხოლო 9 პუნქტში—ადგილობრივი და მოსული მუშახელის შემწეობით. მოსული მუშახელი უპირატესად მეზობელი რაიონებიდან და იშვიათად კიდევ ირანიდან შემოდიოდა.

ელისავეტპოლის გუბერნიაში ბამბის პლანტაციების სამუშაოთა დიდი ნაწილი მოსული მუშახელით სრულდებოდა. სახელდობრ, 10 პუნქტიდან მიღებული ანკეტების მიხედვით მთელი სამუშაო ადგილობრივი მუშახელით, ხოლო 11 პუნქტიდან მიღებული ანკეტებით—ადგილობრივი და მოსული მუშახელით სრულდებოდა. აქ დიდ როლს თამაშობდნენ ირანიდან. აგრეთვე დაღისტნიდან საშოვარზე ჩამოსული მუშები, რომლებიც ბლომად იფანტებოდნენ აერეთვე ბაქოს გუბერნიის მებამბეობის რაიონებში, სადაც 33 პუნქტიდან 6 პუნქტში ისინი წამყვან როლს თამაშობდნენ.

თბილისის გუბერნიის ბორჩალოსა და თბილისის მაზრაშიც მნიშვნელოვანი იყო ირანიდან და ამიერკავკასიის მთიანეთიდან მოსული მუშახელის როლი. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას. აქ მებამბეობის ყოველგვარი სამუშაო მთლიანად ადგილობრივი მუშახელის მიერ სრულდებოდა.

ამგვარად, განხილული მონაცემების მიხედვით ის ტენდენცია შეგვიძლია დავადგინოთ. რომ მცირემიწიანობისა და საერთოდ წვრილი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის რაიონებში. განსაკუთრებით ქუთაისისა და ნაწილობრივ ერევნის გუბერნიაში მებამბეობა. როგორც სავაჭრო მიწათმოქმედების დარგი. დამყარებულია ადგილობრივ მუშახელზე. ესაა, შედარებით მჭიდროდ დასახლებული რაიონები, სადაც შეიმჩნევა მუშახელის სიჭარბე და ზოგან იმ ზომითაც. რომ სოფლისმეურნეობრივი წარმოების ყველაზე შრომატევად სამუშაოთა (ბამბის თოხნის, მოსავლის აღების) პერიოდებშიც აქ ყოველთვის მოიპოვება თავისუფალი მუშახელი.

წვრილ მეურნეობაში, როგორც წესი, მიწის მოხვნა და ბამბის დათესვა, გათოხნა და სხვ. თვით მეპატრონის საქმიანო-

ბას შეადგენდა. აქ დაქირავებული მუშახელი თუ გამოიყენებოდა მხოლოდ სარეველა ბალახებისგან პლანტაციის გაწმენდისა (გათოხნისა) და ბამბის კრეფის დროს. როდესაც წვრილმწარმოებლებს სამუშაოზე შეეძლოთ აეყვანათ მთიულეთიდან ჩამოსული მუშები.

სულ სხვა მდგომარეობა იყო თბილისის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების მებამბეობის რაიონებში. ანკეტური მონაცემებიდან (1912) ჩანს, რომ ბორჩალოსა და თბილისის მაზრებში, სადაც საკმაო რაოდენობით იყო ბამბის მსხვილი პლანტაციები, თითქმის ყოველთვის იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა. ანალოგიური იყო მდგომარეობა ჯევანშირის, ელისავეტპოლისა და არეშის მაზრებში, სადაც მებამბეობა დიდი სისწრაფით ვითარდებოდა და მე-20 ს. პირველსავე წლებიდან შედარებით მალე წარმოიქმნა მსხვილი კაპიტალისტური პლანტაციები, რომელთაც, ცხადია, არ შეეძლოთ არ გამოეწკიოთ მუშახელზე დიდი მოთხოვნა.

„მუშახელზე მოთხოვნის ასეთ მკვეთრ ამაღლებას არ შეეძლო ადვილად შეხამებოდა არც ერთი სხვა. უფრო მოქნილი შრომის ბაზარიც, ვინემ არის ელისავეტპოლის და ჯევანშირისა. სადაც დღემდე მთლიანად ბინადარი მოსახლეობის გვერდით ჩვენ ვხვდებით ნახევრად მომთაბარე და წმინდა მომთაბარე მოსახლეობასაც კი"[9].

მაგრამ იყო სხვა მომენტებიც. სოფლისმეურნეობრივი წარმოების სხვადასხვა დარგთა შრომატევადი სამუშაოების სეზონები ხშირად ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად, ხორბლის აღებისა და ბამბის პლანტაციების გათოხნის დრო, და სწორედ ეს მომენტი, რთველის გადაუდებელი სამუშაოები, ქმნიდა დაძაბულ მდგომარეობას, რაც მით უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა, რომ მიწათმოქმედების კულტურათა და დარგების გაადგილებისა და შეთანაწყობის არავითარი რაციონალური ზომები არ იყო დაცული. მოვლენები სტიქიურად ვითარდებოდა, ძველი დარგების საწყისებზე წარმოქმნილი პატ-

---

[9] П. Петрович, назв. соч., стр. 61.

ოიარქალურ-ფეოდალური ყოფიერების ფორმები და ახალს, წმინდა საქონლურ ურთიერთობათა ნორმები დაუნდობლად ეხეთქებოდნენ ერთმანეთს და კონტრასტებით აღსავსე ვითარებაში მხოლოდ უფრო ძლიერი და მოხერხებული, სწრაფადცვალებად სიტუაციასთან შეხამებაუნარიანი იმარჯვებდა.

ზოგიერთ რაიონში ბამბის გათოხნის დროს უფრო საგრძნობი იყო მუშახელის ნაკლებობა, ვინემ მოსავლის აღების პერიოდში. ბორჩალოს მაზრაში მებამბეობის მსხვილი მეურნეობები ზოგჯერ მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდნენ, რადგან პურეულის აღების პერიოდში გარესაშოვარზე თითქმის არავინ არ მიდიოდა, ხოლო ბამბის გათოხნა სწორედ ამ დროს უნდა ჩატარდეს, როდესაც „მუშებს პირდაპირ იტაცებენ, ხელფასი შესამჩნევად მატულობს, მაშინ გასავალი აქვთ მუსლიმან ქალებსაც კი, რომლებიც სულ უკანასკნელ დრომდე არაფრით არ შეიძლებოდა დაქირავებული მუშების სახით სხვათა მინდვრებზე გასულიყვნენ“[10]. იყო შემთხვევები, როდესაც გაუთოხნელ ბამბის პლანტაციას სარეველა ბალახები ფარავდნენ და სავსებით აფუჭებდნენ („ჭამდნენ“) და ასეთი მინდვრები შემდეგ, მომავალ წლამდე, მხოლოდღა საბალახოდ და სათიბად გამოიყენებოდა ხოლმე.[11]

ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიის ზოგიერთ რაიონში ბამბის მსხვილ პლანტაციებსაც კი მუშახელის საკითხი ნაკლებად აწუხებდა წარმოების ყველაზე უფრო შრომატევად პერიოდშიც—მოსავლის აღების დროსაც.

საქმე ისაა, რომ ბამბის მოსავლის აღების დროს პურეული უკვე მოწეული იყო და, რაც მთავარია, მთებიდან ბრუნდებოდა მომთაბარე მოსახლეობა[12], რაც უკვე „ერთბაშად საგრძნობს ხდიდა მდგომარეობის შემსუბუქებას“ იმით, რომ „სოფელი კვლავ ივსებოდა თავისუფალი მუშახელით“.

---

10 П. Петрович, назв. соч., стр. 65.

11 Гаджигасанский, «Хлопководство в России», 1915, Москва. стр. 85.

12 «Обзор Елисаветпольской губернии за 1910 г.», стр. 44.

მეზობელ აბორიგენთა სოფლებში გამოთავისუფლებულ ასეთ მუშახელს საკმაო ზომით იყენებდნენ კიდევ. მაგალითად, მუღანის ველის კოლონისტები, სექტანტები და სხვ., რომელთაც შედარებით ბლომად ჰქონდათ სახნავ-სათესი მიწები[13] და, რომელთაც, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, აქ შექმნეს ფერმერული მეურნეობები.

საერთოდ სოფლისმეურნეობრივ და კერძოდ ბამბის პლანტაციების სამუშაოებზე ჩამოდიოდნენ საშოვარზე გამსვლელი მუშები, უმთავრესად დაღისტნისა და ირანის პროვინციებიდან. მნიშვნელოვანი ზომით გადიოდნენ ასეთ საშოვარზე აგრეთვე საქართველოს მთიულეთისა და ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის, ეჩმიაძინისა და ახალბაიაზეთის მაზრების რაიონებიდან.

დაღისტნის ოლქის ოფიციალური მიმოხილვებიდან ჩანს, რომ მე-20 ს. პირველ ათეულ წლებში აქედან თითქმის მთელი შრომაუნარიანი მოსახლეობა, მეტნაკლები ინტენსივობით, გადიოდა გარესაშოვარზე. მაგალითად, 1909 წ. ცნობით დაღისტნიდან საშოვარზე გავიდა დაახლოებით 100 000 კაცი[14] რომელთა ნაწილი სამუშაოს პოულობდა აზერბაიჯანისა და საქართველოს ბამბის პლანტაციებში. საკმაოდ დიდი პარტიებით მოდიოდნენ თბილისის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების მებამბეობის რაიონებში ერევნის გუბერნიიდან საშოვარზე გასული მუშებიც.[15]

მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები თავიანთი ბამბის პლანტაციების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით, ცხადია, მიმართავდნენ უფრო საიმედო ღონისძიებებსაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანთაშევსა და არამიანცს იმთავითვე, როგორც კი მათ ბორჩალოს მაზრაში დიდძალი მიწები შეისყიდეს და ბამბის პლანტაციების გაშენება წამოიწ-

13 «Отчет о деят. Бакинского общ. сельск. хоз. за 1914 г.». Баку, стр. 15.

14 «Обзор Дагестанской области за 1909 г.», стр. 41—42.

15 П. Петрович, назв. соч., стр. 66.

ყეს. მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით განზრახული ჰქონდათ აქ თანდათანობით გადმოეყვანათ გლეხები ერევნის გუბერნიიდან.

ეს პროცესიც მალე დაიწყო. თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოკრუგის მებამბეობის ინსტრუქტორი თავისი საქმიანობის 1908 წლის ანგარიშგებაში აღნიშნავს, რომ არამიანცის მამულში უკვე დასახლდა გლეხთა რამდენიმე ათეული ოჯახი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მებამბეობაში არიან დასაქმებულნი და 1908 წელს მათ 170 დესეტინამდე ფართობზე დათესეს ბამბა.[16]

როგორც ჩანს, კაპიტალისტერი პლანტაციების მუშაძალით უზრუნველყოფის ეს მეთოდი მრავალმხრივ სარფიანი აღმოჩნდა. ამ წამოწყების შესახებ, კიდევ ორიოდე წლის შემდეგ პ. პეტროვიჩი წერდა, რომ არამიანცმა „გამოიყენა ასეთი ორიგინალური და კავკასიისათვის ახალი წესი: მან ერევნის გუბერნიიდან გადმოასახლა სომეხი გლეხები და აქ თვითეული ოჯახისთვის ააშენა კრამიტით დახურული, სხვენიანი, ორ ოთახიანი სახლები, ბოსტნითა და საკარმიდამო ნაკვეთით; ამ უძრავი ქონებით სარგებლობისთვის ჩამოსახლებულები ვალდებული არიან მფლობელს უხადონ თავიანთი შრომით—ბამბის პლანტაციების დამუშავებით“[17].

ამგვარად, „ქველმოქმედი კაპიტალისტი“, როგორც ვხედავთ, გლეხების დაკაბალების, არსებითად შრომამიგების სისტემის საფუძველზე, ადვილად აღწევს თავისი მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფას და „ქველმოქმედის სახელსაც“ იხვეჭს.

სავაჭრო მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგებში, რომლებიც ამიერკავკასიაში რეფორმის მერმინდელ პერიოდში ვითარდებიან, მუშახელის მიზიდვის ეს ხერხი, ცხადია, ადრიდანვე იყო ცნობილი და არავითარ ორგინალურ ღონისძიებას იგი არ წარმოადგენდა. არამიანცის საქმიანობაში ორიგინალუ-

---

[16] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 537, ფურც. 96.
[17] КХ. 1910, № 22.

რი ის იყო, რომ მან, როგორც უფრო განათლებულმა და შეძ-ლებულმა მეწარმემ, უფრო რაციონალურ ნიადაგზე დააყენა თავისი პლანტაციების საქმე, სწორედ იმით, რომ გარედან მო-ზიდული მუშები თავის მიწაზე, თავის საკუთარ სახლებში ჩაა-სახლა და ამით, დაკაბალებული, არსებითად ვალაუვალი მუშა-ხელის მიზიდვით უზრუნველყო თავისთვის მეურნეობის მაღა-ლი შემოსავლიანობა.

საერთოდ კი გარედან მუშების მოზიდვის ანალოგიურ ხერხებს არამიანცზე ბევრად უფრო ადრეც მიმართავდნენ. აი, მაგალითად, როგორ ახასიათებდა გაზ. „კვალი" წინამდებარე მონოგრაფიაში არაერთგზის დასახელებულ ი. ხატისოვის მო-ღვაწეობას, რომელსაც. სხვათა შორის, პირველი სპეციალუ-რი გამოკვლევა ეკუთვნის ამიერკავკასიაში მებამბეობის გან-ვითარების საკითხებზე:

ივანე ხატისიანცი „იყო უმაღლესს სამეურნეო სასწავლე-ბელში კურსდასრულებული. ჩინებულათ ჰქონდა შესწავლილი საზღვარ-გარეთის მეურნეობა და ეკონომიური კითხვები. ძა-ლიან კარგათ იცნობდა ტფილისის. ერევნის და განჯის გუბერ-ნიის (სასოფლო) სამეურნეო და სამრეწველო მდგომარეობას. ის არ იყო ზოგიერთ სომხების მოღვაწეებსავით მყვირალა, ანუ მოლა-მასრადინასავით მეფილოსოფოსე და მეოხუნჯე. იმას უყვარდა თავ-დავიწყებამდის თავის სომხის ერი, ესმოდა კარ-გათ ახლანდელი გარემოება... მას აქეთ, რაც ის შეიქნა სახელ-მწიფო ქონებათა გამგებელი ტფილისის გუბერნიაში, ის ქა-დაგებდა და თან საქმითაც ასრულებდა ამ აზრს: სახელმწიფო სიმდიდრე აშენებულსა და კეთილმდგომარეობაში შესულ მცხოვრებლებზე უნდა იყოსო დაფუძნებული და არა ადგილ-მამულის ჩამორთმევით იმის გალატაკებაზეო. ამის გამო ის ცდილობდა, რაც კი სახელმწიფო თავისუფალი ადგილი იყო, იმაზე დაესახლებინა ხალხი და სახელმწიფოთ დავის ატეხას აგრე რიგად არ ეწყობოდა. ახლა უნდა ვიკითხოთ, ვის ასახ-ლებდა? იგი ასახლებდა თავის გვარის ერს—ღარიბსა და ოსმა-ლეთიდან გადმოსახლებულებს. ამ სახით მისი მეოხებით მთე-ლი ყაზახ-ბორჩალო, ლორის საპრისტავო და. ასე გასინჯე,

ახალქალაქის მაზრაც სომხებით აივსო. პატივი და დიდება ამისთანა თავის სამშობლოს მოღვაწეს. მისი მოქმედება ჩვენთვის სამაგალითო უნდა ყოფილიყო"...[18]

ამგვარად, ბამბის პლანტაციების მუშახელით უზრუნველყოფის საკითხი საადგილმამულო იჯარის, საერთოდ აგრარულ ურთიერთობათა, და მაშასადამე, ადგილობრივი ვითარების პირობებში, აგრარული და ნაციონალური პოლიტიკის საკითხში გადადის...[19]

ამ კოლიზიის რიგი დამახასიათებელი მომენტი აღწერილია თბილისის გუბერნიის საერობო აგრონომის პ. კვიტკას მოხსენებაში, რომელიც 1913 წ. გაზაფხულზე წაკითხული იყო ამიერკავკასიის მოსახლეობისთვის აგრონომიული დახმარების ორგანიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილ საერობო აგრონომთა თათბირზე.

> მოგვყავს შესაბამისი ამონაწერი ამ მრავალმხრივ საინტერესო მოხსენებიდან: თბილისის გუბერნიის „მებამბეობის რაიონში ცოტა როდია მცირემიწიანი სოფლები, რომლებიც იძულებულნი არიან მიწა იჯარით აიღონ მეზობელი მიწათმფლობელებისგან, რომელთაგან უფრო მსხვილებია საუფლისწულო მამული „გიაურ-არხი" და მანთაშევისა და არამიანცის მამულები. პირველი ახლაც იძლევა ნაკვეთებს არა მხოლოდ ბამბისთვის, არამედ პურეულთა სათესადაც; ხოლო უკანასკნელთ, მებამბეობის განვითარების შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მიატოვეს პურისთვის მიწის იჯარით გაცემა და

---

[18] „კვალი", 1894, № 35, გვ. 2—3.

[19] სპეციალური შესწავლის ღირსია საკითხი, თუ რატომ იყო, რომ, მაგალითად, დასავლეთ საქართველოდან უმიწაწყლო და გაღატაკებული გლეხობა, ე. ი. ჭარბი მუშახელი საშოვარზე და დასასახლებლად უფრო ადვილად გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და არა აღმოსავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო მუშახელზე და სადაც „თავისუფლად" გამოინახებოდა ხოლმე სხვა, მაგალითად, ერევნის გუბერნიის რაიონებიდან მოსული (თუ მოყვანილი) გლეხების დასასახლებელი ადგილებიც კი, ხოლო არც ერთი ანალოგიური შემთხვევა არ ყოფილა ქუთაისის გუბერნიიდან თბილისის გუბერნიაში გლეხობის ორგანიზებული გადმოსახლებისა.

იძლევიან მხოლოდ ბამბის სათესად, როგორც უფრო ძვირფასი კულტურისთვის, რომელსაც მიწის უფრო მეტი საიჯარო შემოსავალი მოაქვს. არამიანცი მიწას ასეთი პირობით იძლევა: არამიანცზე მოდის მიწა, ხვნა და თესლი. ამას გარდა ის მოიჯარეს აძლევს ყოველ სრულ დესეტინაზე ოც მანეთს. პირველი ხვნა უკანასკნელ ხანებში სწარმოებს ტრაქტორით. თუ თვით მოიჯარე ხნავს, მაშინ მას გუთნის პირველი ნახნავისთვის არამიანცის მამული უხდის 14 მანეთს, ხოლო თუ მეორეგზობაც თვით მოიჯარე ხნავს, მაშინ ამ (ჩეთით) ნახნავისთვის არამიანცი კიდევ უხდის 4 მანეთს. მთელი დანარჩენი სამუშაო, ბამბის მოსავლის არამიანცის კარმიდამოში თვით მიტანამდე, მოიჯარეს აკისრია.

მოსავალი ითვლება „სანახევროდ", მაგრამ მთლიანად ბარდება არამიანცის საწყობს; ამასთანავე მოიჯარეს ფულის ნაწილი ეძლევა მაშინვე, ხოლო ნაწილი მერმე, ბამბის გაყიდვის კვალობაზე. იგულისხმება, რომ ფასის გადახდა უნდა მოხდეს არსებული ბაზრის ფასის (მაზანდის) მიხედვით; მაგრამ სად შეუძლია უბრალო გლეხს გამოარკვიოს არსებული ბაზრის ფასი, განსაკუთრებით არც თუ მცირე ხნის განმავლობაში. ამიტომ, როგორც ერთი მოიჯარე ამბობდა,—„რამდენადაც გავყიდეთო, იტყვიან, იმდენსაც გვაძლევენ. რადგან არავინაა, რომ გააკონტროლოს".

მანთაშევის მამულშიც ასეთივე პირობებია. „განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მოიჯარეს ყოველ დესეტინაზე ეძლევა არა 20, არამედ 25 მან. თუმცა ამბობენ, რომ უკანასკნელ ხანებში ეს თანხა, მიწის იჯარით აღების მსურველთა შორის არსებული კონკურენციის პირობებში, ხშირად ეცემოდა 15 მანეთამდეც კი. შესამჩნევად უფრო მსუბუქია საიჯარო ურთიერთობა საუფლისწულო მამულში. აქ მემამულე იძლევა მხოლოდ მიწას (სარწყავი წყლით) და ამისთვის ახდევინებს მოსავლის მეოთხედს და, რაც მთავარია, მოიჯარე არაა ვალდებული დანარჩენი ნაწილიც მემამულის საწყობს ჩააბაროს"[20],

ამგვარად. კაპიტალისტი მიწათმფლობელი წარმატებით, არსებითად კიდევ უფრო მოხერხებულად იყენებს ფეოდალური მემამულის მეთოდებს—უშუალომწარმოებელთა დაკაბალებისა და არსებითად უფლებააყრილი მიწის მუშის სასტიკი ექსპლოატაციის მეთოდებს. საქმე ისაა, რომ თუ ყმა-გლეხი ნაკლებადაა დაინტერესებული შრომის მწარმოებლურობის

[20] ДГЗАЗ, стр. 289—290.

საკითხით. სამაგიეროდ „თავისუფალი მოიჯარე-გლეხი“ ცდას არ აკლებს. უკანასკნელ ენერგიას ხარჯავს, რათა „მის“ პლანტაციაზე რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოიყვანოს. ეს კი მთლიანად კაპიტალისტური მეწარმეობის სარფიანობაა.

ჯევანშირის, ყაზახის, კარიაგის. ზანგეზურის. არეშის მაზრებში ბამბის პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი მუშავდებოდა საშოვარზე. უმთავრესად ირანიდან მოსული მუშების ხელით. ირანის ქვეშევრდომი მუშები აქ ხშირად მემამულის მიწებზე აკეთებდნენ ბამბის პლანტაციებს საზიაროდ, მენახევრეობის საწყისებზედაც.

უფრო ხშირად კი „ჰამშარა“, ირანელ მუშათა ჯგუფები, ხელს ჰკიდებს ბამბის ყოველგვარ სამუშაოს. მაგალითად. ნავთობის ცნობილი მრეწველის ტაგიევის მამულში, „ევლახ-მიულქში“, ბამბის პლანტაციები საშოვარზე ჩამოსული ირანელი მუშების ხელით მუშავდებოდა.

მაგრამ უკვე მე-20 ს. დამდეგს აზერბაიჯანში საკმაოდ იყო განვითარებული ე. წ. „მუზდურობა“[21]. ადგილობრივი უმიწაწყლო გლეხობის მოჯამაგირეობა. მოჯამაგირის შრომით ბამბის პლანტაციების დამუშავება, მეტნაკლები ზომით. ცნობილი იყო მთელ ამიერკავკასიაში. მოჯამაგირეობის ინსტიტუტი აქ ვითარდება განსაკუთრებით რეფორმის მერმინდელ ხანებში.

ნ. ტარატინოვი 1903 წ. წერდა: „ამიერკავკასიაში მთელი სოფლის მეურნეობა თითქმის მხოლოდ ღარიბი და გაუნათლებელი გლეხობის ხელშია. მიწათმფლობელები კი ჩვეულებრივად. ღებულობენ რა თავიანთ წილს მოსავლისა. მეურნეობაში სავსებითაც არ ერევიან და არავითარ აქტიურ როლს მასში არ თამაშობენ“[22]. მაგრამ. როგორც უკვე დავინახეთ. ამ

---

21 მუზდურ—მოჯამაგირე. მიზდი—გასამრჯელო: დამიზდება—დაქირავება (იხ. შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“, 1937, თბ, გვ. 220. „მოასხნეს კაცნი მზიდავნი, დამიზდებულნი დრამითა“).

22 Н. Т а р а т ы н о в, «К вопросу о главнейших нуждах сельск.-хоз. промышленности в Закавказье», 1903, Тифлис, стр. 6.

მხრივაც მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო, თუმცა მისი განვითარებაც მალე აღიკვეთა.

პირველი მსოფლიო ომის პირველსავე წელს თითქმის სავსებით შეწყდა საშოვარზე გამსვლელი ირანელი გლეხების შემოსვლა ამიერკავკასიაში[23]. კიდევ მეტი. ადგილობრივი მუშახელის დიდი უმრავლესობა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. დაეცა შრომის მწარმოებლურობა. როგორც საერთოდ მთელ სახალხო მეურნეობაში, ისე მებამბეობის რაიონებშიც მუშაძალის ორგანიზაციის საქმე ფრიად მძიმე ვითარებაში მოექცა.

[23] КК на 1916 г., отд. стат., стр. 96—97.

VII. აგრონომიული დახმარება

1. საცდელ-საჩვენებელი მინდვრები

ადგილობრივი მოსახლეობა, ადმინისტრაცია და თვით ბამბეულის მრეწველობის მეთაურები, ცხადია, მეტნაკლები ზომით ცდილობდნენ ბამბის კულტურის. საერთოდ მებამბეობის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებისთვის.

ამ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია, მაგალითად. 1883 წელს იმპერიის სახელმწიფოებრივ ქონებათა სამინისტროს მიერ ამიერკავკასიაში აგრონომის მოვლინება სპეციალური დავალებით. რომ ადგილზე შეესწავლა მებამბეობის მდგომარეობა და ამასთანავე მოსახლეობისთვის დახმარება გაეწია. ბუნებრივი პირობების შესაბამისად, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ბამბის სორტების თესლის გავრცელების. ბამბის თესლისგან გაწმენდისა და ბოჭკოს დაპრესვა-შეფუთვის უკეთესი ხერხების დანერგვის საქმეში.

ამ ხანებში ერევნის გუბერნიიდან მიღებული ამერიკული სორტის ბამბის ბოჭკოს ნიმუშების გაცნობის შემდეგ მოროზოვის ფირმა ერევნის გუბერნატორს ატყობინებდა. რომ ეს ბამბა „ძალიან კარგი ხარისხისაა და არაფრით არ ჩამოუვარდება ამერიკულს. ყოველთვის ასეთი ბამბის მიღება რომ მოსახერხებელი იყოს, მას შეეძლებოდა სავსებით შეეცვალა ამერიკული“ ნედლეული[1].

ამიერკავკასიის ადმინისტრაციას მიაჩნდა, რომ აქ ბამბის კულტურის ამაღლებისათვის აუცილებელია საცდელი პლანტაციების მოწყობა. სახელმწიფოებრივ ქონებათა მინის-

---

[1]. საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 35, ფურც. 5.

ტრისადმი ოფიციალურ მიმართვაში, მისი ადგილობრივი რწმუნებული აცხადებდა: „ამიერკავკასიაში მებამბეობის ამაღლების პირველ საშუალებად მე მიმაჩნია ბამბის საცდელი პლანტაციის ორგანიზაცია,—ბამბის საუკეთესო თესლებისა და იარაღების გამოცდისა და გავრცელების. საერთოდ კულტურის გაუმჯობესებისა და გაიაფების. ბამბის ავადმყოფობათა შესწავლისა და მისი გაუვნებლობის და სხვ. მიზნით... რომ ასეთი საცდელი ბამბის პლანტაცია მიზანშეწონილია მოეწყოს ერევნის გუბერნიაში, რომელიც აქამდე ბამბის მთავარი მწარმოებელია ამიერკავკასიაში“[2].

ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი ის იყო, რომ სმკს თხოვნით სახელმწიფოებრივ ქონებათა სამინისტროს მიერ სპეციალურად ამ მიზნით 1887 წელს ამიერკავკასიაში მოვლინებულმა აგრონომმა ნ. ტარატინოვმა 1888 წელს ქ. ერევანში სახელმწიფოებრივ (ყ. სერდარის) ბაღში საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიაში პირველ ბამბის საცდელ პლანტაციას.

უნდა აღინიშნოს. რომ აგრონომი ნ. ტარატინოვი უფრო ადრე მოროზოვის ფირმის მიერ მივლინებული იყო ამერიკაში—მებამბეობის საქმის შესასწავლად.[3] გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული ნ. ტარატინოვი ამიერკავკასიაში შეიქნა მებამბეობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოღვაწე. რომელმაც თავისი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობით შესამჩნევი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიური მებამბეობის შესწავლისა. ამასთანავე. აქ მემცენარეობის ამ დარგის კულტურის ამაღლებისა და გავრცელების საქმეში.

ერევნის სერდარისეულ ბაღში შექმნილ პლანტაციაზე უმთავრესად ამერიკული და ეგვიპტური სორტის ბამბები ითესებოდა და პირველსავე წელს აღებულ იქნა „იმედის მომცემი მოსავალი“. მაგრამ, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საცდელ პლატაციას რამდენადმე მნიშვნელოვანი გავლენა ძნელად შე-

[2] იქვე, ფურც. 176.
[3] СМЭБГКЗК, IV, II, стр. 279.

ეძლო მოეხდინა მებამბეობის განვითარებაზე და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ცარიზმის ბიუროკრატიის „დამხმარე ხელი" გლეხობას, ბამბის წვრილმწარმოებელთა ძირითად მასებს, თითქმის ყოველთვის შევიწროებისა და ექსპლოატაციის სახით წარმოუდგებოდა, არამედ იმის გამოც, რომ მებამბეობის მიმდევარი გლეხობა მოკლებული იყო ნივთიერ შესაძლებლობას გადაეღო საცდელი პლანტაციის გამოცდილება.

1891 წელს ამიერკავკასიაში მებამბეობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებაში აგრონომი ნ. ტარატინოვი, სხვათა შორის, აღნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებისადმი მოხელე-აგრონომები გულგრილად არიან განწყობილი. ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის „აპატიურობისა და ინდიფერენტიზმის ვითარებაში" ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში იმდენად ეჩვევიან არსებულ წესებსა და ვითარებას, რომ უკვე „თვითონაც სერიოზულად სჯერათ და სხვებსაც ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთების გარეშე არწმუნებენ, რომ მიწათმოქმედების გაუმჯობესების ერთადერთი საშუალებაა ნიადაგის მორწყვა და ნაკელით განოყიერება... და მხოლოდღა იმაა წუწუნებენ, რომ სარწყავი წყალი და ნაკელი არაა საკმაო რაოდენობით... და ივიწყებენ, რომ ნაკელს გარდა არის რიგი სხვა ფრიად ძვირფასი და ყველგან დიდად სასარგებლო სასუქი"[4]. ამ ასპექტში იგი ასკვნიდა: „...სანამ ჩვენ არ გვექნება აგრონომიული სადგურები, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობა მუდამ დარჩება ასეთ უმწეო და საცოდავ მდგომარეობაში როგორც ახლა არისო"[5].

ბამბის საჩვენებელი მინდვრების მიზანდასახულობის შესახებ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ ახასიათებდა (1897 წ.) მათ ამ საქმის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მესვეური ნ. ტარატინოვი. ელისავეტპოლისა (რკინიგზის სადგურთან) და ბაქოს გუბერნიის დაბა გეოქჩაის საჩვენებელი მინ-

[4] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 113, ფურც. 62.

[5] იქვე.

დვრის საქმიანობის მიმოხილვისას იგი წერდა: „საჩვენებელი მინდვრები, როგორც ასეთები, ყველასთვის დასანახი და სამაგალითო უნდა იყვნენ. სწორედ ამიტომ აუცილებლობა მოითხოვს ყოველთვის ვურიგდებოდეთ ღარიბ ნიადაგს, რადგან ასეთ შემთხვევაში დემონსტრაციის მიზანი ყოველმხრივ უფრო ადვილად და მალე მიიღწევა. იმისთვის, რათა ამგვარ ნიადაგებზე საუკეთესო შედეგებს მივაღწიოთ, ე. ი. რათა მოვახდინოთ უფრო ძლიერი შთაბეჭდილება და ეფექტიც კი, ეტყობა, აუცილებელია ამ ნაკვეთებზე გავსწიოთ ხარჯები აგრეთვე ნიადაგის განოყიერებისთვისაც. რადგან საჩვენებელი მინდვრების მნახველთა უმრავლესობისთვის, რომლებიც ხშირად სავსებითაც არ იცნობენ მებამბეობას, აუცილებელია, რომ პლანტაცია მნახველზე ახდენდეს ძლიერ შთაბეჭდილებას. პირველი შეხედვის დროს მაინც. რამდენადაც ყველა,—სახელდობრ, ნიადაგობრივ და კულტურულ დეტალში გარკვევა მათ ჩვეულებრივ არც კი ძალუძთ და მით უფრო, რომ მათ ამისთვის არა აქვთ საკმარისი დრო და ხშირად არც ინტერესი"[6].

აღნიშნული მიზნისთვის „სრულიადაც არაა აუცილებელი მთელი მინდვრის განოყიერება, არამედ წარმატებით შეიძლება ეს გაკეთდეს ერთ რომელსამე დესეტინაზე. ანდა 0.5 დესეტინაზედაც კი, რადგან მოსაზღვრე ნაკვეთებზე მოსავლის განსხვავება პირდაპირ უჩვენებს განსხვავებას ნიადაგის ძალაში. ამასთანავე ამ მინდვრების განოყიერება. თუნდაც მცირეოდენი ნაჭრებისა. უკიდურესად აუცილებელია. რათა არ გაფუჭდეს შთაბეჭდილება. რასაც ეს სამუშაოები ახდენენ მნახველთა 50%-ზე მაინც. ასე. მაგალითად. საანგარიშგებო 1897 წელს ბამბის ბუჩქის საჩვენებელი მინდორი ელისავეტპოლში მდებარეობდა თვით ელისავეტპოლის სადგურიდან 30 საჟენზე, გზაზე. რომელზედაც დღედაღამ დადიან ცხენის რკინიგზის ვაგონები, აუარებელი ფაეტონები და ყოველგვარი ტრანსპორტი და ფეხოსნები სადგურიდან ქალაქსა და პირუკუ. ერთი სიტყვით, უფრო ხალხმრავალი ადგილის. რომელიც ყველას თვალში

[6] საქ. სსრ ცსია. ფონდი 243, საქმე № 239. ფურც. 227—228.

ეცემა. ნატვრაც კი ძნელია. და, მართლაც, პლანტაციამ დიდი გავლენა მოახდინა ყველაზე, ვინც ნებსით და უნებლიედაც იგი დაათვალიერა: ყველამ დაინახა მწკრივზე ნათესები, მისი ცხენის თოხით (კულტივატორით) დამუშავება, დაინახა მრავალი ახალი იარაღი და მანქანა, დაინახა მიწის დამუშავებისა და მორწყვის ახალი წესები და ა. შ.—ყოველივე ამან..., უნდა ითქვას, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა". მაგრამ შედეგები, მოსავალი, როგორც ჩანს, მაინც არ ყოფილა სახარბიელო. 1 დესეტინაზე მიუღიათ არა 20—25, როგორც მოელოდნენ, არამედ 15 ფუთი წმინდა ბამბა. „ამიტომ მაინც ბევრმა აღნიშნა, რომ ჩვენ მარცხი განვიცადეთ და ეს უკვე საეჭვოს ხდიდა ჩვენს მიერ მიღწეულ შედეგებს". რაც შეეხება გეოქჩაის საჩვენებელ მინდორს, იქ დესეტინაზე მიუღიათ 19 ფუთი გაწმენდილი ბამბა.

საჩვენებელი მინდვრების მოწყობამ, როგორც ჩანს, მეტი ეფექტი მოახდინა მებამბეობის ახალ რაიონებში, სადაც მანამდე ბამბის კულტურას სულ არ იცნობდნენ, ანდა, შედარებით, ნაკლებად იყო იგი გავრცელებული. რაც შეეხება მებამბეობის ძველ რაიონებს, მაგალითად, ერევნის გუბერნიას აქ. ნ. ტარატინოვის აზრით, „სრული საფუძვლიანობით შეიძლება ითქვას, რომ მფრინავი ხასიათის, ე. ი. ერთი ან თუნდაც სამი წლით საჩვენებელი მინდვრის მოწყობა არავითარ შედეგს არ მოიტანს, რადგან აქ უფრო მეტად ვინემ აღდაშსა და გეოქჩაიში, საჭირო იქნება ბრძოლა რუტინასთან, დაძველებულ ხერხებთან და, ზოგიერთ რაიონში მაინც, დიდი მტკიცება თვით ამერიკული თესლის ადგილობრივის წინაშე უპირატესობათა შესახებ; რომ არა ვთქვათ რა სხვა უფრო ფესვგადგმულ ძველ საფუძველზე კულტურისა, რომლებთანაც აუცილებელია ბრძოლა წარმატებისთვის, რადგან, ამ შემთხვევაში, საკითხი ეხება არა ახალი კულტურის პროპაგანდას, როგორც ეს ამოცანადაა დასახული ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიის

მრავალ რაიონში, არამედ უკვე დიდი ხნით არსებული ხერხების გაუმჯობესებასა და გასწორებას".[7]

ამგვარი ვითარების გამო, საჭიროდ მიაჩნდათ ორი ტიპის საჩვენებელი მინდვრების ორგანიზაცია: 1. მფრინავი. ანუ დემონსტრაციული საჩვენებელი მინდვრებისა—1, 2 და არა უმეტეს 3 წლით—ახალი რაიონებისათვის და 2. უფრო მუდმივი, ერთსადაიმავე ადგილზე მოქმედების ხანგრძლივი პერიოდით—ხუთი და მეტი წლით—საჩვენებელი მინდვრებისა. რომელთა მიზანია გაუმჯობესება. უკეთ ვთქვათ. „ადგილობრივი მებამბეობის თითქმის მთელი რეფორმა" და არა დანერგვა ამ კულტურისა.

ისიც საინტერესოა ვიცოდეთ. რომ თუნდაც მფრინავ საჩვენებელ მინდვრებზე პრინციპულად არასასურველ მოვლენად იყო მიჩნეული ბამბის თესვა ზედიზედ ერთსადაიმავე ადგილზე (ნიადაგზე), რათა მოსახლეობამ არ იფიქროს. რომ ასეთი ხერხია რეკომენდებული სხვებისთვისაც. მით უფრო, რომ ასეთი მეურნეობა „უდავოდ გამოიწვევს ნიადაგის გამოფიტვასა და მოსავლის დაცემას".

აღსანიშნავია. რომ ასეთ. საჩვენებელ მინდვრებზე მე-19 ს. 90-იან წლებში სთესდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა სორტის საუკეთესო ბამბას. არამედ. აგრეთვე ქუნჯუთს. არახისს. პომიდორს. სხვადასხვა ძირნაყოფა მცენარეს. მოცემული რაიონისთვის ახალ კულტურებს. „რათა უფრო მალე მიექციათ ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღება... მებამბეობის ახალი ხერხებისა და მეთოდების უპირატესობისთვის"[8].

ელისავეტპოლის გუბერნიის აღდაშისა (არეშის მაზრ.) და კაზიანის (ჯევანშირის მაზრ.) ბამბის საჩვენებელი მინდვრების მუშაობის შესახებ ანგარიშგებაში ნათქვამია, რომ ამ მინდვრებმა 1897 წელს „მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: მწკრივზე ნათესი ბამბის ბუჩქები და პლანტაციის ცხენის თოხით დამუშავება ამ მინდვრების ყველა მნახველზე ძლიერ შთა-

[7] იქვე, ფურც. 231.
[8] იქვე.

ბეჭდილებას ახდენდა. ს. აღდაშში ყველას ანცვიფრებდა, რომ ასეთ შედარებით ძლიერ ცუდ და გაბიცობებულ ნიადაგზე ფრიად კარგი შედეგი იქნა მიღებული".[9] ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საჩვენებელი მინდვრის მოსაწყობად აქ ვერ უშოვნიათ კარგი ნაკვეთი, რადგან 1 დესეტინა ასეთი მიწის საიჯარო ქირა 30—40 მანეთს შეადგენდა, მაშინ როდესაც მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა მინისტრის აქაურ რწმუნებულს ამ მიზნით შეეძლო გაეცა მხოლოდ 20 მან.

კაზიანში კი, სადაც შერჩეულ იქნა უკეთესი მიწა და თანაც მისმა მფლობელმა ის მუქთად დასთმო, „ყველა სამუშაოთა ნაჩქარებულობის მიუხედავად დასახელებულმა საჩვენებელმა მინდორმა გამოიწვია დადებითი ფურორი და ძლიერი სენსაცია, რაც რამდენსამე მაზრაში გავრცელდა". რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ეს პლანტაცია მდებარეობდა თვით შუშის შოსის გვერდით, ე. ი. ჯევანშირის, შუშის, ჯებრაილისა და ზანგეზურის მაზრების რკინიგზის სადგურ ევლახთან შემაერთებელ ხაზზე.

ამის მეოხებით ბევრს შეეძლო დაეთვალიერებია „ეს მშვენიერი პლანტაცია და უდავოა, რომ მან ხელი შეუწყო მებამბეობისადმი ინტერესის გაძლიერებას". მრავალი მოდიოდა ბამბის თესლის შესაძენად, ასე რომ 1897 წ. მერვიდან გამოწერილი 2 ვაგონი თესლი ამ რაიონში „პირდაპირ დაიტაცეს და ბამბის ნათესების ფართობი მომდინარე წელს ამ მაზრებში უკიდურეს შემთხვევაში, სამჯერ მაინც გადიდდა"[10].

აღდაშის საჩვენებელ ფართობზე 1897 წელს დაითესა ცხრა ამერიკული და კიდევ „საკუთარი შერჩევის" ორი სხვადასხვა სორტის ბამბა, რომელთა შორის ორმა უკანასკნელმა მაინც საუკეთესო მოსავალი გამოიღო. მაგრამ ამ მხრივ დიდი წარმატება ხვდა კაზიანის პლანტაციას, სადაც 3,5 დესეტინაზე აღებულ იქნა 267 ფუთი გაწმენდილი ბამბა, რაც ფუთი 8,2

---

[9] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 239, ფურც. 121.

[10] იქვე, ფურც. 123.

მან. გაიყიდა. ე. ი. 1 დესეტინის მთლიანმა შემოსავალმა 177 მან. შეადგინა.[11]

ამიერკავკასიაში მებამბეობის საცდელ-საჩვენებელ მინდვრებს შორის შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ყარაიას ბამბის პლანტაცია (სადგურ ყარაიის მახლობლად). იგი დაარსდა 1892 წელს, მერმე კიდევ უფრო გაფართოვდა და გადაკეთდა ყარაიის საცდელ სადგურად. რომელსაც ჰქონდა თავისი განყოფილებები

ყარაიის ბამბის პლანტაციის არსებობის ხუთი წლისთავზე შედგენილ მიმოხილვაში (1897) აღნიშნულია. რომ აქ. როგორც საერთოდ ამიერკავკასიის სარწყავ რაიონებში. მიწას ამუშავებდნენ კავით (ჩუთით) და ამასთანავე „უაღრესად უბრალოდ და დაუდევრად"[12]. მიწას საერთოდ არ ანოყიერებდნენ, რადგან მის როლს „ვითომდა ასრულებს უხვი მორწყვა", რაც საერთოდ ამიერკავკასიაში მიჩნეულია „უხვი მოსავლის მიღების ერთადერთ და საუკეთესო საშუალებად". ბამბის სათესი მინდვრის ნაკელით განოყიერებასაც არ ეწეოდნენ. რადგან ვითომდა ეს იწვევდა ნიადაგის გამოშრობას და ნათესი მცენარის ჩაწოლას.

მაგრამ წინააღმდეგ ტრადიციული ხერხებისა. ყარაიის მინდორზე დაიწყეს ნიადაგის ღრმად მოხვნა და ხშირი მექანიკური დამუშავება (გადახვნა). მოსპეს სარეველა ბალახები და ხელი მიყვეს ნიადაგში ნაკელის შეტანას. რამაც „ფრიად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა". დარწმუნდნენ. რომ აქ „ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის უპირველეს ძლიერ საშუალებას წარმოადგენს მიწის ღრმად მოხვნა". „მისი ნაკელით გამდიდრება" და ზომიერი მორწყვა.

ასეთ ვითარებაში. მაგალითად. 1894 წელს ყარაიის პლანტაციის მუშაობის წარმატება აღინიშნა იმით, რომ 8.5 დეს. ფართობზე საშუალოდ 30 ფუთი გაწმენდილი ბამბის მოსავალი იქნა მიღებული. აქ ეწეოდნენ აგრეთვე მემინდვრეობის. მე-

[11] საქ. სსრ ცსია. ფონდი 243. საქმე № 239, ფურც. 124.

[12] იქვე, ფურც. 232.

ბაღჩეობისა და მებაღეობის სხვადასხვა კულტურის დანერგვა-გავრცელების ცდებს, რომელთაგან ზოგიერთმა, მაგალითად, არახისმა, ქუნჯუთმა, პირუტყვის საკვებმა ჭარხალმა, შაქრის სორგომ, წითელმა იონჯამ იმ თავითვე „მიიქციეს ადგილობრივ მეურნეთა სერიოზული ყურადღება“.[13]

აქვე გააკეთეს გლედიჩიის ცოცხალი ღობე და ალვის ხის, ტირიფის, თუთის, აკაციის, თელისა და სხვ. ქარსაცავი ზოლიც გააშენეს. ამ ქარსაცავისა და ცოცხალი ღობის მეოხებით „მნიშვნელოვანი ზომით მიიღწევა ყველა კულტურის დაცვა ყარაიის ძლიერი ქარებისგან და მომთაბარეთა პირუტყვისგანაც“.

ყარაიის პლანტაცია თითქმის იმთავითვე ეწეოდა გლეხობისა და საერთოდ მსურველთათვის არა მხოლოდ სხვადასხვა სორტის ბამბის თესლის, არამედ აგრეთვე არასისის ქუნჯუთის, აბუსალათინის, სიმინდისა და სხვადასხვა თავთავიანი მარცვლეულის, აგრეთვე მიწათმოქმედების სხვადასხვა გაუმჯობესებული იარაღის, კერძოდ ბამბის მექანიკური სათესის, კულტივატორის და სხვ. პოპულარიზაციას.

1896 წლიდან ამ პლანტაციაში დაიწყო სისტემატური მეტეოროლოგიური დაკვირვებებიც. „რაც საშუალებას იძლევა ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან შეხამებით უფრო სწორად წარიმართოს მეურნეობა“[14].

ბამბის კულტურის საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები მე-20 ს. დამდეგიდან პერიოდულად ეწყობოდა მებამბეობის სხვადასხვა რაიონში, ჩვეულებრივ 1½—2 დესეტინა ფართობზე.

მაგალითად, 1909—1910 წწ. საცდელ-საჩვენებელი მინდვრები იყო ქალაქების ბაქოსა და ელისავეტპოლის სანაწებში; ერევანსა და ზაქათალაში იყო „ბამბის საცდელი მინდორი“ და „ბამბის ბუჩქის საჩვენებელი მინდორი“; მოქმედებდა ყარაიის და კულაშის (სამტრედიის მახლობლად) „ბამბის საც-

[13] იქვე, ფურც. 234.
[14] იქვე, ფურც. 235.

დელი მინდორი“, მუღანის „ბამბის ბუჩქის საჩვენებელი მინდორი“ და სხვ.[15]

აღსანიშნავია, რომ საცდელ-საჩვენებელ მინდვრებს აწყობდა არა მხოლოდ ადმინისტრაცია (ხელისუფლება), არამედ საზოგადოებრივი და ზოგჯერ კიდევ კერძო ორგანიზაციებიც.

ასე. მაგალითად. ერევნის გუბერნიაში მებამბეობის განვითარებისთვის ხელის შეწყობის მიზნით ადგილობრივი წვრილი კრედიტის ორგანოები: შემნახველ-გამსესხებელი და საკრედიტო ამხანაგობები იწერდნენ თესლსა და მიწათმოქმედების იარაღ-მანქანებს, აწყობდნენ საჩვენებელ მინდვრებს. კერძოდ სურმალოს (იგდირის) შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. გარდა იმისა. რომ აწყობდა ასეთ მინდვრებს. მას ჰყავდა მებამბეობის ინსტრუქტორი. რომელიც აგრონომიული რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა გლეხებს.[16]

1914 წელს ერევნის გუბერნიაში მოეწყო თესლის სელექციის ორი საადგური: ეჩმიაძინისა და შარურ-დარალაგიოზის მაზრაში. აქ ეწეოდნენ თურქესტნის საცდელი პლანტაციებიდან მიღებული სხვადასხვა სორტის ბამბის თესვას.

1914 წელს ადმინისტრაციამ ამიერკავკასიური მებამბეობის გაუმჯობესების მიზნით კოკანდადან გამოიწერა 9 000 ფუთი ამერიკული მაღალმოსავლიანი ბამბის თესლი. რაც განაწილდა გუბერნიებს შორის: ელისავეტპოლისა—5 950, ბაქოსი—1 500. ერევნისა—1 500. თბილისისა—750 ფუთი.

სმკს ინსტრუქტორი ი. ქურდიანი 1913 წ. წერდა, რომ სურმალოს მაზრის ბარის ადგილებში „ნათესების ფართობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ბამბას. რომლის დამუშავება პრიმიტიული წესებით წარმოებს. რის გამოც მოსავალიც არადამაკმაყოფილებელი მოდის. რაც არ ანაზღაურებს მიწათმოქმედის შრომას. მოსახლეობაში ბამბის გაუმჯობესებუ-

---

[15] «Кавказский календарь на 1916 г.», отд. стат., стр. 96.

[16] С. Тимофеев, «Статистика хлопководства в Закавказском крае за 1909—1911 гг.», 1912, Тифлис, стр. 18—19.

ლი კულტურის ადვილად გავრცელების მიზნით მიღებული იყო გადაწყვეტილება რიგი საჩვენებელი მინდვრის მოწყობისა და მებამბეობის გამანადგურებელი ავადმყოფობის „ჩორის“ წინააღმდეგ სერიოზულ ღონისძიებათა გატარების შესახებ“. შემდეგ ი. ქურდიანი აღნიშნავს, რომ სურმალოს სასესხო-შემნახველი ამხანაგობის გამგეობამ 1911 წელს „ყურადღება მიაქცია ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ მცენარის შეწამლვისა და ბამბის მწკრივზე თესვის გავრცელების“ საქმეს.[17]

მაგრამ საცდელი მინდვრების გამოცდილებათა გადაღება გლეხების უდიდეს უმრავლესობას, ცხადია, არ შეეძლო საჭირო მატერიალურ საშუალებათა უქონლობის გამო, როგორც ამას 1912 წ. მებამბეების ყრილობაზე აღნიშნავდა თვით მემამულე ა. შან-გირეი.[18]

საცდელ-საჩვენებელი მინდვრებისა და საერთოდ მოსახლეობისთვის აგრონომიული დახმარების საკითხებზე ბევრი ლაპარაკი იყო ამიერკავკასიელ მებამბეთა ყრილობაზე 1912 წელს.

მებამბეობის ხელისშემწყობ ოფიციალური ორგანიზაციებისა და მათი ღონისძიებათა კრიტიკით ყრილობაზე გამოვიდა ცნობილი აგრონომი ი. ანდრონიკაშვილი. იგი აცხადებდა, რომ „ჩვენ კავკასიაში საქმე გვაქვს წვრილ გლეხურ მეურნეობებთან და არა ამერიკულ ფერმერებთან, რის გამოც სხვა კულტურათა ხარჯზე ბამბის ბუჩქის ფართობის გადიდებას შეუძლია მიგვიყვანოს დამღუპველ შედეგამდე და მებამბეობიდან უკანვე პურეულთა კულტურაზე გადასვლამდე“. ამიტომაც „პირველ პლანზე უნდა დაისვას ყოველი რაიონისთვის ტიპიური თესლბრუნვის შემუშავების საკითხი. საცდელ-საჩვენებელ მინდვრებს არ ძალუძთ ხსენებული მიზნის მიღწევა. აუცილებელია შეიქმნას სოფლის მეურნეობის საცდელ-საჩვენებელი სადგურები, რომლებიც შეიმუშავებენ თესლბრუნვის წესებს. ასეთი

---

[17] МСХСФККЗС, стр. 385—386.
[18] ТСХ, т. I, стр. 70.

სადგურები კი ამიერკავკასიაში არ არსებობენ", და ამიტომ ყრილობამ უნდა იზრუნოს ამ მიმართულებითო.[19]

ერევნის გუბერნიის მემამულე ი. ათაბეგოვი ყრილობაზე გამოვიდა ერთ-ერთი ძირითადი მომხსენებლის ნ. ტარატინოვის,—საცდელ-საჩვენებელი მინდვრების ხელმძღვანელის—კრიტიკით: „ჩვენ მოველოდით მომხსენებელ ტარატინოვისგან, რომელიც ასე დიდი ხანია სწავლობს მებამბეობას, რომ იგი სხვა თვალსაზრისზე დადგებოდა და არ მოყვებოდა ბამბის კულტურის ნაკლოვანებათა, გასაღებისა და სხვ. შესახებ რეპორტიორულ მასლაათს. ჩვენ ველოდით, რომ ის თვითონ აგვიხსნიდა, თუ რა უნდა ვაკეთოთ, იმიტომ რომ ამჟამად მებამბეობა განიცდის მძიმე კრიზისს. ჩვენ ვხედავთ, რომ ოცდაათწლიანი არსებობის შემდეგ (სავაკრო) მებამბეობა ერევნის გუბერნიაში მცირდება. მოსავლის ხარისხი მრავალ ადგილას ეცემა. რით აიხსნება ეს? რატომ არაფერი არ მოგვცა ჩვენ იმ საცდელ-საჩვენებელმა მინდვრებმა, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა ტარატინოვი? მე ვიტყვი. რომ... მებამბეებს, რომლებიც მუშაობდნენ მებამბეობის საკითხებზე, ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე არაფერი არ გაუკეთებიათ მებამბეობისთვის. მებამბეობის ტექნიკა ეცემა. იქმნება საშინელი მდგომარეობა. მარტოოდენ ამერიკიდან თესლის გამოწერით ვერ უშველით მებამბეობას... სადღაა საცდელ საჩვენებელი მინდვრების მიერ ნაჩვენები გზები, სადღაა ინსტრუქტორული საქმიანობა, რა გაკეთეს მათ? ჩვენ გვესაუბრებიან მოსახლეობის ჩამორჩენილობის შესახებ. ჩვენ გამუდმებულად გველაპარაკებიან დასორტვის. შემსყიდველების, მწონავების, აგენტების შესახებ. ეს ყველაფერი უაზრო ლაპარაკია. ჩვენ ვიცით, რომ ეჩმიაძინის მაზრაში 80-იან წლებში ერთ დესეტინაზე მოსავალი 24 და 29 ფუთამდე აღწევდა. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მოსავალი მხოლოდ 7 ფუთს უდრის. ამაზე ჩვენ გვიპასუხებენ: უნდა შემოვიღოთ რაციონალური ტექნიკა და მწკრივზე თესვა, გავაუმჯობესოთ თესლი, მოვსპოთ შუამავლები. ესაა ადვილად შესათავაზებელი ღონისძიებანი. მაგრამ სად გვინახავს ჩვენ, რომ მწკრივზე თესვას ეჩვენებიოს თავისი მომგებიანობა? მე ვფიქრობ, რომ საცდელ-საჩვენებელმა მინდვრებმა, ინსტრუქტორებმა, ყველამ ვისაც მინდობილი აქვს მზრუნველობა ამ უმნიშვნელოვანეს კულტურაზე. საჭიროა შეიმუშაონ ტიპიური თესლბრუნვა, სახელდობრ ტიპიური თესლბრუნვა ყოველი ცალკე ადგილისთვის, რადგან მხოლოდ თესლბრუნვაშია პროგრესის შესაძლებლობა, შესაძლებლობა გავაუმჯობესოთ ხარი-

19 TCX, стр. 70.

სხ- და გავადიდოთ ბამბის მოსავლის რაოდენობა. საცდელ-საჩვენებელმა მინდვრებმა ჩვენ ვერ მოგვცეს მაღალი მოსავალი. 30 წლის განმავლობაში... ერევნის გუბერნიაში ვერ შესძლეს გამოენახათ საშუალება ბამბის ავადმყოფობათა „ჩორისა“ და „შირას“ წინააღმდეგ,—იქ სადაც ამ ავადმყოფობათაგან ბამბის მოსავალი 75—90 პროცენტით ეცემა... ერევნის გუბერნიაში აქამდე არა გვაქვს საცდელი სადგური. ბრძოლის ყველა ღონისძიება ტარდება თვით გლეხებისა და წვრილ მეურნეთა მიერ და ყოველ შემთხვევაში არა იმათგან. ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება...“[20]

დაახლოებით ანალოგიური იყო ი. ხარკევიჩის (შარურ-დარილაგიოზის მაზრის მებამბის) გამოსვლის შინაარსი: „...მერწმუნეთ პატონებო, მე მეჩვენება რომ გლეხისთვის მებამბეობით გატაცება—-ეს შეცდომაა. გლეხობას პირველ რიგში სჭირდება პური. გლეხობა შიმშილობს. დასთესა მან თავის მეოთხედ დესეტინაზე პამბა. მოსავალი ჯერ კიდევ არ მიუღია. სანამ ბამბა არ დამწიფდება ეკლეხს არა აქვს ხორბალი. ..და როდესაც შემსყიდველი გამოსტაცებს მას საცოდავ 10—15 ფუთ ბამბას. ის ამ დრომდე ისე დამშიებულია, რომ დახმარება უკვე დაგვიანებულია. მე ამას ვხედავ წლიდან წლამდე. გლეხს სურს მალე გამდიდრდეს. მაგრამ მას არ ძალუძს გამდიდრება. ჩემს წინ მე ვხედავ ნ. ტარატინოვის კარგად დაწერილ წიგნაკს „ამერიკული ბამბის მოყვანის შესახებ რჩევა-დარიგება“. არაა საჭირო იყო აგრონომი, საჭიროა მხოლოდ იყო წერა-კითხვის მცოდნე, წაიკითხო და გადაიკითხო ეს წიგნაკი. რომ თამამად შეგეძლოს ხელი მიყო მებამბეობას... მაგრამ გლეხს არა აქვს კაპიტალი... 1 დესეტინა ბამბის დასამუშავებლად ტარატინოვი. თავადი მასალსკი და ყველანი ვინც ამ სფეროში მუშაობენ. ანგარიშობენ 125—200 მანეთს, საშუალოდ 160 მანეთს. ღვთის გულისთვის მითხარით, საიდან შეუძლია გლეხს იშოვოს 150 ან 160 მანეთი მისი ნაკვეთისთვის მიწის დასამუშავებლად, ისე როგორც მიუთითებენ. რაოა მან დაამუშავოს იმისთვის, რომ რაიმე მიიღოს...“[21]

კიდევ მეტი. საცდელ-საჩვენებელი მინდვრების გავლენა სასურველ ეფექტს ვერ აღწევდა ძალიან ხშირად იმიტომაც. რომ რიგი რაიონის წვრილმწარმოებელთათვის ის საერთოდაც უცხო იყო. შორეულ რაიონსა თუ თემში მოწყობილი ასეთი

[20] TCX, 1912, I, стр. 71—73.
[21] იქვე. გვ. 77—78.

მინდვრის უბრალო ხილვის შესაძლებლობაც კი არ ჰქონდა მებამბე გლეხთა დიდ უმრავლესობას.

აგრონომმა გ. გამხარაშვილმა მებამბეთა ყრილობაზე წამოაყენა საერთოდ სოფლის მეურნეობის დარგთა შეთანაწყობის საკითხი. მისი აზრით, მებამბეობის განვითარებისთვის ზრუნვას რეალური შედეგები არ მოყვებოდა, თუ იმავდროულად არ იქნებოდა მოწესრიგებული მეცხოველეობის გაუმჯობესების საქმე, რამდენადაც პირუტყვი, როგორც გამწევი ძალა, აუცილებელია მიწის დამუშავებისთვის. მეცხოველეობის განვითარებისთვის კი საჭიროა საძოვრები, საბალახოები, თესლბრუნვისა და რაციონალური მეთოდების შემუშავება და დანერგვა. „უეჭველია, რომ საკითხი უნდა დაისვას საერთოდ სოფლისმეურნეობრივი წარმოების თვალსაზრისით. სოფლის მეურნის (მეპატრონის) თვალსაზრისით... აგრონომმა, რომელიც ხალხში (სოფელში) მიდის უნდა გაიგოს ადგილობრივი მეურნეობის სული. მას უნდა შეეძლოს მიუდგეს გლეხს. დაარწმუნოს იგი, რამდენადაც გლეხები ლაპარაკობენ: „რას იძლევა თქვენი მწკრივზე თესვა?—მან არ გაადიდა მოსავლიანობაო". ნამდვილად კი მწკრივზე თესვა მოწოდებულია არა როგორც მოსავლიანობის გადიდების, არამედ როგორც კულტურის გაიაფებისა, ე. ი. როგორც მიწათმოქმედების ხარჯების შემცირების საშუალებაო—აცხადებდა გ. გამხარაშვილი[22], რომელიც, ამგვარად, საცდელ-საჩვენებელი მინდვრების ხელმძღვანელობას მოუწოდებდა საკითხის კომპლექსურად შესწავლისა და, მაშასადამე, ასეთივე ღონისძიებათა დასახვა-გატარებისაკენ.

ჯევანშირელი კორესპონდენტის ცნობით (1912) ადგილობრივმა „გლეხებმა თითქმის არაფერი არ იცოდნენ სახაზინო ბამბის მინდვრების შესახებ და არც ჩვენ გვქონია შემთხვევა რაიმე წაგვეკითხა მის თაობაზე პერიოდულ გამოცემებში ან ბროშურებში. სასურველია, რომ ეს საცდელი მინდვრები და-

---

22 ТСХ. I, стр. 79—80.

უახლოვდნენ მოსახლეობას და არ დარჩნენ მარტოოდენ გარკვეული წრის ადამიანთა სარგებლობაში"[23].

ცხადია, რომ როგორც ყოველგვარი ოფიციალური პრაქტიკული დახმარება, ასევე ბამბის საცდელი მინდვრებიც უწინარეს ყოვლისა მსხვილ მემამულეებს, კაპიტალისტ-პლანტატორებსა და კოლონიზატორულ ელემენტებს ემსახურებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ადმინისტრაციისაგან დახმარების ასეთი ფორმა თვით პრივილეგიური ფენებისთვისაც-კი არასაკმაო იყო და, მაშასადამე, საერთოდ უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა.

ერთი ჯეჟათელი (ბაქოს გუბ.) მემამულე-მებამბე იწერებოდა: ბუნებრივი პირობები აქ ყოველმხრივ ხელს უწყობს მებამბეობას, მაგრამ „იგრძნობა აგრონომიული დახმარების ძლიერი უკმარობა. რაც კი რამ არის რამდენადმე თანადროული და კულტურული მუღანში ის აქვს ჩამოსახლებულთ. აბორიგენებს კი არა აქვთ ყველაზე ელემენტარული ცოდნაც კი სოფლის მეურნეობის უახლეს მიღწევებზე და ამის გამო ჩვენი ადგილების მოსავლიანობა ძლიერ განსხვავდება ჩამოსახლებულთა პლანტაციების მოსავლიანობისგანო"[24].

მე-20 ს. მეორე ათეული წლის მიწურულსა და მესამის დამდეგს ამიერკავკასიაში მებამბეობის დარგის აგრონომიული პუნქტების რიგში ირიცხებოდა: ყარაიის საცდელი სადგური (თბილისის მაზრ.) თავისი განყოფილებებით; „ქვემო გიაურარხის" (ბორჩალოს მაზრ.), „კულარის" (სადგ. შულავერთან) და „სადახლოს" პლანტაციები; აჯამეთის საცდელი მინდორი (სადგ. აჯამეთთან), ახალ-სენაკის ბამბის პლანტაცია (სადგ. ახალ-სენაკთან), ურიათუბნის საცდელი მინდორი (სად. წნორის-წყალთან), ს. ვანისა (სადგ. კოპიტნართან) და ს. ყვარლის (სადგ. გურჯაანთან) პლანტაცია. ბამბის საცდელი პლანტაციები იყვნენ ეჩმიაძინისა და ერევნის მაზრებში მუღანის ველსა

[23] КХ. 1912, № 21, стр. 6.
[24] КХ, 1912, № 21, стр. 8.

და ყარა-ჩალაში (სალანის მაზრ.); აგრეთვე გეოქჩაის, აღდაშისა და ყაზახის მაზრებში.

საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წლებში მებამბეობის დარგის და საერთოდაც აგრონომიული დაწესებულებები რიცხობრივად მცირე და, რაც მთავარია, ნაკლებად კეთილმოწყობილი იყო. იგრძნობოდა თვით აგრონომიული კადრების დიდი სიმცირე. ამასთანავე მათი უმრავლესობისთვის იმიტომაც გაძნელებული იყო მოსახლეობის ძირითადი მასებისთვის ეფექტური დახმარების გაწევა, რომ არ იცოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ენა, ზნე-ჩვეულება, ადათ-წესები და სხვ.

2. სათესი მასალა

სავაჭრო მებამბეობის განვითარებაში, ცხადია, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სათესლე მასალის ხარისხისა და ამ მასალით მოსახლეობის მომარაგების საკითხი.

ამიერკავკასიაში უკეთესი სორტების ბამბის კულტურის დანერგვა-გავრცელების მიზნით მთავრობის სათანადო ორგანოემბმა ჯერ კიდევ მე-19 ს. 30—40-იანი წლებიდან ხელი მიყვეს. როგორც ადგილობრივი სორტის შესწავლას, ასევე ცნობილი უცხოური ეგვიპტური, ამერიკული და სხვ.—სორტების ბამბის თესლის გამოწერას. უცხოურ სათესლე მასალას ზოგჯერ სავსებით უფასოდაც ურიგებდნენ მოსახლეობას.

სოფლის მეურნეობის ამ დარგის სპეციალისტები აღნიშნავდნენ და ადმინისტრაციაც დარწმუნებული იყო ამიერკავკასიაში გავრცელებული „ყარა-კოზას“ და სხვ. სორტების ბამბის უკეთესებით შეცვლის აუცილებლობაში. მაგრამ ტრადიცია და გლეხობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და თვით ადმინისტრაციის მზრუნველობის ბიუროკრატიული ხასიათი და არსებითად ყოველთვის მტაცებლური ბუნება ასეთი იყო, რომ ამ ღონისძიებათა გატარება დიდ სიძნელეებს აწყდებოდა.

მებამბეობის ისეთი ცნობილი სპეციალისტი, როგორიც იყო ნ. ტარატინოვი, 1888 წ. წერდა, რომ „კავკასიაში ფრიად საჭიროა და შესაძლებელიც სავსებით გამოიდევნოს ადგილობრივი ცუდი სორტების ბამბები და შეიცვალოს ისინი უკეთესი ამერიკულით“[1].

---

[1] Н. Таратынов, «Очерк хлопководства в Закавказье» (ТКОСХ, 1888, № 9—12, стр. 588).

მაგრამ ამ მიმართულებით მე-19 ს. 40-იან წლებში წარმოებულ ცდებს იგი უარყოფითად ახასიათებს, რადგან მაშინ იწერდნენ ეგვიპტიდან „ჟიუმელის“ და ამერიკიდან Sea Jsland და New Orlean სორტების ბამბის თესლებს, რაც ამიერკავკასიის ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებისთვის „თითქმის სავსებით გამოუსადეგარი იყო“.

საქმე ისაა, რომ Sea Jsland და „ჟიუმელი“ ზღვის სანაპიროთა სორტებია და მათი კულტივირება. ნ. ტარატინოვის აზრით, ხელსაყრელი იქნებოდა მხოლოდ შავი და, კასპიის ზღვების სანაპირო ზონებში და არა, მაგალითად, ერევნის გუბერნიაში. ამასთანავე ეს სორტები ჩვეულებრივ ორჯერ ნაკლებ მოსავალს იძლევიან, ვინემ ამერიკული Uprland და „უმრავლეს შემთხვევაში სავსებით გამოუსადეგარია ერევნის, ელისავეტპოლისა და თბილისის გუბერნიებისთვის. „ეს იყო თავ. ვორონცოვის დიდი შეცდომა ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარების საქმეშიო“[2],—ასკვნიდა იგი.

გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან გავრცელდა ქუთაისის გუბერნიაში ეგვიპტური „ჟიუმელი“, რაც ეგვიპტეში 1 ჰექტარზე საშუალოდ 20 ფუთ მოსავალს იძლეოდა, ხოლო აქ მისი მოსავლის მაქსიმუმი არასოდეს არ აღემატებოდა 12 ფუთს. „ასეთი მოსავალი თუმცა მაღალი არაა. მაგრამ ეს კიდევ არ იქნებოდა დიდი უბედურება. რომ ის იმავე ფასებში იყიდებოდეს, როგორც ეგვიპტური ბამბა“ (1 ფ.—15 მან.). ნამდვილად მოსკოვში ქუთათური ბამბისთვის მხოლოდ 1 მან. მეტს იძლეოდნენ. ვინემ. მაგალითად. ერევნულისთვის და ისიც არა ყოველთვის. „აი რატომაა. რომ ქუთაისის გუბერნიაში სიმინდი ბამბაზე უფრო შემოსავლიან კულტურად მიაჩნიათ“[3].

ამ ხანებში, ნ. ტარატინოვის მიერ მოპოვებული ცნობებით, ერევნის გუბერნიაში ადგილობრივი თესლის ბამბის სა-

---

[2] ТКОСХ, 1888, № 9—12, стр. 590.

[3] იქვე, გვ. 591.

შუალო მოსავალი 1 დესეტინაზე შეადგენდა არანაკლებ 15 ფუთისა, ხოლო 1887 წელს შარურის მაზრასა და „არაზდაიანში“ (ერევნის მაზრა) მან 30—35 და 40 ფუთამდეც კი მიაღწია.

საზღვარგარეთიდან ბამბის თესლების გამოწერის მიზანი იყო ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარება, „მაგრამ ამით ნამდვილად სავსებით საწინააღმდეგო შედეგები იქნა მიღებული... აი, რით უნდა აიხსნას ჩვენი მებამბეობის არა მხოლოდ სრული სტაგნაცია და პირველყოფილი მდგომარეობა, არამედ ის უნდობლობა და მტრობა, რითაც მთელი ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე ეპყრობა, როგორც საზღვარგარეთულ ბამბის თესლებს საერთოდ, როგორიც გინდ ისინი არ იყვნენ ხარისხობრივად, ასევე იმ პირებსაც, რომლებიც მათ ამ თესლებს სთავაზობენ... აი, უწინარეს ყოვლისა რით აიხსნება ის საოცარი სიმპატია, რასაც ამჟღავნებს მოსახლეობა... ფრიად ცუდი... ადგილობრივი სორტის „ყარა-კოზასადმი“,—რომელიც უცხოურზე უფრო ხშირად იძლეოდა კარგ მოსავალს[4].

ამიერკავკასიაში მებამბეობის აღმავლობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ნ. ტარატინოვი თვლიდა ამერიკის ყველაზე ჩრდილოეთის შტატებიდან (ტენესი, ვირჯინია, კაროლინა, მისური) თესლის სისტემატური გამოწერის ორგანიზაციას[5], ამასთანავე მწკრივზე თესვისა და, მაშასადამე, ცხენის სათოხნით მიწის დამუშავებას.

1891 წელს ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონების ადგილობრივი მიმოხილვის ანგარიშგებაში ნ. ტარატინოვი აღნიშნავს, რომ, მაგალითად, ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიების სოფლებში „გლეხები ყველგან და ძლიერ თხოულობენ ბამბის კარგ თესლსა და ბამბასაწმენდ ჯინებს, რათა ამ მიზნით მათ შორს სიარული არ უხდებოდეთ“[6].

ერთი წლის შემდეგ უკვე იგივე სპეციალისტი წერდა: „3-4 წლის წინად მე ყველა მარწმუნებდა, რომ ჩვენში ამერი-

---

[4] ТКОСХ, 1888, № 9—12, стр. 592—593.

[5] იქვე, გვ. 637.

[6] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 113, ფურც. 32.

კულ თესლებს არ ექნება არავითარი წარმატება, რადგან ისინი ჩვენში, ვითომ, ვერ ასწრებენ დამწიფებას, ავადდებიან და განიცდიან გადაგვარებას, მაშინ როდესაც სპარსულ (ირანულ) „ყარა-კოზას“ თესლი, ხარისხით თუმცა უარეს ბამბას იძლევა, მაგრამ ყველა სხვა მხრივ ამერიკულ თესლებზე უკეთესიაო“[7], და ქვემოთ განაგრძობს: „მას მერმე არ გასულა 3—4 წელიწადი და ჩვენთან ამიერკავკასიაში ამერიკულმა ბამბამ. ასე ვსთქვად, გადაჭრით დააღრჩო და სავსებით გამოდევნა „ყარა-კოზა“, რაც ამჟამად იძლევა ამერიკული ბამბის მოსავლის არა უმეტეს 10%-სა. გავა კიდევ 2—3 წელიწადი და „ყარა-კოზა“, ალბად, სულ გაქრება ამიერკავკასიის მინდვრებიდან... იგივე მოუვა ბამბასაწმენდ ხელის ჩიხრიხსაცო“[8].

ამიერკავკასიაში უხსოვარი დროიდან გავრცელებული აზიური სორტის ბამბა, ყარა-კოზა („შავი კოლოფი“). შედარებით მოკლებოჭკოიანი და უხეშიც იყო. რაც შეეხება ამერიკული სორტის, მაგალითად. უპლანდის ბამბას ის ამ მხრივ მნიშვნელოვანი უპირატესობით განირჩოდა. თესლიც მისგან კოტონ-ჯინით უკვე ადვილად გასაცლელი იყო.

ამ მონაცემებიდან ჩანს (იხ. ცხრ. 374 გვ.) რომ ამერიკული სორტის ბამბის აქ გავრცელებას ფრიად ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. მაგრამ მას უარყოფითი მხარეებიც გაჩნდა, რომელთა შორის მთავარი ის იყო. რომ ამ მცენარის ბუჩქზე (ღეროზე) ბამბა ერთდროულად არ მწიფდება, რის გამოც მოსავლის აღება (ღეროს ქვემოდან დაწყებული) გვიან შემოდგომამდე გრძელდებოდა; ამასთანავე იგი სულ ვერ იტანდა შემოდგომის სუსხიან ამინდს და ღეროს ზ,და ნაწილის დაუმწიფებელი ნაყოფი ასეთ შემთხვევაში ხშირად სულ იღუპებოდა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც. რომ ამერიკული ·ბამბა 3 წლის შემდეგ გადაგვარებას განიცდიდა და უკვე მესამე სორ-

[7] იქვე, ფურც. 61.
[8] იქვე, გვ. 62.

ტის ბოჭკოს იძლეოდა. ასე რომ ყოველ 3—4 წელიწადში აუ-ცილებელი იყო მისი თესლის განახლება.

მაინც ამერიკული სორტის ბამბის უპირატესობა ყოველ-მხრივ აშკარა იყო. ბუნებრივია, რომ რუსეთის ბამბაქსოვილის მრეწველობის ინტერესები გადაჭრით მოითხოვდა სწორედ ამ ბამბის გავრცელებას ამიერკავკასიაში.

მაგრამ მებამბეობის მიმდევარი მოსახლეობის ამერიკული სორტის თესლით მომარაგება, ცხადია, არც ისე ადვილი საქმე იყო და ამის მოგვარება მხოლოდ ძლიერ ძალებს შეეძ-ლო. ასეთი ძალები კი უწინარეს ყოვლისა იყვნენ ტექსტილუ-რი მრეწველობის მსხვილი ფირმები, რომლებიც ამა თუ იმ ზომით ამარაგებდნენ რა წვრილმწარმოებლებს ამერიკული ბამბის თესლით, სწორედ ამ ოპერაციის მეოხებით, ადრე თუ

პროფ. დ. პრიანიშნიკოვს მოჰყავს მათი ურთიერთშედარების ასეთი მონაცემები[9]

მაჩვენებელთა დასახელება	აზიური სორტის ბამბა	ამერიკული სორტის ბამბა	
		ადრეული მოსავლის	გვიანი მოსავლის
მოსავლიანობა 1 დესეტინაზე ფუთობით . .	77	127	95
დამწიფების ვადა, დღეობით	150	128	159
მოსავლის პირველი აღების პროცენტი	39	71	39
ბოჭკოს გამოსავალი პროცენტობით.	27—28	31—36	31—33
ბოჭკოს სიგრძე, მილიმეტრობით	20—23	23—25	25—28
შემოსავლიანობა 1 დესეტინაზე (1912 წ.), მანეთობით.	220	486	275

გვიან, თავიანთ კაბალურ დამოკიდებულებაში მოაქცევდნენ ხოლმე მათ და, ამ გზით, აიძულებდნენ შემსყიდველთათვის

[9] Д. Прянишников, «Частное земледелие», стр. 563.

ხელსაყრელ ფასებში ჩაებარებიათ მთელი თავიანთი მოსავალი.

ამგვარად, ადგილობრივ მოსახლეობაში მიწათმოქმედების მაღალი კულტურის დანერგვისათვის ზრუნვას ბამბაქსოვილის მრეწველობის მოროზოვის, კორზინკინის, პოზნანსკის, ალექსეევისა და სხვ. ფირმებს უწინარეს ყოვლისა, ცხადია, წვრილმწარმოებელთა ექსპლოატაციისა და საკუთარი შემოსავლის გადიდების ინტერესები უკარნახებდა.

როგორც გინდ არ ყოფილიყო, მოსახლეობის მეურნეობრივი ინიციატივა თანდათანობით ეგუებოდა შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და თავგამოდებით ცდილობდა საკუთარი ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

1897 წ. შედგენილ ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში ორი ვაგონი ბამბის თესლი (სულ 1200 ფუთი) „გაიყიდა და წაიღეს, შეიძლება ითქვას, რომ დაიტაცეს. სიმცირის გამო თესლი ბევრს სულაც არ ერგო, ანდა ეძლეოდა მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები რაოდენობით ვიდრე წინად... თესლს, მით უფრო ენერგიულად ეტანებოდნენ, რომ მრავალ ახალ რაიონში, სადაც აქამდე მებამბეობას სრულებითაც არ ეწეოდნენ, იგი სავსებით არ მოეპოებოდათ“[10].

ბამბის თესლით მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციის თვალსაზრისით საინტერესოა კავკასიაში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა სამინისტროს აგრონომის ნ. ტარატინოვის ანგარიშგება, საიდანაც ვგებულობთ. რომ 1897 წ. კასპიისიქითა მხარიდან მას გამოუწერია სულ 1800 ფუთი თესლი. მისთვის მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად ნახევარი უნდა გაეყიდა (1 ფ.—50 კ.), ხოლო დანარჩენი „უფასოდ უნდა დაერიგებინა—გლეხებისა და სხვა წვრილ მებამბეთათვის, ისე რომ ერთ ხელზე არ მიეცა სამ ფუთზე მეტი“.

მთელი სათესლე მასალა 2—3 კვირაში გაყიდულა და დარიგებულა. მაგრამ გაყიდულა არა 900. არამედ 1299 ფუთი,

[10] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 339, ფურც. 72.

რადგან ძლიერ დიდი ყოფილა მოთხოვნა. ასეთი ვითარების გამო ნ. ტარატინოვი საჭიროდ სთვლიდა მომავალ 1898 წლისთვის გამოეწერათ ორჯერ მეტი სათესლე მასალა მაინც.

„ელისავეტპოლის გუბერნიაში მიმოგზაურობის დროს მე დავრწმუნდი, რომ გამოწერილმა თესლმა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით ბევრად უკეთესი მოსავალი გამოიღო და ჩვენი თესლების ბამბა ყველა სხვაზე გაცილებით მეტი ფასობსო“,—აცხადებდა იგი[11].

თესლზე მოთხოვნის დიდი სისწრაფით ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ამ რაიონების სოფლებში არ მოიპოვებოდა ჯინები და ბამბა იყიდებოდა გაუწმენდავად, ე. ი. თესლიანად და, ამგვარად, მებამბეს საკუთარი თესლი არ რჩებოდა.

ანალოგიური იყო მდგომარეობა აგრეთვე ქუთაისის, გეოქჩაისა და ელისავეტპოლის საცდელ და საჩვენებელ მინდორთა რაიონებშიც. მაგრამ ნ. ტარატინოვს ამიერიდან უკვე საჭიროდ არ მიაჩნდა მოსახლეობისთვის თესლის მუქთად დარიგების პრაქტიკის გაგრძელება და შუამდგომლობდა, რომ ამიერიდან ადმინისტრაციას მოსახლეობისთვის მიეყიდა 1 ფ. თესლი 50 კაპიკად, ოღონდ საჭიროდ სთვლიდა ამ თესლის ბევრად უფრო მეტი რაოდენობით შემოზიდვას[12].

ბამბას საერთოდ აპრილ-მაისში სთესავდნენ. მე-19 ს. 80-იანი წლებიდან ეგერ-აგერ იწყება მწკრივზე თესვა, რასაც გაფანტულ თესვასთან შედარებით იმთავითვე ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ამ გზით მიიღწევოდა სათესლე მასალის მნიშვნელოვანი ეკონომია. 1 დესეტინაზე გაფანტული თესვისას საჭირო იყო 4—9 ფუთი, ხოლო მწკრივზე თესვისას კი მხოლოდ 2—4 ფუთი თესლი. ამასთანავე მწკრივზე დათესილი ბამბის მიწის სამუშაოები გაადვილებული იყო კულტივატორის გამოყენების შესაძლებლობითა და სხვ. მწკრივზე თესვა იმდენად შესამჩნევი უპირატესობით განირჩეოდა, რომ შედარებით

[11] იქვე, ფონდი 243, საქმე № 239, ფურც. 139—140.
[12] იქვე, ფურც. 141—142.

სწრაფი ტემპით უნდა მომხდარიყო ამ წესზე გადასვლა, განსაკუთრებით ბამბის დიდ პლანტაციებში.

მაგრამ სინამდვილე საწინააღმდეგო სურათს გვიჩვენებს. 1907 წელს ადმინისტრაციამ ერევნის მაზრის ს. ნავრუზლუს მცხოვრები გლეხი მ. ხაჩატუროვი ვერცხლის პატარა მედლის ჯილდოზე წარადგინა იმისთვის, რომ იგი სამი წლის განმავლობაში ეწეოდა ბამბის მწკრივზე თესვას. ეს იყო წამქეზებლური ღონისძიება. როგორც ჩანს, წვრილმწარმოებელ გლეხთა მეურნეობებში მწკრივზე თესვა ფრიად ნელა ვრცელდებოდა, ანდა, ზოგიერთ ადგილებში, სრულებითაც არ იკიდებდა ფეხს.

1912 წ. ცნობით ერევნის გუბერნიის მებამბეობის რაიონთა უმრავლესობაში სრულებითაც არ ეწეოდნენ ბამბის მწკრივზე თესვას. ვაღარშაპატელი კორესპონდენტი კი იტყობინებოდა, რომ იქ „ზოგიერთები ბამბას მწკრივზე სთესენ ცდის სახითო“. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ამგვარი ცდების რამდენჯერმე ჩატარების შემდეგ კვლავ გაფანტულ თესვაზე გადადიოდნენ[13].

კიდევ მეტი. არცთუ ისე იშვიათად თვით საცდელ-საჩვენებელ მინდვრებზედაც კი ბამბას გაფანტვით სთესდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 ს. დასაწყისიდან ასეთი შემთხვევები, არსებითად, მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიმჩნეოდა.

რაც შეეხება მსხვილ მეურნეობებს, როგორიც იყო, მაგალითად“, არაზდაიანის“ მამული (შერემეტიევისა), აქ თვით პირველი მსოფლიო ომისწინა წლებშიც ბამბას გაფანტვით სთესდნენ. კორესპონდენტების უმრავლესობის აზრით მწკრივზე თესვის დანერგვას აბრკოლებდა უმთავრესად ტრადიცია და საჭირო ცოდნის უქონლობა.

1913 წელს ერევნის მთელ გუბერნიაში მხოლოდ ასიოდე ნაკვეთზე იყო მწკრივზე დათესილი პლანტაციები, რომელთა მთელი ფართობი 90 დესეტინას ძლივს აღწევდა. მაშინ როდე-

---

[13] П. Петрович, «Хлопководство в Закавказье». 1912. стр. 90.

საც ბამბის ნათესების საერთო ფართობი 20 ათას დესეტინას აღემატებოდა.

ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებშიც მწკრივზე თესვა ძლიერ მცირე ზომით იყო გავრცელებული. აქ საერთოდ „მიღებულია ბამბის გაფანტვით თესვა და მათ შორის საზამთროს და ნესვის თესლების მიყოლება". მწკრივზე სთესავდნენ მხოლოდ ზოგიერთ მსხვილ მეურნეობაში, მაგალითად, ᲨᲐ. ᲯᲔᲕᲐᲜᲨᲘᲠᲘᲡᲐ და შამქორელ ბეგთა მამულებში.

1914 წელს ჯევათის, ლენქორანის, ბორჩალოსა და თბილისის მაზრებში, განსაკუთრებით კი მუღანის ველის რაიონში, ოფიციალური ცნობით, მწკრივზე თესვამ თითქმის „უკვე მოასწრო უპირატესი ადგილის მოპოვება და არა მხოლოდ ახალმოსახლეთა, არამედ აბორიგენთა მეურნეობებშიც".

მაგრამ ეს ოფიციალური ცნობა, როგორც ყოველთვის ასეთს შემთხვევაში, ფრიად ოპტიმისტური გამოდგა. 1915 წლის მონაცემებით: „ბამბის მწკრივზე თესვა და პლანტაციის მწკრივთაშორისი ცხენის კულტივატორით დამუშავება („გათოხნა") წინანდებურად იშვიათი შემთხვევის სახით შეიმჩნევა და თვით ახალმოსახლეთა შორისაც, მუღანში, მწკრივზე დათესილ პლანტაციებსაც უმრავლეს შემთხვევაში ხელით თოხნიან"[14].

* * *

ბამბასაწმენდი ქარხნების გაჩენამ დიდი გავლენა მოახდინა მებამბე გლეხობის თესლით მომარაგების საქმეზედაც.

იმ დროს, როდესაც ბამბის თესლისგან გაწმენდა ადგილზევე ხდებოდა, თვით მებამბის, ანდა მეზობელი კულაკის (შემსყიდველის) მეურნეობაში, სადაც კოტონ-ჯინი მუშაობდა და, მაშასადამე, წარმოების ადგილიდან უკვე გაწმენდილი ბოჭკო მიჰქონდათ, თესლი იქვე რჩებოდა და, ამ მხრივ, წვრილი მწარმოებელი უზრუნველყოფილი იყო.

---

[14] КК на 1916, отд. стат., стр. 95.

მაგრამ მას მერმე, რაც დაბა-ქალაქებში, მსხვილ სოფლებში, მებამბეობის ცენტრებში გაჩნდა ბამბასაწმენდი ქარხნები და ნედლი ბამბის გაწმენდა უშუალო მწარმოებლის მეურნეობიდან დაშორებულ ადგილებში დაიწყო, უკანასკნელმა უკვე დაკარგა თესლის შენარჩუნების საშუალება. ამიერიდან გლეხმა სათესლე მასალა მექარხნისგან, ან. რაც კიდევ უარესია, მედუქნისა თუ შემსყიდველისგან უნდა შეიძინოს. მაგრამ მდგომარეობას არა მხოლოდ ის ამძიმებს, რომ ხარჯები იზრდება, არამედ ისიც, რომ ძნელდება ჯანსაღი თესლის შეძენა. ქარხანაში იწმინდება ყოველგვარი ბამბა და თესლიც არეულია, სხვადასხვა სორტისაა და ზოგჯერ კიდევ სხვა მიზეზითაც არის გაფუჭებული.

ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ ზოგან ნათესების გახარება არ ხდებოდა. ელისავეტპოლის გუბერნიის ერთ-ერთი საცდელი მინდვრის მეთვალყურე წერდა (1912 წ.): „თესლი, რასაც იყენებენ მებამბეები. არათუ სათესლედ, არამ[illegible] საზეთედაც არ ვარგა... მრავალ ადგილას ხელმეორედ სთ[illegible]ენ... მექარხნეები, მედუქნეები და შემსყიდველები მებამბე გლეხებზე „ასაღებენ ყოველგვარ ნაგავს“, რასაც ყიდიან როგორც „ჯინგის“ სორტს, ანდა „თურქესტანიდან სულ ახლა მიღებულს, რაც მხოლოდ რამდენადმე უფრო მეტიდროდ უნდა დაითესოს!“

მექარხნეებისგან და შემსყიდველ-გადამყიდველთაგან ბამბის თესლის შეძენის პრაქტიკა 90-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა განსაკუთრებით ელისავეტპოლის, ბაქოსა და თბილისის გუბერნიებში. რაც შეეხება ერევნის გუბერნიას, აქ მებამბე, როგორც წესი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მის მიერ მოყვანილი ბამბის თესლს ხმარობდა[15]. 1912 წ. ანკეტური მონაცემების მიხედვით ელისავეტპოლის გუბერნიის გლეხობის უდიდესი ნაწილი ნაყიდი თესლის ხარისხის უვარგისობას უჩიოდა.

---

[15] П. Петрович. «Хлопководство в Закавказье», 1912, I, стр. 117—119.

ბაქოს გუბერნიის გეოქჩაის მაზრიდან სმკს კორესპონდენტი ქ. ტირაცუნიანცი 1903 წ. იტყობინებოდა: „ბამბის თესლის შეძენა ხდება ბამბის შემსყიდველ კომერსანტებისა და აგრეთვე გეოქჩაის საჩვენებელი მინდვრისგან. ზოგიერთი მეურნე თავს იმარაგებს საკუთარი ბამბის გაწმენდისგან მიღებული თესლით... თესლზე მოთხოვნა ყოველწლიურად ძლიერ იზრდება“[16].

საერთოდ ბაქოს, ელისავეტპოლისა და თბილისის გუბერნიების მებამბეობის ახალ რაიონებში მთელი მოსავალი ბაზარზე გადიოდა ნედლი ბამბის სახით, ე. ი. „უშუალომწარმოებლის ხელიდან მიდიოდა როგორც ბოჭკო, ასევე თესლიც. ეს უკანასკნელი მებამბემ შემდეგ უნდა შეიძინოს ბამბასაწმენდ ქარხანაში, მედუქნესთან და მხოლოდ იშვიათად საცდელ სადგურზე“[17].

ამ მხრივ, შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ ცენტრალური მუღანის რუსი ახალმოსახლენი, რომელთაც ადმინისტრაცია ყოველთვის შესამჩნევ დახმარებას უწევდა ინსტრუქტორების, თესლის, ბამბასაწმენდი მანქანებისა და სხვ. მიწოდებით[18].

საერთოდ ჯანსაღი და საკმაო რაოდენობის თესლით. როგორც ჩანს, წვრილი მებამბეები უკეთესად იყვნენ უზრუნველყოფილი მებამბეობის ძველ რაიონებში. პ. პეტროვიჩი, რომელმაც შეისწავლა სპეციალური ანკეტური მონაცემები, წერს: „მებამბეობის ძველ რაიონში ბევრია წვრილი შინამრეწველური ქარხნები, რომლებიც ხშირად იმდენს მუშაობენ საკუთარი ბამბის წმენდაზე. რამდენსაც თავიანთ თანასოფლელთა სამუშაოზე; ეს შინამრეწველნი მეზობლების ნედლი ბამბის თესლისგან გაწმენდისთვის იღებენ ან გარკვეულ ფულად სასყიდელს, ანდა პროდუქტის ნაწილს, ხოლო დანარჩენი

---

[16] КСХ. 1903. № 480. стр. 1065.

[17] Н. Таратынов. «Современное положение хлопководства в Закавк. кр».. 1912. Тифлис. стр. 15.

[18] КХ. 1912. № 21. стр. 8—9.

პროდუქტი და თესლი უკანვე მიაქვს მწარმოებელს", რომელიც, ამგვარად, უზრუნველყოფილია ბამბის თესლით[19]. მართლაც, ერევნის გუბერნიის სოფლებში მრავლად იყო დაფანტული წვრილი შინამრეწველური ბამბასაწმენდი ქარხნები, რომელთა რაოდენობა 1911 წელს, ოფიციალური ცნობით, 350-მდე აღწევდა[20].

საცდელ-საჩვენებელი მინდვრებისა და სადგურების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება იყო, რათა მებამბეობის მიმდევარი მოსახლეობისთვის ხელი შეეწყო კერძოდ სათესლე მასალით მომარაგების საქმეში.

მაგრამ, როგორც საერთოდ, ისე ამ სფეროშიც ცარიზმის სოფლისმეურნეობრივი და აგრარული პოლიტიკა ფრიად დიფერენცირებული იყო, განსაკუთრებით განაპირა, ე. ი. კოლონიურ ქვეყნებში.

ბაქოს გუბერნიის ჯევანშირის მაზრიდან სმკს კორესპონდენტი იწერებოდა (1912), რომ აბორიგენები გლეხებმა თითქმის არაფერი არ იციან სახაზინო ბამბის პლანტაციების არსებობის შესახებ და, ცხადია, მისგან არც არავითარ დახმარებას არ ღებულობენო[21].

მოსახლეობის მიერ ბაზრებზე ნაყიდი არაკეთილხარისხოვანი სათესლე მასალა მნიშვნელოვნად აბრკოლებდა მებამბეობის განვითარებას ბაქოს გუბერნიაშიც. „ეს იმის მეოხებით წარმოსდგება, რომ ბამბასაწმენდი ქარხნების მეპატრონეები, სავსებით უგულვებელყოფენ სათესლე მასალის შერჩევას, ბამბის საუკეთესო პარტიებიდან მიღებულ თესლს ადრევე

---

[19] КХ. 1912, № 21, стр. 120.

[20] «Обзор Эриван. губ. за 1911 г.», см. прилож. табл. № 4.

[21] КХ, 1912, № 21, стр. 6.

ჰყიდიან ზეთსახდელ ქარხნებზე ანდა საზღვარგარეულ გასაზიდათ"[22].

ოფიციალური მიმომხილველი ამასთანავე აღნიშნავდა „ცუდ ჩვეულებას, რომ სათესლე მასალაზე ზრუნვას იწყებდნენ მხოლოდ თესვის პერიოდის დადგომის დროიდან და ამის გამო მოსახლეობა იძულებული იყო უფრო ხშირად სესხად (ვალად) აეღო თესლი, რასაც მას აწოდებდა კომისიონერები და შემსყიდველები".

მებამბეობის დარგში თბილისის გუბერნიის ინსტრუქტორის 1908 წ. ანგარიშგებიდან ჩანს, რომ, მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში მსხვილ მეურნეობათა—არამიანცის (170 დეს.), ანანოვის (6 დეს.), ახუნდოვის (20 დეს.), მანთაშევის (55 დეს.), ცურინოვის (10 დეს.), აგრეთვე საუფლისწულო ძამული „გიურ-არხი" (160 დეს.)—ბამბის პლანტაციები სარგებლობდნენ შერჩეული თესლით, ხოლო „წვრილი მეურნეობები ყოველთვის იჩაგრებოდნენ კეთილხარისხოვანი სათესლე მასალის უქონლობით"[23].

ბორჩალოში წვრილი მწარმოებლები თესლს ხშირად ყიდულობდნენ ზეთსახდელ ქარხნებში. აქ ზოგჯერ იყიდებოდა ერევნის გუბერნიიდან ჩამოტანილი თესლი. 900-იანი წლების მიწურულიდან სათესლე მასალას ძალიან ხშირად და სულ უფრო დიდი ზომით ღებულობდნენ ფერგანის ოლქიდან.

ერევნის გუბერნატორის მოხსენებით ბარათში (1908) ნათქვამია, რომ აქ გლეხურ მეურნეობათა „ერთ-ერთ ძირითად საფუძველს" საშიშროება ემუქრება, ერთი მხრივ, ბამბის მოსავლიანობის რაოდენობრივი დაცემისა და, მეორე მხრივ, თვით ამ პროდუქტის თვისობრივი მაჩვენებლის გაუარესებისგან, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი 1907 წ. მოსავლის აღებისა და 1908 წ. გაზაფხულზე ბამბის ნათესების ამოსვლის დროს.

---

[22] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 537, ფურც. 98.

[23] იქვე, ფურც. 101.

„ჩემს მიერ ფრიად სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მასალათა საფუძველზე ამ მოვლენის ანალიზმა მე იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ, გარდა ნიადაგის დამუშავების ჩამორჩენილი წესებისა, ამ კულტურის რეგრესში უდიდეს როლს თამაშობს ბამბის თესლის თითქმის სრული გადაგვარება“ და თანაც ის მომენტი, რომ 1908 წელს დაითესა გაფუჭებული, დაავადებული თესლი[24].

ასეთ ვითარებაში გუბერნიის ადმინისტრაცია ცდილა დახმარებოდა მოსახლეობას და მას იმიერკასპიის მხარის ფერგანის ოლქიდან გამოეწერა თესლი. მაგრამ, „სამწუხაროდ, ეს მიმოწერა ძლიერ გაჭიანურებულა“ და ბიუროკრატიული აპარატის კეთილი სურვილები ქაღალდზე გაყინულა. შემდეგ გუბერნატორი შუამდგომლობს, რათა ამ საქმეში მას დაეხმაროს მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარმართველობის რწმუნებული კავკასიაში.

1912 წ: თბილისში მოწყობილმა მებამბეთა ყრილობამ აღნიშნა, რომ მებამბეთა „კარგი და კეთილხარისხოვანი სათესლე მასალით უზრუნველყოფა ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი“, ამიერკავკასიური მებამბეობისა. რის გამოც იგი მებამბეობის სპეციალისტებსა და ინსტრუქტორებს მოუწოდებდა, რათა მოსახლეობაში ფართოდ გაევრცელებინათ ცნობები შესახებ არსებული „კეთილსინდისიერი ფირმებისა და მეთესლეობის მეურნეობებისა, რომელთაგანაც შეიძლებოდა კეთილხარისხოვანი სათესლე მასალის შეძენა“[25].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ამიერკავკასიაში უკვე მოქმედებდა ადმინისტრაციის მიერ მოწყობილი მეთესლეობის ორი პლანტაცია—ყარაიასი და აქსტაფაში. რაც შეეხება, ამ მხრივ, „კეთილსინდისიერი ფირმების“ მოღვაწეობას, ამის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

---

[24] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 537, ფურც. 54—55.

[25] «Труды съезда хлопководов в г. Тифлисе 1—6 ноября 1912 году», 1913, Тифлис, т. I, стр. 35.

1913 წელს ბამბის დამწიფების ოპტიმალური პირობებისა გამო 1914 წლისთვის სათესად ფართოდ იქნა გამოყენებული ადგილობრივი თესლი, რაც ბაზრებზე კარგადაც იყიდებოდა. მაინც შემოტანილი სათესლე მასალის საჭიროება დიდი იყო და ყოველწლიურად იზრდებოდა. 1914 წელს საერობო აგრონომიული ორგანიზაციების ინიციატივით ფერგანის ოლქიდან, „ძმ. კრაფტ“ ფირმის მეშვეობით გამოიწერეს 7 ვაგონი თესლი ბაქოს გუბერნიისა და 15 ვაგონი ელისავეტპოლის გუბერნიის რაიონებისთვის. „თესლის ამგვარი გამოწერის პრაქტიკამ უდავოდ დადებითი როლი ითამაშა ადგილობრივი თესლის განახლების საქმეში“[26].

ბამბის თესლი თავდაპირველად, ეტყობა, გამოიყენებოდა მარტოოდენ როგორც სათესლე მასალა. და, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომაც იყო, რომ მას ეწოდებოდა მხოლოდ „ბამბის თესლი“ და არა, ვთქვათ, მარცვალი, მსგავსად ხორბლის, ან სიმინდის მარცვლისა. მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი შეიქნა მრეწველობის, სახელდობრ კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი ნედლეული.

რამდენადაც მრეწველობის დარგებისა და ფორმების განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილს ჩვენს მონოგრაფიებში სპეციალურად ბამბის თესლის ტექნიკური გადამუშავების საკითხზე მსჯელობა არ გვექნება, ამიტომ საჭიროა აქვე, ორიოდე სიტყვით მაინც, შევეხოთ ამ საქმის მთავარ მომენტებს.

მებამბეობის შემოსავლიანობის გაზრდის თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობდა თესლის მთელი გამოსავალის ათვისების საკითხი. 1834 წლამდე სათესლე მასალის გარდა ბამბის თესლს არავითარი გამოყენება და, მაშასადამე, ღირებულება არ ჰქონდა. ამ დროს მისისიპის შტატში გააკეთეს მისგან ზეთის გამოხდის პირველი ცდა, რაც მარცხით დამთავრდა. მაგრამ 1847 წ. მოწყობილმა ცდამ დადებითი შედეგი გამოიღო და მალე დაიწყო ბამბის ზეთსახდელი ქარხნების გამრავლება.

[26] КК на 1916 г. отд. стат. стр. 95.

ამიერიდან ზეთისა და კოპტონის წარმოება გადაიქცა მრეწველობის მნიშვნელოვან დარგად. ზოგიერთი ამერიკელი სპეციალისტის გაანგარიშებით ამ დროიდან ბამბის თესლი, რაციონალური გამოყენების პირობებში, პლანტატორს არა ნაკლებ შემოსავალს აძლევდა, ვინემ საკუთრად ბამბა. უკვე 1884 წ. 550 ათასი ტონა ბამბის თესლისგან გამოხდილ იქნა 20 მილიონი გალონი ზეთი, რომლის საერთო ღირებულება 4,5 მილიონ დოლარს (9 მილიონ მანეთს) შეადგენდა[27].

მალე დაიწყო აგრეთვე ბამბის ზეთის წარმოების ნარჩენების—კოპტონისა და ფქვილის—პირუტყვის საკვებად და ნიადაგის გასანოყიერებლად გამოყენება.

ჯერ კიდევ პატარა ჯინების პატრონებმაც კი დროზე გაიგეს ბამბის თესლის უტილიზაციის სარფიანობა. წინათ იგი უმთავრესად მხოლოდ სათესლე მასალად გამოიყენებოდა. მაგრამ ახლა, როდესაც ბამბასაწმენდ ქარხნებში დიდძალი თესლი დაგროვდა კომერციული აზრი მისწვდა მის სხვადასხვაგვარ გამოყენებას.

საერთოდ ყველაზე მეტად ფასობდა სათესლე მასალა. მერმე საექსპორტო და ზეთსახდელი ქარხნებისთვის შესასყიდი თესლი. იგი იმ თავითვე გამოიყენებოდა აგრეთვე, როგორც პირუტყვის საკვები.—ამ დანიშნულების თესლი შედარებით ნაკლებ ფასზე იყიდებოდა და ხარისხობრივადაც უფრო მდარე შეიძლება ყოფილიყო.

900-იანი წლების მიწურულს ამიერკავკასიაში ყველაზე მსხვილი ზეთსახდელი ქარხანა მუშაობდა რკინიგზის სადგურ ლიაქში. მან 1906—1909 წწ. გადაამუშავა 225 000 ფუთი ბამბის თესლი. იგი აწარმოებდა უმაღლესი ხარისხის ბამბის ზეთს, აგრეთვე ხატის ზეთს.

ეს იყო ამხანაგობა „კავკასიური ზეთსახდელის ქარხანა“, რომელმაც მერმე, 1908 წლიდან, ხელი მიყო აგრეთვე მოსახლეობისთვის სათესლე მასალის მიყიდვის ოპერაციებსაც. ად-

---

27 ТКОСХ, 1888, № 9—12, стр. 628.

მინისტრაცია იმედოვნებდა, რომ ეს გარემოება ხელს შეუწყობდა ხარისხოვანი თესლით ვაჭრობისა და თვით სათესლე მასალის ფასების ერთგვარ მოწესრიგებას[28].

საერთოდ ბამბის თესლის მნიშვნელოვანი ნაწილის გადამუშავება ხდებოდა ზეთსახდელ ქარხნებში.

ამიერკავკასიური ზეთსახდელი ქარხნების მიერ გადამუშავებული ბამბის თესლის საერთო რაოდენობა უდრიდა (ფუთობით):

1910 წელს	571 645
1911	446 983
1912/13	599 000
1913/14	1 026 000
1914/15	965 000

ზეთსახდელ ქარხნებში გადასამუშავებლად მიდიოდა ბამბის თესლის საერთო რაოდენობის 25—45 პროცენტი. საჭიროა აღინიშნოს, რომ აქაურ ბამბის ზეთს დიდ კონკურენციას უწევდა იმიერკავკასიიდან შემოტანილი მზესუმზირას ზეთი[29].

პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში ამიერკავკასიური ბამბის თესლის უდიდესი ნაწილი გაჰქონდათ საზღვარგარეთ და რუსეთის ცენტრალურ ინდუსტრიულ რაიონებში. ასე, მაგალითად, ამიერკავკასიის საზღვრებიდან გატანილ იქნა (ფუთობით):

1910—1911 წწ. სეზონში	720 000
1911—1912 წწ.	2 142 000
1912—1913 წწ.	1 240 000
1913—1914 წწ.	900 000

1912 წელს ზეთსახდელ მექარხნეთა სახელით ამიერკავკასიელ მებამბეთა ყრილობაზე გამოსული მ. დასელი აცხადებდა, რომ აქაური ზეთსახდელი ქარხნები მძიმე მდგომარე-

---

[28] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე 537, ფურც. 123.

[29] ЭТЗ, I, стр. 143.

ობაში არიან, რადგან ბამბის თესლის ექსპორტერებმა ძლიერ ასწიეს თესლის ფასები, ასე რომ „ბამბის თესლის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების რეალიზაცია სრულიადაც ვერ ფარავს მათს შესასყიდ ფასებსაც კი, რომ არა ვთქვათ რა სარგებლობაზე“, ე. ი. მოგებაზეო[30].

მ. დასელის ცნობით „კავკასიურმა ზეთსახდელმა ქარხანამ“, რომელმაც 1911/1912 წ. სეზონში დაახლოებით ნახევარი მილიონი ფუთი ბამბის თესლი გადაამუშავა, 100 000 მან. ზარალი ნახა, რადგან „ბამბის ზეთის ფასები სრულ დამოკიდებულებაშია მზისუმზირას ზეთის ფასებზე“, რაც იმიერკავკასიიდან შემოდის და კოპტონზე კიდევ „სრულებითაც არაა მოთხოვნა“ ამიერკავკასიაშიო.

ასეთი ვითარების გამო, ბამბის ზეთსახდელი ქარხნების პატრონები მოითხოვდნენ ბამბის თესლის გაიაფებისთვის საჭირო ღონისძიებათა გატარებას, აგრეთვე რკინიგზის ტარიფის აწევას გასატან ბამბის თესლზე, ხოლო დაწევას—ადგილობრივ სადგურთა შორის მის მიმოზიდვაზე.

სინამდვილეს არ შეეფერება მ. დასელის განცხადება შესახებ იმისა, რომ თითქოს ამიერკავკასიაში კოპტონზე არავითარი მოთხოვნა არ იყო. სინამდვილეში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქედან მნიშვნელოვანი რაოდენობით გაქონდათ იგი საზღვარგარეთ და საკმაოდ მაღალ ფასებშიც იყიდებოდა. საერთოდ მექარხნეები მებამბეთა ხარჯზე უფრო მაღალი მოგებისთვის იბრძოდნენ და როგორც რკინიგზის ტარიფის, ასევე ბამბის თესლის ფასების შესახებ ხსენებულ ყრილობაზე წამოყენებული მათი მოთხოვნები მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა.

ზეთსახდელ ქარხანაში გადამუშავებული ბამბის თესლის დაახლოებით 40 პროცენტი შეადგენდა კოპტონს, რაც ამიერკავკასიაში საბალახოებისა, საერთოდ მეცხოველეობის საკვები ბაზის სიმცირის ვითარებაში უდავოდ მნიშვნელოვან მასა-

---

30 ТСХ, I, стр. 172—173.

ლას წარმოადგენდა[31], მაგრამ იგი თითქმის მთლიანად საექსპორტო საგანი იყო.

ასე. მაგალითად, ბათუმის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა კოპტონი (ფუთობით):

1910—1911 წლებში	216 000
1911—1912	176 000
1912—1913	266 000
1913—1914	456 000
1914—1915 „	386 000

ადგილობრივი პროგრესული ინტელიგენცია, რომელსაც შეეძლო დაახლოებით სწორი წარმოდგენა ჰქონოდა ამ მოვლენათა, სახელდობრ ბამბის თესლისა და კოპტონის ასე დიდი რაოდენობით ამიერკავკასიის საზღვრებიდან გატანის შესახებ, აღშფოთებული იყო ამ გარემოებით:

„ეს მოვლენა უნდა მივიჩნიოთ არანორმალურად, რასაც შეიძლება დიდი ზიანი მოყვეს ამიერკავკასიური მებამბეობისთვის“... „ამ სახით მებამბეობის რაიონებიდან ყოველწლიურად გაიტანებოდა დიდძალი რაოდენობის საკვები ნივთიერება, ხოლო ნიადაგს არაფერი არ უბრუნდებოდა, რამდენადაც სასუქები არ შემოქონდათ. ეს ბოროტება მით უფრო დიდი იყო, რომ ბამბის თესლის გადამუშავებით მიღებული კოპტონის მთელი რაოდენობაც აგრეთვე გაიტანებოდა ამ ქვეყნის საზღვრებიდან... ასეთ მტაცებლურ მეურნეობას შეეძლო გამოეწვია და მან გამოიწვია კიდევაც ნიადაგის გამოფიტვა და ბამბის მოსავლიანობის შემცირება“[32].

---

[31] ТКОСХ, 1888, № 9—12, стр. 628.
[32] ЭТЗ, I, стр. 146—147.

VIII. ბამბის რეალიზაცია

1. ნედლი ბამბის პირველადი გადამუშავების ტექნიკა

მე-18 ს. ბოლომდე ევროპის საფეიქრო მრეწველობა უმთავრესად შავთესლიანი აზიური—ძირითადად ინდური და ეგვიპტური ბამბით მარაგდებოდა. ამ სორტების ბამბისგან თესლი ადვილად გამოიყოფოდა არქაული ჩიხრიხით (roller gin), რაც გავრცელებული იყო მთელს აზიასა და აფრიკაში, კერძოდ ამიერკავკასიაშიც. მე-18 ს. ბოლოს, ინდუსტრიული გადატრიალების დროიდან საერთოდ საფეიქრო მრეწველობის ნედლეულზე ოა საკუთრად ბამბაზე წარმოიშვა დიდი მოთხოვნილება. ბუნებრივია ყურადღება მიიქცია მწვანეთესლიანმა ამერიკულმა ბამბამ, მაგრამ მისგან ჩიხრიხით თესლის გამოყოფა ფრიად შრომატევადი სამუშაო იყო.

ასეთ ვითარებაში ამერიკას მოევლინა ე. უიტნის მანქანა (1792 წ.), რასაც გრანდიოზული შედეგები მოჰყვა. Cotton-gin-ის მეოხებით ამერიკული სორტის გრძელბოჭკოიანი და უხვმოსავლიანი ბამბა თესლისგან ადვილად გასაწმენდი გახდა, რამაც იგი მსოფლიო ტექსტილური მრეწველობის პირველხარისხოვან ნედლეულად გადააქცია. თუ აქამდე ამერიკაზე მოდიოდა ბამბის მსოფლიო წარმოების მხოლოდღა 0.01 პროცენტი. დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ ამერიკა იძლეოდა უკვე 85 პროცენტს. კოლოსალურად გაიზარდა ბამბის წარმოება და მოხმარება. ამერიკული ბამბის ექსპორტი 1793—1800 წლებში 220 ათასიდან 8 200 ათას კილოგრამს აღწევს, ე. ი. 8 წლის განმავლობაში დაახლოებით 40-ჯერ გაიზარდა. ბამბის ბოჭკოს მსოფლიო მოსავალი მილიონ კიპობით უდრიდა: 1866 წ.—1,8; 1876 წ.—4.3; 1886 წ.—6.446; 1896 წ. —8,533; 1906 წ.—13,974; 1914 წ.—16,135. მიუხედავად

იმისა რომ ბამბის წარმოება ასე სწრაფად იზრდებოდა, ხშირი იყო შემთხვევები მისი დეფიციტისა.

მე-19 ს. მსოფლიოში ბამბის ყველაზე დიდი მომხმარებელი იყო ინგლისის ტექსტილური მრეწველობა, რომელსაც მე-20 ს. დამდეგს გაუსწრო აშშ; სწრაფად წინაურდებოდა რუსეთი. გერმანია და იაპონია. პირველი მსოფლიო ომის წინ (1912/13 წლებში) ბამბის მოხმარება მილიონ კიპობით უდრიდა: აშშ—5.8: ინგლისში—4.3; რუსეთში—2.5; ინდოეთში—2,2; გერმანიაში—1,7; იაპონიაში—1,6; საფრანგეთში—1,0. შემდეგ მოდიან ავსტრია (0.8). იტალია (0.8) და სხვ. მაგრამ ამ მხრივ უფრო საინტერესოა 1914 წელს მსოფლიო ბამბეულის ფაბრიკებში მოქმედ თითისტართა საერთო რაოდენობის—144 980 000—დანაწილება ცალკე ქვეყნებს შორის: ინგლისი—56 000. აშშ—31 500. გერმანია—11 400, რუსეთი—9, 100, საფრანგეთი—7 400, ინდოეთი—6 600, ავსტრია—4 950 და სხვ.[1]

რუსეთის ტექსტილური მრეწველობა დიდი ზომით მოიხმარდა იმპორტულ (ამერიკულ. ეგვიპტურ. ინდურ. ირანულ) ნედლეულს. ეს იმპორტი ათას ფუთობით უდრიდა: 1816 წ.—36. 1826 წ.—105. 1836 წ.—259. 1846 წ.—729, 1856 წ.—2221, 1876 წ.—4 708, 1886 წ.—7 248, 1896 წ.—8 480, 1906 წ.—10 020, 1913 წ.—12 022, რაც დაკავშირებული იყო ვალუტის (ოქროს) დიდ ხარჯთან. ეს გარემოება და საერთოდ იმპერიის ეკონომიკური ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვდა ბუნებრივი პირობების მხრივ ხელსაყრელ განაპირა ქვეყნებში, შუაზიასა და ამიერკავკასიაში, მებამბეობის რაც შეიძლება სწრაფ განვითარებას.

ბამბის კულტურა ამიერკავკასიაში, როგორც უკვე ითქვა, უხსოვარი დროიდან მოდის. მე-18 ს. ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობის პირობებშიც მებამბეობა და ბამბაქსოვილის

[1] „Cotton and alleid textile industries„1961, Manchester; „Staistics en cotton and related data 1920—1956", 1957, Wachington.

წარმოება, ისევე როგორც მღებრობა საკმაოდ ყოფილა განვითარებული, როგორც ეს ნაჩვენებია აკად. ნ. ბერძენიშვილის ერთ-ერთ მშვენიერ გამოკვლევაში.[2] მე-19 საუკუნიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. როგორც საერთოდ ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა, ისე სოფლის მეურნეობის, კერძოდ მებამბეობის განვითარებას ფართო გასაქანი მიეცა.

ბაზარზე გასაყიდ საქონლად მომზადებისთვის აუცილებელია მოკრეფილი ბამბის თესლისგან გაწმენდა. გაწმენდის ხარისხს, ბოჭკოს სისუფთავეს დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქტის ავკარგიანობის თვალსაზრისით.

ბამბის საწმენდად ამიერკავკასიაში იყენებდნენ აქ უხსოვარი დროიდან გავრცელებულ, როგორც ფიქრობენ, ინდური ან ეგვიპტური წარმომავლობის ხელის ჩიხრიხს,[3] რაც ნატურალურ ურთიერთობათა ვითარებაში, როგორც წესი, მებამბეობის მიმდევარი ყოველი გლეხის ოჯახში მოიპოვებოდა. ამ ჩიხრიხს, მთლიანად ხისას, ჩვეულებრივ სოფლის დურგალი აკეთებდა. ბამბისგან თესლის გაცლა და ბოჭკოს გასაყიდად მომზადება მიწათმოქმედებისგან გამოუყოფელი საოჯახო სარეწავის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიაში გავრცელებული ჩიხრიხით დღე-ღამეში შეიძლებოდა 1,5—2 ფუთი ადგილობრივი სორტის („ყარაკოზა") ბამბის გაწმენდა, მაგრამ გრძელბოჭკოვანი ეგვიპტური და, განსაკუთრებით, ამერიკული სორტის ბამბების გაწმენდა ფრიად მოუხერხებელ და ბევრად უფრო შრომატევად სამუშაოს წარმოადგენდა.

მაგრამ მას მერმე, რაც აქ ფართოდ გავრცელდა გრძელბოჭკოვანი სორტის ბამბები და ბამბის ბოჭკო სულ უფრო მე-

---

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში" (მსკი, ნაკვ. VI, 1937, თბ.).

[3] ჩიხრიხის (rolle-gin) დაწვრილებით ტექნიკური აღწერილობა და ნახაზები იხ. И. Х а т и с о в, «О развитии культуры и торговли хлопком в Закавказском крае» (ЗКОСХ, 1965. № 1).

ტი ზომით იქცეოდა საქონლად, განსაკუთრებით იმ დროიდან რაც იგი შინაგან ბაზარს გასცილდა და მსოფლიო ვაჭრობის (საექსპორტო) საგნად იქცა. ყველასათვის აშკარა შეიქნა ჩიხრიხის მეტისმეტი ჩამორჩენილობა.

1863 წ. ი. ხატისოვი აცხადებდა, რომ თესლისგან გაწმენდისას ჩიხრიხი აზიანებდა რა გრძელბოჭკოვანი ბამბის პროდუქტს, სწორედ ამით, თვით 50-იანი წლების მიწურულშიც აბრკოლებდა ამიერკავკასიაში ამერიკული და ეგვიპტური სორტის ბამბის გავრცელებას, ხოლო ბამბის გასაწმენდი სხვა ხელსაწყო მაშინ ამიერკავკასიაში უცნობი იყოო[4].

ნამდვილად კი ე. უიტნის მიერ 1792 წ. გამოგონილი Cotton-gin, რამაც მთელი გადატრიალება გამოიწვია ამერიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში, მსოფლიო მებამბეობასა და ტექსტილურ მრეწველობაში[5], ნიუ-იორკიდან ამიერკავკასიაში პირველად, 6 ცალის რაოდენობით, მოიტანეს 1846 წელს. ერთი წლის შემდეგ ვაშინგტონიდან კიდევ მოვიდა უფრო გაუმჯობესებული კოტონ-ჯინები, რითაც ყველას შეეძლო უსაზღაურად ესარგებლა.[6]

მართალია, ბამბის გაწმენდის გაუმჯობესება 40-იანი წლების დამდეგიდანვე დაიწყო, უიტნის ჯინები ჯერ კიდევ აქ ამავე ათეულის შუაში გაჩნდა, ხოლო 50-იან წლებში ის რამდენჯერმე გამოიწერა სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ (სმკს) და ადგილობრივმა უმაღლესმა ადმინისტრაციამ. მაგრამ ამ ღონისძიებებს. რამდენადმე მნიშვნელოვანი ეფექტი არ მოჰყოლია,[7] რაც უნდა ვიფიქროთ, იყო შედეგი იმისა. რომ: 1. აქ ღებულობდნენ ამ მანქანების უკვე მოძველებული კონსტრუქციის ეგზემპლარებს, თანაც ძლიერ მცირე

---

4 ЗКОСХ, 1863, № 1, стр. 9.

5 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „ტექნიკის მარქსისტული ისტორია", 1933, თბ., ნაკვ. 3—5, გვ. 65—70.

6 АСКАК. X, № 125. стр. 159.

7 П. Г у г у ш в и л и. «Сельское хозяйство и аграрные отношения», 1937. Тб., т. I. стр. 107—112.

რაოდენობით და რომ 2. ბამბაზე მოთხოვნილება აქ შედარებით მცირე იყო, რამდენადაც რუსეთის მანუფაქტურები ამიერკავკასიური („თავიანთი მშობლიური") ბამბის გამოყენების მხრივ ჯერ მხოლოდ მაყურებლების როლში გამოდიოდნენ.

ასე რომ თვით 60-იან წლებამდე ამიერკავკასიაში გაბატონებული იყო ძველებური, არქაული ჩიხრიხი. მებამბეობის რაიონებში, ზამთრობით, სოფლისმეურნეობრივი სამუშაოებიდან თავისუფალი დროის პერიოდში, ჩამოდიოდნენ მთიანი რაიონების მცხოვრებნი, რომელთაც ხშირად თან მოჰქონდათ ხელის ჩიხრიხი და მიმოდიოდნენ სოფლებში. სხვადასხვა ოჯახებში, როგორც ხელფასზე (საშოვარზე) გამსვლელი მუშები. მათ გასამრჯელო უპირატესად ნატურის, ბამბის სახით მიჰქონდათ, რასაც მთიულეთში მათი ქალები რთავდნენ და ნართს იყენებდნენ როგორც საფეიქრო მიზნით, ასევე ძაფის სახით.

კარდინალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰპოვა უიტნის მანქანამ ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში მე-19 საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისიდან. ახლა სმკს მიერ ნიუ-იორკიდან გამოწერილი[8] და ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში გაგზავნილი ბამბის საწმენდი მანქანა ერთბაშად იქნა ათვისებული და, ამგვარად, „მიუხედავად იმისა, რომ უიტნის მანქანა გლეჯს ბოჭკოს, რომ მისი დოლი („ბარაბანი") გარშემოვლებულია ღორის ჯაგრით, რომლის ხმარება დაუშვებელია მუჰამედის მართლმორწმუნე შვილთა ოჯახურ ყოფიერებაში, ეს მანქანები სწრაფად დაიყიდა და დაინერგა წარმოებაში. პლანტატორთათვის ბამბის ბოჭკოს სწრაფი გაწმენდა გადაიქცა აუცილებელ მოთხოვნილებად", რათა რაც შეიძლება მალე გაეტანათ ბაზარზე გასაყიდად ძვირფასი საქონელი—ბამბა.[9]

ასეთ ვითარებაში 50-იანი წლების ბოლოს სმკს მიერ ადგილობრივი ჩიხრიხის გაუმჯობესებისთვის გამოცხადებულმა

---

[8] საქ. სსრ ცსია. ფონდი 25 (Управл. гос. имущ. при Гл. упр. наместника кавказского), საქმე № 14-565, 1861 წ., ფურც. 1—46.

[9] П. Гугушвили, «Сельское хозяйство...», I, 110—111.

კონკურსმა ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება... კონკურსზე წარდგენილი იყო მხოლოდღა ერთი პროექტი, რომელიც კომისიამ დაიწუნა[10].

სწორედ ამ ხანებში აქ უკვე ყველასთვის ნათელი შეიქნა უიტნის გაუმჯობესებული Cotton-gin -ის უპირატესობანი, რასაც თხუთმეტიოდე წლის წინათ თვით ადმინისტრაცია მუქთად სთავაზობდა მოსახლეობას და, მიუხედავად ამისა, მაინც არ ვრცელდებოდა.

ახლა აქ უნდა აღინიშნოს, რომ ნედლი ბამბა (хлопок-сырец) სანამ ის ტექსტილური მრეწველობის ნედლეული გახდებოდეს გადის პირველად გადამუშავებას, რის შედეგადაც მიიღება:

1. თესლი, მთელი ნაყოფის დაახლოებით...	66,5 პროც.
2. ბოჭკო	31,0
3. ლინტერი	1,0
4. სხვადასხვა ნარჩენები	1.5

კოტონ-ჯინით ბოჭკოსგან გამოყოფილი თესლი კიდევ ინარჩუნებს ბამბის ბუსუსებს, რაც თესლს გაეცლება ლინტერმანქანაში გატარების გზით. თვით ამ ბუსუსებსაც ლინტერს (ანუ ლინტერისეულ ბოჭკოს) უწოდებენ. ეს ბუსუსები თესლის წონის 0,5—1,5 პროცენტამდე გამოდის. ლინტერისაგან აწარმოებენ უხეშ ნართს, ფეთქებად ნივთიერებებს.[11]

ამიერკავკასიაში ამ დროიდან ჯინების ფართოდ გავრცელების საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ 1867 წელს, მაგალითად, ერევნის გუბერნიაში ასზე მეტი ჯინი მუშაობდა.

---

[10] И. Иоселиани, назв. соч., стр. 69—70.

[11] В. Гофмейстер, «Использование семян хлопчатника в Средней Азии», 1914, СПБ; И. Иоффе, Л. Майзлин, «Экономика текстильной промышленности», 1959, М.; «Справочник по первичной обработке хлопка», 1959, М., стр. 209—263.

60-იანი წლების დასაწყისიდანვე ამიერკავკასიაში მებამბეობის სწრაფი აღმავლობის მიზეზი შეიქნა ის გარემოება, რომ სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეულმა ამერიკამ ევროპის ტექსტილურ მრეწველობას უკვე ვერ მიაწოდა ნედლეული—ბამბის ბოჭკო. ევროპისა და რუსეთის ბამბეულის ფაბრიკანტების აგენტები მოედვნენ აფრიკისა და აზიის ქვეყნების მებამბეობის რაიონებს. ბამბის ფასები საოცრად გაიზარდა. ამიერკავკასიაში 1 ფუთი ბამბის ფასი 3—5 მანეთიდან სულ მოკლე ხნის განმავლობაში ერთბაშად 10, 12, 16 და ბოლოს 20—23 მანეთამდე ავარდა, რამაც სოფელს, ქალაქს, ვაჭარს, გლეხს. სახელმწიფო მოხელეს. ყველას ძილი დაუკარგა და ბამბის ნათესების საოცარი სისწრაფით გაფართოება გამოიწვია. კაფავდნენ ვაზის, თუთის, ხეხილის ნარგავებს, ანთავისუფლებდნენ ყველა ვარგის მიწას,—„თეთრი დედოფლის" ტრიუმფი დაიწყო.

— ასე უხეში და საოცარი მუჯლუგუნებით შემოიჭრა მსოფლიო კაპიტალისტური მრეწველობისა და ბაზრის, საერთოდ ბურჟუაზიული მეწარმოების „სული და თაოსნობა" ამიერკავკასიაში, რათა მისი მთვლემარე მწარმოებლური ძალები რამდენადმე და ერთხნობით. ნახტომისებურად. აემოძრავებინა და მერმე ისევ მიეგდო იგი.

მართალია, ამერიკულმა ბამბამ მალე კვლავ დაიბრუნა თავისი მდგომარეობა ევროპის ბაზრებზე. რომლის აგენტებმა ამიერკავკასია მუისვე დასტოვეს და აქაურ ბამბას „ძაღლიც არ ჭამდა", მაგრამ 80-იან წლებიდან ახალ დიდ აღმავლობას მიაღწია ბამბეულის მსოფლიო და კერძოდ რუსეთის მრეწველობამ, რამაც შესაბამისად კვლავ გაზარდა მოთხოვნილება აქაურ ნედლეულზე.

ამიერკავკასიაში კოტონ-ჯინების გავრცელებას, ამიერიდან ხელს უწყობდნენ ბამბეულის მრეწველობის რუსეთის ფირმები, როგორიც იყვნენ მოროზოვის, ალექსეევის, კორზინკინისა და სხვ. მანუფაქტურები. რომელთა ბამბის შემსყიდველი აგენტები ამ დროიდან უკვე საფუძვლიანად მოკალათდნენ ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში.

ბამბის საწმენდ მანქანებს ხსენებული ფირმების აგენტები იჯარის საფუძველზე აძლევდნენ თვით მებამბეებსაც, რომლებიც საფასურს იხდიდნენ ფულით ან ნატურით; უკანასკნელ შემთხვევაში ისინი კისრულობდნენ, რათა გაწმენდილი ბოჭკო მაზანდის (ბაზრის) ფასებზე მიეყიდათ მანქანის მფლობელისთვის, რომელიც ჩვეულებრივად ბამბის შემსყიდველი იყო. ამგვარად, მებამბისთვის ბოჭკოს საწმენდი მანქანის მიქირავება (იჯარით გადაცემა), არსებითად მისი დაკაბალების იარაღსაც წარმოადგენდა.

შეძლებული გლეხები. კულაკები, მემამულეები, ცხადია, თვითონაც ყიდულობდნენ ბამბის საწმენდ მანქანებს. მაგრამ მანქანის ასეთი მფლობელი ხშირად ეწეოდა არა მხოლოდ საკუთარი ბამბის, არამედ წვრილმწარმოებელი მეზობლების მოსავლის გადამუშავებასაც და საფასურს ჩვეულებრივ გაწმენდილი ბოჭკოს სახით ღებულობდა,—გაწმენდილი ბამბის 2—5 პროცენტს. თესლი კი მთლიანად მას რჩებოდა. ხოლო ამ სახით მის ხელში თავს იყრიდა ბამბის თესლის შედარებით დიდი რაოდენობა, ძვირფასი ნედლეული. რაც მისი ტექნიკური გადამუშავების აუცილებლობისა და სარფიანობის შესახებ უკვე თავისთავად მეტყველებდა.

ბამბის მექანიკური საწმენდი მანქანების დანერგვა-გავრცელებამ, გასაგებია, გააუმჯობესა არა მხოლოდ გაწმენდილი ბოჭკოს ხარისხი, არამედ, ამასთანავე დიდად აამაღლა შრომის მწარმოებლურობა და ამ გზით გააძლიერა უცხოურის წინაშე ადგილობრივ წარმოებული ბამბის კონკურენტუნარიანობა.[12]

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუაში ცხენის ან წყლის ძალით მოძრაობაში მოყვანილი მექანიკური მანქანა („საუ-ჯინი") დღე-ღამის განმავლობაში ასწრებდა 45 — 60 ფუთი ბამბის გაწმენდას[13].

არქაული ჩიხრიხით კი ამდენსავე დროის განმავლობაში ფრიად მძიმე და ქანცგამწყვეტი შრომით მხოლოდ 1—1,5 ფუ-

---

[12] ТКОСХ, 1888, № 9—12, стр. 620—621.
[13] МИЭБГКЭК, III, 1, 115.

თი ბამბის გაწმენდა შეიძლებოდა[14]. ამგვარად, „ჯინის“ მწარმოებლურობა 40-ჯერ მეტი იყო. რაც მისი უდიდესი უპირატესობის შესახებ მეტყველებდა.

ამასთანავე ორიოდე წლის შემდეგ ამიერკავკასიაში ყველაზე საუკეთესოდ მიჩნეული Daniel Pratt -ის ჯინებით დღე-ღამეში 60—100 ფუთ ბამბის გაწმენდას ასწრებდნენ. აქ შემოჰქონდათ უმეტესად 60, 35 და 10 ხერხიანი ჯინები. 80-იან წლებში ამ მანქანებს უკვე რუსეთშიც აკეთებდნენ და ისინი ამიერკავკასიაში სულ უფრო სწრაფადაც ვრცელდებიან. 1886 წ. ა. ხან-აგოვი წერდა, რომ „სურმალოს მაზრის ყველა სოფელში, სადაც ბამბა მოყავთ, მოიპოვება 2—3 კოტონ-ჯინი, რაც მოძრაობაში მოყავთ წყლის თვლით ან ცხენითო“[15].

ასეთ პირობებში, ცხადია, ჯინებმა უკვე მალე შესძლეს ჩიხრიხების გამოდევნა. 80-იანი წლების ბოლოსთვის ამიერკავკასიის სოფლებში გასაყიდი გრძელბოჭკოიანი ბამბა, როგორც წესი, უკვე ჯინით იწმინდებოდა, ხოლო 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სავაჭრო მებამბეობის რაიონებში ჩიხრიხი უკვე სავსებით გაქრა.[16]

1891 წელს ამიერკავკასიაში ბამბის პლანტაციების მდგომარეობის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ხელის ხის ჩიხრიხი, რაც დიდხანს აფერხებდა აქ მებამბეობის გავრცელებას. „ერევნის გუბერნიაში უკვე სავსებით გაქრა და მისი ადგილი ყველგან დაიჭირა ამერიკულმა კოტონ-ჯინმა“.[17].

ეს პროცესი არა მხოლოდ უბრალო ტექნიკური პროგრესის, არამედ, ამასთანავე სავაჭრო მიწათმოქმედების განვითა-

---

[14] ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად ხელის ჩიხრიხის 10 საათის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობით მიიღებოდა 20 გირვ. გაწმენდილი ბამბის ბოჭკო (საქ. სსრ ცსია, ფონდი 243. საქმე № 113, ფურც. 2).

[15] МИЭБГКЗК, III. I, 115.

[16] «Сборник стат. данных о землевлад. и способах хозяйства Закавказского края», 1899, стр. 65.

[17] საქ. სსრ ცსია, ფონდი 143, საქმე № 113, ფურც. 62.

რების დონისა და მსხვილი წარმოების აშკარა უპირატესობათა მანიშნებელი მოვლენა იყო.

პატარა Cotton-gin-ები 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანის დასაწყისს თბილისში, აუფერმანის მაღაზიაში, იყიდებოდა, ცალი 300 მანეთად. სწორედ ამ პატარა ჯინის მწარმოებლურობა 60 ფუთ ბამბას აღემატებოდა. 90-იანი წლების დასაწყისიდან ა. კორზინკინის ცნობილმა რუსულმა ფირმამ «Большая ярославская мануфактура» — ქ. ერევანს დაიწყო კიდევ უფრო პატარა, უკვე რუსეთში გაკეთებული ჯინების გაყიდვა.[18] ეს ჯინი 75 მანეთი ფასობდა; იგი 2 კაცის მუშაობით 10 საათში 3—4 ფუთ წმინდა ბოჭკოს იძლეოდა, რაც „ყოველშემთხვევაში 8—10-ჯერ მეტია, ვინემ ის რასაც ქუთაისში იძლევა ბამბის საწმენდი ადგილობრივი ხელით სამუშავებელი ხის მანქანა—ჩიხრიხი, რომელიც ასევე ორი კაცის მუშაობით, ერთ დღეში იძლევა არა უმეტეს 15—20 გირვანქისა და რაც კიდევ უარესია—ყოველთვის აფუჭებს ბოჭკოსო"—წერდა სმკს სპეციალისტი-კორესპონდენტი.[19]

Cotton-gin-ი თავის მფლობელს (იქნებოდა ის შემსყიდველი, კომისიონერი, თუ მებამბე უშუალომწარმოებელი) ერთგვარ მონოპოლიურ მდგომარეობას უქმნიდა, რამდენადაც ამ მანქანის ფასი იმდენად დიდი იყო, რომ წვრილმწარმოებელს, ცხადია, მისი შეძენა არ შეეძლო, რათა თავისი ბამბა თვითონვე გაეწმინდა თესლისაგან. გაუწმენდავ ბამბას კი მხოლოდ ჯინის მფლობელი შემსყიდველი თუ შეიძენდა; შემსყიდველს მიჰქონდა ბოჭკოს 1/20—1/60 ნაწილი გაწმენდისათვის, ხოლო მთელ დანარჩენს ის შეისყიდდა, არსებითად მის მიერ ნაკარნახევ „ბაზრის ფასებზე".

ნ. ტარატინოვის გამოანგარიშებით, 80-იანი წლების ბოლოს, ჯინი, გარდა იმისა, რომ მოცემულ თემში თავის მფლობელს მონოპოლიურ მდგომარეობას უქმნიდა, ერთ თვეში ფარავდა თავის ღირებულებას, და, ამგვარად, უაღრესად მომგე-

---

[18] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 25, ფურც. 153—155.

[19] ТКОСХ, 1891, № 7—8, стр. 307.

ბიანი სარეწავის საფუძველს წარმოადგენდა.[20] ამ დროს ერევნისა და ეჩმიაძინის მაზრებში სულ 130 ჯინი მუშაობდა. ბამბის საწყობს, სადაც ჯინი მუშაობდა, ჩვეულებრივ ბამბის საწმენდ ქარხანას ეძახდნენ.

რ. არუთინოვის მიერ მოპოვებული ცნობის მიხედვით, ერევნის გუბერნიის შარურ-დარალაგიოზის მაზრაში 1893 წელს ითვლებოდა 18 ბამბის საწმენდი ქარხანა, რომელთა საერთო პროდუქცია შეადგენდა 6 045 ფუთ ბამბას, რისი ღირებულება 36 ათას მან. აღემატებოდა (1 ფ. 6 მან. ანგარიშით). თითოეულ ასეთ „ქარხანაში" 1 ცალი ჯინი იდგა, რაც მოძრაობაში მოჰყავდა 2 ცხენისძალიან წყლის თვალს. „ქარხანაში" 1—2 კაცი მუშაობდა; 18 ქარხანაში სულ—25 კაცი. ჯინზე მომუშავის ხელფასი თვეში საშუალოდ 4—5 მანეთს შეადგენდა[21].

საერთოდ ამიერკავკასიაში ასეთი „ქარხნების" დიდი ნაწილი ბამბის შემსყიდველ-კომისიონერთა საკუთრებას წარმოადგენდა.[22] კოტონ-ჯინი, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავდათ, მაგალითად, ნავთის ძრავით, თავისი აწყობილი მუშაობისთვის მოითხოვდა შესაფერის შენობას. მემანქანეს, რამდენსამე მუშას და სხვ., რაც ამ ბამბის წმენდას, ასე თუ ისე, ქარხნული წარმოების ხასიათს აძლევდა და ეს ტენდენცია სულ უფრო ვითარდებოდა, განსაკუთრებით მე-20 ს. დამდეგიდან მოყოლებული.

ამასთანავე პატარა კოტონ-ჯინები, რაც მოძრაობაში მოჰყავდათ, მაგალითად. ცხენის ძალით. არ საჭიროებდა სპეციალურ შენობას. კიდევ მეტი. საჭიროების შემთხვევაში იგი გადაქონდათ ადგილიდან ადგილზე. ასეთი საწარმო უფრო შინამრეწველური სარეწავის ტიპს წარმოადგენდა.[23]

---

[20] Н. Таратынов, «Очерк хлопководства в Закавказье», 1889. Тифлис, стр. 38—44.

[21] Р. Арутюнов, «Развитие хлопководства в Армении после ее присоединения к России», 1954. стр. 85—86.

[22] П. Петрович, «Хлопководство в Закавказье», 1912, стр. 120—121.

[23] С. Тимофеев, «Статистика хлопководства в Закавказском крае за 1909—1911 гг.», 1912, стр. 30—33.

ს. ტიმოფეევის მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით 1912 წ. ბოლოს ერევნის გუბერნიაში ირიცხებოდა სულ 328 ბამბის საწმენდი ქარხანა[24]. „ამათგან დაახლოებით მხოლოდ 50 ქარხანაა ასე თუ ისე კარგად გაწყობილი, რომლებიც სეზონის განმავლობაში აწარმოებენ არა ნაკლებ 1500—2 000 ფუთ წმინდა ბოჭკოს“[25]. ამათ უმრავლესობას ჰქონდა ნავთმოტორისა და ორთქლის ძრავა, ხოლო ორიოდეს (მაგალითად, ეჩმიაძინის მაზრაში, მონასტრისას)—ელექტრომოტორი.

ერევნის გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით ამ გუბერნიის 328 ბამბის საწმენდ ქარხანაში ითვლებოდა ძრავები:

მაზრები	ნავთ-მოტორის	ორთქლის	წყლის	ცხენის	სულ
ერევნის	10	12	51	—	73
ეჩმიაძინის	21	20	27	10	78
სურმალოს	57	—	14	13	84
შ.-დარალაგიოზის	14	—	35	—	49
ნახჭევანის	6	11	26	1	44
სულ	108	43	155	24	328

ამგვარად, თუ 80-იან წლებში ჯინები მოძრაობაში მოჰყავთ უპირატესად ცხენისა და წყლის ძალით, 90-იან წლებში—წყლისა და ცხენის ძალით, კიდევ ათიოდე წლის შემდეგ, მე-20 ს. მეორე ათეული წლის დასაწყისში უკვე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს შიგაწვისა და ორთქლის ძრავებმა, რაც დიდ ტექნიკურ პროგრესს მოასწავებდა.

---

[24] ნ. ტარატინოვის ცნობით 1912 წლის ბოლოს ერევნის გუბერნიაში მუშაობდა სულ 355 ბამბასაწმენდი ქარხანა (Н. Таратынов, «Современ. положение хлопководства в Закавказском крае», 1912, Тифлис, стр. 15).

[25] С. Тимофеев, «Статистика хлопководства в Закавказском крае за 1912», 1914, Т., стр. 4.

ხსენებული, შედარებით „დიდი ქარხნები“ თავმოყრილი იყვნენ ერევნის მაზრის ათიოდე სოფელში, აგრეთვე ეჩმიაძინის (3 სოფელში), სურმალოს (7 სოფ.), შარურ-დარალაგიოზის (4 სოფ.), ნახჭევანის (3 სოფ.) მაზრებსა და ქ. ორდუბადში, მათგან სულ 12 „ქარხანაში“ იდგა ორ-ორი ჯინი, ყველა დანარჩენში—თითო.

ხსენებულ 328 „ქარხანაში“ ჯინების უდიდესი უმრავლესობა 25 ხერხიანი იყო, საკმაოდ ბევრი იყო 60 ხერხიანი ჯინი, რამდენიმე—80-იანი და მხოლოდ ორი—100 ხერხიანი. ორივე ეს ჯინი იდგა ერევნის მაზრის ს. ნავრუზლუში—ს. სიმონიანცის ქარხანაში, მოძრაობაში მოჰყავდათ ორთქლის ძალით და დღე-ღამეში ასწრებდა 1 200. ხოლო სეზონის განმავლობაში—20 000 ფუთი ბამბის გადამუშავებას.

ს. სიმონიანცის ქარხანა ყველაზე დიდი ბამბასაწმენდი საწარმო იყო ერევნის გუბერნიაში. აქ მუშაობდა აგრეთვე ერთი ლინტერი—80 ხერხიანი და ერთი ორთქლის წნეხი. ერევნის გუბერნიაში სულ იყო თერთმეტი წნეხი (მ. შ. ორი ორთქლისა და 3—ჰიდრავლური, დანარჩენი—ხრახნიანი. ხელისა) და 6 ლინტერი, რომელთაგან 106 ხერხიანი იყო ხუთი.[26]

ელისავეტპოლის გუბერნიაში 1900 წ. იყო 15, ხოლო 1912 წ. ითვლებოდა სულ 28 ბამბასაწმენდი ქარხანა, რომელთაგან მოდიოდა ელისავეტპოლის მაზრაზე—8, არეშის მ.—10, ჯევანშირის მ.—7. შუშის მაზრაზე—3[27]. მათი უმრავლესობა თვით ქ. ელისავეტპოლს (6) და დაბა აღდაშს (7), რკ. გზ. სადგურ ლიაქსა და სოფ. ბარდას იყო თავმოყრილი.[28]

აღდაში ელისავეტპოლის გუბერნიის მებამბეობის ცენტრს წარმოადგენდა. მაგრამ, ამ მხრივ. მისი მნიშვნელობა რამდენადმე უფრო დიდიც იყო. აღდაშს ზოგიერთები აზერბაიჯანისა და საერთოდ ამიერკავკასიური მებამბეობის ერთ-ერთ უმნი-

---

[26] იქვე, გვ. 66—85.

[27] იქვე, გვ. 12—13.

[28] И. Сегаль, «Сборник свед. о Елисавет. губ.», 1902. I. 124—125.

შვნელოვანეს პუნქტად თვლიდნენ, სწორედ ამიტომ იყო, რომ 1904 წელს მებამბეების ყრილობა მოიწვიეს სწორედ ალდაშში.

ამ ხანებში ელისავეტპოლის გუბერნიამ ბამბის საერთო მოსავლის მხრივ შესამჩნევად გადააჭარბა ერევნისას, სადაც 1912 წელს, როგორც დავინახეთ, ათჯერზე უფრო მეტი, სახელდობრ 328 ბამბასაწმენდი ქარხანა მუშაობდა. საქმე ისაა, რომ ერევნის გუბერნიის ხსენებული რაოდენობის ქარხნებიდან მხოლოდ თორმეტში იდგა ორ-ორი ჯინი, ყველა დანარჩენში—თითო და, ამგვარად, სულ ითვლებოდა 340 ჯინი, თანაც მათი უდიდესი უმრავლესობა იყო 25 და 60 ხერხიანი.

რაც შეეხება ელისავეტპოლის გუბერნიის ბამბასაწმენდ ქარხნებს. აქ თითოეულში იდგა 2—3 ჯინი და იყო ისეთი ქარხნებიც, სადაც 4 და 6 ჯინი იდგა. თანაც აქ თითქმის ყველა ჯინი 60—80 ხერხიანი იყო და არც ერთი 25 ხერხიანი. ამასთანავე, თუ ერევნის გუბერნიაში ჯინების დიდი რაოდენობა მოძრაობაში მოჰყავდათ წყლის ძალით, ელისავეტპოლის გუბერნიის ბამბასაწმენდი ქარხნებიდან მხოლოდ ერთში მუშაობდა წყლის თვალი, ყველა დანარჩენში—შიგაწვის ძრავა იდგა, ხოლო 7 ქარხანაში ორ-ორი ძრავა მუშაობდა.

სწორედ ამგვარ ტექნიკურ უპირატესობათა და თვით ქარხნების სიდიდის გამო იყო, რომ ელისავეტპოლის გუბერნიის ბამბასაწმენდი 28 ქარხანა, უფრო მეტი მწარმოებლურობის მეოხებით, სეზონის განმავლობაში თავისუფლად ასწრებდა შესამჩნევად მეტი ბამბის გადამუშავებას, ვინემ ერევნის გუბერნიის 328 ქარხანა.

ამგვარად, მებამბეობის ძველ რაიონში ამიერიდან ძველი ტექნიკაც აბრკოლებდა წარმოების უფრო მომგებიან რელსებზე გადაყვანის საქმეს.

ელისავეტპოლის გუბერნიის ყველა ბამბასაწმენდ ქარხანაში, გარდა ორისა, მუშაობდა უახლესი კონსტრუქციის ლინტერმანქანა. ზოგ ქარხანაში—ორ-ორი, სულ კი—32 (ერევნის გუბერნიაში სულ—6), თითქმის ყველა 106 ხერხიანი, ელისავეტპოლის გუბერნიის ქარხნებში მუშაობდა 28 წნეხი (ერევნის გუბ.—11).

ელისავეტპოლის გუბერნიაში 1913 წ. გაიხსნა ერთი ახალი ბამბასაწმენდი ქარხანა[29] და 1914 წელს კიდევ ერთი[30].

ბაქოს გუბერნიაში 1912 წელს აღრიცხული იყო 17 მოქმედი და გაჩერებული ბამბასაწმენდი ქარხანა. მათგან 12 იყო ჯევათის მაზრის 7 სოფელში, ხოლო 10 გეოქჩაის მაზრის რკინიგზის 5 სადგურში.

ბაქოს გუბერნია ამ დროს (1911, 1912) ამიერკავკასიაში მესამე ადგილზე იდგა ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიების შემდეგ და აწარმოებდა 290—300 ათას ფუთ ბამბას, ე. ი. ელისავეტპოლის გუბერნიის შესაბამისი მაჩვენებლის დაახლოებით 40 პროცენტს.

ბაქოს გუბერნიაში მოქმედ ბამბასაწმენდ ქარხნებიდან ზოგიერთი მაინც, მაგალითად. ვოგაუსა და კომპ. (ჯევათის მაზრის ს. პეტროპავლოვკაში). აგრეთვე ძმ. თუმანიანცისა სალიანში, შესანიშნავად იყვნენ გაწყობილი—პნევმატური სისტემით, ელევატორით, ელექტრონის განათებით. კერძოდ ყველაფზე მსხვილი ქარხნის (ვოგაუსა და კომპ.) სადღეღამისო მწარმოებლურობა 5 000 ფუთს აღწევდა. აქ მუშაობდა 4 ჯინი—თითოეული 80 ხერხიანი. კომპაუნდის 150 ძალიანი ორთქლის მანქანა, 3 ლინტერმანქანა—თვითეული—106 ხერხიანი და ჰიდრავლური წნეხი.

ნედლი ბამბის კოტონ-ჯინებისთვის მიწოდება და ბოჭკოს ჰიდრავლურ წნეხზე გადაცემა ხდებოდა პნევმატური სისტემით (მილებით), თესლის ლინტერმანქანებისთვის მიწოდება ელევატორისა და უსასრულო ხრახნის მეშვეობით ხდებოდა. ქარხანა სეზონის განმავლობაში ასწრებდა 200 000 ფუთი ნედლი ბამბის გადამუშავებას. ამ დროს მწყობრში იდგა ქარხნის მხოლოდ პირველი რიგი და სრული დატვირთვით მას შეეძლო გადაემუშავებინა 600 000 ფ. ბამბა; ხოლო მთლიანად

---

[29] С. Тимофеев. «Статистика хлопководства... за 1913 г.», стр. 11.

[30] С. Тимофеев. «Статистика... за 1914 г.», стр. 10.

ამუშავების შემდეგ კი ქარხანა ორჯერ მეტი მწარმოებლურობისა იქნებოდა.

შედარებით პატარა. მაგრამ კარგად გაწყობილი ბამბასაწმენდი ქარხნები იყო აგრეთვე სამედოვების სავაჭრო სახლისა და ისკანდეროვისა (ჯევათის მაზრაში).

ბაქოს გუბერნიაში 1913 წელს გაიხსნა ერთი ახალი ბამბასაწმენდი ქარხანა—მირ-ქალიბ აბდულაევისა, თითოეული 80 ხერხიანი 4 ჯინით, თითოეული 106 ხერხიანი 3 ლინტერმანქანითა და მექანიკური წნეხით.[31] 1914 წლის ბოლოს ვოგაუსა და კომპ. ქარხანა შეისყიდა აქამდე კეთილმოუწყობელი ქარხნის პატრონმა ბ. არზუმანოვმა, „რითაც ჩამოცილებულ იქნა ერთ-ერთი კონკურენტი, რომელიც იწვევდა ადგილობრივად ფასების აწევას ნედლს ბამბაზე".[32]

სწორედ ამგვარ ტექნიკურ გაუმჯობესებათა მეოხებითაც მე-20 ს. მეორე ათეულის პირველსავე წლებში აზერბაიჯანულმა მებამბეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, რაც იმით აღინიშნა, რომ დაიწყო ერთგვაროვანი ბამბის დიდი პარტიების მიწოდება. 1910—1912 წლებში მოსკოვის ბირჟაზე მუღანურმა ბამბამ გააჩაღა ბრძოლა საკუთარი მარკის მოპოვებისათვის და ხშირად იგი ფერგანული ბამბის დონეზე ფასობდა.[33]

თბილისის გუბერნიის მებამბეობის რაიონებში—თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში 1912—1914 წწ. სეზონში მუშაობდა 8—9 ბამბასაწმენდი ქარხანა. მათგან ყველაზე დიდი იყო „ამხანაგობა ზლატოგორსკისა", ქ. თბილისში. აქ მუშაობდა 1 შიგაწვის ძრავა, რასაც მოძრაობაში მოჰყავდა 2 კოტონ-ჯინი თითოეული 80 ხერხიანი, 1 ლინტერი—106 ხერხიანი. ქარხანა-

---

31 С. Тимофеев. «Статистика... за 1913 г.», стр. 17.
32 С. Тимофеев, «Статистика... за 1913 г.», стр. 14.
33 С. Тимофеев. «Статистика... за 1914 г.», стр. 20.

ში იდგა 1 ჰიდრავლური პრესი. სეზონის განმავლობაში აქ თესლისაგან იწმინდებოდა 75 000 ფუთი ნედლი ბამბა.[34]

ქუთაისის გუბერნიაში მებამბეობა ამ დროს რამდენადმე მნიშვნელოვან ხასიათს ატარებდა მხოლოდ ქუთაისის მაზრაში. 1912—1914 წწ. სეზონში აქ მუშაობდა სულ 7 ბამბასაწმენდი ქარხანა: ქუთაისს—2. სამტრედიას—3 და თითო ქარხანა ხონსა და დიდ-ჯიხაიშში. ყველაზე მსხვილი იყო გოკიელების (ქუთაისში) ქარხანა, სადაც 4 ჯინი მუშაობდა. ამათ გარდა 25 ხერხიანი ერთი ხელის ჯინი მუშაობდა ქუთაისის საცდელ მინდორში და კიდევ 7 ასეთივე ჯინი ქუთაისს, სამტრედიასა და ხონში.[35]

მოყვანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ თვით პირველი მსოფლიო ომისწინა წლებშიც ბამბის საწმედ „ქარხანათა" დიდი უმრავლესობა წარმოადგენდა წვრილ შინამრეწველურ საწარმოს მაშინაც კი, როდესაც აქ ჯინი მოძრაობაში მოჰყავდა შიგაწვის ძრავას. ასეთ „ქარხნებში", როგორც წესი, 1—2 და 2—3 კაცი მუშაობდა. სამუშაო სეზონური იყო, ხელფასი ძლიერ მცირე. ყველაზე დიდ საწარმოშიც მხოლოდ 1 ოსტატი მუშაობდა, სხვები შავ მუშებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ფრიად მძიმე, ანტიჰიგიენურ პირობებში მუშაობდნენ.

* * *

ჯინით გაწმენდილი ბამბის ბოჭკო შემდეგ იპრესებოდა, რათა იგი გადატანა-გადაზიდვაში პორტატული და. მაშასადამე, უფრო ტრანსპორტაბელური ყოფილიყო.

საერთოდ ბამბის მსოფლიო ბაზარი მოითხოვდა, რათა საქონელი გარკვეული სტანდარტისა და ნომენკლატურის მიხედვით ყოფილიყო დასორტებული და შეფუთული. ეს მოთხოვნა. ცხადია, თვით ბამბეულის მრეწველობის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. სხვადასხვა სორტის—გრძელბოჭკოვანი თუ

---

34 ЭТЭ. I, стр. 151—152.

35 С. Тимофеев. «Статистика... за 1912 г.». стр. 25, 30—31; — за 1913 г., стр. 23, 27; — за 1914 г., стр. 20.

მოკლებოჭკოვანი—ბამბა სხვადასხვაგვარი წარმოებრივი დანიშნულებისა იყო და, ამ მხრივ, კლასიფიკაციის შესაბამისად, ტექსტილური მრეწველობის ფირმები გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდნენ ბამბის ბოჭკოს. როგორც ნედლეულს[36].

ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში ბამბის ბოჭკოს დასორტებისა და შეფუთვის საქმე მე-19 ს. თვით 80-იან წლებშიც შედარებით დაბალ დონეზე იდგა და ამ ვითარებას განაპირობებდა ქორვაჭართა, მევახშე-შემსყიდველთა გაუმაძღრობა. ისინი სრულებით არ იყვნენ დაინტერესებული ეზრუნათ ადგილობრივი ბამბის რეპუტაციისათვის.

ეს შემსყიდველები უმთავრესად, ცხადია, წვრილმწარმოებელთაგან შესყიდულ სხვადასხვა სორტის ბამბას ერთმანეთში ურევდნენ და ბარდანებში ჩაყრილს აგზავნიდნენ საგუბერნიო ცენტრებში—ქუთაისს, თბილისს, ერევანს,—სადაც მას ხრახნის წნეხის დახმარებით ნაკრაულებად ფუთავდნენ და ამ სახით, ე. ი. დასორტვის გარეშე, აგზავნიდნენ რუსეთის ცენტრალური გუბერნიებისა და უცხოეთის ბაზრების (ბირჟების), ანდა პირდაპირ ბამბეულის ფაბრიკების მისამართით.

გასაგებია. ასეთ ვითარებას არ შეეძლო უარყოფითად არ ემოქმედა ამიერკავკასიური ბამბის ფასებზე და საბოლოოდ თვით მებამბეობის განვითარებაზე.

ამიერკავკასიაში, პირველად, როგორც ჩანს, ქ. ერევანში ბამბის დასორტვა დაიწყო ფირმამ— «Большая ярославская мануфактура». ეს ფირმა მხოლოდ ჯეროვნად დასორტვის შემდეგ იწყებდა გასაგზავნი ბოჭკოს დაწნეხვა-შეფუთვას. ბამბის ბოჭკოს დასაწნეხად იმავე და ალექსეევის ფირმამ პირველად 1887 წელს ერევანში დადგეს ჰიდრავლური წნეხი. შემდეგ ასეთივე წნეხი აქ დადგა პოზნანსკის ფირმამაც.[37]

ჰიდრავლური წნეხი, მანამდე გაბატონებული ხელის ხრახნიან წნეხთან შედარებით, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას

---

[36] «Справочник по первичной обработке хлопка», 1959, М., стр. 176—331.

[37] საქ. სსრ ცსია, ფონდი 125, საქმე № 2, ფურც. 1—17.

წარმოადგენდა იმ მხრივ, რომ მან დაახლოებით 20 პროცენტით შეამცირა შორეულ პუნქტებში გადასაზიდი ბამბის ბოჭკოს ფიზიკური მოცულობა. თუ ხელის ხრახნიანი წნეხით შეფუთული ნაკრაულის 1 კუბიკურ ფუტში თავსდებოდა დაახლოებით 22 გირვანქა ბამბა, ამიერიდან, ჰიდრავლური წნეხის მეოხებით, ეტეოდა დაახლოებით 26—27 გირვანქა. ამგვარად, ჰიდრავლური წნეხის და შემდეგ, მე-20 ს. პირველი ათეული წლიდან, აგრეთვე ორთქლის წნეხის გამოყენებამ მნიშვნელოვნად დასწია ბამბის ბოჭკოს შეფუთვისა და ტრანსპორტის ხარჯები; ხოლო ბამბის დასორტვის წესების გატარებამ კიდევ ხელი შეუწყო აქაური პროდუქციის მარკისა (სახელისა) და ფასების რამდენადმე მაინც მოწესრიგებას.[38]

* * *

საერთოდ ამიერკავკასიაში ბამბასაწმენდი ქარხნები ფრიად დაქსაქსულად იყო გაადგილებული, რასაც აპირობებდა თვით მებამბეობის რაიონების დაქსაქსულობა და სამიმოსვლო გზების უვარგისობა, რაც ზოგჯერ პირდაპირ შეუძლებელს ხდიდა ნედლი ბამბის რამდენადმე შორეულ, მაგრამ კარგად მოწყობილ ბამბასაწმენდ ქარხანაში მიტანას.

მართალია, ამ ქარხნების დიდი ნაწილი რკინიგზების გასწვრივ იყო გაადგილებული, მაგრამ თვით რკინიგზებზე მისასვლელი სასოფლო გზები ფრიად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო საკუთრად მებამბეობის რაიონები, მაგალითად, ერევნის გუბერნიაში, გადაჭიმული იყო მდ. არეზის ჭალებში, თვით ორდუბათამდე და. ამგვარად, მნიშვნელოვანი მანძილით იყო დაშორებული რკინიგზას. მებამბეს, განსაკუთრებით წვრილმწარმოებელს, ძნელად შეეძლო თავისი პროდუქტი რამდენადმე დაშორებულ ბამბასაწმენდ ქარხანაში წაეღო და იგი იძულებული ხდებოდა მთლიანად ხელში ჩავარდ-

---

38 ЭТЗ, I, стр. 159—164.

ნოდა ადგილობრივ მექარხნეს, რომელიც უმრავლეს შეძთხვევაში მევახშე-შემსყიდველიც იყო.

ამასთანავე ამ ქარხნების უდიდესი უმრავლესობა იყო წვრილი, უფრო ხშირად შინამრეწველური ხასიათისა და, მაშასადამე, ტექნიკური გაწყობილობის მხრივ ჩამორჩენილი საწარმო. ამ გარემოებას, ცხადია, არ შეეძლო უარყოფითად არ ემოქმედა ამიერკავკასიურ მებამბეობაზე, მისი სტანდარტის დადგენის, ერთგვაროვნობის გამომუშავებასა და საერთოდ გაუმჯობესების თვალსაზრისით.

განვითარების გზაზე შემდგარ ამიერკავკასიურ მებამბეობას,—ისე როგორც მთელ სახალხო მეურნეობას,—მძიმე განსაცდელი მოევლინა პირველი მსოფლიო ომისა და მერმე სამოქალაქო ომის სახით. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო აქ მებამბეობის სწრაფი აღმავლობა და ამასთანავე ერთად ბამბის პირველადმა გადამუშავებამ ნამდვილად ქარხნული, მსხვილი წარმოების ხასიათი მიიღო, მაგრამ ეს უკვე სოციალისტური წარმოების უპირატესობათა მონაპოვარი იყო.

2. შემსყიდველი

უკვე მე-19 ს. 60-იანი წლებიდან მოყოლებული როგორც მოსკოველი, ასევე ინგლისელი ფაბრიკანტების მიერ არაერთგზის ყოფილა აღნიშნული, რომ ამიერკავკასიური „ბამბა ხარისხობრივად არაფრით არ ჩამორჩება ამერიკულს". თუმცა, ამავე დროს, აქაური ბამბის რეპუტაცია, მაგალითად, მოსკოვის ბაზარზე, არასახარბიელო იყო, რის გამოც მოსკოვში 1 ფუთი ამერიკული ბამბის ფასები, ჩვეულებრივ, კავკასიურზე 1 მანეთითა და მეტადაც უფრო მაღალი იყო. ამასთანავე მრავალი მექარხნე აშკარა უპირატესობას აძლევდა ამერიკულ პროდუქტს.

სპეციალისტები ამ გარემოებას უწინარეს ყოვლისა იმით ხსნიდნენ, რომ ამერიკული ბამბა ყოველთვის უფრო სუფთა და ნაკლებად დანაგვიანებული იყო, მასში არ ერია ისე ბევრი

ქვიშა, ფოთლები და ხოკერის ნამტვრევები. როგორც ამიერკავ-კასიურში. არ ახსოვთ შემთხვევა, რომ ამერიკული ბამბის ნაკრაულში ენახათ ქვები, რაც „ხშირად, ზოგჯერ მსხვილი. რამდენსამე გირვანქის წონისა, უპოვნიათ ჩვენებური ბამბის ნაკრაულებში"[1].

ამიერკავკასიური ბამბის შემოსავლიანობისა და. მაშასადამე. რეალიზაციის ხელსაყრელობის სასარგებლოდ, მაგალითად. მე-19 ს. 80-იანი წლების მონაცემთა გაანგარიშებით, ლაპარაკობდა ის ფაქტი, რომ ა. შ. შტატებში ბამბის პლანტაციის მუშის ხელფასი საკვების ჩათვლით. თვეში, ოქროს კურსით, აღემატებოდა 30 მანეთს. ხოლო ჩვენი მებამბეობის ცენტრში. ერევნის გუბერნიაში. ეს ხელფასი ორჯერ მაინც უფრო დაბალი იყო. ამავე დროს ბამბა რუსეთის ბაზრებში შესამჩნევად უფრო ძვირი იყო, ვინემ ამერიკაში, საიდანაც რუსეთი მაშინ ღებულობდა მთელი მოხმარებული ბაეების დაახლოებით ცხრამეათედს.

ამასთანავე ამიერკავკასიაში ბამბის პლანტაციების წმინდა შემოსავალი 80-იანი წლების შუაში (40—60 მან.) ორჯერ მაინც აღემატებოდა ხორბლისა (25—30 მ.) და სიმინდის (20—23 მ.) ყანის წმინდა შემოსავალს. რაც შეეხება. მაგალითად. ამ მარცვლეულებზე უფრო შემოსავლიან ბრინჯის ნათესებს. მისთვის საჭირო იყო ბეკრად მეტი სარწყავი წყალი, ხოლო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში უწყლოდ მიწა არაფრად არ ღირდა. და. სარწყავი წყლის საყოველთაო ნაკლებობის პირობებში, მორწყვის ორგანიზაცია ყოველთვის მნიშვნელოვან მატერიალურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

ასეთ პირობებში საოცარია. წერდა ნ. ტარატინოვი 1887 წელს, როგორ ხდება რომ, მთელი ჩვენი სიღარიბის მიუხედავად, ყოველწლიურად 70—80 მილიონ მანეთს ვიხდით ამერიკული ბამბისთვის, მაშინ როდესაც „ამიერკავკასიასა და იმიერკასპიის მხარეში ბამბის საკმაო ზომით მოყვანის მეოხებით,

[1] ТКОСХ. 1887. № 4, стр. 349.

მთელი ეს თანხა ჩვენი სამშობლოს საზღვრებში დარჩებოდაო"[2].

როგორც საერთოდ სავაჭრო მიწათმოქმედების, ისე კერძოდ მებამბეობის მიმდევარი სოფელი კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელ მოვლენებს, კერძოდ მსოფლიო, თუ ნაციონალურ ბაზრებზე მიწოდება-მოთხოვნისა და ფასების აწევ-დაწევის მხრივ მომხდარ ცვლილებებს უწინარეს გებულობს და განიცდის შემსყიდველის მეშვეობით. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის იმის ცდაშია და მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის აღწევს იმას, რომ სულ უფრო დააკაბალოს წვრილმწარმოებელთა მასები.

მართალია, ამიერკავკასიური ბამბის რეალიზაციაში უაღრესად აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის იმპერიის ბამბეულის მრეწველობის უმსხვილესი ფირმები, მაგრამ ისინი, მათი აგენტები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მებამბეთა მასებთან, როგორც წესი, უშუალო კავშირს ძნელად თუ ამყარებდნენ და ბამბის რეალიზაციის საქმეში მთავარი მოქმედი პირი ვაჭარ-შემსყიდველი, მევახშე-შემსყიდველი იყო.

მაგალითად, ერევნის გუბერნიაში ბამბის რეალიზაციის ოფიციალური მიმოხილვიდან ვგებულობთ, რომ აქ მოკალათებული ფირმებიდან 1896 წელს გაწმენდილი ბამბა შეისყიდეს:

1.	გეგორქოვის ფირმამ	120 000 ფუთი
2.	კორზინკინის	80 000
3.	პოზნანსკის	35 000
4.	ჩითახოვის	30 000
5.	ზილბერშტეინის „	25 000
6.	გეიერის	25 000
7.	ფანიევის	20 000
	სულ	350 000 ფუთი

[2] ТКОСХ. 1887, № 4, стр. 350.

შემდგომ 1897 წელს გევორქოვმა შეისყიდა 150 ათასი ფ., კორზინკინმა—80 ათასი ფ., პოზნანსკიმ—70 ათასი ფუთი. „ხოლო დანარჩენი ლოძელი ფირმები აქ ძლიერ დუნედ მოქმედებდნენ, რადგან მათ მოასწრეს დიდძალი ბამბა და ფრიად იაფად შეესყიდათ ამერიკაში,—1 ფუთი, ვითომდა მოტანის ხარჯების ჩათვლით, 8,6—8,2 და 7,9 მანეთადაც კი. კორზინკინი კი ძლიერ ენერგიულად ყიდულობდა ბამბას ერევანსა და აგდამში... სეზონის დასაწყისში ერევანში 1 ფ. ბამბა ფასობდა 7,5—7,6 მან., მაგრამ მერმე. ამერიკაში არნახული უხვი მოსავლის (რაც 11 მილიონ ბარდანას აღწევს) გავლენით ფასები აქ დაეცა 6.8—6.9 მანეთამდე. საჭიროა ისიც აღინიშნოს. რომ ერევანში ფასებზე გარკვეულ გავლენას ახდენდა ბამბის ერევნიდან აქსტაფამდე გადაზიდვის ძლიერ მაღალი ღირებულება, რადგან პურეულისა და ბალახების მოუსავლიანობის მიზეზით პირუტყვის საკვების ფასებმა ძლიერ აიწიეს და ეს გადაზიდვა 1 ფუთისა, ჩვეულებრივ 20—25 კაპიკის ნაცვლად, 40—50 კაპ. ღირდა, და ბამბის შემსყიდველებმა ამ ფაქტის გამოც დასწიეს საქონლის ფასები“[3].

ბამბის შემსყიდველები ხშირად ნაღდი ფულისა თუ სხვადასხვა საქონლის სახით წინასწარ იძლეოდნენ ავანსებს, იმ პირობით რომ გლეხს ბამბა მათთვის ჩაებარებინა მაზანდის ან წინასწარ დადგენილი ფასების მიხედვით. ამგვარად, წვრილი მწარმოებელი. გარდა იმისა. რომ მაღალ სარგებელს (%) იხდიდა, არსებითად დაკაბალებული იყო და მით უფრო მეტი ზომით, რაც უფრო ვითარდებოდა საკაჭრო მიწათმოქმედება და ბამბის წარმოება ფულადი შემოსავლის ძირითადი წყარო ხდებოდა. მებამბეობის მიმდევარ ზოგიერთ სოფელში მედუქნისგან საჭირო საქონელს უფულო გლეხობა პირდაპირ ბამბაზე გაცვლით ღებულობდა.

სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებში. სადაც თავმოყრილი იყო ბამბის საწმენდი ქარხნები და. რაც მთავარია, წნეხები, მოკალათებულნი იყვნენ მსხვილი შემსყიდველები, რო-

[3] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 239, ფურც. 188.

მელთა აგენტები, წვრილი ვაჭრები, მებამბე კულაკები და სხვ. სახის კომისიონერები დაფანტულნი იყვნენ დაბა-სოფლებში, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა, ხშირად თვით ცალკე ოჯახების გაჭირვება ძათ კარგად იცოდნენ. მსხვილი შემსყიდველები ინაწილებდნენ რაიონებს, რათა აეცილებინათ ურთიერთშორის კონკურენცია და მაქსიმალურად დაეწიათ ფასები.

ერევნის გუბერნიაში, მას მერმე რაც აქედან ვ. ალექსეევის ფირმა აიბარგა, 1894 წელს პოზნანსკისა და კორზინკინის ფირმების აგენტები შეკავშირდნენ და მიაღწიეს ფასების მნიშვნელოვან შემცირებას.

ნედლ ბამბას (хлопок-сырец), როგორც წესი, ყიდულობდნენ მხოლოდ ადგილობრივი წვრილი შემსყიდველები, კულაკები, სოფლის მედუქნეები, რომლებიც არ თაკილობდნენ მოეტყუებინათ უწიგნური გლეხები ბაზარზე არსებული ფასების შესახებ, აგრეთვე წონაში, ფულის გაანგარიშებაში[4].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში ამ საქონლის რეალიზაციის პირობების შესახებ პ. პეტროვიჩი 1912 წ. წერდა: „მოსავლის ჩაბარებისას მწარმოებელს ყოველთვის ატყუილებენ წონაში. ხშირად ეს კეთდება თვით პროდუქტის პატრონის უსიტყვო თანხმობითაც, რადგან იგი დიდი ხანია რაც დაარწმუნეს, რომ 1 ფუთზე 3—4 გირვანქა უნდა დაეწონოს (დაერთოს) ნესტიანობისა და სხვ. გამო. ჩვენ აქ არას ვიტყვით პირველყოფილ სასწორზე, საწირების („ბირების") ნაცვლად ქვებზე და სხვა მანიპულაციებზე, რასაც შემსყიდველები მიმართავენ წონაში მოტყუებისას"[5].

შემსყიდველებს წინასწარ ჰყავდათ დავალიანებული მებამბეობის მიმდევარი წვრილი გლეხები, რომლებიც ყოველთვის შევიწროებულნი იყვნენ უფულობით. ასეთი გლეხობის დიდ ნაწილს შემსყიდველისგან დაფინანსების გარეშე არ შეეძლო დაემუშავებინა ბამბის დასათესი ნაკვეთი, ეყიდა თესლი და სხვ. შემსყიდველთა ძონოპოლიური მდგომარეობის განმტ-

---

[4] И. Сегаль, «Сб. свед. о Елисаветп. губ.», I, стр. 137.
[5] КХ, 1912, № 21, стр. 6—7.

კიცებას ხელს უწყობდა ისიც, რომ მათ ჰქონდათ კოტონჯინები და მხოლოდ გაწმენდილი ბამბა წარმოადგენდა ტრანსპორტაბელურ საქონელს.

1900--იანი წლების ბოლოს ამიერკავკასიაში ბამბის ვაჭრობის ადგილობრივი ცენტრები იყვნენ: თბილისის გუბერნიაში—სს. გიაურ-არხი, კოშაკილისა, მიხაილოვკა, ბაიდარი, ლაჩბადინი[6]; ბაქოს გუბერნიაში— ქიურდამირი, უჯარი, აჯიკაბული, პეტროპავლოვკა, გეოქჩაი, ლიაქი და სხვ.; ელისავეტპოლის გუბ.—ქ. ელისავეტპოლი, სს. ბარდა. ტერტერი, გინდარხი, აღდაში, აგდამი, ყაზახი, აღსტაფა, ევლახი და სხვ.[7]. ერევნის გუბერნიაში—უწინარეს თვით ქ. ერევანი ბამბის უმსხვილესი ბაზარი იყო ამიერკავკასიაში. ჯერ კიდევ 1892 წელს, როგორც ამ ქალაქის თვითმმართველობის მიერ სახელმწიფოებრივი ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ თხოვნასთან ერთად წარდგენილი ქ. ერევნის ბაზრის ბრუნვათა აღწერილობიდანა ჩანს, ბამბის ვაჭრობა შეადგენდა აქ სავაჭრო ოპერაციების ყველაზე მთავარ ნაწილს. სახელდობრ. ყოველგვარი გასატანი საქონლის საშუალოწლიური ბრუნვის საერთო თანხა შეადგენდა სულ 6 125 000 მან. ხოლო ცალ-ცალკე სხვადასხვა საქონლის ფიზიკური მოცულობა და ღირებულება უდრიდა[8].

ბამბა	500 000 ფუთი	4 000 000 მან.
არაკი (სპირტი)	100 000 ვედრო	500 000 მან.
ბრინჯი	300 000 ფუთი	450 000 მან.
ქიშმიში	100 000 ფუთი	300 000 მან.
ეაქელი ხილი	50 000 ფუთი	164 000 მან.
ღვინო	100 000 ვედრო	150 000 მან.
ხორბალი	200 000 ფუთი	120 000 მან.
მარილი	400 000 ფუთი	120 000 მან.

6 საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 537. ფურც. 96.

7 П. Петрович, «Итоги урожая хлопка в Закавказье в 1913 г.». 1914, Тифлис, вып. III. стр. 21, 32, 34.

8 РТКЭЖД. стр. 782—784.

ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების შესახებ პ. პეტროვიჩი (ავდეევი) წერს, რომ აქ „შემსყიდველი სცენაზე გამოდის არა მხოლოდ მოსავლის აღების დროისთვის, არამედ შემოდგომაზე ბევრად ადრე, ივნის-ივლისში, როდესაც მიმდინარეობს ნათესების სარეველა ბალახისგან ძირითადი გაწმენდა (გათოხნა), ანდა თვით თესვის დროს და ამარაგებს მწარმოებელს თესლითა და საბრუნავი საშუალებებით. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით გლეხს, რომელიც მუდამ დავალიანებულია შემსყიდველ-კრედიტორისგან და წლიდან-წლამდე რჩება სულ უფრო ზრდადი ვალების მუხრუჭებში“[9].

ამ მხრივ ერევნის გუბერნიის უშუალომწარმოებელთა მდგომარეობის შესახებ ა. შან-გირეიც კი იძულებულია აღნიშნოს, რომ „ის მრავალი ასეულ ათასობით მანეთები, რაც მებამბეობის რაიონებში ფართო ტალღებად მოედინებიან შიგარუსეთის ფაბრიკული ცენტრებიდან... სანამ მიწათმოქმედ მშრომელთა ხელში მოხვდებოდნენ უწინარეს გადიან შუამავალთა მთელი არმიის ხელში. ფირმების წარმომადგენელთა რწმენით ბამბის მწარმოებელთა ხელში ხვდება იმ ფულების არა უმეტეს ნახევრისა, რასაც ეს ფირმები ბამბისთვის იხდიან... მიწათმოქმედ მებამბეებს ავანსები (ბეები) ეძლევათ ყველაზე უფრო კრიტიკულ მძიმე დროს—გაზაფხულზე, როდესაც აუცილებელია ვადაგადაცილებულ გამოსაღებთა შეტანა და როდესაც ყოველგვარი საოჯახო მარაგები და ფულადი სახსრები ამოწურულია. კომისიონერები, რასაკვირველია, ამით სარგებლობენ და უაღრესად მძიმე პირობებს აყენებენ: მიწის მუშისგან მოითხოვენ მომავალი მოსავლის მიყიდვას წინასწარ დადგენილ ფასზე, რაც ბაზრის ფასზე ყოველთვის 25—50% და მეტადაც უფრო დაბალია“[10].

მემამულე ა. შან-გირეის ცნობით ერევნის გუბერნიის გლეხები თავიანთ კრედიტორებს სესხისთვის საშუალოდ 170 პროცენტს უხდიდნენ. მაგრამ ეს სარგებელი (%) ბევრად უფ-

---

[9] КХ, 1912, № 21, стр. 7.
[10] КСХ, 1905, № 568, стр. 70—72.

რო მაღალი ყოფილა ფერგანის ველზე, სადაც იგი თურმე 300—500 პროცენტამდე აღწევდა.

თვით ბამბეულის მრეწველთა ფირმების წარმომადგენლების, კერძოდ თ. ბაჟულოვის ცნობით ერევნის გუბერნიაში მათ შესაძლებლობა აქვთ უშუალოდ მწარმოებელთაგან შეისყიდონ მთელი მოსავლის დაახლოებით ერთი მეხუთედი ნაწილი, „დანარჩენს ხელთ იგდებენ შემსყიდველები, რომელთაც დამორჩილებული ჰყავთ წვრილი მწარმოებლები“[11].

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შემსწავლელი კომიტეტის სპეციალისტის დასკვნით „ფაბრიკებისთვის ბამბის შემსყიდველი შუამავლები, შეადგენენ ერთ-ერთ ყველაზე ბნელ მხარეს ბამბის საქმისა ერევნის გუბერნიაში. მებამბეობისთვის მავნებლურმა შემსყიდველთა საქმიანობამ მიაღწია თავის უკიღურეს საზღვარს, რომლის იქით უკვე გზა აღარ არის“[12].

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ნ. ტარატინოვი ჯერ კიდევ 1888 წელს აღნიშნავდა შემსყიდველთა მავნებლური საქმიანობის შედეგად ადგილობრივი ბამბის რეპუტაციის გაფუჭების ფაქტს[13].

საერთოდ ამიერკავკასიის ბამბის ბაზრებზე ფასებს მოსკოვური ბაზარი კარნახობდა. მაგრამ აქაური ბაზრების ბერკეტები ხელთ ეპყრათ სწორედ ადგილობრივ მსხვილ შემსყიდველებსა და კომისიონერებს, რომელთაც ძალიან კარგად იცოდნენ წვრილმწარმოებელთა ეკონომიკური მდგომარეობა, მათი გამოუვალი პირობები და ამიტომაც რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან ჩამოსულ ბამბეულის მრეწველობის ფირმების აგენტებს ესენი ძლიერ და ეფექტურ კონკურენციას უწევდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით კორპორაციული და ამდენადვე ინტენსიური იყო სომხური საავაჭრო კაპიტალი, რომელსაც

[11] იქვე; იხ. აგრეთვე КСХ, 1905, № 569, стр. 86—87.
[12] ТМКСХП, LII, стр. 621.
[13] ТКОСХ, 1888, № 9—12, стр. 622.

პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ბამბის ამიერკავკასიურ ბაზრებზე.

ბაქოს გუბერნიაში მებამბეობის მიმომხილველი წერდა, რომ „საანგარიშგებო (1908) წელს ბამბის შემსყიდველთა შორის უკვე არ იყო არც ერთი არაადგილობრივი ბამბეულის ფირმა. მათ... საკუთარი მიანებეს თავი აქაურ ბაზრებს, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ევლახში არსებულ კ. შეიბლერის აქციონერული საზოგადოების ბამბასაწმენდმა ქარხანამ მიმდინარე სეზონში შეაჩერა მუშაობა... ამგვარად, ბამბის შესყიდვისა და გაწმენდის საქმე ახლა მთლიანად თავმოყრილია ადგილობრივი ვაჭრების ხელში“[14].

მაგრამ მიმომხილველი აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რამაც გამოიწვია ხსენებული ფირმების აგენტთა აქედან განდევნა. „ლოძის სოლიდური ფირმების მიერ ბაქოსა და ელისავეტპოლის მებამბეობის რაიონებში საგაჭრო ოპერაციების შეწყვეტა გამოწვეულია უმთავრესად კონკურენციის სიძნელით ადგილობრივ შემსყიდველ-მევახშეებთან, რომელთა რიცხვი უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ესენი მისწრაფებისას, რათა ხელში ჩაიგდონ საქონელი არ თაკილობენ არავითარ ხრიკებს და სწორედ ამით, არაპირდაპირ ხელს უწყობენ გაუმშრალი ანდა განძრახ დანესტიანებული ბამბის ვაჭრობაში მიმოქცევას. უფრო მსხვილ ფირმათა ყველა ცდა, ასეთი ბოროტების აღკვეთის მიზნით ემოქმედათ სოლიდარულად, უშედეგო აღმოჩნდა შემსყიდველ-მევახშეთა“ მხრივ მედგარი წინააღმდეგობის გამო[15], სწორედ იმის შედეგად, რომ ამ უკანასკნელთ ღრმად აქვთ ფესვები გადგმული სოფლის ეკონომიკურ ყოფიერებაში, მევახშური კრედიტით გაქაჩული ჰყავთ დაბეჩავებული გლეხობა და ადგილობრივი ადმინისტრაციაც მათგან მოსყიდულია.

ბამბეულის მრეწველობის რუსულ და პოლონურ ფირმებს აქ „არ ჰქონდათ უშუალო კავშირები და პირადი ურთიერთო-

---

[14] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 537, ფურც. 123.

[15] იქვე.

ბა მოსახლეობასთან, რაც ეტყობა ყველაზე დიდი ხარვეზი იყო მათს საქმიანობაში". სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის გარემოება, რომ ამ ფირმათა კომისიონერები ბამბის ბოჭკოს შესყიდვას აწარმოებდნენ არა უშუალოდ მწარმოებლებისგან (მებამბეებისგან), არამედ მოცემული სოფლის შემსყიდველთა მეშვეობით, რომელთაც ისინი აძლევდნენ ავანსებს.

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, აცხადებს (1908) მებამბეობის ინსტრუქტორი თ. ბაჟულოვი, რომ ადგილობრივი მებამბეობის დაცემისა და ამასთანავე ბოჭკოს რეალიზაციის ბაზრებზე ამ ბამბის წინანდელი კარგი რეპუტაციის დაკარგვის მიზეზი მნიშვნელოვანი ზომით არის ავანსების გაცემის არა სწორი სისტემა, რაც ფირმებმა საფუძვლად დაუდვეს ბამბის შესყიდვის სავაჭრო ოპერაციებს. ამ სისტემამ წარმოშვა შემსყიდველთა მთელი არმია და განამტკიცა მებამბეთა მათდამი დამოკიდებულება. სწორედ ასეთ მათს დამონებას უბრალო გლეხები უპასუხებენ ბამბისადმი არაკეთილსინდისიერი მოპყრობით, მისი განძრახ გაფუჭებითაც-კი. უმთავრესად იმ ინტერესით, რათა მოიგონ პროდუქტის წონაში"[16].

საქმის არსობის საუკეთესო მცოდნის უაღრესად საინტერესო მოსაზრებებია, რაც თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც აუცილებლად მართებულად ასახავს არსებულ მდგომარეობას, რამაც კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება აიძულა. მაგალითად, 1907 წელს გამოეცა „სავალდებულო დადგენილება", რომელიც გამყიდველის პასუხისგებაში მიცემის შიშით კრძალავდა დაუმწიფებელი და დანესტიანებული ბამბის ვაჭრობას[17].

კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვის მიერ 1907 წ. 7 ნოემბერს დამტკიცებული ამ დადგენილების შინაარსი ასეთია: „დროებითი დადგენილება ბაქოს გუბერნიის ჯევათის და გეოქჩაის მაზრების და ელისავეტპოლის გუბერნიის არეშის, ჯევანშირის, შუშის მაზრების ბაზრებზე ბამბის ვაჭრობის შესახებ.—

---

[16] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243. საქმე № 537, ფურც. 123.

[17] იხ. ТСХ, I, стр. 150—151.

ადგილობრივი მებამბეობის დაცემის თავიდან აცილების მიზნით:

1. ბაზრებზე, საწყობებსა და ქარხნებში იკრძალება ნესტიანი და შესველებული და საერთოდ არაკეთილხარისხოვანი ბამბის ყიდვა-გაყიდვა;

2. პირველ სტატიაში აღნიშნული სახის ბამბის გამყიდველი და მყიდველი პირები პასუხს აგებენ მომრიგებელ მოსამართლეთა განაჩენით დადებული სასჯელის შესახებ წესდების მეოცდაცხრე მუხლის შესაბამისად. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირებს, რომელთაც ბრალი დაედებათ უცნობი გამყიდველისგან შეძენილი არაკეთილხარისხოვანი ბამბის გასაყიდათ გატანისა და შესყიდვისათვის;

3. ამ დადგენილების შესრულების მეთვალყურეობა ევალება მაზრისა და ქალაქის პოლიციასა და ამისთვისვე სპეციალურად დანიშნულ მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარ სამმართველოს მოხელეებს.

4. არაკეთილხარისხოვანი ბამბის ვაჭრობისთვის დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა იწარმოებს მესამე სტატიაში მოხსენებულ მოხელეთა მიერ, როგორც პირადად ნახულ, აგრეთვე კერძო პირთა განცხადების მიხედვით, შედგენილი ოქმის შესაბამისად.

5. მესამე სტატიაში მოხსენებულ თანამდებობრივ პირებს ევალებად გასწიონ მეთვალყურეობა, რათა ბამბის გაყიდვისა და ყიდვის დროს მყიდველთა და გამყიდველთა მიერ გამოყენებული იყოს მართალი სასწორი და საწონი და რომ შემსყიდველები წონაში არ ატყუილებდნენ გასაყიდათ ბამბის მომტან პირებს და არასწორი საზომისა და სასწორის გამოვლინების შემთხვევაში, ასევე შემსყიდველთაგან ზომა-წონაში მოტყუულების შემთხვევაში დამნაშავეები სასამართლო პასუხისგებაში მისცენ—ამისთვის დაწესებული საერთო წესის შესაბამისად;

6. ეს დადგენილება ძალაში შედის ელისავეტპოლის გუბერნიის მაზრებისთვის მისი გზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ, ხოლო ბაქოს გუბერნიის მაზრებისთვის „ბაკინსკიე გუბერნსკიე ვედომოსტში" გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ;

7. ამ დროებითი დადგენილების მოქმედების ვადა გრძელდება 1908 წლის 1 მაისამდე"[18].

მებამბეობის სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ ამ დადგენილებამ „გარკვეული მორალური გავლენა მოახდინა", მაგრამ ამასთანავე ერთად ისინი საჭიროდ სთვლიდნენ ბამბის ვაჭრობის გაჯანსაღების მიზნით სპეციალური ზედამხედველობის დაწესებასაც.

[18] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 495, ფურც. 95.

საქმე ისაა, რომ მსხვილი ფირმები გამუდმებულად ჩიოდნენ, რომ, მაგალითად, ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში „მათ მიერ შესყიდული ბამბა უმრავლეს შემთხვევაში ნესტიანია და შეიცავს სხვადასხვა გარეშე მინარევებს". რამდენადაც მოსავლისათვის ბე წინასწარ ჰქონდათ გაცემული, ფირმები იძულებულნი იყვნენ კომისიონერ შემსყიდველთაგან მიეღოთ არაკეთილხარისხოვანი ბამბა. კომისიონერები, რომელთაც მრეწველთა ფირმები ავანსებს აძლევდნენ, გლეხობისგან ხშირად ყიდულობდნენ აუღებელ მოსავალს. უკანასკნელთათვის ფრიად არახელსაყრელ ფასებში. გლეხები. რათა ნაწილობრივ მაინც აინაზღაურონ ასეთი გაყიდვით მიღებული ზარალი, ცდილობდნენ გაედიდებინათ თავიანთი ბამბის წონა, რის გამოც მას ასაღებდნენ ნესტიანი და დანაგვიანებული სახით.

ყოველივე ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და ბაზარზე ე. წ. „აღდაშური ბამბის" რეპუტაცია ეცემოდა. რაც მნიშვნელოვნად აისახა ფასებზედაც. ფირმებმა ბრალი დასდეს მოსახლეობას თავიანთი მოვალეობისადმი არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებისთვის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიების ბამბასაწმენდი ქარხნების პატრონებმა იშუამდგომლეს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ ამ გუბერნიებში დაენიშნათ ინსპექტორები—ბამბის ვაჭრობის ზედამხედველობისთვის. 1906—1907 წწ. დაინიშნენ ინსპექტორები, მაგრამ ფირმების შეკრებილმა წარმომადგენლებმა მოითათბირეს და ნახეს, რომ ეს ინსპექცია საქმეს არ უშველის, რის შემდეგაც უარი თქვეს ახლადდანიშნულ ინსპექტორთა დახმარებაზე[19].

აქედან ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ნათელია: კომერციული საქმიანობის კონტროლი ბამბეულის მრეწველობის მსხვილ ფირმებსაც არ აწყობდა. ადგილობრივ შემსყიდვე-

---

[19] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 537. ფურც. 156.

ლებს. რა თქმა უნდა, იგი სრულებითაც და საერთოდაც არ ეპიტნავებოდათ[20].

ბოლოს საქმე ისე წარიმართა, რომ 1908 წელს ბამბის შემსყიდველმა ფირმებმა—პოზნანსკის, შეიბლერისა და ვადიორისამ—ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში სავსებით შესწყვიტეს ბამბის შესყიდვა. მაშინ როდესაც წინათ თითქმის მთელი ეს ვაჭრობა მათს ხელში იყო და ისინი დიდ გავლენასაც ახდენდნენ ბამბის ფასებზე.

ამიერიდან ამ რაიონებში ბამბის შესყიდვის მთელი ოპერაციები გადავიდა ადგილობრივ ვაჭარ-მევახშეთა და ვაჭარ-მრეწველთა ხელში[21]. მათგან ყველაზე მსხვილები, რომელთაც ბამბასაწმენდი ქარხნები ჰქონდათ, იყვნენ: ძმ. გევორქოვები, არზუმანოვი, რამენდიკი (ქ. ელისავეტპოლში), არზუმანოვი, რამენდიკი. ძმ. სამედოვები, ეფენდიევი და სულთანოვი (დაბა აღდაშში).

თბილისში 1912 წელს შემდგარ მებამბეთა ყრილობაზე მთელის სიმწვავით იჩინა თავი ამიერკავკასიური ბამბის ხარისხის საკითხმა. მისი მარკის ღირსების დაცემის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ. ყრილობის სპეციალური სექცია, რომელიც ბამბის გასაღებისა და ვაჭრობის საკითხებზე მუშაობდა. იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროდ დაინახა გაეტარებინათ შემდეგი ღონისძიება:

1. აიკრძალოს ბამბის მოსავლის ნაადრევი აღება;

2. აიკრძალოს ბამბის შინ გაყიდვა და დადგინდეს თემების ყველაზე უფრო ხალხმრავალ სოფლებში ცალკე საბაზრო პუნქტები. ბაზრის ზედამხედველთა მეთვალყურეობით. ბამბის ვაჭრობისთვის;

3. დაინიშნოს რაიონის ინსპექტორები გასაყიდი ნედლი ბამბის ხარისხზე მეთვალყურეობისთვის.

---

[20] Г. Абдумаджидов, «Борьба с преступлениями в области хлопководства», 1960. Ленинград.

[21] А. Алексеров, И. Юсубов, «Хлопководство в Азербайджане» (Труды Института экономики АН Аз. ССР. 1960, т. 6).

ამ ყრილობაზე გამოსული ს. მაზმანიშვილი (მაზმანოვი) აღიარებდა: „სამწუხაროდ ბოროტების ფესვები ისე ღრმადაა გასული, რომ ფრიად ძნელია რაიმე ამკრძალავი და მაიძულებელი ზომით ბამბის ვაჭრობის მოწესრიგება. რომ არა ვთქვათ რა იმაზე, რომ თვით ვაჭრობის შეზღუდვა არ შეიძლება მწარმოებელთა ინტერესების შეუზღუდავად, არავითარი ინსპექტორები და თვით ინსტრუქტორთა კადრებიც კი ვერ შესძლებენ ალმოფხვრან სოფლელთა წონაში მოტყუილება თვითნაკეთი სასწორებით, ანდა იმპროვიზებული სასწორის თეფშებით. რომელზედაც საწონების ნაცვლად არპაჩაის ან ,არაქსის რიყის ქვებს უდებენ. ჩვენ ვერ შევძლებთ ,ადავაჩვიოთ ჩვენი მებამბე გამჯდარ ჩვეულებას. აიღოს მოუმწიფებელი ბამბა. როდესაც მისი მძარცველი მეზობელი ღამით იტაცებს მის დოვლათს, ასევე ვერ შევძლებთ მივაჩვიოთ ის თავისი პროდუქტის მინარევების გარეშე გაყიდვას. როდისაც ზედმეტ გირვანქა კირს შეუძლია შეამსუბუქოს კულაკ-შემსყიდველის ჰერკულესისებური ხარკის მძიმე ტვირთი. რაც მას გასრესით ემუქრებაო“[22].

საერთოდ ბამბის გასაღებისა და ვაჭრობის არსებულ პირობათა დახასიათებისას ს. მაზმანიშვილი ამბობდა, რომ ამჟამად არსებული სახით დატოვება „ყიდვა-გაყიდვის და მასთან დაკავშირებული ანგარიშსწორების არქაული პირობებისა“ ყოვლად შეუძლებელია... ესაა გადმონაშთი და შედეგი მწარმოებელთა დაბალი კულტურული დონის. კულტურული ცენტრებიდან მათი მოწყვეტილობის და პარალიზაციის და იმ დაბეჩავებული, კულაკობისგან დამოკიდებული მდგომარეობისა.

---

[22] ТСХ, I. стр. 149. კავკასიაში ადმინისტრაციის საქმიანობის ერთ-ერთ ოფიციალურ მიმოხილვაში მებამბეობის საჭირბოროტო საკითხთა შორის მოხსენებულია მინდვრებიდან ბამბის მოპარვის გაჩშირება ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში: ერევნის გუბერნიაში ბამბის მოსავლიანობის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია მინდვრებზე ბამბის გაძლიერებული ქურდობა («Кавказ в 1909 году». 1910. стр. 52—53).

რომელშიც ისინი საუკუნეთა განმავლობაში იმყოფებიან. მე მიძნელდება შეეადარო თუ როგორ ესმის ვაჭრობა ჩვენს პლანტატორსა და ამერიკელ ფერმერს, და პარალელი გავატარო ბამბის ვაჭრობის ფორმების შესახებ მათ შეხედულებათა შორის, მაგრამ რიგი სამწუხარო ფაქტი", რაც მოყვანილია სექციაში წარმოდგენილ მოხსენებებში „ბამბის განზრახ დანესტიანების შესახებ. მინარევების თაობაზე, კაპიკების მოგებისთვის საკუთარი ნაწარმის ხარისხის შეგნებულად გაუარესების შესახებ. კულაკებისა და წვრილ შემსყიდველთაგან მოსახლეობის ექსპლოატაციის უხეში ფორმების თაობაზე—მოწმობენ შესახებ უმეცრებისა. რაც სიბნელეს ესაზღვრება... მოყვანილი ფაქტებია ბამბისთვის მარილის, კირისა და სხვ. სუროგატების შერევისა, რათა გაადიდონ მისი წონა". ამ გარემოებამ და მასთან ერთად ძველებური, დაჟანგული ჯინებით გაწყობილ ქარხნებში ბამბის თესლისგან უხეშმა წმენდამ „საბოლოოდ გააუარესეს ბამბის ხარისხი"[23].

აქ მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩვენ მიერ მობილიზებული მასალები მოწმობენ. იმდროინდელ სპეციალისტებს შორის იყვნენ ადამიანები, რომელთაც ნაწილობრივ მაინც კარგად ესმოდათ, თუ რა იყო წვრილმწარმოებელთაგან. მაგალითად. ბამბის ნაადრევად მოკრეფის მიზეზი. ანდა რით იყო გამოწვეული პროდუქტის დანესტიანების. მისთვის მარილის ან კირის გარევის შემთხვევები.

გლეხი, წვრილი მწარმოებელი შემსყიდველ-მევახშეთა წარმოდგენით ბნელი და შეუგნებელი არსება იყო, რომლის მოტყუილება ზომა-წონაში. ანგარიშში. ფასებში, ვადებში, სესხის სარგებლის გაანგარიშებაში, თამასუქის შედგენაში, სასამართლოში, ადმინისტრაციაში, ყველგან და ყველაფერში, მათ მარტოოდენ საკუთარი მოხერხებულობისა და მიხვედრილობის საქმედ მიაჩნდათ; ამიტომაც შემსყიდველ-მევახშეთა უსაზღვრო ანგარებას, ურცხვობასა და მეტიჩრობას „ეუბნ[illegible]

---

[23] TCX. I, стр. 150.

გლეხი საკუთარ „მოხერხებულობას“ უპირისპირებდა. წვრილ-მწარმოებლის მთელი ნაშრომ-ნაოფლარი ჩალისფასად მიჰქონდათ, მას ობობასავით წუწნიდნენ ჩარჩ-ვაჭრები, რომელთა გაუმაძღრობამ და ათასგვარმა მუხანათობამ გლეხი აიძულა თავდაცვის უკეთური ხერხებისთვის მიემართა. მას სხვა საშუალება არ გააჩნდა. სასამართლო, პოლიცია, ადმინისტრაცია, თვით ეკლესია და სამღვდელოება ვაჭრების ქომაგები იყვნენ.

ოღონდ უნდა დავსძინოთ, რომ ბამბის ნაადრევად აღების შემთხვევებს იწვევდა არა მხოლოდ გლეხის ამ ნაამაგრის მოპარვის თუ გატაცების შიში, არამედ და უმთავრესად ის გარემოება, რომ ვალაუვალი გლეხი ცდილობდა რაც შეიძლება მალე გაეყიდა თავისი პროდუქტი, მიეღო ფული, რათა შეეძინა პური, გაესტუმრებინა სახელმწიფო თუ საეკლესიო გადასახადები, ბეგარები, გადაეხადა მევახშის ვალი და ა. შ.

3. კრედიტი

ბამბის რეალიზაციის დიდმა სახალხომეურნეობრივმა მნიშვნელობამ, ცხადია, უწინარეს მებამბეობის მთავარ რაიონში, როგორიც იყო ერევნის გუბერნია, თავისი ბიძგი მისცა კრედიტის საქმის განვითარებას, ასე რომ იგი ადრე თუ გვიან უნდა გასცილებოდა მევახშეობის ფარგლებს, როდესაც მევახშეები უმრავლეს შემთხვევაში შემსყიდველები იყვნენ. მებამბეებიც იბრძოდნენ შემსყიდველ-მევახშეთა კაბალისაგან თავის დაღწევისთვის, მაგრამ ეს ბრძოლა უფრო მეტად ეფემერულ ხასიათს ატარებდა.

კაპიტალისტური კრედიტი და ბანკები თითქოსდა მოწოდებულნი იყვნენ, რათა მევახშე-შემსყიდველთა კლანჭებისგან დაეხსნა ბამბის მწარმოებელთა მასები, მაგრამ სინამდვილეში ამ კრედიტით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უპირატესად იგივე შემსყიდველები, ვაჭრები სარგებლობდნენ, რათა უფრო ფართოდ გაეშალათ თავიანთი ოპერაციები.

ს. ტიმოფეევი, რომელმაც არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა ამიერკავკასიური მებამბეობის ეკონომიკის, განსაკუთრებით

სტატისტიკის საკითხებს, დიდად აღფრთოვანებული იყო მებამბეობის რაიონებში წვრილი კრედიტის განვითარების პირველი ნაბიჯებით.

„ერევნის გუბერნიის მებამბეობის რაიონის განსაკუთრებულობას... წარმოადგენს აქ საკმაოდ მოქმედ შემნახველ-გამსესხებელი (ссудо-сберегательные) და საკრედიტო ამხანაგობათა არსებობა. ესენი, გარდა იმისა, რომ ებრძვიან მევახშეებს, რომლებიც 60—70 პროცენტამდე სარგებელს ღებულობენ“, ეხმარებიან მებამბეებს მეურნეობის გაუმჯობესებისა და გასაღების ორგანიზაციის საქმეში. „წვრილი კრედიტის დაწესებულებათა წარმოშობის შემდეგ, გლეხებმა მიატოვეს შემსყიდველთაგან ავანსების აღება, რაც ხშირად მათ ეძლეოდათ პირობით, რათა ბამბა წინასწარ დადგენილ ფასებზე ჩაებარებინათ“[1].

ერევნის სახაზინო პალატის ცხობით აქ ბამბის გირავნობით (ღირებულების 70%-მდე) სესხს იძლეოდა თორმეტი „საკრედიტო ამხანაგობა“, რომლებშიც გაერთიანებული იყო 4 904 წევრი. ასეთი ამხანაგობები არსებობდნენ: ერევანს (1 391 წევრით), კამარლოს (682 წევრით), ციარნიჩაის (105), ულუსანლუს (167), სურმალოს (577), დაშბურუნს (101), ყულფს (191), ევჯილარს (406), ჩიკდამლოს (121), სარდარაბადს (189), ვაღარშაპატს (730) და ბანლუხლიარს (271).

ამ „საკრედიტო ამხანაგობებს“ 1911 წელს გახსნილი ჰქონდათ კრედიტი სახელმწიფოებრივ ბანკში, თითოეულს 3 ათასიდან 70 ათას მანეთამდე, სულ 222 ათასი მანეთის რაოდენობით. „მოსახლეობა სულ უფრო რწმუნდება წვრილი კრედიტის დაწესებულებათა დიდ მნიშვნელობაში და სახბანკის ერევნის განყოფილებაში მრავალი თხოვნა შემოდის ახალ ამხანაგობათა დაარსების შესახებ“[2].

---

1 С. Тимофеев, «Статистика хлопководства в Закавказском крае за 1909—1911 гг.», 1912, Тифлис, стр. 18.

2 იქვე, გვ. 19.

1912 წელს ერევნის გუბერნიაში უკვე მოქმედებდა 22 საკრედიტო და 14 შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა[3]. მაგრამ ეს ორგანიზაციები საბრუნავ საშუალებათა ქრონიკულ ნაკლებობას განიცდიდნენ. 1913 წ. 1 იანვრისათვის სახელმწიფოებრივი ბანკისგან მათ გასესხული ჰქონდათ 661 ათასი მან. კრედიტი, საიდანაც პურეულის, ბამბისა და ბრინჯის გირავნობით გასაცემი სპეციალური კრედიტის ჯამი უღრიდა სულ 127 ათას მანეთს.

წვრილი კრედიტის დაწესებულებები სარგებელს ღებულობდნენ არა უმეტეს 9—12 პროცენტისა, რაც მევახშურ სარგებელთან შედარებით, ცხადია, დიდი შეღავათის მომასწავებელი რომ იყო, რომ ეს კრედიტი ხელმისაწვდომი ყოფილიყო წვრილმწარმოებელთა მასებისათვის.

მაგრამ ამას ისიც უშლიდა ხელს, რომ ასეთი სესხის მიღება ღაკავშირებული იყო ბევრ ფორმალობასთან, რაც აუარებელ დროსა და მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯსაც მოითხოვდა. ბამბის გირავნობით სესხის ასაღებად ეს ბამბა უნდა შეფუთული ყოფილიყო ბარდანებში ან შენახული შენობაში და დაზღვეული გაცემული სესხის ტოლ თანხაზე. სესხი გაიცემოდა 1—12 თვის ვადით და არ აღემატებოდა დაგირავებული გაწმენდილი ბამბის ღირებულების სამ მეოთხედს, ხოლო გაუწმენდავის—ორ მესამედს. დაგირავებული ბამბის რეალიზაციას, როგორც წესი, თვით „საკრედიტო ამხანაგობა“ ეწეოდა.

მართალია, წვრილი კრედიტის ორგანიზაციებში გაერთიანებულ მებამბეთა საერთო რაოდენობა წლითიწლობით იზრდებოდა, მაგრამ ესენი უმთავრესად შეადგენდნენ სოფლის შეძლებულ გლეხთა, კულაკობის ფენას, რომელიც თვითონ ეწეოდა წვრილმწარმოებელთა მასების დაკაბალებასა და ექსპლოატაციას და სწორედ ამ მიზნით იყენებდა წვრილი კრედიტის ორგანიზაციებს.

---

[3] Р. Арутюнов, «Развитие хлопководства в Армении...», стр. 165.

პროფ. გ. შაქარიანის გამოანგარიშებით ერევნის გუბერნიის წვრილი კრედიტის 19 დაწესებულებაში გაერთიანებულ წევრთა საერთო რიცხვის 20 პროცენტს შეადგენდა ღარიბი გლეხობა (რომელთაც ან სულ არა, ანდა 1 მუშა-პირუტყვზე მეტი არ ჰყავდათ), საშუალოთა ფენა (რომელთაც 2—4 მუშა-პირუტყვი ჰყავდა) შეადგენდა 46 პროცენტს, ხოლო შეძლებულთა ფენა—34 პროცენტს და ამათგან 10 პროცენტს შეადგენდნენ კულაკები (რომელთაც თითოეულს 8 ცალზე მეტი ძუშაპირუტყვი ჰყავდა) და რომლებიც არსებითად განაგებდნენ წვრილი კრედიტის დაწესებულებებს.[4]

1912 წ. თბილისში შემდგარ კავკასიელ მებამბეთა ყრილობაზე გამოსული ი. ქუთათელაძე აცხადებდა: „მე უნდა აღვნიშნო, რომ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა სარგებლობა ჩვენი მებამბეობის განვითარების საქმეში, ესოდენ უმნიშვნელოა, რომ მასზე ლაპარაკიც კი არა ღირსო“.

1911 წ. თბილისში შემდგარ წვრილი კრედიტის მოღვაწეთა ყრილობაზე გამოირკვა, რომ ამ დაწესებულებებს იმდენად მცირე საშუალებები ჰქონდათ, რომ არ ძალუძდათ დაეკმაყოფილებინათ თავიანთ წევრთა ყველაზე უფრო არსებითი მოთხოვნილებები. უმრავლეს შემთხვევაში მათი ფულადი საშუალებები განისაზღვრებოდა სახელმწიფოებრივი ბანკის სესხებით. რაც რამდენსამე ათას მანეთს არ აღემატებოდა და უმთავრესად სამომხმარებლო საჭიროებისთვის იხარჯებოდა, ასე რომ საკუთრად მებამბეობისთვის თითქმის არაფერი რჩებოდა.

წვრილი კრედიტის შედარებით ძლიერი ტემპით განვითარება კი აიხსნებოდა მოსახლეობის სასურსათო გაჭირვებით, რასაც 900-იან წლებში ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის მრავალ რაიონში... ამასთანავე მრავალ ადგილას საკრედიტო კოოპერატივებს ნერგავდნენ წვრილი კრედიტის გამგებლობის აგენტები, ხოლო ესენი ინტერესს იჩენენ უმთავრესად „რაოდენობისა და არა მათი ხარისხისადმი“[5].

---

[4] Г. Шакарян. «Финансы дореволюционной Армении (1900—1913)». стр. 364.

[5] ТСХ, I. стр. 103—104.

მართალია, 1911 წ. წვრილი კრედიტის მოღვაწეთა ყრილობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიება და იშუამდგომლა სახელმწიფოებრივი ბანკის გამგეობის წინაშე წვრილი კრედიტის ნამდვილად წვრილმწარმობელთა მდგომარეობის. ე. ი. წვრილი წარმოების განმტკიცებისა და გაუმჯობესებისთვის საჭირო მიმართულებით განვითარებისათვის, მაგრამ ამას არსებითად არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა რომ მოჰყოლოდა.

მებამბეთა 1912 წ. ყრილობაზე გამოსული ა. ფირალოვი აღნიშნავდა: „რაც უფრო მეტ საბრუნავ საშუალებებს მივცემთ. მით უფრო მეტ ბამბას მივიღებთო". 1 დესეტინა ბამბის პლანტაციისთვის 150 მან. დანახარჯების ვარაუდით, მისი გაანგარიშებით, ამიერკავკასიის წვრილი კრედიტის ორგანიზაციებისთვის საჭირო იქნებოდა 15 მილიონი მანეთი. ამავე დრო მაშინ არსებულ 330 წვრილი კრედიტის ორგანიზაციების მთელი საბრუნავი კაპიტალი არ აღემატებოდა 2 მილ. მან. და აქედანაც ბამბის მწარმოებლებამდე ფრიად უმნიშვნელო ნაწილი აღწევდა. ამგვარად. „შეიძლება ითქვას. რომ მებამბე-გლეხები კავკასიაში არ სარგებლობენ არავითარი კრედიტითო".—ასკვნიდა იგი[6].

მებამბეთა ხსენებულ ყრილობაზე კრედიტისა და კოოპერაციის საკითხებზე სპეციალური სექცია მუშაობდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახბანკის თბილისის კანტორის მმართველი დ. ბეზობრაზოვი.

სახელმწიფოებრივი ბანკის თბილისის კანტორას მინიჭებული ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფართო კომპეტენციები. მისი მთავარი დანიშნულება კი იყო კავკასიასა (კოლონიასა) და შიგარუსეთს (მეტროპოლიას) შორის.—განსაკუთრებით სადისკონტო და სასესხო ოპერაციების მეოხებით,—ხელი შეეწყო ვაჭრობის განვითარებისათვის და ამ გზით კი—მშობლიური მრეწველობის მიერ კავკასიის, რო-

[6] ТСХ. I. стр. 100.

გორც ნედლეულის ბაზის ათვისების შემდგომი გაადვილებისა და როგორც გამსაღებელი ბაზრის გაფართოვებისათვის.

1912 წ. გასულს იმპერიის სახელმწიფოებრივ ბანკს კავკასიაში ჰქონდა: თბილისის კანტორა და უკანასკნელის განყოფილებები: ბაქოს, ერევანს, ბათუმს, სოხუმს, ეკატერინოდარს, ნოვოროსიისკს, ვლადიკავკაზს, პიატიგორსკსა და არმავირს და დროებითი განყოფილება კისლოვოდსკს. ვაჭრობა-მრეწველობის დაწესებულებათა დაკრედიტებას სახელმწიფოებრივი ბანკი აწარმოებდა თამასუქების დისკონტითა და საქონლისა და საქონლის დოკუმენტების გირავნობით[7].

მებამბეთა ყრილობის გახსნამდე უკვე სტამბურად იყო დაბეჭდილი და ბროშურის სახით გავრცელებული დ. ბეზობრაზოვის მოხსენება „სახელმწიფოებრივი და კერძო კრედიტი"[8], რომელშიც ვკითხულობთ: „სახელმწიფოებრივი ბანკი, რათა ხელი შეუწყოს სახალხო მეურნეობის ამ მსხვილი დარგის რაც შეიძლება უფრო ფართოდ განვითარებას როგორც ფაბრიკანტებს, ასევე ვაჭრებსა და მებამბეებს უხსნის ორგვარ კრედიტს: სესხისა და თამასუქის სახით". პირველი სახის კრედიტი ეძლეოდა რუსეთის შიგა გუბერნიებში. უმთავრესად მოსკოვში, გაგზავნილი გაწმენდილი ბამბის რკინიგზებისა და სატრანსპორტო დაწესებულებათა დოკუმენტების საფუძველზე. ეს კრედიტი წარმოადგენდა მოკლევადიან სესხს. რაც გარანტირებული იყო ხსენებული დოკუმენტებით. სესხი გაიცემოდა აგრეთვე თვით საქონლის (გაწმენდილი ანდა ნედლი ბამბის) გირავნობით, პროდუქტის ადგილობრივი ფასის 75 პროცენტამდე. უკანასკნელი სახის საკრედიტო ოპერაციები იშვიათი იყო, რაც აიხსნება იმით, რომ ადგილებზე არ იყო დიდი საწყობები დაგირავებული საქონლის საიმედოდ შენახვისთვის და იმითაც, რომ მებამბეები და მექარხნეებიც ყოველთვის იმის

---

[7] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში", 1941, გვ. 410—412.

[8] Д. Безобразов, «Государственный и частный кредит», 1912, Тифлис.

ცდაში იყვნენ, რათა, რაც შეიძლება მალე გაესაღებინათ საქონელი. 1910—1912 წწ., სამი წლის განმავლობაში სახელმწიფოებრივი ბანკის თბილისის კანტორამ საქონლის გირავნობით მხოლოდ სამჯერ გასცა სესხი.

რაც შეეხება გაგზავნილი ბამბის დოკუმენტების საფუძველზე გაცემულ სესხს, ეს ოპერაცია მნიშვნელოვან ხასიათს ატარებდა და 1909 1912 წწ. შემდეგ ციფრებში გამოიხატა:

წლები	გაცემული სესხის რაოდენობა	გაცემული სესხის თანხა (მანეთობით)
1909	82	493 246
1910	96	330 514
1911	36	331 404
1912 (9 თვე)	38	395 756

აღებული ოთხი წლის განმავლობაში გაცემულ იქნა სულ 252 სესხი 1 550 920 მან. რაოდენობით. დ. ბეზობრაზოვი იქვე აღნიშნავს. რომ ამგვარი სესხით სარგებლობდნენ მხოლოდ ვაჭრები. რომელთაგან ზოგიერთს ჰქონდა ბამბასაწმენდი ქარხანა[9].

მეორე გვარი კრედიტი ხორციელდებოდა თამასუქების დისკონტის სახით და საკმაოდაც იყო გავრცელებული. 1909—1912 წწ. თბილისის კანტორას გახსნილი ჰქონდა 62 კრედიტი 467 000 მან. საერთო თანხით. ეს იყო უმთავრესად წვრილი კრედიტი. რომელთაგან 39-ის (63%-ის) ცალკე თანხა არ აღემატებოდა 5 000 მან. ეს ფაქტი იმას მოწმობს. რომ აქ „წვრილი საწარმოები დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი“ და რომ სახელმწიფოებრივი ბანკი „ხელს უწყობს წვრილ ვაჭრობასა და მრეწველობასო“—აცხადებდა დ. ბეზობრაზოვი.

62 კრედიტიდან უდიდესი ნაწილი (52) მოდიოდა ელისავეტპოლის გუბერნიაზე. 8—თბილისისა და 2 — ბაქოს გუბერნიაზე. საქმე ისაა, რომ ბაქოს გუბერნიას ემსახურებოდა

---

[9] Д. Безобразов. «Государственный и частный кредит». 1912. Тифлис, стр. 4.

უმთავრესად სახელმწიფოებრივი ბანკის ბაქოს განყოფილება, ხოლო ელისავეტპოლის გუბერნია სწორედ ამ დროიდან წინაურდება. როგორც ყველაზე „მდიდარი მებამბეობის რაიონი კავკასიაში“ და ისიც, რომ აქ ძლიერ მცირე იყო კერძო საკრედიტო დაწესებულებები. 62 კრედიტიდან 55 მიეცათ ვაჭრებს, ხოლო თვით მებამბეებს (ცხადია, მემამულეებს) მხოლოდ—7.

მებამბეობაში კრედიტის საქმე მაინც ყველაზე უფრო განვითარებული იყო ერევნის გუბერნიაში. გაგზავნილი ბამბის დოკუმენტების საფუძველზე სახ. ბანკის ერევნის განყოფილების მიერ გაცემული სესხი უდრიდა:

წლები	სესხის რაოდენობა	სესხის თანხა (მანეთობით)
1909	12	2 473 202
1910	8	1 504 077
1911	7	1 699 712
1912 (9 თვე)[10]	6	1 083 307

აქ საკმაოდ განვითარებული იყო აგრეთვე სათამასუქო კრედიტი. 1909—1912 წწ. თამასუქის დისკონტით გაცემულია სულ 507 000 მან. სესხი.

სულ 1909—1912 წწ. სახელმწიფოებრივი ბანკის ამიერკავკასიური დაწესებულებების მიერ ბამბის ვაჭრებსა და მებამბეებზე გაცემულია 11 255 460 მან. სესხი.

მაგრამ საბჭოურამდელ ამიერკავკასიაში მებამბეობის დაკრედიტებაში მეტ-ნაკლები ზომით მონაწილეობდნენ აგრეთვე კერძო ბანკები, სახელდობრ თბილისის, აზოვ-დონისა და ვოლგა-კამის კომერციული ბანკები.

სხვებზე ადრე ბამბის ვაჭრობის ოპერაციების დაკრედიტება დაიწყო „ვოლგა-კამის კომერციული ბანკის“ თბილისის განყოფილებამ (გაიხსნა 1909 წ.), რომელმაც ბამბის გაგზავნის დოკუმენტებზე და დისკონტებულ თამასუქებზე 1910 წ.

[10] დ. ბეზობრაზოვის მოხსენებაში 1912 წლის მონაცემები. შესულია 1 ოქტომბრის მდგომარეობით.

გასცა 895 000, ხოლო 1911 წ.—1 235 000 მან. სესხი. მნიშვნელოვანი ზომით ეწეოდა „ბამბის ოპერაციებს" ამ ბანკის ბაქოური განყოფილებაც, მაგრამ იგი, როგორც ეტყობა, აკრედიტებდა უმთავრესად ირანული, სახელდობრ, ეზზელისა და სხვ. ნავსადგურებიდან შემოტანილ ბამბას, რომლის წლიური ოპერაცია ამ ხანებში ერთ მილიონ ფუთს აღემატებოდა. იგივე ითქმის „პეტერბურგის საერთაშორისო კომერციული ბანკის", „რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის ბანკისა" და „რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის" ბაქოურ განყოფილებათა მიერ ბამბის გირავნობით გაცემული სესხების შესახებ[11].

„ვოლგა-კამის კომერციული ბანკი" მნიშვნელოვან ოპერაციებს ატარებდა კერძოდ ერევნის გუბერნიაში, სადაც ბამბის გაგზავნის დოკუმენტებზე 1909—1912 წწ. მან გასცა დაახლოებით ერთი მილიონი მანეთი. იგივე ბანკი სათამასუქო კრედიტს უხსნიდა როგორც შემსყიდველებს, ასევე მებამბეებსაც. ამგვარი კრედიტი 1909—1912 წწ. მან გახსნა სულ 156—1 069 000 ათასი მან. თანხისა, საიდანაც მებამბეებზე მოდიოდა 61 კრედიტი—182 000 მან., ხოლო შემსყიდველებზე 95 კრედიტი—887 000 მან. საერთო თანხისა. ამგვარად, შემსყიდველებმა დაახლოებით ხუთჯერ მეტი სესხი მიიღეს, ვინემ მებამბეებმა და ეს მებამბეებიც, ცხადია, მსხვილი მწარმოებლები (მემამულეები) იყვნენ.

ერევნის გუბერნიაში ბამბის ოპერაციებში მონაწილეობდა აგრეთვე „ურთიერთნდობის ერევნული საზოგადოება" და სხვ. კერძო ბანკები. საერთოდ კერძო ბანკების მიერ 1909—1912 წწ. ერევნის გუბერნიაში მებამბეებსა, ბამბის ვაჭრებსა და ბამბასაწმენდი ქარხნების მეპატრონეებზე გაცემული იყო სულ დაახლოებით 10 მილ. მან. სესხი—ბამბის გაგზავნის დოკუმენტებისა თუ თამასუქების დისკონტის სახით[12].

ბამბის გირავნობით სესხს იძლეოდნენ აგრეთვე „ურთიერთნდობის ბათომური საზოგადოება" და ამიერკავკასიაში არ-

---

[11] დ. ბ ე ზ ო ბ რ ა ზ ო ვ ი, დასახ. წიგნაკი, გვ. 11—12.

[12] იქვე, გვ. 14—15.

ებული სხვ. კერძო საკრედიტო დაწესებულებები. ყველა ამ კერძო ბანკების მიერ მებამბეებსა და ბამბის ვაჭრებზე ავანსების, აკრედიტივების და სესხების სახით 1909—1912 წწ. გაცემული იყო დაახლოებით 17.5 მილიონ მან., ხოლო 550 სათამასუქო კრედიტის სახით კიდევ—თითქმის 4 მილ. მან.

ახლა, ხსენებულ თანხებს თუ ამავე პერიოდში სახელმწიფოებრივი ბანკის ამიერკავკასიურ დაწესებულებათაგან ბამბაზე გაცემულ სესხებს, ავანსებსა და აკრედიტივებს მივუმატებთ, მივიღებთ სულ 27,7 მილ. მან. და სათამასუქო კრედიტის 5 მილ. მანეთამდე საერთო თანხას

მოჰყავდა რა ეს მონაცემები ამიერკავკასიელ მებამბეთა ხსენებულ ყრილობაზე, დ. ბეზობრაზოვი იძულებული იყო იქვე აღნიშნა. რომ, მიუხედავად ამ ციფრების სოლიდურობისა, დღემდე მაინც მცირე ზომითაა დაკმაყოფილებული საერთოდ „კრედიტზე არსებული უდიდესი მოთხოვნილებაო"[13].

საბანკო კრედიტს ვაჭარ-შემსყიდველები უმთავრესად ღებულობდნენ მებამბეთა (უშუალომწარმოებელთა) დაავანსებისთვის და ამგვარადაც საბანკო კრედიტი სოფლად ფესვგადგმული მევახშეობის არაიმდენად გამოდევნის. რამდენადაც განმტკიცების საშუალების სახით იყო გამოყენებული. ამასთანავე, როგორც წყაროები მოწმობენ, ბამბის გაგზავნის დოკუმენტებზე გაცემული კრედიტის საერთო თანხა ბევრად უფრო სწრაფად მატულობდა, ვინემ თამასუქის დისკონტის სახით გაცემული სესხის საერთო თანხა. რაც იმის მაჩვენებელია, რომ საკრედიტო პოლიტიკა მიზნად ისახავდა უწინარეს ყოვლისა რუსეთის ცენტრალური გუბერნიების ბამბეულის მრეწველობის ნედლეულით მომარაგების უზრუნველყოფას.

1912 წელს თბილისში შემდგარ მებამბეთა ყრილობაზე ბამბის რეალიზაციის საკითხებზე გამოსული ს. მაზმანაშვილი შეეხო „კერძო ბანკებიდან სოფლებში, უშუალოდ ბამბის მწარმოებლებისთვის ფულის მიწოდების" ორგანიზაციის საკითხს. მოსახლეობის გამოკითხვისა და ანკეტური მონაცემების

[13] იქვე, გვ. 16

მასალები მოწმობენ კერძო ბანკების კრედიტის დიდ საჭიროებას, ამასთანავე „მრავალი სოფლის საზოგადოება სიამოვნებით თანხმდება, რათა ამ ბანკებს მისცეს უზარალო მუშაობის გარანტია", მაგრამ უბედურება ისაა, რომ კანონის ძალით „არც ერთ სოფლის საზოგადოებას არ აქვს უფლება, რომ თემის განაჩენის საფუძველზე იკისროს სავალო ვალდებულება". ამას გარდა იგი აღნიშნავდა, რომ „მოქმედ კერძო საკრედიტო დაწესებულებათა როლი აქამდე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სესხებს აძლევენ მხოლოდ მსხვილ მექარხნეებსა და შემსყიდველებსო"[14].

სახელმწიფოებრივი და კერძო ბანკები უმთავრესად აძლევდნენ მოკლევადიან სესხებს საქონელსა და თამასუქებზე. გრძელვადიანი კრედიტი მხოლოდ იშვიათი შემთხვევების სახით ეძლეოდა მსხვილ მებამბე-მემამულეებს, ფერმერებს. როგორც ითქვა, ყველაზე უფრო განვითარებული იყო სესხის გაცემა ბამბის გაგზავნის დოკუმენტების მიხედვით.

რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში და საერთოდაც ბაჭბის გაგზავნის დოკუმენტებით (დუბლიკატებით) სესხებს. ცხა-

სახელმწიფოებრივი ბანკის თბილისის კანტორის მიერ ბამბის გაგზავნის დოკუმენტების (დუბლიკატების) საფუძველზე გაცემული იყო სესხი[15]

წლები	თბილისის განყ.		ერევნის განყ.		ბაქოს განყ.		სულ	
	დუბლიკატებზე	თამასუქებზე	დუბლიკატებზე	თამასუქებზე	დუბლიკატებზე	თამასუქებზე	დუბლიკატებზე	თამასუქებზე
1909	493 245	180000	2473 202	19000	456 000	—	3 422 447	199000
1910	330 513	90000	1504 077	67000	137 000	—	1 971 570	157000
1911	331 404	88000	1699 711	54000	1 136 000	—	3 161 115	142000
1912	395 756	109000	1083 305	108000	127 000	—	1 606 062	210750
სულ	1 550 918	467000	6 760 296	506500	1 856 000	—	10 167 214	715500

14 ТСХ, I, стр. 152.

15 ЭТЭ, I, стр. 169—170.

დია, იღებდნენ ვაჭრები. რაც შეეხება თამასუქების საფუძველზე გაცემულ სესხებს, მათი ამღებნი, როგორც წესი, იყვნენ მებამბეობის მიმდევარი მემამულეები. ასე რომ წვრილი მწარმოებლები არც სახელმწიფოებრივი და არც კერძო ბანკებიდან არსებითად არავითარ დახმარებას არ ღებულობდნენ.

წვრილმწარმოებელთა საკრედიტო მომსახურება მთლიანად „საკრედიტო ამხანაგობების“ საქმიანობას წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც ქვემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, ეს მომსახურება ფრიად უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა და თანაც უპირატესად სოფლის ბურჟუაზიის, კულაკობის ინტერესებზე იყო აწყობილი.

საკრედიტო ამხანაგობათა მიერ 1912 წ. გაცემული იყო სესხი (მანეთობით)

ადმინისტრ. ერთეულები	პლანტაციის დამუშავებისთვის	თესლის შეძენისთვის	მიწის იჯარისთვის	მანქანებისა და პირუტყვის შესაძენად	სულ
ერევნის გუბერნიაში	171 591	68 582	54 765	153 412	448350
ბაქოს გუბერნიაში	18 637	2 335	10	16 932	37 914

პ. პეტროვიჩი ასკვნიდა: 1912 წ. უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივი შემსყიდველი შუამავლის როლს თამაშობს. ის ყიდულობს და აგროვებს ბამბას თავის თემში და შესაფერისი ფასების დადგომისთანავე მიაქვს იგი რაიონულ ცენტრში, სადაც მოქმედებენ ფირმების კანტორები, ბამბასაწმენდი ქარხნები.

ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების მებამბეობის ახალ რაიონებში „შემსყიდველის როლი განსაკუთრებით დიდია“, აქ მოსახლეობა „მატერიალურად და სულიერადაც დამოკიდებულია მათსავე რიგებიდან გამომხტარი“ მეტიჩრებისაგან—შემსყიდველებისაგან. ზოგჯერ ამ მოსახლეობამ „არამცთუ არა იცის რა ბამბის ფასებზე, არამედ ხშირად ისიც კი არ

იცის, თუ სად საღდება ბამბა და არაა მიმხვდარი, რომ გარდა სოფლის ბობოლასი და მედუქნისა არსებობენ კიდევ სხვა პიროვნებანი და დაწესებულებები, რომლებიც აგრეთვე ყიდულობენ ბამბას". ცხადია, უკეთეს პირობებში არიან გასაღების ბაზრებთან, რკინიგზის ხაზებთან ახლომდებარე სოფლების მებამბენი, რომელთაც შეუძლიათ უშუალოდ დაუკავშირდნენ მექარხნეებსა და კანტორებს. „მაგრამ ეს უპირატესობაც კარგავს მნიშვნელობას, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ შემსყიდველი —ესაა ბანკირი, უკეთა ვთქვათ მევახშე, რომელსაც ხელთ უპყრია მთელი თავისი სოფელი, რომელსაც იგი ამარაგებს საქონლითაც, პურითაც და ფულითაც. რიგითი მებამბე-გლეხი იმდენადაა დამოკიდებული შემსყიდველისგან, რომ ამ უკანასკნელის დახმარების გარეშე მას არ შეუძლია თუნდაც მხოლოდ დასთესოს ბამბა, რომ არა ვთქვათ რა მისი გათოხნისა და მოსავლის აღების შესახებ".

ეჩმიაძინის მაზრის ს. პატარა შაგრიარელი კორესპონდენტის ცნობით „ბამბა ითესება შემსყიდველთა ფულით, იწმინდება მათივე ფულით".

ამგვარად, მებამბეობის რაიონების უმრავლესობა. თუ ყველა რაიონი არა. აბსოლუტურად ხელთ ეპყრათ შემსყიდველებს; წვრილმწარმოებელი მებამბის მთელი მეურნეობა. თვით ოჯახი. მათზე იყო დამოკიდებული. შემსყიდველი პარპაშობდა თავის სოფელში; ადგილობრივი ადმინისტრაცია, არსებითად მისი თანაშემწის როლში გამოდიოდა. შემსყიდველი იმავდროულად. როგორც წესი, გამოდიოდა როგორც მევახშე. სოფლად მხოლოდ მას ჰქონდა ყოველთვის ფული. რაც თითქმის არასოდეს არ ჰქონდა გლეხს. რომელიც ამიტომ გამუდმებულად რჩებოდა შემსყიდველ-მევახშის ყურმოჭრილ მონად და მით უფრო მეტი ზომით. რაც უფრო ვითარდებოდა ფულადი და საქონლური მეურნეობა, სავაჭრო მიწათმოქმედება.

სახელმწიფოებრივ და კერძო საკრედიტო დაწესებულებებსა და ბამბის წვრილმწარმოებელთა შორის შემსყიდველ-მევახშის სახით გაუმჯვირვალი რკინის ფარდა იყო აღმართული.

IX. ამიერკავკასიელ მებამბეთა 1912 წლის ყრილობა

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა მინისტრის განკარგულებით 1904 წელს მოეწყო მებამბეობის კავკასიელ მოღვაწეთა ყრილობები, რომლებშიც მონაწილეობდნენ შესაბამის უწყებათა სპეციალისტები. ყრილობები მიმდინარეობდა ოქტომბრის 5—7 რიცხვებში ს. აღდაშს (ელისავეტპოლის გუბ.) და 14—16 რიცხვებში ქ. ერევანს.

ყრილობათა მიზანი იყო „ისეთ ღონისძიებათა დასახვა, რომელთა განხორციელება შესაძლებელს გახდიდა ამიერკავკასიაში მებამბეობის სწორი და წარმატებით განვითარებისა და ბამბის ბუჩქის კულტურის გავრცელებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნას"[1].

ყრილობებს თავმჯდომარეობდნენ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა მინისტრის მიერ დანიშნული ამავე უწყების მაღალი მოხელეები: პავლოვი და მასალსკი. საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა სამინისტროს რწმუნებულს კავკასიაში, აღმ. ამიერკავკასიაში ბამბის საცდელ-საჩვენებელი მინდვრების გამგებელს აგრონომ ნ. ტარატინოვს.

ყრილობებმა მოისმინეს და განიხილეს წერილობითი და ზეპირი მოხსენებები და გამოსვლები და თავიანთი დადგენილებები წარუდგინეს ზემოხსენებულ სამინისტროს.

ამ ყრილობათა რეკომენდაციებმა, როგორც ერთხმად ადასტურებენ დამკვირვებლები, ხელი შეუწყო ამიერკავკასიური მებამბეობის შემდგომ განვითარებას.

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 495, ფურც. 117.

ერევანს შემდგომა ყრილობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რათა ამიერკავკასიაში მებამბეობის საკითხების შესახებ ყრილობები მოწვეული ყოფილიყო ყოველწლიურად. მომავალი ყრილობა 1905 წელს უნდა შემდგარიყო თბილისში. მაგრამ 1905 წლის რევოლუციის ვითარების გამო განზრახული ყრილობის მოწვევა კარგა ხანით გადაიდვა. რიგმა მოსკოვურმა და ლოძურმა ფირმამ დასტოვა ამიერკავკასიის ბამბის ბაზარი და მებამბეობაშიც ერთგვარი დაქვეითება დაიწყო[2].

მის მერმე საკმაო დრო გავიდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საერთოდ სოფლისმეურნეობრივ წარმოებასა და კერძოდ მებამბეობაში, რომელმაც მალე ახალ დიდ აღმავლობასთან ერთად შესამჩნევი ძვრები განიცადა თავის გეოგრაფიულ გაადგილებაშიაც.

მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში და მე-20 ს. დასაწყისშიც რუსეთის ბამბეულის მრეწველობა დიდი ზომით იყო დამოკიდებული უცხოურ ნედლეულზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ მრეწველობის მიერ მოხმარებული მთელი ბამბის 63 პროცენტი 1900 წელს და 53 პროცენტი 1910 წელს უცხოური იყო და ეს მიუხედავად იმისა, რომ მე-19 ს. 80-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთის ხელისუფლება და კაპიტალისტური მეწარმეობა დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ მრეწველობის მთლიანად მშობლიური ნედლეულით უზრუნველყოფის მიზნით.

შემოზიდული ბამბის უდიდესი ნაწილი ამერიკული იყო. მაგრამ 1912 წელს უკვე მოსალოდნელი იყო რუსეთ-ამერიკას შორის არსებული სავაჭრო ხელშეკრულების (რომლის ვადა 1913 წ. თავდებოდა) გაუქმება. ამ გარემოებამ, ცხადია, უაღრესად აამოძრავა რუსული მრეწველობის ინტერესთა სადარაჯოზე მდგარი მთელი ძალები.

1912 წელს მებამბეობის საკითხებზე შექმნილი მთავრობის კომისია, სახელმწიფოებრივ სათათბიროში შეტანილ თა-

[2] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 669, ფურც. 1.

ვის კანონპროექტში. აცხადებდა: „რუსეთისთვის აუცილებელია თავისი მებამბეობის განვითარება, რათა მას შეეძლოს სავსებით თავისუფლად იყოს შემოზიდული ბამბის გარეშეო“.

მე-20 ს. დასაწყისიდანვე ბამბეულის მრეწველობა და მებამბეობაც დიდი სისწრაფით ვითარდება როგორც აშშ და დას. ევროპის ქვეყნებში. ასევე რუსეთშიაც. პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში რუსეთის ბამბეულის მრეწველობა მოიხმარდა დაახლოებით 24 მილიონ ფუთ ბამბის ბოჭკოს (რომლის საერთო ღირებულება 220 მილიონ მანეთამდე აღწევდა), მაშინ როდესაც ათიოდე წლის წინათ ხსენებული მოხმარება 10 მილიონ ფუთს არ აღემატებოდა.

1910—1913 წწ. რუსეთი, უმთავრესად შუა აზია და ამიერკავკასია, აწარმოებდა დაახლოებით 12 მილიონ ფუთ ბამბას. ე. ი. საკუთარი ტექსტილური მრეწველობისთვის საჭირო ნედლეულის დაახლოებით ნახევარს. ასეთ ვითარებაში, როდესაც, ამასთანავე სულ უფრო იზრდებოდა ბამბის ფასები და ძლიერ მერყევი იყო ბამბის მოსავალი. რუსეთის ბამბეულის მრეწველობა, ცხადია, ფრიად მნიშვნელოვანი ზომით იყო დამოკიდებული უცხოურ ნედლეულზე.

ამავე დროს იმპერიის ტექსტილური მრეწველობის მესვეურები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთს ყველა საშუალება გააჩნია, რათა მიაღწიოს ბამბის წარმოების იმ ზომამდე განვითარებასა და გაფართოებას. რომ მთელი მისი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს საკუთარი ნედლეულით.

მებამბეობის გავრცელება-განვითარების ძირითად რაიონებად, ცხადია, მიჩნეული იყო შუა აზიის სამფლობელოების და ამიერკავკასიის „თავისუფალი, გამოუყენებელი მინდვრები და მათი სარწყავი წყლის მარაგები“. რაც „აქ საკმაო ზომით მოიპოვებოდა“. საჭირო იყო მხოლოდ ბამბის ბუჩქის კულტურის ამაღლება, მაშასადამე, ამ მიმართულებით ხსენებული რაიონების მოსახლეობის დარაზმვა და ამოძრავება;— მათთვის აუცილებელი დასმარების აღმოჩენის ღონისძი-

ებათა შემუშავება და მერმე ცხოვრებაში გატარება. ამ მოძრაობის ინიციატორთა აზრით მებამბეობის განვითარების მიზნით ასეთი ღონისძიებების გატარებას, ამასთანავე ერთად, შედეგად უნდა მოყოლოდა თვით ამ ქვეყნების მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება, საერთოდ სოფლის მეურნეობის პროგრესი და, ამდენადვე, მთელ ამ წამოწყებას „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა“.

მებამბეობისთვის ხელის შეწყობის აუცილებლობას „ააშკარავებდა განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მოვლენები, როდესაც საყოველთაო ხასიათი მიიღო ბამბის ნათესების გაფართოვებისადმი მისწრაფებამ, რაც გამოწვეულია ფასების ძლიერი გადიდებით“. ბამბის კულტურის ესოდენი გავრცელების „თანამდევმა მოვლენებმა უჩვენეს. რომ სასურველი მიზნების მიღწევას. ე. ი. სახელმწიფოს შიგნით ბამბის საჭირო რაოდენობით წარმოებას აფერხებს ბამბის ბუჩქის მოვლა-პატრონობის ტექნიკური პირობების ჩამორჩენილობა, მუშახელის ნაკლებობა. ბამბის გასაღებისა და ვაჭრობის არახელსაყრელი ვითარება, ასევე მებამბეობის თანამდევი (побочный) პროდუქტების მომგებიანად გამოყენების მიუღწევლობა, სარწყავი მიწების ფართობთა განსაზღვრულობა და არსებული სარწყავი სისტემების ჩამორჩენილობა“.

—სწორედ ამ მოვლენათა შესწავლისა და მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებისთვის საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვის მიზნით მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარმართველობის რწმუნებულმა კავკასიაში შუამდგომლობა აღძრა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რათა თბილისში, 1912 წელს, მოწვეული ყოფილიყო „კავკასიელ მებამბეთა და მებამბეობის მოღვაწეთა ყრილობა“[3].

ეს ყრილობა შედგა 1—6 ნოემბერს და მისმა ორგანიზატორებმა წინასწარ ბევრი რამ გააკეთეს იმისთვის, რათა იგი

[3] იქვე, ფურც. 10

რაც შეიძლება მაღალ დონეზე და ყოველმხრივ ორგანიზებულად ყოფილიყო მოწყობილი.

ყრილობას თავმჯდომარეობდა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე, იმპერატორის კარის ჰოფმაისტერი, საიდუმლო მრჩეველი, სენატორი ე. ვატაკი. თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) იყო სოფლის მეურნეობის ინსპექტორი კავკასიაში— ი. ვასილიევი. საორგანიზაციო ბიუროს მუშაობაში მონაწილეობდნენ მებამბეობის დარგის უფროსი სპეციალისტები: ნ. ტარატინოვი, ს. ტიმოფეევი, პ. მედვედევი; მეცხოველეობის დარგის უფროსი სპეციალისტი ა. ქალანთარი; მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარი სამმართველოს აგრონომები: ბ. ფონ-ზეიდლიცი და ვ. ლუგოვსკოი; ინსტრუქტორები: ი. პოპოვი და ვ ფონ-კნორინგი და საქმის მწარმოებელი — ვ. ვოროჟებსკი.

საორგანიზაციო ბიურომ შეიმუშავა ადგილებზე მებამბეობის მდგომარეობის შესახებ ცნობების შეკრების საგანგებო პროგრამა, რაც დაეგზავნა სპეციალისტებს, ინსტრუქტორებსა და აგრეთვე სახაზინო საღალო შემოსავალთა ზედამხედველებს. ამასთანავე გუბერნიებისა და ოლქების უფროსებმა, სახაზინო პალატებმა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა სამმართველოებმა, გამოსაღებთა და ფაბრიკის ინსპექტორებმა და სხვ., წინასწარშემუშავებული გეგმის შესაბამისად, ყრილობის საორგანიზაციო ბიუროს წარუდგინეს ცნობები ბამბის ნათესებისა და მოსავლის, ბამბასაწმენდი ქარხნების, წვრილი კრედიტის დაწესებულებათა, აგრეთვე პირუტყვისა, განსაკუთრებით მუშაპირუტყვისა და მათი საკვები ბაზის მდგომარეობის შესახებ[4].

ყრილობაზე მოწვეული იყვნენ, როგორც ბამბის უშუალო მწარმოებლები, მებამბეები, აგრეთვე ბამბეულის მრეწველობის, ბამბასაწმენდი ქარხნებისა და ბამბის თესლის ზეთსახდელი ქარხნების, ვაჭრობის, კრედიტის, სოფლის მეურნეობის

[4] იქვე, ფურც. 22—23.

საზოგადოებათა წარმომადგენლები და საერთოდ ყრილობის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების სპეციალისტები და დაინტერესებული პირები, რომლებიც ქვეყნის უმაღლესი ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულნი იყვნენ „დახმარებოდნენ ყრილობას მის წინაშე მდგარ ამოცანათა წარმატებით გადაჭრაში“.

სახელმწიფოებრივ უწყებებს ყრილობაზე წარმოადგენდნენ: ფინანსთა სამინისტროს—ნამესტნიკის საბჭოს წევრი, ეგერმაისტერი ნ. ჯუნკოვსკი, მიწათმოქმედების სამინისტროს—თავ. ვ. მასალსკი, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს—თბილისის გუბერნიის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი დ. სუშჩევსკი, მიწათმოქმედების დეპარტამენტს—ამავე დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ა. კნიზე.

ყრილობის დაწყებამდე სტამბურად, წიგნების სახით, დაიბეჭდა მოხსენებები: ს. ტიმოფეევის «Статистика хлопководства в Закавказском крае за 1909—1911 гг»., დ. ბეზობრაზოვის «Государственный и частный кредит», ნ. პეტროვის «Оросительные средства и хлопководство в Закавказском крае», ბ. პეტროვიჩის «Хлопководство в Закавказье по данным анкеты 1912 года»(ეს წიგნი ემყარება ყრილობის დაწყებამდე საგანგებოდ შემუშავებული პროგრამის მიხედვით სმკს სტატისტიკური ბიუროს მოხალისე კორესპონდენტების მიერ შეგროვილ ცნობებს).

ამათ გარდა დაიბეჭდა სარწყავი და ურწყავი ბამბის ნათესების გავრცელებულობის ამიერკავკასიის რუკა. აგრეთვე დიაგრამები: ამიერკავკასიის გუბერნიებში მებამბეობის მდგომარეობის, რუსეთში ბამბის წარმოებისა და მოხმარების, ბამბის მსოფლიო წარმოებისა და მოხმარების და ბამბის მსოფლიო ვაჭრობის შესახებ.

ყველა ეს დაბეჭდილი მასალა დაურიგდა ყრილობაზე მოწვეულთ. ყრილობისთვის მოეწყო ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონის ბამბის ბოჭკოსა და თესლის კოლექციების, აგრეთვე აღდაშისა და ერევნის ბამბის სტანდარტების გამოფენა. აქვე

გამოფენილი იყო მებამბეობის ერთ-ერთი საჩვენებელი მინდვრის მიერ წარმოდგენილი ბამბის ბუჩქები, ბოჭკოები და სხვ.; აგრეთვე ბამბასაწმენდი მანქანები, გუთნები, ფარცხები; სათესები, კულტივატორები და სხვ. სამიწათმოქმედო იარაღ-მანქანები, შიგაწვის ძრავები.

ყრილობის მუშაობის წინასწარ შემუშავებული პროგრამით განსახილველად, მსჯელობის საგნად, მიჩნეული იყო შემდეგი საკითხები.

1. ამიერკავკასიური მებამბეობის უმთავრესი ნაკლოვანებანი.

2. მებამბეობის გავლენა მიწის საიჯარო ქირისა და გასაყიდი ფასების აწევაზე.

3. ბამბის ბუჩქის მოსავლიანობის რაიონობრივი დაცემის მიზეზები და ამ მოვლენის აცილების ღონისძიებანი.

4. ამიერკავკასიაში მებამბეობის შემდგომი განვითარების საქმეში რას უნდა მიენიჭოს უპირველესი მნიშვნელობა: საერთოდ სარწყავი მიწების ფართობის გადიდებას და ირიგაციის მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუ მებამბეობის ტექნიკისა და ინტენსიფიკაციის გაუმჯობესებას.

5. ურწყავ რაიონებში მებამბეობის გაფართოვებისა და განვითარების ღონისძიებანი.

6 ბამბის ბუჩქის კარგი სათესლე მასალით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

7. ამიერკავკასიაში მებამბეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის საცდელი და საჩვენებელი მინდვრებისა და მოსახლეობისთვის ინსტრუქტორული დახმარების მნიშვნელობა და ამ საქმის თანამედროვე საჭიროების შესაბამისად დაყენება.

8. კურსების, ლექციების, საუბრების, გამოფენების და პოპულარული ბროშურების გავრცელების მნიშვნელობა მებამბეობის განვითარების საქმეში და ყველა ამათი ორგანიზაცია, ამიერკავკასიაში მებამბეობის უკეთესად წარმართვისათვის.

9. ბამბის კულტურის დარგში წარმატებისთვის ცალკეულ მებამბეთა წაქეზების მეთოდები.

10. მებამბეობის რაიონების მუშახელით უზრუნველყოფის საკითხი.

11. რა არასასურველი მოვლენები შეიმჩნევა ბამბის ვაჭრობაში მისი წარმოების ადგილებზე და რა ზომებით შეიძლება ამ ვაჭრობის მოწესრიგება.

12. ბამბასაწმენდი და ბამბის თესლისგან ზეთსახდელი ქარხნების საქმიანობის ამიერკავკასიაში მებამბეობის წარმატებისათვის უფრო ხელსაყრელი მიმართულებით წარმართვა.

13. რა ზომებით შეიძლება ხელსაყრელი და იაფი კრედიტით მებამბეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

14. რა მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სოფლისმეურნეობრივ და საკრედიტო ამხანაგობებს და ბამბეულის მრეწველობის ფირმებს მებამბეობის განვითარების საქმეში საჭირო ღონისძიებათა დასახვისა და მათი განხორციელების ორგანიზაციისთვის საჭირო ხარჯების დაფარვაში.

15. რა ზომებია საჭირო მებამბეობის სწორი სტატისტიკის ორგანიზაციისათვის.

16. რკინიგზების ტარიფები და მებამბეობის საჭიროებისამებრ მათი მოწესრიგება.

17. ადგილობრივი ბამბის კომიტეტების მნიშვნელობა ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარებისათვის და მათი დაარსება.

18. იმპერიაში შემოსატან ბამბაზე დაწესებული ზაეები და რუსეთში მებამბეობაზე განზრახული შინაგანი გადასახადები[5].

იმის შესახებ, თუ როგორი სიტუაცია იყო საერთოდ ხსენებული ყრილობის მოწვევის დროისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობის თავმჯდომარის ემანუილ ვატაცის დახასიათებით, ეს იყო დრო, როდესაც „რუსეთი ვანიცდიდა ქვეყნის ბუნებრივი მწარმოებლური ძალების განვითარებისათვის მიმართულ დაძაბულ ღონისძიებათა აყვავების ბედნიერ ხანას. და, ნამდვილადაც, როგორც ჩანს. არ არის მოპოვებითი თუ გადამუშავებითი მრეწველობის ისეთი დარგი, რომელშიც არ იგრძნობოდეს ძლიერი გაცხოველება და წინ მისწრაფებული მედგარი მოძრაობა"[6].

და, აი. სწორედ ასეთ მომენტში მრეწველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში წარმოიშვა დიდი საფრთხე. ეს იყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების არსებული მოცულობის ფარგლებში განახლების სიძნელეებიდან წარმომდგარი შიში. ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ მიერ დაკავებული პოზიცია საბაბს იძლეოდა ეფექ-

[5] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 669 ფურც. 26.
[6] TCX, I, 53.

რათ რუსეთ-ამერიკას შორის საბაჟო ომის მოსალოდნელობაზე.

ამ დროიდან ბამბის საკითხი, რამდენადაც რუსეთის მთელი ბამბეულის მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ამერიკულ ნედლეულზე, გადაიქცა სპეციალური პრესის, საერთოდ ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხად.

დაიწყო საკმაოდ დიდხანს გაგრძელებული ყოველდღიური მსჯელობა შესახებ იმისა, რომ რუსეთის ტექსტილურ მრეწველობას ემუქრება ბამბის შიმშილი, რაღაც მსგავსი იმისა, რაც მან, მთელი მსოფლიოს ბამბაქსოვილის მრეწველობასთან ერთად, განიცადა სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის შტატებს შორის სამოქალაქო ომის დროს.

ასეთ ვითარებაში რუსეთის ბამბეულის მრეწველობის მესვეურნი ვარაუდობდნენ, რომ 1913 წლიდან, როდესაც უნდა შეწყვეტილიყო რუსეთ-ამერიკას შორის არსებული საბაჟო ხელშეკრულება, რუსეთი ვერ მიიღებდა იმ 8 მილიონ ფუთ ბამბის ბოჭკოს, რაც ამ დროს ყოველწლიურად შემოქონდა მას ამერიკიდან. ამგვარად კი რუსეთის ბამბეულის მრეწველობას, რომელიც ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთოდ ქვეყნის ინდუსტრიულ ცხოვრებაში. ერთიორად უნდა შეემცირებინა თავისი მწარმოებლურობა, ამასთანავე არა თანდათანობით, არამედ ერთბაშად, რაც უაღრესად დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ. მაშასადამე, სახელმწიფოებრივ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით პრესა, საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა საჭირო ღონისძიებათა დასახვასა და გატარებას, რათა. რაც შეიძლებოდა სასწრაფო წესებით განევითარებიათ რუსეთში მებამბეობა.

ნამდვილად რუსეთ-ამერიკას შორის საბაჟო ხელშეკრულების ვადის გასვლა და, მაშასადამე. მისი მოქმედების შესაძლებელი შეწყვეტა სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ პრაქტიკულად შეწყდებოდა

ამერიკული ბამბის რუსეთში შემოზიდვის ყოველგვარი შესაძლებლობა. ეს, გარდა სავაჭრო ხელშეკრულების შეწყვეტისა, "ეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის მთავრობა აკრძალავდა რუსეთში ამერიკული ბამბის შეტანას, ანდა რუსეთის მთავრობა დააწესებდა, ამკრძალავ ბაჟებს შემოსატან ამერიკულ ბამბაზე. ასეთი რამეები კი ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

საქმე ისაა, რომ რუსეთს, სავაჭრო ხელშეკრულების შეწყვეტის მერმეც, შეეძლო საჭირო რაოდენობით შეესყიდა ამერიკული ბამბა გერმანიის, ინგლისის, ჰოლანდიის, საფრანგეთის ან სხვ. რომელიმე სახელმწიფოს მეშვეობით. როგორც, მცირე ზომით, ეს კეთდებოდა აქამდეც. საქმის ასე წარმართვა შეიძლებოდა იმიტომაც, რომ ამერიკა აწარმოებდა იმდენად ბევრ ბამბას, რომ მისთვისაც აუცილებელი იყო მისი ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტი. რაც ამ ხანებში ამერიკას ყოველწლიურად აძლევდა ერთ მილიარდ მანეთზე მეტს.

მაგრამ, ცხადია, იყო სხვა მომენტებიც, რაც რუსეთის ტექსტილურ მრეწველობას ამოძრავებდა საკუთარი ნედლეულის ბაზის განვითარების მიმართულებით. ამ მომენტთა შორის აქ საჭიროა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამერიკა მე-19 ს. ბოლოდან მოყოლებული დიდი სისწრაფით ანვითარებდა თავის ტექსტილურ მრეწველობას, რაც სულ უფრო დიდი ზომით მოიხმარდა ამერიკულ ბამბას. ბამბაქსოვილის ნაწარმი საერთოდ მთელ მსოფლიოში გადაიქცა ფრიად ფართო მოხმარების საგნად. ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა და საერთოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ამაღლების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის ყველაზე გავრცელებული ოფიციალური ეკონომიკური დოქტრინები მიუთითებდნენ, რომ ბევრად უფრო სარფიანია სახელმწიფოს საზღვრებიდან გატანა მზანაწარმისა. ვინემ ნედლეულისა, მაშასადამე,—ექსპორტი ტექსტილური ნაკეთობისა, ვინემ ბამბის ბოჭკოსი.

ასეთ შესედულებათა პრაქტიკულ ცხოვრებაში შეჭრა იმ მხრივაც აისახა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბამბაქსოვილის მრეწველობაში დიდი სისწრაფით იზრდებოდა ტიბჟირთა რიცხვი, რაც უდრიდა (მილიონობით): 1860 წელს—10,6; 1890 წ.—14,2; 1900 წ.—19,1; 1910 წ.—28,3 და რაც ამგვარად, სამი ათეული წლის მანძილზე თითქმის სამჯერ ვაზარდა. ასეთი მონაცემები საფუძველს იძლეოდა ეფიქრათ, რომ 20—25 წლის შემდეგ ამერიკა მიაღწევს ისეთ მდგომარეობას, როდესაც თვითონვე შეძლებს გადაამუშაოს მთელი თავისი ბამბა და თავისი ბამბეულის საფეიქრო ნაწარმით მოამარაგოს მრავალი ქვეყანა, ხოლო ევროპის ტექსტილურმა მრეწველობამ თუ მთლიანად არა, დიდი ზომით მაინც დაკარგოს ამერიკული ნედლეული[7].

თავის მხრივ რუსეთს, რომელიც ამ დროს შემოზიდული ამერიკული, ეგვიპტური და ირანული ბამბისთვის 80—100 მილიონ ოქრ. მანეთს იხდიდა, არ შეეძლო არ ყოფილიყო დაინტერესებული საკუთარი ნედლეულის წარმოების გადიდებით და სათანადო ყურადღება არ მიექცია იმ განაპირა ქვეყნებისთვის, სადაც ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები ხელსაყრელი იყო „მზის შვილის“[8] კულტურის შემდგომი განვითარება-გავრცელებისთვის.

რუსეთის იმპერიის ასეთ განაპირა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი შესამჩნევი ადგილი ეკავა ამიერკავკასიას, სადაც სწორედ ამ ხანებში მებამბეობა დიდი სისწრაფით ვითარდებოდა. ამ უკანასკნელი დებულების საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ 1909—1911 წლებში ერევნის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში, ამიერკავკასიური მებამბეობის მთავარ რაიონებში, ბამბის ნათესი ფართობები უდრიდა (ათას დესეტინობით):

---

[7] Л. Рума, «Очерки...», I, 49—51.

[8] ამერიკაში ასე ეძახიან ბამბას.

	1909 წ.	1910 წ.	1911 წ.
ერევნის გუბერნიაში	29,0	35.5	40.4
ელისავეტპოლის „	14,2	26.6	53.3
ბაქოს „	5.6	12,6	23.6
სულ	48.8	74.3	117.3

ამგვარად, მხოლოდ ორი უკანასკნელი (1910 და 1911) წლების მანძილზე ბამბის ნათესების ფართობი გაიზარდა ერევნის გუბერნიაში 39,3%, ელისავეტპოლის გუბერნიაში—275,3%, ხოლო ბაქოს გუბერნიაში—321,4 პროცენტით.

მაგრამ ამ ხანებში ამიერკავკასიური მებამბეობის განვითარება მხოლოდ ნათესი ფართობის ასეთი სისწრაფით გადიდებაში როდი გამოიხატა. დიდი მნიშვნელობისა იყო ისიც, რომ ამასთანავე ერთად. სწრაფად უმჯობესდებოდა მისი ხარისხიც. საქმე ისაა, რომ უხეში და მოკლებოჭკოიანი ყარა-კოზას სორტის თესვიდან მოხდა გადასვლა ამერიკულ სორტებზე, უპირატესად King-ზე და შესამჩნევად ამაღლდა ერთ დესეტინაზე წმინდა ბოჭკოს გამოსავალი. რამაც 10—12 ფუთიდან 15—20 ფუთამდე მიაღწია, იმის შედეგადაც. რომ მოხდა დიდი გაუმჯობესება ბამბის თესლისგან გაწმენდის დარგში. სადაც ხელის ხის ჩიხრიხი საყოველთაოდ შესცვალა ამერიკულმა ჯინებმა და ლინტერებმა;—ყოველწლიურად უფრო ვრცელდებოდა მწკრივზე თესვა და სხვ.

* * *

ასეთი იყო შინაგანი და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც 1912 წლის 1 ნოემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიელ მებამბეთა ყრილობამ, რომელშიც 255 კაცი მონაწილეობდა.

ყრილობის თავმჯდომარე. სენატორი ე. ვატაცი. თავის სიტყვაში მიუთითებდა მებამბეობის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე, რომ მებამბეობის განვითარების საკითხის სა-

სურველი სახით გადაჭრა ნიშნავს ათეულობით და ასეულობით მილიონების, რაც რუსეთიდან ბამბის ბოჭკოსთვის ზღვის იქითა მწარმოებლებს მიაქვთ, ქვეყნის შიგნით შენარჩუნებას:—რომ კერძოდ ამიერკავკასიისთვის ეს ნიშნავს ვრცელი გატიალებული, დაუმუშავებელი და გაუდაბნოებული ველების აყვავებულ პლანტაციებად გადაქცევას;—რომ ეს ნიშნავს უცხოეთის დამოკიდებულებიდან რუსეთის განთავისუფლებას და სხვ.[9].

ყრილობაზე გამოსულმა თავ. ვ. მასალსკიმ აღნიშნა, რომ მებამბეობის საკითხი გადაიქცა თითქმის მთელი ქვეყნის უაღრესად საჭირბოროტო საკითხად, რაც დიდი ხანია არ სცილდება პრესის ფურცლებს. პუბლიცისტიკას, რომ სახელმწიფოებრივმა სათათბირომ შექმნა მებამბეობის საკითხების საგანგებო კომისია და რომ სახელმწიფოებრივმა ბანკმა დიდძალი საშუალებები გამოყო ბამბის კულტურისა და ირიგაციის განსავითარებლად.

თბილისის გუბერნიის მემამულეთა სახელით ყრილობას მიესალმა თავადაზნაურობის მარშლის მოვალეობის შემსრულებელი პ. თუმანიშვილი, რომელიც, სხვათა შორის, გამოსთქვამდა სურვილს, რათა ყრილობის შრომები პოპულარული გამოცემების სახით დაბეჭდილიყო ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამასთანავე ის აცხადებდა, რომ თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატების საკრებულო იკისრებდა ქართულ ენაზე გამოსაცემი ბროშურების ხარჯებს[10].

თბილისის ქალაქის თავის ა. ხატისოვის სიტყვებით ამ ყრილობის წარმატებას „უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი სახელმწიფოსთვის, მთელი ამიერკავკასიისთვის და კერძოდ ქალაქ თბილისისთვის. ჩვენს ქალაქს აკლია ინდუსტრიული განვითარება... აქ არის მხოლოდღა 4 ქარხანა, სადაც წარმოებს ბამბის თესლის გადამუშავება... ქ. თბილისი, რომელსაც ბევრი კაპიტალი აქვს, მოელის დიდ ბიძგს მრეწველობის გან-

---

9 TCX. I, 53—54.

10 იქვე, გვ. 55—56.

ვითარებისათვის". შემდეგ მას მოყავს ცნობილი რუსი მანუ-ფაქტურისტის საბა მორაზოვის სიტყვები, რაც უკანასკნელმა ნიჟნი-ნოვგოროდში ფინანსთა მინისტრისადმი თავის მიმართ-ვაში სთქვა: „რუს ხალხს არ შეშვენის, რომ იყოს უცხო სა-ხელმწიფოს მოხარკეო" და დასძენს: „ამიერკავკასია და ჩვენი ყრილობა დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს გააკეთებენ, თუ გა-ანთავისუფლებენ რუსეთის სახელმწიფოს უნებლიე ხარკისგან, რასაც ის ბამბისთვის იხდის".

სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების წარმო-მადგენელმა მ. ვერმიშევმა აღნიშნა: „ამიერკავკასიაში ბამბის კულტურის გაძლიერებულმა ზრდამ, რამაც 20 მილიონ მანე-თად ღირებულ 2 მილიონი ფუთი ბამბის წარმოებას მიაღწია, და ამ კულტურით გატაცებამ გამოიწვია მთელი გადატრიალე-ბა ამ ქვეყნის მეურნეობრივ ცხოვრებაში. ძველი პატრი-არქალური წყობა, რაც აქამდე არსებობდა, ამიერკავკასიის მრავალ მიყრუებულ კუთხეში ირღვევა მებამბეობის განვითა-რებით წამოჭრილი ახალი ფაქტორების შემტევი მოძრაობით... საქმეთა ძველებურ მდგომარეობაში დატოვება დაღუპავს თვით ბამბის წარმოებას და ასევე ძირს გამოუთხრის ადგილო-ბრივი მოსახლეობის კეთილდღეობას... მე დარწმუნებული ვარ, რომ... კავკასია უკვე მომწიფებულია ადგილობრივი მე-ურნეობრივი ცხოვრების სფეროში დამოუკიდებელი მუშაო-ბისთვის" და ამაში ის მებამბეობის საქმის საჭირო მიმართუ-ლებით გადაჭრითაც დაარწმუნებს ყველასო. ყრილობაზე თბი-ლისელ სომეხთა სოფლისმეურნეობრივი და შინამრეწველური საზოგადოების სახელით გამოსული ა. ქალანთარი ადასტურებ-და, რომ მებამბეობას „უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არა მხო-ლოდ როგორც ერთ-ერთ უმსხვილეს დარგს სოფლის მეურნე-ობისა, არამედ აგრეთვე ფართო ფაბრიკული და შინამრეწვე-ლური ინდუსტრიის თვალსაზრისითაც".

ამიერკავკასიელ მებამბეთა ყრილობაზე ვრცელი სიტ-ყვა წარმოსთქვა მოსკოვის ბირჟის კომიტეტის (რუსეთის ბამ-ბეულის მრეწველობის მონოპოლიური გაერთიანების) წარმო-მადგენელმა ვ. მასალსკიმ: „მოსკოვის ბირჟის კომიტეტი,—

როგორც ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელიც აერთიანებს და გამოხატავს რუსეთის უძველესი მრეწველობის ცენტრალური რაიონის ინტერესებს, რომელთა ფაბრიკებში წარმოებს რუსეთის საზღვრებში მოყვანილი ბამბის საერთო რაოდენობის ოთხმეხუთედზე (80%) მეტის გადამუშავება,—ყოველთვის გულმხურვალედ ეკიდებოდა სამამულო მებამბეობის საჭიროებებს და ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ბედსა და წარმატებებს. ცხოველ ინტერესს იჩენს მოსკოვის ბირჟის კომიტეტი აგრეთვე მებამბეთა ყრილობებისადმი, იმ რწმენით, რომ სამამულო მებამბეობის თანამედროვე მდგომარეობის, მის საჭირბოროტო საკითხთა და მომავალი ამოცანების ყოველმხრივი განხილვა აუცილებლად ხელს შეუწყობს რუსეთის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დარგის, სახელდობრ, მებამბეობის როგორც ტექნიკურ-სოფლისმეურნეობრივ, აგრეთვე ეკონომიკურ-კომერციული საკითხების სწორად დაყენებასა და გადაჭრას". დასასრულ ვ. ჩასალსკი ამიერკავკასიელ მებამბეებს მოუწოდებდა, რათა ადგილობრივი მებამბეობა აემაღლებინათ რუსეთის ტექსტილური მრეწველობის ინტერესების შესაბამის დონეზე[11].

* * *

ყრილობაზე დიდი დრო და ადგილი დაეთმო ი რ ი გ ა ც ი ი ს საკითხებს. ამიერკავკასიური და საერთოდაც იმპერიის მებამბეობის ძირითადი რაიონები ირიგაციაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის პროვინციებში იყო გაადგილებული.

კ. კვეესი, კომერსანტი, აღნიშნავს რომ „ჩვენს პირობებში მებამბეობის გაფართოვების ყველაზე რადიკალურ ღონისძიებას წარმოადგენს ახალი საირიგაციო სისტემის მშენებლობა"— გაუდაბნოებულ მიწებზე სარწყავი მებამბეობის განვითარებისათვის. მაგრამ ამასთანავე ერთად, კ. კვეესს აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნდა ისეთ ღონისძიებათა დასა-

[11] TCX, I, стр. 58—59.

ხვა და გატარება, რაც ხელს შეუწყობდა თვით ბამბის გაიაფებას, რათა „შესაძლებლობა გვქონდეს იაფად ჩავაცვათ ჩვენს ხალხს და იაფი ფასებით ჩვენი მანუფაქტურული საქონლისთვის დავიპყროთ უცხოეთის ბაზრები. ამგვარად, საქმე ეხება როგორც ფინანსურ, ასევე სახელმწიფოებრივ-მეურნეობრივ საკითხებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნან ურთიერთთან განუყრელ კავშირში“[12].

კ. კვეესის გაანგარიშებით უცხოეთიდან შემოზიდული ბამბისთვის გადახდილი 100 მილიონ მანეთიდან 80% მოდიოდა ამ პროდუქტის წარმოების ხარჯებზე, რაც შეეხება დანარჩენ 20%, ე. ი. 20 მილიონ მანეთს, ეს კი შეადგენდა უცხოელთა წმინდა მოგებას, რაც, სხვა სიტყვებით, წარმოადგენდა ზარალს, რომელსაც ყოველწლიურად განიცდიდა რუსეთი, როგორც უცხოური ბამბის მომხმარებელი.

ამავე დროს რუსეთში, სახელდობრ ამიერკავკასიასა და შუააზიაში ერთი მილიონი დესეტინა მიწის საირიგაციო სისტემის აშენებას, ერთ დესეტინაზე ასი მანეთის ვარაუდით, დასჭირდებოდა 100 მილიონი მანეთი. „ესოდენ დიდი თავისუფალი კაპიტალის მოპოვება რუსეთში ასეთი ახალი საქმისთვის, ცხადია, შეუძლებელია. ეს კაპიტალები უნდა მოვიზიდოთ უცხოეთიდან, უპირატესად ინგლისიდან, ანდა იმავე ამერიკიდან და, ამგვარად. ამ წამოწყების მთელი სარფა ისევ იქით, უცხოეთში წავა“.

მერმე ის ანგარიშობს ირიგაციისაგან მოსალოდნელ მოგებას და აცხადებს რომ აქციონერული კომპანია, რომელიც ერთ დესეტინაზე 100 მან. დახარჯავს, ყოველწლიურად მიიღებს 50 მანეთამდე წმინდა მოგებას, ე. ი. დივიდენდი დაბანდებული კაპიტალისა შეადგენს 50%. „ამგვარად, ნაცვლად 20 მილიონი მანეთისა. რასაც ამჟამად შემოზიდული ბამბისთვის წმინდა მოგების სახით უცხოელები ღებულობენ რუსეთიდან, სარწყავი სისტემის გამყვანი უცხოური კაპიტალი აქედან გაიტანდა 50 მილიონ მანეთს“.

---

[12] იქვე, გვ. 112.

ამგვარად, კ. კვეესი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსეთისთვის არ იქნება მიზანშეწონილი ამიერკავკასიაში ირიგაციულ სისტემათა მშენებლობის მიზნით უცხოური კაპიტალის მოზიდვა; ასეთი წინადადებები კი იმ ხანებში ნამდვილად იყო წამოყენებული. მაგალითად, ამერიკული კომპანიები აპირებდნენ. 99 წლის ექსპლოატაციის ვადით, შირაქის ველის მორწყვის ორგანიზაციას.

ა. დემენტიევი იმ აზრს იცავდა, რომელიც მოითხოვდა, რათა ამიერკავკასიის გაუდაბურებული მიწების ირიგაციის, როგორც უაღრესად მომგებიანი საქმისთვის ხელი მოეკიდა თვით სახელმწიფოებრივ ხაზინას. „ზუსტი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ექსპლოატაციის პირველ წლებში მუღანის დღემდე გაუტეხელი მიწები ერთ დესეტინაზე იძლევიან 200 მან. წმინდა მოგებას, ხოლო იმავე ფართობის მორწყვა სულ რამოდენიმე ათეული მანეთი ჯდება. ცხადია, რომ მორწყვის მაქსიმალურად მაღალი ღირებულების პირობებშიაც, რაც 200 მან. შეადგენს, ყველა საამისო დანახარჯები ნაზღაურდება ერთ, უარეს შემთხვევაში კი ორ-სამ წელიწადში, რის შემდეგაც მეწარმეები მიიღებენ დიდძალ წმინდა შემოსავალს ყოველგვარი რისკის გარეშე. ამგვარად, მორწყვის საქმის კერძო პირთათვის გადაცემით ხაზინა ჰკარგავს ნამდვილ ოქროს საწმისსო“[13].

ა. თათევოსიანის აზრით სარწყავი წყლის არსებული მარაგით შეიძლება 1,2 მილიონი დესეტინა თავისუფალი სახაზინო მიწის მორწყვა, მაგრამ ამის ახლო დროში ხაზინის საშუალებებით განხორციელება მიუღწეველი იქნება, რის გამოც აუცილებელია ამ საქმეში კერძო თაოსნობის ჩაბმა, მაგრამ გლეხთა თემებისა (საზოგადოებებისა) და არა მეიჯარე-კაპიტალისტების სახით, რომლებიც თავიანთი მხრივ, როგორც აქამდეც ეს პრაქტიკაშია, ქმნიან უშუალომწარმოებელთა დაკაბალებულ ქვემოიჯარეებს. საქმე ისაა, რომ გლეხთა საზოგადოებებმა უკვე მოასწრეს, ხაზინის მხრივ ყოველგვარი დახმარების გარეშე, საკმაოდ დიდი ფართობების მორწყვის ორგანიზაცია. ამის მა-

[13] ТСХ. I, стр. 118.

გალითად იგი ასახელებს ქუთაისის გუბერნიის მაღლაკისა და ქვიტირის სოფლის საზოგადოებათა მიერ წყლის სამმართველოში შეტანილ თხოვნებს, რათა მათ მდ. რიონიდან 10 000 დესეტინა მიწის მოსარწყავად გაიყვანონ წყალი. აგრეთვე ერევნის გუბერნიის გლეხთა თემების თხოვნას, რომ გაიყვანონ წყალი გოკჩის ტბიდან 95 000 დესეტინა კერძო და სახაზინო მიწების მოსარწყავად და სხვ. „მაგრამ გლეხთა მისწრაფებას, რათა გააფართოვონ სარწყავი მიწები არავინ მხარს არ უჭერს... და მათ არ იციან როგორ დაიწყონ ეს საქმე. ვის მიანდონ საძიებო სამუშაოები, პროექტის შედგენა და სხვ.. რასაც მოითხოვს წყლის სამმართველო და რომლის გარეშე არ შეიძლება წყლის გაყვანა“.

გ. ხატისოვი ძლიერ მუქ ფერებში უხატავს ყრილობას მოსალოდნელი „ბამბის შიმშილის“ ფარფოფით შედეგებს. მას მოყავს მონაცემები. რომლებიც მეტყველებენ ამერიკაში ბამბის ტექსტილური მრეწველობის „გიგანტური ნაბიჯებით განვითარების შესახებ“. რომ სამხრეთ ამერიკაში უკანასკნელი წლის მანძილზე ბამბაქსოვილთა ფაბრიკების რიცხვი ასიდან გაიზარდა შვიდას ორმოცამდე. ხოლო ჩრდილოეთში—სამასიდან სამასორმოცდაათამდე. რომ ბამბის მოხმარება ამ ფაბრიკების მიერ. 1 მილიონ ბარდანიდან გაიზარდა 4.5 მილიონ ბარდანამდე და. რომ. მოსალოდნელია 30—40 წლის შემდეგ ამერიკაში ბამბის წარმოებისა და მოხმარების გათანაბრება, რადგან „იგი მოისურვებს ბამბისგან ყოველგვარი შესაძლებელი მოგება თავისსავე სახლში დაიტოვოს და შეიქნეს ბამბისა და მანუფაქტურული წარმოების მონოპოლიური ქვეყანა“.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამერიკიდან ბამბის გატანის შემცირება და შეწყვეტა უწინარეს ყოვლისა ზიანს მიაყენებს რუსეთს, „რადგან იგი ყველაზე უფროა დაშორებული ამერიკულ ბაზარს. ამიტომაც აუცილებელია რუსეთი დაუყოვნებლივ შეუდგეს თავისთავის ბამბით უზრუნველყოფის თადარიგს. თორემ რუსული მრეწველობის უმსხვილეს დარგს კრახი ემუქრება“.

ეს კრახი რომ თავიდან იქნას აცილებული ამისთვის საჭიროა რათა გზახსნილი მიეცეს ადგილობრივ ინიციატივას. მაგრამ აქ თავს იჩენენ სხვა ძალები, რომელთა აზრი ისაა, რომ „ყველანი არ უნდა იყვნენ მდიდრები და რომ ჩვენ ადგილობრივი მკვიდრნი („ტუზემცები") არ უნდა მიგვიშვან ამ სიმდიდრესთან. ცხადია, რომ მებამბეობის საქმეში ადგილობრივ მკვიდრთა არ დაშვებისა და მათი, როგორც ქვემოიჯარების უგულებელყოფის შემთხვევაში კაპიტალების მოზიდვას უმნიშვნელო ხასიათი ექნება"[14].

ამგვარად, გ. ხატისოვი, სომხური კაპიტალის წარმომადგენელი, იმ აზრს ანვითარებდა, რომ სახაზინო მიწების მორწყვის ორგანიზაციაში ფართო გასაქანი მიეცათ ადგილობრივი, არსებითად სომხური ბურჟუაზიული მეწარმეებისთვის. ამ გზაზე ის გამოდის დემენტიევის წინააღმდეგ. რომელიც იმ აზრს ატარებდა, რომ ხაზინის საშუალებებით მორწყულ მიწებზე ჭლეხებს დაასახლებდა თვით ხაზინა. ცხადია. ეს იქნებოდა არა ადგილობრივი გლეხობა. ხოლო კერძო კაპიტალისტების საშუალებებით მორწყულ მიწებზე შესაძლებელი იყო უპირატესად ადგილობრივი გლეხების დასახლება. დემენტიევის აზრით „სოფლისმეურნეობრივი კულტურების განვითარებისთვის აუცილებელია ლოიალური მოსახლეობა", რომელსაც დაასახლებს თვით სახელმწიფო. გ. ხატისოვი კი მის საწინააღმდეგოდ აცხადებს: „თითქოს კერძო მეწარმეები მიზნად დაისახავენ მიწები მისცენ ყაჩაღებსა და არა მშვიდობიან მოსახლეობასო".

ირიგაციის საქმეში ფართო კერძო ინიციატივის დამცველის როლში გამოვიდა ი. ათაბეგოვიც, რომელიც ამასთანავე ქებით იხსენიებს ამ სფეროში ხაზინის საქმიანობას. მაგრამ ი. ათაბეგოვი ცდილობდა ყრილობისთვის დაემტკიცებინა ამ მიზნით უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზანშეწონილობა. მას მოყავს მაგალითები სხვადასხვა ქვეყნებში საირიგაციო სისტემის, სამიმოსვლო არხების უცხოელთა მიერ გაყვანის დადებითი მნიშვნელობის შესახებ და ბოლოს ასახელებს ინგლი-

[14] ТСХ. I. стр. 126.

სურ-ამერიკული კაპიტალის წარმომადგენლისათვის—სტიუ-
არტისათვის—რუსეთის მთავრობის მიერ მებამბეობის არეა-
ლის გასაფართოებლად სარწყავი სისტემების მშენებლობაზე
ბევრად უფრო დიდმნიშვნელოვანი, სახელდობრ კავკასიაში
ჰიდროელექტრომშენებლობის ნებართვის მიცემის ფაქტს და
კითხულობს: თუ ელექტროსადგურის მშენებლობა შეიძლება
უცხოელთაგან, მაშინ რატომაა შეუძლებელი, რომ მორწყვის
საქმეც მიენდოს უცხოელებსო. მეორე მხრივ, ი. ათაბეგოვი
საჭიროდ სთვლის, რომ ირიგაციის კერძო მეწარმენი მთავრო-
ბის მიერ შეიზღუდოს გარკვეულ მოთხოვნათა შესრულების
ვალდებულებით.

ფრიად მინორული და მოულოდნელი შინაარსისა იყო
ყრილობაზე კავკასიური მებამბეობის პინდარის ნ. ტარატინო-
ვის გამოსვლა: „...ჩანს, რომ ზოგიერთი რაიონისთვის ბამბის
კულტურა არახელსაყრელია. ამავე დროს პური არაა, საბალა-
ხოები განადგურებულია, ჯოგი გადაშენდა. ახლა როდესაც
ბამბის კულტურამ ჩვენში მიაღწია 125 ათას დესეტინას. ის
ლოდივით დააწვა ყველა კულტურას—მარცვლეულს. მევენა-
ხეობას, მეხილეობას და მეცხოველეობას. როგორც ეს ნათლად
ჩანს თბილისის გარეუბნების მაგალითზე. აქ ლაპარაკობდნენ
მორწყვაზე. ეს არაა ადვილი ამოცანა. ჩვენში ბამბისათვის აუ-
ცილებელია მორწყვა. ხოლო ამერიკაში მებამბეობას ეწევიან
ძოწყვის გარეშე, იქ საკმარისია მინდვრის მხოლოდ მოხვნა"[15].

მერმე ის აღნიშნავს, რომ ყარაიაში მორწყული მიწის
ცხრამეათედი ნაწილი 30 წლის განმავლობაში დაუკავებელი,
აუთვისებელი რჩებოდა. „არც კერძო და არც სახაზინო ინი-
ციატივას არ შეუძლია ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით გა-
ნავითარონ ჩვენში მებამბეობა, როგორც ამაზე ლაპარაკობდა
თავ. მასალსკი. ჩვენ არ გვყოფნის მუშახელი, რა ; ძლიერ ამუ-
ხრუჭებს მებამბეობას როგორც ჩვენში, ასევე თურქესტან-
შიც"... განვითარების ტემპების შესახებ ყრილობაზე მეტის-
მეტად ოპტიმისტური მოსაზრებები იყო გამოთქმული. ჩვენ

[15] იქვე, გვ. 132.

დაგვჭირდება „არა 25. არამედ, უკიდურეს შემთხვევაში, 100 წელიწადი რომ შევსძლოთ განზრახულის შესრულებაო“.

თუ ვინ უნდა მოკიდოს ხელი მორწყვის საქმის ორგანიზაციას, ეს ა. შან-გირეის აზრით, ფრიად რთული საკითხია. მაინც კერძო პირებს შეუძლიათ გაიყვანონ არხები შედარებით მცირე ფართობთა მოსარწყავად, ხოლო დიდი მასშტაბის საირიგაციო სამუშაოების შესრულება უნდა იკისროს მხოლოდ ხაზინამ, რომელსაც ყოველგვარი რისკის გარეშე შეუძლია ამ საქმეში დააბანდოს მილიონები. როგორც ჩვენი საირიგაციო საქმის, ასევე ევროპის, ავსტრალიის და ამერიკის „მაგალითები მოწმობენ, რომ ყველა კერძო წამოწყებამ ფიასკო განიცადა... ჩვენს პირობებში... ყველა კერძო წამოწყებასაც იგივე მოუვა. ხოლო ხაზინას კი შეუძლია ხარჯოს რამდენიც უნდა, დაუშვას შეცდომები, შეეშალოს ანგარიში. ის ზრუნავს არა საკუთარი ჯიბისთვის. არამედ საერთოდ სახელმწიფოებრივი მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. მას შეუძლია იცადოს 50 წელიწადი... სანამ მორწყული ადგილები განვითარდებიან და მიზანი მიღწეული იქნება“.

შემდეგ იგი ეხება მებამბეობის შემოსავლიანობის საკითხს. აღნიშნავს მრავალ გაანგარიშებას, რომელთა მიხედვით მებამბეობა უაღრესად მომგებიანი მეურნეობაა და სხვ. და იმასაც, რომ მებამბეთა დიდი უმრავლესობა დავალიანებულია. „საქმე ისაა, რომ ერთი დესეტინის შემოსავლიანობა არ წარმოადგენს მთელი საწარმოს შემოსავლიანობის მაჩვენებელს“, რომ მას ამ საქმეში 40 წლის გამოცდილება აქვს და თითქმის ყველა წამოწყების ისტორია ასეთია. მისი აზრით სარწყავი სისტემების გამყვანი კერძო მეწარმეობა აუცილებლად გაკოტრდება. ხაზინისთვის კი ასეთი საშიშროება არ არსებობს. „ხაზინა არ შეიძლება გაკოტრდეს“.

სწორედ ყრილობის მიმდინარეობის დროს მიწათმოქმედების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შექმნა სპეციალური ორგანო, რომლის მიზანი იყო ირიგაციის საქმის მოწესრიგების მიზნით მორწყვის ნორმების ანუ მოდულის შესწავლა. ამ ორგანოს წარმომადგენელი ა. კოს-

ტიაკოვი ყრილობაზე შეეხო მიწათმოქმედების სამინისტროს მიწათმოწყობის განყოფილების ჰიდრომოდულის ნაწილის მუშაობის საკითხებს, სახელდობრ სახელმწიფოს სხვადასხვა ბუნებრივ-ისტორიულ რაიონში სხვადასხვა კულტურული სოფლისმეურნეობრივი მცენარის ვეგეტაციისათვის მელიორაციის ოპტიმალური ნორმების შემუშავების საკითხებს. საქმე ისაა, რომ კერძოდ „ამიერკავკასიაში მებამბეობის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია მელიორაციის საფუძვლის, სახელდობრ მორწყვის ნორმების შესწავლა“[16].

რამდენადაც ამიერკავკასიაში მებამბეობის „ტექნიკა დაბალ დონეზეა, უფრო დაბალ დონეზე ვინემ შუააზიაში (თურქესტანში), ნ. ზვორიკინის აზრით აუცილებელია მებამბეობის მიმდევარი მოსახლეობის კარგი თესლით, მიწათმოქმედების იარაღებითა და აგრონომიული ხელმძღვანელობით უზრუნველყოფა“. როგორც ცნობილია. გლეხურ მეურნეობაში ყოველგვარი გაუმჯობესება „ფრიად ნელა ინერგება“. ამასთანავე გვიახლოვდება ბამბის შიმშილის საშიშროება. რომელიც მოითხოვს რაც შეიძლება სწრაფად გავადიდოთ ბამბის მოყვანა, რის გამოც ყველაზე რეალური და მიზნის ჩქარა მიღწევის საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ ბამბის პლანტაციების ფართობის გადიდება ახალი. აქამდე ურწყული მიწების მორწყვის გზით“[17].

საერთოდ ირიგაციის საკითხებს მთელი თავისი მუშაობა მიუძღვნა ყრილობის მესამე სექციამ. რომელმაც დაადგინა: ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარებისათვის პირველ პლანზე უნდა დაისვას სარწყავი მიწების ფართობის გადიდება და რომ ეს ღონისძიება უნდა გატარდეს მეურნეობის საერთო ინტენსიფიკაციისა და მისი ტექნიკის გაუმჯობესებასთან ერთად.

საქმე ისაა, რომ წყლის ინსპექტორის მოხსენების მიხედვით ამ დროს ამიერკავკასიის მთელი სარწყავი მიწების ყველა

---

[16] TCX, I, стр. 139—140.

[17] იქვე, გვ. 188.

საზაფხულო კულტურათა 40 პროცენტი დაკავებული იყო ბამბის ნათესებით და რომ ეს უკვე მიაჩნდათ უკიდურეს ნორმად რომლის იქით ბამბის კულტურის გავრცელებას უნდა გამოეწვია თვით მებამბეობის დაცემა შედეგად კულტურათა შეთანაწყობის ყველა შესაძლებელი ნორმის დარღვევისა და, მაშასადამე, ნიადაგის გამოფიტვისა.

ამასთანავე სექციას შესაძლებლად მიაჩნდა გაგრძელებულიყო აღმ. ამიერკავკასიისა და იმიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში ურწყულ მიწებზე მორწყვის გარეშე ბამბის კულტურის დანერგვისა და გაფართოვების ცდები[16].

* * *

მებამბეობის შემოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ბამბის თესლის უტილიზაცია, რა ნიადაგზედაც აქ აღმოცენდა ბამბის ზეთსახდელი წარმოება. ყრილობაზე ამ საკითხს შედარებით ვრცლად შეეხო ს. მაზმანაშვილი. რომელიც სკეპტიკურად აფასებდა მრეწველობის ამ დარგის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. ის აცხადებდა. რომ უკვე წარმოქმნილი ბამბის თესლის ზეთსახდელი ქარხნების „შემდგომი ფუნქციონირება, როგორც საქმის ვითარებიდან და არსებულ მასალათაგან ირკვევა, ფრიად პრობლემატიკურია იმის შედეგად, რომ ბამბის თესლის თვითღირებულება მაღალია. ხოლო საზღვარგარეთის ბაზრები კიდევ მასზე დიდ მოთხოვნას აყენებენ. ამასთანავე მზესუმზირის ზეთის კონკურენციამ, ფასის უმნიშვნელო განსხვავების მეოხებით, კავკასიური წარმოების ბამბის თესლის ზეთი სავსებით გამოდევნა შინაგანი ბაზრიდან“.

საჭიროა აქ აღინიშნოს, რომ ამ დროს ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გაქონდათ 3 მილიონ ფუთამდე ბამბის თესლი, 1 ფუთი—70 კაპ., მაშინ როდესაც ადგილობრივი ზეთსახდელი ქარხნებისთვის 1 ფუთის 40 კაპ. ზევით მისი შესყიდვა არახელსაყრელი იყო.

---

16 იქვე, გვ. 190.

ამასთანავე ს. მაზმანოვი აყენებდა საკითხს, რათა მოეწყოთ მებამბეობის მიმდევარი მოსახლეობისთვის ფართო ინფორმაციის ორგანიზაცია, რომ მათ დროულად ჰქონოდათ ცნობები ბამბის ფასების, მოსავლიანობისა და მოსავლის, ბამბის მიწოდება—მოთხოვნის, ტვირთბრუნვისა და საერთოდ ბამბის მსოფლიო ბაზრის ვითარების შესახებ. ამისათვის მებამბეობის მსხვილ ადგილობრივ ცენტრებში საჭირო იყო ბირჟის კომიტეტებისა და მათთან ერთად სტატისტიკური ბიუროების დაარსება, რათა ამ გზით. ადგილობრივ ენებზე გავრცელებული ბიულეტენებისა და სხვ. საშუალებით მოწესრიგებულიყო ბამბაზე დადებული გარიგებებისა და ანგარიშსწორების ფორმათა რეგისტრაცია, საერთოდ, მწარმოებელთა და გადამყიდველთა შორის სავაჭრო ურთიერთობათა რეგლამენტაცია[19].

ყრილობაზე გამოსული ცნობილი აგრონომი და სოფლის მეურნეობის სტატისტიკოსი ს. ტიმოფეევი აღნიშნავდა იმ უდიდეს მნიშვნელობას. რაც „სტატისტიკას აქვს როორც საერთოდ ცოდნის სფეროში. ისე კერძოდ მეურნეობრ ეკონომიკური ცხოვრების სფეროში“. საქმე ისაა, რომ „მეურნეობრივ საჭიროებათა შესწავლაში სტატისტიკური მონაცემები ესაა დიაგნოზი, რომლისგანაც დამოკიდებულია სწორი ექიმობა, ე. ი. ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება. მხოლოდ მიუდგომელი ციფრები იძლევიან მეურნეობრივი ეკონომიკური ცხოვრების მოვლენათა სახეშეულამაზებელი გაშუქების, მისი სწორი სურათის დახატვის შესაძლებლობას“. ამავე დროს ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და კერძოდ მებამბეობის სტატისტიკა „უაღრესად სავალალო მდგომარეობაშია“.

ს. ტიმოფეევს. როგორც თვითონ აღნიშნავს ამ თავის გამოსვლაში, იმისთვის. რომ შეედგინა მებამბეობის სტატისტიკის შესახებ ყრილობის დაწყებამდე გამოცემული მისი წიგნი, მოუხდა ფრიად რთული სამუშაოს შესრულება, რათა მოეპოვებინა რამდენადმე სანდო ადგილობრივი მონაცემები უახლოეს

[19] TCX, I, стр. 155.

წლებში (1909—1911) ამიერკავკასიური მებამბეობის მდგომარეობის შესახებ. ერთადერთ სანდო წყაროდ მან მიიჩნია რკინიგზების სტატისტიკა, რისთვისაც დეტალურად შეისწავლა სადგურების სატვირთო ბარათები, აგრეთვე ბამბის გასაღებინ ადგილობრივი ცნობები და სხვ., რათა დაედგინა მებამბეობის მთავარ რაიონებში ბამბის ბოჭკოს საერთო მოსავალი.

მაგრამ რკინიგზის სტატისტიკა ბამბის ბოჭკოს მიმოზიდვას ასახავს არა კალენდარული წლის ფარგლებში, არამედ დროის იმ პერიოდში, როდესაც ხდება გასული წლის ბამბის მოსავლის რეალიზაცია, ესაა დრო 1 სექტემბრიდან 1 სექტემბრამდე. საქმეს ისიც ართულებდა, რომ რკინიგზით გადაქონდათ არა მხოლოდ ბამბის გაწმენდილი ბოჭკო, ე. ი. ტექსტილური მრეწველობის ნედლეული, რაც ინდუსტრიულ ცენტრებში იგზავნებოდა, არამედ ნედლი ბამბაც, რაც ადგილობრივ სადგურთა შორის (ბამბასაწმენდ ქარხნებში) იგზავნებოდა და რომელთა აღრიცხვას რკინიგზა ცალ-ცალკე არ აწარმოებდა. მაგრამ ამიერკავკასიის რკინიგზებით რუსეთში მოქონდათ ირანული (სპარსული) და თურქული ბამბაც. ბამბა მიმოქონდათ მტკვარზედაც, მის ქვედაწელზე. საჭირო იყო ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინება, რომ ს. ტიმოფეევს შესძლებოდა საკუთრად ამიერკავკასიაში ბამბის წლიური მოსავლის რაოდენობის დადგენა. იგი ფიქრობდა, რომ, ამ მხრივ, მიაღწია კიდევაც საჭირო სიზუსტეს, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ს. ტიმოფეევის მონაცემებშიც მერმე აუცილებელი შეიქნა მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა[20].

* * *

ყრილობამ აღნიშნა მებამბეობის დარგში არსებული ნაკლოვანებანი და მიიღო რიგი რეკომენდაცია, რომელთა ცხოვრებაში გატარებას ხელი უნდა შეეწყო მებამბეობის განვითარებისთვის. ეს რეკომენდაციები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა მათ მოკლედ მაინც გავეცნოთ.

---

[20] TCX, I, стр. 144—147.

ყრილობის დასკვნით მებამბეობის აღმავლობის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზები იყო: 1. ბამბის კულტურის დაბალი ტექნიკა და მოსახლეობაში გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გაუვრცელებლობა; 2. ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის მხრივ უზრუნველობა; 3. კარგი სათესლე მასალის ნაკლებობა; 4. წყლითსარგებლობის მოუწესრიგებლობა და ზოგიერთ რაიონში სარწყავი წყლის ნაკლებობა, 5. საცდელ-საჩვენებელი მინდვრების სიმცირე; 6. ირიგაციის არარაციონალური წესები; 7. ზოგიერთ ადგილას მეტისმეტი გავრცელებულობა ბრინჯის ნათესებისა, რაც დიდი რაოდენობის წყალს ნთქავს; 8. წყლითსარგებლობისა და მიწათსარგებლობის დარგში არსებულ სამართლებრივ ურთიერთობათა ნაკლოვანებანი; 9. მიწათმფლობელობის დანაწევრება და მიწათაქსაქსულობა; 10. მებამბეობის რაიონებში მუშახელის ნაკლებობა; 11. სამედიცინო დახმარების არასაკმაო დონე და მალარიანი რაიონების გაჯანსაღების საქმისადმი უყურადღებობა; 12. ბამბის ბუჩქის ავადმყოფობათა და მავნებელთა გავრცელება. რომელთა წინააღმდეგ არავითარი ბრძოლა არ სწარმოებს; 13 კალია და მის საწინააღმდეგო ღონისძიებათა პალიატვური ხასიათი; 14. ბამბის ვაჭრობის ნაკლოვანებანი; 15. დაწყებითი, საერთო და სპეციალური სოფლისმეურნეობრივი განათლების სკოლების არასაკმარისობა; 16. კეთილმოწყობილ სამიმოსვლო გზათა და კავშირგაბმულობის ქსელის უქონლობა.

ბამბის მოსაელიანობის დაცემის საკითხი ყრილობის ერთ-ერთ ყველაზე გაცხოველებული მსჯელობის საგანი იყო. მართალია, მოსავლიანობის დაცემის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ გაჩნდათ, მაგრამ რამდენადაც „ცალკე რაიონებში მოსაელიანობის დაცემა უდავო ფაქტს წარმოადგენს", ყრილობამ საჭიროდ დაინახა 1. რაციონალური თესლბრუნვის შემუშავება, მასში პარკოვანი მცენარეების გათვალისწინებით; 2. ბროშურების, ლექციების, პლაკატებისა და სხვ. მეშვეობით ფართოდ გაეცნოთ მოსახლეობისთვის ბამბის ბუჩქის რაციონალური კულტურა; 3. მებამბეობის დიდ რაიონებში გაეხსნათ სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანათა საწყობები და გასაქირავებელი პუნქტები; 4. ბამბის ბუჩქის მავნებელთა ყოველმხრივ შესწავლა, მათ საწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებათა გამონახვის მიზნით.

რამდენადაც მოსახლეობის კარგი სათესლე მასალით მომარაგება მიჩნეულ იქნა „ერთ-ერთ ყველაზე პირველხარისხოვან საკითხად", ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია: 1. მებამბეობის სპეციალისტებმა და ინსტრუქტორებმა ფართოდ გაავრცელონ მოსახლეობაში ცნობები „არსებული საუკეთესო და კეთილსინდისიერი ფირმებისა დ მეთე-

სლეობის მეურნეობათა შესახებ", რომელთაგანაც შეიძლებოდა კარგი სათესლე მასალის შეძენა; 2. ხაზინის მიერ მეთესლეობის პლანტაციების მოწყობა და მთავრობის ეკონომიკური პერსონალის მხრივ კერძო მეთესლეობის მეურნეობათათვის ორგანიზაციული დახმარების აღმოჩენა.

მებამბეობის რაიონების მუშახელით უზრუნველყოფის საშუალებად ყრილობამ დასახა „ბამბის მინდვრების შრომის დამზოგველი მანქანებით დამუშავების გავრცელება" და სამუშაოზე გამსვლელ მუშათა მოზიდვა სხვა რაიონებიდან, რისთვისაც საჭიროდ იქნა ცნობილი საშუამავლო ბიეროს ორგანიზაცია. მუშახელის გამოწერის ყველაზე უფრო მისაღებ რაიონად ყრილობამ მიიჩნია ასტრახანის გუბერნია და იმიერკასპიის მხარე.

გადაუდებელ ამოცანად იქნა დასახული: 1. მებამბეობის რაიონებში საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებების განვითარება, როგორც ბამბის ბუჩქის კულტურის, ისე საერთოდ მემინდვრეობის საკითხების შესწავლისათვის; 2. საცდელი მინდვრების საქმიანობის გაერთიანებისა და კოორდინაციისათვის მათ სათავეში საოლქო სოფლისმეურნეობრივი საცდელი სადგურის ორგანიზაცია. მებამბეთა ყრილობამ მხარი დაუჭირა 1909 წ. შემდგარ კავკასიელ სოფლის მეურნეთა ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებას იმის შესახებ, რომ ასეთი სადგურის მოწყობა მიზანშეწონილია ქ. თბილისში, როგორც კავკასიის კულტურულ ცენტრში; 3. მებამბეობის დარგში საცდელი საქმის უმთავრეს ამოცანებად ყრილობამ დასახა: ა. ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების მიზნით მიწის დამუშავებისა და სასუქების შეტანის და შესაბამისი თესლბრუნვის წესების შემუშავება; ბ. ბრინჯის კულტურის მნიშვნელობის შესწავლა—ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენაზე მისი გავლენისა და აგრეთვე მიწის გაბიცობების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით; გ. მორწყვის ნორმის (მოდულის) გამორკვევა, მისი ტექნიკის შემუშავება,—ნიადაგის გაბიცობების თავიდან აცილების ღონისძიებებთან დაკავშირებით; დ. ბამბის ბუჩქის სორტების შერჩევა, მისი და სოფლის მეურნეობის სხვა, წარმოებრივად მნიშვნელოვან მცენარეთა სელექცია; ე. სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებისა და ხერხების შემუშავება.

იმის გამო, რომ მოსახლეობისთვის აგრონომიული დახმარება ფრიად უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა, ყრილობამ აუცილებლად მიიჩნია გეგმაზომიერი სასწრაფო და ფართო განვითარება ამ საქმისა, როგორც წვრილრაიონული (უბნობრივი) ტიპის ორგანიზაციისა, რომელსაც ცალკე ინსტრუქტორი ეყოლებოდა.

მოსახლეობისთვის აუცილებელი ფართო აგრონომიული დახმარების მიზნით საჭირო, ადგილობრივი პირობების კარგად მცოდნე, სპეციალისტების მომზადებისთვის ყრილობამ გადაუდებელ ამოცანად დასახა ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის საშუალო სასწავლებლის დაარსება.

ყრილობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მებამბეობის განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს მიწის საიჯარო ქირისა და გასაყიდი ფასის ამაღლებაში;—ამასთანავე მან პირველ პლანზე დააყენა სარწყავი მებამბეობის გაფართოების საკითხი, საერთოდ მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და მიწათმოქმედების ტექნიკის გაუმჯობესებასთან განუყრელ კავშირში.

მიწის ზედა თუ მიწისქვეშა სარწყავ სისტემათა მშენებლობის დარგში გარდა წყლის ყველა რესურსების გამოყენებისა, ყრილობამ დღის წესრიგში დააყენა სარწყავი წყლის ეკონომიურად ხარჯვის ორგანიზაციის მიზნით მორწყვის მართებული ნორმების (მოდულების) რაც შეიძლება სასწრაფოდ შემუშავება.

დიდი ყურადღება მიიპყრო არარატის ველის გოჯრის (სევანის) ტბის წყლით მორწყვის საკითხმა. აქ ვარაუდობდნენ დიდძალი გაუდაბურებელი მიწის აყვავებას, რომლის ნაწილი, დაახლოებით 30 000 დესეტინა, შეიძლებოდა ბამბის მთლიან პლანტაციებად გადაქცეულიყო.

კავკასიის ნამესტნიკის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რათა სტიუარტისთვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კონცესიის გადაცემისას გაეთვალისწინებინათ გოჯრის ტბის წყლის არა მხოლოდ ელექტროენერგიის მისაღებად, არამედ, ამასთანავე, ერევნის გუბერნიის მიწების მორწყვისთვის გამოყენება, რამდენადაც ტბის ზედაფენიდან წყლის გაყვანა და, მაშასადამე, მისი დონის დაწევა ხელს შეუშლიდა მიმდებარე მიწების მორწყვისა და, მაშასადამე, მებამბეობის განვითარების საქმეს.

ყრილობამ ერთხმად იშუამდგომლა ხელისუფლების წინაშე, რათა ამიერკავკასიაზე გაევრცელებინათ საერობო თვითმმართველობის შესახებ არსებული კანონმდებლობა; მებამბეობის კულტურის ამაღლების მიზნით სასურველად იქნა აგრეთვე ცნობილი სოფლის მეურნეობის კოოპერატიების განვითარება.

ბამბის თესლისგან გაწმენდა, ე. ი. მისი პირველადი ტექნიკური გადამუშავება, რათა ბამბის ბოჭკო საექსპორტო და საერთოდ შორეულ ბაზრებზე სარეალიზაციო „ქონლის" სახით დაემზადებინათ. ისე, რომ ბოჭკოს ხარისხი (ფერი, სიგრძე) არ დაზიანებულიყო, მოითხოვდა ბ ა მ ბ ა ს ა წ მ ე ნ დ ი ქ ა რ ხ ნ ე ბ ი ს ტექნიკური გაწყობილობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით ყრილობა რეკომენდაციას იძ-

ლეოდა, რათა ამიერიდან აეშენებინათ მხოლოდ უახლესი გაწყობილობით აღჭურვილი ქარხნები და ამ მიმართულებით სახელმწიფოს წაექეზებინა კერძო ინიციატივაცა და სოფლის კოოპერატივები,—მათთვის სესხების მიცემისა და სხვ. სახით.

ბამბის მწარმოებელთა ინტერესების დაცვის მიზნით ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია: 1. ერევანსა და ელისავეტპოლში ბირჟების კომიტეტების დაარსება, რათა მას დაედგინა ბამბის საცნობარო ფასები და ყველა საჭირო ცნობა გაეერცელებინა მოსახლეობაში; 2. შარურ-დარალაგიოზის მაზრაში ხაზინის სალაროს დაარსება; 3. ბამბის კომიტეტებში სწორ სტატისტიკურ ცნობათა მოპოებისა და დამუშავების ორგანიზაცია; 4. ბამბის სტატისტიკური ბიუროს სასწრაფოდ შექმნა; 5. გადაზიდული გაწმენდილი ბოკკოს შესახებ მონაცემები რკინიგზების ანგარიშგებებში ეჩვენებინათ ნედლი ბამბისგან განცალკევებულად; 6. „საგარეო ვაჭრობის მიმოხილვებში" («Обзоры внешней торговли») ცალკე გამოეყოთ ბამბის თესლისა და აგრეთვე კოპტონის საზღვარგარეთ გატანისა და იმპერიაში შემოტანის შესახებ მონაცემები.

ყრილობამ დაამტკიცა კავკასიის ბამბის კომიტეტების დებულების პროექტი. ამიერკავკასიაში გარდა სამხარეო კომიტეტისა, უნდა შექმნილიყო რაიონული კომიტეტები ბამბის წარმოების შესაბამის ადგილებში. ყრილობამ უარყო ბამბაზე „შინაგანი გადასახადების" დაწესების პროექტი.

საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა სახელმწიფოებრივი ბანკის დაწესებულებებს ბამბის გირავნობით სესხი გაეცათ არა მხოლოდ მისი წარმოების ადგილებში, არამედ გასაყიდად გაგზავნის ადგილებში, დაგირავებული საქონლის თვით ბანკის, ანდა კერძო პირთა და კომპანიების საწყობებში შენახვის პირობით; — რათა ბამბასაწმენდი ქარხნების მეპატრონეებისთვის გაეხსნათ სამრეწველო კრედიტი;— რათა გაეწიათ დახმარება რაიონთაშორისი წვრილი კრედიტის კოოპერაციული კავშირების შექმნისათვის და მებამბეობის რაიონებში წვრილი კრედიტის დაწესებულებებს დაკისრებოდა სესხის გაცემა ბამბის გირავნობით აგრეთვე ბამბის გაყიდვის საქმეში საშუამავლო ოპერაციების წარმოება და სხვ[21].

წარმოდგენილ მასალათა განხილვის საფუძველზე ყრილობა იმ აზრამდე მივიდა, რომ ბრინჯის კულტურა ზოგიერთ შემთხვევაში ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას, მაგრამ ამავე დროს ბრინჯის პლანტაციები: 1. იწვევენ მალარიის გავრცელების

[21] საქ სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 69, ფურც. 126—127.

გაძლიერებას და 2. დიდი რაოდენობით (8—10-ჯერ უფრო მეტს ვინემ ბამბა) ნთქავენ სარწყავ წყალს, რის გამოც საჭიროდ იქნა ცნობილი ბრინჯის ნათესების რეგულაცია.

კალიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით ყრილობამ აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია კალიის ყველაზე ინტენსიური გავრცელების ერთ-ერთ რაიონში ენტომოლოგიური საღგურის დაარსება, როგორც კალიის, ისე სხვა მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერული მეთოდების გამომუშავებისთვის.

ირიგაციის საქმის დონის ამაღლებისა და მოწესრიგებისათვის ყრილობამ წყლის სამმართველოს წინაშე იშუამდგომლა, რათა გაედიდებინათ პიდრავლიკოს-ინჟენერთა შტატები, რამდენადაც ამ სისტემაში მომუშავეთა შედგენილობას შესაძლებლობა არ ეყოფნ-და ამიერკავკასიის მრავალრიცხოვან სასოფლო საზოგადოებათათვის საკმაო ზომით გაეწია მომსახურება[22].

მაგრამ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების საკითხმა ყრილობაზე უფრო ფართოდ იჩინა თავი. საქმე ისაა, რომ სახეზე არსებულ სპეციალისტთა შორისაც ძლიერ მცირე იყო ადგილობრივი პირობების და. რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობის ენების მცოდნე ადამიანები; სპეციალისტები, როგორც წესი, რუსეთის შიგა გუბერნიებიდან ჩამოყავდათ. ჩვენ ზემოთ ტყეცილა როდი ამოვწერეთ ყრილობის ორგანიზატორებისა და მთავარ მოქმედ პირთა გვარები. ყრილობის მუშაობაში ადგილობრივი სპეციალისტები სულ უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ. ცარიზმის ბიუროკრატია ყოველმხრივ აბრკოლებდა განაპირა ჩვეყნების აბორიგენული ინტელიგენციის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე გამოსვლას, თვით ამ ინტელიგენციის აღზრდასა და გამრავლებას. მათი შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა-განვითარებას.

---

22 TCX, I, стр. 49—50.

X. ამიერკავკასიური მებამბეობის ზოგიერთი საერთო საკითხი

მე-19 საუკუნიდან ამიერკავკასიაში მებამბეობის განვითარების გზებს საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავდა რუსეთის ტექსტილური მრეწველობა. ბამბეულის მრეწველობა რუსეთში ჯერ კიდევ ფეოდალურ ურთიერთობათა წიაღში ჩამოყალიბდა როგორც კაპიტალისტური წარმოება.

ვ. ლენინი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რა ამ თავისებურებას. წერდა. რომ რუსეთში „ბამბეულის მრეწველობის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ორგანიზაციაც კი გლეხთა განთავისუფლებამდე ჩამოყალიბდა. რეფორმამ ამ მხრივ მხოლოდ ბიძგი მისცა ს ა ბ ო ლ ო ო განვითარებას; მან პირველ ადგილზე შრომის პროდუქტის საქონლური ფორმა კი არ წამოსწია. არამედ მუშაძალის საქონლური ფორმა; მან დაადასტურა არა საქონლური. არამედ უკვე კაპიტალისტური წარმოების ბატონობა“[1].

ბამბასართავი ტიბჟირების რაოდენობა რუსეთში 1890 წ. უდრიდა 3.5 მილიონს. ხოლო 1914 წელს ეს რიცხვი 9.2 მილიონს აღწევს, ე. ი. 24 წლის განმავლობაში 2,6-ჯერ გაიზარდა. მაინც. მიუხედავად ასეთი ტემპისა. რუსეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა იმდროინდელ მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებს. ტიბჟირთა რაოდენობა (უწყვეტი მოქმედების სართავ ტიბჟირზე გადაყვანით) მოსახლეობის 1 სულზე 1913 წელს უდრიდა: რუსეთში—45, გერმანიაში—156, აშშ—311, ინგლისში—888. ამავე ხანებში წლიურად გადამუშავებული ბამბის საერთო რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე კილოგრა-

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. I, გვ. 601.

მობით უდრიდა: რუსეთში—2,4; საფრანგეთში—6,2; ინგლისში—8,0.[2]

მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში და მე-20 ს. დასაწყისში რუსეთის ტექსტილური და კერძოდ ბამბაქსოვილის მრეწველობა თითქმის მთლიანად უცხოეთზე იყო დამოკიდებული და არა მხოლოდ საჭირო ნედლეულის მხრივ, რომლის 90 პროცენტს 1890 წელს ამერიკიდან შემოზიდული ბამბის ბოჭკო შეადგენდა, არამედ მრეწველობის ძირითადი კაპიტალის მხრივაც, რომლის 20 პროცენტზე მეტი უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. უცხოეთიდან გარდა ნედლეულისა შემოქონდათ გაწყობილობის, საღებავ ნივთიერებათა, ქიმიკატების მნიშვნელოვანი ნაწილი; ტექსტილური მრეწველობის წამყვანი კადრების ნაწილს უცხოელი სპეციალისტები შეადგენდნენ.

საფეიქრო საწარმოები გაადგილებული იყო ტექსტილური მრეწველობის ნედლეულის წყაროებიდან დაშორებულ ადგილებში. მებამბეობის ცენტრები იყო შუა აზია და ამიერკავკასია, ხოლო ბამბეულის მრეწველობისა—ცენტრალურ-სამრეწველო და ჩრდილოეთ-დასავლეთის რაიონები. სადაც თავმოყრილი იყო მთელი ტექსტილური მრეწველობის 80 პროცენტზე მეტი. იაფი მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით მეფაბრიკეები საწარმოებს აშენებდნენ აგრარული გადამეტმოსახლეობის რაიონებში. ტექსტილური მრეწველობის არასაკმაო კომბინირებულობისა და ნედლეულის ბაზებიდან მოწყვეტილობის გამო საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის დონე დაბალი იყო. ამავე დროს უფრო მაღალი მოგების მიღების მიზნით უკვე მე-19 ს. 80-იანი წლებიდან დაიწყო ტექსტილის ფაბრიკანტების მონოპოლისტურ გაერთიანებათა წარმოქმნა.

მოსკოვის რაიონის ბამბეულის მრეწველობა. სართავ-საფეიქრო და ბამბის კომიტეტების სახით. მოსკოვურ ბირჟის კომიტეტში იყო გაერთიანებული. 1911 წელს სართავ-საფეიქ-

[2] «Статистико-экономические показатели хлопчатобумажной промышленности капиталистических стран». 1961. М.

რო კომიტეტი აერთიანებდა 37 ფირმას, რომელთა საწარმოებში მუშაობდა 3,5 მილიონი ტიბეირი და 53,4 ათასი საფეიქრო დაზგა. 1910 წლის დამდეგს ეს კომიტეტი შევიდა ფაბრიკანტთა საერთაშორისო ფედერაციაში, რომელიც იმხანად აერთიანებდა ტიბეირთა მსოფლიო რაოდენობის 86 პროცენტის (სახელდობრ 111 მილიონ ტიბეირის) მფლობელ კაპიტალისტებს.

რაც უფრო ვითარდებოდა რუსეთში ბამბაქსოვილის მრეწველობა იგი მით უფრო მიისწრაფოდა საზღვარგარეთული. კერძოდ აღმოსავლეთის ბაზრებისკენ. მართალია, ბამბაქსოვილთა ნაწარმზე მოთხოვნილება თვით ქვეყნის შიგნით ნაკლებად იყო დაკმაყოფილებული, მაგრამ მაინც იზრდებოდა ამ საქონლის ექსპორტი, რაც 1902 წელს შეადგენდა საერთო პროდუქციის 3,5, ხოლო 1912 წელს—4,8 პროცენტს. პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთს საზღვარგარეთ გაქონდა დაახლოებით 17.2 ათასი ტონა (200 მილიონი მეტრი) ბამბაქსოვილის ნაწარმი.

საბჭოთამდელ რუსეთში, როგორც საერთოდ მრეწველობა, ისე კერძოდ ტექსტილური წარმოება არათანაბარზომიერად იყო გაადგილებული. ტექსტილური მრეწველობა თავმოყრილი იყო უმთავრესად ცენტრალურ-სამრეწველო, ჩრდილოეთ-დასავლეთისა და დასავლეთის რაიონებში.

მე-19 ს. 80-იანი წლებიდან, ამიერკავკასიისა და იმიერკასპიის რკინიგზების გაყვანის შემდეგ, რუსეთის ტექსტილური მრეწველობის ცენტრები, რომლებიც მანამდე უმთავრესად ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან შემოტანილ უცხოურ ბამბას მოიხმარდნენ, მჭიდროდ დაუკავშირდნენ შუააზიისა და ამიერკავკასიის ნედლეულის ბაზებსა და გამსაღებელ ბაზრებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუააზიის ბამბას, რომლის ხვედრიწონა რუსეთის ბამბაქსოვილის მრეწველობის ნედლეულის ბალანსში თუ 1886 წელს მხოლოდღა 4 პროცენტს შეადგენდა 1910 წელს უკვე 50 პროცენტამდე აღწევს.

ქვემომოყვანილი ცხრილი წარმოდგენას იძლევა, თუ რა რაოდენობის ბამბა გაქონდათ შუააზიიდან და ამიერკავკასიიდან დასახელებული წლების სეზონებში (სექტემბერ-აგვისტოს თვეებში) ფუთობით.

ბამბის გატანა 1905—1915 წწ. (ფუთობით)

სეზონები	შუა აზიიდან	ამიერკავკასიიდან	სულ
1905—06	8 333 000	—	—
1906—07	9 948 000	—	—
1907—08	10 153 000	—	—
1908—09	7 792 015	972 000	8 764 015
1909—10	10 498 651	812 895	11 311 545
1910—11	12 570 031	1 355 501	13 925 532
1911—12	11 639 384	1 781 010	13 420 394
1912—13	11 447 331	1 653 761	13 101 092
1913—14	12 617 913	1 585 996	14 203 909
1914—15	15 572 206	1 749 808	17 322 013

პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში ბამბის ბოჭკოზე რუსეთის იმპერიის ბამბაქსოვილის მთელი მრეწველობის მოთხოვნის დაახლოებით ნახევარს (1913 წელს—53 პროცენტს) აკმაყოფილებდა უმთავრესად შუააზიისა და ამიერკავკასიის სანედლეულო ბაზა. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მშობლიური ნედლეულის როლი და მნიშვნელობა შედარებით სწრაფად იზრდებოდა.

მაგალითად, 1890—1910 წწ.. ე. ი. ოცი წლის მანძილზე რუსეთის იმპერიის ხსენებულ განაპირა ქვეყნებში ბამბის წარმოება თითქმის ექვსჯერ გაიზარდა და. ამგვარად. გაწმენდილი ბამბის ბოჭკოს მთლიანმა მოსავალმა შეადგინა:

1890 წელს .	1 986 000	ფუთი
1900	6 111 000	
1910	11 240 000	

როგორც ზემომოყვანილი ცხრილიდან ჩანს. შემდგომ წლებში ბამბის მოსავალი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გადი-

დდა და 1914—1915 წწ. სეზონში მან უკვე 17 მილიონ ფუთს გადააჭარბა[3].

მიუხედავად ამისა, თვითმპყრობელობის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის მეოხებით საქმე ისე წარიმართებოდა, რომ ტექსტილური მრეწველობის გეოგრაფიულ გაადგილებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ნედლეულის რაიონებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, იქმნებოდა მხოლოდღა შინამრეწველური და ნახევრადშინამრეწველური საწარმოები, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ნედლეულის მარტოოდენ პირველადი გადამუშავებისათვის.

„ცალკე პირთა ცდები შუააზიასა და ამიერკავკასიაში დაეარსებიათ ტექსტილური ფაბრიკები სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ მეფის ადმინისტრაციისა და უმსხვილესი ტექსტილური კომპანიების მხრივ, რომელთაც ეშინოდათ კონკურენციის, ცენტრის მრეწველობა-ს მზანაწარმის გასაღების, ბაზრების შემცირების და ნედლეულით მომარაგების გაუარესების შესაძლებლობისა. ბურჟუაზიის და მეფის მთავრობის შემოსავალთა დიდ წყაროს წარმოადგენდა არა ქვეყნის განაპირა რაიონების მწარმოებლურ ძალთა განვითარება, არამედ ამ რაიონების მოსახლეობის ნახევრადფეოდალური ექსპლოატაცია“[4].

ამ განაპირა რაიონებს, „რომლებიც კოლონიურ ან ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ძალდატანებით ამყოფებდნენ მიმწოდებლის როლში ყოველგვარი ნედლეულისა, რომელთა გადამუშავება ხდებოდა ცენტრში“[5]. ეს იყო მიზეზი არა მხოლოდ განაპირა ქვეყნების გამუდმებული ჩამორჩენილობისა, არამედ, აგრეთვე, საერთოდ განვითარების

---

[3] С. Тимофеев. «Статистика хлопководства в Закавказском крае за 1909—1911 гг», 1912, Тифлис, стр. 1—2.

[4] И. Иоффе, Л. Майзлин, «Экономика текстильной промышленности», учебник, 1959, М., стр. 153.

[5] «КПСС в резолюциях и решениях съездов, конференции и пленумов ЦК», 1953, ч. I, стр. 559.

დაბალი ტემპებისა, დიდძალი სახალხომეურნეობრივი დანაკარგებისა, შორეული, არარაციონალური გადაზიდვებისა და სხვ.

* * *

მე-20 საუკუნის პირველ ათეულში მოსკოვის ბაზარზე თავისი წარმომავლობის მიხედვით ამერიკული თესლისგან მიღებული რუსული, ე. ი. მუაზიური ბამბა უმთავრესად ნაწილდებოდა (იყოფოდა) ფერგანულ, ტაშკენტურ, სამარყანდულ, ქივურ, კასპიისიქითა, ბუხარულ და სხვ. სორტებად. კერძოდ ამიერკავკასიური ბამბის მთავარი სორტები იყო: ერევნული, აღდაშური და მუღანური. ანსხვავებდნენ აგრეთვე კავკასიურ „ყარა-კოზას“ („ყარა-კუზას“) სორტსაც. როგორც „ადგილობრივ“ ბამბას[6].

ამიერკავკასიის მებამბეობის წამყვან რაიონებში, სახელდობრ ერევნის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში ბამბის კულტურის გავრცელებამ, როგორც უკვე დავინახეთ, გამოიწვია საფუძვლიანი ცვლილებები მთელ სახალხომეურნეობრივ წყობაში, მოსახლეობის ყოფიერებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

მაგალითად, ელისავეტპოლის გუბერნიაში ძირეულად იცვლება მემამულე-ბეგისა და მიწისმუშა გლეხების (რაიატების) ურთიერთდამოკიდებულება, იცვლება მეურნეობრივ საქმიანობაში მემამულის როლი და ფუნქციები. თუ წინათ მემამულე „აწესრიგებდა“ გლეხის მეურნეობას, რაც მისი შემოსავლის წყარო იყო, ამიერიდან იგი იწყებს ცდებს მოაწესრიგოს მთლიანად მთელი თავისი მამული, მიწები, რომლებზედაც ცხოვრობენ თვით მემამულის, სახელმწიფოსა და საკუთარი ოჯახების მარჩენალი გლეხები.

ეს ჩარევა უწინარეს ყოვლისა ვლინდება მიწის საიჯარო ქირის გადიდებისა და საერთოდ უშუალომწარმოებელთა ექსპლოატაციის გაძლიერების მიმართულებით და ეს ღონისძიება

---

[6] «Справочная книжка по хлопководстве в СССР», стр. 189—191.

თვით მემამულეთა შეხედულებით, წინააღმდეგ ყოველგვარი საღი ეკონომიკური მოსაზრებებისა, იმავდროულად მოწოდებული იყო ეთამაშა შრომის მწარმოებლურობისა და, მაშასადამე, მოსავლიანობის ამაღლების ფერმენტის როლი.

მაგრამ ადრე თუ გვიან, მეტნაკლები ზომით, აშკარა ხდება ამგვარი „თაოსნობის" უნიადაგობა და შემოსავლის წყაროთა გადიდებისთვის მზრუნველი მემამულე იწყებს უშუალოდ თვითონვე ჩაუდგეს სათავეში თავის მეურნეობას, იწყებს გაიჩინოს თავისი ნათესები, რისთვისაც ის იყენებს შრომამიგების საფუძველზე მის მინდვრებზე მომუშავე გლეხების ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს, ე. ი. ჩამორჩენილ, არქაულ ტექნიკას და, ამგვარად, ე. ი. ძველი ტექნიკის საფუძველზე ცდილობს ახალი ტიპის მეურნეობის შექმნას, რასაც, ცხადია, საბოლოო ანგარიშით, არ შეეძლო მარცხი არ განეცადა. მაგრამ ამ პროცესის ვითარებაში მემამულე იწყებს შეიძინოს მიწათმოქმედების საკუთარი ინვენტარი, რაც მანამდე, რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობით, მას არასოდეს არ გააჩნდა, და რაც მთავარია ის, ძველ და დაძველებულ იარაღებთან ერთად იძენს ახალ, გაუმჯობესებული კონსტრუქციის იარაღებს, რომელთა წარმოებაში დანერგვასა და გავრცელებას, არსებულ ვითარებაში, ცხადია, არ შეიძლებოდა მეტნაკლები ზომით არ მოყოლოდა შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება.

ასეთ პირობებში, სავაჭრო მიწათმოქმედების შემდგომი განვითარების შესაბამისად ბამბის პლანტაციები ჩნდებიან მიწის ახალ მასივებზე, მანამდე გაუტეხელ და გამოუყენებელ მიწებზე. მაგრამ რამდენადაც ასეთი მიწების დიდი ნაწილი მხოლოდღა სარწყავების სახით იყო შემორჩენილი, ცხადია, აუცილებელი ხდება საირიგაციო სამუშაოთა გაშლა-განვითარება, რაც თავის მხრივ, როგორც უკვე დავინახეთ, ხელს უწყობდა არა მხოლოდ მებამბეობის, არამედ საერთოდ სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებასა და, მაშასადამე, სოფლის მოსახლეობის ყოფიერების ევოლუციას.

რაც უფრო ფართოდ წარიმართებოდა ეს მოვლენები, მით უფრო დიდი ცვლილებები მიმდინარეობდა წარმოებისა და ცხოვრების სიღრმისეულ პროცესებში. იკვეცებოდა მომთაბარე მეცხოველეობის არეალები, იხუთებოდა საბალახოთა ველების მეჯოგეთა უკიდეგანო მიმოძრაობა და თვით პატრიარქალური ყოფიერება,—ყალიბდებოდა ახალი ტიპის მოიჯარეთა კლასი, იზრდებოდა მიწის იჯარის ქირა და, შესაბამისად ამისა, თანდათანობით ქრებოდნენ ბამბის წვრილი პლანტაციები.

ერევნის, ელისავეტპოლის, ბაქოს გუბერნიების მაზრათა უმრავლესობაში და თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში ჩნდებიან ბამბის ნათესები, მსხვილი პლანტაციები, რომელთა ფართობები 50, 200, 500 და 1000 დესეტინასაც კი აღწევენ.

ამ სახით კი წარმოიქმნენ მსხვილი სავაჭრო მამულები, „სოფლის ეკონომიები", როგორიც იყვნენ, მაგალითად, „ევლახ-მიულქი" (ტაგიევისა), აგრეთვე ავან-იუზბაშევის, არამიანცის, თამამშევისა და სხვ. მეურნეობები. მებამბეობის მსხვილ რაიონებში, მაგალითად, მუღანის ველზე წარმოიშვნენ კაპიტალისტური მოიჯარეები, ტიპიურად კაპიტალისტური ფერმერები, რომლებიც, ზოგიერთი დამკვირვებელის აზრით, „დასავლეთ-ევროპული და თვით ამერიკული ტიპის" ფერმერებს წარმოადგენდნენ[7].

ცხადია, ამ სიახლეთა შემოტევა მხოლოდ იწყებოდა... თვით პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში წვრილი მეურნეობების, დაბეჩავებულ წვრილმწარმოებელთა, გაღატაკებულ წვრილმოიჯარეთა ზღვაში მხოლოდ შორიშორ გაბნეული კუნძულების სახით მოჩანდა მსხვილი, კაპიტალისტური მეურნეობები, რომელთა პროდუქცია, ისევე როგორაც თავისუფლადდაქირავებულ სოფლის მუშათა მასა, შედარებით მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი ბამბის წარმოებაში, საერთოდ სოფლის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ მსხვილ მემამულეებსაც ყოველთვის როდი ჰქონდათ წესიერად აწყობილი მეურნეობა. მაგალითად, 1908 წელს

---

[7] П. Петрович, «Хлопководство в Закавказье», I, 149.

ამამიანცის „ეკონომიაში“—სოფლისმეურნეობრივ საწარმოში (ბორჩალოში)—ბამბის სათესი მიწების მოხვნა მხოლოდ მაისის დამდეგს დაამთავრეს, „რაც იმ გარემოებით აიხსნება, რომ არამიანცის მეურნეობაში, სადაც ბამბას უჭირავს 170 დეს. ფართობი, საკმაო რაოდენობით არ აღმოაჩნდათ გუთნები“[8], რის გამოც ბამბა დაგვიანებით, მაისის პირველ რიცხვებში დაითესა.

ეს არათანადროულობა ბამბის პლანტაციების თავდაპირველ სამუშაოთა შესრულებაში „აიხსნება ამ მეურნეობაში მიღებული ბამბის კულტურის თავისებური სისტემით: ეს ეკონომია, უნდა ითქვას, თვითონ არ ეწევა მებამბეობას. ამას ეწევიან ერევნის გუბერნიიდან გადმოსული გლეხები, რომლებიც არამიანცისგან ღებულობენ მიწას, სათესლე მასალას“ და, ამას გარდა, არამიანცი კისრულობს მინდვრების მოხვნა-დაფარცხვას; გლეხები, რომლებიც ასრულებენ ყველა დანარჩენ სამუშაოს, მეპატრონეს აძლევენ მოსავლის ნახევარს. ასეთ პირობებში, ცხადია, არამიანცი საჭიროდაც არ სთვლიდა მიეღო ზომები მეურნეობის უფრო წესიერი მოწყობისთვის, როგორც ჩანს, არამაღალი მოსავალიც მას მაღალ მოგებას აძლევდა[9].

* * *

ჩვენ ზემოთ გავეცანით ამიერკავკასიის მებამბეობის წამყვან რაიონებში ბამბის კულტურის განვითარების ძირითად მომენტებს.

ახლა საერთო წარმოდგენისთვის საჭიროა ვიცოდეთ ამიერკავკასიური მებამბეობის, ასე ვთქვათ, ზოგადი სურათი.

ცალკე გუბერნიების მიხედვით მებამბეობის (ბამბის პლანტაციების) გაადგილების შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემომოყვანილი ცხრილი (გვ. 475).

---

[8] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243. საქმე № 537, ფურც. 101.

[9] იქვე, ფურც. 102.

ბამბის ნათესები (პლანტაციები) ამიერკავკასიაში (დესეტინობით)[10]

წლები	ერევნის გუბ.	ელისავეტპოლის გუბ.	ბაქოს გუბ.	თბილისის გუბ.	ქუთაისის გუბ.	სულ
1909	29 000	14 200	5 600	520	850	50 170
1910	35 500	26 600	12 200	1 600	1 900	77 800
1911	40 400	53 300	23 600	5 900	2 750	1 25 050
1912	36 200	46 650	21 450	5 370	2 780	1 12 450
1913	38 300	60 800	30 900	5 100	2 400	1 27 500
1914	44 000	53 000	40 000	8 200	3 700	1 48 900
1915	30 000	36 000	24 000	1 600	650	1 15 500
1916	30 000	34 000	27 000	1 000	1 500	94 300
1917	18 000	20 000	13 500	200	1 000	52 700
1918	—	—	—	—	—	2 500
1920	—	—	—	—	—	3 08

როგორც ვხედავთ, მე-20 საუკუნიდან ერევნის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებზე, ხოლო მე-19 ს. ყურძოდ ერევნის გუბერნიაზე მოდიოდა ამიერკავკასიაში ბამბის პლანტაციებით დაკავებული ფართობის უდიდესი ნაწილი. მეოცე საუკუნიდან სწრაფად დაწინაურდა აზერბაიჯანი, განსაკუთრებით კი ელისავეტპოლის გუბერნია, რომელმაც 1911 წელს უკვე საბოლოოდ გაუსწრო ერევნის გუბერნიას, რომელზეც მე-19 ს. და მე-20 ს. პირველ ათეულ წლებში მოდიოდა ამიერკავკასიის ბამბის მთელი ფართობის დაახლოებით 70—60 პროცენტი.

---

10 С. Тимофеев. «Статистика хлопководства в Закавказском крае за 1914 год», 1916. Тифлис; «Народное хозяйство Закавказья в цифрах», 1927, Тифлис; «Закавказье», статистико-экономический сборник. 1925. Тифлис; И. Авалишвили, «Площадь. сбор и урожайность хлопчатника в Закавказье 1909—1914 и 1924—1928 гг.», 1928, Тифлис; «Статистический сборник 1909—1921», изд. ЦСУ Грузии, 1923 г., Тифлис; «Кавказский календарь на 1916 г.». 1917. Тифлис; «Справочная книжка по хлопководству в СССР», 1925, Москва.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში ბამბის ნათესი ფართობები იზრდებოდა სხვა კულტურათა გამოდევნის და განსაკუთრებით კი დაუმუშავებელი მიწების მობილიზაციისა და სარწყავი მიწების არეალის გაფართოვების მეოხებით.

კავკასიაში მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულ მებამბეობის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით[11] ბაქოს გუბერნიაში ბამბის ნათესების სწრაფ გაფართოვებას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი (სახაზინო) ირიგაციული მშენებლობის განვითარება და, მეორე მხრივ, მდინარეების—მტკვრისა და აკუშის—სანაპიროებზე წყალსაქაჩავების გამრავლება, საერთოდ წარმატებები მორწყვის ტექნიკაში.

ბამბის ნათესების გაფართოვებას ელისავეტპოლის გუბერნიაში ხელს უწყობდა როგორც მანქანური მორწყვა (ელისავეტპოლისა და ნაწილობრივ შუშის მაზრებში). ასევე ტყეებუჩქნარებით დაკავებული მიწების გაკაფვა (ჯევანშირისა და შუშის მაზრებში), რამაც შედარებით ფართო ხასიათი მიიღო სწორედ ამ ხანებში.

თბილისის გუბერნიაში ბამბის ნათესები ფართოვდებოდა ბორჩალოს მაზრაში, ყარაიასა და აგრეთვე სიღნაღის მაზრის ივრის ველზე.

რაც შეეხება მებამბეობის უძველეს რაიონს, ერევნის გუბერნიას, აქ ამ ხანებში მებამბეობის განვითარების ტემპი ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო შესამჩნევად შენელებული იყო.

ქუთაისის გუბერნიაში კლიმატურ-ნიადაგობრივი და აგრარული პირობების მეოხებით მებამბეობას საერთოდ სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში უმნიშვნელო ადგილი ეჭირა.

მებამბეობის გაადგილების მხრივ ანალოგიურ სურათს გვიხატავენ მონაცემები ცალკე გუბერნიების მიხედვით ბამბის ბოჭკოს მოსავლის შესახებ (იხ. ცხრ. 477 გვ.).

---

11 «Кавказский календарь на 1916 г»., Отд. стат., стр. 94.

ბამბის ბოჭკოს მოსავალი ამიერკავკასიაში (ათას ფუთობით)[12]

წლები	ერევნის გუბ.	ელისავეტპოლის გუბ.	ბაქოს გუბ.	თბილისის გუბ.	ქუთაისის გუბ.	სულ
1909	520,0	215,6	73,5	7,8	8.3	825,2
1910	600,0	530,0	182,0	27,0	28.7	1 367.7
1211	670,0	740,0	309,0	68,0	22,0	1 815,0
1912	601,3	676,3	289,5	80,6	18,4	1 666,1
1913	613.5	661,1	417,0	91.4	11,5	1 294,5
1914	710,0	745,0	560,0	122,6	29.5	2 167,1
1915	382,0	539,0	565,0	10.7	20,1	1 510,8
1916	352,5	430.0	439,0	39,0	24,7	1 285,2
1917	270,0	300.0	202,5	3,0	15,0	797,5
1918	—	—	—	—	—	375,0
1920	—	—	—	—	—	23,0

ბამბის ბოჭკოს საერთო მოსავლის მაჩვენებელთა მიხედვითაც 1911 წელი იყო გარდატეხის თარიღი ამიერკავკასიურ მებამბეობაში იმ მხრივ. რომ ამ დროიდან ელისავეტპოლის გუბერნიამ უკან მოიტოვა მანამდე მთელი საუკუნის მანძილზე წამყვანი ერევნის გუბერნია, რომელიც სულ ორიოდე წლის წინათაც იძლეოდა 2—3-ჯერ მეტ ბამბას. ვინემ ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნია ერთად.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ. მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ მე-20 ს. დასაწყისიდან მებამბეობა სწრაფად ვითარდებოდა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში. სადაც, როგორც თავის ადგილზე აღინიშნა. წარმოიქმნენ მებამბეობის მსხვილი სავაჭრო პლანტაციები.

* * *

1913 წელს რუსეთის მთელ იმპერიაში ბამბის პლანტაციების საერთო ფართობი უდრიდა 642.2 ათას დესეტინას; აქე-

[12] ზემომოყვანილი ცხრილისთვის დასახელებული წყაროები.

დან შუააზიის რაიონებზე მოდიოდა 514,7 ათასი დესეტინა, ხოლო ამიერკავკასიაზე—127,5 ათასი დესეტინა, ე. ი. ბამბის პლანტაციების საერთო ფართობის 19,9 პროცენტი[13].

ბამბის ბოჭკოს მთელი გამოსავლიანობა რუსეთის იმპერიაში 1913 წელს უდრიდა 14 605 000 ფუთს, საიდანაც მოდიოდა: შუააზიის რაიონებზე—12 812 000, ხოლო ამიერკავკასიაზე—1 793 000 ფუთი, ე. ი. მთელი გამოსავლიანობის 12,3 პროცენტი.

უკვე საერთო ფართობისა (საიდანაც ამიერკავკასიაზე) მოდიოდა 19,9%) და მთლიანი გამოსავალის (საიდანაც ამიერკავკასიაზე მოდიოდა 12,3%) შესახებ წარმოდგენილ მონაცემთა უბრალო დაპირისპირება გვიჩვენებს, რომ ბამბის ბოჭკოს მოსავლიანობა ამიერკავკასიაში შესამჩნევად უფრო დაბალი იყო, ვინემ შუააზიაში. ამ მხრივ დეტალურსა და საინტერესო სურათს იძლევა ქვემომოყვანილი ცხრილი. (იხ. გვ. 479).

1914 წელს გუბერნიების მისედვით ბამბის ბოჭკოს მოსავლიანობა საკუთრად ამიერკავკასიაში უდრიდა (დამრგვალებულად):[14]

ერევნის გუბერნიაში 1 დესეტინაზე	საშუალოდ—	16 ფუთს
ელისავეტპოლის გუბერნიაში	—„—	14
ბაქოს გუბერნიაში	—„—	14
თბილისის გუბერნიაში	—„—	15
ქუთაისის გუბერნიაში	—„—	8

[13] შედარებისთვის საინტერესოა ვიცოდეთ, რომ თუ 1913 წ. (თანამედროვე საზღვრებში) სსრკ ბამბის ნათესების ფართობი უდრიდა 688 ათას ჰექტარს, 1940 წ. იგი უდრიდა უკვე 2076, ხოლო 1960 წ.—2199 ათას ჰექტარს, საიდანაც მოდიოდა (ათას ჰექტარობით): უზბეკეთზე—1387, თურქმენეთზე—222, აზერბაიჯანზე—220, ტაჯიკეთზე—172, ყაზახეთზე—106, ყირგიზეთზე—71, სომხეთზე—14. ამგვარად, ამიერკავკასიაზე მოდიოდა სულ, დაახლოებით, 10,5 პროცენტი. აზერბაიჯანზე—10%, სომხეთზე—0,5%, «Народное хозяйство СССР в 1960 г»., стат. сб., 1961., стр. 401).

[14] КК на 1916 г., Отд. стат., стр. 96.

ბამბის მოსავლიანობის დინამიკა თურქესტანსა და ამიერკავკასიაში (ბამბის ბოჭკოს მოსავალი 1 დესეტინაზე ფუთობით)

წლები	თურქესტანი	ამიერკავკასია	
		მთლიანად	მ. შ. ერევნის გუბერნია[15]
1907	21,0	14,5	15,3
1908	20.2	18,2	21.1
1909	26,7	16,4	17,6
1910	28,2	17,6	16,0
1911	25,9	14,4	18,3
1912	25,1	14,9	20,3
1913	25,2	14,1	15,8
1914	23.8	14.5	20,4
1915	26,8	16,4	—
1916	20,6	14,1	—
1917	16.7	15,0	—
1918	15,6	15,0	—
1919	7.0	—	—
1920	6.0	11,5	—
1921	4,5	8,5	—

როგორც ვხედავთ მოსავლიანობის მხრივ პიველი ადგილი ეჭირა ერევნის გუბერნიას, შემდეგ მოდიოდნენ თბილისის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიები. ქუთაისის გუბერნიაში ბამბის მოსავლიანობის დონე დაბალი იყო. ამ გუბერნიის ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო სოფლისმეურნეობრივი წარმოების სხვა კულტურების განვითარებისთვის და. ამ თვალსაზრისით, დას. ამიერკავკასიის ურწყავი რაიონების შესწავლის საკითხს სმკს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში აქცევდა ჯეროვან ყუ-

[15] წინა წლებში ერევნის გუბერნიაში ბამბის ბოჭკოს მოსავლიანობა (ფუთობით) შეადგენდა 1900 წ.—25,1: 1901 წ.—20.3; 1902 წ.—21,7; 1903 წ.—21,3 1904 წ.—18,4 1905 წ.—17,3; 1906 წ.—15,5.

რადღებას[16]. მაგრამ ამ მხრივ მის ინიციატივას აშკარად ტენდენციურ მიმართულებას აძლევდნენ იმპერიის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ძალები.

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა მინისტრის რწმუნებული ამიერკავკასიაში მებამბეობის მდგომარეობის მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ 1897 წელს ერევნის გუბერნიაში 1 დესეტინაზე საშუალო მოსავალმა შეადგინა 20 ფუთი გაწმენდილი ბამბა. მაგრამ ზოგან ჟანგასა და სხვ. მიზეზით შოსავლიანობა დაბალი იყო, რისი „მთავარი მიზეზია... მტაცებლური ექსპლოატაციისგან მინდვრების გამოფიტვა და გადაღლა... რაც უფრო ხშირად იჩენს თავს იმ რაიონებში. სადაც დიდი ხანია რაც გაძლიერებულად ეწევიან ბამბის კულტურას, როგორც. მაგალითად. ეჩმიაძინის მაზრაში, შარურში. არაზდაინში“[17].

ეს გარემოება, სახელდობრ ბამბის პლანტაციების სისტემატური და უმეშვეო გაშენება რომ ნიადაგის გამოფიტვასა და, მაშასადამე, ნაყოფიერების ნაადრევ დაცემას იწვევდა, ხშირად აღინიშნებოდა როგორც ოფიციალური დამკვირვებლების, ასევე პუბლიცისტიკისა და კერძო სპეციალისტების მხრივაც და არა მხოლოდ ერევნის გუბერნიის. არამედ საერთოდ ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონების მიმართ.

* * *

პირველი მსოფლიო ომის ვითარებით გართულებულ მდგომარეობაში მეფის ხელისუფლება ცდილობს დასავლეთ სხვადასხვა ღონისძიება მებამბეობის მეურნეობის განმტკიცებისათვის. ამ მიზნით, მაგალითად, 1916 წ. აგვისტოს მიწათმოქმედების სამინისტრო თავის რწმუნებულს კავკასიაში წერს: „მშობლიური მებამბეობის შემდგომი განვითარებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რათა მებამბეებს შესაძლებლობა

16 ОДКОСХ 1850—1900. стр. 72—74.

17 საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 239, ფურც. 187.

ჰქონდეთ იმსჯელონ თავიანთ საჭიროებათა შესახებ და მიიღონ ზომები მათი დაკმაყოფილებისთვის". იმ გარემოებამ, რომ მებამბეებს არა აქვთ რაიმე ორგანიზაცია განსაკუთრებით იჩინა თავი უკანასკნელ წლებში. როდესაც სამხედრო ვითარების პირობებში ბამბის ბაზრის კონიუნქტურა ძლიერ დიდ რყევადობას განიცდიდა.

აღნიშნული ნაკლოვანების აცილების მიზნით მეწარმოქმედების დეპარტამენტმა შეიმუშავა მებამბეთა საზოგადოებების ნორმალური წესდება. ახლა ადგილობრივ ორგანოებს ეკალებათ პეტერბურგიდან მიღებული ეგზემპლარები ამ წესდებისა გაავრცელონ მებამბეობის რაიონების რუსულ მოსახლეობაში და თანაც თარგმნონ იგი ადგილობრივ ენებზე და [illegible] მოსცენ საკმაო რაოდენობის ტირაჟით; —გააკეთონ მებამბეთა საზოგადოებების მნიშვნელობის შესახებ რუსულ და ადგილობრივ ენებზე პლაკატები და გააკრან ისინი სხვადასხვა ადგილობრივ დაწესებულებაში; —ყოველივე იღონონ აღნიშნულ საზოგადოებათა შექმნისთვის, გააცნონ მოსახლეობას ასეთი ორგანიზაციის ხელსაყრელობა და სხვ.

სამხედრო პირობების სიძნელეებმა თვითმპყრობელობის ხელისუფლება აიძულა მიებაძა მოკავშირე სახელმწიფოთა ეკონომიკური სისტემის ზოგიერთ „სამაგალითო" მხარეებისთვის, მაგრამ განაპირა ქვეყნებში „მეტი თავისუფალი თვისნობის" შესახებ არსებულ ვითარებაში გამეტებულ იდეებს, ცხადია, უკვე აღარ შეეძლოთ დასარღვევად დაქანებული სახალხომეურნეობრივი ორგანიზმის განმტკიცება.

ტექსტილური ფაბრიკების ნედლეულით მომარაგება სულ უფრო ძნელდება. 1916 წ. 2 დეკემბერს ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა თავადმა შახოვსკოიმ გამოსცა დადგენილება, რაც ყველა ბამბის ვაჭარს და ფაბრიკანტს, რომლებიც ნედლ ბამბას ანდა ბოჭკოს ყიდულობენ შუააზიასა და კავკასიაში, ავალებს აცნობოს ბამბაქსოვილის ფაბრიკების ნედლე-

ულით მომარაგების კომიტეტს, თუ რა მარაგები გააჩნიათ მათ ბამბის ბოჭკოს 1916 წლის მოსავლიდან. ამასთანავე მათ ევალებათ დარჩენილი მარაგები მიაწოდონ მხოლოდდამხილულ კომიტეტის მიერ მითითებულ პირებსა და ფირმებს, თანაც არა უმეტეს იმ ფასებისა, რაც დადგენილია ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მიერ 1916 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით[18].

ბამბის ბოჭკოს გაგზავნის, მიწოდების და ჩაბარების ყველა გარიგება უნდა დადებულიყო ვალუტაზე, ე. ი. საქონლის ფასის ოქროს მანეთზე გაანგარიშებით[19].

ამავე სამინისტრომ სპეციალური დადგენილება გამოსცა კერძოდ ლინტერის ვაჭრობის შესახებ.

ამიერკავკასიაში ბამბასაწმენდ და ზეთსახდელ ქარხნებში დაგროვილი ლინტერის დიდი ნაწილი გაქონდათ რუსეთის ცენტრალურ ინდუსტრიულ რაიონებში, ხოლო ერთ ნაწილს ყიდულობდნენ ძმ. ზლატოგორსკების ფაბრიკა (თბილისში) და შინამრეწველები. 1915—1916 წწ. ბამბის კამპანიის სეზონში ამიერკავკასიაში მიღებული იყო ლინტერი: 22 000 ფუთი—ბამბასაწმენდ ქარხნებსა და 4 000 ფუთამდე ზეთსახდელ ქარნებში, სულ 26 ათასი ფუთი. მაგრამ ბამბის თესლითა და ლინტერით უკვე დაინტერესებული იყო არა მხოლოდ უშუალოდ სამხედრო უწყება, არამედ აგრეთვე ფარმაცევტიული მრეწველობაც, რომელიც ახლა ისევ სამხედრო უწყების სანიტარული და საევაკუაციო ნაწილის უფროსს ემორჩილებოდა. ამიტომაც ელისავეტპოლის, ბაქოს, ერევნისა და თბილისის გუბერნიებში არსებულ მსხვილ ბამბასაწმენდ ქარხნებზე დაწესდა სასტიკი მეთვალყურეობა, რადგან თავდაცვის საჭიროებისთვის აუცილებელი რაოდენობის ლინტერის შეძენა ამიერიდან მხოლოდღა რეკვიზიციის გზით იყო შესაძლებელი[20].

---

[18] საქ. სსრ ცსია, ფონდი 243, საქმე № 857, ფურც. 22.

[19] იქვე, ფურც. 22.

[20] იქვე, ფურც. 3.

ნაწილი მეხუთე

მრავალწლიანი ნარგავები

მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წწ.

„...რამეთუ ერთი იგი, ვითარცა მუხაჲ რაიმე, რტო ნაყოფსა სამწარისასა საზრდელსა ღორთასა მომღებელ იყო; ხოლო მეორე იგი, ვითარცა ვენახი კეთილად განსხლული და ნაყოფიერი, თითოსახეთა (ნაირნაირთა — პ. გ.) სათნოებათა ღვინოსა მახარებელსა გულთასა დამომადინებელ იყო...“[1]

არსენ იყალთოელი (XI ს)

I. ზოგადი ცნობები

ძველ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ისტორიის შესწავლას აწ განსვენებულმა აკად ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა მიუძღვნა თავისი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე ტომის უმეტესი ნაწილი (გვ. 289—604)[2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-19—20 სს. ამიერკავკასიაში მევენახეობის განვითარების ისტორიის შესასწავლად თუმცა, მიწათმოქმედების რიგ სხვა დარგთან შედარებით, საკმაო მასალა მოიპოვება, მაგრამ საერთოდ ეს მასალაც ნაკლოვანი, რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხთა მიმართ დიდად ხარვეზიანი და ზოგიერთის მხრივ კიდევ მეცნიერული თვალსაზრისით არასანდო, ანდა ნაკლებად სანდოა იმის გამო, რომ ხშირად შეკრე-

---

[1] იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ლ ი. „ხრონოღრაფი გიორგი მონაზონისაჲ“, 1920, ტფ. გვ. 75.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, II, ტფ., 1934.

ბილ-ჩაწერილია არასპეციალისტისა და საკითხზე საეთანადო ცოდნის არმქონე. უპირატესად ეგზოტიკით გატაცებულ ადამიანთა მიერ.

საერთოდ ამიერკავკასიური მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ საკმაო ლიტერატურა მოიპოვება. რომელთა უმნიშვნელოვანესი ნაწილი მაინც დასახელებულ-გამოყენებულია წინამდებარე მონოგრაფიაში. ამ ლიტერატურის (საგაზეთო და საჟურნალო სტატიების. ფელეტონების. კორესპონდენციების. სხვადასხვა დაწესებულებათა და საზოგადოებების მუშაობის ანგარიშგებათა და მიმოხილვების. ცალკე წიგნებად თუ კრებულებად გამოცემული ნარკვევების. აღწერათა და დაკვირვებათა მასალების) ასეთი ზომით წარმოშობა. ცხადია. პირობადებული იყო იმ გარემოებით. რომ. როგორც ქვემოთ დავინახავთ. მიწათმოქმედების დარგთა შორის მევენახეობა ამიერკავკასიაში თითქმის ყველაზე ადრე გადაიქცა „კომერციულ მესარეწეობის“ ისეთ დარგად, რომელიც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ყურადღების სფეროში იყო მოქცეული და. ამასთანავე. ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასების მეურნეობრივი თაოსნობის უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის მევენახეობა-მეღვინეობის მეცნიერული შესწავლა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უფრო ადრინდელ. სპორადული ხასიათის ცდებს. იწყება 1870-იანი წლებიდან. 1869 წელს ჰაიგაში შემდგარმა საერთაშორისო სტატისტიკურმა კონგრესმა თავის VII სესიაზე დაადგინა გამოცემულიყო საერთაშორისო სტატისტიკური კრებული. ამ კრებულის პროგრამით გათვალისწინებული იყო აგრეთვე მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო სტატისტიკის გამოქვეყნებაც.

საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესის მერვე სესიამ, რომელიც პეტერბურგში შედგა. თავისი მუშაობის პროგრამასთან ერთად დაბეჭდა ჰუნგრეთის სტატისტიკური ბიუროს დირექტორის კ. კ ე ლ ე ტ ი ს მიერ შედგენილი დაწვრილებითი პროგრამა მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო სტატისტიკის შედგენისა 1853 წლიდან (საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესის დაარსების დროიდან) მოყოლებული. კ. კელე-

ტის პროგრამა „მეტისმეტად დეტალური“ აღმოჩნდა რუსეთი-ათვის. რის გამოც რუსეთის ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოიმუშავა უფრო შესაფერისი პროგრამა, რომელიც შეიცავდა ექვს განყოფილებას:

1. საერთო საკითხები—ტოპოგრაფიული, კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები;

II. ვაზის კულტურა—ვენახის გაშენების ხერხები და პირობები, ვენახის განახლება. მისი მოვლა-პატრონობა, ვაზის მთავარი ჯიშები, ვაზის დაავადებანი და მავნებლები, ვენახის ფართობი, მევენახეობის ხარჯები;

III. ყურძნის კრეფა, საშუალო მოსავალი, ყურძნის მოსავალი 1870 წელს; მოსავლის რა ნაწილი იყიდება ხილის სახით;

IV. მეღვინეობა—ღვინის დაყენება, საამისო იარაღ-ჭურჭ-ლეულობა. მარანი (სარდაფი), სხვადასხვა ხარისხის ღვინოთა დახასიათება, ღვინის დაავადებანი, ღვინის ქიმიური გამოკვლევა. ღვინის საშუალოწლიური წარმოება უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. 1870 წ. მიღებული მაჭრის რაოდენობა;

V. ღვინის მოხმარება და ვაჭრობა. რა რაოდენობას ღვინისას მოიხმარენ თვით მწარმოებლები და რამდენი გააქვთ გასაყიდად, ღვინისა და მაჭრის ფასი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. ღვინის გასაღების პირობები, მიმართულება, ტრანსპორტირება;

VI. მევენახეობა-მეღვინეობის მთლიანი შემოსავალი, ყოველწლიური ხარჯები და წმინდა შემოსავალი, მევენახე-მეღვინე მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა და სხვ.

ასეთი პროგრამა რუსეთის იმპერიის ყველა სამხრეთის გუბერნიებთან ერთად გამოეგზავნა კავკასიის მთავარ სტატისტიკურ კომიტეტს, რომლის ყოფილმა თავმჯდომარემ ბარონ ა. ნ ი კ ო ლ ა ი მ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საქმის შესრულებაში. საჭირო მასალათა შესწავლა-თავმოყრის მიზნით კავკასიის ადმინისტრაციამ (სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ) კახეთში მიავლინა გ. შ ა რ ე რ ი (კავკასიის სახელმწიფო ბაღების გამგე). ქუთაისის გუბერნიაში—აგრონომი

ხოჯაევი, აზერბაიჯანში—აგრ. ნ. სპასსკი და ა. შ. ამ გზით თავმოყრილი მთელი მასალა გამოქვეყნდა 1875 წელს კავკასიის მთავარი სტატისტიკური კომიტეტის რედაქტორის ნ. ზეიდლიცის რედაქციით: „კავკასიის შესახებ ცნობათა კრებულის“ მესამე ტომში[3].

აქ, მართალია, წარმოდგენილია მთელი რიგი საინტერესო, ლიტერატურაში მანამდე უცნობი მასალა ამიერკავკასიის მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი რაიონისა და ზოგიერთი საკითხის შესახებ ან თითქმის არაფერია თქმული, ანდა არასწორი და არა ზუსტი ცნობები და მონაცემებია მოყვანილი.

მაინც ეს გამოცემა დიდხანს გამოიყენებოდა როგორც ერთადერთი საცნობარო ლიტერატურა ამიერკავკასიის მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1877 წელს რუსეთის ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა იმდროისათვის მნიშვნელოვანი შრომა «Виноградарство и виноделие в России 1870—1873 гг.» შედგენილი ბოკისა და გ. ერშოვის მიერ. ამ წიგნში რამდენადმე გადამუშავებულ-დაზუსტებული სახით შევიდა „კავკასიის მეღვინეობის ნარკვევების“ სახით 1875 წელს თბილისში გამოცემული წიგნის მთელი მასალა[4].

ამიერკავკასიის მევენახეობა-მეღვინეობის შედარებით უფრო დაწვრილებითს და სერიოზულ შესწავლას ხელი მოკიდა ფილოქსერის კავკასიურმა კომიტეტმა, რომლის მუშაობის შესახებ ქვემოთ გვაქვს მსჯელობა.

* * *

აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ „ძველი საქართველოს ეკონომიკაში... მევენახეობა-მეღვინეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა... ქართული ღვინო უძვე-

[3] «Сборник сведений о Кавказе». 1875. Тифлис, т. III. «Очерк виноделия Кавказа», стр. 177—564.

[4] «Статистический временник Российской империй», серия II, вып. XV, 1877. СПБ. ст. 281—465.

ლეს დროითგანვე საექსპორტო საგანს შეადგენდა"[6]. აკად. ს. ჯანაშია ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ სტრაბონის დროინდელ საქართველოში მევენახეობას უკვე „სამრეწველო მნიშვნელობა" ჰქონდა მოპოვებული[7].

პროფ. კ. მოდებაძე, იხილავს რა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ უახლესი გათხრების შედეგად მოპოვებულ არქეოლოგიურ და სხვა მასალებს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ბრინჯაოს ეპოქაში, ე. ი. ჩვენს ხანამდე მეორე ათასეულში საქართველოში ვაზი არა მხოლოდ ველური სახით ხარობდა ტყეებში. არამედ საკმაოდ ფართოდ იყო კულტივირებული და წესიერადაც უვლიდნენ მას (შესხვლა, გაწმენდა)"[7]

„დაბადებაში" შემონახული ძვ. ებრაული გადმოცემიო ამიერკავკასია მევენახეობის სამშობლოდ არის მიჩნეული. ძველ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, როგორც ანტიკური მწერლები ქსენოფონტე, სტრაბონი[8] და სხვ. მოწმობენ მევენახეობა-მეღვინეობა ადრიდანვე ყოფილა განვითარებული.

ამპელოგრაფიის[9] შესახებ ერთ უახლეს გამოკვლევაში ვკითხულობთ, რომ მსოფლიოში შავი ზღვის ჯგუფის კულტურული მევენახეობის „წარმოშობის ძირითადი რაიონი იმყო-

---

[5] ივ. ჯავახიშვილი. „საქართველოს ეკონომიური ისტორია". II, ტფ., გვ. 289.

[6] ს. ჯანაშია, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე", 1937, თბ., გვ. 62.

К. Модебадзе. «Истоки виноградарства и виноделия Грузии» (журн. «Виноградарство и виноделие СССР», 1948, № 8, стр. 44).

[8] მაგალითად, ალბანეთის შესახებ სტრაბონი წერს: „ვენახებს... ისინი სხლავენ ხუთ წელიწადში ერთხელ, ...ახალგაზრდა ვაზები ნაყოფს ისხამენ ორი წლის მერმე, ხოლო დიდები იმდენ ნაყოფს იძლევიან, რომ მათს უმეტეს ნაწილს ზედვე სტოვებენ" (В. Латышев «Известия древних писателей о Скифии и Кавказе», 1947—1949 гг., Москва, стр. 279).

[9] საერთოდ ამპელოგრაფიის მიმოხილვა იხ. პროფ. ს. ჩოლოყაშვილი, „მევენახეობის სახელმძღვანელო", II, ამპელოგრაფია, 1939, თბ.

ფება დას. და აღმ. საქართველოსა (კოლხეთსა და კახეთში) და მცირე აზიაში. მევენახეობა აქედან შევიდა სხვა რაიონებში. ამასთანავე დას. საქართველოს ვაზის ჯიშებთან დაახლოებული ასორტიმენტები გავრცელებული იყო და დღეძდეა შემონახული ბალკანეთში (საბერძნეთსა და ბულგარეთში) უნგრეთსა, რუმინეთსა და სსრ კავშირში"[10].

ძველ საქართველოში (კლასიკურ კოლხეთსა და იბერიაში) ვაზის კულტურის დონის, ვაზის ჯიშთა სიმრავლისა და ხარისხოვნობის, ადგილობრივი ჯიშების საზღვარგარეთ ფართოდ გავრცელების და სსვ. შესახებ შესაბამისი წყაროებისა და ლიტერატურის საფუძვლიანმა შესწავლამ ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო უცილობლად უნდა მივიჩნიოთ მსოფლიო „მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად"[11]. ამავე ავტორის მტკიცებით „სრულიად საქართველოს შემოქმედებითი მევენახეობის მთავარი ცენტრი კახეთი ყოფილა. დას. საქართველოში კი პირველი ადგილი ეგრისს, მეორე არგვეთს და მესამე ჭანეთს ეკუთვნის"[12].

საერთოდ ძველი საქართველოს მევენახეობისათვის მიღებულ ამ შეხედულებისადმი რომელიმე მხრივ ეჭვის მიტანა რაგინდ ადვილი არ იყოს და სხვადასხვა პერიოდში მევენახეობის მხრივ სხვადასხვა კუთხის სხვა თანმიმდევრობითი უპირატესობის დამტკიცების შესაძლებლობაც რაგინდ ადვილად არ მოჩანდეს, ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ მე-19—20 საუკუნეებში კახეთი წარმოადგენს მთელი საქართველოსა და, მაშასადამე, კავკასიის შემოქმედებითი მევენახეობის საყოველთაოდ აღიარებულ ცენტრს.

საქართველოში მევენახეობის ადრიდანვე გავრცელებულობისა და დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის

---

[10] «Ампелография СССР», 1946, т. I, Москва.

[11] ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკ. ისტორია", II, 603.

[12] იქვე, 596.

თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს კერძოდ ქართული ვაზის ჯიშთა მრავალრიცხოვანობაც. დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული შესაბამისობის პირობებში ვაზის ჯიშთა რაოდენობის მიხედვით შეეძლოს გვერდში ამოუდგეს საქართველოს.

აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს დასკვნით „საქართველოს ყველა თემში საერთოდ 420 ყურძნის ჯიშსახესხვაობათა სახელწოდება ყოფილა გადარჩენილი[13]. მ. შ. კახეთში—66, ქართლში—40, რაჭაში—59, ლეჩხუმში—36, სამეგრელოში—53. გურიაში—59, აჭარაში—26 და ა. შ.

მეცენატეობის საკავშირო ინსტიტუტის მიერ პროფ. ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ს ინიციატივით 1933 წ. ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე აღწერილ იქნა „ქართული სახელწოდების მატარებელი 248 ვაზის ჯიში". აბორიგენულ ქართულ ჯიშთა დადგენის თვალსაზრისით ს. ჩოლოყაშვილი წერდა, რომ „ზუსტი კვლევის შედეგად, ჯიშთა ამ რაოდენობას უეჭველია 50 ჯიშამდე გამოაკლდება, რომელნიც უცხოეთიდან არიან შემოტანილნი და ადგილობრივი სახელწოდება მიიღეს, ანდა რაიონის მიხედვით სხვადასხვა სახელწოდებას (სინონიმებს) ატარებენ"[14].

აქ, შედარებისათვის, საჭიროა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ამპელოგრაფიის შესახებ სპეციალურ შრომაში (1946 წ.) მთელ საბჭოთა კავშირში ვაზის 1180-მდე ჯიშია აღრიცხული;[15] მ. შ. მოდის საქართველოზე—400-ზე მეტი, აზერბაიჯანზე—200-მდე, სომხეთზე—90-მდე, შუა აზიაზე—200-მდე,—ბესარაბიაზე—30-მდე, ყირიმზე—50-მდე. დაღესტანზე—150-

---

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს ეკონ. ისტორია", II, 471.

[14] პროფ. ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, „მასალები საქართველოს XII — XIII სს. ვაზის ჯიშების საკითხისათვის" (კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", 1938, თბ., გვ. 65).

[15] უახლესი (1950 წ.) ცნობით სსრ კავშირში ითვლება 1200 აბორიგენული და 800-ზე მეტი უცხო ჯიში, სულ 2000-ზე მეტი (იხ БСЭ. II.изд. т. I, стр. 294—295).

მდე, ქვ. ვოლგის მხარეზე—20-მდე, დონის, ყუბანისა და თერგის რაიონებზე—40-მდე[16].

ამჟამად, უახლესი ცნობით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მიერ უკვე შეკრებილი ქართული ვაზების სხვადასხვა ჯიშთა ცოცხალი კოლექცია 500-მდე აღწევს, ე. ი. 500-მდე ჯიშია უკვე გამოვლინებულ—შესწავლილი.

პროფ. ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, რომელმაც სპეციალური შრომა მიუძღვნა ქართული ვაზის ჯიშთა განვითარების საკითხს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ თანამედროვე ქართულ ვაზთა ჯიშების მნიშვნელოვანი ნაწილის ისტორია მაინც უკვე ძველი დროიდან იწყება. ძველ საქართველოში „ვაზს ვეგეტაციურად ამრავლებდნენ. ასეთი წესით გამრავლების შედეგად კი მცენარე ჯიშურ თვისებებს ინარჩუნებს, თუმცა მოსალოდნელია კვირტის ვარიაციის, მუტაციის, ან სხვა მოვლენათა შედეგად ახალი ნიშანთვისებებიან ინდივიდის წარმოშობა. ასეთი მოვლენები არცთუ ისე ეშირად ხდება და ამიტომ ამ გზით მიღებული ახალი ფორმები შედეგია ვაზის კულტურისა მრავალ საუკუნის განმავლობაში"[17]. ამიტომაც სათანადო მასალების შესწავლამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „საქართველოში არსებულ ჯიშთა უმრავლესობა, თუ ენდემური არა, ყოველ შემთხვევაში აბორიგენულია. თუმცა ისიც დასაშვებია, რომ ზოგი მათგანი ენდემურია. ზოგი კი აბორიგენული"[18].

ქართველი ხალხის მეურნეობრივი თაოსნობის ისტორიაში საერთოდ მრავალწლიან ნარგავებს როგორც მებაღეობას (მეხილეობას).[19] ისე კერძოდ მევენახეობას განსაკუთრებული

---

16 «Ампелография СССР», 1946, М. т. 1.

17 ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, „მასალები საქართველოს XII—XIII სს. ვაზის ჯიშების საკითხისათვის", 66.

18 იქვე. გვ. 69.

19 იხ. ლ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. „მეხილეობის მნიშვნელობა საქართველოში" (ეკონ. ინსტ. შრომები, 1946, ტ. I, გვ. 137—174).

მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან, ცხადია, რომ იგი ამ ქვეყნის მტერ-დამპყრობელთა ყურადღების გარეშეც არ დარჩებოდა და ქვეყნის სამხედრო-ფისკალური მიზნით ჩატარებულ აღწერებშიაც არ იქნებოდა დავიწყებული. უკვე მე-13 ს. შუა ხანებში მონღოლთაგან ქვეყნის აღწერის შესახებ მემატიანის ცნობაში ნათქვამია, რომ „იწყეს აღწერად კაცთაგან პირუტყვთამდე, ყანით ვ ე ნ ა ხ ა მ დ ე, და წალკოტით ბოსტანამდეო“[20].

ხუთასიოდე წლის შემდეგაც დამპყრობელთაგან ჩატარებულ აღწერის დროსაც—„...რასაც მიხვდნენ ვაზს ერთი ბისტი დასდვეს, სოფელსა და ბაღსა და შინა რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვესო...“ ამგვარად, ურუმთაგან შემოწერილი ხარკი ისე აუტანელი ყოფილა, რომ ომიანობის შედეგად აოხრებული ქვეყანა „...უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ხელით კაფდის და აოხრებდესო“—ეკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“[21].

ამასთანავე ქვეყნის პოლიტიკური დამორჩილების გაძნელების შემთხვევებში შემოსული დამპყრობლები აკაფავდნენ ხოლმე ვენახებსა და ბაღებს, რათა მთებსა და ციხე-სიმაგრეებში გახიზნული ხალხისათვის გაენადგურებინათ ბარში დარჩენილი ეკონომიკური კეთილდღეობის ძირითადი საფუძველთაგანი (ცნობილია ყურძნისა და მისგან მიღებული სხვადასხვა პროდუქციის მაღალი კვებითი თვისებები) და, ამგვარად, გაეტეხათ თავდაცვის ცხოველმყოფელი ძალები.

საქმე იმაშია, რომ ვაზი, როგორც მრავალწლიანი ნარგავი, მოსავალს გაშენების დროიდან მხოლოდ 3—4 წლის შემდეგ იძლევა, ხოლო სრულმსხმოიარობაში კიდევ უფრო გვიან შედის. ამასთანავე იგი, განსაკუთრებით დაბლარი ფორმის სახით, ფრიად ინტენსიური და შრომატევადი კულტურაა.

უკვე გაშენებული, თუ სისტემატური მოვლა-პატრონობა არ მოაკლდა, ვენახი რამდენსამე ათეულ წელს სძლებს; ასე რომ ვენახი, როგორც წესი, თაობიდან თაობის, შვილისა და

[20] „ქართლის ცხოვრება“, 1849. სპბ. I, 386—387.

[21] „ქართლის ცხოვრება“, 1854. სპბ. II, 345;

შვილიშვილის ხელში გადადის და, ამგვარად, ოჯახის, ეკონომიკური ერთეულის, ყოფიერებისა და, მაშასადამე, წარმოების უწყვეტ. ცოცხალ ისტორიას წარმოადგენს; ხოლო „დროთა დაუდგრომლობისა და უკუღმართობის" შემთხვევებში განცდილ უბედურებათა მომგონებლადაც ხდება, როდესაც ტყეებითა და ნანგრევებით დაფარულ ნასოფლარებში უკაცრიელობით გაველურებული ნარ-ეკლნარიდან და ბარდნარიდან გამოიყურება[22].

იქნებ კიდევ მეტის თქმაც შეიძლებოდეს. ვენახს მოსახლეობისათვის არა მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ აზრს თავისებურად გამოხატავდა დიდებული ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. რომელიც 1886 წ. წერდა: „ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო ეამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამაპაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებური გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს; მართალია—ბრუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაქდეული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა"[23].

და ვენახზე ამ წინაპართა ღვაწლსა და ჯაფას მევენახეს მოაგონებდა არა მარტო მისი ტკბილი ნაყოფის—ყურძნის ჭამისა და უფრო მიმზიდველი პროდუქტის—ღვინის სმის საამო მომენტები, არამედ და იქნებ არანაკლები ზომით ის გარემოებაც, რომ შიმშილობათა დროსაც, როდესაც არც ღვინო და არც პური არ მოეძებნებოდა, არაქათგამოლეულ გლეხს თავისი

---

[22] იმერეთის მეფის ს ო ლ ო მ ო ნ I დესპანი პეტერბურგს „საელჩო პრიკაზში" წარდგენილს იმერეთის მიმოხილვაში წერს, რომ „ტყეებშიაც მრავალი ყურძენი და სხვა კარგი ხილი ხარობსო" (პროფ. ა. ც ა გ ა რ ე ლ ი ГИДОГ, II, I, стр. 3).

[23] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი. VIII, გვ. 216

თუ წინაპართა ნაშრომ-ნაღვაწ ვენახისათვის უნდა მიემართა, მაგრამ არა იმისათვის რათა ეჭამა ყურძენი, რისი მომწიფებაც უკვე თავისთავადაც თუ სავსებით არ სპობდა, მეტად ანელებდა შიმშილიანობას, არამედ როგორც ბავშვს დედის ძუძუ ისე ეწოვა... ვაზი. მე-19 ს. რეფორმამდელ პერიოდშიაც შიმშილობის წლებში მოსახლეობის მიერ გაზაფხულ-ზაფხულში ვაზის გამოწოვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ასეთს პერიოდებში მემამულეებს უძნელდებოდათ ვენახების დაცვა დამშეული გლეხობის მხრივ ვაზის გამოწოვისაგან, რაც, ცხადია, ვენახის მოსავლიანობას სცემდა. აფუჭებდა.

ვენახი ნაყოფია „დიდის ხნის ჯაფისა, შრომისა, იგია თავნი, ნელნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრისა და თითქმის უტყვი ისტორია მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფაცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვაწისა. აქაური გლეხკაცი შეჰხარის ვენახს, ჯერ როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვაწის სასსოვარს და ნაშთს. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზედმოქმედებდეს აქაურ გლეხკაცის ავკარგიანობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე“[24]. ამგვარად, მევენახეობა, ილიას სიტყვებითვე რომ ვთქვათ, არა მხოლოდ დიდი ქონებრივი, არამედ ზნეობრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ამიტომაც გასაგებია, რომ ქართველი გლეხკაცი ადვილად ვერ შეელეოდა ვენახს. თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შედგენილი პროექტის ყველაზე რადიკალური კრიტიკოსი, რომელიც შესაძლებელია ისევ ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე იყოს, ეხებოდა რა პროექტის 56 პარაგრაფს, რომელიც ვენახების მემამულეთა ხელში გადასვლას მოითხოვდა, აცხადებდა: „ეს ყველაზე საშინელი და თვითნებური კანონია... ყოვლად შეუძლებელია მიღწევა იმისა, რომ გლეხმა დასთმოს თავისი ბალი (=ვენახი—

[24] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, VIII, 231—232.

პ. გ.); ის უწინარეს სიცოცხლეს დასთმობს ვინემ ბაღს, რომელშიაც ჩაუმარხავს მთელი თავისი შეძლება, თავისი დრო, თავისი შრომა, თავისი უკანასკნელი კაპიკი"... ამ კანონის გატარება გამოიწვევს „ბატონყმური მონობისაგან განსათავისუფლებელი ხალხის საშინელ მღელვარებასო"[25].

ძველი საქართველოს თავადაზნაურულ გვართათვის მეფეთაგან ბოძებულ რიგ სასისხლო სიგელშიაც გვაროვნული და ოჯახური პატივისა და ღირსების საკითხში შესაძლებელ ნივთიერ ზიანთა შორის მხოლოდ ვენახისა და მარნის დაზარალებაა მოხსენებული.

მე-13—14 საუკუნეებიდან მოყოლებული საქართველოსა და ამიერკავკასიაში მევენახეობა, ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაქვეითებასთან ერთად, ეცემა. მიუხედავად ამისა, საქართველოდან ღვინო თვით მე-17 საუკუნეშიაც მნიშვნელოვანი რაოდენობით გაქონდათ. როგორც სომხეთსა და მიდიაში, იაე ირანშიაც, სადაც, ისპაჰანში, შაჰის სასახლეც ქართული ღვინოებით მარაგდებოდა.

გამუდმებული ომებისა და თარეშების შედეგად საერთოდ მევენახეობა ეცემოდა, მისი ფართობი ძლიერ მცირდებოდა, ღვინო ძვირდებოდა, მაგრამ მევენახეობა-მეღვინეობის მაღალი კულტურა იმდენად გამჯდარი იყო მის მწარმოებელ ქართველ ხალხში, რომ ეკონომიკური დაჩიავების პირობებშიაც ვენახებს ხშირად საუკეთესოდ უვლიდნენ.

დიდ ფეოდალებს კი ზოგან შენარჩუნებული ჰქონდათ კეთილმოწყობილი ზვრები,—მეტად თუ ნაკლებად მსხვილი მეურნეობები, რომლებიც გარდა თავისთავად დიდი საკუთარი მოხმარების (მოთხოვნილების) დაკმაყოფილებისა წლითი-წლობამდე ინახავდნენ დაძველებულ ღვინოებს, რომელთა; ცხადია, მხოლოდ მცირე ნაწილი იყიდებოდა ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ და რაც უმთავრესად ფეოდალური დიდკაცობის, სვიანობისა და სიმდიდრის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ატრიბუტთაგანად იყო მიჩნეული.

[25] П. Гугушвили. «Сельское хозяйство и аграрное отношения» 1950. II, 186.

მე-17 ს. მიწურულსა და მე-18 ს. დამდეგისათვის მევენახეობის მსხვილი მეურნეობის ორგანიზაციის ნიმუშს წარმოადგენს ატენის ზვარი. ატენის ხეობაში მევენახეობა-მეღვინეობა უკვე მაშინ წარმოადგენდა მეურნეობრივი თაოსნობის გაბატონებულ დარგს. ატენის ხეობა. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ჯერ კიდევ იმ დროსაც სპეციალიზებული იყო მევენახეობა-მეღვინეობის წარმოებრივი მიმართულებით.

ეს გარემოება ნათლად ჩანს ატენის ხეობის მოურავის შესახებ დებულებიდანაც: „ხევის თაობა მოურავისა არის, სოფელში თვითო კოკა ტკბილი, ძღვენი. ცხენის ბმა, გასამყრელო, თავის გასამტეხლო და საჩექმე“[26]. ამგვარად, ხეობის უფროსის მთავარი შემოსავალი (რაც მოსახლეობიდან ნატურალური გადასახდელის სახით მიიღება) არის ტკბილი. რაც, მაშასადამე, მევენახეობის სახით, წარმოადგენს ხევის მოსახლეობის შემოსავლისა და, ცხადია, არსებობის ძირითად წყაროს.

ატენის ზვარი მეფის მამულს წარმოადგენდა, ხოლო აქაური მეზვრის სარგოს შეადგენდა: „ჭაჭა, თვითო ზროხა, ბარი, სათიბელი წალდი. შვიდი აბაზი ტანისამოსისათვის“[27],—ჭაჭა მეზვრის სარგოში პირველ, და, მაშასადამე. ძირითად საშემოსავლო მუხლს წარმოადგენდა.

ქვემოთ მოგვყავს ატენის სამეფო ზვრების, როგორც მსხვილი ფეოდალური მამულის მეურნეობრივი ორგანიზაციის განრიგი, დადგენილი ვახტანგ VI მიერ:

„ატენს ბატონის ზურის მუშაობისა რიგი: ელენეს ზურის მესამედს სკრელნი და საციციანოელნი შეიმუშაგებენ. ამავ ზუარში ერთს ამდენს ბატონის ფასით შეიმუშავებენ; კიდევ ამავ ზვარში ერთს ამდენს ქვახვრელნი მუშაობენ“.

„ციციშვილის ედიშერის ნაქონს ზუარში. რომ გლურჯიძისათვის წაერთმია, იმასაც ბატონის ფასით მუშაობენ“.

„დიდს ზუარს. იისციხელნი. ავკელნი, ვერელნი, გარდატნელნი. ბობნაველნი, ხანდნელნი. თხილარნელნი. ბისელნი,

---

[26] ვახტანგ VI, „დასტურლამალი“, 1886, ტფ.. გვ. 8.

[27] იქვე. გვ. 9.

ღვივისხეველნი, ღვარებელნი, ოლოზნელნი, ბნეველნი, კეზველნი, ბარამათუბნელნი,—ესენი თავის ხარით, ნეხვით და ყოვლისფრით მუშაობენ. მაგრამ ამავ ზუარში ცოტას ალაგს ჭვიროსელნი მუშაობდნენ; ისინი აიყარნენ და იმათს კერძს ბატონის ფასით მუშაობენ. ატენელნიც ამავ ზუარში მუშაობენ. ამ ფასით სამუშაოს ზურებს მიეცემის თეთრი სალაროდამ. ან ფარჩად. პური და ღვინო მიეცემის ერთპირ ზურებისათვის პური კოდი, ღვინო კოკა"[28].

ამგვარად. საქმე გვაქვს ფრიად საინტერესო ფაქტთან. ერთი მსხვილი მამული სამი ზვრისაგან შედგება. ორი შედარებით პატარაა. ერთი „დიდ ზუარს" წარმოადგენს, რომლის სამუშაოები დაკისრებული აქვს 15 სოფელს (თვით ატენელთა ჩათვლით) და ამას გარდა „ცოტას ალაგს" კიდევ დაქირავებული შრომით ამუშავებენ.

საერთოდ ატენის ზვარში საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული დაქირავებული შრომა. სახელდობრ „ელენეს ზურის" მესამედი, ყოფ. ციციშვილის ზვარი მთლიანად და დიდი ზვრის „ცოტა ალაგი", რომელსაც წინათ ერთი სოფელი ამუშავებდა. სულ „ბატონის ფასით", ე. ი. დაქირავებული მუშების მიერ მუშავდებოდა. ეს დაქირავებული მუშები ხელფასს ღებულობდნენ ფულით („მიეცემის თეთრი სალაროდამ") ანდა ნატურით,—სამრეწველო საქონლის, სახელდობრ ფარჩების სახით. ატენის ზვრებში მომუშავე დაქირავებული მუშები ხელფასს გარდა ღებულობდნენ ავრეთვე პურსა და ღვინოს: „ერთპირი ზურებისათვის" ერთ კოდ პურსა და ერთ კოკა ღვინოს.

ეტყობა ზვრები თავის მხრივ დაყოფილი ყოფილა მომცრო ნაკვეთებად, რომელთაც საბატონო ბეგარაზე თუ ხელფასზე მომუშავე მუშათა ცალკე ჯგუფები ამუშავებდნენ, რომლებიც ულუფასაც ცალკე ღებულობდნენ.

ამ, ცხადია, ფეოდალურ მამულში გაბატონებული იყო საბატონო ბეგარა (რენტა შრომით). ყმათა არათავისუფალ

[28] იქვე, გვ. 9.

შრომით მუშავდებოდა მთელი ზვრების უდიდესი ნაწილი. დაქირავებული შრომა, ასე ვთქვათ, მსოლოდ „დამხმარე ძალას“ წარმოადგენდა.

ატენის ზვრებზე მიმაგრებული სოფლების გლეხობა საბატონო ბეგარის მოსახდელად გადიოდა თავისი ინვენტარით. „ესენი თავის ხარით. ნეხვით და ყოვლისფრით მუშაობენ“. ეს გაოემოება იმასაც უნდა მიუთითებდეს, რომ დაქირავებული მუშებისათვის სამუშაო იარაღები (ძირითადი ინვენტარი მაინც) თვით მეურნეობას, მამულს უნდა ჰქონოდა.

ეტყობა ატენის ზვრებისათვის დამხმარე მეურნეობას წარმოადგენდა მეცხოველეობა. მეცხოველეობა სხვათა შორის იძლეოდა კეთილმოწყობილი მევენახეობისათვის აუცილებელ ნაკელსაც. მებეგრე გლეხობას ნაკელი (ნეხვი) მისთვის დასამუშავებლად გამოყოფილი ზვრის უდიდესი ნაწილისათვის თვითონვე უნდა მიეტანა. ზვრების ნაკელით გასუქება. ჩანს, ისეთივე აუცილებელ ღონისძიებათა შორისაა, როგორც თვით ყოველწლიური დამუშავება მიწისა, გასხვლა ვაზისა და სხვ.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ატენის ზვრები საუკეთესო საღვინე მასალას იძლეოდნენ. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი საერთოდ ატენის შესახებ წერს, რომ „არს ხეობა ვენახოვანი“... „ამის ზეით ატენი, მცირე ქალაქი... არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამხრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული“[29].

წყაროები მოწმობენ, რომ მე-18 ს. მეორე ნახევრიდან მევენახეობა საქართველოში ერთგვარ აღორძინებას განიცდის. აკად. ი. გ ი ო ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი წერდა (1770—1773 წწ.), რომ კახეთში „ყოველ კომლს კარმიდამოს მახლობლად აქვს საკუთარი ვენახი და ხილნარიო“[30].

---

[29] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით. 1941, თბ. გვ. 57.

[30] Г и л ь д е н ш т е д т. «Географ. и стат. опис. Грузии и Кавказа», 1809, СПБ, стр. 187.

ი. გიულდენშტედტი წერს, რომ „ყველაზე საპატიო მეურნეობის დარგი კახეთსა და ქართლში არის მევენახეობა, განსაკუთრებით, როცა მასთან ერთად ჩავთვლით მეხილეობასაც“[31].

საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ცარიზმის ხელისუფლება მნიშვნელოვან ყურადღებას იჩენს ამიერკავკასიის მევენახეობა-მეღვინეობისადმი. ქართული მევენახეობით რუსეთი მე-18 საუკუნიდანვე იყო დაინტერესებული. რა დროიდანაც ქართული ვაზის ჯიშების ჩრდ. კავკასიასა და რუსეთში გატანას სისტემატური ხასიათი ჰქონდა მიღებული. 1798 წ. 13 თებერვალს იმპერატორ პავლე I-ს მიერ დამტკიცებულ „სახელმწიფო მეურნეობის ექსპედიციის“ მოხსენებაში ნათქვამია: „კავკასიის ლინიაზე დარგული თბილისური ვაზები... უკვე იძლევიან ფრიად კარგი ღირსების (превосходного качества) ღვინოებსო“, რის გამოც იმავე მოხსენებაში აუცილებელ საჭიროებადაა მიჩნეული მოეწყოს საქართველოდან სხვადასხვა ჯიშის ვაზის ნერგების უფრო მასობრივად გადატანა რუსეთში[32]. რუსეთში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში ცნობილია, მაგალითად, სომეხ-ქართველთა დამსახურება[33].

1804 წელს შედგენილს იმერეთისა და სამეგრელოს მიმოხილვაში ლ ი ტ ვ ი ნ ო ვ ი ასკვნის, რომ აქ „ვენახის სიუხვე შესაძლებლობას იძლევა მისი კომერციული ორგანიზებისათვის. აქაური ღვინის სიუხვე რუსეთში გამოიწვევს უცხოეთიდან შემოტანილი ღვინოების ფასის დაცემასო[34].

1807 წელს გრაფმა გ უ დ ო ვ ი ჩ მ ა კახეთის მთელი რიგი სახაზინო (ყოფ. სამეფო გვარეულობის) ვენახი საექსპლოატაციოდ გადასცა ჰუნგრელ პროფესორ მ ა რ ტ ი ნ ი ს.

---

31 „გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში“, 1962, თბ., გვ. 253

32 I ПСЗРИ, т. XXV, № 18375, стр. 72.

33 А. П а в л о в, «О садоводстве кизлярских армян и грузин (Газ. «Закавказский Вестник», 1848 г., № 37).

34 АНХ СССР, Ф. ГКК, д. 13141, лл. 20—23.

ამ ცდის წარმატების შედეგად მალე მასვე გადაეცა იჯარით ყველა სახაზინო ვენახი. ცარიზმის ხელისუფლება ცდილობდა ამ გზით აქ დაენერგა მევენახეობა-მეღვინეობის გაუმჯობესებული ხერხები. „რათა შესაძლებელი გამხდარიყო აქედან ღვინოების შეტანა“ შიგარუსეთში[35] აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაცია მე-19 ს. პირველ ნახევარში უპირატესად ზრუნავდა მეღვინეობის რაციონალური, „ევროპული მეთოდების“ დანერგვისათვის[36], რაც შეეხება მევენახეობას—იგი მისგან თითქმის სავსებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

უცხოელი სპეციალისტების მოყვანით[37], სანიმუშო ფერმების მოწყობით, ღვინის დაყენებისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესებით, მისი ტარისა (ჭურჭლისა) და საერთოდ შენახვისა და დაძველების უკეთესი ხერხების შემოღებისა თუ შემუშავების მეოხებით[38] რუსეთის როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება მიისწრაფოდა მოეწყო შიგარუსეთის ბაზრების ქართული ღვინოებით მომარაგება, რაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად იყო მიჩნეული, რადგან, მაგალითად, 1830-იანი წლებში შემოტანილი ღვინოებისათვის რუსეთი უცხოეთის სახელმწიფოებს უხდიდა ყოველწლიურად დაახლოებით 10 მილ. მან. ოქროთი[39].

ასეთს პირობებში, ცხადია, არ შეიძლებოდა მევენახეობის ყურადღების გარეშე დატოვება 1828 წელს თბილისის გუბერნატორის გენ. სიპიაგინის ინიციატივით აქ შეიქმნა. „მეურნეობრივ წამოწყებათა გაუმჯობესების დამხმარე განსაკუთრებული კომიტეტი“. ამ კომიტეტს უნდა დაეარსებინა ორი სანიმუშო ფერმა. ერთი—მემცენარეობისა და მეცხოველეობის

---

35 АСКАК, III, № 91. стр. 51—52.,

36 იხ. პ. გუგუშვილი, „შინამრეწველური მეღვინეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წწ.“ (ეკ. ინსტ. შრომები. ტ. III, გვ. 77—139).

37 АСКАК, УП, № 117. стр. 156, № 119, стр. 159, № 129. стр. 173—174.

38 იქვე, № 136. გვ. 177; VIII, № 109, გვ. 124

39 იქვე, VII, № 142, გვ. 188—189.

და ერთი კიდევ სპეციალიზებული—მევენახეობა-მეღვინეობისა[40].

უკანასკნელი ფერმა დაარსებულ იქნა ნავთლუღის მახლობლად მტკვრის ორსავ ნაპირზე და კუნძულზე სოღანლუღთან, სადაც სხვადასხვა ჯიშის ვაზს გარდა დაიწყეს შაქრის ლერწმის გაშენებაც. 1834 წელს ეს ფერმა გადავიდა ახლად დაარსებულ „სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ ხელში. ამ „საზოგადოებამაც“ აქ მოიტანა მრავალგვარი ჯიშის ვაზის ნერგები და „გააჩაღა მუშაობა“. რასაც არავითარი დადებითი შედეგი არ ზოყოლია[41]. მერმე ეს ადგილი მიატოვეს. სადაც 1847 წლიდან ფერმაც მოისპო[42].

რამდენადმე ადრე ანალოგიური ფერმა მოაწყვეს (ე. ი. ძველი ფერმა „გადაიტანეს“) ქ. თბილისის სანახებში, მუშტაიდის ბაღის მახლობლად. სადაც მან „სახაზინო სანერგეს“ (Казенный питомник) სახით თვით რევოლუციამდე მოაღწია და სადაც უკანასკნელად „დინამოს“ სტადიონი იქნა აშენებული. ხსენებულ ფერმაში მხოლოდ 1846—1848 წწ. იქნა დარგული ყირიმიდან მოტანილი დიდძალი ვაზი, ხეხილი და სხვადასხვა მცენარე სულ 170 ათასამდე ძირი. რაიმე არსებითი გაუმჯობესება ადგილობრივ მევენაეხობაში ამ ფერმას, რა თქმა უნდა, არ შეუტანია.

ხელისუფლება ცდილობდა მევენახეობის განვითარების მხრივ კერძო ინიციატივის, უწინარეს, ცხადია, კოლონიზატორულ ელემენტთა, წაქეზებას. 1834 წელს იმპერიის ფინანსთა მინისტრი გენ.-ლეიტ. კანკრინი კავკასიის მთავარსარდალს ბარონ როზენს ავალებდა ამიერკავკასიაში კოლონიური მემცენარეობის (შაქრის ლერწმის. ინდიგოს და სხვ.) დანერგვასთან ერთად ხელი შეეწყო მევენახეობის განვითარებისათვისაც და ამ მიზნით აქ მიწები გამოეყო „რუსეთის სახელმწი-

40 АСКАК. VII, № 117. გვ. 156.

41 П. Гугушвили, «Сельское хоз. и аграрн. отношения». I, 141, 145, 147.

42 М. Балас «Виноделие в России», 1896, СПБ. (ВР). III, 14.

ფოს არა მხოლოდ ყოველი წოდების (გარდა ყმებისა), უპირატესად რუსული წარმომავლობის ქვეშევრდომთათვის, არამედ უცხოელებისთვისაც,—ათი წლის განმავლობაში მათი რუსეთის ქვეშევრდომებად შესვლის მოთხოვნის გარეშეც... მიწები გამოუყავით მევენახეობისა და სხვაგვარი ბაღებისათვის და სამღებრო მცენარეთა გასაშენებლად 5-დან 50 დესეტინამდეო"[43].

მევენახეობისადმი ასეთი ყურადღება, ცხადია, იყო შედეგი ქართული ღვინოების მაღალი ხარისხოვანობისა, რაშიაც სულ უფრო მტკიცედ რწმუნდებოდა რუსეთის ადმინისტრაცია. უკვე 1830-იან წლებში ცენტრალური ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ქართული ჯიშის ვაზებიდან მიღებული ყურძნისაგან შეიძლებოდა საუკეთესო ხარისხის ღვინოების დაყენება, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მსოფლიოში განთქმულ ფრანგულ ღვინოებს[44]. ამიერკავკასიის ღვინოებს შორის განსაკუთრებულის პოპულარობით სარგებლობდნენ კახური ღვინოები[45]. აქ მევენახეობა-მეღვინეობა უკვე ამ დროსვე წარმოადგენდა „ერთადერთს ანუ უმნიშვნელოვანეს საშუალებას" ადგილობრივ მკვიდრთა არსებობისა[46].

კახეთში უკვე 1820—1830-იან წლებში წარმოიშვენ მევენახეობის მსხვილი მეურნეობები. ასეთები იყვნენ მაგალითად, მამულები თავ. ივ. აბხაზისა—კარდანახში და განსაკუთრებით დ. ჭავჭავაძისა—წინანდალსა და მუკუზანში, სადაც წლიურად 150 ათას ვედროზე მეტ მაღალხარისხოვან ღვინოს აყენებდნენ[47]. თავ. ჭავჭავაძის მამულიდან იქნა გატანილი შიგარუსეთში

---

43 АСКАК. VIII, № 120, стр. 202.

44 С. Евецкий, «Стат. опис. Закавказского края», 1835, СПБ, 146; «Обозрение российских владений за Кавказом». 1836. СПБ. I, 337—339, 377—378.

45 ОРЗК. II, 105—106, 384.

46 ОРВЗ I. 319. 342, 378—379.

47 Gamba, „Voyage dans la Russie Méridonale", II, 75—79; 218—229.

(პეტერბურგში) პირველი მსხვილი პარტია ქართული ღვინოებისა ჯერ კიდევ 1820 წელს[48].

ამ დროიდანვე კახეთის სოფლებში, სადაც მევენახეობას ასე თუ ისე ვაჭრული ხასიათი ჰქონდა მიღებული, თავს იჩენდა მეურნეობის ინტენსიფიკაციის ცდები. ვაზს პარალელურად გავლებულ კვლებში, ე. ი. მწკრივზე რგავდნენ, თუმცა დაწინდვის გზით ვენახში ვაზის ძირთა გამრავლების ტრადიცია არღვევდა მწკრივს და, ამრიგად, ვაზის ნარგავობაში დაცული არ იყო „არც სისწორე და არც სიმეტრია“[49], თუმცა ცალკე ძირისათვის მაინც მიჩნეული იყო გარკვეული ფართობი. ვაზის გასხვლა სისტემატურად, ყოველწლიურად წარმოებდა. ნიადაგს ხშირად ანოყიერებდნენ ნაკელით. მიწას ბარით აბრუნებდნენ, მორწყვა რეგულარულად ხდებოდა და ყურძენსაც მხოლოდ კარგად დამწიფების შემდეგ კრეფდნენ ხოლმე. ცხადია, ამ წესების დაცვა ყოველ მევენახეს როდი შეეძლო;—მათ მხოლოდ ის „მდიდარი თავადები, აზნაურები და ის გლეხები ანხორციელებდნენ, რომელთათვისაც მეღვინეობა მთავარ მესარეწეობას წარმოადგენდა“[50].

ცნობისმოყვარეთათვის შეიძლება აქვე აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, ძველ საქართველოში არა გასაყიდად, საკუთარი მოხმარებისათვის, საუკეთესო ღვინის დაყენების მიზნით ვენახს საგანგებოდ მოუვლელს სტოვებდნენ ანდა, უკეთ ვთქვათ, თავისებურად უვლიდნენ—არა ბევრი, არამედ ცოტა და მაღალხარისხოვანი საღვინე ყურძნის მისაღებად. ვენახის ასეთ ნაკვეთს ნაკლებად ამუშავებდნენ, იშვიათად ბარავდნენ, არ ანოყიერებდნენ, ცოტას რწყავდნენ საერთოდ, ხოლო ყურძნის სიმწიფის პერიოდში სრულიად არ რწყავდნენ.

მაგალითად, როგორც პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი გადმოგვცემს, საქართველოს უკანასკნელი მეფის გ ი ო რ გ ი XII-ს „სასმელი ღვინოს ვენახი უნდა აბეჩხარი ყოფილიყო, ე. ი. დაუბარავი და პატივდაუყრელი. ამისათვის რომ ძალიან ცოტა გამოვიდო-

---

48 АСКАК. X.
49 ОРВЗ. I, 334.
50 იქვე, 335, 340—341, 344.

და და კარგი"[51]. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შეხედულების კახეთში[52] არსებობა ჩაწერილია აგრეთვე 1870-იან წლებშიაც[53].

II. მევენახეობის ფორმები

1. მაღლარი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით რკინიგზების გაყვანის შემდეგ, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება შედარებით სწრაფი ტემპით მიდიოდა. ამ პროცესს ჩვენ განვიხილავთ ცალკე გუბერნიების მიხედვით. რამდენადაც ამ დროიდან მევენახეობა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მევენახეობა საერთოდ ინტენსიური მეურნეობაა, მაგრამ თვით მევენახეობის განვითარების დონისა და, ამისავე შესაბამისად. განმტკიცებული ფორმის მიხედვით მეტნაკლებია ხარისხი ამ ინტენსივობისა. ცხადია, საკითხის დეტალურ განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ამთავითვე აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარდამავალ საფეხურებს. ამიერკავკასიაში მევენახეობის უმთავრესად სამი ძირითადი ფორმაა ჩამოყალიბებული: მაღლარი, თუმბური ანუ განრთხმული და დაბლარი.

თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ მაღლარი (დობილო, ბაბილო, დობირო) მევენახეობის უძველესი, არქაულთან დაახლოებული ფორმაა და თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზედაც ნაკლებად ინტენსიურია, ხოლო თავდაპირველად, გასაჭებია. ექსტენსიურ ფორმას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მაღლარი მევენახეობის საფუძველზე, მისი განვითარე-

---

[51] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტესი", გვ. 61.

[52] «Статист. временник Российской империи», серия II, вып. XV, стр. 375.

[53] „ყოველთვის არის საჭირო თუ არა პატივი ვენახისათვის" (გაზ. „გუთნის დედა", 1873 წ., № 19, გვ. 8).

ბის მაღალ საფეხურზე, როგორც ჩანს, სავსებით შესაძლებელია უაღრესად ძაღლბარისხოვანი ძეღვიეობის იაფოყალიბება, რასაც ადგილი ჰქონდა კერძოდ გურია-სამეგრელოში. მაგალითად, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ამას ერთხმად ღაღადებენ სათანადო წყაროები.

აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს[1] გამოკვლეული აქვს, რომ ძველ საქართველოში, სახელდობრ მცხეთაში IV საუკ. მეფის სამოთხეში (=პარკი—საამოთ ხე) მაღლარი ვაზი (ბაბილო) ყოფილა გაშენებული; სტრაბონის ცნობით (გეოგრაფია, II[1] თავი I, § 16; VII. თავი III, § 18) ძველ ბოსფორში (ყირიმში) ვაზს საზამთროდ მიწაში ფლავდნენ. აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს შესაძლებლად მიაჩნია იგივე ვითარება გაავრცელოს საქართველოზე, იბერიაზე, სადაც, მისი აზრით, ამგვარად, უკვე სტრაბონის დროს „ვ ე ნ ა ხ ი—დ ა ბ ლ ა რ ი ა“, ვინაიდან ვაზს საზამთროდ მ ი წ ა შ ი ჰ ფ ლ ა ვ ე ნ[2].

რა თქმა უნდა, ვაზის საზამთროდ მიწაში დაფვლა (დამარხვა ყინვისაგან დაცვისათვის) კიდევ არ ნიშნავს დაბლარი მევენახეობის არსებობას;—მიწაში საზამთროდ თვით ჩვენს დროშიაც ტალავრულ და თუმბური ფორმის ვაზსაც მარხავენ. მაგრამ როგორც არ იყოს, იმდროინდელ იბერიაში დაბლარის გავრცელების საკითხის დადასტურებისათვის ბოსფორის მაგალითი არცთუ იმდენად საკმარისია.

საინტერესოა, რომ ს ტ რ ა ბ ო ნ ს მოეპოვება ცნობა თვით ამიერკავკასიაში არსებული მევენახეობის ფორმის შესახებაც. კერძოდ ალბანეთის მევენახეობისათვის იგი წერს: აქ ვენახს (ვაზს) „ხ უ თ წ ე ლ ი წ ა დ ში ე რ თ ხ ე ლ ს ხ ლ ა ვ ე ნ ო“.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქ. ეკონომ. ისტორია“, II, 338.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „საქართველო ანტიკურ ფეოდალიზაციის გზაზე“, 1937, თბ., გვ. 65: იხ. აგრ. П. Болгарев, «Виноградарство Крыма», 1951, Симферополь, стр. 14—15. 1933—1939 წწ. ქ. ქერჩის მახლობლად ძვ. ბერძნულ ქალაქის—მირმიკეის—არქეოლოგიერმა გათხრებმა, როგორც პროფ. პ. ბოლგარევი გადმოგვცემს, დაადასტურეს აქ ანტიკურ ეპოქაში მეღვინეობის განვითარების ფაქტი (იქვე. გვ. 15).

დიდი ვაზები „იმდენ ნაყოფს იძლევიან რომ მათს უდიდეს ნაწილს ზედვე სტოვებენო“[3].—ყოველივე ეს შეიძლებოდა თქმულიყო, ცხადია, მხოლოდ მაღლარზე. რა თქმა უნდა, თავისთავად, ალბანეთის მაგალითის მთელ ამიერკავკასიაზე გავრცელება, სანამ კიდევ სხვა საამისო საბუთი არ მოგვეპოვება, არცთუ იმდენად მართებული იქნებოდა.

ივ. ჯავახიშვილის დასკვნით უკვე მე-10—11 საუკ. საქართველოში „წესიერი მევენახეობის მეურნეობა სწორედ დაბლარად უნდა ყოფილიყო დამუშავებული და დაბლარი იქნებოდა კიდევაც გაბატონებული“. ივ. ჯავახიშვილის ამ დებულების დაზუსტებისათვის, ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება თუ აქვე დავსძენთ, რომ დაბლარი მაშინ, მეტი თუ ნაკლები ზომით, ალბათ მხოლოდ აღმ. საქართველოში—ქართლ-კახეთში და ისიც მხოლოდ შეძლებულ მემამულეთა შორის თუ იქნებოდა, ასე თუ ისე, გავრცელებული. ხოლო დას. და სამხრ. საქართველოში, მაგალითად შავშეთ-კლარჯეთში, როგორც თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული გიორგი მერჩულის (მე-10 საუკ. მწერლის) თხზულებითაც მტკიცდება, მევენახეობის მაღლარი ფორმა ყოფილა გაბატონებული[4].

ცხადია, ნატურალური მეურნეობის ვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ ღვინო ექსპორტის საგანიც იყო, მევენახეობის ყველაზე უფრო ინტენსიურ, ე. ი. დაბლარ ფორმას მაღლარის, განსაკუთრებით რამდენადმე მოწესრიგებული მაღლარის, გამოდევნისათვის არ ექნებოდა მაინც დიდად ხელსაყრელი პირობები, რის გამოც მაღლარს საუკუნეების მანძილზე თავისუფლად შეეძლო ეარსება დაბლარის მეზობლადაც. სწორედ ამის გამო მაღლარმა თვით მე-19 საუკუნემდე მიაღწია ინტენსიური (დაბლარი) მევენახეობის კლასიკურ რაიონშიაც, როგორიცაა კახეთი.

---

[3] В. Латышев, დასახ. თხზ. გვ. 279.

[4] ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკ. ისტ.“, II, 339.

1820-იან წლებში ჟ. გამბას აღწერილი აქვს კახეთში მაღლარი. ხეებზე გასული ვაზები.

აქ, როგორც ქოლხეთში, დიდი „ვაზები სწვდებიან ყველაზე მაღალი ხეების კენწეროებს და მოსავლის კრეფა იმდენ სიძნელეს წარმოადგენს, რომ ყურძნის ნახევარი მაინც ხეებზე ლპება“.

მაღლარისავე, „ბუნების ამ საჩუქრის, რომელიც ადამიანისაგან არავითარ მოვლას არ მოითხოვს, პარალელურად კახეთის მცხოვრებთგან გაშენებულია დიდი რაოდენობის ვენახი ((დაბლარი)“[5].

ათიოდე წლის შემდეგაც ფრ. დიუბუას მიერ აღნიშნულია კახეთში მაღლარი ვენახის არსებობის ფაქტი[6]. როგორც გამბას. აგრეთვე დიუბუასაც ყურადღება მიუქცევიათ, რომ კახეთის ტყეებიც სავსე ყოფილა მაღალი, ხეზე გასული ვაზით; მაშინ როდესაც 1840—1850-იანი წლებიდან. როგორც კახეთში. ასევე ქართლშიაც მაღლარი უკვე ცოტაა. ხოლო 1860—1870-იანი წლებიდან კი იგი აქ უკვე იშვიათად იხსენიება.

მაღლარი, როგორც მევენახეობის გაბატონებული ფორმა, მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე გავრცელებული იყო უპირატესად დას. და სამხრ. საქართველოში. აფხაზეთს (სოხუმის ოკრ.)[7], სამეგრელოს, ლეჩხუმს. გურიას (ქუთ. გუბ.—ზუგდიდის. სენაკის, ლეჩხუმისა და ოზურგეთის მაზრებში)[8] აჭარას (ბათუმის ოლქ.)[9] და ლივანს. ე. ი. ლაზისტანში (ართვინის ოკრ.).[10] რაც შეეხება იმერეთს (ქუთაისისა და შორაპნის

---

[5] Camba, I, c.. II, 202.

[6] Dubois, „Voyage autour du Caucase“. 1839. Paris., II, 202; IV, 210—211.

[7] CCBBK. IV. 18; BP. 11. 126—127.

[8] CCBBK. IV. 55—56; A. Haxthausen, „Transkaukasia“, Leipzig. I, S. 12.

[9] CCBBK. IV, 167.

[10] Д. Бакрадзе. АПГА. 40.

მაზრ.[11]). და რაჭას[12],—აქ ბატონყმობის გაუქმების პერიოდში კიდევ მაღლარი სჭარბობდა.

„დროების“ კორესპონდენტი წერს, რომ „იმერეთში უფრო ხშირია მაღლარი (ხეზე გაშვებული) ვენახი, ვინემ დაბლარი“, რომელიც „ბევრი არ წაუხდენია“ ვაზის ავადმყოფობასო[13]. ხოლო სამი ათეული წლის შემდეგ, ე. ი. 1890-იან წლებში აქ უკვე გაბატონებულია დაბლარი, რაც მალე, 1890—1900-იანი წლებიდან, ბატონდება ლეჩხუმშიაც[14].

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი რაც, გარდა მეურნეობის ინტენსიფიკაციისადმი მისწრაფებისა, აჩქარებდა მაღლარიდან დაბლარზე გადასვლას, იყო ვაზის სხვადასხვა ავადმყოფობა.

ე. ნაკაშიძე 1896 წელს წერდა: „იმერეთში სოკოვან ავადმყოფობათა განვითარებისა და ვენახის გაუმჯობესებისაკენ ადგილობრივ მეურნეთა მისწრაფების შედეგად მაღლარი, რომელიც თანდათანობით ადგილს უთმობს დაბლარს. როგორც გაბატონებული ფორმა დაცულია იმერეთის მხოლოდ სამხრეთ ნაწილში“... ზოგიერთ სოფელში: ოკრიბას, ბაზალეთს, კლდეეთს, კვალითსა და სხვ. მაღლარი და დაბლარი „ერთნაირი რაოდენობით გვხვდება, ხოლო მეღვინეობის დანარჩენ ადგილებში მაღლარის სახით აშენებენ მხოლოდ ზოგიერთი ჯიშის ვაზს... რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში (ე. ი. დაბლარის სახით—პ. გ.) არ იძლევიან მოსავალს, ანდა უარესდებიან“[15].

ცხადია, მაღლარი მეევენახეობის კულტურა შესაბამის რაიონებში, განვითარების გარკვეულ პერიოდიდან ჩამოყალიბებული ბუნებრივ-ისტორიული პირობებით იყო განმტკიცებული და საკუთრად მეღვინეობის ხარისხობრივი განვითარება უშუალო აუცილებლობით არ მიუთითებდა დაბლარზე გადასვლის საჭიროებას, ისევე როგორც თუმბური (განრთხმული) ვაზის კულტურა სრულებითაც არ უნდა წარმოადგენდეს

[11] CCBBK, III, 4, 14.

[12] CCBBK, III, 42—44.

[13] „დროება“. 1866 წ., № 32, გვ. 2.

[14] CCBBK. III, 83—84.

[15] CCBBK. III, 14; CCK. III, 207—208.

მაღლარიდან განვითარების შემდგომ, მაღალ, საფეხურს, არამედ თვით ბუნებრივი პირობებით ნაკარნახევ ფორმად უნდა ვიგულისხმოთ ისეთ რაიონებში. სადაც ტყეების არარსებობის ან ნაკლებად არსებობის გამო სარები (ჭიგოები) ძნელად საშოვნელი იყო, ანდა საერთოდ არ მოიპოვებოდა.

როგორც აღვნიშნეთ მე-19 საუკ. მაღლარი უპირატესად დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში იყო გავრცელებული. მაგრამ უკვე 1880-იან წლებში იმერეთსა და რაჭას,—განსაკუთრებით იმ სოფლებში და მეურნეობებში. სადაც მევენახეობა თაოსნობის წამყვან და, მაშასადამე, სავაჭრო დარგს წარმოადგენდა,—დაბლარი საბოლოოდ გაბატონებული ფორმა იყო და მაღლარი მხოლოდ დაბალი ღირსების, საკუთარი მოხმარების ღვინის დასაყენებლად იყო გამოყოფილი, ე. ი. მაღლარად უკვე მხოლოდ დაბალხარისხოვანი ვაზი იყო დატოვებული. 1886 წელს პ. ძ ი უ ბ ე ნ კ ო აღნიშნავდა, რომ ქუთაისის გუბერნიაში (უპირატესად იმერეთი იგულისხმება) გასაყიდად განკუთვნილი იყო დაბლარის ღვინო. ხოლო „საოჯახო მოხმარებისათვის კი არის სოფელში საერთო, ზოგჯერ კიდევ ცალკეული (ე. ი. კერძო) მაღლარი (имеются общие в деревне, иногда и отдельные маглари)“ [16].

ცხადია, მევენახეობის უფრო ინტენსიურ — დაბლარ — ფორმაზე გადასვლის პროცესში მიმდინარეობდა შერჩევა უკეთესი ჯიშის ვაზებისა და ბუნებრივია. რომ შედარებით მდარე ჯიშები შერჩებოდნენ ძველებურ (მაღლარ) ფორმას და ამდენადვე, საქონლური წარმოების გავლენისაგან წარმომდგარი დიფერენციაციის ვითარებაში, ისინი წვრილი მწარმოებლის საკუთარი მოხმარების საგნად გადაიქცეოდნენ.

პ. ძიუბენკოს ცნობა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მაღლარი, აღებული დროისათვის, უპირატესად სოფლის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, ე. ი. სათემო ტყეებში და საერთოდ სათემო, სახელმწიფო, მიწებზე იყო, ხოლო კერძო მიწებზე იშვიათად ყოფილა შერჩენილი. ცნობილია, რომ სა-

[16] П. Дзюбенко, «Виноделие на Кавказе». 1886, Тифлис, стр. 9.

თემოსთან შედარებით საერთოდ ინტენსიფიკაცია უფრო ადრე კერძო მიწათმოქმედების ასპარეზზე მიმდინარეობდა.

მაღლარის თავისებურებისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ინტენსიფიკაცია ძნელია და რთულ მანიპულაციებს მოითხოვს—სწორედ მისი ფორმის, ე. ი. მაღალ ხეებზე ლიანებად (ხვიარებად) ასხმულობის მეოხებით. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ წარმოებდა მაღლარის სისტემატური რეგულირება. დას. საქართველოში, მაგალითად, სამეგრელოსა და ლეჩხუმში მე-19 საუკ. მაღლარ ვენახში ვაზის მოწესრიგება-რეგულირებამ, შეიძლება ითქვას, თავისი განვითარების კულმინაციურ პუნქტს მიაღწია.

აი როგორ აგვიწერს თვით საუკეთესო სპეციალისტი, მაგალითად ლეჩხუმის მაზრაში 1890-იან წლებში, მაღლარის მოვლის კულტურის ამ მხარეს: ხეზე გაშვებულ ვაზებს... ყოველწლიურად სხლავენ; თვით ამ ხესაც კიდევ ყოველწლიურად სხლავენ და ამასთანავე ისეთს ფორმას აძლევენ. რომ 1½—2 საჟენზე ტოტებისაგან თავისუფალ. ½ არშინამდე დიამეტრის მქონე შტამბს (ствол) ზემოთ მიყვება 5-დან 7-მდე განიგანზე მიმავალი ვაზის მსხვილი ტოტი 1—1½ არშინის სიგრძისა. ვაზის ყოველი ასეთი ტოტი მისდევს ხის შესაბამის ტოტს, რომელთაგან, ზოგიერთს, თავის მხრივ, პატარა შტოებზე გასდევს ვაზის მოკლე ყლორტი, ამგვარად შტამბის თავი ღებულობს კანდელაბრის ანუ თასის ფორმას.

გასხვლისათვის ვაზს, თითქმის ყოველთვის მოხსნიან ხისაგან და დაუშვებენ მიწაზე, ხოლო ამ ოპერაციის შემდეგ ვაზს ისევ ხეზე აიტანენ და მის ზედა ნაწილებს (ტოტებს) ჩაახვევენ ხის განშტოებულ შესაბამისი სიდიდის ტოტებზე[16a].

ამასთანავე, გასაგებია, რომ გასხვლისა და, მაშასადამე, ინტენსიფიკაციისათვის სხვა აუცილებელი ოპერაციების ყოველწლიურად ასეთს რთულ პირობებში წარმოება, მიუხედავად ტრადიციის მფარველობისა, ნაკლებად მიმზიდველი იქნებოდა დაბლარის კულტურის გავრცელების შემდეგ. მაგრამ მაღლარს

[16a] ССВВК. III, 87—88.

ლახვარი ჩასცა განსაკუთრებით ვაზის ავადმყოფობამ. მილდიუმ, ოიდიუმმა, და მერმე ისეთმა მავნებელმა, როგორიცაა ფილოქსერა,—რამდენადაც მაღლარის შეწამვლა ძნელი და ხშირად პირდაპირ შეუძლებელიც იყო. 1890-იანი წლებიდან, ცხადია, მაღლარის ყოველწლიური გასხლვით უკვე თავს ნაკლებად იწუხებდნენ. როგორც ლეჩხუმში, ისე გურია-სამეგრელოს სოფელთა უმრავლესობაში მაღლარის (ვაზისა და ხის) გასხვლა-გაწმენდა 2, 3. 4 და ზოგან კიდევ 5 წელიწადში ერთხელ ხდებოდა[17].

ვენახასხმული ხე თხმელა, თუთა, კოპიტი, ხურმა და სხვ. 1890-იან წლებშიც არაიშვიათად აღწევდა ათი, თხუთმეტი საჟენის სიმაღლეს[18] ამ ხეებს კენწეროებამდე ასვევია ვაზის მრავალრიცხოვანი ტოტი (ნაყარი), რაც ხის ტოტებიდან შემდეგ გრძლადაა ძირს დაკიდული. ერთი ასეთი ხიდან არაიშვიათად კრეფდნენ 20 და კიდევ მეტ ფუთ ყურძენს. ს. ხუთელში (ორბელის საზოგადოებისა) ზედა ცხენისწყლის ნაპირას, მთელი „ტყე" იყო ასეთი მაღლარისა. სწორედ ამოიგად გაშენებულ ვენახს ეწოდება „დობირო". აქ რიგთა შორის, საერთოდ ვენაზში, სხვა კულტურა შეუძლებელია, რადგან ხეები მთლიანად ჩრდილავენ ნიადაგს.[19] ასეთი მაღლარის გაშენება. მაგალითად, ლეჩხუმში 1890-იანი წლებში უკვე სავსებით შეწყვეტილი იყო[20].

1880-იანი წლების შუახანებში, ლეჩხუმის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერის დ. ნიკოლოვიჩის ცნობით, აქ ვენახით დაკავებული ფართობის ნახევა-

---

[17] CCBBK, IV. 78; BP, II, 127.

[18] ბუნებრივია, რომ ასეთ ხეზე ასულ მუშას დიდი სიფრთხილე მართებდა, რათა არ ჩამოვარდნილიყო. აქედანაა წარმომდგარი ჩვეულება, როდესაც მეგიდელე ზემოდან ბაწრით ჩამოშვებული გიდელის დაცლის შემდეგ, გიდელის ზემოთ ყოველ აშვებას ყურძნისმკრეფავს ატყობინებდა სიტყვებით „მშვიდობით ჩამოდი"—ე. ი. გამოთქმით სურვილისა, რომ ყურძნის მკრეფავი დაუზიანებლად დაშვებულიყო ხიდან CCBBK, IV, 89—90).

[19] CCBBK, III, 89.

[20] იქვე, 84, IV, 58.

რი მაღლარს, ხოლო მეორე ნახევარი—დაბლარს ეჭირა. „ამ ორგვარი მევენახეობიდან თითოეულს თავისი უპირატესობა და უარყოფითი მხარე აქვს. დაბლარი იმდენსავე ფართობზე ბევრად უფრო მეტი რაოდენობის ყურძენს იძლევა; სამაგიეროდ მაღლარს ის უპირატესობა აქვს, რომ ხეებს შორის თავისუფალი მიწა იხვნება და წარმოადგენს მინდორს. ამიტომაც მცირემიწიან სოფლებში უმეტესწილად გვხვდება მაღლარი, ხოლო მიწით უფრო მდიდარ სოფლებში „დაბლარიო"—აცხადებს იგი"[1]

აქვე უნდა ითქვას, რომ დ. ნოსოვიჩის მიერ მოვლენის ახსნა საესებით არამართებულია. დაბლარი უპირატესად იმიტომ ჰქონდათ მიწით მდიდარ და, მაშასადამე, საერთოდ მდიდარ სოფლებში, რომ იგი, დაბლარი, როგორც შედარებით ახალი ფორმა მევენახეობისა, რომელიც დიდ ხარჯებს მოითხოვდა, შეეძლო გაეშენებინა მხოლოდ უფრო მდიდარ სოფლებსა და მეკომურთ; ხოლო რაც შეეხება მაღლარს, იგი შერჩენილი ჰქონდა ღარიბ გლეხობას, რომელსაც უსახსრობის გამო კიდევ ვერ მოეხერხებინა უფრო ინტენსიურ მევენახეობაზე, ე. ი. დაბლარზე გადასვლა.

ათიოდე წლის შემდეგ ა. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი, რომელსაც ეკუთვნის მშვენიერი მონოგრაფია ლეჩხუმის მაზრის მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ, აქ მაღლარსა და დაბლარს შორის გამართულ საკონკურენციო ბრძოლის შესახებ წერდა (1896 წ.): „უკანასკნელ ხანებში დაბლარისა და მაღლარის მიერ დაკავებულ ფართობთა შეფარდება იცვლება დაბლარის სასარგებლოდ. ეს ნაწილობრივ აიხსნება მაზრაში ორი საუკეთესო ჯიშის ვაზის „ალექსანდროულისა" და „უსახელაურის" გავრცელებით. დაბლარის ფორმით გაშენებული ეს ჯიშები იძლევიან საუკეთესო ხარისხის ღვინის დიდ მოსავალს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დროთა მსვლელობაში დაბლარი სულ გამოდევნის მაღლარსო"[22].

---

[21] МИЭБГКЗК. I, изд. II, 188.
[22] ССВВК. III, 87.

მაღლარი ვენახი გავრცელებული იყო აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით აზერბაიჯანში. სადაც მაღლარის შესატყვისად „ხიავანი“ იხმარება[23]. ელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში ხიავანი გაბატონებული იყო ნუხის, შუშის, არეშის, ჯებრაილისა და ჯევანშირის მაზრებში[24]. ხოლო ყაზახისა და ზანგეზურის მაზრების მხოლოდ ზოგიერთ სოფელში იყო იგი 1890-იანი წლების გასულს შერჩენილი[25].

ბაქოს გუბერნიის (შირვანის) დაბლობებშიაც ხიავანი საყოველთაოდ იყო გავრცელებული. სახელდობრ, შემახიასა და გეოგჩაის მაზრებში პ. ყ ა ნ დ ურ ა ლ ო ვ ი ს ცნობით (1896 წ.) სარწყავ დაბლობ ადგილებისა და ხშირად მაღლობის ზონაშიაც იყო გაშენებული[26]. აქ სხვადასხვა ზომის მიწის ნაკვეთებზე მაღლარი ვაზი თუთისა და საერთოდ სხვადასხვა ხილის ხეებზე იყო შეშვებული[27]. ლენქორანის მაზრაში ვენახების ფართობის 20% „წესიერად გაშენებულ“ ხიავანებზე მოდიოდა[28].

მიხ. ბ ა ლ ა ს ი შირვანის მევენახეობის დახასიათებისას წერდა (1897 წ.), რომ ხიავანები, რომელთაც აქ დიდი ადგილი ეჭირათ. „წარმოადგენენ ხეხილის, თუთისა და ტყის ხეებისაგან შემდგარ მოუვლელ ბაღებს. სადაც ყოველგვარი სისტემისა და მოვლის გარეშე იზრდება ნახევრადგაველურებული ვაზი“. სამაგიეროდ იმ რაიონებში, სადაც ყურძნის გასაღებამ და არაყის გამოხდამ ფართო ხასიათი მიიღო „ხიავანებს უფრო გულმოდგინე მოვლა და ნარგავობის სპეციალური ხასიათიც ეტყობაო“[29]. შედარებით კარგი მოვლა ჰქონია მაღლარს საერთოდ განჯის გუბერნიაშიც[30], სადაც ყურძნის ამა თუ იმ სა-

23 ССВВК, V 34; ВР—III, 184, 330; СМЭВГКЗК, IV, 34;
24 ОФК 1897 г. 113—114, 126; ВР, III, 184—185, 202—203.
25 ОФК. 1887, 137.
26 ССВВК. V, 28.
27 იქვე, 34.
28 ОФК. 1897 г., 137.
29 ВР, III, 329.
30 ВР. III, 188.

ხით რეალიზაცია საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო. აქ ხიავანები ეკუთვნოდათ უპირატესად აბორიგენებს, აზერბაიჯანელთ, რომელთაც რელიგია (მაჰმადიანობა) უკრძალავდა ღვინის სმასა და, მაშასადამე, წარმოებასაც[31].

საერთოდ მაღლარით დაკავებული მიწის ნაჭერი არ წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ვენახს. კერძოდ დას. საქართველოში მაღლართან ერთად მემინდვრეობის კულტურებიც თავსდებოდნენ. მაღლარი და მემინდვრეობის სხვადასხვა კულტურები მიწის ერთსადაიმავე ნაჭერზე ჰქმნიდნენ ერთმანეთისაგან სავსებით დამოუკიდებელ დარგებს, რომელთა წარმოების პროცესებიც სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა. დას. საქართველოში მაღლარით დაკავებული მიწა იმავე დროს წარმოადგენდა სახნავს (სიმინდის ან ღომის ყანას), ანდა საკარმიდამოს.

აზერბაიჯანში ხიავანი იმავე დროს იყო ხეხილის ბაღი, თუთისხის პლანტაცია და სათიბი მინდორიც. ამასთანავე, როგორც ს. ზელინსკი (1888 წ.) წერდა, აქ „მიწის ამგვარი ნაკვეთებიდან მიღებული მრავალგვარ პროდუქტთაგან ცალკე არც ერთი არ შეიძლება მივიჩნიოთ ძირითადად; უპირატესობა მხოლოდ იმ პროდუქტის მხარეზე იქნება, რომელსაც მოცემულ წელს მეტი ფასი და მნიშვნელობა ექნება მეპატრონისათვის“[32].

ამგვარად, მაღლარი ფორმის მევენახეობა შესაძლებელს ხდიდა სხვადასხვა კულტურათა თავისებურ შეთანაწყობას, სადაც სხვადასხვაგვარ მრავალწლიან ნარგავთა შორის მარცვლეულიც ხარობდა და, მაშასადამე, მეურნეს შესაძლებლობას აძლევდა წლის განმავლობაში ამ სხვადასხვა კულტურისათვის მოსავლიანობის სხვადასხვა შესაძლებლობისა და თვით სხვადასხვანაირი ფასის (რეალიზაციის პირობის) მიხედვით მნიშვნელოვანი მანევრირება ეწარმოებინა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევ მოვლენას წარმოადგენდა, როგორც სა-

---

31 ОФК, 1897, 114, 126.
32 СМЭБГКЭК, IV, II, 34.

ერთოდ მეურნეობრივი თაოსნობის, ისე კერძოდ თავის გამოკვების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

მაღლარის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ვაზი ხშირად ძლიერ დიდი ზომისა იზრდება და ასე თვალნათლივ გვაგონებს ველურ ვაზს. ს. პ უ შ კ ა რ ე ვ ი ს მიერ 1852 წელს აფხაზეთში აღწერილია ასწლოვანი ვაზები. „რომელთა სისქე, ხშირად აღწევს 1/4 არშინს". ხოლო ბიჭვინთაში არის „ვაზი, რომლის სისქე, ძირიდან ორი არშინის ზემოთ, ნ ა ხ ე ვ ა რ ა რ შ ი ნ ს აღწევს, და მისი ტოტები გარსეხვევიან ორ დიდ ხეს"[33]. ვაზის ავადმყოფობათა გავრცელების შემდეგაც, თვით 1890-იან წლებში, გურია-სამეგრელოში, ე. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს მოწმობით, „ვაზი, რომლის სისქე ნახევარ არშინამდე აღწევს, ფრიად არაიშვიათი მოვლენაა"[34].

მაგრამ არც აღმ. საქართველოში იყო უცნობი ასეთი გიგანტური ვაზები[35]. 1851 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში ქ. კ ო ლ ო დ ე ე ვ ი ს მიერ აღწერილია ტალავერის ფორმით დაცული „სამი მეტისმეტად ძველი ვაზი, რომლებიც შესანიშნავია თავიანთი არაჩვეულებრივი სიმსხვილით და რომლებიც ალბათ რამდენიმე საუკუნისანი არიან. ყველაზე დიდ ანუ უმსხვილესი ვაზის ღეროს (ствол) გარშემორტყმის (в окружности) სიგრძე უდრის 3 1/2 ფუტს. ორი დანარჩენი ვაზისა

---

33 «Кавказ». 1852, №№ 27—29; ВКОСХ, 1855, стр. 67; ССК; III, 204.

34 ССВВК, IV, 55; ВР, II, 150.

35 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს აღწერილი აქვს ახალგორში ქსნის ერისთავების კარის ეკლესია, რომლის აღსავლის კარების მთლიან ზენადგარზე ყურძენმოსხმული განშტოებული ვაზის სახით ამოჩუქურთმებულია ფერწერით შემკული ჯვარცმა—თორმეტი მოციქულით. ხოლო თვით აღსავლის კარის ზენადგარი გაკეთებულია ვაზის ფიცრებისაგან. ჯვარცმის ქვემოთ ანგელოსებს უჭირავთ არშია ხუცური წარწერით: „მე ვარ ვენახი: და თქვენ შტონი: რომელნი დაადარეს ჩ—მთა: მან მიიღოს ნაყოფი მრავალი". (Е. Такайшвили, «Археологич. экскурсии», 1915, V, 129—130; იქვე. 135 გვერდზე მოთავსებულია ვაზის ფიცრებისაგან შეკრულ ზენადგარზე ამოჩუქურთმებულ-დახატული ხსენებული ჯვარცმის სურათიც.

კიდევ 3 და 2½ ფუტს. ამ ვაზების შტამბი 6½ ფუტის სიმაღლეზეა განშტოებული. ტოტები გაკრულია ჰორიზონტალურად ტალავერზე, რომელსაც უჭირავს 100 კვადრ. საჟენი ფართობი, რომელიც ზაფხულის სიცხის დროს სქლადაა დაფარული ვაზის ფოთლებითა და მრავალი მშვენიერი მტევნებით. ყოველი ძირი ვაზიდან ყოველწლიურად ჰკრეფენ 10-დან 15-მდე ფუთ ტკბილ, შავ, გრძელ ყურძენს, რასაც ქართულად „საღებეს“ (сареба) უწოდებენ“[36]. ეს ვაზები თბილისის ბოტანიკური ბაღის განსაკუთრებული მზრუნველობის ობიექტად იყო მიჩნეული. მაღლარი ვაზი სიდიდითა და ხანგრძლივი გამძლეობით განირჩეოდა აგრეთვე როგორც ბაქოს[37], ისე ელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნიაშიც[38].

2. მაღლარიდან დაბლარისაკენ გარდამავალი ფორმები

ა. ტალავარის (ტალავერის, ხეივნის) ფორმის მევენახეობა

ტ ა ლ ა ვ ე რ ი ე. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს განმარტებით არის ბოძებზე ჰორიზონტალურად გადებულ ლარტყებზე მიშვებული ვაზის კულტურა. ტალავერი საჩრდილობელის სახით მისდევს ბაღებში გაყვანილ გზებს, რომლებიც, ამგვარად, გადახურულ ხეივნებად იქცევიან; ტალავერის სახით კეთდება „სასაუბრო“ (беседка), ტალავერით იჩრდილება მარანი — ჭურები და ქვევრები, თუ ზედ სახლი არაა დადგმული[39].

მე-19 საუკ. ტალავერი გავრცელებული იყო დას. საქართველოში—აფხაზეთს, სამეგრელოს, გურიასა და იმერეთში[40]. ცხადია იგი კარგად იყო ცნობილი აღმ. საქართველოშიაც. მა-

---

36 ОДНК. 11.
37 ССВВК. V, 37.
38 ВР, III, 187—188.
39 ССВВК. III, 14; ССК, III, 207.
40 ССВВК. IV, 32; ВР, 127.

გალითად, 1870-იან წლებში ქართლში. კერძოდ გორის მაზრაში, სახელდობრ გაღმა-მხარის მტკვრის მარჯვენა სოფლების ხეივნები, აღწერილია როგორც ერთ-ერთი ფორმა მევენახეობისა.[41] ტალავერი ცნობილია აგრეთვე ქ. თბილისსა და მისი მაზრის სოფლებშიაც[42]. 1850-იან წლებში. ქ. კოლოდეევის მიერ, თბილისის ბოტანიკურ ბაღში, აღწერილია 3 ძირი გიგანტური ვაზისაგან გამართული ტალავერი. რომელიც 100 კვადრ. საჟ. მიწას ფარავდა[43].

ტალავრული მევენახეობა გავრცელებული ყოფილა აზერბაიჯანშიაც. ე. კ ა მ ე ნ ე ც კ ი ს ცნობით (1897 წ.) იქ ასეთ ვენახს უწოდებენ „ტალავერბაღებს", ანდა უბრალოდ „ტალავერს". ტალავერი წარმოადგენს იმას. რასაც საფრანგეთში „vigne en treilles hautes" ეძახიანო[44].

ტალავრული მევენახეობა ერევნის გუბერნიის ნახჭევანის მაზრაში აღწერილი აქვს (1896 წ.) ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ს. აქ ორდუბათის მთელ რაიონში „ვაზი მიშვებულია ბოძებზე ჰორიზონტალურად გარდი-გარდმო განწყობილ ლარტყებზე"; ბოძებით ლარტყებზე მიშვებული ვაზი „ბრტყელი სახურავით ფარავს ლარტყების გაფორმებას. ადგილ-ადგილ ზემოდან ძირსაც ეკიდება და, ამ სახით, ჰქმნის ხეივანს". ამგვარად. ტალავრული ფორმის ვენახს ხეივანსაც უწოდებენ[45].

აღსანიშნავია. რომ ტალავრული მევენახეობა საერთოდ კულტურული მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა ტალავრული მევენახეობა გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ასურეთში. ა ს უ რ ბ ა ნ ი პ ა ლ ი ს (668—626 წწ.) მიერ აშენებული სასახლის ნანგრევთა გათხრებისას აღმოჩენილ რელიეფებს შორის ერთ-ერთზე გამოხატულია მეფე. რომელიც ვაზის

---

41 ССК, III, 253.
42 ВР. III, 93.
43 ОДНК. стр. 11.
44 ОФК, 1897.. 126.
45 ССВВК, IV, 61.

ტალავერში ქეიფობს. იქვე ნაპოვნია პარალელურად მაღლარი ფორმის მევენახეობის დამადასტურებელი ნიშნებიც[46].

ტალავერი, როგორც ჩანს, ადამიანის ხელოვნურად გაკეთებული თავშესაფარის (ბინის) თავდაპირველი ფორმისაგანაა წარმომდგარი. მე-10 საუკ. საქართველოში ტალავერი სწორედ ასეთ ბინასაც (სახლსაც) ეწოდებოდა. ბასილ ზარზმელი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების აღწერაში, აცხადებს: „რა ჟამს დაიბანაკეს წმინდათა მათ ადგილსა მას ზემოხსენებულსა, ქმნეს ტალავარი მახლობლად ბორცუსა მას და აღაგზნეს ცეცხლი“... „ხოლო ვითარცა მიიწია მუნ. იხილა ტალავარი იგი და კაცნი შემოსილნი ხალენებითა“[47].

მოყვანილი მასალა იმასაც უნდა ადასტურებდეს, რომ ტალავრული ფორმის მევენახეობა ისტორიულად მაღლარის შემდგომ განვითარებულ ფორმას წარმოადგენს[48]. ტალავერის (ხეივნის) სახით მევენახეებმა, ალბათ, პირველად იწყეს ვაზის ტოტების რეგულირება, რათა მათთვის სასურველი მიმართულება და, მაშასადამე, განლაგება მიეცათ. ტალავარზე თუ ხეივანზე შეშვებული ვაზიც ხომ არსებითად მაღლარია და ძლიერ უახლოვდება ხარდანს (იხ. ქვემოთ), რაც ისევ მაღლარის ხელნაშენობაზე გადასვლის ადრინდელ საფეხურთაგანს წარმოადგენს.

ბ. ხარდანი ანუ ოლიხნარი

მე-19 საუკუნის საქართველოში ალბათ კიდევ იყო დაცული კულტურული მევენახეობის ყველა ფორმა,—არქაულიდან

---

46 К. Верман, «Ист. искусства», I, 232—233.

47 ბ. ზარზმელი, „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“; იხ. კ. კეკელიძე, „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, 1935, თბ., გვ. 154;—ამონაწერის მოწოდებისათვის აკად. კ. კეკელიძეს მადლობას მოვახსენებ.

48 იხ. ОФК, 1897 г. 127.

მოყოლებული. ასეთს ვითარებაში, ცხადია, შედარებით ადვილად შესამჩნევი და შესასწავლია მევენახეობის დაბალიდან მაღლარი ფორმებისაკენ, ან პირუკუ, გარდამავალი საფეხურები, რომლებიც ზოგან ერთმანეთის გვერდით თვალნათლივ და ყოველდღიურად დაინახებოდა ხოლმე.

1890-იან წლებში იმერეთის მაგალითზე ე. ნ ა კ ა შ ი ძ ე ს აღწერილი აქვს მაღლარიდან დაბლარისაკენ გარდამავალი ერთ-ერთი საინტერესო ფორმა: ო ლ ი ხ ნ ა რ ი[49]. ამ ფორმის მევენახეობის დროს, მსგავსად მაღლარისა, ვაზი შეშვებულია მაღალ, 4—5 არშინის სიმაღლის ხის დიდ სარზე ანუ ბოძზე, რომელსაც შერჩენილი აქვს შედარებით ძლიერი ტოტები, რათა მათზე ვაზის ტოტებიც გაიშალოს და ყურძნის კრეფის დროს კაციც შედგეს. ოლიხნარის ვაზი მიშვებულია აგრეთვე დაბალ, ხელოვნურად გაფორმებულ, ცოცხალ ხეზედაც. ოლიხნარს ჩვეულებრივ 1,5 საჟენით ერთმანეთს დაშორებულ მწკრივზე აშენებდნენ, თუმცა, ცხადია, არა ყოველთვის.

ხარდანის ანუ ოლიხნარის ვენახში, როგორც წესი, რიგთა-შორისი კულტურა დაშვებულია. მიწას ხნავენ კავით, რაც მწკრივთა შორის თავისუფლად მოძრაობს და სთესენ ხოლმე სიმინდსა და შიგმიყოლებით ლობიოსაც.

როდესაც ოლიხნარი მწკრივზე არ იყო გაშენებული, მას ხ ა რ დ ა ნ ი ეწოდებოდა. ხარდანი, ე. ნ ა ჯ ა შ ი ძ ი ს აზრით, „წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს (მოწესრიგებული—პ. გ.) მაღლარსა ანუ დაბლარისაკენ; პირველ შემთხვევაში ყოველ ვაზთან დარგულია ახალგაზრდა ხე, რომელზედაც შემდეგში ვაზი იქნება შეშვებული. იმისათვის, რათა მაღლარი დაბლა-

---

49 CCBBK, II, 17; ფ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს ეკ. ისტ.." II, 309—310.

რად გადააქციონ, ხეებს სჭრიან, ხოლო მათზე შეშვებულ ვაზებს დაწინდვის მეოხებით ამრავლებენ ტოტების (ნაყარის) შესაბამისად"[50].

მაგრამ ხარდანის, როგორც მაღლარისა ან დაბლარისაკენ გარდამავალ საფეხურად განხილვა, მსგავსად ე. ნაკაშიძის „ანმარტებისა, არ უნდა იყოს სავსებით მართებული. ხარდანი, მსგავსად ოლიხნარისა, როგორც წესი, უნდა წარმოადგენდეს გარდამავალ საფეხურს მაღლარიდან დაბლარისაკენ. მართალია, როგორც ყოველ გარდამავალ საფეხურზე, აქაც არაა გამორიცხული უკან დახევა, ე. ი. ხარდანის და თვით ოლიხნარისაც მაღლარად გადაზრდა (გადაქცევა), მაგრამ ორივე ეს ფორმა, როგორც ოლიხნარი, ისე ხარდანი მევენახეობის უფრო განვითარებულ და, მაშასადამე, მაღალ ფორმას წარმოადგენენ ვინემ მაღლარი; ანდა, ბოლოს, შეგვიძლია ისინი მივიჩნიოთ როგორც ისეთი „მაღლარი", რომელიც ადრე თუ გვიან, არსებული ვითარების შესაბამისად, დაბლარში უნდა გადაიზარდოს. ერთი სიტყვით, ოლიხნარი და ხარდანი არქაული წესის მაღლარიდან უფრო ინტენსიურ მევენახეობაზე და, ამდენადვე, დაბლარისაკენ გარდამავალ ფორმებს წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ მაღლარიდან დაბლარისაკენ დაახლოებით ანალოგიური გარდამავალი საფეხური 1896 წელს, კერძოდ ლეჩხუმის მაზრაში, აღწერილი აქვს ა. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ს, რომელიც სავსებით გარკვევით წერს: ვაზის ბუჩქის „გაფორმების ეს წესი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის წარმოადგენს გარდამავალ (ფორმას) მაღლარია კულტურიდან დაბლარის კულტურისაკენო"[51].

3. თუმბური ანუ განრთხმული მევენახეობა

ა. მევენახეობის თუმბური ფორმა

თ უ მ ბ უ რ ი (განრთხმული, ბუჩქნარი) ფორმის ვენახი გავრცელებულია სომხეთში (ერევნის გუბ.). ტ ე რ-ა კ ო პ ო-

[50] CCBBK, III. 18.

[51] CCBBK, III, 89—90.

ვ ი ს მიერ 1874 წელს შეგროვილი ცნობებით „ვაზს აქ აქვს საერთოდ ბუჩქნაირი მცენარის ფორმა, რაც არ მოითხოვს არც სარსა და არც ჭიგოს“ («не требует ни кольев, ни жердей»)[51a] ათიოდე წლის შემდეგ ს. გ ე ე ვ ს კ ი ს ა და ვ. შ ა რ ე ‑ რ ი ს აღწერით ერევნის გუბერნიაში „ვაზები მიწაყრილზე დაწოლილი მდგომარეობით აქვთ“[52] გაშენებული. ხოლო ამავე გუბერნიის ორდუბათის რაიონში კი „ვაზებს ბოძებზე ჰორიზონტალურად გადებულ ლარტყებზე აკრავენ“[53]

თუ ეს უკანასკნელი ფორმა უფრო დას. საქართველოში გავრცელებულ ტალავერს მოგვაგონებს, სამაგიეროდ პირველი, თუმბური ფორმა, რაც საერთოდ გავრცელებულია სომხეთში, ცხადია, სავსებით თავისებური ხასიათისაა. ცნობილი სპეციალისტის პ. ძ ი უ ბ ე ნ კ ო ს დაკვირვებით (1886 წ.) სომხეთში „საბრჯენი (ჭიგო), ტყის არასაკმარისობისა გამო. არ არსებობს და ვაზი მომცრო მიწაყრილზე (ბორცვზეა) დაფენილი ისე, რომ მზე თავისი სხივებით ერთრიგად აცხუნებდეს ორსავე მხარეს“[54]. ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. რომელსაც ეკუთვნის პირველი მეცნიერული შრომა ერევნის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონის შესახებ. გადმოგვცემს. რომ „მთელ რაიონში ვაზი მიწაყრილზე. ე. წ. „თუმბებზე“ აქვთ დაფენილი, გაწოლილი ბუჩქების სახით. ვაზის მოვლის ეს ფორმა ყველაზე უფრო განრთხმულს (расстилочный) უახლოვდება“[55]. სომხურად ვაზის დასაფენად გაკეთებულ საკმაოდ მაღალ მიწაყრილს (ბორცვს) უწოდებენ „თუმბ“-ს.— აქედან თვით ამგვარმა მევენახეობამაც მიიღო თუმბური მევენახეობის სახელწოდება[56].

[51a] ССК. III, 261.

[52] ТКОСХ, 1886 г., № 12, стр. 850.

[53] იქვე.

[54] П. Д з ю б е н к о, I, с., 44.

[55] ССВВК, III, 49.

[56] Е. А с л а н я н, «Тумбовая система культуры винограда в Армении» «Виноделие и виноградарство СССР», 1948 г., № 1 стр. 29—31.

სომხეთში გავრცელებული თუმბური ანუ განრთხმული ფორმის მევენახეობა, როგორც ინტენსიური კულტურა, წესიერი ექსპლოატაციისათვის მოითხოვს დიდ შრომასა და ხარჯებს—განსაკუთრებით მიწის სამუშაოების მხრივ. ეს უტყეობით პირობადებული ფორმა მევენახეობისა, რაციონალური მოვლისას „მაინც საჭიროებს 30—40 სანტიმეტრის სიგრძის პატარა ორკაპიან საბჯენებს (ბიჯგებს) ანუ საყრდენებს[57], განსაკუთრებით ყურძნის დამწიფების პერიოდში, რათა ნაყოფს უხვად მოხვდეს მზის სხივები და თანაც ყურძენი დაცულ იქნას სარწყავი წყლის და საერთოდ ნიადაგის სინესტის გამფუჭებელი გავლენისაგან.

ყურძნის დამწიფების პერიოდში ვაზის რქებისათვის ბრჯენების გაკეთება ერევნის გუბერნიაში საყოველთაოდ იყო გავრცელებული; „მაგრამ ზოგიერთებს, განსაკუთრებით ყველაზე ღარიბ გლეხობას, ვაზი ყურძნის თვით მოკრეფამდე უბრჯენოდ აქვს მიწაზე განრთხმული. გლეხებს შეგნებული აქვთ ამის ზიანი, მაგრამ მუშახელის და თავისუფალი დროის ნაკლებობა, ხშირად კიდევ ბრჯენებისათვის აუცილებელი მასალის უქონლობა საშუალებას არ აძლევს მათ შეასრულონ ეს მნიშვნელოვანი სამუშაო“—წერდა 1896 წ. ი. ანდრონიკაშვილი[58].

განრთხმული მევენახეობა გავრცელებული იყო აგრეთვე ბაქოს გუბერნიის ზოგიერთ რაიონში; კერძოდ ყუბის მაზრის სამხრეთ ნაწილში, ჯევათის მაზრისა და შემახიას მაზრის ზოგიერთ თემში, აგრეთვე ლენქორანის მაზრის რუსულ სოფლებშიაც და სხვ[59]. მევენახეობის განრთხმულ ფორმას უნდა მიეწეროს აგრეთვე აგრონომ ე. კამენეცკის მიერ 1897 წ. განჯის გუბერნიის ზანგეზურის მაზრის ზოგიერთ სოფელში

---

[57] ასეთ ორკაპიან საყრდენს სომხები ხეჩას (ყარაბაღში) ანუ ხჩმარს (ერევ.) უწოდებენ, იხ. ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონ. ისტორია“, II, 549.

[58] ССВВ, IV, 59; იხ. აგრ. МИЭБГКЗК, IV, II, 48—49.

[59] ВР, III, 330, 332; МИЭБГКЗК, I, 501—502; СМИЭБГК, IV, II, 48—49.

აღწერილი კლდეებზე მიშვებული ვაზი; აქ „ვაზი უბრალოდ მიშვებული და გადახვეულია კლდეებზე“[60].

ბ. ვაზის საზამთროდ მიწაში ჩაფვლის წესი

ამიერკავკასიის დაბლარის ძველ რაიონებში, ხოლო განსაკუთრებით განრთხმული მევენახეობის რაიონებში, ზამთარი ხშირად იმდენად მკაცრია, რომ ვაზი ყინვას ვერ იტანს. ყინვის მავნებელი გავლენისაგან ვაზის დაცვის მიზნით ამ რაიონებში ძველი დროიდანვე გამომუშავებულია საზამთროდ ვაზის მიწაში დამარხვის წესი. ჯერ კიდევ სტრაბონის ცნობით („გეოგრაფია. II, თავი I. § 16; VII, თავი III, § 18) ძველ ბოსფორში, ე. ი. ყირიმში ვაზს საზამთროდ მიწაში ფლავდნენ. აკად. ს. ჯანაშიას შესაძლებლად მიაჩნია ანალოგიური ვითარება გაავრცელოს საქართველოზე, იბერიაზე[61].

საზამთროდ ვაზის მიწაში დამარხვა, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით აუცილებელია სომხეთში. ი. ანდრონიკაშვილი წერდა (1897 წ.), რომ ერევნის გუბერნიაში „ძლიერი ყინვების გამო ზამთრობით ვაზს იფარავენ. ამისათვის, ყურძნის მოკრეფის შემდეგ მალე, სახელდობრ ოქტომბრის შუარიცხვებში... და ნოემბრის დამდეგამდე ვაზის ბუჩქებს მიწაში ჩასთხრიან... თუ შემოდგომა ძლიერ მშრალი იყო და ყურძნის კრეფის წინ ვენახი არ მოურწყავთ, მაშინ ვენახს წინასწარ რწყავენ, რათა მიწა ძცირეოდენ შეარბილონ“, რაც აუცილებელია ვაზის მიწაში ჩამარხვის ოპერაციებისათვის[62].

უფრო ადრე ს. ძიუბენკოს, უფრო დეტალურადაც აქვს აღწერილი, რომ სომხეთში. საზამთროდ ვაზის ბუჩქს მიწაში ჩაფლავენ ისე. რომ ვაზი სწორ მწკრივებად ჩაეწყობა კვლებში, რომელზედაც წააყრიან მიწას. ხოლო გაზაფხულზე

---

60 ОФК. 1897, 114.

61 ს. ჯანაშია, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, 1937, თბ., გვ. 65.

62 ССВВК. VI, 53—54.

კვლავ ამოსთხრიან. ამოყრიან რა მიწას კვლის ორსავე მხარეს, რის გამოც წარმოიქმნება მიწაყრილი (насыпь).[63]

საზამთროდ ვაზის მიწაში ჩაფვლა საჭირო იყო თბილისის გუბერნიის ზოგიერთ რაიონშიაც. მაგალითად, გორის მაზრის ვაკე ადგილებში, სადაც ქარის მეოხებით თუ უამისოდაც „თოვლისაგან გატიტვლებული ნიადაგი ადვილად იყინება, რაც ზოგიერთ წელს ვაკეებსა და ჭალებში მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ვაზს, თუ იგი საზამთროდ მიწაში არაა ჩათხრილი"[64].

ვაზის მიწაში ჩაფვლა უფრო ფართო ხასიათს ღებულობს ჩვენი დროის მევენახეობაში, როდესაც ვაზის კულტურა სულ უფრო მეტის ძალით მიიწევს ჩრდილოეთის რაიონებისაკენ. უკანასკნელი პროცესის შედეგად ყინვისაგან ვაზის დაცვის საკითხი დიდი ხანია რაც მეცნიერული დაკვირვების და შესწავლის საგნადაა ქცეული[65].

4. დაბლარი

ა. დაბლარი ფორმის მევენახეობა

დაბლარი საერთოდ მევენახეობის ყველაზე ინტენსიური ფორმაა და ამგვარი სისტემის მეურნეობაში ყველაზე გავრცელებულიც არის. იგი თავისთავად უკვე მევენახეობის განვითარების მაღალი, იქნებ უმაღლესი დონის მაჩვენებელია და, ცხადია, მაღლარიდან რიგი გარდამავალი საფეხურების გზით უნდა წარმომდგარიყო.

იმერეთში, სადაც მევენახეობის მიმდევარ ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ 1890-იან წლებშიაც მაღლარი და დაბლარი თითქმის ერთგვარად იყო გავრცელებული და, ამგვარად, ერ-

---

63 П. Дзюбенко, I, с. 44; «Труды первого съезда Наркомземов ЗСФСР», 1924, Тифлис, стр. 199.

64 ССВВК, III, 17.

65 Р. Кирилов, «Защита виноградников от морозов в районах северного виноградарства»: журн. «Виноделие и виноградарство СССР», 1948, № 3, стр. 23—27.

თიდან მეორე ფორმაზე გარდამავალი საფეხური კიდევ თვალნათლივ და ყოველდღიურად დაინახებოდა. დაბლარის სინონიმად იხმარებოდა ხ ე ლ ნ ა შ ე ნ ი[66], რაც. ცხადია, მაღლარის უშუალოდ ტყიერიდან წარმომავლობისაკენ უნდა მიუთითებდეს. ანალოგიისათვის აღსანიშნავია. მაგალითად. რომ ხევსურეთში „მოშინაურებულ" გარეულ ფრინველსა თუ ცხოველს ხ ე ლ ი ს ე უ ლ ს უწოდებენ[67].

ადრე, მაგალითად. 1740-იან წლებში საჩხეიძოსა და სალომინაოში (ე. ი. მერმინდელ ქუთაისის მაზრაში) გაბატონებული იყო „...ვენახნი, ხეთა ზედა ასულნი. რომელსა უწოდებენ მაღლარსა ანუ ბაბილოსა"[68]. ოთხმოცი წლის მერმეც, ე. ი. 1820-იან წლებში როგორც მთელ დას. საქართველოში, ისე კერძოდ იმერეთშიაც გაბატონებული იყო მაღლარი. ამ დროს გ ა მ ბ ა ს აქ მხოლოდ რამოდენიმე ადგილას. მაგალითად, სოფ. ობჩასა და სხვ. შეუნიშნავს დაბლარი[69]. თვით ბაღდადს, სიმონეთსა და სხვ., სადაც უკვე 1870-იან წლებში, თითქმის მხოლოდ დაბლარი იყო. ჟ. გამბას სიტყვით, მაღლარს 1820-იან წლებში სავსებით გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. ათიოდე წლის მერმე, 1830-იან წწ. ო. ე ვ ე ც კ ი ს ა ც გარკვევით აქვს აღნიშნული, რომ იმერეთში უპირატესად მაღლარი იყო გავრცელებული[70].

1870-იანი წლებიდან კი იმერეთის რიგ თემში უკვე გაბატონებულია დაბლარი[71] თუმცა, როგორც აღვნიშნეთ. მეევნახეობის ეს ფორმა აქ სრულებითაც არ იყო ახალი და უფრო შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ კიდევ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს აქვს აღნიშნული, რომ აქ კერძოდ ვაკეში (მერმ. ქუ-

---

66 CCBBK. III, 17.

67 ჩაწერილი მაქვს 1934 წ. აგვისტოს ხევსურეთში მოგზაურობის დროს.

68 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 163.

69 Gamba, l. c., I, 145. 240, 243—246, 249, 341—349.

70 Е в е ц к и й. I, с., 157—158.

71 ССК. 207. 208.

თაისის მაზ.) „ვენახნი დაბლარნი არიან მრავლადო“[72]. ცხადია, 1850—1860-იანი წლებიდან მოყოლებული, ერთი მხრივ, ფულადი მეურნეობის განვითარებამ და, მეორე მხრივ, ვაზის სხვადასხვა ავადმყოფობამ დიდად დააჩქარეს მაღლარიდან,—როდესაც ვაზის შეწამვლა ძნელია და ხშირად შეუძლებელიც,—გადასვლა დაბლარზე, როდესაც შეწამვლაც გაადვილებულია და მევენახეობის შემოსავლიანობაც იზრდება.

1870-იანი წლების დამლევს ხ ო ჯ ა ე ვ ი წერდა, რომ გურიაში „ვენახის გაშენების თითქმის მხოლოდ მაღლარი წესი არსებობს[73]. ხოლო სამეგრელოს შესახებ იმავე ნარკვევებში ნათქვამია, რომ „აქ ყველგან მაღლარს აშენებენ და უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა შემთხვევა არც ერთი ქცევა დაბლარის გაშენებისაო“. თუმცა იქვე ვკითხულობთ, რომ Oidium-ის გაჩენიდან „დაიწყეს იზაბელას ჯიშიდან დაბლარის გაშენებაო“[74].

ხსენებული ხოჯაევის სიტყვით „სამეგრელოში, ისევე როგორც ქუთაისის გუბერნიის უდიდეს ნაწილში ხეზე შეშვებული ვაზი უკეთეს ღვინოს იძლევა, ვინემ... დაბლარი... იმიტომ, რომ ნიადაგი მეტად ნესტიანია და რაც უფრო დაშორებულია მისგან ყურძნის მტევნები, მით უკეთ მწიფდებიან ისინი... ასეთსავე დასკვნამდე მივიდა ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ინგლისელი მებაღე მ ა რ რ ი, რომელიც ამაოდ ცდილობდა გურიაში დაბლარის გაშენებას“[75].

წინააღმდეგ ხოჯაევის განცხადებისა, რომ სამეგრელოში 1870-იან წლებამდე, არ ყოფილა „არც ერთი ქცევა დაბლარიო“, დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისადმი ჯერ კიდევ 1852 წელს წარდგენილს. თავის სამთავროს აღწერაში სავსებით გარკვევით აღნიშნავს, რომ აქ,

---

[72] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, თბ., 164. 183.

[73] ССК. III, 218.

[74] ССК, III, 209.,

[75] ССК, III, 221.

სადაც „არს აერი მშრალი მუნ დ ა ბ ლ ა რ ს ვ ე ნ ა ხ ს ა შ ე ნ ე ბ ე ნ, ვითარ იგი ზემო მეგრელიაშიად ლეჩხუმს. უმეტეს ნაწილში ადგილებთა ბანძისათა ქვემო მეგრელიაშიდო“[76]. კიდევ სამიოდე ათეული წლით უფრო ადრე დაწერილ „კალმასობაში“ ნათქვამია, რომ სოფელ-სოფელ მოგზაურობით დროსტარებაში დადიანი და მისი მხლებლები ანადგურებდნენ გლეხთა მეურნეობას, „...სწვამენ ჭ ი გ ო თ ა, ს ა რ თ ა და ა ქ ც ე ვ დ ე ნ ვ ე ნ ა ხ თ ა და ბაღებთა ღობებსა და ბევრჯერ სახლებსაც გვერდებს გამოუქცევდნენ დასაწვავადო“[77].

არ უნდა იყოს სწორი ხოჯაევის არც ის განცხადება, რომ გურიაში ი. მარრს ეწარმოებიოს ცდები დაბლარის გაშენებისათვის. ე. ნ ა კ ა შ ი ძ ე კატეგორიულად აცხადებს, რომ გურიაში მარრს „არ გაუშენებია დაბლარი ვენახიო“[78].

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ 1870-იანი წლებისათვის თუ სამეგრელოში დაბლარი არ იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ 1850-იანი წლებიდან აქ გაჩენილმა და გავრცელებულმა ვაზის ავადმყოფობამ გაანადგურა იგი. ამასთანავე, თუ 1870-იანი წლებისათვის რამდენადმე მაინც მართებული იყო ხოჯაევის დასკვნა, რომ დას. საქართველოში თვით ბუნებრივი პირობები (ნესტიანობა) უშლიდა ხელს დაბლარის განვითარებას, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება მხედველობაში არ მიიღება შემდგომი ათეული წლებისათვის, რამდენადაც კერძოდ გურია-სამეგრელოში ტყეების მასობრივი გაჩეხვისა და სხვ. შედეგად ეს ბუნებრივი პირობებიც შესამჩნევად შეიცვალა[79]. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ უკვე 1896 წ. მხოლოდ აღრიცხვაში მოხვედრილი ცნობით გურია-სამეგრელოში (ძირითადად გურიაში) 360 დესეტინა დაბლარი იყო გაშენებული[80].

---

[76] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „სამეგრელო დავით დადიანის დროს“, 1939, თბ., 101.

[77] ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „კალმასობა“, 1948, II, 49.

[78] CCBK, IV, 107.

[79] იხ. კ ლ ი ნ გ ე ნ ი ს სტატია: KCX, 1894, № 7, 8.

[80] CCBBK, IV, 57.

ამიერკავკასიის ინტენსიური მევენახეობის რაიონებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განრთხმულ ვაზის რაიონს, 1870—1880-იანი წლებიდან საბოლოოდ ბატონდება დაბლარი მევენახეობა. მაინც, დაბლარის გავრცელების ძირითადი რაიონები იყო: ქუთაისის გუბერნიაში—ქუთაისის, შორაპნის[81], რაჭისა[82] და ლეჩხუმის[83] მაზრები; თბილისის გუბერნიაში,—გორის, დუშეთის[84] თელავის, სიღნაღისა და თიანეთის[85] მაზრები.

აზერბაიჯანში დაბლარის შესატყვისად იხმარება ქელლასარ (ი. ჯავახიშვილის წაკითხვით—ქელლასარ; უანდურალოვით— келлясар; ს. ზელინსკით — квлясар; მ. ბალასით— келлясар)[86]. ქელლასარ ანუ დაბლარი იმავე პერიოდისათვის აქ გავრცელებული იყო უპირატესად განჯის გუბერნიის—განჯის (ელიზავეტპოლის), ყაზახის, ზანგეზურისა და ნაწილობრივ კიდევ ჯევანშირის მაზრებში[87], ბაქოს გუბერნიის—შემახიას, გეოგჩაის[88] აგრეთვე ლენქორანის მაზრასა და საერთოდ შირვანის მეღვინეობის რაიონის მთაგორიან ზოლში[89].

* * *

დაბლარის (ქელლასარის) საერთო დამახასიათებელი თავისებურება იმაშია, რომ აქ ვაზი სარზეა ასხმული, ისე რომ ადამიანს კიბისა ან სხვა რაიმე მისადგმელის დაუხმარებლად, მიწაზე მდგარს შეუძლია ვაზის გასხვლა, შეყელვა, შეწამვლა და სხვა სამუშაო. აქ მეურნეობის ინტენსიფიკაცია

---

81 ССВВК, III, 4. 19 და შემდეგ.

82 იქვე, 38—39.

83 იქვე, 79, და შემდ.; МИЭБГКЗ, I изд. II, 188—189.

84 ССВВК, VIII, 21 და შემდ.

85 ССВВК, VII, 42 და შემდ.

86 ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონ. ისტორია“, II, 551; II, 551, ССВВК, V, 25; СМЭБГКЗК. IV, II, 36; ВР; III, 184.

87 ВР, III, 184—185, 202.

88 ССВВ, V, 28.

89 ВР, III, 326, 330, 332.

უმაღლეს წერტილამდეა ასული, უკეთ რომ ვთქვათ, შეიძლება იქნას აყვანილი.

მიწის ნაკვერი, რომელზედაც დაბლარია გაშენებული, უპირატესად ვენახია (ბაღია). რაციონალურად გაშენებული დაბლარი იმთავითვე გულისხმობს აგრეთვე ვაზის მწკრივად დასხმას. თუმცა საერთოდ დაბლარში მწკრივი შეიძლება ყოველთვის არ იყოს დაცული და ამასთანავე დაბლარი არ გამორიცხავს ვენახში, მწკრივთა შორის, მემინდვრეობის სხვადასხვა კულტურათა ჩათესვას—სიმინდის, ლობიოს, სოიას და სხვ., რაც გავრცელებულია უპირატესად წვრილ გლეხურ მეურნეობაში და საერთოდ, უნდა ვიგულისხმოთ, შედეგია მცირემიწიანობისა და ზოგან კიდევ, ამასთანავე ერთად, მუშაძალის ნაკლებობისა და, მაშასადამე, სიძვირისა.

1897 წ. მიხ. ბ ა ლ ა ს ი წერდა, რომ კახეთის მევენახეობაში „მწკრივთა შორისი კულტურა (არახვიარა ლობიო, მებოსტნეობის მცენარეები, სიმინდი). საერთოდ შესამჩნევი მცირემიწიანობის ვითარებაში, სერიოზულ დამხმარე როლს თამაშობსო"[90]. ცხადია რომ მწკრივთაშორისი კულტურა ამცირებს საკუთრად მევენახეობის შემოსავლიანობასა და თვით ყურძნის ხარისხსაც. მაგალითად, დუშეთის მაზრაში „გავრცელებული მწკრივთაშორისი კულტურა სიმინდისა მეტად ჩრდილავს ვაზსა და ხელს უშლის ყურძნის დროულად დამწიფებასო"[91].

ბ. სასარის და საქარეს კულტურა

გარდა მიწის ფრიად საფუძვლიანი დამუშავებისა და შედარებით ხშირი განოყიერებისა[92], დაბლარისათვის აუცილებელია დიდძალი სარი—თითო ყოველი ძირი ვაზისათვის. სწორედ ამიტომ დაბლარის რაიონებში ჩნდება სპეციალური დანიშნულების ტყე—სასარე. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში, სახელდობრ-

[90] BP. III, 90.
[91] BP. 95; CCBBK. III, 46, 97.
[92] BP. III, 91—92, 256.

1477 წელს ქვათახევის მონასტრისადმი გაცემულს სიგელში ნათქვამია, რომ ამ მონასტერს შესწირეს ვენახი „მისითა ს ა ს ა რ ი თ ა და ჭალისა საღობავითა“[93]. 1588 წ. სვიმონ მეფის მიერ საკაძისადმი გაცემულს წყალობის წიგნშიაც სწერია, რომ საკაძეს ებოძა სოფელი მისის „ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, ს ა ს ა რ ი თ ა, სათიბითა და სახნავითა“[94].

სპეციალურად სასარე ხის კულტურა საქართველოში, რა თქმა უნდა, დღემდეა დაცული. პ. ყანდურალოვის ცნობით (1897 წ.) გორისა და დუშეთის მაზრებში „ზოგიერთ ვენახში ღობეზე გაყოლებით გაშენებულია ერთგვარი ტირიფი (ძეწნა), რომელზედაც (თავისებური გადაჭრის მეოხებით) იზრდება მნიშვნელოვანი რაოდენობის გრძელი და სწორი ტოტი, რისგანაც სარებს აკეთებენ. ამგვარად გაშენებული ტირიფი ადგილობრივად ატარებს სპეციალურ სახელს „მ ა ნ ე უ ლ ს[95] და გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ს ა რ ე ბ ი ს ა“ ანუ ჭ ი გ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს[96].

ანალოგიური ვითარება ცნობილია აზერბაიჯანშიაც. ბაქოს გუბერნიის გეოგჩაისა და შემახიას მაზრებში სარისათვის „მრავალ სოფელში რუების ნაპირას გაშენებულია სავაზე ტირიფი“, ხოლო კერძოდ სოფ. მატრასში (შემახიას მ.) „თითქმის ყოველ მევენახეს აქვს მიწის მცირე ნაკვეთი, დაახლოებით 300 კვ. საჟ. ფართობი, რომელზედაც გაშენებულია ტირიფი, რისგანაც აკეთებენ სარებს ვენახისათვის“[97].

საჭირო რაოდენობით სარის შეძენა არცთუ ისე ადვილი საქმე იყო, განსაკუთრებით წვრილ-გლეხური მეურნეობისათ-

---

93 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „ისტორიული საბუთები“, II, 21.

94 „საქართველოს სიძველენი“, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, II, 47; იხ. აგრეთვე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქ. ეკონ. ისტ“. II, 317—318.

95 ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სარი—ვაზის მანა“ („ლექსიკონი“, 1928. თბ., გვ. 298); ცხადია „მანეული“ „მანა“-დან უნდა იყოს წარმოებული.

96 CCBBK, VIII, 59.

97 CCBB, V, 30.

ვის და ეს გარემოება ზოგან შესამჩნევადაც აბრკოლებდა მევენახეობის განვითარებას. ვისაც მანეული არ ჰქონდა, ან საკმაოდ არ ჰქონდა, ცხადია, სარი უნდა შეეძინა. უნდა ეყიდა სხვა მეურნეობისაგან.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ დაბლარი მევენახეობის გავრცელება, უკვე 1870-იანი წლებიდან, ხელს უწყობს ს ა ვ ა პ რ ო მ ე ტ ყ ე ო ბ ი ს განვითარებას[95]. 1890-იან წლებში გორისა და დუშეთის მაზრებში „სარებს ჰყიდულობენ მეზობელ სახელმწიფო (სახაზინო) და მემამულეთა ტყეებში. სარს აკეთებენ სხვადასხვა ჯიშის ხისაგან: მუხის, წიფლის, რცხილის. იფნის ანუ კოპიტის. ნაძვის, ფიჭვისა, ურთხელასი და სხვ. განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს მოსახლეობაში ურთხელა მისი სიმაგრისა და გამძლეობის გამო"[99].

დაახლოებით ამავე ჯიშის ხეებს ხმარობდნენ სარებად დას. საქართველოშიაც, სადაც ზემოჩამოთვლილთ ხშირად ემატებოდა კიდევ რცხილა, აკაცია, ცაცხვი, თუთისხე, თხმელა და სხვა[100]. 1880-იანი წლებიდან. რამდენადაც დაბლარი მევენახეობის ფართობი სისტემატურად იზრდებოდა. იმერეთშიაც ვითარდება სარებით ვაჭრობა. ამ საქონლის ცნობილი მიმწოდებელი იყო აჯამეთის ტყეები. საიდანაც დიდძალ სასარე მასალას (როგორც წვრილი ხის. ისე მსხვილი. დასაპობი მორების სახით) ყიდულობდნენ იმერელი მევენახეები[101].

ბაქოს გუბერნიაშიაც სხვადასხვა ჯიშის ხისაგან აკეთებდნენ სარებს. მაგრამ მუხისა და კოპიტისაგან არჩევდნენ, თუმცა ამ ხეების სარები „როგორც უფრო ძვირი საქონელი მიუწვდომელი იყო მევენახეთა უმრავლესობისათვის"[102]. რაც შეეხება ურთხელას (нешой—Taxus baccata).1870-იანი წლების ცნობით. მისი დიდი მოყვარულები იყვნენ ქ. ნუხელი შეძლებული

---

98 ВР. III, 91.
99 ССВВК. VIII, 59.
100 ССВВК. III, 26.
101 МИЭБГКЗК. VII, 246.
102 ССВВК. V, 30.

მევენახენი, რადგან ამ ხის სარი ხშირად „50 წელზე მეტხანსაც ვარგოდა"[103]. საერთოდ ამიერკავკასიის მევენახეობის სხვადასხვა რაიონში სარის მრავალი ნაირსახეობა არსებობდა სიგრძე-სიმსხვილისა და, მაშასადამე, დანიშნულების ნიუანსების მიხედვითაც[104].

* * *

აღსანიშნავია, რომ დაბლარს ხშირად, განსაკუთრებით ქარიან რაიონებსა თუ მიკრორაიონებში, ჰქონდა ქარსაფარი ზოლი, რათა მომეტებულ ქარს არ დაეზიანებინა ვენახი. მაგალითად, იმერეთში ვენახს აღმოსავლეთის ქარისაგან იფარავს ტყის ვიწრო, 5—10 საჟენის სიფართე ზოლი—საქარე. როგორც წესი, „საქარე ხეებს მხოლოდ ზემოთ (მაღლა) გადაჭრიან, რათა უფრო განვითარდეს ტოტები, რომელთაც იყენებენ სარებადაც და სხვ. საჭიროებისათვის. იმ ქვეყანაში, სადაც ტყეების განადგურებას გულმოდგინედ ეწევიან, საქარეში ხის მოჭრა დაუშვებელია. წესის დამრღვევი სასტიკად ისჯება მთელი საზოგადოების მიერო"—წერდა 1870-იანი წლების დამდეგს ერთი დამკვირვებელი[105].

თვით ერევნის გუბერნიაშიაც, სადაც, როგორც ვიცით, განრთხმული ვაზის კულტურა იყო გაბატონებული, ვენახების გარშემო, „მხოლოდ და მხოლოდ ღობეების გაყოლებით" დარგულია ალვის ხე და ტირიფი, რაც, გარდა იმისა, რომ ვაზს ქარისაგან იფარავს, „იძლევა მასალას ყურძნის დამწიფების დროს ვაზის საბჯენისათვის"[106].

III. ვაზის ავადმყოფობათა და მავნეებელთა გავრცელება

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თვით დასაწყისიდანვე ამიერკავკასიაში მევენახეობა-მეღვინეობაზე უდიდესი გავლე-

---

103 «Статист. временник..», серия II, вып. XV, 371—372.

104 ССВВК. VII, 58—59; III, 26—27; ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონ. ისტ. II, 318—325.

105 ССК. III. 212.

106 ССВВК. VI, 48.

ნა მოახდინა ვაზის სხვადასხვა სახის ავადმყოფობამ და მავნებელმა; მათ ულრმესი ზიანი მიაყენეს რა მევენახეობას სწორედ ამ გზით მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიეს. როგორც მეურნეობრივი თაოსნობის ამ დარგში. ისე საერთოდ მევენახეობის მიმდევარი მოსახლეობის ეკონომიკურ ცხოვრებაშიაც.

ვაზის ამგვარ ავადმყოფობათა და მავნებელთა შორის ჩვენ, ასე თუ ისე. ცხადია. მხოლოდ უმთავრესებს—ოიდიუმს. მილდიუსსა და ფილოქსერას შევეხებით.

1. ოიდიუმი

ოიდიუმი (Oidum Tuckeri)—ნაცარი, ნაცარა. ტუტა. როგორც მას საქართველოს სხვადასხვა რაიონში უწოდებენ. ამერიკიდან ვაზის ნერგებს გადმოყვა ევროპაში. უწინარეს ინგლისში. სადაც ის პირველად 1845 წელს აღმოაჩინეს. ოიდიუმი შემდგომ 1847—1849 წწ. მოედვა საფრანგეთს. ბელგიასა და სხვა ქვეყნებს. რუსეთში უწინარეს გაჩნდა ბესარაბიაში 1852 წელს. მერმე ყირიმში—1853 წელს[1].

აქამდე სიზუსტით არ იყო დადგენილი. თუ სახელდობრ რომელ წელს გაჩნდა ოიდიუმი ამიერკავკასიის მევენახეობის სივადასხვა რაიონში. ცნობილი იყო მხოლოდ. რომ იგი უწინარეს გაჩნდა სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ფ. ნოსოვიჩის ცნობით ოიდიუმი სამეგრელოში პირველად აღმოაჩინეს 1855 წელს[2]. ხოლო ე. ნაკაშიძე წერდა. რომ სამეგრელოში „ოიდიუმი ვაზებზე გაჩნდა 1851 წელს —ფიქრობენ. რომ ის შემოყვა იზაბელას. რაც პირველად გამოიწერა სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა“[3]. ე. ნაკაშიძის მიერ ამ სახით („...ფიქრობენ რომ“...) გადმოცე-

[1] «Статист. временник Российской империи». серия II. вып. XV, СПБ, 1877, стр. 505.

[2] МИЭБГКЭК. II. III. 284.

[3] ССВВК. IV. 56

მულ ცნობას უკვე იმპერატიული ტონით იმეორებს ა. ფ ი რ ა ლ ო ვ ი. რომელიც წერს: „1851 წელს სამეგრელოს მთავრის დ. დადიანის განკარგულებით აქ შემოტანილ იქნა ახალი ჯიშის ვაზი—ი ზ ა ბ ე ლ ა. რამაც კატასტროფული როლი ითამაშა დასავლეთ საქართველოს... მევენახეობა-მეღვინეობის ბედში“[4].

აქ უწინარეს უნდა შევნიშნოთ, რომ არავითარი საბუთი იზაბელას პირველად დ. დადიანის მიერ გამოწერის შესახებ არ არსებობს. მრავალი დოკუმენტი კი მეტყველებს იმის შესახებ, რომ. როგორც იზაბელას, ისე ევროპული და ამერიკული სხვადასხვა ჯიშის ვაზთა ნერგების ამიერკავკასიაში მასობრივი გამოწერა დაიწყო 1840-იანი წლებიდან, განსაკუთრებით 1846—1847 წლებიდან—კავკასიის ნამესტნიკის მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს ინიციატივით. რომელიც ცდილობდა ადგილობრივი „ნაკლებ ვარგისი“ ვაზის ჯიშები შეეცვალა „უფრო შემოსავლიანი“ ევროპული და ამერიკული ჯიშებით.[5] უცხოური ჯიშის ვაზებს ამავე ხანებში ხშირად იწერდნენ აგრეთვე ადგილობრივი გერმანელი კოლონისტები[6].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ჩანს, უცხოური ჯიშის ვაზების მასობრივ შემოტანას წინ უსწრებდა საქართველოში და განსაკუთრებით კახეთში 1838. 1842. 1845 წწ. დიდი ყინვების შედეგად ვენახების მნიშვნელოვანი დაზიანება. „ვაზის დიდძალ ნარგავთა გახმობა“. სწორედ ამ ხანებში ცარიზმის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გააძლიერა ყირიმიდან და უფრო ხშირად თვით ვორონცოვის მამულებიდან ამიერკავკასიაში უცხოური, ევროპული და ამერიკული ჯიშის ვაზების ნერგთა შემოტანა. ამ „დახმარების“ მიზანი იყო, როგორც ყინვისაგან დაზარალებული ვენახების აღდგენა, ისე განსაკუთრებით „ადგილობრივი ვაზების ევროპულით შეცვლა“, რათა

---

[4] ЭТЭ. I. 205—206.

[5] АСКАК. X. 834—836. 865—867. 884—887.

[6] П. Гугушвили, «Сельское хозяйство и аграрные отношения». I. 146—148. 159. 164. 176.

„რაციონალურ ნიადაგზე დაეყენებიათ ადგილობრივი მევენახეობა და გაედიდებიათ მისი რენტაბელობა“[7].

ცარიზმის ბიუროკრატიის ამ ღონისძიებათა შედეგი იყო არამხოლოდ დიდძალი და ხშირად უმიზნო ხარჯები. როგორც რუსეთის მევენახეობის ოფიციალური ისტორიკოსი მ ი ხ . ბ ა ლ ა ს ი ც აღიარებდა (1897 წ.), ყირიმიდან გამოწერილმა „ჯიშებმა აქ ვერ გაიხარეს და მათი გამოწერის განსაკუთრებული საჭიროებაც არ არსებობდა, რადგან ადგილობრივი ჯიშის ვაზები უდავოდ უკეთესი ხარისხისანი იყვნენ“[8].

უცხოურისადმი ცარიზმის ბიუროკრატის ამ მონურმა ქედმოხრილობამ უპირატესად მხოლოდ გამანადგურებელი შედეგები მოუტანა ადგილობრივ მევენახეობას.

ოიდიუმის გაჩენის თარიღის მხრივ, ცხადია, ყველაზე უფრო სანდოა ცნობა ა. დ ე ი ჩ მ ა ნ ი ს ა, რომ „ამიერკავკასიის ვენახებს ავადმყოფობა Oidium Tuckeri პირველად ეწვია 1854 წელს“[9]; დეიჩმანი სწორედ ამ ხანებში, და სახელდობრ 1854 წელსაც იყო კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ნამდვილი წევრი და ამავე საზოგადოების აგრონომი[10], რომელიც ამგვარად არ შეიძლებოდა ამ საქმის კურსში არ ყოფილიყო. მაშინ როდესაც დ. ნ ო ს ო ვ ი ჩ ი ს, ე. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს და სხვ. ცნობები მხოლოდ ათეულ წლობით გვიანდელ მოგონებებზეა დამყარებული.

ამასთანავე საინტერესოა აღინიშნოს, რომ, როგორც აუთენტურ წყაროთა უმრავლესობა მოწმობს, ოიდიუმი ერთდროულად გაჩენილა საქართველოს მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში. სახელდობრ, 1854 წელს მისი გაჩენა სხვადასხვა წყა-

[7] ОДНК. 45—46; «Несколько слов о виноградных лозах, выписанных из Крыма» (газ. «Кавказ», 1848 г., № 15; «Кавказ», 1849 г., №№ 19—20); П. Г у г у ш в и л и, «Сельское хозяйство...», I, 147, 154.

[8] ВР, III, 22.

[9] Д е й ч м а н, «Заметки о кахетинском виноделии» (Ленинградская публичн. библиотека им. Салтыкова-Щедрина, рукоп. фонд. Бумаги Д. П. Элпидова, т. VI, лл. 28—129).

[10] ЗКОХ, 1856 г., № 1, 2, 3.

როში აღნიშნულია როგორც აფხაზეთსა[11] და სამეგრელოში[12], ასევე გურიასა[13], იმერეთსა[14] და რაჭა-ლეჩხუმში[15]. იმავე 1854 წელს შეამჩნიეს ოიდიუმი ქართლსა[16] და კახეთშიაც[17]. აღსანიშნავია, რომ ოიდიუმისაგან ქართლ-კახეთის მეევნახეობის პირველი დაზარალების წლებს (1854—1855) ხვდება თბილისის ბაზარზე, როგორც გურია-სამეგრელოდან ისე განსაკუთრებით განჯისა და ერევნის გუბერნიებიდან ღვინის პირველი შედარებით შესამჩნევი რაოდენობით რეალიზაციის პერიოდი[18].

თუ დას. საქართველოში კლიმატური პირობები (სინესტე, ხშირი წვიმები, რბილი ზამთარი) ხელს უწყობდა ოიდიუმის სწრაფ გავრცელებას, სამაგიეროდ აღმ. ამიერკავკასიაში, კერძოდ სომხეთში ბუნებრივი პირობები არახელსაყრელი იყო ვაზის ამ ავადმყოფობისათვის. ერევნის გუბერნიის ნახჭევანის მაზრაში ოიდიუმი 1850-იანი წლების მიწურულს შეამჩნიეს, ხოლო 1860-იანი წლების დამდეგს იგი აქ უკვე ფართოდ იყო გავრცელებული[19]. ამავე დროიდან ოიდიუმი ჩნდება აზერბაიჯანში—განჯისა[20] და ბაქოს[21] გუბერნიებში.

ოიდიუმი, ამიერკავკასიაში პირველად გაჩენის დროიდან მოყოლებული, დროგამოშვებით თავს იჩენდა და მძვინვარებდა ამა თუ იმ რაიონში. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი კვლავ მოედებოდა ვენახებს და ანადგურებდა მათ რიგი წლების მან-

11 ВР, II, 128; ССК. III, 206.

12 «Статист. временник Российск. имп»., серия II, вып. XV. 505.

13 ССК. III, 218; ССВВК. IV. 56, 74; ВР. 218; Д. Бакрадзе. «Археологическое путешествие..», 98. დ. ბაქრაძე ასახელებს 1853 წელს: „ო�orc გაქმოგვცემენო“.

14 ССК. III. 212; ССВВК. IV. 56, 74;—III, 4, 29.

15 ВР. II, 218; ССВВК. III. 94.

16 ВР, III, 100; П. Гугушвили. «Сельское хоз. и аграрн. отнош.». I, 95.

17 ВР, III. 97; „გუთნის დედა“, 1863, № 14.

18 ССК. III, 278; „გუთნის დედა“, 1866, № 14—17.

19 ВР, III, 260; ССВВК. VI, 65.

20 ВР. II. 188—189.

21 ССВВК, V. 39—40; ВР, III, 334—335; ССК. III; 306.

ძილზე. როგორც უშუალო დამკვირვებელნი ერთხმად აღნიშნავენ, ოიდიუმი უფრო ვრცელდებოდა ნესტიან-წვიმიან (ქუთაისი, ყორიან) წლებში და შედარებით ნაკლებად—გვალვიან პერიოდებში.

ოიდუმმა დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მეურნეობის ამ დარგის მიმდევარი მოსახლეობის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არამედ თვით მევენახეობის ფორმებსა, ვაზის ჯიშთა და კერძოდ მევენახეობის გეოგრაფიული გადგილების ვითარებაშიაც.

* * *

სამეგრელოსა და გურიაში, სადაც მაღლარი ფორმის მევენახეობა იყო გაბატონებული „...ოიდიუმი სწრაფად გავრცელდა... და მან დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება ყურძნისათვის. ასე რომ მალე ღვინის წარმოება სანახევროდ შემცირდა. ხოლო ამჟამად ადგილობრივი ღვინო იშვიათია და გასაყიდად იგი სავაჭროთაც არ მოიპოვებაო"—წერდა ე. ნ ა კ ა შ ი ძ ე 1896 წელს[22]. ანალოგიური შინაარსისა იყო ათიოდე წლით ადრე გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერის დ. ნ ო ს ო ვ ი ჩ ი ს განცხადებაც[23]. ასევე გაანადგურა ოიდიუმმა მევენახეობა აფხაზეთშიაც. საიდანაც ჯერ კიდევ 1830-იან წლებში ღვინო გაჰქონდათ ჭერქს. ტაგანროგს. ნოვოროსიისკსა და სხვ. ქალაქებში[24].

რაკი ადგილობრივი ვენახი განადგურდა. მაშასადამე, ღვინოც აღარ იწარმოებოდა. ცხადია. აქაური ბაზარი. განსაკუთრებით 1860-იანი წლების მერმე. უნდა დაეკმაყოფილა სხვა რაიონიდან მოტანილ ღვინოს. მართალია Oidium Tuckeri-ს ძლიერ გავრცელების შედეგად სამეგრელოსა და გურიაში ყურძნის მოსავლის შემცირების გამო. გაიზარდა მოთხოვნა იმერულ ღვინოზე. „რასაც ხელს უწყობდა რკინიგზის გახსნაც"[25]. აღსანიშნავი გარემოებაა. რომ ამ დროიდან გურიაში

22 ССВВК. IV. 56, 80—81.
23 МИЭБГКЭК. II, III, 225..
24 ССК. III, 205—206; П. Г у г у ш в и л и, назв. кн., I, 91—92.
25 ССВВК. IV. 4.

დაიწყეს ყურძნის შემოტანა აჭარიდან, სადაც ღვინის დაყენებას კრძალავდა მაჰმადიანიზმი და სადაც ოიდიუმი ჯერ არ გავრცელებულიყო.

დ. ბაქრაძე, რომელმაც 1873 წ. აჭარაში იმოგზაურა—წერდა, რომ ახლა სწორედ, იმ გზით, რომლითაც რამდენიმე ათეული წლის წინათ გურიიდან ყაჩაღებს გაყავდათ მოტაცებული (წარტყვევნილი) ადამიანები, რომელთაც თურქეთში ჰყიდდენ,—„აჭარლები გურიას ამარაგებენ თავიანთი რქიანი პირუტყვით, ერბო-კარაქით, ყველითა და ყურძნით, რაც აჭარაში არ ავადდება, მაშინ როდესაც გურიასა და მთელ სანაპიროებზე შავი ზღვისა ფრიად ფუჭდება“ ოიდიუმისაგან[26].

ამგვარად, 1860—1870-იანი წლებიდან გურია-სამეგრელოს მოსახლეობამ, როგორც ა. ერისთავი სწერდა, დაჰკარგა მევენახეობა-მეღვინეობისაგან მისთვის ჩვეულებრივი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო[27] და ეს მაშინ, როდესაც 1840—1850-იან წლებში „ქუთაისის გუბერნიის მეღვინეობის რაიონთა შორის ღვინის ხარისხისა და რეპუტაციის და აგრეთვე მისი წარმოების სიდიდის მიხედვით პირველი ადგილი სამეგრელოსა და გურიას ეჭირა“[28], როდესაც კერძოდ სამეგრელოდან დიდძალი ღვინო გაჰქონდათ თვით ქართლს, ახალციხეს, ყულევსა და ქუთაისში[29] უკვე 1880—1890-იანი წლებისათვის გურიასა და სამეგრელოში, სადაც ორმოციოდე წლის წინათ „მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ესოდენ თვალსაჩინო და უპირატეს დარგს წარმოადგენდა“ ოიდიუმის შეუჩერებელი გაძლიერების შედეგად „საბოლოოდ დაეცა“[30].

მაგრამ ამ რაიონებში მალე ღრმა ცვლილება უნდა მომხდარიყო სხვა მხრივაც. აქ რეფორმამდელ პერიოდში გაბატონებული იყო ვაზის ადგილობრივი, თავისი საუკეთესო ღირსე-

---

26 Д. Бакрадзе, «Археологическое путешествие по Гурии и Аджаре», 1878, СПБ, 209.

27 ТКОСХ, 1889 г., № 7—8, 378—379.

28 ВР, II, 155—156.

29 იქვე, 160.

30 იქვე, 150.

ბით საყოველთაოდ აღიარებული, ჯიშები, რომლებიც ახლა თანდათანობით გაანადგურა ოიდიუმმა. ამ გარემოებამ-კი, თავისმხრივ, ნიადაგი შექმნა ადგილობრივი ჯიშების ადგილი დაეჭირა ვაზის ახალ, ამერიკულ ჯიშს. — ი ზ ა ბ ე ლ ა ს (ოდესას), რომელიც სრულიად შემთხვევით (ვინ უწყის, იქნებ არცთუ შემთხვევით!) იქნა შემოტანილი 1840-იანი წლების გასულს, ანუ 1850-იანის დამდეგს.

1850-იანი წლებიდან „იზაბელა, რომელიც სრულებით არ ზიანდება ოიდიუმისაგან და ძლიერ მცირე ზიანს განიცდის მილდიუსაგან, თანაც მოსავლიანი არის, იწყებს გაძლიერებით გავრცელებას და ადგილობრივი ჯიშების გამოდევნას"[31]. 1890-იანი წლების შუახანებში გურია-სამეგრელოში უკვე გაბატონებული იყო იზაბელა. ხოლო ადგილობრივი ჯიშებიდან „ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზოგიერთნი შერჩნენ. ზოგნი კიდევ ერთეულ საცოდავ ეგზემპლართა სახით გვხვდებიან ანდა სულ უკვალოდ ჰქრებიან"[32]. იზაბელა გავრცელდა იმერეთსა და აგრეთვე ალმოსავლეთ ამიერკავკასიის მევენახეობის რაიონებშიაც[33].

კერძოდ იმერეთში ოიდიუმისა და იზაბელას გავრცელების შესახებ 1866 წ. „დროების" კორესპონდენტი წერდა: „ღვინო ბევრი მოდიოდა წინათ იმერეთში. ათს წელიწადზედ მეტია, რაც ამ მხარეში გაჩნდა ყურძნის ავადმყოფობა... ოიდიუმ ტუკკერი... და ღვინის მოსავალმა ძალიან დაიკლო. თუ მოდიოდა ღვინო კიდევ მთის კალთებზედ, რომელზედაც წინათაც მეტი და უკეთესი ღვინო იცოდნენ. თორემ ვაკეში ყურძენი სულ წახდა... შესანიშნავია, რომ ყირიმიდამ მოტანილს ყურძენს ი ზ ა ბ ე ლ ა ს არ ემართება ოიდიუმ ტუკკერი და ამის გამო ეს ყურძენი არ ნდება. ბევრმა ამის დამნახველმა გააშენა იზაბელა იმერეთში"[34].

რამდენადაც იზაბელა თავისუფლად ხარობდა როგორც მაღლარი, იგი შესაძლებელს ხდიდა მევენახეობის ძველი ფორ-

---

31 CCBBK. IV. 19, 80.

32 იქვე.

33 BP. II, 155—156.

34 „დროება", 1866 წ. № 32, გვ. 2.

მის შენარჩუნებას, მაგრამ იზაბელა მდარე ხარისხის ღვინოს იძლეოდა. ამასთანავე განთქმული ადგილობრივი ჯიშების, როგორც მაღლარი ფორმის, შენარჩუნება მით უფრო შეუძლებელი ხდება, რომ შემდგომ ათეულ წლებში გაჩნდა კიდევ ვაზის ისეთი მძვინვარე ავადმყოფობა, როგორიცაა მილდიუ და მავნებელი—ფილოქსერა. მაღლარის წამლობა ტექნიკურად ძნელი და ხშირად შეუძლებელიც არის. ამგვარად, იბადება აუცილებლობა, რომ ადგილობრივი ჯიშის მაღლარი ვაზები, რამდენადაც მათი გადარჩენა შესაძლებელი და სასურველია, გადაკეთდეს დაბლარად ან ოლიხნარად[35].

თავის ადგილას ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ ცვლიდა საერთოდ ამ გზით მევენახეობის მაღლარ ფორმას დაბლარი. ამასთანავე სწორედ მაღლარიდან დაბლარზე გადასვლას მოჰყვა გურია-სამეგრელოში გავრცელება ჯერ იმერული, ხოლო შემდეგ კახური ჯიშის ვაზებისა[36]. ვაზის ავადმყოფობამ, გაანადგურა რა ადგილობრივი მაღლარი ჯიშები, ხელი შეუწყო აღმ. ამიერკავკასიაშიც—ერევნის[37], ბაქოსა[38] და განჯის[39] გუბერნიებში—კახური საუკეთესო ჯიშის ვაზების გავრცელებას.

ოიდიუმი განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებდა მევენახეობას თავის გაჩენის პირველ წლებში, როდესაც მოსახლეობამ სრულებით არა იცოდა რა მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში[40]. ამ პირველ წლებში „ყურძნის მოსავლის უდიდესი ნაწილი, ხოლო ზოგიერთ ადგილებში თითქმის მთელი მოსავალი... ნადგურდებოდა და ვაზებმაც გახმობა დაიწყეს"[41]. კერძოდ გურიის შესახებ 1873 წ. ღ. ბ ა ქ რ ა ძ ე წერდა, რომ „აქ ხარობდა მრავალი ჯიშის ვაზი, რომელთა ღირსებით გურულე-

---

35 ССВВК, IV. 56—57; 80—81.

36 იქვე. 74

37 ССВВК. V. 39.

38 ВР. III. 325.

39 И. Д э ю б е н к о, 1. с. 39—40.

40 П. Г у г у ш в и л и. «Сельск. хоз.», II, стр. 415.

41 СМИЭБГКЗК. IV, 61.

ბი ყოველთვის ამაყობდნენ, მაგრამ საუბედუროდ თითქმის ყველა ისინი განადგურდნენ ვაზის ავადმყოფობისაგან"[42].

როგორც ირკვევა ოიდიუმისაგან ვაზის შესაწამლავი აპარატების პირველი შედარებით მნიშვნელოვანი პარტია გამოუწერიათ და ამიერკავკასიაში მიუღიათ მხოლოდ 1858 წელს. ე. ი. ავადმყოფობის გაჩენიდან მეხუთე წელს. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების (ცსმს) 1858 წლის ანგარიშგებაში მოხსენებულია მარსელიდან მიღებული 600 ცალი უენისა და ფრანკის აპარატი ოიდიუმით დაავადებული ვაზისათვის გოგირდის შესაყრელად. „ეს აპარატები ფრიად ზომიერ და ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში იყიდებაო"[43]. მოსახლეობის ძირითადი მწარმოებელი მასებისათვის ეს აპარატები მაინც ძვირი და მიუწვდომელი იყო, არამც თუ 1850-იან, არამედ 1860-იან წლებშიაც.

ადგილობრივ. უპირატესად ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „ცისკარი"[44], „გუთნის დედა"[45]. „დროება". „სასოფლო გაზეთი"[46]. „ივერია". „მეურნე"[47], „მოსავალი"[48] და სხვა[39]— საკმაოდ ხშირად ბეჭდავდნენ ცნობებს ოიდიუმისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მაგრამ მევენახეთა ძირითადი მასებისათვის მიუწვდომელი იყო როგორც ეს გაზეთები. ისე ის საშუალებებიც, რომელთაც ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია მათ ურჩევდა.

---

[42] Д. Бакрадзе. I. с. 98.

[43] П. Гугушвили. «Сельск.. хоз..». I, 185.

[44] ზ. მამაცაშვილისა და სხვ. სტატიები „ცისკარში". 1858 წ. № 1 გვ. 1—10 (ჟურნალის ბოლოს); 1860, № 3. გვ. 219—220. № 5. გვ. 44—47. № 6. გვ. 144—146.

[45] „გუთნის დედა". 1863, № 10. გვ. 146—149: № 14, გვ. 150—151: 1867, № 5 გვ. 19—20: 1874. № 7. 8 და სხვ.

[46] „სასოფლო გაზეთი", 1868. № 19, გვ. 6: № 23. გვ. 2 და სხვ.

[47] „მეურნე". 1889 წ. № 7. 8, 9 და ა. შ.

[48] „მოსავალი", 1909. №№ 4. 6. 8—სილ. ხუნდაძის სტატიები.

[49] „საქართველოს კალენდარი". 1905, გვ. 388—391.

მევენახეთა დიდ უმრავლესობას, გარდა სიღარიბისა, ამ მხრივ ხელს უშლიდა შეწამვლის საშუალებათა უცოდინარობა და უქონლობა. მით უმეტეს, რომ იგი მოკლებული იყო ხელისუფლებისაგან რეალურ დახმარებას. მართალია, კსმს და ადგილობრივი ადმინისტრაცია ცდილობდა დახმარებოდა მევენახეებს, მაგრამ ეს ღონისძიებანი უფრო პოლიციურ ხასიათს ატარებდა, რისთვისაც მას ყოველთვის თავს არიდებდა გლეხობა. ამ გარემოებითვე აიხსნება ისიც, რომ თვით 1880-წლებშიაც „კახეთის არც ერთი მევენახე არ ღებულობდა მონაწილეობას კსმს-ში, ამ საკითხზე გამართულ სხდომებში“[50]. ხოლო ერევნის გუბერნიაში, ი. ანდრონიკაშვილის ცნობით, 1890-იანი წწ. შუა ხანებში „ოიდიუმის წინააღმდეგ... არ ღებულობენ არავითარ ზომებს, რამდენადაც მოსახლეობა საკუთარ არ იცნობს არც ავადმყოფობის არსებას და არც მასთან ბრძოლის საშუალებას“[51].

1880-იანი წლების მიწურულს ს. ზელინსკის ცნობით ოიდიუმის „განმანადგურებელი გავლენის წინააღმდეგ მოსახლეობა არავითარ საშუალებებს არ იყენებს გარდა ფოთლების დაგლეჯისა“. გოგირდსაც, რაც ყველაზე მოქმედ საშუალებად ითვლება, „ამიერკავკასიაში არავინ არ იყენებს, ზოგიერთი მემამულისა და ერთეულ ინტელიგენტ მევენახის გარდა“[52]. ამასთან ერთად მოსახსენებელია აგრეთვე, იმავე ხანებში ვაზის შეწამვლის დაწყება, მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში გერმანელი კოლონისტების მიერ, რომელთაც, რა თქმა უნდა, ყველაზე ადრე და პირველ რიგში უწევდა სათანადო აგროტექნიკურ დახმარებას ცარიზმის ადმინისტრაცია[53].

ასეთს ვითარებაში, ცხადია, უდიდესი ზიანი უნდა მოსულოდა და მოუვიდა კიდევაც ამიერკავკასიის მევენახეობას. რიგ რაიონში მოისპო ოდესღაც განთქმული ვაზის ადგილობრივი

---

50 П. Д'аюбенко. I, с. 26.
51 ССВВК. VI, 66.
52 ССВВК. IV, 62.
53 ОФК. 1899, стр. 148.

მაღლარი ფორმით განვითარებული ჯიშები. მაგრამ ინტენსიური, ე. ი. სავაჭრო მევენახეობის რაიონებშიაც და დაბლარი ფორმის მევენახეობაც დიდად დაზარალდა ოიდიუმისა და კიდევ სხვა სოკოვანი (მილდიუ. ანტრაკოზა) ავადმყოფობათა გავრცელების შედეგად[54], რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო კერძოდ მილდიუს გამანადგურებელი გავლენა.

2. მილდიუ

მილდიუ (Plasmopara vittcola)—ობი. ფოკვა—დას. საქართველოში პირველად შეამჩნიეს 1880-იანი წლების დასაწყისს. იგი აქ შემოჰყვა უცხოეთისა და ყირიმის ვაზებს. მილდიუმ დააზიანა თვით იზაბელაც და დიდი ზიანი მიაყენა საერთოდ მევენახეობას[55]. იმერეთში მილდიუ შეამჩნიეს 1886 წელს[56]. იმავე წელს— ქართლსა და კახეთში[57], 1887 წ.—განჯის[58], 1888 წ.—ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში[59]. რამდენადაც ამავე დროს ოიდიუმიც უკვე მთელს ამიერკავკასიაში იყო გავრცელებული, გასაგებია, თუ რაოდენ განმანადგურებელი უნდა ყოფილიყო ვაზის ამ ორი მტერის გაერთიანებული მოქმედება, მით უმეტეს, რომ მოსახლეობაც მათთან საბრძოლველად არ იყო სათანადოდ მომზადებული.

მაგრამ 1880-იანი წლების გასულს ოიდიუმსა და მილდიუს ზედ დაერთო კიდევ ახალი სოკოვანი ავადმყოფობა— ა ნ ტ რ ა კ ო ზ ი (Sphaceloma ampelinum)[60] რის შედეგადაც საბოლოოდ დაეცა მევენახეობა გურია-სამეგრელოში[61].

---

54 ОФК. 1899. 148.

55 ВР. II. 128. 161.

56 ССВВК. III. 4. 28—29; ВР. II. 217.

57 ВР. III. 97—98.

58 იქვე. 269. 334—335.

59 იქვე. 189—190.

60 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე. „ანტრაკოზი და მისი წამლობა“ („მოსავალი“, 1909 წ. № 8).

61 ССВВК. IV. 80—81.

ჯერ კიდევ 1889 წ. ა. ერისთავი წერდა, რომ „გურია და სამეგრელო ოდესღაც აწარმოებდნენ კლასიკურ ღვინოებს: საკმარისია გავიხსენიოთ ოჯალეში, ჩხავერი და სხვ., რომლებიც ძველიდანვე ასე განთქმულნი იყვნენ“; და თუ აქ ოიდიუმის გაჩენამდე იმდენი ღვინო მოდიოდა, რომ ქვევრები არ ყოფნიდათ, ახლა ყველა ესენი „სულ ცალიერი აქვთო“[62].

იმერეთის მევენახეობას ოიდიუმზე ბევრად მეტი ზიანი მიაყენა მილდიუმ[63]. ხოლო საერთოდ მილდიუსა და ანტრაკოზას გაჩენამ მევენახეობის მოსავლიანობა „ერთბაშად დასცა ნორმალურის ერთ მესამედამდე“[64].

გაზ. „კვალის“ კორესპონდენტი აცხადებდა (1899 წ.), რომ წინათ (რეფორმამდელ პერიოდში—პ. გ.) „ჩვენ მამა-პაპათ საკმაოზედ ბევრით მეტი ღვინო მოჰყავდათ. ძველებიდან გამოგონია, თავსაც ხშირად ვიბანდით ღვინითო“. მერმე კი „სხვადასხვა მიზეზებმა და ავადმყოფობებმა ძლიერ დააქვეითა მევენახეობა ჩვენშიო“[65].

ქართლში ოიდიუმი და მილდიუ იმდენად იყო გავრცელებული, რომ პ. ყანდურალოვის სიტყვით (1897 წ.) „უკანასკნელ წლებში მევენახეები სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი“[66]. ცხადია კიდევ უფრო დიდი იქნებოდა ზარალი კახეთში, სადაც ვაზის სოკოვანი ავადმყოფობა 1880-იანი წლების მეორე ნახევარში მ. ბალასის ცნობით „მოედვა მევენახეობის მთელი რაიონის დიდ ფართობებს და მალე, მიიღო რა მოარული ხასიათი“, მოსავლიანობა დასცა ნორმალური მსხმოიარობის $^1/_3$—$^1/_7$-მდე[67].

ა. ფირალოვისა და ს. შავერდოვის მიერ წარმოებული დაკვირვებით „ფრიად დიდია ზარალი, რასაც ეს ავადმყოფობანი აყენებენ ადგილობრივ მევენახეობას. ზოგიერთ

---

62 ТКОСХ. 1889. № 7—8, стр. 379.
63 СВВК. III. 4.
64 ВР. II. 217.
65 „კვალი“. 1899, №9. გვ. 137 - 138
66 СВВК. VIII. 66.
67 ВР. III. 97.

წლებში კი მათ კახეთის მრავალ ნაწილში თითქმის მთელი მოსავალი გაანადგურეს". და ასეთს პირობებში მთელს კახეთში ამ დროს (1896 წ.) „საერთოდ ვენახების 8%-ს თუ მოუწევს შეწამვლა... ამასთანავე შეწამვლა ძლიერ ხშირად სწარმოებს საათანადო ცოდნის გარეშე"[68].

კახეთში ჯერ კიდევ 1890-იანი წლების მიწურულსაც ზოგიერთ სოფელში ფიქრობდნენ, რომ სოკოვანი ავადმყოფობა თავისით გაჰქრებაო და არც-კი ცდილობდნენ მის საწინააღმდეგოდ ვაზის შეწამვლას[69]. თბილისის მაზრაშიც-კი, მაგალითად, სს. დიღომს, გლდანს, კუმისსა და ბორბალოში. როგორც ფილოქსერის კომიტეტის ინსტრუქტორი სააკაშვილი წერს: „სოკოვან ავადმყოფობათაგან ვაზების შეწამვლა... კიდევ მცირედ არის გავრცელებული მევენახეთა შორის"[70]. ბორჩალოს მაზრაში მილდიუსაგან ვაზის შეწამვლა კოლონისტებმაც მხოლოდ 1897 წლიდან დაიწყეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ მეზობელ მამულში ამ ღონისძიებამ დადებითი შედეგი გამოიღო[71].

საერთოდ ნაცრისა და ობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა პოპულარიზაციის საქმეში. რა თქმა უნდა. ყველაზე უფრო მოქმედებდა პრაქტიკული დაკვირვებით მიღებული გამოცდილება. ამის გამო კარგად მოწყობილ და მოვლა-პატრონობის მხრივ ორგანიზებულ მეურნეობებს დადებითი შედეგი მოჰქონდა[72]. გლეხობა აქ. აკვირდებოდა და რწმუნდებოდა რა ვაზის შეწამვლის სარგებლობაში. ცხადია, ინტერესდებოდა, სწავლობდა და თავის მეურნეობაშიაც ატარებდა. შეძლებისამებრ, ანალოგიურ ღონისძიებებს[73].

---

68 ССВВК. VII. 63—64.

69 ОФК. 1899. 221.

70 ОФК, გვ. 182.

71 იქვე, გვ. 148.

72 „მეურნე", 1888 წ. № 44—48; 1889 წ. № 8, 9.

73 ი. ანდრონიკაშვილი. „ვაზის ობი (მილდიუ) და მისი წამლობა" („მეურნე" 1893, № 6); ს. შავერდოვი. „ვაზის ნაცრისა და ობის წამლობა" (საქართველოს კალენდარი", 1904, 307—311); ს. ხუნ-

ოიდიუმი, მილდიუ და ანტრაკოზი ყოველწლიურად დიდ ზარალს აყენებდნენ ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიის მევენახეებს. ბაქოს გუბერნიის მთიან რაიონებში მილდიუმ განსაკუთრებით დიდად წაახდინა ვენახები 1895 წელს[74]. განჯის (ელიზავეტპოლის) გუბერნიაში დას. საქართველოს მსგავსად სოკოვან ავადმყოფობათაგან მაღლარის განადგურებამ ბიძგი მისცა დაბლარის ხვედრითი წონის სწრაფ ზრდას[75].

მილდიუ შედარებით ნაკლებად მავნებელი იყო სომხეთში. მაგრამ აქ უფრო გავრცელდა ოიდუმი, რაც „ზოგიერთ წლებში ადგილ-ადგილ საგრძნობ ზიანს აყენებდა" მევენახეობას[76].

1899 წ. კახელ ვენახისმფლობელთა და მევენახეთა ყრილობის დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ „ვაზის მთავარი მავნებლები, რომლებიც მას განუწყვეტლივ დიდ ზარალს აყენებენ, ამჟამად არიან სოკოვანი ავადმყოფობანი მილდიუ და ოიდიუმი". ამ ავადმყოფობათა წინაღმდეგ კი ვაზის შეწამვლა ძლიერ გაძნელებულია, როგორც შესაწამლავ მასალათა და აპარატების სიძვირის, ისე იმის გამოც, რომ მათი შეძენა შეიძლება უპირატესად მხოლოდ ქალაქებში და საერთოდ განსაზღვრულ ადგილებში. რომლებიც დიდად დაშორებულნი არიან მეღვინეობის პუნქტთა უმრავლესობისაგანო"[77].

მაგრამ მილდიუსა და ოიდიუმს[78] გარდა სწორედ ამ ხანებში მევენახეობას დიდ ზიანს აყენებდა ბ ლ ე კ რ ო ტ ი[79], რომ-

---

დ ა ძ ე, „ვაზის ობი ანუ მილდიუ და მისი წამლობა" („მოსავალი", 1909, № 6).

74 CCBBK. V. 38—39.

75 BP. III. 189—190.

76 CCBBK. VI, 65.

77 TCBBK. стр. 2—3.

78 „ბორდოსის წვენი და ლურჯი წყალი" („მეურნე", 1888, № 25), ი. გ უ ნ ც ა ძ ე „ვაზის ავადმყოფობანი" („მეურნე", 1895, №№ 1, 2, 3. 4, 5, 6, 7); „ვაზის ნაცრისა და ობის წამლობა" („საქ. კალენდარი", 1905. გვ. 388—391).

79 პროფ. ბ. რ ა ვ ა ზ ი, „ბლაკ-როტი" (Blak-Rot), თარგმანი ფრანგულიდან („მეურნე", 1898 , № 1).

ლისაგან, ისევე, როგორც მილდიუსაგანაც, ბორდოსის სიმჟავით იცავდნენ ვაზებს. ხსენებულ ყრილობაზე აღნიშნავდნენ აგრეთვე ვაიტროტისაგან ვაზის მხრივ განცდილ მნიშვნელოვან ზიანს, რაც მით უფრო საშიშრად მიაჩნდათ, რომ ამ სოკოვანი ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო. ვაიტროტი აზიანებდა, ახმობდა, თვით მტევანს[80].

საერთოდ კლიმატისა და ნიადაგის ნესტიანობისა თუ სიმშრალის შესაბამისად ამიერკავკასიის მევენახეობის სხვადასხვა რაიონში მეტნაკლებად იყო გავრცელებული ვაზის სოკოვანი ავადმყოფობანი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის ოიდიუმი და მილდიუ დას. საქართველოში უფრო იყო გავრცელებული, ვინემ საერთოდ აღმ. ამიერკავკასიაში, კერძოდ აზერბაიჯანსა და განსაკუთრებით სომხეთში[81].

ბ. ფილოქსერა

ფილოქსერა (Phyloxera) მიკროსკოპული მწერია, რომელიც ამერიკაში პირველად შეამჩნიეს 1856 წელს. იგი ევროპაში, უწინარეს საფრანგეთში, გაჩნდა 1860-იან წლებში. ფილოქსერა უჩნდება ვაზის როგორც ფოთლებს, აგრეთვე ფესვებსაც (ე. წ. ძველი ქვეყნის ჯიშებს).

იმ უდიდეს ზარალს, რაც ფილოქსერამ მიაყენა დას. ევროპის მევენახეობას, ისტორიკოსები, ჩვეულებრივად, ადარებენ ბარბაროსთა შემოსევებით გამოწვეულ განადგურებასა და ნგრევას, რაც ათეული და ხანაც ასეული წლობით უკან სწევდა ხოლმე ევროპის ცივილიზაციას.

---

80 ТСВВК. стр. 26—27.

81 «Труды первого съезда НКЗ ЗСФСР», 1924, Тифлис, стр. 199—200.

საფრანგეთში ფილოქსერის გავრცელებისთანავე ევროპის სახელმწიფოებმა კანონმდებლობითი ღონისძიებები გაატარეს, რათა თავიდან აეცილებინათ იგი, მაგრამ უშედეგოდ. ფილოქსერამ ერთხნობით თითქმის გაანადგურა ევროპის მევენახეობა.

რუსეთის ხელისუფლებამაც გამოსცა რიგი კანონებისა, 1873 წ.[82], 1881 წ.[83]. 1885 წ. და სხვ., რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფილოქსერის წინააღმდეგ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო ღონისძიებათა ორგანიზებას. მაგრამ როგორც დას. ევროპაში, ისე რუსეთშიაც—კერძოდ ყირიმსა და კავკასიაში—ფილოქსერამ უდიდესი ზიანი მიაყენა ვაზის კულტურას.

ა. ფილოქსერის კომიტეტი

საქართველოსა და ამიერკავკასიის მევენახეებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ გულგრილი მსმენელები ყოფილიყვნენ ფილოქსერის გავრცელებისა[84] და განმანადგურებელი გავლენის შესახებ მოსული ამბებისადმი[85].

ჯერ კიდევ 1877 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ ჩამოაყალიბა ფილოქსერული ჯგუფი, რომელმაც დაადგინა, რომ ფილოქსერით დაავადებული ვაზები ქუთაისის გუბერნიაში კიდევ არ იყო. 1880 წელს ფილოქსერა პირველად შემჩნეულ იქნა ყირიმში. იმავე წელს ნამესტნიკის განკარგულებით კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა მთავარსამმართველოსთან შეიქმნა კ ა ვ კ ა ს ი ი ს ფ ი ლ ო ქ ს ე რ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი, რომელმაც ფილოქსერის გამოცნობისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესასწავლად 1881 წელს ყირიმში მიავლინა სპეციალისტების ჯგუფი.

---

82 ЗКОСХ, 1873 г., № 1—2.

83 ОФК. 1880—1882 гг., 3—5.

84 იხ. „ახალი ამბავი ფილოქსერაზე" (გაზ. „სასოფლო გაზეთი", 1876, №№ 12, 13).

85 ი. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, „ვაზის ახალი მტერი" („ივერია", 1879, № 4. გვ. 87—96—საფრანგეთში ფილოქსერის გავრცელების შესახებ).

რამდენადაც ფილოქსერა აქ უნდა შემოყოლოდა უცხოეთიდან და ყირიმიდან მიღებულ ვაზს, კავკასიის ფილოქსერის კომიტეტმა პირველ რიგში დაიწყო გამოკვლევა რაიონებისა, სადაც უფრო მეტად ღებულობდნენ უცხოური ვაზის ნერგებსა და რქას (чубук).

საერთოდ ფილოქსერის კომიტეტმა უდავოდ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა ამიერკავკასიის მევენახეობის ნაწილობრივ მაინც გადარჩენისათვის და ამ მიზნით, როგორც ფილოქსერის, აგრეთვე სოკოვან ავადმყოფობასთან ბრძოლისა და თვით ამ ბრძოლის მეთოდებისა და ხერხების გამომუშავებისა და გავრცელების სახით.

კავკასიის ფილოქსერის კომიტეტი 1881 წლიდან მოყოლებული სცემდა თავისი საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშგებას. უკანასკნელი ანგარიშგება, 1906 წლისა, გამოიცა 1908 წელს. 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში ფილოქსერის კომიტეტის რიგ თანამშრომელთა მონაწილეობისათვის 1906 წელს ცარიზმის ხელისუფლებამ არსებითად თითქმის დაშალა ეს კომიტეტი. ძალზე შეამცირა მისი ბიუჯეტი და საერთოდ ყოველგვარი სახსრები, ხოლო ამ საქმის ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ი სავსებით მოსწყვიტა აქაურობას.[86]

ფილოქსერის კომიტეტი სისტემატურად აწარმოებდა გამოკვლევებს მევენახეობის რაიონებში. როგორც ვაზის სხვადასხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე ხშირად საერთოდ მევენახეობა-მეღვინეობის კულტურის ამაღლების მიზნით. კომიტეტის ექსპერტები. ინსტრუქტორები, მებაღეები ატარებდნენ ლექცია-საუბრებს უშუალოდ მევენახეთა შორის, რათა დაენერგათ მევენახეობის, მებაღეობისა და საერთოდ მიწათმოქმედების რაციონალური მეთოდები. მაგრამ, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ეს მუშაობა ატარებდა უსულგულო-პოლიციურ ღონისძიებათა ხასიათს[87] და ადგილობრივი გლეხო-

[86] ОФК, 1905 г. стр. 22—23.
[87] ОФК, 1903 г., стр. 26; ОФК, 1904 г., стр. 9—10.

ბაც. რომელიც ბოქაულისა და მაზრის უფროსის თანმხლებელთა შორის ყოველთვის თავის შემავიწროებელსა და მყვლეფელს ხედავდა, გულგრილად ხვდებოდა და ცხადია, ძნელად ითვისებდა ამ გზით შეთავაზებულ სიკეთეს. მაინც, ცნობილია ფილოქსერის კომიტეტის მოღვაწეობის რიგი დადებითი შედეგები, რამაც ხელი შეუწყო ვაზის ავადმყოფობათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის რაციონალურ საშუალებათა და ცოდნის გავრცელებასა და მასობრივ გამოყენებას.

თავისი მუშაობის 1906 წლის ანგარიშგებაში თვით კომიტეტი საკუთარი პრაქტიკული მოღვაწეობის ამოცანად სახავდა: 1. ფილოქსერით დაზიანებული ვენახების აღდგენასა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, რაც, წარმოებდა ამერიკული ვაზის სანერგეთა ხაზით, 2. ვენახების ფილოქსერულ გამოკვლევას, და 3. ამ ქვეყნის „სოფლის მეურნეობის კულტურულ აღორძინებას“, კერძოდ მევენახეობის, მეღვინეობის, მებაღეობისა და ნაწილობრივ მემინდვრეობის ტექნიკის გაუმჯობესებას. მაგრამ კომიტეტის მოღვაწეობის ძირითად მომენტს მაინც წარმოადგენდა ამერიკული ვაზების სანერგეები, რომელთაც იგი დიდ ყურადღებას აქცევდა და რომლებზედაც ხარჯავდა თავისი ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს“[88].

1909 წელს კავკასიის ადმინისტრაციის მოღვაწეობის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ფილოქსერის კომიტეტის „მოღვაწეობის მთავარ ამოცანას, მას შემდეგ რაც მოხდა გადასვლა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის, ე. წ. კულტურულ მეთოდზე—რაც დაფუძნებულია ვაზის ბუჩქის ფესვთა სისტემის (корневая система) ფილოქსერისგამძლე ამერიკული ვაზის საძირეებით შეცვლაზე, რომელზედაც დამყნობილია ევროპული და ადგილობრივი კეთილშობილი ჯიშები, წარმოადგენს ამერიკული ვაზის სანერგეთა განვითარებაო“[89].

1910 წელს კავკასიის ფილოქსერის კომიტეტმა შესწყვიტა არსებობა. ამ, 1910 წლის 21 აპრილს გამოქვეყნებული კანონით „ფილოქსერასთან და ვაზის სხვა მავნებლებთან ბრძოლის

[88] ОФК, 1906, стр. 8.

[89] «Кавказ в 1909 году», 1910, Тифлис, стр. 53.

ღონისძიებათა გატარების ხელმძღვანელობა და საერთოდ მევენახეობა-მეღვინეობის საქმისადმი მზრუნველობა“ მთელს იმპერიაში დაეკისრა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიწათმოქმედების დეპარტამენტს. ამ დროიდან „მეტი წარმატებების და მოღვაწეობის გეგმაშეწონილ ღონისძიებათა გატარების მიზნით“ კავკასია დაიყო მევენახეობა-მეღვინეობის რვა რაიონად; თითოეულ რაიონში უნდა შექმნილიყო სათანადო კომიტეტი.

ამ კომიტეტებს, თუმცა კანონის მიერ ისინი მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტებად იხსენიებოდა, ტრადიციულად ისევ ფილოქსერის კომიტეტებსაც უწოდებდნენ. მათი ჩამოყალიბება ღიდი მოგვიანებით ხდებოდა: კიდევ უფრო დაგვიანებით შეუდგნენ ისინი პრაქტიკულ საქმიანობას. მევენახეობის ისეთ რაიონებშიც კი, როგორიცაა კახეთი, კომიტეტის თანამშრომლები გამოჩნდნენ მხოლოდ 1913 წლის შემოდგომიდან[80], თვით აპარატი საგუბერნიო კომიტეტებისა ბევრად უფრო ბიუროკრატიული იყო. ვინმემ კავკასიის ფილოქსერის კომიტეტისა.

1912 წლის შემოდგომაზე შეიქმნა ქუთაისის ფილოქსერის კომიტეტი, რომელსაც მომსახურება უნდა გაეწია არა მხოლოდ ქუთაისის გუბერნიისათვის, არამედ აგრეთვე სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქისათვისაც, ე. ი. მთელი დას. საქართველოსათვის, რომელზედაც მოდიოდა ამიერკავკასიის მევენახეობის მიერ დაკავებული ფართობის თითქმის მესამედი ნაწილი. ამიერკავკასიის დანარჩენ ნაწილს მომსახურებას უწევდა 4 კომიტეტი. სულ ამიერკავკასიის ხუთი (ქუთაისის, თბილისის, ერევან-ყარსის, ბაქო-დაღესტნის, ელიზავეტპოლის) კომიტეტის შტატი შედგებოდა 5 სპეციალისტისა და 20 ინსტრუქტორისაგან; ასე რომ, საერთოდ კომიტეტის თითოეულ წევრზე მოდიოდა ხუთი ათას დესეტინაზე მეტი, ხოლო კერძოდ ქუთაისის გუბერნიაში კი—რვა ათასი დესეტინა ვენახი.

---

[80] გაზ. „ხმა კახეთისა“, ქ. თელავი, 1913, № 91, გვ. 4.

მათ წინაშე მდგარ ამოცანებთან შედარებით ხსენებულ კომიტეტებს მეტად მცირე სახსრები გააჩნდათ. 1917 წელს გამოქვეყნებულ თვით ამ კომიტეტების თათბირებისა და წინადადებათა „მასალებში“ აღნიშნულია, რომ „მოსახლეობის ინტერესების რამდენადმე დამაკმაყოფილებლად მომსახურებისათვის უკიდურეს შემთხვევაში აუცილებელია ათჯერ მაინც იქნას გადიდებული როგორც რიცხვი კომიტეტის ინსტრუქტორთა პერსონალისა, ასევე ფულადი სახსრების რაოდენობაცო“[91]. ამ კომიტეტების აპარატში მუშაობდნენ უმთავრესად დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდნენ მევენახეობის მიმდევარი მოსახლეობის წინაშე დასმულ ამოცანათა რამდენადმე მაინც გადაჭრის საქმეს,—როგორც ამას აღნიშნავდა უფროსი სპეციალისტი კ. ბ ე რ ე კ ა შ ვ ი ლ ი[92].

ფილოქსერის წინააღმდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავების და მოსახლეობაში ამ ღონისძიებათა პოპულარიზაციის საქმეში ფილოქსერის კომიტეტზე არანაკლები და ზოგიერთის მხრივ კიდევ მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ადგილობრივ ნაციონალურ ინტელიგენციას, ადგილობრივ პრესას. რომელსაც მწარმოებელთა ძირითადი მასებისათვის ამა თუ იმ ზომით მშობლიურ ენაზე შეეძლო მიეწოდებინა სათანადო ცოდნა, რჩევა-დარიგებანი და ფილოქსერის წინააღმდეგ მობილიზაციურ მდგომარეობაში ჩაეყენებინა მევენახეები.

კერძოდ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თითქმის სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ხასიათის მასალა (ცნობები. კორესპონდენციები, რჩევა-დარიგებანი, სტატიები, ფელეტონები) ფილოქსერის ბუნებისა და მასთან ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების შესახებ.

---

[91] МЗСЗК, 637—639.

[92] იქვე, გვ. 641.

ბ. ფილოქსერის გაჩენა და გავრცელება

ბარონ ლ ო ნ გ ე ი ლ ი ს ცნობით ფილოქსერა ჯერ კიდევ 1870-იანი წლების დამდეგს შეამჩნია მან პირველად იმერეთში, სოფ. ჩაგნარში (ქუთაისთან ახლოს) თავის საკუთარ ვენახში[93]. სადაც გაშენებული იყო უცხოური ჯიშის ვაზი.

1881 წელს ქ. სოხუმში პოლკოვნიკ ვვედენსკის ვენახში აღმოაჩინეს როგორც ფესვების, ისე ფოთლების ფილოქსერა[94]. იმავე 1881 და შემდგომ 1882—1891 წწ. წარმოებულმა გამოკვლევამ ცხადჰყო ფილოქსერის გავრცელება სოხუმის ოკრუგის რიგ რაიონში, მათ შორის, 1886 წ., მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე — თავად შერვაშიძის ვენახებშიაც[95].

ომის შესახებ, თუ სახელდობრ საიდან გაჩნდა აფხაზეთში ფილოქსერა. არსებობს აზრი, რომ ვვედენსკისა და შერვაშიძის ვენახებში ის შემოვიდა ერფრუტიდან. საიდანაც შერვაშიძის მამულების მოურავმა შ უ ტ მ ა 1872 წელს გამოიწერა ვაზის ნერგები როგორც თვით შერვაშიძის. ისე ვვედენსკის მამულისათვის. ფილოქსერა აღმოჩნდა სწორედ იმ მიდამოებში. სადაც ერფრუტიდან გამოწერილი ვაზები იყო დარგული[96]. აღსანიშნავია. რომ იმთავითვე მიღებული ენერგიული ზომების მეოხებით სოხუმის ოკრუგში ფილოქსერის აღმოჩენილი კერები თითქმის ლიკვიდირებულ იქნა.

1884 წელს ფილოქსერა შეამჩნიეს ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრის რამდენიმე ვენახში. სადაც ის ამერიკული ვაზის ნერგებს შემოჰყოლია. სასწრაფოდ მიღებული რადიკალური ზომებით მავნებელი აღმოფხვრილ იქნა[97].

ოიდიუმისა და მილდიუსაგან ვაზის წამლობის წესების მოსახლეობისათვის გასაცნობად 1889 წელს იმერეთში მივლი-

---

[93] ССК. III. 211.

[94] ОФК, 1880—1882 гг., стр 19—29; ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“. 1912, ტფილისი. გვ. 5.

[95] ОФК. 1886 г., стр. 45—65

[96] ВР. II. 131.

[97] СМЭБГК. IV, II, 64; ВР, IV, 335—336.

ნებულმა სპეციალისტების ჯგუფმა, რომელსაც ვ. გ ე ე ვ ს კ ი ხელმძღვანელობდა, ყვირილის რაიონში, სოფ. ალისუბანში აღმოაჩინა ფილოქსერა. იმერეთში ფილოქსერის აღმოჩენის ფაქტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში[98].

ფილოქსერა იმერეთში ს. ალისუბანში მოედო ვენახებს, სადაც ადგილობრივ ჯიშებთან ერთად გაშენებული იყო ევრეთვე უცხოური—ევროპული ჯიშის ვაზები. ეს უკანასკნელნი აქ 1872—1873 წწ. მოიტანეს ქუთაისიდან, სადაც მესაათე ტეისელს გაშენებული ჰქონდა უცხოური ვაზების ვენახი[99]. მალე ქ. ქუთაისში ს. ხოჯაევმა ფილოქსერა აღმოაჩინა რამდენიმე ვენახში, ხოლო ტეისელის ყოფილ ვენახში დაკვირვებით, დადასტურდა, რომ ფილოქსერა აქ დიდი ხნით ადრე ყოფილა ვაზებს მოდებული.

ცდამ, მოეხდინათ ფილოქსერის გავრცელების ლოკალიზაცია, მავნებელთა რადიკალური წესით აღმოფხვრის გზით,—რაც თავის დროზე ნაწილობრივ მიღწეულ იქნა, მაგალითად, სოხუმის ოკრუგში,—უნაყოფოდ ჩაიარა. თანდათან აღმოჩნდა, რომ ფილოქსერა მოდებულია იმერეთის მევენახეობის მთავარ სოფლებს მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირისა—სვირს, კვალითს, ობჩას, დიმს, ფერსათს და სხვ. მაგრამ არა მხოლოდ ქუთაისის, არამედ შორაპნის მაზრაშიაც უკვე მოესწრო ფილოქსერას გავრცელება—თვით გორის მაზრის საზღვრამდე[100]. აღსანიშნავია, რომ ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი ორგანიზატორები, როგორიც იყვნენ ვ. ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ი და ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი[101], 1890 წელსვე აპრიორულად ასკვნიდნენ, რომ მავნებელი უკვე მოდებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მთელ იმერეთს, არამედ აგრეთვე სამეგრელოს. გუ-

---

98 „ფილოქსერა იმერეთში“ („მეურნე“ 1889, 20 და 21, იხ. აგრ. № 40—41: „მეურნე“ 1891, № 8).

99 ОФК, 1889 г., стр. 198—215.

100 გაზ. „მეურნე“, 1890, № 8.

100 გაზ. „მეურნე“, 1890, № 8.

101 ი ვ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „ფილოსქსერა ჩვენში“ („მეურნე“, 1892., №№ 1—4, 5—8, 12—16).

რიის, რაჭისა და ლეჩხუმის ვენახებს, რამდენადაც ფილოქსერის აღმოჩენამდე ამ რაიონებშიც ბლომად ვრცელდებოდა როგორც ევროპული. ასევე იმერული საუკეთესო ჯიშის ვაზები[102].

ამ ამბებით, ცხადია, ქართლი და კახეთი საგანგაშო მდგომარეობაში დგებიან[103]. მალე, სახელდობრ 1897 წ. ფილოქსერა აღმოჩენილ იქნა გორის მაზრაში (ცხინვალში, სოფ. დირბში და სხვ.), რაჭაში (სოფ. სადმელსა და ბაჯითში)[104], 1899 წელს—გორის მაზრის სოფ. არაშენდაში[105]. 1900 წლის მანძილზე ქუთაისის, თბილისის, განჯის, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში ფილოქსერის პარტიების მიერ შესწავლილ ვენახებში ფილოქსერა დადასტურებულ იქნა მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის ვენახებში[106].

ძაგრამ შემდგომ წლებში ფილოქსერა უფრო მეტის სიჩქარით მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ. მით უმეტეს, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ფილოქსერის კომიტეტის მუშაობისა და საერთოდ ვაზის ავადმყოფობათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის შეფერხებამაც, ცხადია, ხელი შეუწყო მავნებელთა სწრაფ გავრცელებას.

ამასთანავე ადმინისტრაციამაც მეტად შეამცირა შესაბამისი ხარჯები და თანაც რევოლუციური მოძრაობისადმი ლიბერალური დამოკიდებულების შედეგად მთავრობისაგან დევნილი საქმის მთელი რიგი გამოჩენილი სპეციალისტი (განსაკუთრებით ეს ითქმის სტაროსელსკის შესახებ) იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა ფილოქსერის კომიტეტში მუშაობისათვის, რამაც, ცხადია, დიდი ზიანი მოუტანა მევენახეობას. თვით ფი-

---

102 ОФК. 1890. стр. 14—16. 106—113.

103 ვ ე ლ ი ს ი ხ ე ლ ი. „სოფლის დარდი და ეარამი“.—წერილი კახელებისადმი ფილოქსერის შესახებ (ვაზ. „მეურნე“. 1889. № 39); ამავე გაზეთის 1890 წ. № 16-ში იბეჭდება თბილისის გუბერნატორისაგან „დარიგება“ ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

104 ОФК. 1897 г. стр. 8—9; 38. 43—44. 205.

105 ОФК. 1899 г. стр. 203—204.

106 ОФК. 1900 г. стр. 5—6.

ლოქსერის კომიტეტმა უკვე დაჰკარგა „ხალხისადმი სამსახურის“ თავდაპირველი ენთუზიაზმი.

1906 წელს ფილოქსერა უკვე ფართოდ იყო გავრცელებული ბორის. თბილისისა და დუშეთის მაზრებში. კახეთისა და განჯის მაზრის მევენახეები მოსალოდნელი უბედურების შიშმა შეიპყრო[107], სახელდობრ 1906 წელს ფილოქსერის პარტიებმა მავნებელი აღმოაჩინეს ქ. თბილისს, სოფ. ნორიოს, მარტყოფსა და სოღანლუღში[108]. თუმცა ამავე ხანებში ჩატარებულმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ ჯერჯერობით ფილოქსერა არ გაჩენილიყო არც კახეთსა და არც განჯისა, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში[109]... და ეს მიუხედავად იმისა. რომ. როგორც კავკასიის ფილოქსერის კომიტეტის ანგარიშგებაში ვკითხულობთ, „შემდეგ ულუხან-ჯულფის რკინიგზის გაყვანისა,—რაც ერევნის გუბერნიაში მეღვინეობის მთავარ რაიონზე, კამარლუზე. გადის,—აქ მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოდიან იმერლები. რომლებიც გამოსულნი არიან ადგილებიდან, სადაც გავრცელებულია ფილოქსერა და რომელთაც შეეძლოთ ხელოვნურად გადაეტანათ მავნებელი[110].

იმერელი მევენახეები აქეთკენ წამოვიდნენ სამუშაოდ მას მერმე, რაც ფილოქსერამ უდიდესი ზიანი მიაყენა იმერეთის მევენახეობას და, ამგვარად, მათ დაჰკარგეს შემოსავლის წყარო; ახლა ისინი, როგორც სპეციალისტები ხელს უწყობენ მევენახეობისა და ვაზის კულტურის გავრცელების საქმეს აღმ. ამიერკავკასიის შესაბამის რაიონებში, როგორც სომხეთში ისე განსაკუთრებით აზერბაიჯანში[111].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ფილოქსერის გავრცელების საზღვრების „საბოლოოდ დაზუსტების“ მიზნით 1909 წელს ჩატარდა გამოკვლევა თბილისისა და სიღნაღის მაზრების

---

107 ОФК. 1906 г., стр. 43.
108 იქვე, გვ. 47, 52.
109 იქვე, გვ. 54, 64—65.
110 ОФК. 1906 г., стр. 64.
111 МЗСЗК, 630.

ვენახებისა, აგრეთვე კონდოლის სანერგისა, რომელიც საძირე მასალით (ამერიკული ვაზით) ამარაგებდა ფილოქსერისაგან თავისუფალ ყველა რაიონს ამიერკავკასიისა. ფილოქსერის პარტიებმა „დაწვრილებით გამოიკვლიეს“ 18 სოფელში 4.223 ვენახი, რომელთა ფართობი 3.127 დესეტინას შეადგენდა. ამასთანავე გათხრილი და გამოკვლეულ იქნა თითქმის 24.000 ვაზის ფესვები, მაგრამ ფილოქსერა არსად არ აღმოჩნდა[112].

კახეთში ფილოქსერა პირველად შენიშნულ იქნა 1910 წ. 22 თიბათვეს—სოფ. ლელიანში[113]. მავნებლის ეს კერა სათანადო ღონისძიებათა გატარების შემდეგ ლოკალიზებულად მიიჩნიეს. მაგრამ 1913 წლის შემოდგომიდან შედარებით საფუძვლიანმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ კახეთსა და ბორჩალოს მაზრაშიაც „ფილოქსერის გავრცელების ძველი ბუდეები“ ყოფილან. ამ გარემოებამ საგონებელში ჩააგდო მეევნახეობა-მეღვინეობის თბილისის კომიტეტი[114]. მაგრამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თვით მოსახლეობაში.

გაზ. „ხმა კახეთისა“-ს კორესპონდენტი, რომელიც თვითონ მონაწილეობდა კახეთში მივლინებული ფილოქსერის პარტიაში, მოგვითხრობს: 15 მკათათვეს „საუფლისწულო მამულში აღმოვაჩინეთ ფილოქსერა. მაშინვე დაფაცურდნენ ვენახების გამგენი და, როგორც გადმოგვცეს, თითო ვაზის ძირს, საცა ფილოქსერა აღმოვაჩინეთ, ათ-ათი გირვანქა ნავთი ჩაუშვეს. რასაკვირველია, ამით ის ვაზები დაიწვებოდა“. შემდეგ მავნებელი აღმოაჩინეს ს. ქვემო-ხოდაშენს;—„ამის გამო ძალიან შეწუხდნენ გლეხები და გაიძახოდნენ: ნეტავი ამერიკული ვაზების გამრავლება მალე მაინც დაიწყონო“[115].

ფილოქსერის იმავე პარტიამ მავნებელი აღმოაჩინა ს. ვეჯინს: „მოვიწვიეთ ადგილობრივი მამასახლისი და რამდენიმე

---

112 «Кавказ в 1909 году». 1910. Тифлис, стр. 54—55.

113 ს. ჩოლოყაშვილი. „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“, 1912, ტფ. გვ. 5.

114 МЗСЗК. 631.

115 „ფილოქსერის აღმოჩენა კახეთში“ (გაზ. „ხმა კახეთისა“, 1913, № 91, გვ. 4).

გლეხი, უჩვენეთ ფილოქსერის ჭია, ავუხსენით მისი მავნებლობა და მისი გამრავლება. ამ ვენახში ყარაული დააყენეს, რომ იქ არვინ შევიდეს და არ გადაიტანოს ფილოქსერა ფეხითო"; მერმე კორესპონდენტი დასძენს: „დიდი განსაცდელი მოელის კახეთს. თუ დროზე არ მივეშველებით... კიდევ ვიმეორებთ მ ტ ე რ ი შ ე მ ო გ ვ ე ს ი ბ ა და ქ უ დ ზ ე კ ა ც ი უ ნ დ ა გ ა მ ო ვ ი დ ე ს; ყოველ სოფელში კომიტეტები დავაარსოთ, რომელნიც სიღნაღის მაზრის (სოფლის) სამეურნეო ამხანაგობის შუამავლობით და დახმარებით ყოველს სოფელში ამერიკულ ვაზის სანერგეებს გაგვიშენებს. თორე დავიღუპებით, მოცდა აღარ შეიძლებაო"[116].

ასეთს პირობებში მევენახეობა-მეღვინეობის თბილისის კომიტეტი 1913 წ. 14 ოქტომბრის სხდომაზე. სადაც მოსმენილ იქნა თიანეთის, თელავის, სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრის გამოკვლევის შედეგები. ასკვნის: მავნებლის გავრცელების კერა ისე დიდია და ფართო,—და ისიც ვენახებით მჭიდროდ დაფარულ რაიონებში, სადაც, როგორც ჩანს, ფილოქსერა დიდი ნენით ადრე ყოფილა მოდებული (რის შედეგადაც ახლა ვენახები უკვე მასობრივად იღუპება). — თვით „კახეთის გლეხური მოსახლეობის ყოფიერებიდან გამომდინარე პირობები ვენახების დამუშავებისა" და მრავალი სხვა გარემოება ასეთია, რომ „არა მხოლოდ გამორიცხავს რადიკალური მეთოდის გამოყენების რაციონალურობას, არამედ ხელსაც კი უწყობს ფილოქსერის გავრცელებას და სპობს შესაძლებლობას არსებითად იქნას შეჩერებული მისი შემოტევითი მოძრაობა". ამასთანავე. ითვალისწინებს რა 1910 წლის 21 აპრილის კანონის I განყ. მეათე მუხლის აზრს ფილოქსერისა და ვაზის სხვა მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, კომიტეტი იძულებულია აღიაროს, რომ თიანეთის, თელავის, სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრები, თვით ქ. თბილისი და მისი მაზრაც „არახელ-

---

116 „ფილოქსერის აღმოჩენა კახეთში" (გაზ. „ხმა კახეთისა", 1913. № 91, გვ. 4).

საყრელ პირობებში იმყოფებიან და შეუძლებელია მათი დაცვა ფილოქსერისაგან"[117].

შემდეგ კომიტეტი აღნიშნავს, რომ გორის, დუშეთისა და თბილისის მაზრის დიდ ნაწილში ფილოქსერის გამანადგურებელი მოქმედების შედეგად „ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაღუპულია... იგივე ბედი ელის თიანეთის, თელავის, სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრის ვენახებსაც. მაგრამ მომავალი ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებულ გავლენას მოახდენს კახეთის მოსახლეობაში, სადაც სოფლების გაუწყვეტელად გამბული მდგომარეობისა და სხვა... მიზეზთა გამო არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა შეჩერებულ იქნას ფილოქსერის ტალღა და უნდა ველოდეთ მის განსაკუთრებით სწრაფ გავრცელებას და ამის მეოხებით ვენახების განადგურებას. მაშინ როდესაც მევენახეობა შეადგენს უმთავრეს დათითქმის ერთადერთ წყაროს მოსახლეობის არსებობისა კახეთში[118].

ასე, თითქმის მხოლოდ მოთქმითა და მომავალი უბედურების დასურათებითლა შეეძლო მევენახეობა-მეღვინეობის თბილისის კომიტეტს დახმარება გაეწია მოსახლეობისათვის ვაზის ამ საშინელ მავნებელთან ბრძოლაში.

ფილოქსერის საგუბერნიო კომიტეტების მიერ დაწყებული მუშაობა პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის წლებში „ნულამდე იქნა დაყვანილი". ამ წლებში ფილოქსერისაგან განსაკუთრებით დაზარალდა ქართლ-კახეთი; რის გამოც, როგორც ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მიწათმოქმედების კომისარიატების პირველი ყრილობის (1924 წ.) შრომებში ვკითხულობთ: „ვენახებისაღდგენის საქმე

117 МЗСЗК, 631.

118 МЗСЗК. стр. 632; კურსივი ყველგან ჩვენია პ. გ.

აღმ. საქართველოში თითქმის ხელახლა თავიდან უნდა იქნას დაწყებული"[119].

ფილოქსერა ელიზავეტპოლის, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში არ გავრცელებულა. აზერბაიჯანში იგი პირველად აღმოაჩინეს 1884 წელს და ამ თავის კერებში მოსპობილ იქნა რადიკალური წესით. შემდგომ წლებში (1886—1921 წწ.). როგორც აზერბაიჯანში, ისე სომხეთში ფილოქსერა არ ყოფილა შემჩნეული. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, სომხეთისა და აზერბაიჯანის მევენახეობას უდიდეს უპირატესობას ანიჭებდა საქართველოს მევენახეობის წინაშე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ვაზის ავადმყოფობანი და მავნებლები უწინარეს ჩნდებიან დას. საქართველოში: აფხაზეთს, სამეგრელოს, გურიას, იმერეთს. ლეჩხუმსა და სხვ. და მერმე, თანდათანობით ვრცელდებიან ხოლმე აღმოსავლეთისაკენ. ასე რომ, დას. საქართველოს, უწინარეს აფხაზეთ-სამეგრელო-გურიის მევენახეობას პირველს და, მაშასადამე, სავსებით მოუმზადებელს უხდებოდა ბრძოლა ვაზის მათთვის აქამდე სავსებით უცნობ მტრებთან.

აქედან ცხადია, რომ ამ რაიონებში, თუ ამ ბრძოლის არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებსაც გავითვალისწინებთ (რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი), უფრო მეტად უნდა დაზარალებულიყო მევენახეობა, მით უმეტეს, რომ დას. საქართველოში ვენახები თავისი ფორმითაც (მაღლარი!) ძნელი დასაცავი იყო ვაზის როგორც ᲐᲝᲙᲝᲕᲐᲜ ავადმყოფობათა, ისე ფილოქსერისაგანაც. პირიქით, ამიერკავკასიის აღმ. რაიონებში შედარებით მომზადებული და დასავლეთის · მეზობელთაგან გამოცდილება-გაზიარებულნი ხვდებოდნენ ვაზის მტრებს და გასაგებია, შედარებით უფრო ადვილადაც უნდა აეტანათ პირველი დარტყმების ის უდიდესი ზიანი, რაც ხსენებულ მოვლენებს მოჰქონდათ.

---

119 «Труды первого съезда НКЗ ЗСФСР», Тифлис, 1925, стр. 199—200.

ვაზის მტრებთან ბრძოლის პროცესში მოსახლეობა. გარდა შეწამვლისა, ადგილობრივ ჯიშთა ამერიკულ საძირეზე დამყნობისა და სხვ., ცხადია, გულმოდგინედ ცდილობდა აგრეთვე ადგილობრივ ჯიშთაგან შეერჩია და გაეშენებინა ისეთები, რომლებიც შედარებით უფრო ადვილად იტანდნენ ამა თუ იმ ავადმყოფობას, უფრო გამძლენი იყვნენ მავნებელთა წინააღმდეგ თავდაცვაში. ასე მაგალითად, იმერეთში მილდიუს გაჩენამდე გავრცელებული იყო ისეთი ჯიშები, როგორიცაა რკო. კრახუნა, ქინძა და სხვ.. რომლებიც უფრო უძლებდნენ ოიდიუმს.. მაგრამ მილდიუს გავრცელების შემდეგ ეს ჯიშები შეიცვალეს ციცქათი (წანთითა) და მწვანით, რომლებიც „როგორც ჩანს, უფრო გამძლენი არიან ფილოქსერის წინააღმდეგაც. ვინემ სხვა ჯიშები“[120].

ვაზის მტრებთან ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თვით მევენახეობის ფორმისა, გაადგილებისა და სხვ. მხრივ. რაზედაც თავის ადგილს გვექნება სპეციალურად მსჯელობა.

* * *

ჩვენ გავეცანით ვაზის მთავარ ავადმყოფობათა და მავნებელთა ამიერკავკასიაში გაჩენისა. გავრცელებისა და მათგან მევენახეობისათვის მიყენებული ზიანის ძირითად მომენტებს.

მევენახეობის მტრებს შორის აღსანიშნავია ისეთი სტიქიური მოვლენებიც, როგორიცაა ს ე ტ ყ ვ ა, ძ ლ ი ე რ ი ქ ა რ ი და სხვ.

ამიერკავკასიის მევენახეობის ძირითადი რაიონისათვის, როგორიცაა კახეთი. სეტყვა უხსოვარი დროიდანვე წარმოადგენდა უდიდეს მტერს. რომელიც ხანდისხან სავსებით ანაღგურებდა მოსავალს, ყურძენს. 1830-იანი წლების პირველ ნახევარში შედგენილს ამიერკავკასიის ოფიციალურ მიმოხილვაში ნათქვამია: „კახეთის ველი. რომელიც მთელ საქართველოს დიდი რაოდენობით აწვდის ესოდენ მშვენიერ ღვინოს და ათასო-

120 CCBBK. III, стр. 9.

ბით ოჯახს ამდიდრებს თავისი ნაყოფით, ხშირად განიცდის სეტყვის განმანადგურებელ მოქმედებას... იშვიათია წლები, რომ კახეთს თავზე არ დაატყდეს ასეთი ხვედრი. იყო უბედური შემთხვევები, რომ სეტყვა მთელ ასეულ ათას მანეთობით ზარალს აყენებდა და ერთ წამში სპობდა მოსახლეობის ერთადერთ იმედს"[121].

1885 წ. თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი ნ ი კ ი ფ ო რ ო ვ ი აღნიშნავდა: „სეტყვა ისეთი საშინელებაა კახეთისათვის, რომ ყოველი ღრუბელის გაჩენისთანავე ყველგან ატყდება ზარების რეკა, მაშინვე თითქმის ყველა პირჯვარს იწერს და ლოცულობს, ხოლო მრავალ სოფელში სეტყვის თავიდან აცილების მიზნით უქმობენ (ღმერთს სწირავენ), გარდა კვირისა, ყველა ორშაბათს აღდგომიდან დაწყებული სექტემბრამდე"[122].

სწორედ იმავე ხანებში ს ი ღ ნ ა ღ ი ს მაზრის შესახებ ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ი წერდა—„თავის განმანადგურებელ მოქმედებას სეტყვა ყოველწლიურად ამჟღავნებს. ხან დასეტყვავს იგი ვენახებს უზარმაზარ ფართობზე და იმ ზომამდე, რომ ვაზებზე არ შერჩებიან თვით ფოთლებიც-კი. ხანაც გადაივლის იგი ზოლის სახით და თან მოაქვს ნგრევა. ყოველ გაჩენილ ღრუბელს ზარდაცემული და ძრწოლით შესცქერის გლეხი, მან არ იცის თუ რას უქადის იგი. მისცემს უხვ წვიმას და ასკეცად აანაზღაურებს მის მძიმე შრომას, რითაც საშუალებას მისცემს გაისტუმროს გამოსაღებნი, პირი ამოუვსოს მაბეზარა კულაკ-კრედიტორს და მოიმარაგოს ოჯახისათვის რაიმე საზამთროდ, თუ მოევლინება იგი მეხად და გააქარწყლებს მის შრომასა და იმედს"[123].

საერთოდ კახეთის მევენახეობას, ამა თუ იმ ზომითა და ინტენსივობით, თითქმის ყოველწლიურად თავს ატყდებოდა სეტყვის საშინელება. ქართლში სეტყვისაგან მიყენებული ზია-

---

[121] ОРВЗ, I, 377.
[122] МИЭБГКЗК, V, I, 108.
[123] МИЭБГКЗК, IV, II, 302.

ნი შედარებით უმნიშვნელო იყო და კიდევ უფრო მცირედ აზიანებდა იგი იმერეთს. აზერბაიჯანში სეტყვა იშვიათი მოვლენა იყო, ხოლო სომხეთის მევენახეობისათვის იგი თითქმის სავსებით უცნობია[124].

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სეტყვისაგან მიყენებული ზარალი, სხვა ცნობათა უქონლობის გამო, აქ მოგვყავს საამისო მონაცემები კერძოდ აზერბაიჯანის, სახელდობრ განჯის მაზრის შესახებ, სადაც ღვინის მოსავალი უდრიდა: 1893 წ.—1.000.000 ვედროს, 1894 წ.—1.112.748 ვედროს, ხოლო მომდევნო ორი წლის მანძილზე, შედეგად სეტყვისა (რასაც 1895 წ. ქარიც დაერთო) იგი ფრიად დაეცა და უდრიდა: 1895 წ.—248.875 ვედროს, 1796 წ.—259.748 ვედროს[125]. ამასთანავე ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სეტყვა კახეთთან შედარებით აზერბაიჯანის მევენახეობას უმნიშვნელო ზიანს აყენებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სეტყვა საშინელი და საყოველთაო მტერი იყო კახეთის მევენახეობისა, რომ იგი მეტად ხშირად იწვევდა მთელი თემების სასტიკ დაზარალებას, და, რამდენადაც მევენახეობა მათი არსებობის ძირითადი და ხშირად ერთადერთი წყარო იყო, ულუკმაპუროდ დარჩენას—მისი გამანადგურებელი გავლენის შენელებისადმი მიმართული ღონისძიებანი აბსოლუტურად არ ტარდებოდა ცხოვრებაში.

მოსახლეობა ადრიდანვე ეძიებდა სეტყვის გამაჩანაგებელი გავლენისაგან[126] ვენახების დაცვის საშუალებას. უკვე 1880-იანი წლებიდან დაიწყო მსჯელობა სეტყვისა და სხვა სტიქიურ უბედურებათაგან ვ ე ნ ა ხ ე ბ ი ს დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ[127], მაგრამ ადმინისტრაციის მხრივ ამ თაოსნობას არათუ იმთავითვე ხელის შეწყობა არ ღირსებია. არამედ საერთოდ ცარიზმის ბატონობის მთელ პერიოდში იგი რჩებოდა, „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

---

124 «Труды первого съезда НКЗ ЗСФСР», 1925. стр. 200.

125 И. С е г а л ь. «Сборн. свед. о Елисаветопольской губ.», I. 82—83.

126 „ვენახების დასეტყვის გამო“ (გაზ. „მეურნე“, 1888 წ. 18, გვ. 1—2).

127 გაზ. „მეურნე“, 1889 წ. № 31, გვ. 7—8 (განყ. „ნარევი“).

მაგალითად, 1914 წელსაც დაისვა საკითხი სეტყვისაგან დამზღვევი საზოგადოების შექმნისა. „ასეთი საზოგადოება მჭიდროდ შეაკავშირებს ჩვენი სოფლის მეურნეებს და შეჰქმნის საჭირო თანხას სეტყვისაგან ან სხვა მოვლენისაგან დაზარალებულ ამხანაგთა დასახმარებლად. გარდა ამისა, ეს საზოგადოება ყოველ-ვარ ზომებს მიიღებს, რომ მავნებელი ბუნების გავლენა ააცდინოს თავის წევრებსო"—წერდა შ. გოგებაშვილი[128]; მაგრამ ეს ხმაც მხოლოდ საკითხის დასმადღა დარჩა.

მევენახეობის ოდითგანვე ძლიერი მტერი იყო ქარი. ძლიერ ქარს დიდი გამანადგურებელი ზიანის მოტანა შეუძლია მოსავალისათვის. ქარის ამ გავლენისაგან ვენახის დასაცავად ამიერკავკასიაში უხსოვარი დროიდანვეა ცნობილი ე. წ. საქარის, ე. ი. ქარსაცავ ზოლთა კულტურა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე, II. § 4, ბ.).

IV. ვაზის მტრებთან ბრძოლის პიროობები და მეთოდები

1. შეწამვლა

ვაზის სოკოვან ავადმყოფობათა და მერმე ფილოქსერისა და სხვა მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდად დაავადებული თუ მავნებელმოდებული ვაზის სხვადასხვაგვარი შეწამვლა იყო მიღებული. მაგრამ შესაწამლავი პრეპარატებისა და სათანადო ხელსაწყოების შეძენისა და მათ რაციონალური გამოყენების ცოდნის დანერგვა-გავრცელება მნიშვნელოვან სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

სოკოვან ავადმყოფობათა შემოსვლა-გავრცელების პირველ წლებში ხელისუფლება სავსებით ინდიფერენტულად უყურებდა თუ როგორ ნადგურდებოდა მევენახეობა, პირველი ხმა ამ მიმართულებით ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა და საერთოდ ქართულმა პუბლიცისტიკამ, ქართულმა პრესამ აიმაღლა, რომელიც ცხადია შედარებით ახლო იდგა და უკეთ იცნობდა მევენახეთა ჭირვარამს.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება ცნობები, სტატიები, ფელეტონები, კორესპონდენციები, რჩევა-დარიგებანი ვა-

[128] შ. გოგებაშვილი, „სეტყვისაგან საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება („ხმა კახეთისა", 1914, № 160, გვ. 1.).

ზის ავადმყოფობათა და მასთან ბრძოლის ხერხებისა და საშუალებათა შესახებ. ჟურ. „ცისკარი" უკვე 1858 წლიდან აქვეყნებს სპეციალურ მასალას[1]; მერმე, შედარებით ხშირად, შესაბამისი მასალა იბეჭდებოდა გაზეთებში: „გუთნის დედასა"[2] და „სასოფლო გაზეთში"[3].

შემდეგში, მას მერმე რაც აქ გაჩნდა ფილოქსერა, ცხადია, შედარებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სფეროები. ვაზის მტრებთან ბრძოლის ორგანიზების შესახებ ალაპარაკდნენ ადგილობრივი რუსული ჟურნალ-გაზეთებიც. მაგრამ მევენახეების ძირითადი მასებისათვის რამდენადმე მაინც ხელმისაწვდომი იყო ისევ ის ცნობები, რასაც ამ ბრძოლ მოსახლეობას მისთვის გასაგებ ენაზე აწვდიდა ქართული პრესა და საერთოდ ქართველი პროგრესული ინტელიგენცია.

გარდა სპეციალური სოფლისმეურნეობრივი გაზეთებისა, როგორიც იყო, მაგალითად, „მეურნე" (1888 წლიდან), რომელიც სისტემატურად ათავსებდა ცნობებსა და „პრაქტიკულ დარიგებებს" სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის, ვაზის შეწამვლისა და სხვ. მეთოდებზე, ამავე მიმართულებით წერდნენ საერთო ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ორგანოები, როგორიც იყვნენ, მაგალითად, „დროება", „ივერია" და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი და მევენახეობის გამანადგურებელ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის რამდენადმე მეცნიერულად შემოწმებული და ეკონომიკურად გამართლებული ღონისძიებათა სისტემა ფაქტიურად დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა.

---

[1] მ. მამაცაშვილი, „მიზეზ-სალეის ეფექტის სნეულებისა და ზისი წამლობა" („ცისკარი", 1858, № 1, ლამ. ტ. 1—10; ის. ავტ. „ცისკარი" 1860, № 3, გვ. 219—220, № 4, გვ. [illegible]—47).

[2] გაზ. „გუთნის დედა", 1863, №№ 13, 15; 1866, № 11; 1867, №№ 5, 13, 14, 15 და სხვ.

[3] „სასოფლო გაზეთი", 1868, № 19, 1871, № 23; 1876, № 3, 4, 5, 7 და სხვ.

ვაზის ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა, ცხადია, წარმოებდა, მაგრამ ამ მხრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო ორგანიზაციათა და პირთა ღონისძიებანი ფრიად არასაკმარისი იყო. არსებითად მევენახეობის მიმდევარი მოსახლეობის ძირითადი მასა, წვრილი მწარმოებლები, ე. ი. მევენახე გლეხობის უდიდესი უმრავლესობა, უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ეს უკანასკნელი გარემოება კი უფრო მეტ გასაქანს აძლევდა სოფლად შემსყიდველსა (სირაჯსა) და კულაკ-მევახშეს, რათა შესაწამლავ ნივთიერებათა და აპარატების მიწოდებისა. შემოსავალს მოკლებულ მწარმოებლებისათვის ფულის სესხებისა და სხვ. გზით ეწარმოებინა მევენახე გლეხობის შემდგომი დაკაბალება.

რომ არა ვთქვათ რა ქალაქსა და რკინიგზას დიდად დაშორებულ, მივარდნილ სოფელთა შესახებ, საკმარისია აღინიშნოს, რომ თბილისის მაზრის სოფ. ხაშმში (სართიჭალის რ.) გლეხები, და ისიც 1890-იანი წლების გასულს, სირაჯებს 1 ფუთი გოგირდისათვის უხდიდნენ (ჩვეულებრივ ოქტომბრის ბოლოს) 2 ვედრო ღვინოს ან, თუ სირაჯს ღვინო არ მოეწონებოდა, ფულად 3 მან. და 40 კაპ., ე. ი. რამდენიმეჯერ მეტს. ვინემ ღირდა გოგირდი წარმოების ადგილას. „გლეხობა, რომელსაც საშუალება არა აქვს სხვა გზით შეიძინოს გოგირდი იძულებულია დასთანხმდეს ასეთს აღმაშფოთებელ პირობებს". რაკი „სართიჭალის გლეხობის მთელი შეძლება ვენახზეა დამოკიდებული" და რაკი რწმუნდებიან ვაზის შეწამვლის სარგებლობაში „ისინი ესოდენ არახელსაყრელ პირობათა წინაშეც არ ჩერდებიან" და სირაჯთაგან ვალში იღებენ გოგირდსა და შესაწამლავ პრეპარატებსო, წერდა კსმს კორესპონდენტი[1].

კახელ ვენახისმფლობელთა და მევენახეთა ყრილობაზე (1899 წ.) გამოსული ი. სტაროსელსკი აღნიშნავდა. რომ „ახლანდელს პირობებში ფილოქსერის გაჩენასა და სწრაფ გავრცელებას შეუძლია მხოლოდ დააჩქაროს მამულების (ვენახების) გადასვლა იმთავითვე მათი მფლობელების ხელიდან

[1] КСХ, 1897, № 194, стр. 620.

სხვა, კახეთში უმთავრესად გარედან მოსულ ადამიანთა ხელში, რომელთაც აქვთ თავისუფალი კაპიტალები"[5].

თბილისისავე მაზრის შესახებ კავკასიის ფილოქსერის კომიტეტის ინსტრუქტორი ა. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი 1900 წ. აცხადებდა, რომ „მევენახეთა მასა სამწუხაროდ კიდევ არასაკმარისად იცნობს შეწამვლას (ვაზისა), რისთვისაც აუცილებელია მისი დემონსტრაცია"[6]. ე. კ ა გ ა რ ო ვ ი აღნიშნავდა (1897 წ.), რომ საგარეჯოს რაიონში მანავის, პატარძეულის და სხვა სოფელთა გლეხები დარწმუნდნენ შეწამვლის სარგებლობაში, მაგრამ უძნელდებათ გოგირდისა და შაბიამანის შეძენა, ასევე ვერმორელის აპარატების შოვნა, რომელთა შესყიდვა უმეტესწილად უხდებათ არა თბილისში კსმს საწყობებში, არამედ სირაჯთაგან „2—3-ჯერ უფრო მეტ ფასად" და თანაც „შემდგომში მათთან ღვინით ანგარიშის გასწორების პირობით"[7] და, ცხადია, მაღალი სარგებელის (%) ზედშეკეცითაც[8].

აღსანიშნავია, რომ ნაღდ ფულს ყოველთვის მოკლებულ წვრილმწარმოებელთა შორის ვაზის შეწამვლის აუცილებლობამ წარმოშვა თავისებური ფორმა იჯარისა: „ვენახების (ვაზების) შეწამვლის საქმეში გაჩნდნენ მეიჯარენი (подрядчики): ისინი, თავიანთი შეხედულებისამებრ აირჩევენ რა რამდენიმე ათეულ ვენახს, კისრულობენ 2 წლის განმავლობაში საკუთარ ხარჯზე უწამლონ მათ გოგირდითა და ბორდოს სითხით. რისთვისაც ყოველი ვენახიდან ყოველწლიურად ღებულობენ ყურძნის ან ღვინის სახით მოსავლის მესამედს"[9].

ასეთ „ჭირისუფალთ" ზოგან მოსავლის ნახევარიც მიჰქონდათ. ნ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი მოგვითხრობს: „ვენახის შეწამვლას ხანდისხან ხელს ჰკიდებენ გაურკვეველი საქმიანობის ადამიანები, რომელთაც დიდი კაპიტალები გააჩნიათ. ეს არაფრით

---

[5] Ю. А. Старосельский. «О мерах защиты Кахетии от филоксеры» (ТСВВК. стр. 17).

[6] ОФК. 1900 г.. II. 67.

[7] КСХ, 1897 г., № 176. стр. 330.

[8] ТСВВК. 142.

[9] КСХ. 1897. № 176, стр. 330.

არ ამსუბუქებს მოსახლეობის მდგომარეობას. ან რა სარფა შეეძლია მიიღოს აქედან ვენახის მფლობელმა. როდესაც შემწამლავს მიაქვს მოსავლის ნახევარი. მაშინ როდესაც ეხარჯება რაღაც 5—10 მანეთი შეწამვლაზე ვენახისა. საიდანაც 100 მანეთის გასაყიდი ღვინო მიიღება.[10].

ამასთანავე უნდა ითქვას. რომ პირველ ხანებში მოსახლეობის ნაწილი თვითონ იყო ვაზის შეწამვლისადმი ინდიფერენტულად განწყობილი. მაგალითად. გორისა და დუშეთის მაზრებში „მევენახეები დიდი ხნის განმავლობაში არ აქცევდნენ შესაფერ ყურადღებას ფილოქსერის კომიტეტის აგენტების მხრივ შეთავაზებულ წესებს ვაზის შეწამვლისა. რამდენადაც ბრძოლის ამ წესებს არც რეალურად. და ამასთანავე ღვინის ხარისხისათვის მავნებლად სთვლიდნენ"[11]. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება უნდა აიხსნას არსებითად თვით ფილოქსერის კომიტეტის აპარატის ბიუროკრატიულობითა და საერთოდ ხელისუფლების მიერ ამ მხრივ წარმოებულ ღონისძიებათა პოლიციური ხასიათით, რასაც ყოველთვის თავს არიდებდა გლეხობა.

1897 წ. ჟურ. КСХ-ს მიმომხილველი, ეხებოდა რა ვაზის წესიერი შეწამვლის გავრცელების საკითხს. აღნიშნავდა. რომ ამიერკავკასიაში ხშირად სოფლის ინტელიგენტურ მეურნესაც უჭირდა ვაზის შეწამვლის დადგენილი მეთოდის თანმიმდევრული გატარება და ასეთს პირობებში არ უნდა ითქვას გლეხობის შესახებ. „რომელთაც უკანასკნელ ხანებში თუმცა შეუგნიათ ვაზის შეწამვლის აუცილებლობა, მაგრამ ვერ აკეთებდნენ ამას იმიტომ. რომ არა აქვთ არც საშუალება აუცილებელი ინვენტარისა და წამლების შეძენისა; არა ჰყავთ არც ხელმძღვანელი, რომელიც მიუთითებდა მათ დროს შეწამვლისა, აუხსნიდა თუ როგორ მზადდება ბორდოს სითხე. საიდან გამოიწერონ აპარატები და სხვ. ჩვენი მემამულეებიც-კი, რომელთაც შედარებით საშუალებაც გააჩნიათ და დროც აქვთ. ინდიფერენტულად უყურებდნენ შეწამვლას და თითქმის არც აწარმოებენ მას. მა-

[10] TCBBK. 141—142.

[11] CCBBK. VIII, 66.

გალითად, ისეთი მემამულე. როგორიცაა თავადი მ ო ტ ბ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნი, რომელსაც ათეულობით სპეციალისტი ჰყავს და რომელიც მუშათა მთელ ლეგიონებს ბრძანებლობს, არ იცავს შეწამვლის წესიერ თანმიმდევრობას, რის შეოხებითაც მან სოფ. დიღომში დაჰკარგა მთელი მოსავალი[12].

ვენახის მოვლა-პატრონობის მხრივ, ცხადია, ანალოგიურ მდგომარეობაში იყო საერთოდ მსხვილ მემამულეთა მეურნეობები. მაგალითად, კახელ ვენახისმფლობელთა ყრილობაზე აღნიშნავდნენ, რომ ვაზის მტრებთან ბრძოლა „განსაკუთრებით უმძიმდება იმ მსხვილ მემამულურ მეურნეობებს. სადაც ვენახს ამუშავებენ დაქირავებული შრომით, ანუ მეიჯარის ხელით. და სადაც. სამწუხაროდ საბრუნავი კაპიტალის სიმცირე. ვენახების ახლანდელ არასაკმარისი მოვლის პირობებშია. არ შეესაბამება მოთხოვნილებას, რის გამოც ძალიან ხშირად მემამულეთა უზარმაზარი ვენახები მრავალწლობით გადაუბარავი და თვით სოკოვან ავადმყოფობათაგანაც შეუწამლავი რჩებიან"[13].

ვაზის წამლობის ცოდნის გავრცელებას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხშირად სოფლებში არ იცოდნენ შესაწამლავი პრეპარატის შემზადება (თუ რა რაოდენობით უნდოდა გოგირდი, შაბიამანი და სხვ.). რის გამოც ორიშვიანი იყო შემთხვევა, რომ დოზების დაუცველად შემზადებული წამლით აფუჭებდნენ კიდევაც ვენახს. ანდა ვერ აღწევდნენ მოსალოდნელ შედეგს[14]. და ასეთს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა თვით იმერეთშიაც. მაშინ როდესაც იმერელი მევენახეები და, მაშასადამე, ვაზის მომვლელ-შემწამლველნი განთქმული იყვნენ მთელს კავკასიაში. როგორც ქართლ-კახეთში[15], ისე განსაკუთრებით ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში, უკვე 1880-იანი წლებიდან მაინც, ბლომად ჩნდებიან იმერელი მებაღე-მევენახენი—კერძოდ შეძლებულ მემამულეთა მეურნეობებში.

1899 წ. ქ. თელავში შემდგარ კახელ ვენახისმფლობელთა

[12] КСХ. 1897 г., № 162, стр. 110.
[13] ТСВВК, стр. 15.
[14] КСХ. 1900 г. № 456.
[15] ТКОСХ, 1885 г. № 5, стр. 348.

და მევენახეთა ყრილობის მასალებიდანაც ჩანს, თუ რაოდენ მოავლად ყოფილან უკვე ამ დროს კახეთში „დროებით საშოვარზე გასული“ იმერელი მევენახეები[16].

აზერბაიჯანში, მაგალითად, შემახიას მაზრაში დიდხანს უყურადღებოდ იყო მიგდებული დაავადებული ვაზები. შეძლებული მემამულეებიც არ ატარებდნენ შესაფერის ღონისძიებებს, ხოლო „ზოგიერთნი შემახიელ და მატრასელ მევენახეთაგან (სერებრიაკოვი, ხაგანოვი და სხვ.), რომელთაც სურთ უწამლონ თავიანთ ვენახებს იწერენ სოლმე უბრალო გლეხებს —იმერლებს. ქუთაისის გუბერნიიდან, რომელთაც კარგ ფულს უხდიან; სწორედ ეს გლეხები სწამლობდენ ყურძენს და ვაზსო“—წერდა 1902 წ. აგრონომი ტ. მ ა მ ა ლ ა ძ ე[17], ანალოგიური იყო მდგომარეობა ელიზავეტპოლისა (განჯისა) და ბაქოს გუბერნიების სხვა მაზრებშიც. კერძოდ შუშის მაზრაში (სოფ. აგდარში) მხოლოდ 1899 წელს იქნა ჩატარებული პირველი ცდა ხიავანის (მაღლარის) შეწამვლისა. თუ თვით ქ. განჯაში ვაზის შეწამვლა საკმაოდ იყო გავრცელებული. სამაგიეროდ მისი მაზრის სოფლებში, განსაკუთრებით ღარიბი გლეხობისათვის სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ვაზის წამლობა და თვით შესაწამლავი აპარატები მე-19 ს. მიწურულშიც უცხო ხილს წარმოადგენდა[18].

ქუთაისის გუბერნიაშიაც, სადაც ვაზის შეწამვლის წესები ყველაზე ადრე და ფართოდ გავრცელდა, „მოსახლეობამ არ იცის თუ სად შეიძლება ვაზის შესაწამლავი მასალებისა და აპარატების ყიდვა, რამდენადაც მთელ ქუთაისის გუბერნიაში არ არის არც კერძო, არც საზოგადოებრივი საწყობები, რომლებიც მოსახლეობას აწოდებდნენ სოფლის მეურნეობისა, მეღვინეობისა და მევენახეობისათვის საჭირო მანქანა-იარაღებსა და მასალებს; შესაცვლელი სამარაგო ნაწილები, რაც 20 კაპ. ღირს, აქ კაცმა თბილისიდან უნდა გამოიწეროს და გარდა

[16] ТСВВК, стр. 1.
[17] КВПС. 1902 г., № 116, стр. 10.
[18] ОФК, 1899 г., стр. 118—119.

იმისა, რომ 1 მანეთი ჯდება, მთავარი ისაა, რომ ჭვიან იქნება მიღებული, ე. ი. მას მერმე რაც სავსებით ვითარდება დაავადება და ფუჭდება ვენახი"[19].

ვაზების შეწამვლის ტექნიკის გავრცელებისა და საერთოდ პოპულარიზაციის საქმეში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საჩვენებელი ნაკვეთების მოწყობას. ასეთ საჩვენებელ ნაკვეთებს აწყობდნენ ფილოქსერის კომიტეტები, კსმს და სხვ., თუმცა მათი რაოდენობა ძლიერ მცირე იყო. ბაქო-დაღისტნის საგუბერნიო ფილოქსერის კომიტეტის 1915—1917 წწ. მუშაობის ანგარიშგებაში ვკითხულობთ, რომ „ვაზის შეწამვლის საჩვენებელ ნაკვეთებს, რომლებიც კომიტეტის რწმუნებულთ (ე. წ. სოფლისმეურნეობრივ მამასახლისებს) აქვთ მოწყობილი, უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. ისეთ ადგილებში, სადაც არასოდეს არ წარმოებულა ვაზის შეწამვლა, ფრიად მრავლად გაჩნდნენ მსურველნი შეუწამლონ თავიანთ ვენახებს, რომ კომიტეტის ინსტრუქტორებსა და რწმუნებულებს მრავალ ადგილას არც კი შეეძლოთ დაეკმაყოფილებიათ დაინტერესებულ პირთა თხოვნა, რათა მიეცათ მათთვის შესაწამლავი მასალა და შესაფრქვევი აპარატები"[20].

მართალია, ხელისუფლებამაც შეღავათები დააწესა აგრეთვე ვაზის შესაწამლავი პრეპარატების იმპორტზე. სავსებით გააუქმა ბაჟი, მაგალითად, შაბიამანის შემოტანაზე. მაგრამ ამ სიკეთით ისევ ვაჭარ-შემსყიდველებმა ისარგებლეს. შაბიამანი ამიერკავკასიაში უმთავრესად ინგლისიდან და ნაწილობრივ გერმანიიდანაც შემოქონდათ. ვაზის შეწამვლისათვის ამ ესოდენ საჭირო ნივთიერების შემოტანა და გასაღება არსებითად მონოპოლიურად ჰქონდა ჩაგდებული ხელში ორიოდე კაპიტალისტურ ფირმას,—„ისინი ფასებს თავიანთი სურვილისამებრ

---

19 Тебо. «Заметки деревенского практика...», 1903, Кутаис, стр. 33.

20 МЗСЗК. 657.

ადებენ ამ საქონელს და ეს ფასები მით უფრო მატულობენ, რომ იგინი შაბიამანს პატარა ვაჭრებზე ყიდიან"[21].

1909 წ. ნოემბერს კსმს ყრილობაზე გამოსული ცნობილი იმერელი მევენახე ი. გუნცაძე აცხადებდა: მილდიუსაგან მოტანილი „უბედურება თავიდან ავიცილეთ მაშინ, როდესაც ვაზს შაბიამანით დაუწყეთ აქიმობა, შაბიამანით აქიმობა ყველგან გავრცელდა და თუ ბევრი ვენახი კიდევ უწამლველი რჩება, ეს მხოლოდ შაბიამანის სიძვირით აიხსნებაო". დ. ღამბაშიძის მიერ შეკრებილი ცნობებით მხოლოდ 1900—1912 წწ. და მხოლოდ ინგლისიდან, ბათუმის გზით, შემოტანილ იქნა 902 ათასი ფუთი შაბიამანი. რომლის საერთო ღირებულება (1 ფუთზე 3 მ. და 60 კაპ. ანგარიშით) 2.246 ათას მანეთს შეადგენდა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შაბიამანი იმ ხანებში, მოსახლეობაში „გაცილებით უფრო ძვირად იყიდებოდა", ვინემ აქაა ნაანგარიშევი[22].

ასეთს პირობებში, ცხადია, უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული როგორც ძველი ვენახების დაცვა-შენარჩუნების, ისე განადგურებულთა ადგილას ახალი ვენახის გაშენების საქმე. განსაკუთრებით ფილოქსერის გავრცელების შემდეგ ამერიკულ საძირეზე დაუმყნელ ვაზთაგან ნაშენი ვენახების ფართობი სულ უფრო მეტის სისწრაფით მცირდებოდა... ამასთანავე როგორც ამიერკავკასიის საგუბერნიო ფილოქსერის კომიტეტების 1915—1917 წწ. ანგარიშგებაში ვკითხულობთ „ამერიკულ საძირეზე ვენახების აღდგენის საქმე არ მიდიოდა ისე სწრაფად, როგორც ძველ ვენახთა განადგურება"[23].

პირველი მსოფლიო ომისა და განსაკუთრებით სამოქალაქო ომის წლებში ფილოქსერა ფართოდ მოედვა ამიერკავკასიის

---

[21] დ. ღამბაშიძე, „შაბიამანი და მისი შემოტანა ინგლისიდან ჩვენში", („ხმა კახეთისა", 1913, ქ. თელავი, № 114, გვ. 4).

[22] დ. ღამბაშიძე, „ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა", ლონდონი. 1914, გვ. 35—37.

[23] МЗСЗК. 109.

ვენახებს. 1923 წ. მარტს შემდგარ ამიერკავკასიის ეკონომიკურ თათბირზე აღინიშნა, რომ „ფილოქსერამ თავისი შემმუსვრელი მუშაობის 15 წლის განმავლობაში მოიცვა კახეთის ყველა სოფლის ვენახი და მოსახლეობამ უკვე აშკარად შეიგნო თავისი ყველა ვენახის დაღუპვაო“[24].

აზერბაიჯანისა და სომხეთის მევენახეობა ყოველთვის უშუალო კავშირში იმყოფებოდა საქართველოს მევენახეობასთან, საიდანაც ღებულობდა არა მხოლოდ ვაზის საუკეთესო ჯიშებს, არამედ კადრებსაც, რომლებიც აქ ავრცელებდნენ ვენახის მოვლა-პატრონობის რაციონალურ მეთოდებს.

მაგრამ სწორედ ასეთი ვითარების გამო აზერბაიჯანსა და სომხეთში შიშობდნენ საქართველოდან იქაც არ შესულიყო ფილოქსერა. მაგალითად, ელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნიის საფილოქსერო კომიტეტის 1917 წ. ანგარიშგებაში აღნიშნულია საშიშროება ამ გუბერნიის მევენახეობის რაიონებში ფილოქსერის შემოტანისა. რადგან ამ მხრივ მიღებული ღონისძიებანი არ გამორიცხავენ შესაძლებლობას „პარაზიტის შემოტანისა... მით უმეტეს, რომ განჯის (ელიზავეტპოლის), ყაზახისა და არეშის მაზრების თითქმის ყველა მსხვილ ვენახებში დღიური და მენარდე მუშების სახით მუშაობენ მოსული ელემენტები, უმთავრესად სიღნაღის მაზრისა და ალაზნის ნაპირების მცხოვრებნიო“[25].

აზერბაიჯანში მთლიანი ფილოქსერული გამოკვლევები ფილოქსერის კავკასიურმა კომიტეტმა დაასრულა 1898 წელს. შემდეგ 1906 წელს მოხდა ნაწილობრივი (შემახიას, გეოგჩაის და სხვ. მაზრების) გამოკვლევა[26]. ასეთი გამოკვლევები განჯისა და ბაქო-დაღესტნის ფილოქსერული კომიტეტების მიერ გრძელდებოდა მერმინდელ წლებშიაც. მაგრამ აქ, და არც სომხეთში, მთელი ჩვენს მიერ აღებული პერიოდის განმავლობაში ფილოქსერის გავრცელება არ ყოფილა აღნიშნული, თუმცა კა-

---

24 ТЗЭС, II, 28.
25 МЗСЗК, 649.
26 იქვე, 657.

ხეთიდან და სხვა რაიონებიდანაც სისტემატურად და მნიშვნელოვანი ზომითაც შემოჰქონდათ სხვადასხვა ჯიშის ვაზების ნერგები და თვით მევენახეობის მუშა-სპეციალისტებიც აქ შემოდიოდნენ უმთავრესად ისევ კახეთიდან და იმერეთიდან.

***

ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რაოდენი ზარალი მიაყენა ვაზის სხვადასხვა ავადმყოფობამ და მავნებელმა ამიერკავკასიის მევენახეობას. კერძოდ მევენახეობის ისეთ რაიონში, როგორიც დას. საქართველოა, КХ-ს მიმომხილველის დაკვირვებით, ფილოქსერამ 1910-იანი წლების დამდეგისათვის იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ქუთაისის გუბერნიის მრავალ ადგილას მოსახლეობამ, დაჰკარგა რა მევენახეობის იმედი, ხელი აიღო მასზე, ზოგან კიდევაც აკაფა ძველი ვენახები და იქსიმინდი დათესა ანდა ხეხილი გააშენა[27].

ანალოგიური იყო მდგომარეობა აღმ. საქართველოშიაც. მაგალითად, ჯერ კიდევ 1896—1897 წწ. ცნობილი ი. კ. მუხრან-ბატონის (ბაგრატიონ-მუხრანსკის) მამულების (თბილისის მაზრა) მთავარმა მმართველმა ა. აბაშიძემ დაიწყო დიდი, 50 დეს. ხეხილის ბაღის გაშენება, რადგან „ფილოქსერის მოახლოებისა გამო, რაც განსაკუთრებით ემუქრება ვენახებს, ეს წამოწყება (მეხილეობაზე გადასვლა—პ. გ.) სავსებით გონივრულიაო“, დაასკვნიდა КСХ -ს რედაქცია[28]— ესოდენ დიდი იყო შიში ფილოქსერისადმი საერთოდ მოსახლეობაში; ლაპარაკობდნენ მევენახეობის მეურნეობის სავსებით განადგურების შესაძლებლობაზე.

ბუნებრივია, ვაზის მავნებელთაგან გამოწვეული მთელი ზიანი განსაკუთრებული სიმწვავით უნდა განეცადა უწინარეს წვრილმწარმოებელთა მასებს, გლეხობას. რომელსაც, გარდა იმისა, რომ მეტად უჭირდა სათანადო ცოდნა-გამოცდილების

---

[27] КХ, 1913 г., № 19, стр. 2; იხ. აგრეთვე, ОФК, 1897 г., стр. 248

[28] КСХ, 1897 г., № 164, стр. 142—143.

შეძენა, მატერიალური პირობები ხელს უშლიდა მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საქმეში. შედეგი ამისა ის იყო, რომ მევენახეობის მთავარ რაიონებში გლეხი, რომელსაც შემოსავლის ძირითადი წყარო—ვენახი—უნადგურდებოდა, იძულებული ხდებოდა „დროებით საშოვარზე“ გასულიყო, რაც, ადრე თუ გვიან, უმეტესწილად სოფლიდან მისი საბოლოოდ მოწყვეტით თავდებოდა.

ასეთ გლეხთა შორის ყველაზე სავალალო იყო „დროებითვალდებულ“ გლეხთა მდგომარეობა. ამ კატეგორიის გლეხთა შორის, მაგალითად, თბილისის მაზრაში, „ვენახების შეწამვლა ბედნიერ გამონაკლისს შეადგენდა. თავისი ეკონომიკური მდგომარეობით ეს გლეხები ყველა სხვა კატეგორიის გლეხებზე დაბლა დგანან და არ ეტანებიან ვენახების შეწამვლას. რადგან მათ მოსავლის მეოთხედი ნაწილი მემამულეს უნდა მისცენ“[29], ეს იყო ერთ-ერთი შედეგი აქ ბატონყმობის გაუქმების უკუღმართული პირობებისა[30].

ვაზის დაავადებათა და მავნებელთა ზიანს შედარებით ადვილად გადაურჩა ის მეურნეობები, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ „წესიერი მოვლა-პატრონობისა“, ე. ი. ვაზის მტრების წინაალმდეგ გადამჭრელი ზომების დროულად გატარებისა. ასეთები იყვნენ კერძოდ გერმანელთა კოლონიები, რომელთაც პირველ რიგში და უხვად ეხმარებოდა ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია; ეხმარებოდა როგორც სპეციალისტების, ასევე შესაწამლავ ნივთიერებათა და ამისათვის საჭირო აპარატების მიწოდებით და ისიც მუქთად ანდა შეღავათიან ფასებში. მაინც, მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ელიზავეტპოლის გუბერნიის ფილოქსერის კომიტეტის ცნობებითაც (1917 წ.) მევენახეობა გერმანელთა კოლონიებში სწრაფად ვითარდებოდა, „ხოლო სომხურ და მუსლიმანურ სოფლებში ვენახები არამცთუ არ ფართოვდებიან, არამედ ზოგი-

[29] ОФК, 1900 г., П. 68.

[30] П. Гугушвили. «Сельское хоз. и аграри. отношения», 1950, т. II, стр. 233—235.

ერთ ადგილებში თანდათანობით ჰკაფავენ (სჭრიან) ხოლმე ვაზებს".

ელიზავეტპოლის ფილოქსერის კომიტეტის დასკვნით „ამ მოვლენის მთავარი მიზეზია... მოსახლეობის მხრივ, განსაკუთრებით თურქულ (აზერბაიჯანულ—პ. გ.) და სომხურ სოფლებში. გაუვრცელებლობა ვაზის რაციონალური კულტურისა"[31]. „სოკოვან ავადმყოფობათა და მავნებელ მწერთაგან" ბაქოს გუბერნიის მევენახეთა მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვასაც ფილოქსერის ადგილობრივი კომიტეტი ისევ და ისევ „ვაზის მოვლის პრიმიტიული წესებითა და შეწამვლის იშვიათობითა" ხსნის[32].

2. ამერიკული ვაზის სანერგეები

ვაზის ავადმყოფობათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის პირობების გაცნობისას მხოლოდ გაკვრით შევჩერდით იმ საზოგადოებრივად ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ, რაც მიმართული იყო ვაზის მტრების წინააღმდეგ და, მაშასადამე, მიზნად ისახავდა მევენახეობის დაცვასა და აღდგენა-განვითარებას.

1881 წელს დაარსებული ფილოქსერის კავკასიური კომიტეტი ხელმძღვანელობდა, როგორც ფილოქსერის, ისე საერთოდ ვაზის სხვა მტერთა წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე მიმართულებით ძოღვაწეობდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოება და რიგი სხვა საზოგადოებრივი თუ კერძო დაწესებულება. ეს ორგანიზაციები მევენახეობის რაიონებში აგზავნიდნენ სპეციალისტების ჯგუფებს. უკანასკნელნი ადგილებზე აწარმოებდნენ ვაზის საჩვენებელ შეწამვლას და უხსნიდნენ მოსახლეობას ყველაზე გავრცელებული პრეპარა-

---

[31] МЗСЗК, 650.

[32] იქვე, 656.

ტების გამოყენებისა და წამლობის პროცესის შინაარსს. ოიდიუმის წინააღმდეგ დე-ლა-ვერნის საბერველით ვაზს აყრიდნენ გოგირდის ფხვნილს, ხოლო მილდიუს წინააღმდეგ ვერმორელის პულვერიზატორით ვაზს ასხურებდნენ ბორდოს ხსნარს[33].

ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ ეტაპზე მიმართავდნენ ე. წ. ინტექსიდურ მეთოდს, ე. ი. ვაზების ამოძირკვასა (корчевка) და ფილოქსერიანი ნიადაგის გოგირდოვანი ნახშირმჟავით[34] (сернистым углеродом), ხანაც ნავთით[35] გაჟღენთას (протравление). აგრეთვე წყლით დაფარვას (затопление) ამასთანავე. ჯერ კიდევ დასაწყისიდანვე 1890-იანი წლებისა. ხსენებულ მეთოდთა ნაკლები ეფექტურობის გამო. „ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდად „აღიარებულ იქნა ვენახების განახლება ფილოქსერის მიერ უვნებელ ამერიკულ ვაზის საძირეზე დამყნობილი კეთილშობილი. ე. ი. ადგილობრივი თუ ევროპული (ე. წ. ძველი ქვეყნის) ჯიშის ვაზებით. საბოლოოდ მხოლოდ ამ გზით იქნა დაღუპვისაგან გადარჩენილი საერთოდ „ძველი ქვეყნის" მევენახეობა ამერიკელი მტრის. ფილოქსერის. დაუნდობელი შემოსევისაგან.

ამერიკული ვაზის სანერგეები ამიერკავკასიაში გვიან იქნა გაშენებული. აღსანიშნავია. რომ ამიერკავკასიაში საერთოდაც ვაზის სანერგეთა კულტურა მე-19 საუკუნემდე უცნობი უნდა ყოფილიყო. ვენახის მთლიანი განახლებაც არ იყო ტრადიციული მოვლენა. დაბერებული ან ვამმარი ვაზი ჩვეულებრივ იცვლებოდა ახალით, რის გამოც ვენახში �ელი. ხშირად ფრიად დიდი ვაზის გვერდით (განსაკუთრებით ბაბილოში ანუ დობიროში) ხარობდა ახალგაზრდაც. ამორტიზაციის, ეს. ასე ვთქვათ. თანდათანობითი და თანამომდევნობითი წესი—რაც

---

33 ВР. III. 101.

34 «Советское шампанское Грузии». 1940. Тбилиси. стр. 19.

35 „ხმა კახეთში", 1913. № 91. გვ. 4.

36 ССВВК. IV, 118.

37. მონოგრაფიები, ტ. IV

ძველი (დაბერებული) ვაზის უმთავრესად მისივე ტოტის დაწინდვის გზით განახლებისა (და ამასთანავე ვაზის ძირთა საერთოდ გამრავლებისათვისაც დაწინდვითი წესის არსებობა),— ეტყობა უძველესი დროიდანვე მომდინარეობდა და, ცხადია, მევენახეობის ნატურალური მეურნეობის დამახასიათებელ მოვლენასაც წარმოადგენდა.

1870-იანი წლების დამდეგსაც ვაზის სპეციალური სანერგეები აქ არ ყოფილა. თუმცა ვაზის ლერწით და ნერგით ვაჭრობა ამ დროისათვის უკვე გავრცელებული მოვლენა იყო. იმერეთში, მაგალითად, ამ მხრივ ცნობილი იყო თავად ა. ი. სვიატოპოლკ-მირსკისა და ბარონ ლონგეილის ვენახები (სოფ. ჭოგნარში, ქუთაისის მახლობლად). უკანასკნელმა მხოლოდ 1873 წელს „დაარიგა“ 200.000-მდე ლერწი. ლონგეილმა სწორედ ამ მხრივ მევენახეობისათვის ხელისშეწყობის მიზნით აქ ხაზინისაგან მიიღო სათანადო მიწა, და იგი სისტემატურად ღებულობდა აგრეთვე ფულად სუბსიდიასაც[37].

ფილოქსერის კავკასიურმა კომიტეტმა ვ. სტაროსელსკისა და ი. ანდრონიკაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მხოლოდ 1890 წელს მოაწყო ამერიკული ვაზის სანერგე—ზესტაფონის (ყვირილის) მახლობლად (2.5 ვერსზე) სოფ. საქარაში. თავდაპირველად ეს იყო მხოლოდ საცდელი ნაკვეთი, სადაც აწარმოებდნენ ცდებს ფილოქსერისაგან უვნებელი სხვადასხვა ჯიშის ამერიკული ვაზის გაშენებისა. აქვე იმთავითვე მოეწყო საწყობი—ინტექსიდური წამლობის-პრეპარატების დაცვა-შენახვისათვის. მაგრამ მთავარი ყურადღება მაინც ამერიკული ვაზის საძირეთა გაშენებას ექცეოდა, რამდენადაც, ამიერიდან მხოლოდღა ამ გზით, ე. ი. ამერიკულ საძირეზე დამყნობილი ადგილობრივი ვაზების მეოხებით იყო ნაგულისხმევი მევენახეობის ხსნა ჩვენში.

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამიერკავკასიაში ფილოქსერამოდებული ვენახების მიმო-

---

[37] ССК. III, 208—211.

ხილვის მიზნით 1893 წელს აქ მოიწვია რუსი და უცხოელი სპეციალისტები, აკად. კ. კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი პ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, მარსელის უნივერსიტეტის პროფესორი მ ა რ ი ო ნ ი, ჰუნგრეთის (ბუდაპეშტის) ენტომოლოგიური სადგურის დირექტორი ჰ ო ვ ა რ ტ ი, რომელთაც, ფილოქსერის კავკასიური კომიტეტის წევრებთან და ადგილობრივ ექსპერტებთან (ვ. ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ი, ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი და სხვ.) ერთად, მსჯელობის საგნად გაიხადეს ამიერკავკასიაში ამერიკული ვაზის (საძირეს) სანერგეთა გაშენების ხელსაყრელობისა და თვით ამერიკულ ჯიშთა შორის, ადგილობრივ პირობათა შესაბამისად. უკეთესთა შერჩევის საკითხი[38].

პროფ. მარიონს, ალბათ საფრანგეთის მევენახეობის ინტერესები თუ უკარნახებდა, ამ თათბირზე „მეცნიერული თვალსაზრისით" ემტკიცებინა, რომ „არ შეიძლება ვიქონიოთ იმედი ამიერკავკასიაში ფილოქსერის მიერ განადგურებული ვენახების ამერიკული ვაზის კულტურით აღდგენისაო"[39]. საბედნიეროდ ადგილობრივმა და რუსმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა ყური არ ათხოვეს მსოფლიოში განთქმული ამ ფრანგი მეცნიერის განცხადებას, არ შედრკნენ მისი ავტორიტეტის წინაშე და კიდევ უფრო მეტის ენერგიით ვანაგრძეს საქართველოში ამერიკული ვაზის სხვადასხვა ჯიშთა გაშენება.

სწორედ 1893 წელს, შედეგად ვ. ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ი ს ა და ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ენერგიული მეცადინეობისა, პირველად მიიღეს ნებართვა უცხოეთიდან ამერიკული ვაზების გამოწერისა. ამ, 1893 წელსვე საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ამერიკულ ვაზთა პლანტაციას,—საფრანგეთიდან, სახელდობრ მონპელიეს აგრონომიული სასწავლებლიდან მიღებული ლერწების დარგვით. ამერიკულ ვაზთა საძირეები საქართველოში ბლომად მიიღეს აგრეთვე ყირიმიდან, ნიკიტის ბაღიდან და სხვ. უფრო ადრე-კი აქ ამერიკული ვაზების გაშენებას ეწეოდნენ

---

[38] ОФК, 1893 г., стр. 9—10; ОФК, 1897 г., 241—242.
[39] КХ, 1913 г., № 19, стр. 2.

პარიზიდან მიღებული თესლით, რომელთა მოვლა-გახარებისათვის ყოველთვის გულმოდგინედ ზრუნავდა საცდელი ნაკვეთის ვამგე ვ. სტაროსელსკი.

პირველმა წარმატებებმა საფუძველი შექმნეს, რათა ამერიკულ ვაზთა საქარის საცდელი ნაკვეთი 1895 წელს გადაკეთებულიყო საქარის სახელმწიფო (სახაზინო) სანერგედ. რომელიც ამ დროიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მთელ მეურნეობას უკვე 15 დესეტინაზე მეტი ფართობი ეჭირა და გარდა თვით ამერიკულ საძირეთა ნარგავისა ჰქონდა 17 დესეტინა მსხმოიარე ვენახი. 2 დეს. სანამყენო ფართობი (школа прививок), ხეხილის ბაღი (2310 კვ. საჟ.). დეკორაციული ბაღი (600 კვ. საჟ.). ბაღჩა (530 კვ. საჟ.).

თვით ვ. სტაროსელსკის სიტყვით. საქარის სანერგეს ამოცანა იყო სხვადასხვა ჯიშის ამერიკულ საძირეთა საერთოდ ვარგისობისა და ადგილობრივი ჯიშის ვაზებთან მათი შეწათესავებითობის ხარისხის გამოკვლევა; ადგილობრივ პირობებთან ყველაზე უფრო შეხამებადი ამერიკულ ჯიშთა შერჩევა და მათი მეშვეობით განადგურებული მევენახეობის აღდგენის მარტივი და მასობრივად ხელმისაწვდომი ხერხების გამომუშავება და მოსახლეობაში ამ ხერხების პოპულარიზაცია. „სანერგის ძირითადი ამოცანაა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემუშავება—ფილოქსერის მსრივ უვნებელ საძირეზე ვენახების აღდგენის სახით—და საერთოდ მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლა და განვითარება ამიერკავკასიაში“.[40].

საქარის სანერგემ 1896 წლიდან უკვე დაიწყო ქუთაისის გუბერნიაში ამერიკული ვაზის ლერწების გავრცელება. როგორც დასამყნობად, ისე გასამრავლებლად, სანერგე ავრცელებდა აგრეთვე უკვე დამყნობილ და დაფესვიანებულ ნერგებსაც.

---

[40] ОФК, 1897 г., стр. 289.

სწორედ ამ დროიდან იწყება ვენახების აღდგენა დას. საქართველოში და კერძოდ იმერეთში[41].

1901 წელს, რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის საიუბილეოდ მოწყობილი „კავკასიის გამოფენის“ მიმომხილველი, ეხებოდა რა კერძოდ მეღვინეობის საკითხს, წერდა: „...მას შემდეგ რაც ჩვენს მხარეს ფილოქსერა შემოეკედლა, მევენახეობა და მასთან ერთად მეღვინეობაც დიდ გასაჭირში ჩავარდნენ განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის მეღვინეობა უკანასკნელ წერტილამდე ჩამოიყვანა. აი ამ გასაჭირიდან გამოიყვანა ხსენებული რაიონი საქათის სანერგემ. რამაც თავისი ამერიკული ვაზებით ნელნელა მოიპოვა ხალხის ყურადღება და ნდობა“[41a] საქარის სანერგემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კერძოდ გურიასა და სამეგრელოში „გადაშენებამდე მიმდგარი მევენახეობის გადარჩენის საქმეში“[42].

საქარის სანერგის საერთო მნიშვნელობისა და მისი მოღვაწეობის მასშტაბისათვის საკმარისია ითქვას, რომ სანერგის მიერ გაცემულ იქნა ნერგი (საძირე): 1869 წელს—18.830 ცალი. 1897 წ.—192.100[43], 1800 წ.—243.770 ცალი[44]; ხოლო 1900-იანი წლებიდან აქედან ყოველწლიურად იცემოდა დაახლოებით 300.000 ლერწი ამერიკული ვაზის შემოწმებულ-ნაცადი ჯიშებისა; დაახლოებით 40.000 დამყნობილი ვაზის ნერგი და დაახლოებით 30.000 ლერწი ადგილობრივი და ევროპული ვაზებისა. საქარის სანერგის ამ საქმიანობის შედეგად 1913

---

41 В. Староселький. «Из сакарского питомника» («Вестн. виноделия», 1896. № 3. стр. 165—167); «Труды лаборатории при сакарском питомнике американских лоз» за 1892—1894 и послед. годы: В. Староселький. «Отчет о деятельности сакарского и корейсубанского питомников американских лоз» (ОФК, 1897, 241—294).

41a „კვალი“, 1901, № 38. გვ. 830.

42 ბ. ყიფიანი, „საქარის სანერგე და გურია-სამეგრელო“ („მოსავალი“, 1910, № 10).

43 ОФК, 1897 г., 244—245.

44 ОФК, 1899 г., 84.

წლის 1 იანვრისათვის ქუთაისის გუბერნიის ვენახების მთელი ფართობის (19.916 დეს.) 66%, ე. ი. 13.262 დესეტინა უკვე ამერიკულ საძირეზე აღდგენილ ვენახს (დაბლარს) წარმოადგენდა[45].

საქარის სანერგე, გარდა თავისი მოღვაწეობის წლიურ ანგარიშგებათა და ლაბორატორიის შრომებისა, აქვეყნებდა აგრეთვე შრომებს ამერიკულ ნერგებზე (საძირეებზე), ნამყენი ვაზების ამპელოგრაფიისა და სხვ. შესახებ. სანერგესთან 1898 წლიდან არსებობდა მევენახეთა მოსამზადებელი პრაქტიკული სკოლა[46], რომელიც 1913 წლამდე დაამთავრა 121 კაცმა, რომლებიც ემსახურებოდნენ მთელს ამიერკავკასიაში ამერიკული ვაზის კულტურის გავრცელების საქმეს. სანერგეს ჰქონდა მებაღეობის იარაღ-ინსტრუმენტებისა და შაბიამანის საწყობი, რათა გაეადვილებინა მოსახლეობისათვის ამათი მიწოდება[47]. ანალოგიური საწყობები სანერგემ მერმე გახსნა აგრეთვე ლეჩხუმისა და რაჭის მაზრაშიც[48].

საქარის სანერგემ შემდგომში თავისი ფილიალები გაიჩინა ამიერკავკასიის მევენახეობის სხვა ცენტრებშიაც, პირველი ფილიალი გაიხსნა სოფ. ქორეის უბანს 1897 წელს[49]. ქორეისუბნის (რკ. გზ. სადგ. საჯევახოს მახლობლად) სანერგე ემსახურებოდა როგორც დას. იმერეთის, ისე გურია-სამეგრელოს მევენახეობას.

1897 წელსვე ი. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს თაოსნობით გაიხსნა (მოსამზ. მუშაობა დაიწყო 1896 წ. აგვისტოს) ა ღ ა ი ა ნ ი ს ს ა ნ ე რ გ ე (გორის მაზრ. რკ. გზ. სადგურ ქსნის მახლო-

---

45 СССОУР, 331—334; ІХСХ, 1899 г., № 278, стр. 287—289.

46 ОФК, 1898 г., стр. 8; ОФК, 1897, стр. 269—272.

47 ТМКСХП, т. LII, стр. 79; ТПКССХ, стр. 277—284; КСХ, 1899 г., № 278, стр. 287—289; КХ, 1913 г. № 9 стр. 2—4; ВР, II, 255—256.

48 ОФК, 1899 г., стр. 85.

49 ОФК, 1897 г., стр. 290—291.

ბლად), რომელიც უმთავრესად ქართლს ემსახურებოდა". ალაიანის სანერგემ 1898 წლიდანვე დაიწყო ამერიკული ვაზის ლერწების გავრცელება. 1897 წლის აგვისტოს სოფ. კონდოლის გვერდით დაარსდა ჩობახურის (შემდგომში კონდოლის) სანერგე (ქ. თელავის მახლობლად).[51] კონდოლის სანერგე, გარდა კახეთისა, ემსახურებოდა აზერბაიჯანსა და სომხეთსაც[52]. 1899 წელს ყასპ. ზღვ. კუნძულ სარაზე (ყუბის მაზრა ბაქოს გუბერნიისა) დაარსდა კიდევ სანერგე, რომელიც ემსახურებოდა აღმ. ამიერკავკასიას, უპირატესად აზერბაიჯანს. ამ ფილიალურ სანერგეებთან პერიოდულად ეწყობოდა ვაზის გასხვლისა და დამყნობის კურსები[53].

საქარის სანერგეს საკმაოდ გაშლილი ნაყოფიერი მოღვაწეობა[54] 1905 წლიდან ძლიერ შეაფერხა მისგან ერთ-ერთი მთავარი მოღვაწის ვ. სტაროსელსკის მოწყვეტამ. უკანასკნელი 1905 წ. ივლისს დაინიშნა ქუთაისის გუბერნატორად, მაგრამ მალე, „სავსებით გამოააშკარავა რა თავისი რევოლუციური სახე", იგი გადაყენებულ იქნა გენ. ალიხანოვ-ავარსკის მიერ ამ თანამდებობიდან. ხოლო რეაქციის გამარჯვების შემდეგ, „რათა თავი დაეღწია დაპატიმრებისაგან" 1908 წელს იგი გაქცა საზღვარგარეთ[55].

საერთოდ საქარის სანერგემ ამერიკული ვაზის (საძირეს) გავრცელებით უდავოდ დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს მევენახეობას, არსებითად უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა იმ

---

[50] А. Андроников. «Отчет об агаянском питомнике американских лоз за 1897 и 1898 гг.» (ОФК, 1899, стр. 55—62. 136).

[51] Ю. А. Старосельский. «Отчет о состоянии кондольского питомника американских лоз за 1898 г.» (ОФК, 1898 г., прилож. стр. 45—54).

[52] ОФК, 1899, стр. 10.

[53] А. Васильевский. «Сакарский питомник...» (КХ. 1913, № 19. стр. 2—4).

[54] ს. საქარა („კვალი", 1902, № 9. გვ. 145).

[55] «Кавказский запрос в государств. думе». 1909. Тифлис. стр. 223—227. 274—275

ღონისძიებათა სისტემაში, რამაც გადაარჩინა იგი განადგურებას. მაგრამ „კვალის“ მიმოხილვის დახასიათებით საქარის სანერგეს მნიშვნელობა მარტოოდენ ამერიკული ვაზის კულტურის გავრცელებაში არ გამოიხატებოდა. „ამ დაწესებულებას და ფილოქსერას უნდა ეუმადლოდეთ იმასაც, რომ ახლათ გაშენებული ვენახები ევროპულათ არის დარგული და მოვლაც რიგიანი აქვთ. რომელი გლეხი გადაგიბარავდათ მიწას ერთ არშინზე და ზედ რიგ-რიგად ვაზებს დაგირგავდათ? მაგრამ ამერიკულ ვაზს ასე უნდაო და რას იზამდა. ახლა თვითონაც იცის თუ რა ადვილი მოსავლელი ყოფილა რიგზე ჩარგული ვაზები და კიდეც რომ გაუპირდეთ, არეულათ ვაზს ვეღარ დაარგვევინებ“.[56].

ამერიკული ვაზის სანერგეები თავიანთი ძირითადი საქმიანობის პარალელურად ემსახურებოდნენ საერთოდ მიწათმოქმედებითი კულტურის განვითარების საქმეს. აღაიანის სანერგეს. მაგალითად, ჰქონდა სიმინდის სანიმუშო ნაკვეთი, ბოსტანი. აქვე სთესდნენ იონჯას და სხვ.[56ა]

საქარის სანერგესა და მის ფილიალებს გარდა, 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ამერიკულ საძირეთა და საერთოდ ვაზის ნერგებისა და ლერწების გაშენებასა და გავრცელებას, მეტნაკლები ზომით, ეწეოდნენ სახელმწიფო (სახაზინო) ბაღები, სოფლის მეურნეობის სკოლები, აგრეთვე მსხვილი მემამულე-მევენახეებიც. ასეთები იყვნენ:

თბილისის ბოტანიკური ბაღი—მთელს კავკასიაში უძველესი (საქართველოს რუსეთთან შერთებამდე ის საქართველოს სამეფო ოჯახის საკუთრება იყო), უდიდესი (57 დეს.) და ყველაზე ცნობილი ბაღი იყო: 1845 წელს მას ოფიციალურად ეწოდა „ბოტანიკური ბაღი“ და ამოცანად დაესახა „იყოს ამ მხარეში მებაღეობის ხელის შემწყობი და გამავრცელებელი, და თავი მოუყაროს და დაიცვას კავკასიური ფლორის კოლექცია“. თბილისის ბოტანიკურ ბაღს ჰქონდა თხუთმეტიოდე ფილიალი, მუზეუმი, სპეციალური ლაბორა-

[56ა] „კვალი“, 1901. № 38, გვ. 830.
[56] КСХ. 1897 г., № 188, стр. 515—516.

ტორიები, მეტეოროლოგიური სადგური, კავკასიურ მცენარეთა განყოფილება, ფიტო—გეოგრაფიული განყოფილება, ხეხილის სანერგე. ვენახი. ბებაღეობის სკოლა, სელექციურ-ფლორისტული კაბინეტი. იგი 1893 წლიდან მოყოლებული სცემდა თავის ორგანოს «Труды Тифлисского ботанического сада», ხოლო 1911 წლიდან კიდევ პარალელურად—„Вестник Тифл. ботанического сада» თბილისის ბოტანიკურმა ბაღმა იმ დროისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა კავკასიის ფლორის შესწავლისა და გამდიდრების საქმეში[57].

ქ. ერევნის (სარდარის) ბაღი, რომლის ფართობი 1901 წელს შეადგენდა 11,75 დეს. აქედან დამუშავებული იყო 4,5 დეს. ბაღს გარდა დეკორაციულ მცენარეთა და ხეხილის სანერგისა, ბაღჩისა, ყვავილნარისა, იონჯის ნათესისა ჰქონდა აგრეთვე ვენახი (2070 კვ. საჟ)[58]. ბაღი 1903 წლიდან ავრცელებდა ვაზის ლერწებს[59]. ფილოქსერის კომიტეტის 1905 წლის ანგარიშგებაში ვკითხულობთ, რომ ერევნის ბაღის „სანერგე. ვენახი და ბაღჩა მდიდარ მასალას იძლევიან ადგილობრივი მებაღეობის, მევენახეობისა და მებაღჩეობის განვითარებისათვის“[60].

ქ. ბაქოს ბაღი. რომელიც წარმოიქმნა ჯერ კიდევ 1800-იანი წლების მიწურულს. 1876 წელს სამხედრო უწყების ხელიდან გადავიდა ქალაქის გამგებლობაში (5 დეს.—1902 წელს)[61].

აღსანიშნავია აგრეთვე თბილისის მებაღეობის სკოლა (1886 წლიდან)[62]. რომელსაც ჰქონდა ვენახი, ხეხილის

---

[57] «Труды тифлисского ботанического сада», вып. 1912 г.; ТМКСПХ. т. LII, 78; КХ, 1912 г. № 7, стр. 81; № 23, стр. 12—13.

[58] ОФК, 1901. стр. 11—12; 127—150, КСХ, 1901, № 480, стр. 711—712.

[59] ОФК, 1903 г., стр. 10; ОФК. 1905 г., стр. 24—25.

[60] ОФК, 1905 г., стр. 24—25.

[61] КВПС, 1902 г. № 119, стр. 10—11, № 120, стр. 6—7.

[62] С. Хундадзе. «Сельск. хоз. образование и Тифлисская школа садоводства» (ТПКССХ, 206—210).

ბაღი, ბოსტანი და შესაბამისი სანერგეები[63], ყარაიის საცდელი მინდორი (1892 წლიდან)[64], ქუთაისის საცდელი მინდორი[65], ოზურგეთის თამბაქოსა და ჩაის საცდელი პლანტაცია[66]. სოხუმის საცდელი სადგური[67] ილ. წინამძღვრიშვილის მიერ 1883 წ. ს. საგურამოში დაარსებული სოფლის მეურნეობის პრაქტიკული სასწავლებელი, რომელთანაც შემდეგში გაიხსნა საცდელ-საჩვენებელი ფერმა[68]. აღსანიშნავია, რომ ი. წინამძღვრიშვილის სკოლის ხსენებულ ფერმაში ხელს ჰკიდებდნენ აგრეთვე უშუალოდ საფრანგეთიდან ჩამოტანილ ამერიკული ვაზის თესლის მეოხებით საძირეთა გამრავლებას[69]. ი. წინამძღვრიშვილმა შეადგინა სახელმძღვანელოც: „ვაზის მოშენება“[70].

მოსახსენებელია აგრეთვე რიგ საქალაქო და სასოფლო სკოლასთან არსებული ფერმები, როგორიც იყო, მაგალითად, ზუგდიდის საქალაქო სკოლასთან მოსახლეობის მიერ შეგროვილ სახსრებით დაარსებული „სოფლისმეურნეობრივი ფერმა“, რომელსაც ჰქონდა სანერგე, ხეხილის ბაღი, ვენახი, ბოსტანი და რომელიც ეწეოდა აგრეთვე მეაბრეშუმეობასა და მეფუტკრეობას[71];—საცხენისის (ყვარელში) ორკლასიანი სკოლა, რომელსაც 1894 წლიდან ჰქონდა სოფლის მეურნეობის განყოფილება[72] და სხვ., რომელთა რიცხვი საერთოდ ძლიერ

---

63 КХ, 1911 г. № 11, стр. 8—11.

64 СССУР, 323—327; ТМКСХП, LII, 78.

65 СССОУР. 327—330.

66 იქვე, 334—336.

67 იქვე, 340—344.

68 გაზ. „დროება“ 1883, № 142.

69 გაზ. „მეურნე“, 1891, № 4.

70 ი. წინამძღვრიშვილი, „ვაზის მოშენება“, 1889. თბ., გვ. 160.

71 КСХ. 1904 г. № 539, стр. 434—435, № 540, стр. 451, № 541, стр. 468.

72 ТПКССХ, 206—210.

მცირე იყო და საქმიანობაც მეტად შეზღუდული,—უსახსრობისა და სხვ. გამო.

რა თქმა უნდა, ასეთს ორგანიზაციებს არაყოველთვის მოჰქონდა თვით ორგანიზატორთა მიერ ნავარაუდევი ეფექტი. იყო შემთხვევა, როდესაც კერძოდ მუსლიმანური მოსახლეობა თავს არიდებდა სოფლისმეურნეობრივ სკოლებსა და საცდელ მინდვრებს. „მშვენივრად გაწყობილი მებაღეობის სკოლა მარდიაკანში, გახსნილი ბ-ნ ტაგიევის მიერ, მიუხედავად უკანასკნელის მხრივ უხვი ხარჯებისა, თითქმის ცარიელი რჩება. კიდევ მეტი. თურქებს (აზერბაიჯანელებს) არ სურთ შეიყვანონ იქ თავიანთი შვილები, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას განაგებს თურქი... ეტყობა სოფლისმეურნეობრივი სკოლა ჯერ კიდევ არაა ის ხავსი, რომელსაც უნდა მოეკიდოს ხოლმე. ადგილობრივი პრესის აზრით, ამ მხარის წყალწაღებული სოფლის მეურნეობა, რადგან იგი უარს ამბობს ხელი ჩასჭიდოს მას და მისი (სოფლ. მეურნ.—ბ. ę.) შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის სხვა რაღაცაა საჭიროო“—წერდა ერთი ღამკვირვეველი[73].

ეს „სხვა რაღაცა“, რაც აიძულებდა აზერბაიჯანულ მოსახლეობას თავი აერიდებინა ხსენებული სკოლისათვის, ცხადია, უწინარეს ყოვლისა სხვა არა იყო რა, გარდა იმ რუსიფიკატორული პოლიტიკისა, რასაც ატარებდნენ ჩვეულებრივ ანალოგიური დაწესებულებები, რომლებიც საერთოდ თავიანთი პოლიციური ხასიათის მეოხებით ნაცვლად წაქეზებისა უმეტესწილად აფრთხობდნენ და ფრთებს უკვეცავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობრივ თაოსნობასა და ინიციატივას.

მემამულე-მევენახეთაგან აღსანიშნავია საქმიანობა, მაგალითად, ზ. ერისთავისა, რომელმაც სოფ. რძისში (დუშეთის მაზრა) თავისი მამული (860 დეს.) გადასცა ხაზინას—სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურის დანერგვა-გავრცელების მიზნით გამოსაყენებლად. ამ მამულში 1900 წ. გაშენებულ იქნა

---

[73] КВПС, 1899 г., № 1, стр. 6.

ამერიკული ვაზის სანერგე.[74] ამ მხრივ აღსანიშნავია კიდევ პრინც მიურატის (დადიანის) მამული (ს. სალხინოში)[75], ჩიხლაძისა (ს. შროშაში), გუნცაძისა (კვალითში), მელმანისა, ვ. ტიეგბოსი (ს. დიმში)[76], გ. ჩივაძისა, რომელსაც ქუთაისში ჰქონდა დამყნილი ამერიკული ვაზისა და ხეხილის სანერგე („სანდო")[77], ბორჯომის მამულისა, კ. მულინის მამულისა (გომბორის ხეობაში), ე. ნაკაშიძის (გურიაში) და სხვ. კერძოდ კ. მულინის მამული, იმთავითვე (1890-იან წლების დასაწყისი) გაშენდა ხეხილის დიდი ბაღის (37 დეს.). სახით და წარმოადგენდა „საჩვენებელ ბაღს, რომლის გვერდითაც. კახეთის რკინიგზის გახსნამდე (ე. ი. 1915 წლამდე), უნდა ჩაევლო კახეთის მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს"[78]. 1917—1918 წწ. ამ ბაღის ნაწილი გადაკეთდა საჩვენებელ მეურნეობად და აქავე მოეწყო ხეხილისა და ვაზის პატარა სანერგე[79].

აქვე უნდა ითქვას. რომ 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიაში ამერიკული ვაზის კულტურა შეიქნა ცალკე კომერციული თაოსნობის ობიექტი. ფილოქსერის კომიტეტის 1901 წლის ანგარიშგებაში ვკითხულობთ: „უდიდესმა მოთხოვნილებამ ამერიკულ ვაზებზე და ამ საქმის სარფიანობამ აღძრა კერძო ინიციატივა. რამოდენიმე მსხვილ მეურნეობის გარდა... ამერიკული ვაზის კულტურას ხელი მოკიდა რამოდენიმე ამხანაგობამ და მრავალმა გლეხმა. უკანასკნელთა უმრავლესობა უპირატესად დამყნობას ეწევა ნაწილობრივ თა-

---

[74] ОФК, 1900 г., II. 77; ОФК, 1906 г., стр. 39—42.

[75] ი. ი., „ამერიკული ვაზი სამეგრელოში პრინც მიურატის მამულში". (გაზ. „მეურნე", 1894, № 5—6, გვ. 1—4).

[76] მევენახეობა-მეღვინეობის რაციონალური ხერხების დანერგვის საქმეში ვ. ტ ი ე ბ ო ს მოღვაწეობისათვის 1884 წლიდან მოყოლებული (იხ. КХ, 1911 г, № 2, стр. 11).

[77] გ. ჩ ი ვ ა ძ ე, დიდხანს მუშაობდა მევენახედ საქარის სანერგეში და ხელს უწყობდა იმერეთში ამერიკული ვაზის კულტურის გავრცელებას (იხ. КХ, 1911 г,. № 6, стр. 15).

[78] КХ, 1917 г., № 13—14, стр. 18.

[79] КХ, 1918 г., № 15—16, стр. 29.

ვიანთთვის, მაგრამ უმთავრესად-კი გასაყიდად"[80]. რიგი მეევნახეობისა აშენებდა ხოლმე ამერიკული ვაზის სანერგეს ნერგის (საძირეს) გაყიდვის მიზნით გამრავლებისათვის. 1913 წლისათვის მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში 247 დესეტინა ამერიკული ვაზის სადედეთა ნარგავი ითვლებოდა კერძო პირთა ხელში[81]. უკანასკნელთა დიდი უმრავლესობა წარმატებით ეაჭრობდა როგორც ამერიკული საძირეთი, ისე მასზე უკვე დამყნობილი ვაზებით[82].

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიაში საჭირო ზომით ვერ განვითარდა არც სახელმწიფო და არც კერძოდ სანიმუშო და კარგად დაყენებული ვენახების, საცდელი ნაკვეთების, სანერგეების საფუძველზე შესაბამის ცოდნა-გამოცდილებათა გაზიარებისა და პროპაგანდის საქმე. მაგალითად, სამეგრელოში პრინცესა მიურატის (დადიანის) ვენახს უვლიდნენ და წამლობდნენ „უალრესად რაციონალური წესებით" და ამ მხრივ იგი სანიმუშო იყო მთელ ქუთაისის გუბერნიაში. მაგრამ მისთვის მიბაძვისა და მისგან გამოცდილების გაზიარების საქმის შესახებ „არ იხსენიებდნენ და არ მიუთითებდნენ"[83]. მსგავსი მემამულეებს ჩვეულებრივ არ სიამოვნებდათ მათი კეთილმოწყობილი ვენახების „გლეხების ტერტლიანი ფეხებით ატალახება". და თვით ასეთი მსგავსი კეთილმოწყობილი მამულებიც ამიერკავკასიაში ისედაც ძალიან მცირე იყო.

1897 წელს ვინმე მ. გროსბერგი, იხილავდა რა კახეთის მეევნახეობას, ასკვნიდა: „რუსეთში გლეხური მეურნეობის გვერდით არსებობს მეტად თუ ნაკლებად გაწყობილი მემამულური მეურნეობა, სადაც შეიძლება კაცმა რაიმე შეისწავლოს; იქ ეწყობა საცდელი მინდვრები, საერობო შინამრეწველური საწყობები, მრავალი ერობა უკანასკნელ ხანებში იწვევს აგრონომებსა და ა. შ. ყოველივე ეს აქ (კახეთში—ჰ. გ.) არ არის.

---

80 ОФК. 1901, стр. 8.

81 КХ. 1913 г., № 19, стр. 4.

82 გ. ჩ ი ვ ა ძ ე, „ნამყენი ვაზით ვაჭრობა" (ჟურ. „მოსავალი", 1917, № 10).

83 В. Т ь е б о. «Заметки...». стр. 34—35.

გლეხი სავსებით თავისთავსაა მინდობილი და ზარალდება სირაჯთაგან, მედუქნეთაგან და მრავალრიცხოვანი „კეთილისმყოფელ“ ობობისაგან“[34].

თავის ადგილას, სადაც ამიერკავკასიაში ცარიზმის სოფლისმეურნეობრივი და აგრარული პოლიტიკის ისტორიას განვიხილავთ, ჩვენ უკეთ დავინახავთ, თუ რაოდენ მძიმე და დამმუხრუჭებელი იყო ამ პოლიტიკის არტახები ამიერკავკასიაში მევენახეობისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.

V. მევენახეობის გეოგრაფიული გაადგილება

ქართული მევენახეობის ისეთი სპეციალისტი როგორიც იყო პროფ. ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ერთ თავის შრომაში წერდა: „ბუნებრივ პირობებთან დაკავშირებით საქართველოს თითეულ მევენახეობის რაიონს საკუთარი ვაზის ჯიშთა ასორტიმენტი, ახასიათებს. ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს თავთავისი ასორტიმენტი აქვს. ჯიშთა ასეთი ლოკალიზაცია, რასაკვირველია, უბრალო, შემთხვევითი მოვლენით არ აიხსნება,—ყველა ეს მხარე გარკვეული ეკოლოგიური პირობებით ხასიათდება და თითეულ მხარეში ვაზის ჯიშთა ასორტიმენტი ასეთ პირობათა მიხედვითაა გაშენებული და ცხადიცაა, რომ სათანადო ეკონომიურ ეფექტს მოიცემოდნენ ისეთი ჯიშები, რომელნიც ადგილობრივ პირობებს უკეთ შეეგუებოდნენ“[1].

ქვემოთ იგივე მეცნიერი აცხადებს, რომ „საქართველოს ვაზის ჯიშების ეკო-გეოგრაფიული პრინციპის საფუძველზე შესწავლა ნათელსა ჰფენს მათ ბიოლოგიურ თავისებურებასაც საკმარისია გავიხსენოთ, რომ გურია-სამეგრელო-იმერეთის ჯიშების ყურძენი გაცილებით უფრო გვიან იწევა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშები; ამის მიზეზია დასავლეთ საქარ-

---

[34] KCX, 1897 г., № 186, стр. 486.

[1] ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, „მასალები საქართველოს XII—XIII სს. ვაზის ჯიშების საკითხისათვის“, გვ. 64. („რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, 1938, თბ.).

თველოში არსებული სითბოსი და იმავე დროს სინოტივეს დიდი რაოდენობა... აღმ. საქართველოს ვაზის ჯიშები ყინვისა და გვალვის უფრო მეტი ამტანობით ხასიათდება, ყურძენი თხელკანიანი აქვთ, სოკოვანი სნეულებით ადვილად სნეულდებიან. და სხვ. ეს თავისებურებანი შედეგია საუკუნეთა განმავლობაში ვაზის შეგუებისა ადგილობრივ ეკო-ეოგრაფიულ პირობებთან. და ამასთანავე დაკავშირებით შედეგია, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური შერჩევისა". და, ამგვარად, „ცალკეულ რაიონებში ვაზის ჯიშის მიერ გამომუშავებული თავისებურებანი მჭიდროთაა დაკავშირებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან"[2].

ამასთანავე, თუ რამდენი წლის არსებობის უნარი აქვს ვაზის ჯიშს, გამორკვეული არ არის, თუმცა ვიცით, რომ ვაზს რამდენიმე საუკუნის არსებობის უნარი შესწევს და რაც უფრო ოპტიმალურია ეკოლოგიური პირობები, მით უფრო მატულობს ჯიშის არსებობის ხანგრძლივობა. ზოგადი თეორიული მოსაზრებით ვეგეტაციურად გამრავლებული მრავალწლოვანი მცენარის ჯიში ათიოდე თაობას მაინც მოინაცვლებს. თუ იგი ზრდა-განვითარების ოპტიმალურ პირობებში იმყოფება.

„საქართველოს ბარის პირობები აბორიგენული ვაზის ზრდა-განვითარებისათვის... ოპტიმალურია; ვაზის გამრავლება რქით ხდებოდა, ფართობის შესავსებად, აგრეთვე ნარგავის გაახალგაზრდავების მიზნით მევენახეობაში მიღებული იყო ვაზის გადაწიდვა. ასეთ პირობებში ვაზის ბუჩქი 100 და მეტ წელიწადს ცოცხლობს. ამ პირობებიდან და ამ ანგარიშიდან გამომდინარე უფლება ვქონია დაბეჯითებით ვთქვათ. რომ საქართველოს მთელ რიგ მევენახეობის რაიონებში მრავალი ვაზის ჯიში თავისი არსებობის 1000 და მეტ წელს მოითვლის"[3].

მაგრამ რაც წმინდა ეკონომიკური, სახალხომეურნეობრივი თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს ისაა, რომ ქართულ მევენახეობას თავისი ხანგრძლივი, თვით ქართველ ხალხსავით მრავალსაუკუნოვანი ქარტეხილებიანი ცხოვრების

[2] ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. თხზ., გვ. 64—65.

[3] იქვე, გვ. 67.

მანძილზეც შემოუნახავს ათასწლოვანი ისტორიის მქონე ვენახი. ზვარი. როგორც მეურნეობრივი (წარმოებრივი) ერთეული.

ატენის სიონის 1060—1068 წწ. წარწერაში ნათქვამია: „მე... ატენისა ციხისთავმან ავაგენ სახლნი და ქოლბაგ მას ჟამსა. ოდეს... ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს... მირიანს პატრონსა ჩემსა. სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენება... და ვითა სწადდა მეფობასა მათსა. ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი...“[4].

როგორც ჩანს. ბაგრატ IV უბრძანებია ქალაქის აშენება სეფე-ზვრის ფართობზე. ცხადია. სეფე-ზვარი არამთლიანად იქნებოდა გაკაფული. ივ. ჯავახიშვილი წერს: „საფიქრებელია. რომ სასახლე და საქულბაქე ადგილები ნაწილობრივ მაინც გაკაფული სეფე-ზვრის ფართობი უნდა ყოფილიყო“[5].

ამგვარად. დამოწმებულია, რომ ატენში უკვე მე-11 საუკუნის შუაში გაშენებული ყოფილა სეფე-ზვარი. ე. ი. სამეფო ზვარი; ამასთანავე ის ატენში ქალაქისა და ქულბაქის შენების დროს. რომ მხოლოდ ნაწილობრივ გაუკაფავთ და. რომ აქ. ქალაქის მოშლისა და ატენის კვლავ გასოფლურების მერმე. სამეფო ზვარი ისევ შენარჩუნებულა და გაფართოებულა—ჩანს მერმინდელი წყაროებიდან.

როგორც ჩვენი გამოკვლევის პირველ განყოფილებაში დავინახეთ ატენში სამეფო ზვარი. როგორც იმ დროისათვის მსხვილი მეურნეობა. განაგრძობდა არსებობას მე-18 საუკუნეშიაც და, ცხადია, მერმეც. ამგვარად, თუ მხედველობაში მივიღებთ ატენის სიონისა (ტაძრისა) და თვით სოფლის მეტად ვიწრო ხეობით განსაზღვრულ მდებარეობას. სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ აქ. სავსებით განსაზღვრულ პუნქტში, მე-11 საუკუნიდან მოყოლებული (თუ უფრო

---

[4] И. Джавахов. «К вопросу о времени построения грузинского храма в Атене» («Христианский Восток», 1912. I. вып. III. 289—290).

[5] ივ. ჯავახიშვილი, „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“. I: მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, 1946. გვ. 34—35.

ადრე არა) თვით ჩვენს დრომდე. საქმე გვაქვს ზვრის (ვენახის), როგორც მეურნეობრივი ‘ერთეულის (მამულის, საწარმოს). ათასწლოვან და იქნებ უფრო მეტი ხნის განუწყვეტელ ისტორიასთან.

როგორც ვაზის ჯიშთა. ისე, და განსაკუთრებით. თვით ვენახის (ზვრის), როგორც მეურნეობრივი ერთეულის. არსებობის ათასწლოვანი განუწყვეტელი ისტორია. რაც. ცხადია. შეიძლება დადასტურდეს საქართველოს და ამიერკავკასიის[6] მევენახეობის სხვა რაიონშიაც, მით უფრო მეტ ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებს მევენახეობის გეოგრაფიული გადაადგილების საკითხს. რის განხილვასაც ჩვენ ახლა შევუდგებით.

1. დას. საქართველო

მე-19 საუკ. დასავლეთ საქართველოს. ასევე სომხეთის. მევენახეობის რაიონები როგორც პოლიტიკურად. ისე მეურნეობრივადაც, შედარებით გვიან უკავშირდებიან კავკასიის ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრს—თბილისს. მაინც ზღვის მეოხებით სამხრეთ-რუსეთთან. ყირიმთან და დას. ევროპასთან კავშირი თავის გავლენას ახდენდა დას. საქართველოს მევენახეობაზე.

საერთოდ დას. საქართველოში (ქუთაისის გუბერნია. სოხუმის ოკრუგი, ბათუმის ოლქი), ე. ი. კლასიკურ კოლხიდაში მევენახეობა უძველესი დროიდანვეა განვითარებული. მაგრამ აჭარას (ბათუმის ოლქსა) და აფხაზეთში (სოხუმის ოკრ.) თურქთა ბატონობისა და. მაშასადამე. მოსახლეობის გამუსლი-

[6] კარმირ-ბლურის (ურარტუს ქ. თეიშებაინის) გათხრებისას აღმოჩენილი მარანი მოწმობს. რომ აქ უკვე მე-8—6 სს. განვითარებული იყო მევენახეობა, რასაც ავტოხტონთა ეთნიკური ცვალებადობისა და, მაშასადამე. მეურნეობრივი ტრადიციის წყვეტილობის მიუხედავად ისტორიული მნიშვნელობა აქვს (იხ.Б. Пиотровский, «Кармир-Блур», 1950, Ереван. II, 74, 78; გ. მელიქიშვილი, „ურარტუ“, 1951, თბ., 134—136).

მანების მეოხებით კულტურული მევენახეობა მე-16 საუკუნიდან მაინც თანდათანობით მოისპო ან გაველურდა, ასე რომ, მე-19 საუკუნისათვის მევენახეობის ძირითად რაიონებად დარჩნენ იმერეთი, გურია და სამეგრელო.

აფხაზეთში კულტურული მევენახეობის აღდგენა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოაზისების სახით მანამდეც შერჩენილ ორიოდე მემამულის ვენახს, იწყება 1830-იანი წლებიდან, რა დროიდანაც აქ ჩნდებიან მეგრელი მეიჯარე-შემსყიდველი მევენახეები[7]. 1850-იან წლებში აქ მევენახეობას მისდევდნენ კერძოდ ბომბორსა და სოუქ-სუს ხეობაში (ლიხნში), აგრეთვე თვით სოხუმის სანახებში[8], კარგ ღვინოებს აყენებდნენ გუდაუთის რაიონსა და კოდორის ხეობაში[9].

აფხაზეთში მეგრელი შემსყიდველები მემამულეთაგან (მაგ., შერვაშიძეებისაგან) იჯარით იღებდნენ ვენახს (დობილოს, დობიროს—მაღლარს), სადაც კრეფდნენ ყურძენსა და აყენებდნენ ღვინოს. ამ შემსყიდველთა შორის აქ უკვე 1840-იან წლებში ჩნდება კასრები[10], რაშიაც ინახავდნენ უმთავრესად სამხედრო უწყებისათვის (ქერჩს, ანაპას, ნოვოროსიისკსა და ტაგანროგში) მისაწოდებელ ღვინოს[11].

აფხაზეთში მევენახეობის განვითარებას, როგორც ჩანს, აბრკოლებდა სათანადო მუშახელის სიმცირე. 1852 წ. ს. პუშკარიოვი აღნიშნავდა შემთხვევებს, როდესაც აქ „ყურძნის მკრეფავი აბორიგენები, იკმაყოფილებენ რა თავიანთს საჭიროებას ყურძნის ნაწილის გაყიდვით, ხელს იღებენ მუშაობაზე და მეღვინეები იძულებული არიან დაკეტონ თავიანთი სარეწავები („ქარხნები") მუშახელის სიმცირის გამო, რად-

---

[7] «Кавказ», 1852 г., №№ 27—29; ССК, III, 204.

[8] ВР, III, 87—88; Лаврентьев, I. с., 251—252.

[9] А. Похомов, «Абхазия в сельскохозяйственном отношении» (ЗКОСХ, 1868 г. № 1, 2).

[10] П. Гугушвили, «Сельское хозяйство и аграрн. отношения», 1938. I, 90.

[11] Лаврентьев, I, с. 152—153; ЗКОСХ, 1855, стр. 63—84, ВР, III, 134—135.

გან აფხაზები მიუხედავად „უკიდურესი საღარიბისა არავითარ ყურადღებას არ აქცევენ (სავაჭრო—პ. გ.) მიწადმოქმედებას“ და ხელფასზე სამუშაოდ აქ გადიან მხოლოდ მეგრელები და ლაზებიო[12]. ხელფასზე მომუშავეთა შოვნის სიძნელეს აქ 1867 წელსაც მიუთითებდნენ[13], რის გამოც ყურძნის მთელი მოსავლის მოკრეფას ვერც-კი ასწრებდნენ; ამგვარად, „ღვინის წარმოება წყდება სიცივეების ან დიდი წვიმების დაწყებიდან, რის გამოც ხანდისხან ყურძნის ნახევარი ხეებზე ნადგურდება“[14].

1860-იანი წლების დასაწყისიდანვე მდგომარეობა არსებითად გამოიცვალა. ოიდიუმმა და მილდიუმ აქ გაანადგურა მევენახეობა, რისი აღდგენის ცდები დაწყებული 1870-იანი წლებიდან შემდგომ ათეულ წლებშიც ვერ აღწევენ სასურველ შედეგს[15]. მართალია, მევენახეობა ზოგიერთ თემში ასე თუ ისე აღორძინდა, მაგრამ მოსახლეობის ეკონომიკურ ცხოვრებაში მისი როლი უკვე უმნიშვნელო იყო[16]. 1870—1880-იანი წლებიდან სიმინდისა და განსაკუთრებით თამბაქოს კულტურამ აფხაზეთში უკვე უკანა პლანზე დააყენა მევენახეობის საქმე[17].

გ უ რ ი ა-ს ა მ ე გ რ ე ლ ო ს მევენახეობის მხრივ 1860-იან წლამდე პირველი ადგილი ეჭირა დას. საქართველოში[18]. ამ დრომდე, როგორც მიხ. ბ ა ლ ა ს ი წერს. „მთელი სამეგრელო წარმოადგენდა ერთიდან მეორე ხეზე გადასული ვაზის გაბმულ ქსელს. ყოველ გლეხს, ყოველ პატრონს. გარდა მიწის მცირეო-

---

12 С. П у ш к а р е в. «О виноградниках и виноделии в Абхазии» (ЗКОСХ. 1855 стр. 63—84); см. также «Кавказ», 1852, № 27 — 29.

13 ЗКОСХ. 1867, № 1—2, отд. II, стр. 31.

14 ССК. III, 204; «Кавказ». 1870. № 82. 96—97, Л а в р е н т ь е в, l. c., 253—254.

15 ВР, II, 92—94.

16 ВР, III, 95—96.

17 Ш а р е р, «Поездка в Сухум-кале и кутаисскую губернию», (ЗКОСХ, 1874, стр. 1—33).

18 ВР, II. 39—42.

დენი ნაკვეთისა, რომელზედაც შეეძლო გახარება თხმელასა და ხურმის ხეს, რომლებზედაც ჩვეულებრივ უშვებდნენ ხოლმე მაღალ ვაზს, ჰქონდა თავისი ღვინო"[19].

მდ. რიონის ჭალებში „ველური სახით გახარებული ვაზი მოდებულია მთელ ტყეებს და დიდი ხანი არაა მას მერმე, რაც დაბა მარანიდან ფოთამდე რიონზე ორთქლის გემის მიმოსვლის დროს, მთელი ამ მანძილის გასწვრივ მოჩანდა მშვენიერი ტყე, სადაც ხეებს კეკლუცად გადახვევოდა ოქროსა და ალისფერი ვაზებიო",—წერდა პ. ძიუბენკო[20]. ამასვე აღნიშნავდნენ 1850-იან წლებში ქუთაისის გუბერნიის სტატისტიკურ აღწერაშიაც[21]. სამეგრელოსა და გურიის დაბლობებში შედარებით მდარე ღვინო მოდიოდა. სამაგიეროდ მაღლობ და მთაგორიან ნაწილში ძვირფასი ჯიშის ვაზები ხარობდა და მაღალი ღირსების ღვინოებსაც აყენებდნენ[22].

ანტიკური ეპოქის მწერალთა ცნობებს რომ თავი დავანებოთ, კოლხური, კერძოდ მეგრული, ღვინოები განთქმული ყოფილა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური დაცემულობის ისეთ პერიოდშიაც, როგორიც იყო მე-17—18 სს. ამ ხანებშიაც მევენახეობის ეკონომიკური მნიშვნელობისათვის გარკვეულ ინტერესს შეიცავს ის გარემოება, რომ მოშურნე და ერთმანეთს გადამტერებული თავადები, რათა მოპირდაპირისათვის მაქსიმალური ზიანი მიეყენებინათ, გარდა ჯოგის მოტაცებისა და სახლ-კარის გადაწვისა, მას ვენახსა და ხილნარსაც აუკაფავდნენ ხოლმე[23].

კოლხიდაში მრავალწლიან ნარგავთა მდგომარეობის განხილვისას ჟან შარდენი წერდა (1672—73 წწ.), რომ აქ ვაზი ყველგან ბლომად ხარობს. „ხეებზე მიშვებული ვაზი ყველაზე მაღალ კენწეროებზე ადის. მე ვნახე ისეთი მსხვილი ვა-

---

19 ВР, II. 149.
20 П. Дзюбенко, I, с., 3.
21 Лаврентьев, I, с., 50.
22 Газ. «Кавказ», 1874, № 33—34, 44.
23 Ж. Шарден, I, с., 31.

ზები. რომ ძლივსღა შემოვავლე მათ ხელები. ვაზს ოთხ წელიწადში ერთხელ სხლავენ. მეგრული ღვინო საუკეთესოა: მაგარია და ძლიერ სქელი. ის სასიამოვნო გემოსია ღა სასარგებლოა ორგანიზმისათვის. ვერსად აზიაში უკეთეს ღვინოს ვერ დალევთ. აქაურ მკვიდრთ რომ ღვინის დაყენება შეეძლოთ, როგორც ჩვენში იციან. ის საუკეთესო იქნებოდა მსოფლიოში"[24].

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ცნობილი მოგზაურის ეს განცხადება უპირატესად შეეხება სამეგრელოში თვით 1860-იან წლებამდე გავრცელებულ და განთქმულ ვაზს. რომელიც სვანური ვაზის სახელითაცაა ცნობილი და რომლის ყურძნისაგან დაყენებული ღვინო ოჯალეში საუკეთესოდ ითვლებოდა მთელს ამიერკავკასიაში[25].

ოჯალეშის ვაზი ხარობდა უპირატესად მთაგორიან. მაღლობ ადგილებში და გავრცელებული იყო მდ. ტეხურის ხეობაში—სს. სალხინოს. ცაჩხურს. თამაკონს. ვახას. თარგამოულს და სხვ[26].

1850-იანი წლების დამდეგს ერთი ოფიციალური მიმომხილველი. ეხებოდა რა იმერეთში უცხოური ჯიშების ვაზთა შემოტანის საკითხს. აღნიშნავდა, რომ „ოჯალეშის ვაზის იმერეთში გავრცელებას შეეძლო უდიდესი სარგებლობა მოეტანა. და. მე მგონია. რომ აქ ამ ვაზს კლიმატის. ნიადაგის და ადგილმდებარეობის ანალოგიურობის მეოხებით შეეძლება უფრო გაიხაროს ვინემ ყირიმის ვაზებსო".[27]

---

[24] Ж. Шардэн. нав. соч.. стр. 111.

[25] Лаврентьев, I. с.. 88.: ССК; III. 222; ВР. II, 204; ССВВК, IV. 110.

[26] ССВВК. IV. 69—70; ВР. III. 149—151. ივ. ჯავახიშვილი „საქ. ეკონ. ისტ".. II. გვ. 448; მ. რამიშვილი. „გურიის. სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები", აკად. ნ. კეცხოველის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1948. თბ.. გვ 19—20, 140—14.

• Кавказский календарь на 1853 г.», стр. 311 — 312; ახასიათებდა რა საერთოდ დას. საქართველოს ბეღენახეობა-მეღვინეობას იგი წერდა: «В народном употреблении известны вина: саджевахское и чунешское (красные) и цоликаурское (белое), но лучшие вина в продажу не поступают и выделываются князьями собственно для

სამეგრელოში განთქმული იყო აგრეთვე პუმპულა, რომელიც დაბლობის ვაზთა შორის საუკეთესოდ ითვლებოდა და ხარობდა განსაკუთრებით ცხენისწყლისა და ცივის შუა მიდამოებში ს. ბანძიდან მოყოლებული. პუმპულასაგან აყენებდნენ „კარგ ნაზს, ბაცი ვარდისფერ, არამაგარ, გემრიელ სუფრის ღვინოს“. საჭილაოში პუმპულას ღვინოსათვის სამეგრელოს დადიანს ჰქონია „განსაკუთრებული მარანი“[28] შემდეგში ამ მიდამოებში არსებულ სოფელს მარანი ეწოდება, ხოლო აქედან საკმაოდ შორს, მდ. ფიჩორის მარჯვენა ნაპირზე—ნამარანუ (ნამარნევი)—მაღლობი ადგილია. სადაც. როგორც ამჟამადაც ჩანს. მრავალი ქვევრი ყოფილა მიწაში ჩაფლული. ხალხში დაცული გადმოცემით დადიანის და ჭილაძეთა წვეულებებზე აქედან მიჰქონდათ ღვინო.

себя. для угощения приятелей и для разсылки в гостинец. Самым же высоким образцом хороших рионских вин. может служить вино оджалешское. выделываемое в Мингрелии. У владельного князя Дадьяна есть такие бутылки старого оджалешского вина, перед которыми знатоки готовы преклонить колена—и не то чтобы осушивши бутылку, что может случиться при вине и невысокого качества, а прежде из одного только уважения к его достоинству. Да обыкновенное оджалешское вино многими предпочитается кахетинскому. Оно напоминает вино бургундское, но имеет свои собственные достоинства и свой превосходный букет. Распространение оджалешских лоз по Имерети, могло бы ей принести огромную пользу и мне кажется что эти лозы. по тожественности климата. почвы и местоположения. могли бы здесь во многих местах лучше приняться, нежели лозы Крымские. Теперь в казенном кутаисском саду имеются почти все сорта крымских виноградов и они, по воле князя наместника. в изобилии распространяются между здешними помещиками. Из привозных в Кутаиси вин можно заметить марсал, сицилийское вино, которое расходится здесь в большом количестве и стоит на базаре от 50 до 60 коп. за бутылку. Это есть меньшой брат хересу и мадере и шампанское. которое составляет необходимую принадлежность всякого парадного обеда или ужина и продается по 2 руб. сер. за бутылку. Кроме того расходуется немало портеру и рому, из которых последний составляет одну из статей для контрабанды»

[28] ССВВК. IV, 112.

გურიაში ადგილობრივი ჯიშის ვაზთა შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო ჩ ხ ა ვ ე რ ი[29], რისგანაც აყენებდნენ საუკეთესო თეთრ ღვინოს[30]. ჩხავერი თითქმის მთელ გურიაში ხარობდა, საჯევახოს გამოკლებით. მაგრამ იგი გავრცელებული იყო განსაკუთრებით სს. ასკანას, შემოქმედს, მაკვანეთს, ლიხაურსა და სხვ[31].

გურიასა და იმერეთში ცნობილი იყო აგრეთვე ს ა ჯ ე ვ ა ხ უ რ ი ღვინო[32], 1880-იან წლებში გერმანელი (რაინელი) მეღვინე შ ო რ ნ ი ნ გ ი საჯევახურისაგან ამზადებდა შამპანურს, რასაც თბილისში ასაღებდა[33]. ხოლო უფრო ადრე, ოიდიუმის გაჩენამდე. ე. ი. 1840—1850-იან წლებში მსხილათობანისა (სხილათუბანი) და მტევანდიდის[34] ჯიშის ვაზის ყურძნისაგან დაყენებული საჯევახური ღვინო ქ. ქუთაისში უფრო მეტად საღდებოდა, ვინემ სვირული და რაჭული ღვინოები[35].

მას მერმე რაც გურია-სამეგრელოში ოიდიუმმა და მილდიუმ ადგილობრივი ჯიშის ვაზები გაანადგურა[36], კარმიდამოსაგან მოშორებული ვენახები ყურძნის მოსავლის შემცირებისა, ან უკეთ მოსპობის გამო უყურადღებოდ მიატოვეს, ხოლო შემდეგში საესებით აკაფეს და ყანებად აქცივს;—„ეზოებსა და კარ-მიდამოში ოიდიუმისაგან გაფუჭებული ადგილობრივი ჯიშის ვაზები იზაბელამ შესცვალა“[37].

ამგვარად. მაღლარის ფორმით გაშენებული ადგილობრივი ჯიშების განადგურების პროცესი იქამდე მისულა, რომ

---

29 ССК. III. 218; ВР. II. 205.

30 ССВВК. IV. 105.

31 ССВВК. IV. 64. 105 — 106; Д. Б а к р а д з е, АПГА, 114; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. „საქ. ეკონ. ისტ.“, II. 458; მ. რ ა ბ ი ნ ო ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი. 68—72.

32 Д. Б а к р а д з е, l. c., 228—229; ССК. III; 220.

33 П. Д з ю б е н к о, назв. соч.; მ. რ ა ბ ი ნ ო ვ ი ლ ი, დასახ. თხზ., გვ. 82—86; გვ.91—94.

34 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. „საქ. ეკ. ისტ“. II. 456: 459; ССВ ВК. IV. 106.

35 ССВВК. IV, 106;—III. 7; ССК. III. 214.

36 ССВВК. IV. 64. 69. 110—112.

37 იქვე. გვ. 60—61; ВР. II. 155.

1890-იან წლებში უკვე მხოლოდ ზოგან, როგორც იშვიათი გამონაკლისი, ძველი ტრადიციული მევენახეობის მტკიცე დამცველთა შორის თუ მოინახებოდა „წესისამებრ გაშენებული მაღლარი“ (დობილო, ბაბილო ანუ დობირო). ე. ნაკაშიძე აგვიწერს, როგორც იშვიათ შემთხვევას, სოფ. ფახულანში, მსხვილ მემამულე გრ. დადიანის მაღლარს—25 დესეტინაზე,—კოლოშისჯიშის ვაზისა[38]. ამ დროისათვის (1896 წ.) „Oidium-მა კიდევ ვერ მოასწრო სავსებით გაენადგურებია ეს ნარგავები. ასე რომ ხანდისხან ამჟამადაც მიიღება ცოტაოდენი მოსავალი-ო“[39].

ადგილობრივ ჯიშთა მაღლარისავე ფორმით შემცვლელი იზაბელა (ოდესა) მდარე (თეთრ და შავ) ღვინოს იძლევა. 1874 წელს ხოჯაევის მტკიცებით სამეგრელოში ვენახს სულ ეჭირა 11. 000 დეს. და აქედან 10. 000 იზაბელაზე მოდიოდა.[40] 1870-იანი წლებიდან წარმოებდა ცდები იზაბელას ღვინოს გაუმჯობესებისა, შაგრამ სასურველი შედეგი ვერ იქნა მიღწეული. ოდესას ღვინო ბოლომდე დარჩა სახარჯო საშინაოდ სახმარ სასმელად. თუმცა იგი ხშირად გაქონდათ გასაყიდადაც[41], განსაკუთრებით გურიიდან (ოდესა, ადესა—საკელწოდებიდან ნავადგურისა, საიდანაც, ამერიკიდან აქ შემოიტანეს იზაბელას ჯიში).

1870—1880-იანი წლებიდან აქ იწყება მევენახეობის ერთგვარი აღორძინების ცდა, როგორც ძვ. ადგილობრივ ჯიშთა აღდგენის, ისე იმერული და კახური, აგრეთვე ფრანგული ჯიშების შემოღებითა და დანერგვის გზით. ახლა ვენახს, ცხადია, უკვე დაბლარი ფორმით აშენებენ. დ. ბაქრაძემ 1873 წ. სოფ. ნიგოითის მიდამოებში იხილა ბამბის ნათესები და „ქართულ ყაიდაზე გაშენებული ვენახები“, ე. ი. დაბლარი[42].

ამ პროცესს იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ მილდიუმ და ანტრაკოზამ შესამჩნევად დააზიანა თვით იზაბელაც

[38] CCBBK, IV, стр. 59. 71.

[39] იქვე, გვ. 111.

[40] ССК. III, 22.

[41] CCBBK, IV, 112—114.

[42] Д. Бакрадзе, АПГА, стр. 252.

და რაკი ვაზის ავადმყოფობათა წინააღმდეგ წამლობა. ასე თუ ისე, ცნობილი იყო „ზოგიერთმა ცალკეულმა მეურნემ დაიწყო მეტად მაღლა ასული მაღლარის ძირს ჩამოწევა. ანდა დაბლარისა და ოლიხნარის გაშენება, რათა გაადვილებულიყო ვაზის სხვადასხვაგვარი შეწამლვა“[43]. რაც შეეხება ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი ამერიკული ვაზის (საძირის) კულტურას, ბოლოს იგიც იქნა დანერგილი და უკვე 1891 წელს პრინც. ა. მიურატის მეურნეობაში (სენაკის მაზ.) დაიწყეს ამერიკულ საძირეზე ოჯალეშის დამყნობა[44].

დაბლარის გაშენება-მოვლისათვის გურია-სამეგრელოში, 1890-იან წლებშიაც, იწვევდნენ უპირატესად იმერელ მევენახეთ, რადგან ვენახის ეს ფორმა ადგილობრივი გლეხობისათვის კიდევ ახალი და ნაკლებად ცნობილი იყო. იმერელი მევენახეთ ჩვეულებრივ 2—3 წელიწადი მუშაობდა. რა დროშიაც თვით პატრონი ვენახისა სწავლობდა ყოველივეს. შემდეგ ანგარიშს უსწორებდა იგი ძვირად ღირებულ მევენახეს და თვითონ იწყებდა თავისი ვენახის მოვლას“[45].

მაგრამ აქ უკვე შესამჩნევად იყენენ ადგილობრივი მევენახეებიც. რომელთაც დაბლარის მოვლა-გაშენება იმერეთსა და ქართლ-კახეთში ჰქონდათ შესწავლილი. თუ დაბლარის პატრონობა უპირატესად მაინც დაქირავებული მუშახელით წარმოებდა. მაღლარი თვით მესაკუთრე გლეხის მიერ მუშავდებოდა; ანდა. თუ მემამულისა იყო—მეიჯარე გლეხი ამუშავებდა. რომელიც. როგორც მონაშენე. მენახევრე იყო.* მოსავლიან წლებში საგრძნობი ხდებოდა მუშახელის ნაკლოვანობა. რამდენადაც ეს ემთხვეოდა სიმინდისა და ღომის აღების პერიოდს.

გურია-სამეგრელოში 1830-იანი. ხოლო უფრო შესამჩნევად 1840-იანი წლებიდან დაეტყო მევენახეობას სავაჭრო მიწათმოქმედების დამახასიათებელი ზოგიერთი ტენდენცია. რაკი მევენახეობის შემოსავლიანობამ იმატა. თავი იჩინა ვენახე-

---

43 CCBBK. IV. 117; BP. стр. 104..

44 BP. II. 162.

45 CCBBK., IV. 83—84.

* იჯარის ფორმებზე იხ. ჩვენი მონოგრაფიები. ტ. II. გვ. 672—727.

ბის გაუმჯობესებისა და გაფართოებისადმი მიდრეკილებამ. ამ მხრივ გატარებულ ღონისძიებებს, გარდა დადებითისა ის სამწუხარო შედეგიც მოჰყვა. რომ ცარიზმის ბიუროკრატიის მეშვეობით გატარებული „ევროპიზაციის“ პოლიტიკის შედეგად დაიწყო ადგილობრივი საუკეთესო ჯიშების შეუფასებლობა და ხელი მიჰყვეს სხვადასხვა ჯიშის უცხოური ვაზების გამოწერას, რომელთა უდიდესი უმრავლესობა არამცთუ არ სჯობდა, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ადგილობრივ საშუალო ხარისხის ვაზებსაც-კი.

მაგალითად, დ. დ ა დ ი ა ნ ი ს ბაღში, რომელიც სანიმუშო და საუკეთესო იყო იმდროინდელ კავკასიაში, როგორც ქ. კ ო ლ ო დ ე ვ ი აღნიშნავს.—სოფლის მეურნეობის დარგში 1845—1850 წწ. კავკასიის ნამესტნიკის მოღვაწეობის მიმოხილვაში.—განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უცხოეთიდან და ყირიმიდან (აღსან. ?ხავია. რომ ყირიმიდანაც უპირატესად უცხოური ჯიშის ვაზები შემოჰქონდათ) გამოწერილი ვაზების მოვლა-პატრონობას[46]. ქუთაისის გუბერნიის ოფიციალური მიმოხილვაშიაც ნათქვამია, რომ „ასლა (1852 წ.) ქუთაისის სახაზინო ბაღში მოიპოება ყირიმის ვაზის თითქმის ყველა ჯიში და ისინი. თავადის ნ ა მ ე ს ტ ნ ი კ ი ს (მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს) ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი თ. უხვად ვრცელდებიან აქაურ მემამულეთა შორისო“[47].

კავკასიის ნამესტნიკი მ. ს. ვორონცოვი „ევროპული ცივილიზაციის დანერგვის გზით კავკასიის რუსეთთან მჭიდროდ შეკავშირების“ თავის პოლიტიკას, როგორც „ნახევრად მილორდი და ნახევრად ვაჭარი“, ისე ატარებდა, რომ იგი მისთვის. სასიამოვნოც ყოფილიყო და სასარგებლოც: კეთილისმყოფელის მანერით აქეზებდა, ე. ი. კარნახობდა ევროპული ჯიშის ვაზების ვავრცელებას. რაც ყირიმიდან, ე. ი. უმთავრესად მისი (ვორონცოვის) მამულებიდან უნდა ყოფილიყო გამოწერილი. როგორც ვთქვით. სწორედ უცხოურ ვაზთა ნერგებს შემოჰყვა

---

[46] ОДКН. стр. 9—10.
[47] КК на 1853, стр. 312.

აქ ვაზის სოკოვანი ავადმყოფობანი, და მერმე ფილოქსერაც, რომელთაც უდიდესი ზიანი მიაყენეს, როგორც საერთოდ მევენახეობას, ისე. ცხადია, მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

აჭარაში (ბათუმის ოლქში) უძველესი დროიდანვე განვითარებულ მევენახეობას ბოლო მოუღო მე-16 და განსაკუთრებით მე-17 საუკუნიდან მკვიდრთაშორის. სხვადასხვაგვარი და მკაცრი ძალდატანების შედეგად მაჰმადიანობის გავრცელებამ, რამაც აქ იმასვერჰლა აგრეთვე დიდძალი შესანიშნავი ძეგლი მწერლობისა და ხუროთმოძღვრებისა. დ. ბაქრაძე. რომელმაც აქ 1873 წელს არქეოლოგიური მიზნით იმოგზაურა, წერს. რომ აჭარაში არსად არ იშოვნებოდა ღვინო[48], თუმცა ტყეებში დარჩენილი გაველურებული ვაზი და მიწაში დაცული ჭურები (ქვევრები). რაც განსაკუთრებით ბლომად მოიპოვებოდა სავსებით დანგრეული თუ ნაწილობრივ გადარჩენილი ეკლესიების მიდამოებში[49] მოწმობდნენ, რომ ოდესღაც აქ ყოფილა განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა.

ჭარის ეკონომიკური ყოფიერების ფულისსმიერი დამკვირვებელი თედო სახოკია. რომელსაც კერძოდ მევენახეობისათვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია. 1898 წ. წერდა: „„მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისათვისაც ამოუკვეთინებია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც-კი უნახავთ!) იმასღა ჰმოწმობს. რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა. დღეს კი... საცაა ვაზები მოუვლელობით და უპატრონობით გადახმება და გადაიჩეხება[50].

მაინც მევენახეობა აქ „ჯერ კიდევ სულ არ გადაშენებულა... ვაზი უზარმაზარ ხეზეა გაშვებული. ღვთის ანაბარად იზრ-

[48] Д. Бакрадзе, АПГА. стр. 13. 54—60.
[49] იქვე. გვ. 27. 55, 57: ВР, II. 174—176.
[50] თედო სახოკია. „მოგზაურობანი“, 1950, გვ. 174.

დება სხვა ხეთა შორის... უმეტესობას ნაცარი და ობი აქვს მოდებული და მოსავალს აღარ იძლევა ანდა გამეჩხრებულა. თუ გამოისხა სადმე. დამწიფდება თუ არა ყურძნად შესჭამენ და ჭამის დროს-ღა შოიგონებენ თავიანთ ქრისტიან წინაპრებს: „გურჯობის" (ქართველობის, ე. ი. ქრისტიანობის) დროს დაურგავთო. რომ ვაზს განახლება უნდა, ან კიდევ მის სენს— წამლობა. ეს აზრად არვის მოსდის. ასეა ზემო-აჭარაში"[51].

ქვემო აჭარაში-კი „ყურძენს ცოტაოდენი ფული შემოაქვს აჭარელის ოჯახში". თ. სახოკიას ცნობით „ქრისტიანობის გადავარდნის შემდეგ აქაური ყურძენი... პირველად დასწურა და ღვინო დააყენა სიმონ იოსელიანმა 1896 წელს. მას თურმე ყურძენი სულ იაფად—ფუთი სამ აბაზად—უყიდია და 300 კოკა მშვენიერი ღვინო" დაუყენებია.

კერძოდ ლივანის, ე. ი. ლაზისტანის საფაშოს (ართვინის ოკრუგის) შესახებ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე წერდა: „ლივანში ვაზი აშენებულია ხეზე. მუსლიმანები ყურძენს უმეტესად ასაღებენ ფოთსა და ახალციხეში, ხოლო ღვინოს აყენებენ ქრისტიანები, რომლებიც ყურძენს, ქართული წესით, საწნეხელში შიშველი ფეხებით სწურავენ და ღვინოს ასხამენ მიწაში ჩათხრილ დიდ ქვევრებში, რომლებიც ძველი დროიდანვე მრავლად არიან აქ დაცულნი"[52].

არაა ცნობილი თუ როდის გაჩნდა აქ ოიდიუმი. 1886 წელს-კი ვ. გ ე ე ვ ს კ ი ს ცნობით. აქ უკვე ფართოდ იყო გავრცელებული ვაზის ეს ავადმყოფობა[53]. რასაც შემდეგში დაემატა აგრეთვე მილდიუ და ანტრაკოზაც; ეს გარემოება, ცხადია, კიდევ უფრო გაადიდებდა მიყენებულ ზიანს, მით უმეტეს. რომ. როგორც 1896 წ. ს. ტ ი მ ო ფ ე ე ვ ი წერდა, ადგილობრივი „მოსახლეობა ამ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ვაზის შესაწამლავ არავითარ საშუალებას არ იცნობდა"[54].

---

[51] თ. ს ა ხ ო კ ი ა, „მოგზაურობანი...," 1950, გვ. 174.

[52] Д. Б а к р а д з е, АПГА, стр. 40.

[53] «Отчет кавк. филоксерного комитета за 1888 г.,» стр. 99—101.

[54] ССВВК, IV, 184.

1890-იანი წლებიდან ბათუმის ოლქსა და ართვინის ოკრუგში დაიწყო მეევნახეობის აღდგენის ცდები[55], თუმცა რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგები ამას არ მოყოლია[56]. 1900-იან წლებშიაც აქ გაბატონებული იყო მაღლარი. ღვინოს. რაც ადგილობრივი მოხმარების საგანს შეადგენდა, მცირე რაოდენობით აყენებდნენ, ხოლო ყურძენი საკმაოდ გაქონდათ,— უმთავრესად ბათუმის ბაზარზე[57].

როგორც აღნიშნეთ, აჭარაში მეევნახეობის პროდუქტს უმთავრესად ყურძნის სახით მოიხმარდნენ. აკეთებდნენ აგრეთვე ბექმეზს. ხარდალს, ფელამუშს, ჩურჩხელას (რასაც აჭარელნი „ქუმა"-ს ეძახიან) და ძმარს.

თ. სახოკიას აღწერილი აქვს ხარდალის დაყენება და მოხმარებაც: „მართალია, მაჰმადის სჯულს აჭარელთათვის ყურძნის წვენის დალევა დუღილ-გათავებულის სახისა აღუკრძალავს. მაგრამ იმავე რჯულს ნება დაურთავს იგივე წვენი დალიოს „მართლმორწმუნემ" მხოლოდ აუდუღარი. ამ მეორე სახის წვენს ყურძნისას აქ „ხარდალი" ჰქვია. ხარდალს ამრიგად აკეთებენ: მოზელენ ხარდალს (მდოგვს). იმით. როგორც აქ ამბობენ, „გამოფაფავენ" ქვევრს. შიგ ტკბილს ჩაასხამენ და თავს მოუკრავენ. ტკბილი არ დუღდება. როცა ნადიმი აქვთ, ამ ტკბილს შეექცევიან ძველებური ღვინის მაგივრად. ხარდალსაც ბევრს არ აკეთებენ; ქვევრს თავს მოხსნიან თუ არა, რაცა დგას შიგა, სულ უნდა ამოსწურონ. ყურძნის გასაწურად იმერული საწნახელი დარჩენიათ. სახელათ „ჯარა" ჰქვიან..."[58].

სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებას და. 1890-იანი წლებიდან, მოსახლეობის ემიგრაციას შედეგად მოჰყვა აქ მეევნახეობა-მეღვინეობის შემდგომი დაქვეითება.[59]

---

55 BP. II, 175.

56 CCBBK. IV, 165—178.

57 იქვე, 187—189, BP, 11, 176.

58 თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა, „მოგზაურობანი..., 1950, გვ. 175.

59 С. Т и м о ф е е в, «Сельскохозяйственный очерк Батума и его окрестностей» (БИЕО. стр. 222—223).

თედო სახოკიას როგორც ზემო, ისე ქვემოაჭარაში, 1890-იანი წლების ბოლომდე შერჩენილი 17 სახელწოდების ყურძენი (ვაზის ჯიში) აქვს აღწერილი, რადგანაც მევენახეობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ისინი, როგორც აჭარული აბორიგენები ჯერ კიდევ არ არიან აღწერილი, ამიტომაც ამპელოგრაფთა საყურადღებოდ აქ მოგვყავს მათი სია. ესენია: ბუდეშური (თეთრი), ბურძგალა (თ.), ბუტკურა (წითელი), ბროლა (ადრეული, თეთრ.), ვანური (თ.), კლარჯული (თ. და წ.), მატენაური (წ.), მეკრენჩხი (წ. მაგარკანიანი), მწვანე (თ.), შხუმი (მეგრული „შხუ"—მსხვილი), ჩხავერი (წ.), ცხენისძუძუ (წ.), ჭოდი (მრავალმტევანა, რამდენიც ფოთოლი აქვს იმდენი მტევანი ასხია, მხოლოდ მტევანი თხელია), ხარითვალა (წ., სხვილ კუფხლიანი), ხოფათური (თ), ჯანიში (ბრეში-თეთრი) და აგრეთვე ადესა, რაც „ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინად ალბათ გურიდან არის შემოტანილი". ადესას გარდა „ყველა ზემოდასახელებული ჯიშები ძველებია"[60].

ს. ტიმოფეევს (1900-იანი წლების დამდეგს) დასახელებული აქვს კიდევ (ბათუმის სანახების აღწერისას) ბაღ-იუზუმი (თეთრ.), როგორც აბორიგენული ჯიში.[61] ყველა ესენი მაღლარის სახით იყვნენ გაშენებული და 1900-იან წლებში უკვე თითქმის სავსებით განადგურდნენ ოიდიუმისა და მილდიუსაგან, რასაც ამ ხანებში ზედ დაერთო კიდევ ფილოქსერაც.

იმერეთში მევენახეობის განვითარებას, მიუხედავად რიგი დაბრკოლებისა, ფართო პერსპექტივები გადაეშალა მე-19 საუკ. პირველი ნახევრიდანვე. უკვე 1850-იან წლებში აქ მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს დარგს საერთოდ სოფლის მეურნეობაში[62].

---

[60] თედო სახოკია, „მოგზაურობანი..." გვ. 175—176.

[61] БИЕО, стр. 223.

[62] «Растительность, сады и садоводство в Имеретии», («Кавказ», 1855, № 95. 97—100).

ამ ხანებში. ი. ბ ო ბ ი ლ ი ო ვ ი ს ცნობით, იმერეთში ღვინოს, რაც მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საგანს შეადგენდა, ყველა აყენებდა[63].

აღსანიშნავია, რომ ოიდიუმმა იმერეთის მევენახეობას, დაბლარს, ვერ მიაყენა იმდენად საგრძნობი ზიანი, ხოლო „სამეგრელოსა და გურიაში, Oidium Tucker-ს ძლიერი განვითარების შედეგად ყურძნის მოსავლის შემცირების მეოხებით გაიზარდა მოთხოვნილება იმერულ ღვინოზე, რასაც, რამდენადაც ამ მომენტს დაემთხვა ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანაც, გაეხსნა ახალი ბაზრები გორის მაზრასა და თბილისშიაც-კი"[64]. მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია ღვინოზე ფასების აწევა და, მაშასადამე, ვენახების გაფართოება.

შედარებით მეტი ზიანი მევენახეობას აქ მიაყენა მილდიუმ, რაც უწინარეს ისევ გურია-სამეგრელოში გაჩნდა და ამდენად იმერეთში უკვე შეეძლოთ მომზადებული შეხვედროდნენ ამ ავადმყოფობასაც. „დროულად მიღებულმა... ღონისძიებებმა ვაზის ამ ავადმყოფობის შედეგებიც არა საშინელი გახადეს". ამასთანავე სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლამ ხელი შეუწყო მევენახეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისაკენ მოსახლეობის მისწრაფების ზრდას. მაღლარი სულ უფრო დიდი ზომით ადგილს უთმობს დაბლარს, რომელიც აქ მე-18 საუკუნეშიაც ფართოდ იყო გავრცელებული[65].

იმერეთში ვენახის მოვლა დიდის გულმოდგინებით წარმოებდა, რასაც იწვევდა საერთოდ მცირემიწიანობაც. სავენახეს თითქმის ყველგან ანოყიერებდნენ ნაკელით. ვაზის გასხლვა-გაწმენდა სათანადო გულისხმიერებით ხდებოდა, რის შედეგადაც მიიღწეოდა „სრული შესაძლებლობა ვაზის მსხმოიარობის რეგულირებისა"[66].

---

63 Ф. Бобылев, «Несколько мыслей и замечаний об Имеретии в сельско-хоз. отношении» (ЗКОСХ, 1857 г., 1. 5—12); ВР. III; 153.

64 ССВВ, III, 4; ССВВ, IV, 60; МИЭБГКЗК, VII, 224.

65 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", გვ. 136—164.

66 ССВВ, III, 23—24.

ვაზს სხლავდნენ ადგილობრივი ნაკეთობის ნამგლისებური დანით—სასხლავით. 1870-ანი წლების დამდეგს „მებაღეობის განსაკუთრებული ინსტრუმენტები (ალბათ იგულისხმება ქარხნის ნაწარმოები იარაღები—პ. გ.), როგორც, მაგალითად. Secateur გეხვდება მხოლოდ თავად სვიატოპოლკ-მირსკისა (ბაღდადის რაიონში) და ბარონ ლონგეილის (ქუთაისის მაზ.) ვენახებში, ხოლო ადგილობრივ მკვიდრთ. მთელ ქუთაისის გუბერნიაში, ვაზის სასხლავად აქვთ მხოლოდ დანები ან სატევრებიო"[67]—ვკითხულობთ ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის სპეციალურ მიმოხილვაში. 1890-იანი წლებიდან-კი იმერეთში, დაბლარი მევენახეობის ზოგიერთ სოფელში. უკვე ჩნდება სეკატორები ადგილობრივ მცხოვრებთა შორისაც.[68] თუმცა სრულიადაც არაა გამორიცხული, რომ სეკატორები თვით 1870-იან წლებსა და უფრო ადრეც ჰქონოდათ ადგილობრივ მევენახეთაც, მაგალითად, გ. შერვაშიძის ვენახში (სოხუმთან ახლოს)[69].

მევენახეობა მთელს იმერეთში, რა თქმა უნდა, ერთრიგად არ იყო გავრცელებულ-განვითარებული. ბუნებრივ-ისტორიულ პირობათა შესაბამისად მთავარ რაიონს, სადაც, მაგალითად, 1890-იან წლებში მევენახეობის შემოსავალი შეადგენდა მოსახლეობის მთელი მეურნეობრივი საქმიანობის მთლიანი შემოსავლის 80%-ს,—წარმოადგენდნენ სოფლები მდ. ყვირილის მარცხენა მხარისა, აგრეთვე მდ. ჩხერიმელისა და ძირულას ხეობებში: ბაღდადი, დიმი, ობჩა, როდინაული, სვირი, კვალითი, ხარაგოული, ცხრა-წყარო, ფუთი, ბაზალეთი, ხორითი, უბისა და სხვ.

---

[67] ССК. III, 209; СМЭБГКЗК. IV, II, 39; ЗКОСХ. 1874 г.: № 1, 16—17.

[68] ССВВК. III, 25.

[69] «Статист. временник Российск. имп.», серия II. вып. XV, 290.

ქუთაისის გუბერნიის ეკონომიკური მდგომარეობის ოფიციალური მიმომხილველის (1890 წ.) სიტყვებით გუბერნიის მეღვინეობის მთავარ ცენტრებად ითვლებოდა სვირი და მისი მეზობელი თემები. „ამ ადგილებში მევენახეობამ ფართო მრეწველური ხასიათი მიიღო. სვირის მწარმოებლურობა იმდენად დიდია, რომ 1888 წელს ამ სოფლის მახლობლად მოწყობილ იქნა რკინიგზის სადგური ტვირთების მისაღებად. აქ გაშენებული აქვთ დიდი ვენახები (ესენი „თითქმის ყველანი გლეხებისა არიან"—პ. გ.) და დიდძალ ღვინოს აყენებენ... სვირელებს შეძლებულება საშუალებას აძლევს თავიანთი ღვინო გაყიდონ უპირატესად იმ დროს, როდესაც გუბერნიის სხვა ადგილებში მთელი ღვინო უკვე დალეულია (შესმულია) ან .გაფუჭებული (დაძმარებული). კარგ მეპატრონეთაგან (მეურნეთაგან) უკვე მიტოვებულია ვენახის გაშენების ადგილობრივი სისტემა. ე. წ. მაღლარი, ე. ი. ვაზის ხეზე შეშვება. ასეთი სისტემა დიდ ადგილს მოითხოვს. შესაძლებლობას არ იძლევა ვაზის წესიერი გასხლვისა და საერთოდ არახელსაყრელია იქ, სადაც მევენახეობას სურთ მისცენ მრეწველური ხასიათი და ეს სვირელებმა ადრევე შეიგნესო"[70].

კიდევ უფრო ადრე, 1886 წ. პ. ძ ი უ ბ ე ნ კ ო წერდა, რომ სოფ. სვირის მცხოვრებნი „განსაკუთრებით მისდევენ მეღვინეობას, და ეს ერთადერთი ადგილია ამ მხარეში (ამიერკავკასიაში—პ. გ.), სადაც საქმე შედარებით კარგადაა დაყენებული. სვირული ღვინოები დიდის რაოდენობით გააქვთ თბილისს, ოდესას, ყირიმში, ასე რომ ქუთაისშიაც კი ძნელად იპოვნება ნამდვილი ღვინო ამ სოფლისა. რომელშიაც 700 ოჯახია და რომელიც 100.000-მდე ვედრო ღვინოს აყენებს... ადგილობრივი გლეხები განირჩევიან შეძლებულობით და თავიანთ შორის ითვლიან რამდენიმე კაცს 100.000-იანი შეძლებისა. სოფელში არის კარგად გაწყობილი ორკლასიანი სასწავლებელი"[71].

---

[70] «Обзор экономического состояния Кутаисской губ. за 390 г». стр. 89.

[71] П. Д э ю б е н к о, наз. соч., стр. 7.

სწორედ იმავე ხანებში ქუთაისის მაზრის გლეხთა ეკონომიკური ყოფიერების აღმწერი ე. იოსელიანი აცხადებდა: „თუ სადმე ადგილი აქვს მევენახეობის კულტურის სპეციალიზაციას, ეს არის სახელდობრ სვირში. სვირელი დილიდან საღამომდე, ადრეულ, გაზაფხულიდან დაწყებული თვით ყურძნის მოკრეფამდე, ვენახში მუშაობს. მეღვინეობა მან გადააქცია თავის თუ არა ერთადერთ, ყოველ შემთხვევაში მთავარ საქმიანობად“[72]. ოციოდე წლის შემდეგ-კი სპეციალური კორესპონდენტი ასკვნიდა, რომ სვირის რაიონში მევენახეობა-მეღვინეობა „წარმოადგენს ერთადერთ წყაროს მოსახლეობის კეთილდღეობისაო“[73].

როგორც გინდ გადაჭარბებული არ იყოს ცნობები სვირელ მევენახეთა შეძლებულობის შესახებ, ის მაინც ნათელია, რომ აქ მიწათმოქმედების ეს დარგი უკვე 1880-იანი წლებიდან მაინც წარმოადგენდა ბურჟუაზიული თაოსნობის „გატკეპნილ“ სარბიელს. უკვე ამ დროიდან მევენახეობის ტექნიკურ-ეკონომიკურ ორგანიზაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ასდენს ბაზრის მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი. ღვინოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 1880-იანი წლების დასაწყისიდანვე, „თბილისელი და სხვა ვაჭარ-მეღვინეთა მოთხოვნების შესაბამისად გლეხებმა ყურძნის კრეფა დაიწყეს სექტემბრის ბოლოს ანდა ოქტომბერში; აქ არის რამდენიმე მემამულე, რომლებიც ყურძენს კრეფენ ნოემბერში“;—რათა ყურძენი საბოლოოდ დამწიფდეს და უკეთესი ხარისხის ღვინო დააყენონ[74].

იმერეთში დასახელებულ ადგილთა შემდეგ მოდიან ყვირილის მარჯვენა ნაპირის სოფლები—ჩხარისა და ტყიბულის რაიონის და აგრეთვე ხონისა და ქუთაისის რაიონისა—სადაც 1890-იან წლებში მევენახეობა-მეღვინეობის შემოსავალი შეადგენდა მეურნეობის მთლიანი შემოსავალის არა ნაკლებ 60—70 პროცენტისა.

---

[72] МИЭБГК, VII, 244.
[73] КВПС, 1902, № 110, стр. 12.
[74] П. Дзюбенко, наз. соч., стр. 9.

„ქვალის“ კორესპონდენტის სიტყვებით სოკოვან ავადმყოფობათაგან განადგურებულ მევენახეობას კვლავ ყურადღება მიაქციეს და „კიდეც სასურველ დონეზე დააყენეს. ევრარად შევხვდებით ისეთ ოჯახს, რომ დაბლარი თუ არა მაღლარი—ხეებზე გაშვებული ვაზი—არ ჰქონდესთ. არის ისეთი სოფლებიც, მაგ. ჩუნეში, ახალ-ბროწეულა და სხვანი, რომელთა მცხოვრებნი თითქმის მარტო ღვინის მოყვანით საზრდოობენო“[75].

რაც შეეხება საჩხერისა და ჭიათურის რაიონის სოფლებს, მდ. ჩხერიმელას შუაწელისა და სათავის, აგრეთვე მდ. ძირულას სათავისა—აქ მევენახეობა-მეღვინეობა მოსახლეობის ეკონომიკურ ცხოვრებაში თავისი მნიშვნელობით დაახლოებით უდრიდა მემინდვრეობისაგან მიღებულ შემოსავალს. დანარჩენ სოფლებში იმერეთის მევენახეობა მხოლოდ დამატებითი მეურნეობრივი საქმიანობის როლს თამაშობდა და, მაშასადამე, ვაჭრული თაოსნობის საგანს არ წარმოადგენდა. „რასაკვირველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საჩინოსა და საჯევახოს, სადაც წინათ, ოიდიუმის გავრცელებამდე, მევენახეობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, ხოლო მერმე თვით ადგილობრივ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებდა.

საერთოდ ქვემო იმერეთში ხარისხოვანი მეღვინეობა სოკოვან ავადმყოფობათა გამანადგურებელმა გავლენამ მოსპო და აქ მალე აბორიგენული ჯიშები იზაბელამ შესცვალა[76].

რაჭაში მევენახეობის რაიონი განსაზღვრულია რიონის ხეობისა და მისი შენაკადების ქვედაწელთა ვიწრო ზოლით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. აქ ადრიდგანვე ცნობილი იყო მევენახეობა ხვანჭკარის, ბეგეულის, ამბროლაურის და წესის თემთა სოფლებისა, სადაც უკვე 1870-იანი წლების დასაწყისშივე მევენახეობა-მეღვინეობა შეადგენდა უმნიშვნელოვანეს დარგს მოსახლეობის მეურნეობრივ საქმიანობაში[77]. 1880—

---

[75] „ქვალი“, 1899 წ., № 9, გვ. 137—138.
[76] ВР, II, 155.
[77] ССК, III, 216; ВР, II, 157.

1890-იანი წლებიდან კი, როგორც ე. დანდუროვი წერდა, „მევენახეობა... ადგილობრივ მცხოვრებთათვის წარმოადგენს ეოთადერთ წყაროს ფულადი შემოსავლისა. ყველა სახელმწიფო და თემობრივ გადასახადს და აგრეთვე მრავალ საჭიროებას რაჭის მაზრის მოსახლეობა ისტუმრებს უმთავრესად ღვინის გაყიდვიდან და ნაკლები ზომით კიდევ გარე-საშოვრიდან მიღებული ფულით“[78].

ვენახის მოვლა-პატრონობისათვის მხოლოდ მსხვილ მემამულეებს ჰყავდათ აყვანილი წლიურად დაქირავებული მუშები—მევენახეები. როგორც წვრილი, ისე მსხვილი მემამულე, ჩვეულებრივ. მოსავლის აღების დროს ქირაობდა დღიურ მუშებს. უმეტესწილად კი მემამულე ვენახს სანახევროდ აძლევდა თავის ყოფილ ყმა-გლეხს, ანდა კიდევ „მრავალი მემამულე სარგებლობდა „დროებით-ვალდებულ“ გლეხთა შრომით, რომელთაც სამაგიეროდ ათავისუფლებდა სხვა რაიმე ბეგარისაგან“.

ანალოგიური იყო მდგომარეობა ლეჩხუმშიაც. აქ ა. იაკოვლევის დაკვირვებით (1896 წ.) მემამულეთა ვენახი „უმრავლეს შემთხვევაში... მემამულეთა და გლეხთა საერთო სარგებლობაშია. ამასთანავე გლეხი ასრულებს ვენახის ყველა სამუშაოს და ვენახისმფლობელს აძლევს მოსავლის 1/4-დან 1/3-მდე. ზოგჯერ გლეხები მემამულეთაგან ვენახს იჯარით იღებენ და მაშინ მოსავალს შუაზე იყოფენ“.

რაჭაში საუკეთესოდ ითვლებოდა ალექსანდროულის ჯიშის ვაზი. ხვანჭკარის, ბუგეულის, ამბროლაურის და წესის თემში ამ ვაზის ყურძნისაგან თავ. ყიფიანები აყენებდნენ საუკეთესო ღვინოებს. საყიფიანოს ღვინო 1870-1900-იან წლებში განთქმული იყო ქუთაისის მთელ გუბერნიაში. 1886 წ. პ. ძიუბენკო წერდა: „თავადი ყიფიანი ერთადერთი კაცია მთელ გუბერნიაში, რომელმაც შესძლო ოჯახური საშუალებებით ისე დაეყენებია მეღვინეობა, რომ ყიფიანის ღვინოებმა სახელი გა-

[78] CCBBK. III. 38.

ითქვეს არა მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, არამედ თბილისშიაც"[79].

ათიოდე წლის შემდეგ ე. დანდუროვიც აცხადებდა—„ხვანჭკარის საზოგადოების ღვინოები თავად ყიფიანთა ვენახისა საუკეთესოდ ითვლება არამცთუ მაზრაში, არამედ გუბერნიაშიც. ისინი სხვა ღვინოებისაგან განსხვავდებიან თავისი არომატით, გარეგნობით. სასიამოვნო გემოთი და სხვა თვისებებით, რომელთა მიხედვით მცოდნენი მათ ადარებენ ბურგუნდიულ ღვინოებს"[80].

მთლიანად რაჭის შესაბამის კუთხეებში მეევნახეობა იმდენად რენტაბელური შეიქნა, რომ „ყველა ვარკის მიწაზე აშენებენ ვენახებს, ხშირად სოფლის მეურნეობის სხვა, აუცილებელ დარგთა ხარჯზედაც[81]. ხოლო იმ რაიონებში, სადაც მეევნახეობას ბუნებრივი პირობები ხელს არ უწყობდა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო საშოვარზე გასულიყო სხვა მაზრებსა და გუბერნიებში.

ლეჩხუმში ვენახს 1890-იან წლებში ეჭირა მიწათმოქმედების მთელი ფართობის თითქმის მეოთხედი ნაწილი. აქ როგორც ა. იაკოვლევი წერდა: „ღვინო შეადგენს საყოველთაო აუცილებელი მოთხოვნილების პროდუქტს და ამასთანავე ერთად ზოგიერთ თემში წარმოადგენს ვაჭრობის საგანს"[82].

* * *

დას. საქართველოში 1860-იან წწ. ბატონყმობის გაუქმების მომზადებასთან დაკავშირებით, ადგილობრივი თავადაზნაურული ინტელიგენციისა და სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღწერილია რეფორმამდელ პერიოდში მეევნახეობის ორგანიზაციის მთავარი მომენტები.

აქ მაშინ ვენახი უმთავრესად მაღლარისა და დაბლარის სახით იყო გაშენებული. ორივე ფორმის ვენახის გასაშენებლად „მშრომელისათვის საკმარისად ითვლებოდა 3 წელიწადი";

[79] П. Дзюбенко. назв. соч., стр. 9—10.
[80] ССВВК, III. 62—63.
[81] იქვე, გვ. 62—63.
[82] იქვე, გვ. 114.

ამასთანავე „დაბლარი მაღლართან შედარებით მეტ შრომასა და მოვლა-პატრონობას მოითხოვს. მაგრამ მისი შემოსავალიც აღემატება დაბლარისას ერთნაირ ფართობზე“[83].

მაღლარის გაშენებისას ერთ ქცევა მიწაზე (900 კვ. საჟ.), ჩვეულებრივ რგავდნენ არა უმეტეს ასი ხისა, რომელზედაც შეშვებული იყო ვაზი; დაბლარის სახით-კი 1 ქცევაზე, ისევე როგორც კახეთში. 2 ათასამდე ძირ ვაზს ანგარიშობდნენ[84].

მაღლარით დაკავებული მიწა, ასევე კაკლის, თუთისხისა და სხვა ხეხილის ბაღი იმავე დროს ხშირად ყანასაც წარმოადგენდა. ამიტომაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა მოითხოვდა. რათა მხოლოდ ასეთი მიწები, ცხადია, აგრეთვე დაბლარი. შესულიყო გლეხთა სანადელო მიწების ფონდში, ხოლო ისეთი მაღლარისა და ბაღების ფართობი. ხადაც მემინდვრეობას არ ეწეოდნენ (რადგან საერთოდ მაღლარი და ხეხილი „თითქმის არავითარ მოვლა-პატრონობას არ საჭიროებს“), ისევე როგორც ყველა დანარჩენი მიწები, მემამულეთა ხელშეუხებელ მფლობელობასა და სარგებლობაში დარჩენილიყო.

მათ მიერ ხელისუფლებისათვის მიწოდებული ცნობების მიხედვით: მემამულისაგან სანაშენოდ მიღებულ მიწაზე გლეხი ეწეოდა ვენახის, კაკლის, თუთის და სხვადასხვა ხეხილის ბაღის გაშენებას საკუთარი შრომითა და ხარჯით, ხოლო მერმე „მთელი მოსავლის ნახევარი ეკუთვნის მშრომელს და მეორე ნახევარი მიწათმფლობელს“[85]. ისინი დასძენდნენ. რომ ამ პირობით მიწის მიღებისას „მშრომელი მიწათმფლობელს ძღვენს აძლევს და კისრულობს წელიწადში კიდევ რამდენიმე დღე მისთვის იმუშაოსო“; ხოლო „ზოგიერთ ადგილებში იყო შემთხვევა, რომ გლეხები მოსავლის ნახევრის გარდა მემამულის

---

[83] П. Гугушвили, «Сельское хозяйство и аграрные отношения» (Материалы экономической истории Грузии и Закавказья), 1950, II. 316.

[84] იქვე. გვ. 331—332.

[85] იქვე, გვ. 317.

სასარგებლოდ ნებაყოფლობით იბეგრავდნენ თავს ცხვრისა და შინაურ ფრინველთა გამოსაღებითო"[86].

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე ქუთაისის თავადაზნაურთა კომიტეტი მოითხოვდა, რათა ბატონყმობის გაუქმების მერმე გლეხთა ხელში დარჩენილ (სანადელო) ბაღ-ვენახიდან მემამულეს ეძლეოდეს მოსავლის ნახევარი (კერძოდ ვენახიდან მემამულის სურვილისამებრ: ყურძნის ან ღვინის სახით) და თანაც გლეხი ვალდებული იყო, რათა ეს ნაწილი თვითონვე მიიტანოს მემამულის მიერ დანიშნულ ადგილას 15 ვერსის მანძილზე, ხოლო ღვინო კი—75 ვერსის მანძილზე.

ღვინოს ასე შორ მანძილზე გადატანის გლეხისათვის დაკისრების მოტივად ასახელებდნენ „მებატონეთა მამულების დაქსაქსულობას"[87]. მაგრამ სინამდვილეში იგი ნაკარნახევი იყო თვით ღვინის, როგორც საქონლის, რეალიზაციის ინტერესებით; რათა მებატონეებს შესძლებოდა თავისი წილი ღვინო გლეხისათვის მიეზიდვინებინა პირდაპირ მახლობელ ბაზრამდე, სადაც ამ პროდუქტს ისინი სირაჯებსა თუ მიკიტნებს აბარებდნენ.

თავადაზნაურობის კომიტეტი ამასთანავე მოითხოვდა, რათა გლეხს უფლება არ ჰქონდეს ბაღ-ვენახის სხვისთვის გადაცემისა;—რათა გლეხის მხრივ მოუვლელობის (ანდა ვაზის გამოწოვის) შედეგად ვენახის გაფუჭების შემთხვევაში მემამულეს უფლება ჰქონოდა მთლიანად მიესაკუთრებინა ვენახი.[88]

---

[86] რეფორმამდელ სამეგრელოში, პეტრე დადიანის ცნობით, გლეხობა მთავრისათვის გადასახდელი ბეგარით კომლობრივად იბეგრებოდა. ყოველ ახლად გამოყოფილ კომლს პური, ღომი, ხორცი და სხვ. იმდენი დაედებოდა რამდენიც ძველს. გაუყოფელს. თუ ერთი კომლი, მაგალითად, სამად გაიყოფოდა მათი ბეგარებიც სამჯერ გაიზრდებოდა, მაგრამ ეს არ ეხებოდა მხოლოდ ღვინის ბეგარას (ცულუხს),—ის როგორც გადაკვეთილი რამ არ გადადიოდა გამოყოფილი გლეხის კომლზე, ე. ი. ძველი ზომითვე რჩებოდა, თუკი ცხადია, არ იქნებოდა გაღიდებული ვენახის ფართობი. (იქვე, გვ. 466).

[87] П. Гугушвили. «Сельское хозяйство...», II, стр. 318.

[88] იქვე, გვ. 345.

მთავრობის კომისიამ არ გაიზიარა მებატონეთა მიერ მეტისმეტად უზომოდ გაბერილი მოთხოვნები, რაც მათ მიერვე საგანგებოდ შეთხზულ „მონაცემებზე“ ემყარებოდა, და, მსგავსად თბილისის გუბერნიისა აქაც სანადელო ვენახებზე, როგორც საერთოდ სანადელო მიწებზე, მემამულეთა სასარგებლოდ მოსავლის მეოთხედი ნაწილი დააწესა. გამონაკლისი დაშვებულ იქნა მხოლოდ მაღლარის მიმართ, „რადგან ამ ბაღების თავდაპირველი გაშენება და მათი ყოველწლიური შემუშავება ნაკლებ შრომასა და ხარჯებს მოითხოვს“, ვინემ დაბლარი;— ამიტომაც მაღლარიდან მემამულეს უნდა მიეღო მოსავლის მესამედი ნაწილი[89].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კერძოდ სამეგრელოს თავადაზნაურთა დეპუტატების კომისიის ცნობით მემამულეს უფლება ჰქონდა როდესაც-კი მოეპრიანებოდა ჩამოერთმია გლეხისათვის მემკვიდრეობით სარგებლობაში გადაცემული მაღლარი (და ამ ფართობზე ღომისა და სიმინდის დათესვის უფლებაც) და თვითონვე მოეკრიფა ყურძენი, ისე რომ არავითარი წილი არ დაედვა გლეხისათვის; მერმე კიდევ, სურვილისამებრ, გლეხისათვის უკანვე დაებრუნებინა ეს მიწა დასამუშავებლად.[90]

ბატონყმური ურთიერთობის მძიმე გადმონაშთებმა. როგორც ვიცით, ჩვენში თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოაღწია. ასეთს პირობებში მემამულეთა დიდ ნაწილს ვენახები თვით 1900-იან წლებშიაც თავიანთი ყოფილი ყმებისათვის. ანდა საერთოდ მევენახე გლეხებისათვის ჰქონდათ გადაცემული და მოსავლის ნახევარს ღებულობდნენ. ზოგან კიდევ ვენახის მოვლა-პატრონობის საქმეში მემამულე ეწეოდა თავისი „დროებითვალდებული“ გლეხის, ანდა სხვარიგად დაკაბალებული წვრილი მეურნის აუნაზღაურებელი შრომის ექსპლოატაციას.

ასე თუ ისე, მსხვილ მევენახეთა შორის მხოლოდ სპორადულად იყო განვითარებული წლიურად თუ დღიურად დაქირავებული მუშათა შრომის ექსპლოატაცია.

[89] П. Гугушвили, «Сельское хозяйство...», II, стр. 344—348.
[90] იქვე, გვ. 480, 501.

საერთოდ დას. საქართველოში მევენახეობის დონის, მნიშვნელობისა და დინამიკის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემომოყვანილი სტატისტიკური მონაცემები.

ცხრილში ვ ე ნ ა ხ ი ს ფ ა რ თ ო ბ ი ს (იხ. გვ. 618—619) დინამიკის შესახებ მოცემულია სათანადო ცნობები 1870—1915 წწ. მანძილზე. აქ ვენახით დაკავებული ფართობის მატება-შემცირების სურათი თვალნათლივ წარმოგვიდგენს იმ გამანადგურებელ გავლენას, რაც სოკოვან ავადმყოფობათა და მერმე ფილოქსერისაგან განიცადა მევენახეობამ და. ამასთანავე, იმ ინტენსიურ ცდებს, რითაც მოსახლეობა კიდევ და კიდევ ცდილობდა გაჩანაგებული მევენახეობის აღდგენას.

ოიდიუმი და მილდიუ უდიდეს ზიანს აყენებს მაღლარს, განსაკუთრებით 1850—60-იან წლებში. მართალია. 1870 — 1873 წწ. შედარებით 1894 წლისათვის ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში მაღლარის ფართობი რამდენადმე გაიზარდა.—უპირატესად ადგილობრივი ხარისხოვანი ჯიშების იზაბელათი (ადესით) შეცვლის მეოხებით, მაგრამ სწორედ 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გაერთიანებული შეტევის შედეგად მაღლარი უკვე თითქმის გადის მწყობრიდან, როგორც სამეგრელოსა და ლეჩხუმში. ისე განსაკუთრებით იმერეთსა და რაჭაშიც.

იმერეთში 1870-იანი წლების დამდეგს. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, დაბლარი, ფართობის მიხედვით (სულ 12.320 დეს.). არცთუ იმდენად იყო გაბატონებული და მაღლარს (სულ 7.250 დეს.) ჯერ კიდევ მთელი ფართობის (19. 570 დეს.) 37 პროცენტი ეჭირა. ოცდაოდე წლის შემდეგ, 1894 წელს, მაღლარს უკვე ეჭირა მთელი ფართობის (21.598 დეს.) მხოლოდ 25% (5394 დეს.); რა თქმა უნდა. მაღლარის ხვედრიწონა იმერეთის მევენახეობის შემოსავლიანობაში ამ დროს გაცილებით უფრო ცოტა იყო, ვინემ ამას მაღლარსა და დაბლარს შორის ფართობის მიხედვით არსებული შეფარდება გვიჩვე-

ვენახის ფართობი დას. საქართ

ადმინ. ერთეულები	1870—1873 წლ.[91]		1890 წ.[92]	1894 წლ.[93]		1897 წ.[94]	1903 წ.[94]
ქუთაისის მაზრა	5 000	4 000	7 716	3 296	3 931	7 393	4 950
შორაპნის მაზრა	2 250	8 320	9 222	2 098	12 273	8 214	6 238
რაჭის მაზრა	—	1 274	5 154	—	3 000	1 644	1 845
ლეჩხუმის მაზრა	800	1 000	1 461	328	1 800	1 747	1 639
ოზურგეთის მაზრა	4 000	?	1 240	6 190	28	10 080	5 379
ზუგდიდის მაზრა	4 845	?	2 829	7 380	54	1 254	1 222
სენაკის მაზრა	6 155	?	974	5 111	285	556	167
სოხუმის ოკრუგი	720	?	?	?	?	2 556	3 112
ბათუმის ოლკი	?	?	?	?	?	?	1 443
სულ	23 770	14 584	28 596	24 402	21 371	33 614	25 990
	38 364			45 773			

* 1870—1873 და 1894 წლების ცნობაში: პირველ სვეტში მოცემულია მაღლარის, მეორეში—დაბლარის ფართობი. დანარჩენ წლებში როგორც მაღლარი, ისე დაბლარი აღრიცხულია (ზოგჯერ აღწერილია) ერთად: ამასთანავე ასი ძირი მაღლარი (ბაბილო, დობილო) ვაზი, ჩვეულებრივ იანგარიშებოდა ერთ დესეტინა ვენახად. 1870—1873 წწ. მონაცემები საგანგებო დაკვირვების შედეგია, მერმინდელი ცნობები კი ამოღებულია საქციზო სამმართველოს „ანგარიშგებათა“ თუ „მიმოხილვათაგან“.

[91] ССК, III, 211, 216, 218, 222, 344, 348, 508—509; СВ, Серия II, вып. XV, 296—297, 310; უკანასკნელი წყაროს ცნობით ამ დროს დაბლარი ვენახი საკმაოდ იყო სამეგრელოსა (1000 დეს.) და გურიაშიც (200 დეს.).

[92] «Обзор экономического состояния Кутаисской губ. за 1890 г.»; КК. 1893, отд. стат., стр. 90).

[93] ССВВК, III, 5, 39, 79, 84; IV, 60—61; ზოგიერთი მაზრის შესახებ მოცემულია 1892 და 1895 წლის ცნობა.

[94] 1897 წლის შემდეგ ყველგან აღრიცხულია თითქმის მხოლოდ დაბლარი; ამ დროისათვის მაღლარი უკვე იმდენად გაფუჭდა და შემცირდა, რომ იგი, მაგალითად, სამეგრელოში „თითქმის სრულებით არ იძლევა მოსავალს“. მაღლარმა მეურნეობრივი მნიშვნელობა შეინარჩუნა მხოლოდ

ველოში (დესეტინობით)*

1908 წ.[96]	1909 წ.[97]	1912 წ.[98]	1913 წ.[99]	1914 წ.[100]	1915 წ.[101]	1917 წ.[102]
5 075	5 075	4 784	4 130	4 142	4 139	5 865
6 593	6 593	6 673	6 698	6 698	6 698	7 996
1 824	1 825	1 679	1 313	1 311	1 313	1 474
1 632	1 639	1 639	1 641	1 646	1 646	499
4 878	4 880	4 886	4 164	4 165	4 172	467
42	104	134	88	89	96	248
179	197	184	157	180	148	212
3 194	3 088	3 098	3 098	3 098	3 098	3 674
1 468	1 468	1 469	1 469	1 469	1 469	?
24 882	24 870	24 546	22 758	22 800	22 800	37 522

გურიაში, აფხაზეთსა და აჭარაში, სადაც იგი აღრიცხულია კიდევაც დაბ-
ლართან ერთად. ამ რაიონებში დაბლური ვენახის მთელი ფართობის და-
ა[illegible]ებით 5% შეიძლება ვივარაუდოთ (КК, 1899. отд. III, 84).

[96] КК, 1905, отд. III. 70.
КК. 1910 г., I. отд. IV. 574.

[97] ООППАДЗ за. 1909, приложение 6-ое.

[98] ООППАДЗ за 1912 г., » »

[99] ООППАДЗ за 1913 г., » »

[100] КК на 1916 отд. стат.. стр. 87.

[101] КК на 1917 отд., стат., стр. 356.

[102] „სტატისტიკური კრებული 1909—1921-, 1923, ტფ. გვ. 37. ჩვენს ცხრილში 1890—1915 წწ. მონაცემები ამოკრეფილია საქციზო სამმართველოს ანგარიშგებათაგან. შესაბამის მასალათა მხრივ ყველაზე უფრო სანდო წყაროდან, რამდენადაც იგი წმინდა ფისკალურ ინტერესებს ემსახურებოდა და სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ დაწესებულებას წარმოადგენდა. რაც შეეხება 1917 წ. მონაცემებს, როგორც „სტატ. კრებულის“ წინასიტყვაობიდან ჩანს, „პირველწყაროთა“ მიხედვითაა შემუშავებული, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი უპირატესად სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების „მოხალისე კორესპონდენტებისაგან“ მოწოდებულ მასალათა საფუძველზეა აშენებული და სწორედ ამდენადვე ამ (1917) წლის მონაცემთა აუთენტურობა შედარებით უფრო მეტ კრიტიკულ მოპყრობას მოითხოვს.

ნებს. 1900-იანი წლებიდან მაღლარმა იმერეთში უკვე სავსებით დაკარგა მნიშვნელობა.

თუ 1894 წელს საერთოდ ქუთაისის გუბერნიაში მაღლარის ფართობი კიდევ საგრძნობი იყო (24,4 ათასი ღეს.), ოცი წლის შემდეგ, სახელდობრ 1914 წელს იგი უკვე ექვსჯერზე მეტად იყო შემცირებული (4.000 დეს. ვერ აღწევდა) და რამდენადმე ანგარიშგასაწევ როლს მხოლოდ გურიაში თამაშობდა.

სოკოვანმა ავადმყოფობამ, მართალია, დაბლარიც ძლიერ დააზიანა, მაგრამ მაღლართან შედრებით ეს ზიანი უფრო ადვილად გამოსასწორებელი იყო; ასე რომ სარკინიგზო მიმოსვლისა და. მაშასადამე. ღვინის საქონლად გადაქცევის პროცესის გაძლიერების შესაბამისად, მოსახლეობაში მევენახეობისადმი გაზრდილი ყურადღების შედეგად. იმერეთში დაბლარის ფართობი 1870-იანი წლების დამდეგთან შედარებით 1894 წლისათვის 31,5 პროცენტით გაიზარდა. ხოლო კერძოდ შორაპნის მაზრაში—47.5 პროცენტით.

მაგრამ სწორედ ამ დროიდან ფართოდ გავრცელებულმა ფილოქსერამ უდიდესი ზიანი მიაყენა დაბლარსაც. ასე რომ შორაპნის მაზრაში 1894 წელთან შედარებით 1914 წლისათვის დაბლარის ფართობი თითქმის განახევრებული იყო. მთელს ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, გურია) დაბლარის ფართობი 1894 წელთან შედარებით 1914 წელს 40 პროცენტზე მეტად შემცირებული იყო; ხოლო საერთოდ ვენახის ფართობი-კი 45. 773 დესეტინიდან 18.223 დესეტინამდე, ე. ი. 60 პროცენტით დაეცა. ამგვარად, ეს ცხრილი გვიჩვენებს იმ გადატრიალებასაც, რაც მე-19 საუკ. მეორე ნახევარში მოხდა ჩვენს მევენახეობაში, სახელდობრ. მაღლარის გამოდევნისა და დაბლარის საბოლოოდ გაბატონების სურათს.

რა თქმა უნდა. დადად საინტერესოა ცნობები მევენახეობის (ყურძნის) მ თ ლ ი ა ნ ი მ ო ს ვ ლ ი ს ა და ს ა შ უ ა ლ ო მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ი ს შესახებ. სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემებით ამ მხრივ კიდევ უფრო შეზღუდული ვართ, ქვემომოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია შესაბამისი ცნობები 1870—1909 წწ. (ცხრილი იხ. გვ. 621).

ყურძნის მთლიანი მოსავალი, ათას ფუთობით და საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე ფუთობით 1870—1909 წწ.[103]

ადმინისტრ. ერთეულები	1870 წელს			1897 წელს		1909 წელს	
	მთლიანი მოსავალი	1 დესეტ.	1 დესეტ.	მთლიანი მოსავალი	1 დესეტ.	მთლიანი მოსავალი	1 დესეტ.
ქუთაისის მაზრა	3 189	200	100	951	128	979	192
შორაპნის მაზრა				401	48	1200	182
რაჭის მაზრა	876	350	100	264	161	145	79
ლეჩხუმის მაზრა				96	55	340	207
ოზურგეთის ოკ.	126	200	20	1 458	144	459	94
ზუგდიდის მაზრა	172	165	10	197	157	22	206
სენაკის მაზრა				37	66	33	167
სოხუმის ოკრ.	69	—	96	227	88	839	271
ბათუმის ოლქი	—	—	—	14	?	50	34
სულ	4 432			3 671		4 067	

1870 წ. ცნობით საერთოდ დას. საქართველოში დაბლარის მოსავალი ორ და მეტჯერ აღემატება მაღლარისას. რაც იმერეთსა და რაჭაში უდრის 1 დესეტინაზე 100 ფუთ ყურძენს, ხოლო გურიაში—20 და სამეგრელოში კიდევ მაოლოდ 10 ფუთს. ამ მოვლენის—ყურძნის მოსავლიანობის მხრივ ესოდენ მკვეთრი განსხვავების—ახსნა. ცხადია. უნდა ვეძიოთ არა მხოლოდ იმაში. რომ დაბლარი მაღლართან შედარებით უფრო ინტენსიურია, არამედ და გადამჭრელი ზომითაც იმაში. რომ სოკოვანმა ავადმყოფობებმა ამ დროისათვის უკვე მოასწრეს არსებითად გაენადგურებინათ მაღლარი.

ცხრილიდან ამასთანავე აშკარად ჩანს საერთოდ მევენახეობის საშუალო მოსავლიანობის სისტემატური დაცემა. მაგალითად. რაჭა-ლეჩხუმში 1870 წელს დაბლარის საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე უდრიდა 350 ფუთ ყურძენს, ხოლო 1897 და 1909 წლებში ის არ აღემატება 161 და 207 ფუთს.

ცნობილია. მაგალითად. რომ გურია-სამეგრელოში, ოიდიუმის გაჩენამდე ერთ დესეტინაზე 300—400 ფუთ ყურძენს

[103] ზემომოყვანილი ცხრილისათვის იხ. ზემოთ დასახელებული წყაროები, შესაბამისი წლების მიხედვით.

კრეფდნენ[104], ხოლო 1870 წლის ცნობით კი, როგორც დავინახეთ, ეს მოსავლიანობა 3—5 პროცენტამდე დაეცა, ე. ი. არსებითად ამ დროს მაღლარი უკვე განადგურებული იყო. ოფიციალური ცნობით სამეგრელოში (ზუგდიდისა და სენაკის მაზრ.) 1870 წელს მიღებულ იქნა სულ მხოლოდ 125 ათასი ვედრო ღვინო[105] და ეს მაშინ, როდესაც ოციოდე წლით ადრე, სახელდობრ 1852 წელს, ე. ი. სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენამდე, იმავე ტერიტორიაზე დაყენებულ იქნა 5.268 ათასი ვედრო[106], ე. ი. 42-ჯერ უფრო მეტი ღვინო; ანუ, სხვა სიტყვებით, 1870 წლის პროდუქცია 1852 წლის პროდუქციის მხოლოდღა 2.5 პროცენტს შეადგენდა.

ცხრილი ამასთანავე გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში დას. საქართველოს მევენახეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა კერძოდ იმერეთს; 1870 წელს იმერეთზე მოდის ყურძნის მთლიანი მოსავლის 72%. შემდგომ წლებში რამდენადმე წამოიწია აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის მევენახეობა; ასე რომ 1909 წელს იმერეთზე მოდის მთელი მთლიანი მოსავლის (4.067 ათასი ფუთი ყურძენი) დაახლოებით 53 პროცენტი.

ახლა, თუ ორსავე ცხრილის (გვ. 618—619, 621) მონაცემებს მთლიანობაში განვიხილავთ, დავინახავთ რომ საერთოდ ვენახის ფართობი დიდი სისწრაფით კლებულობს: 1870—1873 წწ.—38,4 ათასი დესეტინიდან 1909 წ.—24.9 ათას დესეტინამდე; ხოლო ყურძნის მოსავლის დინამიკაში კი, მართალია, საქმე გვაქვს კლებასთან, მაგრამ შესამჩნევად ნაკლები ზომით; შესაბამისად—4.432 ათასი ფუთიდან 4.067 ათას ფუთამდე. ამგვარად, ფართობის რაოდენობა დაეცა 65 პროცენტამდე, ხოლო ყურძნის მთლიანი მოსავალი კი უმნიშვნელოდ — მხოლოდ 92 პროცენტამდე. ეს გარემოება აიხსნება, ერთი მხრით, მაღლარიდან დაბლარზე, ე. ი. უფრო ინტენსიურ მევენახეობაზე გადასვლით, მაშასადამე, შრომის მწარმოებლურობის ზრდით და,

---

104 ССК, III, 344.
105 СВ, серия II, вып. XV, 310—311.
106 Лаврентьев. назв. соч., стр. 89.

მეორე მხრით, სავაჭრო მევენახეობის განვითარებით, ე. ი. ყურძნის (ღვინის) საქონლიანობის ზრდით, რაც ნაწილობრივ, შედეგია მევენახეობის პატრონობის, ე. ი. ტექნიკურ ორგანიზაციული ხერხების გაუმჯობესებისა.

მევენახეობის ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასებისათვის აუცილებელია კიდევ განვიხილოთ ზოგიერთი მონაცემი მევენახეობის საქონლური პროდუქციის (რაც საბოლოოდ ღვინის სახით მიიღება) რაოდენობისა და მოსახლეობაში ვენახის განაწილების, ე. ი. ვენახისმფლობელობის შესახებ.

ქვემომოყვანილი ცხრილი (გვ. 624) გვიჩვენებს 1870 — 1915 წწ. დაყენებულ ღვინის დინამიკას, ათას ვედრობით. როგორც ვხედავთ, დას. საქართველოში 1870 წლის პროდუქცია გადაჭარბებულ იქნა მხოლოდ 1908 წელს, ე. ი. მხოლოდ მას შემდეგ. რაც მოსახლეობის მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო გატარებული მევენახეობის აღდგენისათვის. ასე ვთქვათ, სარეკორდო ციფრი მიღწეულ იქნა 1913 წელს, როდესაც დაყენებული იყო 4.880 ათასი ვედრო ღვინო. ეს იყო. ამ მხრივ, საერთოდ ამიერკავკასიაშიც მევენახეობის ყველაზე მაღალი მოსავლიანი წელი. აღსანიშნავია ისიც. რომ 1913 წელს მთელ დას. საქართველოში დაყენებული ღვინის დაახლოებით 88 პროცენტი მოდის იმერეთზე (ქუთაისისა და შორაპნის მაზრებზე).

დაყენებული ღვინის რაოდენობის ზრდას. რა თქმა უნდა, შედარებით მცირე ნუგეში მოჰქონდა თვით მევენახე-მეღვინეთათვის, რომელთა ძირითადი მასები წვრილმწარმოებელთაგან შედგებოდნენ. დას. საქართველო ამ მხრივ განირჩეოდა თვით ამიერკავკასიაშიც.

ვენახის მფლობელობის შესახებ ქვემომოყვანილი ცხრილი (იხ. გვ. 624) გვიჩვენებს. რომ საერთოდ ქუთაისის გუბერნიაში საშუალოდ ერთ მფლობელზე მოდიოდა: 1908 წელს— 0.29, ხოლო 1914 წელს—0.28 დესეტინა ვენახი. მევენახეობის

ღვინის (მაკრის) პროდუქცია ათას ვედრობით 1870–1915 წწ.

ადმინ. ერთეულ	1870 წ.	1897 წ.	1903 წ.	1908 წ.	1909 წ.	1912 წ.	1913 წ.	1914 წ.	1915 წ.	1917 წ.
ქუთაისის მაზრა	2 319,3	674,1	685,0	973,7	745,5	1264,5	1 541,9	1 499,1	184,3	1 102,6
შორაპნის მაზრა		401,4	421,0	1054.9	980,7	2162,5	2 500,0	2 000,0	125,0	1 359,3
რაჭის მაზრა	637,0	264,5	246,0	164.0	120,0	132,3	90,0	80,0	8,5	303,6
ლეჩხუმის მაზრა		63,6	171,0	344.2	265,3	323,1	361,0	426,4	31,9	60,9
ოზურგეთის მაზრა	91,6	492,0	263.0	309,2	320,0	170.0	75,9	246,8	54,2	41,1
ზუგდიდის მაზრა	125,1	129,3	16,0	10,1	14,1	28,3	18,2	13,6	5,9	19,6
სენაკის მაზრა		22,7	5,0	24,7	24,0	34,0	45,0	40.7	3,9	18.6
სოხუმის ოკრუგი	50,4	181,2	79,0	484,3	595,0	518,2	238.5	348,7	19,4	242,5
ბათუმის ოლქი	?	1,0	1,0	9.3	5,9	7,5	9,6	?	?	?
სულ	3 223,4	2 229,8	1 878,0	3 373,7	3 070,2	4 640,4	4 880,1	4 555,3	4 33,1	4 734,9

ქუთაისის გუბერნიაში ვენახისმფლობელთა და ვენახის ფართობის (დესეტინობით) რაოდენობა

მაზრების დასახელება	1908 წელს			1814 წელს		
	ვენახის მფლობელთა რაოდენობა	ვენახის საერთო ფართობი	1 მფლობელზე მოდიოდა საშუალოდ ვენახი	ვენახის მფლობელთა რაოდენობა	ვენახის საერთო ფართობი	1 მფლობელზე მოდიოდა საშუალოდ ვენახი
ქუთაისის	22 095	50 75,1	0,23	1 8227	4 142	0,23
შორაპნის	26 202	65 93,1	0,26	2 7112	1 698	0,25
რაჭის	5 763	18 24.2	0,31	5367	1 313	0,25
ლეჩხუმის	4 178	16 39,2	0,39	4184	1 646	0,39
ოზურგეთის	10 450	48 77,1	0,48	9504	4 167	0,44
ზუგდიდის	90	41,7	0,46	291	89	0,30
სენაკის	943	1 79,3	0,19	1261	180	0,14
სულ	69 751	20 230,2	0,29	65 946	18 233	0,28

წამყვან ცალკეულ რაიონებში, მაგალითად, იმერეთში საქმე გვაქვს უფრო წვრილმფლობელობასთან. ქუთაისის მაზრაში—0,23, ხოლო შორაპნის მაზრაში—0,25 დესეტინა მოდის საშუალოდ ერთ მფლობელზე. უფრო ადრე, სახელდობრ 1890-იანი წლების შუაში აქ გლეხის ვენახის (დაბლარის) მაქსიმალური სიდიდე 10 ქცევას (4 დესეტიხას) აღწევდა, ხოლო მინიმალური 1.9 ქცევამდე ეშვებოდა[107].

რაჭაშიაც ვენახების უდიდესი ნაწილი წვრილ გლეხურ საკუთრებას წარმოადგენდა. აქ 1890-იანი წლების პირველ ნახევარში გლეხის ვენახის ფართობი მერყეობდა ½-დან 6 ქცევამდე, ხოლო მემამულეთა-კი: 2—25 ქცევამდე, თუმცა აქ იყო მემამულე (თავ. ერისთავი სოფ. წესში), რომელსაც 40 ქცევა ვენახი ჰქონდა[108]. 1914 წელს საერთოდ ვენახის 1 მფლობელზე საშუალოდ 0,25 დესეტინა მოდიოდა.

გურია-სამეგრელოში გლეხებს ვენახის (დაბლარის) მცირეოდენი ნაკვეთები-ღა ჰქონდათ;—მათი ფართობი 1890-იან წლებში ჩვეულებრივ, მერყეობდა 0,1-დან—0,3 დესეტინამდე. მემამულეებს კი გააჩნდათ 1,5-დან—10 დესეტინამდე ვენახები[109]. 1900-იან წლებში აქ ეტყობა ვენახის მფლობელობის უფრო დამსხვილება. ეს გარემოება, ცხადია, შედეგია მხოლოდ იმ გარემოებისა, რომ აქ მაღლარის განადგურების პროცესში გლეხური მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა (განსაკუთრებით სამეგრელოში) უკვე უვენახოდ დარჩა, ხოლო დაბლარის გაშენება, როგორც უპირატესად სავაჭრო მიწათმოქმედებითი თაოსნობა, მხოლოდ მემამულეებსა და საერთოდ მოსახლეობის შეძლებულთა ფენასღა შეეძლო.

დას. საქართველოში მსხვილი ვენახების ორგანიზაციისა და ეკონომიკის თვალსაზრისით საკმარისია გავეცნოთ, მაგალითად, პრინც მიურატის (დადიანის სიძის) ზამულს სამეგრელოში. ე. ნ ა კ ა შ ი ძ ე, რომელმაც დაგვიტოვა ამ ზვრების აღწერა

---

107 ССВВК, III, 6.

108 იქვე, გვ. 39.

109 ССВВК, IV, 60; МИЭБГКЗК, VII, 244.

(1896 წ.) აღნიშნავს, რომ აქ. ს. სალხინოში, ახალი ვენახი (დაბლარი) გაშენებულია „იმ ადგილას, სადაც იყო სამეგრელოს მთავრის ოჯალეშის ნარგავთა ძველი მაღლარი ვენახი. ეს (ოჯალეშის) ვაზები აქ შეშვებული იყო მხოლოდდამხოლოდ ხურმის ხეზე. ეს ხეები ამოძირკულ იქნა და, ამგვარად, დაახლოებით 15 დეს. ძველი ვენახისა უკვე გადაქცეულ იქნა დაბლარად“.

ეს მოხდა 1889 წელს, როდესაც აშილ მიურატი შეუდგა „თავის მამულებში—სალხინოსა (სენაკის მაზრ.) და ჭკადუაშში (ზუგდიდის მაზრ.)—სანიმუშო ვენახის გაშენებას“. ამასთანავე მხედველობაში იყო მიღებული აღდგენა „ოდესღაც სახელგანთქმული ოჯალეშის ვენახისა—რაც თითქმის სავსებით განადგურდა სოკოვან ავადმყოფობათაგან“[110].

სალხინოსა და ჭკადუაშის ზვრებისათვის გამოიწერეს აგრეთვე ცნობილი ქართული ჯიშები—ბაღდადი, კრახუნა, ციცქა, შავა, რკო და სხვ. პროფ. ფ ო ე ქ ს ი ს (მონპელიე) რჩევით მემამულემ პარიზიდან მიღებული თესლით (1890 წ.) აქ გააშენა ამერიკული ვაზის სანერგეც. რომლის ფართობი 1896 წელს უკვე 3 დესეტინას უდრიდა. აქვე დაიწყო ადგილობრივი ჯიშების, კერძოდ ოჯალეშის იზაბელაზე (ადესაზე) დამყნობა. „რამაც კარგი შედეგი გამოიღო“[111].

1893—1896 წწ. ჭკადუაშის ზვრებში ჭიგოები (სარები) შეცვლილ იქნა მავთულთა შპალერებით, ამასთანავე ბოძებად და სხვა ხის მასალად მავთულთა შპალერისათვის გამოყენებული. იყო მხოლოდ და მხოლოდ აკაცია. 1896 წელს სალხინოშიც დაიწყო მავთულთა შპალერებზე გადასვლა.

დამყნობის ყოველგვარ ოპერაციებს აქ ასრულებდნენ ადგილობრივი გლეხები „თვით მამულის მფლობელთა ხელმძღვანელობით“. ამ გლეხებმა „მალე და ადვილად შეითვისეს ეს სამუშაო და მათ თავისუფლად შეუძლიათ შეცვალონ ყოველი უცხოელი სწავლული მყნობელი, რის გამოც საჭირო არ

---

[110] CCBBK, IV, 120—123

[111] იქვე, გვ. 124.

შეიქნა მყნობელთა უცხოეთიდან გამოწერა. ადგილობრივ მყნობელ გლეხთა უმრავლესობა ქალებია—იმის მეოხებით. რომ თვით პრინცესა (დადიანის ასული) თავისი ქალიშვილით აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ სამუშაოს შესრულებაში". მუშაობა, როგორც ჩანს, გრძელდებოდა დილის 7 საათიდან საღამოს 6 ს. 30 წ-მდე[112].

ს. სალხინოსა და ს. ჭკადუაშის ზვრები სულ ფართოვდებოდა შემდეგს წლებშიაც; თუ 1895 წელს მათი ფართობი უდრიდა 25 დეს., 1898 წელს უკვე 50 დესეტინამდე აღწევდა. აქ მევენახეობა „ყველაზე უფრო რაციონალურ ხერხებზეა" დამყარებული.[113]. მემამულე ვენახის გასაშენებლად გამოყოფილ მიწას ერთი-ორი წლით დასამუშავებლად აძლევდა მეზობელ გლეხებს, რომლებიც აქ თესდნენ სიმინდს, გლეხებს უხდებოდათ ნიადაგის გაწმენდა, ამოძირკვა. რისთვისაც მიწის საიჯარო ქირას (ღალას) არ იხდიდნენ; მათვე ეკუთვნოდათ მიწის გაწმენდისას მოჭრილი და ამოძირკული ხე-ტყეც.

ს. ჭკადუაშში გამართული იყო სპეციალური სახელოსნო. სადაც მუხის მასალისაგან კეთდებოდა 150—300 ვედროს ტევადობის როფები და 20—40 ვედროს ტევადობის კასრები, ოგრეთვე მეღვინეობისათვის საჭირო სხვა ინვენტარი (ვედროები, როფები და სხვ.). ამავე მეურნეობაში 1893 წლიდან წარმოებდა სპირტის გამოხდაც—რისთვისაც აქ გაიმართა სპეციალური ქარხანა „გაუმჯობესებულ გაწყობილობათა საფუძველზე". მამულში „ამ ქარხნის გაწყობის მთავარი მიზანი იყო კონიაკის დაყენება". კონიაკისათვის სპირტს ინახავდნენ (აძველებდნენ) მუხის კასრებში. ეს კასრები კეთდებოდა საფრანგეთიდან მიღებული მუხის ტკეჩებისაგან.

მაგრამ საერთოდ ამ მამულში მიღებულ მევენახეობის სხვადასხვა პროდუქციათა შორის ყველაზე მთავარი მაინც ღვინო იყო, ხოლო აქ დაყენებულ ღვინოთა შორის კი „განსაკუთ-

---

112 ССВВК. IV, 130—131.
113 КСХ. 1898. № 257. стр. 797.

რებულ ყურადღებას იმსახურებს წითელი ღვინო სვანური ოჯალეშის ჯიშისაგან დაყენებული". მეღვინე გლეხთა მოწმობით, რომლებიც „კარგად იცნობდნენ ძველი მაღლარი ოჯალეშისაგან დაყენებულ ღვინოებს" ახალი, დაბლარი ოჯალეშის ყურძნისაგან გაკეთებული ღვინოები, არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ მათ"[114].

გარდა ოჯალეშისა და სხვა ქართული ჯიშის ვაზებისა სალხინოსა და ჭკადუაშის ზვრებში გაშენებული იყო ფრანგული ჯიშები kabernet, მურვედრი, Portugais-bleu, ყურძნის განსაკუთრებით დიდ მოსავალს იძლეოდა უკანასკნელი.

ზვრების მთელ სამუშაოებს აწარმოებდნენ ადგილობრივი გლეხები, რომლებიც აქ მუშაობდნენ, როგორც დღიურად (სეზონობით) აგრეთვე წლიურად დაქირავებულნი. უკანასკნელთა შორის უმეტესობა ლეჩხუმლები იყვნენ, რომელთაც, შინ დაბრუნებულთ, შეეძლოთ საკუთარ ვენახებში გამოეყენებინათ აქ მიღებული გამოცდილება[115]. 1900-იან წლებში სალხინოსა და ს. ჭკადუაშის ზვრები სამეგრელოში „ითვლება რაციონალურ საწყისთა გამტარებლად". სწორედ ამ მიზნით, ე. ი. რათა დახმარებოდა მევენახეობის მიმდევარ მოსახლეობას ვაზის კულტურის „მოვლა-პატრონობის რაციონალური ხერხების" დანერგვაში. ეს მემამულე ხელისუფლებისაგან ღებულობდა „ყოველწლიურ სუბსიდიასაც"[116],—თუმცა ამ მხრივ თავისი მოღვაწეობის დადებითი შედეგებით იგი, ცხადია, ვერ იამაყებდა.

„არაუკუღმართული მარცხის" სახით წარმოქმნილა და მოგვეპოვება კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, სახელდობრ, მოსახლეობის ერთ სულზე დაყენებული ღვინის რაოდენობისა და ამ უკანასკნელის ღირებულების შესახებ.

---

114 ССВВК. IV. 139.

115 КСХ. 1898, № 257, стр. 797; КСХ. 1898 г., № 259, стр. 829.

116 КХ, 1909, № 21, стр. 10.

1906 წელს მოსახლეობის 1 სულზე მოდიოდა[117]:

	ღვინო ვედრობით	ღვინის ღირებულება მანეთობით
ქუთაისის მაზრაში	3,30	4.95
შორაპნის	4,93	5.92
რაჭის	2,07	6,25
ლეჩხუმის	6,07	6,81
ოზურგეთის	7,42	4.08
ზუგდიდის	0,13	0.26
სენაკის	0.08	0.16

როგორც ვხედავთ, მევენახეობა-მეღვინეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დას. საქართველოს მოსახლეობისათვის. იგი უმნიშვნელო როლს თამაშობდა მხოლოდ სამეგრელოში, სადაც ამ დროს უკვე განადგურებული იყო აქაური ძვ. განთქმული მევენახეობა; განსაკუთრებით დიდი იყო მევენახეობის მნიშვნელობა კერძოდ ბაღდადისა და სვირის რაიონებში იმერეთისა და ქვემო რაჭაში, სადაც იგი არსებითად მთავარი ასპარეზი იყო მოსახლეობის მეურნეობრივი საქმიანობისა და. მაშასადამე. არსებობის ასეთივე წყაროც.

(გაგრძელება იქნება ამავე ტომის მეორე წიგნში).

117 «Обзор Кутаисской губернии за 1906», 1908 г., Кутаис. стр. 20—21.

შემოკლებათა განმარტება

მია — მთავარი ისტორიული არქივი
მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
სმკს (ცსმს) — სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოება
სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
სცსს — საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო
ცსია — ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი

АНХ—Архив народного хозяйства СССР
АПГА—Археологическое путешествие по Гурии и Аджаре
АСКАК—Акты, собранные Кавказской археографической комиссией
ГИА—Главный исторический архив
ВР — Виноделие в России
ДГЗАЗ—Доклады губернских и областных земских агрономов Закавказья
ЗКОРГО — Записки Кавказского отд. русского географического общества
ЗКОСХ — Записки Кавказского общества сельского хозяйства
КВПС — Журн. «Кавказский вестник практического садоводства»
КК—Кавказский календарь
КПК — Кустарная промышленность на Кавказе
КС — Кавказский сборник
КСХ — Журн. «Кавказское сельское хозяйство»
КХ — Журн. «Кавказское хозяйство»
ЛОЦИА — Ленинградское отделение центрального исторического архива
МВВУЗ — Материалы по вопросу о введении земских учреждений в Закавказье
МИГК — Материалы по истории Грузии и Кавказа
МИЭБГКЗК — материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края.
МУКЛЗПИСК — Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ и изучения скотоводства на Кавказе
НХЗ — Народное хозяйство Закавказья в цифрах
ОДККК — Отчет о деятельности Кавказского кустарного комитета, и учреждений по кустарной промышленности на Кавказе.
ОРВЗ — Обозрение российских владений за Кавказом.

ООППАДЗ — Обзор отраслей промышленности, служащих предметом косвенного обложения и положения акцизного дела в Закавказском крае.
ОСЭСХС — Отделение сельской экономии и сельскохозяйственной статистики
ОФЗБГ — Обзор фабрик и заводов Бакинской губернии
ОФЗЗК — Обзор фабрик и заводов Закавказского края
ОФК — Отчет о деятельности Кавказского филоксерного комитета.
ПСЗРИ — Полное собрание законов Российской империи
РТКЭДЖ — Район Тифлисского-Карсско-Эриванской железной дороги
СВРЗК — Справочник по водным ресурсам СССР, т. XI, Закавказье
ССВВК — Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе.
ССК — Сборник сведений о Кавказе
ССКЦРК — Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе
СССЗК — Сборник статистических сведений по Закавказскому краю
СССК — Сборник статистических сведений о Кавказе
СССОУР — Сборник сведений о сельскохозяйственных опытных учреждениях в России
ССТД — Сборник статей и материалов по табачному делу.
ТЗСТ — Труды Закавказского совещания по табаководству.
ТКОСХ — Труды Кавказского общества сельского хозяйства
ТМКСХП — Труды местных комитетов сельскохозяйственной промышленности
ТОПКП — Труды общекавказского продовольственного комитета
ТПКССХ — Труды первого Кавказского съезда сельских хозяев
ТПСНКЗЗ — Труды первого съезда НКЗ ЗСФСР
ТСВВК — Труды съезда виноградовладельцев и виноградарей Кахетии
ТСХ — Труды съезда хлопководов в гор. Тифлисе 1—6 ноября 1912 г.
ТЗЭС — Труды Закавказского экономического совещания
УЦГАЛ — Управление центральных государственных архивов Ленинграде
Ф. ВОТГП — Фонд ветеринарного отделения Тифлисского губернского правления
Ф. ДУСХК — Фонд департамента управления сельским хозяйством и колониями.

Ф. ЗАУ — Фонд Закавказского акцизного управления
Ф. ККН — Фонд канцелярии Кавказского наместника
Ф. МФ — Фонд Министерства финансов
Ф. УГЗК — Фонд уполномоченного главноуправляющего землеустройства и земледелия на Кавказе
Ф. УИВК — Фонд управления инспектора вод на Кавказе
Ф. МЗГИ — Фонд Министерства земледелия и государственных имуществ
ЦАУГ — Центральное Архивное управление ГССР
ЦСУ — Центральное статистическое управление
ЭВЗ — Журн. «Экономический вестник Закавказья»
ЭО — Журн. «Этнографическое обозрение»
ЭТЗ — Экспортные товары Закавказья

საძიებლები*

1. საკუთარ სახელთა საძიებელი

ბბაშიძე ა. — 574
ბბაშიძე კ. — 37
ბბდულაევი მ. — 124—125, 404
Абдумаджидов Г. —420
ბბხაზი ივ. — 502
Авалишвили И.—338, 475
ავან-იუზბაშევი — 473
ბზიზიანცი რ. — 248
ბზიმბეკოვი — 128
ათაბეგოვი ი. — 362, 454—455
ალექსეევი ვ — 271, 297. 395, 406, 412
Алексеров А.—420
ალიევი — 113
ალიხანოვ-ავარსკი — 583
ანანოვი ი. — 43, 282
ანდრონიკაშვილი ღ. — 45, 579
ანდრონიკაშვილი ი. — 77, 364, 517. 521—523, 542—554, 578—579, 582
ანდრონიკაშვილი ს. — 44
Андроников А.—583
არამიანცი — 347, 349 — 351, 382, 473 — 474
არზუმანოვი ბ. — 404, 420
Armin V.—6, 7
Арутюнов Р.—303. 399, 425
არღეთინსკი — 562
Асланян Е.—521
Асланов П.—7
ასურბანიპალი — 517
აუფერმანი — 397
ახუნდოვი — 382
ბაბკინი ა. — 309
Babo A.—4
ბაგრატ მეფე (IV) — 592
Балас М.—501, 513, 528—529. 535. 544, 595
ბაეულოვი თ. — 417
ბარანოვსკი — 163
ბარკი პ. — 29
ბატონიშვილი ი. — 527
ბატონიშვილი ვ. — იხ. ვახუშტი
ბაკრაძე დ. — 112, 138, 507, 536. 538, 540—541, 599—600, 603 — 604
ბაშინყალიანი ს. — 283
ბახტაძე ვ. — 49
Бахтадзе И.—31, 158, 175
Безобразов Д.—427, 432. 441
ბელიცკი ვ. — 329

---

* შეადგინეს ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა: ლია შაყულაშვილმა—საკუთარ სახელთა; ამირან გაგნიძემ, რევაზ გოგოხიამ და ლამარა მინდორაშვილმა—გეოგრაფიული; მარი კაპანელმა, დემიან ონიანმა, გურამ ფირცხალავამ და ეკონ. მეცნ. კანდ. სერგო ბელიძემ—საგნობრივი საძიებელი.

ბეჟანოვი მ. — 112 — 113
ბერეკაშვილი კ. — 552
ბერია პავლე — 167
ბერია პახუ — 167
ბერიძე ს. — 142
ბერძენიშვილი ნ. — 391, 498
Бобылев Ф.—607
ბოგდანოვი ა. — 161
ბოკი — 487
Болгарев П.—505
ბროდსკი — 274
ბუნგე ნ. — 63
Бучинский А.—7

Гаджигасанский—346
Gamba—425, 502, 507, 525
გამაზოვი — 80 — 81
გამხარაშვილი გ. — 367
გეევსკი ვ. — 521, 554, 604
გეგორქოვი — 410, 420
გეიერი — 410
გერენშტეინი ნ. — 152
გიორგი XII — 503 — 504
გიორგი, მონაზონი — 484
გიულდენშტედტი ი. — 498 — 499
გლურჯიძე — 496
გოზალიშვილი ნ. — 567
გოგებაშვილი შ. — 564
გოკიელი რ. — 153, 169
გოლოვაცკი ს. — 308 — 309
Гофмейстер В.—394
გროსბერგი მ. — 589
გრუზინსკი (ბაგრატიონი) ირ. — 78
გუგუშვილი პ. — 42, 138, 182, 234, 251, 257, 297, 304, 326, 392, 428, 495, 500, 534, 541, 575, 614, 616
გუდოვიჩი — 499
გუკასიანი პ. — 83, 162
Гукасянц Л.—158
გულიშამბაროვი ს. — 40, 261
გუნცაძე ი. — 546, 572, 588
გურგენიძე ს. — 39
ზადანოვი — 113
დადიანი — 32, 39, 598, 600, 625, 627
დადიანი გ. — 600
დადიანი დ. — 526 — 527, 534, 601
დადიანი პ. — 615
Дадьян—598
Дандуров С.—82, 612—613
დასელი მ. — 386 — 387
Дайчман А.—535
დემენტიევი ა. — 452, 454
დერეზი ფონ ნ. — 175
Дзюбенко П.— 84, 139—141, 509, 521, 523, 540, 596, 599, 609—910, 613
Dubois—507
Джапаридзе А.—7
დუდინსკი — 39
დუსი — 33

ეგიაზაროვი ს. — 296
Эгиз С.—5. 145
ედიგაროვი მ. — 37
Евецкий С.—502, 525
ეკატერინე II — 5
Элпидов Д.—535
ენგელსი ფ. — 238 — 239
ენფიანჯიანცი ა. — 49, 78, 86, 169
ერისთავი — 625
ერისთავი ა. — 538, 544
ერისთავი ზ. — 587
ერისთავი კ. — 138
ერისთავი მ. — 36—37, 138
ერისთავი რ. — 142, 259
ერმოლოვი ა. — 275
ერშოვი გ. — 487
ეფენდიევი — 420

ვასილიევი ი. — 440
Васильевский А.— 583
ვატაცი ე. — 44, 443, 447

ვახუშტი — 31, 246 — 247, 498, 525 — 526, 607
ვახტანგ VI — 496
ველისციხელი — 555
Верман К.—518
ვერმიშევი ქ. — 62 — 63, 449
ვერნი დე ლა — 577
ვედენსკი — 553
ვოგაუ — 403 — 404
Володарский И. —7
ვოლპერი ე. — 309 — 311
ვორონცოვი მ. — 32, 35, 37, 55, 253 — 254, 314, 371, 417, 534, 602
ვოროვებსკი ვ. — 440

ზაგარჩიანცი გ. — 319
ზარზმელი ბასილ — 518
ზარზმელი სერაპიონ — 518
ზიდლიცი ნ. — 45, 440, 487
ზ[illegible]ნსკი ს. — 514, 528, 542
ზო[illegible]ინი ნ. — 457
ზილბ[illegible]შტეინი — 410
ზლატოგორსკი — 404, 482

თამამშევი — 473
თაყაიშვილი ე. — 515
თუმანიშვილი პ. — 448

იაკობაშვილი — 87
იაკოვლევი ა. — 512, 520, 612 — 613
იოსელიანი ე. — 610
იოსელიანი პლ. — 34, 503 — 504
იოსელიანი ს. — 604
Иоселиани И. — 39—40, 49, 184, 394
Иоффе И.—394, 470
ისკანდეროვი — 404
Юсубов М.—420
Юферов В.—244, 266, 269
იყალთოელი არსენ — 484

ჰაგაროვი ე. — 567
კაკაბაძე ს. — 530
Calan P.—238
კამენეცკი ე. — 517, 522
კამიშინი — 94
კანკრინი ე. — 8, 501
Карафа-Корбут К.—15
კახანოვი — 304
კარბელაშვილი ლ. — 491
კეკელიძე კ. — 518
კელეტი კ. — 485
კეცხოველი ნ. — 597
კვესი კ. — 309, 450—452
კვიტკა პ. — 90, 350.
კისელიოვი ბ. — 190
Кисснер В.—215, 224
Кирилов Р.—524

კლინგენი — 527
კნიზე ა. — 441
კნორინგი ვ. — 440
კოვალევსკი ა. — 579
კოზიცკი — 317
კოზლოვი — 102, 104
კოლესნიკოვი კ. — 212
კოლოდეევი ქ. — 515, 517, 602
კომნინო დ. — 158
კორგანოვი ა. — 125
კორზინკინი ა. — 271 — 272, 318, 375, 395, 398, 410, 412
კოსტიკოვი ა. — 456

Лаврентьев—33, 40, 256, 594—597 622
Латышев В.—488, 506
ლაურენბერგი ზ. — 36
ლენინი ვ. — 182, 466
ლიტვინოვი — 499
Ломоносов П.—82, 89
ლოძოური ი. — 3,498
ლონგვილი — 553, 578, 608
ლუგოვსკოი ვ. — 440
Любименко В.—5, 225

მაზმანაშვილი ს. — 421, 432, 458 — 459
მამალაძე ტ. — 570
მამაცაშვილი ზ. — 541
მამაცაშვილი მ. — 565
მანთაშევი — 347, 350 — 351, 382
მარიონი ე. — 579
Марков С.—67—69, 72—73, 85
მარკოვი ფ. — 295
მარქსი კ. — 235, 239
მარრი ი. — 526—527
მარტინი — 499
მასალსკი ვ. — 436, 441, 448 — 450, 455
მაჩაბელი ი. — 548
Майзлин Л.—394, 470
მედვედევი პ. — 440
მეიენდორფი — 32
მელიქიშვილი გ. — 593
მელიქიშვილი პ. — 579
მელმანი — 588
მელქუმოვი მ. — 319
Менделеев Д.—265
მერჩული გიორგი — 506
მეუნარგია ი. — 527
მიხაელი — 38, 39
მიურატი ა. — 588, 600, 625 — 626
მლოკოსევიჩი ლ. — 88
მოდებაძე კ. — 488
მოროზოვი — 270 — 271, 273—375, 395
Мочалов В.—323
მულინი კ. — 588
მურადოვი ლ. — 309
მუხრან-ბატონი ი. — 568, 574
ნაერუზოვი — 113
ნაკაშიძე ე. — 142 — 143, 508, 515—516, 519, 527, 533, 535, 537, 600, 625
ნაკაშიძე გ. — 588
Нарден П.—15
ნატროვი ა. — 170
ხეიდგარტი — 290
ნიკიფოროვი ნ. — 295, 562
ნიკო ე. — 4
ნიკოლაი ა. — 486
ნიკოლსკი — 27
ნოსოვიჩი დ. — 143, 512, 533. 535, 537

ორბელიანი დ. — 37—39
ორბელიანი ს. — 31, 530
ოდიშელიძე ე. — 70

პარვიცკი მ. — 295
პავლე I — 499
პავლენკო — 207
Павлов А.—499
პავლოვი — 436
პარფეცი ლ. — 247
Певцой М.—230
Першке Л.—129, 131, 187, 193 - 194
პეტრე I — 4 — 5
პეტროვი ნ. — 441
Петрович П. -- 260, 284, 287, 289, 330—332, 335 — 336, 338, 343 — 348, 377, 380, 399, 412—414, 434, 441, 473
Пиотровский Б.—593
პოზნანსკი ი. — 271, 281, 297. 317, 375, 406, 410 — 412
პონიატოვსკი ს. — 276
პოპოვი ი. — 440
Похомов А.—594
Прянишников Д.—374
Прудков Е.—46
Пурцеладзе Д.—82
Путкарев С.—515, 594—595

Жуковский П.—62
ჟუკოვსკი ნ. — 441

ჩავაზი ბ. — 547
რამენდიკი — 420
რამიშვილი მ. — 597, 599
Рогозин Е.—12
როზენი — 119, 501
რომანოვი მ. — 48
Рума Л.—259, 273—274, 276, 328—329, 332—334, 446
რუსთაველი შ. — 352
Рштуни В.—305
რცხილაძე გრ. — 169

საყვარელი გ. — 530
საყაშვილი ა. — 545, 567
Салтыков-Щедрин—535
სამედოვი — 404, 420
სახოკია ი. — 162, 166, 188, 603—606
საფარაშვილი (საფაროვი) მ. — 87
Сегаль И.—272, 279, 317—318, 320, 332, 401, 412, 563
სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) ი. — 44, 257, 570
სვიატოპოლკ-მირსკი ი. — 578, 608
სვიმონ მეფე — 530
სიმონიანცი ს. — 401
სიპიაგინი — 500
სობოლევსკი — 274
სოლომონ I — 493
სპასსკი ნ. — 292 — 293, 487
Старосельский В.—549, 554—556, 578, 580
Старосельский Ю.—566—567, 581, 583
სტეპანიანი ო. — 87
სტრაბონი — 488, 505, 523
სტოელბიცკი ა. — 309, 310
Street J.—242
სულთანოვი — 420
სულხანიშვილი ი. — 78
სუშრევსკი დ. — 441

ფაგიევი — 352, 473, 587
თაყაიშვილი ე. — 515
Таратынов Н.—85, 245, 252, 273—274, 276—278, 280, 282, 285, 297—298, 314, 318, 319, 332, 355—356, 358, 365—366, 370—372, 375—376, 409, 415, 436, 440, 455

ტატევოსიანი ა. — 452
ტეისელი — 554
Тайнбург П.—340
ტერ-აკოპოვი — 520
ტერ-ზახაროვი ს. — 292 — 293
Терещенко В.—45
ტერ-მარკოზოვი ა. — 125
Theinburg A.—258
Тимофеев С.—280—300, 332, 363, 423, 440—441, 459—460, 604, 606
Тьебо В.—571, 588—589
ტირაკუნიანი ჭ. — 280
ტოლსტოი — 167

უიტნი ი. — 234 — 236, 389, 392

ფანიევი — 410
ფანჩულიძევი ა. — 309
ფირალოვი ა. — 534, 544
ფოვლსი — 626
ფრიზე — 275

Калантар А.—171, 440, 449
ქსენოფონტე — 488
ქერდიანი ი. — 363 — 364

ღამბაშიძე დ. — 572

ყანდურალოვი ბ. — 309, 513, 528, 530, 544
ყანჩელი ხ. — 260
ყაუხჩიშვილი ს. — 484
ყიფიანი — 612

ყიფიანი დ. — 38, 86
ყიფიანი პ. — 581

შავერდოვი — 544 — 545
შალიკაშვილი — 77, 275
შან-გირეი ა. — 307, 364, 414, 456
Шарден Ж.—596—597
შარერი ვ. — 159, 486, 521, 595
Шакарян Г.—426
შახოვსკოი — 481
შეიბლერი კ. — 416
შერემეტიევი — 304, 309, 377
შერვაშიძე ვ. — 35, 158, 169, 228, 553, 594, 608
Шербачев В.—86
Шопен И.—289
შორნინგი — 599
Штукенберг И.—253
Шульце-Геверниц—266
შუტოვი — 207
შუტი — 553
შჩერბაკოვი — 270 — 271

ჩივაძე გ. — 583, 588
ჩითახოვი — 271, 410
Чиков П.—179—180
ჩიხლაძე—588
ჩიჯავაძე—255
ჩოლოყაშვილი — 96 — 98, 100
ჩოლოყაშვილი დ. — 87
ჩოლოყაშვილი ს. — 488, 490 — 491, 553, 557, 590 — 591
Чубков Е.—86, 146

ცაგარელი ა. — 493
ცინცაძე ი. — 283
ციციშვილი ე. — 496— 497
ცურინოვი — 382

ძიუბენკო პ. — იხ. **Дзюбенко П.**

წინამძღვრიშვილი ი. — 586

ჭავჭავაძე დ. — 502
ჭავჭავაძე ი. — 493 — 494
ჭილაძე — 598

ხან-აგოვი ა. — 295, 397, 570
ხარკეევიჩი ი. — 366
ხატისოვი გ. — 453—454
Хатисов И. —262, 272 — 273, 349, 391—392, 444
ხაჩატუროვი მ. — 377
ხორენაცი მ. — 247
ხოჯაევი ს. — 487, 526—527, 554, 600
Хромов Л.—266
ხუნდაძე სილ. — 541, 543, 545

ჯავახიშვილი ი. — 246, 484, 487—490, 505—506, 519, 522, 528, 530, 592, 597, 599
ჯანაშია ს. — 488, 505, 523

ჰაქსტჰაუზენი ა.—32, 507
ჰოეარტი — 579

2. გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი

აბაშა — 249
აგარაკი — 134
აგდამი — 411, 413
აგდარი — 570
ავსტრალია, — 7, 456, 546
ავსტრია — 7, 52, 220. 240 — 241, 258, 390
ავსტრო-უნგრეთი — 7
აზარ-ახმედი — 324
აზერბაიჯანი — 288, 307, 313 — 314, 316, 334, 347, 352, 401, 404, 475, 478, 490, 514, 536, 547, 558, 560, 563, 570, 573, 585
აზია — 4, 202, 233, 265 — 266, 279, 319 — 320, 389, 395. 437, 451, 257, 467, 470, 478, 490
აკურა — 206
ალაზანი — 44 — 45, 78
ალბანეთი — 34, 488. 505 — 506
ალდარა — 290
ალექსანდროვკა — 321, 326, 330
ალექსანდროპოლის მაზრა — 75 — 76, 132 — 133, 347
ალკირი — 6
ამბროლაური — 611 — 612
ამიერკავკასია — 3, 9, 13, 19. 30 — 31 და სხვ.
ამერიკა — 12, 33, 253—254, 261, 272, 276, 285—286, 290, 293, 315. 365, 389, 392, 444—446. 498. 547. 550, 600
ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) — 6 — 7, 141, 181, 241—242, 245, 284, 390, 443
ანაპა — 594
არაზდაინი — 304, 480
არარატის ველი — 463
არაქსი — 421
არგვეთა — 249, 489
არეზი — 407
არეში — 19
არეშის მაზრა — 57, 111, 116, 202, 250, 252, 276, 317 — 324, 345, 352, 359, 401, 513, 573
ართვინის ოკრუგი — 146. 153 — 156, 507, 604 — 605
არმავირი — 428
არპაჩაი — 421
ასტაზური — 290
ასტრახანი — 262, 313
აფრიკა — 220, 234, 389, 395
აფხაზეთი — 35 — 36, 42, 158, 162, 172, 218, 223, 226—227, 229, 507, 515 — 516, 536—537, 553, 560, 594—595, 619, 622
აქსტაფა — 383, 411, 413
ასურეთი — 517
ატენი — 497 — 498, 592
ატუჩი — 126
აღდაში — 358, 360, 369, 413, 437, 441
აღზევანი — 76
ახალბაიაზეთის მაზრა —347
ახალქალაქი — 19, 71
ახალქალაქის მაზრა — 57, 75, 79, 83 — 84, 89, 101 — 102, 202, 350
ახალციხე — 19, 71, 251, 604
აჯარა — 41, 143, 152, 156, 199, 490,

538, 593, 603 — 605, 619
აჯამეთი — 368
აჯიბედი — 319
აჯიკაბული — 413

ბაზალეთი — 1
ბათუმი — 6, 19, 53—54, 77, 153, 156, 201, 204, 428
ბათუმის ოლქი — 19, 42, 75, 150, 152 — 157, 198 — 200, 204, 214, 217, 219, 287 — 288, 507, 603, 605, 618, 621
ბალკანეთი — 233, 489
ბალტიის ზღვა — 468
ბანშალე — 134
ბარგუშეთი — 119
ბარდა — 113, 403
ბაკურციხე — 78, 85
ბაქო — 59, 75, 77, 154, 205, 216, 250, 257, 298, 314, 316, 416, 428, 430, 433, 585, 605
ბაქოს გუბერნია — 19, 56 — 57, 64, 75 — 76, 118 — 120, 122, 125 — 126, 128 — 129, 191, 196 — 198, 200, 202, 205, 213, 254, 272, 280—282, 298, 307, 309, 313, 315, 317—318, 322, 325—327, 331, 337—338, 345 — 347, 356, 358, 368, 372, 375, 378 — 379, 403 — 404 413 — 414, 416 — 420, 429, 434, 446 — 447, 471, 473, 475 — 479, 482, 513, 546, 553, 555—556, 558, 560, 569 — 570, 576
ბაღდადი — 629
ბაჯითი — 555
ბელაქანი — 107
ბერეჟოული — 142
ბესარაბია — 222
ბორჩალო — 19, 37, 39, 474, 557, 545
ბორჩალოს მაზრა — 83 — 84, 88, 101 — 102, 250, 272, 342, 344 — 347, 368, 404, 473, 476 — 477, 545
ბორჯომი — 54
ბორბალო — 545
ბოსფორი — 505
ბრაზილია — 6, 7, 241
ბრიტანეთის ინდოეთი — 6
ბუგეული — 611 — 612
ბულგარეთი — 7, 489
ბუხარა — 23, 263

ბალიცია — 52
განჯა — 251, 283, 570
განჯის გუბერნია — იხ. ელისავეტ-პოლის გუბ.
გიარნიჩაი — 424
გერმანია — 6 — 7. 215, 220, 224, 240 — 241, 390, 445, 466
გიაურ-არხი — 368, 413
გეოქჩაი — 356, 358, 369, 376, 413
გეოკჩაის მაზრა — 75, 120 — 122, 124 — 125, 128, 202, 283, 317, 319, 325, 330, 380, 403, 417, 519, 558, 573
გინდრახი — 413
გლდანი — 545
გორი — 19, 251
გორის მაზრა — 83 — 84, 88, 101, 517, 524, 530, 555—556, 558,—559, 568, 607
გროდნოს გუბერნია — 220
გუბაზოული — 142
გურჯაანი — 207
გურია — 37, 42, 143, 186, 189, 203, 490, 505, 507, 511, 516, 528, 536—537, 540, 544, 560, 581, 588, 594, 596, 599, 619 —620, 622, 625
გულეიკარი — 250
გუმისტა — 167

ᲓᲐᲠᲩᲔᲚᲘ — 249
დაღისტანი — 75, 197, 221, 347, 420
დაშბურუნი — 248, 424
დიდი ბრიტანეთი — 240 — 241
დიდი ჯიხაიში — 405
დიმი — 554
დირბი — 555
დიღომი — 545
დონის ოლქი — 220, 491
დონის როსტოვი — 188
დუშეთის მაზრა — 79, 83, 89, 556, 559, 568

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔ — 34, 220, 234, 238, 242, 253—254, 273, 446, 548
ეგრისი — 489
ევროპა — 4, 12, 39, 41, 202, 233 — 234, 257, 261, 266, 290—291, 294, 437, 456, 533, 577
ევლახი — 413
ეკატერინოდარი — 97, 428
ელისავეტპოლი — 19, 110, 129, 254, 257, 285, 287, 314, 320, 345, 357, 376, 413, 416, 464, 513, 536, 540, 543, 551, 555 — 558, 569 — 570
ელისავეტპოლის გუბ. — 19, 56, 59, 64, 75—76, 110—114, 117, 126, 191, 196 — 198, 202, 214 — 215, 272, 280 — 283, 298, 307, 313, 317 — 324, 335—338, 344—346, 356, 358—359, 372, 375, 378—380, 384, 401 — 403, 414, 417 — 419, 421, 429 — 430, 437, 446—447, 471, 473, 475—478, 546, 560, 570, 573
ელიზავეტპოლის მაზრა — 56—57, 110 — 111, 114, 116, 254, 319, 324, 345, 349. 356, 476, 556
ერევანი — 19, 75, 251, 254, 257 — 258, 270, 274, 290, 292, 297, 320, 354 — 355, 362, 382, 406, 411, 413, 424, 428, 433, 437. 441, 464
ერევნის გუბერნია — 19, 56, 64, 75 — 76, 129 — 136, 191, 196 — 198, 200, 202, 249 — 250, 257 — 260, 268, 270 — 271, 273 — 274, 286 — 287, 289 — 291, 294 — 295, 297 — 300, 302, 306 — 309, 311 — 312, 319, 343 — 344, 347, 349 — 350, 358, 363. 365 — 366, 371, 377, 381, 393 — 394, 400, 402 — 403, 407, 410, 414 — 415, 430 — 431, 446 — 447, 453, 463, 471, 473 — 480, 482 523, 540, 542 — 543, 555 — 556, 560, 569
ერევნის მაზრა — 27, 36, 56, 75, 132 — 133, 135 — 136, 248, 253—254 290 —291, 295, 301, 303 — 304, 368, 372, 377
ესპანეთი — 220, 240 — 241

ეჩმიაძინი — 19
ეჩმიაძინის მაზრა — 56 — 57, 75, 131 — 132, 133, 248, 302 — 303, 347, 363, 365, 368, 400, 435, 480

ᲖᲐᲙᲔ — 525
ᲖᲐᲜᲘ — 368

ᲖᲐᲠᲗᲐᲨᲔᲜᲘ — 112
ᲖᲐᲠᲨᲐᲕᲐ — 265
ᲖᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐ — 221
ᲖᲐᲠᲪᲘᲮᲔ — 43
ᲖᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — 392
ᲖᲐᲦᲐᲠᲐᲨᲐᲞᲐᲢᲘ — 424
ᲖᲐᲮᲐ — 597
ᲖᲔᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔ — 209
ᲖᲔᲜᲐ — 258
ᲖᲘᲠᲒᲘᲜᲘᲐ — 34
ᲖᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ — 428
ᲖᲝᲚᲒᲐ — 262
ᲖᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐ — 221

ზანგეზური — 19
ზანგეზურის მაზრა — 56 — 57, 75, 77, 110 — 111, 132, 248, 299, 320—321, 325, 352-360, 513, 522, 558
ზაქათალა — 216, 362
ზაქათალის ოკრუგი — 19, 64, 75, 99, 106 — 107, 109, 196 — 198, 200, 210 — 211, 217, 223, 317
ზესტაფონი — 578
ზორითი — 608
ზუგდიდი — 19
ზუგდიდის მაზრა — 56 — 57, 137, 139, 140 — 141, 149, 168, 250, 507, 618, 621 — 622, 624, 626, 629
ზურნაბადი — 114

თამაკონი — 597
თამამლუ — 134
თარგამოული — 597
თბილისი — 19, 34 — 37, 43, 48, 55, 59, 64, 78, 85 — 87, 89, 153 — 154, 213, 216, 251, 255, 257, 284, 316, 383, 404, 406, 428 — 430, 432 — 433, 437, 447 — 448, 462, 482, 487, 500—501, 517, 551, 556, 558, 567, 584, 593, 603, 607, 609
თბილისის გუბერნია — 19, 40, 56 — 57, 73—74, 82 — 83, 88, 90, 96, 100, 101, 105, 191, 196—198, 200, 272, 278, 281—282, 342, 344—345, 347, 349 — 350, 363, 378 — 380, 413 — 414, 448, 475 — 479, 524, 555, 558, 615
თბილისის მაზრა — 57, 79 — 80, 84, 88, 101 — 102, 206, 273, 344 — 345, 368, 378, 545, 556 — 567, 575
თელავი — 19, 74 — 75, 206, 569
თელავის მაზრა — 56 — 57, 83 — 85, 101, 209, 558 — 559, 562
თერგის ოლქი — 221
თიანეთის მაზრა — 57, 74 — 75, 88 —89, 101, 210, 557 — 559
თოხანშალუ — 134
თურქეთი — 6, 30, 40—43, 46, 55, 59, 61 — 62, 141 — 144, 151, 159, 163, 167 — 172, 177, 220, 226
თურქესტანი — 221, 226, 279, 284, 323, 383, 457, 478 — 478

იანოულისი — 138
იაპონია — 4, 6 — 7, 240 — 241, 320
იბერია — 505, 523
იგდირი — 248, 363
ივრის ველი — 476
იმანშალუში — 134
იმერეთი — 37, 144, 254 — 255, 493, 499, 508—509, 519, 524—525, 531, 539, 553 — 554, 560 — 561, 563, 581, 594, 597, 599, 601, 606—608, 610—611, 617, 620, 622, 625
იმიერკავკასია — 67, 222, 286, 383, 458, 462
იმიერკასპია — 409
ინგლისი — 7, 220, 239 — 340, 390, 445, 466 — 467, 533, 571 — 572
ინდოეთი — 7, 223, 234, 240 — 242, 390
ინდონეზია — 4
ირანი — 30, 125, 154, 220, 233, 243, 252, 254, 263, 284, 344, 347, 446, 495
იტალია — 6—7, 233, 241, 390

კავკასია — 34 — 35, 37 — 38, 43, 48, 54, 61, 63, 167, 171, 253—255, 259, 314, 318, 339, 348 — 349, 364, 417, 419, 421, 427, 430, 437, 439, 486, 489, 499, 501, 548, 550 — 551, 581, 584
კავკასიონის ქედი — 70 — 71
კაზიანი — 360
კალინჩაგი — 128
კამარლუ — 424
კამინსკი — 286
კანადა — 241
კარბახკალი — 128
კარაგამზალუ — 134
კარდანახი — 207, 502
კარიაგის მაზრა — 352
კახეთი—42, 44—45, 78, 82 84—86, 89, 246, 251 — 252, 486, 489, 498 — 499, 502 — 503, 506—507, 529, 534, 545, 551, 555, 557, 559, 561 — 562, 567, 569—570, 573, 588, 589, 599 — 614
კელასური — 159
კენტუკი — 34
კვალითი — 554, 588, 608
კიევი — 11
კიევის გუბერნია — 154
კისლოვოდსკი — 428
კლდეთი — 508
კოილიასარი — 134
კოკანდი — 221, 363
კოლხეთი — 489, 507, 596
კონსტანტინეპოლი — 257, 558
კოშაკელი — 413
კუბა — 6, 34
კუმისი — 545
კუნასკენდი — 126
კულარი — 126
ლაგოდეხი — 78, 86—87, 89, 90—92, 110, 216
ლაზისტანი — 507
ლაზისტნის საფაშო — 604
ლანჩხუთი — 250
ლარბადინი — 413
ლეგვაზი — 290
ლელიანი — 557
ლენქორანი — 19, 39, 119, 254, 314—315
ლენქორანის მაზრა — 56, 57, 75, 119, 120—122, 125, 128, 254, 314—315, 378, 522
ლეჩხუმი — 247, 290, 507 — 508. 510—511, 555, 557, 560, 612 — 613, 617, 620
ლეჩხუმის მაზრა — 250, 325, 507, 510—513, 558, 618, 621, 624, 629
ლიაქი — 413
ლიახური — 599
ლიკანი — 507, 604
ლივერპული — 257, 293
ლიფლიანდიის გუბერნია — 220
ლიხი — 594
ლონდონი — 255. 259, 572
ლორი — 349
ლოძი — 265, 298

მაგნეზია — 34
მაკედონია — 34, 109
მალია — 126
მალტა — 253 — 254
მარილანდი — 34
მალოროსია — 226
მარსელი — 258, 291
მარტყოფი — 556
მაჩხაანი — 78, 207
მერგი — 299
მერვი — 233
მექსიკა — 6. 241
მიგრი — 290, 292

მიუჯიგავტარანი — 128
მირიამიკეი — 505
მოგილიოვის გუბერნია — 221
მოსკოვი — 11, 32, 37, 45, 77, 101, 220, 254, 259, 262 — 263, 270, 291, 295, 298, 404, 408, 428, 448, 450, 454, 467
მუკეზანი — 502
მუღანის ველი — 284, 309, 326 — 328, 331, 334
მტკვარი — 315, 319, 476, 501
მცირე აზია — 49. 109, 114, 180
მცხეთა — 505

ნავთლუღი — 501
ნახჩევანის მაზრა — 57, 75 — 76, 131 — 133, 249, 253, 270, 290, 295, 303
ნიუორლეანი — 273
ნიეგოროდი — 259
ნოვოროსიისკი — 54, 428
ნორვეგია — 7
ნორიო — 556
ნუხის მაზრა — 19, 56 — 57, 75, 77. 111 — 116, 202, 210 — 211, 252, 254, 314

ობჩა — 551
ოგურბეკლუ — 248
ოდესა — 82, 609
ოზურგეთი — 19, 74, 145. 148
ოზურგეთის მაზრა — 36, 56 — 57, 137 — 139, 140, 142 — 144, 147, 148. 149, 203, 204, 223, 250, 507, 617 — 618, 621, 624, 629
ოკეანია — 4
ოკრიბა — 508
ონჩიკეთი — 142
ორდუბათი — 407
ორდუბათის მაზრა — 292
ოსტ-ინდოეთი — 242
ოჩამჩირე — 186, 199
ოჩამჩირის ოკრუგი — 160

პერგამი — 34
პეტერბურგი — 11, 82, 188, 255, 284, 431, 481, 485, 493, 502
პეტერბურგის გუბერნია — 220—221
პეტროვსკი — 75
პეტროპავლოვკა — 403, 413
პიატიგორსკი — 428
პიცუნდის ოლქი — 160
პოდოლსკის გუბერნია — 221
პოლონეთი—12—13, 105, 220, 241, 265
პოლტავა — 5
პოლტავის გუბერნია — 221 — 222
პორტუგალია — 7

რაჭა — 490, 508 — 509, 535, 611 — 613, 617, 620, 625, 629
რაჭის მაზრა — 57, 75, 139, 615, 621, 624, 629
რაჭა-ლეჩხუმი — 536, 621
როდინაულის ხეობა — 608
როსტოვი — 82, 98

რუმინეთი — 6, 489
რუსეთი — 4, 5, 7, 8, 10, 38, 41 — 43, 49, 54 და სხვ.
ხაბერძნეთი — 6, 7, 220, 489
სადმელი — 555
სალიანი — 36, 119
სალომინაო — 225, 247
სამარყანდი — 233
სამეგრელო — 32, 37, 42, 144, 167, 490, 499, 505, 507, 510 — 511, 516. 527—528, 536—538, 544. 560. 581, 589, 594 — 598, 607, 615 — 618, 620, 622, 628, 629

სამსუნი — 53, 55, 77, 159
სამტრედია — 362, 405
სარდარაბადი — 424
სარუხანლუ — 248
სარატოვის გუბერნია — 221, 286
სტამბოლი — 291
საფიქიურდი — 324
საფრანგეთი — 4, 7, 52
სალიანის მაზრა — 369
საჩხეიძეო — 525
საჩხერე — 611
საჩინო — 255, 611
საქარა — 578 — 584
საქართველო — 7, 30 — 31, 42, 76, 146, 150, 152, 167, 171 — 172, 215, 217, 246, 250—251, 253, 287, 347, 350, 391, 486, 489 — 491. 495, 498 — 499, 503, 505—506, 509 — 510, 518 — 519, 523, 527, 531, 534, 546, 548, 551, 554, 560 — 561, 573, 584, 590, 593, 617, 622, 629
საჯავახო — 143, 599, 611
საკილაო — 598
სევანის ტბა — 463
სენაკის მაზრა — 57, 75, 137, 140—141, 168, 249 — 250, 507, 618, 621 — 622, 629
სერბია — 7
სვეტი — 154
სვირი — 554, 608 — 609, 629
სიმონეთი — 525
სირიაჩქონი — 249
სიღნაღი — 19, 74 — 75, 85, 96, 205, 207
სიღნაღის მაზრა — 44, 56—57, 73, 78, 82—84, 85, 87, 88, 90, 92 100 — 202, 206—207. 216. 223, 476, 557, 558, 562, 573
სიღნაღის ოკრუგი — 217
სიცილია — 253
სომხეთი — 59, 75, 289, 307, 478, 490, 521, 523, 546—547, 560, 563, 573, 583, 593
სოღანლუღი — 507, 556
სოხუმი — 159 — 160, 166, 173, 175—176, 185—186, 188, 190, 199, 201, 219 — 220, 227, 229, 428, 553, 586, 594
სოხუმის ოკრუგი — 19, 42, 57, 59. 146, 150, 153, 157—173, 175—177, 179, 182 — 183, 186, 188—191, 197 — 200, 204, 214, — 218, 223. 226, 287, 317, 507, 551. 553. 593, 618, 621, 624
სპარსეთი — 112
სსრკ — 478, 484, 590
სუკსი — 134
სულეიმანკერდი — 327
სურამი — 246
სურები — 142
სურმალო — 135, 190, 363, 424
სურმალოს მაზრა — 75, 132, 134. 136, 202, 248, 249, 270, 295. 303
სუსთა — 75 — 76
სუფსა — 142

ტაგანროგი — 537, 594
ტავრიდის გუბერნია — 220, 222
ტალიშის მაზრა — 253
ტამბოვი — 5
ტაჯიკეთი — 478
ტეხური — 597
ტიბაანი — 207
ტოლები — 250
ტრაპიზონი — 45. 53. 55, 77, 138
ტყიბული — 610

უბისა — 608
უზბეკეთი — 478
უკრაინა — 5, 84. 225 — 226
ულუხანლუ — 134, 424

უნგრეთი — 6, 7, 52, 484—485
ურიათუბანი — 368
უჯარი — 413

ფახულანი — 600
ფერსათი — 554
ფერგანის ველი — 323, 415, 424
ფერგანის ოლქი — 221, 384
ფილიპინის კუნძ. — 6
ფინეთი — 220
ფიჩორა მდ. — 598
ფოთი — 54, 219, 596, 604
ფუთი — 608

ქართლი — 70, 251, 490, 506, 555, 559, 562, 569, 599
ქერჩი — 537, 505
ქიზიყი — 78, 85
ქიურდამირი — 413
ქიურქაჩი — 324
ქიშიპასანლი — 324
ქუთაისი — 19, 36, 54, 191, 204, 219, 229, 251, 405—406, 551, 554, 586, 588, 609, 615
ქუთაისის გუბერნია — 19, 55—57, 59, 64, 73, 137—139, 141, 143 — 146, 148—151, 163, 170, 174, 182, 196, 198, 200, 204, 212, 214, 250, 255, 257, 259, 270, 277, 278, 280—281, 287, 315, 350, 453, 475 — 479, 486, 548, 551, 555, 570, 574, 580—581, 589, 596, 608—609, 612—614, 620, 623
ქუთაისის მაზრა — 40, 45, 57, 75, 137, 139—140, 250, 259, 272, 527, 608, 610, 618, 621—624, 629

ყაზახეთი — 418
ყაზახ-ბორჩალო — 349
ყაზახის მაზრა — 57, 76. 110—111, 116, 132, 321, 352, 369, 513, 558
ყარა-ჩალა — 369
ყარაბაღი — 253, 320, 313
ყარაია — 273—274, 361 — 362, 368, 383, 476, 586
ყარსი — 54, 60
ყარსის ოლქი — 76, 197, 621
ყვარელი — 368
ყვირილა მდ. — 608
ყვირილა — 554
ყირგიზეთი — 478
ყირიმი — 535
ყუბანი — 227
ყუბა — 19
ყუბანის ოლქი — 84, 220, 222, 491
ყუბის მაზრა — 57, 119 — 122, 124, 126—128, 202, 250, 553
ყულფი — 75, 76, 424
შავი ზღვა — 41, 54, 222, 538

შავი ზღვის გუბერნია — 153, 220
შავი ზღვის სანაპირო — 154, 171
შავშეთ-კლარჯეთი — 506
შარური — 480
შარურ-დარალაგიოზის მაზრა — 57, 75, 132 — 133, 136, 248, 295, 302 — 303, 363, 366, 401, 464
შაქი — 313
შაქის მაზრა — 36, 253
შემახია —124, 126, 250, 254, 314
შემახიას მაზრა — 57, 75, 120—122, 124, 128, 202, 254, 315, 318—319, 513, 530, 558, 573
შემოქმედი — 599
შვეიცია — 7, 220
შვეიცარია — 7, 241
შირვანის ველი — 326, 328
შირვანის მაზრა — 36, 119, 253
შირვანი — 313, 513, 558
შოშა — 588
შორაპნის მაზრა — 57, 75, 140, 143, 249, 250, 507, 554, 558, 618, 620—621, 624—625, 629

შუშის მაზრა — 57, 116, 254, 318—323, 325, 360—361, 476, 513, 570
შუშა—19, 251, 254, 314, 360

ჩაჩხური — 597
ჩერნიგოვო — 5, 154
ჩიკდამლო — 424
ჩინეთი — 233
ჩობახური (ყონდოლი) — 583
ჩოხატაური — 142, 149
ჩხარი — 610
ჩხერიმელა — 608, 611
ჩხოროწყუ — 249

ცივი — 598
ციმბირი — 9, 13, 225, 286
ცხენისწყალი — 598
ცხინვალი — 555
ცხრა-წყარო — 608

ძეგამი — 324
ძირულა — 611
ძირულა მდ. — 608

წალენჯიხა — 249
წებელდა — 160, 162
წესი — 611 — 612, 625
წინანდალი — 206, 502

ჭანეთი — 246
ჭიათურა — 611
ჭკადუაში — 626 — 628
ჭოროხის ხეობა — 152

ხანდუხლიარი — 424
ხარაგოული — 608
ხარკოვი — 5, 26
ხაშმი — 566
ხეთა — 249
ხევი — 138
ხერსონი — 11, 220
ხიდისთავი — 142
ხვანჭკარა — 611, 612
ხობი — 249
ხონი — 40, 256, 405
ხორეზმი — 233

ჯებრაილის მაზრა — 110
ჯევათი — 19, 334
ჯევათის მაზრა — 75, 120 — 122, 125, 128, 282, 326—327, 330—331, 378, 403, 417, 522
ჯევანშირის მაზრა — 57, 111, 116, 319—323, 345 — 360, 381, 401, 476, 513, 558
ჯირის ოკრუგი — 324
ჯულაანი — 207

ჰავანა — 34, 37
ჰამბურგი — 38
ჰოლანდია — 4, 7, 445
ჰუნგრეთი — 485

3. საგნობრივი საძიებელი

აბრეშუმი — 233
აბრეშუმის ავადმყოფობა — 292
—ქსოვილები — 246
აბოლიციონისტური მოძრაობა — 256
აბუსალათინი — 362
აგრარული გადამეტმოსახლეობა — 467
— მოძრაობა — 172
— პოლიტიკა — 326, 350, 381, 590
— ურთიერთობა — 203, 350
აგრონომი — 90, 95, 190, 286, 309, 317, 350, 354, 356, 364, 366—367, 369, 375, 384, 457, 459, 486, 535, 570, 579
აგრონომიული დაწესებულებები — 369
—დახმარება — 354 — 370, 462, 463
—კადრები — 368, 369, 384, 457, 579
აგროტექნიკა — 53, 70, 72, 186, 305, 326, 542
ადათ-წესები — 369
ავსტრიელი — 258
აზერბაიჯანელი — 80, 95, 113, 125, 326, 329, 514, 587
აზნაური — 503
აკაცია — 362, 626
აკრედიტივი — 432
ალვის ხე — 362
ამერიკელი — 385
ანტრაკნოზი — 546, 600, 604
არაბი — 233
არაყი — 71, 413, 204, 206
არყის სახდელი ქვაბი — 204, 206, 208
არხი სარწყავი—284, 296, 304, 454, 456
აფხაზი — 166, 596
აქციზი — 8, 9, 11—12, 16, 21—23. 48, 59, 71, 77, 88 96, 135, 201, 203, 205, 206, 210, 212
აქციზის აგენტი — 18, 72, 141, 161
—განაკვეთი — 14, 20, 22, 154
—ზედამხედველი — 65, 71, 112
—მოხელე — 23, 24, 28, 66—67, 69—72, 104—105, 107, 125, 127, 134
—მოსაკრებელთა სამმართველო — 22, 24, 25 — 29, 47, 49, 53, 56, 60, 65, 67 — 69, 72—76, 79, 83, 90, 93 — 94, 96, 100 — 101, 116, 122, 129, 138, 131, 148, 154, 159, 172, 176, 194, 205, 207
—მოსაკრებელი — 21, 62, 176, 219
—უწყება—20, 24, 55, 60, 65, 72—74, 78, 80, 83, 90, 99, 102, 104, 109, 130—131, 134, 155, 156, 159, 163, 176, 193, 203, 207, 219
—შემოსავალი — 9, 19, 21, 29, 47
—წესდება — 8, 10, 12 — 13, 17, 22, 45 — 47, 60 — 62. 68. 113. 135, 159, 204
აქციონერული საზოგადოება — 304, 416, 451

ახალმოსახლე — 329, 331, 333 — 334
აჭარელი — 167, 605

ბაზარი — 19, 25, 28, 40, 41, 46, 51, 63, 67, 77, 95, 97, 99, 216, 233, 258, 259, 273, 287, 288, 302, 310, 381, 384, 393, 395, 405, 409, 412 — 413, 415 — 419, 428, 468, 470 — 471,481, 537, 592, 607
—ამიერკავკასიის — 256, 262
—ამერიკული — 453
—მსოფლიო — 6, 7, 235, 257, 260, 261, 263, 277, 284, 459
—ნაციონალური — 410
—უცხოეთის (საგარეო) — 226, 256, 261, 265, 272, 291, 294, 451, 453, 458
—შინაგანი — 226, 261, 265, 458
ბაზრის ზედამხედველი — 420
ბამბა — 31, 58, 129, 233 — 482
—ადგილობრივი — 273, 293, 301, 313, 406
—აზიური — 234
—ამერიკული — 234, 243, 253, 256, 258, 261, 264, 273, 301—302, 313—315, 317, 319, 354,—355, 358, 360, 363, 370, 393, 396, 399, 409
—ამიერკავკასიური — 258, 291, 408 — 410, 471
— აღდაშური — 419
— ბუხარული — 259
— გაიტური — 253
— გრძელბოჭკოიანი — 254, 389, 391, 392, 397, 405, 406
— ეგვიპტური — 243, 253, 255, 256, 264, 273, 290, 293, 313 — 315, 355
— თურქული — 460
— ინდური — 243, 264, 291
— ირანული — 431, 460
— მოკლებოჭკოიანი — 405 — 406
— მუღანური — 404
— ნედლი — 238, 394, 403, 407, 412, 460, 464, 481
— რუსული — 264
— სიცილიური — 290, 314
— უპლანდის — 373
— უცხოური — 266, 290, 293, 314, 315
— ფერგანული — 404
— ყარა-კოზა — 296, 370, 372 — 373, 391
— შავთესლიანი აზიური — 389
— შუააზიური — 471
ბამბის აკლიმატიზაცია — 234
— ავადმყოფობა — 308, 355, 364, 366
—ბოჭკო — 233, 237, 238, 247, 251, 252, 259, 293, 299, 317, 325, 354, 389, 391, 395, 397, 403, 405 —407, 460, 463, 467, 469, 481
— გადაზიდვა — 262, 300
— გადამუშავება — 212, 251, 266, 402, 403, 408
—გატანა — 243, 453
— გაწმენდა — 234, 291, 293, 298, 300, 302, 389 — 407, 413, 464, 480
— დასატკეცი—293
— დასორტვა — 317, 406, 407
— ექსპორტი — 235, 257, 261, 291, 294
— ვაკრობის ინსპექცია — 419
— ზეთი — 385 — 387, 458
— თესლი — 370 — 388, 458, 463
— კომიტეტი — 464, 467
— კულტურა — 81, 233, 246, 250, 254, 257, 259, 260, 274, 275, 277, 280, 286, 289—290, 292, 295, 308, 312—315, 318, 321, 330, 343, 354,

357—359, 362—365, 370, 382, 390, 455, 458, 461, 474, 480
— მოსავალი — 238, 254, 260, 261, 273, 275, 280, 285, 291, 292, 299, 300, 303—305, 307,—308, 320, 322, 324,—325, 338, 360, 366, 460—461, 469, 476 — 479
— მოხმარება 240—242, 268, 273, 280, 339, 451, 453
— მწარმოებელი — 4, 40, 72; 86, 237, 239, 242, 256, 270, 320, 351, 355, 414, 417, 423, 427, 464, 552, 566
— ნათესები — 236 — 238, 241, — 243, 247 — 250, 252, 256, 259—260, 270, 273, 280, 283, 285, 290, 293, 295, 297, 299, 304, 412, 458, 473, 473—476, 478, 600
— პლანტაციები — 235, 262, 272, 278, 280, 283, 285, 296, 297, 306, 308, 318, 321, 324—325, 327,—329, 331, 336, 340, 343—348, 350, 352, 354—356, 363, 368, 381—382, 409, 451, 463 472—475, 477—478, 480
— საჩვენებელი მინდორი — 320, 324, 326, 354 — 370
— სორტი — 213, 215, 235, 253—254, 256, 405, 406, 471
— შესყიდვა — 268, 272—273, 281, 297, 303, 317, 318, 410, 411, 416, 420
— წარმოება — 233 — 235, 237, 239, 241, 257, 278, 291 — 292, 295, 297, 318 — 319, 322, 323, 390, 402, 411, 449, 453, 464, 469, 473
ბამბეულის მრეწველობა — 243, 245, 263, 266, 268, 275, 277, 281, 298—299, 395, 405, 415—416, 466, 467
— ფაბრიკა — 240 — 242, 279, 406
ბამბაქსოვილის მრეწველობა — 235, 265, 266, 279, 295, 467 — 469
— მსოფლიო წარმოება — 236, 268, 391
— ნაწარმი — 269, 316, 468
— ფაბრიკა — 453
ბამბასაწმენდი მანქანა — 234, 271, 317, 373, 381, 393, 396
— ქარხანა — 283, 288, 378 — 379, 385, 386, 399—405, 407, 411, 416, 460, 463—464
ბანდეროლი — 8—13, 16, 20—22, 28, 47, 60, 63, 213
ბანკი — 18, 159, 184, 228, 423—424, 430, 464
— ვაჭრობა —მრეწველობის — 431
—კაპიტალისტური — 423
— კერძო — 430, 432
—კომერციული—125, 159, 430, 431
— სახელმწიფოებრივი — 18, 184, 413, 424, 425, 428, 430, 432, 464
ბაკი — 16, 43, 45, 46, 49, 53, 265, 274, 571
ბარდანი — 63, 258, 406, 411, 453
ბარონი — 119, 553
ბატონყმობა — 77, 171, 337, 475, 495, 497
ბაღი — 70, 80, 86, 145, 193, 218, 260, 283, 317, 318, 355, 492, 574, 580, 584—586, 588, 602,
— ხეხილის—86, 145, 579—580, 586 588
ბეგარა სახელმწიფოებრივი — 189, 423, 497—498
ბეგი — 287, 325, 335
ბერძენი — 41, 42, 55, 78, 80, 141, 158, 159, 166—170, 174, 177, 226, 605
ბირჟა — 285, 404, 449—450, 464, 467, 469
ბიუჯეტი — 176, 549, 550

ბლეკროტი — 546
ბონი ქართული — 227
ბორდოს სიმეკვე — 547. 567—568, 577
ბოსტანი — 51, — 52, 70, 150, 180, 193, 283, 315, 317—318, 348, 584, 585
ბოქაული — 550
ბრინჯი — 31, 58, 246—247, 277, 295. 304, 307, 308, 318—319, 323, 409, 413, 425, 461—462, 464—465
ბურეუაზია — 3, 112, 116, 168, 172, 175, 235, 267, 395, 454
ბაადგილება (გეოგრაფიული) — 74, 80, 117, 200, 214, 276—277, 288, 298, 428, 470. 474, 537, 590, 593
— მებამბეობის — 289 — 338
— მევენახეობის—561 590—593, 629
— მეთამბაქოეობის — 63, 65, 106—192, 196—202, 289—338

[illegible]ასახადი — 8, 13—14, 20—21, 23, [illegible] 49, 74, 126, 207, 210, 423, 496
გადაბეტწარმოება — 100, 115
გადამყიდველები — 52. 188
გამეჩხერება — 604
გამოკითხვის ფურცლები — 274
გამოსაღები — 207, 289, 292, 414, 562
გამოფენა კავკასიის სოფლის მეურ-ობის — 37, 314
გამსვლელი მუშა — 393
გამწევი პირუტყვი — 310, 367
განოყიერება ნიადაგის — 529, 607
განრთხმული — იხ. ვენახი
გაფიცვა — 207
გერმანელი — 80, 534, 542, 575
გლეხი — 45, 71, 80, 82, 87, 93. 112, 113, 128, 168, 170, 172, 183, 184, 188, 193, 200 204, 207, 212, 227, 258, 273, 280, 282, 283, 287, 305, 307, 312, 317—319, 335—336, 342—343, 348, 353—357, 370—375, 377—378, 381, 395—396, 411—417, 422, 425, 474, 493—494, 503, 522, 545, 558, 562 567, 570, 574,—575, 584, 587, 588,589, 595, 590, 601—602, 626,—627
გლეხთა ეკონომიკური ცხოვრება — 295, 511
გლეხის მეურნეობა — 150, 174, 193, 227, 272, 312, 364, 382, 391, 457, 471, 527, 589
გოგირდი — 566—567, 569, 577
გუთანი — 351, 474
გურული — 169, 171, 540
„გუთნის დედა“ გაზ. — 44, 565
გურჯობა — 604

დაბეგვრა — 9, 12. 23, 45, 53, 60, 61, 71, 72, 73, 74. 152
დაგირავება — 18 — 19, 29, 307, 464
დაგროვება — 264
დაბლარი — იხ. ვენახი
დაზღვევა — 425
დაკაბალება — 178. 185—186, 188, 323, 348, 349; 351, 410, 411, 425, 566
დასორტვა — 258, 405, 406
დაფინანსება — 412
დაქირავებული შრომა — 18, 43, 47, 63. 167, 169, 178 180, 182, 190, 228—229, 234, 336, 344, 346, 389, 428, 473, 497. 522, 569
დეკორატული მცენარე — 4, 585
დისკონტი — 18, 429—430
დოლარი — 385
დოლი — 393
„დროება“ გაზ. „ 565
დურგალი — 391
დუქანი — 10, 61
დღიური სამუშაო — 339, 342

ებრაელი — 112 — 113, 116, 281
ებრაელი მუსულმანი — 124
ევროპიელი — 331
ეკონომიკური აღმავლობა — 316
— დაბეჩავება — 495, 596
— კეთილდღეობა — 492, 603
— პოლიტიკა — 73, 212, 310, 480
— სისტემა — 481
— ცხოვრება — 203, 252, 533, 595
ელევატორი — 403
ელექტრომოტორი — 400
ელექტროსადგური — 305, 407, 455
ემიგრაცია — 42, 605
ენდრო — 316
ენტომოლოგიური სადგური — 465, 579
ექსპორტი — 20, 27, 37, 202, 223, 235, 246, 257—258, 261, 291, 294, 385, 388, 392 463—464, 488
ექსპლოატაცია — 154, 178, 181, 190, 305, 351, 356, 452, 470—471, 480, 499, 522

ზაზი—428, 486, 482—491, 499, 502, 507—509, 511 — 512, 516, 521, 522—524, 526, 531, 533 — 535, 537, 540, 547 — 556, 570, 573, 576—578, 580, 591, 593, 595, 598, 606, 626
— ადგილობრივი — 554, 561, 581, 588, 591, 599, 602, 626
—ამერიკული — 528, 549—550, 553, 555, 558, 561, 572, 577, 579,—584, 588
—დაბალხარისხოვანი — 509, 600
—ევროპული — 555, 577, 581, 502
—იზაბელა — 60, 540, 559, 600, 626
—კრახუნა — 561
— კოლოშის — 600
— მწვანე — 561
— ოჯალეშის — 597, 601, 626, 628
— სვანური — 597
— უცხოური — 549, 553, — 554
— ფრანგული — 600, 628
— ქინძა — 561
— ყირიმის 597, 602
— შავა — 626
— ჩხავერი — 599
— ციცქა — 561, 626
ვაზის ავადმყოფობა — 486, 546 560 — 561, 565—566, 574 — 575 601, 603 — 604
— აქიმობა — 572
— გადაწიდვნა — 591
— განახლება — 604
— გასხვლა — 583, 607—608
— დამყნობა — 561, 572, 577—578. 583, 589, 601, 627
— მავნებლები — 486, 546, 564, 576
— მიწაში დამარხვა — 523
— მსხმოიარობა — 607
— ნაცარი — 604
— ნერგი — 534, 553, 574
— ობი — 604
— სასხლავი — 608
— საჩვენებელი — ნაკვეთები — 571
— სოკოვანი ავადმყოფობა — 545 —547, 549—550, 555, 560. 564— 565, 569—570, 576, 626
— შესაწამლავი ხელსაწყოები — 564, 566, 569—571, 575—576
— შეწამვლა — 526, 528, 542, 545, 546, 553, 561, 563, 564, 566, 567, 568, 569, 570—571, 601, 604
— შტამბი — 515, 516
ვაიტროტი — 547
ვაკრობა — 9, 11, 48, 62, 104, 205—206, 215, 233, 251, 257, 260, 284, 287, 289, 290, 386, 413, 416, 429, 459, 462, 464, 481—482, 501, 531, 578

— ბამბის — 413, 414, 417, 418, 420, 422, 431, 432, 461
—თამბაქოს — 5, 8, 10, 13, 15, 32, 47, 60,—62, 68, 153, 225
ვაჭარი — მევახშე — 10, 40, 54, 60—62, 68, 82, 87, 96, 204, 206, 257, 316, 319, 395, 410, 412, 416, 417, 420. 423, 427, 430, 572, 602
—შემსყიდველი — 51, 72, 87, 89, 95, 98—100, 128, 153, 182, 184—186, 188, 190, 215, 223, 228, 258, 268, 307, 323, 366, 374, 379—380, 382, 396, 398, 410—412, 414—417, 421—423, 431
ვენახი — 218, 252, 260, 308, 428, 484—629
— განრთხმული — 521, 522, 528
— ღაბლარი — 492, 504 — 506, 508—510, 512, 519—520, 523—529, 531, 540, 546, 560, 570, 601,607 — 608, 625—626. 628
— თუმბური — 504, 508, 520—523
— მაღლარი — 504—514, 517, 519—520, 524, 526, 529, 537, 539. 543, 600, 628
— ოლიხნარი — 520, 601
— ხარდანი — 519—520
—ხეივანი — 516 — 518
ვენახის მოელა — 589
— შეწამვლა — 564—576
— ტალავერი — 516 — 517, 521
ვეგეტაცია — 35, 311, 320, 329, 591,
ვერმორელის აპარატი — 567

ზვარი — 592,—593, 625—628
— სამეფო (სეფე) — 592
ზეთი — 38[illegible]
ზეთსახდელი ქარხანა—382, 385—387
ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐ — 35, 37 — 39, 96 — 98, 100. 158, 169, 366. 495. 503, 553, 569, 59[illegible]

თათარი — 71, 332
თამბაქო — 4 — 228, 595
— ადგილობრივი — 31, 32, 57—59, 63, 64, 102, 104, 109, 137
— ალბანური — 34 — 35, 37, 118—119
— ალექსანდრიული — 220
— ამერიკული — 24, 28, 32 — 33, 33, 35 — 38, 50, 64, 77, 118 — 119
— არალეგალური — 26
— აფხაზური — 199 — 220
— ბიგ ჰავანის — 147
— ბერლეის — 147
— ბერინული — 220
— ბრაზილიური — 147
— გურული — 143
— დაგრეხილი — 32
— დატკეცილი — 32
— დაჭრილი (საჩიბუხე და საპაპიროსე თუთუნი) — 12, 41
— დიუბეკის — 53, 57, 80, 109, 144, 147
— ეგვიპტური — 3,4
— ვირგინიული — 34 — 35, 37, 118—119, 141, 144, 147, 161
— „თიკ-გულახი“ — 109
— თურქული — 24, 28, 42 — 43, 50, 54, 61, 64, 77, 80, 102, 104, 114, 116, 124, 128, 137, 138, 143, 146, 158, 162, 167, 220, 222—223
— თურქულ-კავკასიური — 53
— იმერული — 141, 142, 144
— კავკასიური — 49
— კახური — 43, 98
— კენტუკური — 34 — 35, 118 — 119, 147
— კონკვერორის — 147
კონნექტიკუტის — 147
— კუბის — 34, 36, 125, 129
— ჯეილანდიური — 57

— მაგნეზიის — 34
—„ მადნი" — 80, 102
— მაკედონიის — 34
— მარილანდის — 34, 35, 39, 118 — 119, 147
— მახორკა — 109
— ოსმალური — 44
— პერგამის — 34
— რუსული საყალიონო — 154
— სამსუნი — 54, 57, 61, 77, 80, 83, 106, 125, 141, 147, 161, 189, 200—202
— საოჯახო მოხმარების — 128
— საცხვირე (ბურნუთი) — 4, 9, 31, 53
— ციდლიფისი — 147
— სპარსული — 60, 61, 154
— სტერლინგის — 147
— სუმატრული — 147
— ტრაპიზუნი — 53 —54, 57, 61, 77, 80, 83, 180, 200—202
— უცხოური — 43, 54
— ფოთლადი — 10 — 12, 14 — 18, 20 — 21, 153, 175, 205, 214 — 216, 218, 221
— ქართული — 220 — 221
— წეკო — 8, 13, 16, 22, 50, 57, 59, 64, 83—84, 102, 106—107, 109, 113, 115—116, 123, 125—126, 129—131, 201, 213, 215, 222—223
— ჰავანური — 34, 37, 39, 147
ალიბის წესდება — 62, 68
— ასხმა — ანემსვა — 26—27, 95, 180
— გადასახადი — 14
— გადამუშავება — 199, 213, 216
— თამბაქოს გამზეურება — 181
— გაყიდვის წესები — 68
— გახმობა — 147
— დამზადების ოპერაციები — 89
— დასანამი სარდაფი — 180
— ექსპორტი — 20, 37, 44, 67, 68, 99, 154, 174, 201, 223
— ვაჭრობა — იხ. ვაჭრობა თამბაქოსი
— კონცესიური მონოპოლია — 62
— კულტურა — 4—230, 461 — 462
— კრიზისი — 142
— მეურნეობა — 90, 92, 93, 95, 99, 107, 113
— მზანაწარმი — 8, 11, 28, 41, 60, 61, 63
— მიმოზიდვა — 10, 15, 24 — 26, 67
— მოსავალი — 5—6, 29, 38, 45, 49, 50, 105, 156, 159, 161, 164, 173—174, 177, 189, 193 — 194, 197, 200, 216, 218 — 219, 225, 226, 229,
— მრეწველობა — 3 ,15, 22, 29, 30, 60, 84, 176, 213, 215, 216, 233
— ნაკეთობა — 9 — 10, 13—14, 16, 20—21, 23, 47, 147
— ნედლეული — 9, 30, 37, 45, 46, 213, 215
— პლანტაცია — 5, 20—21, 24, 25, 28—30, 42—45, 50, 52, 56 — 59, 65—72, 80—83, 85, 86, 88, 91, 93—96, 98—100, 102, 107—108, 112—114, 118, 119, 126, 138, 142—143, 149, 152, 156, 159, 160—162, 164, 169, 173, 175, 177, 182, 183, 190 — 191, 193 — 195, 199 — 200, 205, 218, 227—229, 427, 586
თამბაქოს რეგალია — 41, 43
— საშრობი — 27
— საწყობი — 62, 126
— საკრელი დაზგა — 47

თამბაქოს სახელმწიფოებრივი მონოპოლია — 30, 41, 227
— სახმობი ფარდული — 181
— უკონტროლო მიმოზიდვა — 10
— ფაბრიკაცია — 5, 10, 23, 37, 98, 174, 213, 216
— ფაბრიკანტი — 62, 183 — 184
— ფარული გაზიდვა — 219
— ფოთლის ღვივილი — 50, 52, 147
— ფოთლის შეტეხვა — 178
— შემოზიდვა — 53
— შემსყიდველი — იხ. ვაჭარ-შემსყიდველი
— შემსყიდველთა კორპორაცია — 90
— შესყიდვა — 66, 162
—წარმოება — 6 — 10, 12 — 14, 20, 21, 37, 50, 58, 60, 68, 80, 83, 95, 99, 104, 117, 136, 144, 159, 173, 193, 223
თელა — 362
თემი — 26 — 27, 65, 67, 76 — 77, 453, 509, 522
თემის გამგებლობა — 25 — 27
თესლი — 370 — 376, 379, 380—382, 386, 461, 474
— ბამბის — 233 — 235, 249, 253—255 257, 270 — 271, 274, 281, 292, 296, 313, 317—318, 354, 360, 380, 385, 405, 412, 414, 422, 458, 464, 471, 475, 482
— თამბაქოს — 31, 33, 34, 37 — 38, 55, 185, 201, 230
— ვაზის — 580, 586
თესლბრუნვა — 50, 58, 165, 305, 312, 328—329, 364—365, 367
თითისტარი — ტიბეირი — 240 — 241
თოხი — 180, 358 — 359
თუმბური — იხ. ვენახი
თუთის პლანტაცია — 252, 319, 362
თურქი — 140 — 141, 190, 593
თურქმენი — 323
თხმელა — 596

იარმარკა — 13, 19, 25, 28, 46, 51, 67
„ივერია" ჟურ. — 565
იმერელი — 169, 171, 531, 556, 570, 572, 601
იმპორტი — 5, 21, 53, 226, 242 — 243, 260, 263, 265, 279, 281, 311, 466, 468
— ბამბის — 242, 263, 279
— თამბაქოს — 5, 41, 53
— ნედლეულის — 243, 263
ინგლისელი — 408
ინდოელი — 4
ინდუსტრია — 239, 245, 266, 389
ინდუსტრიული გადატრიალება —233, 234
ინტელიგენცია — 163, 168, 388, 465, 510, 541, — 542
ინტენსიფიკაცია (მეურნეობის) — 457, 463 504, 528
ინტენსიური კულტურა — 522
იონჯა — 277, 584—585
ირანელი — 80, 342,
ირიგაცია — 326, 332, 450 — 457, 461, 465, 472, 476
იჯარა — 82 — 83, 87, 112, 128, 168, 170, 177, 180, 188, 190 — 191, 199, 283, 297, 304, — 305, 336, 350 — 351, 396, 500, 567, 594
— კაპიტალისტური — 336
— მიწის — 41 — 43, 165, 167, 169, 188, 273, 280, 282—283, 297, 336, 350

ბაბალა — 78, 87, 95, 98, 100, 162, 182, 183, 189, 337, 374, 423
ბავი (ჩუთი) — 361
კავკასიელი მთიელი — 342
კალია — 314
კანაფი — 50
კაპიტალი — 93, 96—97, 189, 268, 366, 415, 421, 451—452, 454, 455, 467, 567, 569
კაპიტალდაბანდება — 175, 264, 326
კაპიტალიზმი — 264, 267, 454
კაპიტალისტური ურთიერთობები — 3, 14
კაპიტალისტები — 283, 338, 454, 468
კარტოფილი — 50, 70, 218, 227
კახელი — 39, 45
„კვალი" გაზ. — 584
კირი — 421, 422
კოკა — 604
კოლონია — 3, 73, 332, 380 — 381, 427
კოლონიზატორი — 331, 368, 501
კოლონიზაცია — 166—167, 326, 327, 332, 534, 575
კოლონისტი — 80, 166, 347, 542, 545
კოლონიური პოლიტიკა — 213, 326—337, 480
კომერცია — 54, 168, 183
კომისიონერი — 98, 100, 118, 126, 382, 398, 412, 414—415, 417, 419
კომლი — 112, 167, 249, 250, 305, 327—328, 333
კომლობრივი აღწერა — 327
კონკურენცია — 41, 49, 85, 113, 169, 184, 188, 220, 228, 234, 241, 265, 287, 291, 301, 318, 320, 336, 351, 386, 396, 412, 415, 416, 470, 512
კონტრაბანდა — 60, 61, 154
კოპტონი — 387, 464
კრიზისი — 30, 84, 86, 115, 365
კრედიტი — 70, 87, 89, 178, 184, 189, 205, 228, 235, 309, 323, 335, 363, 390, 416, 423—430, 432, 464, 482
კრედიტორი — 62, 90, 94, 95, 414
კულაკი — 82, 328, 378, 396, 412, 421—422, 424, 426, 562, 566
კულტივატორი (ცხენის თოხი) — 307, 342, 362, 378

ლაზი — 41, 55, 78, 143, 158—159, 167—169, 226, 595
ლეკი — 317, 342
ლერწი — 578 — 581, 583 — 585
ლეჩხუმელი — 428
ლინტერმანქანა — 401—404, 482, 494
ლობიო — 70, 143, 180

მაზანდა — 396, 411
მალარია — 166
მამასახლისი — 68
მამული — 35, 36, 38, 40, 43, 44, 188, 304, 305, 315, 325, 335, 343, 348, 351, 352, 377, 545, 553, 566, 574, 587—589, 593, 993, 626,
— „არაზდაიანის" — 305
— საუფლისწულო — 350 — 351, 382, 496, 557
—ფეოდალური — 496
მანდარინი — 152
მანუფაქტურა — 268, 270—271, 297, 393, 395, 449, 453
მანქანა „კოტონ-ჯინი" — 257, 317, 373, 378, 392, 394—395, 403—404, 413
—„საუ-ჯინი"—396
—„ჩიხრიხი" — 247, 249 —250, 256, 293, 317, 334, 389, 393, 396 — 397
მანქანური წარმოება — 232, 234

მარანი — 486, 516, 593, 598
მარილი — 75—76, 413, 422
მარცვლეული — 155, 218, 295, 308, 316, 319—320, 360, 409, 455, 514
მატყლი — 70, 233, 246
მაღაზია — 9, 17, 18, 398
მაღლარი — იხ. ვენახი
მაპმადიანიზმი — 538
მაპმადიანი ებრაელი — 129
მეაბრეშუმეობა — 205, 292, 319, 342, 586
მებამბე — 296, 333—482
მებამბეობა — 233—482
მებამბეობის აღდგენა — 276
— ინსტრუქტორი — 309, 329, 342, 348, 363, 417, 461
— ინტენსიფიკაცია — 286. 346
— მსხვილი მეურნეობები — 327
— პინდარი — 455
— საცდელი პლანტაცია — 284
— წმინდა შემოსავალი — 296
მებაღე — 309, 549, 569
მებაღეობა — 163, 205, 311, 362, 455, 491, 549, 550, 582, 584—585, 608
მებაღეობის სკოლა — 585, 587
მებაღჩეობა — 362, 585
მებოსტნეობა — 80, 145
მედუქნე — 61, 89, 288, 380. 411, 412, 590
მევენახე — 503, 530, 532, 541, 542, 544— 546, 548, 549, 552, 556, 564 — 565, 567, 568, 570, 572, 576
მევენახეთა კურსები — 583
— სკოლა — 582
მევენახეობა — 145, 203, 296, 299, 308, 311, 342, 428, 484—629
— გაადგილება — იხ. გაადგილება
—ინტენსიფიკაცია — 607
— რაციონალიზაცია — 522, 529, 535
— რენტაბელობა — 535
მევახშეობა — 423, 432
მევახშე — 288, 307, 423, 424
— შემსყიდველი — 46, 408, 410
მეთამბაქოე — 3 — 226
— პლანტატორი — 113, 227
— უმიწაწყლო — 162
მეთამბაქოეთა ამხანაგობები — 18
—გაერთიანება — 98
— თათბირი — 226
მეთამბაქოეობა — 4 — 226
მეთამბაქოეობის გაადგილება — იხ. გაადგილება
— კადრები — 45
მეთესლეობის მეურნეობა — 461
მეიჯარე — 82, 116, 142, 189, 190, 287, 305. 335. 336, 351. 473. 567, 569. 601
— კაპიტალისტი — 47, 287, 331, 336, 352
— პლანტატორი — 98 — 158, 184, 187, 188
მელიორაცია — 457
მემამულე — 33—34, 36, 39, 42, 45, 55, 77, 80—81, 87, 98, 118, 125, 143, 144, 167 — 170, 188 — 190, 253. 334 — 335, 351, 352, 364, 365. 414, 430—431, 471, 472, 494, 496. 506, 568 — 570. 575. 584, 587, 589, 594, 600 — 602, 625 — 628
— ბეგი — 287, 471
— მიწათმფლობელი — 335, 336
— მსხვილი — 38, 368
მემამულეთა მეურნეობები — 43, 469
მემინდვრეობა — 287, 362, 462, 514, 550

მემცენარეობა — 31, 50, 104, 162, 177, 218, 233, 280, 289, 295, 295. 343, 355, 500
მენახევრე — 601
მერძეობა — 96
მესარეწეობა — 17, 47, 485, 503
მესაწყობე — 19, 52, 81, 93, 97, 113
მეტეოროლოგიური სადგური — 362, 585
მეტროპოლია — 53, 427
„მეურნე" გაზ. — 565
მეურნე — 100, 152, 228, 315, 366, 380, 514, 601
მეურნეობა — 80, 81, 91, 292, 304, 354, 378, 382, 473, 498—499, 509, 524, 528—529, 531, 537, 601
— გლეხური — 252, 306, 530
— დამხმარე — 498, 529
მეურნეობა —მსხვილი — 156, 218, 377, 382, 495, 502, 592
— ნატურალური — 178, 331, 506, 578
— წვრილი — 193
მეურნეობრივი თაოსნობა — 375, 485, 496, 515, 533
მეფაბრიკე — 12, 126, 143, 190, 467
მეფუტკრეობა — 205, 586
მექორჩმეობა (თამბაქოს ფარულად უაკრობა) — 12, 15, 20, 22, 25, 28, 30, 67, 69, 104, 105, 134, 135
მექარხნე — 204, 208, 379, 387, 408
მეღვინე—594, 599
მეღვინეობა — 292, 484, 486, 503, 505, 508, 528, 546, 550, 556, 580—581, 597, 603, 605, 606
მენიოთილე — 177
მეცხოველეობა — 283, 287, 343, 367, 381, 455, 473, 498, 500
მეცხვარეობა — 70
მეწარმეობა — 3, 15, 72, 100, 146, 337, 349, 352, 454
— კაპიტალისტური — 3, 352, 454
მეხილეობა — 86, 145, 499, 574
მეჯოგეობა — 323, 330, 333 — 335
მთიელი — 70 — 71, 339
მიზდი (გასამრჯელო) — 352
მილდიუ — 540, 545—547, 553, 561, 572, 575, 595, 599 — 600, 694, 606, 607
მიტკალი — 268, 269
მიწა — 42, 58, 180, 260, 278, 297, 305, 332, 454, 457, 458, 472, 496, 509, 513, 514, 529, 578, 584, 595, 598, 603, 604
— ახლადგაკაფული — 162
— თავისუფალი — 166, 168, 170—172
მიწა მემამულის — 50, 158
— სათემო (სახაზინო) — 296
— სანადელო — 87, 297
— სახაზინო — 167, 304, 452 — 454
— სახმარი — 249, 282, 292
— სახნავი — 333, 347, 530
მიწათმოქმედება — 64, 145, 177, 212, 252—253, 285, 287, 289, 295, 331 — 335, 345, 355, 362—363, 367, 375, 383, 391, 414, 456 — 457, 476, 480 — 481, 484 — 485, 510, 549, 584, 625
— საკაკრო — 162 — 163, 166, 190, 203, 272, 288, 297, 335, 340, 342, 344, 348, 410 — 411,472, 595, 601
მიწათმოქმედების ტექნიკა — 307, 463, 472
მიწათმოწყობა — 172, 383, 475
მიწათმფლობელობა — 112 — 114, 116, 166, 170, 282, 331, 335, 337, 342 — 344, 350, 352
მიწათსარგებლობა — 166, 323, 344

მიწის გაბიცობება — 464
— ექსპლოატაცია — 172, 216
მიწის მუშა — 82, 332, 351, 471
—საიჯარო ქირა — 82, 88, 116, 126, 168, 172, 180, 185, 296, 330 — 331, 335 — 337, 360, 463
— ფასი — 168, 471, 473
მოგება — 90, 264,, 277, 387, 451, 456, 467, 474
მომთაბარეობა — 321, 330, 335, 362
მონობა — 235, 535
მონოპოლია — 10, 49, 126, 187, 268, 398, 449, 571
მორწყვა — 93—94, 101, 187, 282, 296, 311, 318, 323, 330, 356, 358, 361, 409, 452 — 457, 462 — 463, 476, — 523
მოსახლეობა — 16, 23, 25, 26, 29, 60, 70, 71 — 73, 90, 130, 132, 152, 204 — 206, 208 — 212, 252, 254, 257, 259—271, 274, 277—280, 283, 287, 289. 293. 295. 308, 311, 315—316, 318, 321, 323 — 326, 328 — 330, 337, 347, 359, 361, 368 — 369, 372, 374, 375 — 376, 381, 383, 385, 394, 417, 419, 454, 459, 470, 471, 493, 531, 533, 537, 538, 541—543, 552, 557, 559, 568, 573. 580. 582, 586, 587, 603—605, 607, 608
მოსავალი — 81, 91, 93, 95 — 96, 193—196, 199, 201, 217—218, 223, 226, 236—238, 243, 249, 273, 289, 300—303, 373, 412, 414, 459, 474, 480, 595
მოსავლიანობა — 149, 196 — 198, 237 — 238, 243, 276, 278, 290, 293, 299 — 300, 304, 459, 472, 479, 544
მოურავი — 335, 436, 553
მოჯამაგირე — 43, 82, 169
მრეწველი — 32, 33, 325, 419
მრეწველობა — 3, 30, 35, 37, 48, 76, 123, 127, 206, 235, 263—265, 284, 374, 375, 384, 385, 394—395, 481 — 482
„მუზდურობა" (მოჯამაგირეობა) — 352
მუზეუმი — 169, 171
მურვედრი — 628
მუსლიმანი — 141, 346, 557
მუშა დაქირავებული — 170, 181, 228—229, 260, 287, 289, 340, 344, 345, 348 — 349, 352, 405, 461 — 462, 497
მუშაძალა — 322, 339, 340, 343, 466, 348, 353
მუშახელი — 30, 42, 72, 80, 167, 181, 182, 205, 235, 260, 282, 308, 310 — 311, 321, 335, 341 — 347, 353, 409, 455, 462. 467, 522, 594, 601
მღებრობა — 391
მცირემიწიანობა — 170, 182, 204, 280, 344, 607
მწარმოებლური ძალები — 74, 329, 391, 395, 470
მწკრივთაშორისი კულტურა — 529

ნადელი (მიწის) — 112, 273, 329
ნავთი — 76, 313, 557, 577
ნაკელი — 151, 356, 361
ნართი — 168, 233, 269, 313
ნედლეული — 8, 13, 190, 234—235, 238, 245, 256—257, 261. 263—267. 272, 281—290, 304, 316, 336, 384, 389, 394—395, 406, 432, 467, 481
ნერგი (ვაზის) — 578, 580, 582, 584, 589, 602
ნიადაგის გამოფიტვა — 304, 388, 458, 480

— მტაცებლური ექსპლოატაცია — 225
— ნაყოფიერება — 81, 165, 328, 461, 462, 464
ოზი — იხ. ვაზის აეადმყოფობები

ოლიხნარი — იხ. ვენახი
ოსტატი — 51, 55 81—82, 405
ოქრო — 33, 264, 409. 596
ოჯახი — 62. 99, 112. 178, 233, 249, 290, 336, 348, 393, 412, 414

პაპიროსი — 9, 13—14, 16, 23, 47, 48, 220
პატენტი — 9, 12, 16, 18, 20—21 240
პატრიარქალური წყობა — 273, 287, 346, 449
პირუტყვი — 102, 211, 262, 330, 367, 385, 411
პლანტაცია — 17, 25, 27, 29, 51, 63. 151, 193—195, 199—200, 206, 217, 223. 230, 249, 273, 362, 368. 377, 378, 383, 397, 514
პლანტატორი—15, 25, 27, 51, 52, 55, 62, 65, 69, 81, 84, 94—97, 100, 114, 116, 124, 126, 128, 135, 170, 178—181, 183—184, 186, 190—191, 196, 215, 224, 282, 285, 330, 385, 393, 422
პურეული — 227, 332, 411
პური — 116, 170, 182, 274, 275, 308, 311, 330, 335, 366, 423, 455
პურისწარმოება — 276, 282

რეალიზაცია ბამბის — 305, 409—410 417, 423, 432, 460
— თამბაქოსი — 24, 40, 52. 62. 66, 68—69, 88, 184, 187, 219
—საქონლის — 412, 463
—ღვინის — 486, 536
—ყურძნის — 594, 604
რევოლუცია — 76, 95, 125, 171—172, 203, 549, 555
რენტაბელური კულტურები — 64, 87, 199, 295
რიგთაშორისი კულტურები — 519
რკინიგზა — 28, 52, 76, 95, 300, 316, 318, 320, 407, 415, 428, 464, 468, 556, 588, 607
—ცხენის — 357
რკო — 561, 626
როფი — 627
რუსი — 87, 166, 169, 170, 327—329, 332—334, 380, 481
რქა — 549

საბალახო — 283, 286. 330, 346, 387, 455
საბაჟო პოლიტიკა — 46, 60, 125
საგლეხო რეფორმა (1864 წ.)—195, 245—246, 263, 265, 538, 544
სავაკრო (სამრეწველო) პლანტაცია, თამბაქოსი — 27, 86, 95, 100, 105, 106, 126—128, 136, 143, 149, 156, 164, 177, 194, 199. 200, 477
—პუნქტი — 20, 24, 153, 154
—საწყობი — 24, 153, 186, 404
—ხელშეკრულება — 281, 284, 286
სათესი მანქანა — 307
სათიბი — 218, 346, 514, 530
საიჯარო ურთიერთობა — 188—189, 283, 387, 336, 351
საკარმიდამო ნაკვეთი — 193, 348
საკვები ბაზა პირუტყვის — 385, 387
სამეფო საკუთრება — 496, 592
სამკურნალო მცენარე — 4
სამუშაო დღე — 50, 57, 181
სანერგე ვაზის — 577—579, 581—584, 586—589, 627, 629
—სახაზინო — 501
—სახელმწიფო — 580

—ხეხილის — 585, 588
სანიმუშო სასწავლო მეურნეობა — 323
სარგებელი — 78, 189, 411, 414, 424, 425, 567
სარეწავი — 391, 399, 594
სარწყავი მებამბეობა — 450, 463
—მიწები — 114, 296, 324, 326, 329, 333, 453, 476
—პლანტაციები — 93
— სისტემა — 311, 334, 451, 455—456, 463
— წყალი 28, 58, 277, 286, 287, 295, 319, 351, 356, 409, 452—453, 457,461, 463, 455, 476, 522
სასამართლო — 185, 418, 422 — 423
სასარე მასალა — 529, 531
„სასოფლო გაზეთი" — 565
სასუქები — 151, 462
სასხლავი — 608
„საუ--ჯინი — იხ. მანქანა
საფეიქრო დაზგა — 313, 468
— მრეწველობა — 233 — 234, 252, 389, 393
საქონელი — 17, 18, 53, 60, 85, 87, 88, 184, 185, 196, 215—216, 258, 391, 392, 411, 416, 531, 572
საქონლური წარმოება — 72, 86, 104, 167, 222, 233, 235, 239, 317, 340, 346, 509
საშოვარზე გასვლა — 181 — 182, 317, 342, 344, 347, 352, 353, 570, 575
საფეიქრო დაზგა — 313, 468
389, 393
საჩითილეები — 177
საცდელი მინდორი (პლანტაცია) 146—148, 174, 176, 334, 361, 365—368, 381, 405, 462, 578, 580, 586—587, 589
საცდელი სადგური — 171, 175, 191, 278, 364, 366, 380. 381, 462, 582, 586
საძირე მასალა — 557
საძოვარი — 180. 283, 367
საწნეხელი — 604 — 605
საწყობი — 68, 215, 220, 224, 227, 258, 278, 288, 461. 464, 582
—საბითუმო — 11, 13, 17—20, 28, 47, 81, 96, 99, 115. 125. 153
სახელმწიფოებრივ ქონებათა სამინისტრო — 253, 375, 349
სელი — 31, 50, 233, 246
სესხი — 18, 78, 95, 97, 98, 153, 162, 184, 186, 305, 414. 422 424 — 426, 422. 429, 431. 432. 464
სეტყვა — 561 — 564
სიგარა — 9, 16, 32. 36, 37, 41, 47, 48, 141, 144
სიმინდი — 70, 143. 162, 180, 218, 228 — 229, 277. 252. 362, 409, 574, 584, 595, 601, 627
სირაჯი — 567, 590
სომეხი — 41 —42. 55, 95, 114, 158, 159. 166 — 170. 174, 177, 190, 211. 348 — 350. 499
სოფელი — 3, 11. 26, 32 და სხვ.
სოფლის მეურნეობა — 3, 30, 37, 38, 48. 57—59. 105. 123. 148. 182 206, 212, 229, 247, 253, 260, 262, 278, 285, 308. 312, 325, 343, 352, 356, 368, 370, 381, 392. 415. 449—450, 501, 535, 541, 550, 586, 602, 606
სოფლის მეურნეობის გამოფენა—43, 255, 259
— კავკასიური საზოგადოება (სმკს)—34, 38, 78, 159. 169 — 171, 257,

278, 285, 316, 331, 355, 363, 548, 567, 571, 572, 576
— კრიზისი — 278
— საზოგადოება — 33, 211, 255, 286, 465, 535, 541, 558
— სკოლა — 584, 587
—სპეციალიზაცია და გაადგილება— 276, 277, 317
— ტექნიკა—145, 320, 324, 332, 341. 354, 362, 373, 381, 393, 396, 570
სპირტი (არაყი) — 204, 207 — 209, 211
სტატისტიკა — 3, 42, 105, 134, 179, 218, 237, 241, 247, 276, 300, 301, 327, 334, 400, 424, 459 — 460, 464, 474, 476, 485 — 487, 596

ტალავერი — იხ. ვენახი
ტექსტილური მრეწველობა — 233— 234, 237, 242, 245, 251, 257, 259, 265 — 268, 275, 290, 295, 298, 310, 316, 332, 374, 389 — 390, 392, 395, 406, 450, 453, 460, 466, 468, 470
ტექსტილური ფაბრიკა — 267, 470, 481

უდაბნო — 341
უკრაინელი — 333
უმუშევრობა — 234
ურთხელა — 531

ფაბრიკა — 11 — 16, 20 — 22, 28, 41, 47, 51, 62, 96, 102, 104, 114, 124, 153, 154, 173, 199, 213 — 214, 215 — 216, 241, 252, 267, 272, 281, 295, 330, 449, 470, 481
ფაბრიკანტი — 8, 9, 10, 13, 19 — 20, 22, 32, 40, 49, 52 — 53, 63, 69, 72, 78, 82, 84, 87 — 89, 97, 113, 125, 128, 141, 147, 153, 182, 258, 261, 272, 278, 408, 417, 428, 481
ფასი — 8, 38, 50, 51, 52, 85 — 87, 90, 91, 94, 95, 98—99, 100, 114, 146, 154, 155, 183, 185, 213, 218, 224, 227, 228, 256, 257 — 259, 262, 265, 268, 270, 277, 281, 284 — 285, 291, 294, 297 — 298, 302, 308, 311 — 312, 317, 332, 385, 386, 395, 398, 404, 406 — 408 — 410 — 412, 414 — 415, 419, 428, 451 459, 464, 482, 514, 572, 575, 607
ფეიქრობა — 251, 290
ფელამუში — 605
ფერმა — 215, 347, 500
ფერმერი — 331, 336, 422, 473
ფეტვი — 31
ფილოქსერა — 540, 547, 548, 553 — 561, 564, 572, 574, 576 — 578, 580 — 581, 585, 588, 601, 603, 606
ფილოქსერის კომიტეტი — 545, 548 — 556, 566, 567 — 568. 571— 573, 578
ფინანსები — 30, 228, 751
ფინანსთა სამინისტრო — 8, 9, 23, 14 — 15, 17, 21 — 23, 28 — 29, 49 ,65, 76, 253
ფისკალური აპარატი — 22, 49
—პოლიტიკა — 2, 21, 72, 212
ფისკი — 21, 53, 62, 64, 105
ფისკის უწყება — 12, 203
ფული — 44, 63, 72, 113, 116, 146, 183 — 184, 186, 188, 272, 287, 310, 351, 411, 414, 423, 426, 552, 567, 570, 578

ქარგალი — 54
ქართველი — 41, 55, 70, 80, 140, 140, 167, 169, 499, 591
ქალაქი — 3, 11, 17, 32, 110, 147, 199, 313, 335, 357, 546, 566, 592,
ქარსაცავი ზოლი — 362, 564
ქარხანა — 204, 206, 208, 305, 379 — 381, 401, 404, 408, 419 — 420, 422, 429, 431, 608, 627
ქერი — 277, 283, 318, 319, 329
ქვევრი — 516, 598, 603 — 605
ქვისმთლელი — 283
ქიზიყელი — 206, 209
ქიმიკატები — 467
ოშმიში — 413
ქორვაქარი — 406
ქრთილი — 31
ქსოვილი — 251
ქულბაქი — 592
ქურთი — 134
ქუნჯუთი — 58, 277, 359, 362

ღვინო — 413, 486, 497, 500, 502 — 503, 512, 526, 537 — 538, 540, 544, 561 — 563, 566 — 568, 594, 596 — 597, 599 — 600, 603 — 605, 607, 627 — 628
ღომი — 601

შვავილნარი — 585
ყრილობა მებამბეთა — 364, 367, 383, 402, 420 — 421, 426 — 428, 432, 436 — 465
— მევენახეთა — 546, 566, 569 — 570
—მიწათმოქმედების კომისარიატების — 559
ყურძენი — 486, 490, 522, 526, 529, 540, 561, 567, 570, 590 — 591, 594—595, 597, 599, 604 — 607, 628
შაბიამანი — 567, 569, 571, 572, 582
შამპანური — 599
შაქრის ლერწამი — 119, 362, 501
შემნახველ-გამსაღებელი ამხანაგობა — 424
შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა — 363, 364, 425
შემსყიდველთა მონოპოლია — 412
შეფუთვა — 215, 224, 258, 405 — 407
შეყელვა — 528
შვრია — 329
შიგაწვის ძრავა — 402, 404, 405
შინამრეწველობა — 9 — 10, 233, 251, 339, 380 — 381, 399, 405 — 408, 449, 470, 482, 589
შრომის მწარმოებლურობა — 188, 340, 351, 353, 466 — 467, 472

ჩაი — 119, 145, 152, 586
ჩიბუხი — 4, 70
ჩითილი — 116, 148, 176
ჩიხრიხი — იხ. მანქანა
ჩუთი — 351
ჩურჩხელა — 605

ცარიზმი — 42, 72, 169, 172, 182, 265. 326, 381, 465, 499, 500, 534, 542, 549, 563, 590, 602
„ცისკარი" (ჟურნ.) — 565
ციტრუსები — 199
ცხენი — 307, 400
ცხვრის ფარა — 211

ძაფი — 252
ძირნაყოფა — 359
ძირტკბილა — 359

ძმარი — 605
ძროხა — 180

წარმოების ხარჯები — 86, 90, 94, 97, 195
წვრილი წარმოება — 62, 78, 87, 89, 98, 149, 172, 178, 183 — 185, 187, 258, 296, 307, 323 — 324, 336 — 337, 345, 356, 366, 374, 396, 398, 406 — 415, 422 — 427, 473, 509, 567, 574, 625
წმინდა შემოსავალი — 50, 58, 296, 315, 350, 451, 452

ᲗᲐᲜᲘ — 41 — 42, 55, 78

ᲭᲐᲪᲐ — 209
ᲭᲐᲠᲮᲐᲚᲘ (ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ) — 362
ᲭᲘᲒᲝ — 521, 527, 626
ᲭᲣᲠᲘ — 516, 603

ხაზინა — 8, 60, 69, 128, 134, 135, 154, 170, 176, 209, 210, 254, 312, 334, 381, 452, 454, 456, 462, 464, 499, 578, 587
ხაზინის შემოსავალი — 9 — 10, 13 — 14, 20, 22 — 23, 30, 41, 49, 53, 55
ხალვარი — 289
ხარდანი — იხ. ვენახი
ხარდალი — 605
ხარკი — 44, 421, 449
ხეივანი — იხ. ვენახი
ხელნაშენი — 525
ხელსაქმეობა — 313, 339
ხელფასი — 51, 94, 282, 283, 339, 346, 393, 399, 405, 409, 497, 595
ხმელი ხილი — 413
ხოკერა — 314, 341, 409
ხორბალი — 31, 50, 112, 277, 283, 307, 310 — 312, 318 — 319, 329, 366, 384, 409, 413
ხურმის ხე — 596, 626
ხუტორი — 26

ᲯᲘᲜᲘ (ᲙᲝᲢᲝᲜ-ᲯᲘᲜᲘ) — 257, 271, 298, 376, 385, 394, 397—398, 401—405, 422, 447
ᲯᲝᲒᲘ — 211, 455, 596

ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ — 463
ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲝᲓᲣᲚᲘ — 457
ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ — 455

Паата Виссарионович Гугушвили

член-корреспондент Академии наук ГССР

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

სახოგადოებრივი რედაქტორები: ქ. ჯოხიძე
რ. მოწერელია

გამომცემლობის რედაქტორი შ. თოფურია
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. ბხაიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.4.1965; ქაღალდის ზომა 60×90 1/16;
ნაბეჭდი თაბახი 41.5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 35.46;
უე 02076; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1252;
ფასი 2 მან. 75 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5